ოთარ ეგაძე

დღეები ჩვენი ბრძოლებისა

რომანი

თბილისი, „მერანი", 1988

ოთარ ეგაძის რომანი „დღენი ჩვენი ბრძოლებისა“ წარმოადგენს პირველ ნაწილს ისტორიული ტრილოგიისა, რომელზეც თითქმის თხუთმეტ წელს მუშაობდა ავტორი.

ტრილოგიის ამ ნაწილში ასახულია მძაფრი ეროვნული და სოციალური კონფლიქტები საქართველოში ცხრაასიანი წლებიდან 1921 წლამდე. რომანში მრავალ ისტორიულ პირს შეხვდება მკითხველი, რომელთა შორის არიან: ლენინი, სტალინი, ილია ჭავჭავაძე, არჩილ ჯორჯაძე, ეგნატე ნინოშვილი, ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, კაკი წერეთელი, ჩხენკელი, გეგეჭკორი, ორჯონიკიძე, მახარაძე, წულუკიძე, ქავთარაძე, ბუღუ მდივანი, მეფისნაცვალი ვორონცოვი, გენერლები: დენიკინი, მაზნიაშვილი, ქემალ-ფაშა... ნაჩვენებია ბოლშევიკების, მენშევიკების, ფედერალისტების, ესერების, ნაციონალ-დემოკრატების, ანარქისტების, დაშნაკების, მუსავატთა პარტიის თვალსაჩინო წარმომადგენლები. ამ ფონზე ავტორის მიერ მხატვრულადაა განზოგადებული მთავარი მოქმედი გმირის ტიტე ცამიწაძის სახე.

რომანში გამოყენებულია მრავალი უცნობი ისტორიულ-დოკუმენტური მასალა.

რეცენზენტები. ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი გიორგი მერკვილაძე
ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი
ბადრი მეჩეხია

ხელმძღვანელი: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი დევი სტურუა,
მხატვარი გიორგი ნატროშვილი

47 10000000—55
8 ——————— ბრჭ. 88
8 604(08)-88

© გამომცემლობა „მერანი“

ვუძღვნი ენრიკო და ედგარ ეგაძეების ხსოვნას

ტიტე სემინარიელი

— გვარით ღირსეულისა ხარ, ღვთისმსახური, ცასა და მიწას რომ შეჰხარი! ქუთაისი პატარაა შენთვის!.. აქაური სემინარია — პაწაწინა. დიდიც მოგერგება, შორს იყურე! იქ განაგრძე სწავლა. სხვა წიგნებსაც ჩაუღრმავდი, საერთო განათლება წაგადგება! — მამაშვილურად დალოცა ღვთისმეტყველების მასწავლებელმა დობრიჩენკომ სემინარიელი ტიტე ცამიწაძე და შეტყუპებული ორი თითი მხარისუკან გადიგდო იმ შორეული ქალაქის მისანიშნებლად.

„სად?! — პეტერბურგში?!“ — გაუელვა ტიტეს გონებაში.

უფრო იქით!.. საფრანგეთში. სორბონის უნივერსიტეტის კარი ასჯერ შეაღოს და მხოლოდ ერთხელ გამოიკეტოს: სალმრთო რჯულს ჩაუჯდეს, ბრძენთა ნააზრევიც ღრუბელივით შეიწოვოს, ძველი და ახალი სიბრძნე შეითვისოს, თეოლოგიურად შეკაზმულ სულის საზრდოს პოლიტეკონომიის სანელებელიც დაამატოს და ცოდნით დაპურებული შინ სამოღვაწოდ დაბრუნდეს.

— ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორის თანამდებობაც თავისით მოგერთმევა, მერე კი სხვა მეტიც მოგეცემა; „მქონეს მიეცესო!..“

„მეტიც?!“ — როგორ, რატომ, რისთვის?“ — ჩაფიქრდა ცამიწაძე.

— ღმერთის მოშიშობისათვის, ტახტის სამსახურისა და ხალხის სიყვარულისათვის! — შთააგონა მასწავლებელმა.

ტიტეს ხალხი უყვარს!.. ეს ღმერთმაც იცის. ადამის ძის სიკეთე მასაც ამხნევებს, ძალას მატებს, ნებისყოფას უორკეცებს, სამართლიანობის წყურვილს უათკეცებს და დაუფასდება კიდეც!

თუმცა, რა იცის, როდის რა მოხდება! როგორ წარემართება ცხოვრება? სიკეთე განა ყველას მიეზღვის?! იესოც კი ჯვარს აცვეს, ზარათუსტრა თავისავე მიმდევრებმა აწამეს! ხოლო აბელის მკვლელი ძმა კაენი ეშმაკმა კი არა, უფალმა აღაზევა უკვდავად. ტიტეს ვიღა დაუფასებს?! მაგრამ განა ასეთი უმადურობის შიშით წინდაწინ უნდა მოითხოვოს სიყვარულის ღალის თამასუქი?! მაშინ რაღა ფასი დაედება ხალხისადმი მის ერთგულებას? სიყვარული იძას ჰქვიან, როცა თავისით მოდის.

მაგრამ რომ არ მოვიდეს? მაშინ როგორ მოიქცეს?!

ტიტემ არც ინანოს, რაკი გაუგონია, რომ სიყვარული სხვა რამაცაა, — ტანის გვემა, სულის წვა, გონების ტყვეობა, გრძნობის გახელება, ხორცის გლეჯა და ენის დამუნჯება!

უცნაურია! ტიტე კი სალაღოდ დაბადებულა, ამაღლებული სიყვარულის მეხოტბეა, ბედნიერების მძებნელი, სიკეთის მეჯვარე, გულადობის ხელისმომკიდე, ბრძოლის მაყარი და გამარჯვების მახარობლადაც მიიმღერის: „რაც მტრობას დაუქცევია, სიყვარულს უშენებია!“

რუსეთიდან ჩამოხიზნული საღვთო რჯულის მასწავლებელი დობჯიჩენკო კი უცნაური კაცია, ბუნება მოღრუბვლია, ცხოვრებას ამრეზილად უცქერის, სიყვარულსაც ებუტება.

— სიყვარული ხასაა! — ამოიხრიალა მასწავლებელმა.

ეს რა სთქვა?! მაშასადამე, სიყვარულის მოზიარედ ჩათვალა ბოღლარი, ავხორცი, სათრევი და საგინებელი? სალახანა, დასაწყევლი და ფარისეველი?! უჰ!.. რა შეჰკადრა წმინდა გრძნობას, უბოწყალოდ გაამათრახა, წყეულივით დასძრახა და გააუპატიოსნა! ტიტე კი ამაღლებისა და აღმაფრენის გუნდრუკს უკმევს.

— დიახ, სიყვარული არარაობაა, გრძნობის ფარისევლობაა, ემოციის თავაწყვეტა, აზრის ღალატი, გულის ფრიალი, ურჩი ვნებიანობა, მაცდურობის ფერუმარილი, ჭირვეულობის წამომწყები! სიყვარულმა გააჩინა ბოროტება და სიკეთესვე შეახიზნა. მანვე დაბადა იჭვიანობა ღარიბსა და მდიდარს შორის, მარქსისტებმა რომ კლასობრივი ანტაგონიზმი შეარქვეს, საზოგადოებრივი კონფლიქტის მოთავედ გამოაცხადეს. ევას ვნებიანობა და ეშმაკის ცდუნება რომ არა, დედამიწა ახლა მშვიდად იცხოვრებდა! ერთი ასულის სულწასულობამ წისქვილის ქვასავით დაატრიალა ქვეყნიერების ბედი, დამბლა დასცა და ცოდვის მღვიმედ აქცია კაცის გული!

ყური ისმენს, სული ვერ ითმენს:

— არა, დედაკაცი როდი არის ქვეყნიერების დამქცევი ანდა დედამიწაზე შფოთის ამტეხი, აშენებულის დამხგრევი, სიხარულის ჩამხშობი, სინათლის ჩამქრობი თუ ბედნიერების წამლეკავი! — სანთელივით ენთო ეს ფიქრი ტიტეს გულში, მაგრამ კერპი მასწავლებელიც ჯიუტობს:

— მე ჩემი ვთქვი: სწორედ იმ ერთი ქალბატონის ლამაზ ყელსა ჰკიდია მძიმე ცოდვა, ქვეყნიერება რომ შეშალა. ევას ძუძუმ რძე კი არ მოაწოვა, ცრემლი და ნაღველი მოუტანა ადამიანს, — თავის ნათქვამს ცხელი ნაცარტუტა წააყარა...

მასწავლებელი ახლა სოციალურ სფეროს გადასწვდება.

არც მოწაფე დაუფრთხება, ორ ცეცხლშუაა. დამრიგებელს პატივსა სცემს, მაგრამ ევას სიავეს ვერ დაიჯერებს. ცოდვა რატომ დაიდოს! ქვეყნიერების უბედურება ერთ შეცდენილ დიაცს როგორ აკიდოს?.. ბუნებრივობის კანონების მბრძანებლობას რაღა უყოს?! სოციალური შუღლი სად მიჩქმალოს, რეაქციის შავი ზრახვები როგორ გაათეთროს, კლასის კლასზე წაწევა და ძალადობა ვიღას გადააბრალოს, პოლიციელების მომრავლება და ბუნტის თავების სოკოებივით გამოჩენა რაღას მიაწეროს ან როგორ გაამართლოს?!..

არა, ქალი როდია ჯოჯოხეთის მაშხალა, დედამიწის ამქოთებელი: ვიღაც და რაღაცაა დამნაშავე, ცისა და მიწის ცოდვით აღმვსები და თანაც...

თანაც, რა?..

თანაც ის, რომ ევა პირველი ქალია, ვინც ცნობისმოყვარეობამ აიტანა და სიცოცხლის არსის ამოცნობა იწადა! მერედა, რად დაუშალეს ბუნებრივი წყურვილი? რატომ იუცნაურეს ჭეშმარიტების შეცნობის მიდრეკილება, რატომ დაუწესეს, რომ გულცივად ესეირნა სამოთხის ბაღში და არკი შეეცნო, სამარადისოა თუ არა ბედნიერება? ვისთვის გააჩინეს მშვენიერება და რატომ უშლიან თვითონაც იგემოს სიბრძნის ხის ტკბილი ნაყოფი?

სამოთხის მეუფე კი განარისხა, — სიცოცხლის არსის საიდუმლოება ჩემი უპრიანიაო. მე შევქმენი ედემის ბაღიც და სად, რა ხილი ვახარო, ვის რა ეკითხებაო!..

ევა ვერ შეურიგდა უფლის თავნებობას, ერთის მბრძანებლობას, თუნდაც ბაღის პატრონისას! რას მიქვია აკრძალვა: „მე ხილს ვიგემებ, მებაღისა რა მეკითხება“. უცხო ნაყოფის დაძლევა მოუნდა და

რატომ უკრძალავენ? სულ სამად-სამნი დადიან ედემის ბაღში და სამივენი ერთმანეთის მსგავსნი არიან. ღმერთმა თავის დარად შექმნა ქალიც და კაციც. პირველს ევა დაარქვა — „ცხოვრებას“ რომ ნიშნავს, მეორეს კი ადამი უწოდა — „მწითური მიწა“. მაგრამ ცხოვრებისა და მიწიერ საიდუმლოებას კი უმალავს!.. რატომ უკრძალავს ცხოვრებისათვის გაჩენილს სიცოცხლის არსსა და სიბრძნეს. იმიტომ ხომ არა, რომ ამის საიდუმლოება ერთმა იცოდეს?! მერე, ვინ დაანათლა ამის უფლება? „საკუთარმა თავმა?!“ ეს ხომ თავკერძობაა, ადამიანის თავისუფალი აზროვნების უფლების გათელვა.

ევა ამას არ მოითმენს! ევამ ყველაფერი უნდა იცოდეს, რაკი მას „ცხოვრება“ ჰქვია. აქამდე არაფერი იცოდა, თორემ ადრეც აჯანყდებოდა. ეს-ეს არის ერთი მომფერი ჭკვიანი გველი ფეხებთან გაუსრიალდა, მერე მკერდზე შემოეკრა, და გულში საკუთარი სიბრძნის გესლი ჩაუწურა.

ევა ვნებით აივსო, ეჭვიანად აიწურა, და იმ ბრძენი გველის სისინს ყური მიუგდო.

ედემის მფლობელი კი მოულოდნელად აიმრიზა: ეწყინა, რომ ევა უფრო ცნობისმოყვარე გამოდგა, ვინემ ეგონა.

კაცმა რომ თქვას, ევა მართალია!.. აბა, რა აზრი აქვს ადამის ნეკნიდან ევას გაჩენას, თუ თავის არსებას არ შეიცნობს?! აღარ უნდა კვლავაც დარჩეს უხმოდ და მუნჯად, უგონოდ და უსმენოდ. ღვთით გაჩენილია და ღმერთითვე უნდა იცოდეს, რისთვის იცოცხლოს? უმიზნობას რა აზრი აქვს?!

ევას პროტესტის გრძნობა გაუჩნდა, დღესაც რომ ადამიანის მოუცილებელ ჩვევად ითვლება!

ამიტომაც შეუდგა ევა უსასტიკესი დოგმის რღვევას და ვინც არ უნდა გადაუდგეს გზაზე, იმ აკრძალულ სიბრძნისა და უკვდავების ხეზე მაინც აცოცდება, ნაყოფს მოსწყვეტს და ადამსაც აგემებს.

უფალი კი გაუწყრა!..

რატომ?

იმიტომ, რომ ევამ სატანას დაუჯერა!

მერე რაა ამაში ცუდი? გარდა იმისა, რომ უფლის საიდუმლოება გაანდო! უამისოდ ადამ და ევა სამოთხის ბაღში მარტოდ ტანტალს გადაჰყვებოდნენ, ცნობისმოყვარეობის მიღმა ხეტიალით დაიღლებოდნენ და დაოსდებოდნენ.

არა, ევა სწორად მოიქცა და ქალურ საწყისს გონიერება დაუმ-ყვიდრა.

ქალი დღესაც მიილტვის ყოველგვარი საიდუმლოებისადმი, ქმარს ეხება თუ სატრფოს, სახელმწიფოსა თუ კარის მეზობელს.

ევა სამოთხის ბაღში ცხოვრობდა, უკვდავებისა და სიბრძნის ხეხილს შესცქეროდა და არკი ეძლეოდა სურვილი და უფლება ნა-ყოფი ეგემა!

რატომ?! ვის გაუგონია ასეთი აკრძალვა და სურვილის დათრ-გუნვა? ჩვენს დროშიც კი აღშფოთდება ქალი კი არა, კაციც! თუმ-ცა ადამი ნაკლებად ცნობისმოყვარეა ჯადო-თილისმობაში და ყველა ამნაირ თავსატეხს მარდილოსნის კუთვნილებად სტოვებს კა-ცური ამპარტავნობის გამო.

ევა კი თავმდაბალია! თავკერძა როდია. ცნობისმოყვარეობის წყურვილს ადამსაც გადასდებს და უკვდავების ნაყოფსაც ძალად აგემებს. ეს ორივეს უძლეველად აქცევს და უფალიც კი შეშინდება, რომ ღმერთობა არ ჩამოართვან: გაუწყრა ორივეს, ედემის ბაღიდან განდევნა, და თავისავე დარი ცოდვილთა თაობის გამრავლება და-აწყევლა.

იმ დღიდან დღემდე მოდიან ერთად წუთისოფლის გრძელ გზა-ზე. იმ უკვდავების ვაშლის თესლი მიწაში ჩააგდეს და ახარეს, ხორ-ბლის მარცვალიც ჩათესეს და ამრავლეს, ჯამ-ჭურჭელიც გააკეთეს, ტყავის სამოსიც მოირგეს და ასე დაუღალავად აგრძელებენ ცოდ-ვილ ცხოვრებას! საღვთო რჯულის მასწავლებელი და მწითურა ბერი კი ყოველივე ამას სატანის ნამოქმედარად აცხადებენ?!?

ღმერთმა შერისხა ადამ და ევა, მაგრამ ვითომ თვითონ წინასწარ არ იცოდა, რომ სამოთხის ნაკრძალში ევას დაუძლეველი ცნობის-მოყვარეობის წადილი აღეძვროდა? იცოდა, შეუშვა და დაჰგმო:

„განმრავლებით განვამრავლნე მწუხარებანი შენნი, და სულთქმა-ნი შენნი, მწუხარებით ჰშვნე შვილნი შენნი, და ქმრისა შენისა, მი-მართ იყოს მიქცევა შენი, და იგი გეუფლებოდეს შენ“.

მაგრამ ყოველ ქალზე მაინც ვერ განივრცო წყევლა თავისი, რომ ქმრის მონა იყავიო. რამდენი ქალია ქვეყანაზე, ქმარს კისრით რომ ატარებს.

„ხოლო ადამსა ჰრქუა: რამეთუ ისმინე ხმა ცოლისა შენისა... წყეულ იყავნ ქვეყანა საქმეთა შინა შენთა, მწუხარებით სჭამდე მისგან ყოველთა დღეთა ცხოვრებისა შენისათა ეკალსა და კუროს-

თავსა აღმოგიცენებდეს შენ, და სჭამდე თივასა ველისასა... ვიდრე მიქცევამდე შენდა მიწად, რომლისაგან მიღებულ იქმენ, რამეთუ მიწა ხარ და მიწადაც მიიქცე".

ტიტე გუნებაზე მოვიდა და ენად გაიკრიფა:

— ღმერთმა ყოველ ადამიანზე განავრცო სასჯელი, მაგრამ ბევრმა ხომ ხელი აუკრა და აიცდინა. ქუთაისელ პოლიცმეისტერსა და მოსკოველ თვითმპყრობელს ეს განსჯა როდი ეწიათ. განა ჩვენი რექტორი-დეკანოზი ტანჯვით იწევს პურს? თქვენ კი სულ იოლადაც ჭამთ. თუმცა ყველაზე ენაწყლიანად ქადაგებთ ქრისტეს რჯულს. რატომ არა სრულდება უზენაესის ნება-სურვილი?! ზოგმა არც კი იცის, როგორ მოდის პური, ისე იყორავს მუცელს.

— ეგეთი გესლი მარტო გველს შეჰფერის! — გააფრთხილა მწითურა ბერმა-ზედამხედველმა.

— არც გველია თავგასაჩეჩქვი!.. რა დაუშავა, თუ ევას გონება გაუხსნა, შემეცნების ხესთან მიიყვანა და სიბრძნის ხილი დააძლევინა. გველი თვითონ არის ყველაზე ბრძენი და გონიერია ყველა მიწიერ ცხოველთა შორის, ევასაც ცნობისმოყვარეობა გაუღვივა და ეხოვრების საიდუმლოების ცხრაკლიტული გაუხსნა! ზენამ კი შერისხა, დაამუნჯა, მეტყველება წაართვა, თორემ ვინ იცის, კიდევ რამდენ რამეს გაუმხელდა ადამიანის სასიკეთოს, ახლა რომ მხოლოდ შხამით არჩენს და მაინც თავს უჩეჩქვავენ და ჰკლავენ.

მერე ტიტემ აკრძალული წიგნის ფურცელიც მეხსიერებით გადმოშალა და მასწავლებელსა და მწითურა ბერს რომის იმპერატორის იულიანეს დამჭინკრავი საყვედური გაანდო:

„უფალ ღმერთს, პირიქით, უნდა ებრძანებინა ადამიანისათვის, რომ სიკეთისა და ბოროტების შემეცნების ხის ნაყოფი რაც შეიძლება მეტი ეჭამა, რადგან, რაკიღა მოაზროვნე თავი უბოძა, კიდევაც უნდა ეაზროვნა და ესწავლა რამე, მით უფრო უნდა შეეცნო ბოროტება და სიკეთე, რათა უკეთ შეეგნო თავისი დანიშნულებანი. აკრძალვა სულელური და სასტიკი გამოდის! ის ასჯერ უარესია იმაზე, რომ ღმერთს ადამიანისათვის მიეცა, ვთქვათ, კუპი, და მერე აეკრძალა მისთვის ჭამა-სმა".

მწითურა ბერი შეცბა და აიმრიზა:

— ღმერთმა გამოცდაზე დააყენა ახლად შექმნილი კაცთა მოდგმა. მას უნდოდა გაეგო, დაემორჩილებოდა თუ არა ადამი მაშინ,

როცა მცირეოდენ წყალობას დააკლებდა, — გაამართლა უფალი მწითურამ და თვითონ უფრო აჭარხლდა, რაკი ტიტეც გრძნობდა, რომ ბერი მცირე წყალობასაც არ იკლებდა, — რასაც სემინარიას ვერა სცინცლავდა — პოლიცმეისტერს აყაჭვინებდა და კუჭს მაინც ივსებდა.

ტიტე სხვა აზრისა იყო. ადამ და ევა პირველი მოაზროვნე წყვილია, რომელმაც ხმა აღიმაღლა ღვთის თვითნებობის წინააღმდეგ! მათი გაბედული პროტესტი რომ არა, გზას ვერ გაიკვლევდა დღევანდელი საზოგადოებრივი ყოფიერების გაუკეთესების კანონიერი წადილი.

ამიტომ ნურც მოექცევიან სასტიკად ადამსა და ევას! ნუ გააკრავენ პროკრუსტეს სარეცელზე იმისათვის, რომ ცნობისმოყვარეობისა და მიზანსწრაფვის ინსტინქტი მემკვიდრეობით გადასცეს ყოველ შემდგომ ევას. ადამ და ევა მათუსალასავით ხომ ვერ იცოცხლებდნენ 969 წელიწადს, როდისმე მაინც მოკვდებოდნენ, რადგან უკვდავების ხის ნაყოფი მაინც ვერ იგემეს და მოკვდავად გაჩენილები იმადვე რჩებოდნენ, ხოლო მათი შემხიზნავი დედამიწა, მათს მერე უკაცურ, ცივ და უსარგებლო მნათობად იქცეოდა, თუნდაც ღმერთს თავის საცხოვრებელ სამოთხე — ბაღად გამოეცხადებინა, თანაც...

„თანაც“ რა? ბარემ ესეცა თქვას ტიტემ, და არც იმან დააყოვნა:

— თანაც ის, რომ, ქალი სიცოცხლის დამბადებელი და ცხოვრების გამგრძელებელია; დედა რომ არ გვყოლოდა, ვინ გაგვაჩენდა? — გადაუდგა შეგირდი და მასწავლებელიც სალვთო რჯულის ენით აქადაგდა:

— წმინდა მარიამის გულისყური წარმოგვშობდა, ვითარცა შვა ყრმა იესო, სული წმინდა გაგვაჩენდა, შური გაგვეცლებოდა, დავა ჩაგვიცხრებოდა, მიტაცების ჭირი დაგვიწყდებოდა, სულწასულობა გაგვიფრინდებოდა.

— კიდევ რა?!

— კიდევ ის, რომ ქვეყნიერების გამგებლად წმინდა რწმენის მღვდელმთავარნი დაგვიდგებოდნენ და უწმინდური ზნეობის მეფე-იმპერატორები მოგვწყდებოდნენ თავიდან, ყველა ერთ ღმერთს ვილოცებდით და ცოდვილები ცოდვიანებზე საჩხუბრად აღარ გავიწევდით.

• • •

მასწავლებელი ქადაგებდა და გუმანით ხვდებოდა, რომ მისი ნასროლი ისრები ტიტეს წმინდა გულს მალამოდ ედებოდა, სამკურნალოდ წვდებოდა, ხოლო მწითურა ბერს შხამად ესობოდა! მეფის სახელის ხსენება ტიტეს სლოკინს აწყებინებდა და თვითონ მასწავლებელსაც გულის რევა ემართებოდა, რადგან ნიკოლოზ მეორე ყოველ ორ კაცს შუა თითო დამსმენს სვამდა და იმათი ჯილაგიდან ერთი მასაც გვერდში უჯდა; მწითურა ბერი საღვთო რჯულს აზეპირებინებდა მოწაფეებს, თვითონ კი უღვთოდ სცოდავდა ხატის წინაშე. სასულიერო სემინარიაში მელიის კუდს ვერა მალავდა და ჟანდარმერიაში დაცუნცულებდა, გონებაგახსნილ მოსწავლეებს ლაღადმოაზროვნეთა სიაში აქცევდა და ღმერთისმგმობელებად აცხადებდა.

ერთი კი უკვირს მწითურა ბერს: ვინც საღვთო რჯულს უკეთ სწავლობს და სახარებას ჩაჰკირკიტებს, სწორედ იმათ ბალიშქვეშ პოულობს აკრძალულ წიგნებს და ბერი-ზედამხედველი ჯავრობს, იწყევლება და იღრინება, ხატს პირმოთნედ უღიმის, პირჯვარგადასახულებს კი უბღვერს და სემინარიის რექტორსაც აქეზებს, ახელებს და აწყევლინებს. პოლიცმეისტერსაც წამდაუწუმ აფრთხობს და მომავალ ღვთისმსახურთა უიმედობაზე ვეება საქმეებს ადგენინებს.

ეს წყეული სემინარისტები კი ვითომც არაფერიაო, — სახარების მცნებებს მთავრობის საწინააღმდეგო მოწოდებად იყენებენ. „გამოდის, რომ რასაც იესო ქადაგებს უფლის სადიდებლად, იმას ბუნტის გასაჩენად იმარჯვებენ! უფლის მოციქულ მათეს, მარკოზისა, ლუკასა და იოანეს სახარების სიტყვებს შუბლზე იკრავენ და ეშმაკის ბადეში ითრევენ?!“

მერე ენაზე იკბინა, შერისხულივით პირჯვარი გადაიწერა, თავის შავი ფიქრებისა თვითონვე შეეშინდა, რადგან იქნებ მასაც გვერდით თავისთანა დამსმენი უდგას და თავის დაკარგვას სჯობია, ამ ფიქრებს გაექცეს.

ტიტეს კი არაფრისაც არ ეშინიან. ხელში სემინარიის სანთელი ყასიდათ უჭირავს, გულში კი რევოლუციური ბრძოლის ცეცხლი უღვივის, „კომუნისტური მანიფესტის“ სიტყვების გრგვინვა ესმის და იმის გვერდით კატის კნუტის კნავილად ისმის მწითურა ბერის წყევლა, შეჩვენება და შერისხვა. ტიტეს მეფის სახელის გაგონებაზე ბნედა ემართება და ციებ-ცხელებაც იტანს ხოლმე.

ბნედა? ციებ-ცხელება?! ნუთუ ყოველივე ეს სახეზეც აწერია?! აწერია კი არა, ენაზეც აკერია!

— არც გიმალავ, მამაო-მასწავლებელო. რწმენის ბოძი წამექცა, ნდობის ფესვი შემახმა!

სინათლის სვეტიც ქრება და ტახტისადმი ერთგულება იკარგება.

— ხალხია მეფეც და მეფის მსახურიც! — დუდუნებს ტიტე.

— არა, შვილო ჩემო! მეფე უფლის მოციქულია დედამიწაზე. მისი წარმმართველი კი იესოა.

— იესოც ადამიანია, ცოდვის მზიდავი! როგორღა განსჯის მადლისა და უმადლობის ჩამდენს?!

— სცოდავ, შვილო! იესო სულიწმინდის ძეა, ზეკაცი.

— ხორცით და სულით გაჩენილი კაცად რჩება?..

— ღვთიშობელის ნაშობია!..

— ევა-ქალის?!

მასწავლებელი მოსწავლის მსჯელობის სილაღეს არ აჰყვა; მწითურა ბერი თვალებში შეჰყურებს, მოსმენილის ავკარგიანობას სწონის და მთელ ამ საუბარს მკრეხელობად სთვლის! დობრიჩენკო მიუხვდება და საშიშად გადაგრეხილ საუბარს სამშვიდობოზე გადაიყვანს, მათეს სახარებას თვითონაც მეხსიერებით გადაშლის, მოციქულის სიტყვებს აამეტყველებს და დაეჭვებული ტიტეს გონებას უფრო შეაშფოთებს.

დობრიჩენკო ღვთისმეტყველების მასწავლებელია, ეგრე ადვილად ვერ გადმოიბირებ, ტიტე! გამაგრდი, შენ არ გადაგიბიროს... უფროსკლასელი ხარ, მაგრამ მაინც ჯერ უწვრთნელი, გამოუცდელი მოწაფე!

ტიტემაც იცის! მასწავლებელი მაღალზე ზის, მისაწვდომად ძნელია, თავად მხოლოდ მოსწავლეა, დაბალზე დგას, მაღლობიდან ხელისგულზე მოჩანს დაბლა მდგომის ნაფიქრალი. ქვეით მყოფის სიმართლე მიჩქმალულია, ამხედრებულ დოგმას კი ფრთები გამოსხმია და ყოველი სიტყვა ზეციურის გალობად იქცევა. ტიტე არც ცდილობს დობრიჩენკოს შესწვდეს. დარვინის „სახეობათა წარმოშობა“ წაუკითხავს და იმან დააეჭვა: მიწიერმა მარიამმა როგორა შვა ზეციური ყრმა?! ანდა იესომ, შთამომავლობით უბრალო კაცმა, როგორ ითავა ადამიანების განწმენდა, ცოდვილებისა და უცოდველობის ერთმანეთში მორიგება, მგლებისა და ცხვრების ერთად ძოვება?!

მერე უფრო ჩაფიქრდა:

„იგი იხსნის?“ — ყველას? თუ ნაწილს? რატომ მაინც თავის ხალხს?! სხვის ხალხს ვიღას სამოწყალოდ სტოვებს?! ვინ უწინამძღოლოს? ხალხი ყველა საცოდავია, ყველა ითხოვს შველას. აქ რაღაც გაუგებრობაა! ანდა მხოლოდ თავისი ხალხისადმი მიკერძოება. ტიტემ ისიც იცის, რომ პარტიებმაც ვერ მონახეს საერთო ენა. ერთნი რევოლუციურ პარტიას ნაციონალურ ფარგლებში კეტავენ, მეორენი კოსმოპოლიტურ გუგულს შესტრფიან და ის კი გარე-გარე ბუდეებში ფრენას იწყებს, საკუთარ კვერცხს ალაყებს და სხვისას ეპატრონება. აიშალნენ ქრისტიანები, მუსლიმანები, იუდეველები, ზოგი „ბუნდს“ ირქმევს, ზოგი „ჰნჩაკს“, მენშევიკს, დაშნაკსა და მუსავატელს. ზოგიც „ფედერალისტობს“, ღმერთმა უწყის რა სახელს არ ინათლებენ, როგორმე რომ გამორჩეულად მიიჩნიონ თავი.

ხალხი კი ორად გაყოფილი რჩება, მდიდრებად და ღარიბებად. ნაციონალური ბურჟუაზია საკუთარ მშრომელებს ორმაგ არტახებში აქცევს, მაგრამ თავი დაჩაგრულად მოაქვს, რომ საკუთარ ერს შეაბრალოს თავი და მხარდაჭერა გამოსტყუოს. თვითმპყრობელობა და წელგამართული ნაციონალური ბურჟუაზია ერთობლივად თრგუნავენ ყველა ერის პროლეტარიატს, გლეხობასა და ინტელიგენციას. როგორღა ეშველოს ასე დაქსაქსულ, ერთი-მეორისგან განსხვავებულ ხალხებს? ქრისტეც დაფიქრებულა და საქმე შეგირდ-მოციქულებისთვის გაუნდვია, „თავისი ხალხის“ ხსნა განუზრახავს. მაგრამ სხვას რაღა უყოს? ბედის ანაბარა მიაგდოს? განზე ჩაუაროს? ხელი არ გაუწოდოს, არ გაუმართოს? მაშ, რა ღმერთკაცია, თუ ხალხის ცოდვებისაგან განწმენდაში ზოგზოგს მაინც გამოარჩევს! ამას ჩაფიქრება უნდა, შემოწმება, საბუთების თვალწინ დაფენა, დაკვირვება, დინჯად განსჯა, მშვიდად გარჩევა და მიუდგომად გადაწყვეტა, მართალი სიტყვის თქმა და სწორად გატარება, გულისნადებში წვდომა და ზუსტად მოჭრა, — ბოღმა-ბოროტების მისნობა კი არა,— პატიოსანი თვალით დანახვა და ნათელი გზის გაკვალვა.

დობრიჩენკომ ესეც ამოიკითხა ტიტეს გამოხედვაში და ყველა ხალხისადმი თანასწორ მფარველობაზე იესოს საბუთ-თქმულებებიც გადმოფინა:

— იწამე შენც უფალი, ემსახურე მას, ვითარცა ჩვენ, ძეო ღვთის მსახურისავ!

— რომელს? — შებედა ტიტემ.

— უფალი ერთია!

— ორთა მოსარჩლე?!

— მრავალთა.

— ჩვენ რომ ერთნი არა ვართ? აკი ბრძანეს ბაგეთა თქვენმა, მე „გვარით ღირსეულისა ვარ, ცა და მიწის ღვთისმსახური. ქუთაისი პატარაა ჩემთვის, აქაური სემინარია პაწაწინა“. სხვა კი მდაბიოა. ზოგნი ბატონნი ვართ, ზოგნიც გლეხები, ზოგი თქვენსავით ერთგული მწყემსი ღვთისა, სხვა კი პირფერნი, ავსულნი, ავხორცნი და დამსმენნი, საღვთო რჯულის მოღალატე და პოლიციის ფილერიც, ორი ღმერთისა და ორი ბატონის მსახური.

— ეგეთი სიბილწე ვინ ჩაგაწვეთა, ყმაწვილო?! — ჩაისისინა გველნაკბენივით მწითურა მასწავლებელმა.

— ფარისევლობის სიბილწემ! — მიასუსხა ტიტემ ბერს, — რამეთუ წმინდაა ყოველი საზრდო და მხოლოდ პურიც არ არის არსი სიცოცხლისა, არამედ სიტყვაა წმინდა კაცთა ბაგეთაგან წარმოგენილი, სოციალიზმის იდეის შეტანაც მდაბიოთა შეგნებაში უწმინდესი მოვალეობაა ყველა ჭეშმარიტი ადამის ძისა.

დობრიჩენკოს სახეზე ნათელი გადაეფინა, ახარებს, რომ ტიტე სემინარიელის გონება თავის გულში ნადებს უგებს, იახლოვებს, მაგრამ სწყინს, რომ ასე ახლოს უზის მწითურა ბერი და დაცქვეტილი ყურიც უთრთის. დობრიჩენკოს ღვთისმოსაობის ქადაგებას თითქოს სწყალობს, მაგრამ ტიტე — მოსწავლის კითხვა-პასუხს კი უწყრება. მასწავლებელს მწითური სატანა ფერდში ჩქმეტს და არ იცის რა მოელის, ხვალ რას, როგორ მიუტანს სემინარიის რექტორს — იქნებ ეგზარხოსთან დასმენის წერილსაც აფრენს და შეგირდ-მასწავლებლის საუბარს ღვთის გმობად მონათლავს. მაშინ დობრიჩენკოს სამსახურებრივი დაწინაურება კიდევ რამდენიმე წლით გადაიწევს. ტყუილად არ ირიცხება მწითური სატანა ჟანდარმერიის ფასიან ფილერად! ამან დააფიქრა, შიში ჩაისახლა! ერთხელ უკვე მთავრობისაგან შემჩნეულმა და მოსანანიებლად საქართველოში მოვლინებით ჭკუანასწავლმა თავისი პასუხი ორივე მხარეს გადაზნიქ-გადმოზნიქა:

— საზრდოც არის და მახრჩობელაც. ავი აზრი შებილწავს კაცს, გსმენიათ, რომ თქმულა: თვალი თვალისა წილ და კბილი კბილისა წილ! მე კი გეუბნებით თქვენ: წინააღმდეგობას ნუ გაუწევთ ავს; არამედ თუ ვინმემ მარჯვენა ლოყაში გაგარტყას, მეორე ლოყაც მი-

უშვირე. და რომელიც მოისურვებს შენთან გამართლებას და შენი მოსასხამის წაღებას, სამოსელიც მიეცი მას.

არა, ტიტე ამას კი არ გაჰყვება, თვალსაც ამოუგდებს და კბილსაც ჩაუმტვრევს, მეორე ლოყას კი არ მიუშვერს, სილას გააწნავს, კისერს მოუღრეცს და სხარტი სარმით ძირს დასცემს.

მაგრამ სახარება სხვა ამგვარსაც ქადაგებს:

— ვინც გაიძულოს, რომ ერთი მილი წახვიდე მასთან, წადი მასთან ორი...

არა, ტიტეს ვერც ამაზე დაიყოლებ! ნაბიჯსაც არ გადადგამს, თვითონ აიძულებს თავდახრის მაძულებელს კისრის მოხრას. თუ არადა, კარგ დღეს დააყენებს: მტერს მტრულად გაუსწორდება. სხვანაირად რატომ მოიქცევა?! ფიცის გატეხვას დასწამებენ, თუ ბოროტსა და ფარისეველს ლოყა მიუშვირა და თეთრი კბილი უჩვენა.

დობრიჩენკომ სახარების სხვა ფურცელიც გადაშალა ტიტეს გამოსაწვევად და ასაფორიაქებლად, მაგრამ ისე, რომ ბრიყვი და რეგვენი მწითურა ბერი არ მიმხვდარიყო:

— თქვენ გსმენიათ, რომ თქმულა: შეიყვარე მოყვასი შენი და შეიძულე მტერი შენი. ქრისტე კი გეუბნებათ: გიყვარდეთ თქვენი მტრები, დალოცეთ თქვენი მაწყევრები, ქველმოქმედება გაუწიეთ თქვენს მოძულეებს და ილოცეთ მათთვის, ვინც თქვენ გავიწროებთ და გდევნით.

ტიტე, ვანო, კლავდიოზა ფარისევლებსა და უსჯულოებს რისხავდნენ და ამიტომ ვერ ირწმუნებდნენ მწითურა ბერ-მასწავლებლის რჩევას.

ის კი აძალებდა:

— იწამე და ჰპოვებ ბედნიერებას!

— ვერ ვიწამებ, რაკი ეგ რწმენა არის დადასტურება იმისა, რასაც ვერ ვხედავ.

— ეგრე რამ გაგახელა? — აიფოფრა მწითურა ზედამხედველი.

— ზეცით მოცემულმა გონებამ! შენმა ურწმუნოებამ! რას გვითვალთვალებ, ბალიშებს გვირღვევ, ლეიბებს გვიტრიალებ. რას ეძებ?!..

— სატანის წიგნებს, მკრეხელურ ფურცლებს, კაცთმოძულე ქადაგებას. კლასობრივი შუღლის გამჩაღებელს ვერა ხვდები?! ზეცერის წყრომას გარიდებ და საციმბირო ბორკილებს გაცილებ. განა

ესეც უფლის მოწყალება არ არის? — მიახალა მწითურა ბერმა“ მასწავლებელმა და უფრო აწითლებულ ღაწვ-ბაგეზე წყრომის ლანდი დაიმჩნია:

— წყეული ჩაგძრომია სულში, ამოაგდე. ჩურ სატანა, ჩურ!..

— ჩურ რაღაა?!

— გრძნეულის დამშანთავი მაგია, ეშმაკის ამომხრჩობი რუსული წყევლა.

— ქართველ ეშმაკს რუსული წყევლით აშინებ?

— რუსულ ენას მიენდე, ქართული რას გამოგადგება?!

— ორივე შევირგე: ქართველმა დედობა გამიწია, რუსმა მიძმო — ჩერნიშევსკიმ.

— ჩურ, წყეულმც იყოს ღმერთისა და მეფის ბაგეთაგან, — წამოიძახა მწითურმა ბერმა, ჩერნიშევსკის გვარი რომ გაიგონა, — მართლმადიდებელნო, ერიდეთ გიაურსა და რევოლუციონერს, სატანის კუდს, შაითანის შხამს... პირველი — დედით დაყოლილი სენია, მეორე — გზადშემოყრილი ჭირი! ორივე დაშანთე, რომ შვება ჰპოვოს მიწიერმა, ავს განერიდეთ, მკრეხელს განშორდით!..

და სამივე ერთმანეთს გაშორდნენ.

დობრიჩენკო ღვთისმოშიში კაცია, ამქვეყნიურ გაჭირვებას იობივით ითმენს, მაგრამ როცა ყველაფერს ართმევენ, ღმერთსაც აუხირდება.

მწითურა ბერი ღვთისაც არის და ეშმაკისაც, ორივეს ენიძლავება — დაგიცავთო, მაგრამ ორივეს ატყუებს.

ტიტე ღვთისმსახურის ოჯახში დაიბადა, საღმთო რჯულზე აღიზარდა, მაგრამ მარქსიზმის მცნებას გაჰყვა, რაკი მთელი რუსეთი ამ ახალი სულით აივსო, სემინარიაშიც შემოანათა და...

— სამტროდ იჭყიტება, კარი გადაუკეტეთ, სემინარიელებო! გეშინოდეთ, ერიდეთ. ყური გამოიჩიჩქნეთ, განდევნეთ თქვენგან სატანის სული! — აიწყვიტა მწითურა ფარისეველმა.

— ეგრეც მოვიქცევი. გულმოდგინედ ვეწაფები კაცთმოძღვრებას! მაგრამ, თუ ცხოვრების შერყვნას არ მოეშვები, ადამის მხარეზე დავდგები! — აყვირდა ტიტე.

— მაშ გიჯობს მანამდე რიონს მისცე თავი! — შეუყვირა მწითურამ.

— რიონიც ორნაპირაა. ერთზე ავადმსახურთა ჭუჭყი ილექება, ჭაობდება, მეორეზე სიკეთის წმინდა ქვიშა ილეკება: „წყალნი წავ-

ლენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო!“ დავიცდი, დავხედავ, ფეხს მოვიკიდებ.

— ქვიშაზე?! — გადიღრიცა ტუჩი მწითურამ.

— ჭუჭყში არ ჩავდგები.

— მიწის ჭუჭყი ჭიაყელას აჩენს, რიონის იმ ნაპირზე ბიჭბუჭები ანკესზე აგებენ და თევზს იჭერენ. ქვიშიანი ნაპირი კი მხოლოდ გვალის წიწილებს მალავს, — გაიღმიჯა მწითურა.

— დამაცადე, დავაკვირდები.

— დაგაცდი, ნახე! მერე აღარ დამემდურო.

მაინც არ დააცალა სემინარიის დამთავრება. იმ საღამოსვე მის ღწმინდესობას დაუფინა ტიტეს „უწმინდური“ ნაფიქრალი და მამა-რექტორმაც არ დააყოვნა...

თავთხრობილი მეფე

მირქმის დღესასწაულზე, დილის წირვის შემდეგ, სემინარიის რექტორმა მრისხანე თვალით გადახედა მოსწავლეებს, რომლებიც დააყენა მწითურა ბერმა. რექტორი აღშფოთებული იყო.

— სირცხვილი თქვენ, სასულიერო სასწავლებლის მოწაფენო, თქვენ, მომავალო წმინდა მამებო, რომ ავ ფურცლებსა და აზრებს ავოცელებთ. ნუთუ არ იცით, ამ ფურცლების შინაარსი ჩვენი მთავრობის საწინააღმდეგოა! ურწმუნოთა ურდოები რუსეთს შემოესივნენ. უნდათ მოსპონ მართლმადიდებელთა ეკლესია, სარწმუნოება შეგვიგინონ. რევოლუციური პროკლამაციების გამავრცელებელნი იაპონიის მოსყიდული აგენტები არიან. მეფის ჩამოგდება სურთ. მაგრამ სანამ ეს ღვთის ტაძარი დგას, მანამ მეფის ტახტი არ დაემხობა, ჩვენი ნეტარხსენებული იმპერატორის წმინდა პორტრეტი ჩემი მყუდრო სენაკის კედელზე ჰკიდია და მისი დანახვა — უდიდესი ბედნიერებაა.

წირვა დასრულდა, ქადაგებაც.

ტიტემ კლავდიოსას თვალი ჩაუკრა:

— ბიჭო, უჩემოდ არ წახვიდე წირვის შემდეგ.

ერთმანეთს დაელოდნენ.

— ნეტარხსენებული ამაღამვე თავდაყირა დავკიდოთ! ნახოს, რა მოუდმივიცია მეფის ტახტი.

შუაღამეა.

ტიტე, ვანო და კლავდიოზა რექტორის კაბინეტის ფანჯარასთან დგანან.

ცივა. ქარი ზუზუნებს.

სამი შეთქმული დუდუნებს:

— მეფე ჩამოვაგდოთ!..

— ვფიცავთ!

— რომ გაგვიგონ კიდეც, არ ვინანოთ!..

— ვფიცავთ!

— ბენტიც მოვაწყოთ!

— ვფიცავთ!

— ვინც წინ გადაგვიდგება, გადავთელოთ, თავი არ დავზოგოთ!

— არა!

— ღმერთო, გვისმინე!

— ამინ!

ტიტემ ფანჯარას ახედა, მაგრამ ხელი ვერ მიაწვდინა. თითის წვერები ფანჯრის მინას წაჰკრა. ჯიბის დანა მოიმარჯვა, რაც ძალა და ღონე ჰქონდა ჩაბუქნა, ახტა, ასწვდა, მინას და დაჰკრა და...

ცა ჩამოიქცა.

— ფრთხილად, ტიტე! — წამოიძახა კლავდიოზამ და ჩაცუცქღა. ვანოც შეკრთა, დარაჯის ჯიხურისკენ გაიხედა.

ტიტემ ჩაცუცქული კლავდიოზა რომ დაინახა ახალმა ფიქრმა გაუელვა:

— ოთხზე დამიდექი! ამწიე და ავწვდები!..

კლავდიოზა მიხვდა, ტიტე მხრებზე შეისვა, წელი აითრია და კედელს შუბლით მიეყრდნო.

ტიტემ შუშაჩამტვრეულ ფანჯარაში ხელი გაჰყო. საკეტის სახელური შეაბრუნა, ორკარადვე შეაღო, რაფას დაებჯინა, კლავდიოზას მხრებსაც დაეყრდნო, მთელი ტანით აიწია და რექტორის კაბინეტში გადაეშვა.

სიბნელეში წამოდგა, შეხედა. მეფე კედლიდან გადმოსცქეროდა. ტიტე მიეპარა. მაღალზურგიანი სავარძელი საწერ მაგიდაზე შედგა, კედელთან მიაჩოჩა. მაგიდაზე ახტა და ნიკოლოზ მეორეს პირისპირ შეხედა. ტიტემ ზეთის ფერებით ნახატ ტილოს დანის წვერი ჯვარედინად დაუსვა და სურათის ჩარჩოს უკან ჩამოსაკიდი ცალმხარეზე

გადასჭრა. თოკი გასხლტა, თვითმპყრობელი მთელი ტანით წითლად გაპრიალებულ იატაკზე დაენარცხა.

— ჩუ!.. რას ხმაურობ, შინ ხომ არა ხარ! — ამოსძახა კლავდიოზამ.

— მძიმეა, ეს ვერანი! — წაიჩურჩულა ქუთაისელმა რობესპიერმა და თავმოჭრილი იმპერატორი, ოქროსჩარჩოიანად ფანჯარაში გადააყუდა.

— მოეცალეთ, არ დაგეცეთ! — გააფრთხილა ტიტემ მეგობრები, — მეფეებმა თავის მომკვდარუნება იციან.

ვანო და კლავდიოზა გვერდით გადგნენ და იმავე წუთს ნიკოლოზ მეორე, პირველად ქუთაისში, ჩამოვარდა ტახტიდან და მიწაზე გაადინა ტყაპანი.

სემინარიის ეზოში ისევე სიჩუმე ჩამოდგა. ერთი ეს იყო ჩაბნელებულ დერეფანში ჭინკები შეხრიალდნენ, რექტორის კაბინეტში უწმინდური ღამურები შეფრინდნენ, მაგრამ ღამის დარაჯი ვერაფრით ვერ გამოალვიძეს.

სამი მეგობარი სამივე მხრიდან ჩაეჭიდა მეფეს, გვამი სემინარიის ეკლესიისაკენ ხოხვა-ხოხვით მიათრიეს, გადარაზული კარი გახსნეს, მარმარილოს იატაკზე გაასრიალეს და ტრაპეზის წინ გულაღმა დააგდეს:

— ტყლაშ! — დაიჭექა კედლებმა და ამის მომსწრე ღვთიშობელმა თვალები დახუჭა, წმინდა გიორგი ზურგით შებრუნდა და იესოც ჯვარს მიეყრდნო.

მერე სამმა მეგობარმა თავი სამჯერ მოწიწებით დახარა, საყდრის კარი მორჩილებით გამოიხურეს. მეფის პორტრეტს ერთი ნაწილი ჩამოსჭრეს და ის ნაჭერი რექტორის კაბინეტში ღია ფანჯრიდან ააგდეს, მეორე ნაჭერი კი მხვრინავ დარაჯს გულზე დაადეს.

მთელი ღამე არ ეძინათ. თეთრად გაათენეს. ერთი სული ჰქონდათ, პირველებს დაენახათ სემინარიის მამა-რექტორის გადაღრეჯილი სახე.

მერე ისიც მობრძანდა, დაფეთებული დარაჯი მუხლებში ჩაუვარდა, მეფის თავის ნაკუწი მიაწოდა და გამოუტყდა — ეშმაკის ჯადომ ჩამაძინაო. სემინარიის მასწავლებლებიც დაფეთდნენ, შეძრწუნდნენ, ზოგი გულით წყრებოდა, ზოგი გულში ქილიკობდა, გულცივად არავინ რჩებოდა.

რექტორი კი იადაუოივით აიფხორა, კაბინეტში შექანდა და შიდრკა. იატაკზე დაგდებული პორტრეტის ნაკუწი ორივე ხელით მოწიწებით აიღო და მაგიდაზე დაასვენა, თითქოს პარაკლისის გადასახდელად. მერე პირჯვარი გადაისახა და სემინარიის ეკლესიისაკენ გაიქცა სულის დასამშვიდებლად, მაგრამ გულს შემოეყარა. ყელგამოჭრილი მეფე იატაკზე ეგდო, რექტორმა უფალს შეხედა, სამი თითით ისევ პირჯვარი გადაიწერა და ელდანაცემი გაშეშდა, სიტყვა ვეღარ დასძრა.

მოწაფენიც შეჰყვნენ და სასწაულის მომსწრენივით გაშეშდნენ. ტიტემ, ვანომ და კლავდიოზამაც სხვებზე ადრე პირჯვარი გადაისახეს. მწითურა ბერმა კი თვალი შეასწრო, რომ სამივე მეგობარი ცალი თითით ილოცებოდნენ. წინა დღის გულახდილი საუბარი გაახსენდა: „ადამის მხარეს დავდგებითო!“.

— ღმერთი გადაუხდის ამის ჩამდენს!—ალუღლუღდა რექტორი.

— არ აპატიებს! — აკრუსუნდა მწითურა ბერი.

— მეფეს პარაკლისს უხდიან! — აჩურჩულდნენ ღვთის მსახურნ მოსწავლეები.

ყველა დუმს. მამა-რექტორი კი ანგარიშობს:

„ამის ჩამდენი ერთი არ არის!.. უკეთესია, თუ ამ ამბავს არც გაიგებენ. არაფერიც არ მომხდარა!“.

ასეც გადაწყდა: „არაფერიც არ მომხდარა“.

მეფის ტახტიდან ჩამოგდება დამალეს, ყელის გამოჭრა არავის უხსენებია. ნაკუწებად ქცეული მალე გააქრეს. რექტორის კაბინეტში სხვა სურათი დაჰკიდეს.

გაამაურება არ არგებდათ. მეფის ყელის გამოჭრა თბილისამდე მიაღწევდა, პეტერბურგამდეც ჩააღწევდა და მაშინ რექტორმაც ქუთაისიდან კუდი უნდა ამოიძუოს. სემინარიასაც დახურავენ, მასწავლებლებს დაფანტავენ. მოწაფეებს ვინღა დარდობს? მათ თავთავიანთ სახლებსა და სოფლებში გაასახლებენ და ძიძად პოლიციას დაუყენებენ.

ეს მშობლებსაც გააბრაზებს და ისინიც აწიოკდებიან, ალაპარაკდებიან, განრისხდებიან, თავიანთი შვილების ცოდვას სემინარიის რექტორს აჰკიდებენ, მასწავლებლებს დააბრალებენ, მთელი ეს აურზაური გუბერნიას ჩირქს მოსცხებს და რექტორსა და მასწავლებლებსაც ჩინ-მედლებს ჩამოართმევენ, იქნებ სადმე გაყინული მხარის ბერებადაც გამწესონ.

მოსწავლეებისათვისაც სჯობია მომხდარი ამბავი მიიჩქმალოს. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წევრების რჩევით ქალაქის ბულვაროში მოსწავლეთა ბუნტი უნდა დაწყებულიყო და არა ღირდა, რომ წუხელ მეფის ყელის გამოჭრის ამბავი მთავრობის ყურამდე მისულიყო. არც სემინარიის მამებს ჰქონდათ სურვილი თვითონ გამოეჩხრიკათ საკუთარი თავის დასაკლავი დანა.

* * *

ტიტეს ყოჩის თავის სახელი ჰქონდა გავარდნილი სემინარიაში. დობრიჩენკო „მეამბოხე სპინოზას“ უწოდებდა, რაკიღა დაურიდებლად აყენებდა თეზისს „ღმერთი ბუნებაა?“ სულ სხვა აზრის იყო მწერალი ბერი, იგი ტიტეს კაენის სახელით ნათლავდა, სარწმუნოების სამსახურში ჩამდგარი სატანას ეკედლებაო. თვითონ ტიტე კი რობესპიერობაზე ოცნებობდა და სოციალ-დემოკრატებს ერთგულებას ეფიცებოდა. ყველას განათლებულ თავზეხელაღებულად მიიჩნევდა და სხვებს რომ რამეში ეწინააღმდეგებოდნენ, მას სიტყვის შიბრუნებასაც ვერ უბედავდნენ — რაღაც ისეთი შინაგანი ძალა ჰქონდა, რომ პირველობას ადვილად უთმობდნენ და წინამძღოლობაში არ ეურჩებოდნენ. მორჩილებას როდი მოითხოვდა, ბუნებრივად გამოსდიოდა, გაუკეთებელს აკეთებდა და შეუძლებელს სძლევდა. ამისათვის სიტყვაც უჭრიდა და მკლავიც, ფხიზელი გონება და მჩქეფარე ტემპერამენტი ჰქონდა.

ორი თებერვლის დილას ყველაზე ადრე ადგა და უმცროს-უფროს კლასებს ჩამოურბინა:

— უფროსად ვარ დანიშნული იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის მიერ, მომისმინეთ!..

ყველამ უკვე იცოდა, მაგრამ მაინც ყური ცქვიტეს.

— ქუთაისელი მოწაფეები დემონსტრაციას ვაწყობთ!

— ვიცით!

— ღალატი არ იყოს! ყველანი გავდივართ. უმცროსკლასელები წინ დადგებით, რომ უფროსკლასელებმა თვალი გადევნონ, დაგიცვათ, რასაც ჩვენ დავიძახებთ, თქვენ აიტაცეთ და აჭყივლდით!

— ავჭყივლდებით!..

— შიში არა სჭამოთ, თავი არ შეირცხვინოთ!

— მშიშრები რად გგონივართ?

— არ შეგეშინდეთ. წინ გოროდოვოები გადაგიდგებიან. ზურგიდან კაზაკები შემოგივლიან. გზაში გიმნაზიელები და რეალისტები შემოგვიერთდებიან, ქალთა ეპარქიული სასწავლებლის მოწაფეებიც გამოგყვებიან. ყველა ერთად სიმღერით ბულვარისაკენ გავწევთ. შიში არ იყოს-მეთქი! გასაგებია?! ვისაც რა კითხვა გაგიჩნდეთ, მე მითხარით, აგიხსნით!

— მე მაქვს კითხვა! — საიდანღაც გამოტყვრა მწითურა ბერი-მასწავლებელი, — მითხარი, სად მიერეკები ამ მოწაფეებს? გზაკვალს რატომ უბნევ, გამაგებინე? თუ კარგ საქმეზე მიგყავს, მეც წამოგყვებით.

მწითურა ბერ-მასწავლებელმა მოწაფეების ერთი ნაწილი აიყოლია.

— ჰო, გვითხარი, რატომ მივდივართ? — იკითხა ერთმა.

— როგორ მოვიქცეთ, თუ ბერი მასწავლებელიც წამოგყვება?!

— როგორ? — აი ასე! — და ტიტე მწითურა ბერს გრძელ წვერებში მისწვდა, შეანჯღრია, შეაჭანჭყარა და ჭიტლაყიც ამოჰკრა.

მწითურამ მოკურცხლა.

მოწაფეებმა ხარხარი გააყოლეს.

დემონსტრანტებმა სიმღერა წამოიწყეს.

ტიტემ დაიძახა:

— ძირს ომი! ღვთისმოსავებს ომი არ გვინდა!

ძირს! — აკაკანდნენ მომავალი მღვდლები, დეკანოზები და ეგზარქოსები.

— ჩვენი უფროსი ძმები და მამები მანჯურიაში არ უნდა დაიმარხონ!..

— არა! — აყვირდა ქუჩაში გამოფენილი სემინარია.

— მაშ, ძირს მეფის ტახტიც! — აუწია ხმას ტიტემ.

— ძირს! — აჰყვნენ ხმადაუყენებელი ღვთის მომავალი მსახურნი და ბულვარისაკენ გაუტიეს.

— შეჩერდით! სხვა სკოლელებსაც დავუცადოთ! — შესძახა ტიტემ.

სემინარიელთა ტალღა ადგილზე შეტოკდა.

გიმნაზიელები კი არა ჩანდნენ.

ტიტემ კლავდიოზას გადახედა და ვანოსაც უთხრა:

— გაირბინეთ, გიმნაზიელები და რეალისტები დამიჩქარეთ!

ტიტეს დესპანებმა დაძვრაც ვერ მოასწრეს, რომ ქუდმოგლეჯილი გიმნაზიელები გამოჩნდნენ. წინ აზნაური სერიოჟა ქავთარაძე

მოუძღოდა ფეხარეულ მოწაფეებს, სახეზე ალმური ასდიოდათ. ზოგს პალტოს კალთა ჩამოხეოდა, ზოგს ღილები დასწყვეტოდა, შარვალი გადახეოდათ, მუხლისთავები გადაყვლეფოდათ და კოჭლობით მოდიოდნენ. ვიღაცას კარტუზიანი ქუდი დაეკარგა, ერთი ფარაჯას აფრიალებდა დროშასავით, მეორე თითბრის აბზინდიან ქამარს ატრიალებდა შურდულივით, მესამეს კი ქამარი სულაც გასწყვეტოდა. ვიღაცას სათვალე დაეკარგა და ამხანაგს ხელჩაკიდებული ბეცად მოაბიჯებდა.

რა მოხდა? ვინ დაარბია გიმნაზიელები?

გიმნაზიის ადმინისტრაციამ გვიან შეიტყო დემონსტრაციაზე მოწაფეთა გასვლის ამბავი და უმალ ყველა კარი ჩაკეტა. გიმნაზიელები აფეთქდნენ და რაც დემონსტრაციაზე დასანთხევი პროტესტის ტემპერამენტი დაეგუბებინათ, იქვე დასცალეს: ფანჯრები ჩალეწეს, მერხები ეზოში გადაყარეს, დარაჯები ფეხქვეშ ამოიდეს და მასწავლებლებს მოულოდნელი ამბავი დაწერილად დაუტოვეს: „მოწაფეთა საქალაქო დემონსტრაციას ვუერთდებით!“

მერე გზად ბესო კვირკველიას მიერ გამოყვანილი რეალური სასწავლებლის მოწაფეებიც შემოიერთეს, ქალთა ეპარქიული სკოლის ალსაზრდელებიც გვერდში ამოიყენეს და ერთად დაიძრნენ. ახლა უკვე ყველამ ერთხმად დაიძახა:

— ძირს ომი!..

— ძირს თვითმპყრობელობა!..

— გაუმარჯოს თავისუფლებას!..

ხუთასამდე ბავშვს ორჯერ მეტი მაყურებელი აედევნა, იმათ კი იმდენივე დაფეთებული მშობელი — დედა, მამა, ბებია და ბაბუა, და-ძმა, შინა მოსამსახურე და გარე სტუმარი, ნოქარი და მედუქნე, მთავრობის მოხელე, ლაქია, საქმიანი და უსაქმური, გამვლელ-გამომვლელი, თებერვლის მზეზე ზურგის გასათბობად ბულვარში გამოსული და სეირის საყურებლად ატორღიალებული უქნარაც.

პოლიციაც აეტორღიალა, დაიბნა და დემონსტრანტებს კუდში გაჰყვა. ზოგს ეგონა — ისინიც შეუერთდნენო. მერე კაზაკების რაზმი წამოეშველათ და ყველამ ერთად წინ და უკან დაუარეს, აქეთ-იქიდან მოუარეს და მათრახების ჟაპა-ჟუპი აუყენეს.

ამასობაში ხუთასმა მოსწავლემ და ხუთჯერ მეტმა ადევნებულმა თხუთმეტი წუთის მანძილზე ხუთ-ხუთჯერ მაინც დაიძახეს — „ძირს!“ და „გაუმარჯოს!“ მერე ხმა ჩაეხლიჩათ, მუხლის თავები

მიწაზე ხოხიალით კიდევ უფრო გადაეყვლიფათ, ბღუჯა-ბღუჯა ქოჩორი ფაფახიანმა კაზაკებმაც ააგლიჯეს და ცხარე მათრახების ნაკვალევი გააყოლეს შინ.

— ბეი, ევო! — ღრიალებდნენ კაზაკები.

— ნუ პუშჩაი! — ყვიროდნენ პოლიციელები.

— ეტა ტებე! ესეც შენ! — ქვებს ესროდნენ მოსწავლენი და მუშტებს გოროზად ჰაერში ატრიალებდნენ.

გაუგონარი რამ მოხდა. თვითმპყრობელობის ქუთაისელი დამცველები არნახულს მოესწრნენ. მთელს რუსეთში პირველად მათ თავს დაატყდათ და იწვნიეს სასულიერო სემინარიელების ქუჩის დემონსტრაციის ხმა, გიმნაზიელების, რეალისტების და ქალთა ეპარქიული სასწავლებლების შეერთებული პროტესტის რისხვა. ასჯერ შეძახილი „ძირს ომი!“ იმდენჯერვე „ძირს თვითმპყრობელობა!“ უფრო მეტჯერ მოწაფეთა ზურგზე მათრახების ტყლაშატყლუში და აქნეული ხმლების შხუილი.

მერე ყველაფერი მორჩა. ქუთაისის ბულვარი დაცარიელდა. პოლიციელები მუნდირებს იბერტყავდნენ, კაზაკები ყაზარმაში ბრუნდებოდნენ და ოფლიან ცხენებს შვრიას უყრიდნენ. ჟანდარმერიის უფროსი ულვაშს იგრეხდა და თბილისში მეფის ნაცვალ ვორონცოვ-დაშკოვთან წარსადგენ გამარჯვების რელაციის ტექსტს ადგენდა. გამვლელ-გამომვლელი ქუთაისელები კი სასულიერო სემინარიის, გიმნაზიის, რეალური და ეპარქიული სასწავლებლების ფანჯრებს შიშით უყურებდნენ და ნაცემ-ნაბეგვი მოწაფეების მშობლებიც ვიშვიშებდნენ:

— ეს რა მეხი დაგვატეხეთ, ბოშო?!

სასწავლებლის ხელმძღვანელობაც თავს იმტვრევდა:

— რა გვეშველება, ვაი თუ ამიერიდან ცუდი თვალით შემოგვხედეს.

ქუთაისის მაზრის ბოქაული მაგიდაზე ხელს ურტყამდა და იმ გამოტვინებულ ფილერებზე წყრებოდა:

— როგორ გამოეპარათ ცინგლიანი გოგო-ბიჭების ბუნტი? რაში იღებს ამოდენა ფულს აგენტურა!

ყველა გაკვირვებულია გაუგონარი ამბით.

მართალია, მამებსა და პაპებს, გაგონილი აქვთ ხუთიოდე წლის წინათ თბილისური პირველმაისობის ამბავი, მაგრამ ეს მათი შვილებისათვის ფრიად შორეულია, სადღაც მახათას მთის გადაღმა,

მლაშე ტბის მიდამოებში საპიკნიკოდ გასულმა მუშებმა პირველი წითელი დროშა ააფრიალეს და რას გაუგებდნენ საზეიმოდ მორთულ-მოკაზმულ მუშებს გულში რა ედოთ?! შარშანწინ ბათუმელებმაც მოაწყეს ქუჩის დემონსტრაცია, მაგრამ აქაც მოზრდილების ხელი ერია, იმერეთ-სამეგრელოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტი მეთაურობდა და ისევ იმ თბილისელ კობას აბრალებდნენ. ახლა კობა ქუთაისში ჩამოსულა და შეხეთ, რა დააწია?!

მაგრამ თუ ქუთათური ბავშვები — სემინარიელები, გიმნაზიელები და ეპარქიული სასწავლებლის კდემამოსილი ასულები მეფის ტახტს უდიერად წიხლს ჰკრავდნენ — ეს კი ვეღარ წარმოედგინათ.

— თუმცა, რას გაუგებ კაცის გულს! — და თბილისის სასულიერო სემინარიის მამა-რექტორის ჩუდეცკის ბედიც გაიხსენეს.

რას ფიქრობდა, რას აპირებდა ქუთაისის ახალგაზრდობა?

პოლიციის სიბრიყვემ და ჟანდარმერიის რეგვენობამ გაახელა, კაზაკების მათრახების დარტყმამ და გოროდოვოების ერთმა დასტვენამ მებრძოლთა ასი ჭუპრი გააჩინა და თითო კონდახის დარტყმამ ათიათასთა გონება მიმართა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მითვლემილები გამოაფხიზლა და ისეთი ძალა მისცა, რასაც წინ ვეღარ დაუდგებოდა.

ყველა გაკვირდა?

გაკვირვებამ შიშიც გააჩინა.

შიშმა კი ყველაზე მეტად სემინარიის რექტორი აიტანა, ააცახცახა და დაადნო. მოულოდნელი ამბებით შეშინებულმა თავისიანები მოიხმო და ურჯულოებსა და გიაურებზე რჩევა ჰკითხა:

— რა გვეშველება? რა გზას დავადგეთ? როგორ ავლაგმოთ ეს წყეულები?

— ჭკუით გადავჭრათ! — დაიჭყივლა პირველმა იმ მწითურა ბერმა.

— რა გვიჯობს, დავიჯეროთ რაც მოხდა, თუ სატანა ვეძიოთ?!

— სატანა მოვნახოთ, ორთითზე ავაგოთ, კუპრში ჩავაგდოთ, ცეცხლი შემოვუნოოთ, დავწვათ და ფერფლად ვაქციოთ! — ჩასცრეს მწითურა ბერის ყვითელმა კბილებმა.

— მართალს ამბობს, — ჯოჯოხეთის ტაფაზე დავაგდოთ!

— სატანას რომ მაინც ვერ მივაგნოთ? მივაკვლიოთ და ჩვენი აღზრდილ-აღმზრდელები აღმოჩნდნენ, მაშინ რაღას შვრებით, რო-

გორ მოიქცევით, თქვენო მაღალკურთხევად?! — შეუცურა გულში ეჭვის ჭიაყელა დობრიჩენკომ.

სემინარიის პედაგოგიურმა საბჭომ თავი ჩალუნა და დიდხანს თვალი ვეღარ გაუსწორა თვითონაც თვალებგაცეცებულ მამა-რექტორს. მერე მისმა მაღალკურთხევამ გაგონილი, მოსმენილი, ნარჩევი და ნაგულისხმევი საკუთარი ადლით გაზომა, ასწონა და უფრო საიმედო მოკლე გზა მონახა:

— ვეძებოთ სატანა, ღვთის მტერი!

მერე ფრთხილად გადააბა:

— ვუთვალთვალოთ, მივაგნოთ და გავრიცხოთ! მანამდე კი გავუუჩდეთ. არაფერიც არ მომხდარა! ბოლოს ისიც გამოსარკვევია, ვისკენ მიდის გზა? იქნებ სულაც საერო სასწავლებლების მოსწავლენი არიან ჩვენი ღვთის კრავების წამცდენები, — მეფის ყელის გამომღადვრელნი, შავი ჭირისა და ქოლერის შემომტანნი. თუ ასეა, გიმნაზიამ, რეალურმა და ქალთა ეპარქიული სასწავლებლის უფროსობამ გასცეს პასუხი იმის უმაღლესობას!..

სემინარიის კრებულებამ ეს დასკვნა მოიწონა და დამშვიდდა. ახლა უკვე მათ ღვთიურ საკანს სატანას ნაცოდვილარი ვეღარას დააკლებს, დაუფარავი მარჯვედ დაფარეს და დოღრიალა სემინარიელები კიდევ უფრო ააყვირეს.

ოპერატორის გატაცება

მამა-რექტორის გამოწვდილ ჯვარს ტიტეც ემთხვია და თავდახრით გამობრუნებულმა კლავდიოზას ჩასჩურჩულა:

— წირვის შემდეგ მოვილაპარაკოთ!

მოილაპარაკეს.

— ალბათ, ეცდებიან სემინარიის გადარჩენას? — გააფრთხილა მეგობარი ტიტემ.

კლავდიოზამ თავი გააქნია:

— დახურავენ!..

— უჯამაგიროდ რატომ დარჩებიან? — გაიკვირვა ვანომ.

— სხვა ქალაქში გაამწესებენ. ძაღლი ძაღლის ტყავს დახევს თუ?

— რექტორი პილატესავით ხელს დაიბანს. მოსწავლეებმა ვიკითხოთ, გაგვყრიან, — ხელი ჩაიქნია ვანომ.

— ისე გავუხადოთ საქმე, რომ თვითონ დახურონ!

— როგორ, რა გზით?!

— ამისთვის დაგიძახეთ — თქვა ტიტემ.

იფიქრეს, იფიქრეს და მიაგნეს. აღარა აქვს საზღვარი თვით მამა-რექტორისა და მწითურა ბერის ცბიერებას, ფარისევლობას. სემინარიის შეგირდებმაც გადაწყვიტეს სამაგიერო გადაუხადონ, მოყვასებად აღსაზრდელებს დღენიადაგ აბოროტებენ, გლეხსა და აზნაურსაც კი დასცინიან, მუჯლუგუნებს სთავაზობენ, მუდრეგსა და „ტუზემეცს“ უწოდებენ, გიაურსა და ანტიქრისტეს არქმევენ, ქართულ ენას ძაღლის ყეფად სთვლიან. ასეთი დამოკიდებულებით ტიტე, ვანო და კლავდიოზა მეფის წყობილების მოძულეებად გადააქციეს და ისინიც სამაგიეროს გადაუხდიან, ღვთის სავანეში აფრენილი მართველები სემინარიის ავკაც მმართველებს ერთს ისეთ ოინს უზამენ, რომ მათი თავლაფდასხმის ამბავი მეფის ყურამდეც მივიდეს. ქუთაისის სასულიერო სემინარიის რექტორის ბედს ვინღა იდარდებს, თვით თბილისის ეგზარქოსიც შეირისხება, საქართველოში აღარ დაედგომება. იმის მიტრას სატანას ბეწვიანი კუდი გაჰკრავს და მთელი იმპერიის სასაცილოდ გახდის.

სთქვეს და ბჭობას მორჩნენ.

მაგრამ მამა-რექტორიც ანგარიშობდა, სწონიდა, ცხრაჯერ მოზომა და ერთხელ მოსჭრა. მეორე დღის დილის წირვის შემდეგ ისევ ქადაგად დაეცა, პირი დაიშაქრა, სემინარიის მოსწავლეებს ღვთისმოსაობის წმინდა მცნება შეახსენა და მამაშვილურად აკურთხა:

— მისმინეთ, შვილებო! ღმერთის მომავალნო მსახურნო, სატანას ჩაუსაფრდით, ყველამ ერთად გადაუკეტეთ გზა-კვალი, გულში არ შემოუშვათ.

— განვედ სატანავ, განვედ! — აკივლდა მწითურა ბერი, მაგრამ ტიტეს კუშტ გამოხედვას შეეჯახა და უფრო მეტად აწითლდა. მოსწავლეებიც აილეწნენ, მშვიდი ფერი აღარ ედოთ სახეზე. მიხვდნენ, რასაც გულისხმობდა რექტორი, მას გადაეწყვიტა შეგირდები ერთმანეთს გადაჰკიდოს, მაბეზღრებად აქციოს. ეს უფრო ემწარათ, ვინემ ბულვარში დატრიალებული კაზაკების მათრახები.

დეკანოზი-რექტორის ნათქვამს რომ მოუსმინეს, მისი დაშაქრული სიტყვის შხამი მეორე დღესვე იწვნიეს: ლოგინები უფრო „შლილ-აბერტყილი დახვდათ, უჯრა გამოწეულ-გადმოპირქვავებუ-

ლი, ყველაფერი წაეღოთ, წიგნები, რვეულები, უბრალო ჩანაწერებიც კი.

მამა-რექტორმა სადილათ წირვის შემდეგ საგანგებო ქადაგება წაუკითხა შეგირდებს, წარბშეჭმუხნით ღაღადებდა, სწყევლიდა ვიღაც საეჭვო პირთ, ვინც თურმე მის აღსაზრდელებს სწორ გზიდან გადაცდენას უპირებს. რექტორი ყვითელა თვალებით საავკაცოს იქ ეძებდა, სადაც მოსწავლენი სასიკეთოს ინახავდნენ, მაგრამ რაკი თანაგრძნობას ვერ იწვევდა, ცხვირი გამხმარი ჩირივით ეჭმუხნებოდა, გრძელ ფრჩხილება თითებს გულზე დაკიდებულ პრიალა ჯვარს უჭერდა და მოწაფეებს ერთმანეთის ჩასაფრება-დასმენისაკენ მოუწოდებდა — უფლის ნება ასეთიაო.

ტიტე, კლავდიოზა და ვანო ყველაფერს მიუხვდნენ და გადაწყვიტეს ცბიერ რექტორს თავბედი აწყევლინონ. იმავე საღამოს, როცა ყველას დაეძინა, სამივენი ისევ მის კაბინეტს ეწვივნენ.

ვანო გუშაგად დადგა. მას ევალებოდა უმალ დაესტვინა, თუ რაიმე სახიფათოს შენიშნავდა. კლავდიოზა უთქმელად დაიხარა, ტიტე მხრებზე შეისვა და კრუსუნ-კრუსუნით წამოდგა. მერე ფანჯრის მინა ჩაიმსხვრა და ტიტე ჩაბნელებულ კაბინეტში გადახტა.

რექტორის საწერ მაგიდასთან, ძველ ადგილას ახლა ახალი, შემინული პორტრეტი ეკიდა. ტიტემ ფრთხილად ჩამოხსნა, კლავდიოზას კიდევ უფრო ფრთხილად ჩააწოდა და დააყოლა:

— შუშა არ გაგიტყდეს!

თვითონაც ჩამოხტა, ნახშირტუტა შავი საღებავით პორტრეტს ვებერთელა ორი ნული მიახატა და ყრუდ განცალკევებულ სენაკში შეასვენეს.

დილა ქუთაისში მშვიდად გათენდა. სემინარიაში კი მიწა იძრა.

მეფის პორტრეტის გატაცებამ რექტორი გააცოფა, დაჭრილი დათვივით ბღაოდა და აქეთ-იქით აწყდებოდა.

მერე გულმა ავი უგრძნო და სემინარიის სამლოცველოსაკენ გაქანდა. მაგრამ გულს მოეშვა, იქ საეჭვო ვეღარაფერი შენიშნა.

შემდეგ სხვა ბერ-ზედამხედველებიც სხვადასხვა ალაგას გაგზავნ-გამოგზავნა, ყველა კლასი და ოთახი გადმოაბრუნებინა, ყველას უჯრა გადმოაპირქვავებინა, ლოგინები ააშლევინა, მთელი სემინარია ყირაზე დააყენა, მაგრამ მისი უდიდებულესობის კვალს მაინც ვერ მიაგნო.

პოლოს ისევ მწითურა ბერმა უშველა. მუხლებში ჩაუვარდა და შიშნარევი სიხარულით ალუღლუღდა:

— იქ არის!..

— სად?! — და ფეხსაცმელის პრიალა წვერი გახარებით წაჰკრა:

— აი იქ!

— გამიძეხი!

მწითურა გაუძღვა, მაგრამ ფეხი უკან რჩებოდა, ანაფორის კალთები არც კი ერხეოდა, რაც უფრო უახლოვდებოდა იმ ადგილს, ნაბიჯს უფრო ანელებდა.

მამა-რექტორი უკან მისდევდა, ბერ-ზედამხედველებიც მიჰყვებოდნენ და, ცერებზე შემდგარნი, გატაცებულ იმპერატორს ალყას არტყამდნენ.

მწითურა ბერი რექტორის საპირფარეშოს კართან შედგა.

მამა-დეკანოზი შეცბა.

წმინდა ამალა შეტოკდა:

— რა სატანამ მოგაჩვენა ეს ადგილი?!

— უფალმა მომაგნებინა. თქვენდამი ჩემმა ერთგულებამ, კურთხეულო! იქ არის მისი უდიდებულესობა! შიგ...

რექტორმა მომყოლ ამალას გოროზად გადახედა: მაინც იხტიბარი არ გაიტეხა და კარი გულადად შეაღო, შევიდა და ელდანაცემივით შედგა. მისი პირადი საპირფარეშოს კედლის თავში ნიკოლოზ მეორე თავდაყირა ეკიდა.

რექტორს ამალაც შეჰყვა და ისინიც გაშრნენ. ხმა ვერ ამოიღეს. რექტორმა გახამებული თეთრი ხელსახოცი ცხვირზე მიიდო, მაგრამ ამან უფრო შეაშინა და უცებ შუბლზე მოდენილი ცივი ოფლი მოიწმინდა.

იმპერატორი ქვევიდან ზევით იხედებოდა ნახშირის მურით მოხატული ის ორი ნოლი ისე ასაწყლებდა, თითქოს ქუთაისის ციხის რკინებიან ფანჯრიდან ქურდბაცაცა იჭყიტებაო.

მამა-რექტორი ისევ მოკრძალებით შეტრიალდა მეფისაკენ და თანაგრძნობით შეხედა.

დეკანოზის ამალამ თვალებზე ხელი აიფარა.

მეფე იმათაც მწყრალად დაჰყურებდა.

რექტორი შეშინდა, შეირხა და ჩამოხრჩობილივით ამოიხრიალა:

— ჩამოხსენით, მისი უდიდებულესობა!..

— კიბე! — დაიძახა მწითურა ბერმა.

მაგრამ კიბეს მოძტაიიც მოჰყვებოდა, რექტორის სანდო აძალას კარის კაციც შეუერთდებოდა და ნანახს გარეთ გაიტანდა. ისევ საკუთარი ძალებით სცადეს შეწვდომა. ერთმანეთს გადახედეს და ყმაწვილკაცობა გაიხსენეს. ორმა ბერმა — ზედამხედველმა ხელები გადაიჯვარედინეს, ჩაიჩოქეს, მწითურა ბერი შეიყენეს, ასწიეს და ყირამალა დაკიდებულ მეფის სურათს მიაწვდინეს.

— ფრთხილად, შუშა არ გაგიტყდეს! — წამოიძახა მამა-რექტორმა. მერე ჯიბიდან ისევ ის გახამებული ხელსახოცი ამოიღო და მეფის სახეს სათვალეებივით მიხატული ვეებერთელა ორი ნოლი მოუშალა, მოუწმინდა. იმპერატორი ისევ თავის თავს დაამზგავსა.

როცა მურმოწმენდილი შუშა კარგად გააპრიალა, ვითარცა საკუთარი მამის სული, ორივე ხელზე დაისვენა და საზეიმო იერით საპირფარეშოდან გამოვიდა, გრძელ დერეფანში ამაყად გააბიჯა და ამალაც თავდახრილი გაჰყვა. ყველანი რექტორის კაბინეტში შევიდნენ და ტყვეობიდან გამოტაცებული მისი უდიდებულესობა სულის მოსათქმელად საწერ მაგიდაზე დაასვენეს.

მერე ისევ იმ ორმა ბერმა — ზედამხედველმა ისევ ხელები გადაიჯვარედინეს, ჩაიჩოქეს, მწითურა ბერი შეიყენეს და ძველ ადგილას ჩარჭობილ რკინის კაუჭზე იმპერატორის პორტრეტი ისევ ისე დაჰკიდეს.

ყველამ მშვიდად ამოისუნთქა. ზოგი რექტორს ულოცავდა, ერთმა კი ეჭვი გამოთქვა:

— ამ ამბავს ცუდი სუნი უდის!

ვიღაცამ რექტორს ყურში ჩააწვეთა:

— ღმერთო, შემცოდე, მაგრამ თქვენს საპირფარეშოში რატომ შეიხედა?!

ჩურჩულს ყური მოჰკრეს და ხმამაღლა თქვეს:

— მპოვნელს ჯილდო ერგება!..

მწითურა ბერს გაგონილი ეამა და წინ წამოდგა.

— მზად ვარ, კვლავაც გემსახუროთ, კურთხეულო...

— კვლავაც?! — არ ეამა რექტორს.

— როგორც ყოველთვის! — თავი დაუხარა მწითურამ.

— როგორც ყოველთვის?! — გულს მოხვდა მოწყალე რექტორს

— აკი ვთქვი, ამ ამბავს ცუდი სუნი უდის-მეთქი! — ჩასჩურჩულა ისევ იმან და რექტორსაც გაახსენდა დობრიჩენკოს ნათქვამი:

„ჩვენი აღზრდილი ან აღმზრდელი რომ აღმოჩნდეს, მაშინ რაღას შვრებით, როგორ მოვიქცეთ?“

„სატანა ვეძიოთ!“ — თქვა რექტორმა და ისევ დასხდნენ საფიქრად.

იმსჯელეს და თავი დაიჯერეს: „თუ ამჯერადაც საქვეყნოდ გახმაურებას გადავურჩით, მერე ფიქრი აღარ არის! უფრო მეტსა და საძაგელს რაღას მოიტანს ეშმაკი თუ ბელზებელი?“.

მაინც გახმაურდა.

თბილისის ეგზარქოსმა პავლემ რისხვით შემოუთვალა:

„სემინარიის რექტორობა დასტოვეთ უნიათობისა გამო. ანდა თვითეული კლასიდან ცამეტ-ცამეტი სემინარიელი გარიცხეთ დანარჩენების ჭკუის სასწავლებლად!“

რექტორმა ეს ბრძანება უმალ შეასრულა. კარგი ხელწერის მქონე კანცელარიის ბერს დააწერინა შეტყობინებები და დაუგზავნა სატანური რიცხვით დაღდადებულ ცამეტ-ცამეტ მოსწავლეთა მშობლებს:

„თქვენს შვილს შეუძლია ამ ქაღალდის მიღების შემდეგ სემინარიაში აღარ გამოცხადდეს!“.

მერე მწითურა ბერმა-მასწავლებელმაც მიიღო ეგზარქოსის კანცელარიიდან ლამაზი ხელით დაწერილი შეტყობინება, რაიც ცოდვის მოვლინებად ეცა:

„ირკუტსკის სასულიერო სასწავლებელში გამოცხადდით ღვთისმოსაობის გასაგრძელებლად“.

სატანას მიაგნეს, ცხელი ტაფის მაგივრად ცივზე დასვეს. ამან ქუთაისელი სემინარიელები გაათბო, რექტორს კი გააცივა. გული მაინც იმით გაიკეთა, რომ სატანა იმ ნაკრძალ ადგილს ვეღარ მიაგნებინებდა.

ტიტეს, ვანოსა და კლავდიოზას იმ ცამეტ-ცამეტიანებში მიუჩინეს მოთავეების ადგილი და მგლის ბილეთით გარიცხეს.

მეორე დღეს სამი მეგობარი ისევ ერთად გავიდა ქუთაისის ბულვარში და მოულოდნელად დობრიჩენკოს შეეფეთნენ. მასწავლებელმა მათი დარცხვენილი სახეები დაინახა და თვითონ გასწია მათკენ:

— ხომ არ ნანობთ გარიცხვას?

სამთა აზრი ერთმა გაანდო:

— სანანებელი არაფერი გვაქვს!..

დობრიჩენკოს თვალები გაუბრწყინდა.

— დიახ, სანანებელი არაფერია! მხოლოდ ეცადეთ, თავი არ გაიფუჭოთ, ნაძირალებად არ იქცეთ, განაგრძეთ სწავლა და ბრძოლა. იფიქრეთ, რა აკეთოთ? ხალხის სასარგებლო ადამიანები გამოდით!..

მერე სამივეს მოეფერა, მხარზე ხელი დაჰკრა და ხელისჩამორთმევით გამოეშვიდობა.

სემინარიის მასწავლებელი იმ სამ გარიცხულთ და თანამიმყოლებს გულში ამხნევებდა და მათე მოციქულის სიტყვებით ლოცავდა:

„— ნეტარ არიან სიმართლისათვის დამშეულნი და მწყურვალნი. ნეტარ არიან მოწყალენი, ვინაიდან ისინი შეწყალებულ იქნებიან. ნეტარ არიან გულითა სუფთანი, მშვიდობის მოქმედნი, სიმართლისათვის დევნილნი. ნეტარ ხართ თქვენ, თუ გლანძღავენ, გდევნიან და ყოველნაირად ბოროტს ამბობენ თქვენზე. გიხაროდეთ და მხიარულობდეთ, ვინაიდან დიდია თქვენი საზღაური. ასევე დევნიდნენ, რომლებიც თქვენზე ადრე იყვნენ. თქვენ ხართ ვიწის მარილი, მსოფლიოს სინათლე. სანათს რომ აანთებენ, არ დგამენ ჭურჭლის ქვეშ, არამედ სალამპრეზე, და ყველას უნათებს სახლში. ასევე ანათებდეს თქვენი სინათლე. ადამიანთა წინაშე, რათა ისინი ხედავდნენ თქვენს კეთილ საქმეებს. ვინაიდან არაფერი მოგვიტანია წუთისოფლად და ცხადია, რომ ვერც ვერაფერს წავიღებთ მისგან“.

სამი მეგობარი სათნოებით გაჰყურებდა სემინარიისაკენ მიმავალ მასწავლებელს.

იმ დღეს პირველად იგრძნეს, რომ მარტონი არ არიან. სასულიერო სემინარიის საღვთო რჯულის მასწავლებელმაც კი ბრძოლის გზა დაულოცა, მაშასადამე მართალი არიან!

რუსეთიდან ჩამოსული დობრიჩენკო თავჩაქინდრული მიაბიჯებს ქუთაისის მოკლე ქუჩაზე.

მისი სამი მოწაფე კი თავაღერებით გასწევს რუსეთის რევოლუციის თვალმიუწვდენ ვიწროებში.

ღვთისმოსავი იოსები

იმავ ხანებში თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიის მოსწავლეთა მღელვარებამ ხალხშიც გააღწია.

მშობლები შეკრთნენ, შეშინდნენ, სილარიბე აძალებდათ თავიანთ შვილები გაეგზავნათ ქალაქად მისაღები გამოცდების დასაჭერად,

და ისინიც ბედს უმადლოდნენ, თუ ჩაირიცხებოდნენ, იქნებ ხაზინის ხარჯზეც.

უმეტესობის ნატვრა იყო ღვთისმოსაობა, — სემინარიას დაამთავრებდნენ და სოფელს დაუბრუნდებოდნენ. ვინც კი ძალზე ხელმოკლე ოჯახიდან არ იყო, რუსეთის გზასაც გაუდგებოდნენ ან ევროპის რომელიმე უნივერსიტეტში ჩაერიცხებოდნენ განათლებულ კაცად დაბრუნების იმედით.

მაშინ შორეული ოცნება იყო საკუთარი ეროვნული უნივერსიტეტის დაარსება. ქართველი ერისკაცების საამისო გარჯა მხოლოდ რამდენიმე ათეული წლის შემდეგ დაგვირგვინდა ბედნიერად.

ახლა კი ღმერთს მადლობას სწირავდნენ, რომ სასულიერო სემინარიის შენობა თბილისში აუგეს. ქართულ ეკლესიას წართმეული ჰქონდა ავტოკეფალია. ამიტომ მომავალი მრევლის მსახურებს თვითმპყრობელობის ერთგულ დამცველებად წვრთნიდნენ. მეფის ნაცვალისა და ეგზარქოსის ადმინისტრაციული უწყებები სახაზინო მორჩილების მძიმე უღელს ადგამდნენ, მაგრამ თავიანთდა უნებურად ღვთისმოსაობის მოწინააღმდეგეებსაც ზრდიდნენ, მომავალ ნღვდელ-ბერების სულში ფარისევლურ ჩვევებს სთესავდნენ, ცდილობდნენ აღმოეფხვრათ ნაციონალური თვითშეგნება, მოეწამლათ ჭაბუკის სული, მაგრამ ხშირად მათი ეს მცდელობა საწინააღმდეგო შედეგს იძლეოდა. შეგირდები თვითმპყრობელობასთან ბრძოლის გზას ადგებოდნენ, არაერთი ჭაბუკი ყრუდ და ბრმად ჩამოვიდა თბილისში, მაგრამ გონებაგახსნილ რევოლუციონერად გავიდა ანდა გააბრძანეს სემინარიიდან: ვერ გაუძლეს ჭაბუკებმა დამამცირებელ თვალთვალსა და იეზუიტურ დევნას, იმათ კი, ვინც მუშა-ხელოსნიბთან ნაცნობობას გააბამდა, ქართულ წერა-კითხვის საზოგადოებასთან საქველმოქმედო მოღვაწეობის გზას დაიდებდა. თუნდაც ილია ჭავჭავაძის გაზეთ „ივერიის“ კარს შეაღებდა, — ყველას მონარქიის მოწინააღმდეგედ ნათლავდნენ სემინარიის კარს უკეტავდნენ, სწავლას ატოვებინებდნენ.

ასეთი ბედი ხვდა წილად ჯუღაშვილს, კეცხოველს, ჯიბლაძეს, ცხაკაიას, ჩიტაძეს, იოსებ ლაღიაშვილსაც კი, რომელიც ობოლ ბიჭად შევიდა სასულიერო სემინარიაში და დაობლებულ რევოლუციონერადვე დატოვა მისი ჩაღამებული კედლები.

გოლა ჩიტაძე და იოსებ ლაღიაშვილი ბევრით ერჩეოდნენ დანარჩენ სემინარიელებში და ერთმანეთისაგანაც. ორივემ გორის სა-

სულიერო სასწავლებელი დაამთავრა, მაგრამ თან სხვადასხვაგვარი რწმენა გამოიყოლა.

გოლა გორშივე უხირდებოდა მეფის მოხელეებს და სარჩოლო რქები ნაადრევად ეზრდებოდა. იოსები კი თავიდანვე ღმერთმოშიშად იზრდებოდა და საკურთხეველთან საცეცხლურის რწევა უფრო ემარჯვებოდა, ვიდრე თვითნაკეთი ყუმბარის ტყორცნა; ფელიაბოველთა თავგანწირვასა და ულიანოვის ბუნტისთავობას გულში იწონებდა, მაგრამ ეგ იყო და ეგ, თქმით არას ამბობდა: არკი იცოდა, რომ ცხოვრება თავად დააძახებინებდა ხმამაღლა იმას, რაც მანამდე გულში ყუჩად ულვივოდა. ორივეს საერთო კი ბევრი რამ ჰქონდა: რუსეთის სამოციანელთა წიგნებს ეტანებოდნენ, მოწინავე აზრებს ღრუბელივით იწოვდნენ და სხვებსაც უზიარებდნენ. არქიელის გორაზე მოსახლე მუშაკაცის მიხა ჩოდრიშვილის საიდუმლო წრის შეკრებასაც ესწრებოდნენ და მუშებს ძმობის ფიცით ეკვრებოდნენ. იქ მიღებულ ცოდნისა და გამოცდილების წყალობით კიდევ უფრო თამამად აუმხედრდნენ სემინარიაში გამეფებულ ბოროტებას, თანატოლებიც თანამებრძოლებად იხმეს და გვერდით ამოიყენეს.

ბრძოლას გოლა ჩიტაძე მეთაურობდა, უხაროდა, რომ ფარულ ბრძოლაში მარტო არა რჩებოდა. ათიდან ერთიც რომ ბოლომდე გაჰყოლოდა, სიმართლის გზაზე გავიდოდნენ და ხელმწიფის კაცებს თავნებობას მოაშლევინებდნენ.

მას მხარში ედგნენ სემინარიელებიც, ჩია ტანის ლომკაცაშვილი, მხარბეჭიანი მაღლაკელიძე, აზნაური უზნაძე, სხარტი ფარულავა, ენაკვიმატი რამიშვილი, შფოთიანი შამათავა, დინჯი ჩიკვილაძე და მოლექსე დედაბრიშვილი.

გორის სასულიერო სასწავლებლიდან სამოწყალოდ ჩამოყვანილი იოსებ ლაღიაშვილი კი სახარების მცნებებს ვერა სთმობდა: „თუ მარცხენა ყბაში გაგილაწუნეს, მარჯვენა ლოყაც მიუშვირეო“... ისიც სანდოდ უშვერდა ყველას, — მოსწავლეთაც და ბერ-ზედამხედველებსაც, თუმცა ისეთი ჯანის პატრონი იყო, რომ ზაქსაც წამოაქცევდა.

იმ დღეს გოლამ თვალი მოჰკრა იოსების დღიურში ჩაწერილს:

„...ოო, ეს ჩვენი გოლა ჩიტაძე ძალიან ჭკვიანი და თავისი სიტყვის ბატონია. რასაც გულში გაიტარებს, იმას კიდეც აისრულებს. ყოჩაღ ბიჭო!.. ძლიერი ნებისყოფა ყველაფერს გადალახავს. მეც მინდა ფოლადად ვიქცე... იოსები“.

უფრო გვიან კი სხვაც ჩაწერა თავის დღიურში: „აჰა, ღმერთო, დღეს თითქოს ჩემი ჯიბრით ქვეყანა ატირებულა. ივაგლახეთ, იტირეთ! ახლა ერთ სატირალს მეც გავამზადებ და რაც მომივა, მომიკიდეს!“.

მანამდე კი ყველას ეჩაგვრინებოდა, ღვთისმოსაობით გულს უბედურად ითუთქავდა, თვითონ, რომ ჯავრს ვერ იყრიდა, სხვისი გამბედაობით ხარობდა და მათი თავგამეტებით ტკბებოდა.

გოლა ჩიტაძე კი ჯიქურ მიდიოდა, თავს არავის უხრიდა.

მუშა-ხელოსანთა წრის მამასახლისი მიხა ჩოდრიშვილი კი საბრძოლველად ზრდიდა სემინარიელებს. თავის უბანში ვაჟკაცის სახელიც ჰქონდა დავარდნილი და საქმის ცოდნაშიც ტოლს არავის უდებდა. არც სწავლულებს ერიდებოდა, პირში ეუბნებოდა:

„ნასწავლი ხალხი ცარიელი სიტყვა ხართ! თქვენ, შვილოსან, ვერც ჩინოვნიკობა დაგითმიათ და ვითომც ხალხის გულშემატკივრობასაც იჩემებთ. მაგრამ რაკი ეს ორი საქმე ერთად ვერ მოხერხდება, რასაკვირველია, კარიერა ქვეყანას გირჩევნიათ“.

მუშის ეს ნათქვამი გოლას გულს მოედო, ჩაუფიქრდა და გადაწყვიტა სწავლა მუშათა წრეში განეგრძო, თვითგანვითარებას მოჰკიდებოდა. მთელი ძალღონე რევოლუციური ბრძოლისათვის მოეხმარებინა, გრძნობდა, რომ თავის დაუმორჩილებით სასულიერო სემინარიას მალე დაატოვებინებდნენ. დრო დაუდგებოდა და სწავლას რუსეთშიც გააგრძელებდა.

ლალიაშვილმაც მოიწონა გოლას აზრი, თვითონაც მოიწადინა ამ გზას გაჰყოლოდა, მაგრამ სემინარიის ზედამხედველობა არა თვლემდა, ფხიზლად უთვალთვალებდა, საძინებელ პალატებს ჩხრეკდა და მოსწავლეებიც ნებადაურთველ წიგნებს გულდასმით მალავდნენ, რომ სულიერი საზრდო არ დალეოდათ.

გოლა ჩიტაძე ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მაღაზიის ხშირი სტუმარი იყო; გოლას, პატარა ოთახში, ანჩისხატის ეკლესიის გვერდით რომ ქირაობდა, დროდადრო შეივლიდნენ ხოლმე მუშები, სემინარიელები, გიმნაზიელები, ხან კი სამხედრო საიუნკერო სასწავლებლის აღსაზრდელებიც. თითოეულს აქედან მიჰქონდა საიდუმლოდ საკითხავი, უცხოეთში დაბეჭდილი „კოლოკოლის“ ნომრები, გოლას მიერ ნაშოვნი აკრძალული წიგნები.

იმ დღეს იოსებმაც შეუარა.

— გიო ავად არის, იცი?

— ვიცი. ქარები აწუხებს, სახსრების ტეხვა დასჩემდა, დილის წირვას ვეღარ უძლებს. მუხლები ეკეცება. ის წყეული ზედამხედველი სტეპანოვი კი გველივით უსისინებს, — „არ გაინძრე, წელში გაიმართე“ ლაზარეთში დაწვა, მიხედვა უნდა, გოლა! — შეახსენა იოსებმა.

გოლამაც შეიცოდა მეგობარი.

— სულიერი წამალი არგებს. ეს სამი წიგნი წაიღე საკითხავად. ერთი თავად დაიტოვე სამი დღით — „ლუი-ბლანის წერილები“, მეორე — ჩემი ნათარგმნია, ჰექტოგრაფზე ჩამოვბეჭდეთ მე და ჩემმა ძმამ შიომ, ზღაპარია, „ოთხი ძმის ისტორია“ ჰქვია. ჩოდრიშვილს გაუტანე არქიელის გორაზე, მუშა-ხელოსნებს წააკითხოს! ეს კი, „რა ვაკეთოთ?“, ჩერნიშევსკის რომანია, გიოსთან შეაპარე, ქარებს გაუქარვებს. ფრთხილად მოიქეცი, არ წაგართვან, სხვები ცარიელზე დამრჩებიან!..

იოსები იმ დღესვე მივიდა გიოსთან.

სემინარიის ლაზარეთი სასწავლო კლასების დერეფნის ბოლოში იყო ვიწრო რკინის კიბით გამოცალკევებული.

— ზოგი ჭირი მარგებელიაო. ე მაგ ქარებმა ლოგინად ჩაგაგდო, მაგრამ მყუდრო ადგილი გარგუნა. ჰოდა, გოლამ შემოგითვალა — ეს წიგნი წაიკითხე და ტკივილები გაგიყუჩდებაო. მერე ჩემსასაც გაგიცვლი ანდა სხვა რამესაც შემოგიგზავნის.

გიო ხარბად დაეწაფა, ორ დღეში მოათავა, ღამით კი, თორმეტ საათს რომ ხუთი წუთი უკლდა, მოულოდნელად თავს წაადგა ხუცესი ზედამხედველი სტეპანოვი, სემინარიელებმა რომ სიძულვილის ნიშნად ჩორტისოღლი შეარქვეს.

— მომაწოდე, გეთაყვა, ეგ შენი წიგნი! — ეჭვით ამოიწრიპინა ჩორტისოღლიმ, — ალბათ, საინტერესო საკითხავია?!

გიომ წიგნი ბალიშქვეშ შეაგდო:

— ჩემი არ არის! — ფერი წაუვიდა ავადმყოფს.

— მომაწოდე, ვნახავ! ვიცი, შენი ნაწერი არ იქნება, — გამკილავად გადიღრიცა ტუჩი და სასთუმალთან მიდგა, — მომე-მეთქი!

გიომ მძიმედ გამოაცურა. ჩორტისოღლიმ სტაცა ხელი, დახედა და სახე დაემანჭა.

— აკი ვთქვი, შენი ნაწერი არ იქნება-მეთქი! გაციმბირებული ულმერთოსია! ქარები გაწუხებს, გული კი შენც საციმბიროდ მიგიწევს. თურმე გინდა გაიგო, „რა აკეთო?!“ კეთილი, გაგაგებინებ! —

ღვარძლიანად ჩაილაპარაკა ზედამხედველმა და პალატის კარი გაიხუნა.

დილით კი, წირვა რომ დამთავრდა, სემინარიის რექტორმა მამა-დეკანოზმა ჩუდეცკიმ ქარებიანი მოსწავლის გარიცხვის ბრძანებას მოაწერა ხელი, ღვთისძსახური მომავალი მამების დაშინება სცადა, მაგრამ უფრო მეტად ააფორიაქა. თვინიერი სემინარიელი ლაღიაშვილიც კი დააფიქრა.

ყველა შეწუხდა სიეული სემინარიელის ბედის უკუღმა დატრიალებით. ჩორტისოღლი — ზედამხედველი კი წახალისდა, ერთხელ მოგებულით გათამამდა, ავადძყოფ გიოს ისევ შეუვარდა პალატაში და გაოცდა, რომ ლაღიაშვილი იქ დაბვდა.

— ყოჩაღ, ლაგიევ! მომწონს შენი საქციელი. ღვთისმოსავი გულისა ხარ. ამხანაგს უთანაგრძნობ. მაგრამ, თუ არ გინდა შენც ამ ცოდვილის ბედი გეწიოს, ახლავე გაეთრიე აქედან!..

მერე ავადმყოფს უკმეხად უბრძანა:

— ჩაიცვი!.. გარიცხულს აქ აღარ დაგეწოლება. სხვა უკეთესი საავადმყოფო მოიებნე.

გიო აენთო, უმწეობა იგრძნო, მაგრამ მრისხანედ შეუბრუნა:

— არსადაც არ წავალ!.. ავადმყოფი და სიცხიანი სახრჩობელაზეც არ გაჰყავთ ქრისტიანთა წესით. ურჯულოები ხომ არა ხართ?!

ჩორტისოღლი შეფიქრიანდა: „ავადმყოფის გარეთ გაგდება ქალაქს აალაპარაკებს, ვინ იცის, ეგზარქოსი პავლე ამას როგორ განსჯის? ისედაც გულაყრილად ეკიდება რექტორს“. ზედამხედველმა ეია მუცელში ჩაიგდო, უხმოდ გაბრუნდა, დეკანოზ-რექტორს თავისი შორსგათვლილი შიში გაანდო და სიცხიანი მოსწავლის ლაბარეთიდან გაძევება გადაადებინა.

ავირის თავზე კი ისევ თავს დაადგა.

გიოს მოთმინების ფიალა აევსო, ერთი დამცინავი სიტყვაც და ქარებიან მუხლებში ქარიშხალი ჩაუდგება, თვალებს ელვა დაუბრმავებს, კეთილ გულში შურისძიების ხაღველი ჩაეწვეთება და ბოროტ სატანას ფეხქვეშ ამოიდებს.

ზედამხედველმა მოსწავლის განწყობილებას ალღო ვერ აუღო და უფრო დამცინავად დაუტატანა:

— შენი ფეხით გაეთრევი, თუ გოოდოვოის ხელით გაგაბრძანო?!

— რატომ გოროდოვოის, ჩემივე ხელით! — და ქარებიანი ფეხი ჩორტისოღლის გრძელსა და კნაჭა კანჭებს გამოჰკრა, იატაკზე მოცელილივით დასცა, ზედ შედგა, თავაწყვეტით მიბეგვა, მერე მარცხენა ხელი გაუწოდა, წამოაყენა, მარჯვენათი გაულაწუნა ისევ იატაკზე დაანარცხა და, როცა წიხლიც ჩაჰკრა, ორივე ხელით ორივე ფეხში ჩააცლო და პალატიდან დერეფანში გაათრია, ციცაბო კიბესთან მიახოხიალა, წიხლი ჰკრა და გრუხუნით რკინის ვიწრო კიბეზე დააგორა.

გონებამიხდილი ზედამხედველი კრინტს არ სძრავდა; შიშობდა, ლაზარეთში ღამით მიეპრის ამბავი მოსწავლე-მასწავლებლებს არ გაეგოთ, თორემ ქალაქში მეტი მითქმა-მოთქმა დაიწყებოდა და ეგზარქოსი პავლეც ასეთ შემთხვევას ხელიდან არ გაუშვებდა, ჩუდეცკის დაემუქრებოდა, მაგრამ მისი მეუღლის — მარიას კეთილგანწყობილების მოსაპოვებლად შეწყალების საბაბიც მიეცემოდა.

ქალაქელები იტყოდნენ: ვინ მისცა უფლება სემინარიის მასწავლებელსა და ზედამხედველს ღამით, ბნელში მძინარე ავადმყოფს დააცხრესო. შესაძლოა ისიც თქვან: „სიცხიან ავადმყოფს სიბნელეში ეშმაკი მოეჩვენა, ხელთ კი ხუცესი შერჩაო“. გონებაარეულ სემინარიელს დასჯიდნენ, მაგრამ ხუცესსაც სემინარიიდან დაითხოვდნენ! ასეთმა თვითგანსჯამ ჩორტისოღლი ჩააფიქრა, დაამუნჯა და ენა მხოლოდ მაშინ ამოიდგა, როცა ლაზარეთიდან სასწავლო კლასების დერეფანი კედელ-კედელ ზლაზვნით გალია და თავის ოთახში აბღავლდა:

— მე გაჩვენებ სეირს, ველურო ქართველო!

წუხელ ოფლმოდენილი გიო კი მეორე დილითვე თავისი ფეხით გასცილდა იქაურობას. სემინარიამ კიდევ ერთი ლაღად და საღად მოაზროვნე გამოჩეკა და რევოლუციური ბრძოლის გზას გაუყენა.

ლაღიაშვილი რომ მომდევნო იქნებოდა, ეს ჯერ არ იცოდა. გრძნობდა კი, მასაც ასეთივე ბედი ელოდა, მაგრამ თვინიერი ხასიათისა იყო. ვინ იფიქრებდა, რომ ბედი ასე უკუღმართად წაუვიდოდა.

ჩორტისოღლი კი რექტორის კაბინეტში იდგა და კურთხევა-შეწყნარებას სთხოვდა მამა-დეკანოზს:

— ერთის გარიცხვით როდი გვეშველება, ყველა შემჩნეული უნდა გავაგდოთ. შარშან, თქვენც გაგლახათ მოსწავლე ჯიბლაძემ, მაშინ დაფარეთ ეს მკრეხელობა! წელს მე შემეხნენ, ხვალ ისევ

თქვენ დაგიბრუნდებიან!.. როდემდის ვითმინოთ? მოიცილეთ არა მარტო ბუნტის თავები, როგორც გოლა ჩიტაძე იყო, მათი მიმყოლებიც. ამით ეგზარქოსის გულისწყრომასაც აიცდენთ! — და ნაცემმა ზედამხედველმა გამკრავი კილოთი ჩამიმარცვლა მამა-პავლეს სახელი.

ამ სახელის გაგონებაზე ალმურმა დაჰკრა ჩუდეცკის. ჩორტისოღლიმ ნიშანში მოარტყა და კიდევ უფრო მინიშნებით ჩააწვეთა:

— შეგვინდოს უფალმა, ეგზაქოსის ყურამდე არ მივიდეს, არ მიუტანონ თქვენთვის ბოროტისმქმნელებმა. ყველა ჩემსავით ერთგული მსახური, როდი გახლავთ. მარტო თედო ჟორდანიას რა გაახერებს! პირში ტახტის ერთგულებას გეფიცებათ, ქართველ სემინარიელებს კი ჩუმ-ჩუმად ქართული ენისადმი სიყვარულს უღვივებს! სემინარიის წმინდა სახელს ეშმაკთა გუნდი აეშალა!.. განვედ სატანავ“ — ამოღერღა მუქარით ერთგულმა ხუცესმა.

„განვედ!“ — წასცდა გონებაში ჩუდეცკისაც და თვალწინ წარმოესახა ყველაზე დიდი ეშმაკი, კუნკულებიანი შაითანი, ბელზებელი, ჯოჯო — სატანა, უწმინდური მტერი ადამიანობის ჯილაგისა— ეგზარქოსი პავლე: „ბოროტი თვალით მიბღვერს, თავდადებას არ მიფასებს, მანიაშას მზრუნველობა რომ არა, აქამდესაც გადამაყენებდა“ — გაუელვა თავში ფიქრმა, მაგრამ უმალვე შეკრთა, კოპები შეჰკრა და ნაფიქრალს შეუშინდა, ჩუდეცკი სავარძლიდან წამოხტა და ზედამხედველ სტეპანოვს შეუყვირა:

— არ ვარგიხარ! წესრიგს ვერ ამყარებთ, ეგზარქოსსა და მეფის ნაცვალს თავსამტვრევ საქმეს უჩენთ!

ჩორტისოღლი გაშეშებული იდგა. გულზე ხელებდაკრეფილი რექტორის საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდა.

მამა-დეკანოზმა თვალებში გოროზად ჩახედა, უნდოდა ამოეკითხა რას ფიქრობდა იმ წუთს ზედამხედველი? იქნებ ახლა მას ფიქრში მრუში ეგზარქოსისა და ჩუდეცკის ცოლის სახელები უტრიალებს, ჰა?! თუმცა, რას მიხვდება ღვთის შვილი, თუ სატანამ დიაცს სული მოსტაცა, შეაცდინა და გუნება შეუცვალა: „ჩემი ღვთისნიერი მარიამიც ალერსიანი ფერიაა, მაგრამ განა მარტო ჩემია?!“ — გაღრღნა ისევ ავმა ფიქრმა და კიდევ უფრო გასჭვალა ეგზარქოსის მოსალოდნელმა განრისხებამ, მეფისნაცვალთან შესაძლო დასმენამ, რასაც სულაც კავკასიიდან გადაყვანაც მოჰყვება. მერე თვითონვე დაამშვიდა თავის თავი: „ოჯახით მომიცილებს?

მანიაშასაც?! არა, იმას ვერ შეელევა. წყეული კაცია, სანამ თვითონ თბილისშია, მე ადგილიდან არ დამძრავს. ღმერთო, შენ იყავ ჩვენი მფარველი!“ — გადისახა პირჯვარი და დამშვიდებული იერით ჩორტისოღლის მიუბრუნდა:

— თავად ვეახლები მაღალუსამღვდელოესობას, შენი ამბით არ შევაწუხებ. ვიცი, უკმაყოფილოა ქართველი სემინარიელების თავნებობით. ათიოდეს გარიცხვის ნებართვას გამოვთხოვ. შენ კი განაგრძე, თვალი არ მოაშორო, ერთი წუთითაც, დღეც და ღამეც. ყოველი წვრილმანი მომახსენე, ღმერთი იყოს შენი შემწე!

ჩორტისოღლი კოჭლობით გამობრუნდა რექტორის კაბინეტიდან და როგორც კი კარი მიკეტა, წელში გასწორდა, ვიწრო ფარფატა მხრები შეარხია, გასარიცხთა სიაში შესატანი გვარების გახსენებას შეუდგა, ხელის თითები რბილად მოიფშვნიტა და ბუნტისთავები და მათი ამყოლების სახეები წარმოიდგინა. მალე ყველას წირვას გამოუყვანდა.

მთავარმართებლის სასახლეში

ზუსტად ამგვარივე ხვედრს უმზადებდა მთელ ქართველ ერს კავკასიის მეფის ნაცვალი. მისი მოწვევით სასახლეში იკრიბებოდნენ კავკასიის წარჩინებულნი.

წყვილად შებმული შავი კარეტები და დროშკები გოლოვინის პროსპექტზე მიჰქროდნენ. ნამესტნიკის რეზიდენციასთან ჩერდებოდნენ და პეწიანი ოფიცერ-ადიუტანტები მობრძანებულებს ხელის აღებით ხვდებოდნენ.

კავკასიაში მეფისნაცვლის მწვანე ფერის სასახლის თეთრი დარბაზი სამხედრო და სამოქალაქო მაღალი თანამდებობის პირებით აივსო. რანგისა და წოდების მიხედვით ცალ-ცალკე ჯგუფებად დგებოდნენ და ყველა ერთ საკითხს უტრიალებდა — დაეთრგუნათ და წამოეჩოქებინათ ურჩი და შეუპოვარი ქართველი ინტელიგენცია. გაზრდილი დემოკრატიულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მოედო არა მარტო საქართველოს, არამედ მთელი რუსეთის იმპერიას. ერთი იდეისათვის, ერთი საქმისათვის, ხალხის თავისუფლებისათვის იბრძოდნენ ბელინსკი და ჭავჭავაძე, ჩერნიშევსკი და შევჩენკო, ნეკრა-

სოვი და წერეთელი, ხალხთა დიდი აზვირთება წალეკვას უქადდა ბნელი რუსეთის ბანაკს.

მუნდიროსან-ფრანკოსანთა თავყრილობა ცინიკური სიჯიუტით სახავდა გზებს თავისი მიზნის განსახორციელებლად. ქართველი და რუსი რევოლუციონერების გაყრა-გათიშვას ლამობდნენ, ხალხთა შორის ურთიერთმიზიდულობის ინსტინქტს ეკლიან ღობეს უწნავდნენ და მზაკვრულ ფაცერს უგებდნენ.

ერთმანეთსაც ეკეკლუცებოდნენ, თავს აწონებდნენ, დაბალ საფეხურზე ქედს ახრევინებდნენ, მაღალკეთილშობილობას კი — თვალებში შესციცინებდნენ, ზოგიერთთან ხმას იბოხებდნენ, ზოგსაც ქვეშ ეგებოდნენ. არც ერთი არ იყო ერთმანეთისადმი გულწრფელი, ყველა ცრუობდა, იკვეხნიდა, იტყუილებოდა, ხელმწიფე იმპერატორს ერთგულებაში თვალთმაქცურად ეფიცებოდნენ. რევოლუციურს ვინღა ჩივის — ლიბერალური აზრის მოსმენაზეც ყურებში ბამბას იტენიდნენ, ანდა ერთში შეშვებულს მეორიდან უშვებდნენ, მაგრამ სახეზე ყურადღებისა და თავაზიანობის ნიღაბს მოხდენილად ირგებდნენ და ფარისევლურად იფერებდნენ.

ყველა ისინი ერთმანეთისაგან დიდად განსხვავდებოდნენ. ამაში მათ გარეგნობაც ეხმარებოდათ, — ბრეზყვიალა მუნდირები, შავი ფრაკები, მბზინავი ჩინ-მედლები და გახამებული თეთრი საყელოები, რომლებსაც ცივი თუნუქის, ოფლიანი მაუდის, გალაქული ტყავის სუნი სცემდა და უსულგულო ფიტულებს ამსგავსებდა ამ ადამიანებს, მაგრამ საკმარისი იყო ერთი გენერლური შეძახილი — „ს

დეგ ხელმწიფე იმპერატორის მარჯვენა ხელი ეგზარქოსი მამა — პავლე იყო.

ისიც გამოჩნდა:

— მისი მაღალსამღვდელოესობა მობრძანდა! — აფაჩუნდა ერთი ჩინოსნის ტუჩი და მრავალის ყბაც აცმაცუნდა, ზოგისა კი სულაც მოკრძალებით მოიკუმა, მოიპრუწა და გაყუჩდა.

შავი კრიალა კარეტა, სამი წყვილი თეთრი ულაყით ძლიერ უხდებოდა მამა-ეგზარქოსის ქერა იერსა და მედიდურობას, თუმცა მისი ფაფუკი ლოყის დასიებულ ღაწვებს სათუთად მალავდა კუნკულაზე ჩამოშლილი თეთრი ატლასის საბურავი, ძალუმად მობვეებულ ფაშვს კი შავი ანაფორა ფარავდა.

ეგზარქოსი თავს მაღლა როდი სწევდა, არ იღიმებოდა, არც იჭმუხნებოდა, მაგრამ მისი ხასიათის სისასტიკეს აშკარად ავლენდნენ კოფოზე გაქვავებული გოლიათი მეეტლის ბრიალა თვალები, ღაჟბაქებივით აკრული ყურები, ცოცხის ფოჩებივით გაფშეკილი ულვაშები, მწითური წარბები, ნესტოებგახლეჩილი ცხვირი, გუძელი აღვირებით კისერმოზნექილი ცხენების ქაფმოდენილი ყბები და რკინის ლაგამის მღრღნელი თეთრი დუქმოდებული კბილები.

მეფისნაცვლის ორმა ადიუტანტმა კარეტის კარი გამოაღო, ეგზარქოსის ღვთიურ ხელს მიწიერი მკლავი შეუყენეს, თვალები ღაბარეს, უწმინდესის თითს ეამბორნენ, მერე კარეტიდან ორი კიბით მიწაზე მუხლჩამოდგმულ უფლის მოციქულს მოწიწებით ზურგში ჩაუდგნენ და სასახლის სამი დაბალი კიბე ისე აატარეს, თითქოს მკვდრეთით ამდგარი ქრისტე ცაში აეშვათ.

სასახლის პირდაპირ, გოლოვინის პროსპექტის გადასწვრივ კი სემინარიის ფანჯრებს ცალკე ჩუდეცკი და ცალკე მოსწავლეები მიდგომოდნენ და გაფაციცებით იცქირებოდნენ. რექტორი შიშობდა ახალ მთავარმართებელს არ შეეტყო სემინარიის ბერი-ზედამხედველის გალახვის ამბავი, მოსწავლენი კი მკითხაობდნენ რომელი მათგანის გაგდებაზე დაუკანტურებდა ღაბაბიან თავს მეფისნაცვლის სასახლეში ზარზეიმით შებრძანებული მამა-ეგზარქოსი.

ზეციურ ეგზარქოსს გულმკერდს უმშვენებდა ბრილიანტის მოლაპლაპე ჯვარი, რომლის საფასურს მთელი ის სასახლეც ვერ გაუტოლდებოდა იქ შეკრებილ დიდებულთა აელადიდებიანად. ის კი არავინ იცოდა, რომელ უბეში ედო წმინდა მამა-ეგზარქოსს ხახულის ხატიდან აგლეჯილი, მინანქრით ნაკეთები ღვთისმშობლის სა-

ხის საკვაპეპი და ზედ მოკირწყლული მრავალი თვალი პატიოსანი. ბაგრამ ყველა გრძნობდა ზეცასა და მიწას შუა, პეტერბურგსა და თბილისს შორის ისეთი სულიწმინდის შემობრძანებას, რომლის ერთი სიტყვა ანდა ცალი წარბის აწევა თანაბრად დააფიქრებდა მეფისნაცვალსაც და მის ყოველ შემცვლელსაც, სამხედროს თუ სამოქალაქოს, მამათაც და დედათაც.

პავლე ეგზარხოსი სარკეებიან დიდ დარბაზში შებრძანდა და ჭერზე აკრული მრავალფერა შუშის ვარსკვლავები აბრჭყვიალდნენ, მუხისა და წითელი ხის ინკრუსტირებულ იატაკზე ჯადოსხივებად გაფენენ და ისე დაეფინენ, თითქოს მოწყალებას ითხოვდნენ. სამხედროებმა და სამოქალაქოებმაც თავები დახარეს და მამა-პავლემაც შეიწყალა:

— სახელითა მამისათა, და ძისათა, და წმინდისა სულისათა, ამინ! — პირჯვარი გადასახა და ფუმფულა ხელი გაუწოდა თითზე სამთხვევად.

მერე მთავარმართებელის ბრწყინვალებაც შებრძანდა, ერთ წამს შედგა, კისერი აიღერა, იქაურობას თვალი შეავლო, სავარძელში მოსვენებულ მამა-პავლეს თავი მედიდურად დაუკანტურა, საპასუხო კურთხევა-წყალობა მიიღო და მხრებაწოწილ სავარძელთან ზურგით მიმდგარმა სიტყვა წარმოთქვა:

— თქვენ იმიტომ მოგიხმეთ, რომ დროა ბოლო მოვუღოთ იმპერიის განაპირა მხარეებში ბოროტების სათავეს, რომელიც შორს არ არის ცდისაგან მზაკვარი ხელი აღმართოს ხელმწიფე-იმპერატორის გვირგვინზე, მეფის ტახტის შესარყევად, იმპერიის დასანგრევად. შუა რუსეთში გაჩენილმა საზოგადოებრივმა სენმა ღვთისა და მეფის საწინააღმდეგო ემიგრაციაში დაიდო თავი და სანკტ-პეტერბურგში გასდო კუდი. ახლა საქართველოშიც შემოიჭრა, აქედან მთელს კავკასიას შემოეკრა. ჩემი ვალია წყეულის თავიც და კუდიც თბილისში გადაკვეთო, რათა თავმა და ბოლომ შეერთება ვეღარ შეძლოს. როგორ და რა გზით, ეს თქვენთვის დამივალებია. ამის განსჯას დღესვე შეუდექით. ყველა ერთგულად ემსახურეთ იმპერატორს, განერიდეთ ავადმყოფურ ლიბერალობას, რუსეთის ყველა ქვეშევრდომმა თავი ანაცვალოს იმპერიის ძლიერებას, მართლმადიდებლობისა და მისი უდიდებულესობის ტახტის ერთგულებას.

მთავარმართებელი კმაყოფილი დარჩა ნათქვამით, ენა როდი ებორძიკებოდა, სიტყვა არ შეშლია, აზრი არ დაბნევია, ისევე რო-

გორც არ ეშლებოდა სანკტ-პეტერბურგის პლაცზე სამხედრო მწყობრში ფეხის აწყობა მეფის კურთხევის დროს.

მაგრამ მცირე პაუზით გაჩენილმა შიშმა დააფიქრა. გულის გასამაგრებლად ოდნავ ჩაახველა და ბასრი მზერა მიაპყრო სამხედრო მუნდიროსანთა შორის წინ წამომდგარ შავ ფრაკოსანს, რომლის გვარის დასახელება შეგნებულად არ ინება:

— ნებას ვაძლევ აზრი გამოთქვას სასწავლო ოლქის მზრუნველმა!..

ეგზარქოსმა პავლემ თავი მოწყალედ დააკანტურა, მაგრამ იმდენად მედიდურად, რომ ბრილიანტებით მოჭედილი ჯვარჩარგული კუნკულა არც კი დამრეცილა: მეფის გვირგვინი და ეგზარქოსის მიტრა ურყევი ჩანდა.

განათლების უწყების გამგებელმა იანოვსკიმაც მღელვარების დასაძლევად ყრუდ ჩაახველა და მყიფე ხმით დაიწყო:

— თქვენო ბრწყინვალებავ! — მიმართა მთავარმართებელ გენერალ დონდუკოვ-კორსაკოვს.

— თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ! — თავი დაუხარა მამა-პავლეს.

— თქვენო აღმატებულებავ! — თვალები მორჩილებით მიაპყრო მთავარმართებლის თანაშემწე გენერალ-მაიორ შერემეტიევს.

აქ იმიტომ მოგვიხმეთ, რომ თითოეულმა საქმით გამოვხატოთ ერთგულება მისი უდიდებულესობისადმი. უპირველესი ჩვენი ვალია წესრიგი დავიცვათ იმპერიის განაპირა მხარეში. სამწუხაროდ, ქართველობამ თავისი მდგომარეობა დღემდე სწორად ვერ შეიცნო. მღელვარებას იწყებს, ივიწყებს. რომ რასაც შიდა-რუსეთს ვაპატიებთ, განაპირა მხარეს არ მოვუთმენთ!..

იანოვსკიმ დამრიგებლური ტონით განმარტა:

— როცა სლავი რადიშჩევი თუ ჩერნიშევსკი მკრეხელურ სიტყვას წარმოსთქვამდნენ, ამას დიდი გავრცელება არა ჰქონდა გლეხკაცობაში, სლავი გლეხი მტრის ხმად არ იგებს რუსის ბუზღუნს. მაგრამ მათ აზრებს ქართველ ინტელიგენციასა და მით უმეტეს, გლეხკაცობაში, — ჯოჯოხეთური ცოდვის დატრიალება მოსდევს, რაკი ბუსურმანები და ყველა იმათნაირად მოაზროვნე ქართველები სლავთა ბედს არას დაგიდევენ.

იანოვსკი წამით შეჩერდა. ეგზარქოსი შეტოკდა, გენერალ დონდუკოვ-კორსაკოვისკენ ცერად გაიხედა და ორატორისადმი თანხ-

მოპის ნიშნად თავი დაუქნია, დონდუკოვიც მამალი ინდაურივით ა ფაფორა და მწყალობლურად დაეთანხმა.

იანოვსკი გათამამდა და მასწავლებლის მიერ წაქეზებული შეგირდივით განაგრძო. რუსი რევოლუციური-დემოკრატები და ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მოთავენი იმპერიის საშინელ მტრად გამოაცხადა და მათი სასტიკი დასჯა მოითხოვა.

— მწუხარებით აღვნიშნავ, რომ სლავმა მოღვაწეებმა, თავად მიხეილ სემიონის-ძე ვორონცოვის მეფისნაცვლობის დროს, საძრახი მოქმედება დაუშვეს, გადაჭარბებული ლიბერალობა გამოიჩინეს ქართველობის მიმართ. ხელმწიფე-იმპერატორის ღვთაებრივ წყალობას გადაუხვიეს; სახელმწიფო ქონება და სახსრები ჩვენი პოზიციების განმტკიცების ნაცვლად, მომაკვდავი ქართველი ერის სარწმუნოებისა და ეკლესიის ფეხზე დაყენებას მიაგეს. ეს დიდი შეცდომა იყო! ვორონცოვის პოლიტიკა არც იმაში იყო სწორი, როცა რუსული მაღალი დონის სწავლა-განათლება საქართველოშიც შემოიტანა და ქართული სულიერი კულტურის აღდგენა რუსული კულტურის დანერგვის საფუძვლად მიიჩნია.

მერე დაკეცილი ხელსახოცი ტუჩთან რბილად მიიდო იმის ნიშნად, რომ, მცირე დაყოვნების შემდეგ რაღაც ახალსა და საგანგებოსაც გაამხელდა, და შემშრალებულ ბაგეთაგან კვლავ ასპიტის გესლი წარმოადინა.

— სახაზინო თეატრის შენობაც ააგო გენერალ გოლოვინის პროსპექტზე, იტალიურ ოპერებს ასმენინებდა ქართველობას. გავბედავ და ვიკითხავ, — რას მიანიშნებენ თვით მდაბიოთა წრიდან გაჩოსული კომპოზიტორი ვერდის ოპერები „რიგოლეტო“ და „აიდა“?! პირველ ყოვლისა თავნებობასა და წინააღმდეგობის გაწევას. სოციალურად უდაბლეს კიბეზე მხტუნავი ტაკიმასხარა რიგოლეტო შეპყრობილია სატანური ცდუნებით მოაკვლევინოს მეფური სისხლის ჰერცოგი მხოლოდ იმიტომ, რომ იგი მოწყალებით მოეკიდა მდაბიო მასხარის ლამაზ ქალწულ ვიოლეტას. ეს იწვევს წამქეზებლობას ქართველობაში!

ეგზარქოსმა თვალები მობლიტა, მაგრამ ვერდის ვიოლეტა კი არა, ჩუდეცკის მარია წარმოისახა და ეამა.

— ასეთსავე წამქეზებლობას აჩენს ქართველობაში ოპერა „აიდაც“. ვის წინააღმდეგ მიმართავს პროტესტს კომპოზიტორი ჯუ-

ზეპე ვერდი? რა თქმა უნდა, ეგვიპტის ცივილიზებული, ძლევამოსილი ფარაონის ტახტის წინააღმდეგ. რას უმღერის კომპოზიტორი ტახტდაკარგული ველური ნეგუსის ქალიშვილ ამნერისს? იმას, რომ ულალატოს თავის მპყრობელს, ეგვიპტის დედოფალ აიდას, რათა იაევ აიყვანოს ეთიოპიის ტახტზე მამამისი, ველური ამონასრო. ასეთი მოწოდების მოსმენას, მით უფრო სიმღერით, ისეთივე უბედურების მოტანა შეუძლია, როგორც შეიარაღებულ აჯანყებას, წარმოგიდგენიათ რა მოხდებოდა, რომ რომელიმე ჭეშმარიტ რუს კომპოზიტორს დაეწერა ოპერა დეკაბრისტების ამბოხზე სენატის მოედანზე ან პუგაჩოვის ბუნტზე?!

იანოვსკი კმაყოფილი იყო თავისი მიგნებით:

— რაკი სიტყვამ მოიტანა, ფხიზელი თვალით განვსინჯოთ თავად გლინკას ოპერაც, რომელსაც ღვთისმოსაობით სავსე სახელი უწოდა — „ბოჟე, ცარია, ხრანი", მაგრამ ანტიქრისტეს ქადაგებას უფრო ჰგავს, თანაც გუნდის სიმღერით! ვის ჰანგებს იყენებს თავადი გლინკა?! იქნებ, თავისი წოდების, მეფის სასახლის კარზე მოსმენილ საგალობლებსა თუ სამხედრო-საზეიმო მარშებს?! არა! მდაბიოთა სიმღერებს, მართებულად წერდა „სანკტ-პეტერბურგის უწყებების" მუსიკალური მიმომხილველი. თავად გლინკას ანტიარისტოკრატიული ჰანგები კი არ აღამაღლებენ ადამიანის სულს, არამედ ამდაბლებენ მეეტლეების სტვენა-ღიღინამდე! მთავარ მოქმედ პირადაც მდაბიო კაცი, ბოგანო გლეხი გამოჰყავს. ივან სუსანინი ლამის რუსეთის იმპერიის ქრისტემხსნელად შერაცხეს მხოლოდ იმის გამო, რომ ამ ტყაპუჭიანმა გლეხმა შლიახტური პოლონეთის ჯარებს გზა-კვალი აუბნია და უღრან ტყეში დაღუპა საკუთარი სიცოცხლის ფასად. რასაკვირველია, ეს კარგია სლავური პატრიოტულობის ასამაღლებლად, სამშობლოსადმი რუსი ხალხის სიყვარულის გასაძლიერებლად, მაგრამ მავნეა განაპირა მხარეში მოსასმენად და საჩვენებლად. ამით ქართველობასაც მივანიშნებთ, რომ ბოგანო გლეხსაც შეუძლია დაიცვას ქართველ გვირგვინოსანთა ტახტი. რა სიკეთეს მოგვიტანს ასეთი წაქეზება, გლეხი სუსანინი იქნება იგი თუ ტახტდაკარგული მეფე ამონასრო?!. ამით აიხსნება, რომ ქართველი პატრიოტები დიდი პატივით აღიღინებენ გლინკასა და ვერდის ოპერების არიებს.

მერე უფრო მდუღარეც დაასხა:

— ასეთმა პატრიოტულმა ასოციაციებმა ბუნტის სულისკვეთება დაბადა საქართველოს სასწავლებლებშიც, გლეხკაცობაშიც და თა-

ვადაზნაურობაშიც. ეთიოპიის მეფისადმი თანაგრძნობამ არ შეიძ-ლება არ წარმოშვას ბაგრატიონთა ტახტის აღდგენისა და ქართული მართლმადიდებლური ეკლესიის ავტოკეფალიის შემოღების ილუ-ზიები. ხომ გახსოვთ ქართველი დიდებულების გამოსვლა 1832 წელს მისი იმპერატორობის უდიდებულესობის წინააღმდეგ, და ესეც მოხდა, არცთუ ჩვენი დეკაბრისტების წამქეზებლობის გარეშე.

იანოვსკი ისევ შეჩერდა.

სასახლის თეთრ დარბაზში შეკრებილ დიდებულებს სახეზე თეთ-რი მიტკლის ფერი ედოთ.

ყველა განცვიფრებული იყო განსწავლული კაცის სიფხიზლით, ანგარიშგასაწევი სოციალური პარალელებით, უპირველეს ყოვლისა კოძპოზიტორთა გვარების დახსომებით და ჩამოთვლილი ოპერების ერთხელ მაინც მოსმენითა და გულში ბოღმა დატრიალებით.

იანოვსკი კი მჭევრმეტყველების წისქვილის ქვებს აბრუნებდა.

— ახლა საღი თვალით შევხედოთ იმ ჩვენს პატივდებულ მოღვა-წეებსაც, რომლებიც თბილისში და საერთოდ კავკასიაში საწარმო-ებს ხსნიან. თავადი ვორონცოვის წყალობამ აქაც გვაზარალა! რად გვჭირდება ქვეყნის ასეთი წარყვნა. მარქსისტი ბუნტის თავებიც აღარ მალავენ, რომ კაპიტალისტური წარმოების წესი აჩენს ადგი-ლობრივ მუშათა კლასს, ისინი რომ კაპიტალისტების მესაფლავეს უწოდებენ! დიახ, მუშათა კლასი მწარმოებლების მეკუბოეები არიან. მაშ საკითხავია, რად ვუწყობთ ხელს საკუთარი ყელის გამოჭრას? განა უკეთესი არ არის რუსეთში დამზადებული საქონელი შემოვ-ზიდოთ კავკასიაში, სანაცვლოდ კი გავზიდოთ ნედლეული. ამით პროლეტარიატის გამჩენ კრუხს კვერცხებზე აღარ დავსვამთ, თავს საფრთხეში არ ჩავიგდებთ!

— თავადმა ვორონცოვმა სხვა შეცდომაც დაუშვა, — განაგრძო ორატორმა, — ქართველი თავადაზნაურობა უფლებრივად გაუთა-ნასწორა რუსეთის თავადაზნაურობას და ტუზემცებს გზა გაუხსნა ევროპისა და რუსეთის უნივერსიტეტებისაკენ! ამის შედეგად სა-ქართველოშიც გადმოითესა ჩვენი თანამემამულეების ღვთის საწი-ნააღმდეგო აზრები, მეამბოხური წიგნების სული — გერცენის, დობ-როლიუბოვის, ბაკუნინის, ჩერნიშევსკის ცოდნის ცოდვანი! ამან ქართველობაც წააქეზა, „ზემლია და ვოლიას“ ცდუნება აქაც გაჩნ-და. ეს გზაც მცდარია! შეცდომა უნდა გამოვასწოროთ! ქართველო-ბას უნდა შევაგნებინოთ, რომ დროა ხელი აიღოს ამაო იმედებზე,

თუ არა და სულაც აღიგვებიან პირისაგან მიწისა და მაგიერ ჩამოსახლდებიან ჭეშმარიტი მართლმორწმუნენი.

ამისათვის მოგმართეთ, თქვენო აღმატებულებავ, თქვენო მაღალუსამღვდელოესობავ, გაეცნოთ და მოგვიწონოთ ჩემს მიერ მონიშნული ადგილები ბათუმისა და სოხუმის ოლქებში, ახალქალაქის, სიღნაღის, გორისა და სხვა მაზრებში კაზაკების დასასახლებლად.

ხაზინამ უნდა შეიძინოს თავადაზნაურთა მიწებიც, რათა უშემოსავლოდ დარჩენილმა მემამულეებმა მეფის სამსახურს დაუწყონ ძებნა, მათი შვილები კი იძულებული იქნებიან ისწავლონ რუსულ სკოლაში, ურომლისოდაც ხალხში ვერ გავლენ, სხვა საარსებო წყარო გაუქრებათ, ჩვენი ენა მშობლიურ ენად ექცევათ, ამ გზით საბოლოოდ დავძლევთ ენის ბარიერით წარმოშობილ ყოველივე პრობლემას სოციალური იქნება ის თუ ეროვნული, ყველა ერთ რჯულს იწამებს. ქართველებმა ასე უნდა იაზროვნონ...

— აგრეთვე ილოცონ! — მიაგება სიტყვა ეგზარქოსმა.

— სრული ჭეშმარიტებაა! უნდა გადავაჩვიოთ რუსი უღმერთოებისა და ლაღად მოაზროვნე რუსთა მიმბაძველობას!

— ამისათვის ღმერთი დალოცავთ, ხოლო მეფე დაიცავს! — უკმია გუნდრუკი მამა-პავლემ.

გენერალმა დონდუკოვ-კორსაკოვმაც ჩაიდუდუნა:

— დიახ, ეს არის ჩვენი საერთო ვალი!

მერე კი ჩაუკაკუნა:

— თქვენიც, მაღალუსამღვდელოესობავ. შეუწყნარებელია, რომ მართმადიდებელთა სასულიერო სემინარიაში ბერი-ინსპექტორი გალახეს? გაწმინდეთ ღვთის სახლი უწმინდურებისაგან! ძალა თუ არ გყოფნით, ჩემი თანაშემწე გენერალ-მაიორი შერემეტიევი მზრუნველობას არ მოგაკლებთ!..

მერე, თითქოს გონით მოზომა, რაკი პირდაპირ ნათქვამი გამოუვიდა: მაღალუსამღვდელოესობის ბალჩაში კენჭის გადაგდებას გავდა, ლამის „ბომბის“ აფეთქებას ნიშნავდა.

ეგზარქოსმაც იგრძნო, მაგრამ არ შეიმჩნია, გუნებაში კი სემინარიის ფანჯრიდან გამოჭყეტილ რექტორს დაუბღვირა, მაგრამ მისი ლამაზი ცოლის ფუფფულა მკერდმა თავი შეახსენა, ტუჩის სითბომ გააკრეკლა, და მრისხანე მუქარა სათნო მწყალობლობით შეცვალა.

იანოვსკის კი უკვე მწყრალად გახედა, იმის გრძელ სიტყვას დაანანა, რომ მთავარმართებელმა სასულიერო სემინარიაც ახსენა, ხოლო ტახტზე ასული ახალი მეფის ნიკოლოზ მეორის საიმედო გენერალი დონდუკოვ-კორსაკოვი თურქეთის ფრონტზე გამარჯვებებით გაქეზებული ქრისტიან საქართველოსაც ბუსურმანულ განაპირა მხარედ აცხადებდა, ურჯულოსა თუ ერთმორწმუნეს ერთმანეთში ურევდა და ხიშტის წვერზე ასაგებად იმეტებდა.

ასე დამთავრდა ეს თათბირი.

მძივი და ხანჯალი

სემინარიის რექტორმა ხუცესის ხელით მორთმეული წერილი გახსნა და აილეწა. ეგზარქოსი პავლე დეკანოზ ჩუდეცკის და მის მეუღლეს სადილად იწვევდა.

— წყეული სატანა!

— რამ აგაღელვა, ძვირფასო? — მოეფერა მეუღლე, თუმცა მიხვდა, რაც ეწერებოდა.

— მოვკლავ! შენც დაგაკლავ!

— რა დაგიშავე?! — კეკლუცად აცრემლდა მარია ჩუდეცკაია.

— ვერ ხვდები?! — თავადაც სული გისწრებს! ეგზარქოსი გიწვევს.

— მეე?! — გაიკვირვა მარიამ.

— ორივეს!.. ფეხსაც არ გავადგამ. შინ ჩავიკეტები! — აიფოფრა ჩუდეცკი.

— თუ ასეა, არც მე! იქ მიმსვლელი არა ვარ! — გაგოროზდა რექტორის ლამაზი მეუღლე და კიდევ უფრო დააჭირა ფეხი კუდხე.

— შენ ეახელი, რაც ახლა გითხარი, სიტყვასიტყვით გადაეცი, გესმის?! უთხარი, რომ მე მას მოვკლავ! ან შევაკვდები.

ჩუდეცკი შეკრთა. მართლა არაფერი უთხრასო, ფიქრით მოკვლა ეწადა, მაგრამ საქმით უბრალო საყვედურსაც ვერ გაუბედავდა. წმინდა მამის უწმინდურობაზე ლაპარაკი გაუმხელი უნდა დარჩენილიყო. ამით მეუღლის უსაქციელობაც დაიფარებოდა. ცოლის ცრემლი და წყრომა ღვთის წყალობად მიიღო, აზრი შეიცვალა და მოფერებით სთხოვა:

— კარგი, დამშვიდდი, ჩემო მანიაშა, მოემზადე, ეწვიე, თორემ ეგზარქოსი დაგვემდურება.

— უშენოდ არსადაც არ წავალ! — გაკერპდა ლამაზი ქალი და თან დიდი სარკისაკენ გაიხედა, ყელ-კისერი მოიღერა, მხრები შეარხია და ოქროსფერი კავები შეისწორა.

— წახვალ, ბოდიშს მომხდი! — ხმა აუმაღლა ქმარმა და რექტორული ტონი საკმარისი აღმოჩნდა ცოლისათვის, რომ სემინარიელივით დამორჩილებოდა. — ჩემი სინანულიც მიაგე, ვერ ვახერხებ ამ თავაწყვეტილი ბურსაკების გადამკიდე. მისი მაღალსამღვდელოების წინაშე თავს ხომ არ შევირცხვენ! გადაეცი ჩემი აღტაცებაც მეფისნაცვლის სასახლეში წარმოთქმული წმინდა ქადაგებისათვის. ნეტავ რისი იმედით მოითხოვენ ქართველები ეკლესიის ავტოკეფალიას? სანამ მამა-პავლე გვმფარველობს, მათ ოცნებას კარს არავინ გაუღებს. ჩვენი სემინარია იყო და დარჩება თქვენი მოძღვრების წმინდათაწმინდად დამცველი-თქო.

მერე, როცა დარიგებას მორჩა და წეღანდელი მუქარა მისალმების რიტორიკით წაშალა, მეუღლის უგუნებობას თვალი ვეღარ გაუსწორა და მიაშველა:

— მოემზადე-მეთქი, მოიკაზმე!

— მოვიკაზმო, თორემ შენი ნაჩუქარი მძივ-მარგალიტებით სკივრი სავსე არ მქონდეს, — გაებუტა მარია და მუხლებზე დაუჯდა. ქმარმა კისერზე მოუთათუნა და გაამხნევა:

— ღმერთია შემწე, მანიაშა, ნუ დამემდურები.

არც დაემდურა.

თეთრცხენება შავი კარეტა სემინარიის რექტორის ცოლსაც დიდად უხდებოდა, ყველა გამვლელ-გამომვლელი თვალს აყოლებდა. სემინარიელებისა და სემინარიის ბერ-ზედამხედველების დაგეშილ და დაცეცილ თვალებს ხომ სულაც არ გამოეპარებოდათ. არ ამბობდნენ, მაგრამ გაეგოთ, — მამა-ეგზარქოსი მამა-დეკანოზის მფარველი იყო და მისი ლამაზი ცოლის მწყალობელიც. ეს კი იმას თავდებობდა, რომ სასულიერო სემინარიის შინაურ საქმეებში რექტორმასწავლებლების მხარს დაიჭერდა და თუ რამ გასაწყრომი ექნებოდა, ღვთისნიერად განსჯიდა.

მანიაშა ისევ შავი კარეტით დაბრუნდა, მაგრამ თეთრ ყელსაბერზე წვრილი მარგალიტების ორად ასხმული მძივი ეკიდა და

ფაფუკი მკერდიც დაწყურებული უცემდა. ისე ბედნიერად იღიმებოდა, თითქოს მძივები კი არა, მთელი ქვეყნის საგანძური აჩუქესო.

• • •

სემინარიელები მწუხრის წირვისათვის ეწყობოდნენ და უფლის საყვედრელ სიტყვებს ამზადებდნენ.

რას და როგორ?

ამაზე დარიგებულები იყვნენ:

უფროსკლასელები „ახალი აღთქმის" სიტყვებს არჩევდნენ და ერთიმეორის მისაკოწიწებლად იზეპირებდნენ. უმცროსკლასელები შეძახილისათვის მწკრივდებოდნენ, რომ ერთად აწივლებულიყვნენ.

წამომწყებად ისიდორე რამიშვილი წაპოსვეს, ამყოლად კი მთელი მრევლი გააწყეს.

საყდრის კართან ჩიტაძე, ცხაკაია, მოსაშვილი ჩადგნენ და გასასვლელი ჩაკეტეს.

წირვა დაიწყო.

აღსავლის კარი გაიხსნა, მოძღვარი გამობრძანდა.

ღვთისმოშიში იოსებ ლაღიაშვილი გაღვივებული საცეცხლურით დინჯად შეეგება, ვერცხლის ძეწკვი შეარხია, აბოლებული სურნელი კანკელს მიაფრქვია და მოძღვარს ხელზე ეამბორა.

მეექვსეკლასელი რამიშვილი აღსავლის კარწინ წამოდგა, მოიბუზა. სიცივე ტანში ატანდა, ძველი დაფლეთილი პალტოს ჯიბიდან სახარება ამოიღო. პირჯვარი გადაისახა და ჩორტისოღლის გასაგონად, მისივე ხმით, ვითომ ქრისტე იყო, ღაღადი დაიწყო:

„ძმანნო და მოწაფენნო!.."

ძმანნი და მოწაფენნი გაიტვრინნენ, მერე კი შეირხნენ, ატოკდნენ და აშრიალდნენ.

„აქამდე არაფერი გითხოვიათ ჩემი სახელით. ითხოვეთ და ძიღებთ, რათა სრულყოფილი სიხარული გქონდეთ".

წირვამ დაიგმინა:

— ვითხოვთ, ქრისტე-ღმერთის სახელით ვითხოვთ!..

შეცივნულმა სემინარიელმა „ახალი აღთქმის" კითხვა განაგრძო:

„ამას იგავებით გელაპარაკებოდით, მაგრამ მოდის ჟამი, როდე-

საც აღარ ვილაპარაკებ თქვენთან იგავებით, არამედ პირდაპირ გამოგიცხადებთ".

— პირდაპირ ილაპარაკე, ჩვენც პირდაპირ გამოგეცხადებით — აგუგუნდა წირვა.

— ისმინე ვედრება ჩვენი, რამეთუ ვეღარ ვეგუებით მწვალებლობას! — გაირხა ხმა მწირავთ შუა.

ჩორტისოღლი აიმრიზა, აიზღარბა, ადგილიდან წამოირწა და მლოცველს დააცხრა:

— უდიერო, შეეშვი მკრეხელობას, დამიწდები!

— იქადაგე ქრისტეს მცნება, ამაღლდები! — გაისმა გუნდურად სემინარიელთა ხმა.

— ნუ უსმენთ სატანას, დასწყევლეთ, გააცალეთ წმინდა კედლებს! — შეჰკივლა ჩორტისოღლიმ.

— მოვისმინოთ! განვსაჯოთ! — აასკდა ზეცას მიწიერთა წუხილი.

— უფლის მგმობნო, წირვა დასტოვეთ, თუ არ გინდათ რექტორის რისხვა დაგატყდეთ. — გაეფხრიწა ჩორტისოღლის ხახა და ჭროღა თვალები კედელ-კედელ გააცეცა.

— რექტორმაც მოისმინოს უფლისა და მწყემსის ღაღადი! — ახრიალდნენ უფროსკლასელები.

— მობრძანდეს, მოგვისმინოს, შეგვიწყალოს! — დაიგმინეს უმცროსკლასელებმაც და ექომ მათი ხვეწნა სარკმელ-სარკმელ გარედ გაიტაცა.

— ხმა ჩაიწყვიტეთ! როგორ ბედავთ. მამა-რექტორი თვით ეგზარქოსმა მიიხმო თქვენი ბედის დასაცავად! აბა როგორღა მოგივათ ახლა აქ? — გადაუჭრა თხოვნის იმედი სემინარიელებს ჩორტისოღლიმ.

— სცრუობ, სატანავ, ბელზებელო, ოჩოპინტრევ, ეგზარქოსის კარეტა მარტო ფოფოდიას მიარწევდა, დეკანოზი კი თავის საკანში იმალება! — უფროსკლასელები და უმცროსებიც აჭიხვინდნენ:

— ღმერთსა და მრევლს ემალება!

— სანამ რექტორი არ მოვა, ფეხს არ მოვიცვლით!

— მობრძანდეს, მოგვისმინოს, გასარიცხნიც აქა ვართ და გამრიცხავნიც!

ჩორტისოღლი აკივლდა, აღმუვლდა, ბოლოს გველივით გასრიალდა და გასხლტა.

ძველპალტოიანმა სემინარიელმა კიდევ ერთი ამოიკითხა სახარებიდან და სახტად დარჩა...

მობრძანდება! — გაისმა მოსწავლე ნახუცრიშვილის ბოხი ხმა.

ჩუდეცკიმ თავი მოისაწყლა და ენა დაიშაქრა:

— ეს რა დაგმართიათ, შვილებო?!

— ღვთისმგმობელთა ბუნტია, მწყალობელო დეკანოზო! — წამოიკნავლა კანჭა ჩორტისოღლიმ.

— სცოდავ, ხუცესო! — გოროზად ჩააჩუმა თავისი მელაკუდა ზედამხედველი ჩუდეცკიმ და სემინარიელებს გული მოულბო. — მომასმენინეთ, დამშვიდებით გამაგებინეთ და ღვთიური მოთმინებით განვსაჯოთ საქმე, თქვენს თხოვნას ბუნტს რატომ უწოდებენ?

მოსწავლე ხახუტაშვილმაც მშვიდად აუხსნა:

— გვჩაგრავენ! სულიერი მამობისათვის მოვედით, აქ კი სიყვარულის ნაცვლად ადამიანის სიძულვილს გვიჩვენებენ.

მერე უმცროსკლასელი ფილიპე მახარაძე წამოდგა:

— შემოდგომით მუდამ თბილი ხალათები და ყაბალახები გვეძლეოდა. ახლა კი ისიც აღკვეთეს. და, აი დღეს, როდესაც ციებით დაავადებულმა მოსწავლემ ძველი პალტო ჩაიცვა და დავითნის წასაკითხად წარსდგა, ზედამხედველმა ისედაც დაჩაგრული ადამიანი გალანძღა და გასარიცხად შერაცხა:

რექტორი აიმრიზა, მოსმენილმა გააღიზიანა, მერე უკანა რიგში მდგარის ხმა გაისმა:

— ჩაის სამყოფ შაქარს მაინც გვაძლევდით, ახლა ისიც გაგვინახევრეთ.

— მამაო რექტორო, სემინარიელებს იმდენად არ გვენდობით, რომ ჩვენ შორის ზოგიერთს იუდას მოვალეობა დააკისრეთ! — ჩაერთო მწარე საჩივრით მოსეშვილი.

— ქართული სიტყვის წაცდენისათვის ძაღლივით გარეთ გვაგდებთ! — წამოეფაფრა დედაბრიშვილი.

— აღადგინეთ ქართული ენისა და ქართული გალობის გაკვეთილები! — ახმაურდნენ უმცროს-უფროსკლასელები.

ჩუდეცკიმ მოთმინება დაკარგა, ბოღმა მოერია. ისტერიკული ხმით იყვირა.

— ბოროტებას შეუცდენიხართ, ქრისტეს მცნება საპარის რჩევით შეგიცვლიათ!

წირვა შეტორტმანდა, აქუხდა, აბობოქრდა:

— ქრისტიანები ვართ, თქვენ კი ანტიქრისტეს მოციქულები!—

— ხმა ჩაიკმინდე, მრუშო ქართველო! — აფეთქდა ჩუდეცკი.

— მშვიდად, მამაო რექტორო! ჩვენთა შორის ცოდვილს უფალი განსჯის, უწმინდურთაგან და მრუშთაგან ახალი აღთქმა განგვარიდებს! — დინჯად ამოხდა მანამდე კანკელთან ყუჩად აყუდებულ ლალიაშვილს. მერე წინ წამოდგა, სახარება გადაშალა და წაიკითხა:

— გსმენიათ, რომ თქმულა: „არ იმრუშო“, — გვამცნობს მათე.

— გვსმენია! — დაიქუხეს მოსწავლეებმა და პირჯვარი გადაისახეს.

ჩუდეცკისაც სმენია, უნახავს კიდეც: ეგზარქოსის უწმინდურობა გაახსენდა და გაფითრდა: „ეს ვიღამ ჩააგონათ?!“.

ლალიაშვილმა კითხვა განაგრძო:

— „ყოველი, ვინც დედაკაცს გულისთქმით შეხედავს, უკვე იმრუშა მასთან თავის გულში“.

— იმრუშა ღვთის კაცმაც! — ხმა მისცა წირვამ.

რექტორს მამა-პავლეს მიპატიჟების ბარათი გაახსენდა, ისევ გაშმაგდა და გულში ცოლის გაგდება გადაწყვიტა.

ლალიაშვილმა დააცხრო:

— „ყოველი, ვინც თავის ცოლს გაუშვებს სიძვის მიზეზის გამო, აქცევს მას მრუშად“.

ჩუდეცკი ისევ აილეწა, მანიაშას კისერზე თვალმარგალიტის მძივი აუციმციმდა.

„ნუ გეშინიათ მათი ვინც სხეულს კლავს, მაგრამ სულის მოკვლა არ ძალუძს, უფრო მეტად მისი გეშინოდეთ, ვისაც სულის დაღუპვა შეუძლია გეენაში და სხეულისაც“.

— სემინარია სულსაც ღუპავს და სხეულსაც! — აიშალნენ უფროსკლასელები და უმცროსელებიც აპყენენ.

გაოგნებულმა ჩუდეცკიმ იყვირა:

— სიკეთეს უმადურობთ, ბოროტი სულის შვილებო!

ლალიაშვილმა შეახსენა:

„ვაი თქვენ, მწიგნობარნო და ფარისევლებო, თვალთმაქცნო, რომ ცათა სასუფეველს ახშობთ ადამიანთა წინაშე, რადგან თქვენ არ შედიხართ და შემსვლელებსაც არ უშვებთ“.

— ამინ!

„ვაი თქვენ, ვინაიდან ეწვევით ქვრივთა სახლებს და მოსაჩვენებლად დიდხანს ლოცულობთ“. გარეგნულად მართლები ჩანხართ, შიგნით კი თვალთმაქცობთ და უსჯულოებით ხართ აღვსილნი! იქედნეთა ნაშობო გველებო, ვერ გაექცევით გეენის სასჯელს! ამიტომ, აი, მე გიგზავნით თქვენ წინასწარმეტყველთ, ბრძენებსა და მწიგნობრებს, და თქვენ ზოგიერთ მათგანს მოკლავთ და ჯვარს აცვამთ, ზოგს კი გაროზგავთ და განდევნით ქალაქიდან ქალაქში“.

— შარშან განდევნეს ცხრანი, შარშანწინ ათნი, სემინარიის კარი გადაუკეტეს ჯიბლაძეს, ჩიტაძეს, ქარებიან ავადმყოფ გიოს, სამოცზე მეტის გასარიცხთა სიას კი ჩორტისოღლის ჯიბე ატარებს!

„მოგეწევათ თქვენ მთელი ეს მართალი სისხლი, დათხეული მიწაზე“, — და სახარება დახურა, უბეში ჩაიდო.

— მოგეწევათ! მოგეწევათ! მოგეწევათ! — აწივლდა ეკლესიის კანკელი და მამა-რექტორიც აკანკალდა.

• • •

მეორე დღეს გოლა ჩიტაძე იოსებ ლაღიაშვილს შეხვდა:

— იცი, ბიჭო, ჩუდეცკიმ ჯვარს გაცვა.

— რა მომისაჯა?

— სახაზინო ხარჯიდან მოგხსნა. სემინარიაში ვეღარ იცხოვრებ, ბინა უნდა იქირაო.

— მეც ჯვარს ვაცვა?! — აიმრიზა გუშინ ქადაგად დავარდნილი ლაღიაშვილი.

გოლა სდუმდა.

იოსები ერთ წამს შეიცვალა, „სამაგიერო გადაუხადოს?“.

მანამდე კი თავშესაფარი უნდა ეძიოს. სარჩენ ლუკმაზე იზრუნოს.

ჯერ მიხა ჩოდრიშვილმა შეიკედლა. მერე გოლა ჩიტაძესთან გაათენა. რექტორის დასმენით პოლიციამ ეს ორთავე ბინა დაზვერა და ჩორტისოღლის დევნამ უფრო შორი უბანი მოაძებნინა. ნავთლუღს მიაშურა, წმინდა ბარბარეს ეკლესიის მიდამოებში ფელღეებელ შაპოვალოვს გაურიგდა, — ბავშვებს გაკვეთილებს ამეორებინებდა, ახალსაც უხსნიდა და თვითონაც მშვიდად სწავლობდა, სემინარიის დამთავრება ეწადა. ახლა ზედამხედველების შიში აღარ ჰქონდა.

შეგირდებსაც სულში ჩაუვარდათ; იოსების ნათქვამსა და წაკითხულს იხსომებდნენ, ითვისებდნენ.

თავადაც გულით მიენდო, მაგრამ უნდო ადამიანები მაინც არ ასვენებდნენ, უთვალთვალებდნენ, ზვერავდნენ, ენა მიჰქონდათ სემინარიაშიც, შაპოვალოვის სამხედრო უფროსობასთანაც. სახლის პატრონს გულს უმღვრევდნენ და ისედაც ეჭვმიტანილს და თბილისში გადმოგდებულ ფელდფებელს აქაც სიცოცხლეს უმწარებდნენ.

ჩორტისოღლი არა ცხრებოდა. იოსები ნიშანში ამოიღო და ჟამის წირვაზე ქადაგობისას წყევლა შეუთვალა. იმ დღესაც ხუცესი ჩეტირკინიც გამოიყოლა სემინარიის „დროშკით“ და ორი ყორანი ღვთისმოშიშ ჭაბუკს თავს დააფრინდა.

— აქა ბინადრობს სემინარიელი ლაგიევი? — გოროზი კილოთი იკითხა ეტლიდან ჩამომხტარმა ჩორტისოღლიმ და კარაფიცრულ ლობესთან გამომდგარ რუს ქალს დაუბღვირა, მიახვედრა: უარიც რომ ეთქვა, ძალით შეეჭრებოდნენ და უფრო ძვირად დაუსვამდნენ. ახალგაზრდა დედამ კაბის კალთები ჩამოიბერტყა, ხელები გაშალა და შეიწვია:

— შინ ბრძანდება, ჩემი შვილების მასწავლებელია, შემობრძანდით!

ორი ჟულაყუდა ანაფორა ქოხში შევიდა.

ჩორტისოღლის დანახვაზე იოსები აიმღვრა. „აქაც არ მასვენებს“ — ჩაიბუტბუტა და ღია კარებში გაიხერგა.

ჩორტისოღლიმ გვერდზე მოურიდებლად გასწია, როგორც სემინარიის საძინებელ ოთახებში სჩადიოდა, თაროსთან მიდგა, ორი წიგნი გადმოიღო, გადაშალა და ხრინწით ამოღერღა:

— ისევ „სოვრემენიკი?!“

— რა გაკვირვებთ, ნებადართულია! — შეუბრუნა იოსებმა.

სტუმრებს სახე მოეღრიცათ.

— მაგრამ სასულიერო სემინარიელისათვის აკრძალული!

მეორე წიგნიც გაშალა და ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— გიორგი ბელტოვი! ეს ვიღაა, სადაური ჩიტია?! რუსულად გერმანიაში დაბეჭდილს ფარულად რუსეთში ავრცელებ?!

მერე დიასახლისს მიუბრუნდა და დამცინავი მუქარით გაიკითხა:

— იქნებ ფელდფებელ შაპოვალოვის წიგნებია? მეფის სამსახურში არ მოუწონებენ!..

ქალი დაიბნა. იოსებს შეხედა, რჩევას ელოდა, ქმრის ბედმა შეაშინა, მასწავლებლის ცოდვაში ჩადგომა კი უჭირდა. ისევ იოსებძა იხსნა.

— რაც ჩემს ოთახშია, ჩემია, სხვა არავისი. წამკითხავიც მე ვარ. ამ ოჯახს ნუ ხვევთ ცოდვაში.

ზედამხედველი დამშვიდდა, დაუჯერა. უნდოდა კიდეც ისე ყოფილიყო, როგორც სემინარიელი არწმუნებდა.

მეორე დღეს კი ლაღიაშვილი სემინარიიდან გარიცხეს კრამოლური ლიტერატურის კითხვისა და გავრცელებისათვის. დიასახლისს კი დაემუქრნენ:

— მავნე ჭაბუკია! მოიცილეთ. თქვენი ქმარი მეფის სამსახურში დგას. ხომ გესმით?! უსიამოვნებას გადაეყრებით.

ქალი შეწუხდა:

— ბავშვებმა ძალიან შეიყვარეს...

— თქვენ ხომ არა?! — მიახალეს და გაეცალხენ.

იოსებმა ლოგინი აკეცა, წიგნები შეჰკრა, იღლიაში ამოიდო და მეზობელ უბანში გოგია დურგალს დაუტოვა, თვითონ მეჯვრისხეველ გელასთან შეიარა და ჰკითხა:

— სოფელში როდის მიდიხარ?

— ხვალ, ადრე გათენებისას.

— ეს ბარათი ჩაუტანე იმ საცოდავ დედაჩემსა.

— შვილი მღვდლად კურთხევას აპირებს, დედაზე საცოდავიაო, აბა ვინ იტყვის, იოსებ?! — ეუცნაურა გელას.

დაემშვიდობა, პეტრე-პავლეს სასაფლაოზე გაუხვია. იქ გადამალული სამი ხანჯლიდან ერთი უკეთესი ამოარჩია, პალტოს ქვეშ შემოირტყა და სემინარიისკენ გზას გაუდგა.

მიდის თავქვეზე იოსები და სუნთქვა ეკვრის. ნაბიჯს აჩქარებს. ეშინია ის ბოროტი არ გაექცეს, ან სემინარიის იმხელა შენობას არაფერი დაემართოს, მიწა არ იძრას მთაწმინდა არ წამოიქცეს და სამგლე ჩუდეცკი კედლებმა არ დაიტანონ. თვითონ უნდა გაესწოროდეს, ჯავრი იყაროს, გიოს და გოლასაც გულისტკენა გაუქარვოს, გასალდათებულ ჯიბლაძესაც გული მოჰფხანოს; შარშან ჩუდეცკი შემოელახა და ახლა ხარკოვის დამსჯელ ბატალიონში დათარფატებს. ცბიერსა და თვალთმაქც რექტორს სამაგიეროს აქ გადაუხდის, გველაძუა ჩორტისოღლისაც მიაყოლებს და მერე უწმინდურ ეგზარქოსსაც თან დაადევნებს. სამიდან ორ ხანჯალს ახლა პეტრე-პავლეს

სასაფლაოზე მიწა ათბობს და იმითვე გაუციებს გულს სამივე ავ-
კაცს.

მერე დედა გაახსენდა, გული ეტკინა, სემინარიის ბოლო კლასი-
დან შვილის გამოგდებას არ გააგებინებს; ვერ გაუძლებს, გული გა-
უსკდება. განა ამისთვის იკლებს ლუკმას, ჯანს ილევს და სიცო-
ცხლეს იმწარებს? სულმოუთქმელად ელის შვილის კურთხევას. ტი-
რძნისელი მღვდელი პირდებოდა იოსების დედას, — შენს შვილსა
და ჩემს ნათლულს ჩემს სოფელში დავანიშნინებო. მაგრამ ნათლია
ხელიდან გაეცალა: იქაურ თავად სულხანიშვილსა და აზნაურ ეგაძეს
დავა მოსვლიათ. თავადმა დედა შეაგინა, აზნაურმა ხანჯლით მუცე-
ლი გაუფატრა. იმ საბედისწერო დღეს ნათლია-მღვდელი ეგაძიანთ
სტუმარი ყოფილა, ამის შემსწრეს გული გახეთქია და საკუთარი
ეკლესიაც დაუობლებია. ეგაძისათვის ორი წლის შინაპატიმრობა მი-
უციათ იმის შეღავათად, რომ მოკლულს პირველს შეუგინებია. ამ
ამბის გამგონ გიგო გაბაშვილს ტირძნისისაკენ გაუწევია და სახლში
მჯდარ თავის მეგობარ ალექსანდრე ეგაძის ოთხი ისეთი პორტრეტი
დაუხატია, რომლებიც მაშინვე მხატვრის შემოქმედების ძვირფას
სათვალავში შესულა. ამ საცოდავ დედას კი რაღა ეშველება. ნათ-
ლია-მღვდელი მოუკვდა, ნათლული ეღუპება, შესაძლოა მოუკლან
კიდეც, იქნებ ცოცხალს თვალიც ვეღარ შეასწროს. არადა, იმისი
იმედით ცხოვრობდა, ელოდა, ვაი-ვაგლახით გორის სასულიერო
სასწავლებელი დაამთავრებინა. მერე თბილისის სასულიერო სემი-
ნარიის დამთავრებასაც წინ ალარაფერი ედგა, ტირძნისის ეკლესიის
მრევლის ჩაბარებაც შეუსრულდებოდა, რაკი გიგო გაბაშვილი თბი-
ლისის ეგზარქოსს პავლეს იცნობდა და მისი პორტრეტის დაწერას
აპირებდა. შეასრულებდა კიდეც, დახატავდა.

მაგრამ არ მოხერხდა, ეგზარქოსმა ისეთი წყევლა გაუგზავნა
ქართველ ხალხს იმ ხანებში, რომ გიგო გაბაშვილი იმის პორტრეტს
ღვთის მსახურად კი არა, სატანის მოციქულად აქცევდა.

ახლა კი ღვთისმოშიში ყმაწვილი იოსებ ლაღიაშვილი ისე გაამ-
წარეს, რომ შურისძიების გარდა, ალარაფერი ახსოვდა. იგი საიქიოს
საგზურს უმზადებდა ერთს კი არა, სამივეს — ჩუდეცკის, ჩორტის-
ოღლი-სტეპანოვს და თვით ეგზარქოს — პავლე ლებედევს.

იოსები ნაღვლობდა: დედა ვერ გადაიტანდა, შვილს თუ რამე
დაემართებოდა, ჯავრს გადაჰყვებოდა. „ნუ იდარდებ, დედილო,
ჯავრს არ ჩაგაყოლებ, გავუსწორდები“, ცხოვრებას გავუძლებ, ქვე-

ყანა დიდია. გოლაც ამ დღეშია, გააგდეს, მაგრამ უძლებს, გულს არ იტეხს. „ჩემისთანებსაც თავკაცობს“ — გულს იმაგრებს იოსები და სემინარიის შენობას მიადგა.

„ასე მალე?!“ — გაოცდა და გამოკეტილ ფანჯრებს ახედა.

ყველანი გამოცდაზე იყვნენ და იმხელა შენობა დადუმებული იბღვირებოდა, ეგებ გრძნობდა მოსალოდნელს, ეგებ ესმოდა ლალიაშვილის გულისცემა, მის ნაბიჯებს ითვლიდა და სულგანაბული იმ ხმას უცდიდა, როცა რევოლვერის, ან შინნაკეთები ყუმბარის ხმა ვიღაცას „ვაი დედას!“ ამოაძახებინებდა.

იოსები აღმართს აჰყვა, სვეტებიან კართან მიდგა, შეხედა, შეყოვნდა და ექვსმა გატარებულმა წელმა თვალწინ ჩაუქროლა. მაღალფანჯრებიან კაბინეტში იჯდა ის, ვისაც უნდა სწვეოდა, მაგრამ კიდევ ვერ წარმოედგინა, პირველ სიტყვად რა ამოხდებოდა. მერე თავი ჩაღუნა, მძიმე კარი შეაღო და უფრო მძიმედ ამოთქვა:

— მამა-რექტორი გამოცდაზე ბრძანდება?

— კაბინეტშია! — უპასუხა მოხუცმა კარისკაცმა.

— არზა მაქვს მისართმევი...

ანაფორიანმა კარისკაცმა მოწყალების თვალი შეავლო.

გაგებული ჰქონდა „ლაგიევის“ გარიცხვა, და ყრუდ უთანაგრძნო:

— რაღა შენზე გატყდა ჯოხი, თვინიერო შეგირდო, ოციალისტები ცოტანი არიან, რო?!

იოსებს გული გაუკეთდა: „ამანაც იცის, უსამართლოდ მომექცნენ“.

— თხოვნას მივართმევ, იქნებ გული მოუბრუნდეს, შემიწყალოს მამა-დეკანოზმა.

— სცადე! ღმერთი იყოს შენი შემწე.

— ჰოო, უფალი განსჯის. სამოწყალოდ ვეახლები.

— ადი, შვილო, მარტოა, — და პირჯვარი გადასახა.

იოსებმა მძიმედ გაალაჯა. მუხლები არ მიჰყვება, მხრები ეხრება, კისერი ეღუნება, თავი უქანდება, გონება ებურება, მარმარილოს კიბეზე შედგა, ფეხისგულები უხურს, მოაჯირს ხელი ჩაჰკიდა და ეცივა, რექტორის კაბინეტის კარს გაუსწორდა, ფრთხილად ახლოს მიადგა და ერთ წამს შეჩერდა. სული მოითქვა, კიბეზე დაქანცული გული საგულეში ჩაიგდო. „იქნებ არც დამხვდეს. გასული იყოს?!“. სად ეძებოს, რომელი კლასის კარი შეაღოს და შეუვარდეს?

კარმა თავისით მიიზიდა; დააკაკუნა.

ხმა არ ისმოდა.

შეშინდა, შეფიქრიანდა; „ნუთუ...?!"

ისევ დააკაკუნა და უფრო წყნარად.

— ჰოო! — შემოესმა ნაცნობი ხმა, მყიფე, გამჭოლი და შემაღონებელი, ვინემ როდისმე სმენოდა.

„ის არის!"

კარი შეაღო, მოკრძალებული ჩვევით შევიდა, ქუდი მოიშვლიპა, მაგიდას მიუახლოვდა, დამხვდურმა თავიდან ფეხამდე ჩაათვალიერა და ამოიზმუკუნა:

— აქ რა გინდა!

იოსებმა არზა ამოიღო უბიდან და მაგიდაზე დადო.

ჩუდეცკიმ არც დახედა. ასპიტივით გასჭოლა, სულიერად არყევდა. ბოლოს ინება, შუაზე გაკეცილი არზა მწვანე მაუდიან მაგიდაზე ნეკა თითით თავისკენ მიისრიალა, გაშალა, მერე ცალი თვალით ჩაიკითხა, სემინარიელის გაყინულ სახეს ახედა და უკან გადმოუგდო:

— არა, მგლის ბილეთით ეშმაკიც ვეღარ დაგაბრუნებს!

გარიცხულ მოსწავლეს სახე შეუხურდა.

— როგორ მოვიქცე, თავი მოვიკლა?

— თავში ქვა გიხლია, მოიკალი!

იოსებმა გონება ისევ დაკარგა.

— მაშ ჯერ შენ მოკვდი! — და პალტოსქვეშ გარჭობილი ხანჯალი გააძრო და რბილ სავარძელზე ნებივრულად ზურგმიყუდებულს მუცელში ჩასცა.

— მიშველეთ! — დაიბღავლა ჩუდეცკიმ, მუცელზე ხელი იტაცა, სავარძლიდან წამოვარდა და გვერდითა ოთახისაკენ გაიწია, მის ბინაში რომ გადიოდა. იოსები წაეწია, გასისხლიანებული ხანჯალი ახლა კისერში ჩასცა.

— ვაიმე! — ყრუდ დაიხრიალა დეკანოზმა.

იმის ხრიალზე გვერდითა კარი გაიღო, ლამაზი მანიაშა შემოქანდა, თეთრ ყელ-კისერზე წვრილი მარგალიტების ორად ასხმული მძივი ეკიდა, მაგრამ ახლა ის ფაფუკი მკერდი აფორიაქებული უცემდა და წვრილი ხმით იწივლა:

— ქმარს მიკლავენ!..

კაბინეტის სადარბაზო კარი გაიღო და ზედამხედველი ჩორტისოღლი შემოვარდა, იოსებს მივარდა, კისერში გარჭობილ ხანჯლის ტარს დაეკიდა და ჯაჯგური გაუმართა. ყვირილსა და ხმაურზე

მღვდელი ჩეტირკინიც შემოქანდა და ორივემ ერთად ლაღიაშვილის ხანჯალი გამოგლიჯეს. იოსებმა მარჯვენა ხელზე დაიხედა და მიხვდა, რომ თითონაც დაიჭრა თავისივე ხანჯლის პირით.

რექტორის კაბინეტში ატეხილ წივილ-კივილზე მოსწავლეები დერეფანში გამოცვივდნენ. დაფეთებული მზარეული კი ქუჩაში გავარდა და დაიძახა:

— გოროდოვოი!.. გოროდოვოი!.. მამა-რექტორი დაკლეს!..

პოლიციელები მოცვივდნენ, ექიმიც გაჩნდა. გამომძიებელი მომაკვდავს თავს დაადგა და ყელგამოწვდილი უმეორებდა:

— ვინ იყო?.. მალე მიპასუხეთ?!.

ჩუდეცკი ახროტინდა და ქლოშინით ამომარცვლა:

— ლაგიე...

ოთხი პოლიციელი ლაღიაშვილს გვერდში ამოუდგა და საპოლიციო ეტლით წაიყვანეს.

პუშკინის ქუჩა ხალხით აივსო. პატიმარი ძლივს გაატარეს. ქალაქი აწრიალდა, ახმაურდა, აიშალა. მალე სამხედრო სასამართლო შესდგა. ჩამოხრჩობა მიუსაჯეს, მაგრამ რაკი ცხრამეტი წელი არ შესრულებოდა, ოცი წლის კატორღით შეუცვალეს.

ოცი მოსწავლე გარიცხეს, სემინარია დახურეს, მაგრამ მერე ისევ აღადგინეს.

იოსებ ლაღიაშვილი ციმბირიდან პორტ-არტურში გაიქცა, იქიდან ამერიკაში გავიდა, იქაური ქვეშევრდომობა მიიღო, მაგრამ სამშობლოში დაბრუნებაზე მაინც ოცნებობდა, ერთხელ მოსწერა კიდეც სემინარიელ ფილიპე მახარაძეს — „გული შინ მომიწევსო“, მაგრამ რატომ არ ჩამოვიდა რევოლუციის შემდეგ, არავინ იცის.

უფრო გვიან, თბილისში ამბავი ჩამოიტანეს, ქართველებს შეხვედრია და გამოლაპარაკებია:

— თქვენებური ვარ, ლაღიაშვილი, იოსები მერქვა... ახლა კი?..

ბულვარის ჩრდილში

გაზაფხულის სიომ დაჰკრა.

ქუთაისის ბულვარში ხალხი გამოეფინა.

ტიტეს უკვე სცნობდნენ... მოწაფეთა დემონსტრაციის მოთავედ თვლიდნენ, ესალმებოდნენ. ახალგაზრდების გარდა ხნოვანებსაც აინტერესებდათ მასთან გამოლაპარაკება.

ერთმა მშვენიერი გარეგნობის ყმაწვილკაცმა ტიტეს ხელი გაუწოდა:

— გავეცნოთ!.. აქაური ვარ, ბარონ ბიბინეიშვილი...

— სასიამოვნოა!

— კარგი ბიჭი ჩანხართ... მაგრამ თუ სემინარიაში მეფის სიძულვილი ბულვარში სეირნობამ დაგავიწყა, არ ივარგებს!..

— ვითომ ასე მოხდება?

— ამას მერე ვნახავთ...

დამეგობრდნენ.

— სად ათევ ღამეს?

ტიტე დაფიქრდა: „რად მეკითხება"?

ხუმრობით უპასუხა:

— ცასა და მიწის შუა!

— აწი ჩემს მისამართსაც ნუ გაიხსენებ, თუ გკითხონ! კონსპირაცია მეხსიერებას ავითარებს, — უპასუხე — „ხან აქ, ხან იქ". არც ბინის მისამართი მახსოვს-თქო, არც მისი პატრონის გვარი! ეს შენც გარგებს და მეგობრებსაც არ აზარალებს... ტყუილის თქმა (კუდია) მაგრამ არც ამ მატყუარა მთავრობას ემეტება სიმართლე.

— გასაგებია...

— ჰოდა, დაიხსომე: კონსპირატორი გულის კარს ყველას არ უხსნის: მხოლოდ იმას, ვინც წმინდა სულის პატრონია, თანაც მტკიცე, შენსავით სხარტი. ისიც გახსოვდეს; სიჩქარე კარგია, მაგრამ გაბედული. ზანტი მაზარალებელია. მწევარივით უნდა იყო, მაძებარის ყნოსვით. მიზანს სიკეთე უნდა გინათებდეს, მუხლში მგლის ძალა გედგას. ხედავ, ცხოვრებას მგლები დაეპატრონენ!.. მგელს მგლურად უნდა დახვედრა, თორემ შეგჭამენ. ასეა აწყობილი ეს ცოდვიანი სახელმწიფო. რომ შეებრძოლო, თავი უნდა გადასდო, სიცოცხლე არ დაინანო!..

— აოც დავხოგავ.

— მაგი გეტყობა, თორემ ამ დილასაც სამღვთო სკულის საზეპიროს არ გამოექცეოდი.

— გამომაქცევს!..

— კაია, რომ ჩვენსკენ იბრუნე პირი.

— აბა ეშმაკისკენ?..

— იმათთვის მეც სატანა ვარ, ბელზებელიც.

— ძე კი უფლის მოციქული მგონიხართ.

— საწყალი ღმერთი, ვის ხელშია! სემინარიაში შენისთანანი რომ არა, გული დაწყდებოდა თავის გაჩენილ ადამიანების საბყაროზე.

მესაიდუმლე მეგობრის გაცნობამ სასიამოვნო მოკრძალების გრძნობა გაუჩინა ტიტეს. მეგობრები სემინარიაშიც ჰყავს, განსაკუთრებით ვანო ინწკირველი, მაგრამ ბარონ ბიბინეიშვილი ერჩევა: წლოვანებითაც ცოტა უფროსია და ცხოვრების ცოდნითაც, ლამის ისეთივე დიდი, როგორც ბერი-მასწავლებელი დობრიჩენკო... კაოგია, რომ ქვეყანაზე ჩნდებიან დამრიგებლებიც, სხვათა მასწავლებლობას იწყებენ, ცხოვრებაში შემსვლელ ჭაბუკებს გეზს აძლევენ. ბარონმაც თავშესაფარი მისცა, გულში სამეგობრო რწმენის კანკელიც ჩაუდგა, რომ სხვა მრავალმაც შეიცნოს და საერთო ლაშქარს შეუერთდეს.

ბარონ ბიბინეიშვილთან მეგობრობამ იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტთან დააახლოვა, არალეგალურ ლიტერატურასაც მოწყურებით დაეწაფა. ახლა აღარც სემინარიის რექტორის თავზე წამოდგომა აფიქრებს და არც მწითურა ბერი — ზედამხედველის ჭროღა, ბასრი თვალები აანჩხლებს, ლაღად ამოისუნთქა, ამიერიდან იგი ბაქოდან ჩამოტანილ გაზეთ „ბრძოლის“ ძველ ნომრებს სტრიქონ-სტრიქონ არჩევს. პირველი ნომრის სარედაქციო წერილი „მიიღეთ და შეიტკბეთ“ თვითონაც შეიტკბო და შეისისხლხორცა:

«— აგიტაცია ლეგალური გაზეთის საშუალებით და არაიმედის დამყარება იმაზე, რომ ათასში ერთი სტრიქონით, რომელიც გაკვრით შეეხება მუშათა ბრძოლის გაშლის საჭიროებას, ნაყოფს ვერ მოგვცემს. გადაუდებელი ამოცანაა ქართული არალეგალური პრესის შექმნა, რომელიც იძლევა პასუხს ყოველდღიურ კითხვებზე. კითხვა ახლა იმაშია, თუ როგორ მოვაწყოთ ქართული არალეგალური გაზეთის გამოცემა, რით უნდა ხელმძღვანელობდეს და რა უნდა მიაწოდოს მან ქართველ სოციალ-დემოკრატიას?»

რა და—განუმარტოს მკითხველებს — ქართული სოციალ-დემოკრატიული მოძრაობა ხელიხელგადახვეულია მთელი რუსეთის მოძრაობასთან.

მაშასადამე, ქუთათურ მოწაფეთა გამოსვლაც ქვეყნის საერთო მოვლენად ჩაითვლება? — ფიქრობს ტიტე.

„ცხადია, ქართული გაზეთი უნდა წარმოადგენდეს ადგილობრივ ორგანოს, რომელიც უპირატესად ადგილობრივ საკითხებს უნდა

შეეხოს, უნდა იყოს გამომხატველი ადგილობრივი მოძრაობისა",— აჯერებს წაკითხული.

მაშასადამე უნდა გავშალო ისეთი მუშაობა, რომელიც საქართველოს მუშებისა და გლეხების მღელვარებას დაეხმარება, — ასკვნის ყოფილი სემინარიელიც.

„გაზეთი ვალდებულია გააცნოს მკითხველებს ყველა პრინციპული თეორიული და ტაქტიკური საკითხი".

მაშასადამე, თვითონაც ვალდებული ვარ დავეწაფო თეორიას, პრაქტიკას, რომ არ დავტოვო არც ერთი ფაქტი აუხსნელი, რომლებიც მუშებსა და გლეხებს აწუხებთ — ხვდება ტიტე.

„სოციალ-დემოკრატიულ გაზეთს უნდა მოვთხოვოთ უპირატესი ყურადღება მებრძოლი მუშებისადმი, რაკი მხოლოდ რევოლუციური პროლეტარიატი არის ისტორიისაგან ამორჩეული კაცობრიობის გამანთავისუფლებლად".

„მაშასადამე, შორს უნდა ვიდგე ყოველგვარი უტოპიური აბდაუბდისაგან, თავად გავერკვე ყოველ საზოგადოებრივ მოვლენაში და ამით ვიქონიო გავლენა თავისუფლებისათვის ყველა მებრძოლზე",— რწმუნდება ცამიწაძე.

„გაზეთი „ბრძოლა" ვერ დაპირდება მკითხველს თავისი შეხედულებები სისრულეში მოიყვანოს, რაკი მოშორებულია სამშობლოდან და მოკლებულია საშუალებას თვალყური ადევნოს საქართველოში რევოლუციურ მოძრაობას".

მაშასადამე, საჭიროა საქართველოდან დახმარება, — ხვდება ბარონ ბიბინეიშვილის ახალგაზრდა მეგობარიც. და ისიც პოულობს საშუალებას დასახმარებლად.

ბარონმაც მისცა პირველი დავალება:

— ხვალ ლიტანიობაა. სააღდგომო წირვას დაესწარი, ჯარის ყაზარმაშიც წადი და მეფის საწინააღმდეგო ფურცლები გადაყარე!..

ტიტემ იმარჯვა, ორივეგან მოასწრო, მაგრამ ჟანდარმერიის ნაჩვევ თვალს ვერ გამოეპარა ლიტანიობის ღამეს, მლოცველებთან და ჯარისკაცებთან სემინარიელის გამოჩენა. შეამჩნიეს და აედევნენ.

ტიტეც მიუხვდა და ბარონი გააფრთხილა:

— მგონი, ამეკიდნენ!

გამოცდილმა კონსპირატორმა თავისი ძველი პიჯაკი ტიტეს ჩააცვა, შავი შლიაპა დაახურა, სათვალეები გაუკეთა და დააიმედა:

— იმფერ გამოიცვალე, მეც ვეღარ გცნობ, მგონი.

ტიტეს კი გული უფანცქალებს. უნდა ყველამ იცნოს. დაინახონ მისი გაბედული ნამოქმედარი: „დასამალი რა მაქვს?“.

ტიტე ცამიწაძე ღამით ბარონის ბინაში ცხოვრობს, დღისით ბულვარში დასეირნობს. ყველაზე მეტად ის ახარებს, რომ ლიტანიობაზე პოლიციელები ააწრიალა და ოფიცრებსაც დილამდე ათევინა ყაზარმაში. თავად არ ამბობს, მაგრამ უნდა კი, ყველამ იცოდეს რომ ეს მისი ნამოქმედარია. ნეტავ რა გუნებაზე დადგებოდა სემინარიის რექტორი, ყველაფერი ეს რომ ენახა?!.

ბარონი კი დღენიადაგ აგონებს:

— ფარულად მოიმოქმედე და გაეცალე!

შუაღამით კართან ბრახუნი ატყდა.

ტიტეს მაგრად ეძინა. მეზობლად ცხოვრობს ეპარქიული სასწავლებლის მოწაფე ნინო ბახტაძე. ტიტე გააღვიძა:

— პოლიცია მოვიდა!.. ჟანდარმებიც არიან. სახლს ალყა შემოარტყეს...

ტიტემ ბარონის ნაჩუქარი პიჯაკი ჩაიცვა, ოთახის უკანა კარიდან გავიდა, ერთი საჟენის სიმაღლის ქვითკირის გალავანს გადაეცლო, არქიელის გორიდან თავქვე დაეშვა და ღამე სასტუმროში გაათია თავისი ავადმყოფი ამხანაგის ჭანტურიშვილის ოთახში.

ბარონთან ბინაში მისვლა აღარ შეიძლებოდა, ჩერეკა დილამდე გაგრძელდა. ამის შემდეგ უფრო მალულად უნდა იცხოვროს, მაგრამ ჭაბუკური სისხლი არ აჩერებს, მოსვენებას არ აძლევს. თუ ხიოათი მას განიგან უვლის, თავად ნაძალადევად ეტანება. დაეძებს მას.

საბი ნოეს კიდობანი

იქ კი დარბაზი აივსო.

მერე დაიძაბა. ნოე ხომერიკმა ნოე ჟორდანიას პიჯაკის გახდა სთხოვა — „ცხელაო“.

უცხოეთიდან ახლად დაბრუნებულმა იუარა — „უხერხულია, ევროპაში ასეთ ფამილარობას ერიდებიანო“.

ასეთ საქციელს უკრძალავდა წოდებრივი გამორჩეულობაც. ბოლოსდაბოლოს, აზნაურიშვილია, საყელოგახსნილი ოჯახსაც არ ეჩვენება! მეგობრებშიც თავი ღირსეულად უჭირავს, იმასაც მნიშვნელობას აძლევს, რომ სხვებზე უფროსია, ნაკითხიც, სხარტი აზროვ-

ნებისა და მოსწრეული ეაის პატრონი. მართალია, როცა ღელავს, ოდნავ ენა ებორძიკება, მაგრამ იმდენად მიმზიდველად ლაპარაკობს, რომ აზრის დინება ამ ნაკლსაც ჰფარავს, ამიტომ ოქროპირის სახელი როდი შორდება.

პარტიულ მუშაობაშიც კი, თავისი განათლებულობითა და ელეგანტურობით თავდაჭერილ, დარბაისლურ, ანგარიშგასაწევ იერს მიიღებს ხოლმე და სხვებიც მოკრძალებით ეკიდებიან.

თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ სამი ენა იცის, ქართულის გარდა და ორზე მაინც თავისუფლად წერს, იქ შეკრებილ მოპაექრეებს ადვილად დასძლევს და როგორც უცხოეთში განსწავლულ მარქსისტს, დიდ ანგარიშს უწევენ.

ისე კი, კაცმა რომ თქვას, ქართველ რევოლუციონერთა წრე, „მესამედასელები“ იქნებოდნენ, თუ სხვა პარტიის მიმდევარნი, იმდროინდელი კულტურის თვალსაზრისით, ტოლს არავის დაუდებდნენ, ვერავინ ვერ დაიკვეხნიდა უფრო მეტ სიდარბაისლესა და აზრის სიმწიფეს, გარეგნულ პენწსა და შინაგან ფეთქადობას! სოციალისტობა ამაღლებული მცნება იყო. მართალია, ბათუმის, ბაქოსა და თბილისის საწარმოთა მუშები მაზუთითა და სამანგანუმ ზეთით გაგლესილი ტანსაცმლით შრომობდნენ, მაგრამ, როცა ისვენებდნენ, რევოლუციურ შეკრებაზე მიდიოდნენ თუ მანიფესტაციას მართავდნენ, — რაც კარგი და ლამაზი ეცადათ, იმას იცვამდნენ, ჩალის თეთრ ქუდებსაც იხურავდნენ და გასუფთავებულ თეთრ საყელოსაც იკეთებდნენ. ნაშ როგორ! რევოლუცია სიცოცხლის სიყვარულია, სიყვარული კი ადამიანს სხვადასხვა სახესა ჰფენს. ყველაზე დიდი და ლამაზი სიყვარული მაინც ის გახლავთ, რომ მუშა თუ ინტელიგენტი ერთ საერთო საქმეს ემსახურებოდეს, თანაც გამორჩენის მიზნით კი არა, საერთო, საქველმოქმედო აზრით.

ამას თავადაც გრძნობდნენ, მაგრამ ისინიც აქეზებდნენ, ვინც გარს ეხვივნენ, თუმცა რევოლუციურ მოძრაობაში ნახოლოდ თანამგრძნობ მაყურებლებად რჩებოდნენ, ბათუმში, ზღვის სანაპიროზე, რევოლუციონერებთან ერთად სეირნობდნენ, ქუთაისში ბულვარში იფინებოდნენ და თითით აჩვენებდნენ ახალგაზრდა სოციალისტებს, სასულიერო სასწავლებლიდან გარიცხულებს, ან ეპარქიულიდან დათხოვნილ გოგონებს, რომელთა შორის ზოგი გლეხის შვილი, უმეტესობა კი თავადაზნაურთა ნაშიერი იყო. თბილისსა და ბაქოშიც ასეთივე ღირსეული დამოკიდებულება იგრძნობოდა სოციალისტუ-

რად მოაზროვნე ჭაბუკებისა თუ ქალიშვილების მიმართ და ისინიც გოლოვინის პროსპექტზე სასეირნოდ გამოსულებს უერთდებოდნენ და წარმოდგენა — კონცერტებსაც არ აკლდებოდნენ.

პროვინციებში ხომ წესად იყო სადგურზე გამოფენა.

ისიც კი სახალისოდ ეჩვენებოდათ, თუ რომელიმე სოციალისტს, რასაკვირველია კინკრიხოზე თმაგადაგდებულს — თეთრ ხელსახოცებს უქნევდნენ და ჰაეროვან კოცნას გაუგზავნიდნენ.

იმ დღეს კი სადისკუსიო განწყობილება იგრძნობოდა თბილისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის თავშესაყრელ დარბაზში, რომელსაც ერთი კარი ჰქონდა, ორი ფანჯარა და სარდაფიდან ქუჩაში გასასვლელი, თუ სახიფათო ვითარება შეიქმნებოდა. კომიტეტის სხდომაზე ერთი დასის ორ მოკამათე ჯგუფს მოეყარა თავი ევროპიდან მოწვდენილი ამბების განსახილველად.

ნოე ჟორდანიაც იქ იყო. იგი თავს ყველაზე დაჯერებულად გრძნობდა და საზღვარგარეთიდან ახლად დაბრუნებული ცდილობდა თავის მხარეზე გადმოეყვანა, ვინც საქართველოში სიხარულით შეეგება სოციალისტური მოძღვრების ახალმოდენილ სიოს.

ნოემ იქაურობას გადახედა და შეგირდული კითხვა მისცა:

— თქვენი აზრით, რა არის სოციალ-დემოკრატია?

ნოე რამიშვილი არც დაფიქრდა, ახარა:

— მუშათა პარტია...

— უფრო ზუსტად? — კითხვა გაუმეორა ჟორდანიამ.

— რევოლუციური ორგანიზაცია! — უფრო გაუბედავად დაამატა ნოე ხომერიკმა.

კობამ ორივეს ნათქვამი აინუნშიც არ ჩააგდო და შეახსენა:

— სოციალიზმის იდეისა და მუშათა მოძრაობის შეერთება, — აი რა არის სოციალ-დემოკრატია... არც მეტი, არც ნაკლები!

ჟორდანიამ ორივე ნოეს გაუღიმა, გულში მოუწონა ბუნდოვანი პასუხი, კობას ფორმულირებაზე კი აილეწა. მერე ახალგაზრდა მოპაექრესკენ დაიხარა და ახალი კითხვა დასვა:

— მაგრამ ვინ გახდება მაოი შემაერთებელი?

— რა თქმა უნდა, რევოლუციონერთა პარტია.

— არა, ორგანიზაცია!.. პარტია მეორადია! — გაწელა ბოლო სიტყვა და აზრიც გააბუნდოვნა. — პარტია არის ადამიანთა კრებული, რომელიც საერთო მიზანს ისახავს.

— მარტო საერთო მიზანს?

ნოე დაფიქრდა, თვალები ჭერში აჰყარა, თითქოს სათქმელი სიტყვის ჩამოწყვეტას ლამობსო.

— დიახ, საერთო მიზანს! პარტიის დამახასიათებელი თვისებაა საერთო მიზანი და საერთო მოქმედება. ორგანიზაცია ის დედაბოძია, რომელზედაც დაყრდნობილია პარტია.

აბელ ენუქიძე შეიშმუშნა:

— სადაურს ლაპარაკობ, ნოე?!

— იქაურს!.. ვერ ხედავ? — მიახვედრა წულუკიძემ ზღვის გადაღმა ქვეყანაზე.

— სად გაგონილა პარტია უორგანიზაციოდ ანდა ორგანიზაცია უპარტიოდ? — გაიკვირვა წულუკიძემ.

— ევროპაში! — მიუგო ჟორდანიამ, — ყოველ ნაბიჯზე შეხვდები!.. ორგანიზაცია ის დედაბოძია, რომელზეც დაყრდნობილია პარტია. შეიძლება მას არ ჰქონდეს მკაფიოდ გამორკვეული პროგრამა, დაწვრილებით შემუშავებული ტაქტიკა, მაგრამ ეს კიდევ ვერ შეაჩერებს მის მოღვაწეობას.

წულუკიძემ ხელები გაშალა:

— მე კი ვფიქრობ, სწორედ გარკვეული პროგრამა და დაწვრილებით შემუშავებული ტაქტიკაა საჭირო ნამდვილი პარტიის შესაქმნელად.

ჟორდანია თავისაზე იდგა.

ევროპიდან დაბრუნებულს უცხოური ყაიდის ტანსაცმელი ეცვა, ჰალსტუხიც იმათებურად გამოენასკვა და ახლა თეორიულ საკითხებსაც იქაურ თარგზე ბლანდავდა, ხლართავდა, ხალხს თვალს არიდებდა. ძნელი იყო მისი მზერის დაჭერა, გულნადების ამოკითხვა. სიტყვებს ისეთს ისროდა, რომ რევოლუციურს ჰგავდა, არსით კი ასეც გაიგებოდა და ისეც, ვისაც როგორ მოუხდებოდა, ვინც რა მხრიდან მიუდგებოდა. ისინი, ვინც ნაჩვევი იყო აზრის ასკინკილა ხტუნაობას, და წაწოლა-გაწოლას, ხალისით უხვდებოდნენ და მერყეობით დიდი ნოეს ჭიშკრისაკენ მიირწევდნენ, რომლის მიღმა რა დახვდებოდათ, ამას ვერა სჭვრეტდნენ და არც ჩაწვდომის სურვილი ჰქონდათ, განსაკუთრებით ორნი გამოერჩნენ „აქაურებს“ შორის, ხელგაშლილად რომ შეეგებნენ, მაგრამ იმდენად ანგარიშმიუცემლად, რომ თანამეგობრის, რაჟდენ კალაძის გაკვირვებაც გამოიწვიეს:

— კაცო, შენ და ნოე რამიშვილს გაკაჟებულ ინტელიგენტებად მოგქონდათ თავი, ახლა რა დაგემართათ?! — გაუწყრა ნოე ხომე-

რიკს. რომელსაც ჩვევად ჰქონდა რამიშვილის იდეური ამფსონობა და ახლა ორივე უკვე მესამე ნოეს ემონებოდნენ.

ნოე რამიშვილმა ნოე ხომერიკის დაბნევა იგრძნო და წაეშველა:

— გაკაუება იმას როდი ნიშნავს, რომ მუდამ ერთ აზრს ადგე! არც ბოლშევიკები მისდევენ ერთ აზრს. უცვლელად! მდგომარეობა იცვლება და ტაქტიკაც ენაცვლება! მერე მოვლენების კვალობაზე ისიც კაუდება, მტკიცდება, მაგრამ სამუდამოდ როდი ქვავდება. დროა ასეთი! ინტელიგენტების ნააზრევი მუშათა ორგანიზაციას რად უნდა დავაძალოთ? ამით ორივეს ვავნებთ! რა სჯობიან, თუ მთავარი არსიდან დავიწყებთ, რევოლუციური ორგანიზაციების სადღეისო მღელვარებას გავყვებით, ტალღას წინ კი არ დავუდგებით, — ქეჩოზე მოვექცევით, მკლავს ისე მოვუსვამთ, რომ სამშვიდობოზე გავიდეთ. ნუ შევშინდებით, — თუ მეტი დრო დაგვჭირდება, ვინემ პირდაპირზე შეტევით. ამას ჰქვია ტაქტიკა! ტაქტიკა პარტიამ უნდა შეიმუშაოს, მაგრამ თავს კი არ მოვახვიოთ! ვურჩიოთ, თანაც გავაფრთხილოთ: არ იჩქარონ, არ დაიღალონ, ენთუზიაზმით არ გადაიწვან, თუ მართლაც გვინდა, რომ რევოლუციის მეცხრე ტალღას გავამარჯვებინოთ, ინტელიგენციისა და მუშების შეერთებული ბრძოლის უნარიც შევინარჩუნოთ, ზღვის ტალღებში არ ჩავყურყუმალავდეთ, არ ჩაგვიტანოს, არ ჩავიხრჩოთ, ნაპირზე გავიდეთ, ან გავერიყოთ მაინც. იმას, რაც ნოე ჟორდანიამ დაბეჭდა ფილიპე მახარაძის ჟურნალ „მოგზაურში", უყოყმანოდ ვუერთდები! მარჯვედ უნდა მოვიქნიოთ ნიჩბები, რომ ქარიშხალამოვარდნილ ზღვის ტალღებში ნავი დაუღუპავად ვატაროთ.

ნოე რამიშვილმა გაიფიქრა — ალო გავიტანეო!

— სად გეგულება ეგ შენი სამშვიდობო ნაპირი? ტაქტიკისა და პროგრამის შეუმუშავებლად რა მაშველი შუქურა უნდა გაიმძღვარო წინ. ღვთისა თუ ეშმაკის წყალობამ იქნებ როგორმე უკაცრიელ ხმელეთზე გაგრიყოს, სადაც ვერც იმ შენს საიმედო ორგანიზაციას ნახავ და ვერც უკან შეუცურდები ბობოქარი ზღვის ტალღას, რაკი ღელვა არ დაცხრება! კომპასის ხმარება და გარკვეული მიმართულების კურსის აღება კი, გატყობ, არც ერთ ნოეს ხელს არ გაძლევთ, — დაჯერებით წარმოთქვა კობამ.

რამიშვილი აჭარხლდა:

— რატომ გეოცია, რომ მარტო ჩვენ, სამ ნოეს, გვაწუხებს, — სხვებსაც... ბოლშევიკებსაც! ყველანი ნოეს კიდობნელები ვართ და მაშინვე გავიფანტ-ეამოვიფანტებით, როცა წარღვნის დროს ცალ-ცალკე ამოვყოფთ თავს ცოდვილ ხმელეთზე ერთმანეთზე ადრე გადახტომით! ჟურნალი „მოგზაური“ ჟორდანიას ორგანო არ არის!.. კარგად იცით, ვისიც!.. ფილიპეა რედაქტორი. მაშასადამე, ისიც მხარს უჭერს ნოეს აზრს, თორემ რად დაუბეჭდავდა?!

— ფილიპემ ხათრი ვერ გაუტეხა, — თბილისის მართლმადიდებელთა სასულიერო სემინარიაში სამღვდლოდ ერთად სწავლობდნენ, ვარშავის ვეტერინარულ ინსტიტუტში კი — სოციალისტობას იჩვევდნენ! — გამკენწლავად გადაჭრა კობამ.

ფილიპემ კოპები შეკრა:

— ხათრი რა მოსატანია? არ მინდოდა გადამექცია ლეგალური ჟურნალი შინაპარტიული. ფრაქციული კინკლაობის ორგანოდ! ორივე ფრაქციის შეერთების სიკეთე მამოქმედებდა. თანაც სხვაგან სად დაიბეჭდებოდა?

მახარაძე ჩხვლეტას ეგრძნობდა, მაგრამ ითმენდა:

— მემდურებით კიდეც, ჰა! იმიტომ დავბეჭდე, რომ ყველას გაეგო ნოეს მცდარი აზრი! რომ არ დამესტამბა, რას მიხვდებოდით! განა ცუდად მოიქეცი, საქვეყნოდ გამოვაჭენე მისი შეცდომა. თქვენს ყბაში ჩავაგდე. ავალაპარაკეთ.

ყველას ენა შეეცვალა, ჩაფიქრა, ფილიპეს ნათქვამმა დააჯერა. დაეშვიდა: „ძაან ოინი გაუკეთაო“, „კარგი მახე დაუგო!“ — ერთნი კმაყოფილნი დარჩნენ, მეორენი დაეჭვდნენ: „შენ შენი სთქვი, ნოემ კი თავისი გაინაღდაო“, გადაგდებულ ანკესს ორი ნოე ნაინც წამოეგო და სხვა მრავალი ნოეც ამოჰყვებაო. დღემდე თუ ცოტანი იცნობდნენ პარტიის არსის ნოესეულ განმარტებას, ახლა ათასნიც გაიგებენ. ხვალ ათი ათასნიც გაჰყვებიანო! ამას ხმამაღლა არ ამბობდნენ, მაგრამ ერთმანეთის შემხედავნი ამნაირ საფიქრალს მისცემოდნენ, ფილიპემაც იგრძნო და თავის ნათქვამს თვითონვე წაეშველა:

— ხაფანგს მიგებთ! მაგრამ თვალს რაღაზე ხუჭავთ? ნოეს წერილს კბილი სწორად დაადგით, მაგრამ ლამის მეც თანამგრძნობად გამომიყვანოთ: დაუშვათ. დაგიჯერათ მკითხველმა. ამავე „მოგზაურში“ როი ფელუკიძის პასუხიც დავბეჭდე ჟორდანიას მცდარი დე

პულებების გასაკრიტიკებლად. ამაზე კრინტს რატომ არა სძრავთ! რა ასეთი კეთილი მოსაზრება გაყუჩებთ ჩემი ან ნოეს მიმართ?

ნოეებმა ერთმანეთს გადახედეს საშველად, სხვებმა ფილიპეს შეხედეს — გვიხსენიო, კობამ კი სამივე ნოე ცალი თვალით მონუსხა და ორივე მხარე გაჰკენწლა:

— ყველანი სცდებით! წულუკიძე გამოდგა ალალი ბოლშევიკი. „მოგზაურის“ რედაქტორსაც და მის ვარშაველ ძველ მეგობარსაც ყური აგიწიათ... ჭირვეული ხალხი ხართ! გაგიგიათ, პარტიაში უთანხმოებაა და ახირებულხართ. გინდა თუ არა, ყველგან და ყოველთვის უთანხმოებაზე უნდა ილაპარაკოთ! გინდა თუ არა, მარჯვნივ და მარცხნივ ბოლშევიკებს უნდა გვაგინოთ!.. წარამარა გვლანძღავთ, ლამის ქადაგად დაცემულხართ. აღმა თუ დაღმა, სახლში თუ გარეთ,—ყველგან ერთსა და იმავეს გაჰკივით: ერიდეთ „უმრავლესობას“, ისინი გიაურები არიანო!.. მაგრამ რა დაგიშავეთ, „ბოლშევიკებმა“? ასე რატომ გაბრაზებულხართ მენშევიკები?

შეცბუნებულმა ნოე ხომერიკმა რამიშვილს შეხედა და აზრს დაესესხა. მერე კობას მიუტრიალდა.

— ვინაა გაბრაზებული?! მშვიდად ვიმსჯელოთ. არ გეგონოს, გუნდრუკს ვუკმევდეთ სტიქიურ მოძრაობას, მაგრამ რა საჭიროა მუშათა მოძრაობისათვის სოციალისტური შეგნების ძალით მიწებება. უჩვენოდაც თავისით გაიკვლევს გზას. მთავარია მოძრაობა. შეგნება მას მიჰყვება. პირველი მთავარია — მ ო ძ რ ა ო ბ ა! მეორე წვრილმანია — შ ე გ ნ ე ბ ა!

— რას ამბობ, კაცო!.. მაშ რაღა დანიშნულება აქვს სოციალდემოკრატიას?! — გაიოცა აბელ ენუქიძემ.

— ის დანიშნულება აქვს, რომ მოქნილ იარაღად გამოადგეს მუშათა კლასს სტიქიურ მოძრაობაში... მე თუ დამიჯერებ, სულაც არაა ჩვენი საქმე სოციალისტური შეგნება შევიტანოთ მუშათა მოძრაობაში, სულაც არაა ჩვენი მოვალეობა წინ გავუძღვეთ მუშებს. ეს უნაყოფო ძალდატანება იქნებოდა. ჩვენი ვალია მხოლოდ ყურს ვუგდებდეთ მუშათა მოძრაობას, სწორად აღვნუსხავდეთ, რაც კი საზოგადოებრივ ცხოვრებაში ხდება.

კობას დამცინავად აღმოხდა:

— ერთი სიტყვით, კუდში მივჩანჩალებდეთ სტიქიურ მოძრაობას?! იფ, კარგ მადაზე კი მოსულხარ!

რამიშვილი გადაუდგა:

— მუშათა კლასმა ზოგიერთ ქვეყანაში თვითონ შეიმუშავა სოციალისტური იდეოლოგია, მეცნიერული სოციალიზმი და თვითონვე შეიმუშავებს დანარჩენ ქვეყნებშიც.

კობამ არ დააყოვნა:

— ღრმა შეცდომაა! მეცნიერული სოციალიზმი რომ შეიმუშაო, ამისათვის საჭიროა წინ მიუძღოდე მეცნიერებას. საჭიროა შეიარაღებული იყო მეცნიერული ცოდნით და საფუძვლიანად ირკვევდე ისტორიული განვითარების კანონებს! მუშათა კლასს კი, სანამ ის მუშათა კლასად დარჩება, არ ძალუძს სათავეში მოექცეს მეცნიერებას, წინ წასწიოს ის და მეცნიერულად იკვლიოს ისტორიული კანონები. ამისათვის არც დრო აქვს და არც საშუალება! მეცნიერული სოციალიზმი მხოლოდ ღრმა ცოდნის საფუძველზე შეიძლება აღმოცენდეს. მეცნიერების მატარებელი კი ბურჟუაზიაა და არა პროლეტარიატი.

— ვერ დაგეთანხმებით! პეტერბურგელ მუშებს სოციალ-დემოკრატიული შეგნებაც ჰქონდათ, — შეახსენა სილიბისტრო ჯიბლაძემ. მაგრამ კობამ შეაწყვეტინა:

— ეგეც შეცდომაა! არ ჰქონდათ ასეთი შეგნება, არც შეიძლება ჰქონოდათ! სოციალ-დემოკრატიული შეგნება მხოლოდ გარედან შეიტანება. ყველა ქვეყნის ისტორია ამტკიცებს, რომ მუშათა კლასს შეუძლია შეიმუშაოს მხოლოდ ტრედუნიონისტული შეგნება, დარწმუნება იმაში, რომ საჭიროა კავშირების შედგენა, მეპატრონეებთან ბრძოლა, მოთხოვნა — მთავრობისგან ამა თუ იმ სასარგებლო კანონების გამოსაცემად. სოციალიზმის მოძღვრება კი შეიმუშავეს შეძლებულ კლასთა განათლებულმა წარმომადგენლებმა. ინტელიგენციამ! თანამედროვე მეცნიერული სოციალიზმის დამაარსებელნი, მარქსი და ენგელსიც, ბურჟუაზიულ ინტელიგენციას ეკუთვნოდნენ!

— მაშ გამოდის, რომ მუშები კაჭკაჭები ყოფილან! — გაჰკვესა ნოე ხომერიკმა.

— პრუდონი და ვეიტლინგიც თუთიყუშები?! — მიაპირა აბედი ნოე რამიშვილმა.

— შეგნებული პროლეტარიატი კი სულაც ბნელი და უცოდინარი?! — გააყოლა სიტყვას გამკილავი ღიმილი ნოე ჟორდანიამ.

— არა, ასე სულაც არ გამოდის! — ხელი აუკრა კობამ თავის

ბალში გადმოგდებულ კენჭს და პასუხად ლენინის სიტყვები გაუბრუნა, — მუშებიც მონაწილეობენ სოციალიზმის მოძღვრების შემუშავებაში, მაგრამ არა როგორც მუშები, არამედ როგორც სოციალიზმის თეორეტიკოსები; დიახ, როგორც პრუდონები და ვეიტლინგები. ერთი სიტყვით, მონაწილეობას იღებენ იმდენად, რამდენადაც მათთვის შესაძლოა შეიარაღდნენ თავისი დროის ცოდნით!

რამიშვილმა ხელისგული შუბლთან ბრტყლად მიიდო „ისტორიის შორეთში გაიხედეო", — შეახსენა კობას:

— ბაბაია, მეცნიერული სოციალიზმის ხსენებაც არ იყო, მუშები კი იბრძოდნენ!

კობამ დააფიქრა:

— კარგად დაუკვირდი, — რა არის მეცნიერული სოციალიზმი მუშათა მოძრაობის გარეშე? — კომპასი, რომელიც შეიძლება უხმარებლად დაჟანგდეს და წყალში გადასაგდები გახდეს!

რა არის მუშათა მოძრაობა უსოციალიზმოდ? — უკომპასო გემი, რომელიც ისეც მიატანს მეორე ნაპირს, მაგრამ კომპასი რომ ჰქონდეს, უფრო ჩქარა მიადგება ნაპირს და უფრო ნაკლებ ხიფათს შეხვდება...

შეაერთეთ ორივე, და მიიღებთ შესანიშნავ გემს, რომელიც სისწორით გაექანება მეორე ნაპირისკენ და უვნებლად მიაღწევს ნავსადგურს:

შეაერთეთ მუშათა მოძრაობა სოციალიზმთან, და მიიღებთ სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, რომელიც პირდაპირი გზით გასწევს „აღთქმული ქვეყნისკენ".

ამიტომ სოციალ-დემოკრატიის ვალია შეუერთოს სოციალიზმი მუშათა მოძრაობას, შეიტანოს მოძრაობაში სოციალისტური შეგნება და, ამგვარად, სოციალ-დემოკრატიული ხასიათი მისცეს მუშათა სტიქიურ მოძრაობას!

ამას ამბობს ლენინი, — მოამრგვალა კობამ, მაგრამ ჟორდანიამ ფანჯანი პალო დასვა:

— ლენინი სხვასაც ამბობს. მუშათა მოძრაობას თუ სოციალისტური იდეოლოგია არ ახლავს, დაღუპვისაკენ მიდის!

— მასე წერენ ნამდვილი მარქსისტები! — მიეშველა ნოე რამიშვილი.

— ჰორია! მოცლილთა ჰორი, ასეთი რამ ძალად-მარქსისტებს

თუ მოუვათ თავში! მიკვირს, თქვენ რატომღა იმეორებთ? თომცა რას გერჩით. მე წაკითხული მაქვს თქვენი სტატია „რა არის პოლიტია?“ სწორედ იქიდან მოდის ეგეთი ჭორი, — აიმრიზა კობა.

— დიახ, ახლაც იქ ნათქვამზე ვდგავარ! — მშვიდად დაუდასტურა ჟორდანიამ და დანარჩენმა ორმა ნოემაც ტაში როდი დაინანა.

— რაკი პირი შეგიკრავთ, მითხარით, გეთაყვა, რატომ კიცხავთ „უმრავლესობას?“ იმიტომ ხომ არა, რომ მეორე ყრილობაზე უმცირესობაში მოხვდით?!

პირველმა ნოემ კისერი მოიღერა და სხვა ნოეებმაც თავი აიღერეს:

— იმიტომ, რომ ჩვენს „უმცირესობას“ არ მოსწონს თქვენი „უმრავლესობის“ პოზიცია!.. სწორ პოზიციას არ ადგახართ. ძირფესვიანად ეწინააღმდეგებით მარქსიზმს.

— მართლა?! მერე, სად, როდის, რომელ პლანეტაზე დაინახეთ ჩვენი ასეთი უმარქსისტობა?!

— წაიკითხეთ ჩემი ნაწერები, თუ ტყუილს ვამბობ! — გადასცინა ჟორდანიამ.

— კეთილი და პატიოსანი. წავიკითხოთ, გავნათლდეთ.

კობამ „მოგზაურის“ ნომერი გაშალა და «ან»-ის ფსევდონიმით ჟორდანიას ნაწერი ამოიკითხა:

— „უმრავლესობას“ „უმცირესობა“ გამტყუნებთ იმაში, რომ საკუთარ თავს აცხადებთ პარტიის უფროსად! სხვების მორჩილებას თხოულობთ. თქვენი თავის გასამართლებლად ახალ თეორიებს იგონებთ, როგორც მაგალითად, «მუშა-ხალხი თავის ძალღონით ვერ შ ე ი თ ვ ი ს ე ბ ს მაღალ იდეალებს».

კობამ გაზეთი წინ დაიდო, უსწორ-მასწორო ადგილები თვალწინ გაიშალა და გულისფიცარზე დაწერილივით ნოეს მიუთვალა:

— საიდან მოიტანეთ ჩვენი ეგეთი თეორიები?! „უმრავლესობას“ არასოდეს არ უთქვამს მაგისთანა რამე!.. პირიქით, ლენინი გარკვევით ლაპარაკობს; მუშა-ხალხი ძალიან ადვილად ი თ ვ ი ს ე ბ ს, ხაზს ვუსვამ სიტყვას, ი თ ვ ი ს ე ბ ს მაღალ იდეალებს, ძალიან ადვილად ითვისებს სოციალიზმს.

ლენინის ეს სიტყვები თქვენც გექნებათ წაკითხული წიგნში „რა ვაკეთოთ?“ მაშ რატომღა გვიხირდებით? საიდან გამოატყვრინეთ ასეთი უცნაური ალმოჩენა?!

ლენინის ორი სხვადასხვა სიტყვა განგებ გააერთიანეთ და გგონიათ დაგვაბნევთ?

ლენინი სხვას ამბობს, — მუშათა კლასი თავისი ძალღონით ვერ შეიმუშავებს მეცნიერულ სოციალიზმსო: სად „შემუშავება“ და სად „შეთვისება“! აი ამაზე იტყვიან სწორედ, — საიდან სადაო, წმინდა საბაო!

ნოეც თავს არ ირცხვენდა, ცალკე სიტყვებს ჩაბღაუჭებული, მარქსის რომელიმე ჭეშმარიტ დებულებას თავდაყირა აყენებდა და ფოხს გასვლას ლამობდა. კობა კი იმის ფანდებს თავის სარმას უხვედრებდა:

— ეგეთი ხერხით იმ ცენზორს მაგონებთ, რომელსაც უთქვამს: „მამაო ჩვენო“ მომეცით, ნება დამრთეთ ერთი ადგილი ამოვიღო იქიდან და დაგიმტკიცებთ, რომ მისი შემდგენი ჩამოსახრჩობიაო: სახრჩობელაზე გასაყვანია ქრისტეც, თუ იმის ნათქვამს გავიხსენებთ:

«ნუ გგონიათ, ვითომ დედამიწაზე მშვიდობის მოსატანად მოვედი: არა მშვიდობის, არამედ მახვილის მოსატანად მოვედი... რადგან მოვედი, რათა წავკიდო კაცი თავის მამას, ასული — თავის დედას და რძალი თავის დედამთილს».

არა, ქრისტე ასე არ იტყოდა! ალბათ, ქრისტეს მოციქულ მათეს პერიფრაზია.

ავი მოციქულობა გაუწია მათემ თავის წამებულ მეუფეს. თქვენც, ნოე-ბატონო, მარქსის მოციქულობა გითავიათ და მისი სიტყვების პერიფრაზით ლამის ცოდვის ჯვარს აცვათ... შეეშვით, მაღლა ღვთის და დაბლა მარქსის გულისთვის... თქვენი უპრინციპობა იმაშია, რომ „უხასიათო ბარიშნასავით“ იჭაჭებით, ქათინაურებს ითხოვთ, პირველობა გინდათ მოიპოვოთ პარტიაში. კინკლაობთ! რამდენიმე პრინციპი გიდევთ ჯიბეში და როდესაც რა დაგჭირდებათ, იმას ამოიღებთ ხოლმე. ამაზე იტყვიან სწორედ — „ასე, ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო“...

— უპრინციპოებს ვერ დაგვარქმევთ, კობა... პრინციპულად გეწინააღმდეგებით, რაა ამაში ცუდი? — აიჩეჩა მხრები ხომერიკმა.

— მაშ რა დავარქვათ ამ თქვენს თქმა-გადათქმას, ამ მუდმივ ტორტმანსა და რყევას, თუ არა უპრინციპობა და ოპორტუნიზმი? განა შეიძლება ნამდვილი სოციალ-დემოკრატი ასე წაღმა-უკუღმა იცვლიდეს აზრს? ასე ხომ ხელსახოცებსაც არ იცვლიან!

— თუ ასეა, ჩვენს მხარეზე რად არიან მუშები ზოგიერთ ქალაქში? — დაიმშვიდა თავი ხომერიკმა.

კობამ მოგვერდით წამოიკიდა:

— დიახ, მართლა „უმცირესობის“ მხარეზეც არიან მუშები ზოგიერთ ქალაქში, მაგრამ ეს არაფერსაც არ ამტკიცებს! რევიზიონისტების მხარეზედაც არიან მუშები გერმანიის ზოგიერთ ქალაქში, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ მათი პოზიცია პროლეტარულია, ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ოპორტუნისტები არ არიან. ერთხელ ყვავმაც იშოვა ვარდი, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ყვავი ბულბულია! ტყუილად კი არაა ნათქვამი: „რა ყვავი ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“.

— მაშ პლეხანოვიც უპრინციპო და ოპორტუნისტი ყოფილა, „უმცირესობის“ მხარეზე რომ გადმოვიდა! — ჩაიცინა რამიშვილმა.

— ეგეც საკითხავია, როგორ და რატომ? პლეხანოვი ლენინის მხარეს იჭერდა და თუ მერე გადაუდგა, ისევ გამძვინვარებული უმცირესობის ბუნტს მოერიდა. დათმობა მოითხოვა და თავი გაიმართლა:

„იცით, არიან ისეთი ჭირვეული ცოლები, რომლებსაც აუცილებლად უნდა დაუთმო, თუ ისტერიკისა და დიდი საჯარო სკანდალის აცილება გინდა თავიდანო“.

ლენინმა კი უპასუხა:

«შეიძლება, მაგრამ ისე უნდა დაუთმო, რომ ძალა შეირჩინო, თორემ მოსალოდნელია უფრო დიდი სკანდალი დაგატყდეს თავსო».

ჟორდანია აიშალა:

— მაინც ვიმეორებ, „უმრავლესობა“ იდეალიზმის გზას ადგიხართ! თქვენი პოზიცია მარქსიზმს ძირიანად ეწინააღმდეგება!

კობამ დააწყნარა:

— „უმრავლესობა“ ნამდვილ მარქსისტულ გზას ადგას, და თუ ეს ვერ გაგიგიათ „უმცირესობას“, იმას ნიშნავს რომ ნამდვილ მარქსიზმს თვითონვე ასცილებიხართ!

დარბაზი უფრო დაიძაბა.

ნოე ხომერიკმა ნოე რამიშვილს გადახედა და ორივემ ნოე ჟორდანიას შეჰღაღადეს:

— აქ ძალიან ცხელა!

ნოემ პიჯაკი მაინც არ გაიხადა. ისედაც გაშიშვლებული იყო.

ავადმყოფი წულუკიძის ჯანმრთელობის მოსაკითხად მშვიდად მივიდაენ, მაგრამ ცხარე კამათი კი გამოუვიდათ.

— ეროვნული თავისუფლება ნაწილია საერთო-დემოკრატიული თავისუფლებისა და მას, ეროვნულ თავისუფლებას, არ შეუძლია დაიმორჩილოს მთელი სოციალ-დემოკრატიული თავისუფლება! ამიტომ ყოველთვის, როდესაც კი ეროვნული და საერთო-დემოკრატიული ინტერესები ერთმანეთს უკავშირდება, ეროვნულმა ინტერესებმა უნდა დაუთმოს! — სუსტი სმით, მაგრამ დაჯერებით ჩამოასხა თავისი აზრი ავადმყოფმა და, კიდევ რომ გაეგრძელებინა საუბარი, ლოგინში გვერდი იცვალა, ხველა აუტყდა; მამამისმა ჩაის კოვზით თაფლნარევი წყალი მოასვა და თავქვეშ ბალიში გაუსწორა.

საშამ სული მოითქვა, თვალები გაუბრწყინდა და სტუმრად მოსულებს გაეღიმა. იმათაც სიხარული აღებეჭდათ სახეზე, შეატყეს, რომ ავადმყოფს ეწადა საუბარის გაგრძელება; არჩილ ჯორჯაძემ არ დააყოვნა. და ჰკითხა:

— რატომ მოითხოვ ეროვნული ინტერესების დათმობას? მაგიერში რას აძლევ დაჩაგრულ ერს?

— იმიტომ, რომ პროლეტარიატის დემოკრატიული პროგრამა საკვლევით შეიცავს დაჩაგრული ერების ინტერესებს, ეროვნულ თავისუფლებასაც, ამ ერებს სრული ნდობით შეუძლიათ გაპყვნენ პროლეტარიატს დემოკრატიისათვის ბრძოლაში!

— საშა, ნუ ივიწყებ სხვა ქვეყნების მაგალითს, შეძლებული კლასების ერის მამობას ევროპაში.

— არცა ვფიქრობ დავივიწყო იმათი დამსახურება, თუმცა ვერც ნამდვილი მამობა გასწევს, იმიტომაც ვერ გაიხარა იმ ქვეყნებში პროლეტარიატის გათავისუფლების პროგრამამ! მაგრამ თუ მაშინ ევროპაში ბურჟუაზია იყო ერის სულიერი წინამძღოლი, ჩვენში ახლა მატერიალურად ხელმოკლე და გონებრივად ახლად აღორძინებული მშრომელი ხალხია მოძრაობის მოთავე, ჩვენც ამ ხალხის გათვითცნობიერებას ვემსახუროთ უნდა და ამაში ვპოვოთ ჩვენი ეროვნული მოქმედების პროგრამა.

— ვპოვებთ კი მარტო მშრომელი კლასის იმედით? სხვა მთავარზეც ვიზრუნოთ უნდა! — სამშვიდობო კილოთი უპასუხა არჩილმა.

— თავიდათავი საზრუნავი ის უნდა იყოს, რომ რუსეთის სახელმწიფო დემოკრატიულ საფუძველზე აშენდეს და ყველაფერი ის, რაც ამის განხორციელებას ხელს უშლის, უარვყოთ! — მოსჭრა წულუკიძემ და უფრო ღრმად ამოახველა.

— ჩვენი ერის ჯანმრთელობას რას შეუშლის ავტონომიის მოთხოვნა? — ჩაჰყვა ჯორჯაძე.

— ავტონომიის თხოვნა დღეს ხელს უშლის სოციალ-დემოკრატიის პროგრამას, საზიანოა, ამიტომ ვარ წინააღმდეგი!

— რითია საზიანო ავტონომია, საკუთარი კანონები, ქართველების განსაკუთრებული ინტერესები?

— იმით, რომ დადგა სასიხარულო დრო, როცა კავკასიაში ეროვნებათა შორის შური და შუღლი მოისპო! მივაღწიეთ ისეთ ჟამს, როცა ქართველი და სომეხი, რუსი და ებრაელი, თათარი და პოლონელი ძმურად ამხანაგურად, ხელიხელჩაკიდებულნი, ერთი ინტერესით განმსჭვალულნი, საერთო იარაღით აღჭურვილნი კავკასიის ყოველ კუთხეში პროლეტარიატის იდეალისაკენ ესწრაფვიან და მათ შორის უნდობლობისა და უთანხმოების პირობები დღითი დღე ისპობა; თქვენ კი ქართველების განსაკუთრებულ ინტერესებს, კანონებს, ავტონომიას ითხოვთ!

— განა კავკასიაში მცხოვრები ერების ინტერესები გათანაბრდა? ქართველებს სომხის ბურჟუაზია მტრობს, თათრობა და სომხობა ერთმანეთს ყელსა ჰღადრავს, ყველას კი რუსი ბურჟუაზია ჩაგრავს. რომელ ძმობა-მშვიდობიან მისწრაფებაზე ბჭობ, ჩემო საშა?

— მიუხედავად იმისა, რომ ქართველი და სომხის ბურჟუაზია დღესაც კინკლაობს, ქართველი და სომეხი პროლეტარიატი მჭიდრო კავშირით გადაინასკვა, ჩაქრა მათში ეროვნული განხეთქილების ცეცხლი! აი ამ დროს მოგაქვთ ავტონომია და ეს ცეცხლი ისევ ღვივდება. ამიტომ ვამბობთ; დღევანდელ პირობებში პროლეტარიატისათვის ავტონომია საზიანო და სახიფათოა.

ჯორჯაძე არ დაკმაყოფილდა, მაგრამ მწოლიარე ავადმყოფის გადაჯერება არ მოხერხდა. ვერც წულუკიძემ დააჯერა მოპირდაპირე. მანამდე ჩუმად მჯდომი ფილიპე მახარაძე ორივეს უსმენდა და როცა წულუკიძემ სათქმელი მოილია, ავადმყოფს მიეშველა:

— არჩილ, გაიგე, საშა მართალს ამბობს, დღევანდელ პირობებში მშრომელი ხალხის ინტერესები სრულებით იმას არ თხოულობს,

რომ საქართველოს მიენიჭოს ავტონომია! პირიქით, დღეს ისეთი დროა, როცა მთელი მშრომელი ხალხი უნდა შეერთდეს და საერთო მტრების წინააღმდეგ შეერთებული ძალით მიიტანოს იერიში. ერთი სიტყვით, დღევანდელ პირობებში ავტონომიის მოთხოვნა არა მარტო უაზრობაა, მავნებელიც იქნება მშრომელი ხალხის ინტერესებისათვის!

— შენი მიკვირს, ფილიპე. მთელი ქართველი მშრომელი ხალხის სახელით რომ ლაპარაკობ, ჰკითხე მაინც აზრი მშრომელებს?!

ფილიპე შეცბა.

— რატომ მარტო ქართველების, მთელი რუსეთის მშრომელების სახელით ვლაპარაკობ, — დაასხა მდუღარე.

ჯორჯაძემ ახლა თვითონ გადაასხა ცივი წყალი:

— ძალადობ, ფილიპე — ჩემო!

— ფედერალისტები თუ ეკითხებით, ავტონომიას რომ აძალებთ?! — გაუძალიანდა ფილიპე ჯორჯაძეს.

— შე კაცო! ვაძლევთ, ხომ არ ვართმევთ სოციალ-დემოკრატებივით! კარგად იციან: მუშასა და გლეხს, ინტელიგენციასაც დღეს-დღეობით ეროვნული ავტონომია არა აქვთ. მაგრამ თუ მივცემთ მომავალში მაინც, რატომ გვეტყვიან უარს?! ტაშსაც დაგვიკრავენ. თქვენ კი, პირიქით, არც აძლევთ და ჩვენს დანაპირზეც უწყრებით! როგორ გამოგდით ეს, ფილიპე?!

მათი კამათის შემყურე კობა გვერდზე გადგა, წარბებქვეშ გამოხედა, მოკამათენი ჯერ გააშველა, მერე კი ერთმანეთს შეაჯახა:

— დღევანდელობას მომავალთან აჭიდებთ, მაგრამ ორივეს სარმას უდებთ, ყოველ ხილს თავისი დრო აქვს!

ჯორჯაძე ჯუღაშვილის ნათქვამს ჩაეჭიდა და ქარაგმულად ჟორდანიას გადაჰკრა:

— ნოეს ბაღში ხილი ზამთარ-ზაფხულს მწიფს.

— რაფერ?! — გაიკვირვა ჟორდანიამ.

— რაფერ და იმფერ; ერთხანს თავს იკლავდი პროლეტარული ინტერნაციონალიზმისათვის! ფედერალისტებს გვებრძოდი. მაშინ ეროვნული საკითხის საუკეთესო გადაწყვეტად სთვლიდი ამიერკავკასიის საოლქო თვითმმართველობას და უარყოფდი „ეროვნულ-ტერიტორიულ ავტონომიას, როგორც წმიდა ბურჟუაზიულ მოთხოვნას“! მერე, — შენ ხარ ჩემი ბატონი, — ქვეყანას აუწყე — „ქართველი სოციალ-დემოკრატია თავისი ერისათვის თხოულობს

კულტურულ ავტონომიას და არა პოლიტიკურსო"! ბოლოს ეროვნულ-კულტურული ავტონომიის დასაბუთებას მიჰყე ხელი! რა გამოგდის, — ნოეს სამოთხეში უკვდავების ერთ ხეს გინდა უკვდავების ვაშლიც მოასხმევინო, სიბრძნის ხილიც და შხამიანი ძაღლყურძენაც?!

კობას ჩაეცინა:

— ფედერალისტები ტყუილად უწყრებით ჟორდანიას?! ნოეს თავისი ჩვეული მერყეობით სასიცოცხლო ნამი უპკურებია თქვენი „საერთო ნიადაგის" დაგვალული თეორიის მოსასულიერებლად.

— მართალი ხარ, კობა! ამ მხრივ ნოემ დიდი ეროვნული საქმე გააკეთა, ქართველი საზოგადოების გამთლიანებისა და მისი ნაწილების შედუღაბების ჟამი მოიახლოვა! — მწარე სარკაზმში ამოვლებული კმაყოფილებით წარმოთქვა ჯორჯაძემ; მის ორ მიმდევარს კმაყოფილების გამომხატველმა ღიმილმა გაუნათა სახე. მერე პარტიის თავგადასავალი გაიხსენეს და შუბლი შეიჭმუხნეს, — ნოესა და ფილიპეს ის უსაყვედურეს, რაშიც ერთმანეთშიც ვერ რიგდებოდნენ, „მესამედასელების" უმრავლესობა საბრძოლო პროგრამას ევროპულ ყაიდაზე ადგენდნენ, საქართველოს ვითარებას კი არც ითვალისწინებდნენ. ფედერალისტების მოთავემ არჩილ ჯორჯაძემ კი თავისი აზრის განსამტკიცებლად ლენინის გამონათქვამი მოიმარჯვა:

„რუსეთში 43 პროცენტი ველიკორუსია, მაგრამ ველიკორუსული ნაციონალიზმი ბატონობს მოსახლეობის 57 პროცენტზე და ახშობს ყველა ერს... რუსეთში მხოლოდ ლიკვიდატორებს მიაჩნიათ დამთავრებულად ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუცია, ხოლო ყველგან ამქვეყნად ასეთი რევოლუციის თანამგზავრი იყო და არის ეროვნული მოძრაობა. ამიტომ თანამედროვე რუსეთში ერთა თვითგამორკვევის უფლების უარყოფა უეჭველი ოპორტუნიზმია და დღემდე ყოვლად ძლიერი შავრაზმული ველიკორუსული ნაციონალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაზე ხელის აღებას წარმოადგენს".

მერე ოდნავ ჩაფიქრდა და გააგრძელა:

— რატომ მოგაგონეთ ბოლშევიკების ლიდერის სიტყვები? იმიტომ, რომ მეფის რუსეთის ჩაგრულმა უმრავლესობამ წამოაყენა ოდგორც მიწის, ისე ეროვნული საკითხიც! აქედან ვასკვნი: რომელი კლასიც არ უნდა გაუძღვეს რუსეთის რევოლუციას, მართებს დაიწყოს, არა მარტო სოციალური, არამედ ეროვნული საკითხის გა-

დაჭრითაც. დიახ. დიახ. გინდაც რომ პროლეტარიატი გახდეს ნაციოსალ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მეთაური!

— საკვირველია?! — ამოცრა ფილიპემ.

— ნუ გიკვირს, მხოლოდ სოციალისტ-ფედერალისტები განვიხილავთ ამ ორ საკითხს ერთობლივად! სოციალ-დემოკრატები კი ჯიუტობთ, საწინააღმდეგოს ქადაგებთ და სწორედ ამით ავიწროებთ თქვენი თანამოაზრეების წრეს. ამიტომ განზე გიდგებიან მიწის მიღების პრობლემით დაინტერესებული გლეხებიც, მიწების ჩამორთმევით უკმაყოფილო თავადაზნაურობაც და ორივეთა ნიადაგიდან აღმოცენებული ქართველი ინტელიგენციაც, რომლისთვისაც მიწა დედაენაა, თავისუფლება კი — ძიძა, ერთმანეთის თანატოლი პრობლემა!

მერე ფილიპესა და ნოეს ერთობლივად გაედავა:

— განა ჩვენი დროის ქართველი მუშის, გლეხისა თუ ინტელიგენციის რომელიმე კლასობრივი გაფიცვა ისე ჩატარებულა, რომ ეროვნული საკითხი არ მოეთხოვათ, ქართული ენის შეუზღუდაობა არ დაეცვათ?! მართალია, სოციალ-დემოკრატებმა დააყენეთ ეს ორივე საკითხი, მაგრამ მერე მაინც გადაუდექით! სოციალისტ-ფედერალისტებმა კი უფრო მეტად გავაღრმავეთ. თქვენთან ჭიღილში შევიმუშავეთ საქართველოს პოლიტიკური პროგრამა. თქვენ, მენშევიკებმა, — ეროვნულ-კულტურული, ავტონომია დაგვიპირისპირეთ, ბოლშევიკებმა კი ერთა თვითგამორკვევის პროგრამა! ერთმანეთში ვკინკლაობთ და ამით ქართველ ხალხსაც ვაბნევთ! მიუხედავად ამისა, სოციალისტ-ფედერალისტები ჩვენს უმთავრეს ამოცანად ვაცხადებთ ქართველი ხალხის ეროვნული ჩაგვრისაგან განთავისუფლებას! ყოველი სხვა ბრძოლის მიზანი, მათ შორის სოციალური, ამ ერთ მთავარს ექვემდებარება.

— საერთო ნიადაგის თეორიას ქადაგებ? — შეაწყვეტინა ფილიპემ.

— დიახაც! — დაეთანხმა ჯორჯაძე.

— უტოპიაა! — გადაუქნია თავი ფილიპემ.

— პირიქით! მხოლოდ საერთო მოქმედების ნიადაგია ეროვნული და სოციალური გათავისუფლების საიმედო საფუძველი: ქართული ენის დაცვა, ქართული ვაჭრობა — მრეწველობის შექმნა და ქართული მეურნეობის ქართველთა ხელში — აი სამი დიდებოძი, რომლებზეც დაშენდება ჭერი! რუსეთზე ხელს ნუ აშვერ! იქ არ

ულგით ეროვნული დამოუკიდებლობის საკითხი, სოციალურია მათ-
ოვის უპირველესი. ჩვენთან ორივე.

წულუკიძე უსმენდა, სუნთქვა უმძიმდა, გრძნობდა, რომ ჯორჯაძე უფრო ილუზიებით იყო გართული, ვიდრე რეალური გეგმით, რომ-ლის განხორციელებით მართლაც დამყარდებოდა საქართველოში სოციალური და ეროვნული ჰარმონია! ამიტომ წულუკიძემ მღელვა-რედ დაიწყო:

— თქვენ ამბობთ, რომ ქართველი ერი განსხვავდება რუსეთის სხვა ერებისაგან, ეროვნული განსხვავებულობა კი ბადებს ეროვნულ საჭიროებას, რომელსაც ვერ დააკმაყოფილებს შორეულ პეტერ-ბურგში მყოფი მთავრობა, რაც არ უნდა დემოკრატიული იყოს! აქედან გამომდინარე, თქვენ მოითხოვთ კავკასიისათვის საკუთარ პარლამენტს, რომელიც დაგვიცავს ეროვნული შევიწროებისაგან და ამ-ვით ერში დაამყარებს ძმობას, ერთობასა და სიყვარულს. მაგრამ ამავე დროს არც იმას უარყოფთ, რომ თქვენი ეროვნულ-დემოკრა-ტიული პროგრამა ქართველი ბურჟუაზიის ინტერესებს უფრო შე-ესაბამება! როგორღა გნებავთ დაამყაროთ ქართველ მუშებს, გლე-ხობასა და შეიღებულ კლასებს შორის ძმობა, ერთობა და სიყვა-რული? როგორღა შესძლებთ შეანელოთ მატერიალურ განსხვავებუ-ლობაზე აღმოცენებული კლასობრივი ბრძოლის ზრდა?

— თანაგაგებით! თქვენ ჩემს პასუხს შეარქმევთ, ალბათ, ცნო-ბიერების პირველადობის იდეალისტურ თვალსაზრისს, მაგრამ ეს არ შემაშინებს! დიახ, ჩვენ არ ვემყარებით ცალ-ცალკე არც ერთ კლასს — არც თავადაზნაურობას, არც ბურჟუაზიას, არც მუშათა და გლეხთა კლასებს! არც ერთი მათგანი არაა ეროვნული მოძრაობის წამყვანი ძალა ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, ყველას შეერთებაა უმთავრესი! ჩვენ კლასების შეგნებულ მორიგებას ვეყრდნობით და არა მათ შორის კლასობრივ ქიშპს! ქართველ ვაჭარ-მრეწველთა გაძ-რავლება და მუშათა რიცხვის ზრდა ქალაქებში კლასთა ბრძოლის ნიადაგად კი არ უნდა ჩაითვალოს, არამედ აუცილებელ პირობად ჩვენი ხალხის ნაციონალური აღორძინებისა! ქართველი კაპიტალის-ტი, ესე იგი ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დავუპირისპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტებს, რომელ-საც ხელში უჭირავს აღებ-მიცემობის მონოპოლია! ქართველი მუ-შა ასოთამწყობია იგი, თერძი, მეჩექმე თუ კარის დარაჯი — ამავე

ეროვნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალული, — ჩაშიბეჭდა თავისი ნაქადაგარი ჯორჯაძემ.

— სცდებით, არჩილ, თუ გგონიათ, ასეთი გზით მშრომელებს დღევანდელ ეკონომიური და პოლიტიკური ჩაგვრის მძიმე მდგომარეობიდან გამოიყვანთ, ჩაგრულებს მჩაგვრელების კლანჭებიდან იხსნით, — შეახსენა მახარაძემ.

— თქვენ მართალი ბრძანდებით, ფილიპე! ამ სახით შესამჩნევად ვერ გაუმჯობესდება რამდენიმე ხნის განმავლობაში მისი მატერიალური მდგომარეობა, რადგანაც ნაციონალური იარაღით შრომისა და კაპიტალიზმის წინააღმდეგობა ვერ აღმოიფხვრება, მაგრამ ქართველი მშრომელი ხალხი იძულებულია თავისი კერძო ინტერესები საერთო ინტერესებზე დაბლა დააყენოს და მით დაამტკიცოს საზოგადო თვითცნობიერების სიმწიფე!

მერე სხვა პარტიებსაც წაჰკრა მუჯლუგუნი ჯორჯაძემ:

— ეროვნული დემოკრატები მხოლოდ ეროვნული პოლიტიკის გატარებას ურჩევთ ქართველ ხალხს. ჩვენ, ფედერალისტები, ამას ცალმხრიობად ვთვლით! სოციალ-დემოკრატები კი მხოლოდ ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას ეწაფებით, — ჩვენ, ფედერალისტებს, ესეც მიკერძოებად მიგვაჩნია! სულ სხვაა სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამა, — ერთსა და იმავე დროს ეროვნულსა და ინტერნაციონალისტურ პოლიტიკას ვატარებთ!

სასთუმალზე მიყრდნობილ წულუკიძეს ირონიის მკრთალი ნაპერწკალი აუთამაშდა დაღლილ მზერაში და მახარაძეც გაჰყვა:

— ფედერალისტების თქვენი მასეთი პოლიტიკა, წმიდა წყლის ბურჟუაზიული ნაციონალიზმის პოლიტიკაა და არა რომელიმე სოციალისტური პარტიის პროგრამა! — გადაუჭრა ფილიპემ.

ჯორჯაძე მშვიდად შეხვდა პოლიტიკური ოპონენტის რეპლიკას და სოციალ-დემოკრატებისავე პოლიტიკას ამოეფარა.

— ჩაგრული ერის ყოველ ბურჟუაზიულ ნაციონალიზმში არის საერთო-დემოკრატიული შინაარსი ჩაგვრის წინააღმდეგ. ამას ადასტურებს რევოლუციური სოციალ-დემოკრატიის ლიდერი, ბოლშევიკი ლენინი! მარტო ასეთი რჩევაც უნდა გავალებდეთ თქვენ, ბოლშევიკ თუ მენშევიკ ფრაქციონერებს, რომ ჩვენი, სოციალისტ-ფედერალისტების სარევოლუციო პარტიაც, მიიჩნიოთ თქვენს თანამებრძოლად! მით უმეტეს, რომ ჩვენი პარტია, არც კლასობრივი ბრძოლის საჭიროებას ამდაბლებს, აჯანყებულებისათვის იარაღის

დიდი პარტიაც შემოვიტანეთ უცხოეთიდან და ამითაც სოციალ-დემოკრატებს გვერდში გიდგეგვართ!

კამათი ერთხანს მინელდა.

მერე ისევ ნოემ წამოიწყო. თითქოს იმისათვის, რომ სასთუმალზე უღონოდ თავმიდებული ავადმყოფი საკამათო ჟინით ფეხზე წამოეყენებინა.

— მე ისიც მაწუხებს, რომ თქვენი უმრავლესობა, ბოლშევიკობას რომ ირქმევთ და გესახელებათ, სასახელოდ არ იქცევით, — მუშათა კლასის ეკონომიური მდგომარეობის გაუმჯობესებას აბუჩად იგდებთ, გსურთ პარტიულ კომიტეტში მხოლოდ ინტელიგენტები შევიდნენ, რომლებიც მხოლოდ პოლიტიკით არიან გატაცებული. თქვენი აზრით პარტია სახელმწიფოა, სადაც ყოველივე ბიუროკრატიულად და იერარქიულად კეთდება და საქმის წარმოება ბრძანება — მორჩილებაზე შენდება!

საშა წულუკიძე ნერვიულად უსმენდა, ასე ეჩვენებოდა, რასაც ნოე ლაპარაკობს — ჭორი და მოგონილიაო.

— ერთი გვიბრძანეთ, გეთაყვა, რომელმა ბოლშევიკმა თქვა, რომ ყოველივე ბიუროკრატიულად და იერარქიულად კეთდება და საქმის წარმოება ბრძანება-მორჩილებაზე შენდება? როდის უარყვეს ბოლშევიკებმა კლასის მოწინავე ადამიანების მონაწილეობა პარტიაში? არსად და არასოდეს! პირიქით, ბოლშევიკების ცნობილი ლიდერი ლენინი კარგა ხანია უთითებდა ამას, კარგა ხანია სამოქმედო ორგანოების მოწყობის დროს ურჩევდა, რაც შეიძლება მეტი მოწინავეები კლასისა უნდა შედიოდეს სამოქმედო ორგანოებშიო. რად დაგჭირდათ ფაქტების არევ-დარევა?!

— ამ საკითხის ამრევ-დამრევებმაც კარგად იცით ბოლშევიკების დამოკიდებულება ჯერ კიდევ მეორე ყრილობამდეც. განა არ გახსოვთ ლენინის მოთხოვნა. „რომ კომიტეტში რაც შეიძლება მეტი რაოდენობით შეგვეყვანა მუშები“. პარტიის მესამე ყრილობაზეც არ დაუშვა ინტელიგენციის როლის არც შეუფასებლობა, და არც გადაფასება, — გადაუდგა კობაც.

ჟორდანიამ უმალ მოაგონა:

— კამენევის გამოსვლა გაიხსენეთ, კობა! ბათუმის კომიტეტიდან წარგზავნეთ მესამე ყრილობის დელეგატად და სწორედ იმან თქვა, რასაც წულუკიძე მეკითხება — „რომელმა ბოლშევიკმა თქვაო“.

მაგრამ კობამ მკაცრად განუმარტა:

— დიახ, კამენევმა განაცხადა, რომ პარტიულ ორგანიზაციებში არ დგას მუშებისა და ინტელიგენტების ურთიერთდამოკიდებულების საკითხიო, რომელსაც თავგამოდებით იცავდა მენშევიკების ფრაქცია, რაკი სურდათ ჩვენი პარტია ექციათ ინტელიგენტების ორგანიზაციად. მაგრამ ლენინმა მაშინ რეპლიკით უპასუხა — " არსებობს ასეთი საკითხი; კომიტეტში მუშების შეყვანა არა მარტო პედაგოგიური, არამედ პოლიტიკური ამოცანაც არის. მუშებს კლასობრივი ინსტინქტი აქვთ და მცირეოდენი პოლიტიკური ჩვევის დროს მუშები საკმაოდ მალე ხდებიან სოციალ-დემოკრატები. მე დიდი თანაგრძნობით მოვეკიდებოდი იმას, რომ ჩვენი კომიტეტების შემადგენლობაში ყოველ ორ ინტელიგენტზე რვა მუშა იყოს".

— ლენინი ამასაც არ დასჯერდა, — განმარტა კობამ, — სხვაც დაამატა:

— თუ ლიტერატურაში გამოთქმული რჩევა, — კომიტეტებში შეძლებისამებრ შეყვანილ იქნან მუშები, — არასაკმაო აღმოჩნდა, მიზანშეწონილი იქნებოდა, რომ ასეთი რჩევა ყრილობის სახელით იყოს გამოთქმული. თუ გნებავთ ყრილობის ნათელი და გარკვეული დირექტივა, ამით თქვენ გექნებათ დემაგოგიის წინააღმდეგ ბრძოლის რადიკალური საშუალება.

მერე ჟორდანიას მიმართა:

— ახლაც იგივე დემაგოგია მესმის! თითქოს ბოლშევიკები კომიტეტებში მუშების შეყვანის წინააღმდეგი ვიყავით. მართალია, რიკოვმაც წამოროშა: „მუშები ამ საქმისათვის მომზადებულნი არ არიანო!", მაგრამ ლენინმა აღშფოთებით თქვა:

— მშვიდად ჯდომა არ შემიძლია, როცა იტყვიან, ისეთი მუშები არ არიან, რომ კომიტეტის წევრებად ვარგოდნენო!..

მიხა ცხაკაიაც შეუერთდა კობას:

— მეც ვიყავი მესამე ყრილობის დელეგატი! მუშათა და ინტელიგენციის ურთიერთობის საკითხი ჩვენს წინაშე დააყენა ცხოვრებამ. მენშევიკებმა კი დემაგოგიური მიზნებისათვის გამოიყენეს იგი და ამით პარტიის მუშაობის დეზორგანიზაცია გამოიწვიეს. ჩვენ ყოველთვის მხარს ვუჭერდით და ახლაც ვუჭერთ მხარს მოწინავე მუშა სოციალ-დემოკრატების მომზადებას და ვემხრობით მუშაობა მოძრაობის შეგნებული ხელმძღვანელობის მონაწილეობას კომიტეტსა

და სხვა ორგანიზაციებში. ჩვენ ეს ფაქტიურად დავამტკიცეთ კომიტეტების ჩამოყალიბებისა და შევსების დროს!

ბევრისთვის, ადვილად გასაგები იყო სოციალისტ-ფედერალისტების აღიარება, რომ საქართველოც დასდგომოდა პროგრესულ კურსს, კაპიტალიზმის განვითარების გზას, მაგრამ ვერ გარკვეულიყო, როგორ აეცდინა თავიდან კლასობრივი ანტაგონიზმი, რომლის წინააღმდეგად გამოდიოდა არჩილ ჯორჯაძე.

— როგორ ინებებთ ადამიანების ინტერესების შეხამებას, თუ ისინი სხვადასხვა ფენას წარმოადგენენ? — შეეკითხა ბუდუ მდივანი.

— საერთო მოქმედებით!

— ერთმანეთს დაპირისპირებულთა ინტერესების შეგუებით?

— დიახ, სწორედ ეგრე! ქართველი კაპიტალისტი, ესე იგი ვაჭარი და მრეწველი, ქართველ მუშას კი არ უნდა დაუპირისპიროთ, არამედ იმ უცხო ტომის ელემენტს, რომელსაც ხელში უჭირავს ალებმიცემობის მონოპოლია, ქართველი მუშა, ასოთამწყობია იგი, ლერძი, მეჩექმე თუ კარის დარაჯი, ამავე ეროვნული აზრით უნდა იყოს გამსჭვალული-მეთქი.

ბევრი გაოცდა.

— ქართველი და ვაჭარი? მრეწველი და კაპიტალისტი? — სად გაგონილა! ან რომელი წესიერი ქართველი იკისრებს ამ შეუფერებელ მისიის სამარცხვინო გარჯას. როგორიც არის ვაჭრობა?!

ჯორჯაძე ასეთმა კითხვამ გააკვირვა, მაგრამ მაინც მშვიდად წარმოთქვა:

— დადგება ამისი დროც!

— ისეთი დრო, რომ ქართველი კაცი დახლთან დადგეს, საკაჭროში მოიკეცოს ან წარმოებაში ხელები დაიკარწახოს?! დალალობა დაიწყოს თავისავე ერში? ეს წარმოუდგენელია და განუხორციელებელიც!

— უამისოდ სულაც დაიღუპება საქართველო. სხვა ქვეყნები ამ გზით მიდიან. ამპარტავნობა კი სიღატაკის კარამდე მიიყვანს. თავად უნდა აიღოს არშინიც და სასწორიც, ეროც და ქლიბიც, ფულის თვლაც ისწავლოს და ყაირათსაც პატივი სცეს, როგორც მისი ერის საზომავლო ცხოვრებაში წარმატების საწინდარს.

სხვაც ისმოდა:

— ქართველობის ფსიქოლოგიის გამოცვლას ათეული წლები დასჭირდება!..

— არა, ქართველი ვაჭრობას ვერ შესძლებს, წარმოებას ვერ შეეწყობა, მეურნეობის მოთავეთ ვერ გამოდგება. საერთოდ, არც იკადრებს, მით უფრო თავადაზნაურობა, ინტელიგენცია, გლეხკაცობაც კი. ის მცირე, ძალიან მცირე ნაწილი, ვინც ასეთ მაცდურ და სახელშემლახველ გზას მისდევს, ლამის ქართველებად აღარ ჩაითვლებიან თვითონ ქართველების თვალში და ასე იოლად როგორ შეირცხვენენ თავს! რაც შეეხება „მომავალს“, რომელზეც არჩილ ჯორჯაძე და მისი გაზეთის „ცნობის ფურცლის“ გარშემო დარაზმული კალმოსნები ოცნებობდნენ ახალი ცხოვრების ზნეობრივი ნორმები დაამყნონ უცხო ტომის კაპიტალისტურ გარჯაზე, ვინ იცის ასეთი მომავალი, როდის დადგება და, საერთოდ, დადგება კი ოდესმე?!

სულ სხვაა გულთან ახლოს მისატანი ქართული ენისადმი ჯორჯაძის ლაციცი, დაცვა და მოფერება.

— ქართული ენაც არის საერთო ნიადაგის ფესვი! — თქვა ჯორჯაძემ, მაგრამ ამაშიც მხარდაჭერა ვერ ნახა.

— არა! — დაუწუნა აზრი ალექსანდრე წულუკიძემ, — სანამ თანამედროვე ცხოვრების პირობები არსებობს, სანამ მისი ძირითადი უკუღმართობა ფესვიანათ არ ამოთხრილა, მანამ ენაც არ არის „საერთო ნიადაგი“, მხოლოდ მომავალი ერთ დიდ საერთო მოქმედების ნიადაგს“ გვიმზადებს, რომელზედაც ყველა „საფუძვლები“ გამოიცვლება, შური და მტრობა მოისპობა და მუდმივი წინააღმდეგობა ნამდვილ საერთო მისწრაფებად შეიცვლება!..

არჩილ ჯორჯაძე თავისაზე დადგა:

— ქართული ენის დაცვა ერთნაირად რგებს გლეხსაც და ბურჟუასაც.

ალექსანდრე წულუკიძე უფრო მეტად გაუდგა განზე.

— ქართველი ბურჟუაზიისათვის ქართული ენა აუცილებელ საჭიროებას არ წარმოადგენს!

— განა არ სჭირდება საზოგადოებრივ მეცადინეობაში? — გაიკვირვა ჯორჯაძემ.

— არა! მართლმსაჯულებას იგი სხვა ენაზე დაეძებს, მეცნიერებას სხვაგან ეწაფება, უბრალო სავაჭრო რეკლამასაც კი სხვა ენაზე წერს!

— თავის ოჯახში მაინც სჭირდება, — შეახსენა ჯორჯაძემ.

— მისი ოჯახიდან ქართული ენა სრულად განდევნილია, ვით „არა დიდ-კაცური“ ენა, მის ბავშვებს ევროპიელი „გუვერნანტები“ თავს ევლებიან, მხოლოდ საქველმოქმედო მიზნით თუ იწერენ რომელიმე ქართულ გაზეთს; ისიც ხშირად გაუხსნელი დევს საწერ მაგიდაზე და, როგორც ერთმა ქუთათურმა ინტელიგენტმა აღიარა რამდენიმე წლის წინათ ერთ კრებაზე, „შაბათობით, თავის შესაქცევათ“ თუ წაიკითხება. ერთი სიტყვით, ქართული მათთვის ფუფუნებას შეადგენს და ხშირად რომელიმე ოჯახის ქალიშვილი, რომელიც ბავშვობისას ჩვენს სოფლებში შეიძლება ფეხშიშველი ღობეყორეს ედებოდა, დღეს პრანჭიაობით ეკითხება კავალერს „შენ ქართული იცი?“. ქართველი ბურჟუასათვის ქართული ენა საარსებო კითხვას არ წარმოადგენს. ყიდულობს უცხოელისგან, ყიდის უცხოეთში; შინაური ბაზარიც არ თხოულობს მისგან ქართულის ცოდნას ზედმიწევნით: შვილი ქართული ენის ცოდნით მოხელე ვერ გახდება!

ნოე ჟორდანიამ კი ძირფესვიანად უარყო არჩილ ჯორჯაძის ყოველი სიტყვა და ზედ ილია ჭავჭავაძის ღირსებაც დააკლა. ნიჰილიზმის ლახტი მოიქნია და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის მედროშე ილია სულაც აბუჩად აიგდო:

— არა, ჭავჭავაძეს ეროვნულობის დამცველად ვერ გამოვიყვანთ, რეაქციული ლიბერალიზმის წარმომადგენელია და ბატონყმობის დამცველი! იგი ყოველთვის უცდიდა დროს და როცა უმისოთაც შეიცვლებოდა, მაშინ გაილაშქრებდა დაძველებული და უკვე ცხოვრებიდან გამოსული წყობილების წინააღმდეგ.

ჟორდანიას ირაკლი წერეთელიც მიუდგა ქართული ენისა და წარსულისადმი ნიჰილიზმსა და კოსმოპოლიტიზმში. მარქსიზმის ნიღაბაფარებულებმა ყოველგვარ მშობლიურს გაცვეთილი პატრიოტიზმი უწოდეს, კოსმოპოლიტიზმის წყალი მიუგდეს ქართულ წისქვილს და ირაკლიმაც უცხო ხმაზე ააცმაცუნა ტუჩ-ულვაში.

— ქართველი საზოგადოების დიდ ნაწილს ჭირივით ეჯავრება წარსული!

— ეგ რამ გათქმევინა, ირაკლი?!

— იმან, რომ ამ წარსულში არც ერთხელ არ ჩაჰფენია ხალხს გულში ბედნიერებისა და მშვიდობიანობის სხივი. ჩვენი სათაყვანო საკაცობრიო იდეალი და არა გაცვეთილი ქართული პატრიოტიზმი!

— ჩვენი სურვილი დამოუკიდებელი სახელმწიფოს აღდგენა არ არის.

— მაშ რას მოითხოვთ? — ჰკითხა ტიტე ცამიწაძემ.

— ნათლად და აშკარად ვამბობთ: ჩვენ პოლიტიკური სეპარატიზმის მომხრენი არა ვართ! ჩვენი წადილი და მისწრაფება — განსაკუთრებული, საქართველოს პირობებთან შესაფერი, კონსტიტუციის მოპოვებაა!

— გაგვაგებინეთ, რა გსურთ? — ჩააცივდნენ სხვებიც.

— ჩვენ გვსურს დავრჩეთ რუსეთის პოლიტიკური ორგანიზმის ჩარჩოებში, მხოლოდ ამასთან შინაურ საქმეებში გვინდა ვიყვეთ სრულიად დამოუკიდებელნი! ერთი სიტყვით, ჩვენ გვსურს ეროვნული ავტონომია მოვიპოვოთ.

— ადმინისტრაციული ავტონომია?

— არა! ახლა რუსეთის წინაშე შემდეგი პრობლემაა: შემუშავება იმგვარ წესწყობილებისა, რომელიც ერთის მხრივ, მშვიდობასა და თანხმობას დაამყარებს ცენტრსა და განაპირა ქვეყნებს შორის. ეს წესწყობილება, ჩვენის აზრით, რთულ დეცენტრალიზაციის სისტემაზე უნდა იყოს აგებული, ხოლო განმტკიცებული და განვითარებული დეცენტრალიზაცია რუსეთს ფედერაციულ წესწყობილებამდის მიიყვანს!

— ეს თქვენ რას მოგცემთ?

— ჩვენ, ქართველებს, გვგონია, რომ ჩვენი კერძო ეროვნული ავტონომიის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ დიდ პრობლემასთან და ამიტომაც აღვძარით რუსეთის მომავალი ფედერაციის საკითხი!

მესამედასელები წინ აღუდგნენ სოციალისტ-ფედერალისტების პროგრამულ მოთხოვნას. მალაქია ტოროშელიძემ ჯორჯაძის ავტონომიას ფესვი გაუსინჯა და თქვა:

— აქ იგივე საერთო მოქმედების ნიადაგის ძებნაა, საერთო ინტერესების წამოყენება!

მერე სხვა ფანდიც დაინახა და გაიცხა:

— აქ საინტერესო ის არის, რომ მუშა ხალხს კი არ ურჩევთ დათმობის გზას დაადექი და ბურჟუაზია გაამდიდრეო, პირიქით, ბურჟუაზიას და თავადაზნაურობას ურჩევთ მშრომელ ხალხს დაუთმე, კერძო ინტერესები საერთო საქმეს შესწირეო.

ალექსანდრე წულუკიძემაც უარყო ჯორჯაძეელთა მოთხოვნა:

— ჩვენთვის ავტონომია და ფედერაცია დღევანდელ პირობებში მავნებელია!

მოკამათეები უფრო მეტად განეწყვნენ სადისკუსიოდ, ვიდრე მანამდე გუნებაში ჰქონდათ, ავადმყოფის სანახავად მოსვლის წინ, მაგრამ არჩილ ჯორჯაძემ მდუმარება არჩია, ფილიპე მახარაძემ — გაბუტვა, ნოე ჟორდანიამ — ჭერში ახედვა, სოსო ჯუღაშვილმა ყველას გულში ბასრი თვალით ჩახედვა, მაგრამ მანამდე ჩრდილში დარჩენილმა დარჩიაშვილმა ქოთანს სარქველი ახადა და დაიძახა:

— მე, როგორც სოციალ-დემოკრატი, მოვუწოდებ ყველა შეგნებულ პროლეტარებს და ყველა იმ ქართველ სოციალ-დემოკრატებს, რომელნიც პროლეტარიატისათვის ცენტრალიზმს ამ ბოლო დროს ვითომდა უფრო ხელსაყრელად სცნობენ, თავი დაანებონ ორჭოფობას, ერთხელ და სამუდამოდ შეიგნონ, რომ ყველა ერის პროლეტარიატის კულტურულად აყვავება — განვითარებისათვის ფართო თვითმმართველობაა საჭირო, ფართო თვითმმართველობის გამომსახველი კი დემოკრატიული ეროვნული ავტონომიაა!..

დარჩიაშვილის სიტყვებმა სოციალისტ-ფედერალისტების მოთავე ჯორჯაძე გააღიმა. სოციალ-დემოკრატ-ლიკვიდატორების მეგზური ჟორდანია დაადუმა და სასთუმალზე მიდებული ავადმყოფი წულუკიძე დააღონა.

რიონის საღგური

ეპარქიალური სასწავლებლის კურსდამთავრებული ნუცა მიქელაძე პეტერბურგს გაამგზავრეს. დედამისი, კნეინა ლიზა და ახლობლები აცილებენ.

ახალ ცხოვრებას იწყებს ნუცა. სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი უღიმის, მაგრამ ქუთაისზეც წყდება გული. ვერ აუხსნია, რა უფრო ადარდებს — ოჯახის, ტოლ-მეგობრებისა თუ იმ ერთი სემინარიელის დაშორება, შორით რომ ხედავს, მაგრამ ახლოს არ ეკარება.

იმ ლიტანიობა ღამესაც, ვიღაცამ რომ რევოლუციური ფურცლები გადაპყარა ეკლესიაში, უნებლიეთ გაუღიმა, ისიც დააცქერდა და ღვთისმოსავი თვალებით გაბურღა ნუცას გული.

იმ წუთების გახსენება სიზმარსა ჰგავს: ეზმანება და ხარობს,

იღვიძებს და ნაღვლობს. ხვდება: ცხოვრება ნატვრაა, ლოდინი კი — დარდი. ნუცაც სიზმარს ნატრობს, წუხს, წვალობს, გულს ვერ უდებს ვერაფერს, თვალებს ისევ ნაბავს. ზმანების გაქრობა ენანება.

აი, ახლაც ახლოსაა მასთან, მატარებლის ერთ ვაგონში, ქუთაისიდან რიონამდე, სხვებიც უსხედან გვერდით, ქივილ-ხივილით აცილებენ მეგობრები, თანატოლები. ყველა ნუცას შეჰხარის, ეთაყვანებიან. თავად კი მარტო იმას უყურებს, იღრუბლება: ვაგონის ვიწრო გასასვლელში ორნი ერთად ატუზულან და კონდუქტორის გავლა-გამოვლაზე იღიმებიან, იცინიან, ხითხითებენ!.. ნეტავ ვის დასცინიან? რატომ? რისთვის?! ნუცას ვერ გაუგია. ვერც სხვები ხვდებიან და ჰკვირობენ.

კნეინა ლიზაც ხედავს, მაგრამ არ უკვირს. ხვდება! როდი იმჩნევს. არც სხვებს აძლევს საბაბს გამოიცნონ. მისი ქმარი — ქუთაისის ქალაქის თვითმმართველობაში დიდი კაცია. იმის მდგომარეობას არ შეეფერება არც ცნობისმოყვარეობა და არც გულახდილობაც.

ის ორნი კი ფანჯარასთან მიმდგარ ნუცას მალულად მოხედავენ ხოლმე, მერე იმ კონდუქტორს შეხედავენ და იცინიან. ხითხითებენ, და ცრემლმოდენილ თვალებს ისრესავენ.

კნეინა ლიზა კი ხვდება, მათი სიცილი სევდის ნიღაბია. შარშანდელი ამბავი გაიხსენა. ორ თებერვალს ქუთაისელმა მოსწავლეებმა მეფის საწინააღმდეგო დემონსტრაცია გამართეს ბულვარში, ერთმა პლასტუნმა ნუცას კონდახი წაჰკრა და მიწაზე დასცა. ნუცას მუხლისთავები გადაეყვლიფა, ვეღარ ადგა. ამ დროს მათრახმოქნეული კაზაკი გააფთრებით მოჰქროდა, გამოჭენებული ცხენი წაქცეულს ფლოქვებით გასთელავდა, მაგრამ, ერთმა ღვთისნიერმა ქერა სემინარიელმა იმარჯვა, ხელში აიტაცა, მკლავზე გადაიწვინა, ბულვარის ბაღში შევარდა და გრძელ სკამზე მიასვენა. თავად კი ისევ დემონსტრანტებს შეუერთდა. მაშინ დაინახა პირველად თავისი გადამრჩენი. ცოტა გვიან დედას გაუტყდა: „ის ლამაზი სემინარიელი რომ არა. გამოტირებული გეყოლებოდით“.

შვილის ნაამბობმა დედას მადლიერების გრძნობა გაუჩინა უცხო ყმაწვილისადმი. შემდეგ კი თვითონვე შეეშინდა, მოწყალე გულჩვილობა გულიდან გადიყარა: ის კეთილი, გაბედული მოსწავლე შემჩნეული გამოდგა. სემინარიიდანაც გაერიცხათ თურმე.

— ერიდე, შვილო! კეთილგონიერება ოჯახის მფარველი ანგე-

ლოზია! რა ხელს მოგცემს პოლიციის დეკნილთან სიახლოვე?„ მამაშენის სახელს გაუფრთხილდი. დედაშენის გვარსაც, — ჩერქეზიშვილები ვართ. თუ მადლის დავიწყება გიძნელდება, ქრისტეს მოციქულების ამბავი გაიხსენე და დამშვიდდები: ყველამ ერთნაირად როდი დაუფასა, შენც აგრძნობინე, რომ აღარ გსიამოვნებს მეორედაც ქრისტეს მოციქულის ხელის მოხვევა.

— კი, დედიკო, ასეც ვიქცევი! — უთხრა ნუცამ, მაგრამ გული სხვას ამბობს: თვალით გაცლა უნდა, ფიქრით ვერ სცილდება. რაც მეტს ცდილობს, უფრო უახლოვდება, უნებლიედ გახედავს და იმასაც აფორიაქებს: ისიც მოკრძალებით ესალმება, მაგრამ გადამრჩენი გადარჩენილთან ხმას ვერა ძრავს.

ნუცა გატაცებულია, ფიქრი ჭრილობას უღრმავებს, მაგრამ მალამოდ გაბედულებას ვერ ადებს. გრძნობას უღვივებს და თავადაც სახეზე მწველი ალი უვარვარებს... სემინარიელიც სანთელივით იწვის, იღვენთება და ვაგონშიც ვერა სტევს ფარულ სათქმელს, ნერვიულად იცინის. ჰკითხავთ რატომ?!

— იმიტომ და ამიტომ: ვერ გიპასუხებთ.

მაშ. თურმე ტიტეს ნუცა შეუყვარდა? გულში ჩაუვარდა? სულში ჩაუსახლდა?!

ამას მხოლოდ კლავდიოზას უმხელს, მაგრამ მოჩვენებითი უდარდელობით ნუცას დედას აღიზიანებს: „რას გადაეკიდა ეს ღვთით შერისხული ბიჭი!“

ნუცაც ხვდება! თურმე მისი სიცილი — სიყვარულის ცრემლია, მისახვედრი ხუმრობა კი — სევდის ფერუმარილი?! თუ ასეა, ნუცაც პასუხობს, გულს უხსნის, ახედებს და უფრო სწვავს, იმის გულშიც იზედება და თავადაც იდაგება. მერმე ორივემ ერთმანეთს შეხედეს, — ქრისტესთვალებამ ლამაზ ეპარქიელს, მშობლები, რომ სამღვთო რჯულზე ზრდიან, — მწვანე თვალება გოგონამ კი სემინარიელს, სახარების მცნებანი რომ რევოლუციურ პროკლამაციებში გაუხვევია. ორივე ბედნიერია, — კნეინა ლიზა ვერა ხვდება. მაგრამ ესეც დიდი უბედურებაა: ნუცას პეტერბურგს აგზავნიან, ტიტე საქართველოში რჩება, ვინ ჩაუდგებათ შუაში წლების მანძილზე? იქნებ მათი დაშორების გეგმა დააწყო ჩერქეზიშვილის ქალმა და თავადმა მიქელაძემაც თავი დაუკანტურა.

იქნებ!.. მაგრამ სხვაც ხომ მოსალოდნელია. — ტიტეც გაუდგეს პეტერბურგის გზას. სორბონის უნივერსიტეტში სწავლას პირდე-

ბოდნენ და ეპისკოპოსობას აბედებდნენ. ქუთაისის სემინარია პატარად მიაჩნდათ მისთვის, დიდსა და საპატიო გზაზე ედგათ, მაგრამ ცხოვრებამ მოკლეზე გაიყვანა, — ქუთაისის სასულიერო სემინარიიდან გამოგდებული, რევოლუციური მოძრაობის მეწამულ გზას შეუყენა. ტიტეც წავიდა და სემინარიაში შეთვისებული კაცთმოყვარეობის მცნება იქვე დამკვიდრებულ კაცთმოძულეობას დაუპირისპირა, სიკეთე ბოროტებას დააჭიდა და ისეთ სარმასაც გამოჰკრავს, რომ ეშმაკს ფეხი მოსტყდეს. — სულ ერთია ვინც იქნება ეს, — მწითურა ბერი თუ ღვთისმოსაკი წვერულვაშა ნიკოლოზა მეორე.

ვაგონში ატეხილ მხიარულებას კონდუქტორი რას დაუშლიდა, მაგრამ იბოღმებოდა. რომ ფეხზე გაჩერებული ის ორი ყმაწვილი მაშინ იწყებდნენ ხარხარს, როცა მისკენ იხედებოდნენ.

— რა გაცინებთ! — წამოიძახა მათ შუა ძლივს გამოტეულმა გაბერილმა კონდუქტორმა და მედიდურად გამომყურე კნეინა ლიზას მოუბოდიშა.

— თქვენი ქალიშვილის გამცილებლები არ უნდა იყვნენ, ბგონია, ქალბატონო?!

ნუცა შეწუხდა. დედამ იგრძნო შვილის წყენა და უპასუხობა არჩია.

კონდუქტორი გათამამდა: „თავაწყვეტილ ბიჭებს ამ დიდებულ ოჯახთან საქმე არა აქვთ“ და რაღაც ავი ჩაიფიქრა.

ტიტემაც იგრძნო გაბერილის მაბეზღრობა და უფრო აუხირდა, თვალით გაბურღა, ბოღმა ჩაისუნთქა, მუცელს განგებ იბერავს, რომ ავლილ-ჩავლილი კონდუქტორის ღიპს გაეკრას.

— მთლად საფრთხობელას არ ჰგავს, უბედური?!.

— ვისზე ამბობ მაგას, ყმაწვილო? — შეეძრახა კონდუქტორი.

— მეფეზე.

— სადა ნახე შენი დასაცინი მეფე?!

— სურათზე.

— როგორ ბედავ, მერე, უბედობას?!

— თქვენმა გარეგნობამ გამაბედვინა.

კონდუქტორი აილეწა, კისრის ძარღვები დაებერა, მაგრამ ქუთაისის ორთქლმავალის შეწივლებამ დაამშვიდა: სამი მისაბმელი ვაგონი რაიონის სადგურზე შედგა.

კლავდიოსამ ტიტეს ხელი მოჰკიდა, კიბესთან გადაიძდგარ კონ-

დუქტორს წითელ-მწვანე ფანარი კინაღამ ხელიდან გააგდებინა და დამცინავად შეაპარა:

— ფრთხილად გამოეტიე, ტიტე! ფანრიანი ტიკი არ გადმოგიგორდეს!

ნუცას გამცილებლებიც ბაქანზე ჩამოიშალნენ, ისევ ვაგონის ფანჯარასთან მოგროვდნენ, ნუცას ელაციცებოდნენ და ვერ კი გრძნობდნენ, რომ ტიტეს გულსა სტკენდნენ.

კონდუქტორმა დაქადნება შეისრულა. ვაგონიდან სხვების მოშორებით მიმდგარ იმ ორ ყმაწვილს ჟანდარმერიის ოფიცერი თავზე დააყენა და იმანაც მრისხანე მინიშნებით ორივე უკან გაიყოლა, სადგურის მორიგის ოთახში შეიყვანა და შემპარავად ჰკითხა:

— რა გვარი ხარ?

— მეაუნაძე, ბატონო! — იცრუა კლავდიოზა ტყემალაძემ.

— შენ?

— გაიპარაშვილი!

— გაგაპარებთ ახლა ორთავეს, ნაობახში!..

— რატომ, ბატონო, რა დავაშავეთ ასეთი? — შეიცხადა „მეაუნაძემ“.

— დაგავიწყდათ, ხომ?!.. კონდუქტორს დასცინოდით, მთელ გზას. მგზავრები ახარხარეთ, კნეინა მიქელაძეც გაანაწყენეთ.

— აჰ! არც გვიფიქრია, თქვენო ალმატებულობავ...

— ბრწყინვალებავ-თქვა! ვის ელაპარაკები, იცოდე უნდა, ყმაწვილო! — გაწყრა თავადიშვილურ წოდებას უნებლიედ ჩამოქვეითებული ჟანდარმი.

— რა თქმა უნდა, „თქვენო ბრწყინვალებავ!“ — გაასწორა ნაკლულად წარმოთქმული კლავდიოზამ და ტიტე შეეშველა:

— ჩვენდაუნებურად გაგვეცინა... კონდუქტორი ძალიან ჰგავს იმის უდიდებულესობას, ხომ მართალია?!

— ვის?..

— მეფე-იმპერატორს!

— რას მიჰქარავ! ღიპიანი, დრუნჩიანი კონდუქტორი რავა მიამგვანე ჩვენი მეფე-იმპერატორის ღვთიურ სახეს?! — შეიცხადა ოფიცერმა, მაგრამ დაფარული ღიმილი ცოცხის ღეროებად გაფშეკილ ულვაშებში გაეპარა.

— აჰ, არა, თქვენო ბრწყინვალებავ, ნიკოლოზა მეორეს რავა შეადარეთ! მამამისი, ალექსანდრე მესამე გაგვახსენა. გინახავთ, ალ-

ბათ სურათზე. იქნებ პეტერბურგშიც ბრძანებულხართ!.. ნამეტანი ჰგავს იმის ძეგლს ქუთაისელი კონდუქტორი...

— მოლჩატ!.. — აყვირდა კისერგაშეშებული ოფიცერი. მერე ხელსახოცი შუბლზე მიიდო და ოფლში გაწურულმა განმარტა:

— მუცლით კი ჰგავს, მარა წოდებით რავა შეუდარე?! ვის მერე, ტურტლიან და ლოთ კონდუქტორს?!.

— თანაც ნივრიანს! — შეაშველა ისევ ტიტემ.

— ამან გაგვაცინა ჩვენც, თქვენო ბრწყინვალებავ! — ამოიდგა ხმა ფერზე მოსულმა კლავდიოზამ.

— აწი მე აგატირებთ ორივეს იმპერატორის შეურაცხყოფისათვის.

— რატომ ჰკადრებთ მეფეს, ბატონო? განა ის ჰგავს ამას, ეს ჰგავს იმას, მისი ორეულივით იბღინძებოდა რიონის ვაგონში. ვერ მოვითმინეთ. ბოლოს და ბოლოს, რა მოხდა ასეთი, ბომბი ხომ არ გვისვრია!

— ბომბი?!.. ჩუმად!.. რას როშავ?! იქნებ ანარქისტებიც ხართ, კოლია ბრეგვაძის პარტიიდან?! გამოვარკვევთ მაგასაც!

მდგომარეობა გართულდა. სიცილმაც იცის ტკივილი! კლავდიოზამ ტიტეს ენაკვიმატობას თვალები მოუჭუტა და ყველის ვაჭარივით გაუღიმა ოფიცერს.

— მეც მაწუხებს თქვენი შეწუხება!

არც ოფიცერი იყო კმაყოფილი თავაგდებული დიალოგით. სულაც არ ახარებდა ოქმში შეეტანა მეფისა და ლოთის ერთმანეთთან მსგავსების მტკიცება — დაუმტკიცებლობა: როგორ შეხედავს ამას ქუთაისის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი? თავი არ ამოყოს „ორ ანარქისტთან“ ბრიყვული ლაყბობის საშიშროებამ! მიფუჩეჩება ჯობია. ბედზე კლავდიოზაც ენაწყლიანობდა, მეორედაც დაეღრიჯა:

— ეს ერთი გვაპატიეთ. თქვენო ბრწყინვალებავ. აღარ ვიცინებთ მის დღემჩი!..

ტიტეს კი ტუჩზე ღიმილი აუთამაშდა, მაგრამ ხელი მიიფარა.

— აღარ იცინებთ. უბედურებო, ხომ? ვეღარ იცინებთ, აწი! — ამოიწუწუნა მოწყალება კბილებით ოფიცერმა და კმაყოფილება იგრძნო ყმაწვილკაცების დათრგუნვით.

კლავდიოზამ სამშვიდობოზე გასასვლელი ფონი იპოვა და თვითონაც მედიდურად შეეშველა ამპარტავან ჟანდარმს:

— მჟაუნაძეების საგვაოეულოს პატიოსან სიტყვას გაძლევთ, თქვენო ბრწყინვალებავ! რა გვაქვს გასაცინი? სატირალი კი... დედისერთა ნუცა მიქელაძეს ვაცილებთ. გაიპარაშვილის საცოლეა... რას იფიქრებს, საქმრო გამეპარაო?!

ოფიცერი გაიბადრა, სკამს ზურგით მიაწვა, გრძელი ხმელი ხელები წინ წაჰყარა, კანჭა ფეხები მაგიდის ქვეშ გაშოტა და გადიხარხარა.

— ხი-ხი.. არ გრცხვენია?! გაიპარაშვილი რავა ბედავ მიქელაძის სიძეობას. იქნებ ზედსიძედაც გეხვეწებიან, ჰა?! ხა-ხა-ხა! — და თვალზე ცრემლის კურცხალი აუგორდა.

მერე წინ წამოიხარა, მუხლები ამოიკეცა, მაგიდის უჯრებს ამოჰკრა, ლამის ამოამტვრია, სახტად გამყურედ ტიტეს მშვიდსა და შეუპოვარ თვალებს ჩააშტერდა და ახალი დროების გათამამებად ამოიკითხა. რა იცოდა, ჟანდარმერიის ოფიცერმა, რომ გაიპარაშვილიც თავადის შვილი იყო.

ისევ კლავდიოზამ სცადა მორიგება.

— რიონის სადგურამდე მაინც ამყოფეთ დაიმედებულ სასიძოდ! მერე, ალბათ, ქალი შესაფერისს მონახავს პეტერბურგში და თავად გაეპარება გაიპარაშვილს! — დაამშვიდა წოდებრივი მოშლილობის მოთხოვნით დაშინებული „მისი ბრწყინვალება“, რომელსაც რიონის სადგურშიც ელანდებოდა სოციალისტები, განსაკუთრებით კი ანარქისტები, ვინც ყველაზე მეტად მტრობდნენ ყოველგვარ წოდებას,— ყველანაირ კლასობრივ განსხვავებულობას, სახელმწიფოებრივ მმართველობის ფორმასაც კი. გაჟანდარმებული თავადიც ხედავდა ქართველი თავადაზნაურობის ფუძის მოშლას, საეკლესიო კაპიტალის მოძალებას, მემამულე-არისტოკრატიის დაღმართს, მაღალი წოდებრიობის დადაბლებას, რომელსაც ადვილად ახტებიან თავზე თურმე მდაბიონი, — მჟაუნაძე და გაიპარაშვილები.

— როგორ გგონიათ ბატონო, კნეინა და კნიაზი ტყუილად ხომ არ აგზავნიან დედისერთას პეტერბურგში?! — დაიწყო კლავდიოზამ, აქაო და ნუცას ქუთაისში დიდი საფრთხე მოელისო.

— სწორედ პეტერბურგში გადაეყრება ანარქისტს, ან სხვა პარტიის ტერორისტს თვარა, ქუთათურ კოლია ანარქისტ-მაუზერისტს მეც ქე მოვუღებ ბოლოს! — გადაღრიჯა ტუჩი ჟანდარმმა და გაფიჩხებულ ულვაშს ცალი ღერო კიდევ უფრო აუფშიკა.

— ძაგი მართალი ბრძანეთ და ადვილი დასაჯერებელია, მაგრამ

ჩვენც დაგვიჯირეთ. პატიოსანი ასალგაზრდები ვართ. ვნიბავთ პოლიციელი გაგვაყოლეთ! გეფიცებით, მატარებლის გასვლისთანავე გამოვყვებით უკან! — დაუფიცა ლამის ხატზე კლავდიოზამ.

ოფიცერი ჩაფიქრდა. სიამოვნება იგრძნო, რომ ასეც შეეძლო გადაეწყვიტა და ისეც: თუ უნდა გააცილებინებს მატარებელს, თუ არადა ქუთაისის ციხეში მიაცილებინებს. ასეთი თვითკმაყოფილების გრძნობა უნაზღაურებს რევოლუციური არეულობით დაკარგულ სიმშვიდეს — მამულს ვეღარ დააგირავებს. გლეხები მიწების გამოუსყიდავად ჩამორთმევას მოითხოვენ, სამსახურში რაღას ამაღლდება, თუ მეფე ჩამოაგდეს და ყოველივე ამაში ანარქისტებსა და სოციალისტებს ადანაშაულებს. მათ შორის განსხვავებასა არა სცნობს. არც უნდა იცოდეს: ყველა მეფეს ებრძვის, მთავარია მეფემ დაიფაროს. მისი შემოღობილი პაწია სიცოცხლე, ახლა რომ ყველა ცხვრისა ყოფს, და თუ ნუცა მიქელაძე და გაიპარაშვილი, ერთმანეთს ხელს ვეღარ დაუქნევენ გამოსამშვიდობებლად, ეს არც ანაღვლებს.

მერე ფიქრის ოღოლობაში ვეღარ გააღწია, ახალი დროების ტალღიანობაში ფოხი ვერ მონახა და ძველებური ამპარტავნობით ამომარცვლა:

— მჟაუნაძე კი ხარ, მარა ტკბილსა კრეფავ! ქუთათური გვარ-სა ხარ: მამაშენი მეეტლეა, მგონია... ვუტარებიეარ ფაეტონით; ცეენებს უვლის კარგად. შვილს რავა მოუარა, ვიტყვი მერე მე!

გაიპარაშვილს კი დაუბღვირა:

— თვალები გაქვს საეშვო: თეთრი ქრისტეც იბეღება და წითელი ეშმაკიც. გვარიც არ გაქვს პატიოსანი! გაიპარები...

კლავდიოსას კინაღამ წამოსცდა, სულაც არ არის გაიპარაშვილი, არამედ!.. მაგრამ ცამიწაძე შეიქმუხნა, კლავდიოზა მიუხვდა და ენა მოიკვნიტა:

— ოჰ! როგორ გეკადრებათ, თავადო? თავდებად დავუდგები!..

— ხა-ხა! — თავდებად? — ხი-ხი! — დაუდგები ხომ?! მელაქ კუდი დაიმოწმა! — და დიდხანს იხითხითა.

— კუდი არ ვარ მე, თქვენო ბრწყინვალებავ, გკერათ ეს თქვენც. ქუთათური მეეტლე მჟაუნაძე გცნობიათ, ფაიტონით უტარებიხართ. უწყენინებია როდისმე?! მისი შვილი რატომ გაწყენინებთ? შეწყალებას გთხოვთ, მხოლოდ არ ვარ მელიის კუდი. მაპატიეთ, მარა, ახლა თქვენც ის ინებეთ გეთქვათ, რასაც გაიპარაშვილის საცოლე იფიქრებს: თუ ვაგონის ფანჯარაში ხელი არ დაუქნია — გამეპა-

რაო — იტყვის, აბა არ იტყვის? ბარიშნები თქვენც გაგიცილებიათ ალბათ, რიონის სადგურიდან!..

— რას მიქვია, თქვენი. რიონი! პეტერბურგში, ნიკოლოზის ვაგზალშიც, მარა, კონდუქტორები როდი დანიციანავს ვაგონში!

— ალბათ, პეტერბურგელი კონდუქტორი არა გვანებია მეფეს, რიონისა კი ნამეტანი ჰგავს, — წამოსცდა დაბოღმილ ტიჭეს.

— ტსს!.. ხმა, კრინტი არ გამაგონოთ... სამასხროდ არ ეყალია ახლა მე! ვაგონები მიუბეს ფოთის მატარებელს. მესამე ზარზე გამობრუნდით, თვარა ქუთაისის ციხეში მიგაბრძანებთ ორივეს!..

— აპა, არა?! — დაუფიცა კლავდიოზამ იმერული მადლიერებით და თავიც დაუკრა მეეტლის შვილის თვინიერებით, რომლის აზრებობა არც გაეგო და სურვილიც არ ჰქონდა როდისმეც მამა-შვილის პირისპირ დაკითხვაზე შესახვედრად: რას ეტყოდა, — მამა ხარ ჩემიო?! ან ის იტყოდა, ჩემი შვილიაო?! ახლაც ყურში უბუზუნებდა მუქარა: „ანარქისტები ხართ, კოლია ბრეგვაძის პარტიიდან, გამოვაკვევთ ბაგასაც!.."

მერე ოფიცერმა რიონის სადგურზე ახლად გადმოყვანილი პოლიციელი მოიხმო. მშვიდი და სასაცილო სახე ჰქონდა. ხელში წითელ-მწვანე ფანარი არ ეჭირა. მაგრამ ყვითელი პრიალა ბოლთებიანი შავქარქაბიანი ხმალი ჩამოეკონწიალებინა მხარზე და გაეჭიმა უფროსს.

— წაიყვან ვაგონთან და მოიყვან!

— არის წავიყვანო და მოვიყვანო! — ამოიძახა მუცელგადმოგადებულმა პოლიციელმაც და ტიტემ ცხვირზე ხელმოჭერით ჩაიფსუკუნა:

— ესეც რავა გავს იმ კონდუქტორს?!

ოფიცერი მიუხვდა, მაგრამ ალარ შეიმჩნია: დაბრუნებულს გაახსენებს. აკი უთხრა, — „თვალები გაქვს საეჭვო: თეთრი ქრისტეც იხედება და წითელი ეშმაკიც". ჭკუაზე მოიყვანს საძაგელ გაიპარაშვილს. „ისე კი, კაცმა რომ თქვას, მართლაც გვანან ერთმანეთს, ორივე კი — იმპერატორის ძეკლს, პეტერბურგში „პუგალოს" რომ ეძახიან. მაგრამ თვითონაც ხომ ვერ გაიმეორებს ასეთ სიბრიყვეს: ძეფის სამსახურის კაცია. არ ეპატიება. კოპები შეკრა და სამივე გარეთ გაჰყარა:

— მოუსვით ახლა აქედან!

მოუსვეს.

პოლიციელი უკან მისდევს, მარცხენა ხელი ხმლის პრიალა ტარზე დააპჯინა, ტიტე და კლავდიოზა ნაბიჯს ვერ უწყობენ, ფეხი ერევათ, ხან ასწრებენ, ხანაც აყოვნებენ და უკან ქუსლებში ჩამცქერ ღიპიან პოლიციელსაც ნაბიჯს არევინებენ.

ქუთაისის საძივე ვაგონი ფოთის მატარებელს წინ ჩაუბეს: პირველი კლასის ვაგონთან გამცილებლები ხმაურობენ, ნუცას უღიმიან, ემშვიდობებიან, იცრემლებიან კიდეც, რაკი ეთხოვებიან. ვინ იცის, როდის ნახავენ პეტერბურგში გადასულს. ისიც ნაღვლიანი ღიმილით გადმოსცქერის გაზის ფარნის ქვეშ თავმოყრილ მეგობრებს. მაგრამ სიბნელეშიც იყურება:

„არ ჩანს!“ — დაღონდა ქალიშვილი.

მერე საკუთარ თავს ჰკითხა.

„რატომ არ ჩანს?“

— საკვირველია! — უპასუხა გუმანმა.

„არ დაუჯერო, ვინც გიყვარს“.

— რატომ? — გამოექომაგა გუმანი.

„მატარებლის გასვლასაც არ დაუცადა“.

— უყვარხარ და ვერ გეკარება!

„რითი დამიმტკიცა?“

— ერთხელ ხელში აყვანით, მეორეჯერ ლიტანიაზე შემოხედვით, მესამეჯერ ამ ვაგონში ნერვიული სიცილით, მეოთხედ... მეხუთედ და მერეც, — რა ვიცი, კიდევ უხმო რამდენით?

„კი, იყო ასე!“

— ახლაც ასეა!.. ხედავ მოდის.

„მაგრამ პოლიციელი რატომ მოსდევს?!“ — გაიოცა ნუცამ.

— ბედის პატიმარია! — უმარჩიელა გულთმისანმა.

ორივენი მოშორებით დადგნენ, სხვების უკან. ნუცას უკვე გაღიმებულ სახეს უყურებენ. ნუცაც მკრქალად ხედავს, ტიტე სევდიანად იღიმება. ნუცა აცრემლდა.

პოლიციელი კი გაზის ფარნის ქვეშ გაიჭიმა. კარგად ჩანს და თვითონაც ყველას ხედავს. მერე უფრო წინ წაიწია, რომ კნეინა ლიზამაც კარგად დაინახოს, მისი ქმარი ქალაქის თვითმმართველობის თავმჯდომარეა, პოლიციასაც მეურვეობს. მისი მოწყალება ახსოვს. ქუთაისის ციხეში ზედამხედველად მსახურობდა. ქურდმა ტუსაღებმა დასცინეს, ციხის გასაღებების მთელი შეკვრა მოჰპარეს და მიქელაძეს გაუგზავნეს. იმან კი არ დასაჯა. თავაზიანად მოიქცნენ, რომ რიონშიც არ ჩააგდეს ათი საკანის გასაღებებიო: მაშინ

სხვა პატიმრები საკნებში ბუნტს ატეხდნენ, ამბავი გუბერნატორამდე მივიდოდა და ბევრი დაისჯებოდა. კნეინა ლიზას მეუღლემ დოყლაპია ზედამხედველი მაინც არ გააგდო სამსახურიდან, შეიცოდა, რიონის სადგურში გამოამწესებინა, უმადურობა იქნებოდა ამის დავიწყება. ამიტომაც სარგადაყლაპულივით დგას მიქელაძის ცოლის დასანახად, რომ მერმე ქმარმაც თქვას: „მოლოდეც, ისპრავილსა!“, ყოჩაღ, გამოსწორებულა, საქმეს გულმოდგინეთ მოსჭიდებია“.

სადგურის მორიგემ მესამე ზარი ჩამოკრა, პოლიციელმა მიქელაძის კნეინას „ჩესტი“ მეათედ აუღო და მის დარბაისლურ სახეზე წყალობის ღიმილი დაინახა.

ტიტემაც ნუცას ხელი დაუქნია, მაგრამ ტიკივით გაბერილი კონდუქტორის შეხედვაზე კიდევ ერთხელ დაუდგა თვალწინ კარგა ხნის წინ პეტერბურგში ყუმბარით გაგორებული ღიპიანი მეფე; აღარ ეკინებოდა და წამი იხელთა:

— კლავდიოზა, ის დროა, ავითესოთ, თორემ არ აგვცდება ვირის აბანო!

— რავა, გაპარვა გინდა?!

— გვარი მიშლის, თუ?!

მატარებლის დაძვრის დროც მოვიდა. ორთქლმავალმა იკივლა. პოლიციელმა თავი ამაყად უკან გადიგდო, ღიპი წინ გადმოიგდო, მარცხენა ხელი შავქარქაშა ხმალს დააბჯინა ლამის გადასაკიდებელი თასმის ჩაწყვეტამდე, მარჯვენა თათი ისევ კარტუზიან ქუდთან ეჭირა, გადმობრუნებული ქერა ბუსუსიანი ფუნჩულა ხელისგულით, მრგვალი მხრები ასჭიმა, მოკლე კისერი დაბერა, განიერი ყბები გამობერა, თვალები ააბრიალა, კარტოფილა ცხვირი ააფშვინა და როცა მოიხედა — გაფითრდა: უკან მისაყვანი პატიმრები მიწამ ჩაყლაპა, ან ცამ აიტაცა.

ცამიწაძე და მეაუნაძე ფოთის მატარებლის კუდივით შეეფარნენ იმერეთის ღამეს: ნუცა თბილისს მიჰქროდა, ტიტემ ქუთაისისკენ მისცა თავი, მოკლეზე მირბოდა და კლავდიოზაც ქლოშინით მისდევდა. მალე ქალაქს შეეფარნენ და დიდხანს მიიკარგნენ.

* * *

ექვსიოდე თვის შემდეგ, ქუთაისის ბოქაულად გადმოსული სადგურ რიონის ოფიცერი გადაცმული აედევნა გაიპარაშვილს. ტიტე ცამიწაძეს ხელი სტაცა, და სატუსაღოში გამოამწყვდია.

მაშინ პირველად მოხვდა საპყრობილეში, თუმცა ეჩვენა, რომ

სემინარიაც ციხეზე ნაკლები არ იყო. ეამაყა კიდეც, დანატრებულ უნივერსიტეტში ეგონა თავი. პოლიტიკური პატიმრები თავიანთ მრწამს აცნობდნენ, არკვევდნენ და არიგებდნენ:

— ვინც რა უნდა გკითხოს, ყველაფერზე უპასუხე — „არა!“, „არ ვიცი!“

ორი კვირის შემდეგ გაჭიმძიებელმა გამოუძახა დაკითხვაზე:

— ვინ მოგცათ აკრძალული ლიტერატურა?

— ვიღაცამ!

— რა მიზნით?..

— არ ვიცი!..

— თქვენია, თუ სხვისი?..

— სხვისია!..

— ვისი?

— რა ვიცი!..

— აბა, როგორ ნახეს თქვენს ოთახში?!

— მიკვირს!..

— იქნებ მეგობრებისაა?

— არა!

— ეს უფალმა-ღმერთმა შემოგიგდოთ?

— არა!

— აბა ვინ?!

— პოლიციამ!

— სტყუით!..

— როგორ კეკადრებათ!..

მაინც აკადრეს... ექვს თვეს პატიმრად ამყოფეს. ბოლოს რიონის ვაგონში აყალმაყალისა და ლოთი კონდუქტორის იმპერატორ-მეფესთან თავხედური მიმგვანებისათვის სისხლის სამართლის პასუხისმგებლობის მუხლი მიუყენეს, მაგრამ მეფისწული ალექსის დაბადების გამო გამოცემული ნიკოლოზ მეორის მანიფესტის საფუძველზე განთავისუფლება გამოუცხადეს.

— ხელი მოაწერეთ! მანიფესტის მაღალი წყალობით თავისუფლდებით!..

ტიტემ სემინარიის რექტორის კაბინეტში ნიკოლოზ მეორის თავმოჭრილი პორტრეტი წარმოიდგინა და თანამგრძნობი მოსამართლე შეიბრალა.

— ხელმწიფე-იმპერატორმა, რომ გაგიგოთ, ნამეტანი გაგიწყრებ-ბათ! მისი მოწყალება არ შემერგება, არც მივილებ!

სასამართლო დარბაზში ტაში ატყდა, ტიტეს პასუხი ესიამოვნა. მოსამართლე კი გაოცდა, გაფითრდა და ურჩი პატიმარი ისევ ციხეში გააბრუნა.

ტიტეს გაეხარდა. პოლიტიკურებს შეეკედლა, მათ საუბარს უს-მენს, იხსომებს, მართალს მცდარისაგან თავისი გაგებით არჩევს, ბუდუ მდივანს დაუმეგობრდა, სხვებსაც გაუშინაურდა. საზოგადო-ებრივ მოვლენების საკუთარ ანალიზს სხვა პოლიტიკურებსაც უზი-არებს. ყველაზე უმცროსია, მაგრამ გონიერებითა და მიხვედრილო-ბით ბევრი უფროსადაც კი მიიჩნევს. პატიმრებმა გული გაუხსნეს.

ინგოროყვას ხვედრი

ციხის საკანი ბევრის მომსწრე პატიმარს უსმენდა:

— გუშინდელივით მახსოვს. 1892 წელი იყო, ბათუმის რკინი-გზის ხაზზე ვმუშაობდი, — თქვა მიხა ჩოდრიშვილმა და თვალით შორეულს გახედა, დაინახა, განიცადა და გული მაშინდელივით ეტკინა. — ამ დროს თურმე ბათუმში იმყოფებოდა უმუშევარი ეგ-ნატე ინგოროყვა. დღე-ღამეს ასწორებდა სამუშაო ადგილის ძებ-ნაში, აქა-იქ ათევდა ღამეს, სამოწყალოდ ცხოვრობდა, ნივთიერად დიდად შევიწროვებული მძიმე სენს, ჭლექსაც ჩონჩხად ექცია, ცეცხლწაკიდებულ სანთელს გავდა.

— სამუშაო ადგილის შოვნა ახლა რა არის, მაშინ რაღა იქნებო-და! — უთანაგრძნო ბუდუმ მძიმე სენით სიცოცხლის ფრთებშეკ-რილ ეგნატეს.

— დიახ, მძიმე იყო! მუშებს თუ კიდევ შეგვეძლო ნავთსადგურ-ში გვემუშავა მტვირთავად, — ინტელიგენტს ძნელად რომ ბედი გაღიმებოდა ნაკლებად ფიზიკური სამუშაოს ძებნაში. ეგნატეს და-უძლურებული ჯანი მძიმე ფიზიკურ შრომას ვერ აიტანდა.

მერე დადუმდა, თითქოს უფრო მეტსაც იხსენებსო და ზაქარია ჭიჭინაძის მადლიანი ხელის გაწვდენასაც არ ივიწყებსო. შემდეგ, როცა ორივეს თავისი სიკეთის საფასური უხმოდ გულში მიუზღა, თავის თავგადასავალსაც დაუბრუნდა:

— ცოტა ხნის შემდეგ, სამუშაოს შეცვლის გამო ჩაქვის რკინიგზის ხაზზე გადავედი სამუშაოდ. იძულებული გავხდი ეგნატეს ვამოვმშვიდობებოდი, ბინა მას დავუტოვე, ნახევარი წლის ქირაც წინდაწინ გადავუხადე სახლის პატრონს. ზაქარია ჭიჭინაძემ ეგნატესაც უშოვა სამუშაო ადგილი როტშილდის ქარხანაში, უფროს მუშად დააყენეს. მრავალ ტანჯვაგამოვლილ ნინოშვილს ამით უკვე საშუალება მიეცა დამოუკიდებლად ეცხოვრა მეგობრების „შეუწუხებლად", რაც მას მუდამ სალაპარაკოდ ჰქონდა და ზურგზე აკიდულ მძიმე ზნეობრივ ტვირთად მიაჩნდა. მიბნედილი, ფერმკრთალი, მუდამ დაღონებული ეგნატე ოდნავ გამოკეთებული ეკონომიური მდგომარეობით მოცოცხლდა, დაღვრემილი სახე გაეშალა, გაუბრწყინდა, იმედი აღეძრა განეგრძო მწერლობა. მაგრამ მაინც არ შეეძლო გამოეყენებინა ის დრო, რომელიც მან უკვე მიჰყიდა ქარხნის მეპატრონეებს. მუშაობდა მხოლოდ ღამით, რომლებსაც მაგიდასთან კალმით ხელში მიმჯდარი ათენებდა.

მერე თავისი მძიმე ხვედრიც გაიხსენა მიხა ჩოდრიშვილმა;

— ჩვენი საერთო საცხოვრებელი ბინა იქვე აშენებული ყაზარმული სახლი იყო. საღამოობით დიდი ინტერესით ვკითხულობდით გაზეთ „კვალს", რომელიც იმ წელს გამოვიდა პირველად გიორგი წერეთლის რედაქტორობით.

ახლა კი „კვალს" ნოე ჟორდანია რედაქტორობს, მაგრამ მუშებისათვის სასიკეთოს და საინტერესოს არას ბეჭდავს, გარდა ცუდიხა და მავნესი: „შეეშვით, ბატონო მუშებო, ძალადობასო, არ გინდათ შეიარაღებული აჯანყება, მოურიგდით ნაციონალურ ბურჟუაზიას და ამ გზით მოახდინეთ რევოლუციაო!".

— დიახ, ღალატობს „კვალი" მშრომელების საერთო საქმეს!— ჩაურთო ბუდუ მდივანმა და პოლიტიკური პატიმრების დიდმა უმეტესობამაც შეაშველა ხმა:

— მასეა, გლახა კვალს გვითხრის ჟორდანიას „კვალი", ძალიან ვლახას!

— ჰოდა, იმ დროის „კვალს", რომელსაც გიორგი წერეთელი რედაქტორობდა, მე ვშოულობდი ბიბლიოთეკაში. ეს ეგნატემაც იცოდა, უხაროდა, რომ მუშები გაზეთს კითხულობდნენ, მაგრამ თავის ბედსაც ემდუროდა. მართალია სამუშაო ჰქონდა, არსებობა შეეძლო, მაგრამ შემომჩივლა:

— განა ჩემი მუშაობის პირობები კია სახარბიელო?! პირიქით,

ეუტანელია ჩემი თანამდებობა!.. ქარხნის გამგე და უფროსები მეუბნებიან, რომ, როგორც მეთვალყურე უფროსი მუშა, ჩემს ხელქვეით მუშებს სასტიკად მოვექცე! ძალა დავატანო რაც შეიძლება მეტი, ნორმაზე მეტი ვამუშაო, ათი-ოცი წუთით უფრო ადრე დავაწყებინო მუშაობა და უფრო გვიან. რაც შეიძლება გვიან გავანთავისუფლო!.. ასეთი თანამდებობა განა შემეფერება? ეგლა მაკლდა, ბურჟუა კაპიტალისტებმა ჩემი შემწეობით ყვლიფონ ჩემი ძმები, ჩემსავე პირობებში მყოფი მუშები. თვითონ კი გაისქელონ ისედაც სქელი ჯიბეები... მშიერნი და ნახევრად შიშველი მუშები დილიდან საღამომდე მუშაობენ, საშინლად იქანცებიან. — მე კი მეუბნებიან „ჩქარა, ჩქარა“ უძახეო, ძალა დაატანე, ბევრი იმუშაონ. მეტი გააკეთონო... არა! ამისთანა პირობებში ჩემი აქ დარჩენა და მუშაობის გაგრძელება შეუძლებელია!.. მე რომ არ დავეთხოვო, თითონ ისინი დამითხოვენ, როგორც მათთვის „გამოუსადეგარ“ კაცს... ამიტომ თავი უნდა დავანებო აქ და ისევ თბილისში წავიდე! ამის შემდეგ დიდხანს არ გაუვლია, რომ ეგნატე გამოვიდა როტშილდის ქარხნიდან, მოშორდა სრულებით ბათუმსაც და თბილისს გამოსწია.

ქუთაისის ციხის პოლიტიკური პატიმრები ამაოდ როდი იხმენდნენ თბილისელი რევოლუციონერის მიხა ჩოდრიშვილის თაკგადასავალს. ბევრი მათგანი ჯერ გაუელელ თავის მძიმე გზასაც ხედავდა და სამერმისო ბრძოლის სიძნელეებსაც გულს აჩვევდა მუშებიც, გლეხებიც, ინტელიგენციაც. საჭირო იყო ძალთა მოკრება, გაერთიანება, ურომლისოდაც ფუჭი იყო საერთო ბრძოლის მოგება. ხალხისნებმა სცადეს გზა გაეკაფათ. მაგრამ ეს არ იყო საკმარისი. ბრძოლით გასატანი ტვირთი კი წინ ბევრად მეტი ედოთ. ვიდრე მაშინ, როცა ხალხი შეუგნებელ ბრბოს წარმოადგენდა. ხალხისანი ერთეულები ყოვლისშემძლე გმირებს. ასეთმა თეორიამ ზოგი რამ სიკეთე მოუტანა ინტელიგენციის რიგებიდან რჩეულების გაჩენას. აზრის აზვირთებას, მაგრამ რაკი ხალხი არ აჰყვა. ბრძოლაც ჭაობიან ტბას დაემგვანა, სადაც არც ნაპირი ჩანდა და არც აღთქმული ქვეყნის კიდეზე მისადგომი ნავი.

ნავისა და მენავეთა მომზადება ისევ მტკიცე რწმენისა და ნათელი აზრის ადამიანებს უნდა ეთავათ და აქაც ეგნატე ინგოროყვა ყველაზე გამორჩეული მეთაურად იქცა. 1892 წლის დეკემბრის მიწურულში ნინოშვილმა ახალგაზრდა რევოლუციონერი მიხა ცხაკაია დაითანხმა და ორივემ ერთად ყვირილაში, იოსებ კაკაბაძის ბინაზე

ს ციალისტურად მოაზროვნე მოწინავე ინტელიგენტების ვიწრო კრება გამართეს, რომელსაც დაესწრნენ, კრების მოთავის ნინოშვილის გარდა, მიხა ცხაკაია, სილიბისტრო ჯიბლაძე, რაჟდენ კალაძე, კარლო ჩხეიძე, ნოე ჟორდანია, იოსებ კაკაბაძე. კრების მიზანი გაბედული იყო, — „ტეტიათა მოტრფიალე“ ხალხოსან მიხაილოვსკის მსოფლმხედველობის ვავლენისაგან თავის დაღწევა და მის ნაცვლად მარქსისტულ-რევოლუციური ორგანიზაციის საფუძვლების ჩაყრა, მისი შექმნა-დაარსება.

კავა წლები და ფილიპე მახარაძე იტყვის: ყვირილის თათბირზე ნოე ჟორდანია იმ პროექტით წარსდგა, რომელიც მან ჯერ კიდევ 1882 წელს თბილისიდან ვარშავაში გამომიგზავნა და მთხოვდა: მხარი დამიჭირე, მინდა დავაარსო ნაციონალ-დემოკრატიული პარტია. გააცანი მანდაურ წრეს, გამოთქვას თავისი აზრი, განსაკუთრებით კი შენ!“. ვარშავის უნივერსიტეტის სტუდენტმა ფილიპე მახარაძემ თხოვნა შეუსრულა, მაგრამ დაინახა, რომ ჟორდანიას თავის პროექტით სურდა ერთად შეეთავსებინა მოპირისპირე მოსაზრებები და მოვლენები. თავისთავად იგულისხმება, რომ მას მხედველობაში ჰქონდა მართლაც სოციალისტური პარტიის დაარსება, სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ან პარტიის შექმნა, მაგრამ ნამდვილად კი გამოდიოდა წინააღმდეგ, მისი პროექტი მოითხოვდა ბურჟუაზიულ-ლიბერალური პარტიის დაარსებას. ერთი სიტყვით, მისი პროგრამა სცდებოდა როგორც მარქსიზმის, ისე მუშათა კლასის წინაშე დასმულ ინტერესებს. ესეც ადვილად აიხსნებოდა: ჟორდანიას პროგრამა არ იყო შედგენილი მუშათა კლასის უშუალო გავლენით, არამედ წარმოიშვა ინტელიგენტის გონებაში და ისეთ პირობებში, სადაც ჯერ კიდევ არ იყო არათუ არავითარი მუშათა მოძრაობა, არამედ აზრიც კი არ იყო ამაზედ დაბადებული.

მაგრამ ჟორდანია ვარშავაში სწავლის დროს გაეცნო მარქსისა და ენგელსის მოძღვრებას, ესე იგი მეცნიერული სოციალიზმის იდეას. იცოდა უცხოეთში „შრომის განთავისუფლების ჯგუფის“ არსებობის შესახებ, რომელსაც ჰქონდა სოციალ-დემოკრატიული პროგრამა. იცოდა აგრეთვე გერმანიაში ძლიერი სოციალისტური პარტიის არსებობის შესახებაც. მაგრამ ვიკითხოთ, თუ ყველაფერი ეს იცოდა, რატომ ვერ მოახერხა თავიდანვე სწორი კურსის აღება? იყო ეს მაშინ შემთხვევითი მომხდარი შეცდომა, თუ აქ ჰპოვა თავისი გამოხატულება იმ ორაზროვანმა პოზიციამ, რომელიც მას ეჭი-

რა შემდეგში თვით იმ დროისდე, როდესაც საბოლოოდ გადავიდა პროლეტარიატის აშკარა მტრების მხარეზე? — დაასკვნა მახარაძემ. და განაგრძო:

— რაკი ვიცნობთ ჟორდანიას როლს ჩვენში მუშათა მოძრაობის მთელი ისტორიის განმავლობაში, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ შემცდარი კურსი მისი პროგრამის შედგენის დროს შემთხვევით არ იყო აღებული!

ასე იყო, თუ ისე, ჩვენმა წრემ ვარშავაში, თავიდან ბოლომდე შეუბრალებელი კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა პროექტის ავტორი, ჩვენ წინადადება მივეცით ჟორდანიას დაეარსებინა სოციალ-დემოკრატიული პარტია და საფუძვლად დაედო მისთვის მარქსისა და ენგელსის მეცნიერული სოციალიზმი. ყველა ამის შესახებ პასუხის მიცემა დამავალეს მე, რაც დაუყოვნებლივ შევასრულე. ვიცოდი, რომ ეს პროგრამა ახლო მომავალში წარდგენილი უნდა ყოფილიყო ერთ-ერთ ყრილობაზე საქართველოში. შემდეგ ეს ყრილობა მართლაც შედგა, მგონი ყვირილაში, და იქ ჟორდანიამ მართლაც წარადგინა პროგრამის ერთნაირი პროექტი, მაგრამ მე არ ვიცი,— მან იქ წარადგინა პროექტი პირველყოფილი სახით, თუ ჩვენს მიერ უკვე ვარშავაში შესწორებული და მისთვის გაგზავნილი ტექსტი? ვფიქრობ, რომ ჩვენი კრიტიკის შემდეგ მას არ შეეძლო წარედგინა პირვანდელი სახით. სამწუხაროდ, ჩვენამდე არ მოუღწევია პროგრამის არც ერთ ტექსტს — არც პირველყოფილს და არც ჩვენს მიერ შესწორებულს. თავისთავად ცხადია, რომ ეს დოკუმენტები შუქს მოჰფენდნენ ჩვენში, საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ისტორიას, მაგრამ ეს ჩვენ არ მოგვეპოვება და არც არავითარი იმედია, რომ ვინმე შესძლებდეს ამჟამად მის აღდგენას წინანდელი სახით!

მაგრამ მანამდე ბევრად ადრე თვით ეგნატე ნინოშვილმა მკაცრად გააკრიტიკა ჟორდანიას მიერ წარდგენილი ახალი პარტიის პროგრამის პროექტი ყვირილის ყრილობაზე:

— ნაციონალისტურია თქვენი პარტიის პროგრამა! ასეთივე კრიტიკა გარგუნათ თქვენმა ვარშაველმა თანაკურსელმა ფილიპე მახარაძემ! თქვენ კი მაინც არ იშლით! — უკიჟინა ეგნატემ.

— მე მისი შესწორება მივიღე, მაგრამ შესწორება შეცვლას როდი ნიშნავს! — გაიწია თავისაკენ ჟორდანიამ.

— მაშინ თქვენი პარტია ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური იყო

შეესწორებით ბურჟუაზიულობა ჩამოაცალეთ, ნაციონალიზმი კი დაუტოვეთ! განა შეიცვალა ამით რაიმე?

— თუ ორივეს მოუშლით, მაშინ პარტიაც აღარ იქნება!

— სოციალ-დემოკრატია განა არსებული პარტია არაა?! ცოტას მეც ვარ გაცნობილი, ისევე ცოტას, როგორც თქვენ, და არ მიმაჩნია, რომ უფრო ახლო არ იდგეს ყოველი ბურჟუაზიული პარტია თქვენს მიერ მხოლოდ გონებით წარმოსახულ ნაციონალურ-დემოკრატიულ პარტიასთან. და, საერთოდ, — რატომ ნაციონალურ-დემოკრატიული და არა სოციალისტური?.. რატომ ნაციონალური და არა ინტერნაციონალური?! დაფიქრებულხართ ამაზე, ნოე?! ანდა იმდენი გიფიქრიათ, რომ გადაჯერება გიჭირთ!.. მე კი მგონია, ვინც სოციალისტად აიდგამს ფეხს და ბურჟუაზიასთან მოიხრის ბუხლს, დემოკრატადაც არ გამოდგება! ასეთი მერყეობა ადვილად წაგაგქცევთ თქვენც და თქვენს მიმდევრებსაც!

— მე ასეთ ერთგულ ჩემს მიმდევრებს ვერავის ვხედავ ამ კრებაზე! — დამცინავად გაეღიმა ჟორდანიას.

— სენმა შეპარვით იცის გადადება, უცბად როდი დაერევა ადამიანებს? მერე უკვე გვიან იქნება, ასლავე, ფიქრეთ, მოაბრუნეთ ხედვა მუშათა კლასისაკენ! ხალხისნობის იმედით რომ არ რჩებით, ეს მოსაწონია, მაგრამ ბურჟუას რომ ეკედლებით, — დიდად დასაწუნია! რამ მიგიყვანათ ასეთ ჩიხამდე. მიკვირს?!

— ჩიხი აბსოლუტური მცნება არაა! ისე ქვეყნიერება ერთ წერტილზე გაიყინება! გამოსავალს სწორედ ჩიხის შიში შობს: რაც თქვენ გაშინებთ, მე პერსპექტივად მეჩვენება! ჩიხი მანევრირების ასპარეზია. ჩიხს რომ არ მიადგე, ისე რატომ გაიხედავ აქეთ-იქით: არც უკან დაიხევს და ვერც წინ წავა კაცი, ჩიხი იმისაა, რომ გაარღვიო. ან აუქციო. სწორედ ჩიხი წარმოშობს ტაქტიკას, ტაქტიკა კი ახლოვებს ადამიანს სტრატეგიასთან.

— რაა თქვენი სტრატეგია? — შეეკითხა ეგნატე.

— ბრძოლა! — უპასუხა ნოემ.

— როგორი?

— მოძრავი!

— ჩიხში მომწყვდეული უმიზნო მოძრაობა სად გაგიყვანთ?

— სასურველ ნაპირზე! განა ქარიშხალში მოხვედრილი მენავე თავისი ნებით მოძრაობს? არა! პირიქით, სტიქიაზე მინდობილი, უძრაობით მოქმედებს და სამშვიდობო ნაპირზეც გადის. დავარქმევ

ჩემს პარტიას ნაციონალ-დემოკრატიულს და მერე ან ერთი ნიჩბით მოვუსვამ, ან მეორეთი, შესაძლოა, ორივეთიც მშრალ ნაპირზე გადმოსახტომად, — დაიმშვიდა თავი ახალგაზრდა ნოე ჟორდანიამ.

— მაგრამ თუ ერთ ნიჩაბზე ეშმაკი გიზით. მეორეზე ქრისტე,— როგორ მოარიგებთ მოწინააღმდეგეებს?! — გაიკვირვა ეგნატემ.

— ერთმანეთის გაჭირვების შემყურენი თავად მორიგდებიან და შენავესაც არას ავნებენ!

— არ დაიჯეროთ! ბოროტებაში მაცხოვარს ბელზებელი მუდამ ჯობნის. თქვენი იმედით საქართველოს კეთილი მომავალი არ უწერია!

— ვნახოთ?! — გულში დაიქადნა ნოემ.

ბნელი ღამე იყო. მდინარე ყვირილა ხმაურით მიექანებოდა და იოსებ კაკაბაძის სახლში საიდუმლო კრების მონაწილეთ აფხიზლებდა. მისი ხმაური ბობოქარი ცხოვრების ბრძოლის დაწყების ხმასაც უერთდებოდა და შებოჭვილი ქუხილი ქუთაისის ციხის კედლებამდეც აღწევდა. პოლიტიკური პატიმრები გარედან მოდენილ ძახილს ფხიზლად უსმენდნენ და საბრძოლველად ემზადებოდნენ. რას როგორ გაიგებდა თითოეული პატიმარი, ან ყველა ერთად, ამას ხვალინდელი დღე იტყოდა.

ვინ იცის?

ქუთაისის გუბერნიის ადმინისტრაცია ციხის კარს ფართედ უღებდა რევოლუციონერ-მეთაურებს და ამყოლებსაც. ყველას ერთად მოუყარა თავი; ორკაციან საკანში ოთხი ეტია, ოცეანში — ორმოცი, — ისე გადაეტენათ, რომ თავმისადები აღარ რჩებოდა.

ციხე გზის პირას იდგა, ქვიტკირის გალავანი ერტყა. ვიწროდ გადგმულ პატარა ეზოში პატიმრები ერთად ვერ გაჰყავდათ, რიგრიგობით აშლევინებდნენ მუხლს.

ტიტე ციხის საკნიდან კარგად ხედავდა გზის გადაღმა განმარტოებულად მიმდგარ შენობას. გაგებული ჰქონდა, რომ ბუდუ მდივნის ნათესავს — გრიგოლ მელიქიძეს ეკუთვნოდა და ახლა ერთმანეთის ხილვაც შეეძლოთ, — ბუდუს საკნიდან, გრიგოლს — სახლის სარკმლიდან, მაგრამ სახლის პატრონი არსად ჩანდა. ციხის უბანში ცხოვრებას გაურბოდა, ტუსაღები აწუხებდნენ, რკინის გისოსებიანი

ფანჯრიდან უკყეტავდნენ იმის ფაშფაშა ცოლს და ჰაეროვან კოცნას უგზავნიდნენ.

პოლიტიკურებისაგან წყენა არ ახსოვდა, ქურდბაცაცები და ავაზაკები კი მოსვენებას არ აძლევდნენ, ლაზღანდარობით აწუხებდნენ.

გაბეზრებულმა სახლის პატრონმა სხვა ბინა აიშენა მოშორებულ და მყუდრო უბანში. სახლის გაქირავება დააპირა, მაგრამ მსურველები როდი ჩანდნენ, ეძვირებოდათ, თანაც ციხის კედლების შემყურე ცხოვრება ვის რა სიამოვნებას მოჰგვრიდა. ყოველ კვირადღეს ტუსაღები ჯგუფ-ჯგუფად გამოჰყავდათ და ეტაპით გზავნიდნენ თბილისში, იქიდან კი ზოგს ციმბირიც აქეთ რჩებოდა.

ტიტემ ციხის განლაგება ხელისგულზე დადებულივით დაიხსომა. ძველსა და ერთსართულიან შენობას ვიწრო დერეფანი ჰყოფდა. ერთ მხარეს პოლიტიკურები ისხდნენ, გვერდით კი — ავკაცობის ჩამდენნი. ავაზაკები პოლიტიკურებს უბღვერდნენ, ახლოს რატომ არ გვიკარებთო, — გამომწვევად საყვედურობდნენ, ქედმაღლურად ეუბნებოდნენ:

— თქვენ ცხოვრებას თავდაყირა აყენებთ, ჩვენ კი სარფას მშვიდად ვშოულობთ, საზოგადოებრივ ბრძოლას პიროვნულ გარჯას ვამჯობინებთო. ყველას თანაბრად დანაყრება შეუძლებელია, თითოეულმა ცალცალკე იზრუნოს და თავისი წილი პური თავადვე მოიწიოსო, მდიდარს აართვას, სიმდიდრე ხელიდან ხელში გადავიდეს თანაც ისე, რომ ვინც იშრომებს ნაკლები შეხვდეს, ხელს ვინც სულაც არ გაანძრევს, გემრიელი ლუკმა იმას ერგოსო.

ასეთი სენტენციებით პოლიტიკურ პატიმრებს რას მოხიბლავდნენ, მაგრამ თვითონ თავი გამართულად ეჭირათ.

ქურდბაცაცების ამ მოძღვრებას ციხის ადმინისტრაციაც სწყალობდა. მართალია, პოლიტიკურებს „თქვენობით“ მიმართავდა. — „შეგნებული ხალხია“, ჩვენს მოვალეობასაც ანგარიშს გაუწევენო, სისხლის სამართლის დამნაშავეებთან კი „შენობითაც“ იოლას გადიოდნენ და ისინიც რას დაგიდევდნენ, თუ შარაგზის ყაჩაღებს ზრდილობიანად არ მიმართავდნენ. მთავარია, ციხის დარაჯ-ზედამხედველებს პირი ჰქონდათ გამოტენილი ქარით მოტანილი პურმარილით. მაგრამ ქართველ რევოლუციონერთა ძლიერება დიდად აფრთხობდათ.

ბუთაისის ციხეშიც ხმა მოსდიოდათ, რომ საქართველოს რევო-

ლუციური მოძრაობა რუსეთის მუშათა კლასის ბრძოლის საქმეს კვალში მიჰყვებოდა, ზოგჯერ კი წინაც გადიოდა.

ტიტესაც ეამაყებოდა, რომ თავადაც მისი მონაწილე ხდებოდა. ციხეში პირველად იგრძნო განმათავისუფლებელი მოძრაობის სიდიადე. რევოლუციური მუშებისა და გლეხების დანახვამ, ინტელიგენტი მარქსისტების გაცნობამ ციხეშივე აუთამაშა გული.

პირველად იქ მოენატრა თავისუფლება, საპატიმროდან თავის დაღწევა, სუფთა ჰაერის ჩასუნთქვა და განმათავისუფლებელ ბრძოლაში მთელი არსებით ჩაბმა.

მანამდე ასე ვერა გრძნობდა თავისუფლების შეზღუდვას, თუ იმ მწითურა ბერის თვალთვალს არ გაიხსენებს, ლოგინს რომ უპენტავდა საიდუმლო ლიტერატურის წასართმევად. ციხის საკანში დაეწაფა საზოგადოებრივი კანონების შეცნობას. პოლიტიკურ ეკონომიას არ იცნობდა, მარქსის „კაპიტალის“ შესავალი ნაწილიც კი არ წაეკითხა! წაკითხულიც რომც ჰქონოდა, მაინც გაუჭირდებოდა გაგება.

მარქსიზმის პოპულარიზატორების წიგნებსა და ბროშურებს კი ღრუბელივით იწოვდა. პოლიტიკას დაეწაფა, იდეურად მომწიფდა, საბრძოლო სულისკვეთებით გაიწაფა და სწორედ ამ დროს გამოუცხადეს ციხიდან განთავისუფლებული ხარო.

პოლიტიკურების საკანმა ერთობლივად დაარიგა, სად როგორ მოქცეულიყო, და პირადი დავალებაც გააყოლეს:

— ბათუმში ჩახვალ, სილიბისტრო ჯიბლაძე ნახე და უთხარი: გიორგი თელიას და მის ამხანაგებს სასამართლოში წაყვანის დროს გზაში დახვდნენ და გაანთავისუფლონ!

„მაშასადამე, გაბედული თავდასხმით რევოლუციონერთა დახსნაც შეძლებულა“, — გაიფიქრა და ციხესაც ისეთივე მადლიერებით დაემშვიდობა, როგორც სასულიერო სემინარიას. იქ ღვთისმოსავთა ცბიერებას აეშალა, აქ კი მიწიერ რეგვენთა ძალადობას აუჯანყდა. ორივე კუშტმა შენობამ განმათავისუფლებელი ბრძოლის გზას გაუყენა.

ბათუმში ჩავიდა, შეპირებული პაროლით მიჩნეულ სახლში შევიდა, დაბარებული სიტყვა გადასცა და ისევ ქუთაისს დაბრუნდა. წაუკითხავ წიგნებისკენ გული მიუწევდა. ბულვართან ახლოს ალიოშა ჯაფარიძე შემოხვდა და ჰკითხა:

— რა წაიკითხე, რისი შესწავლა მოასწარი ციხეში?

ტიტემ ჩამოუთვალა, ისიც დაუმატა, რაც მანამდე ბარონ ბიბინეიშვილმაც შეასწავლა.

მაშ სხვაც დაამატე: „სოციალ-დემოკრატიული პარტიის პროგრამა“, მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური მანიფესტი“, ლენინის „რა ვაკეთოთ?“, კობას ბროშურა „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე“.

ჩაუჯდა.

მერე კობამ დაიბარა, ჭიათურაში პროპაგანდისტად გაამწესა.

წავიდა. სემინარიიდან გარიცხული ვანო ინწკირველიც გაჰყვა.

არალეგალური ლიტერატურით სავსე ჩემოდნით ჭიათურაში ჩავიდნენ. ადვილად მიაგნეს ადგილობრივი პარტიული ორგანიზატორების ქრისტეფორე მელუასა და ვანო ლომთაძის სახლებს.

ჭიათურაში პროფესიული პროპაგანდისტი — ინტელიგენტი ბევრი არ იყო, მუშების შუაგულში შესვლა პოლიციის შიშით სჭირდა. დღისით შინ ჩაკეტილები ისხდნენ. ღამის ცვლაში კი მაღაროში გადიოდნენ.

მერე ხმამ მოაღწია მესამედასელების მემარცხენე უმცირესობის ახალგაზრდა წევრი ალექსანდრე წულუკიძე გარდაიცვალა და ცხედარს ქუთაისიდან მამისეულ სოფელში გადაასვენებენო, გზად ყველა რევოლუციონერი ფეხით გაპყვება და თავ-თავიანთ პროგრამულ სიტყვასაც იტყვიანო.

ტიტე ცამიწაძე და სტეპკო ინწკირველიც ისევ ქუთაისს დაბრუნდნენ, რომ საკუთარი თვალით ენახათ და დახსომებოდათ საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის მოთავეები, ვინც ხალხის ბრძოლას მეთაურობდნენ, და ისინიც, ვინც წინ ეღობებოდნენ. გარდაცვლილი კაცის გასვენებაზე ხმას უბირად ვერავინ ამოიღებდა, ყველა შესანდობარს იტყოდა და სწორედ ასეთ დროს გამოჩნდებოდა ვინ მართალი იყო, ვინ კი სტყუოდა.

თორმეტ ივნისს დილით მრავალათასიანი პროცესია ხონის გზით დაიძრა. გზადაც ზღვა ხალხი შეემატა. სოფელ გუბში სამგლოვიარო მიტინგი გაიმართა. კობამ სიტყვა წარმოთქვა:

— გასული საუკუნის ბოლო წლებში საქართველოს ცას, შავი ღრუბლებით რომ იყო მოცული, შუქი ნათელი მოეფინა, რომელიც ხელ-ნელა დიდდებოდა გარემო წყვდიადთან ბრძოლაში.

ეს იყო საქართველოს რევოლუციურ მარქსისტთა გუნდი, პირველად რომ გამოვიდა საზოგადოებრივ ასპარეზზე. მას უთანასწორო

ბრძოლა ეოუსდა მარქსიზმის მტრებთან, რომლებიც ცდილობდნენ მუშათა კლასობრივი ბრძოლისათვის ბურჟუაზიული იდეოლოგია დაეძალებინათ. რევოლუციური მარქსიზმის გამოჩენილი მოქადაგე იყო ის, ვისაც დღეს მიწას ვაბარებთ. მთელი მისი ცხოვრება მიეძღვნა რევოლუციის გამარჯვებას. მაგრამ სიკვდილს არ შეუძლია გააქროს ნათელი კვალი. ხალხის ხსოვნა ჩაუქრობელ სხივად იკიაფებს მის სავანეზე.

საშა წულუკიძის ნეშტი მშობლიურ მიწას მიასვენეს. მგლოვიარე ხალხი გამობრუნდა. მწვანე მოლზე ცხარე კამათი გამართეს, ყველამ მუხლი მოიკეცა. გლეხი მუშის ზურგს მიეყრდნო, აზნაური ბღვდლის ანაფორას ამოეფარა, ყაზარმიდან გამოპარული ქართველი სალდათები ყანჩა-წეროებივით დარაჯობდნენ, რომ პოლიციასა და ყაზახებს მიტინგი არ დაერბიათ. ორატორი ორატორს ცვლიდა, ხალხი უსმენდა, ხან მენშევიკებს უკრავდნენ ტაშს, ხან კი ბოლშევიკებს, ესერებსა თუ ფედერალისტებსაც საპაექროდ იწვევდნენ და პარტიათა ოქროპირებს ერთმანეთს აჯახებდნენ.

მენშევიკების ორატორები — არსენიძე და ხარატიშვილი სხვებს არ აცლიდნენ ბოლშევიკების კილვა-გაკიცხვას. რას არ უგონებდნენ?

— ბოლშევიკები ამბობენ, — ქართველ გლეხსა და მუშას შეგნება არა აქვთო. ცხვრის ფარადა სთვლიან, მუშა ხალხს პარტიულ კომიტეტში არ ირჩევენ, შეუგნებლები ხართო!..

არსენიძე ეკონომისტებს გუნდრუკს უკმევდა, ადიდებდა, მათი დათაფლული დაპირებები დაესწავლა, მოლზე მოკეცილი ეორდანიაც ნებივრულად მუხლსა შლიდა და ხომერიკ-რამიშვილიც თავს იწონებდნენ, შინიდან გამოყოლილი საგზალით ილუკმებოდნენ, თან შესანდობარს ამბობდნენ, გამარჯვებაც მათა რჩებოდათ.

— კობას მიეცით სიტყვა, კობას! — მოითხოვა ხალხმა.

— გვითხრას, რას გვპირდებიან ბოლშევიკები? — გაისმა აქეთ-იქიდან და ბოლშევიკების ფალავანიც წინ წადგა. მისი წყნარი ხმა იმოდენა ზღვა-მიტინგს რას გასწვდებოდა! მაგრამ ნათქვამის აზრიანობა ატყვევებდა სმენას. მენშევიკების ენაგატლეკილი ტრიბუნებიც კი დუმდნენ.

კობას წიგნი ეჭირა, დროდადრო შიგ იხედებოდა. წაკითხულს უმალ რუსულიდან ქართულად თარგმნიდა და სმენად გადაქცეულების გულსა და სულს იპყრობდა.

იმ ენაწყლიანმა ხარატიშვილმა ვეღარ მოითმინა და გასძახა:

— ერთი მითხარი, მამამეხის ცხონებასა, რა გიჭირავს ხელში?

— ლენინის წიგნი „რა ვაკეთოთ?“

— კარგი მოგცეს ღმერთმა, კარგი დარიგება კი ეწერება?!

— ძალიანაც კარგი!..

— თუ ასეა, კარგ ფულს მოგცემ, მომყიდე შენი კარაბადინი! ბებია მყავს ქარებიანი. იქნებ მისი მოსარჩენი წამალიც ეწეროს,— აროხრობდა ხარატიშვილი, პარტიულ მეტსახელად „მოხევედ“ რომ იწოდებოდა და მოლზე წამოწოლილი სამივე ნოეც აიყოლ-ააქირ-ქილა.

კობამ არ დაუგვიანა:

— ბებიაშენზე არაფერი წერია! შენზე კი, როგორ მოგარჩინოს რევოლუციის ღალატისაგან, ძალიან ბევრი წერია!

ახლა ხალხი ახარხარდა.

მიტინგი აიშალა.

დაკრძალვიდან დაბრუნებულები თავთავიანთ სახლებში წავიდ-წამოვიდნენ.

კობას გულმა ბაქოსკენ გაუწია; იქაც ბევრი მენშევიკი, ესერი, მუსავატი და დაშნაკი გაამწარა, მუშათა ორგანიზაციები ფეხზე დაყენა, მთავრობა ააფორიაქა და პოლიცია ააწრიალა.

მაინც ვერ გაუსხლტა ჟანდარმერიის კლანჭებს, დააპატიმრეს.

კობას მეუღლე კატო სვანიძე ჭლექით ახლად გარდაცვლილი ჰყავდა, ჩვილი იაკობი სვანიძეების ოჯახში დატოვა. არც თვითონ იყო ჯანზე საღად. მძიმე სენი მასაც გადასდებოდა.

მერე ბაქოს ციხეში ბუდუ მდივანთან მოხვდა. 1908 წლის 25 მარტიდან 9 ნოემბრამდე ნესტიან, უჰაერო საკანში დაჰყო და ფილტვებმა უფრო უმტყუნეს.

ბუდუ წუხდა!.. თავად ზაქისტოლა ღონე ჰქონდა და ჯანიც მოსდევდა. ნაღვლობდა, რომ კობა უჰაერობით ილეოდა, სანთელივით იწვოდა.

ციხის საკანის სარკმელი ჭერთან იყო გამოკვეთილი და პატიმრისათვის მიუწვდომელი იყო. ვიწროდან შემობერილი ზღვის სიო კობას სნეულ ფილტვებს ვერა სწვდებოდა.

ბუდუმ ისაზრა:

— კისერზე შემომაჯექი, კობა!

— რათა?

— აჩუ-აჩუ ვითამაშოთ...

— რას ამბობ, სათამაშო გული მაქვს?!

— გაქვს, უნდა ითამაშო!..

ბუდუ ჩაცუცქდა, ლაჯებში შეუყვრა, ღონივრად წამოიწია, მხრებით ასწია, კობა ჭერამდე აბიდა. სარკმელთან მიაყენა და კისერდახრილმა თავდახრილ კობას უბრძანა:

— ისუნთქე-მეთქი, სუფთა ჰაერია შენი წამალი!..

რვა თვეს ასე ასუნთქა. სანამ კობა ვოლოგდის გუბერნიის სოლვიჩეგოდსკში გადაასახლეს, 1912 წელს კი უფრო შორსაც, — ნარინის მხარეში. ციმბირის ჰავამ სულერთიანად ჩაუკირა სენმოდებული ფილტვები და გაკაჟებული დაუბრუნდა რევოლუციურ პეტერბურგს.

ბუდუს შეხვდა და ჰკითხა:

— გახსოვს?

— რა?

— აჩუ-აჩუ!

ახსოვდა.

ცხოვრება კი უმადურია!.. უმახსოვრო და უგულო! ბევრი რაპკ ავიწყდება!..

ან, იქნებ, ხსოვნა-დავიწყებაა ცხოვრება?

ვინ იცის?!.

ცოდვისა და ცოდნის მღვიძე

ტიტე ისე გაიწაფა თეორიულ საუბრებში, რომ თავი უკვე ნამდვილ პროპაგანდისტად მოჰქონდა.

ქუთაისში გატარებული დღეები წინაშემზადებად იქცა. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტთან ახლო ყოფნით კი უფრო მეტი გაიგო. წაკითხულმა წიგნებმა თვალსაწიერი გაუზარდეს და მოსმენილმა სიტყვებმა გუმანი გაუფხიზლეს.

ტიტეს უფრო ბრძოლისაკენ მიუწევდა გული, მაგრამ ცოდნის პრაქტიკულად შემოწმებაც სწყუროდა; სად უფრო უკეთ შესძლებდა ამ სურვილის შესრულებას, თუ არ ჭიათურის მაღაროების მუშების შუა გულში ჩადგომით.

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტში თბილისიდან ჩამოსული კობა ტიტეს არიგებდა:

— მუშებს თუ მართალ სიტყვას ეტყვით, თანაგრძნობით აუსნნით თავიანთი ძძიმე მდგომარეობის მიზეზს, ეს უკვე წარმატების ნაკვალევი იქნება.

ტიტემ სიტყვას საქმე შეადარა:

— განა ნათქვამი მოქმედებას შესცვლის?

— შესცვლის! მოქმედებამ სიტყვა უნდა წარმოშვას. როცა მოქმედება სიტყვას მოამწიფებს. გამარჯვება თუნდაც გიზეიმია!

— რა უშლის საბოლოო გამარჯვების ზეიმს? — ჰკითხა ტიტემ და ვანო ინწკირველიც მოუთმენლად ელოდა პასუხს.

— რაა?! — ჩაფიქრდა კობა და დინჯად მოზომა. — რადა, გონებაში ნაზეიმები გამარჯვება! ერთ გამარჯვებას ათი დამარცხების ბილიკი უნდა მოუნახო და მეთერთმეტესაც ფხიზლად უდგე. მხოლოდ ასე გაიდებ გამარჯვებების ხიდს. ნუ დაღონდები, თუ გული გაგიწყალდება მოლოდინით და თითო-თითო ნაბიჯით წინ წადგომით!.. უცებ გადახტომა მარტო ჭიაკოკონაზე შეიძლება, რაკი ჩანს და ალიც კანჭებს ვერ აგიწვავს. რევოლუციურ უჩინარ ცეცხლში შევარდნა კი დაგბუგავს, ბრძოლის ხალისს დაგიფერფლავს და წაგაქცევს.

გულს ნუ გაიტეხთ! რევოლუციონერობა მარტო თავგანწირვა როდია, თადარიგის დაჭერაცაა, და ვინც ძალასა და გუმანს შეაერთებს, დროსა და უდროობას ერთიმეორეში არ აურევს, ის აუცილებლად გამარჯვებას მოიახლოვებს.

ახლა თქვენი ორივეს ვალია რეოლუციური შეგნება შეიტანოთ ჭიათურელ მუშებში. თავად მიხვდებით, როდის მოაწყოთ მომწიფებული იდეის გარეთ გამოტანის დემონსტრაცია.

ჭიათურა პატარა ქალაქია. ახლად ჩასული კაცი, თანაც ინტელიგენტი, ხელისგულზე ჩანს, ადგილობრივი თავადაზნაურობა არც ისეთი ხარბია, როგორც სხვა მაზრებში, მაგრამ არც ისეთი აღუაა, რომ ნეკი პირში ჩაგიდოთ!.. ნუ დაენახვებით: დღისით იძინეთ, ღამით იფხიზლეთ, მაღაროებში იარეთ, მუშებს ესაუბრეთ, მათი ჭირვარამი შეისწავლეთ, უთანაგრძნეთ, ურჩიეთ — რას რითი დააღწიონ თავი, და როცა დრო დადგება, ადგილობრივი ხელმძღვანელები გეტყვიან, როგორ მოიქცეთ. ნესტორ ჩხეიძე, ალექსანდრე და გალაქტიონ ვაშაძეები თქვენზე უფროსები არიან და თანაც იქაური პირობების მცოდნენი. ენდეთ და დაეხმარეთ იმის გაკეთებაში, რასაც თავად ვერ გასწვდებიან. ბინად რომელიმე მათგანთან გაჩერდით. თუ შემთხვევა გექნებათ, მგოსანსაც ეწვიეთ სხვიტორში, პატივი მიაგეთ.

ჩვენი პარტიისა არაა, მაგრამ ბევრ იმათზე საიმედოა, ვინც ჩვენ გვეტმასნება. ილიას ნათქვამსაც მოეფერეთ, ერთობის მფარველია!..

მაშ, ასე, ხვალ ყვირილიდან ჭიათურას გაუდექით, ახალ ცხოვრებას გაზიარებთ გამორიცხულო სემინარიელებო, თავადაც უფრო ადრე გარიცხული სემინარისტი... ამინ მითქვამს!

ყვირილიდან ღამის მატარებელს გაჰყვნენ. დილით ჭიათურის ხევს მიაყვირა ორთქლმავალმა და ხმა ვიწროებით გაძვრა, თითქოს იმისათვის, რომ ხევ-ხევ ორივე მხარეს შეთხრილ მაღაროებში შემალული მუშებისათვის ემცნოთ ორი შერისხული სემინარიელის ჩამოყვანა, თანაც როგორების?! — თვით ნიკოლოზა მეფეს რომ თავი მოსჭრეს და მწითურა ბერიც სემინარიიდან გააგდებინეს, ქუთაისის ბულვარშიც კაზაკების მათრახებს მოსწავლეთა ზურგზე ცხოვრების გაკვეთილები დააწერინეს და ახლა თავადაც ნამდვილი ცხოვრების მასწავლებელ ადამიანებთან სასწავლებლად მღვიმეში ცოდნის მისაღებად მოდიან.

უცნაურია, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა აგიტატორებად გაგზავნა და თანაც დაავალა — „მუშებისგან ისწავლეთო!“ ისწავლონ და ასწავლონ? როგორ შეახამონ შეგირდობა დამრიგებლობასთან? ან ვის დაუწესებია? იქნებ არც არავის! იქნებ მხოლოდ განათლებულ ადამიანებს დაბედებიათ გაუნათლებელთა შთაგონება, მაგრამ ამასაც ხომ დამნახავი და სამართლიანი გულის კაცობა სჭირდება!.. ბოროტი, რაც არ უნდა ნასწავლი იყოს, რას დაგიდევს სხვის გასაჭირს, აუცილებლად წყეულისაკენ გადიხრება... კეთილიც კი, — თუ შეუგნებელია და გონებითაც შეზღუდული, არც ის მოიკლავს თავს სიბნელეში ბეწვის ხიდზე გადასასვლელად: ის ივარგებს ნამდვილ კაცად, ვინც ცოდნას მონდომებასაც შეუერთებს და ორთავეს სხვების სარგებლობას ანაცვალებს!.. შენ თუ არაფერი არ დაგრჩება — რაა მერე?! ხალხი მაინც დაგიფასებს და მადლობის კარგ სიტყვას გეტყვის სასიკეთო ნამოქმედარზე!..

თითომ რომ ერთი მადლიანი სიტყვა დაძრას, ქვეყნიერებაზე ცოდვა ერთი ხელის მოსმით მოიშლება, მაგრამ ესეც შეუძლებელია, სანამ არ მოშლილა ადამიანებში ქონებრივი გამორჩეულობა, აი ისეთი, ბუნებრივი, რომელიც, დედით კი არ დაჰყოლია ჩვრილ ბავშვს, არამედ მემკვიდრეობით გადასცემია.

მერედა, რატომ დაკანონდა ასეთი უსამართლობა დედამიწაზე, ურომლისოდაც უკეთ ეცხოვრებოდა ყველას და რასაც სულ სხვა

სახელი მოენახება, ვინემ ახლად გამოგონილი სიტყვა სოციალ-დემოკრატობაა, სოციალ-ფედერალისტობა, სოციალისტ-რევოლუციონერობა, ესერებადაც რომ იხსენიება, ანდა სულაც სოციალისტ-ანარქისტობაა!.. ისე კი, ხალხი იმდენად გაბეზრდა მონარქიის თავნებობით, რომ ყოველგვარ სახელს ეტანება, მხოლოდ სხვა ერქვას. იქნებ არც იცის რატომ, მაგრამ იცის, რომ არსებული არაა, მაშასადამე, არც მბრძანებელია.

მბრძანებელი კი მხოლოდ გაბატონებულია. ჰოდა, ტიტე და ვანოც იმით იწყებენ აგიტაციას ჭიათურაში, რომ არსებულ მბრძანებლობას ბოლო მოუღონ, თან, გზადაგზა, იმაშიც ღრმად გაერკვნენ, — ვის პლატფორმაზე გაჩერდნენ, რომელი „იზმი" აირჩიონ ხატად, რომ თვითმპყრობელი დასცენ და ისევე მოსჭრან მეფეს თავი პეტერბურგშიც, როგორც უკვე გამოღადრეს ყელი ქუთაისის საასულიერო სემინარიაშიც.

* * *

ჭიათურელი მუშების დემონსტრაციის დღეც დადგა...

ათასამდე მუშა ქალაქისაკენ დაიძრა. თეთრ ჩოხაში გამოწყობილ ტიტეს წითელი დროშა მოჰქონდა.

გზადშემოყრილმა ბოქაულმა ბერეჟიანმა გარიდება არჩია.

მუშებმა ფიცი დადეს, — არ შეეწყვიტათ გაფიცვა, სანამ მათი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდებოდა.

მაგრამ გაფიცვა თვე-ნახევარს გაგრძელდა. ხალხს ცხოვრება სჭირდებოდა. საგაფიცვო კომიტეტმა ყველა შეძლებულს გააწერა თავისი წილი თანხის შემოტანა მუშების დახმარების ფონდში. თხუთმეტი ათასი მანეთი შეგროვდა. მუშების სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, გაფიცვა გრძელდებოდა და იმედი ეძლეოდათ, რომ სრული წარმატებით დამთავრდებოდა.

მაგრამ გაფიცვის გამოცხადების მეორე დღესვე ჟანდარმერიამ გააძლიერა მეთვალყურეობა, ჯაშუშები მიუჩინა მუშებს, განსაკუთრებით თამამობდნენ აზნაური ნოშრევან ნოშაძე და პოლიციის გადამწერი ჯამაძე. ჭიათურის ორგანიზაციამ გადაწყვიტა ორივეს მოცილება. ნოშაძე მაშინვე გამოასალმეს სიცოცხლეს, პოლიციის გადამწერის მოკვლა კი დაავალეს უფრო გამოცდილ და გაბედულ შაქრო გიუნაშვილს.

. შაქრომ შეაგროვა სხვა ნაცადი და გულადი ბიჭები. მათ შორის კირკიტაძე იყო, რომელსაც თავისი სამსახურის გამო თავისუფლად შეეძლო პოლიციის შენობაში შესვლა-გამოსვლა.

— ერთის გაგონება იყოს!.. უჩემოდ, ნაბიჯიც არ გადადგათ!.. ტერორისტული აქტი ისე უნდა მოვახდინოთ, რომ პოლიცია არც ელოდეს. ნიშანს დაველოდოთ... თავს დავესხათ!

ერთმა შებედა:

— ეგ ნიშანი როდის მოიცემა?

გიუნაშვილს გაეღიმა:

— დილის საფოსტო მატარებლის გასვლისას! პოლიციის ყველა ჩაფარი სადგურზე გავა. საპოლიციო უბნის შენობაში დარჩება ნახევლად მწერალი და ორიოდე ჩაფარი. აი, მაშინ ვეწვევით და დავახლოთ.

კირკიტაძე შეტოკდა. რაღაც უნდა ეთქვა, მაგრამ გიუნაშვილმა ბრძანა:

— ყველამ თავ-თავისი ადგილი დაიჭიროს!

რაზმელები დაიშალნენ.

კირკიტაძემ კი შაქროს რჩევა დაარღვია. საპოლიციო უბნისაკენ გაუწია, გადამწერის კაბინეტში შევიდა და რევოლვერი დაახალა.

ჯაშუში პირველი გასროლისთანავე წაიქცა, მაგიდის გვერდთ მიეგდო.

კირკიტაძე მშვიდად გამოვიდა შაქროს გასახარებლად, მაგრამ არ გაუმართლდა. ტყვია ვერ მოერტყა. ჯაშუშმა ყვირილი მორთო, შენობაში დარჩენილი ორი ჩაფარი მოიხმო და მშვიდად მიმავალ კირკიტაძეზე მიუთითა:

— ესროლეთ, არ გაუშვათ, ტერორისტია!

ჩაფარმა ესროლა, დასჭრა.

კირკიტაძეს მკლავი აეწვა, ეგონა. ვკვდებიო. და დაიძახა — „გუმარჯოს ერთობას!" მერე მიხვდა: მხოლოდ დაჭრილი იყო. და ბაზარში შევარდა.

თოფის ხმაზე შაქრომ თავი გარეთ გამოჰყო. იქვე ახლოს სახელოსნოში ფეხსაცმელს აკეთებინებდა, იგრძნო: საქმე ცუდად იყო, კართან მიყუდებულ თოფს წაავლო და კირკიტაძეს მიეშველა. ერთი ჩაფარი ქლოშინით მისდევდა დაჭრილ კირკიტაძეს. შაქრომ იქვე წამოუჩოქა და შეჰყვირა:

— შესდექ, ჩემი კერძი ხარ!..

მაგრამ თოფი არ გავარდა.

ვაზნა გამოცვალა.

თოფმა ისევ უმტყუნა.

დასედა თოფს და დაუღრიალა იქვე მდგომს:

— ჩემი თოფი მომიტანეთ!

მაგრამ აღარ დასცალდა.

ჩაფარი გონს მოვიდა და ესროლა. შაქროს ტყვია წელში მოხვდა, დაეცა და თოფი ხელიდან გაუვარდა.

— იარაღი არ გაატანოთ, ჯალათს! — დაიძახა, მაგრამ ახლოს არავინ იყო.

დანარჩენი ტერორისტები კი შორს იდგნენ, თავთავიანთ ჩასაფრებულ ადგილას, და შაქროს ნიშანს ელოდნენ. ჩაფარმა შაქროს თოფსაც დასტაცა ხელი, პოლიციისაკენ გაიქცა.

მერე მიხვდნენ, რაც მოხდა: სახელოსნოდან გამოვარდნილ შაქროს სხვისი თოფისათვის წაევლო ხელი, რომელსაც თავისი თოფის ტყვიები არ მიუდგა. ასე წააგო თავი.

— თოფები მოგვეცით, სისხლი უნდა ავიღოთ! — ყვიროდნენ ჭიათურელები.

შაქროს სიკვდილს არ შევარჩენთ! — იფიცებოდნენ მუშები.

იარაღი დაურიგეს!.. ყველა ბილიკი შეჰკრეს, ყველგან შეიარაღებული მუშები ჩააყენეს. ჭიათურას ალყა შემოარტყეს, ეშინოდათ ჯაშუში ჯამაძე ღამით არ გაპარვოდათ.

პარასკევი დღე იყო.

ჭიათურა გაივსო სავაჭროდ ჩამოსული გლეხებით. პოლიციის შენობას კი მუშები უტევდნენ. თითქმის ყველა ჩაფარი, რომლებიც ნაკლებად დამნაშავეებად გრძნობდნენ თავს, გაიქცნენ, იარაღი დატოვეს.

იმათ არას ერჩოდნენ, გაუშვეს.

საბაზროდ ჩამოსულმა გლეხებმა გაიგეს, — პოლიციას ანადგურებენო, — ბაზარი მიატოვეს და თვითონაც გარს შემოერტყნენ საპოლიციო შენობას, — ზოგი ხმლით, ზოგი ხანჯლით, ზოგიც ჯოხით ეხმარებოდნენ მუშებს.

მერე შენობაში შევარდნენ და ერთ ოთახში მიმალულ ჯაშუშს მიაგნეს.

— წყეულო! — მიაძახა გალაქტიონ ვაშაძემ და მაუზერი დაახალა.

შემდეგ შაქროს მკვლელი გადამწვარი თავლიდან გამოათრიეს:

— ღვთის გულისათვის დამინდეთ! — დაიბღავლა ჩაფარმა.

— შაქრომ გაპატიოს საიქიოს! — მიაძახეს და ისიც ჯაშუშს დაეწიეს.

გიუნაშვილის დანაბარები — „შური იძიეთო!" — შეასრულეს.

ხალხი დაცხრა. დარწმუნდა, რომ რევოლუციონერობა მარტო ლაპარაკი კი არაა, — ასრულებაც არის. დანდობაც გამოიჩინეს, ნაკლებად დამნაშავე ჩაფრები უიარაღოდ გაუშვეს, ბოქაული ბერეჟიანი ცოლ-შვილით სროლის დროს გარეთ ფრთხილად გამოიყვანეს და სამშვიდობოზე გაუყვნეს, რომ არ დაშავებულიყვნენ.

კბილი — კბილის ნილ!

კობამ ნოე ხომერიკის „წაჯექ-უკუჯექობას" გზა გადაუჭრა და პირდაპირზე გაიყვანა:

— შეიარაღებული აჯანყების სუნი ტრიალებს ჰაერში, ცხვირში მაინც არა გცემს?!

— მატყობ თუ? დავაცემინებ ცხვირს და მორჩა ყოლიფერი.

— აჯანყება სურდო როდია, ქარბორბალაა! თოფის დაცემას ითხოვს. შენი ცხვირის დაცემინება რას უშველის?!

— შენც დააცემინე! ორი ცხვირი ხეირია!

— შენ ღალატს გადავეფარო?! — გაჰკრა კბილი კობამ.

— მოღალატედ მიგაჩნივარ?! ძმადნაფიცად მიგულე, თუ გულს მოიბრუნებ ჩემზე, მარა ერთი პირობით: შეიგნე კაცო, სოციალ-დემოკრატიის მოვალეობა არაა შეიარაღებული აჯანყების მოწყობა. გაფიცვაზე მზადა ვართ! არ შეგვშვენის ქუჩაში ჩხუბის გაძღოლა! რევოლუციას ბევრი მისახვევ-მოსახვევი გააჩნია, მივიხედ-მოვიხედოთ კარგად და როგორც გვიჯობდეს, იმფერ ვიაროთ. მიზანია მთავარი. მივუახლოვდებით ვისაც როგორ შეგვეძლება. შორი გზით მოიარე, შინ მშვიდობით მიდიო.

— შორეულ ცხენოსანს ფეხით ახლოს მოსული მაყარი გერჩიოსო! — ესეც გამიგია. მაშ რიღას მაქნისი ყოფილხართ მაგ თქვენი ფრაქციით?!

— იმისა, რომ მასები პოლიტიკურად გავანათლოთ!

ჟორდანია წაეშველა ხომერიკს:

— ჩვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანია ხალხის პოლიტიკური

თავისუფლება! ამას კი მოვიპოვებთ იდეური შეგნებით და არა შეიარაღებული აჯანყებით.

— მანამდე ასი წელიც გავა, არ დაგელოდებათ რევოლუცია!

— ჩვენ დაველოდოთ!.. თუ მთა არ მივა მაჰმადთან, მაჰმადი მივიდეს მთასთან: მთა — რევოლუციაა, მაჰმადი — ბურჟუაზია, რევოლუციის გამჩენი! ვანდოთ გამძღოლობაც, პროლეტარიატი მარტო ვერ გაამარჯვებინებს სოციალიზმს... „ქათმის შეძლება კვერცხ იაო!“

— ქათამმაც უთხრა კვერცხსაო, ეგრე ვიყავი მეცაო, იმდენს გავედრებ ღმერთსაო, ჩემსავით გაგხდი შენცაო! — ესეც გაიხსენეთ.

— ბოლშევიკებმაც დაიხსომეთ: ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავისი საკლავი დანა გამოჩხრიკა. ადამიანებს ნუ წააცდენთ!

— კრიტიკული დრო მოგვადგა: ან შეიარაღებული აჯანყებით გამარჯვება, ან უიარაღოდ დამარცხება!.. რომელს ირჩევთ? — ჰკითხა კობამ.

სამმა ნოემ ერთმანეთს პირშეკრულებივით გადახედეს და დიდმა ნოემ გადმოშალა:

— რუსეთში შეიარაღებული აჯანყებისათვის პირობები მომწიფებული არაა!.. არც მარქსსა და ენგელსს აქვთ რაიმე მითითება ამის შესახებ. ჩვენ კი, თქვენთან ერთად, სოციალ-დემოკრატები ვართ, მგონია!

კობას მწარედ გაეღიმა.

— დიახ, მგონია! მაგრამ თქვენმა მიმართვამ მარქსისადმი სასაცილო ამბავი გამახსენა. ზოგიერთ სოციალ-დემოკრატს მარქსისა და ენგელსის ციტატები ასოკირკიტობის ყაიდაზე მოჰყავს. აბა გაიხსენეთ რა მოხდა ყირიმში ფლოტისა და ქვეითი ჯარის აჯანყების დროს. მოვიდნენ თურმე ფლოტისა და ქვეითი ჯარის წარმომადგენლები და ეუბნებიან სოციალ-დემოკრატებს:

— უკანასკნელ წლებში თქვენ ცარიზმის წინააღმდეგ აჯანყებისაკენ მოგვიწოდებდით, ჩვენ დავრწმუნდით, რომ თქვენი მოწოდება სწორია! ჩვენ, მატროსები და ქვეითი ჯარი, შევთანხმდით ავჯანყდეთ და ახლა რჩევისათვის მოგმართავთ.

სოციალ-დემოკრატები აფორიაქდნენ და უპასუხეს:

— არ შეგვიძლია ისე გადავწყვიტოთ საკითხი, თუ სპეციალური კონფერენცია არ მოვიწვიეთ.

მატროსებმა აგრძნობინეს:

— დაყოვნება არ შეიძლება, საქმე უკვე მომზადებულია, და თუ სოციალ-დემოკრატებისაგან პირდაპირ პასუხს ვერ მივიღებთ, ხოლო სოციალ-დემოკრატები აჯანყების ხელმძღვანელობას არ მოჰკიდებენ ხელს, შეიძლება საქმე ჩაიშალოს!

მატროსები და ჯარისკაცები წავიდნენ დირექტივების მოლოდინში, სოციალ-დემოკრატებმა კი კონფერენცია მოიწვიეს საკითხის განსახილველად. აიღეს „კაპიტალის" პირველი ტომი, აიღეს „კაპიტალის" მეორე ტომი, აიღეს, ბოლოს, „კაპიტალის" მესამე ტომი. ეძებენ მითითებებს ყირიმის, სევასტოპოლის შესახებ, ყირიმის აჯანყების შესახებ, მაგრამ „კაპიტალის" სამ ტომში, ერთი რა არის, — ერთ მითითებასაც კი ვერ პოულობენ ვერც სევასტოპოლის, ვერც ყირიმის შესახებ, ვერც მატროსთა და ჯარისკაცთა აჯანყების შესახებ!

დარბაზს ღიმილის ტალღა გადაევლო. კობამ ირონიულად გაბაგრძო:

— ფურცლავენ მარქსისა და ენგელსის სხვა თხზულებებს, ეძებენ მითითებებს, — სულ ერთია არავითარი მითითება არ აღმოჩნდა.

სიცილმა სკამები ააჭრიალა. ერთმა ნოემ გულუბრყვილოდ ჩაიცინა. კობამ შეფიქრიანებული კილოთი იკითხა:

— როგორ მოიქცნენ? მატროსები კი უკვე მოვიდნენ, პასუხს ელიან!

— მერე რა მოხდა? — ვერ მოითმინა ნოე ხომერიკმა და ცნობისმოყვარეობით კისერი აყლარწა, მაგრამ დიდმა ნოემ უკმაყოფილოდ გახედა და შუათანა ნოემაც თვალები გადაუბრიალა. ხომერიკმა კისერი ისევ საყელოში ჩამალა.

— ის მოხდა, რომ სოციალ-დემოკრატები იძულებული გახდნენ ელიარებინათ, ასეთ ვითარებაში მატროსებისა და ჯარისკაცებისათვის რაიმე მითითების მიცემა არ შეგვიძლია!

აი, ასე ჩაიშალა ფლოტისა და ქვეითი ჯარის აჯანყება, — დაამთავრა ციტირების მოყვარულთა ამბის თხრობა კობამ და ახლა დარბაზის უმრავლესობა ახარხარდა. მაგრამ ჟორდანია-რამიშვილი-ხომერიკი ხუმრობას გუნებაზე აღარ იყენენ. ეს ტიტემაც იგრძნო და შეეცადა დამცინავნიც და დაცინულნიც დაეცხრო:

— ამ ნაამბობში დიდი გაზვიადებაა! მაგრამ ისიც უეჭველია, რომ ეს ამბავი საკმაოდ მოხდენილად გადმოგვცემს მარქსისა და ენგელსის ციტირების მენშევიკური მანერის ძირითად სენს.

ჟორდანია აწითლდა. მის თანამებრძოლებს კი ფერი წაუვიდათ.

— რუსეთში რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს!

— რომც გაიმარჯვოს, ბურჟუაზიული იქნება და არა პროლეტარული!..

— გამარჯვება გახდება დამარცხების დასაწყისი.

— ბურჟუაზიის წაუმძღვარებლად რევოლუციის საქმე წახდება.

— თუ პროლეტარიატმა მოინდომა რევოლუციის ხელმძღვანელობა, მისი დროებითი გამარჯვებაც კი სამარადისო დამარცხებით დამთავრდება.

— დამარცხება გარდუვალია! რატომ დავიდოთ ხალხის დაღუპვის ცოდო?! — შეაჯამა დიდმა ნოემ.

— რევოლუციის გამარჯვება მართლაც ძნელია. შენარჩუნება კი უფრო საძნელო. მაგრამ...

— „მაგრამ“ რაღას უშველის დაღუპულ საქმეს! — არ აცალა კობას სიტყვის დამთავრება ჟორდანიამ და მიმდევრებმაც მგლოვიარედ შეიცხადეს.

კობამ დინჯად მიუთვალა:

— „უმაგრამო“ საქმე სად გინახავთ? პარტიის პროგრამაშიც არ გვიწერია. თუმც, თქვენი ფრაქციის პროგრამა „მაგრამების“ კრიალოსანია, მარგალიტების მძივები კი ბგონიათ. განა „სიძნელე“ და „შეუძლებლობა“ ერთი და იგივეა?! დიახ, შეიარაღებული აჯანყება ძნელი გასამარჯვებელია, მაგრამ მაინც შესაძლებელია! „ერთი წიხლის კვრით ციხე არ დაინგრევაო“. გმირი ბრძოლაში იბადება! დიახ. ხელიც უნდა გავაქნიოთ, რევოლუციურ შეგნებულებას თოფის ძალაც მივაშველოთ, შეგნებულ შეიარაღებულ აჯანყებას გავამარჯვებინოთ, ერთია „შეუძლებლობა“, მეორეა „სიძნელე“. შეიარაღებული აჯანყებით დავძლიოთ ცარიზმის დღემდე უძლეველი წინააღმდეგობა, რომ მერე ახალი საზოგადოების აშენების უფრო ძნელ საქმესაც დავადგათ თავი!

— ვისი თავი?! — ირონიული დამამცირებლობით იკითხა ნოე ხომერიკმა.

— რა თქმა უნდა, არა რომელიმე ნოესი!.. სამი ნოე ხართ, მაგრამ თქვენი ნავი არარატის მთაზე კი არ ცურავს, როგორც სასულიერო სემინარიაში გისწავლიათ, ჭაობიან ტბაში ტივტივებს.

მშრალად ხმელეთზე გადმოსვლა გაფიქრებთ, ფეხი არ დაგვისველდესო.

— აწი ბოლშევიკები დარჩებით მშრალზე! — შეუძახა სამიდან ერთმა ნოემ.

— ჩვენს ნაპირზე გადმოსხდომას გირჩევთ. მშრალია! თოფიარაღიც აისხით, ტიტლიკანად ვის ეოგიხართ? ჭაობში დახრჩობას გადარჩებით. გამოგვყევით!

— გამოგვყევით, წამოგვყევით! — აგორდა ხმა დარბაზში.

— ვის გამოგყვეთ, თქვენ? ხალხი სასიკვდილოთ ამ[illegible] და გინდათ, ჩვენც ჩაგვიყოლოთ?!

— უმსხვერპლოთ გამარჯვება ხად გინახავთ?! ვერც ჩვენ დაგპირდებით. თქვენი გზა სიარული კი სიკვდილზე უარესია, ლაფში ჩახრჩობაა. ნურას უკაცრავად, საჭაობოდ არ დავბადებულვართ, ნუ გვეწევით იქით.

— მაშ, ყველა თავის ბედისწერას გაჰყვეს! — ანერვიულდა ჟორდანია და თვალები ჭერს ააპყრო, თითქოს, პლაფონზე მოხატული ანგელოსები პირველად ახლა დაინახაო.

— თქვენი ბედისწერა თქვენთვის დაგვიომია! მუშებსა და გლეხებს კი შეეშვით. ნუ ატყუებთ იმედებით. თქვენი ნავი ძირგახვრეტილია!.. ღრმად ჩაიძირებით. არც ნიჩბის მოსმა გემარჯვებათ. „მე-ნავემ თუ წყლის სიღრმე არ იცის. ნავს ქვეშიდან მოექცევაო“.

— შენ კი, კობა ლენინის ნავში მერქიფეთა ზიხარ, თავი კი თამადა გგონია! — ლვარძლიანად უთხრა რამიშვილმა.

— კაი ნათქვამია: კუმ ფეხი გამოყო, მეც ნახირ-ნახირაო.

— რას ვიზამთ, ბრმად მიჰყვებიან ჟორდანიას, — დაინანა თელიამ.

— დიახ, ბრმა ღობეს მიადგა. შენს იქით გზა არა მაქვსო.

— ნოე ნოეთა წინამძღოლია.

— ვიცი. ბრმათა შორის ცალთვალიო — არის პირველი სარდალიო!

— ნუ აბრმავებთ მასებს! მეფის წყალობის მოლოდინში სტოვებთ. ზეცას წერო მიფრინავდა, ძირს შამფურსა სთლიდნენო, — ასეა თქვენი საქმე. რამდენი საუკუნეა რომანოვების სახლის მოწყალებას ელიან, მაგრამ რა მიიღეს? რა და მათრახი, ცხრა იანვარს პეტერბურგში მუშების დახვრეტა და თბილისელი გიმნაზისტების დახოცვა გოლოვინის პროსპექტზე?.. არა, ასეთ ლოდინს

ხალხი აღარ მოითმენს. იარაღი აისხა, ჩახმახსაც გამოჰკრავს! ბრძოლაში არ მოგვდევთ, — ფეხებში რაღას გვებლახდებით, — აეშალა ალაგაზრდა დარბაისელ ხოეს.

ერთი სოციალისტური პარტიის ორ ფრაქციას შორის დავა გაღრმავდა.

ბოლშევიკები შეიარაღებული აჯანყებისაკენ მოუწოდებენ, მენშევიკები ფიქრსაც არ იკარებენ. ადგილობრივმა პოლიციამ ორივეს მახე დაუგო, თავის სასარგებლოდ მიიჩნია მათი დავა. ღვთის წყალობაა მათთვის ჟორდანიას მომხრეების პოლემიკა ლენინელების წინააღმდეგ, რაკი მეორე ყრილობაზე პარტიაში წარმოშობილი განხეთქილება მესამეზეც არ დაცხრა და კიდევ უფრო ღრმავდებოდა.

* * *

ქუთაისის ქუჩებში შეტაკებები დაიწყო. ბათუმელებმაც მუშტი აღმართეს, თვითმპყრობელობას შეუტიეს. ბათუმის ოლქის სამხედრო გუბერნატორმა მეფის ნაცვალს უპატაკა:

— ღამის პირველ საათზე სამოცი შეიარაღებული რაზმელი დაესხა იარაღის საწყობს და წაიღო თოფები, რევოლვერები და ვაზნები. წითელრაზმელთა ათი კაცისაგან შემდგარი ჯგუფები ღამითაც და დღისითაც თავს ესხმიან კერძო პირებს და ართმევენ იარაღს.

ქუთაისის გუბერნიაში სამხედრო ძალაუფლებამ ფაქტიურად იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის ხელში გადაინაცვლა. გენერალ-ლეიტენანტი შიშკოვსკი უფროსობასთან ჩივის:

— მთელი რკინიგზა შეიარაღებული გურულების ხელშია. ისინი რკინიგზით სარგებლობენ თავისუფლად, კაზაკებს არც ერთეულად და არც ჯგუფად მატარებელში არ უშვებენ. ტელეგრაფი მათ ხელშია. როცა ჩვენ ვაგზავნით დეპეშებს, თუ მათთვის სასარგებლოა, გზავნიან, ხოლო თუ სასარგებლო არაა, — არ გზავნიან.

ძალიან მოძრავი ხალხია გურულები, იმათთან ქვეითი ჯარით ვერას გააწყობ, მათთან ბრძოლაში მხოლოდ კაზაკების იმედი შეიძლება ვიქონიოთ. აჯანყებულთა მილიცია მე ორჯერ ვნახე: დიდად ენერგიული ხალხია, ისინი გადაჭრით დაადგნენ ბრძოლის გზას. შეიარაღებული არიან ბერდანებით, შაშხანებით, შვეიცარული იარა-

ღით და ამერიკული კარაბინებითაც კი; ბრძოლისათვის ყოველ-მხრივ მზად არიან.

— ჭიათურაში ფაქტიურად სრული დემოკრატიული რესპუბ-ლიკაა, — ახარა მკითხველებს გაზეთმა „პროლეტარიატმა", — მდგომარეობის ბატონ-პატრონები ჩვენში მუშები და გლეხები არიან. ადმინისტრაცია არ ჩანს, მას ყველა დასცინის, იგი ყველას ეზიზღება, გლეხთა ჯგუფები და ჭიათურის სოციალ-დემოკრატი-ული ორგანიზაცია მოქმედებენ როგორც მცირე მასშტაბის დრო-ებითი რევოლუციური მთავრობა.

მთავრობა დაშინდა, დროებით უკანდახევა სამარცხვინოდ ალარ მიაჩნდა. სულის მოსათქმელად 17 ოქტომბერს ხალხს აუწყა მანიფესტით ნაბოძები პირობები, — პიროვნების ხელშეუხებლო-ბა, სინდისის, სიტყვის, კრებებისა და კავშირების თავისუფლება, ტაშფანდურით დაჰპირდა, რომ მოიწვევდა საკანონმდებლო სათათ-ბიროს. „სამოქალაქო თავისუფლებანი" და „საკანონმდებლო სა-თათბირო" მატყუარა ფანდად იხმარა, რომელსაც ხელგაშლილი სიხარულით შეხვდნენ მენშევიკები, მაგრამ ამან კიდევ უფრო აამხედრა ბოლშევიკების ფრაქცია.

ქუჩებში გამოიშალნენ მუშები და მათი მეთაური რევოლუცი-ონერები, რომლებიც როდი არჩევენ, ვინ რა არის, — ზოგი ხნიანი იატაკქვეშელია, ზოგიც ახალგაზრდა გიმნაზისტი, ფორმიანი კაცე-ბი და ჩიხტიკოპიანი მანდილოსნებიც, მუშები და მოსამსახურენი, ხელოსანთა შეგირდები, სასულიერო სემინარიის, ქალთა ეპარქი-ალური სასწავლებლის მოსწავლენი, რეალისტები და მოდაზე მო-კაზმული კურსისტკები, მოხელეები და ინტელიგენციის, გამოჩენი-ლი მოღვაწენი. ნაბეჭდი და ზეპირი სიტყვა ღრმად იბუდებს ხალხის გულში.

გლეხობამაც ირწმუნა ქალაქელების გუმანი და კომლზე კაცი გამოვიდა დროშებითა და კეტებით, ვისაც ჰქონდა, — თოფებით და ამოღებული ხანჯლებითაც გურია, იმერეთი, სამეგრელო, რაჭა, ქართლ-კახეთი, ფეხზე დადგა, მეფის ხელისუფლებას მიწისძვრა დაატყდა და ქარიშხლად გადაქცევად დაემუქრა.

მანიფესტის გამოცხადების წინა დღეს წითელრაზმელებმა განა-იარაღეს ჩოხატაურის პოლიციის საგუშაგო. მანიფესტის გამოცხა-დების მეორე დღეს კი ოზურგეთის მაზრის უფროსმა ლაზარენკომ ას ოცდაათი ჯარისკაცით შეუტია აჯანყებულ ჩოხატაურელებს.

ნასაკირალთან ჩასაფრებულმა წითელრაზმელებმა გზა გადაუჭრეს და გააქციეს: მოკლეს ათი, დაჭრეს თოთხმეტი და ტყვედ წაიყვანეს ექვსი კაზაკი.

პოლიციელთა ახალმა შეტევამ გურიაში მრავალი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა. მეფისნაცვალმა ვორონცოვ-დაშკოვმა ახალი მაშველი რაზმები გაგზავნა გურიის მოსასპობად ცეცხლითა და მახვილით. ამან ფეხზე დააყენა ილია, აკაკი, იაკობი. ჭავჭავაძემ მოითხოვა ქართველი საზოგადოების წარმომადგენლების ვორონცოვ-დაშკოვთან მისვლა გურიაში დამსჯელი ჯარის გაგზავნის ბრძანების გადასათქმელად.

— წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ყველანი იქ წავალთ და ჩვენ ძმებთან ერთად საკუთარ ძვლებს დავყრით!

ილიამ პეტერბურგის სათათბიროსაც გააგონა თავისი ძლიერი ხმა:

— საქართველოს აწიოკების შესახებ რაც რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა, ის სინამდვილის მეასედია. ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გარდაქმნეს. მე დარწმუნებული ვარ — ჩვენი დეპუტატები სათათბიროში ამ საგანზე აღძრავენ შეკითხვას. თუ საელმწიფო საბჭოში მოხერხდა, იქ ვეცდები დაუფარავად დავხატო სრული და უტყუარი სურათი ჩვენი ქვეყნის ვაებისა.

მეფის ოხრანკამ ჩახმახს თითი მზაკვრულად გამოჰკრა და კლასები და ეროვნებანიც ერთმანეთს გადაჰკიდა: თბილისში სროლა ატყდა. ავლაბარი და ხარფუხი ერთმანეთს წაჰკიდა. სომეხი თათარს მიუსია. თათარი კი სომეხს. თავად განზე გადგა ხელის მოსათბობად. ორივე მხრიდან ცამეტი მოკვდა და ოცდაცხრამეტი დაიჭრა. სისხლი ზღვად დატბორდებოდა, მაგრამ ქართველი ბოლშევიკები მეფის ოხრანკის წაკიდებულებს შუა ჩადგა და სისხლისღვრას გზა გადაუკეტა.

მაინც დადგა ცხელი შემოდგომა, საქართველო ბობოქრობდა. მეფის ნაცვალი მეფეს ატყობინებს:

— სოფლად ყველგან იმართება მიტინგები, მანიფესტაციები, რომლებიც ქადაგებენ წოდებათა თანასწორობას, კაპიტალიზმის მოსპობას, ხალხის ხელში ძალაუფლების გადასვლას.

7 დეკემბერს დაიწყო მოსკოველთა პოლიტიკური გაფიცვა და უკვე 11 დეკემბერს ნაძალადევშიც გაიმართა თბილისის მშრომელთა დიდი მიტინგი. მეორე დღეს კი თბილისელი მუშის, პეტრე

მონტინის დაკრძალვაც მთავრობის საწინააღმდეგო დემონსტრაციად იქცა.

მუშათა უბნის, ნაძალადევის, დარბევის სუნი დატრიალდა ჰაერში. გენერალი გრიაზნოვი ზვერავს მუშების შეიარაღებული რაზმების განლაგებას, რომ მოულოდნელად თავს დაესხას.

იმ დღეს თბილისში ცივი ამინდი იდგა, ნაძალადევის ტყის მიდამოებში თოვლი იდო. ამ უბანში იყო შეფარული ცენტრალური საგაფიცვო ბიურო, რომელსაც შეიარაღებული აჯანყების ხელმძღვანელობა ევალებოდა.

გვიან ღამით სოციალ-დემოკრატიული პარტიის თბილისის კომიტეტში სილიბისტრო ჯიბლაძემ ათი რევოლუციონერი მოიხმო და გაანდო:

— გენერალი გრიაზნოვი ხვალ დილით ნაძალადეველ მუშებს თავს დაესხმის. უნდა ვიხსნათ რევოლუციური უბანი!

მერე ჯარის შესევის ნავარაუდევი გეგმაც გააცნო:

— კაზაკთა რაზმი ხუდადოვის ტყის ჩრდილოეთის მთა-გორებით წამოვა, სამხრეთიდან კი, ნაძალადევის რკინიგზაზე გადასასვლელი ხიდით ქვეითი ჯარის ასეული შეესევა. ჩვენი შტაბი დადგება ეკლესიის გალავანში, სკოლის შენობაში რამდენიმე კარგად შეიარაღებულ ამხანაგს შევგზავნით, ათი კაცი ხუდადოვის ტყის ძირთან ჩასაფრდებით და, როგორც კი მტერს შენიშნავთ. შტაბს აცნობებთ. მაშინ მეორე ჯგუფი ჩერქეზოვის ქუჩით ზურგში მოექცევა პლასტუნებს, მესამე ჯგუფი კი ყუმბარების სროლით შეებრძოლება. ყოველივე ეს ერთსა და იმავე დროს უნდა მოხდეს სამივე მხრიდან.

— ათნი ათას კაცს როგორ გავუძალიანდეთ! — ეჭვით გაბედა მინა კალაძემ, თუმცა გულში ფიქრობდა, რომ თვითონ ერთი ათასაც გაუმკლავდება.

— მარტოც შესძლებ ასეულის დაფრენას, შენი მკლავისა და ხერხის ძალა რომ ვიცი, — გაუღიმა ჯიბლაძემ.

— მინა მართალია, ცოტანი ვართ, მაგრამ გასაკეთებელი გავაკეთოდ! — მოსჭრა ცინცაძემ.

— სხვა გზა არ არის, უნდა შევძლოთ, თუ ჯარი ამალამვე არ დაგვადგა თავზე, — ხელი დაჰკრა მხარზე მინას რაზმის უფროსად დანიშნულმა ტიტე ცამიწაძემ.

— როგორც ბედი გვაოგუნებს! — მოათავა ჯიბლაძემ და სხვა დარიგებაც გააყოლა:

— გათენებისას, როგორც კი ყუმბარის ხმას გაიგონებთ, აჯანყება დაწყებულია! მაგრამ თუ გოიანხოვის ჯარი გათენებამდე ბეჭოვა ნაძალადევში, მაინც ეს უბედურება საგანგებოდ დაყენებულმა პატრულმა უნდა აცნობოს მინახარე ხალხს ყუმბარის გადაგდებით, რომ მიიმალონ და შემოსულ ჯარს მშვიდად, თავდაჭერით დახვდნენ.

ტიტეს რაზმი წავიდა.

გათენების ჟამი მოახლოვდა. აჯანყების შტაბის უფროსი ჯიბლაძე შეყოყმანდა, — „იქნებ მინა კალაძე მართალია, ათი ათასს კაცს როგორ გაუძალიანდეს!“

ტიტეს რაზმი ხუდადოვის ტყის ძირთან გორაკების გასწვრივ ჩასაფრდა და მოუთმენლად ნიშანს ელის.

ირიჟრაჟა. შტაბის ცნობა კი არ არის... არც კაზაკების რაზმი ჩანს... შტაბის უფროსს ჩაეძინა.

ნაძალადევის ხიდისკენ მიმავალი რევოლუციონერების პატრული კი უეცრად ხიდზე შემოსულ ქვეითი ჯარის ასეულს წააწყდა. შებრძოლება არ შეიძლება, ეს მათ შტაბისაგან დავალებული არა აქვთ, ვიდრე მისგან შესაფერ განკარგულებას არ მიიღებენ. განკარგულება კი არ არის: მაშასადამე, უკან უნდა გამობრუნდნენ და იარაღი სადმე მიმალონ. ასეც მოიქცნენ: იქვე ახლად აშენებულ ნაძალადევის საყდარში ყუმბარები დამალეს და თვითონ ხევებსა და ფერდობებზე შეფარვა სცადეს. მაგრამ სწორედ აძ ხევებსა და ფერდობებზე ჩრდილოეთის მხრიდან კაზაკთა რაზმი გადმოვიდა.

შენიშნეს თუ არა, რომ მუშები იმალებიან, სროლა აუტეხეს, მთელი პოლკით დაერივნენ და ხმლებით ჩეხვა დაუწყეს.

ტიტემ მინას გაუძახა:

— ჩაუწექი, ბიჭო, ხევში, იქნებ გადარჩე!

მინა შეუპოვრად დგას, თოფის სროლით წამოსულ და ხმალამოწვდილ კაზაკებს ელოდება. ტყვიამ უკვე გაუარა, შეტორტმანდა, მაგრამ გამაგრდა, უნდა წაეტანოს კაზაკს, ღონიერი ხელი ყელში ჩასჭიდოს მოსახრჩობად, მაგრამ ამ დროს კაზაკებს ხიდის გზით წამოსული ხიშტიანი სალდათებიც მოეშველნენ და ზურგში ხიშტი ჩასცეს მინას.

ტიტე ტყვიით გაკაწრული დაეცა: თავი მოიმკვდარუნა და კაზაკებმა ხევში გადაისროლეს.

მეორე დღეს მთელ უბანს შესაშინებლად დაანახვეს ყელგამოჭრილი ცხენი ძმა ნაძალადეველი.

თბილისი მაინც არ დაშინდა. აჯანყების შტაბი ნაძალადევიდან დიდუბის მუშათა უბანში გადაიტანეს და ბრძოლა გააგრძელეს. მერე სალდათის ბაზართან კაზაკების ყაზარმას ალყა შემოარტყეს და ბევრი კაზაკი ცხრა ძმას დააწვინეს.

მაგრამ თავაწყვეტილ პოლიციურ რეჟიმს რას დააცხრობ. შავრაზმელობამ თავი უფრო აიშვა.

საგაფიცავო ბიურომ მოწოდება გამოუშვა:

— ისმინეთ, მოქალაქენო! თბილისი საფრთხეშია. ძალაუფლება ხელში ჩაიგდო ხულიგანთა ბანდამ. არ არსებობს მთავრობა. არ შეიძლება იყოს ვალდებულებაც მის მიმართ! ამიერიდან ჩვენი დიდი ქვეყნის ყოველი მოქალაქე ვალდებულია არ გადაიხადოს გადასახადი, არ აიღოს პატენტი!.. მოქალაქენო! მთელ თვალუწვდენ რუსეთში ჩაღდება ომი, ომი დაუზოგავი! იწვის მოსკოვი, სადაც რევოლუცია გადამწყვეტ ბრძოლას აწარმოებს რეაქციის ძალებთან, ცეცხლში გახვეულია როსტოვი, რომლის ნაწილი აჯანყებული ხალხის ხელში აღმოჩნდა; და ასეა მთელ რუსეთში!

სისხლისმღვრელი და წმიდათაწმიდა ბრძოლისათვის აღსდექით, მოქალაქენო!

* * *

აღდგა და საბრძოლველად წამოიმართა თბილისი.

ხალხს ახალი იარა აწუხებს და ადრინდელსაც არ ივიწყებს. ქალაქის გამგეობის დარბაზში ოცდა ცხრა აგვისტოსათვის მუშები მიიწვიეს.

— მობრძანდით, მოგვისმინეთ და ერთად განვიხილოთ ბაქოში დატრიალებული სომეხ-თათრთა საშინელი ხოცვა-ჟლეტის ამბავი, დარწმუნდებით, მთავრობას ბრალი არ ედებაო...

თვითმმართველობის დარბაზთან თავი მოიყარა მენშევიკებისაგან გაბრიყვებულმა სამი ათასამდე თბილისელმა, კაცმა და ქალმა. დარბაზის კარი წინდაწინ ჩაკეტილი დასდათ. დიდი ხნის ლოდინის შემდეგ გაუღეს, მაგრამ ნასევარი საათის შემდეგ გენერალ გუბერნატორის სახელით ისევ დაშლა უბრძანეს. ხმოსნები წინააღუდგნენ. პოლიციამ საბაბი იშოვა და ბრძანება გასცეს ესროლ-

ლათ. ხუთასამდე კაზაკი შემოერტყა ირგვლივ ქალაქის თვითმმართველობის შენობას. ნაწილი თვით დარბაზში შეიჭრა. ხალხმა დაინახა თუ არა კაზაკები, შეჩოჩქოლდა და წამოსვლა დააპირა. ამ დროს იგრიალა ზალპმა, მას მოჰყვა მეორე, მესამე და თავზარდაცემული ხალხი მიადგა გასავალს, მაგრამ კარები დაკეტილი დახვდა და მოემწყვდა ადრევე დაგებულ ხაფანგში.

დადგა ჯოჯოხეთური წამი: ყოველი მხრიდან ტყვია სეტყვასავით მოდის, — ქუჩიდან დარბაზში, დარბაზიდან გასასვლელში, და აწვენს კაცს კაცსე. კორიდორებში ჩაყენებული კაზაკები კონდახებითა და მათრახებით უხვდებიან და ასახიჩრებენ ყველას. მეორე რიგი კაზაკებისა დახოცილ-დაჭრილებს ისვრის კიბეებიდან.

— სიკვდილი ყოველთვის თან გვდევდა! ეს ჩვენთვის ახალი არაა? ძველია, მაგრამ ყოველი სისხლის წვეთი უფრო და უფრო ანთებდა ჩვენს გულში ბრძოლის ალს. აი ეს ალი დღეს ცეცხლის ზღვად გადაიქცა, იგი მოედო მთელ რუსეთს, მთელ კავკასიას. დღევანდელი დღე შეიარაღებული აჯანყების დღეა. დაყოვნება ყოვლად შეუძლებელია, მეომარნი ყოველ მხრიდან იარაღს ითხოვენ. ოევოლუციური ჯარი დარაზმულია, საჭიროა მხოლოდ იარაღი! — მოუწოდებს ხალხს ქუთაისში დაბეჭდილი პროკლამაციაც.

— სისხლი სისხლისათვის, სიკვდილი — სიკვდილისათვის! — გაიძახიან მუშები ბათუმში, გორსა და ჭიათურაში, სოხუმსა და აბაშაში, გურიაში, იმერეთში, სამეგრელოსა თუ კახეთში.

კობა რჩევას სთხოვს ლენინს, როგორ მოევლოთ ქართველ ბოლშევიკებს ხალხის აღშფოთებისათვის?

ლენინმა ურჩია:

— თბილისელმა მუშებმა ტერორით არ უპასუხონ!..

მაგრამ ძნელი გახდა ხალხის დაწყნარება. მეორედ მიმართა რჩევისათვის.

ლენინმა უპასუხა:

— მოიქცნენ, როგორც ამჯობინებენ!..

ქართველი ბოლშევიკებიც იძულებულნი გახდნენ ყუმბარებისათვის მოეკიდათ ხელი. ჯერ ნაძალადეველი მუშების მკვლელები აქციეს ნაფლეთებად და იმ ჯალათს ალიხანოვ-ავარსკისაც შეუვორეს ეტლში ყუმბარა, ჯერ დასჭრეს, მერე წირვაც გამოუყვანეს.

თვითმპყრობელობის წინააღმდეგ შურისძიების ტალღამ მთელ საქართველოს გადაუარა, რაჭაში შეიარაღებულ აჯანყებას სოფლის

მასწავლებელმა ლობეანიძემ გაუმართა ხელი, ზუგდიდში — თოლორდავამ, სვანეთში კი — დადეშქელიანმაც.

ხალხის შურისძიება მეფის სისასტიკემ გამოიწვია: ნადირზეც ვერ იტყვის კაცი, რაც ჩაიდინა ზუგდიდის მაზრის უფროსმა კეგამოვმა, წითელი რაზმის მეთაურის თოლორდავას ხელში ჩასაგდებად მეზობელი გვახარიას ქვრივი დააპატიმრა და დაუტატანა:

— იცი, ალბათ, სად იმალება თოლორდავა?

— რა ვიცი?!

— არ იტყვი და შვილს დაგიხრჩობ ჭაში.

— არ ვიცი, ბატონო!

მაზრის უცროსმა ძუძუმწოვარი ბავშვი ხელიდან გამოსტაცა და ჭაში ჩააგდო.

„მხეცი!", „ურჩხული!", „გველეშაპი!" — ატირდა სოფელი.

„კარგია თუ არა, რომ ხალხი ძალადობას ხმარობს თავის მჩაგვრელთა წინააღმდეგ?

— დიახ, ეს ძალიან კარგია! — თქვა იმხანად ლენინმა.

„ძალმომრეობაზე ძალმომრეობაა?!".

— ეს არის თავისუფლებისათვის სახალხო ბრძოლის უმაღლესი გამოხატულება, მისი ძალა.

„რას ეყრდნობა ეს ძალა?".

— ხალხის მასას. აი ამ ახალი ძალაუფლების ძირითადი განსხვავება ძველი ძალაუფლების ყველა წინანდელი ორგანოსაგან.

ახალი ორგანოები არიან ძალაუფლების ორგანოები ხალხის, მუშებისა და გლეხების ბატონობისა უმცირესობაზე, ერთ მუჭა პოლიციელ მოძალადეებზე, ერთ მუჭა პრივილეგიურ თავადაზნაურებსა და მოხელეებზე!

„რა საჭიროა დიქტატურა, რა საჭიროა ძალადობა? განა უზარმაზარ მასას ერთ მუჭა ადამიანთა წინააღმდეგ ძალადობა სჭირდება. განა ათეული და ასეული მილიონები შეიძლება. ათასის, ათი ათასის დიქტატორები იყვნენ?".

— ამგვარ კითხვას ჩვეულებრივ ისეთი ადამიანები იძლევიან, რომელნიც პირველად ხედავენ ტერმინ დიქტატურის გამოყენებას მათთვის ახალი მნიშვნელობით. ადამიანები შეეჩვივნენ მხოლოდ პოლიციურ ხელისუფლებისა და მხოლოდ პოლიციური დიქტატურის დანახვას. მათ უცნაურად ეჩვენებათ. რომ შესაძლებელია ხელისუფლება სრულიად უპოლიციოდ, რომ შესაძლებელია არა პო-

ლიციური დიქტატურა. თქვენ ამბობთ, მილიონებს ათასების წინააღმდეგ ძალადობა არ სჭირდებათო? ცდებით, და ცდებით იმიტომ, რომ მოვლენას განიხილავთ არა მის განვითარებაში. თქვენ გეგონეთ, რომ ახალი ხელისუფლება ციდან კი არ ვარდება, არამედ იზრდება და ჩნდება ძველის გვერდით, ძველი ხელისუფლების წინააღმდეგ, მასთან ბრძოლაში, თუ არ ძალადობა მოძალეთა მიმართ, რომელთაც ხელთ უპყრიათ ძალაუფლების იარაღები და ორგანოები, ხალხის ხსნა მოძალადეთაგან შეუძლებელია!

მიუწვდომელი, თავბრუდამხვევი სიბრძნეა!..

— აი, ბატონებო, სულ უბრალო მაგალითი, რათა თქვენ შესძლოთ გონებისათვის ამ მიუწვდომელი, აზროვნებისათვის „თავბრუდამხვევი" სიბრძნის შეთვისება. წარმოიდგინეთ, რომ ავრამოვი ასახიჩრებს და აწამებს სპირიდონოვას.

„ესე იგი, კეგამოვი გვახარიას ქვრივს?".

— ვთქვათ, სპირიდონოვას მხარეზეა ათეული და ასეული უიარაღო ადამიანი, ავრამოვის მხარეზე კი — ერთი მუჭა კაზაკები. რას იზამდა ხალხი, სპირიდონოვას წამება ოთხ კედელს შუა რომ არ მომხდარიყო? იგი ძალადობას იხმარდა ავრამოვისა და მისი ამალის მიმართ. იგი, შესაძლებელია, გასწირავდა რამდენიმე მებრძოლს, რომელთაც ავრამოვი მოჰკლავდა, მაგრამ მანც ძალით იარაღს აჰყრიდა ავრამოვსა და კაზაკებს, მასთან, ძალიან შესაძლებელია, რომ იქვე დახოცავდა მათგან რამდენიმე, უკაცრავად პასუხია, ადამიანს, ხოლო დანარჩენებს ჩაგდებდა რომელსამე საპყრობილეში, რათა ხელი შეეშალა მათთვის კვლავ საზიზღრობა ჩაედინათ და ისინი სახალხო სასამართლოსათვის გადაეცა.

„მაშასადამე, მაზრის უფროსი კეგამოვი, მისი კაზაკებიც ჭაში დახრჩობილი ძუძუმწოვარი ბავშვისთვის?!."

— ხომ ხედავთ, ბატონებო; როდესაც ავრამოვი და მისი კაზაკები სპირიდონოვას აწამებენ, ეს არის სამხედრო-პოლიციური დიქტატურა ხალხზე. როდესაც რევოლუციური (მოძალადეთა წინააღმდეგ ბრძოლის უნარისა და არა მხოლოდ შეგონების, დარიგების, სინანულის, დაგმობის, წუწუნისა და ბუზღუნის უნარის მქონე, არა ფილისტერულად შეზღუდული, არამედ რევოლუციური) ხალხი ძალადობას მიმართავს ავრამოვისა და ავრამოვების წინააღმდეგ, ეს არის რევოლუციური ხალხის დიქტატურა. ეს არის დ ი ქ ტ ა ტ უ რ ა, რადგან ეს არის ხალხის ძალაუფლება ავრამო-

ვებზე, ძალაუფლება, რომელიც არავითარი კანონებით არ არის შეზღუდული!

„განა შეიძლება ძალით ვამოვტაცოთ მაზრის უფროსს კეგანოვს ჭაში დასახრჩობად გახწირული ჩვილი ბავშვი, გვაქვს განა ასეთი კანონი, რომ ავრამოვი მოვკლათ, განა ტოლსტოიმ არ შექმნა ბოროტებისათვის ძალადობის წინააღმდეგობის გაუწევლობის თეორია?!“.

— დიქტატურის მეცნიერული ცნება სხვას არას ნიშნავს, თუ არა უშუალოდ ძალადობაზე დაყრდნობილ ხელისუფლებას. რომელიც არაფრით არ არის შებოჭილი, არავითარი კანონებით, აბსოლუტურად არავითარი წესით არ არის შეზღუდული. ცნება „დიქტატურა“ მ ხ ო ლ ო დ ი მ ა ს ნ ი შ ნ ა ვ ს, ს ხ ვ ა ა რ ა ფ ე რ ს — კარგად დაიხსომეთ ეს, ბატონებო. გარდა ამისა, ჩვენს ბიერ მოყვანილ მაგალითში ჩვენ ვხედავთ სწორედ ხ ა ლ ხ ი ს დიქტატურას, რადგან ხალხი, მოსახლეობის მასა, ჩამოყალიბებული, „შემთხვევით“ შეკრებილი ამა თუ იმ ადგილას, თვითონ უშუალოდ გამოდის ასპარეზზე, თვითონ ასამართლებს და სჯის, იყენებს ძალაუფლებას, ჰქმნ-ს ახალ რევოლუციურ სამართალს. ბოლოს, ეს არის სწორედ რ ე ვ ო ლ უ ც ი უ რ ი ხალხის დიქტატურა!

„რატომ მარტო რევოლუციურისა და არა მთელი ხალხის?“.

— იმიტომ, რომ მთელ ხალხში, რომელიც მუდმივად და უსასტიკესად იტანჯება ავრამოვების საგმირო საქმეებით, ურევია ფიზიკურად დაბეჩავებული, დაშინებული ადამიანები, ადამიანები ზნეობრივად დაბეჩავებულნი. მაგალითად, ბოროტებისათვის ძალადობით წინააღმდეგობის გაუწევლობის თეორიით, ანდა პირდაპირ დაბეჩავებული არა თეორიით, არამედ ცრეცრწმენით, ჩვეულებით, რუტინით, გულგრილი ადამიანები, როგორც იტყვიან — ინდიფერენტები, ფილისტერები, რომელთაც უფრო ეცვრებათ გაცბარებული ბრძოლისაგან გაცდომა, გვერდის ავლა ანდა დამალვაც კი (ამ ჩსუბში უცბად მეც არ მომსვდესო). აი ამიტომაც დიქტატურას ახორციელებს არა მთელი ხალხი, არამედ მხოლოდ რევოლუციური ხალხი, რომელსაც სრულიადაც არ ეშინია მთელი ხალხისა, მთელ ხალხს გაუმარტავს თავისი მოქმედების მიზეზებს და მის ყოველგვარ წვრილმანს, სიამოვნებით იბიდავს მ თ ე ლ ხალხს არათუ

სახელმწიფოს „მართვა-გამგეობაში“, არამედ ხელისუფლებაში მონაწილეობისათვისაც!

„მაგრამ კარგია თუ არა, რომ ხალხი ბრძოლის ისეთ უკანონო, მოუწესრიგებელ, გეგმაშეუწოხელ და არასისტემატურ ხერხებს ხმარობს, როგორც არის თავისუფლების ხელში ჩაგდება, ახალი რევოლუციური ხელისუფლების შექმნა, რომელსაც ფორმალურად არავინ არ ცნობს, კარგია თუ არა, რომ ხალხი ძალადობას ხმარობს ხალხის მჩაგვრელთა მიმართ?“.

— დიახ, ეს ძალიან კარგია! ეს არის თავისუფლებისათვის საბალხო ბრძოლის უმაღლესი გამოხატულება! ეს არის ის დიადი დრო, როდესაც რუსეთის საუკეთესო ადამიანთა ოცნებანი თავისუფლებაზე ს ა ქ მ ე დ იქცევა, საქმედ თვით ხალხის მასებისა და არა ერთეული გმირებისა! ეს ისევე კარგია, როგორც კარგია ხალხის მიერ ავრამოვისაგან სპირიდონოვას განთავისუფლება, ავრამოვის ძალით განიარაღება და გაუვნებლობა! — დაასკვნა ლენინმა.

„სასარებაშიც წამიკითხავს: „თვალი — თვალის წილ, კბილი — კბილის წილ“.

უსამართლოდ დახოცილი ადამიანების ზნეობრივი კანონია, — „სისხლი — სისხლისათვის, სიკვდილი — სიკვდილისათვის!“.

იქნებ ეს არის მიზნის საფუძველი, რამაც მიიყვანა ჩაგრული ხალხი ხელისუფლების საჭესთან?“.

ალბათ, ეს!..

ანდა, ესეც!..

ცხრამეთ შავრაზმელებს

თბილისის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკების ფრაქციის წევრთა გულიდან გულში გადადიოდა ლენინის მოწოდება, — გაბედული და მკაფიოდ ჩამოყალიბებული ბრძოლა გაშლილიყო ლიკვიდატორების დასაგმობად. ყველას მოხვდეს ბრძოლის სუსხი, პეტერბურგელებსაც და კავკასიელებსაც, — პლეხანოვსაც და ჟორდანიასაც.

რევოლუცია იწყება, ბრძოლას გამარჯვება უნდა მოჰყვეს, ხალხი ჯარად დაეწყოს და საუკუნეობით ნანატრი თავისუფლება მოიპოვოს.

მაგრამ როგორ, რა გზით, ვისი ხელით, რისი იმედით? — ამას არჩევდა ლენინი პეტერბურგში და საქართველოსაც ესმოდა მისი ხმა:

— რევოლუციური არმიის რაზმები შექმენით!

— მაგრამ შეიქმნება კი დიდი რაზმი? — წუწუნებდნენ ლიკვიდატორები.

— რაზმები შეიძლება ყოველგვარი სიდიდისა იყოს. ორი-სამი კაცით დაწყებული!

ვინ შეაიარაღებს?

— თვითონ უნდა შეიარაღდნენ, ვისაც როგორ შეუძლია—თოფით, რევოლვერით, ყუმბარით, დანით, კასტეტით, ჯოხით, ნავთიანი ჩვრით ხანძრის გასაჩენად, თოკით ან თოკის კიბით, ნიჩბით ბარიკადების ასაგებად, პიროქსილინის კოჭით, ეკლიანი მავთულით, ლურსმნით კავალერიის წინააღმდეგ და სხვა რამითაც. არავითარ შემთხვევაში სხვის დახმარებას — ზემოდან ან გარედან არ უნდა ელოდე, თვითონ უნდა იშოვო! — მოუწოდა ლენინმა.

ვისგან უნდა შესდგეს ასეთი პატარ-პატარა რაზმები?

ლენინმა წვრილად უპასუხა:

— რაზმები უნდა შესდგეს ისეთი პირებისაგან, რომელნიც, რაც შეიძლება ახლო ცხოვრობენ ერთმანეთთან ან ხშირად, რეგულარულად, განსაზღვრულ საათებში ხვდებიან ერთმანეთს. უკეთესია ერთიც და მეორეც, რადგან რეგულარული შეხვედრა შეიძლება შეწყდეს აჯანყების გამო. მათი ამოცანაა საქმე ისე მოაწესრიგონ, რომ უაღრესად კრიტიკულ წუთებში, უაღრესად მოულოდნელ პირობებში ერთად ყოფნა იყოს შესაძლებელი.

ადვილი არ არის ასეთი თადარიგის დაჭერა! როგორ, რა ხერხით?!

— ამიტომ ყოველმა რაზმმა წინასწარ უნდა შეიმუშაოს საერთო მოქმედების ხერხები და საშუალებები: ნიშნები ფანჯრებზე და სხვენზე, რათა ერთმანეთის ნახვა გაადვილდეს; პირობითი ძახილით, ან სტვენით, იმისათვის, რომ ხალხში ამხანაგი იცნო; პირობითი ნიშნებით ღამით შეხვედრის შემთხვევაშიც.

— განა შევძლებთ ამდენს?

— ყოველი ენერგიული კაცი ორ-სამ ამხანაგთან ერთად შესძლებს მთელი რიგი ისეთი წესებისა და ხერხების შემუშავებას, რომლებიც უნდა შეადგინოთ, შეისწავლოთ, ივარჯიშოთ მათს გა-

მოყენებაში! არ უნდა დაივიწყოთ, რომ 99 პროცენტი გვიკარნახებს იმას, რომ მოკავშირენი მოულოდნელად დაგვატყდება თავს და შეერთება საშინლად მძიმე პირობებში მოგვიხდება,—გააფრთხილა ლენინმა.

— იარაღი ყველას არ შეხვდება! როგორ მოვიქცეთ?

— უიარაღოდაც რაზმებს მეტად სერიოზული როლის შესრულება შეუძლიათ:

მასის ხელმძღვანელობა: ხელსაყრელ შემთხვევაში თავდასხმა პოლიციელებზე, შემთხვევით ჩამორჩენილ კაზაკებზე (შემთხვევა მოსკოვში), თუ სხვაზე, აგრეთვე იარაღის წართმევა; დატუსაღებულთა ან დაჭრილთა გადარჩენა, როცა პოლიცია ძალიან ცოტაა; საპლების სახურავებსა და ხედა სართულებზე ასვლა და ჯარისკაცის ქვების დაშენა და სხვაც. თუ ორგანიზებულმა რაზმმა ენერგია გამოიჩინა, იგი უზარმაზარ ძალას წარმოქმნის. არავითარ შემთხვევაში უარი არ უნდა ვთქვათ რაზმის შედგენაზე და არც მისი შედგენა გადავდოთ იარაღის უქონლობის მომიზეზებით, — გააფრთხილა ლენინმა.

— ვინ იკისროს მეთაურობა?

— რაზმებმა შეძლებისამებრ წინდაწინვე უნდა გაიანაწილონ ფუნქციები, ხანდახან წინდაწინვე აირჩიონ რაზმის ხელმძღვანელი, მეთაური. რა თქმა უნდა, უგუნურება იქნებოდა ჩინობანას თამაშობა დაგვეწყო, მაგრამ არ შეიძლება არც ერთვვაროვანი ხელმძღვანელობის, ჩქარი და გადამწყვეტი მოქმედების გიგანტური მნიშვნელობის დავიწყება. გაბედულება, შეტევა, გამარჯვების სამ მეოთხედს წარმოადგენს.

ყოველივე ამის სწავლას დრო უნდა! — იტყვის ბევრი მეთაური და ხელმძღვანელი.

— რაზმებმა დაუყოვნებლივ შექმნისთანავე, ესე იგი ახლავე, ყოველმხრივ მუშაობას უნდა მოჰკიდონ ხელი — არა მარტო თეორიულ, არამედ აუცილებელ პრაქტიკულ საქმიანობასაც. თეორიულ მხარეს ჩვენ ვაკუთვნებთ სამხედრო მეცნიერების შესწავლას, სამხედრო საკითხების გაცნობას, რეფერატების კითხვას სამხედრო საკითხებზე, სამხედრო პირების (ოფიცრები, უნტერების და სხვათა, თვით ჯარისკაცად ნამყოფ მუშებამდე) მოწვევას სასაუბროდ; იმ არალეგალური ბროშურებისა და საგაზეთო სტატიების

კითხვას, გარჩევას და შეთვისებას, რომლებიც ქუჩის ბრძოლას შეეხება და სხვასაც.

ვიმეორებთ, პრაქტიკული მუშაობა დაუყოვნებლივ უნდა დაიწყოს. იგი ნაწილდება მოსამზადებელ და სამხედრო ოპერაციებად. მოსამზადებელ ოპერაციებს ეკუთვნის ყოველგვარი იარაღისა და საჭურველის შოვნა, გამონახვა ქუჩის ბრძოლისათვის მარჯვე ბინებისა, რომლებიც გამოსადეგი იქნება ზემოდან ბრძოლის საწარმოებლად, ყუმბარების, ქვებისა და სხვათა საწყობად ან პოლიციელებზე გადასასხმელ მეჯვათა შესანახად. აგრეთვე შტაბის მოსათავსებლად, ცნობის შესაკრებად, დევნილთა დასამალავად, დაჭრილთა მოსათავსებლად.

ლენინმა სხვა რჩევაც მისცა რევოლუციურ პატარ-პატარა რაზმებს;

— შემდეგ მოსამზადებელ მუშაობას ეკუთვნის დაუყოვნებლივ გამოსაცნობი, დასაზვერი მუშაობა: საპყრობილეების, საპოლიციო უბნების, სამინისტროების და სხვათა გეგმების გაგება, მუშაობის დანაწილების გაგება სახელმწიფო დაწესებულებებში, ბანკებში, მათი დაცვის პირობების გაგება, ისეთი ნაცნობობის გაბმა, რომლებსაც საარგებლობის მოტანა შეუძლია (პოლიციის ბანკის სასამართლოს, სატუსაღოს, ფოსტის, ტელეგრაფის და სხვა მოსამსახურეებთან), იარაღის საწყობებისა და ქალაქის ყველა იარაღის მაღაზიის ადგილსამყოფელის გაგება და სხვა.

ცოტა სამუშაო როდი დააწვებათ რაზმებსაც და მეთაურებსაც! — გაიკვირვა ბევრმა.

— აქ უამრავი სამუშაოა, რომელშიც უდიდესი საარგებლობის მოტანა შეუძლია ყველას, თვით ისეთებსაც, რომელთაც სრულიად არა აქვთ ქუჩის ბრძოლის უნარი, თვით სრულიად სუსტ ადამიანებსაც, ქალებს, მოზარდთ, მოხუცებს... უნდა ვეცადოთ ახლავე უსათუოდ და აუცილებლად შევაკავშიროთ რაზმებად ყველანი, ვისაც სურს აჯანყების საქმეში მონაწილეობის მიღება, რადგან არ არის და არც შეიძლება იყოს ისეთი კაცი, რომელსაც, თუ მუშაობის სურვილი აქვს, უდიდესი საარგებლობის მოტანა არ შეეძლოს მაშინაც კი, როცა იარაღი არა აქვს, ან პირადად ბრძოლის უნარს მოკლებულია.

— ყოველივე ამის მომზადებაც კი დიდ დროს წაიღებს! თვით მოქმედება როდის დავიწყოთ?

ლენინმა არც ეს დატოვა განუმარტავი:

— რევოლუციური არმიის რაზმები არავითარ შემთხვევაში არ უნდა დასჯერდნენ მარტოოდენ მოსამზადებელ მუშაობას და რაც შეიძლება მალე უნდა გადავიდნენ სამხედრო მოქმედებაზე იმ მიზნით, რომ ავარჯიშონ მებრძოლი რაზმები; დაზვერონ მტრის სუსტი ადგილები; ნაწილობრივი დამარცხება მიაყენონ მტერს; გაათავისუფლონ ტყვეები, დატუსაღებულნი; იშოვონ იარაღი; იშოვონ სახსრები აჯანყებისათვის, (მთავრობის ფულადი თანხების კონფისკაცია). რაზმებმა ამთავითვე ყოველი მოხერხებული შემთხვევა უნდა გამოიყენონ ცოცხალი მუშაობისათვის; საქმე არ უნდა გადადონ საერთო აჯანყებამდე, რადგან ცეცხლში გამოუწრთობლად შეუძლებელია აჯანყებისათვის უნარის შეძენა.

— უკიდურესობაში არ ჩავვარდეთ! — შეფიქრიანდა ისიც კი, ვინც სიკვდილსაც არ უშინდება.

— რა თქმა უნდა, ყოველივე უკიდურესობა ცუდია; ყოველივე საჭიკეთო და სასარგებლო, უკიდურესობამდე მიყვანილი, შეიძლება იქცეს და, თუ ერთგვარ საზღვარს გადასცდა, აუცილებლად იქცევა კიდეც ბოროტებად და მავნე საქმედ, უწესრიგო, მოუმზადებელ, დაწვრილმანებულ ტერორს შეუძლია, თუ უკიდურესობანდე მივიდა, მხოლოდ დაქსაქსოს და გაანიავოს ძალები. ეს სწორია და ამის დავიწყება, რა თქმა უნდა, არ შეიძლება. მაგრამ, მეორე მხრივ, არავითარ შემთხვევაში არ უნდა დავივიწყოთ არც ის, რომ ახლა აჯანყების ლოზუნგი უკვე მოცემულია, აჯანყება უკვე დაწყებულია. ხელსაყრელ პირობებში თავდასხმის დაწყება ყოველი რევოლუციონერის არა მარტო უფლება, არამედ პირდაპირი ვალდებულება. ჯაშუშების, პოლიციელების, ჟანდარმების დახოცვა, საპოლიციო უბნების აფეთქება, დატუსაღებულთა გათავისუფლება, მთავრობის ფულადი თანხების ხელში ჩაგდება და აჯანყების საჭიროებისათვის გამოყენება, — ასეთი ოპერაციები უკვე წარმოებს ყველგან, სადაც კი აჯანყება ღვივდება, პოლონეთშიც და კავკასიაშიც, და რევოლუციის არმიის ყოველი რაზმი დაუყოვნებლივ მზად უნდა იყოს ასეთი ოპერაციებისათვის. ყოველ რაზმს უნდა ახსოვდეს, რომ, თუ მან ახლავე ხელიდან გაუშვა ხელსაყრელი შემთხვევა ასეთი ოპერაციის მოსახდენად, მას, ამ რაზმს, ბრა-

ლად დაედება მიუტევებელი უმოქმედობა, პასიურობა, — ეს კი რევოლუციონერის უდიდესი დანაშაულია აჯანყების ეპოქაში, უდიდესი სამარცხვინო ლაქაა ყველასათვის, ვინც სიტყვიერად კი არა, საქმით მიისწრაფვის თავისუფლებისაკენ!

თვით რაზმის შემადგენლობაზეც ითქმის, ალბათ, რამე?

— ამ რაზმების შემადგენლობის შესახებ შეიძლება შემდეგი ითქვას. სასურველ წევრთა რიცხვს და მათი ფუნქციების განაწილებას გამოცდილება დაგვანახვებს. ეს გამოცდილება თვითონ უნდა შეიმუშაო, სხვების მითითებას არ უნდა უცადო. რა თქმა უნდა, ადგილობრივ რევოლუციურ ორგანიზაციას უნდა სთხოვო რევოლუციონერ-სამხედრო პირის გამოგზავნა ლექციების, საუბრების მოსაწყობად ან რჩევისათვის, მაგრამ თუ ასეთი პირი არ იქნება, ყოველივე თვით უნდა გააკეთო.

რევოლუციონერები პარტიებად არიან დაყოფილი. რაზმებს გაუჭირდებათ მათი ერთი გზით წარმართვა, — საფიქრალი გაუჩდათ აქა-იქ.

— რაც შეეხება პარტიულ დაყოფას, რასაკვირველია, ერთი და იმავე პარტიის წევრები ამჯობინებენ ერთ რაზმებად შეერთებას. მაგრამ უეჭველი დაბრკოლებანი არ უნდა შევუქმნათ რაზმებში სხვა პარტიების წევრთა შესვლას. სწორედ აქ უნდა განვახორციელოთ პრაქტიკული შეერთება, შეთანხმება (ყოველივე პარტიული შეერთების დაუშვებლად, რასაკვირველია სოციალისტური პროლეტარიატისა რევოლუციურ დემოკრატიასთან. ვისაც სურს თავისუფლებისათვის იბრძოლოს და საქმით ამტკიცებს თავის მზადყოფნას, ის შეიძლება რევოლუციურ დემოკრატად ჩაითვალოს. მასთან ერთად უნდა ვეცადოთ მუშაობას აჯანყების ერთად მოსამზადებლად (რა თქმა უნდა, თუ საკუთარი ვენდობით პიროვნებას თუ ჯგუფს). ყველა დანარჩენი „დემოკრატი" მკაცრად უნდა გამოვყოთ, როგორც „ვითომდა" — დემოკრატები, როგორც ლიბერალური მოლაყბენი, რომლებზედაც დანდობა შეუწყნარებელია, რომელთადმი ნდობა რევოლუციონერების მხრივ დანაშაულია, — გააფრთხილა ლენინმა ჭეშმარიტ რევოლუციონერთა სამყარო.

— იქნება სჯობია, რომ პატარ-პატარა რაზმები გაერთიანდნენ?

— რაზმების გაერთიანება. რა თქმა უნდა, სასურველია. ერთად მოქმედების ფორმებისა და პირობების შემუშავება მეტისმეტად საჭირბოროტოა. მაგრამ ამასთანავე არავითარ შემთხვევაში არ უნდა

გადავვარდეთ უკიდურესობაში — არ უნდა დავიწყოთ რთული გეგმების, ზოგადი სქემების შეთხზვა. ცოცხალი საქმე არ უნდა გადავდოთ პედანტურ გამონაგონთა გულისთვის... აჯანყება აუცილებლად მოხდება ისეთ პირობებში, როცა არაორგანიზებული ელემენტები ბევრად უფრო მეტია ორგანიზებულზე; აუცილებელია ისეთი შემოხვევები, როცა მოქმედება მოგვიხდება იქვე, ადგილობრივ, ორს, ერთს, — და უნდა ვემზადოთ იმისათვის, რომ საკუთარი რისკით ვიმოქმედოთ. გაჭიანურება, კამათი, გადადება, კაუბედობა დაძლუპველია აჯანყების საქმისათვის. უდიდესი გაბედულობა, უდიდესი ენერგია, ყოველივე ხელსაყრელი მომენტის დაუყოვნებლივ გამოყენება. მასის რევოლუციური აღგზნებ-ს დაუყოვნებლივ გაღვივება. მისი მიმართვა უფრო გაბედული, უაღრესად გაბედული მოქმედებისაკენ — ასეთია რევოლუციონერის უპირველესი მოვალეობა.

— გაბედულებასაც მოქმედება წარმოქმნის, მაგრამ როგორი მოქმედება — იკითხა ბევრმა.

— საუცხოო სამხედრო მოქმედება, რომელიც კიდეც ასწავლის რევოლუციური არმიის ჯარისკაცებს. პირველად ნათლავს მათ ბრძოლაში და უდიდესი სარგებლობაც მოაქვს რევოლუციისათვის, — ეს არის ბრძოლა შავრაზმელების წინააღმდეგ.

— მაშასადამე, უნდა შეუტიოთ შავრაზმელობას! — აიღერღა პატარ-პატარა რევოლუციურ რაზმებად დაწყობის მოქადაგენი.

— რევოლუციური არმიის რაზმებმა დაუყოვნებლივ უნდა შეისწავლონ, ვინ, სად და როგორ ადგენს შავ რაზმებს, ხოლო შემდეგ მარტო ქადაგებას კი არ უნდა დასჯერდნენ (ეს სასარგებლოა, მაგრამ მარტო ეს როდი კმარა), არამედ შეიარაღებული ძალითაც გამოვიდნენ სცემონ შავრაზმელებს, დახოცონ ისინი, ააფეთქონ მათი შტაბ-ბინები.

ლადო მესხიშვილის ვალი

მესამე დღეა მიმდინარეობს ქუთაისის გუბერნიის სათავადაზნაურო კრება.

თეატრის დარბაზი სავსეა, თითქოს წარმოდგენის პრემიერა შიდისო.

წინა რიგებში სხედან მაღალი წოდების წარმომადგენლები — დარბაისელი მოხუცები და ახლადულვაშაყრილი ახალგაზრდები, სამხედრო მუნდირებსა და ჩოხა-ახალუხებში გამოწყობილი ქალთა-თეატრები. შუა რიგებში მინაბული იყვნენ პარიზულ მოდაზე ჩაცმულ-მოკაზმული მანდილოსნები, ქორფა გულმკერდ აფეთქებული „კნიაენები", მათი გარეგნული მომხიბვლელობა კრების მონაწილეთა ყურადღებას ფანტავდა, ორატორებს კი არა, მათ უყურებენ, მათზე თვალი რჩებოდათ რბილ სავარძლებზე მოსვენებულ კრების მეთაურებს — თავადაზნაურების წინამძღოლ კონსტანტინე ერისთავს და გუბერნატორ ვლადიმერ სტაროსელსკისაც კი.

თავადი კონსტანტინე ერისთავი მბოლოდ ერთი. შაბათ დღით გაურიგდა თეატრის შენობაზე და ბეც გადახადა, მაგრამ აგერ მესამე დღე იწურება, კრებას კი ბოლო არ უჩანს. დაბი რეპეტიციას ვეღარ ატარებს, საღამოთი წარმოდგენას ალბა რაღას გამართავს. მსახიობებმაც უკმად ყიალს თეატრის დარბაზში ყოფნა არჩიეს და ახლა თვითონაც მაყურებლებად იქცნენ, გაცხარებულ კამათს ისმენენ და გრძნობენ, რომ ყოველდღე, რაც ახლა თეატრის სცენასა და დარბაზში ხდება, ძალიან ჰგავს მათ მიერ გათამაშებულ ტრაგიკომიკურ წარმოდგენას.

სცენაზე ორატორი ორატორს სცვლის. მაგრამ აშკარად ხედავენ, რომ თვითეული ორატორი დასრულებული სცენური ტიპაჟია უგრამოდ. უგარდერობოდ. უდეკორაციოდ, საკუთარ ძველსა თუ უხმარ საზეიმო ტანსაცმელში გამოწყობილნი, მაგრამ ერთხმად ერთ ენაზე მოლაპარაკენი, რომლ ს დედაარსი საღეიმო ჭირვარამია: ტრიბუნიდან და პარტერში ისმის ხან ხმამაღლა ღაღადისი, ხან კი ენაკვიმატური რეპლიკები ერთსა და იგივეზე: ახალი დროების ბოროტებაზე და ძველი ბედნიერების დაკარგვაზე.

მაინც ვერ გარკვეულან, — დიდხანს გაგრძელდება ორომტრიალი, თუ როდისმე ძველ კალაპოტში ჩადგება, წარსულის უფლებებში დარჩებიან მემამულეები.

თეატრის დასისათვის უცხო ხილი არ არის, თავადაზნაურობის საგუბერნიო კრების სატკივარი, რაკი თავადაც წარმოსახავენ იმათ. როლებს, ვინც ერთნი სიმდიდრესა და ძალაუფლებას ფლობენ, მეორენი კი სიღარიბის მარწუხებს თავს ვერ აღწევენ.

მსახიობებიც ყველა მათგანს სცენაზე აცოცხლებენ და სწორედ ეს უოხებს გულს საზოგადოების ფანტაზიაზე მცხოვრებთ,

მაგრამ ესევე დიდად აშფოთებთ მაღალი საზოგადოების მცირე, მაგრამ თავდაჯერებულ ფენებს.

ბრწყინვალე წოდების შვილები ერთიმეორეს უზიარებენ საკუთარ გასაჭირს და დაუყოვნებლივ შველას სთხოვენ მთავრობას. არ მალავენ, — უკმაყოფილონი არიან ახალი დროების მოძალებით, გლეხკაცობის თავნებობით, მემამულეთა მიწების უსასყიდლოდ ჩამორთმევა-ჩამოჭრის თავხედური მოთხოვნით, თავადაზნაურობას რომ პრივილეგური არსებობის დაკანონებულ უფლებას ართმევს, ხოლო საუკუნეების მანძილზე თავჩაღუნულ გლეხობას არტახებს აწყვეტინებს, ახალ ბრძანებელ და გამგებელ კლასად აქცევს, თანაც ვისი წაქეზებით, — ქალაქელი მუშებისა და თავადაზნაურობიდან შიგადაშიგ გამოჩეკილი მარქსისტულად განსწავლული ინტელიგენტების წყალობით, რომელთა უმრავლესობა ან სასულიერო სემინარიიდან გარიცხულნი არიან, ან გიმნაზია დამთავრებული სოციალ-დემოკრატები, ესერები, ფედერალისტები, ანარქისტებიც კი!..

დიახ, ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურთა კრება გულისწყრომით უჩივის მუშებსა და გლეხობას თავნებობისათვის, დღენიადაგ წითელრაზმელების მოსევისათვის, მაგრამ მარტო მათ როდი კიცხავს, — თვით თეატრის მსახიობთაც ქოქოლას აყრის და მათ მეთაურს, რეჟისორსა და გამორჩეულ მსახიობს ლადო მესხიშვილს ანათემას აძლევს, თეატრის დასს დათხოვნას უპირებს, რევოლუციის მონაწილე მუშებსა და გლეხებს, სოციალისტებსა და საერთოდ ყველას, ანარქისტებად ნათლავს და ჩაქოლვით ემუქრება.

შეძლებულთა წოდება შეფიქრიანებულია. მართალია მემამულე-მეურნეები ხშირად არ ესწრებიან ქართული დასის წარმოდგენებს, მაგრამ რაც ნახეს, ისიც აშინებთ, განსაკუთრებით „კაი გრაკხმა" ააფორიაქა ბევრი თავადი და აზნაური, სხვა ამგვარი წარმოდგენების დადგმამ კი სულაც აამხედრა ქუთაისის გუბერნიის თავადაზნაურობის ბნელი ნაწილი. ბნელი-მეთქი, რაკი მისი მოწინავე წარმომადგენლობა, — ყმაწვილკაცობა თუ დარბაისლობა, ზეზე წამოდგომით უკრავს ტაშს სპექტაკლის დამდგმელსა და მთავარი როლების შემსრულებელ ლადო მესხიშვილს.

მაგრამ ლადო ახლა თეატრის სცენაზე როდი ბობოქრობს, — დარბაზში, რბილ სავარძელში ზის და იმათ უსმენს ყურადღებით,

ვინც რახანია მშობლიური თეატრის ახალ ხმას ყურს არ უგდებს, თვალს აცილებს და მაშასადამე გულსაც აშორებს. დღესაც ეოთი ამათგანის საყვედური ესმის, სცენაზე ავიდა და ტრიბუნიდან ლადო მესხიშვილის საქციელი გაკიცხა:

— ახლა, ბატონ მესხიშვილსაც პაწა უნდა ვუსაყვედურო: მაპატიოს, თუ დაყვედრება გამომდის, მაგრამ შევახსენებ, ვალს გადახდა უნდა, — მართალს არ ვამბობ ჩემო ბატონებო? — აქეთ-იქით გადიხარა თავაზიანი ორატორი და ლადომ ყური სცქვიტა:

— ლამაზად არ გამოგდით, ბატონო ლადო! ქუთაისის თავადაზნაურობა დიდად შეწუხდა თქვენი ამასწინანდელი უქეიფობით. ექიმებმა შეგვაშინეს, დიდი მსახიობი ხელიდან გვეცლებაო. აბა, ამას როგორ მოვთმენდით ერთი სამშობლოს შვილები, ხომ სიმღერაც გვაქვს ასეთი: ქართლ-კახეთი, იმერეთი, გურია და სამეგრელო, ყველა ჩემი სამშობლოაო! ჰოდა, თქვენ ხართ ჩემი ბატონი, თავადაზნაურობამ დიდი თანხა შეეკრიბეთ ჩვენი გამოჩენილი მსახიობის სამკურნალოდ. ასეთი ქველმოქმედება უფლის ნაკარნახევია, ვინ დაიხევდა თავისი წილი გროში არ დაედო მესხიშვილის საექიმოდ უცხოეთში გასაგზავნად. იმ სულმნათმა შოთამაც ქე ბრძანა: რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულიაო: მართალს არ ვამბობ, ბატონებო? — და ორატორმა კიდევ ერთხელ გაიწ-გამოიწია თეატრის დარბაზის მარცხენა და მარჯვენა მხარეს; ყველამ ზეპირად იცოდა რუსთაველის სიტყვები, მაგრამ ორატორს საკუთარი აზრის მიმართულებას ჯერ კიდევ ვერ მიუხვდნენ. ამიტომაც თავი შეიკავეს, არავის არ შეუძახია — „მართალს ამბობო!", არც ის, რომ „ტყუილსა ბრძანებთო!".

ამით ოდნავ შეცბუნებულმა ორატორმა, მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად ყრუდ ჩაახველა მუჭში და დარწმუნებულმა რომ ნათქვამს მერე მაინც მოუწონებდნენ, თავდაჯერებით განაგრძო:

— მადლობა ღმერთს, ჩვენით შეგროვილმა ფულმა სიკეთე მოგვიტანა. ავადმყოფი ბატონი ლადო მესხიშვილი განიკურნა, გამოჯანსაღებული ქუთაისს დაგვიბრუნა!.. როგორც ხედავთ, ახლაც აქ ზის, ჩვენს დარბაზში და არ უჩივის ჯანს. მაგრამ...

ორატორი კიდევ ოდნავ შეჩერდა, თითქოს დარბაზს უნდა ახროს, ახა თუ მიხვდებით, რას ვიტყვიო დიდად საოცარსო, და ისევ განაგრძო:

— მაგრამ ვალს გადახდა უნდა! წეღან რომ ვთქვი, ავადმყოფ-

ზ... დაბარჯული ფულის დაბრუნებას კი არ ვჩივი, სხვას მოვითხოვ: ...ატომ დგამს ბატონი მესხიშვილი ამ თეატრის სცენაზე ისეთ წარ-მ...დგენებს, რომლებიც ჩვენ, თავადაზნაურობას, სამარეს გვითხ-...ის? განა ამას ქვ...ა მადლის გადახდა?! არა, ბატონებო, ეს დიდი ...ადურობაა. ქუთაისის თავადაზნაურობა ამას ვეღარ მოითმენს. მე მირჩევნია ავადმყოფი ...ლადო, რომელიც საღ წარმოდგენას ...დგამს, ვინემ გამოჯანსაღებული მესხიშვილი მაყურებელს ასნე-...ულებდეს.

... არ ხართ, მართალი! — გაისმა სცენიდან თავად კოწია ერის-თავის ხმა და აზნაურმა აბაშიძემაც გულისწყრომა შეუერთა:

„— ჩვენც ვართ ბატონი, თავადებიც, აზნაურებიც, მარა მასე არა ვჩივით! რატომ ლაპარაკობთ ქუთაისის გუბერნიის, მთელი ჩვენი თავადაზნაურობის სახელით?! მე, მაგალითად, ამის რწმუნე-ბა არ მომიცია თქვენთვის, ღმერთმანი!..

— ბატონი ორატორი თავადაა ახლა ავად, თვარა მასეთ საძრა-ხის საყვედურს რავა იტყოდა?! — გაისმა უკანა სკამებიდან.

— შევუკრიბოთ, ფული, ბატონებო, მაგიც მოსარჩენი დაგვრ-ჩენია! — გადაუცინა წინა რიგში მჯდომმა მეფის ჯარის გადამდგარმა პოლკოვნიკმა ივანე ქავთარაძემ.

— ბატონი ორატორი თავის სახელით ლაპარაკობს, მაგრამ ჩვენ აზრსაც გაჭოთქვამს ნამდვილად! რატომ გვიმხედრებს სცენიდან რევოლუციონერებს ბატონი მესხიშვილი? განა ისიც ჩვენი წრის ღირსეული წევრი არაა?! — გადაუდგა ატოკებულ დარბაზს გადამდ-გარი მაიორი, რომელსაც ვერც მეფის ერთგულ სამსახურში მი-ეღო დიდი ჩინ-მედლები და არც საკუთარი მაბული აძლევდა სარ-ჩენ-საბადებელს, გაჭწარებული კაცის კვალობაზე ისეთ დროებას ნატრობდა, როცა საქართველო ქართველებს დარჩებოდათ, უცხო ტომთა ჩარჩ-ვაკრობა მოსცილდებოდათ და პროლეტარიატიც და წითელრაზმელობაც ქვესკნელში ჩაიქცეოდა, რომ დარჩენილიყო ქვეყანაზე ერთიმეორის მოსიყვარულე მემამულე და ყმა, არც ერთს არ აბოეღოთ ერთმანეთისადმი საყვედურის ხმა, ყველას ერისტეს სახარება სჭეროდათ ხელში და ამის შიშით მგლებიც ტყეში გასცლოდათ.

— ჩვენი წრის ღირსეული წევრი რომ არის, ამიტომაც ამბობს იმას რასაც გრძნობს, და ვის გვაქვს უფლება აუკრძალოთ სათქ-ბელი!

— მოითმინეთ, ბატონებო, სმენა იყოს და გაგონება. თუ ბატონ მესხიშვილის თამაშზე ყოფილა დამოკიდებული ჩვენი თავადაზნაურობის დღევანდელი უბედურება, ამას ადვილად მოევლება, მაგრამ განა მართლა ასეა?! — შეაჩერა თავმჯდომარემ დარბაზიდან წამოძახილთა მოსურნენი და მომდევნო ორატორის გვარის ამოსაკითხავად ქაღალდზე ჩამოწერილ სიაში ჩაჰყო ცხვირი.

დარბაზში მესხიშვილის ხმა გაისმა, ისეთივე თბილი, კამკამა და შთამბეჭდავი, როგორც ყველას ახსოვდა სცენიდან, მაგრამ ახლა განსაკუთრებით მსნედ და კატეგორიული კილოთი ყღერდა.

— მოწყალეო ხელმწიფევ, ბატონო თავმჯდომარევ, სიტყვა მიბოძეთ!

კრების თავმჯდომარემ ქაღალდი ხელში შეატრიალა და შეწუხებული სახით დარბაზს გადახედა. ამ მეყოვნებამ დარბაზი უფრო აშალა, აახმაურა, და ააყვირა:

— რა საჭიროა საპასუხო სიტყვით გამოსვლა? საკამათო კლუბში ხომ არა ვართ! — შეუძახა პარტერიდან გადამდგარმა მოხუცმა მაიორმა.

— საჭირო რომ არ იყოს, არც ითხოვდა! უბოძეთ სიტყვა!

— არა, არა!

— არა კი არა, კი, ბატონებო!

დარბაზი ახმაურდა, ზოგს მსახიობი მესხიშვილის სცენაზე გამოსვლა დიდად მოსწონდა, მაგრამ თავადაზნაურთა კრებაზე არ გაუხარდებოდა, თუ მსახიობი თავისას გაიტანდა, ზოგს კი, პირიქით, ძალიან აინტერესებდა, უგრიმოდ როგორ შეასრულებდა მესხიშვილი ტრიბუნაზე შემდგარი ორატორის როლს.

სხვაც აფიქრებს დარბაზს. დამბურეთ კარგად მოეხსენებოდათ, რომ მსახიობი სხვების აზრებს გადმოსცემს. ერი ხან კეთილი ბეფეა, ხან კი მრისხანე იმპერატორი, ზოგჯერ ღარიბი ბრძენი, ზოგჯერაც ჭკუათხელი მბრძანებელი. ყოველი მათგანის სიტყვა-პასუხი დრამატურგს ფანტაზიის ნაყოფია და თუ რაშეს უნდა უმაღლოდეს პიესის ავტორი, მხოლოდ ტალანტმა მსახიობისა, — ნიჭიერი ანაღლებს სცენურ იერსახეს, უნიჭო კი შიშველ სქემებს ამკვანებს და ამით თეატრსაც სახელს უტეხს და მწერლის ქმნილებასაც დამაჯერებლობის ფეოუმარილს უკარგავს. მესხიშვილი სცენის ჯადოქარია, მაგრამ ნუთუ ტრიბუნაც არის? სპექტაკლში წარმოუდგენლად აღელვებს და ამაღლებს ადამიანის სულსა და გულს, მაგრამ

იქნებ ტრიბუნაზე სავალალო ტიკინად იქცეს, როცა ასეთი ბრწყინვალე საზოგადოების წინაშე ხმა ჩაუწყდება და სათქმელი გაუწყდება.

ლადო კი მაინც ითხოვს სიტყვას.

პარტერმა და სცენამაც ხელჩართული სიტყვიერი ბუქნაობა დაიწყო. „არა!“ და „კი!“—ერთმანეთს ესვრის, ჩხვლიტავს, კოდავს, აცინებს, ახითხითებს და მართლაც ნამდვილი სპექტაკლის გრიმირებულ გმირებს ჰგავს. მერე, რაა გასაკვირი? განა არ შეიძლება სცენაზეც ის მოხდეს, რაც ახლა სინამდვილეში ხდება: კაცი თავისი სახით წარსდგეს მაყურებლის წინაშე და საკუთარი აზრი და გრძნობები გადმოშალოს, სიყვარული არ დამალოს და სიძულვილიც სააშკარაოზე გამოიტანოს. იქნებ ასე უფრო დასანახი, დამაჯერებელი და შთამბეჭდავიც არის? ცოცხალი ადამიანების ერთხელ მაინც მთელის ჭეშმარიტებით აღიარება და აღქმა, ვინემ ილუზირების სცენაზე რომ ხდება. მაგრამ ასეთი სცენური პასაჟი აქამდე მხოლოდ ნიჭიერი მსახიობების ხვედრია, ახლა კი ცხოვრების ყოფით ნიჭგახსნილ ზოგიერთ თავადს და აზრნაურსაც შესძლებიათ, ისეთი კორიანტელი ააყენეს პარტერსა და ავანსცენაზე, რომ თეატრის დასის დამსწრე წევრებსაც თავი რომელიმე რეალიატური დიდი თეატრის საგასტროლო სპექტაკლზე ეგონათ. უფასო კონტრამარკებით რომ შეუშვია ნაცნობ იმპრესარიოს.

მერე, მესხიშვილმა ჭრაჭუნა სავარძლიდან წამოიწია, სცენაზე ასასვლელად მიდგმული ორსაფეხურა კიბე აიარა და ტრიბუნაზე შედგა:

— მოწყალეო ბატონებო! — დასჭექა მსახიობმა და თეატრის ალმაურებული პარტერი დაცხრა, მოყაყანეთა ხმა ჩაწყდა, სიჩუმის ღრმურა დარბაზში შემოფრინდა და კრების თავმჯდომარემ ანაზდეულად გააყოლა:

— სიტყვას ვუბოძებ ბატონ მესხიშვილს!

დარბაზში კანტი-კუნტად გაისმა ტაშის ხმა. მსახიობი ამას ნაჩვევი არ არის, მაგრამ ახლა სხვა სპექტაკლია, უნახავი და უხილავი, გამომცდელი პრემიერის გენერალური რეპეტიციაა, როცა აკრძალულიც კია ტაშის შემოკვრა: ყველამ კარგად იცის, ვინ რა ნიჭის პატრონია, ტაში იმას ენატრება, ვისაც ეს ძნელად საპოვნელი და სანატრელი საჩუქარი ძლივს ეღირსება ხოლმე; ამბიციის გარდა, დიდი როლი ენიჭება მოწყალე მდიდარ მარჩენალს. თეატ-

რიც არ არსებობს შეძლებული მეცენატის შემწეობის გარეშე და თუ საქართველოში ასეთები ჯერ არა გვყავს, ერთი ზუბალაშვილის გარდა, რომელიც თავის მცირე შემოსავლიდან ნახევარზე მეტს სახალხო თეატრის არსებობის შენარჩუნებას ანდომებს, რუსეთში ამ მხრივ ბევრად საიმედო ხალხი ჩანს, მათ შორის მეფაბრიკე საბა მოროზოვიც, ვინც არა ერთი ნიჭიერი მსახიობი შეუნარჩუნა რუსულ თეატრს, თეატრმა კი ვერაფრით ვერ დაიხსნა მისი გაორებული სიცოცხლე; მართლაც, ვანა საბრალო არ არის კაცი? რუსეთის უპირველეს თეატრის მეცენატად ითვლება, მაგრამ იმავე თეტარში გასართობად მოსული არისტოკრატები მაინც თავს არ უყადრებენ, თავიანთ ტოლად არა სთვლიან. საბა ოქროებს ბლომად ფანტავს, არაფერს ზოგავს, მაგრამ წარჩინებული მემამულეების გული მაინც ვერ მოიგო. არც რევოლუციონერები სცნობენ თავისიანად. თურმე ერთხელ „გრანდ ოტელში" სასადილოდ შესულმა ერთი ჭიქა არაყი მოითხოვა და მცირე შესატანებელიც მოატანინა. რესტორანში მყოფი მოქეიფე ოფიცრების მაგიდაზე ჩურჩული ატყდა:

— საბა მოროზოვი!

— ჭიქა არაყით ქეიფობს? ძუნწია, ეგ მდაბიო, ეგა!

— პირის გემოც არ იცის, უბედურმა!

ლაქიამ გახამებულ ხელსაწმენდში გახვეული და ვერცხლის ქოთლში ჩაყუდებული შამპანიური ვერცხლისავე ლანგარით მიართვა და თავაზიანად გაუფინა:

— ბატონმა ოფიცრებმა, იგემეთო!..

საბამ ეს ჩურჩული გაიგონა და მეტრდოტელი მოიხმო:

— ორი ვედრო შამპანიურით ამივსეთ!

მეტრდოტელმა ორ ლაქიას თვალი უყო. და იმათაც ოცი ბოთლი დალოცვილი ფრანგული შხაპუნა შეცოდებით ჩააქციეს ვედროებში, საბასთან წარდგნენ და ახლა მოროზოვის მეორე ბრძანებაც მოესმათ:

— ოფიცრებს მიართვით! საბა მოროზოვი ასე ასმევს თავისი ეტლის ულაყ ცხენებს-თქო!

მეტრდოტელი გაშრა, მაგრამ საბას გაწყრომა იაპონიასთან ახალ ომში შებმას ნიშნავდა, მაინც წააგებდა. ისევ მოგება არჩია და ასმანეთიანი „ეკატერინკა" ხელში ჩაიკუჭა.

ქართველ თავადაზნაურობას ეს არ შეეძლო. საბა მოროზო-

ვისთანა შემწე და თავგადადებული კაცი პევრი არ იყო. სარაჯიშვილი, ზუბალაშვილი, ხომტარია და მორჩა! სხვები თავად შეჰყურებდნენ ხელებში, მუშებსა და გლეხებს, და თუ რამეს გამოსძალავდნენ. ისეთი ხელჩართული წინააღმდეგობის დაძლევით, რომ ქველმოქმედებასაც მადლი ეკარგებოდა. ილია ჭავჭავაძის ბანკის იმედით რჩებოდნენ, ილიასავე ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება შეეწეოდა ხოლმე, მაგრამ არც იმათ გააჩნდათ მატერიალური შემოსავლის მდიდარი წყარო. ამიტომ ქადაგებდა ხოე ეორდანია. — ქართველობამ ჯერ ბურჟუაზიისაგან ისწავლოს დოვლათის თადარიგიანობა, მერე კაპიტალიზმის განვითარებით წარმოშობილი თავისი მესაფლავე პროლეტარიატი წარმოშოს, მთელი ერის უმრავლესობად აქციოს და თავისუფალი კენჭისყრით, საპარლამენტო არჩევნებში გამარჯვებით რევოლუციის მოხდენის საშიშროება ევოლუციური გზით აიცილოს.

აიცილებდა კი? ამას მომავალი გვიჩვენებს, და ქართული თეატრიც მტკივნეულად ვრძნობდა ნოე — დემოკრატების პაციფიატურ ქადაგებას, რაც ვერც მემამულეთა კლასს შველოდა და მხოლოდ ილუზიებით ამშვიდებდა. ლადოს კი სიმშვიდე, როცა ბრძოლის ქარიშხალი ამოვარდა, დამღუპველად მიაჩნდა, ამიტომაც აქუხდა:

— მოწყალეო ხელმწიფენო!.. პატივცემულო თავადნო და აზნაურნო!.. ბატონი ორატორი მაყვედრის, — ჩვენ ფული შევუგროვეთ ჩვენს არტისტს, მოვარჩინეთ და ის კი ისეთ წარმოდგენებს მართავს, რომ აზნაურებს სამარეს უთხრისო. მოვახსენებ ბატონ ორატორს, რომ მე აზნაურობას არ ვეკუთვნი, მე ვეკუთვნი მთელ ერს!.. ფულს კი არ ვემსახურები, არამედ სცენას, ჩემს რწმენას. და ვერავითარი სასყიდელით ვერავინ ვერ მომ-ასყიდის და ვერც მათქმევინებს იმას, რაც ჩემს რწმენას ეწინააღმდეგება!

— ბრავო. ბრავო! სწორია, მართალია! — აღფრთოვანდნენ დარბაზში. მესხიშვილმა განაგრძო:

— ალბათ, ბატონ ორატორს „კაი გრაკჩი“ აქვს მხედველობაში!.. მერე, რა ვთქვი მე ამ პიესაში? მე დავანახე აზნაურობას მისი ნაკლოვანებები, მისი ზნეობრივი და გონებრივი სიღატაკე, მისი უუნარობა თამამად გაჰყვეს დღევანდელ ცხოვრებას.

დარბაზში ჩოჩქოლი ატყდა, მაგრამ ლადო როდი შეცბა.

— აი, თქვენ შეკრებილხართ საერთო კითხვების გადასაჭრე-

ლად. აქ ბევრს არ მოგწონთ დღევანდელი ბიუროკრატიული წყობილება და არც მალავთ თქვენს აზრს... მეც წინააღმდეგი ვარ!

— მორჩით ქადაგებას, ბატონო ლადო! ეგ სიტყვები სცენიდანაც გვესმის. ნაგრამ იქ ფულს გიხდიან. აქ კი გადამხდელები აღარა ვართ! — გაანჩხლდა წეღანდელი ორატორი.

— ხედავთ, მე აქ ლაპარაკის ნებაც არა მაქვს, საპასუხო სიტყვასაც კი არ მანებებენ.

— ილაპარაკეთ ისევე თამამად, როგორც სცენაზე გიკეთიათ! — შეეშველა გენერალტორი სტაროსელსკი.

— აი, რა შემიძლია გითხრათ თამამად: აზნაურობამ დაკარგა თავისი მნიშვნელობა, აზნაურობა თავისი საქციელით ხშირად წინ ეღობება დღევანდელ მოძრაობას, მიმართავს რაღაც უმნიშვნელო, უაზრო ოინებს და ფიქრობს ამით გამანთავისუფლებელი ბრძოლა შეაფერხოს.

— მართალი ბრძანებაა, ხალხს გავეთიშეთ!

ლადომ დაამატა:

— თქვენ თუ გონივრული მოქმედება გინდათ, შეეკრიბეთ ხალხს საერთო მტრის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. აი, ნამდვილი და უებარი წამალი! სამ- დღეა გაგგრძელდათ კრება. ყვირილია და არეულობის მეტი არაფერი გაგიკეთებიათ.

— ჩვენ ხელმწიფეს მოწყალების თხოვნა გავუგზავნეთ, რატომ ივიწყებთ ასეთ გარჯას, ლადო — ბატონო?!.

— ეგ თქვენი თხოვნები და პეტიციები ერთ გროშადაც არა ღირს, ეს ყველაფერი ფუჭია! აი ამას გეუბნებით მე დღეს აქ!..

ლადო წამით შეჩერდა, ყველას გადახედა, იქნებ იმისთვის, რომ დარბაზს უკვე მოსმენილი სიტყვები გაეახლებინა და თავადაც სუნთქვა ამოეშვა, ხმისათვის ფოლადი მიემატებინა.

— ამასვე ვიტყვ- მე ყველაფერს იქ, სადაც ჩემი ნამდვილი ასპარეზია, სადაც წმინდა მოვალეობა მიწყეს — აი ამ სცენაზე! ეხლა ხომ ცხადია, რა ძლიერი ყოფილა იქიდან წარმოთქმული სიტყვა, როგორ მოუწვავს გული ზოგიერთებისათვის. დიახ, ეს სიტყვა ყველაფერზე უფრო ძლიერი ყოფილა და იქნება, ვიდრე თქვენი არეული ლაპარაკი.

— ბრავო, ლადო!.. ყოჩაღ ლადო!.. დიდებული, თავდადებული, თავად ღარიბო, მაგრამ მაინც სულით მდიდარო კაცო!

— ჩვენი შეკრებილი ფულით მდიდარია, ბატონი ლადო! —

გადასცინა წელანდელმა ორატორმა და მუნდირგაქუცულმა გადამდგარმა მაიორმაც დაუმოწმა:

— დიახ, ჩვენით, ჩემით, შენით, ხომ ასეა, ბატონებო?

— თქვენი გროშით კალოშიც ვერ გიყიდია, ბატონო, თეატრს რას შესწირავდი, — მე ვიკითხო, — რევოლუციამ რომ დიდებულად აღზრდილი შვილი ხელმწიფის მტრად აქცია და ლამის ჩემი ბამუელ-ლედულიც ამ საქმეს ანაცვალოს! — გასძახა მაიორს გადამდგარმა პოლკოვნიკმა ქავთარაძემ ისეთის გაბედულებითა და თანაც რისკით, თითქოს ბანქოს სათამაშო მაგიდაზე ბანკის მოსახსნელად მოელს თავის ქონებას ჩავიდაო.

— გაქუცულ აზნაურებს ფულს ნუღარ შევაკრებინებთ, ბატონებო, ასეთი წინადადებით შემოვდივარ მე და ვუყაროთ კენჭი! — ჩამოფრინდა ხმა ქანდარიდან.

— მესხიშვილი კიდევ შეგაკრებინებთ ფულს, როცა მართალი სიტყვის ვაგონება მოგინდებათ სცენიდან! — აუწია ხმას ლადომ.

— დიახაც, ძალიანაც სწორად მოიქცევით!

— შეაკრებინეთ!.. შეაწირინეთ, რომ მოგროვილით ქართულ თეატრს დავეხმაროთ! — დასცეს დასტური აქა-იქიდან.

— თანახმა ვარ, აქვე მოვიხსნი ბრილიანტის საყურეებს და ქართულ თეატრს შევწირავ! — გაწკრიალდა თავადის ქალის ხმა და დარბაზმა იმ საყურეებისკენ მიიხედა; ქალი იმდენად ლამაზი იყო, რომ მესხიშვილის უკმაყოფილონიც კი მოთვინიერდნენ.

— თქვენს ლამაზ სახეს, ქალბატონო, ბრილიანტის საყურეების მოცილებაც ვერას დააკლებს, ზოგიერთი აზნაურის ცოლმა იტიროს, თითზე დასახვევი კოჭის ძაფიც რომ არ გააჩნია!

— ხა-ხა! — გადიხითხითა, რომელიღაც გაჭირვებულმა ოპტიმისტმა.

— ხი-ხი და ოხრობა თქვენ, ამფერი მასხრობისთვის!.. სად გგონიათ თავი, ყმაწვილო? — გაუწყრა ერთი ახითხითებულ მეორეს.

— მართალს ბრძანებს ჩერკეზოვას კნეინა! თეატრი და აქტიორი უნდა გამოეხმაურონ საზოგადოებრივ მოვლენებს, თუნდაც ომრეულობის დროის უცნაურობისას. თეატრს არ შეუძლია არ შეებრძოლოს უსამართლობას! — თითქოს თავისთვის წარმოთქვა ბრეზიდიუმში მჯდარმა სტაროსელსკიმ და ეშხიან ქალბატონს მადლიერების ნიშნად თავი მოკრძალებით დაუკრა.

— რა მესმის, თუ გუბერნატორიც კი არტისტის მხარეს იჭერს, იქ ჩვენი აზნაურების გაჭირვებას სიკეთე არ წაადგება! — ამოიქვითინა ჩოხა-ახალუხ შელანძღულმა ახალგაზრდა აზნაურმა, რომელიც ჩანს მას სულაც არ უშლიდა მესხიშვილის სიტყვის მოუწონებლობა, მაგრამ მისი ნათამაშები როლებისთვის კი ბევრჯერ დაუკრავს ტაში და არც მომავალში ფიქრობს თავის შეკავებას, რადგან, როგორც გულში გაიფიქრა — „მესხიშვილი ერთია, ჩემისთანა აზნაურიშვილი კი, ვინ მოსთვლის რამდენი!“

თავადაზნაურთა კრება მოულოდნელი შეხლა-შემოხლით დამთავრდა: გლეხთა გამოსვლები აღარავის ახსოვდა, აგრარული საკითხის გადაწყვეტა მებრძოლ პარტიებს თავსატეხად დაუტოვეს, მაგრამ მესხიშვილის გაბედული პასუხი მთელმა ქუთაისმა პირზე დაიკერა.

კრების დამთავრების შემდეგ თეატრიდან გამოსასვლელ მთავარ კართან ქუთათურები ტაშით შეხვდნენ, მოპირდაპირე ქუჩაზე გიმნაზიის შენობიდან მოწაფეებმა ფანჯრებიდან — ბრავო! შეჰყვირეს. ოცხელისა და გველესიანის საფართლოდან ნავაჭრით იღლიაში ამოჩრილი მყიდველებიც კი გაჰყვნენ მესხიშვილს, თითქოს წარმოდგენის პრემიერის შემდეგ სათაყვანო მსახიობის სახლში გაცილებას აპირებენო. ყველა იმათ შემხედვარე ახალგაზრდა აზრნაურმა, წეღან სტაროსელსკის საქციელი რომ გაიკვირვა, ახლა შესძახა:

— მეც თქვენთან მიგულეთ! ვატყობ ხვალ წარმოდგენაზე მეტი ხალხი დაგესწრება. თავადაც გადმოვიბრუნებ ჯიბეს, მოვალ მეც. ტაშს დაგიკრავ!

ტაშმა მართლაც იმატა. მეორე დღეს თეატრი გაიჭედა. ისევ „კაი გრაკხი“ იდგმებოდა. ყველა აღტაცებული იყო, მარტო გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსი ბრაზობდა, მან უმალ, კავკასიის პოლიციის უფროსს მოახსენა:

— ქუთაისის ქართული დასის მსახიობმა ალექსი-მესხიევმა ქართულ ენაზე წარმოსთქვა სიტყვა, რომლითაც ხალხს მოუწოდა მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლისაკენ. სიტყვის დამთავრებისას ხუთჯერ წარმოსთქვა „სახალხო ბრძოლა“, ალექსი-მესხიევის შემდეგ მთავრობის საწინააღმდგო სიტყვა წარმოთქვა უცნობმა ორატორმა, რომლის ვინაობა ჯერ გამოურკვეველია. მესამე მოქ-

მედების შემდეგ სიმღერის მოყვარულთა გუნდმა სტუდენტ კოტე ფოცხვერაშვილის ხელმძღვანელობით სამჯერ შეასრულა „მარსელიოზა“. სპექტაკლის დასრულების შემდეგ თეატრში მყოფი საზოგადოება დაეწყო რამდენიმე ჯგუფად და გაეშურა ქალაქის სხვადასხვა მიმართულებით „მარსელიოზას“ და სხვა რევოლუციური სიმღერებით.

გაზეთები ქებით ისსენიებდნენ „კაი გრაკხის“ დადგმას:

— თუმცა შინაარსი პიესისა რომის ისტორიის დროიდან არის აღებული, პიესას ისტორიულის გარდა თანამედროვე მნიშვნელობაც აქვს, რადგან ეგრეთწოდებულ აგრარულ საკითხს ეხება, — წერდა რეცენზენტი.

— წარმოდგენაზე დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი და დარბაზი ისე ვაივსო, რომ რკინიგზის მუშებმა ლიტერის ლოჟა დაიქირავეს და ოცამდე კაცი მოთავსდა შიგ. საზოგადოება იმდენად გაიტაცა პიესის შინაარსმა, რომ ყოველ გაბედულ ფრაზას აღტაცებული ტაშის ცემით „ვაშა, ვაშას!“ ძახილით ეგებებოდნენ.

— მესხიშვილის მიერ წარმოთქმული გრაკხის რევოლუციური მონოლოგები ისეთ შთაბეჭდილებას ახდენდა მაყურებელზე, როგორსაც ვერც ერთი დაბეჭდილი პროკლამაცია ვერ მოახდენს.

„ივერიას“ კორესპონდენტიც ადასტურებდა:

«კაი გრაკხი» ადგილ-ადგილ ძლიერ მოქმედებს მაყურებლის ვრძნობებზედ, რადგანაც პიესის შინაარსი ბევრ რიგად ეხმატკბილება დღევანდელ ვითარებას ხალხისას».

იმ საღამოსაც განსაკუთრებით ითამაშა მთავარი როლი. გრაკხი უმიწაწყლო რომაელ პლებეებს გაბედულად მოუწოდებდა მიეტაცათ ბატონებს მიწა-წყალი და იცოდა, რომ ეს სიტყვები ეკალივით ამოვდებოდა რეაქციის მოციქულებს. სწორედ ამ სიტყვების წარმოთქმისას დაიძახეს დარბაზში — „ძირს!“. ატყდა ხმაური, ხალხმა რევოლუციური სიმღერა წამოიწყო, მაგრამ კარებში პოლიციის რაზმი შეგოვარდა. ლადომ გუბერნატორ სტაროსელსკის ტელეფონით სთხოვა:

— კაზაკები გააყვანინეთ თეატრიდან!

გუბერნატორი სტაროსელსკი რევოლუციონერებს მფარველობდა და ამიტომაც ურჩია:

— გირჩევ მაყურებელი გაიყვანო, თორემ შეტაკება მოხდება!..

ლადოს მისი სჯეროდა. სისხლის დაღვრას წარმოდგენის შეწყ-

ვეტა არჩია, მაგრამ ამითაც რევოლუციის მომხრე მაყურებელი და ამ გაბედული ამბის გამგონი ქუთაისელობა დიდად გაამხნევა და გააბარა.

ბერმე განჯაში საგანგებოლოდ დასი ჩაიყვანა იქაც უამრავმა ქართველებმა მოიყარეს თავი. წარმოდგენის დაწყების წინ რევოლუციური ორგანიზაციის წარმომადგენელმა მესხიშვილს სთხოვა:

— ანტრაქტის დროს შუქს ჩავაქრობთ.

— მხოლოდ სამი წუთით! — პირობა დაუდო მესხიშვილმა.

— ერთიც გვეყოფა!

მეორე ანტრაქტის დროს სინათლე ჩაქრა და როცა აინთო, ფერიდან თოვლის ფანტელივით ჩამოცვივდა რევოლუციური პროკლამაციები და ყველა კუნქულს დაეფინა.

წარმოდგენის დამთავრების შემდეგ რევოლუციური სიმღერა წამოიწყეს და სახლებს გულმოჯერებული გრძნობით მიაშურეს.

ქუთაისის მოედანზეც მოაწყო საჯარო მიტინგი. თავად თავმჯდომარეობდა, და სიტყვით მიმართა:

— ძმებო, არ გვყოფნის ძალა მოთმინებისა, ყველას გვინდა ჰაერი, ნათელი მზე, ფართო მინდორი, ყვავილებით აფერადებული. პირდაპირ მედგრად განვაცხადოთ ყველგან: ქარხნებში, ფაბრიკებში, მაღაროებში, აუწყეთ ყველგან ხალხის მასებს. რომ საჭიროა რვა საათი სამუშაო დღე, რვა საათი ძილი და რვა საათი თავისუფალი დრო.

დეკემბრის აჯანყების დამარცხების შემდეგ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელმა რაზმმა ქუთაისსაც ცეცხლი წაუკიდა, უნდოდა მთელი ქალაქი ნაცარ-ტუტად ექცია. მესხიშვილმა თეატრის დასი შეკრიბა და განუცხადა:

— იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის დავალებაა — ბარიკადა აღვმართოთ!

— სად?.. რითი? — შეეკითხნენ მსახიობები.

— თეატრის გარშემო, გიმნაზიისა და დუქნების ახლო მდებარე ქუჩებში შეგროვილი მასალით.

მსახიობები და თეატრის მუშები ახალ საქმეს შეუდგნენ, ბრძოლისათვის მოემზადნენ, თეატრიდან გამოიტანეს დეკორაციები, ბუტაფორია, რეკვიზიტი. გიმნაზიიდან სასწავლო მერხები, მაგიდები და დაფები მოათრიეს. ოცხელისა და გველესიანის მაღაზიებში დაიღის თავები აჰყარეს, თეთრი და ჯაჭვის ხიდის მისასვლელებს

ლოდეები მოარღვიეს და თეატრთან მიიტანეს, გარდერობიდან წ�eული დროშა გამოიტანეს, ამაღლებულ ადგილას დაამაგრეს, სცენაზე სასროლი ბერდანებიც მოიმარჯვეს, სამიოდე რევოლვერიც მოარკვეს წარმოდგენებში რომ ხან არ ვარდებოდა, ხან კი ისეთ ხმას გამოსცემდნენ ბოლს ადენდნენ, რომ ჯერ მსახიობს უსკდებოდა გული, სცენაზე იბნიდებოდა და მერე მაყურებელიც იგუდებოდა პირველიდან მეხუთე რიგამდე. აქ კი საშიში აღარ იყო, — მაღლა ცა დაჰყურებდათ, დაბლა კი მოკირწყლული მიწა უჩნდათ, არც ერთს არ მოეკიდებოდა თოფის წამლის კვამლი, კაზაკებს კი, როგორც ლადოს სჯეროდა, შორიდან მაინც დააფრთხობდა და თეატრს ველარ მიეკარებოდნენ, დაწვას ველარ გაბედავდნენ.

ყველა საბრძოლოდ გაემზადა. ლადო მეთაურობდა, რაზმელებად საინჟედო მსახიობები ედგნენ — იუზა ზარდალიშვილი, მამუკა ამაშუკელი, ვიქტორ გამყრელიძე, ნიკო გვარაძე, ანდრო მურუსიძე, ვალერიან შალიკაშვილი, გიორგი ჩარკვიანი, დავით მესხი, ვანო მურვანიშვილი, ივანე ჩაკვეტაძე, სანდრო ბოჭორიშვილი, აკაკი ტყეშელაშვილი. თეატრის ღამის დარაჯი ივანე ნაჭყებია და სუფლიორი თეოფილე შველიძე.

— შენ აქეთ ჩაიჩოქე!.. იმან იქიდან დაუმიზნოს! მტერს არ შეუშინდეთ, ასე ბრძანა მესხიშვილმა, — არიგებდა სუფლიორი შველიძე.

ალიხანოვ-ავარსკის რაზმმა ქუთაისის გადაწვა იმით დაიწყო, რომ პირველად ცეცხლი წაუკიდეს რკინიგზის ეაგზლის მიდამოში გაშენებულ სახლებს. თეატრის კედელსაც მიპარვით ნავთი მოასხეს, მაგრამ ღამის დარაჯის ივანე ნაჭყებიას ფხიზლობით დროზე ჩააქრეს.

მესხიშვილის რაზმს მთელი ღამე ბარიკადა არ მიუტოვებია, ფეხი არავის არ მოუცვლია. დილით კი რევოლუციური კომიტეტის ბრძანება მოვიდა, ბარიკადები დაშალეთო! ლადომ ამაყად უპასუხა:

— გადაეცით კომიტეტს, ამ ბარიკადებს არ დავშლით!.. თუ საჭიროებამ მოითხოვა, გვერდით ამოვიყენებთ ცოლ-შვილს. დაე, ჭალისხლე ალიხანოვ-ავარსკის ურდოებმა მათ უმანკო მკერდზე გადაიარონ! რევოლუცია მსხვერპლს მოითხოვს, ჩვენ მზად ვართ ამისათვის!.. ჩვენ თუ დავიხოცებით, ქვეყანა წარმოშობს ისეთ გმირებს, რომელნიც უეჭველად გამარჯვებას მიანიჭებენ ხალხს!..

გენერალ ალიხანოვ-ავარსკინ მაინც სცადა დაერბია ქართული თეატრი. მსახიობებმა დაიცვეს, მაგრამ ზოგმა სიცოცხლეც დაკარგა; თეატრის სუფლიორი თეოფილე შველიძე პლასტუნებმა ციხის გზას გაუყენეს, რიონის გალმა მხარეს. ჩაფრებს ღამით ტანტალი დაეზარათ და როგორც კი თეთრ ხიდზე შედგნენ, ტყვია დაახალეს, — გაქცევა დააბრალეს.

მთელმა ქუთაისმა დაიტირა ვერაგულად მოკლული სუფლიორი. ლადო მესხიშვილის თეატრმა ვალი გადაიხადა!..

ციხეში ჩადგომილი

პეტერბურგის მუშების გაფიცვის ამბავმა ჭიათურამდეც მოაღწია და ისედაც რევოლუციურად აღგზნებული ხალხის რისხვას ახალი ძალა შემატა. მაგრამ შიშველი ხელით ეკალს ვინ მოგლეჯს? — ვადაწყდა იარაღის საშოვნელად სამხედრო ნაწილებს თავს დასხმოდნენ. ესეც ხელით ნარის კრეფას ნიშნავდა! დაკვირვება იყო საჭირო, დაზვერვა, ყველაფრის აწონ-დაწონვა, ახლომახლო განლაგებული სამხედრო ნაწილების რაოდენობის შესწავლა, ოფიცერთა შემადგენლობაში ისეთების გამორჩევაც, ვინც მეფის წყობილებისათვის დიდად არ იკლავდა თავს, და ისეთების დახსომებაც, ვინც ჯარისკაცებსაც არ უყვარდათ სისასტიკისა და მტანჯ ხასიათის გამო.

ადგილობრივმა გლეხკაცობამ ყველაზე უკეთ იცოდა ვინ რა იყო, რას ჩადიოდა, ვინ ვის აწიოკებდა, ანდა ჰქონდათ თუ არა ფიქრი იმისა, რომ წითელრაზმელობა მოულოდნელად დაესხმოდა თავს. დროც უნდა შეერჩიათ, სამხედრო წესდებით გათვალისწინებული წვრთნა — ვარჯიშის საათებიც სცოდნოდათ. იარაღის შესანახი საწყობების მარჯვედ მ-სადგომიც გამოეკითხათ და ის ბობოლა გლეხებიც არ გამორჩენოდათ, რომლებიც ცხენებისთვის თივასა და შვრიას საბუდელით უზიდავდნენ და გამორჩეულ ოფიცრებსაც სარჩო-სანოვაგეს ყოველ კვირა სახლში მიართმევდნენ.

როცა ყოველივე ეს მეტნაკლებად მოსინჯეს, ისიც ივარაუდეს რამდენ თოფსა და თოფისწამალს ჩაიგდებდნენ ხელში? ამისათვის ისეთი ბიჭების შერჩევასაც შეუდგნენ, რომლებსაც თვალიც უჭრიდათ და მუხლიც არ ეღლებოდათ, უფრო ისინი აიმედებდათ, ეი-

საც გული ბოლმით აევსო. შინაური და გარეშე მჩაგვრელების მაოიანებლობას ვეღარ ითმენდა და მზად იყო გაჰყოლოდა რევოლუციურ ტალღას, გლეხს რომ მემამულეთა მიწების ჩამორთმევაზე მიეუწვებდა, მაღაროელს კი მძიმე სამუშაო საათების ხანგრძლივობას შეუმოკლებდა და მეპატრონე — მოჯარადრეებს ჯიბეს ცოტას შეუთხელებდა. მერე საერთო ძალით თვითმმართველობის ისეთ წყობასაც გამოიმუშავებდა, რომელშიც თავადაც მიიღებდნენ მონაწილეობას, არც მსხვერპლის გაღებაზე იტყოდნენ უარს, რაკი რევოლუციის გამარჯვებისა და ერთობის საქმის ინტერესები ამას მოითხოვდა.

მაგრამ ერთი რამ მაინც აფიქრებდა წითელრაზმელებს: მეთაურების ამორჩევა.

თუმცა თავად როდი ირჩევდნენ თავთავიანთ ხელმძღვანელებს. ხალხი მეაყრებოდა ხოლმე და ორატორებს უკქეროდნენ, ყველას, ერთდროულად უსმენდნენ, ესერებსაც, ანარქისტებსაც, სოციალდემოკრატებსაც. რაკი ყველას ახალი დროების მიმდევრებად მიიჩნევდნენ და არც დაწვრილებით იძიებდნენ, თუ რითი განსხვავდებოდა ერთი პარტიის ერთი ლოზუნგი მეორე, მოწინააღმდეგე პარტიისაგან? მეფის ტახტიდან ჩამოგდებას ყველა მოითხოვდა და საერთო ერო სიტყვას „თავისუფლებას" თავის დროშაზე აწერდა.

მაგრამ შიგადაშიგ მაინც არჩევდნენ მთავარსა და თავისთვის სახეიროს, — ზოგი უკვე შეძლებული გლეხი იყო, მაგრამ კიდევ მეტ შეძლებაზე ეჭირა თვალი, და არც მალავდა, რომ დიდი ფეოდალების მამულების ჩამორთმევით მასაც შეხედებოდა, უკვე შეძენილს კი

ლობა, რომელიც მიუხედავად უიარაღობისა, რწმენით იყო შეიარაღებული და, მაშასადამე, საიმედო ძალასაც წარმოადგენდა რევოლუციურ შებმა-შეჯახების ფათერაკიან უღელტეხილებზე.

ხალხის კრება-თავმოყრაზე გამოსული ორატორები ბევრ სიტყვიერ საფანელს ბარჯავდნენ და ისეთ მჭექარედ ისროდნენ, კაცს რომ გააბრუებდა, მაგრამ ანასაც გლეხი და მუშა თავისებურად განსჯიდა და იმსადღეისოს უფრო ირწმენდა, ვინემ ისეთ სამერმისოს. რომელსაც ორატორები ადვილად ჰირდებოდნენ, მაგრამ ძალზე შორეულად ეჩვენებოდათ! ახლა ისინი გამოლმა ნაპირზე იდგნენ და გაღმა ნაპირზე გასვლას ლამობდნენ, წყალში გასაცვლელ ფრთს ეძებდნენ, თუმცა არც იმას ივიწყებდნენ, რომ მდინარე იოლად არ დანებდებოდა დინებაში შეტოპილ ადამიანებს. ადვილი არ იქნებოდა მორევის გადაცურვა, ზოგიერთს რომ ღურღუმელაში ჩაითრევდა და ვინ იცის, იქნებ ველარც ამოელწია ზედაპირზე? მაინც იმ მენავეებს ენდობოდნენ, ვინც ნიჩბებს მარჯვედ იქნევდნენ და იმ მეტივეებს განზე უდგებოდნენ, რომლებიც თვითდინებას მიჰყვებოდნენ.

იმ დღესაც იარაღის მოსაპოვებლად დაეწყნენ, რაზმის მეთაურად აფრასიონ მერკვილაძე დაიყენეს და დამხმარედ ჰროპაგანდისტი ტიტე ცანიწაძე მიუყენეს.

ამათაც სამიზნედ საგუშაგოები არჩიეს, საამისოდ თხუთმეტი რაზმელი შეარჩიეს და ჩხარის უბნის ჩაფართა განსაიარაღებლად დაიძრნენ. თხუთმეტ რაზმელში სამსა ჰქონდა ბერდინის სისტემის გრძელლულიანი თოფი, ოთხს სმიტის რევოლვერი, ერთს — ბრაუნინგი, დანარჩენი შვიდი კაცი კი ხანჯლებს მოაკონწიალებდნენ. ყველა ჯურის სასროლ იარაღზე სამი-სამი ვაზნა მოდიოდა და ასეთ შეუიარაღებულ რაზმს უნდა განეიარაღებინა შეიარაღებული ჩაფრები.

ნოემბერი იდგა, თოვლშეკაპიანი. რაზმი გათენებისას ჩავიდა ჩხარში და დაყრუებული ეკლესიის სამრეკლოს ქვეშ დაიმალა.

გეგმა დააწყეს: როცა ჩაფრები ცხენებს მდინარეზე წაიყვანდნენ, რაზმი სადარაჯოზე დატოვებულ იარაღს გაიტაცებდა.

სთქვეს და აასრულეს კიდეც: ოცდახუთი კაცის საჭურველი ჩაიგდეს, ცივი იარაღიც კი არ დაუტოვეს.

ერთმა სოფლელმა სხვაც გაუმხილა:

— ბოქაულსაც ოთხი თოფი აქვს სახლში.

— ვაგვიძეხი! — და ახლა იმასაც ეწვივნენ. ქვითკირის ღობეზე ახლად ართმეული თოფის ლულები გადააშვირეს და გადასძახეს:

— ბოქაულო, დაგვნებდი!

ერთმა ჩაფარმა თოფი მოიმარჯვა სასროლად, მაგრამ თხუთმეტი საპასუხო ლულის ტუჩი რომ არ აბოლებულიყო, ბოქაულმა გამოსძახა:

— მობრძანდით, ბატონებო, რაც იარაღი მაქვს, თქვენი იყოს!

რაზმელებიც შებრძანდნენ, რაც რამ სასროლი ნახეს, წამოიღეს და გამარჯვებულ გამოსწიეს ჭიათურისაკენ.

არც ის თავგამოდებული ჩაფარი დატოვეს დამძიმებული, თოფთან ერთად ხმალიც აართვეს და პანღურიც ამოჰკრეს. ბოქაულმა სინანულით თავი გააქნია და დააწყნარა:

— ღმერთს მადლობა უთხარი, სიცოცხლეს რომ გიტოვებენ!

მერე ნადავლი გაინაწილეს და სხვების შესაიარაღებელი თოფებიც მხრებზე გადაიკიდეს.

იმ იარაღში ერთი მონიკელებული ბრაუნინგიც ჩანდა. ბევრს წაუვიდა თვალი, მაგრამ ყველაზე უმცროსსა და თანაც პროპაგანდისტს ტიტეს არგუნეს. დიდხანს მანაც არ დაიტოვა, — არ ვარდებოდა. ლამაზი იყო. მარტო საყურებლად ვარგოდა. რეაქციის გაძლიერების შემდეგ თბილისში საჭმელი აკლდათ, ტიტემ და ვანო ინწკრიველმა ერთ მიკიტანს გირაოდ დაუტოვეს და დაეკარგათ. გამოსასყიდი ფული არა ჰქონდათ.

ჩხარის სადარაჯოს განიარაღებამ გლეხკაცობაში სიხარული გამოიწვია, მაგრამ მენშევიკური ფრაქციის წევრები გაწყრნენ, — ჩვენი წილი წაგვართვესო.

— თქვენ, ბატონო, ტივით მიტივტივებთ რევოლუციის ტალღაზე და ჩხარში ვერ ბოხვდებოდით, გვარიანი მაღლობია! — გასცინა რაზმის მეთაურმა აფრასიონ მერკვილაძემ და რაღა ეთქმოდათ მეტივეებს. იარაღის ნაწილი მაინც მოითხოვეს, მაგრამ ტიტემ ურჩია აფრასიონს — არ მისცეო.

— დღეს რომ ძველ ბერდანის თოფს მისცემ, ხვალ ახალ კარაბინებსაც მოგთხოვენ. მერე წილშიც ჩაგიდგება და აკეთო უნდა ბათი საქმე!..

აფრასიონ მერკვილაძემ სამი ძველი ბერდანის თოფი მაინც გაიმეტა, მაგრამ მენშევიკების გული ვერ მოიგო. უფრო გაალმასდნენ, თვალი ფხიზლად ეჭირათ, ბოლშევიკების იარაღის საშო-

ვარზე წასვლა არ გამოპარვოდათ და როგორც კი გაიგებდნენ, უკან მიეპარებოდნენ — მოთხოვნით — წილში ჩაგვაყენეთო!

ბოლშევიკების ფრაქციის წითელი რაზმი იარაღის ახალი პარტიის შესაძენად გაემართა ყვირილაში, სადაც ასამდე ჩაფარი იდგა.

საამისოდაც ახალი გეგმა დააწყეს:

ტიტე ცაბიწაძე ყვირილაში ჩავიდა იქაური სკოლის მასწავლებლის საშა სტეპანოვთან მოსალაპარაკებლად.

— ძნელი საქმეა! — არ დამალა სტეპანოვმა.

— სამაგიეროდ ას კარაბინს ვიშოვით უამრავ ტყვია-წამალსაც. — გაეღიმა ტიტეს.

— მაგრამ, როგორ გინდა განაიარაღოთ ოცმა კაცმა ამდენი ჩაფარი?

— ამაში შენ ერთი უფრო მეტს გააკეთებ, ვინემ ჩვენ ოცივე!

— როგორ, ვერ მიმხვდარვარ? — გაიკვირვა სტეპანოვმა.

ტიტემ ჭიათურაში დაწყობილი გეგმა გააცნო:

— ყვირილაში გავლენიანი კაცი ხარ, თენგინის ასეულის როტმისტრიც შენი მოგვარეა, — სტეპანოვი. იცნობ, ალბათ?

— კარგადაც, ოჯახშიც მწვევია.

— თუ გენდობა შენც?

— როგორ გითხრა, პატივსა მცემს, მეც ვწვევივარ, მისი შვილი ჩემი სკოლის მოწაფეა. ასეთია ჩვენი ურთიერთობა.

— სთხოვე შენს მოგვარე როტმისტრს სამი ჭიათურელი წითელრაზმელი ჩაფრებად მიიღოს. ისინი ჯერ კარგად მიიხედ-მოიხედავენ და როცა ჩაფრების რაზმი ცხენებს წყალის დასალევინებლად წაიყვანს, ჩვენი რაზმი მოულოდნელად თავს დაესხმის. სამი ჩაფარი კი სროლას აუტეხს ზურგიდან. ამ მთიან ადგილას პოზიცია ისეთია, რომ თუ თავი არ გადადეს გასაწყვეტად, უნდა დაყარონ იარაღი!

იფიქრეს, იძსჯელეს და იმაზე შეთანხმდნენ, რაც ტიტემ შესთავაზა. მაგრამ იმ სამ ჩაფრად კი ისეთები შეარჩია სტეპანოვმა, ოობლებიც შემჩნეული არ იყვნენ ხელისუფალთა მიერ.

ტიტე კმაყოფილი დაბრუნდა ჭიათურაში, მაგრამ მაინც მალე წუხდა გუნება.

ძოხდა გაუთვალისწინებელი. ბოლშევიკების მაგალითით წახა-

ლ-ებელი ოცდაათიოდე ესერიც რაზმად შეიკრა ყვირილის ჩაფრების თოფიარაღის მისატაცებლად.

დრო ალარ ითმენდა. დათქმულ დღეზე ადრე უნდა ჩასულიყვნენ ყვირილაში, ჭიათურის მატარებელი კი წუთი-წუთზე გადიოდა ვანრიგით. რაზმის შეკრებას ერთი საათი მაინც სჭირდებოდა. სხვა გზა არ იყო — სადგურის უფროსი გააფრთხილეს:

— მატარებლის გასვლა უნდა შეაჩერო ერთი საათით!

— მთავრობა დამსჯის, ბატონებო! — მოიბოდიშა სადგურის უფროსმა ბეგთაბეგოვმა.

— ჩვენ დაგსჯით!.

ბეგთაბეგოვი დაფიქრდა: მთავრობა შორს იყო. წითელრაზმელები კი თავზე ადგნენ და რევოლვერის ჩახმახს წუთი-წუთზე გამოჰკრავდნენ.

მეტი ალარ უფიქრია: მატარებელი იმდენ ხანს გააჩერა, რამდენიც რაზმის შეკრებას დასჭირდა.

ოცდაათიმდე შეიარაღებული წითელრაზმელი ვაგონებში განლაგდნენ.

სადგურ ყვირილიდან ფეხით გაუდგნენ გზას თენგინის ასეულის ყაზარმებისაკენ. უკან რომ მოიხედეს, ერთი სხვა რაზმიც დაინახეს. ფეხდაფეხ მოსდევნენ, ადვილად იცნეს, ესერები იყვნენ.

— როგორც ჩანს, ჩვენ ერთსა და იმავე საქმეზე მივდივართ?! — დაეკვებით ჰკითხა ტიტემ.

— ასეა, ჩემო ბატონო! — უპასუხა ესერების წინამძღოლმა ილიკო აბაშიძემ.

— ჰოდა, თვითონ ბატონო, ერთმანეთი რომ არ დავხოცოთ, მოვილაპარაკოთ!..

— რა ჯობია ამას, ჩემო ბატონო! — გაეხარდა აბაშიძეს. რაკი ცუდად იყვნენ შეიარაღებული და მარტოდ საქმეს თავს ვერ გაართმევდნენ.

შეთანხმდნენ: იარაღს თანასწორად გაიყოფენ.

რაზმი რაზმს მიჰყვა და მიზანს მიუახლოვდა.

ამ დროს მენშევიკების წარმომადგენელმაც გამოჰყო თავი:

— ჩვენც ვაპირებთ ჩაფრების განიარაღებას! ერთმანეთს ხელი არ შევუშალოთ!..

არაფერსაც არ აპირებდნენ. არც ანრიდ მოსვლიათ. მაგრამ სუნ- ეცათ და ხელის მოთბობა მოინდომეს.

რა უნდა ექნათ, ჭიათურელი ბოლშევიკები დაიჭიდნენ, ესერებთან ერთად, მენშევიკებიც შეიყვანეს წილში.

საერთო რაზმი სამ ჯგუფად გაიყო.

ყველაზე სასიფათო ადგილი ბოლშევიკებს ერგოთ.

— უკეთ ხართ შეიარაღებული! — დაასკვნა მენშევიკმა, ჭიათურმა.

— ესერებიც ნაკლებად როდი არიან იარაღასხმული!

— ბევრად ნაკლებად, თქვენზე! — თავი მოიასაბუქა ილიკო აბაშიძემ. — ჩვენ საწყობთან დაგიცდით...

— მენშევიკები მთლად ხელშიშველა მობრძანებულხართ. ამა საქმის გათავებამდე სეირის შემყურედ დარჩენილხართ და ეგაა. — წამოიძახა ტიტემ.

— ამიტომაც გვინდა შეიარაღება! — თავი იმართლა მენშევიკების წინამძღოლმა და სულაც ყაზარმების უკან ჩასაფრების უფლება მოითხოვა.

კამათის გაგრძელება საქმეს უფრო წაახდენდა. სამი რაზმის ერთად შეჯგუფება თვალში საცემი იყო და მაზრის უფროსს ეს არც გამოეპარებოდა. ამიტომ ჭიათურელების რაზმი მაზრის უფროსის დასატყვევებლად წავიდა, ბრძანებაზე ხელი უნდა მოეწერა, რომ ჩაფრები უბრძოლველად დანებებულიყვნენ.

ესერების რაზმი იარაღის საწყობისკენ წავიდა და წითელრაზმელების ნიშანს ელოდა.

ტიტეს რაზმმა მაზრის უფროსის ორი ჩაფარი გუშაგი ადგილზევე განაიარაღა, პოლკოვნიკს კი ულტიმატუმად კეფაზე მაუზერი მიადეს.

— დაწერეთ ბრძანება, ასეული დაგვნებდეს!..

პოლკოვნიკმა აცახცახებულ მწერალს ბრძანება დააწერინა და ხელმოწერაზე ბეჭედიც დაარტყმევინა.

— ახლა ტელეფონითაც აცნობეთ, რომ თქვენი ბრძანება მიგვაქვს, სროლა არ გაბედონ!..

პოლკოვნიკმა ყურმილში ჩაჰყვირა:

— სროლა არ გაბედოთ!

წითელრაზმელები მშვიდად გამობრუნდნენ, ტელეფონის ზონარი გადაუჭრეს, იმ ორივე ჩაფარ-გუშაგსაც იარაღი აჰყარეს, პოლკოვნიკს კი ბრაუნინგი დაუტოვეს: ოფიცრული ღირსება არ შეულახეს, სჯეროდათ, საფეთქელში არ ისროდა.

ტიტე კმაყოფილი ბრუნდებოდა, უხაროდა, საქმე უსისხლოდ დამთავრდა, მაგრამ ყაზარმაში მისულს გულს შემოეყარა. მენშევიკებსა და ესერებს, მაზრის უფროსის ტელეფონის დარეკვისთანავე იარაღი დაეტაცნათ და ბოლშევიკები ცარიელზე დაესვათ. თანაც ისე გათავსებდნენ, რომ ბოლშევიკ საშა სტეპანოვსაც კი საკუთარი თოფი მოჰპარეს.

ბოლშევიკებმა თავი შეიკავეს, სისხლი არ დაღვარეს, იმ ორი ჩაფრის თოფის ამარა დარჩნენ.

მერე ჭიათურაში ჩასულ ესერებს და მენშევიკებს შერცხვათ და რამდენიმე თოფი აჩუქეს ამ გაბედული ოპერაციის ნამდვილ განმხორციელებლებს.

ცხრაკლიტული

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა დასტური გასცა ქუთაისის პოლკის საწყობიდან იარაღის გატაცებაზე.

ტიტემ ადგილი დაზვერა, ორი ქართველი ჯარისკაცი შეიგულა, საქმე ისე მოაწყო, რომ ღამით ერთად ეგუშაგათ.

იარაღის საწყობი ქალაქს გარეთაა, პირდაპირ სოფლის გზაზე გადის, მისადგომად მარჯვეა, თანაც ყაზარმასთან კარშექცეული.

პაპანაქება ზაფხულია, მეგუშაგე ათეულს ღამე კარვებში სძინავს.

სერგო ქავთარაძე და ბუდუ მდივანი ყარაულის შეცვლას უთვალთვალებენ. ზეინკალი ლაზარეც გამოიყოლეს მთელი შეკვრა გასაღებებით. დათქმულ ნიშანს ელიან: თუ სიმშვიდე იქნება, შეთქმული გუშაგები საწყობის კარს მოშორდებიან და კარავში მშვიდად მძინარე ჯარისკაცების ფშვინვას ყურს მიუგდებენ, ჩასაფრებულები კი საწყობის კარს გაახსნიან.

ბუდუმ სხვა თადარიგიც დაიჭირა. ქუთაისის ბაზრობიდან შინ ცარიელად მიმავალი სამი მეურმე ნორეკა და მყუდროში მოაფარა იარაღის გასაზიდად.

მერე ზეინკალმა ლაზარემ ბოქლომს გასაღები მოარგო, გააღო, მაგრამ ხელის მოსმით იგრძნო, რომ რაზას მეორე, მომცრო კლიტეც ადევს. აჩონჩხლილი გასაღებები ისევ ფრთხილად ააჩხაკუსა,

ისიც გახსნა და ვეება საწყობმა ხახა დააღო: ხის ყუთებში გაზეთილი თოფ-იარაღის მძაღე სუნმა დაჰკრა.

ქართველმა გუშაგებმაც იყნოსეს და აღელვებულები ღია კართან მივარდნენ:

— ღამის მორიგე კარვიდან გამოვიდა!..

ზეინკალმა ლაზარემ აჩონჩხლილი გასაღებების აკიდო ხელად უბეში იკრა და წყვდიადში გაუჩინარდა. სერგო, ბუდუ და ტიტე მოსაფარში გაწვნენ, კარგამოღებული საწყობი პირდაღებული დარჩა.

მშვიდი ღამეა. რიონი ყუჩად ღმუის, ჭრიჭინა დაქანცული ჭრიჭინებს, სიო გრილად ონავრობს და ტკბილად მიძინებულ ჯარისკაცებს სიზმრად ეფინება, მაგრამ რა ჭირმა გააღვიძა ღამის მორიგე! მერე ის ყარყუმი საწყობს მიადგა, შეცბა, ყაზარმის ეზოში შექანდა და კარვებში ყრუ ფუჩუნი ატყდა.

გუშაგები იცვამენ. ორი ქართველი ყარაული კი პირჯვარს ისახავს, ორივეს სიცოცხლე ერთ ბეწვზე ჰკიდია. თავდასხმაში მონაწილეობა თუ დაუმტკიცდათ, ციმბირი აქეთ დარჩებათ. ბუდუმ ესეც იცის და დაამშვიდა:

— აქ აღარ დაგედგომებათ, გამომყევით!

ტიტემ ორივე აიმძღვარა, ბუდუმ და სერგომ განზე გაუტიეს, ზეინკალმა ლაზარემ რიონის ჭალას მისცა თავი. მხოლოდ სამი მეურმე ელის მშვიდად: ურმის ქირად ცოტაოდენი ფარის მიღების იმედი უღვივით გულში.

შორიდან ცხენის თქარუნი მოისმა და სამი კაზაკის ლანდი აისვეტა, ბუდუმ თავი მოიმთვრალა და რუსულად შეიკურთხა:

— პოლიცმეისტერს დედა ვუტირე! დამათრობდა ეგონა? აპრუწუწუნ, ვერ მივართვი! გუბერნატორი სტაროსელსკიც მივათვერი... დამიხსომებენ აწი, ქუთაისელ კნიაზს!..

სერგოსაც ფეხი აერია:

— კნიაზო!.. არც თქვენი მაღალი აღმატებულებაა ფხიზელი!.. ფეხები გებლანდებათ მთვრალი პლასტუნივით... ფრთხილად, კაზაკებს ცხენები არ დაუფრთხოთ!

ბუდუ აბურტყუნდა და ხელი შუბლთან აიკრა:

— მაქვს პატივი მოგესალმო მეფე-იმპერატორის სადიდებლად!

— გაიარე შენი გზით! — ამოიბურტყუნა კაზაკმა და მათრახი მოუღერა.

— ვითომ რაო, ორი თავადის კამპანია არ მოგწონს!! — აუხირდა ფეხზე მოქანავე ბუდუ და ცხენს კისერზე დაეკიდა. — ჩამოეთრიე, შემსვი კნიაზი!..

— შეგსვამ კარგად! — დაიღრიჯა კაზაკი და სერგოს თავზე აშვერილი მათრახი ბუდუს გადააწნა, გაოფლიანებულ ცხენს დეზი ჰკრა და წყვდიადში გაქრა.

ბუდუ სახტად დარჩა: არასოდეს არ სიამოვნებია უფრო ნეტად სხვა რამე, ვიდრე ამ კაზაკის მათრახი!.. უცნაურია: ერთის საძაგლობა გაშმაგებს, მეორისა გახარებს. ზურგის ამწველი წუთიც სიამოვნების მომგვრელია და როდი გაუვლის. არც ის დაავიწყდება, რომ იარაღის გატაცების კარგად დაწყობილი გეგმა ასე მწარედ ჩაეფუშა. იქნებ მსხვერპლიც მოჰყვა?! ქავთარაძე გვერდითა ჰყავს, მაგრამ ცამიწაქეს რა დაენართა?! თუმცა რამე რომც შეემთხვეთ, ხმა მაინც შემოესმება! ის ორი თანწაყოლილი ქართველი ჯარისკაცი თითო კაზნის დაცლას მაინც მოასწრებს, ცოცხლად რას ჩაბარდებიან, დაიხოცებიან, ან დახოცავენ დადევნებული ათეულის სალდათებს... შესაძლოა, ტიტე სამშვიდობოზე გავიდა და ჯარისკაცებიც გაიყვანა? მთელი საწყობი თუ ვერა, ორი თოფი მაინც შემატა წითელრაზმელების გამოცარიელებულ არსენალს.

მერე ნაცნობ თერძს, იოსელიანს შეაფარეს თავი. დილით მასპინძელმა გაიკითხ-გამოიკითხა და ღამის სტუმრებს ამცნო:

— ტიტე, ორივე ჯარისკაცით გაუსხლტათ, სამი მეურმე კი ჟანდარმერიის სამმართველოში წაასხეს, დაკითხვას შეუდგნენ.

იმ ღამის შემდეგ უფრო გააძლიერეს დღე-ღამის გუშაგობა. ქუთაისის პოლკის იარაღის საწყობს მესამე კლიტეც დაჰკიდეს და მესამე გუშაგიც დაუმატეს ცვლაში. ძილი კი სანახევროდ შეუმოკლეს, წამდაუწუმ აფხიზლებენ. რაზმის უფროსობაც თავს იწვალებს, რევოლუციონერებსაც სხვა ახალი რამ ხერხისაკენ უბიძგებენ და თოფ-იარაღზე უფრო მეტის გაშმაგებით ნადირობას აწყებინებენ.

მერე სამივე ჭიათურაში ჩავიდნენ და მეოთხე, ვანო ინწკირველიც შემოიერთეს, იქაურებმა რომ სტეპკო შეარქვეს პარტიულ საიდუმლო მეტსახელად.

იმ დღეს დიდი კრება მოაწყეს. ორასამდე გლეხი და მაღაროელი დაესწრო, მაგრამ ოციოდე თუ იყო მხარზე თოფგადაკიდებული, ან რევოლვერით გაგულიანებული.

— ბუდუ მდივანი ჩამოსულა, გაიგეთ?!

— უჰ, რა ჯობია ამას. ლამაზი ლაპარაკი იცის. მოვუსმინოთ, რას გვიპირებს მთავრობა? ახალი დროების კაცებზე უკეთ ვინ აგვიხსნის რა ხდება ქვეყანაზე. წავიდეთ, ჩვენც გავიგოთ, რა მოგველის?! — ალაპარაკდნენ მაღაროელები.

წავიდნენ და გაიგეს:

— ქუთაისიდან კაზაკების ასეული გადმოყავთ ჭიათურის დასამშვიდებლად! — აუწყა ბუდუ მდივანმა.

— პურმარილით გინდათ შეხვდეთ თუ? — იკითხა ვილაც ჩოხოსანმა მოხუცმა.

ბუდუმ იმერული თავაზიანობაც გაიხსენა და თვითონაც იკითხა:

— პატრონსანი სტუმარი იარაღს ოჯახია დიასახლისს აბარებს შესანახად, აქეიფებენ და ისე გაისტუმრებენ პატივნაცემად.

— ხა-ხა! — გადაიხარხარეს დამსწრეებმა.

— მასპინძლების წესით იარაღი ჩავიბაროთ!

— არ იქნება ურიგო. შენ ნუ მომიკვდები.

— არ დაიჯერო ეგ! ასე ზრდილობიანად არ დაგვილაგებენ იარაღს.

— მაშ ძალით ავყაროთ! ნახევარი ქუთათურებს მივაშველოთ, დანარჩენი ჩვენ დავირიგოთ.

— ცარიელი ხელ თ გინდათ განმაიარაღებინოთ ასი კაზაკი?! — წაჰყარა წინ მარგილებივით მძიმე ხელები უიარაღო მაღაროელმა და თვალებში ნაეშმაკარმა ნაპერწკალმა გაურბინა.

— წერაქვს მაგ ხელი თუ არ შეუშვი, ვერ წაართმევ კაზაკს თოფს! — გახუმრებით მიახვედრა გვერდით მდგარმა მაღაროელმა.

— მართალია მაგი! — დაუკრა კვერი სტეპკო ინწკირველმა.

— ჩვენც ვეყოფით, ვისაც თითო ტყვია მაინც გვიდევს სავაზნეში. დავითვალოთ!

ტიტემ ჩაინიშნა, ვისაც თოფი ან რევოლვერი ეჭირა და დაიძახა:

— ოცდაოთხი კაცი დავითვალე!

ბუდუ მდივანმა ეჭვის თვალით გახედა.

— მეტი მეჩვენება!..

— თავად დაითვალეთ, ბუდუ-ბატონო! — მოუთავაზა ლვთის

ვორჩილებას ჩვეულმა ყოფილმა სემინარიელმა, ტიტე ცამიწაძემ, მაგრამ თავის მეგობარს წინ გადაუდგა სტეპკო ინწკირველი:

— უფროს კაცს რატომ კაწუხებთ, მე დავითვლი ახლავე! — და თითო ხელაწეულ იარაღიან კაცზე თითო წამით შეჩერდა. მერე კმაყოფილებით გაუღიმა ბუდუ მდივანს და დაუდასტურა:

— ტიტეს სწორად დაუთვლია!.. მართლაც ოცდაოთხია...

— რას ამბობ, ბოშო!.. შენთან ერთად მეც დავითვალე, ოცდახუთი გამოვიდა. ვიღაცან არ ასწია იარაღი აი ასე მაღლა! — და ბუდუმ ჰაერში ააგდო მაუზერი.

— თუ ჩემიც არ გჯერათ, შეწუხდებით, მარა, თქვენ დაითვალეთ, აწი! — განზე გადგა ინწკირველი და ტიტეს ეშმაკურად გახედა.

— დავითვლი, აპა, არ დავითვლი?! გგონიათ თვლა არ მეხერხება, თვალი არ მიჭრის, თუ?! — იწყინა ბუდუ მდივანმა და გოლიათი კაცი ზეზე წამოდგა. ორას კაცში ოცდამეხუთე ხელაუწეველი კაცის გამოჩენა ადვილი არ იყო, მაგრამ მაინც შესძლო. მერე მაღლა აწეული თავისი მაუზერის ყუა მკერდზე მიირტყა, მიითვალა და ვახარებით გასძახა:

— აკი ვთქვი, ოცდახუთია!..

მერე ტიტესა და სტეპკოს მიუტრიალდა და ნიშნისგებით გაუღიმა:

— ერთ თოფს რატომ აკლებთ რევოლუციას?!. ვინ გასწავლათ მაგფერი თვლა-ანგარიში?!

— მეტნიც ვიქნებით, ხელმეორედ დავითვალოთ! — გაისმა აქეთ-იქიდან მაღაროელების ხმა.

ისევ ტიტემ ასწია ხელი და ბაღლიდან ყოველ ძირს დაქნეულ თავის ხელს ხმამაღლად ნათქვამიც დააყოლა:

— ერთი, ორი, სამი... ოცი, ოცდაორი!

ოცდამესამეზე რომ მივიდა, მონიკელებული თავისი „ბრაუნინგი" გულზეც მიიდო და ბუდუზე უფრო მეტი გახარებით დაიძახა:

— ოცდაოთხი!..

ბუდუ აენთო:

— კი მაგრამ, მე აღარ ბაითვლით, ბოშო?! — გაიოცა ბუდუმ.

— თქვენ, ბუდუ-ბატონო, უფრო ხეტად გვიღირხართ, ვინემ ერთი კაცი!

ბუდუ ისევ წამოხტა და მაუზერი ჰაერში შეატრიალა:

— ვინაა, ბატონო, ის კაცი, მე რომ ერთ კაცადაც აღარ ჩ[illegible]ვლის?! რავა, თქვენზე ნაკლებად შემ[illegible]ძლია თოფის სროლა?..

სხვა გზა აღარ იყო. ლამაზად მოლაპარაკე ბუდუც მებრძოლ კაცად ჩათვალეს და ოცდახუთი წითელრაზმელი შავჩოხოსანი კაზაკების ასეულის იარაღის ასაყრელად დაიძრა.

— ჰოდა, ასე! რას მარცხვენდით, ბოშო, ამსელა კაცს. ორი თქვენხელა მაინც გამოვიჭრები! — გაუღიმა თავის უმცროს მეგობრებს და მერე საკუთარი სიცოცხლის მოფერებისათვის ტიტესა და სტეპკოს მადლობით თვალი უყო.

შემდეგ თოფებისა და რევოლვერების სისტემების გარჩევასაც შეუდგნენ ტყვიების მარაგის დასადგენად და ერთმანეთში გადასანაწილებლად. ასი კაზაკი ოცდახუთმა რაზმელმა უნდა განიარაღოს, სახუმარო საქმე ხომ არ არის?!

მერე ვიწროებში დაუხვდნენ, დასჭყლეტეს, ორიოდე ტყვიაც დაახალეს, ორი კაზაკი უნაგირიდან გადმოაგდეს, ხუთს ცხენები წაუქციეს, ყველას ხელი ააწევინეს და იარაღი აჰყარეს.

მეორე დღეს იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტშიც ითათბირეს. ხარაგოულის ხაზინასაც დაეცნენ და რაც რამ ფული ნახეს, კაპიკ-კაპიკ დაითვალეს, 201 632 მანეთი და 56 კაპიკი წამოიღეს იარაღის შესაძენად. სამხედრო საწყობსაც დაადგეს თვალი. უფრო გაბედული თავდასხმების მოსაწყობად კი წითელრაზმელების დიდი კრებაც მოიწვიეს ზესტაფონში, რომ უფრო თადარიგიანად გაეწიათ წინააღმდეგობა რკინიგზით ჯარების შესაძლო შემოტევისათვის.

* * *

ზესტაფონის თეატრის დარბაზში ხუთასამდე კაცმა მოიყარა თავი. უმრავლესობა აფრასიონ მერკვილაძის მებრძოლები არიან. მათი მეთაური სცენაზე წინ წამოდგა და თავისიანებსა და სხვა სოფლელებს შეახსენა:

— ვიცი ვინც ხართ თქვენ!.. რისთვის და ვისაც ებრძვით, თქვენც იცით ეს! აპა ისე რატომ შეიკრიბებოდით. ღვთის საქმის ვაკეთებთ, მგონია, გლეხებიც და მუშებიც. ესეც იცით თქვენ.

— ვიცით, აპა, არ ვიცით!.. მარა შენ რომ სემინარიამ მღვდლად არ გაგიშვა საქადაგოთ, როგორ უყურებ ამას, აფრასიონ?! — გა-

ეხუმრა ხნიერი წითელრაზმელი შუასნის შავწვერა მელოტ მეთაურს.

— რა გიპასუხო, როსტომ-ბატონო! სემინარიის ხუცესებმა ჯვარით არ მაქადაგებიეს ღვთის საქმეზე, თოფი ამაღებინეს ხელში! თავად სახარება უჭირავთ და ღალატობენ ღმერთსაც და მრევლსაც. მე კი ორივეს პატიოსნად ვმსახურობ. არ შემრისხავს ყოფილ სემინარიელს ამისათვის უფალი, მავრამ მომიწონა, მგონია, რევოლუციამ საქციელი. ასე მჯერა მე!.. ნეფე-იმპერატორის ჩამოგდება ჩვენი ყველას ვალია და მადლიც!.. არ მოვხვდებით ამის გამო ჯოჯოხეთში, გაძლევთ ამის პირობას ჩემი წარსული მღვდლობის რწმენით. თუ, რასაკვირველია, რომელიმე ჩვენგანი ავაზაკურ ფიქრს არ ჩაიდებს გულში?! ერთი მაფიქრებს მხოლოდ, — იარაღი გვაკლია. არც ხალხი გვყავს იმდენი, ჩვენ რომ გვჭირდება. სხვებიც უნდა შემოვიერთოთ, ძალა შემოვიმატოთ. ახლა აქ ინიტომ შევიკრიბეთ, რომ თვითეულმა შეიარაღებულმა რაზმელმა თითო მებრძოლი მაინც მოგვაშველოს, გადმოიყვანოს ჩვენს მხარეზე.

აფრასიონის სიტყვამ ფრთა გამოისხა, დარბაზში სკამები ააჭრაჭუა და ხალხი ჯგუფ-ჯგუფად აალაპარაკა:

— მებრძოლები კია ბევრი, მარა იარაღი სადაა! — უეცრად გაისმა ვიღაცის ხმა.

— უქმად შინ არავინ დარჩა!

— მე! — გაისმა გადახურებულ დარბაზში ცივი ხმა და კედელთან ატუზული ჭაბუკი აფრასიონისაკენ დაიძრა, სცენაზე ახტა, კარაბინი შეიხსნა, გარდიგარდმოდ მკერდზე გადაკრული „პატრონტაში" მოიძრო, მაუზერიც მოიხსნა, ბოხოხიც მოიშვლიპა და აფრასიონს მიუბრუნდა:

— მე ვარ უქმად!

დარბაზი ატოკდა.

— ვინაა ეს ყოჩაღი ყმაწვილი? — გამოსძახა ნებიერად გამომხედმა ჭაღარა რაზმელმა.

— ჩვენებური არაა!..

— დიახ, ეჰ ჩვენებური არა ვარ! მე თავადი ლორთქიფანიძე ვარ. ძმად მიმიღეთ სიცოცხლეშიც, სიკვდილშიც. თავი მივდა დავდო ერთობისათვის. ღვანკითელი ვარ, არ ვარ აქაური.

— რას აკეთებ ღვანკითში, ასე შეიარაღებული? — შეეკითხა აფრასიონ მერკვილაძე.

— ვიცავ ჩემს ნათესავს, კნეინა ბაგრატიონს!..

— ვისგან იცავ, ყმაწვილო? — გაიკვირვა აფრასიონმა.

— ერთობისაგან!..

დარბაზი ახარხარდა, შეტოკდა, კიდევ უფრო შემტკიცდა. ერთობისათვის თავგამოდებულმა წითელრაზმელებმა ერთობისავე მოწინააღმდეგე ღვანკითელ თავადს დამცინავად შეუბღვირეს.

— კი, მაგრამ ამ ერთობის დამცველ რაზმში რამ მოგიყვანა შენი ფეხით, უბედურო?!

— აქაა ჩემი ადგილი!

— რითი გინდა არგო ხალხს?

— ყველაფრით, რაც ერთ კაცს შეუძლია გააკეთოს.

— როგორ მოვიქცეთ, რაზმელებო? — შეეკითხა კრებას მერკვილაძე.

— მივიღოთ!.. შევიერთოთ!..

— თუ ასეა, მივიღოთ! — დაუდასტურა კრების თავმჯდომარემ და ღვანკითელს გაბედა. ხელი მაგრად ჩამოართვა და დარბაზს გაუძახა:

— თითოეულმა რაზმელმა თითო მებრძოლი შემოგვამატოს-მეთქი, ხომ ვთქვი მე!

ჭაბუკმა თავი დაუხარა კრებას ნიშნად მადლობისა. მერე იარაღი აკრიბა, სცენიდან ისე მარდად ჩახტა, თითქოს ღობესთან ჩასაფრებულ კაზაკებს თავზე გადაახტა და ისევ იმ ცივ კედელს აეკრა.

ᲧᲕᲘᲠᲘᲚᲐ — ᲑᲔᲚᲐᲒᲝᲠᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐ!

აფრასიონ მერკვილაძემ კი შეიარაღებულ და უიარაღო წითელრაზმელებს მიმართა:

— თენგინის პოლკში ათასი თოფია. იმათ იარაღი უნდა ავიღოთ!

— ავიღოთ! — ახმაურდა დარბაზი.

— მაგრამ ჯერ სამხედრო შტაბი ავირჩიოთ! ყველა რაზმმა შეთანხმებით ვიმოქმედოთ. ქუთაისის, ჭიათურის, ხარაგოულის, ყვირილას ცალცალკე რაზმები შევაერთოთ ერთ დიდ ჯარად და სამხედრო თადარიგი დავიჭიროთ!

— კაი ნათქვამია, შენ ნუ მომიკვდები, მარა რას მოგვცემს ცარიელი თოფი, თუ ხალხი არ გამოგვყვა? — გაისმა დარბაზის ბოლო რიგიდან. ვერ გაიგებდი ვისი ხმა იყო.

— თოფი თუ გიჭირავს, ისროლე კიდეც, შე კაცო! — მიაძახა ვილაცა პირტიტველა ბიჭმა.

— ვერა ხვდები, ბოშო?! რასაც ბოლშევიკი იტყვის, მენშევიკი სტკიცავს — არაო!.. ხასიათი აქვთ ასეთი! — წყრომით წარმოსთქვა ბუდუ ნდივანმა და აფრასიონმაც მიბნელებულ დარბაზის ბოლოსკენ გაიხედა.

— მობრძანდი და გვითხარი, რა ჭია გჭამს? — ააელვა თვალები რაზმის გრძელწვერა და თმაგაცვინულმა მეთაურმა, ბოხოხი რომ მაუზერის ხის ბუდეზე წამოეცვა, დოინჯი მოეყარა და მჯდომარეც სხვებზე მაღალი ჩანდა.

დარბაზის ბოლო რიგი გაირღვა, რაზმელებმა ერთმანეთისკენ მიიწ-მოიწიეს და მუხლებსა და თოფის კონდახებს შუა ქალაქურად გამოწყობილი კაცი გამოატიეს, ხელში რომ სათუთად ეჭირა ფეტრის შავი შლიაპა. მერე სცენაზე დიხჯი ნაბიჯით ავიდა და წელან შორიდან ნასროლ მოკლე სიტყვას ახლა იმ სიგრძის კუდი გამოაბა, რომ ყველა მიხვდა — ეს კაცი ჟორდანიას აზრებს იმეორებდა:

— რისთვის გვჭირდება სამხედრო შტაბი? — იაპონიასთან ომი რა ხანია შეწყდა და ზავიც დაიდო! ყვირილაში კი კაზაკებს სიტყვითაც დავიყოლიებთ მეფის ჩვიდმეტი ოქტომბრის მანიფესტის ძალით. რაიზა კუჭდებით კიდო?! შევიარაღდეთ მანიფესტის წყალობით და უფლებით! ეს იქნება რეალური პოლიტიკა, ანუ განათლებულების ენით რომ ვთქვათ, — დიპლომატია და ტაქტიკა! ქუთაისელების გამოსვლა რომ დამარცხებით დამთავრდა, იცით კარგად. იმათ მაგალითს მივყვეთ გინდათ!

აფრასიონ მერკვილაძემ კოპწია ორატორს გოროზად შეუბღვირა და დარბაზს გააგონა:

— ქუთაისელები არ დამარცხდებოდნენ, ზესტაფონელები რომ დროზე მივშველებოდით! ყვირილა-ბელაგორის რესპუბლიკა საქვეყნოთ გამოვაცხადეთ, ძალაუფლება ხელში ავიღეთ და თენგინის პოლკი კი ზურგში გინდათ გავიჩეროთ?! სადაური დიპლომატიაა?! ტაქტიკა კი არა, ბედოვლათობაა. თუ ხვალამდე ვაცალეთ, ზურგში ჩაგვცხებენ.

დავასწროთ უნდა!.. ამას ჰქვია ტაქტიკაც და სტრატეგიაც!..

ცოტანი რომ ვართ და ცუდად შეიარაღებული, მიტომ გვჭირდება ხერხი, თორემ რას გაუძლებს მეფის ჯარს ხუთასი წითელრაზმელი? იარაღი ავყაროთ უნდა! ამით ქუთაისსაც ვიხსნით და ჩვენ თავსაც! მეფის მანიფესტის ნამდვილი ენა ჩვენზე უკეთ ესმით კაზაკებს და პოლიციას. მენშევიკებმა რომ თბილისის ქალაქის მართველობაში უიარაღო მუშები დაახოცვინეთ მთავრობას, ჭკუა არ ისწავლეთ?!

— ჩვენ მაინც შევიარაღდეთ! — გაისმა დარბაზის ხმა.

— იარაღი ავყაროთ თენგინის პოლკს! — შეახვედრა ტიტე ცამიწაძემ და დარბაზში თითქოს ბრძოლის ზარებს ჩამოჰკრეს. თეატრი აიმრიზა, აიშალა, ფეხზე ადგა და ფიცად დაიქუხა:

— ავყაროთ! ავართვათ! განვაიარაღოთ!

მერე აფრასიონმა შესძახა:

— თავად ავისხათ, შევიარაღდეთ, სხვა რესპუბლიკებსაც მივეშველოთ!.

— ვის?

— ოზურგეთის რესპუბლიკას!

— სენაკისა და ჭიათურის რესპუბლიკებს!..

— სხვებიც გაჩნდებიან! — დაიძახა ცამიწაძემ და ბუდუ მდივანიც წამოდგა:

— მართალს ამბობ, ბოშო!..

მერე მრავალი სხვა „ბოშოს“, ჭაბუკს, ყმაწვილს მოხუცებიც მიუდგნენ და ხუთასმა კაცმა მაღლა აჰყარა თოფი, რევოლვერი, პრიალა ხანჯალი, ცარიელა მუშტი და რისხვაც გააყოლა, ლამის კარ-ფანჯარა ჩამოხსნა, ჭერი ჩამოაქცია და გამურული ლამფებიც კინაღამ დააქრო, ერთბანს თავმოშვლეპილი, დაჩხვლეტილი სკამები ისევ აპრაჭუნდნენ, აბრახუნდნენ. მერე რაზმელები გოროზად ზედ დაასხდნენ და კრება ისევ განაგრძეს.

— ყვირილისა და ბელაგორის ხაზინებიც გავიტაცოთ თოფიარაღის შესაძენად, წითელრაზმელებსაც თბილი ტანსაცმელი ვუყიდოთ!.. თავზე გვათოვს, მებრძოლები კი ბლუზა-ახალუხში კანკალებენ. ვის გაუძლონ, — კაზაკებსა თუ ყინვას?!

— სწორად ჩივი, ბოშო! — დაუკრა კვერი ისევ ბუდუმ ტიტე ცამიწაძეს და აფრასიონ მერკვილაძემაც მხარზე ხელი დაჰკრა.

— წაუძეხი მაგ საქმეს, შესძლებ, გატყობ კოჭებში!

— შტაბშიც შევიყვანოთ. ჭაბუკია. გაგვიძღვება! — დაიძახა ვილაცამ.

— ღვანკითელი თავადიც თანაშემწედ მივუყენოთ.

— სამხედრო შტაბში ავირჩიოთ!..

აირჩიეს.

სჯერათ, ხაზინებსაც გაიტაცებენ, იარაღის შესასყიდ ფულს იშოვიან, თბილ ტანსაცმელსაც იყიდიან, თენგინის პოლკის ათასამდე თოფს მხარზე გადიკიდებენ, ტყვია-წამლით დახუნძლულ საკაზნეებსაც გარდიგარდმოდ შემოიკრავენ, მერე ყვირილა-ბელაგორის რესპუბლიკას გურიის პირველი რესპუბლიკა შეუერთდება, სენაკის, ჭიათურის, სოხუმის რაზმებიც შეიმატებენ და ქართლ-კახეთიც განზე არ გადგება, სუყველანი შეერთდებიან და განთავისუფლებული რუსეთის რესპუბლიკასაც შეუერთდებიან.

ოცნებაა?

ფიქრია, მაგრამ განახორციელებენ: ასე დაადგინა ზესტაფონის წითელრაზმელების კრებამ.

თენგინის პოლკის ასეული კი ყვირილაში მაგრად დგას. მეორე — ბელაგორშია, მესამე — წიფაში, რკინიგზის გვირაბს იცავს. მათი განიარაღება წითელრაზმელების უპირველესი ამოცანაა, დაგვიანებით კი საქმეს დაღუპავენ. კაზაკობა ზურგიდან დაარტყამს. თავად უნდა დაასწრონ, მოულოდნელად დაესხან, დააბნიონ, თავზარი დასცენ, გონზე არ მოვიდნენ, ხელები ასწიონ და შეწყალება ითხოვონ. წითელრაზმელები არას ერჩიან, — იარაღს აჰყრიან მხოლოდ, ტყვია-წამალს დაეპატრონებიან, განიარაღებულ კაზაკებს და სალდათებს კი — იმათ გარდა, ვინც რევოლუციის მხარეზე გადავა, — პატიოსან სიტყვას ჩამოართმევენ და სულაც გაუშვებენ თავთავიანთ სახლებში.

აფრასიონმა და ტიტემ სახვალიო მოქმედების გეგმა დააწყეს:

— ხარაგოულის ასეული მოტყუილებით გამოვიწვიოთ ყვირილაში, აქაური ასეულის დასახმარებლად. ვაცნობოთ, წითელრაზმელები დაგვესხა-თქვა, დაგვიჯერებენ! ჩვენ კი გზაში დავხვდეთ ვიწროებში, ძირულასა და ხარაგოულს შუა. დავაყრევინებთ იარაღს!.. ყვირილის ასეულსაც ერთდროულად ალყა შემოვარტყათ, იარაღი ავყაროთ.

მერე ყვირილიდან ტელეფონით დაურეკეს ხარაგოულის ყაზაკთა რაზმის უფროსს:

— გვიშველეთ, თავს დაგვესხნენ, ყაზარმაში ვართ ჩაკეტილი!

ხარაგოულის ასეულის უფროსი წითელრაზმელების ანკესზე წამოეგო, მატარებელს აღარ დაუცადა, ფეხით გამოემართა, რკინიგზის ლიანდაგს გამოჰყვა და ვიწრო ხეობაში გაიწელა. ბაჭუა კუპრაშვილის რაზმი მიუღგომელში ჩაუსაფრდა: ჯერ წინმავალი ოფიცერი დაეცა, შუამწყობრში ორი დაჭრილიც წაიქცა და საფარიდან დაძახილზე: „იარაღი დაჰყარეთ, თორემ ყველას დაგხოცავთ!“ — კაზაკებმა ლიანდაგზე დაყრილ თოფებს ჰრიალა ხმლებიც მიუწყეს.

— ახლა, წადით უკან ბელაგორში! — გაისმა ბაჭუას ხრინწიანი შეძახილი და უოფიცრო ასეული „ზურგისაკენ“ შეტრიალდა. ჯერ წელაწყვეტით გაადგა ფეხი. მერე მოჰკურცხლეს, ვისაც როგორ შეეძლო.

შემდეგ ყვირილაში მდგარ ასეულსაც შემოერტყნენ, მაგრამ მათი ოფიცერი მიუხვდა რომ მოატყუეს და ჯარისკაცებს უბრძანა:

— ესროლეთ!

ესროლეს.

წითელრაზმელები ჩასაფრდნენ. ტიტემ ორივე ხელისგული პირთან მიიდო და რაც ხმა ჰქონდა ჯარისკაცებს გასძახა:

— ოფიცერს არ დაუჯეროთ, სასიკვდილოდ გაგწირათ!.. იარაღი დაჰყარეთ, სიცოცხლეს შეგინარჩუნებთ, თქვენ სახლებში წადით...

ბერდანებმა ისევ იშექეს.

ტიტეს რაზმმა უპასუხა.

სროლა გაჩაღდა: იმ მხარეს ეპვი და შიშია. ამ მხარეს კი რწმენა და თავდადება. ჯარისკაცების დაცლილ ას ტყვიას რაზმელების ათი პასუხობს, ზუსტი დამიზნებით. თენგინის ასეულმა თავი მიწაში ჩაჰყო.

უცებ ტიტემ დაინახა, სადგურის მხრიდან ორი რაზმელი მუცლით მოხოხავს: ერთი გრძელწვერა აფრასიონ მერკვილაძეა, მეორე ღვანკითელი თავადი. მერე ორივე წამოხტა, შემზარავად „ურა!“ დაიძახეს და მაუზერის სროლით ყაზარმაში შეცვივდნენ. ტიტე და რაზმელებიც მიჰყვნენ.

ოავზარდაცემულმა ჯარისკაცებმა იარაღი დაჰყარეს. ერთმა სალდათმა თოფი ოფიცერს მიაშვირა და იყვირა:

— ამან გვიბრძანა, არ დანებდეთო!..

აფრასიონმა ხელი აუკრა:

— ტყვე ოფიცერს არა ვკლავთ, არც ჯარისკაცს!..

მერე მოკლულ-დაჭრილები დაითვალეს. კაზაკებიდან ხუთია მკვდარი, უფრო მეტი დაჭრილი. წითელრაზმელთაგან ერთი მოჰკლეს, სამტრედიელთა რაზმის უფროსი ვასო სტურუა.

ყვირილაში გუშინ ჩამოვიდა რაზმით. ცოლი, მელანია ფეხმძიმედ დატოვა მეორე შვილზე. გამომშვიდობებისას უთხრა:

— მელანია, შენი ხელით შემომარტყი წელზე სავაზნე. თუ ვერ მოვედი ცოცხალი, არ იჯავრო! ამ ერთ შვილს მოუარე. თუ მეორეზე მშვიდობით გადარჩე, შენ იცი და შენმა ქალობამ, თუ არ შეარცხვენ მათ მამას, ეცდები გამოზარდო მშრომელი ხალხის სასარგებლო შვილებად... აწი მშვიდობით, მივდივარ, ამხანაგები მელოდებიან...

თითქოს წინასწარ გრძნობდა, ვერ დაბრუნდებოდა შინ, თავისი რაზმით ჩასაფრდა ორთქლმავლის მოსაბრუნებელ რკალში, ტიტეს გვერდით ისროდა. შემთხვევით თავი ამოჰყო და ბრმა ტყვიამ დასცა.

მესამე დღეს, ახალწლის დილა სიმწრით გაუთენდა მელანიას. ვასოს გაციებული გვამი რაზმელებმა ჩაიტანეს კულაშში და სოფელმაც გულით დაიტირა სახელოვანი ვაჟკაცი.

ყვირილაში კი გამარჯვებას ზეიმობდნენ. მთელი მაზრა წითელრაზმელების ხელში გადავიდა. „ყვირილა-ბელაგორის რესპუბლიკის“ თავკაცობა აირჩიეს, ყველა გამოუცდელია. არ იციან რით დაიწყონ. ის კი ესმით, — პოლიციას და კაზაკობას აღარ გააჭაჭანებენ. თავადაზნაურობასაც შეუთვალეს, — მიწა გლეხებს მიეცით! საგზაო ბეგარაზე სოფლის თანაბრად გადითო! საკუთარი სასამართლოები აირჩიეს, მსაჯულებად ნასწავლი ხალხი დასვეს, მენახირეების არჩევაც შემოიღეს. ყველაზე გამრჯესა და პატიოსანს მიანდეს სოფლის საქონელის მწყემსობა. პატიოსანი სიტყვით ჩაბარეს ხარი, ძროხა, ხბო.

ხალხი თავად იქცა საკუთარი ცხოვრების პატრონად და პასუხისგებაც დაივალეს. ყველა საკითხს გლეხთა კომიტეტები სწყვეტენ. ამიტომაც შემცირდა დანაშაულობანი, მაგრამ თუ მაინც ხდე-

ბა, ხალხი ასამართლებს, განსაკუთრებით სდევნიან ცხენიპარიებსა და საქონლის გამტაცებლებს.

სოფელს მშვიდად ეძინა, მაგრამ მანც მოხდა უბედურება: მენახირეს ორი ხარი მოჰპარეს. წესით დაკარგული საქონლის ღირებული თანხის გადახდა დამკარგავ მენახირეს ედებოდა. ღარიბი იყო, სხვის ნახირში თავისი მხოლოდ ერთი ძროხა დაუდიოდა. უღელი ხარის ფასს როგორ გადაიხდის, ძროხას თუ გაუყიდიდნენ დაიღუპებოდა. ქურდს კი ვერ იპერენ, ვერც ხარების კვალს მიაგნეს.

ბერე ვიღაცამ ამბავი მოიტანა:

— დაკარგული ხარები შორეულ სოფელში ვნახე!

დაზარალებული პატრონი და მენახირე იმ სოფელში ჩაიყვანეს, ჰკითხეს:

— შენია?..

პატრონი დააკვირდა, მაგრამ სინდისს ვერ უღალატა, თავი საუაროდ გააქნია:

— ფერით ჩემებს გვანან, ცოდვას ვერ დავიდებ, სხვისია!

სახალხო მოსამართლე სოფლის მასწავლებელი იყო, ნაკითხი და კანონებში გარკვეული.

— პატრონი თუ უარობს, შისი არ ყოფილა!..

— მაგისია, მე თუ ვცნობ, მას რა თვალი დაეფსო?! საკუთარ ხარებს ვეღარ სცნობს?! — შეიცხადა მენახირემ და შუბლზე ხელი იტკიცა, — დავიღუპე!..

—ჩემი არ არის-მეთქი, ტყვილს ხომ არ ვიტყვი! — იწყინა დაზარალებულმა პატრონმა.

— შენია, ნამდვილად შენია! — იფიცება გაფითრებული მენახირე.

მოსამართლე შეეკვდა.

— ამისი რომ იყოს, რატომ იტყოდა უარს?

— იმიტომ, რომ ჩემი დაღუპვა ჩაიდო გულში. ამ პატიოსან კაცსაც ჰკითხეთ!

— მოსამართლე ხარების პატრონს მიუბრუნდა:

— შენია?

— კი ბატონო.

— რა ხანია გყავს?

— მესამე დღეა, ვიყიდე ბაზრობაზე.

— ან კაცისგან?

— სხვა იყო.

— არ დაიჯეროთ, ამისია. ჰკითხეთ კიდევ ვინმეს!..

მოსამართლემ ხელები გაასავსავა:

— დაზარალებული ამბობს — ჩემი არაა! პატროხი გვეუბნება სხვისაგან ვიყიდეო. ვიღას ვკითხო?!

—ხარებს! — თქვა მესახირის მეზობელმა მოხუცმა გლეხმა.

მოსამართლემ გულიანად გადიხარხარა, დაზარალებულიც ახვიხვინდა და მოწმე-შემყურენიც სიცილ-ქირქილით ლამის დაიხოცნენ. მერე მოსამართლემ თვალები მოიფშვნიტა და მოხუცს გადაჰკითხა:

— ხარებს ვკითხო, ბოში?

— ორივე ხარს!

— ენა ჩაუდგი? იქნება წერა-კითხვაც ასწავლე?! — და ისევ ჩაიხარხარა.

— წერა-კითხვა თავად არ ვიცი, ხარებს რას ვასწავლი. შენ კი, ძამია, ერთს გასწავლი.

— რას?

— პირუტყვის ენას.

— როგორ?!

— მივრეკოთ ჩვენს სოფელში, იქ იტყვიან სიმართლეს.

კვირა დილით შეიკრიბა სოფელი. ხარებიც მირეკეს, სანახირო მოედანზე თოკი შეხსნეს და დაკარგულმა ხარებმა ნაჩვევ ეზოში შეაღერეს თავი.

სოფელმა სამედიატორო სასამართლოს მთავარ მსაჯულად უსწავლელი გლეხი აირჩია.

მაგრამ ყვირილა-ბელაგორის რესპუბლიკის მთავრობას მაინც აკლია გამოცდილება. იგი მოწყვეტილი იყო ცენტრს. ქუთაისსა და თბილისში ერთი დღითაც ვერ იგდეს მთელი ძალაუფლება აჯანყებულებმა. მარტო ჭიათურის, სენაკის, ზუგდიდისა და ოზურგეთის მაზრებმა გამოაცხადეს დამოუკიდებლობა.

გურიაში ლაპარაკშიც აღარ ახსენებენ პოლიციას, კაზაკებს, პრისტავსა თუ ბოქაულს. ხელისუფლებას სათავეში ედგნენ ამორჩეული ასისთავები. ცხრაას ხუთი წლის ოქტომბრის დამლევიდან ცხრაას ექვსის თერთმეტ იანვრამდე დასავლეთ საქართველოში მთელი ძალაუფლება რევოლუციონერთა ხელში იყო. სოფლად გლეხ-

თა კომიტეტები შეიქმნა, ქალაქად კი საგაფიცვო კომიტეტები. ისინი იმავე მიზანსწრაფვას ავლენენ, რასაც იმ ხანებში რუსეთის ცალკე გუბერნიებში საბჭოები. ამაზე სთქვა ლენინმა:

— რუსეთის ზოგიერთი ქალაქი იმ დღეებში გამიცდიდა პერიოდს სხვადასხვა ადგილობრივი პატარა „რესპუბლიკებისას", რომლებშიც მთავრობის ხელისუფლება გადაყენებული იქნა და მუშათა დეპუტატების საბჭო ნამდვილად მოქმედებდა, როგორც ახალი სახელმწიფოებრივი ხელისუფლება. სამწუხაროდ, ეს პერიოდი მეტად ხანმოკლე იყო, „გამარჯვებანი" მეტად სუსტი, მეტად იზოლირებული.

ეს იმდენად შთამბეჭდავი და განსაცვიფრებელი იყო, რომ უცხოელი სახელმწიფო მოღვაწენი საგანგებოდ ჩამოდიოდნენ კავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრიობის ამ ახალი ფორმის გასაცნობად.

წიფის გვირაბში

სამხედრო შტაბმა ბრძანება გასცა: „თბილისიდან ქუთაისის გუბერნიაში ყველა გზა გადაკეტეთ, წიფის გვირაბი ააფეთქეთ!"

რაზმი ორად გაიყო. ერთ ნაწილს სოფლის მასწავლებელი სამუელ ბუაჩიძე გაუძღვა და სტრატეგიულად ყველაზე საფრთხიანი ადგილი დაიჭირა. მეორე ნაწილის მეთაურად ტიტე ცამიწაძე დაყენეს, თანაშემწედ ღვანკითელი თავადი ლორთქიფანიძე მიუყენეს და წიფის გვირაბის გამოსასვლელს ჩაუსაფრეს.

დაღამდა, ყინავს. თოვლი წელამდეა. წითელრაზმელებს ზაფხულის ტანსამოსი აცვიათ, კანკალებენ, სუსხი ძვალ-რბილში ატანს. ღამე ზეზეულად გაათენეს, ღია ცისქვეშ დარჩენა უჭირთ, გვირაბის ბიტოვება კი დამარცხებას უდრის. კაზაკების გამოძრომას ელიან. ბრძანება უნდა შეასრულონ — გვიოაბში ლიანდაგი აჰყარონ, მატარებლების მოძრაობა შეწყვიტონ.

ტიტემ ნაღმის კოლოფები შეკრა, ღვანკითელმა წერაქვს დააგლო ხელი, გვირაბში შევიდნენ, ღონივრად მოქნიეს, ერთმანეთს შეეშველნენ, ოფლი მოიდინეს. მაგრამ ერთი გოჯი ქვაც ვერ მოამტვრიეს ნაღმის შესადებად. წერაქვის წვერი სიბნელეში ნაპერწკლებსა ჩყრიდა, პირს კი მაინც ვერ იკიდებდა კლდეზე.

ფეხის ხმა მოისმა. სიბნელეში ვიღაც მოფლატუნებს.

— მზვერავია! — ჩაიბუტბუტა ღვანკითელმა და თოფი ხელთ მოიგდო.

— მოიცა, ვიკითხავ! — შეაჩერა მეთაურმა.

— ვინ მოდის?! — გაიხრიალა ტიტეს ხმამ.

გვირაბმა პასუხი არ გასცა.

ღვანკითელმა თოფის ჩახმახი ააჩხაკუნა და ტყვია პირში მისცა.

— არ ისროლოთ!..

მოუახლოვდათ.

— ვინა ხარ?!..

— ოფიცერი ლეკვინაძე...

— თბილისიდან მოდიხარ?

— შინ მივდივარ, ქუთაისში.

არ დაუჯერეს: „ჯაშუშია!" — სამხედრო შტაბს უნდა გადასცენ.

— ამის სათრევად სად გვცალია... მივაწვინოთ!. — თქვა ღვანკითელმა.

— ტყვეა. მოკვლა არ შეიძლება! — გაახსენა ტიტემ აფრასიონ ძერკვილაძის ნათქვამი.

მერე დაწვრილებით გამოჰკითხა და იმანაც გულახდილად უამბო, რაც თბილისში თავის პოლკში გაეგო:

— დიდი ჯარი გაამზადეს ქუთაისის გუბერნიის დასასჯელად. სამი მხრით გადმოვლენ დასავლეთში — გვირაბით, ფოსტისა და საურმე გზით.

ნაამბობი გამართლდა. გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელი რაზმი ქვეითად შეეიდა გვირაბში და ზემოდანაც გადმოუარა.

ორივე რაზმი დასახვედრად გაეგზავნა.

გვირაბში ორი ორთქლმავალი შეიყვანეს, ერთმანეთს შეაჯახეს, გამოსასვლელი ჩაკეტეს.

შუადღე გადავიდა, ალიხანოვ-ავარსკის ჯარმა გვირაბი გაიარა, დაჯახებულ ორთქლმავლებს შუა გაძვრა და გამოსასვლელთან გაჩერდა.

ჩასაფრებული რაზმელები უთვალთვალებენ. კაზაკები გვირაბიდან თავსა ჰყოფენ, ორივე მხრის მთის ფერდობებს ზვერავენ და თოფის პირველსავე გამოსროლაზე ისევ გვირაბში შერბიან.

დაღამდა. ბუაჩიძის რაზმი ტიტეს რაზმის განლაგების სოფელს მიადგა.

— ყინვამ დაჰკრა. შილიფად ჩაცმული რაზმელები დაბეხოცებიან. ცეცხლის დანთება არ შეიძლება, ნიშანში ამოგვიღებენ.

ტიტე კი სოფელში დგას, ცეცხლიც უნთიათ.

— ჩვენი რაზმი შეგცვლით! — გაიწია ულელტეხილისაკენ ტიტემ.

— თქვენებიც გაიყინებიან! — დააჯერა ბუაჩიძემ.

მერე ორივე რაზმის მოქმედების ახალი გეგმა დააწყეს. ტიტემ თავისი მოსაზრება გაუფინა:

— რაღაი ამ ადგილას არ შეიძლება თავის დაცვა და მტერთან შეტაკება, უნდა დავიხიოთ უკან, სადგურ მოლითსა და მარელისს შუა შევხვდეთ. ის ადგილი გაცილებით ნარჯვეა, ორივე მხრიდან მთები აკრავს რკინიგზას, გვერდიდანაც ვერ შემოგვიევლიან.

ბუაჩიძე დაეთანხმა.

წითელრაზმელების ბანაკი აიშალა. თოვამ უმატა, ქარბუქიც ამოვარდა. გზის გამკვლევად ერთი იქაური კაცი გამოჩნდა.

— მთიდან ძირს დავეშვათ, პატარა მდინარე ჩამოუდის, წყალწყალ დავყვეთ, რკინიგზაზე გაგვიყვანს.

რაზმი მდინარეში მიტოპავს, ზოგან მუხლამდე თოვლში იფლობა. ბევრი გაცივდა, ტიტეს ხმა წაერთვა, ორ ნაბიჯზე ვეღარავის აგონებს.

რკინიგზას მიადგნენ, მდინარეზე გადებული ხიდი გამოჩნდა, მაგრამ ასვლა გაჭირდა, ციცაბო კლდეა, კაცი ფეხს ვერ იკიდებს.

მერე ხიდზე ასასვლელ ქვის კიბეს მიაგნეს, თოვლით დაფარულსა და მოლიპულს.

ტიტე ყველაზე მარდია, თანაც რაზმის უფროსი: თოფს დაებჯინა და მოსიპულ საფეხურზე აბობღდა. ღვანკოთელი მიჰყვა. შუაწელს რომ მიატანეს, რაზმელებიც დაწალიკებით შეეფინენ კიბეს. ახლა უფრო სახიფათოა. წინმავალ ტიტეს ფეხი რომ დაუსხლტეს, უკან მოდენილებსაც ხევში ჩაიტანს.

მაღლა მშვიდობით ააღწიეს, თოვლზე გულაღმა გაწვნენ, რომ ტანს არ გადაეძლია, მკლავები წინ წაჰყარეს სხვების მისაშველებლად და ხიდზე ამოსათრევად.

ბოლო რაზმელიღა მოფოფხავს, არაქათი გასცლია, ქლოშინებს, თითები დააძრა.

ღვანკითელი ძუძლს დაებჯინა, დაიხარა, მკლავი გაუწოდა, ამოსწია, ზევით ამოიტაცა. მაგრამ თავად ფეხი დაუცდა, ტასმა გადასძლია, გადაქანდა. გასიპულ კიბეზე ჩაცურდა და თოვლიან ხევში შავად ხახადაღებული მდინარის ქვის წვეტიან ეშვებს დაეგო.

აღარც განძრეულა! თეთრი თოვლი წითლად შეიღება. რაზმელების ჩამოძახილმა მთელი ხეობა შეარხია.

ტიტემ ისაზრა: ქამარი შეიხსნა, თოფს თასმა შეაჭრა. სხვებმაც თავ-თავისი ქამარ-თასმა გადააბეს, გადანასკვეს. ტიტემ წელზე შემოიკრა, ღვედის ბოლოს რაზმელებმა ჩასჭიდეს და სხარტი მეთაური მოლიპულ კიბეზე ჩაუშვეს. ღვანკითელი თავადი ზურგზე მოიკიდა, აჭიმულ ღვედს აჰყვა და მაღლა აიტანა. „აქაა ჩემი ადგილი!“ — ყურში უზუზუნებს ზესტაფონის თეატრის სცენაზე აფრასიონ მერკვილაძისათვის ალალად ნათქვამი სიტყვები. ფიცი ცრ გატეხა. „ყველაფერი გააკეთა, რაც ერთ კაცს შესძლებია“, ამოიბუტბუტა ხიდზე ასულმა ტიტემ და ოვითონაც ღონემიხდილი თოვლით დაფარულ ლიანდაგზე პირქვე დაეცა.

შუა ღამით სადგურ მოლითს მიადგნენ, მაგრამ იქაც ზარდამცემი ამბავი დაახვედრეს. იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა გადაწყვიტა, ყვირილა-ბელაგორის რესპუბლიკის რაზმმა წინააღმდეგობა შეწყვიტოსო.

აფრასიონ მერკვილაძე და ტიტე ცამიწაძე უარზე დადგნენ, მაგრამ ვემანქანე მიროტაძემ აცნობა:

— მოსკოვის აჯანყება დამარცხდა, თბილისელმა მუშებმაც ბრძოლა შეწყვიტეს. ქუთაისის გუბერნია მარტო ვერას გააწყობს, რაზმები დაშალეთ და ახალი აჯანყებისათვის მოემზადეთ, ასეთია კომიტეტის განკარგულება.

აფრასიონ მერკვილაძის რაზმი თავისაზე დადგა, ტყეს შეეფარა, ტიტემ რაზმელები ჭიათურაში ჩაიყვანა და იარაღი გადამალა.

ალიხანოვ-ავარსკი კი ცეცხლითა და მახვილით შეესია ქუთაისის გუბერნიას. გზადაგზა გადასწვა ხარაგოული, მარელისი, ყვირილა, ჭიათურა და გურიასაც მიადგა.

ტიტე ჭიათურის სადგურში გავიდა ამბის გასაგებად. იქაურმა რევოლუციონერმა ვაშაძემ მამაშვილურად გააფრთხილა:

— ბიჭო, წადი სადმე, შენს საცოდავობას ნუ მაყურებინებ, აქანე!..

თბილისში ჩავიდა. ღამით ბოქორიძის ბინას ნიგბნი, სამ ყვირილს ღარჩა, მაგრამ თბილისის კომიტეტმა დავალებით ქუთაისში გაგზავნა — ყვირილის ხაზინიდან გატაცებული 201 000 მანეთი უსიფათო ადგილას გადაიტანეო, რომ ალიხანოვის დამსჯელი ყარაულის მიერ ცეცხლწაკიდებულ სახლებში დამალული და მომავალი შეიარაღებული აჯანყებისათვის უცხოეთში იარაღის შესაძენი ფული გადავარჩინოთო.

შორაპნის სადგურზე გასვლა სახიფათოა. ვაგონებს ჩხრეკენ ტენგინის პოლკის სალდათები, რომლებსაც იარაღი აჭყარა ტიტეს რაზმმა, და თუ იცნეს ადგილზევე მოჰკლავენ.

ტიტე სადგურის ბაქანზე ვერ ჩავა. ვერც ვაგონში დარჩება. ეაიჭერენ. ერთმა ქალმა იცნო. მიხსენიო, ჩასჩურჩულა.

— გამომყევი!

ტიტე მიჰყვა. ვაგონის საპირფარეშოში შევიდნენ, უცებ ღრიალი მოესმათ:

— კარი გააღე!

ქალმა გაუღო.

კაზაკმა მრისხანედ შეაღო კარი, ტიტეს მიეფარა, დარცხვენილი ქალის დანახვაზე მაგრად შეიგინა, შეაფურთხა და გაბრუნდა.

ტიტე ქუთაისში ჩავიდა.

ქალაქი იწვის. ცეცხლი მალე იმ სახლსაც მოედება, სადაც ყვირილის ხაზინის ფული ინახება. შეუმჩნევლად გამოიტანა და ბარონ ბიბინეიშვილის დახმარებით უსიფათო ადგილი უპოვნა ქალაქს გარეთ ნცხოვრებ კვიცარიძის ეზოში. თვითონ კი, ქუთაისის სტამბის მუშა ჭიჭიკო კალანდაძესთან ერთად, თბილისში გამობრუნდა. ერთმა კონდუქტორმა იცნო და გააფრთხილა:

— არ გაგიწყრეს ღმერთი, შორაპანში არ ჩახვიდე.

გაუგონა.

სადგურთან მოახლოებისას მატარებლიდან გადახტა და ფეხი ილრძო. ერთხანს უგონოდ ეგდო. როცა მოსულიერდა, შორაპნის სადგურს სიბნელეში აუქცია, წამოწეულ მატარებელს ისევ შეახტა და ახლა მეორე მუხლისთავი გადაიყვლიფა.

ტიტე ტკივილებისაგან იკრუნჩხება, ჭიჭიკო კალანდაძე კი სიმწრით ეხვეწება:

— სავაზნე და რევოლვერი გადააგდე. დიდი ჩხრეკაა... იარაღი თუ გინახეს, ადგილზევე მოგკლავენ.

ტიტე გაჯიუტდა — იარაღს როგორ შეელევა, თანაც მონიკელებულს, ჩხაოის ბოქაულის ნაჩუქარს.

— ვეხვეწები, ტიტე!

ტიტეს სამარცხვინოდ ეჩვენება იარაღის გადაგდება. — რა ვაჟკაცობაა?!

— არავის არ ვეტყვი!

ტიტე უარზეა.

— მაშ მეც შენთან ერთად დამხვრიტონ!.. არ დაგტოვებ!

— შენ არ გიცნობენ, იარაღიც არა გაქვს, ხელსაც არ გახლებენ!

— დამიჯერე-მეთქი, მიახალა კალანდაძემ და ტიტეს პალტოს ჯიბიდან ბრაუნინგი ამოსტაცა.

ტიტე შეფიქრიანდა, ამხანაგის ცოდო რატომ დაიდოს, სავაზნე და ბრაუნინგი გადააგდო.

ის იყო მოტრიალდა, კაზაკების ოფიცერმა ნაგანის შვიდი ტყვია დაცალა და ორი წითელრაზმელი, იარაღი რომ უნახეს, ვაგონშივე დასცხრილა.

კალანდაძეს და ცამიწაძესაც სტაცეს ხელი:

— გაიხადეთ!..

კალანდაძემ მშვიდად გაიღეღა მკერდი. შიში აღარ ჰქონდა, ცამიწაძეც სიკვდილს გადაურჩებოდა.

ტიტემაც გაიძრო ტანისამოსი. კაზაკებმა გაჩხრიკეს და გაყინულ ვაგონში დედიშობილა დააგდეს. მერე მუჯლუგუნი ჰკრეს, თოფის კონდახიც ჩაარტყეს და თითო მათრახიც გადააწნეს.

— პატიოსანი კაცები არა ჩანან. ასეთ არეულობაში, სად მიეთრევიან!..

ტიტემ მადლიერებით გაუღიმა ჭიჭიკოს:

— მართალი იყავი, ორიკეს გაგვათავებდნენ.

201 632 მანეთი და 56 კაპიკი

ქეთაისი იწვოდა... გენერალი ალიხანოვ-ავარსკი ხელისგულს ითბობდა, მიწაში ჩაფლული 201 632 მანეთი და 56 კაპიკი გრილად ინახებოდა.

სერგო ქავთარაძეს ათი ვერსი მაინც უნდა ფრთხილად გაევ-

ლო, რომ სამხრეთ ოსეთის გზაზე, ისიდორე კვიცარიძის სახლის ეზოში ტიტეს მიერ დამალული სახაზინო ფული წამოეღო, თბილისში ჩაეტანა, იქიდან პეტერბურგში წაეღო, შემდეგ საზღვარგარეთ გაეტანა და მთელი თანხით იარაღი შეესყიდა.

ქალაქში სროლის ხმა ისმოდა. შინიდან არ გამოდიოდნენ. როგორც კი შუაღამემ მოატანა, სერგომ ბულვარს აუქცია და რიონის ხიდს მიადგა, მაგრამ სიბნელეში ღამის პატრულს წააწყდა.

ჩაფრებმა ბულვართან მდგარ პოლკოვნიკს მიუყვანეს, მაგრამ მას არ ეცალა და იქვე მდგომ ბოქაულ, ელჩიბეკოვს სიტყვა გადაუგდო:

— მომაშორე ეს ბანდიტი!..

ქუთაისის ცენტრალური საპოლიციო უბნის ბოქაულმა ელჩიბეკოვმაც ხუთი ჩაფარი მიუყენა და ალყაშემორტყმული პატიმარი ხიდისკენ წაიყვანეს.

ბულვარის პირდაპირ ძმები ოცხელების მანუფაქტურის დიდი მაღაზია იწვოდა და ნაალევზე გზა კარგად მოჩანდა, სერგომ თვალებთან ხელიგული მიიფარა, მერე ბოქაულმა სამი ჩაფარი ხანძრის ჩასაქრობად მიაშველა და თვითონ დარჩენილი ორი ჩაფრით ისევ სიბნელეში გააბიჯა.

— ნაბიჯს უმატე! — შეუყვირა ელჩიბეკოვმა ქავთარაძეს.

— ნუ გეშინია, გიშველი! — შემოესმა პატიმარს.

სერგომ ხმაზე იცნო. ქუთაისში გაბედული და ღონიერი კაცი დულია რევაზიშვილი იყო.

ბოქაულმაც გაიგონა, გულში გაეცინა და თავადაც დააყოლა:

— კი, გიშველიან!..

— ქავთარაძე საგონებელში ჩავარდა. რა იყო ეს? დამცინავი ქირდვა, თუ შეშინებული და შეფიქრიანებული ბოქაულის ანგარიშმიუცემელი წამოძახილი. დულიას ხმა მასაც ემუქრებოდა; თუ სერგოს ვერ გადაარჩენდა, ბოქაული მაინც სად წაუვიდოდა! ამიტომ საკუთარი თავის გადარჩენის მიზნით პლასტუნებს მუჯლუგუნი ჰკრა — ნაბიჯს ნუ ანელებთო. ხიდამდე კი ასიოდე ნაბიჯიღა რჩებოდა. სწორედ ამ ხიდზე შეაყენეს და ესროლეს თეატრის სუფლიორს შველიძეს. სერგომ გონებაში გაზომა: ოთხმოც ნაბიჯს ნელა გაივლიდა, მაგრამ თუ ამ დროს დახმარება არ გამოჩნდებოდა, თავად უშველიდა თავს: ხიდამდე, მარჯვნივ, საზოგადოებრივი კლუბის შენობასთან ერთადერთი შესახვევია, როგორც კი მიუახ-

ლოვდა, ხელი ჭერა კვერდით მომყოლ პლასტუნს და გაიქცა. ათიოდე ნაბიჯის შემდეგ სწრაფად გადახტა ექიმ ბეთანელის სახლის ეზოს მხარეზე. ექიმს კარგად იცნობდა გიმნაზიელობის დროიდან, და ლოდის ხმაზე საზარლად დაიძახა:

— ვაიმე, დედა! მიშველეთ, მომკლეს!..

პლასტუნებმა ბრმა სროლა ასტეხეს, ტყვია ქვითკირის ყორეს ხვდებოდა. ელჩიბეკოვმა იფიქრა, მოკლესო, ან მძიმედ დაჭრილი გდიაო, და ქუჩა დააწყებინა სიბნელეში.

ვაქცეულმა კი ალალბედზე შეუხვია კათოლიკების ქუჩაზე, რომელსაც მშვიდი უბნის სახელი ჰქონდა. მისი მცხოვრები ქართველი კათოლიკები ნებას არ აძლევდნენ საეჭვო პირებს მათ ქუჩაზე ეცხოვრათ. მაგრამ, თუ ასეთი მაინც გამოჩნდებოდა მცხოვრებნი წამარილავდნენ თხოვნით — დაეტოვებინა მათი უბანი. ამ ქუჩის პოლიტიკური საიმედობა ყველამ იცოდა, რასაკვირველია, პოლიციამაც.

მაგრამ სწორედ ამ ქუჩაზე ცხოვრობდა უწყინარი, მაგრამ ძალზე ხმაურიანი კაცი, ქუთაისის თეატრის მსახიობი, ლადო ალექსიმესხიშვილი.

სერგომ კარი დაუკაკუნა.

— რომელი ხარ?

— მე ვარ, თეატრიდან!

ლადომ კარი გაუღო. გულამოვარდნილი და დაქანცული სერგო დერეფანში შელასლასდა. ლოყაზე სისხლი სდიოდა.

— დაჭრილი ხარ, ყმაწვილო?

— არა, ბეთანელის ღობეს წამოვედე.

მსახიობმა სანთელი მიანათა. ტაშტით წყალი მიუდგა, მობანა, შეუხვია და დააძინა.

დილით გვიანობამდე არ გააღვიძა. ასე იყო მიჩვეული თავადაც და მეზობლებიც ნაჩვევი ჰყავდა. ფანჯრის დარაბებს გვიან ხსნიდა; იმ საღამოს წარმოდგენა ჰქონდა, შინ დაბრუნებულმა კი სერგოც ჩაისვა ფაიტონში გასასეირნებლად. მერე, ვითომ ანაზდეულად, გაახსენდა ისიდორე კვიცარიძის მიპატიჟება და სახლში შუაღამით ეწვია. სანამ ნასპინძელი საპატიო სტუმრის სადღეგრძელოებს ცლიდა, სერგომ საიდუმლო ორმოდან კარგი მადანი ამოათრია 201,632 მანეთი და 56 კაპიკი და მასპინძლის მხიარული გა-

მომშვიდობებით ისევ მესხიშვილის საიმედო, მყუდრო ბინაში დაბრუნდა.

მეორე დღეს ქუთაისი მიატოვა და მანისეულ სოფელს შეაფარა თავი.

* * *

ალიხანოვ-ავარსკის რაზმმაც მოინახულა ასაწიოკებლად ქავთარაძის სოფელი ზოვრეთი. სერგოს მამამ, გადამდგარმა პოლკოვნიკმა ივანე ქავთარაძემ, საპარადო მუნდირი ჩაიცვა, სამეფო ჯინჯილები დაიკიდა და კაზაკების როტმისტრი სახლში შეიპატიჟა.

როტმისტრი პოლკოვნიკის ვინაობით დაინტერესდა.

— ეე, ბატონო ჩემო, ფიცი მივეცი ოთხ იმპერატორს! — მეფისადმი ქვეშევრდომული სიამაყით მიაგება როტმისტრს. — დავიწყე ნიკოლოზ პირველით და ახლა წყნარ სიცოცხლეს მინარჩუნებს ნიკოლოზ მეორე ამ ჩემს მშვიდობიან სოფელში.

— ოო, ფიცი დიდებულად შეგისრულებიათ. ნიკოლოზ პირველი, ჰა! ალექსანდრე მეორეც, ხომ?! მესამეც და ახლა, თვით ნიკოლოზ მეორე, ჩვენი მამა და მხსნელი კრანოლა-ურჯულოებისაგან! მართლაც დიდად დასაფასებელი ბრძანებულხართ, თქვენ ნუ მომიკვდებით!

— მაგრამ მწუხარებაც დიდი გამოვიარე: ორი მეფე მომიკლეს ტერორისტებმა! — ნაღვლიანი კილოთი ამოილუღლუღა მოხუცმა პოლკოვნიკმა და დიდი დარბაზის კუთხისაკენ მიახედა: ხავერდგადაფარებულ მრგვალ მაგიდაზე თავზე შავარშიაგადაკრული ორი მეფის პორტრეტი ეკიდა და ზეითუნის ზეთში ორი პატრუქი იწოდა.

— ვთხოვ განგებას, გაანათლოს მათი სული! — და ჭაღარა პოლკოვნიკმა ზოვრეთული ღვინო ყანწით გადაჰკრა. როტმისტრმაც პირჯვარი გადაისახა: „ამინ!“ დააყოლა და ჯაჭვმოკიდებული მაგარი არყით სავსე ბროლის ჭიქა სულმოუთქმელად გამოსცალა.

მერე ენა წაიგრძელა და გულწრფელად უთანაგრძნო:

— ძნელია თქვენისთანა ნამსახურევი კაცისათვის ასეთ ნადირ ხალხში ცხოვრება! სხვაა პეტერბურვი, ცარსკოე სელო, გატჩინო! — გაამპარტავნდა როტმისტრი, თუმცა თავად ვორონეჟში იყო დაბადებული, ტაგანროგში ნხედრად გაწვრთნილი და ახლა გენერალ ალიხანოვ-ავარსკის დამსჯელ რაზმში ჩაერიცხათ.

პოლკოვნიკი შეიშმუშნა, ჭიქა არაყი კიდევ დაუსხა და გაუწოდა სიტყვაც:

— ვერ ვიტყვი, რომ ძნელია ჩემთვის აქ ცხოვრება. გლეხკაცობაში ვტრიალებ და მეფის ხსენების გარდა სხვა სიტყვა არ გამიგონია!

— საქმეც ეგ არის, როგორ ახსენებენ?! — თვალები მიაშტერა როტმისტრმა.

— ადამიანურად! დარჩით დიდხანს ჩემს მამულში, დარწმუნდებით, რომ მშვიდობიანი ხალხია. ჩვენი სოფლის მღვდელიც დაგიდასტურებთ ამას და ქუთაისელი ბოქაული ელჩიბეკოვიც!..

— რაო, ელჩიბეკოვიც? — გაიკვირვა როტმისტრმა. მერე მეორე ჭიქა არაყიც დააყოლა სულის მოსახსენებლად და თვალებიდან ნაპერწკლები გადმოჰყარა. — ელჩიბეკოვი? ბოქაული? დამიდასტურებს?! ხა-ხა-ხა! — რასა ბრძანებთ, თქვენო ბრწყინვალებავ, უკვე თქვენი ჭირი წაიღო!

მერე, ახალი ამბის მიწოდებით თავმოწონებულმა, საზეიმოდ გაანდო ბნელსა და ყრუ სოფელში მცხოვრებ გადამდგარ პოლკოვნიკს გაგებული ამბავი:

— გუშინ, დღისით, მზისით, ქუთაისის ბულვარში მოკლეს ტერორისტებმა!.. მკვლელი ვიღაც დულია რევაზოვი გამოდგა. მთასავით დიდი და მხეცივით ძლიერი. მოგეხსენებათ, როცა პოლიცია არ მიდის მთასთან, მთა მიდის პოლიციასთან. ასე მოხდა ახლაც. მაგრამ ტყვია მაინც მივა ნახეცთან, მხეცი კი ვერ მივა ტყვიასთან. კიდეც რომ მივიდეს, თვითონ მოკვდება! ხომ მართალს ვამბობ? რა თქმა უნდა, სწორი ვარ! — ახვიხვინდა როტმისტრი და, რომ უფრო სიმართლეს დამსგავსებოდა საკუთარი ნათქვამი, თვითონვე შეივსო ბროლის მესამე ჭიქაც.

მერე მაგიდაზე ჩაქინდრა.

სამ დღეს დარჩა კაზაკთა ასეული ქავთარაძის სოფელში და კიდევ მეტსაც დატოვებდა მასპინძელი, რათა სხვა სოფლებში არ შეეშვა ამწიოკებლები. როტმისტრსაც მოეწონა ოთხი იმპერატორისათვის ფიცმიცემული მოხუცი პოლკოვნიკის მასპინძლობა და არც უკვირდა, რომ იმ სამ დღეში მისმა კაზაკებმა ათი ურემი თივა შეაჭამეს დასვენებულ ცხენებს, ცხრა დიდი ღორი შესანსლეს, ორი ძროხა მოინელეს და ოცდახუთი ფუთი ღვინო ჩაცეცხ-

ლეს. საზღაურად კი ის დაუტოვეს, რომ სხვა სოფლები არ აეფრ-
ოკეს.

საეკზეკუციოდ შესულმა კაზაკთა ასეულმა ხოვრეული მშვიდ-
ობიანად დატოვა. სერგომაც თანაოფლელი გლეხის ოდიდან მამა-
ფართო დარბაზში გადაინაცვლა და პირველი. რაც მოხუცს მამას
სთხოვა, მეოთხე მეფისთვისაც დაეწყობინა შავი არშია.

— მასეა, ხომ საქმე, ჩემო შვილო?!

— ასეა, მამაჩემო და ნუ გამიწყრები ახლა.

— მთელი წლის სარჩო ამ სამ დღეში შევაჭამე მაგ გლახ-
აკებს. დამიჩქარეთ, თუ კაცი ხართ, დაპირების შესრულება, თვარა
ახალი ასეულის სტუმრობას ვეღარ გაუძლებს მამაშენი!

— ვეცდები! სიტყვას გაძლევ, აგიხდენთ! მაგრამ შენც დაიჭირე
თადარიგი: შავი არშიით მორთვა მოგიწევს, როგორც ვიცი.

— ამინ! — ამოხდა მოხუცს, მაგრამ გულში შერცხვა: „ფიცს
მატეხვინებს შვილი!“ — გაიფიქრა და ბედს შეურიგდა.

სერგოც ბედისწერას არ შეუშინდა. მეხუთე დღეს ისევ ქუთაისს
დაბრუნდა და ლადო მესხიშვილს თეატრში მიაკითხა.

თხუნელების ხვრელი

პოლიციამ დევნა გააძლიერა. ქუჩაში გავლა გაჭირდა, — იჭერდ-
ნენ, ჩხრეკდნენ, ციხეში გადაგზავნილები კი საპატიმრის კარამდე
არ მიჰყავდათ, „გაქცევის მცდელობას“ უგონებდნენ. გზაში კლავდ-
ნენ.

ასეთმა თავაშვებულობამ ტერორისტულ მოქმედებისაკენ უბიძ-
გა რევოლუციურ ორგანიზაციებს. იძულებული გახდნენ შური
ეძიათ მთავრობის ავაზაკ მსახურებზე, ჯაშუშებზეც.

მენშევიკურმა ფრაქციამ ექსპროპრიატორების საგანგებო ჯგუ-
ფი შექმნა. ხელმძღვანელად ბანუსიანი დაუნიშნა. იმას უნდა მი-
ეწვალებინა ჯგუფის წევრებისათვის. სად რა ბაზინისა და იაოლის
გატაცება შეიძლებოდა. მაგრამ ბანუსიანი ვერ გამოდგა მარჯვე
ორგანიზატორი, ხეირიანი საქმე ვერ მისცა ჯგუფს.

მაშინ ტიტემ თითონ მოჰკიდა ხელი, რადგან იაოლის შესა-
ძენად და დაპატიმრებული რევოლუციონერების გასათავისუფლებ-
ლად ფული იყო საჭირო.

რევოლუციონერებს შორის ორი შეხედულება გაჩნდა:

— „ექსები" პარტიულ ამბანაგებს რყვნის, აჩვევს მუქთახორობას, პირდაპირი პარტიული მუშაობიდან გადაჰყავთ ძარცვა-გლეჯაზე. ადამიანის ფსიქოლოგიას აფუჭებს და პოლიტიკურ ელფერს უკარგავს, — ამბობდნენ მენშევიკური ფრაქციის მეთაურები.

ბოლშევიკები საწინააღმდეგო აზრისანი იყვნენ:

— საბელმწიფო „ექსები" და, ხანდახან ტერორისტული აქტებიც პარტიზანული ომის ნაწილია, რომელსაც დეზორგანიზაცია შეაქვს მთავრობის მექანიზმში, ცხოვრებაში მაინც ჩნდებიან ექსპროპრიატორთა ჯგუფები, რაკი ბევრი რევოლუციონერი, იძულებულია რეაქციის მარწუხებს გაუსხლტეს. მთავრობა გამალებით სდევნის, ისინიც ტყეებს აფარებენ თავს და უკიდურეს მძიმე მდგომარეობაში ვარდებიან. ამის გამო პარტიის დაუკითხავად, ორგანიზაციის უნებართვოდ ახდენენ „ექსებს", თავდასხმებს ხაზინებზე. ამისათვის ზოგჯერ საქმეს იჭერენ ცუდ ადამიანებთან, რომლებიც მათ რყვნიან, ცუდ გზაზე აყენებენ. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილებს არა ჰყავთ იდეური ხელმძღვანელები. პარტიულ ორგანიზაციას აკლდება მებრძოლი წევრები და ამით დიდად ზარალობენ. ამიტომ თვით პარტიამ უნდა აიღოს ეს საქმე ხელში, უხელმძღვანელოს, გაასპეტაკოს ასეთი რევოლუციური აქტები. იდეური საფუძველი დაუდოს „ექსებს"! ამით პარტიული ორგანიზაცია შესძლებს მებრძოლი ძალების შენახვას, რომლებიც რევოლუციის აფეთქების დროს ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ ხალხს. რეაქციის ხანაში კი პარტიას მატერიალურ სარგებლობას მოუტანენ, მთავრობის დეზორგანიზებას მოახდენენ!

ასეთი შინაარსის წერილები იბეჭდებოდა არალეგალურ ჟურნალ „პროლეტარის" ფურცლებზე საქართველოში, სადაც ყველა კუთხეში შესდგა პატარ-პატარა პარტიზანული რაზმები. იდეური უმეთაურობის გამო ზოგნი უბრალო ყაჩაღებად გადაიქცნენ, ძარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი.

ეს იგრძნობოდა უმთავრესად მენშევიკების მიერ შექმნილ „ექსების" ჯგუფებში. ბევრი საუკეთესო მებრძოლი ძალა პარტიისათვის უსარგებლოდ დაიკარგა! ყველა მენშევიკური ჯგუფი გადაგვარდა, ნაძირალებად გადაიქცნენ! მაგრამ მენშევიკებისაგან გამოყოფილი ძალები — დავით ჭიაბრიშვილი, ილიკო ჭაჭიაშვილი, აკაკი დალაქიშვილი, არკადი ელბაქიძე, თომა ჩუბინიძე ბოლშევი-

ქების ჯგუფს ბოლომდე შერჩნენ, სიწმინდე შეინარჩუნეს, ფრაქციულ დისციპლინას არ უღალატეს.

ასეთი «ექსების» წყალობით შოულობდნენ იარაღსა და ფულს ისევ და ისევ იარაღის შესაძენად და დაპატიმრებული რევოლუციონერების შესანახად.

ამ მიზნით ჩავიდა ქუთაისში ვიატკის გუბერნიიდან გამოქცეული ტიტე ცამიწაძე. ციხეში გამომწყვდეულ მუშა თომა ჩუბინიძეს, დავით სულიაშვილს, ლეო შენგელიას და ისმაილ ჭუმბურიძეს მძიმე სასჯელი ელით. ტიტე დაპირებული იყო:

— გადასახლებიდან დავბრუნდები და ხელს მოვკიდებ თქვენს გაქცევას ციხიდან!

ამისათვის ქუთაისს ციხის პირდაპირ მდგარი ფანცხავას სახლი დააქირავებინა მარო ბოჭორიშვილსა და ერემია ლომთათიძეს წინდების საქსოვი დაზგების დასადგმელად და მეორე დღესვე შეუდგნენ ციხის ქვეშ ხვრელის გათხრას.

სახლის პატრონი ფანცხავა ქუთაისის სხვა უბანში ცხოვრობდა, ქალაქის სამმართველოში სერგო ჯაფარიძის ხელქვეითი იყო. მან მალე შეიტყო, რა განსაცდელიც მოელოდა, თუ პოლიცია ხვრელს აღმოაჩენდა. ასეთი მოულოდნელობით თავზარდაცემულმა პატრონმა სახლის დაცლა მოითხოვა. არადა, თხრილი უკვე მიყვანილი იყო იმ საკანის ძირამდე, სადაც თომა ჩუბინიძე იჯდა.

„წინდების მქსოველები" დახმარებისათვის ეცნენ ქუთაისის ქალაქისთავს, მენშევიკური ფრაქციის წევრს სერგო ჯაფარიძეს, მაგრამ თავი შორს დაიჭირა. სამაგიეროდ ღვთის წყალობად მოევლინათ ხალხოსანი ზდანევიჩი. სახლის პატრონი დაიბარა და გააფრთხილა:

— უნდა გაჩუმდე. სხვა გზა არ არის, საქმე დაამთავრებინე!

სახლის პატრონი აბღავლდა:

— დავიღუპე კაცი, სახლს წამართმევენ, მიწას ჩამომართმევენ...

ზდანევიჩმა დაამშვიდა:

— რა ღირს შენი სახლ-კარი?

— ორი ან სამი ათასი მანეთი.

— აჰა, ვექსილი სამი ათასისა, თუ შენს სახლს რამე მოუვა, მე გადამახდევინე საფასური! — და იქვე მისცა ვექსილი.

სახლის პატრონი გაჩუმდა.

ხვრელის თხრა გაგრძელდა.

მაგრამ როცა ციხის კედელს მიადგნენ. ქვევიდან პაგაბუგის ხმა გაისმა. ციხის გუშაგმა ყურები სცქვიტა. სახლის ფანჯრიდან შარო ბოჭორიშვილმა ეს შეამჩნია და ხვრელში მუშაობა შეაწყვეტინა.

ბერე საფრთხეზე ციხეშიც აცნობეს და სთხოვეს, — ფანჯარაში გამოკიდებული შავი წინდის დანახვისთანავე ციხეში წივილ-კივილი აეტეხათ ტუსაღებს.

ასეც მოიქცნენ.

ციხის ადმინისტრაცია გაოცდა. — ასე უცებ რამ ააყვირა მთელი ციხეო?!

ერთი საათის შემდეგ თომა ჩუბინიძის საკნის იატაკის ფილაც ასწიეს და წერილი შეუგდეს, — ვინ, რომელ რიგში უნდა გამომძვრალიყო ხვრელით და რა მისამართით წასულიყო კერძო ბინაში დასამალავად!

დღის ოთხ საათზე დაიწყო ტუსაღების გამოსვლა. 36 კაცი გამოვიდა, რომელთაგან ექვსი იმ ღამესვე დაიჭირეს მუხიანის რკინიგზის სადგურზე. სულმა წასძლიათ. წინასწარ დამზადებულ ბინაზე არ წავიდნენ. დანარჩენები კი საიმედოდ დაბინავდნენ.

ქუთათურებს ისე გაესარდათ ციხის გატეხვა, რომ ბევრმა სიამოვნებით გაუღო კარი ტუსაღებს, წარმოიდგინეთ, მთავრობის მოხელეებმაც. ზოგიერთმა თავადმაც: „ვინ პირადი ნაცნობობით, ვინ კი მოწყალების გრძნობების აყოლით. მათ უფრო მეტი გულისყური გამოიჩინეს რევოლუციონერი პატიმრების მიმართ, ვინემ მენშევიკური ფრაქციის მიმდევრებმა.

ერთი ებრაელი ტუსაღი, მოსე შნაიდერი, რომელსაც ჯარიდან გაქცევისა და აჯანყებაში მონაწილეობისათვის სიკვდილით დასჯა ელოდა, თავად ბაღუა ჩიქოვანს ჰყავდა დამალული საგუბერნიო სამმართველოში. რომლის უფროსად თვითონ იყო. თავადმა კოწია ერისთავმაც შეიფარა ერთი საშიში ტუსაღი.

* * *

პირველ რიგში იზრუნეს ებრაელი ჯარისკაცის, თომა ჩუბინიძისა და ისმაილ ჭუმბურიძის დამალვაზე: მძიმე დამნაშავეებად ითვლებოდნენ და სიკვდილით დასჯა ელოდათ.

ებრაელი ჯარისკაცი ვაჭრის ტანისამოსში გამოაწყეს, შესაბამ-დაობაც შესაფერი ჰქონდა, და პირველი მატარებლით გაამგზავ-რეს. მეორეთი კი ისმაილი, ჭუმბურიძეს, როგორც ახალგაზრდას, გიმნაზიელის ფორმა ჩააცვეს, მოწმობაც გიმნაზიელისა უმოვეს და ადვილად გაიყვანეს ქუთაისიდან.

თომა ჩუბინიძეს უფრთხილდებიან: თუ ჩავარდა სიკვდილის-გან ვეღარ იხსნიან. სახე შეუცვალეს, პარიკი მოარგეს, ახალი კოს-ტიუმი ჩააცვეს და პოლკოვნიკის ფორმაში გამოწყობილი თავადი კოწია ერისთავი გააყოლეს, რომელსაც ქუთაისში თითქმის ყველა ჯერის მოსამსახურე იცნობდა და ადვილად ხელს ვერავინ მოკი-დებდა. თავადმა კი ხელი გამოსდო თომას და ქუთაისის სადგურზე გაიყვანა, ვაგონში შეჰყვა და რიონის სადგურამდე გააცილა.

დანარჩენ, ნაკლებად სახიფათოებზეც სიფრთხილეს იჩენენ.

იმ ღამის მატარებელს სამნი უნდა გააყოლონ — ჯოხაძე, ესვან-ჯია და ჯიქია.

ბარონ ბიბინეიშვილის ბინაზე რთავენ, სანდო დალაქი თავსა და წვერს უკეთებს, ტიტე პასპორტს უვსებს, რომლებიც სამაზრო სამმართველოს მოხელემ სისინაძემ ეს-ესაა მოიტანა. რევოლუცი-ონერებს ეხმარება, პარტიის რიგითი წევრია, მაგრამ თვალსაჩინო საქმეს აკეთებს!

მერე ტიტე გააფრთხილა:

— ამ პასპორტს ამაღამ ნურავის ნუ მისცემ!

— რატომ! — ჰკითხა ტიტემ.

გულმა უგრძნო, „თვითონ აცილებს კაგზალზე სამივე ნატუ-საღარს“.

როცა წამსვლელები ბინიდან გავიდნენ, სისინაძემ კარი ისევ შემოაღო და ტიტეს გააგონა:

— ცუდი რამე რომ მოხდეს, გაგაგებინოთ თუ არა?

ტიტე გაბრაზდა.

— არაფერიც არ მოხდება! ნუ აშინებ მაგ ხალხს!

ტიტე და ბარონი მიწვხენ. ღამით ბარონს გაეღვიძა:

— ბიჭო, ადექი, მგონი, პოლიცია მოგვადგა! უკანა გასასვლელი არის, გაიქეცი!..

ტიტე ძლივს გამოფხიზლდა, გადაღლილია. ბარონმა კარი გა-აღო. პოლიციის მაგიერ სისინაძე შემოვიდა, გაფითრებული, აღელ-ვებული, უთავბოლოდ ბუტბუტებს:

— ხომ გეთხარით, — დაეკერეს, სცემეს...

— ნენ როგორღა გადაურჩი?

— ვავექეცი!..

— ბარონმა ეტლის ფული მისცა და თვითონაც მკვდარივით თავი მისდო.

ტიტეს თვალი არ ეხუჭება: „ვინ არის გაქცემი?“ — თავში უტრიალებს.

„სისინაძე? „თუ“ დალაქი დათიკო პამტამალჯიანცი, რომლებიც ამ საღამოს ჩვენთან იყვნენ?“ — ფიქრობს ტიტე.

გათენდა. ბარონმა წამოიძახა:

— მაგ-ს ბრალია, უთუოდ!..

— არა გძინავს?

— რა დამაძინებს...

— მეც გავიფიქრე, თქმა ვერ გავბედე! — გაეხმიანა ტიტე.

მერე გაიხსენეს სისინაძის ნათქვამი: „ამ პასპორტს ამაღამ ნურავის მისცემ“.. „გაგაგებინოთ თუ არა?“.

— ძნელია ეპვის შეტანა!.. დამტკიცება უნდა, — დაფიქრდა ბარონი.

დილით გეგმა დააწყეს: სისინაძე სადილად დაიბარეს, თვითონ ბულვარში გავიდნენ სასეირნოდ. იქ შეიტყვეს:

— როდესაც მაზრის უფროსმა ვაგონს ალყა შემოარტყა, ვაგონში შესვლა მოვინდომე. მაზრის უფროსმა მითხრა, — ნუ შეხვალთ, თავადო! იქ არის ისეთი კაცი, რომელმაც თქვენ არ უნდა გნახოთ. მე დავინტერესდი, მაინც შევედი მეორე მხრიდან. სისინაძის მეტი ნაცნობი ვერავინ ვნახე.

თავადმა ჩხეიძემ ეპვი აიღო:

— ალბათ სისინაძის გაცემულია! — გაანდო თავისი ეპვი მეორე თავადს ბონდო მიქელაძეს.

— იმან კი ბაჭუა კუპრაშვილს, ბაჭუამ ბულვარში გამოსეირნებულ ბარონს უთხრა და ტიტემაც გაიგონა.

სადილობისას მივიდა ბარონის სახლში წუხელ შეშინებული სისინაძე. ახლა დამშვიდებულია, სადილზე მიიწვიეს, არაფერს ამჩნევინებენ, წინანდელი ნდობით ეპყრობიან. სადილობენ, მშვიდი საუბარი წამოიწყეს. ტიტემ უსიამოვნო ამბავი უთხრა ბარონს:

— ერთი ამხანაგი შემხვდა: ჩუბინიძე, სულიაშვილი და ასათი-

ანის ბინები საეჭვოა, სხვაგან უნდა ვადაიყვანოთ, თორემ ჩავარდებიან და ორგანიზაცია სირცხვილს ჭამსო.

ბარონმა უკმეხად უპასუხა:

— თუ საეჭვოა, შენ მონახე საიმედო!.. ველარ ავუდივარ ამდენი ბინის ძებნას. ყველანი კისერზე მაახედხართ!..

ტიტეს ეწყინა.

— შენ თუ ვერ მონახავ, სხვა ვინ შესძლებს? ყველას იცნობ, გიცნობენ, გეუდრბიან. მე თავად ვიმალები. ანდა ვინ გაწევს კისერზე? თუ საქმეს ვაკეთებთ, ერთად ვაკეთებთ აქამდე.

— შენმა თავის ტეხვამ, ერთად ვაკეთებდით! შენ მხოლოდ მიწა გამოთხარე, სხვა რა გააკეთე? დანარჩენი მე დამაწვა კისერზე, — აუმაღლა ხმას ბარონმა.

— ასე იცი მუდამ: თუ გაფუჭდა რამე, — სხვაა დამნაშავე. თუ გაკეთდა, — მიითვისებ. ისე კი კაპიკის საღირალი არ გაგიკეთებია, ტყუილად ტრაბახობ. კარგად იცი, ბოლქვაძის ბინაზე არ შეიძლება ჩუბინიძის გაჩერება. ასათიანსაც დარახველიძის ბინაზე ვერ გაჩერებ. ეს ბინები ახლა თითქმის ყველამ იცის — ნათესავმა, ცოლმა, ამხანაგმა: თუ არ გიშოვია ახალი ბინები, პასუხს შენ აგებ, — დაანებე ტრაბახს თავი.

სისინაძე შეაწუხა მეგობრების წაკინკლავებამ.

— რა გაჩხუბებთ, მეც დაგეხმარებით, თუ ასეა!

ტიტე გაჯავრდა, სუფრა მიატოვა და ბარონს მიახალა:

— ალბათ, იმასაც დამაყვედრებ, ერთი კვირა შენთან რომ ვათევ?!

— უსინდისო! — გაწყრა ბარონი.

მერე ორივენი უცღიან, — გაჩხრეკავდნენ თუ არა სისინაძის გასაგონად დასახელებულ ბინებს, თუმცა გაქცეულთაგან იქ არავინ ცხოვრობდა.

იმ ღამეს არ დაესხნენ. მეორე ღამეს კი სამიდან ერთი გაჩხრიკეს.

ეჭვი მხოლოდ ნაწილობრივ დადასტურდა. რატომ სამივე არა?!

— იმ ერთში თომა ჩუბინიძე ეგულებოდათ, ყველაზე გემრიელი ლუკმა, — სწორად გაზომა ბარონმა.

— მაინც დავუცადოთ! — ეჭვობს ტიტე.

ბოლქვაძის ბინის გაჩხრეკის მეორე დილითვე ბულვარში გავიდნენ. ბარონი სისინაძეს შეხვდა და ახარა:

— კიღამ დავიღუპეთ წუხელ. ბოლქვაძის ბინა გაჩხრიკეს.

— თომა იქ იყო?! — შეეკითხა სისინაძე.

— იქ იყო, აპა არა! მარა მოასწრო კასრებით სავსე სარდაფში ჩამალვა. სარდაფი არ გაუჩხრეკიათ. გადარჩა.

— ახლაც იქ არის?

— აწი რა უჭირს! ღამით სხვა ბინაზე გადავიყვან.

ორი საათი არ გავიდა, ბოლქვაძის სახლის 'სარდაფი გადაატრიალეს. „სისინაძე პროვოკატორია" — დაიჯერა ორივემ და სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ჯერ გაიტაცებენ, უნდა ათქმევინონ, კიდევ ვინ ჰყავს გაცემული?

ექვი რომ არ აიღოს, ისევ ეფერებიან. ბარონმა შინ მიიწვია ვახშმად, მაგრამ გადაწყვიტეს სახლში არ დახვდნენ. თუ მარტო მოვა, ბარონი და ტიტე უკანა კარებიდან შევლენ ოთახში და შეხვდებიან სტუმარს. თუ ვინმე მოჰყვება, არ დაენახვებიან. ბარონის სახლი არქიელის გორის ძირას დგას, მაღლიდან სათვალთვალოდ მარჯვეა.

საღამოს შვიდ საათზე სისინაძე გამოჩნდა. ნაბადში გახვეული შვიდი ჩაფარი მოფარებით მოჰყვება. მოტაცება გაძნელდა.

მეორე დღეს ფრაქციის წევრები შეიარაღდნენ, სამ-სამად დაჯგუფდნენ, ჩაუსაფრდნენ, მაგრამ სისინაძე დილით არ გამოჩნდა.

ერთ საღამოს ყველანი ბულვარში გავიდნენ. სისინაძეც მოვიდა. ტიტე შორიდან მიესალმა. ბარონი კი ახლო მივიდა და ხელი ჩამოართვა. გადაცმულმა ჩაფრებმა იმწამსვე ხელი სტაცეს, მაგრამ სისინაძემ იქვე გააშვებინა.

ტიტე შორიდან უყურებს, მიხვდა: სისინაძეს უნდა ჯერ ისინი დაიჭიროს, ვინც ციხიდან გაიქცა. ბარონი კი ადგილობრივი მცხოვრებია, მერეც მოასწრებს ფაცერში მოქცევას. ჩანს სისინაძის ხელის ჩამორთმევა ნიშანია ჩაფრებისთვის. მაგრამ ამჯერად თვით ბარონმა გაუწოდა ხელი და ამით გამოამჟღავნა სისინაძის მიცემული ბრძანება.

ბარონს უეცრად დაჭერა და ასევე უცბად განთავისუფლება შეიარაღებული ტერორისტებისათვისაც უკვე ააშკარავებდა სისინაძის ბნელ საქმეს. მაზრის უფროსიც გადაცმული დადის, ყნოსავს და სხვა გადაცმულებსაც გეშავს.

იმ ღამიდან ბარონს შინ აღარ დაუძინია.

დილიდანვე კი ახალგაზრდა ტერორისტებმა ისევ დაიჭირეს

თავთავიანთი ადგილები. სისინაძე ერთი ჩაფრის თანხლებით მოდის. მერე ისიც გაუშვა და მარტოდ გაერია ბულვარში მოხეტიალე ხალხში.

საბაევის მაღაზიის წინ ტერორისტი ქიქავა დგას. მისი სადარაჯო პუნქტი ბულვარია. სისინაძეს დაეწია, რევოლვერი წელში დაახალა და გაიქცა.

სისინაძე არ წაიქცა. იქვე მდგარმა ბაჭუა კუპრაშვილმა გაქცეულ ქიქავას დაუყვირა:

— ბიჭო, ტყვია ასცდა, კიდევ ესროლე!

ქიქავა მობრუნდა, მიირბინა და დაიძახა:

— როგორ თუ არ მოხვდა, წელი გავუბვრიტე! — და ისევ გაიქცა.

დაჭრილი სისინაძე მიაწვა მაღაზიის შუშებს და ჩალეწა.

იქვე გაჩნდა გადაცმული მაზრის უფროსი, სისინაძე ეტლით საავადმყოფოში გააქანა, მაგრამ გზაში გარდაიცვალა.

შემდეგ გამოირკვა: მაზრის უფროსი სისინაძეს სამტრედიის ბოქაულის ადგილს დაჰპირებოდა, თუ ციხის ხვრელის თხუნელებს ხელში ჩაუგდებდა.

მერე საჯაროდ დაიტრაბახა:

— ორი დღე კიდე რომ დასცლოდა სისინაძეს მთელ ორგანიზაციას წირვას გამოვუყვანდი. ადრე გამიგეს ეშმაკმა ბოლშევიკებმა.

• • •

ერთი კვირის შემდეგ ტიტე თბილისში უნდა გამომგზავრებულიყო, მაგრამ ქუთაისის ციხიდან გულშემზარავი წერილი მიიღო. ტუსაღები ემუდარებოდნენ:

— ციხის უფროსობა საქმის მწარმოებელ შილიფაძეს მისცეს! თავისი დაწინაურების საფასურად ყველას გვახრჩობს, თავს გაიდა, კარცერებში ჩაგვკეტა, აყროლებულ საჭმელებს გვაჭმევს, ახლობლებს ახლო არ გვაკარებს, გვცემს და გვლანძღავს! გეხვეწებით, ან ჩვენ აგვაფეთქეთ, ან შილაბაძე მოგვაშორეთ!

ტიტემ, ვანო ინწკირველმა და ბარონ ბიბინეიშვილმა გულთან ახლო მიიტანეს პატიმრების თხოვნა და გადაწყვიტეს ახალი ციხის უფროსის ძე დაშინება, რომ კრინტიც ალარ დაეძრა.

— შილაბაძე უნდა მოკვდეს!

მაგრამ ძნელად მისადგომი კაცი გამოდგა. ბაჭუა კუპრაშვილის საშუალებით მოძებნეს გამოცდილი ტერორისტები. ქუთაისშიც დასეირნობდა ანარქისტების პატარა ჯგუფი კოლია ბრეგვაძის მეთაურობით, ტიტე მასთან მივიდა და გაუტყდა:

— მიცნობ, ვინ ვარ?

— რავა არა.

— მეც გიცნობ, გზააბნეულებს მეთაურობ ქუთაისში.

— აბა, ჭკუანაღრძობებს რას დავეძებ!

— ჭკუა სხვაზე ნაკლები არა გაქვს. ბევრს კითხულობ გამიგია, ბაკუნინს და კროპოტკინს უბით ატარებ თურმე.

— რევოლვერსაც!

— კიდო ვის?

— ჩერქეზიშვილს!

— სხვა დროა ახლა, კოლია, შენ სეხნია — მეფეს ვერ მოიცილებ, თუ იდეამ მოქმედება არ გაანათა!

— იდეა და ბომბი ძმები არიან.

— თუ ერთი მიზნით იბრძვიან?!.

— იმდენი ხართ ქუთაისში ერთი მიზნის მუშტრები, ველარ ვამორჩევია, ვინაა მართალი?..

— შემოდი ჩვენს ორგანიზაციაში, გაარჩევ მართალს მტყუანისაგან!

— ანარქისტების პარტიას გინდა ჩამომაცილო?

— სოციალ-დემოკრატებთან შეგაერთო, მინდა!

— საწევროს ბედ რა შემოვიტანო, ისიც მითხარი?!.

— შენ რომ გაგეხარდება, ის!..

— რა?

— ციხეს, ახალი უფროსი მოაცილე! ძველზე მტარვალი გამოდგა..

— გავიგე ეგ მეც!.. პატიმრებმა კაცი მომიგზავნეს.

— რას პასუხობ?

— იმას, რასაც ახლა შენც მთხოვ.

— მაგრამ ერთის პირობით. ამ დღიდან ბოლშევიკების იდეას ალიარებ და რკინისებურ დისციპლინას დაემორჩილები!

— თავისუფლებას მართმევ?!. მიმონებ?..

— შენი მორწმა სხვების განთავისუფლებას რომ შეეწიროს, არ ინანებ, ვგონებ.

— ეშველება ამით საქმეს?..

— ჩვენსას კი; მიზანი გვაქვს დიდი, გეზიც სწორი გამოვნახეთ. ერთი რეაქციონერის მოცილებით ასი დაჩაგრული რევოლუციონერის სიცოცხლეს ვიხსნით სიკვდილისაგან.

— იყოს შენებურად!.. ვცდი ამასაც. მერე ვნახავ — მოვტყუვდი, თუ შენ ტყუვდები თვითონ.

— რა მჭირს მოსატყუარი?

— ამას მომავალი დაგანახვებს. შენც ჩემსავით ბრმა ხარ, ცხოვრების სიბრძნე-სიცრუეზე თავს ნუ დავდებთ.

— სიბრძნეს რევოლუცია გვასწავლის, სიცრუეს კი რეაქცია.

შეთანხმდნენ, პირდაპირზე გავიდნენ.

კოლიამ ორი ამხანაგი გაიყოლა.

ორნაბათ დილით გიმნაზიის პირდაპირ ჩაუსაფრდნენ, შილიფაძე გუბერნატორთან მიდის. ეტლში შეუხტნენ, დაცხრილეს და ორი მცველიც გვერდით მიუწვინეს.

ქუთაისის ციხეში ტუსაღები დამშვიდდნენ.

ახალი უფროსი ახლა იმაზე ფიქრობს, რომ რომელიმე კოლიაბრეგვაძე კიდევ არ შეუხტეს ეტლში და სხვა ტიტემ არ გათხაროს ახალი ხვრელი.

ქუთათური რაზმი თბილისში ჩავიდა, იქიდან კი ბაქოსაკენ გასწევს. ვანო ინწკირველმა ტიტეს ნაღვლიანად ჩასჩურჩულა:

— ერთ დიდ და სერიოზულ საქმეში კიდევ მივიღებ მონაწილეობას და შემდეგ სხვა დარგში გადავალ სამუშაოდ!

ბაქოს მატარებლის ორთქლმავალი კი ვეშაპივით ქშინავს...

ანარქისტის აღსარება

ბაქოს მატარებელს გაჰყვნენ. კოლია ბრეგვაძეც ვაგონში ეჯდათ. დადებული ჰქონდა პირობა, რომ ანარქისტობას შეეშვებოდა, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის გადაწყვეტილებას დაემორჩილებოდა, მავრამ ძველის გახსენება მაინც კამათის საღერღელს უშლიდა.

— თავდადებაზე ფიქრი ნუ გაქვს, არ ვარ მსდალი, კი იცი შენ! — ნაწყენივით უთხრა კოლიამ.

— სიმხდალე ურწმუნობამ იცის. სხვებზე ვთქვი — უმიზნოდ უმიზნებენ ტყვიას მტერსა და მოყვარეს.

— რწმენის კაცი რომ არ ვიყო, შენ არ მოგიდგებოდი, იცი ეს შენ კარგად, მეც მაქვს ჩემი წილი რწმენა, მიზანი და ეს მოგწონს, ალბათ, შენც.

ტიტე ჩაუფიქრდა ნათქვამს. — „მეც მაქვს ჩემი წილი რწმენა!". მაგრამ თუ იცის, რომ ანარქისტის რწმენა დიდად განსხვავდება სოციალ-დემოკრატის მიზნისაგან: ანარქისტი ანგრევს, სანაცვლოს კი არ აშენებს, არც პასუხს აგებს ამისათვის. მარქსისტი პირიქით, — დამყაყებულს ანგრევს, რათა ხალხს შესაფარი წამოუდგას. „ეს ისეთი განსხვავებაა, რაზეც კოლია ბრეგვაძეს გონებას არც უფიქრია და იქნებ ვერც როდისმე გაიგოს — რას რითი ეშველება" — გაუელვა ფიქრი ტიტეს, — სიცოხცლე ისეთი რამაა, კოლია ჩემო, რომ მართალ-მაცდურიც ერთნაირი თავგამოდებით თავნებობს. — გაარჩიე ახლა, თუ კაი ბიჭი ხარ! კაცს თუ პაწია გონება გააჩნია, უეჭველად ლიბერალობს, არკი ესმის, რომ ყოველგვარი ლიბერალობა ბურჟუაზიული ჩვევაა!.. რევოლუციონერს კი სოციალიზმი მიუჩნევია წმინდა რწმენად.

— ვიცი მეც... მაგრამ სოციალიზმიც არაა მთელი და განუყოფელი. ამიტომ ხართ დანაწილებული. არც ანარქისტები ვართ მოლიანი იმიტომ, რომ ჩვენც სოციალისტები ვართ, თქვენსავით დაქუცმაცებული, მაგრამ გგონიათ, რომ, თქვენ ხართ ჩვენზე უფრო შეკავშირებული.

— გვგონია კი არა, ასეც არის!

— ჰოდა, ამის გამო იწევთ ცხვირს ანარქისტის სახელის გაგონებაზე, ხომ?! სინამდვილეში ანარქიზმს და მარქსიზმს ერთი და იგივე მიზანი ამოქმედებს. — ხალხის განთავისუფლება! ჩვენს შორის მხოლოდ ტაქტიკური განსხვავებაა, ასე ვფიქრობ მე.

— მცდარად ფიქრობ, კოლია, სრულიად სხვადასხვა პრინციპით ვიბრძვით. თქვენი რწმენის ქვაკუთხედია ცალკე პიროვნება...

— მაგი მართალი თქვი, აბა, რაფერ?! პიროვნების გაუთავისუფლებლად როგორ გინდა გაათავისუფლო საზოგადოება? ჯერ პიროვნება აქციე ლაღ არსებად, მერე გაათავისუფლებ მასასაც! კარგად ვფიქრობ მე.

— კი ფიქრობ, მაგრამ ვერ განახორციელებ! შეუძლებელია თითოეულის ცალ-ცალკე დახსნა, უფრო მარჯვეა ყველას განთა-

ვისუფლება. მაშინ თითოეული პიროვნებაც განთავისუფლებული აღმოჩნდება, შენ რომ გინდა, ისე. ამიტომ არ ვართ თქვენი ლოზუნგის მომხრე. ანარქისტების ნოწოდებაა — „ყველაფერი პიროვნებისათვის!“ მარქსიზმის ქვაკუთხედი კი საზოგადოებაა, მასა! უნდა დაეყრდნო იმას, რაც ცხოვრებაში იბადება და იზრდება და არა იმას, რაც იშლება.

— ვინაა და რაა ის, რომელიც იბადება, იზრდება და არ ბერდება?

— პროლეტარიატი! იგი იბადება როგორც კლასი და რაც არ უნდა სუსტი და მცირერიცხოვანი იყოს დღეს, ბოლოს მაინც გაიმარჯვებს.

— რაფერ?

— იმფერ, რომ მატულობს და წინ მიდის.

— მაგრამ სხვაც ხომ არის, რაც იბადება, დღითი-დღე იზრდება, ამიტომ სამარისაკენაც მიექანება?!.

— ყოველივე ის, რაც ნამდვილად არსებობს, ესე იგი ყოველივე ის, რაც დღითი-დღე იზრდება, გონიერია, ხოლო ყოველივე ის, რაც დღითი-დღე იშლება, — უგონოა და, მაშასადამე, დამარცხებას ვერ ასცდება.

— სოფლისა და ქალაქის წვრილი ბურჟუაზია დღეს რუსეთში უმეტესობას შეადგენს. განა ის მებრძოლ კლასს არ წარმოადგენს? — გაიკვირვა ანარქისტმა.

— არა! წვრილი ბურჟუაზია, როგორც კლასი, არ იზრდება, — პირიქით, ის დღითი-დღე იშლება და ბურჟუებად და პროლეტარებად იყოფა! პროლეტარიატი კი ერთადერთი კლასია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებას წინ სწევს და თავის გარშემო იკრებს რევოლუციურ ელემენტებს. ჩვენი ვალია უმთავრეს ძალად ვაღიაროთ ის დღევანდელ მოძრაობაში.

— მაგრამ მოძრაობა უმოძრაობად იქცევა, თუ პიროვნების ნებისყოფა არ ჩაერია.

— ნოძრაობასაც ორი ფორმა აქვს; ევოლუციური და რევოლუციური. ევოლუცია ამზადებს რევოლუციის ნიადაგს.

— ასეთ გზას საუკუნე დასჭირდება. მე ვეღარ მოვესწრები მას. ჩემი მიზანია ერთი ხელის დაკვრით დავაჩქარო რევოლუცია. ამაში პიროვნების ძლიერებაა გადამწყვეტი.

— ზღაპრულ გოლიათს თუ შეეძლება ამის მოხდენა. შენც არ გეგონა ასეთს.

— ასე რატომ მკადრებ, ტიტე?! ვინც ტანმორჩილად და წვრილად დავპადებულვართ, თავი ვეღარ აგვიწევია ზონზროხა გენერლების წინაშე და ეგაა!.. კარგად იცი შენც, ხმლით აღარ გვჭირდება მტრის ბანაკში ბორიალი. სხვა დრო იყო ძველად, — მკლავი სჭრიდა სიმართლეს. მაგრამ ჭკუა, მოხერხება და სიმაჭაცე მაშინაც ნიშნავდა რამეს. აბა. საჟენიანი ჩაფრები რომ მომისიოს, შემაშინებს თუ?! მასე რომ იყოს, მეფე ნიკოლოზაც სულ რჩეულრჩეულ გოლიათებს გამოამწესებდა ქუთაისს დასადუმებლად. შენ კი ხედავ, ასე არაა! მათი ლაშქარიც სავსეა ჩიატანის ადამიანებით, მაგრამ გულით ერთგული მონარქისტები არიან: პატარა ტანის ჩინოვნიკები უფრო მტარვალებად უნდა გეჩვენებოდეს შენც, ვინემ ახმახი გენერლები! პატარა და ტანმორჩილი, ეს რა სათქმელია? ციხის უფროსი შილიფაძე ვერ ეტეოდა ფაეტონში, მაგრამ გავაგორე ბულვარის კიდეში, ესეც ხომ გახსოვს?

კოლია ერთხანს ჩაფიქრდა, მერე ღრმა და სევდიანი თვალები ტიტეს მიაპყრო და ნაღვლიანად განაგრძო:

— გარეგნობით ქე ვარ სუსტი. ალბათ, ამიტომ ვარ გულით მაგარი!.. სხვაც მეუბნება მასე, შენ რომ ჩივი: „ისწავლე, კაცად დადგები, გამაგრდები ცხოვრებაშიო“, რად მჭირდება ამგვარი დარიგება!.. რაზე გამაჩინა ღმერთმა სუსტი აგებულების კაცად, თუ ძლიერმა უნდა დამჩაგროს?! ვინ მისცათ ამის უფლება?.. შთამომავლობამ? მაგრამ ამ შთამომავალთა პირველმა წინაპარმა რითი მოიპოვა ასეთი უფლება ჩემზე? გამორჩეულობით, ტანადობითა და ჭკუით, ხომ?.. ან იქნებ ხალხის სიყვარულით, თავდადებით, ერთგულებით?.. თუ ასეა, თავს დავუხრი, მის ნაშიერსაც მოვეფერები, მაგრამ მეტისმეტს რატომ თხოულობენ — „მონად გამიხდიო!“ ვინ დაუბარათ ასეთი ბატონობა? უფალმა? არა, ჩემო ბატონო, ღმერთი ამას არ იკადრებდა! მაშასადამე, მხოლოდ იმან, ვინც პირველმა დაიმკვიდრა გვარში თავადობა ან აზნაურიშვილობა! ანდა მისმა წუწკმა ნაშიერებმა, ვინც წინაპრის კვალობაზე სასიკეთოდ სარულის ნაგიერ ავაზაკობის გზას გაჰყვა და უნდათ ამას დაჰყვეს მისი შთამომავლობაც. ასე იოლი ყოფილა ცხოვრება, ხომ?! მაგრამ საქმე თავისთვის რომ გაიადვილონ, სხვა რად უნდა დაჩაგრონ? ჰოდა, მეც იმათში მოვხვდი, ვინც დასაჩაგრად გა-

უმწეესებიათ და ჰგონიათ, რომ მომერივნენ. არა, ბატონო! არ გა-
მოუვათ მასე: რაც მეტს დამაწვებიან, უფრო ძლიერ გამმართავენ
წელში! ტყუვდებიან ისინი, ვინც ერთი თვალის შეკლებით ზომა-
ვენ კაცის გარეგნულ ვაჟკაცობას! რწმენა აძლევს კაცს ყველაზე
დიდ ძალას! იგი კვებავს მკლავის კუნთსაც და თვალის მწვავე
ჭვრეტასაც, უშიშარობა რომ ეწოდება.

მერე მორიდებით თავი ჩაღუნა და თვალებდახრით ამო-
ღერღა:

— გული მიფრიალებს!.. ჰაერი არ მყოფნის, ზოგჯერ სუნთქვა
მეკვრის... გაბედულება მაინც არ მაკლია. უნდა მოვასწრო დანგ-
რევა. მერე შენ იცი და შენმა კაცობამ, თუ რამეს ააშენებთ! ვი-
ღაცამ ხომ პირველმა უნდა დაანგრიოს, ააფეთქოს გზაზე ჩამოყუ-
დებული კლდის ნაჭერი, რომ სხვებმა ურემიც გაატარონ. იმას
მაინც იტყვიან, ჯანით სუსტი კოლია ვალში არ დაგრჩენიათ.
ჰოდა, მეც, დღეს რომ ვანარქისტობ, სულით მაინც სოციალისტი
ვარ. ჯავრს ვყრილობ უსამართლობაზე. არ შემიძლია მარტო ლაპა-
რაკით სიკეთის შეგონება, გული არ მითმენს... თავადა ვარ ყოვე-
ლივეს და ყველას მსაჯული. მსაჯული კი არა სცდება! მე ღმერთად
არავინ გამხდის, თორემ ვიცი, რასაც ვიქადაგებდი!.. არც მეფედ
დამსვამენ, რომ ადამიანებს წყალობა დავურიგო... სხვა ისეთი
მწყალობელი კი, მე რომ მინდა ვიყო, არ მეგულება! მარტოდ
დავრჩი.. დედ-მამაც კი ვერ მიგებს და უფალს ავედრებენ ჩემს
თავს. რა მაქვს შესავედრებელი?! ბაზრის უფროსს თვალებში
შესციცინებენ — ჩვენი კოლია სასიკვდილოთ არ გაიმეტოო! რად
მჭირდება მაზრის უფროსისა თუ ბოქაულის მფარველობა?! ყვე-
ლამ თავისი თავი დაიცვას და მაშინ არც ჩაფრები დასჭირდება
ქუთაისს, არც შილიფაძე შემომაკვდებოდა! რად გვინდა, რომ
ამდენ ტყვია-წამალს ვწვავთ შინაურ მტრებზე? განა გარეშე მტე-
რი ცოტა გვყავს, რომ შინაც არ ვეძებოთ? რა სჯობია ერთობას
და სიმშვიდეს, წესიერებით უწესოების დაცევას, რომ ინსტინქტის
წესრიგმა იმეფოს. ვინ აირჩია ნიკოლოზა? მე და შენ არ დაგ-
ვისვამს და არც შილიფაძეს უდღეურს აუყვანია იგი ტახტზე. მაშ
რაღას იფოფრებოდა და იბღინძებოდა ის უბედური! რატომ ეგონა,
რომ თომა ჩუბინიძის ჩამოხრჩობით ანგელოზის ფრთები გამოესხმე-
ბოდა. აწი იფრინოს ჩემი ხელით გამოსხმული ფრთებით, ჭილყვა-
ვის ან ქორის ნისკარტით. არწივად ვერ შეფრინდება საიქიოში.

მასზე ბოროტი ბრჭყალებიანი სვავები და ყორნები დარაჯობენ ჯოჯოხეთს, ზოგი რომ სამოთხეს უწოდებს. ჩემი სამოთხე ჩემსავე ხელშია. ქუთაისში ჩემზე ბედნიერი კაცი არ იყო იმიტომ, რომ ანარქისტთა ჯგუფს ვმეთაურობდი და ჩემს ნებაზე ვსუნთქავდი... ახლა კი, რაც შენ გამოგყევი ბაქოში, გულის მანკი უფრო გამიძ-ლიერდა, სილაღეს მართმევს და ფიქრის მარწუხებში მამწყვდევს. არ იფიქრო, ვნანობდე, ჩემს ქუთაისს მივტირი!.. მაუზერი აქაც გამოვიყოლე, და თუ გამიჭირდა, სამართალს იმას ვათქმევინებ, მაგრამ სიტყვა მოგეცი და მინდა ჩემი თავიც გამოვცადო. იქნებ ანარქისტობა ლამაზი ეგოიზმია, ბოლშევიკობა კი მძიმე ქველმოქ-მედება! დღემდე პირველი მერჩივნა, ახლა მეორეს ვეფერები. არკი ვიცი მომეფერება ის თუ გამწირავს? ჩემისთანა თავნება კაცის ჰოთმენა უჭირს პოლიციას, მთავრობას. არა მგონია გაუადვილდეთ, მათ, თქვენ რომ შემოგიერთდით?!.. ჰოდა, ხედავ ალბათ, მეც რომ გასაჭირში ჩავარდი. ახლა შენი იმედითაც ვარ და ნურც შენ დაეჭვდები ჩემი ერთგულების უიმედობაში. კოლია-ანარქის-ტი რევოლუციას არ უღალატებს, მაგრამ დაეხმარება კი რევოლუ-ცია ანარქიზმს? ამას მერე ვნახავთ... მთავარია სიცოცხლის ფასმა არ დაგვახრჩოს. კაცი რომ საკუთარ თავს ნამეტანს გაუფრთხილ-დება — სიცოცხლესაც წააგებს და სახელსაც. მე კარგი სახელი მქვია, კოლია ვარ! მამაჩემმა ნიკოლოზას სეხნად გამაჩინა, მაგრამ შენ კი ხედავ, ტიტე, რომ ჩვენი სეხნიობის გზები გაიყარნენ. ერთხელ დარქმეულ სახელს ცოდვა მოაქვს თურმე: დრო დადგა ასეთი. აბა, სხვა მიზეზით რატომ იცვლიან სახელებს?! გამიგია, შენ ტიტე გქვია, შაითანს კი გეძახიან. სერიოჟა ქავთარაძეც ლა-მაზი სახელი და გვარია, ახლა იაპონელ ტოგოს ეძახიან. იოსებ ჯუღაშვილს სოსელოს, ბესოშვილსა და კობას არქმევენ. მიხა ცხა-კაია — სულ გაგარეულდა, გავეფხვდა, — ბარსოვად იწერება, ნოე ჟორდანია კოსტროვად მოინათლა. ამას კაცი კიდევ მოითმენს, მაგ-რამ ბუდუ მდივანს რა აკადრეს იცი შენ — „ბოჩკა“ შეარქვეს, გა-მოდის რომ სოციალისტობა იმდენად უიმედო საქმეა, რომ კაცი თავის გვარსაც ვერ ატარებს! რატომ ხდება ასე? ვინ გაიძულებთ შეიცვალოთ სახელები? შიშმა, ხომ? შიში ყოფილა, ჩემო ბატო-ნო, თქვენი ნათლია და როგორღა გინდათ სიკეთე დაანათლოთ ადამიანებს თუ საკუთარი გვარიც ვერ გაგიმხელიათ მათთვის?

რა ბედი ეწევა შენთან შემოერთებით კოლია ბრეგვაძეს, ამას ღმერთიც ვერ მიმარჩიელებს.

— სამარჩიელოდ ნუ გაიხდი საქმეს, კოლია! ყველაფერი რწმენითა და სიკეთის მოტანის სურვილით უნდა აკეთო. შიში ვერას დაგეხმარება, — გაიყვანა საფიქრალზე ტიტემ.

— მაგრამ შიშიც რწმენაა, ასე ვფიქრობ მე! თუ გაშინებს რამე, ჩანს, გჯერა მისი.

— სახელმწიფოს დანგრევას რომ მოითხოვ, გამოდის, რომ გეშინია მისი?

— მართალი ხარ, მეშინია, მძულს და ვანგრევ!

— ახალს რომ არ აშენებ, რატომ გემართება ასე, ისიც გძულს?

— მეშინია მისიც! ყოველი ახალი ძველის გვარად შენდება და ეს მაშინებს მე. ჩვენ, ანარქისტებმა, საბოლოო განაჩენი გამოვუტანეთ ყოველგვარ დამშინებელს. პროლეტარულ დიქტატურასაც, რაკი ვიცით, რომ ყოველი სახის ძალადობა, რაგინდ პატიოსანი იყოს მისი განზრახვა, თავისუფლების სიკვდილს მოასწავებს.

— აბა, ისე როგორ გინდა მოსპო ჩაგვრაზე დაფუძნებული მეფის სახელმწიფო, თუ არა სახელმწიფოს ძალაუფლების ხელში აღებით? სოციალ-დემოკრატები ინიტომ ვებრძვით მონარქიას და ბურჟუაზიას, რომ ძალის გამოყენებით მოვუპოვოთ ხალხს თავისუფლება!

— მე კი მგონია, სოციალ-დემოკრატები მხარს უჭერთ პროლეტარიატის დიქტატურას არა იმისთვის, რომ ძველი მონები გაათავისუფლოთ, არამედ ახალი მონობა დაამყაროთ თქვენი გაბატონებით! თქვენ ამას რწმენას ეძახით, მე კი შიშს ვარქმევ. ეს ორივე აზრის გამოხატვის ორი ფორმაა, — ხომ ასეა, ტიტე-ჩემო?

— შიში სუსტი იარაღია ბრძოლაში. არც მარტო რწმენა კმარა თავისუფლების იდეის გასახორციელებლად. სამხედრო შეიარაღება გვჭირდება გაბატონებულთა კლასების ძალადობის დასათრგუნავად! შენ რომ ამბობ, კოლია, „უსამართლობაო“ — ის უსამართლობა ძალით უნდა შევცვალოთ, მაგრამ შევცვლით კი უიარაღოთ?! — შენ რომ თქვი, პროლეტარიატის დიქტატურა ახალ მონობას გამოიწვევსო. მცდარია! პროლეტარიატის დიქტატურა მილიონების სახელმწიფოა, ვინ უნდა დაამონოს ასეთმა სახელმწიფომ? ამასთან ერთად, ერთმანეთსაც უნდა გავეფრთხილ-

ლეთ სამართლიანობის გზას თუ შევმდგარვართ! სისინაძე და შილიფაძე ჰიტომ ჩამოვიბორეთ, რომ სიკეთის მოსურნე ადამიანები ვიხსნათ. ზოგ- ახლა გავათავისუფლოთ ციხიდან. სხვები კი მომავალ პატიმრობიდან ვიხსნათ. ამის მიღწევა არ მოხერხდება შენი ჩაბაფიერის გაყოლით. ჩვენს რწმენას უნდა გაჰყვე, გული არ აიყარო... მე გენდე შენ და მადლობელიც ვარ სიტყვის შესრულებისათვის... ახლა მენდე მეც. გამომყევ- უფრო რთულ და ეკლიანი გზით, მარტო მაუზერითა და ბომბის სროლით გზას ვერ გავხსნით!.. ვიცი, ჯერ კიდევ დასჭირდება ჩვენს სასიკეთო გზას ჩვენი ჯგუფის თავგანწირვა. მაგრამ ნაყოფიც უფრო ბევრად დიდი იქნება, ვინემ შენი მარტოხელად, ან შენისთანა თავაღებული ვაეკაცების ნაოცნებარი აბარქიზმის სამყარო. უნდა მოგყვე, კოლია!

— მოგდევ, ტიტე!

— ნაღალი ალმართი გვიდევს წინ, შეიძლება ხევში გადასაჩეხი დალმართიც.

— არ შეშინიან, გულმა გამიძლოს ოღონდ...

— რეშენა გულის მანკის წამალია, კოლია.

— მაგ იმედით მოგყვები, ტიტე!

და ქუთაისელი კოლია ბრეგვაძე გაჰყვა, თუმცა კარგად არ იცოდა ვინ იყო თვითონ, — ქუთათური, ბათუმელი, თბილისელი თუ ბარცხანელი? იქნებ სულაც ჭიათურელი ან ყვირილელი, იქაურ კლდეებსა და მაღაროებში ნავალი და ნაჯაფი. მიწისქვეშა თხუნელასავით ნაძრომი და თავქვე წასულ მდინარეში ალმად მცურავი: იცოდა, ვიღაც იყო და რაღაც უნდოდა, რომელიღაც ჯგუფს წინამძღოლობდა და სადღაც მიექანებოდა, რომ როდისმე შავი ღამე თეთრად ექცია, სიხარული ცრემლით მოეტანა და წუხილი ხარხარით დაეცხრო... მიდიოდა, მირბოდა, მიჰქროდა და ვერკი ხედავდა, რომ უკან მიტოვებულ მანძილზე ისევ-ისევ მტვრიან კვალს აჩენდა, თავის ნავალს შლიდა, ფარცხავდა და შიგ ჩაყრილ თესლს ლაღად დაფრენილ ფრინველებს აკენკინებდა, აშმევდა და ასპობინებდა.

ტიტე კი საკუთარ საცრით და ცხრილით მოქმედებდა. — ნაკმაზსა და თავთუხს გულდასმით რწყავდა, აცხობდა, არიგებდა და აშმევდა, იმის იმედით მიჰქროდა, რომ ქარი ვეღარ დაეწეოდა და დაწყებულ საქმეს, ქველმოქმედებასა თუ სისასტიკეს, მწყალობლობასა თუ შურიანობას ერთმანეთისაგან გაარჩევდა და გაჰყრიდა.

* * *

ბაქოში მატარებლით ჩაღწეულმა ტიტეს რაზმმა ისევ თბილისს მოაშურა. თვრამეტნი იყვნენ და ყველა ერთად თვრამეტ ათეულ ჩაფარსაც დასჯაბნიდნენ, ნაგრამ ხომ შეიძლება, რომ ბედს ემტყუნა და მაგრად მოწნულ ფაცერშიც მოხვედრილიყვნენ.

ამის გაგონება არც უნდოდათ, მაგრამ ფიქრი ახსენებდათ, აეჭვებდათ და უკეთესი გზების მოსანახად ემზადებოდნენ.

ისიც აფიქრებდათ, რომ ქუთაისის ციხიდან გვირაბით გამოტაცებული მეგობარი, თომა ჩუბინიძეც ახლა მაისურაძის გვარით ბაქოს ბაილოვის მიუდგომელი ციხის საკანში ბორკილგაყრილი სულს ღაფავდა და დღე-დღეზე ელოდა სასიკვდილო განაჩენის გამოტანის ჟამს.

— უნდა ვიხსნათ! — გადაწყვიტეს ტიტეს რაზმელებმა. მაგრამ წყრებოდნენ კიდეც.

— თავიანთი ბრალია, სიჯიუტემ დაღუპა, მედიდურობამ შეაცდინა.

ყველაზე ახალგაზრდა იმათში გიმნაზისტის ფორმით გამოამგზავრეს რიონის სადგურიდან, ახლა კი მისი დასახიჩრებული გვამი ბაქოს პროზექტურაში გდია, ახლობელს არავის აკარებენ, უცხონი კი ძერებივით დასტრიალებდნენ თავს იმის გვამს. შესაძლებელი კი იყო ყველაფერი კარგად დამთავრებულიყო, მაგრამ სტეპკომ აიჩემა:

— იარაღს უსიკვდილოთ არავის დავანებებ!

— ზოგჯერ გაცლა სჯობს გაუცლელობას! — ურჩევდა ტიტე:

— არ გამაგონო... ცოცხალი თავით მტერს არ დავნებდები!

— ტაქტიკაც საჭიროა, სტეპკო!

— არ გიწონებ მაგ ტაქტიკას — ჯიუტობდა სტეპკო.

იმ დღესაც თომა ჩუბინიძესთან ერთად ჩაის სვამდნენ ზინ და ვერ შენიშნეს: ჩაფრების ოცეული ბინაში შეეპარათ, რევოლვერები მიაშვირეს და საბუთები მოსთხოვეს.

— პასპორტები? ამ წუთსავე მოგართმევთ! — მშვიდად უპასუხა სტეპკომ, განჯინისკენ გასწია, უჯრა გამოსწია და ისეთი პასპორტი ამოაძრო, რომლის ხმაზე ორი პოლიციელი იქვე გაიშხლართა.

თომამაც თავისი პასპორტის გაფოსატანად გაიწია, მაგრამ კარ-თან ჩასაფრებულებმა თავში რევოლვერი დაჰკრეს და იატაკზე უგონოდ დასცეს. მერე სტეპკოს ზურგიდან შემოუარეს და დაცხ-რილეს.

თომა ციხეში წაიყვანეს. სტეპკოს გვამი პროზექტურაში გა-ალრიეს, მაგრამ მისი გაცივებული თვალებიც კი პოლიციელებს სწყავდა და აცახცახებდა.

მთავარი და ყველაზე საშიში დამნაშავე თომა ხელში ჰყავდათ და ეს ამშვიდებდათ. უფრო მეტი უსაფრთხოებისათვის საგანგებო საკანში შეამწყვდიეს, შიგ ჯაშუშიც შეუგდეს და დღედაღამე სათ-ვალთვალოდ გუშაგებიც დანატებით დაუყენეს. ზედამხედველე-ბიც ორნი იყვნენ. ერთიმეორეს ენაცვლებოდნენ, ის ზედამხედვე-ლი, ვინც პირველ დღეს იმორიგეა, — ცოფიან ძაღლს ჰგავდა, და ცხელ მელასაც სჯობნიდა. მეორე კი, — ახოვანი, ხალისიანი, მხი-ალელი ხასიათით ერჩეოდა და ზედამხედველნიც ხშირად იკრი-ბებოდნენ მისი პოსტის ახლოს რაიმე ახალი სახუმარო ამბის მო-სასმენად.

მერე თომამ ტიტე წერილით მიახვედრა, — ეს „ხუნარა“ მეც კარგად მექცევა და შენ როგორმე დაუფასეო.

მაგრამ ტ-ტემ იცოდა, რომ ციხის გუშაგთა დაფასება ფულით უფრო ხელსაყრელი იყო ორივე მხარისათვის, ვიდრე მარტო სი-ტყვიერი ალერსით და მოფერებით.

ფულის შოვნა კი სჭირდა. ამიტომ ფულადი სახსრები თომას გადასარჩენად ისევ თბილისში უნდა ეშოვათ და ტიტეს მიერ გა-ნოყოფილი ხუთკაციანი ჯგუფი ვერის უბნიდან ფეხით აჰყვა მთა-წმინდას, რომ კოჯრის გზაზე გასულებს მანგლისის ფოსტა ჩაეგდო ხელში და ცოტა რამ ფარა ეშოვათ.

გათენებისას უკვე ფუნიკულიორს გადასულები იყვნენ და გზა-ზე განმარტოებით წამოდგმულ დუქანში შევიდნენ. სამნი თით-ქოს საუზმობდნენ, დანარჩენი ორი თბილისიდან ამოყოლილ აღმარ-თიან გზას გასცქეროდნენ.

— ფოსტა მოდის! — ჩასჩურჩულა გარედან შემოსულმა.

ფოსტაზე დაცემის გეგმა უკვე დაწყობილი ჰქონდათ.

ოთხცხენიანი დილიჟანი თქარათქურით მოჰქროდა, დუქანს უახლოვდებოდა. აი მოაღწია კიდეც, მაგრამ ვანო კალანდაძის ნას-როლი ყუმბარა მიზანს ასცდა: ცხენები დაფრთხნენ, წინ გამო-

ქანდნენ. ტიტეს და ილიკოს ყუმბარები ზედიზედ გასკდა და ცხენები პირაღმა დაეცნენ. ძლიერმა ტალღამ ჩაფრები გზიდან გადაყარა და როცა გონს მოვიდნენ, სროლა ატეხეს. რაზმელებმაც ყველა მხრიდან უპასუხეს და იარაღი დააყრევინეს, ფოსტის ჩანთას ხელი სტაცეს და ფუნიკულიორის ფერდობს მიაშურეს. ჩანთაში ოცდაერთი ათასი მანეთი ეწყო. ეს საკმარისი იყო ბაქოს ციხიდან თომას დასახსნელად.

მოულოდნელად ქვემო ნხრიდან ცხენოსანი ჩაფრები გამოჩნდნენ, ხევხევ აღმართზე მიმავალ რაზმელებს გამოუდგნენ.

კოლია ბრეგვაძეს გულმა უმტყუნა, სულმოსათქმელად შეჩერდა, ჩასაფრდა და სროლა გაუმართა, მაგრამ ერთმა ტყვიამ მისი გულიც განგმირა და ხევში ჩაგორდა.

ჩაფრები დანარჩენებსაც ეწეოდნენ და თუ ხელს ვერ ჩაავლებდნენ ტყვიას მაინც მიაწვდენდნენ, მაგრამ ბედზე სქელი ნისლი წამოვიდა და გაქცეულებიც და მდევრებიც ერთმანეთისაგან გაჰყარა.

დათიკო ჭიაბრიშვილს ფეხი ეღრძო, ხევში ჩაგორდა, დაიმალა. მაგრამ როცა კარგად გათენდა, მოძებნეს. დაიჭირეს, სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს, მაგრამ ოცი წლის კატორღით შეუცვალეს და ორიოლის ციხეში გარდაიცვალა.

დანარჩენი სამნი კი შინ მშვიდობით დაბრუნდნენ. ტანისამოსი გამოიცვალეს და გოლოვინის პროსპექტზე სასეირნოდ გასწიეს... ორი კვირის შემდეგ კი ტიტე ბაქოს წავიდა, შაუმიანი ნახა და ბაქოს ორგანიზაციას ათი ათასი ჩაუტანა. დანარჩენი კი თომას გამოსახსნელად გადასდო.

ბაქოში თომას მეორე წერილი დახვდა, რომელშიც ეწერა:

„ციხის ერთი ზედამხედველი, რომელსაც ჩემი საკანი აბარია, კარგ შთაბეჭდილებას ახდენს და შეიძლება დაგვთანხმდეს დახმარების გაწევაზე, სახელად ილია ქვია“.

ტიტე სახლში მიადგა და უთხრა:

— სალაპარაკო მაქვს. როდის გექნებათ თავისუფალი დრო?

ციხის ზედამხედველს გაეცინა:

— რა მოუცლელი მნახე. თუნდაც ახლავე!

— ახლა მე არ მცალიან! ნამეტანი დაკავებული ვარ. დამინიშნეთ დღე და საათი.

— აგრე იყოს: ხვალ, საღამოს ექვს საათზე.

ტიტემ რაღაც იაზრა, კარიდან შებრუნდა და ჩასჩურჩულა:

— უბოალო საქმე არ გეგონოს, პატიმარ მაისურაძეს ეხება.

ხელამხედველს გაეცინა:

— აბა, ვენერალ-გუბერნატორის საქმეზე არ შემაწუხებდი!

ტიტემ განგებ აცნობა პატიმრის გვარი, მერე შეატყობს, გაამჟღავნებს მაისურაძის ნაცნობობას, თუ ხუმრობაში დაფარავს?..

მეორე დღეს თავისი ბიჭები გააგზავნა:

— იქნებ ვინმე ჩამისაფრა?

— არვინ ჩანს! — უთხრა მეთვალყურემ.

ერთი საათი ვანგებ დააგვიანა.

შინ არავინ ყავდა. ტიტე პირდაპირ გაუტყდა:

— მგონი ხვდები, რაზეცა ვარ ბოსული! მე სოციალ-დემოკრატიული პარტიის ბოლშევიკების ფრაქციის სახელით ველაპარაკები. შენ მუშა ან გლეხი ხარ უთუოდ. ჩვენ მათი ინტერესების დამცველები ვართ. ბევრი ამხანაგი ციხეში ლპება მუშათა მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, მაგრამ იმათ, ვისაც დიდი სასჯელი არ მოელის, ჩვენ მხოლოდ ციხეში ვუწევთ დახმარებას.

ხელამხედველს თვალები გაუბრწყინდა და სიტყვა შეახვედრა:

— გამოდის, რომ კეთილ საქმეს აკეთებთ!..

— მაგრამ არიან ისეთები, რომლებსაც დღეს თუ ხვალ სიკვდილი მოელით. ამათი შველაა საჭირო. ასეთია თომა მაისურაძე. შენ შეგიძლია სიკვდილისაგან დაბსნა და დახმარება უნდა გაგიწიო, რითაც კი შეიძლება, მაისურაძე უნდა გამოვიყვანოთ ციხიდან!..

ხელამხედველმაც არ დააყოვნა, ბოკლედ მოსჭრა:

— ნამეტახი ძნელი საქმეა!..

ტიტეს გულზე მოეშვა. უარი კი არ მოესმა, მდგომარეობის შეფასებას შეუდგა. ეს კი საიმედოზე გასვლას ნიშნავდა. ახლა უფრო გულახდილი ლაპარაკი შეიძლებოდა.

— ძნელი რომ არ იყოს, შენც არ დამჭირდებოდი!.. მითხარი, გაგიწევ დახმარებას თუ არა? სიძნელეზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

— თუკი რამე შემეძლება, ნასწავლე და დახმარებას გაგიწევ.

— ამ წუთს ძნელია წინასწარ ყველაფრის ვათვლა! ციხის პირობებზე შემდეგ მოველაპარაკები. მანამდე შენც იფიქრე, შენი გეგმაც წარმოიდგინე.

იმ დღეს ტიტე მშვიდად დაბრუნდა ბინ. კეგძაზე ფიქრს მე-

უდგა. მაგრამ როგორ ბეადგენოს, თუ თომას არ დაეკითხება. იმან უკეთესად იცის ციხის ასავალ-დასავალი. ამ მიზნით, ზედამხედველ ილიას ხელით თომას შეუგზავნა წერილი, — რა როგორ მოეწყო?.. პასუხიც მიიღო და მაშინ ბუდუ მდივანიც მიიყვანა ზედამხედველის სახლში, მეტი შთაბეჭდილების მოსახდენად მასზე.

ბუდუმ თავი მიტინგზე იგრძნო, თითქოს ქუთაისის ციხეში პატიმრებს სოციალიზმის იდეებს აცნობდა და „ძირს მეფის მთავრობას“ აძახებინებდა. აქაც თავისებურად, მჭევრმეტყველურად ალაპარაკდა და ზედამხედველიც აანთო თომას განთავისუფლების წყურვილით.

— ხედავ, ჩვენს ხელშია, რასაც ვეტყვით, იმას აასრულებს! — უხაროდა ბუდუს.

ერთი თვის შემდეგ უფრო ხალისიანად დაჰპირდა: — მოვკვდები და ამ საქმეს გავაკეთებ. აი მაშინ ვაცინებ ჩემს მეზობელ ზედამხედველებს, ოღონდ კარგი გეგმა მომეცით, მე რომ სატირალი არ გამიხდესო.

გეგმაც წარუდგინეს, მაგრამ არ მოიწონა, უნდოდა, რომ გაქცევა მეორე ზედამხედველის მორიგეობის დროს მომხდარიყო: „ჩემს თავს საფრთხეში არ ჩავიგდებ. შემცვლელი კი მთელი ციხის მოძულე კაცია, ახია იმაზე, რაც ცუდი შეემთხვევაო“.

ახლა გეგმა ბუდუმ და თვით ზედამხედველმა დახვეწეს. თომას კი ზუსტად შესრულებას ავალებდნენ:

— ყოველ დილით, ექვსიდან შვიდამდე, როცა ტუსაღების გადათვლა ხდება ციხეში, მოახერხე ყოველთვის ამ დროს საპირფარეშოში ყოფნა... ამიტომ მთელი თვის განმავლობაში საფაღარათო წამალი სვი, კუჭი აიშალე, ციხის უფროსობა დააჯერე, რომ ფაღარათი დაგემართა. როდესაც ერთხელ, ორჯელ და მრავალჯერ გეახავენ, რომ საკანში არ ხარ და საპირფარეშოში ზიხარ,—შემდეგ საპირფარეშოში გაუსინჯავადაც ჩაგნიშნავენ.

მაგრამ პირველსავე დილას, ილია ზედამხედველის მორიგეობის დროს გაწყრა ციხის უფროსი:

— რატომ გაუშვი საპირფარეშოში?

— ფაღარათი სჭირს, თქვენო აღმატებულებავ!

— ფაღარათი შენ გჭირს ენაზე!. — გაურისხდა უფროსი.

— სწორედ ასეა, თქვენო აღმატ...

— ტსს! ბრიყვო! — ჩააკმენდინა ხმა ზედამხედველს, — მოსწყდი აქედან! — დაემუქრა დაეკვებით ციხის უფროსი და მისმა ალმატეპულებამ ორივე ზედამხედველისა და თავისი თანაშემწის თანხლებით მხედრული ნაბიჯით შეაღო საპირფარეშოს კარი, საიდანაც ჯერ თვალის ამწველი სუნი ეცათ, შემდგ კი თითონაც ზუსტად გააოჩიეს ჩაცუცქული თომა, მწარედ რომ იჭინთებოდა და შემოღებულ კარისკენ საწყლად რომ იხედებოდა.

— უმკურნალეთ, დიზენტერიის ეპიდემია არ შეჰყაროს მთელ ციხეს ამ წყეულმა! — დაიხვიხვინა ცხვირზე ხელმოჭერილმა ციხის უფროსმა და ორთავე ზედამხედველმა,—გადამბარებელმა და ჩამბარებელმაც, ტკბილად ჩაისუნთქეს შმორის სუნი.

— ჭექა-ქუხილმა გადაიღო! — ამოიფუჩუნა ხუმარა ზედამხედველმა.

— ღმერთმა იცის, კიდევ როდის დაიქუხებს! — ამოაბოყინა მყვირალა ზედამხედველმა.

შემდეგ თომამ სთხოვა ციხის უფროსს, რომ ავადმყოფობის გამო ნება დაერთო ზედამხედველებისათვის დღისით თუ ღამით გაეშვათ საპირფარეშოში. უფროსმა ექიმს აზრი ჰკითხა, რომელმაც ციხის საავადმყოფოში გადაყვანა ურჩია, მაგრამ ციხის უფროსი არ დაეთანხმა — „გაიქცევაო!“ ისევ საგანგებო საკანში დატოვება არჩია, მაგრამ საპირფარეშოში სირბილს მაინც შეურიგდა. ამის შემდეგ, როცა ყოველ დილით ტუსაღების გადათვლას იწყებდნენ, შეეჩვივნენ, რომ თომა აუცილებლად ფეხსადგილში იჯდებოდა, და გაუსინჯავად აღნიშნავდნენ სიაში — „არის!“

მერე ბუდუმ ბარათი შეუგზავნა თომას:

— განცხადება გაუგზავნე გუბერნატორს. მეფის კანონის ძალით, გამოძიებაში მყოფი ტუსაღის რკინის ბორკილებში ყოლა არ შეიძლება!

თომამ გაუგზავნა, მაგრამ გუბერნატორმა უკან გამოუგზავნა საკუთარი ხელის წაწერილით:

„მეფის კანონის საგანგებო განმარტების ძალით უფლება მაქვს ბორკილებში ვამყოფოთ“.

მაშინ ტიტე და ბუდუმ გადაწყვიტეს ბორკილების რგოლის შემაერთებელი მოქლონების შეცვლა ხრახნებით. თომას დაავალეს ეგრეთ გამოეგზავნა ბოქლომის მოდელი. ბუდუმ იმ ზომაზე ხრახ-

ნებიანი მოქლონი დაამზადებინა და ილიას ხელით შეუგზავნა. წერილში წერდნენ:

„ილია თავისი მორიგეობის დროს ციხის სახელოსნოში შესვლას მოგიხერხებს, ბორკილების შემაერთებელი მოქლონები გატეხე, ხრახნებით შესცვალე და ისევ გაიკეთე“.

ამის შემდეგ ტიტემ ილას ხელით ფუთა შეუგზავნა თომას, მასში ციხის ზედამხედველის ქუდი და საზაფხულო ხალათი იყო, გაქცევის დღეც ეწერა.

ახლა საჭირო იყო თომას პირადად ნახვა.

ბუდუ მდივანს ისეთი გარეგნობა ჰქონდა, რომ ყველა ადვილად იხსომებდა. ტიტე კი ქერა იყო და თუ წვერულვაშს შეიღებავდა, კაცი ვერ იცნობდა. თუმცა ციხიდან გაქცეულ ტიტეს უფრო ეძებდნენ, ვინემ ბუდუ მდივანს, ამიტომ გადაწყვიტა ტიტემ თავად წერეთლის პასპორტით წარდგენოდა ციხის უფროსს.

ციხეში ამ დროს იჯდა სოციალ-დემოკრატი სიმონ ჟღენტი, რომელიც პოლიტიკური პატიმრების მამასახლისად დაესვათ და თავისუფალი მიმოსვლის უფლება ჰქონდა ციხის ყველა კუთხეში.

ტიტემ სიმონს მისწერა, რომ ვითომდა მის დასთან ერთად შევიდოდა ციხეში. ტიტემ თან გაიყოლა ქუთაისელი რევოლუციონერი ფუცუ დგებუაძე, როგორც სიმონ ჟღენტის დაიკო. თანაც ისე მოაწყეს, რომ ილია ზედამხედველს სწორედ იმ დროს თომა უნდა გაეყვანა საპირფარეშოში.

თავად წერეთლის, პოლიტიკურების მამასახლისის სიმონ ჟღენტის და მისი დის საუბარს ციხის უფროსიც ესწრებოდა. გზად ჩავლილი თომა ციხის უფროსს მიესალმა, წერეთელს კი ვითომც არც სცნობდა, ზედაც არ შეხედა.

— ვინ არის ეგ ტუსაღი, პოლიტიკურია? — სხვათა შორის ჰკითხა ტიტემ ჟღენტს ციხის უფროსის გასაგონად.

— საშიში დამნაშავეა, — სოციალ-დემოკრატი, ანარქისტი და ტერორისტი, — ყველა ჯურის ჭირი სჭირს, მაგრამ ისე არაფერს შეუწუხებია თავის სიცოცხლეში, როგორც ახლა ფაღარათს... ხა-ხა-ხა! — ბრიყვულად გადაიხარხარა ციხის უფროსმა და მანდილოსანს ბოდიში მოუხადა.

— პარდონ, მადმუაზელ! უღირსი კაცის მოკლე ბიოგრაფია გაგაცანით, მაგრამ ამით დამთავრდება მისი სეირნობა ამ ქვეყანაზე.

თავადი წერეთელი აიმრიზა:

— მერე, როგორ აჩერებს თქვენი ბრწყინვალება ასეთ უწესო კაცს პოლიტიკურების გვერდით?!.. სიმონ რატომ პროტესტს არ აცხადებთ?!

— ცდებით, თქვენო ბრწყინვალებავ. ეს ერთი კაცი პოლიტიკურების მთელ საერთო საკანზე უფრო მეტ თავსაცემს მიხდის. გენერალ-გუბერნატორი მავალებს ყოველი დილის თორმეტ საათზე პირადად გავუკეთო ვიზიტი. გვეშინიან არ გაგვექცეს!..

— აზვიადებთ, ბატონო, დიდად აზვიადებთ, ასე მგონია მე! — დაამშვიდა თავადმა წერეთელმა, ამ დროს საპირფარეშოდან უკან ჩამოვლილმა თომამ პოლიტიკური პატიმრების მამასახლისს ხელი ჩამოართვა. ჟღენტმა წერეთლის წელანდელი ცნობისმოყვარეობა გაიხსენა და გააცნო. შემდეგ თომას გასაგონად წერეთელს უთხრა, — ბესარიონ შენგელიასთან მისულიყო და მოკითხვა გადაეცა. თომაც ჟღენტს ელაპარაკებოდა, მაგრამ ტიტეს ახვედრებდა — „ყველაფერი დაიხსომე". მერე პოლიტიკურების მამასახლისს გამოემშვიდობა, განსაკუთრებული თავაზიანობით დაუხარა თავი ციხის უფროსს, მაგრამ მოულოდნელად მუცელზე ხელი იტაცა და ისევ საპირფარეშოსაკენ გაიქცა. ილია ზედამხედველიც ფიცხლად უკან დაედევნა.

თავად წერეთლის ამ ვიზიტის შემდეგ სამი დღე გავიდა. ილია მორიგეობდა. გვიან ღამით ყველა ზედამხედველი ჩვეულებრივ ილიასთან შეგროვდა სამუსაიფოდ. სხვა დროს ილია ხალისით ჰყვებოდა, ახლა კი ჩანაფიქრი გეგმა ეშლებოდა. თავი მოიმთვრალა, გინება ასტეხა და ციხის გასაღებების შეკვრით თანამოსამსახურეებს დაერია:

— გადარევა იცის მთვრალმა ილიამ, გაცლა ჯობია! — და ყველა გაიფანტ-გამოიფანტა, თავ-თავიანთ საყარაულოს დაუდგა.

ალაყაფის კარებს გარეთ ქუჩაში იდგა ჯარისკაცი და ერთი პოლიციელი, რომელიც მხოლოდ ფორმიანებს ატარებდა. ეს პოლიციელი თომას დაჭერის შემდეგ დააყენეს და ყოველდღე იცვლებოდა.

ზედამხედველმა ილიამ სამმანეთიანი მისცა, ტუჩზე თითი მიიდო და უთხრა:

— ვერ მატყობ, შექეიფიანებული ვარ! წადი, ერთი ბოთლი

არაყი მობიტანე. დარჩენილი ხურდა, ორი მანეთი და სამ- აბანი, შენი იყოს.

პოლიციელი ხელად გასხლტა, ცამეტაბაზიანი ფრთები გამოისხა.

მერე ილია თომას საკანთან მ-ვიდა და ანიშნა მომზადებულიყო. თომამ საბანშივე შეიძრო ხრახნებიანი ბორკილები, გადაიცვა ციხის ზედამხედველის ხალათი, ჩაიცვა ჩექმები, დაიხურა ფორმის ქუდი, ბორკ-ლები ხელსახოცში შეკრა და ახალ ნიშანს დაელოდა.

ილიამ საკანის კარი გახსნა, ციხის დერეფანში გატარებულ თომას ჯერ აეფარა, მერე წინ გაუშვა, ზურგით მიეფარა და უთხრა:

— გასწი!..

თომა დინჯად გამოვიდა ციხის ზედამხედველის იერით. დაინახა კი, როგორ მორბოდა უკან არყის ბოთლით პოლიციელი, მოერიდა და დათქმული მიმართთით წავიდა: ქართული სახალხო სახლის შენობაში, სადაც ბაქოს ქართული დრამატიული დასი წარმოდგენებს მართავდა, ბესარიონ შენგელია, ტიტე და ბუდუ ელოდნენ.

ტიტეს ხელში საათი ეჭირა და სულწასულად უცდ-და. ოთხი საათი შესრულდა, აი თომაც გამოჩნდა. ერთმანეთს გადაეხვივნენ და მაშინ იგრძნეს დაღლა.

მერე წვერი გაპარსეს, ძვირფასი ტანსაცმელი ჩააცვეს, ხელში ტროსტი მისცეს და სადგურისკენ ეტლით გაამგზავრეს, ღამით ჩამომდგარი ბაქო-თბილისის ჩქარი მატარებელი მალე უნდა გასულიყო.

. მეორე დღის საღამოს თომა უკვე თბ-ლისში იყო. დილით კი პირდაპირ ბაკურიანის აგარაკზე ამოჰყო თავი ტიტესთან ერთად.

ბაქოში დარჩენილმა ბუდუმ თომას პირადი მდივნობაც გასწია. მისი განცხადება აიღო, გადმოაბრუნა და ბაქოს გენერალ-გუბერნატორის რეზოლუციას თავისი რეზოლუციაც მიუწერა:

„ვერ მოგართვით! ჩვენი რევოლუციის კანონის ძალით უფლება გვაქვს არათუ ბორკილები ავიხსნათ, არამედ სულაც გავიქცეთ ციხიდან!“.

გუბერნატორმა წყრომით წარმოთქვა:

— რაღას დამცინიან, უსინდისოები!..

თომას გაქცევა მეორე დღის თორმეტ საათზე გაიგეს, როცა ციხის უფროსმა. გენერალ-გუბერნატორის მიერ ნაბრძანები წესით პირადად შეამოწმა საშიში პატიმრის საკანში ყოფნა, მაგრამ

ჩვეულებრივ საპირფარეშოშიც არ აღმოჩნდა. ციხეში ალიაქოთი ატყდა. იმ დღის მორიგე-ზედამხედველი დააპატიმრეს და პოლიტიკურებმა სული მოითქვეს. ბოლოს იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ „სანაგვე ყუთს გაჰყვაო“. დააპატიმრეს მენაგვე და ორი პოლიციელი, რომლებიც მენაგვეს აცილებდნენ იმ დღეს. მაგრამ რას გამოსტეხდნენ, თუ თვალითაც არ ენახათ.

ეჭვი ილია-ზედამხედველზეც აიღეს, დაიჭირეს. არ გატყდა და გამოუშვეს, მაგრამ ციხიდან გააგდეს. ცხოვრება გაუჭირდა, ტიტემ დაპირება შეუსრულა. ჯერ საავადმყოფოში მოაწყო სანიტრად, შემდეგ კი მისი შენახვისა და მოვლის მთელი სიმძიმე ბუდუს დააწვა კისერზე.

მოგვანებით, პროკურორმა ჩიქევსკიმ საბრალმდებლო აქტში ჩაწერა გლეხი თომა ამბაკოს ძე ჩუბინიძეზე, რომელიც მეფის მოხელეებს წარუდგა თავად დიმიტრი დავითის ძე მაყაშვილის პასპორტით:

„— 1908 წლის 20 მაისს, დილით, ბაქოში, ადგილობრივი დამცველი პუნქტის მეთვალყურე აკიმოვი, პოლიციის აგენტი ბუში, უბნის მეთვალყურე ესაძე, პოლიციელები — პუზენკო და აგაფონოვი, თანახმად ბაქოს საგუბერნიო ჟანდარმერიის უფროსის დავალებისა, მივიდნენ თურქის ქუჩა 115 სახლში, შვეიცის ქვეშევრდომ დიურფელდის ბინაზე მცხოვრები ხუთი ქართველის გასაჩხრეკად.

აკიმოვმა პოლიციელები ქუჩაში დატოვა, თან გაიყოლა ესაძე, ბუში და შევიდა დიურფელდის ბინაში ეზოდან. აკიმოვმა დიურფელდი იქვე შეისწრო გალერეაში და გაიგო მისგან, რომ მის ბინაში მცხოვრებ ხუთი ქართველიდან სამნი უკვე წასულიყვნენ, ორი კი დარჩენილიყო.

პოლიციის მოხელეები შევიდნენ მეორე ოთახში, რომელიც ქუჩაზე გადიოდა, ორი ქართველი ჩაის სვამდა. აკიმოვმა მოსთხოვა მათ წარედგინათ პასპორტები. წარმოადგინეს ორი ჩაუწერელი პასპორტი, — ერთი ლუკა სევერიანის ძე კორძაიას და მეორე ალექსანდრე ალექსანდრეს ძე მაისურაძის სახელზე.

როდესაც აკიმოვმა განუცხადა, რომ მოახდენს ოთახების ჩხრეკას, მაშინ ერთმა იმათგანმა, რომელიც მაისურაძეს ირქმევდა, მოითხოვა საპირფარეშოში გასვლა, რისი ნებაც მიეცა, ოღონდ ბუში გაჰყვა. მეორემ განაცხადა „მოახდინეთ ჩხრეკაო“.

ესაძე გაჩერდა ფანჯარასთან, აკიმოვი მივიდა ტანისამოსის ჩამოსაკიდებელ ტამბურთან და იქიდან დაიწყო ჩხრეკა. ამ დროს ოთახში დარჩენილი ქართველი მივარდა კამოდთან, გამოიღო უჯრიდან ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი და ყვირილით, ადგილიდან არ დაიძრეთო, დაუწყო სროლა აკიმოვს. მან მოახერხა ოთხჯერ-ხუთჯერ გასროლა ისე, რომ აკიმოვს ერთიც არ მოხვედრია, მაგრამ ამ დროს ეცა ესაძე, მუშტის დაკვრით ხელიდან გაგდებინა ბრაუნინგი და მოხვია ხელი.

ქართველმა მოახერხა ხელიდან გასხლტომა, კვლავ დაეტაკა აკიმოვს და გაიმართა მათ შორის ბრძოლა, რომლის დროსაც ორივენი ლოგინზე გადაიქცნენ. ქართველი ცდილობდა აკიმოვისათვის წაერთმია რევოლვერი, მაგრამ ვერ შესძლო და მოინდომა ხმლის ართმევა. მან თითქმის ამოიღო ხმალი. ამ დროს ოთახში შემოვიდა მეორე ქართველი, მაისურაძედ წოდებული, მაგრამ რევოლვერი კონდახით თავში ჩასცხეს და გასისხლიანებული დაეცა. აკიმოვმაც მოახერხა რევოლვერის ამოღება და სამჯერ ესროლა. ქართველმა აკიმოვს ხელი გაუშვა, აკიმოვმა სამივე ტყვია მოარტყა და იქვე მოკლა. რომელიღაც ტყვიით ბუშიც ფეხში დაიჭრა.

დიურფელდის ჩვენებით, 1907 წლის დეკემბერში მის ბინაზე დაესახლა ორი ქართველი, ერთი მათგანი იყო 1908 წლის 20 მაისს დაჭრილი, რომელიც სერგოს ირქმევდა.

მოკლული ქართველი კი მასთან ბინაზე არ ცხოვრობდა, მაგრამ ხშირად დადიოდა მდგმურებთან. ზოგჯერ რჩებოდა ღამითაც. კარადა, რომელშიც იპოვეს ყუმბარები, მოიტანა სერგომ. რას აკეთებდნენ მდგმურები, დიურფელდმა არ იცის.

20 მაისს ჩხრეკის დროს მოკლული ქართველი, რომელიც ირქმევდა ლუკა კორძაიას, ნამდვილად აღმოჩნდა ივანე ნიკოლოზის ძე ინწკირველი, ხოლო სახელი და გვარი იმ ქართველისა, რომელიც მაშინ ალექსანდრე მაისურაძეს უწოდებდა თავის თავს, ვერ გამოვარკვიეთ.

1915 წლის თებერვალში თბილისის ოლქის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსმა აცნობა თბილისის საოლქო სასამართლოს, რომ გორის ხაზინაში ხვრელის გაკეთებისათვის სასჯელმისჯილი, რომელიც თავის თავს უწოდებდა დიმიტრი დავითის ძე მაყაშვილს, აღმოჩნდა ის ქართველი, რომელიც 1908 წელს ბაქოს ციხიდან გაიქცა 29 ივლისს.

თბილისში შესამჩნევად მინელდა არალეგალური მუშაობა.

მენშევიკები გატაცებული იყვნენ მხოლოდ სახელმწიფო საათპიროთი და თავიანთი ლეგალური გაზეთით. ბოლშევიკური ფრაქცია დიდ მატერიალურ სივიწროვეს განიცდიდა. ყველაზე გაბედული „ექსების“ მონაწილენი დაპატიმრებული იყვნენ: ვანო კალანდაძე სარატოვის ციხეში გარდაიცვალა, ელისო ლომინაძემ კატორღა მოითავა და შინ აღესრულა. ილიკო ჭაჭიაშვილი მეტეხში ყურის ანთებას გადაჰყვა. სტეპკო ინწკირველი ბაქოში მოკლეს, კოჯრის გზაზე ფოსტაზე დაცემის მონაწილე დათიკო ჭიაბრიშვილმა ორიოლის ციხეში დალია სული. ისინი და მათი ტოლები, ნამდვილი ლომები, — ახლა უკვე აღარ იყვნენ. იმათი განთავისუფლება თავის დროზე, როგორც ეს თომა ჩუბინიძეს მოუწყეს, ვეღარავინ შესძლო. არა მარტო იმის გამო, რომ გამოცდილი და თავდადებული ძალები აღარ ჰყავდათ, არა! — ტექნიკური საშუალებების შესაძენი თანხებიც არ გააჩნდათ. უსახსრობა ისეთსავე მტრად დაუდგათ, როგორც პოლიტიკური რეჟიმიც. მართალია, საზღვარგარეთის „ვპერიოდელების“ წრემ შვიდი ათასი მანეთი გადმოუგზავნა თბილისის ორგანიზაციას, მაგრამ უკვე გვიან იყო. საჭირო გახდა თითო-ოროლა დარჩენილი ძველი „ექსელის“ იმედით უფრო ადვილად გასაკეთებელი საქმეებისათვის მოეკიდათ ხელი.

ტიტემ მიზანში გორის ხაზინა ამოიღო. ხვრელი გაუთხარეს, მაგრამ უკანასკნელ დღეს, როცა სალაროს იატაკს მიადგნენ, გაუგეს და ოთხნი ჩავარდნენ. ერთ იმათგანს ხატულაშვილს ყალბი პასპორტი ჰქონდა ეზეკია კახიანის სახელზე. მაგრამ იმავე ეზეკია კახიანის ყალბი პასპორტი ამოღაჩნდა ტიტე ცამიწაძის ახალგაზრდა რაზმელ ამბაკო სამნიაშვილსაც.

ვინაიდან გორის ხაზინის საქმეზე ეზეკია კახიანის ორი პასპორტი გამოვლინდა. თბილისელებიც გორის საპატიმროში ჩასვეს გამოსაძიებლად.

ამ საქმეზე ტიტესაც ეძებდნენ. მაგრამ იგი თავზეხელაღებული, გაბედული ჭაბუკი, წერეთლის გვარით გორის გამომძიებელს კაბინეტში ესტუმრა.

— ვინ ბრძანდებით, რისთვის შეწუხებულხართ? — მოულოდ-

ნელობით შეხედა უცხო კაცს, რომლის სახე ვიღაცას ახსენებდა.

სტუმარმა მშვიდად უპასუხა:

— მე თავადი წერეთელი გახლავართ, ბატონო გამომძიებელო! კეთილ საქმეზე გაწუხებთ... თბილისიდან გადმოვზავნილი ეზეკია კახიანი ჩემი ბიძაშვილია. დამნაშავე არაა მაგი. გთხოვთ გაუშვათ.

— როგორ თუ არაა დამნაშავე?! მისი პასპორტი ერთ-ერთ მონაწილეს აღმოაჩნდა — მკვახედ უპასუხა გამომძიებელმა.

თავადმა დამცინავად გაიღიმა:

— თქვენ რომ ხვალ თბილისში ჩამობრძანდეთ, თქვენი პასპორტიც ყალბი გამოდგება! გაივსო, ბატონო-ჩემო, თბილისი ყალბი პასპორტებით. ჩემი ნათესავის პასპორტი კი ნამდვილია. მე თვითონ ავუღე ქუთაისის პოლიციის სამმართველოში.

მერე თვალები ოდნავ აუციმციმდა, გაახსენდა, რომ არათუ თვითონ აუღო, საკუთარი ხელითაც შეუვსო, მაგრამ არ მოელოდა, რომ ტყუპი პასპორტი ერთ საქმეზე ამოტივტივდებოდა. გამომძიებელი დაკვირვებით უსმენდა:

— საკვირველია, მე თქვენი ნიშნების კაცს ვეძებ ამ საქმეზე!..

— იმედი მაქვს მე არ ვიქნები! — მშვიდი და დამცინავი მედიდურობით შეუბრუნა წერეთელმა და კარიც გაიღო.

—ოჰ, ამას ვის ხედავს ჩემი თვალები!.. თავადი წერეთელი ჩამობრძანებულა, ჩემი ნათესავი! — ახარხარდა სიხარულისაგან გორში მცხოვრები ვეება ტანის წერეთელი, ხეტყის სახერხი ქარხნის მეპატრონე, და მოგვარეს გადაეხვია.

„სულზე მომისწრო“ — გაეხარდა ტიტესაც „ნათესავის“ ნახვა და კმაყოფილი დარჩა, რომ გორელმა „თანამოგვარემაც“ კარგად გაითამაშა წინასწარი დარიგება.

— რასაც გთხოვს, უარი არ უთხრა, თუ ჩემი მეგობარი ხარ! — მიმართა შემოსულმა წერეთელმა გამომძიებელ კუდაძეს.

— რახან ასეა, დავეხმარები... მაგრამ, შესაძლოა, მაზრის უფროსმა არ გაუშვას, — შეინაღვლიანა სახე გამომძიებელმა კუდაძემ.

ტიტემ შემთხვევა არ გაუშვა.

— თქვენ, ჩემო ბატონო, გაათავისუფლეთ, იმასთან მე გავაწყობ საქმეს, ჩემი მეგობრის სიმამრია.

რა გაეწყობოდა, გამომძიებელმა იქვე დაწერა განთავისუფლე-

ბის ქალალდი და მადლიერმა ორივე წერეთელმა გორის ციხისაკენ გაეწიეს.

ციხის უფროსმა მაზრის უფროსს აცნობა: როგორ მოვიქცეო?

— დროებით მყავს დაკავებული. ცოტა ხანს კიდევ იყოს!

ტიტე და მისი მხსნელი წერეთელი ახლა მაზრის უფროსს ეწვივნენ. სამმა თავადმა ერთმანეთი პატივისცემით მოიკითხეს და მაზრის უფროსმა ორივეს მოუბოდიშა:

— ფიქრი ნუ გაქვთ, მალე გავათავისუფლებთ. მაგრამ ფოთშიც აღმოჩნდა კიდევ ერთი ეზეკია კახიანი. იქიდან დეპეშას ველოდები... გავიგებთ, რომელია ამ სამში ნამდვილი კახიანი, თქვენი ნათესავი თუ ის, რომელიც ფოთში არის.

ტიტეს გაეკრეოლა, მაგრამ მადლობით უპასუხა:

— დეპეშის მოსვლამდე დავიცდი, თქვენო ბრწყინვალებავ, როცა თქვენ დარწმუნდებით ჩემი ნათესავის სიმართლეში, გაუშვით და თან წავიყვან.

— დიდი სიამოვნებით! — უპასუხა მაზრის უფროსმა.

ტიტე მიხვდა, საქმე ცუდად იყო. გორის სადგურს მიაშურა და სატვირთო მატარებლით თბილისს გამოსწია... გზად მოაგონდა: თავისი ამხანაგი ნიკიფორე ცინცაძე ჯარიდან იყო გაქცეული და შემდეგ შინაური მდგომარეობის გამო თავი დაიხრჩო მტკვარში. ძისი გვამი ვერ იპოვეს, გაქრა კაცი „იქნებ სჯობდეს ამბაკო სამნიაშვილი იმ ნიკიფორე დამხრჩვალად გავასაღოთ“, — გაიფიქრა და თბილისიდან გორის ციხეში თავისი ხელით დაწერილი ბარათი გაუგზავნა, რომელშიც ნიკიფორეს ძმის სახელით სწერდა:

„ძვირფასო ძმაო ნიკიფორე!

მოგიკითხავ ძმური სიყვარულით. ძმაო, რატომ იღუპავ თავს ციხეში ჯდომით. შენი გულისთვის ჩვენც არ გვაქვს მოსვენება. შენი მტკვარში დახრჩობა მაინც არავის სჯერა. დედაშენი და მამაშენი შენი ჯავრით კვდებიან. თუ კიდევ დიდხანს იქნები ციხეში— ორივე, დედაც და მამაც, მოკვდება შენი ჯავრით. შეიცოდე მოხუცი დედ-მამა, გამოტყდი, ვინც ხარ, სთქვი, რომ ნიკიფორე ცინცაძე ხარ, და რა იქნება, — სალდათად გაგაგზავნიან, მეტს რას გიზამენ! თუ არ მოგეწონება სალდათობა, მერე გაიქეცი, შე კაცო! ისე, რა გიჭირს, იმსახურე პაწა და მერე ჩამოხვალ სახლში თავისუფლად, გაახარე შენი დედ-მამა.

შენი კეთილის მსურველი ძმა შალვა ცინცაძე.

ჩანაფიქრი სწორი იყო: ამბაკო სამნიაშვილს, ყალბი პასპორტით რომ ეზეკია კახიანად დაიჭირეს, თუ ნიკიფორე ცინცაძეობას დაუჯერებდნენ, ჯარში წასვლას თავის არიდებას დასწამებდნენ, ბევრი-ბევრი ისევ ჯარში გაგზავნიდნენ, სამაგიეროდ „ექსობის“ ბრალდებას გადარჩებოდა. გორის ციხეში მიღებული დაჭმეჭნული წერილი ციხის უფროსს განგებ ხელში ჩაუგდეს და გაბარებულმა მაზრის უფროსს მოახსენა. იმასაც ძლიერ ეამა, რომ თავად წერეთლის თხოვნას კარგი პირი უდგებოდა, მაშინვე ციხეში ეტლით მიქანდა და კახიანს გამოუძახა:

— გვითხარი, ვინ ხარ? ჩვენ კი ვიცით, ვინც ხართ, მაგრამ შენ თუ იტყვი, უკეთესია!..

— მე, ბატონო, კახიანი ვარ.

— ნუ სცრუობ! კახიანი კი არა, ნიკიფორე ცინცაძე ხარ, სალდათობას გაქცეული! — გაუბრაზდა მაზრის უფროსი.

ამბაკო მოულოდნელობისაგან შეცბა და ერთი საათის ურჩობის შემდეგ როგორც იქნა გატყდა:

— მაპატიეთ, ბატონო, კი ვარ ნიკიფორე ცინცაძე.

მაზრის უფროსმა მაინც გაუგზავნა სოფელში ნიკიფორე ცინცაძეზე დეპეშა, შემატყობინეთ, არის თუ არა ასეთი კაცი.

იქაურმა ბოქაულმა სოფლის მამასახლისი დაიბარა და ჰკითხა:

— ნიკიფორე ცინცაძე თუ ემალებოდა სალდათობას?

— კი, ემალებოდა, ბატონო, მარა ის კაცი დაიხრჩო.

— გაჩუმდი! დეზერტირს მალავ. ციმბირში ამოგაყოფინებ თავს!..

— მაპატიეთ, ბატონო!. — ხმა გაიკმინდა მამასახლისმა და ბოქაულმაც გორის მაზრის უფროსს გაუგზავნა ნიკიფორე ცინცაძის ჯარიდან გაქცევის დამადასტურებელი დეპეშა. ასეთი პასუხის მიღებით კმაყოფილმა მაზრის უფროსმა „დეზერტირი“ ნიკიფორე ცინცაძე თავისი ფეხით გააგდო ბათუმში, რომ იქიდან ჯარში ეკრათ თავი. მაგრამ ამბაკო ბათუმამდე არც ჩავიდა, თბილისშივე გამობრუნდა და თავის მხსნელ ორგანიზაციას მიაშურა.

ორძირა ჩემოდანი

იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტმა ქავთარაძესა და მდივანს დაავალა გატაცებული სახაზინო ფულის ქუთაისიდან გატანა. ადგილზე გადახურდავება არ შეიძლებოდა, მსხვილი ფული იყო,

ხელ ხუთას-ხუთას მანეთიანი „პეტროვკები“ და ასასიანი „ეკატერინკები“.

ქავთარაძემ ადილხანოვის მაღაზიაში შეიგულა ორძირიანი ჩემოდანი, მაგრამ ისე, თითქოს არც იცოდა, რას ყიდულობდა. მერე ქუთაისიდან ხონში ჩავიდა, სანდო მეეტლე ნახა და მიესალმა:

— გამარჯობა, კოსტაია!

— ღმერთმა მშვიდობა და გამარჯვება ბოგცეთ, ჩემო ბატონო!..

— წამიყვანე, თუ კაცი ხარ...

— დაბრძანდით, ჩიტივით გაგაფრენთ.

— არა, ნელა იარე კოსტა, სალაპარაკო მაქვს.

— მართალს ბრძანებთ, ბატონო. რა მეჩქარება. ნამეტანი მაკლდა თქვენი განათლებული თავი. ცხოვრებისა და დროების ამბავს თქვენზე უკეთ ვინ მეტყვის, ჩემო ბატონო.

— ახლა მე მჭირდება შენი თავი, კოსტა.

— დაგენაცვლოს, კოსტა, მიბრძანეთ და შესრულდება.

— დასვენებული წყვილი შეაბი, მოდი იქ, სადაც გეტყვი.

ქავთარაძე ისევ ქუთაისში დაბრუნდა. ბუდუც გაიყოლა და ლადო მესხიშვილს ესტუმრნენ, კვიცარიძის ორმოდან ამოღებული ფულის ტომარა ადილხანოვის ჩემოდანში ჩადეს და სასოფლო-სამეურნეო სკოლის შენობაში მივიდნენ, ქუთაისელები რომ „ფერმას“ უწოდებდნენ. იქ ნაცნობი მასწავლებელი მონახეს და დიდად გაახარეს სტუმრობით. მასპინძელმა სხვა ორი უცნობი მასწავლებელიც დაუპატიჟა და ისეთი სუფრა გაუწყო, ისეთი სადღეგრძელოები გადააბა, რომ ბუდუსაც კი დაუკარგა მჭევრმეტყველების მადა. დრო გადიოდა, შუაღამე გადავიდა. ფული კი საიდუმლოძირიან ჩემოდანში ჩაუკერებელი რჩებოდათ.

— მოისვენეთ, ბატონებო! — და მასპინძელმა ცალკე ოთახში გაუშალა.

ორიოდე წუთს წავუძინებთ, თვალის მოსატყუებლად, ადრიან სადგურზე უნდა მივუსწროთ ფოთის მატარებელს.

როგორც კი მასპინძელმა ძილი ნებისა უსურვა და კარი გაიხურა, ბუდუმ ორძირიანი ჩემოდანი გატაცებული ფულის კუპონებით აავსო და ის იყო ნემსში ძაფი გაუყარა მორღვეული სარჩულის გააკერად, რომ ლამფაში ნავთმა იკლო, ჯერ აბჟუტდა, მერე პატრუქს ნაპერწკლები მოეკიდა და ბოლოს სულაც ჩაქრა.

— მასპინძელს გავაღვიძებ! — ჩაუფეჩუნა ყურში ბუდუმ.

— ნავთი ჩამისხიო, გინდა უთხრა? — დასცინა სერგომ.

— აპა, ამ უკუნით სიბნელეში თითით გავკერო?!

— ჩემზე მაღალი ხარ, ბუდუ. სკოლის კართან, ქუჩის ფანარი კიდია. ასწვდები!

რა გზა იყო, ასწვდა. ფაოხიდან ლაბფა გამოიღო, ხელმოთარებით ოთახში შეიტანა, ძაფგაყრილი ნემსით ადელხანოვის აიდუმლო ძირიანი ჩემოდანის მორღვეული სარჩულები გაკეთა, ზედოდან თეთრეული დააფარეს და კმაყოფილმა, რომ ყველაფერმა მშვიდად ჩაიარა, ლამფას ჩაუწია;

— არ ჩააქრო, ბუდუ! შედგი ისევ ფარანში, თორემ ძებნას დაიწყებენ, დაეჭვდებიან.

— კაი, აბა! — და ბუდუმ ისევ ხელისგული მოაფარა ლამფას, ფრთხილად გაიტანა, სკოლის კარების წინ ბოძზე აბობღდა, ცალი ხელით ფარანს შესწვდა, მეორეთი ანთებული ლამფა შესდგა, მაგრამ ორივე ხელი დაუსხლტა, ჩამოვარდა და ფეხი იღრძო. მერე კოჭლობით ისევ ბნელ ოთახში შევიდა, სერგოს ჩემოდანი აჰკიდა და ატკიებული ფეხით უკან გაჰყვა.

რიონის ნაპირით მიდიოდნენ.

გზად ცხენოსნები შემოეყარნენ.

— გამომართვი ჩემოდანი! — გაუწოდა სერგომ.

ბუდუმ ნხარზე შეიგდო და უფრო აკოჭლდა.

— ვინა ხართ, სად მიდიხართ? — შეუბღვირა გოროზი ხმით ნასვამმა კაზაკმა.

— ფერმის მასწავლებელი ვარ! ეს კი ჩემი სკოლის კოჭლი დარაჯია, გაგეგონოთ იქნებ... სადგურზე მიმაცილებს, — ამოღერღა სერგომ და მეტი სიმშვიდისათვის პაპიროსის კოლოფი გაუწოდა ცხენშეტორღიალებულ კაზაკს.

— მოსწიეთ და მეც ბომიკიდეთ გეთაყვა, ასანთი შინ დამრჩენია.

მთვრალმა კაზაკმა კოლოფი ჩოხის უბეში ჩაიდო, სერგომ კი თავაზიანად დაატანა:

— ინებეთ, ინებეთ! — მე სადგურშიც ვიყიდი, ასანთსაც! — დაამშვიდა კაზაკები და როცა ცხენოსნები უმადურად გატრიალდნენ, თავად დიდის მადლიერებით ამოისუნთქა. „ხომ შეეძლოთ კოლოფთან ერთად ჩემოდანიც მიეტაცნათ!“ — გაუელვა სერგოს. მაგრამ ამით თავის თავსაც დაღუპავდნენ, რადგან შიგ ნანახი ფუ-

ლით დაფეთებულები კაპიკსაც ვერ დაიტოვებდნენ, არადა, დარდით დაბბლა დაეცემოდათ: ვერც ჩემოდანის მოტაცებას გაამხელდნენ: კაზაკების ავაზაკობის ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთი იქნებოდა და შესაძლოა რიონის თბილი ნაპირიდან ცივ ციმბირშიც მოხვედრილიყვნენ.

ათიოდე წუთის შემდეგ გენძეხაძის დუქანთან იყვნენ, „ფერმის“ კოჭლი დარაჯი კრუსუნით მოარწევდა მხარზე მოკიდებულ ჩემოდანს. კოსტა მეეტლემ შორიდანვე შენიშნა და დასახმარებლად გამოემართა.

— როგორაა საქმე, კოსტა?

— უკეთესი არ შეიძლება, ბატონო! წუხელ მოვედი, ცხენები ვაძოვე, დავასვენე. აწი ეშმაკიც ვერ დამეწევა..

— ახლა ხონში მივდივართ, კოსტა. გზად ჩემოდანს ქუთაისის ქუჩაზე დავტოვებ. ხვალ ღამით კი თბილისის მატარებელზე მომიტან, ფოთიდან რომ მოდის.

— სამტრედიის სადგურზე?

—არა... იანეთის გაჩერებაზე, იქვე ახლოს დაგელოდები, დიდი წისქვილი რომ არის მაჩაბლის... იცი, ალბათ?

— რავა არა, ბატონო!.. ვიჩქაროთ, ღამე ღრუბლიანია, გზაც დანგრეული.

ღამით უკვე წისქვილთან იყვნენ. გლეხები ალიხანოვზე ლაპარაკობდნენ:

— ლეკი ყოფილა თურმე.

— აგვაწიოკა კი იმ შეჩვენებულმა.

— მარტო ჩვენ? მთელი გუბერნია!..

— რას გვერჩის ეგ ურჯულო?

— ერთგულებას უმტკიცებს ქრისტიან მეფეს.

— კრიმ-გირეიც თათარია, მეფის მსახური, მარა შაქარივით სიტყვა ამოსდის.

— უარესია!.. ერთმანეთის საქმეს აკეთებენ, — ალიხანა სიკვდილით, კრიმ-გირეი ღიმილით.

— რაც ალხანაა, ის ჩალხანა!

— ორივე სიკვდილის ღირსია.

— რევოლუციონერების ხასიათი რომ ვიცი, არ უწერიათ სიცოცხლე.

— გგონია?!.

— ასე იქნება... ალიხანოვი ფეხებს ვერ გაათრევს... ბოკლავენ.

— რამდენიც არ ეცადნენ, ბუზიც ვერ აუფრინეს.

— ნუ გაქვს მაგის იმედი!..

— რა ვიცი, გადაწვა ქუთაისის გუბერნია. ის კი მუქარაზე ყურსაც არ იბერტყავს. ვინც რა უნდა თქვას, წისქვილმა კი ფქვასო.

— ჩვენი წისქვილი დაფქვავს მისთანებსაც. გრიაზნოვსაც არ უწერია დიდი დღე. ქალაქელი მუშები არ შეარჩენენ ხალხის სისხლს!..

— ღმერთმა შეისმინოს შენი სიტყვა!

— ისმენს და ქეც შეასრულებს!

სერგოსაც მოესმა მატარებლის მოახლოების ხმა. ორთქლმავალმა იწივლა. კოსტან ჩემოდანი შეიტანა ვაგონში და ბუდუ მდივანიც აჰყვა აკოჭლებით.

* * *

დილით თბილისის სადგურზე ჩამოსხდნენ. მებარგულე მოიხმეს. ბაქანზე სიმშვიდე იყო. ეტლში ჩასხდნენ, ერევნის მოედანზე გავიდნენ, მერე ცალ-ცალკე ეტლში გადასხდნენ და ერთსა და იმავე ბინაში მივიდნენ. დაისვენეს, მოწესრიგდნენ და ორივენი ერთად ნოე ჟორდანიასთან წავიდნენ გაზეთ „კვალის“ რედაქციაში.

შუადღე ილეოდა, ნოე სტამბაში ჩასაგზავნ წერილს კითხულობდა, იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტის წარგზავნილების მისვლა დიდად როდი ეამა.

სერგომ კი თავაზიანად მოიკითხა და მერე გაუბა:

— მძიმე მდგომარეობაა ქუთაისის გუბერნიაში! — გააგონა ნოეს უკვე ადრეც გაგონილი და ბუდუმაც დააყოლა:

— ბევრად გაგვიადვილდება მუშაობა, თქვენი მიმდევრები რომ არ გვიშლიდნენ!

— რას გიშავებთ ნეტა?! — შეიცხადა ჟორდანიამ.

— ხალხი შეიარაღებას ითხოვს, თქვენები კი აშინებენ. — ნუ იზამთ ამასო!..

— სწორადაც იქცევიან!.. რას მისცემთ შეიარაღება?.. ჯერჯერობით მხოლოდ თავს აგებენ: ქუთაისის გუბერნია, ისე როგორც

ბილისის გუბერნიაც. ჯერ მზად არაა შეიარაღებული აჯანყებისათვის.

— მზადაც არის და შეიარაღდა კიდეც. მაგრამ არ შეიძლება სოციალ-დემოკრატების ერთი ხაწილი ბრძოლისაკენ მოვუწოდებდეთ. მეორე ნაწილი კი გზას უღობავდეთ.

— მე ვერა ვხედავ რევოლუციის გამარჯვების პერსპექტივას. სანამ მთავარ დამკვრელ ძალად არ მოვამზადეთ ეროვნულ ბურჟუაზიას! — გაბრაზდა ნოემ.

— რიგორ, მუშა კლასს სათვალავში არ აგდებთ?

— არა!

— გლეხობას?

— არც გლეხობას.

— ჩვენს ფრაქციას კი სჯერა — რევოლუციის მამოძრავებელი პროლეტარიატია, გლეხობასთან კავშირში.

ჟორდანიამ წასაკითხი მასალა გვერდზე გადადო და თავისი აზრის განსამარტავად მოეწყო, სავარძლის ზურგს მიეყრდნო და ხატოვნად წარმოთქვა:

— ამ სავარძელს ერთი ზურგი აქვს. მაგრამ სამედო. სამფეხა სკამი კი უნალ გადაყირავდება, როგორც კი კაცი რომელიმე მხარეს გადაიხრება. არადა, გაშეშებულად ჯდომით პროლეტარიატიც შეეფარებანდება იმის გამო, რომ ზურგი არა აქვს მყარი. პროლეტარიატი სუსტია, ვერ გახდება რევოლუციის ბელადი. გლეხობა კი სულაც ჩამორჩენილია, ვერ მიჰყვება ბოლომდე მუშათა კლასს... გამოდის, რომ პროლეტარიატისა და გლეხობის შეკავშირება ეროვნული ბურჟუაზიის გარეყვით ფუჭი ფიქრია. რაც არ უნდა შეიარაღდნენ და ბომბიც ისროლონ! — გადმოფინა ნოემ თავისი პროგრამა.

— დიდად ცდებით, გლეხობა მუშათა კლასს მისდევს! პროლეტარიატს კი მხოლოდ სამხედრო შეიარაღება აკლია. საამისო ფულიც შევაგროვეთ.. უფრო მეტსაც შევაგროვებთ!—გაანდო ბოლშევიკთა ფრაქციის გადაწყვეტილება სერგო ქავთარაძემ.

— რითი აპირებთ, ყმაწვილო? პროკლამაციით ხომ არა, თქვენმა გაზეთმა „პროლეტარიატის ბრძოლამაც“ რომ ხალისით გადაბეჭდა? — მწარედ გასცინა მენშევიკების ფრაქციის მეთაურმა.

— დიახ, პროკლამაციითაც. ასეთი მოწოდებაც ბევრს გვაძლევს.

ნოემ უნდილად გადმოიღო თაროდან ბოლშევიკების მოწოდების ფურცელი „საზოგადოებისადმი!“ და დამამცირებლად დამარცვლა მშვიდი, დასანანი ინტონაციით:

„ცარიელი ხელებით ბრძოლის პერიოდი წარსულს ჩაბარდა. საჭიროა თოფები, რევოლვერები, ყუმბარები, სხვა ფეთქებადი ნივთიერებანი“, — ამას აღიარებთ და არც ფიქრდებით, საიდან ყოველივე ეს, როცა არა გაქვთ რა, პროლეტარიატს კი ცარიელი ხელებით ბრძოლის ველზე სტოვებთ!..

ბუდუ გაფიცხდა:

— მაგ მოწოდებაში სხვაც წერია:

„პროლეტარიატი იღებს თავის წვლილს. ძვირად ღირებული შეიარაღების საქმისათვის ხშირად უკანასკნელ ლუკმა პურს იძლევა, ათასმანეთობით აგროვებს. თქვენ გულგრილად ვერ მოეპყრობით ამ საქმეს. იგი ვერაა დიადი ქვეყნის მოქალაქე, ვინც სიცოცხლეს, უკიდურეს შემთხვევაში ქონებას არ სწირავს სამშობლოს კეთილდღეობისათვის!“.

„კვალის“ რედაქტორზე ღრმა კვალი დატოვა ბოლშევიკური ფრაქციის მოწოდების ამ სიტყვებმა, მაგრამ სიტყვა რის სიტყვაა, თუ მას საწინააღმდეგო არ მოენახა, და ჟორდანიამაც ნაცად ხერხს მიმართა, ისევ სარედაქციო სკამის მაღალ ზურგს მიეყრდნო, თავი ასწია, მხრები აიჩეჩა, თვალები მოხუჭა და დაიწყო:

— მერმე, სადაა ასეთი დიადი მოქალაქეები, ვინც თავის ქონებას გაიღებს რევოლუციის მოსახდენად? ღარიბი ქართველი ვლეხი? ამის იმედით გინდათ მოაწყოთ შეიარაღებული აჯანყება?

ისევ წამოიხარა, ქავთარაძესა და ბუდუს თითოეულს ცალ-ცალკე შეხედა და ლამის შეევედრა:

— ნუ ჩაიდენთ ამას!.. აკალეთ რევოლუციას თავისით მომწიფდეს.

— ვისი იმედით? — გადაკითხა ბუდუმ.

— სთხოვეთ ქართველ ბურჟუაზიას მალე მოღონიერდეს და ითავოს სოციალური რევოლუციის მოწყობა ევოლუციური გზით.

ასეთმა გზამ სერგო ფეხზე წამოახტუნა:

— არ გამოვა მასე!.. ბოლშევიკების ფრაქციამ უკვე გაგცათ პასუხი მაგ კითხვაზე. მოწოდებაში „საზოგადოებისადმი“, რომელსაც გაზეთ „პროლეტარიატის ბრძოლამაც“ მხარი დაუჭირა, თეთრზე შავით წერია:

„ჩვენ, კავკასიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციების ცენტრალური სამხედრო-ტექნიკური კომისია, მოგიწოდებთ, თქვენ მოქალაქენო, თქვენზე დამოკიდებული ყველა საშუალებით ემსახუროთ რუსეთის დიდი რევოლუციის საქმეს და უწინარეს ყოვლისა მოსახლეობის შეიარაღების საქმეს, რაც ჩვენი ორგანიზაციის მიზანს შეადგენს“.

ჟორდანიამ მწარე სიცილით შეუბრუნა:

— კი გაგვცა პასუხი, მაგრამ თუ შემოგვივიდათ პარტიის სალაროში სასურველი და საჭირო რაოდენობის თანხა, გარდა სიტყვიერი მზადყოფნისა.

— ძალიანაც ბევრი ათასი! გარდა ამისა, ჩვენი რაზმები უშედეგოდ როდი ესხმიან სახაზინო ფოსტას, ახლაც გავიტაცეთ ორასი ათასი.

— ორასი? — გაიკვირვა ნოემ.

— უფრო ზუსტად თუ გნებავთ — 201 632 მანეთი და 56 კაპიკი. როგორც ხედავთ, ფული გვაქვს!.. საჭიროა მხოლოდ მისი უცხოეთში გატანა და მთელი ამ თანხით იარაღის შემოტანა.

ნოე აილეწა:

— ორას ათას მანეთზე მეტი გაიტაცეთ?!

— დიახ! თქვენი ფრაქციის დაუხმარებლად! ახლა ერთსა გთხოვთ მხოლოდ, — დაგვეხმარეთ, ერთმანეთის ძალების შეერთებით შევისყიდოთ საზღვარგარეთ იარაღი — სწორედ ის, რაც ჩვენს პროკლამაციაში წერია, — თოფები, ყუმბარები, რევოლვერები, ფეთქებადი ნივთიერებანი...

— ჟორდანია აიძღვრა, სახე შეეცვალა, გუნება გაუფუჭდა და მოსაყვედურედ იქცა:

— ერთი მიბრძანეთ, ყმაწვილებო, თუ გთხოვათ ჩვენმა ფრაქციამ ასეთი დიდი თანხის ექსპროპრიაცია?

— არა! — მიუგო ბუდუმ.

— თქვენ მაინც თუ გვთხოვეთ ჩვენს ფრაქციას დახმარება ასეთი დიდი რაოდენობის ფულის გატაცებაში?.. რამდენადაც მახსოვს, არა!.. მაშ, რატომღა გინდათ ჩაერიოთ იმ საქმეში, რაზეც გული არ მიგვდის?.. დაგიწყიათ დამოუკიდებლად და თქვენვე დაამთავრეთ!..

გაზეთ „კვალის“ რედაქციაში სამთა ლაპარაკი უშედეგოდ დაბ-

თავრდა, მაგრამ ამ უსიამოვნო პასუხმა ცუდი კვალი დააჩნია ერთი პარტიის ორი ფრაქციის ძალების შეერთების საქმეს.

ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲚᲘᲡ ᲙᲣᲞᲔᲨᲘ

სერგო და ბუდუ ცალ-ცალკე შევიდნენ მეორე კლასის ვაგონში. ბუდუმ ჩემოდანი თაროზე შედგა.

კუპეში უკვე იჯდა ახალგაზრდა როტმისტრი.

სერგო დაეჭვდა ოფიცრის დანახვაზე. ბუდუს გაეხარდა; მასთან ერთად მგზავრობა პოლიციას თვალს აუხვევდა.

ერთმანეთს წარუდგნენ.

როტმისტრი ნიჟეგოროდელ დრაგუნთა პოლკიდან იყო, რომელიც თბილისში იდგა.

სერგო ქავთარაძე ოდესის უნივერსიტეტის სტუდენტად გაეცნო.

— ვასილ ივანიჩ მგალობლიშვილი!.. პეტერბურგის უნივერსიტეტში გადასასვლელად გიახლებით... ქართველ თავად-აზნაურთა წინამძღოლის აფხაზის რეკომენდაციით.

— ო, თქვენი თავადი მეფე-იმპერატორის ბურჯია საქართველოში. დიდად მოწყალე პროტეჟე გყოლიათ, ყმაწვილო!.. პეტერბურგი გაშლილი ხელებით მოგიღებთ. ახლავე შემიძლია მოგილოცოთ, — თბილად გაეფინა ოცდაათი წლის როტმისტრი ოცი წლის სტუდენტს: რას მიივდებოდა, რომ ახლად გაცნობილი მგზავრი გამოგდებულია ქუთაისის კლასიკური გიმნაზიიდან მეფე-იმპერატორის საწინააღმდეგო ბუნტისათვის. სტუდენტს ავმა ფიქრმა გაკრა. „თუ ჩემი გამგზავრების მიზანი იცის, პეტრეპავლოვსკის ციხე კაზემატიც თბილად ჩამიხუტებს“.

ბუდუ მდივანიც წარუდგა.

— ბათუმელი კომერსანტი თურქეთის ქვეშევრდომი. პეტერბურგს გიახლებით, საქონლის შესასყიდად, გასასყიდადაც.

— ჰმ!.. დაა!.. — უსიამოვნოდ ჩაახველა ოფიცერმა და კომერსანტს თვალი მოაცილა. თუმცა, რა გზა ჰქონდა, უნდა შერიგებოდა ბედს — სამი დღე წინ ედო, უნდა გაეძლო. მისი აღმოსავლური იერი და მოღიღინე აქცენტი აღიზიანებდა.

სტუდენტი სიამოვნებით აჰყვა როტმისტრის საუბარს კავკასიაზე, ფრანგულ და რუსულ ლიტერატურაზე. საქართველოსაც

სცნობდა, სიმპათიას ავლენდა... თურქს კი უბღვერია — „იქნებ ბუდუს ჩემოდანს დაადგა თვალი“, გაიფიქრა სტუდენტმა და ოფიცერმა მოწყენილობა შეამჩნია, ისევ თითონ უთანაგრძნო და სახის გაძომეტყველებით მიახვედრა: „ეშმაკმა დასწყევლოს, რა ჭირად გვერგო ბუსურმანი ვაჭარიო!“

თურქმა ვაჭარმა არ შეიმჩნია, რუსული სიტყვების მარაგი არ ელეოდა, მაგრამ კილოს ვერ ბალავდა, თურქულად უქცევდა. მერე იქათ ინტელიგენტურ საუბარში თითონაც ჩაერია და სიბრიყვის გუდას პირი გაუხსნა:

— საქართველო ლამაზია, გეთანხმებით, ქართველი ქალებიც. მაგრამ მე უფრო ქერათმიანები მოგწონს, იფ!..

როტმისტრი შეიშეუშნა. სერგომ დაამშვიდა — „ვაჭარს მეტი რა მოეთხოვება“, — აიჩეჩა მხრები.

— ახალგაზრდა ვაჭარი და უკვე ეგზომ ვაჭრჩევი მდედრობითი საქონლისა? — დიდათ გასაკვირია, — გაჰკრა კბილი ქერა როტმისტრმა.

ბუდუ-კომერსანტმა შეიფერა:

— მამაჩემის ხნისა რომ გავხდები, მხოლოდ ყურანს ჩავხედავ ან სტამბოლის მეჩეთის მშვენიერებაზე ვილაპარაკებ.

— ო, მართლაც, დიდებული მეჩეთია. მაგრამ, რატომ არის, რომ ლამაზ ქალებს არ უშვებთ შიგ?!..

— დიდებული სახელმწიფოა რუსეთი, მაგრამ რატომ არის რომ შაითან რევოლუციონერებს მთავრობაში არ უშვებთ? სწორადაც იქცევით! ქალიც შაითანია, ერთი ჯიშის არიან! გამოგიტყდებით, დღეს სიამოვნებით ვმგზავრობ თქვენს კეთილშობილ საზოგადოებაში. ხან კი ისეთებთან მოხვდება კაცი, თავი ანარქისტების ამბარში გეგონებათ... ამიტომაც თქვენში თოთის სროლა უფრო ხშირად ისმის, ვიდრე ნარდის კამათლების ჩხარუნი!..

— როგორ კადრულობთ, ბატონო ჩემო? ჩვენი მამა — მეფის სახელმწიფო მშვიდობის სამფლობელოა! — ჩაუპრა ქართველმა სტუდენტმა თურქ ვაჭარს.

— მშვიდობის?! — გაიკვირვა როტმისტრმა.

— დიახ, ასე წარმომიდგენია მე. იქნებ ვცდები. თქვენო კეთილშობილებავ? — შეიცხადა სტუდენტმა.

— დიახ! ჰო, კი, — არა! რა თქმა უნდა! — შეაბრუნ-შემოაბრუნა სიტყვა როტმისტრმა. — მშვიდობაა ცხოვრების არსი... სიმშვიდის მოსაპოვებლად მივდივარ პეტერბურგში. თბილისში ვერ

გავძელი, აუმცა არ ვიტყვი, რომ მშობლიურ პეტერბურგშიც სამშვიდეა! მთავარია კაცმა თავის თვალით არა ნახოს სიკვდილი. გაზეთში წაკითხული ქრონიკა სულს ვერ ააფორიაქებს.

— ნურც ინებებთ სიკვდილის ნახვას! თავადა ვართ საკუთარი ნება-სურვილის ბატონ-პატრონი. განა ასე არ არის, მოწყალეო ხელმწიფევ?!

— ცდებით, გეთაყვა!.. სამხედრო კაცი საკუთარ თავს არ ეკუთვნის. ტოლსტოი რომ ოფიცრად დიდხანს დარჩენილიყო კავკასიაში, მწერლად ვერ დადგებოდა.

— შეინდეთ, შეიწყალეთ!.. სწორედ აქ დაწერა თავისი პირველი მოთხრობები, — დაიცვა სტუდენტმა მწერალი.

— დიახ, მაგრამ სწორედ იმდენ ხანს უყურა სიკვდილს, რამდენსაც თვალმა გაუძლო! გონება კი სიმშვიდეს ითხოვს... იმიტომაც შექმნა მერე ნამდვილად დიდი რომანი „ომი და მშვიდობა“. სიკვდილსა და სიცოცხლეს შორის ზავი ჩამოაგდო!.. ეს ბუნებრივიც არის. ჩემზეც გამოვცადე... სიკვდილის ნახვა დიდი საშინელებაა! ამიტომ მივდივარ შინ... თანხმობა უნდა ვთხოვო მამაჩემს. სამხედრო სამსახურიდან გავდივარ.

სტუდენტი გაოცდა, ღრმა მწუხარება აესახა:

— სამხედრო სამსახური დატოვოთ?.. ხელი აიღოთ დიდებულ კარიერაზე?! განუდგეთ მეფის ფიცს?..

— მანდილოსანთა მომხიბვლელ ღიმილსაც?—დაინანა ვაჭარმა

— დიახ, მტკიცედ გადავწყვეტე!.. ვნახოთ, რომ ადრევე არ დავტოვე პოლკი. დავაგვიანე, მაგრამ სჯობს გვიან, ვიდრე არასდროს... შევცდი! მეტი სულიერი სიმშვიდე შემრჩებოდა.

— განა ესოდენ ღრმა საფუძველი უდევს შეცდომას? მაპატიეთ თუ თქვენს ფიქრებში ვიჭრები? — მოკრძალებით შებედა სტუდენტმა და ცალი თვალით მაღლა თაროზე შედებულ ფულის კუპონებით სავსე ჩემოდანს ახედა.

— ნუ ნაღვლობთ, გეთაყვა! ჩემი შეცდომა იმაშია, რომ არ მესმოდა არმიის დანიშნულება. მეგონა, მევალებოდა მხოლოდ გარეშე მტრებთან ბრძოლა; ვიცავდი საზღვარს, ტერიტორიას, ქვეყნის სახელსა და დიდებას. მოწინააღმდეგეს ვეძებდი ქვეყნის გარეთ და არა შიგნით. შინაურ ბუსურმანებთან ჩხუბი პოლიციის საქმეა! არმია რად უნდა ერეოდეს? რატომ უნდა ვასრულებდე ჟანდარმის ვალდებულებას?!. მაგრამ მიბრძანეს და შევასრულე! ქუთაისის

გუბერნიაში, ხუდადოვის ტყეში, თბილისის საგუბერნიო ციხეში!.. გადავწყვიტე გავეცალო ამგვარ ოფიცრულ ღირსებას! — მწარე ღიმილით ამოფინა დადუმებული წყენა და ვერცხლის პორტსიგარი გახსნა. თანამგზავრებსაც გაუწოდა, სტუდენტმა მოკრძალებით ამოიღო ერთი ცალი, სოვდაგარმა კი თავი მედიდურად გააქნია:

— ჩემსას ვეწევი!.. ტრაპეზუნის თუთუნისაა. ვინც ერთხელ იგემებს, მთელ პარტიასაც შემიკვეთავს. მოგებას ნახავს. მააშ!

— აი, ხედავთ, მე კი წაგებული დავრჩი: ხუთ წელიწადს დავყავი კავკასიაში და ინებეთ, გადადგომა მიხდება. მაინც არ ვნანობ. ტოლსტოიც ხუთი წლის შემდეგ მიხვდა ჯარში ყოფნის უაზრობას. დღენიადაგ სხვათა სიცოცხლეს ვუმიზნებდი, საკუთარს კი სანგარში ვმალავდი... რანაირი რაინდობაა?!.

— თქვენც ისეთივე თვალით შეხედეთ სიკვდილსა და სიცოცხლეს, როგორც ტოლსტოი სჭვრეტს, — ფილოსოფიურად, ამაღლებულად, სამართლიანად. ჯარში სიკვდილთან სიახლოვემ ბევრი რამ მისცა მწერლის სიცოცხლეს... თქვენც ბევრს აიღებთ.

— მაგალითად, რას?..

— ფსიქოლოგიური ანალიზის უნარს. ადამიანის შინაგანი წინააღმდეგობის შეცნობის ძალას... ადამიანი მხოლოდ მაშინ იპოვის საკუთარ თავს, როცა ჩასწვდება სხვის უბედურებას, ძმათა სიკვდილის მხოლოდ უნებურ, უდანაშაულო მოწმედ იქცევა. და კიდევ მაშინ, თუ დარწმუნდება — ვინ არის სულიწმინდა, ვინ კი გველნა? განა ცოტას ნაშნავს სიკეთისა და ბოროტების წარმოქმნის მიზეზის ამოხსნა? მე ამდენს იმიტომ ვლაპარაკობ, რომ მომავლის მართლმსაჯულების მსახურად ვემზადები. წელანაც მოგახსენეთ, უნივერსიტეტში ვსწავლობ, იურისპრუდენციის ფაკულტეტზე, და მაპატიეთ, თუ ჩემი აზრების თავს მოხვევა გამომივიდა?!

როტმისტრს თვალები გაუბრწყინდა, კეთილმა ღიმილმა გადაუარა ტუჩზე და ყურადღებით ნოვსმენ სტუდენტს მიმართა:

— მიხარია, რომ სამართლის მცოდნე კაცს შევხვდი. თქვენ გამიგებთ: ერთია, როცა თავად ვამჩნევ სხვის მწუხარებას, მაგრამ დიდად დამთრგუნავია, თუ სხვათა თვალები ჩემსავე მწუხარებას მიჩვენებენ. ასე დამემართა, როცა დრაგუნთა ჩემი ასეულის ჯარისკაცების თვალებს ვუყურებდი.

— განა ჯარისკაცის გუნებასაც უწევთ ანგარიშს?!

როტმისტრს სახე შეეცვალა, წამოიხარა.

— დიახაც!.. ჯარისკაცი გმირობისა და ადამიანობის ზეგრძნობ. რუნებული უხმო გრძნობაა. მის სახეზე ამოიკითხება ჭეშმარიტ. რაინდობაც და მშიშრული ავკაცობაც. ორთავე ფარული ფსიქი-კური კომპლექსია, რომლის დანახვა სავალდებულო არაა ოფიცრისათვის. სამხედრო წესდებაში არ გვიწერია. მაგრამ, რაკი ადამიანთან გვაქვს საქმე, სულში ჩახედვაც გვევალება და ამან დამაფიქრა.

— ფაქიზი გრძნობის ადამიანი ბრძანებულხართ! უნდა ერიდოთ ცხოვრების სიმდუღრეს. თუმცა არც იმდენად უნდა გწვავდეთ თვალს, როგორც, შესაძლოა, გეჩვენებათ.

— ძალიანაც თვალსატკენად, ვინემ გგონიათ, — იწყინა როტმისტრმა.

— მაპატიეთ, მაგრამ ღვთისა თუ ბედის წყალობით, ჩემგან ჯერჯერობით შორსაა ასეთი თვალსატკენი რამ.

— არც გსმენიათ?

— არა...

— არსენ ჯორჯიაშვილიც?!

— არც გამიგია ეგ სახელი...

— დასანანია! ნებისყოფის კაცია. შური იძია.

— რაიმე პირადი დამცირება ვერ მოითმინა, ალბათ? — დაუინტერესებლად წარმოთქვა სტუდენტმა.

— კაცმა რომ მოითმინოს, ამისათვის პიროვნებას უნდა წარმოადგენდეს.

— ჩვენს დროში ძნელად რომ კაცი დამოუკიდებელ პიროვნებას წარმოადგენდეს... ხომ არ ვცდები?

— ცდებით!.. მე მგონია, არ არის კაცი, პიროვნულობას რომ არ ჩენულობდეს... ამაყობს, ყვარის, ითხოვს, იბრძვის. სხვა იყო ძველად. ადამიანს დაკარგული ჰქონდა პიროვნულობა. ივანე მრისხანეს მეფობამაც დაადასტურა: დაადაბლა პიროვნების ბუნებრივი ამაღლებულობა, აამაღლა მბრძანებლის პიროვნება.

— ეგ შორეული წარსული გახლავთ! — დაამშვიდა სტუდენტმა.

— ახლაც ცოცხლობს. ამან წარმოშვა მონური მორჩილების რეფლექსი. მაგრამ როცა მარქსმა აპრიორულად გაათავისუფლა პიროვნების დამონებული ფსიქიკა, ადამიანებმა ნელ-ნელა ირწმუნეს, რომ შესაძლებელია დამამცირებლობისაგან თავდაღწევა... ასე-

თი ილუზიის შედეგია ექსპროპრიატორობის ინსტინქტის გაჩენა, — ბუნტი, გაფიცვა, რევოლუცია...

სერგომ თავი განზე დაიჭირა. ხიფათი იგრძნო: „მზვერავს, მტეხავს. საეჭვოზე მემასლაათება“... ბუდუც ჩაფიქრდა, ბოლის რგოლები კრენდილებივით ჰაერში აჰკიდა, დააშტერდა, თითქოს მოსალოდნელ მოგებას ითვლიდა, ან დასაკარგის გადარჩენის გეგმას ადგენდა. მაგრამ როგორ? მატარებელი ჯერ ბაქოსაც არ მიახლოებია. იქნებ სადგურზე დახვედრილებს აგრძნობინოს მოახლოებული საშიშროება? მაგრამ თუ პოლიციამ ბაქანზე ალყა შემოარტყა ვაგონს? ყველაფერი გასაგები გახდება! აქვე უნდა მოისაზროს, კომერსანტია, თურქული იცის, რა იქნება, რომ...

რა?

მოაგონდა, ბაქოში კარგი სავაჭრო გარიგება ელის. ბარემ ჩავა, მოაგვარებს, რკინიგზის ბილეთს კომპოსტერს გაუკეთებს, სულაც არაფრად უღირს, თუკი უფრო მოსაგებ საქმეს თავს დაადგამს.

სტუდენტიც მიუხვდა სოვდაგრის ჩანაფიქრს. ბაქოს მისადგომთან ვაგონის დერეფანში გავიდა და როტმისტრიც გაჰყვა დახუთული მუხლის გასაშლელად.

ბუდუმ ზემო თაროდან ჩემოდანი ჩამოიღო. კუპედან გამოვიდა, გურჯ სტუდენტსა და რუს როტმისტრს გაუღიმა, ბოდიში მოუხადა:

— ბაქოს ბაქანზე დამხვდებიან. დავრჩები.

— გვტოვებთ, ბატონო კომერსანტო?

— საქმემ იცის ასე! — თავი მოიწონა საქმიანმა სოვდაგარმა.

— ბილეთი? გაგიუქმდებათ! — უთანაგრძნო ოფიცერმა.

— არც ჩავაბარებ. თქვენთვის დამიტოვებია. ორნი დარჩებით.

— ეს მართლაც დიდებულია! — გაიხარა როტმისტრმა და კუპეში შეტრიალდა, პაგონებიანი ფრენჩი ჩაიცვა.

— ჩავაცილოთ, სტუდენტო! ბადლობა ღმერთს მოგვცილდა.

— არ ღირს, ფანჯრიდანაც დავუქნევ ხელს.

მატარებელი ბაქოს ვაგზლ ს ბაქანზე გაჩერდა.

თურქი სოვდაგარი ვაგონის კიბეზე დაეშვა, მებარგე ამბალა მოიხმო და ჩემოდნით გვერდით გაიყოლა.

ოფიცერი და სტუდენტი ვაგზალში შევიდნენ, პირველი კლასის რესტორანში სუფრას მოუსხდნენ. ერთი საათის შემდეგ ისევ

ბაქანზე გავიდნენ, გაისეირნეს. გარშემო სიმშვიდე იყო. ვაგონს არაფერი ეტყობოდა, არც პოლიციელები ჩანდენ. მეორე ზარზე ვაგონში ავიდნენ... თურქი სოვდაგარი კუპეში დახვდათ.

— საქმე ხერხიანად მოვათავე!..

* * *

სტუდენტს ეჭვი მაინც არ გაუქრა. იმპერატორისადმი ერთგულებისა იერი კიდევ უფრო მეტად მიიფინა და ჩაფიქრდა: პეტერბურგში მივდივარ სასწავლებლად, იქიდან — ბერნში, ქვეყნის საანახავად. დამიჯერებს! მაგრამ, დაუჯერებელია, მეფის ოფიცერი გულს მიხსნიდეს უცნობ თანამგზავრს, კომერსანტად წარდგენილ ბუდუ მდივანსაც, რომელსაც თავისი სოციალური კუთვნილობის დასაჯერებლად მხოლოდ ერთი ალიბი აქვს: გარეგნობა, — ბრგე, ჩასხმული კაცია, — ვერ გაიგებთ, ევროპელია, თუ აზიელი. თურქული სიშავე დაჰკრავს, სახემოჭმუხნული ზის, ნამდვილ სოვდაგარს ჰგავს, სიტყვის გაღებას — ფულის დაკარგვად სთვლის, დუმილს — მოგებად. ან სად ყოფილა, რომ კომერსანტი, რა ეროვნებისაც არ უნდა იყოს, მეფის ოფიცერთან ყველის ვაჭარივით არ ილრიჭებოდეს. ამ უცხო „თურქს“ კი ღიპი ჟილეტში ჩაუკეტავს, ხმას არ იღებს, ჩვენ საუბრისადმი ინტერესს არ იჩენს. რას იფიქრებს ოფიცერი — ასე რატომ იქცევაო!

„იმიტომ, რომ ფიქრობს, კომერსანტია!“, — თავადვე პასუხობს სტუდენტი, — სოვდაგარია, მოგება-წაგების ანგარიში აწუხებს. პოლიტიკა კი აშინებს. მხოლოდ დუმილით ისმენს. იცის — ენა იმათ ექავებათ, ვისაც არაფერი გააჩნია, ბუდუ ახლა უთვალავი ფულის პატრონია და მისი დარაჯი უხნო ფიქრია. პეტერბურგში მიეჩქარება, სარფიანი გარიგება ელის. ვაგონშიც იმას ითვლის, რას რა ფასად შეისყიდის, თან რა დროში დაბრუნდება. მალე უნდა ამოაბრუნოს ამდენი თანხა, თორემ საქართველოში მომლოდინე რაზმელები უიარაღოდაც აჯანყდებიან და თავს წააგებენ.

მაგრამ როტმისტრიც რომ იგავ-არაკებით ლაპარაკობს? სერგო ამასაც ზომავს და ნაირნაირად სჭრის. ხან პროვოკატორი ჰგონია, — „ოხრანკამ გამოგვაყოლაო“, ხანაც ტოლსტოელი სამხედრო. თუმცა რატომ თბილისშივე არ ჩაავლეს ხელი ფულით სავსე ჩემოდანს? არც ბაქოში სტაცეს ხელი ბუდუს ჩემოდანს! იქნებ მეტის მოხვეჭას აპირებენ, იქამდე მიჰყვებიან, სანამ არ მიაგნებენ, ვისაც ფულს ჩააბარებენ, პეტერბურგში პარტიის ცეკას ადგილსამყოფელსაც

ბაიკებენ და მაშინ ფულიან-ხალხიანად ყველას ფაფახს დააფარებენ, პეტრეპავლოვკაში თავს უკრავენ და სახრჩობელაზეც ჩამოაკონწიალებენ. ხუმრობა ხომ არაა, 201 000 მანეთის გატაცება და რამდენიმე კაზაკის გამოსალმება! არა, ფრთხილად უნდა იყვნენ.

მერე, ისევ სოვდაგარმა ამოიდგა ენა:

— ეფენდი ოფიცერო! ასეთი ახალგაზრდა ბრძანდებით და ყველას კი იცნობთ, ივანე მრისხანეს, ვიღაც მარქსს. პირველად მესმის მათი სახელები. სანაქებო კაცი ხართ, ჩემმა მზემ. კომერციაში რომ გეცადათ, დიდი ფაშა გახდებოდით. ცოლიც ბევრი გეყოლებათ!.. ცხენიც, — ქება შეასხა ვაჭარმა, ჟილეტის მარჯვენა ჯიბიდან ვერცხლის ძეწკვიანი საათი ამოსწია და ხელისგულზე დაიგდო, მოსამართი კუნწი მოსწია, გადაატრიალ-გადმოატრიალა, ათჯერ მიყოლებით დაითვალა, მიძალებამდე დაქოქა და ამგვარად როტმისტრი მოთმინებიდან გამოიყვანა.

— თქვენი გილდის მაინც ვერ გავხდებოდი! ჩემს კარაბადინში არა სწერია, ჩვენს გვარში ვაჭრის სახელის გაჭაჭანება — შეუძლებელი რამაა, სულ ჰუმანურ საქმეს მივდევდით! სამხედროში მარტო მე ჩავდექი და, როგორც ხედავთ, შევცდი! მივხვდი, რომ საგვარეულო მოწოდებას ავცდი. ამიტომაც მივიჩქარი პეტერბურგში. ჩემი ერის სულიერი ცხოვრების ისტორია მიზიდავს. კომერცია მძულს. თქვენ შესაძლოა მაგ ჩემოდანში ასიათასამდე ფულიც გიდევთ, მაგრამ თვალი არ მიმიდის!.. თქვენი ხელობა დამამცირებელია, შემზარავი. ადამიანი არ უნდა ცდილობდეს მოტყუილებას, გატაცებას! განა შეგიძლიათ ტყუილის უთქმელად მოგება? — სინანულის კილოთი ამოხდა როტმისტრს და სტუდენტმაც თანხმობის ნიშნად გახედა ვაჭარს და მერე ისევ მაღლა თაროზე შედებულ იმ ჩემოდანსაც ახედა. ჩანდა, არც მას სიამოვნებდა გაუნათლებელ კაცთან ერთ კუპეში მგზავრობა, მაგრამ როტმისტრის გუმანმაც დააფიქრა: „ჩემოდანში ფულიც გიდევთ“.

სოვდაგარიც აიბუზა, რუსი როტმისტრის ტყლარჭია მედიდურობამ ჩააფიქრა. გურჯი სტუდენტის ამყოლობამაც მიახვედრა და თვითონაც გახელდა:

— კომერციისადმი ეფენდი როტმისტრის ზიზღი მესმის, — ბოიარის შთამომავალია! შენც ხომ კნიაზი არ ბრძანდები, საიდან გამოგყვათ ასეთი სიძულვილი ვაჭრისადმი.

— ცდებით, ბატონო ჩემო! — მშვიდად მიუგო სტუდენტმა, —

მამაჩემი გადამდგარი პოლკოვნიკია. ოთხი იმპერატორისათვის მიუცია ფიცი.

— რასა ბრძანებთ! ეს ხომ დიდებულია, იშვიათობაა, — გაიხარა როტმისტრმა.

— რა არის დიდებული? — სამი იმპერატორი რომ მოინელა? — ჩაიხითხითა ვაჭარმა.

— როგორ ბედავთ! — აღშფოთდა სამი იმპერატორის საიქიოს გამცილებელი პოლკოვნიკის შვილი, ახლა, რომ მეოთხის თანგაყოლებასაც ნატრობდა.

— ნუ ღელავთ, ყმაწვილო, თურქი თურქად რჩება, ჩვენი მეფის პირველ მტრად.

— მაწყენინებთ, ეფენდი-ოფიცერო. რუსთა მეფეს პატივსა ვცემთ, რუსის ვაჭრებსაც. კომერციაში რუსი და თურქი დოსტები ყოიან. რევოლუციაში არა. მე შვეიცარიაში არ მისწავლია, არც რუსეთში. სტამბოლში დავამთავრე საკომერციო სემინარია. სომხები მასწავლიდნენ, — თურქების მტრები, მაგრამ საქმე ესმით. მეც ჩამინერგეს ფულის ყადრი, მოგების ეშხი, ოქროს წყურვილი გამიჩინეს. ამიტომ ვპატიობ მათ ავკაცობას, თურქეთის მიმართ ალაჰის თვალწინ რომ გაუკითხავად სჩადიან. ეს თქვენ არ გეხებად, ეფენდი — ოფიცერო, მართლმადიდებელთა ღმერთს არ ვერჩი, სომეხ-გრიგორიანელებს კი ოქროს ქისით თუ ვერ მოვახრჩობ, ამ ხელით მაინც მოვგუდავ. ჩემი ბაზრები მიიტაცეს, საბერძნეთში, მაკედონიაში, სპარსეთსა თუ ინდოეთში ქარავნებით გააქვთ და შემოაქვთ საქონელი. იძულებული გამხადეს პეტერბურგში შევიპირო მოსაგები საქონელი, გასასყიდიც დავიბევო, — ღვინო, თამბაქო, აბრეშუმი, წითელი ხე. ჯერჯერობით ხელი მემართება ალაჰისა და რუსთა ხელმწიფის მფარველობით. ახლაც სარფის იმედით მივდივარ, ცოტაოდენი ფულიც მიმაქვს. ვიცი, თქვენი ორთავის წყალობაც არ დამაკლდება გზაში.

ვაჭარმა ხელი გულზე მიიდო, თავი დახარა, თვალი კუპის იატაკზე გაგებულ ფერად ხალიჩას ჩაასო, მაგრამ როტმისტრის ხრინწიანი ხმა მისწვდა, ეჩხვლიტა და მოსასმენად წელში გაიმართა.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, ჩვენ თუ არას დაგვიშავებთ!

ვაჭარს ეჩხვლიტა — „ჩვენ თუ არას დაგვიშავებთ“: რას ნიშნავს? მიგვიხვდა? ან შემთხვევით წარმოთქვა?!

სერგომ კი გადაკრულ თქნად მიიჩნია. განა გამორიცხულია, რომ ოხრანკის ოფიცერმა დრაგუნთა პოლკის როტმისტრობაც მოიგონოს და მეტი დამაჯერებლობ-სათვის ტოლსტოელადაც წარმოგვიდგეს.

მერე ისევ როტმისტრის ხმამ გამოაფხიზლა:

— არა მჯერა თქვენი ქვეყნის ჩვენის, რომ სიკეთეს უკეთებდეს რუსეთს. თურქეთი სანდო არაა. ნუ მიწყენთ, გულახდილად გეტყვით: თუ რამ სიავე და ბარბაროსობა დამკვიდრდა ჩვენთან, — თქვენით! ჩვენ თავი ევროპაში გვიდევს, ფეხი აზიაში გვიდგას. თქვენგან კი მხოლოდ ბარბაროსობა შემოგვივიდა.

— ავი რა მოგაცხეთ, ეფენდი ოფიცერო? ბარბაროსობაო, ბრძანეთ, — მაგრამ განა ყველაფერი თურქების მოგონილია? — დამყოლად ინანა სოვდაგარმა, ირანელებს, მონგოლებს, არაბებს სათვალავში არ აგდებთ?!.

— რას გაუყვია მაგათი თავი. ყველა ერთი ჭირია. თქვენი მხრიდან შემოზიდული ხალიჩებივით რბილად გვეგებებოდით. ჩვენებით კი ყელში გვიჭერდით, გვახრჩობდით. თუ რამ ბარბაროსობის კვალი დაგვრჩა სულერთიანად „ტუროკების“ ბრალია, — თქვენ როგორც გენებოთ, გინდ მონგოლები უწოდეთ, გინდ არაბი დაარქვით. შეგიძლიათ დაიკვეხოთ, რომ ადამიანის გაროზგვაც გვასწავლეთ! თან იმდენად დაგვაჩვიეთ. რომ კანონადაც კი გვიქციეთ,—გადმოიღელა მკერდი ხინჯად ნადები მუწუკის მოსაწიწკნად.

ოურქი ვაჭარი მოტყდა.

— ალაჰია მოწმე. პირველად მესმის, ეფენდი ოფიცერო! ნუთუ რაიმეთი გაგისწარით, ან რუსმა ჩვენგან რამე შეისწავლა?! ჩვენ ბნელნი ვართ, — თავი მოიკატუნა ვაჭარმა.

— მეც მანდა ვარ. თქვენებურმა სიბნელემ სლავთა გონიერება. დაახშო.

ვინ შემოიტანა ჩვენში კაცის გაროზგვა?! „ტუროკმა!.“ კიევის რუსეთშივე მოიკიდა ფეხი ამ ბარბაროსულმა ჩვევამ, შემდეგ კი თათარ-მონგოლთა მფარველობით დამკვიდრდა კიევის ჩრდილოეთითაც ივანეს დროიდან. — შეჰყო თავი ისტორიის ბარყუჟში განსწავლულმა როტმისტრმა.

სტუდენტი ცოდნის ხარბი წყურვილით შეჰყურებდა როტმისტრს, ვაჭარი კი კუშტად იკუნტებოდა მწარედ მოქნეული ლახტის ასაცდენად.

— მაშ გასასყიდი აღარაფერი დაგვრჩენია, ჩვენი ავიც კი ივანე მრისხანეს მიუტაცია თავისიანების გასაშოლტად...

— ვისზე ბრძანებთ ამას, აღა! ივანე მრისხანეზე? რუსეთის მიწების შემკრებ მეფეზე? — როგორ ბედავთ! — გაიოცა სტუდენტმა.

როტმისტრს ეამა, რომ გურჯი გამოესარჩლა, „მართლმადიდებლურმა პროტესტმა გაიღვიძა". ისიც ეამაყა, რომ ისტორიის ცოდნის მოშველიებით ვაჭრის ბნელი თავიც შეაშფოთა: დანაშაულის ნახევარზე მეტ ურჯულოებს დააბრალა, სულ ერთია, რა ეროვნებასაც დაირქმევენ, — მონგოლს, არაბს თუ თათარს, — ყველას „ტურკის" ჩალმა დააფარა.

დიახ, დიახ, სწორედ ივანე მრისხანემ გადმოიღო „ტროკოთაგან!" მანამდე კი ჩრდილოეთის მიწებზე სლავი თავადები თათართა ხანის მფარველობით ბრძანებლობდნენ. ამის სანაცვლოდ ხანისათვის გადასახადს თითონ აგროვებდნენ, მაგრამ ვინც ერთმანეთში ძალითა და ქონებით გამოერჩა, თავისავე მოძმე სამთავროებს იმორჩილებდა. საბოლოოდ მოსკოველმა კნიაზმა დაიმორჩილა ყველა სამთავრო. მეთექვსმეტე საუკუნეში კი თათართა უღელიც მოიცალა, თავი მეფედ გამოაცხადა, მაგრამ ქვეშევრდომთა გაროზგვის ჩვევა მანც როდი მოიცილა. ამას შეჩვეული ივანე თავადაც იგონებდა სასჯელის წესსა და დასჯის იარაღსაც...

მერე ისევ პორტსიგარი გახსნა, ერთი ღერი ამოიღო, ორ თითშუა მოიგდო, მოუთათუნა, მოთელა. თითქოს თავადაც სასწავლებელი რამ ხელში ჩაიგდო, და მშვიდად განაგრძო:

— ჩვენი სახელოვანი მწერალი კარამზინიც დამიმოწმებს, რომ ივანე მრისხანეს ბრძანებას ჯალათები რიტუალადაც აქცევდნენ: რომელიმე დასასჯელს ჯერ მდუღარე წყალს ასხამდნენ, მერე ყინულოვანს გადაავლებდნენ კანის ასაყვლეფად... ზოგს სახსრებში ნაჭერ-ნაჭერ სჭრიდნენ, ან წვრილი ხმელი ბაწრით ლაჯებშუა ხერხავდნენ, ზურგიდან საქაშრეს აცლიდნენ. მარგილზე აგებდნენ, ეარყუეზე ჰკიდებდნენ, წამებითა კლავდნენ.

— საბრალო ჩვენი მამა-მეფე!.. იმათი შემყურე თურმე რას უძლებდა! — მოიგდო ყელში სიბრალულის ნერწყვი ტახტის ერთგულმა სტუდენტმა და თურქ სოვდაგარს მრისხანედ გახედა:

— ხედავთ, ბატონო ჩემო, ურჯულოებს რა უსწავლებიათ ჩვენი ქრისტიანი მბრძანებლისათვის!..

ბუდუ-ვაჭარმა არც გაიკვირვა, — „ჩემთვისაც ცნობილიაო", —

მიახვედრა. მაგრამ ამით კიდევ უფრო გაამწარა ჰუმანური როტ-მისტრის გული.

— მაგრამ ყოველთვის როდი კლავდა, ზოგჯერ მოწყალებასაც იჩენდა: თავადი ბორის ტელეპნევი წვეტიან პალოზე დასმული მხოლოდ თხუთმეტ საათს გააჩერა...

მერე მეხსიერების ბუდე გაქექ-გამოქექა და ზოგი რამ სხვაც ამოკენკა გურჯი სტუდენტის გასაოცებლად და თურქი სოვდაგრის კუჭის ასაწველად:

— აი, ეგეთი ბარბაროსობა შემოგვიტანეთ ურჯულოებმა!.. ვის მოვთხოვოთ პასუხი?.. ვისი ბრალია, რომ ურწმუნოთა ცოდვიანობას გაჰყვა... წყეულიმც იყვნენ შენცდენნი!..

— წყეულნიც! — კვერი დაუკრა სტუდენტმაც. — უიმითოდ მეფე რაც შეგვიცდებოდა, — გაასავსავა ხელები ლამის აქვითინებულმა.

სოვდაგარი აყვირდა:

— ალაჰი და სულთანი არა ცდებიან! — გაძალიანდა ეროვნული თავმოყვარეობის ჯიუტი მფარველი ოსმალო ვაჭარი და მართლმადიდებელმა როტმისტრმაც სახე გადაიღრიჯა.

— ივანე მრისხანეს შეუბრალებლობა აუწერელია, მაგრამ მაინც აღწერეს კარამზინმა და ევრეინოვმა. არ წაგიკითხავთ? — შეიცოდა როტმისტრმა სტუდენტი, — ღვთის წყალობით, ჩვენს სახელმწიფოში ასეთი წიგნები ბევრია, ჩვენი ცენზურა ლიბერალურია. პეტერბურგსა და მოსკოვშიც შეგიძლიათ იყიდოთ ევრეინოვის, ვალიშევსკის, კარამზინის წიგნებიც... თქვენთან, თურქეთში, კი სულთანი და ყურანი კრძალავს მიწიერ მეუფეთა სისასტიკის გამხელას, ეგ ძალიან ცუდია!.. ცივილიზაცია გაკლიათ! — დაუხვავა საყვედურის ისეთი დიდი ულუფა, რომ ყელში გაეჩხირა ბუდუ-სოვდაგარს, მაგრამ მაინც გულში უხაროდა; მეფის სატახტო ქალაქს მიემგზავრება და არ უნდა მეფის როტმისტრის ახირებას აჰყვეს. რა იცის, რას დასწამებს! საზღვარგარეთ მიმავალია, იქნებ პოლიციასაც გადასცეს „ეჭვმიტანილი პირი“ და მაშინ მთელი ჩანაფიქრი ჩაეშლება. პიტერიდან უცხოეთში გაღწევა ჩაეფუშება და საქართველოში იარაღის ჩამოტანის დავალებაც საპნის ბუშტივით გაუქრება. ასეთი საშიშროება სერგომაც იგრძნო და უფრო მეტი ზიზღით მიუბრუნდა თურქს:

— ნომიტეეეთ, ალა. რა ხმა ამოგელებათ, თუ ასეთ მრისხანებაში ძალზე დიდი წილი გდებიათ?!.

როტმისტრს სახეზე კმაყოფილების სხივი აუთამაშდა:

— ჭეშმარიტად, ყმაწვილო, სიმართლეს ბრძანებთ!

თურქი ვაჭარი წაგებული დალალივით ჩაფიქრდა, მერე რაღაცამ გაუელვა და თავისიანების გასამართლებლად თავი მოიკატუნა:

— კარგია, თუ პეტრე დიდის ცოდვებს მაინც არ მოგვაწერთ. არც ის გაბლდათ ტკბილი კაცი!

ამის გაგონებაზე როტმისტრს თვალები გაუბრწყინდა და ზურგმიყრდნობილი ნაჩქმეტივით წამოხტა:

— რა, გაგიგიათ?

— ცოტა რამ მსმენია ნაცნობი რუსი ვაჭრებისაგან, — დაუკანტურა თავი სოვდაგარმა.

— თუ ცოტა, მეტს მე გეტყვით: პეტრე პირველი იმიტომ იყო დიდი, რომ ხალხმა სახელად მრისხანე არ შეარქვა! დაუნდობელ მბრძანებლად მოევლინა რუსეთს, მაგრამ მხოლოდ ერთი მიზნით, — სახელმწიფოს სიმართლის დასაცავად.

— განა სიმართლეს დაუნდობლობა იცავს? — მოულოდნელად წამოსცდა სოვდაგარს. — სიმარჯვე უნდა მბრძანებლობდეს დაუნდობლობაზე, — ასე წერია ყურანში.

როტმისტრი შეფიქრიანდა. არ მოეწონა პეტრე დიდის ხელის წამოკვრა. პეტერბურგელი კაცია და მეფე-სეხნიის სახელი წმიდათაწმიდად მიაჩნია — პეტრე თავგასართობად როდი აქცევდა ადამიანის წამებას. თუ აწამებდა, მხოლოდ სახელმწიფოებრივ საფუძველს უდებდა. ხუმრობაც უცნაური იცოდა, მაგრამ მაშინაც სამეფოს ინტერესებს იცავდა.

— ძაან მეფე კი ყოფილა, — ვბრაზობ თუ ვხუმრობ, ქვეყანას ვემსახურებიო! — ჩაიხითხითა სოვდაგარმა.

— ხუმრობა სულაც არ არის სახუმარო საქმე. წყრომა სიცილითაც გაიმარჯვებს. სამართალი ღიმილითაც სჭრის.

— იქნებ იმიტომ ხუმრობდა, რომ მტრები ნაკლებად ეხვივნენ, ვინემ ივანე მრისხანეს? — ინტელექტუალური კამათის იშტაზე მოვიდა ბუდუ მდივანი და ერთ წამს დაავიწყდა, რომ წელან ბნელი და გაუნათლებელი სოვდაგარი იყო.

— მტრები ორთავეს ჰყავდათ. პეტრეს უფრო მეტი: ივანე-მეფე რუსეთის ვიწების შემოერთების მოწინააღმდეგეებს ებრძოდა.

პეტრე პირველი კი რუსეთის გარეთ აღიარებისათვის იღწოდა. ეს უფრო მეტია და ძლიერ ჰტრებს უჩენდა.

— მაშასადამე, ვერ არჩევდა შინაურსა და გარეულს, მტერსა თუ მოყვარეს?! — მეფის გასამტყუნებლად შეახსენა სოვდაგარმა.

— მამულის ორგულობაში და სახელმწიფო კაცობის გულგრილობაში არავის არ იხდობდა. თავისი დენშჩიკი, ტატიშჩევი, ნათლულად ერგებოდა, ნფარველობდა, სასახლის კარზეც აჩენდა. მაგრამ რაღაც დანაშაულის ჩადენისათვის მისი გაროზგვა ბრძანა.

— ბუდუ-სოვდაგარმა წარბებქვეშ გადაჰკითხა:

— ტატიშჩევი თუ ტატიშვილი?

— ტატიშჩევი-მეთქი, პირადი დენშჩიკი...

მერე უფრო ვრცლად განუმარტა:

— დენშჩიკებს დიდი გავლენა ჰქონდათ პეტრეს სასახლის კარზე. საგანგებოდ არჩევდნენ, მემამულეთა წოდებიდან — ლამაზებს, სხარტებს, ლონიერებს, გონივრებს და კეთილშობილური მანერებით გამორჩეულებს, მოვალეობაც მრავალი ედოთ, — მეფის სუფრას ემსახურებოდნენ. მაგრამ საგანგებო დავალებებსაც ასრულებდნენ, — სასაბართლო ძიებას ეწეოდნენ, გენერალ-გუბერნატორებისა და სამხედრო ნაწილების უფროსთა მოქმედებას ამოწმებდნენ, უცხოელ ელჩებს ზვერავდნენ. დროდადრო ჯალათობასაც აკისრებდნენ. — მაღალი წოდების მებატონეებსა და სენატორებს აროზგვინებდნენ, მაგრამ თავადაც იგივე ელოდათ, როგორც ტატიშჩევს დაემართა.

არც მანდილოსნებს ეფერებოდა დიდად. სასახლის კარზე ყველაზე ლამაზ და მომხიბვლელ ფრეილინას, მარია ჰამილტონს უურადღებას არ აკლებდა და მისი თანაგრძნობითაც კმაყოფილი რჩებოდა. მათ შორის სასიამოვნო ურთიერთობა არსებობდა, მაგრამ მეფემ მნიშვნელოვანი ხასიათის სახელმწიფო ქაღალდი დაკარგა. ნჰვი მარიაზე აიღო. ჰამილტონი დააპატიმრეს. თვით მეფემ დაჰკითხა თავისი საყვარელი.

არსებული კანონებით ფრეილინას თავის მოკვეთა ემუქრებოდა.

დასჯა დაინიშნა ტროიცკის მოედანზე. ჰამილტონი მოწყალებას ელოდა. იმ დღეს თეთრი აბრეშუმის კაბა ჩაიცვა და შავი ბაბთით მოიკაზმა, კისერზე კი პეტრეს ნაჩუქარი ყელსაბამი დაიკიდა.

როცა იმპერატორი შემობრძანდა, ფეხებში ჩაუვარდა და შეწყნარება სთხოვა.

მეფემ ჯალათს ჩასჩურჩულა:

— არ აწვალო!

ჰამილტონის თავი მიწაზე გაგორდა...

პეტრემ ხელში აიღო, აკოცა. პირჯვარი გადისახა და წავიდა.

მისი ბრძანებით ჰამილტონის თავი სპირტში ჩადეს... დიდხანს ინახებოდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიაში.

— ასე გაუსწორდა მონარქი თავის საყვარელს, მაგრამ მტრებსაც მოსვენებას არ აძლევდა.

— ეს უკვე ხუმრობა აღარ არის! — აღმოხდა სოვდაგარს.

— მეფისწული ალექსიც არ დაინდო, რად დაინდობდა სხვებს!.. ულმობელმა რეფორმატორმა გულში ჩაიკლა მამური გრძნობა, ვითარცა მავნე სენტიმენტალობა: სჯიდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო. თანამედროვეებს სისასტიკედ ეჩვენებოდათ. სინამდვილეში ეს იყო სახელმწიფოს მეთაურის გამიზნული პოლიტიკა: „სხვაც არ გათამამდეს, ჭკუა ისწავლოს!“. თავის სიმართლეს საკუთარი სისასტიკით იცავდა, აღმოსავლურ ბარბაროსობას ბარბაროსობითვე ამარცხებდა.

— ეგეც ჩვენ გასწავლეთ, თურქებმა დაგიტოვეთ?! — ირონიულად ჰკითხა სოვდაგარმა.

— თქვენით გადმოვიღეთ და სხვა თქვენისთანა მტრებმაც გვასწავლეთ, რაკი ჩვენს სამეფოს გარს ახვევიხართ მოძულენი და მოშურნენი!

— ახლა ვიღას უჩივით? თურქეთი დასუსტდა, რუსეთი გაძლიერდა! — გამოთვალა ბუდუ სოვდაგარმა.

— გაძლიერდაო?.. მე ვერ ვხედავ. პირიქით, დასუსტდა! ტკივილები დასჩემდა, დროზე თუ არ იწამლა, სულაც დაინგრევა: „ციხე შიგნიდან ტყდება“, — გამოუტყდა როტმისტრი.

— მაგრამ ციხეს ძვრას მაინც ვერ უშვრებიან სახელმწიფოს ფესვი არ მოღრღნია ჯერ, — შეახსენა სერგომ.

— დიახ „ჯერ!..“ თხუნელამ კი უკვე გათხარა ციხის ძირში მისადგომი. არ გაგიგიათ?

— რაღაც, მაგგვარი, მგონი, მაგრამ ცარიელ ხმას რა ძალა აქვს?! — იკითხა მდივანმა.

— დიდი!.. ხალხი აიტაცებს, ქარიშხლად აქცევს. წაგიკითხავთ გორკის „ქარიშხალა“?

— ლექსის იმედით?! — გაეღიმა ქავთარაძეს.

— ისეთების, ვისაც ეს ლექსი უძღვნეს:

მე ვარ არსენა ჯორჯიაშვილი,
მე მოვაშორე ქვეყანას ჭირი,
მე მიყვარს ხელში წითელი ვაშლის
მისი გორება, მისი ტრიალი,
გრიაზნოვისა მაღლა ფრიალი!..

ამ სიტყვებით ავიდა სახრჩობელაზე. მისი ძახილი სიმღერად იქცა... არ გაგიგონიათ? — გაკვირვებით ჩაეკითხა როტმისტრი და კიდევ უფრო გაოცდა, რომ სოვდაგარი და სტუდენტი ბნელი ადამიანებივით დუმდნენ.

სამივენი ფიქრმა გაიტაცა.

ბატარებელი კი რკინის ლიანდაგმა გაიყოლა, მისრიალებდა.

დროც მიჰქროდა.

მეორე კლასის ვაგონის კუპეში სამი კაცის გონება თვლემდა და ტანი ირწეოდა, წარსულს წატანებულნი აწმყოს უბრუნდებოდნენ და მომავლის არსს უარესად სწვდებოდნენ.

ჯორჯიაშვილის უემბარა

გაზაფხული იყო, შვიდი აპრილი. გარიჟრაჟზე სოფელ ბოგვში თოფმა დაიქექა:

— მომილოცეთ, მეზობლებო, პირველი ბიჭი შემეძინა, სახელად არსენა დამირქმევია!..

— მართალ კაცად გაგეზარდოს!

— მდიდარს ართმევდეს, ღარიბს აძლევდეს! — დაუბედეს უბედური და ღატაკი ცხოვრებით გატანჯულმა ბოგველებმა.

მერე მეშვიდე შვილიც გაუჩნდა და მშიერი შვიდი პირის პატრონი მამა სკოლაში როგორღა მიაბარებდა. პატარაობიდანვე მედუქნეს დაუყენა, მერე კი არსენამ ფაბრიკის კარი შეაღო.

ოცდასამი წლისა რომ შეიქნა, თბილისის რკინიგზის მთავარსამმართველოს სახელოსნოს შეეფარა და 1905 წლის რევოლუციის ქარიშხალმა თავის გზაზე წაიყვანა. დილიდან საღამომდე ჩამომსხ-

მელ საამქროში ბეჯითად ირჯებოდა, დღიურ გასამრჯელოდ გროშებს უგდებდნენ. თუ რამ თავისუფალი დრო რჩებოდა, რევოლუციურ წრედ შეკრულ მუშებს ეკედლებოდა და, სკოლის ჭერის უნახავი, ქარხნის ცხოვრების სიავესთან საბრძოლველად იმართებოდა.

არსენა კეთილი გულის ბიჭი დადგა, საკუთარი ოჯახის გაჭირვებისაგან დახსნას სხვა უმწეოთა ხსნაში ხედავდა! იმთავითვე შეეგუა ბედს, რომ მრავალთა სიკეთეს ერთნი ეწირებიან, მაგრამ სჯეროდა ხალხი არ დაივიწყებდა — უგზო-უკვლოდ არ ჩაივლის ცხოვრება კაცისაო — რა ფასი აქვს, სოფელში ცხოვრობდე, სოფელს კი არ არგებდეო.

ნაძალადევში ცხოვრობდა, სადაც პირველად აფრიალდა თბილისელი მუშების წითელი დროშა. ბევრს როდი ითხოვდნენ, — მონად განწირულნი — ადამიანურ თავისუფლებას იხვეწებოდნენ და რაკი არ უგონებდნენ, სამომავლო ბრძოლად დაეწყვნენ.

ჯორჯიაშვილებმაც ღამით ამ უბანში პატარა ქოხი ჩადგეს და როცა დილით ქალაქის გამგეობამ კაცები გაგზავნა დასანგრევად, არსენას, სხვა იმისთანანიც გვერდით დაუდგნენ და სახელდახელოდ ამოყვანილი კედლების მონგრევის მოძალადეებს კუდით ქვა ასროლინეს. მაშინ იგრძნო არსენამ ძალა ერთობისა.

მაგრამ მაინც ხროვა-ხროვად წამოვიდნენ: ნაძალადეველებს თავზე დაანგრიეს ალიზით ნაგები ქოხმახები.

არსენამ მაშინ დაიჯერა, რომ პოლიცია, გუბერნატორი და ქალაქისთავი ერთი ბუნაგისანი არიან.

— გვიშველეთ, ქრისტიანები არა ხართ! — წიოდნენ დედები და ტიროდნენ ბალღები.

კაცებმა კი თბილისის გუბერნატორს და ქალაქის გამგეობის მოთავე ხატისოვს არზა მიართვეს და შეწყალება სთხოვეს:

— შეგვიბრალეთ, ნუ დაგვინგრევთ, თქვენივე ქარხნის მუშები ვართ.

— ხართ და იყავით, მაგრამ... ქირით იცხოვრეთ!

— ქირა რა ფულით ვიხადოთ?

— ამაზე თავად იფიქრეთ!

იმათაც იფიქრეს.

ამ ფიქრს მისცა მიზანი ნაძალადევის რევოლუციურმა თავკ-

ცობამ და უსწავლელი არსენა ჯორჯიაშვილიც მათი ორგანიზაციის გონიერ და ღონიერ მოსარჩლედ იქცა.

მერე რკინიგზის სახელოსნოების გაფიცულებს შეუერთდა, „ცხრა ძმა“ ნაძალადეველი გულით გამოიტირა, მგლებად შემოსეულ კაზაკებს გადაუდგა და ნიკეგოროდელ დრაგუნთა ასეულსაც შუბლით შეეჯახა, წინ ერთი ახალგაზრდა ქერა როტმისტრი რომ მოუძღოდათ.

მერე სულაც ცარიელზე დასკვეს: „ისიც გეყოს, ცოცხალი დარჩიო...“ სახელოსნოდან გააგდეს, ულუკმაპუროდ დატოვეს, ულვაშებშეღერებული ვაკკაცი მამის ხელისშემყურედ აქციეს.

— არსენა, კრება გვაქვს, შემოიხედე!..

არსენამაც შეიხედა: ნახევარზე მეტი დათხოვნილი მუშა დახვდა, დანარჩენებსაც იმათი ბედი ელოდათ.

პროპაგანდისტებმა დაღუპულ ნაძალადეველთა ოჯახების დახმარებაზე ილაპარაკეს, მანეთ-მანეთი შეაგროვეს, ქვრივ-ობლებს ხელი გაუმართეს.

ქუთაისის ამწიოკებელი გენერალ ალიხანოვ-ავარსკის ავკაცობა რომ გაიხსენეს, ბოღმით აივსნენ.

შემდეგ ყველა იმ ავაზაკობის სულისჩამდგმელის გენერალ გრიაზნოვის ნაბოროტევიც ჩამოთვალეს და მოთმინებს ფიალაც აივსო.

მუშათა წრის მეთაურმა არსენა განზე გაიყვანა და ჩასჩურჩულა:

— ლაპარაკი გვეყო, საქმეს მივხედოთ!

— ჩემი თავი გენაცვალოთ!..

— განა არ ვიცოდი, ასემც იტყოდი. დილით ავლაბარში ადი, როზოვის მოედანზე გახვალ, ფაბრიკის მუშა სიმონა სელივანოვის საჩაიეში შედი... დაგიხვდებიან.

ზამთარი იდგა. ცივდა. არსენამ ცხენის ტრამვაით მივიდა მუხრანის რკინის ხიდამდე. მერე ფეხით აჰყვა ცაციანოვის აღმართს, ავლაბარში ავიდა, როზოვის მოედანზე გასულმა საჩაიეს აბრას გახედა. შორიდანვე ჩანდა, — ნიკალა ფიროსმანაშვილის ნახატი სამოვარი თუხთუხებდა, მაცუცქული დათვის ბელი დინგთან მიტანილი ლამბაქიდან ტკბილად ხვრიპავდა ჩაის.

საჩაიეს კარი შეაღო.

სელივანოვმა იცნო. ძველადაც შემოუვლია, ჭიქა გამოუცლია, მხრებში გამთბარა.

მეჩაიემ ანიშნა, გვერდის კარში გადიო.

გავიდა.

ენფინჯიანცის თამბაქოს ქარხნის ყოფილი მუშა მეღრაბიანცი იცნო:

— გამარჯობა, არშაკ!

— გაგიმარჯოს, არსენ.

— რას მეტყვი?

— დაიცა, სხვებიც მოვლენ.

— ჩაის დასალევად?

— მზესუმზირას საკვნეტად.

— მაგარია?

— რა ვიცი, ვისაც რა კბილი გასხიათ...

ისინიც შემოლაგდნენ, — ხარფუხელი შაქრუა, — პუშკას ეძახიან, შავსოფლელი ბათუა და ხუნხუზა. სოლოლაკელი ღარიბაშვილი ნაკობა — მეტსახელად შაბუას რომ ეძახიან.

იჩურჩულეს... თითო ცხელი ჭიქაც შეხვრიპეს და მეთაურმა გამოაცხადა:

— სილიბისტრო ჯიბლაძემ დაგვიბარა. დაბინდდება თუ არა, კომიტეტში მოდითო!..

დაიშალნენ.

სალამოთი ისევ საჩაიეში შევიდნენ. იქ იკრიბებოდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის მეოთხე რაიონული კომიტეტი.

სილიბისტრო ჯიბლაძემ თითოეულს ცალ-ცალკე შეხედა, სანდოობა შეამოწმა.

— ალიხანოვ-ავარსკისა რა გსმენიათ?

— ნადირია!

— გრიაზნოვის?

— ნაძალადევის მტარვალია!

— ჰოდა, მტარვალს მტარვალურად ექცევიან.

— გვამსახურე!

— ექვსნივე ამიტომ დაგიბარეთ.

— ბევრი მოუვათ, ერთიც ვეყოფი! — ამოაგორა ბოლმა არსენამ.

— ჩვენ რაღა! — ჩაიცინა ბათუამ.

— ათასის სისხლის მსმელს ერთი კაცი ვერ მოინელებს, ექვსივემ გამოვიღოთ ხელი.

— წინ მიზანიც უნდა წაიმძღვაროთ, უნდა კარგად იცოდეთ რატომ მივდივართ ასეთ გზაზე? — წარმოთქვა ჯიბლაძემ.

— ნაძალადევში თვრამეტ დეკემბერს ცხრა ძმა დაგვიხოცა! განა დაგვიწყებია?!

— ქუთაისის მაზრაში კი ასჯერ მეტი...

— მერე ვინ ბრალია, აქამდე რო ვყუჩობთ?

— ახლა ვიტყვით სათქმელს! — და ჯიბლაძემ კარს გახედა.

სელივანოვმა ექვსი ჭიქა ჩაი მოართვა ლანგარზე დაწყობილად და დაკვნეტილი მთელი ლამბაქი შაქარიც დაუდო.

— შეთბით, ბიჭებო!

დალიეს და შეთბნენ.

ჯიბლაძემ ლამბაქი გადმოაბრუნა, ჭიქას დააფარა და გაანდო:

— კარგად იცით, პეტერბურგიდან გამოგზავნილმა გენერალმა გრიაზნოვმა ჩვენი მეგობრები გაწყვიტა!.. რევოლუციური ორგანიზაციები გაანადგურა!.. გლეხკაცობას სახლკარი დაუქცია, რკინიგზელი მუშები ყაზახებს ააჩეხვინა. ვაპატიოთ?

— არა!

— ამიტომ! — ჯიბლაძემ კიდევ ერთხელ ჩახედა თვალებში ექვსეულს. — უნდა მოვაშოროთ ამ წუთისოფელს.

— აგაშენა ღმერთმა!

— განაჩენის სისრულეში მოყვანა თქვენ გევალებათ! აღასრულეთ, თუგინდ სიცოცხლედ დაგიჯდეთ.

დუმილი ჩამოვარდა.. ჭიქებს ლამბაქები დააფარეს.

მერე ისევ არსენამ დაიწყო:

— ყველა ჩვენგანის სიცოცხლე ძალიან დიდი ხარკი იქნება ერთი წყეულის გასაჭყლეტად. სხვებიც გავუყენოთ საიქიოს...

— იმათი დროც დადგება, — ჩაერთო კომიტეტის წევრი მიხა ლომთათიძე.

— რაღას ველით? ჩვენს გარდა ორასი შეიარაღებული ჯარისკაცი ფეხზე დგას. ქალაქში ჩამოსულან, გველიან, გვეუბნებიან — გვიმსახურეთ, გვაბრძოლეთო.

— არ ინება იმათი სამსახური ჟორდანიამ, — გაამხილა სილიბისტრო ჯიბლაძემ.

— რამიშვილმაც, — მიუერთა ლომთათიძემ.

— მაგათი წყალობით ამოხოცეს ჩვენი ფრაქციელები ქალაქის თვითმმართველობის შენობაშიც!

— არ შერჩება გრიაზნოვს!

— გადაწყვიტეთ!

— გადაწყვეტილია! მარტოდ ჩაეაძალლებ, — ამოაგორა ბოლმის გორა ისევ არსენამ.

— რატომ მარტოდ? — ჩაეკითხა ჯიბლაძე.

— ჯორჯიაშვილს, ოძელაშვილობაზე მიუწევს გული! — გაეხუმრა ღარიბაშვილი.

ჯიბლაძე ჩაფიქრდა.

— არსენა მართალს ამბობს. გრიაზნოვი ხალხის მტარვალია, მაგრამ მისი მოკვლა ხალხს არ უნდა დაბრალდეს! ვაჟკაცობა ის იქნება, რაც ნაკლები სისხლით გაკეთდება.

— მე ჩემსაზე ვდგევარ! — გაჯიუტდა არსენა.

— რომ აგიცდეს? მეორე ყუმბარით გამოგყვება.

— არ ავაცდენ!.. მაგრამ მაინც შენებურად იყოს, — დაჰყვა მეგობრის თხოვნას.

ბიჭებმა მხარზე ხელი დაჰკრეს.

სილიბისტრო ჯიბლაძემ ვარაუდი დაიჭირა:

— მიხა ლომთათიძე გრიაზნოვს გაჩვენებთ! —მოსჭრა მან.

— ჰო, თორემ ჩვენ არ ვიცნობთ, — შეახსენა არსენამ. — არც სახლი ვიცით.

— მიხა გამოგყვებათ... ყველამ ერთად ნახეთ ადგილი, მისადგომი და მოსაფარებელიც, ახლა კი დაიშალენით, ცალ-ცალკე გადით, ზოგი საჩაიეში დარჩით. როცა ყველაფერს გაეცნობით, ისევ ჩემთან მოდით.

მეორე დღეს ექვსნი ერთად უიარაღოდ წავიდნენ გრიაზნოვის სანახავად, მიხა ლომთათიძე გაუძღვა, ალექსანდრეს ბაღთან მიიყვანა, მესანგრეთა და ბარიატინსკის ქუჩების კუთხეში გაჩერდნენ, ჩრდილში მოეფარნენ.

— აი, მისი სახლი!..

ორსართულიანი შენობა ბაღს გადმოჰყურებდა, ორი შესასვლელი კარი თავქვე ქუჩიდან ერთ საჟენზე იყო ამაღლებული და ორივე მხრიდან დაქანებული მისადგომი აუდიოდა. მოჩუქურთმებული რკინის ოთხ ბოძს შუა, რომელსაც თუნუქის ბრტყელი სახურავი უჩრდილავდა, სადარბაზო ორი მუხის კარი ედგა. გენერალი იმ

კარებით თავის სახლშიც შედიოდა. ბარიატინსკის ქუჩის პირად თორმეტი ფანჯარა გამოდიოდა. მეორე სართულსაც კი ერთიმეორის გაყოლებით თხუთმეტი ფანჯარა ედგა კიდეებზე გადმოკიდებული რკინის ხუჭუჭამოჯირიანი ორი კოხტა ავენით.

გენერალი მაღლა სართულში ცხოვრობდა, მსახურნი დაბლა.

გრიაზნოვი დაბლა სართულში ჩავიდა. შესასვლელში კაზაკები იდგნენ, ფანჯრებში კი ოჯახის წევრები იყურებოდნენ. მისი შვილი, ახალგაზრდა კორნეტი აივანზე გადმომდგარი შტაბში მიმავალ მაპას აცილებდა.

სახლის წინ ნარგავები არ იდგა. ამვლელ-ჩამვლელები ხელის გულზე ჩანდნენ. სათვალთვალოდ მარტო ალექსანდრეს წიწვნარით დაპურული ბაღი რჩებოდა. ზემო მხრიდან გოლოვინის პროსპექტზე თურქეთზე რუსეთის გამარჯვების სადიდებლად აგებული მუზეუმის შენობა ეკრა. შიგნით ნადავლი იარაღის ნიმუშები ეწყო, გაოეთ კი ზარბაზნებით აჩოჩხილი ჯაჭვის ღობე ერტყა.

ექვსივე ტერორისტი ბაღის ბუჩქნარს შეეფარა. მიხა ლომთათიძემ უთხრა:

— გრიაზნოვი მოდის!

„ვხედავთ! — ჩაიფუჩუნა ერთმა ყველას მაგივრად.

— მეეტლესაც შეხედეთ, შავწვერებიანია!

„ვუყურებთ“.

— სხვისი ეტლებიც ჩერდებიან, იმათაც შავი ცხენები უბიათ.

„გვეცოდინება“.

— თუ ცხენებს წინა ორ ფეხზე თეთრი ბაბთა ახვევიათ, გრიაზნოვის ეტლისაა!

„დავიხსომებთ“.

— როცა გენერალი მიდის, ყველა ფანჯრიდან უყურებს.

„ვამჩნევთ“.

— ორი ადიუტანტი კართან ატუზულა, აცილებენ.

„ვეღარ გააცილებენ“.

— გენერალი ბარიატინსკის აღმართის ავლით, გოლოვინის პროსპექტის გავლით და სასახლის ქუჩის ჩავლით შედის ხოლმე სამხედრო შტაბის შენობაში.

„რაღას შევა“.

მერე თვითონაც გაჰყვნენ მისი გზა-კვალის დასაზვერად.

როცა ყველაფერი საკუთარი თვალით ნახეს, დაიხსომეს და

გულის ფიცარზე დაიწერეს, ისევ სილიბისტრო ჯიბლაძესთან წავიდნენ:

— რაო?!

— გავეცანით.

— როგორ გემარჯვებათ ადგილმდებარეობა?

— მარჯვედ დასაგორებელია.

— მაშ ახლა სამეულიც აირჩიეთ თქვენდა თავად, ადგილები დაირიგეთ, ყველამ თავისი საქმე იცოდეს, ვინ ბომბი ესროლოს, ვინ კი ბომბის მტყორცნელი დაიცვას!..

— აირჩიეს: არშაკა, შაბუა და მიხა.

— მერე ჩემთან მობრუნდით, გამაცანით: სამი ჭკუა კარგია, ოთხი უკეთესი! — შეაყირავა ანდაზა ჯიბლაძემ გრიაზნოვის გადმოსაყირავებლად.

მესამე დღეს ისევ სიმონა სელივანოვის ჩაი შეხვრიპეს და ჯიბლაძის საბოლოო მოქმედების გეგმაც ჩაატანეს:

«ალექსანდრეს ბაღის გამოსასვლელ კართან ნივდგებით. ბაღის იქითა მხარეზე ინჟინერთა საოლქო სამხედრო სამმართველოს შენობის წინ ჯარი დგას, მაგრამ ყველაზე მოსახერხებელი ადგილი მაინც ეს არის».

„არსენამ და პუშკამ იკისრეს ბომბის გადაგდება".

«დანარჩენები რევოლვერებით დავიცავთ».

«მაგრამ ბომბის ხელით ტარება არ შეიძლება, ყოველდღე პატრული დადის».

«ამიტომ არშაკა ძველ ტანსაცმელს გადაიცვამს და კალათით „სემიჩკას" ატარებს. კალათში კი ბომბს ჩავიდებთ».

ჯიბლაძემ გეგმა მოუწონა, დაუმტკიცა

მეხუთე დღეს, დილით საჩაიეს პატრონმა სიმონამ არშაკას ძველი პალტო ჩააცვა, მზესუმზირით სავსე კალათა მისცა და პატარა ჭიქაც ჩაუდო.

მიხა ლომთათიძემაც „ავჭალის" ტიპის ორი ბომბი კალათაში ჩაუწყო და ყველა თავის ადგილზე დადგა.

მაგრამ მოულოდნელი რამ მოხდა!..

შავსოფლელი ხუნხუზა სადღაც გაიპარა. კაცმა ვერ გაიგო, სად და რატომ? დანარჩენებს მუხლები ჩამოსწყდათ წინდაუკან სიარულით, მაგრამ გენერალი იმ დღეს არ გამოჩენილა.

ისევ უკან დაბრუნდნენ.

მეექვსე დღეს შაბუაც ავად გახდა. სადარაჯოდ ოთხნი დარჩნენ. ისევ საჩაიეში შეიკოიბნენ ძოსალაპარაკებლად და ახალი გეგძის დასაწყობად.

კიდევ სამი დღე უთვალთვალეს, მაგრამ უქმად, — გრიაზნოვი ვერ მოიხელთეს.

მეათე დღეს კი, როგორც იყო, გამოიარა...

არსენამ ბომბის გადაგდება დააპირა, მაგრამ შავსოფლელ პუშკას ფერი ეცვალა, ხუპუჭა თმებიც კი ყალყზე დაუდგა, კანკალი დააწყებინა.

ამან სხვებიც შეაჩერა... საქმე ჩაიშალა.

იმწამსვე ოთხივენი ერთად შევიდნენ სასადილოში:

— ეგ რა გვიყავი, კაცო?!

— ფრთხალი ყოფილხარ, პუშკა, — დაემდურა არსენა.

— რა ვქნა, მეც არ ვიცი, რა ჭირი მეცა?!.

— შენ თავს აღარა ვჩივივართ, საქმეს წაახდენ...

— ჩამოგვშორდი...

— პუშკა დარცხვენით დაეთანხმა.

— მეორე ყუმბარა ვისი იყოს? — იკითხა არშაკამ.

— ჩემი! — მოითხოვა ბათუამ.

ხელახლა დაიწყეს დილაობით გასვლა ნაგულევ ადგილზე.

კობამ ეს აბბავი შეიტყო. არ მოეწონა. ტიტე ცამიწაძე დაიბარა და უთხრა:

— არსენა ჯორჯიაშვილს მიენდო გენერალ გრიაზნოვის მოცილება, მაგრამ აგვიანებს. მოამზადე რამდენიმე ყოჩაღი ბიჭი. ერთ კვირაში თუ არსენამ ვერ შეასრულა, შენ მოგახდობთ!..

ტიტეს გაეხარდა. მოამზადა ორი გულადი ბიჭი და ერთი კვირის გასვლას დაელოდა.

კვირა დილა იყო. პავლე ჯორჯიაშვილის ოჯახი დილის ჩაის უსხდა.

არსენას თვალი გარეთ ეჭირა. როგორც კი ჩაის დალევა მოათავეს, წამოდგა, ქუდი დაიხურა, დედას მორჩილად გახედა და ჩაიბუტბუტა:

— დედილო, სახელოსნოში ბიჭებთან შევივლი, ვიკითხავ, ვინმეს ხომ არ აბრუნებენ დათხოვნილებიდან!

— წადი, შვილო, იქნებ ბედმა შენც გაგიღიმოს.

მთელ დღეს არ გამოჩენილა.

საღამოს ჟამს ნათესაების პატარა ბიუმა ეზოს კარი შემოაღო და შემოძახა:

— არსენამ გამომგზავნა, ამაღამ სახლში ღამეს არ გავათენებო, ნუ იდარდებთო!..

დედა ჩაფიქრდა: „რა უნდა იყოს ომის თავზე. შემთხვევა არა ყოფილა, შინ არ გაეთიოს!“.

მამამ დაამშვიდა:

— ეგეც კაცია, არ იცი რო?!

დაიძინეს, ბედნიერი დილის გათენებას დაელოდნენ: „იქნებ სამუშაოზე დააბრუნონ?“.

თექვსმეტ იანვრის ორშაბათ დილას არშაკა ისევ მივიდა სიმონას საჩაიეში.

— არსენა არ მოსულა?

— ჯერ არა...

კალათი აიღო, მეჩაიემ ქაღალდში გახვეული ორი ბომბი მზესუმსირაში ჩაუფლა და პირჯვარი გადასახა.

— მივდივარ!.. არსენაც მალე დამადევნე.

ათიოდე წუთის შემდეგ არსენაც მივიდა.

— ბაღთან გელოდებიან.

— წავედი! წავედი!..

კარი გამოიხურა. ნიკალა ფიროსმანის ნახატ ფირნიშს ახედა. სამოვართან ჩაცუცქული დათვის ბელი ჩაის სვლიპავდა.

არსენამ მოედანი გადაიარა, ციციანოვის დალმართზე დაეშვა, მუხრანის ხიდზე შედგა, რკინის მოაჯირზე ხელის გული გაასრიალა, გაყინულია, ჯიბეში იტაცა და ბრაუნინგის ცივმა ლულამაც დასუსხა. ნაბიჯს უმატა, სალდათის ბაზარი შუაზე გადაჭრა, დალალებს ჩაუარა, შეშის გუდურების რიგს აუარა, მესანგრეთა ქუჩით ალექსანდრეს ბაღში შევიდა და არშაკას თვალი უყო.

მალე ბათუაც გამოჩნდა, არშაკას თავისი ბომბი გამოართვა, უბეში ჩაიდო და ისევ წავიდა.

ბაღში სხვა აღარავინ არ მივიდა.

არსენა და არშაკა მარტო დარჩნენ.

დილის ცხრა საათზე გრიაზნოვის მცველი ყაზახები მწყობრში ჩადგნენ. წუთი-წუთზე გენერალიც გამოვიდოდა.

— მომეცი! — ჩასჩურჩულა არსენამ და ორკაპიკიანი გაუწოდა.

არშაკამ პატარა ჭიქა მზესუმზირაში ჩაფლა, აურ-დაურია, თით-

ქო ყელამდის უკსებსო, მერე კალათის ძირიდან ქაღალდის პარკში ჩადებული ბომბი ამოიღო და ორივე მუჭით ფრთხილად მიაწოდა.

— კაფსულა არ დაგავიწყდეს, ბიჭო, ნამძინარევს?

— სახლში როდი მეძინა. უბეში მიდევს.

— მარჯვედ იყავ. არსენ. ხელიდან არ გაუშვა ქოფაკი!..

— ფიქრი ნუ გაქვს, ადგილის ნადირს ადგილისავე მწევარი იჭერსო.

— სხვა ბიჭები არა ჩანან! — დაღონდა არშაკა.

— ღმერთმა ხელი მოუმართოთ. მეც ვეყოფი.

— მე საფარში დაგიდგები, მიზანში არ ავაცდენ შენზე წამოსულებს.

— ნურა გაფიქრებს, შენ თავს უშველე, ხიფათში არ ჩაიგდო. თავად მოვუვლი. აკი გვითხრეს. ნაკლები სისხლითაო.

— ჰო. ასე თქვეს...

ბარიატინსკის ქუჩიდან გრიაზნოვის ეტლმა ამოუხვია. ცხენები თქარუნით მოქროდნენ მოკირწყლულ ალმართზე. საინჟინერო მმართველობის მოხელეები გარეთ გამოეფინენ და გენერლის სახლისკენ იცქირებოდნენ გრიაზნოვისთვის დაბალი სალმის მისაცემად. გუშაგად მდგარი სალდათები სარგადაყლაპულებივით გაშეშებულიყვნენ.

ეტლი სადარბაზოსთან შედგა. ყორანა ცხენები ქაფმოდებულ რკინის ლაგამს კბილებით ღრჭნიდნენ და თვალებს აბრიალებდნენ. ფრუტუნებდნენ და ქვეშს ნაპერწკლებს აყრევინებდნენ.

თავდაღმართზე კი, გოლოვინის პროსპექტიდან, ვიღაც ქალი დაეშვა. ხელები თბილ მუფთაში შეეყარა, თითქოს მასაც ბომბი სჭეროდეს. და თუ აღმართში ნასროლი ეტლს ვერ მოხვდებოდა, თითონ მუფთიანად თავქვეზე შეუჯდებდა და საქმეს ისე მოათავებდა, როგორც ერთხელ პეროვსკაიამ იმარჯვა და თავი ისახელა.

არსენამ ეტლს თვალი გაუსწორა, სამიზნედ ამოიღო, რაკი ავი ყუმბარა ერთნაირად მოცელავდა ეტლსაც, მეეტლესაც, გვერდით მჯდარ კაზაკსაც. რბილად ჩამჯდარ გენერალსაც მოსწვდებოდა და თუ თავს არ წააგდებინებდა, თვალებს მაინც დასთხრიდა. მერე რევოლვერსაც დაახლიდა. ამ ფიქრითა და საზრით გასწია წინ ჯორჯიაშვილმა, მარამ ქალის თავქვე წამოსვლამ მაინც დააღონა.

ამასობაში გრიაზნოვიც გამოვიდა. კიბეზე დაეშვა. ეტლთან მიდგა, მერე მაღლა ფანჯრისკენ აიხედა, თავის შვილს, ახალბედა

კორნეტს ორი თითით დაეძვიდობა, ეტლის საფეხურზე შედგა, დაბნიქა, რბილ საჯდომზე დაჯდა და წვეროსან მეეტლეს უბრძანა:

— „ნუ, ვესელეი, ივან!“

გრძელწვერა და ნესტოებგახლეჩილმა მეეტლემ ცხენებს შეუძახა და ისინიც უმალ ადგილიდან მოწყდნენ.

არსენამ უბიდან კაფსული ამოიგდო, ბომბს მოარგო, ღონივრად მოიქნია, გადააგდო და თავად უმალ წაწვა.

ბომბმა იფეთქა!.

შავმა ულაყებმა წაიფორხილეს, მეეტლე კოფოდან გადმოვარდა, მცველი კაზაკი ქვაფენილზე დაენარცხა, თავდაღმართზე ჩამომვლელ იმ ქალს მუფტა გაუვარდა და ყუმბარის ტალღამ კედელს მიახეთქა.

კიბეზე შეჯგუფებული ოფიცრები აწრიალდნენ, გრიაზნოვის ადიუტანტი გენერლისკენ გაქანდა, საინჟინრო მმართველობის მოხელეები გარეთ გამოცვივდნენ, გუშაგმა სალდათებმა ხიშტიანი თოფები მოიმარჯვეს და აფეთქებული ეტლისაკენ გაიქცნენ.

არსენამ თავი წამოჰყო, მიიხედ-მოიხედა, ბაღში შეფარებულ არშაკას გახედა და ისევ გაწვა, წამოდგომასა და გაქცევას არც კი აპირებდა. გენერლის მსახურებმა ყვირილი მორთეს.

— ძერჟი ევო! ძერჟი, ნე პუშჩაი! ნე პუშჩაი!..

არშაკა არსენას წამოხტომას ელოდა. ის კი აგვიანებდა. ფიქრმა გამსჭვალა: „დაიჭრა! ხელში ჩაუვარდა!“ უმალ ალექსანდრეს ბაღში შევარდა.

არსენამ რომ დაინახა არშაკას სამშვიდობოზე გასვლა, თითონაც წამოდგა და ალექსანდრეს ბაღის კარისაკენ დინჯად დაეშვა.

ქვემოდან ზემოდ მომავალმა სამურის პოლკის გადამწერმა და ოთხმა სალდათმა გზა გადაუჭრეს.

— გადადექით! — შეუყვირა არსენამ და ბრაუნინგი გაიძრო.

გადამწერი შეშინდა, ხელები მაღლა აჰყარა. უკანიდან შემოვლილმა სალდათმა კი თავქვეზე ფეხი დაუდო და დასცა. გაგულიანებულმა გადამწერმა ხელები ისევ დაუშვა და სალდათებს წაეშველა. არსენამ მოსაკლავად არავინ არ გაიმეტა, გრიაზნოვის ფასი, აბა ვიღა ეგულებოდა, მაინც რევოლვერი გადამწერს თავში დაარტყა და თავის გვერდით ჩააჩოქა. ოთხმა სალდათმა ხელები გადაუტრიალეს, ბრაუნინგი გააგდებინეს, ზედ შესდგნენ, კონდახები ჩასცხეს და გონებადაკარგული მიწაზე გაშხლართეს.

გრიაზნოვის ადიუტანტი მოვარდა და გაცოფებულ სალდათებს უყვირა:

— არ ჩაკლათ! ცოცხლად წაიყვანეთ!..

სალდათებმა მკლავსა და ფეხებში ხელი ჩაავლეს, აათრიეს და დასისხლიანებული საინჟინერო მმართველობის საკომენდანტოში შეიტანეს.

დარეტიანებულმა გადამწერმა არსენასეული ბრაუნინგი ძვირფასი ჯილდოსავით ხელისგულზე დაიდო და თითონაც შელასლასდა.

გრიაზნოვი კი სამხედრო ეტლში ჩასდეს და მიხაილოვის საავადმყოფოში გააქანეს.

მეორე დღეს თბილისის მიხეილის საავადმყოფოს მთავარი ექიმი ვრცელ დასკვნას უგზავნიდა კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლოს გამომძიებელ, პოლკოვნიკ ფონ-მანტეიფელს:

„თანახმად თქვენი მაღალკეთილშობილების წინადადებისა მაქვს პატივი გაუწყოთ შემდეგი: გენერალ-მაიორი გრიაზნოვი მოიყვანეს თბილისის მიხეილის საავადმყოფოში 16 იანვრის დღის თერთმეტ საათზე სიცოცხლის ყოველგვარი ნიშნების გარეშე.

სხეულის გამოკვლევისას აღმოჩნდა შემდეგი: მარჯვენა ყურის, საფეთქლის ძვლის დვრილისებური მორჩის, კეფის ძვლის მარჯვენა ნაწილის, კისრის გვერდითი ნაწილის, ყვრიმალის ძვლის გარე ნაწილის და ქვედა ყბის მარჯვენა ნაწილის არეში აღინიშნება ფართო, დაახლოებით ხელის გულის ოდენა ჭრილობა, დაფლეთილი კიდეებით. ჭრილობა ღრმად მიიმართება ქალას ღრუში, საიდანაც გამოჩრილია ტვინის ქსოვილის მასები. ხელის დაჭერით აღინიშნება საფეთქლის და კეფის ძვლის ნამტვრევების მოძრაობა და ტკაცუნი. მარჯვნივ ყვრიმალის ძვალი, ზედა და ქვედა ყბა დამსხვრეულია.

ზემოაღნიშნული თავის ჭრილობა ტვინის დაზიანების გამო საბოლოოდ უნდა ჩაითვალოს.

ყველა აღწერილი ჭრილობა მიღებულია ამაფეთქებელი ყუმბარის ნატეხებით“.

პატიმარიც მიმკვდარი ედოთ, ხმას ვერ იღებდა, არ ესმოდა, პირსახე დახეთქილი ჰქონდა, ტანი დაბეგვილი, ფეხზე ვერ დგებოდა, გონებას ვერ იკრებდა.

გამომძიებელი ფონ-მანტეიფელი ერთსა და იმავეს ეკითხებოდა არსენას — ვინ არის, სადაური, რა გვარია?!.

ძერე გეში თბილისის რკინიგზის მთავარ სახელოსნოების მუშებზე აიღეს. ორი იქაური ჯაშუში მოიხმეს — ვიქტორ ციცერსკი და ნიკოლოზ ადამოვი.

იცნეს:

— ჩვენი სახელოსნოს მუშაა, არსენ ჯორჯიაშვილი, — ახარა ციცერსკიმ.

— ის არის — დაუდასტურა ადამოვმა, — ვანო სტურუამ და მიხო ბოჭორიძემ რომ გაგვლახეს, ეგეც იქ იყო. სხვებს ურტყამდა, ვინც გაფიცულებს განუდგა, ფეხზე არ აჩერებდა, ერთი დარტყმით აგორებდა. მწარე ხელი აქვს.

— ჰო, ასე იყო! როცა მთავარ სახელოსნოს მუშების გაფიცვა ჩავშალეთ, შინ ვბრუნდებოდით. მე და ადამოვი ნაძალადევის ერთი ქუჩის კუთხეში მოგვიმწყვდიეს. პოლიციელის მოხმობა ვერ მოვასწარი. ხარატმა ვანო სტურუამ სილა გამაწნა, ბოჭორიძე მჭედელმა ადამოვი წამოიკიდა, მიწაზე დაანარცხა და მეც ზედ დამაკრა. მერე ქამრები შეიხსნეს, უმოწყალოდ გაგვროზგეს — „ეგეც თქვენ, ძაღლებო, შტრეიკბეხერებო!“ — გვაგინებდნენ... შინ ძლივს მივედი. სამ დღეს ლოგინად ვეგდე. თავად კი არხეინად გასწიეს. არსენაც თან გაჰყვა.

ადამოვმაც გაიხსენა:

— სტურუა, ბოჭორიძე და არსენა გვემუქრებოდნენ, მეტსაც დაგმართავთო! ეგ არის, არსენა, თქვენო კეთილშობილებავ!..

— მაშ ამბობთ, ჯორჯიაშვილია გვარად? — ჩაჰკითხა გამომძიებელმა.

— წყალი არ გაუვა. ჩამომსხმელი საამქროს მუშაა, მეექვსე საპოლიციო უბანში ცხოვრობს, ძველი ტამოჟნის ქუჩაზე, ას სამოცდა ცხრა ნომერში. ხუთი თითივით ვიცი მაგისი ავან-ჩავანი. ყველა მათი ასავალ-დასავალი.

ციცერსკიმ და ადამოვმა დეპოს შავრაზნული „პატრიოტული საზოგადოების“ სახელით ჟანდარმერიის ოფიცერ ვოლტერს თექვსმეტი მეამბოხე მუშის სია წარუდგინეს და თავში ჯორჯიაშვილის გვარი მოაქციეს.

გენერლის შვილმა, კორნეტმა გრიაზნოვმა კი როტმისტრ მარტინოვს განუცხადა:

— განსვენებულმა მამაჩემმა, რომელიღაც სოციალისტური პარტიის მუქარის წერილი მიიღო. სიკვდილით ამინებდნენ ნაძალადევში ცხრა კაცის დახოცვისათვის. ალიხანოვ-ავარსკის საეკზეკუციო ოპერაციისათვისაც ქუთაისის გუბერნიაში.

16 იანვარს ჯერ კიდევ გაცივებული არ იყო გენერალ გრიაზნოვის გვამი, რომ ეანდარმთა სამმართველოს უფროსმა პოლკოვნიკმა ბაზგინმა ფრიად საიდუმლო და სასწრაფო მიწერილობა გაუგზავნა პოლკოვნიკ გოლიცინს:

«...ვთხოვ თქვენს მაღალკეთილშობილებას გადაუდებლად შეუდგეთ საქმის გამოძიებას ბარიატინსკის ქუჩაზე დაჭერილი უცნობი კაცის რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობის მიღების შესახებ. აღნიშნული უცნობი არის საოლქო-სამხედრო შტაბის უფროსის გენერალ გრიაზნოვის მკვლელი. შედეგი მაცნობეთ".

პეტერბურგი დეპეშას დეპეშაზე გზავნიდა:

„სასწრაფოდ გვაცნობეთ, სასამართლოს განაჩენს როდის მოიყვანთ სისრულეში. ეს ცნობა საჭიროა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის წარსადგენად".

მეხელილის საავადმყოფოს მთავარი ექიმი კი მხრებს იჩეჩდა:

— ჯორჯიაშვილი ჯერ გონებაზე ვერ მოდის. გუშინაც მთელი დღე თვალაუხილველი იწვა, ხელოვნურად კვებავენ.

არსენა ძლივს მოვიდა გონზე.

გასამართლების დღედ დაინიშნა. 20 თებერვალი. სასამართლოს წინასწარ მოსამზადებელ სხდომაზე კი გადაწყდა:

განხილულ იქნას ჯორჯიაშვილის საქმე დახურულ სხდომაზე.

არსენ ჯორჯიაშვილი 27 იანვარს გონზე მოვიდა, მაგრამ ჩვენებაში თავი დამნაშავედ არ ცნო.

სასამართლომ, გენერალ-ლეიტენანტ შერბოვიჩ-ვეჩორის თავმჯდომარეობით სისხლის სამართლის კანონის 1453 მუხლის თანახმად დაადგინა:

„არსენ ჯორჯიაშვილს ჩამოერთვას ყოველგვარი უფლება და მიესაჯოს სიკვდილი ჩამოხრჩობით, ბრაუნინგის სისტემის რევოლვერი და ბომბის ნამსხვრევები კანონიერი განკარგულებისთვის გადაეცეს თბილისის პოლიცმეისტერს. სასამართლოს ხარჯები გადახდილ იქნას ბრალდებულ ჯორჯიაშვილის ქონებიდან და თუ მას არავითარი ქონება არ აღმოაჩნდა, მაშინ თანახმად 1155 მუხლისა, მიიღოს თავის თავზე სახელმწიფომ».

დილით უგუნებოდ გაელვიძათ. წუხანდელმა საუბარმა მოთენთა. მხოლოდ თურქი სოვდაგარია ხალისზე, უფრო თანაგრძნობით უყურებს როტმისტრს, ვიდრე მანამდე... სტუდენტს კი ექიშპება, ქვემოდან ცერად აჰყურებს ზემო საწოლს.

— რუსო-ეფენდი! — იკრიჭება ვაჭარი, — ქართული სიმღერის მცოდნეც ბრძანებულხართ, როგორა სთქვით? — „მიყვარს წითელი ვაშლის გორებაო!“.

როტმისტრმა თვალები მოიფშვნიტა და ამოამთქნარა:

— დაიხსომეთ, ვაშლს სიკვდილიც მოაქვს! გაგებული გექნებათ, თბილისში, აი, ახლახანს, წითელი ვაშლი გაუგორეს კავკასიის არმიის შტაბის უფროსსაც. მკვლელი ადგილზევე გაიკეკეს. სამხედრო სასამართლომაც არ დააგვიანა, სიკვდილი მიუსაჯა ჩამოხრჩობით. მოწმედ მეც მიხმეს. ვერ გამიგია, რატომ?..

მერე ქვედა ტახტზე გვერდი იცვალა, ზედაზე მწოლიარე სტუდენტს ახედა და უფრო იმის გასაგონად ენა დაგრძელა:

— ბრძანება მივიღე, ესკადრონთან ერთად დაესწრებოდი განაჩენის სისრულეში მოყვანას, პირველ მარტს დილის შვიდ საათზე საგუბერნიო ციხეში ვყოფილიყავი! ღამითვე გავედი... განთიადზე უკვე ციხის ეზოში ვიდექი, ჩამოხრჩობის ადგილას. ქვეითი ოცეულიც ჩაემწკრივებინათ დოლ-დაფდაფებით.

ციხის ზედამხედველებმა ჩამოიყვანეს ხელგაკრული მკვლელი. იღლიებში ამომდგრებს მოჰყავდათ, — მოათრევდნენ. სიარულის თავი სადღა ჰქონდა, ნაწვალებსა და ნაბეგვს ჰგავდა, პირსახე დალურჯებოდა, დასიებოდა, თვალებიღა უელავდა, ხანჯალივით მეკვალავდნენ.

საკანში მღვდელიც შეუგზავნიათ საზიაროთ! უარი უთქვამს. რამდენიმე წუთს გამოლაპარაკებია მოძღვარს. მაინც არ მოუნანიებია, არავინ გაუთქვია: „რაც ჩავიდინე, ჩემი ნებით გავაკეთე, ხალხის სიბრალულმა მაქნევინა, ცოდოს ნურავის დასდებთ, თქვენსავე თავს დააბრალეთ... ვაი დედასა, — არ დამცალდა, თორემ იმ ძაღლ გრიაზნოვს ალიხანოვ-ავარსკისაც მივაყოლებდი“.

სიკვდილმისჯილი ციხის ეზოში ამართულ საბრჭობელის ქვეშ დააყენეს. საპატიმროს ფანჯრებიდან კი დაფეთებული ტუსაღები იქყიტებოდნენ. ციხის უფროსმა რაღაც ქაღალდი წაუკითხა და

ჰკითხა, — სიკვდილის წინ რას ისურვებო?.. მან თავი აიღერა და დაიძახა:

„ — იმასვე, რაც მე გადამიწყვიტეთ! მე ხალხისათვის ვკვდები, ხალხი არ დამივიწყებს. მეფესა და მის გენერლებს კი სახრჩობელაზე დაგკიდებენ“.

განწირული კაცი ჩემი ესკადრონისკენ იყურებოდა, ამხედრებულ დრაგუნებს აგონებდა ამ სიტყვებს: ქვეითებსაც თავები ჩაეღუნათ, სიკვდილმისჯილი ხვდებოდა, რომ სალდათებსაც ეცოდებოდათ! ცხენოსანთა ესკადროხი და ფეხოსანთა ოცეული სამტროდ არ იყო მისული, ძალით მოგვიყვანეს, თორემ რისთვის სჭირდებოდათ ყარაული, ხელით ეჭირათ არ წაქცეულიყო.

მძიმე საფიქრალი გაუჩნდა ციხის უფროსს. ჯალათი უქეიფოდ გაუხდა, ჩაწვა, ლოგინიდან წამოგდებაც ვერ შეძლეს, რაღაცას ბოდავდა, ბევრის სიცოცხლეს მოუღო ბოლო, მაგრამ ახლა თავადაც სიკვდილის პირას მიმდგარიყო. როგორც კი დააზუსტეს არსენას ჩამოხრჩობის დღე და საათი, ჯალათს სახლში მიაკითხეს შავსოფლელებმა და შავი გარიგება დაუდეს:

— ბევრი ჩამოგიხრჩვია, არც არსენას დაინდობ, ვიცით კარგად!

— მერე, რა თქვენი ჭკუის საქმეა! — დაუბღვირა ჯალათმა და მკლავი მოიღერა.

შავსოფლელებსაც ეს უნდოდათ, ფეხქვეშ ამოიდეს, იმდენი ურტყეს სანამ არ ახვეწინეს:

— ქრისტიანებო, დამინდეთ!

— დასანდობი სულისა არა ხარ!..

— მიბრძანეთ და შეგისრულებთ!

შავსოფლელებმა ერთმანეთს გადახედეს და პირობა დაუგდეს:

— სახრჩობელაზე არ გახვალ!

— ციხის უფროსის ბრძანებაა, როგორ გადავუდგე?

— მაშინ შენ თავს გადაუდექი!..

— დამინდეთ! — აღნავლდა ისევ ჯალათი.

— თოკი სანახევროდ გადასჭერი, გასაწყვეტზე მიიყვანე. არსენას სიმძიმე გასწვიტავს. მეორედ აყვანა სახრჩობელაზე წესით აღარ შეიძლება. მთელი ციხე ფანჯრიდან აყვირდება, ტუსაღების მუქარა სახრჩობელას შეაქანებს, მეფისნაცვალს აცნობებენ, მერე ჩვენ ვიცით, რასაც ვიზამთ!.

— ეგრე იყოს! — ამოღაფა სული ჯალათმა და...

ლოგინიდან ვეღარ ადგა. მაგრამ ვერც მარყუჟი გასჭრა ჩაწყვეტაზე.

სხვა ჯალათის მონახვა კი გაჭირდა. მოხალისე არ გამოჩნდა.

მაშინ საგუბერნიო ციხის ერთი ლოთი ზედამხედველი კინწისკვრით მოიყვანეს, წინდაწინ არაყი აცეცხლეს და უბრძანეს:

— ან დაჰკიდებ, ანდა თავად დაეკიდები!

ჯალათობას ნაჩვევი არ იყო, მაგრამ საკუთარი თავი ვერ გაიმეტა. ბურტყუნით დათანხმდა, თვალები ერეოდა, თავს ვერ იმაგრებდა, მარყუჟს ხელი ჩაჰკიდა, მოსინჯა, თოკს არ გაწყვეტავდა!

არსენამ მთვრალი ჯალათი გვერდზე გასწია და დაიძახა:

— მშვიდობით, ძმებო!.. წითელი ვაშლის გორება მიყვარდა და არც ავაცდინე, ქვეყანას ჭირი მე მოვაცილე! — დაიძახა და მისი ქუხილი სალდათების დოლ-დაფდაფებმა ჩააბნო.

ჯალათმა ტომარა ჩამოაცვა, მერე ზედა ხარიხახე ჩამოკიდებული მარყუჟი ნაჩქარევად მოსდო, მაგრამ უხეიროდ მოჭერილი ერთხანს კიდევ აწვალა.

ჯორჯაშვილი ხრიალებდა! სალდათების დოლ-დაფდაფები კი გრიალებდნენ... არსენა ფართხალებდა. სამხედროთა დოლპიტოები კი კაკანებდნენ. მერე მთელი ტანით შეფართხალდა, თოკი გაქანდგამოქანდა, მოწყვეტილად დაიძაგრა და ჩამოკონწიალებულ ადამის ძეს სული ამოხდა.

დოლ-დაფდაფების გრუხუნი ჩაწყდა... ჩამოხრჩობილის ხმაც მიწყდა, ციხის ეზოში ცოდვის ტბა დადგა, საპყრობილეს რკინისგისოსიან ფანჯრებში კი სიმღერა აბღავლდა: „მე მოვაშორე, ქვეყანას ჭირი...“

ყაზარმაში დამძიმებული ფიქრებით დავბრუნდი. ცხენს მივყავდი, მოთენთილი ვიყავ. იმ ჩამოხრჩობილივით ვირწეოდი უნაგირზე. თან თვინიერი, ერთგული ცხოველის ფერდების სითბოს ვგრძნობდი მუხლებით, მისი ფრუტუნა სუნთქვა მაფხიზლებდა, იმას კი, ცივი ტომრის ქვეშ ყელზე თოკმოჭერილს, არც მიწა ათბობდა და ვერც ცა აგრილებდა...

ჩემი დრაგუნებიც თავჩაქინდრული მომყვებოდნენ, ბოღუშულნი მოირწეოდნენ, არ ვიცი. იქნებ მსაყვედურობდნენ ნანახისთვის, მაგრამ რა ჩემი ბრალი იყო?!

რად უნდა აყურებინებდნენ ამოდენა ხალხს?! სიკვდილის დასჯის ცქერა ვის ახარებს!.. აფიქრებს კი ბევრს. დასჯილის მხარეზე გადაჰყავს. მერედა, ვისი ბრალია საჯარო წამების მოწყობა? ალბათ, წარსულის! იქიდან მოდის, გუშინ, რომ გიამბეთ, — ივანე მრისხანეს მღვრიე ჟამიდან!.. ურჯულოთა ჩვევების შემონაზიდიდან, წამების შემოხიზნული ცერემონიალიდან! მაგრამ მაშინ ბარბაროსობა აბრუებდა ადამიანს. ახლა სხვა დროა. ჩვენმა მეფემ სახელმწიფო სათათბიროც კი შექმნა ხალხის ნება-სურვილის გამოსავლენად. მონარქიამ კონსტიტუციით ფრთებიც შეიკრიჭა... მაშასადამე, სხვა დროა!.. ანდა ვერა ვგრძნობთ ამ დროის სისასტიკის საშიშროებას, რამაც შესაძლოა წარმოშვას ასეთივე და უფრო ანჩხლი სისასტიკე, ავი შურისმაძიებლობა... მეშინია ასეთი გოროზი ჟამის მოძალების, თუმცა მჯერა გარდუვალია, აი, მაშინ კი დაგვიდგება განკითხვის დღე!.. არ მინდა მონსწრე ვიყო, მოწმედ დავუდგე, მით უფრო მონაწილედ ვიქცე!.. არც თქვენ გისურვებთ ამას, ბატონო სტუდენტო!..

როტმისტრს ცივმა ოფლმა დაასხა. მერე უფრო შეკანკალდა და ჩობანი წაიფარა.

— გგონიათ, ყველაფერი ამით დამთავრდა?! არ იფიქროთ! ჩემს ცხენოსან ესკადრონს ასზე მეტი რევოლუციური ფურცელი შეუფინეს ბალიშქვეშ... საკვირველია, — ის ნაბეჭდი სიტყვები, იმ ჩამოხრჩობილის ძახილს ჰგავდა:

— „ამხანაგებო! — 1 მარტს დილის 7 საათზე საგუბერნიო ციხის მოედანზე თოკით დაახრჩვეს ისეთივე ღარიბი, ისეთივე მშიერი, ისეთივე უუფლებო კაცი, — გვარად ჯორჯიაშვილი (ქართველი) როგორც ჩვენ ყველანი თქვენთან ერთად ვართ. ის ჩამოახრჩვეს იმიტომ, რომ მან მოჰკლა ერთი მტარვალთაგანი — გენერალი გრიაზნოვი.

ვინ იყო გენერალი გრიაზნოვი, ამის შესახებ დაწვრილებით ჩვენ არ ვილაპარაკებთ. ჩვენ ძალიან კარგად ვიცნობთ ყველა ამ გენერლებს და სხვა ამგვარ ხალხს მკერდზე ოქროს ნიშნებით დამშვენებულთ! ამისათვის მოვიგონოთ, ამხანაგებო, ყველა ის საშინელება და უბედურება, რასაც განიცდიდა რუსი ჯარისკაცი ომში ამ გენერლების მიზეზით, მოვიგონოთ ის ცემა-ტყეპა, დამცირება, შეურაცხყოფა, რასაც ჩვენ ყოველდღე გვაყენებენ პოლკებში იმავე გენერლების წყალობით, მოვიგონოთ, თუ როგორ

იპარავენ ჯარისკაცთა ფულებს, მოვიგონოთ ჩვენი აყროლებული საქმელ-სასმელი და ასე დაუსრულებლივ, ჩვენს უბედურებას არავითარ ყურადღებას არ აქცევენ გენერლები.

ჯორჯიაშვილმა მხოლოდ იმისათვის მოჰკლა გრიაზნოვი, რომ ის დიდად ავიწროებდა ხალხს!

გენერალ გრიაზნოვის წყალობით ყაზახებმა თავი აიშვეს, მათ ათობით და ასობით დახოცეს მშვიდობიანი მცხოვრები (29 აგვისტოს) ქალაქის საბჭოში. გრიაზნოვმა მოაწყო გოლოვინის პროსპექტზე გასული წლის 22 ოქტომბერს დარბევა — ხოცვა-ყლეტა, სასაკლაო მოაწყო ნაძალადევში, როცა გრიაზნოვმა ცხრა მუშა დაახოცვინა ყაზახებს. გრიაზნოვი ატყუებდა ჯარისკაცებს, ავრცელებდა მათში ჭორებს და ხმებს, უსისინებდა მათ თბილისის მცხოვრებთ. გრიაზნოვმა მოაწყო თბილისში ხულიგნების საზოგადოება („პატრიოტული საზოგადოება"), ანუ ყაჩაღთა ბრბო, რკინის სალტებით ჰყავდათ შებოჭილი ჯარისკაცები, გადაჰყავდათ ერთი ადგილიდან მეორეში სრულიად უმიზეზოდ, რომ ასე დაეტანჯა ჯარისკაცები. ერთი სიტყვით ძნელია ყველა იმ უბედურებათა ჩამოთვლა, რომელიც გრიაზნოვმა ხალხს მიაყენა.

აი ამისათვის იქნა გრიაზნოვი მოკლული!

ასე რომ გრიაზნოვის მოკვლით დიდძალი ხალხი იქნა დახსნილი ახალი უბედურებათა და ტანჯვისაგან, მაშასადამე, გამოდის, რომ ჯორჯიაშვილი დამნაშავე კი არ არის, არამედ, ის ხალხის მსსნელია გრიაზნოვის ბინძური კლანჭებისაგან.

ჯორჯიაშვილი სიმართლისათვის იბრძოდა. მისი მიზანი იყო ხალხის ცხოვრების გაუმჯობესება რამდენადმე მაინც. ის ხედავდა, რომ ისეთი საძაგელი პირები, როგორიც გრიაზნოვი იყო, ცხოვრობენ მსიარულად, ბედნიერად, ღარიბი, მშრომელი ხალხი კი იტანჯება. ჯორჯიაშვილმა ვერ გაუძლო ასეთ უსამართლობას და მოჰკლა გრიაზნოვი.

„პატრიოტული საზოგადოება" ამტკიცებს, რომ გრიაზნოვი მხოლოდ იმიტომ მოჰკლეს, რომ ის რუსია და ცხოვრობდა კავკასიაში, ქართველებს კი არ უნდოდათ, რომ აქ იყოს რუსის მთავრობა და რომ გრიაზნოვი იყო მეტად კარგი კაცი. არ არის, ამხანაგებო, ეს მართალი. „პატრიოტული საზოგადოება" თავის ნოწოდებაში ყოველთვის სტყუის. მას არ შეიძლება ვენდოთ! აბა გაიხედეთ რუსეთისაკენ — განა იქ ცოტა მოჰკლეს რუსებმა რუსი მთავრობის

წეკრები? მოჰკლეს, მაგალითად, შინაგან საქმეთა ორი მინისტრი, რომლებიც კავკასიაში არ ცხოვრობდნენ. ესენი იყვნენ პლევე და სიპიაგინი! მოჰკლეს გენერალ-გუბერნატორი სახაროვი, დასჭრეს გუბერნატორები უფის, — ბოგდანოვიჩი, ვილნოს — ფონ-ვალი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები, — ყველას ვერც კი ჩამოთვლით! ასე რომ რუსეთში მეტსა კლავდნენ მთავრობის კაცებს, ვიდრე ჩვენში. ქართველები აქ არაფერ შუაშია. ისინი ისეთივე ადამიანები არიან, ამხანაგებო, როგორც ჩვენ თქვენთან ერთად. ისინიც ისე იტანჯებიან და წვალობენ ბოროტი მთავრობის წყალობით დიდი გადასახადებით, უმიწობით, უხეირო კანონებით, როგორც მთელი რუსი ხალხი. რუსის ხალხს სურს ჯალათებისაგან განთავისუფლება! ეს სურს ქართველ ხალხსაც! რუსეთში, რომ მშვიდობიანობა იყოს, აქაც, კავკასიაში ასევე იქნებოდა.

სახელმწიფო მოღვაწეებზე თავდასხმას, მათ მოკვლას, შეიარაღებულ აჯანყებას და სხვას პოლიტიკურ დანაშაულს უწოდებენ. ზოგიერთ სახელმწიფოში პოლიტიკური დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯა არ შეიძლება. ამისათვის იქ ასახლებენ სახელმწიფოს შორეულ ადგილებში, ან ამწყვდევენ ციხეში. არც ეს არის კარგი, მაგრამ ისე ცუდი არაა, როგორც ეს ჩვენშია და ეს ხდება იმიტომ, რომ იქ სახელმწიფოს მართავს არა მინისტრების ბრბო, არამედ ხალხის წარმომადგენლები. ამიტომ იქაური კანონები უკეთესია. იქ არც არავინ არის მოსაკლავი, რადგან იქ არ არიან არც მინისტრები და არც ჩინოვნიკები, არამედ არიან ხალხის არჩეულები, რომლებიც მსახურობენ მინისტრებისა და ჩინოვნიკების ნაცვლად.

მაშასადამე, ამხანაგებო, თუ ჯორჯიაშვილი და სხვა ასეთი პირები მთელს რუსეთში ჩვენი მტრები არ არიან, თუ ისინი დამნაშავენი არ არიან, არამედ ხალხის ინტერესების დამცველნი, ისინი სიკვდილით დასჯის ღირსნი არ არიან.

მოვითხოვოთ, ამხანაგებო —

ძირს სიკვდილით დასჯა,

ძირს ძველი კანონები,

გაუმარჯოს ხალხის მიერ არჩეულ ახალ მთავრობას, რომელიც გამოაცემს ახალ კანონს.

დავიცვათ იარაღით ხელში ეს მოთხოვნები.

ჯარისკაცთა საბჭო".

ამ კრამოლას „ჯარისკაცთა კავშირი“ აწერდა ხელს, მან სალდათები დამიფრთხო და დამიშინა. — ამოიოხრა როტმისტრმა.

მერე თავადაც შეუშინდა „ჯარისკაცთა კავშირის“ პროკლამაციას და იმათ მოწოდებას ჩუმი ლუღლუღი წააფინა:

— ამიტომაც ვტოვებ დრაგუნთა პოლკს! — და ისევ გაჩუმდა.

კუპეშიც სიჩუმე ჩამოვარდა. გულაღმა გაწოლილ მგზავრებს წამოდგომა ემძიმებოდათ, ბალიშიდან თავს ვერ იღებდნენ, ტანს ვერ ითრევდნენ.

* * *

ორთქლმავალმა კიდევ ერთხელ იწივლა და შხუილით შექანდა ხარკოვის სადგურში.

ბაქანზე ხალხი აფაცურდა, ვაგონებისკენ დაიძრნენ, ბატარებლიდანაც ჩავიდნენ, ერთმანეთს ესალმებოდნენ, უღიმოდნენ, ეხვეოდნენ და ამ კუპის ბინადართა მხერასაც უნებურად იტაცებდნენ.

მერე კონდუქტორმა კუპეს კარი გასწია და ზორბა ტანის კაცმა შეალაჯა, თან თამამი ღიმილი შეიყოლა, უკრაინულ კილოზე მიესალმა, ზემოდ თავისუფალ საწოლს ახედა და მოღუშულ მგზავრებს ხალისიანი სიტყვა მიაფრქვია:

— აბა, ბატონებო, გთხოვთ მიმიღოთ თქვენს მაღალ საზოგადოებაში, ხარკოველი შაქრის მექარხნე, ოსტაპ ოსტაპიჩ ოსტაპენკო!.. მოსკოვს გეახლებით.

სამივეს საპასუხო თავაზიანი სალმისა და თავმომწონედ წარდგინების შემდეგ შაქრის მექარხნემ შავი ლაქის საკვოიაჟი გახსნა, ერთი ბოთლი ფრანგული კონიაკი ამოიღო და ერთმანეთში ჩაწყობილი ოთხი სასმისიც ამოაყოლა.

სამივემ დილის პირჯვარი გადაისახა, სოვდაგარმა კი ხელები ალაპს აუხარა და ერთმანეთის გაცნობის დასალოციც დააყოლეს.

საუბარი ისე იოლად აეწყო, თითქოს ოსტაპენკოც ლამის თბილისიდან მოჰყოლოდეთ, კარგ გუნებაზე იყვნენ, მექარხნემ ბანქოს ახალი დასტა ამოაძრო, ქაღალდს ჯვარედინად გადაჭიმული ვიწრო ბაბთა ააგლიჯა იმის საჩვენებლად, რომ ყალთაბანდი არ გეგო-

ნოთო, და ორ თითში მომუჭული ახალი დასტა შუაზე გადასაჭ-
რელად ვერცხლისძეწკვიან თურქ სოვდაგარს გაუწოდა.

— გამიჭერით, გეთაყვა, ბევრს არ წაგაგებინებთ!

როტმისტრს არ მოეწონა როხრობა მეშაქრის ბაქიობა, მაგრამ შეამჩნია, რომ სოვდაგარს თვალები გაუბრწყინდა, სტუდენტი კი გაფითრდა: „ჩემოდანი არ წაგვაგებინოს“.

— გამოგიტყდებით, მოწყალეო ხელმწიფევ, — ბანქოს ბანკში ჩასასვლელი ცოტა გამაჩნია!

— მაშ ბევრს მოიგებთ, შესაძლოა ბანკიც მოხსნათ. ან თქვენს ენაზე რომ ვთქვათ, გაიტაცოთ! ვინც თხელი ჯიბით ჯდება, სქელი უბით მიდის. ბანქოს თამაში მოგება-წაგება როდია, — გართობაა მიზანი! გართობით კი ყველა იგებს და ამას ყველაზე მეტად მატარებელი შველის: ბანქო დროსა კლავს!.. რა სჯობია, — კაცმა დრო მოკლას თუ კაცი? დრო წააგოს, თუ ფული?!.. განა მართალს არ ვამბობ, ბატონებო?!..

— ჭეშმარიტებას ბრძანებთ, ეფენდი-ოსტაპ ოსტაპიჩ! ეფენდი-როტმისტრიც კაცის მოკვლამ დაამწუხრა. თქვენი ბანქო დარდს ჯაჰყრის! — ხომ სწორს ვამბობ?..

— იყოს ნება თქვენი, ბატონებო... ერთ ხელს მეც ჩამოვალ!.. ამედია, ვერცხლის პორტსიგარის დაგირავებამდე არ მიმიყვანთ!

— ხა-ხა! — ჩაიხვიხვინა მექარხნემ და ღარიბი სტუდენტიც ჩაიყოლა. ბანქომ ყველა ისე გააცხარა, რომ აღარც თბილისის ციხის სახრჩობელა ახსოვდათ და არც ხარაგოულში მოტაცებული ფულით გატენილი და მაღლა თაროზე შეგდებული ჩემოდანი აფიქრებდათ.

მოთამაშეთ არავინ უშლიდა. მხოლოდ ერთხელ შემოიხედა მაძებარმა, რკინიგზის ჟანდარმერიის დაბალი წოდების კოდალა ცხვირიანმა ოფიცერმა, კუპე მონუსხა, მაგრამ დრაგუნთა პოლკის როტმისტრის დანახვაზე ბუზანკალივით აბზუილდა:

— პარდონ, თქვენო მაღალკეთილშობილებავ! — და უმალ კარი მოხურა, ახლა სხვა კუპეში შევიდა.

ბუდუს ეამა, რომ ჟანდარმის შემოხედვაზე შავი ტუზი მოუვიდა, წითელი ათიანიც ხელში ეჭირა და ორივე დიდხანს აწვალა ჩაჰყურებდა კარტებს, თვალებით ჩუტავდა და ღარიბი სტუდენტის საამებლად მაგიდაზე დაჰყარა:

— ოცდაერთი!

— მოგილოცავთ!.. ხედავთ არც ბანკის მოხსნა-მოტაცება ყოფილა საშიში, როგორც სტუდენტს ეგონა! მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, — იცინის ის, ვინც ბოლოს იცინის! — დამაფიქრებელი ინტონაციით დააყოლა მეშაქრემ და გაწაფული სიმარჯვით ახალი ხელი ჩამოარიგა.

— ... რაო, ვინც ბოლოს იცინის?" — დახარა თვალები სტუდენტმა.

ბუდუ-სოვდაგარი კი იმედს არ კარგავდა. ბაქო, — როსტოვ-ხარკოვის საშიში რკინიგზის უბნები უხიფათოდ გადაირბინა. წინ სხვა ბევრიც ელოდათ, მაგრამ ახლა დიდად სასარგებლო იყო თავიანთ ჩემოდანში ჩატენილი 201,632 მანეთსა და 56 კაპიკზე ასიოდე მოგებული თუმნის დამატებაც: სტუდენტს დიდად გამოადგებოდა საგზაოდ. ჩემოდნით წამოლებულს კი კაპიკსაც ვერ დაკლებდნენ.

მოსკოვში რომ ჩავიდნენ, ბუდუსაც ფერი ეცვალა. პეტერბურგის მატარებელში გადაჯდომამ დააფიქრა. ნიკოლოზის ვაგზალზე ადვილად შეამჩნიეს, რომ აუარებელი ჯაშუშები, ხალხში დაბორიალობდნენ, ადამიანს პირსახეში უკმეხად აკვირდებოდნენ და სწორედ ამით ამეღავნებდნენ თავიანთ თავს: უაზრო ჩოჩქოლით, უსაქმური სახითა და თვალებდაცეცებული გამოხედვით ბუდუ და სერგო დააეჭვეს — „ნუთუ ჩვენს ფულს ეძებენ?" ამდენ ქალაქს გამოაღწიეს, — ქუთაისს, თბილისს, ბაქოს, როსტოვს, ხარკოვს თვალი აუხვიეს და ახლა, პეტერბურგს მიწვდენილნი, მოსკოვის ვაგზალში უნდა დაეჭირონ?! შაქრის ვაჭრის წაგებული ორასი თუმანიც ჩამოაყაჭვინონ?! როტმისტრიც ავ საქმეში გახვიონ?! ასი თუმანი იმასაც მოაგებინეს და, მაშასადამე, იმასაც ჯიბიდან ამოართნევენ, იქნებ ვერცხლის პორტსიგარიც ამოაყოლებინონ და ჰაუპტვახტშიც ამოაყოფინონ თავი?! არა, ეს ხომ დიდი უსამართლობა იქნება, მაგრამ პოლიტიკა ბანქოს თამაში როდია?!

ვაგზლის ბაქანზე როტმისტრს მოსკოველი ჟანდარმერიის ოფიცერი გამოეცნაურა და საიდუმლოდ გაანდო:

— ვეძებთ!.. ამ დილით ანარქისტ-მაქსიმალისტმა ბელენკოვმა, როგორც იტყვიან, დღისით, მზისით, საკომერციო ბანკიდან 875 ათასი მანეთი გაიტაცა: როგორ მოგწონთ ეს ამბავი?

— ვაი ჩვენს თავს! — შუბლზე იტაცა ხელი ბუდუმ და უბედობას გაუწყრა, როგორც კი როტმისტრმა ძველ ნაცნობ ჟანდარმთან გაოცების მიზეზი ახლად გაცნობილ სტუდენტს გაუმხილა.

მაშასადამე, დაიწყება ვაგონების ჩხრეკაც: ბელენცოვს რა ჭკუა მისცემს, ბანკიდან პირდაპირ ნიკოლოზის ვაგზალზე ეტლით გამობრძანდეს. მაგრამ სტუდენტსა და სოვდაგარს რომ ბუტირკაში მიაბრძანებენ, ეს კი შესაძლებელია! ამიტომ...

ამიტომ, ერთი ნაბიჯითაც არ მოსცილდნენ თავიანთ თანამგზავრ როტმ-სტრს და მის მეგობარ ჟანდარმთა ოფიცერს, კუპეში ოთხი ადგილია და ოთხნივე ერთად იქნებიან. ნირსაც არ შეიცვლიან, უფრო მეტად გამხნევდებიან, მღელვარების ნატამალსაც მოიცლიან, გამედიდურდებიან, გადიდგულდებიან, რაკი ორ ნაცნობ ოფიცერს კვერდით მოჰყვებიან; ჩემოდანი ვაგზლის მებარგულეს მიანჭეს. წინ გაიგდეს, თვალს არ მოაცილებენ, მაგრამ ნიჟეგოროდის დრაგუნთა პოლკის როტმისტრსა და მოსკოვის ჟანდარმერიის ოფიცერს თავაზიან ყურადღებას წუთითაც არ მოაკლებენ.

ნევის პროსპექტზე

როტმისტრმა პეტერბურგის ვაგზლის მოედანზე ეტლს უხმო და თანამგზავრ სტუდენტს ურჩია „ჩრდილოეთის სასტუმროში" გაჩერებულიყო. თურქ სოვდაგარს კი ცივად გამოემშვიდობა; ვერ იქნა — გული ვერ მიუვიდა.

სასტუმრო ვაგზლის პირდაპირ იდგა. შუამოედანზე კი ვეება ცხენზე გადალაჯებულ ზონზროხა მეფის, ალექსანდრე მეორის სახე იბღვირებოდა, ჟანგის ფერად შემურული და ისევე ჩაჟამებული, როგორც მისი მეფობის ხანა იყო, ხალხი რომ მწყრალად ეკიდებოდა: ტეროორისტები ყუმბარას უმიზნებდნენ, სლავიანოფილები კი ჩექმის ქუსლებს ულოკავდნენ. თავად არც ერთს უშინდებოდა და არც მეორეთ ანებივრებდა, ლორის-მელიქოვის ჭკუაზე მბრძანებლობდა, ხალხის აზრს ყურადღების ღირსად არ სთვლიდა. ამიტომ საქმეც ისე მრუდედ წაუვიდა, „ნაროდნოვოლცის" ნატყორცნმა ყუმბარამ ბოლო მოუღო. მამის ნასისხლარზე შვილმა ალექსანდრე მესამემ ვეებერთელა ეკლესია წამოდგა და მოსკოვის ვაგზლის მოედანზე ძეგლიც დაუდგა, მაგრამ პეტერბურგელებმა „პუგალო" საფრთხობელა შეარქვეს.

სერგოსა და ბუდუს აქაც თვალში ეცათ პოლიციელთა სიმრავლე: „მოსკოველ ანარქისტ ბელენცოვს ეძებენ", გაძლიერებული თვალთვალის მიზეზს მერეც გამოჩხრიკავენ. მანამდე კი სასტუმ-

როში ცოტას დაისვენებენ, სულს მოითქვამენ, მოქმედების გეზს დასახავენ და პეტერბურგელ პარტიულ ამხანაგებთან ერთად ზუსტად განახორციელებენ.

სასტუმროს მესამე სართულზე დაბინავდებიან ცალ-ცალკე ნომრებში. ერთმანეთს ხომ არ იცნობენ! ერთი ქართველი სტუდენტია, რუსეთის ქვეშევრდომი, მეორე კი თურქი სოვდაგარი. ასე იცის პორტიიმაც.

მერე სოვდაგარმა სტუდენტს ნომერში შეუარა. სერგომ დათქმული ტელეფონით დარეკა, მოკლე დაშიფრული ლაპარაკით გაიგო, რომ მასთან მალე მოვიდოდნენ.

დრო ცოტა რჩებოდა. ჩემოდნის ძირის დარღვევას შეუდგნენ. სერგო ტანგახდილი იდგა, მხარზე პირსახოცი გადაეგდო, ვითომც აბაზანაში შესვლას აპირებდა; თუ რომელიმე დაგეშილი მსაბური კარს დაუკაკუნებლად შემოაღებდა, „პარდონს“ ათქმევინებდა და მიუხურავდა.

ერთი საათის შემდეგ კარზე მართლაც დააკაკუნეს!..

სერგომ გაუღო და განცვიფრდა... მის წინ იდგა მაღალი, ახოვანი კაცი, ელეგანტურად ჩაცმული, ქერა წვერით და შავი ფეტრის ცილინდრით, წავის ბეწვის საყელოიანი პალტო ეცვა.

— ნიკიტიჩი ვარ!..

სერგომ მსუბუქად ამოისუნთქა. ბუდუმ ჯიბეში ბრაუნინგს ხელი მოაცილა.

— მობრძანდით! — შეიწვიეს ქართველებმა ბაქოელი რევოლუციონერი ლეონიდ კრასინი, „ნიკიტიჩად“ რომ იცნობდნენ მეტსახელად.

— ჩამოტანილის წასაღებად მოვედი. დიდი ხომ არ არის? — თქვა და ტყავის პორტფელი სავარძელზე დადო.

— როგორ გითხრათ, მაინც ნახეთ.

ბუდუმ კარადა გამოაღო, დასტებად შეწყობილი ფულის კუპონები დაანახა.

— ამას ერთგზად ვერ წავიღებ, არ ჩამეტევა. ეს ძალიან ცუდია!.. მაგრამ რას ვიზამთ. შეუდექით ჩაწყობას.

ბუდუ ფულის დასტებს აწვდიდა, სერგო უწყობდა პორტფელში... კრასინი ფანჯრიდან მოედანს გადაჰყურებდა და ახლა თავადაც უბღვერდა ძონძროხა მეფის ქანდაკება-საფრთხობელას. მერე ჩამოსულებისკენ მიიხედა და ნერვიული ღიმილით ამოხდა:

— გაბედული ხართ ქართველები. ბაქოდან მომდევს თქვენი სიყვარული: ლადო კეცხოველი, აბელ ენუქიძე, კობა ჯულაშვილი რომ არა, „ნინა“ თავს ვერ მოიწონებდა. რა უბედურება არ დაატყდა სტამბას თავს!.. ყველაზე საშინელი კი კეცხოველის სიკვდილია მეტეხის ციხეში!.. დაუდგრომელი კაცი იყო, სადაც ხიფათი ჩადებოდა, იქ მიუწევდა გული.

მერე მოიღუშა:

— თქვენც ლადოსავით იქცევით!.. თუ იცით, სად შემოჰყავით თავი: ეს სასტუმრო თითქმის ალყაშემორტყმულია ჯაშუშებით.

— ვაი ჩვენ თავს! — ისევ იტაცა შუბლზე ხელი ბუდუმ, — გესმის რაც თქვა?!

— აცალე, კაცო!.. გვითხრას.

— კაის ელი კიდო, თუ?

კრასინი განაგრძობდა:

— აქ გუშინწინ ქვედა სართულის ფეშენებლურ ერთ ნომერში დიდი ძალის ბომბი აფეთქდა... რამდენიმე კედლის ტიხარი გაანგრია. ამის ჩამდენი დამნაშავისაგან აღარაფერი დარჩა... მისი ტანის ნაპრებს და ნაფლეთებს ნაგავში პოულობდნენ. ჩვენი ცნობებით, ესერები ამზადებდნენ მნიშვნელოვან ტერორისტულ აქტს და მხოლოდ უბედური შემთხვევით აუფეთქდათ ყუმბარა... იატაკქვეშეთში ხმა გავრცელდა! რომ აფეთქების დროს გაუფრთხილებლობის გამო დაიღუპა ტერორისტი პოკატილოვი.

— ხედავ, რა ცეცხლში შემოგვიყვია თავი, სერგო!

კრასინმა დაამშვიდა.

— ერთი მხრივ, კარგიც არის, ყმაწვილებო, რომ სწორედ ამ სასტუმროში გაჩერდით!.. სათუოა ოხრანკა მიხვდეს, რომ აქ, ასეთ კომპრომენტირებულ ადგილას გაბედავს დაბინავებას რომელიმე იატაკქვეშელი... თანაც ასეთი ნივთიერი დამამტკიცებლობით ხელზე... ყოველ შემთხვევაში, ამაზე ახლა ფიქრი და ლაპარაკი უკვე დაგვიანებულია.

კრასინმა პირამდე გატენილი პორტფელი აიღო და გააფრთხილა:

— მალე დავბრუნდები, დაახლოებით ერთ საათში. ჯერ სასწრაფოდ ამას მოვითავებ... აქვე, „პასაჟში“, ნევის პროსპექტზეა... ეტლი სასტუმროსთან ველოდება... მაგრამ თუ დიდხანს არ გამოვჩნ-

დი, ამ სასტუმროდან წადით, რა თქმა უნდა, „საქონლით...“ გამოსაცხადებელი ადგილის მისამართი იცით!

ის ერთი საათი ორივეს ორად ეჭცათ.

ფანჯარაში იყურებოდნენ, ნევის პროსპექტი მოსკოვის ვაგზლის მოედანთან თავდება. „პასაჟი“ კი პროსპექტის შუაგულშია, „სავაჭრო რიგის“ პირდაპირ. გზას ათ წუთზე მეტი არ დასჭირდება. უკანაც იმდენივე. ერთი იმდენიც ფულის გადანახვას: სულ ორმოცი წუთი, ოციც გაუთვალისწინებელზე. თუ გამოჩენაა, უკვე უნდა გამოჩენილიყო! ან იქნებ დროა მოუსვან, როგორც იმან ურჩია, თავს უშველონ და „საქონელიც“ არ დაივიწყონ, — თან წაიღონ? ნახევარი იქნებ დაკარგულია, მაგრამ მეორე ნახევრის დაკარგვა უფრო მეტი ზარალია!.. რა ბრძოლითა და წვალებით გამოიტაცეს, რა ხიფათით ჩამოიტანეს პეტერბურგში და ახლა ამ ძონძროხა მეფის ჟანდარმებს ხელები როგორ გაუწვდინონ ბორკილების დასადებად!..

მოჩვენებითი ორი საათი ისევ ერთად ეჭცათ: კრასინმა კარი შემოაღო.

— ყოველ შემთხვევაში, ნახევარი უკვე გადარჩენილია!.. მოიტათ დანარჩენიც.

„გაბედული კაცები“ განცვიფრებით შეჰყურებდნენ კრასინს და თანაც ფულის დასტებს უწყობდნენ პორტფელში.

— გაოცებული ვართ, ჩვენ თავი ვიმტვრიეთ ამ ფულის მოტაცებაში, თქვენ კი ასე იოლად აგვარებთ საქმეს... დიდი გულადობაა!

კრასინს გაეღიმა და ფულის მოტაცებელთა სითამამეს თავისი გაბედულებაც მიუთვალა:

— მეც კავკასიელი ვარ! მღებულობთ?

— დიახაც! — გაუბრუნეს ქათინაური მამაცს მამაცურად და შეკვრა დასტები უფრო სწრაფად ჩაუტენეს. კრასინმა თავი დაიდაბლა;

— ძნელი როდია გაბედულების ახსნა: რევოლუციონერობის რწმენა მამაგრებს და მაგულადებს. ბაქოში ელექტროსადგურის მთავარი ინჟინრობა მშველოდა... აქ კი გერმანული ელექტროფირმის „სიმენსის“ პეტერბურგის განყოფილების უფროსობა. ხშირად მიხდება დიდი თანხების გადარიცხვა. ამ საქმეებით დაკავშირებული ვარ უმთავრესად საფრანგეთის ბანკის „ლიონის კრედიტის“ პეტერბურგის განყოფილებასთან. ბანკშიც გავიჩინე მეგობრები

მოლარის სარკმელთან როდი ვდგები ფულის ჩასაბარებლად. ეს ჩემს მდგომარეობას არ შეეფერება, — დირექტორის კაბინეტში ლიქიორიან ფინჯან ყავით ვაწესრიგებ: დირექტორი იხმობს მთავარ ბუღალტერს, რომელიც არც კი ითვლის ფულს, მიაქვს და წუთის შემდეგ მაძლევს გაფორმებულ დოკუმენტს... რახან ფული ჩაირიცხა ბანკში, საქმე უკვე მოთავებულია!.. იმწუთსავე განიწრიტება სესხსა და ვალის გადასახადად სხვა მრავალ საბანკო ოპერაციებში.

კრასინი ისევ მშვიდად წავიდა, 201,632 მანეთი და 56 კაპიკი წაიყოლა და თამასუქად საიმედოდ დაბინავების მხოლოდ სიტყვა დაუტოვა:

— მალე დავრეკავ, ჩემს ჯანმრთელობას გაცნობებთ!

სასტუმროდან გავიდა და ისევ იმ კაბინეტიდან დარეკა, სადაც მეორე ფინჯან ყავას წრუპავდა.

— ახლა სრულიად ჯანმრთელი ვარ, ექიმებიც მშვიდად არიან!..

ორივე ჯანმრთელმა მომსმენმაც მშვიდად ამოისუნთქა და კიდევ უფრო დასამშვიდებლად სასტუმროს რესტორანში ჩავიდნენ ოსტაპ ოსტაპენკოს წაგებული ფულის გემოს გასასინჯად.

ორი დღის შემდეგ ხელწერილიც მიიღეს ჩაბარებულ ფულზე. ხელს აწერდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი კრახმალი.

• • •

შემდეგ ისევ ერთმანეთს შეხვდნენ, საზღვარზე გადასვლის თაობაზე ისაუბრეს:

— დარწმუნებული ვარ, უცხო ენა იცით! — წარბაწევით იკითხა კრასინმა.

— ფრანგული! — მიუგო სერგომ.

— მეც!.. ცოტა თათრულიც! — დაამატა ბუდუმ.

— ორმა სამი ენა! — ეს უკვე რაღაცას ნიშნავს, — ეამა კრასინს.

— რუსულსა და ქართულსაც თუ ჩაგვითვლით, ხუთი გამოგვივა, — წაუხუმრა ბუდუმ.

— მდივანს ლაზურიც ესმის. ქართველური ენაა, — მიათვალა სერგომ.

— ერთი ენა კაცია, ორი-ოთხი კაციო!..

— ხე-ხე!.. ექვსი ენა გცოდნიათ!.. საკმარისზე მეტია... ევროპაში ერთი ფრანგულიც კმარა, მაგრამ გაითვალისწინეთ, იარაღის წამოღება მოგიხდებათ ბულგარეთსა და თურქეთზე გამოვლით. იქ კი სლავურსა და თათრულის მოშველება ტრანსპორტირების საქმის გაჩარხვას გაგიადვილებთ. მეც მომიმარჯვნია თათრული ენა, ბაქოში რომ ვმუშაობდი: შიფრად გამომიყენებია. გოროდოვოებს მათი ენა არ ესმოდათ.

შემდეგ პრაქტიკულ საკითხებზეც გადავიდნენ: რა სახეობის იარაღი შეესყიდათ, რომელ ქვეყანაში, ვის ფირმაში?..

— რამდენი თოფი მოგვივა ჩვენი თანხით? — შეეკითხა სერგო და კრასინმაც მცოდნის სახით გონებაში გამოითვალა:

— რაც უფრო თანამედროვე ნიმუშს შეისყიდით, უკეთესი იქნება, მაგრამ ძვირიც დაგიჯდებათ!.. ძველი ნიმუშისა კი მოქმედებას გაუძნელებს თქვენებურ პარტიზანებს... სისწრაფე და სიზუსტე კი ახლა ერთ-ერთ მთავარ მოთხოვნად გვრჩება... დეკემბრის აჯანყების დამარცხებას მრავალი მიზეზი ჰქონდა, მაგრამ ერთი ისიც იყო, რომ მოქნილობა გვაკლდა. მეც მიწევს დამარცხების ბრალი: დავალებული მქონდა ჩამეშალა პეტერბურგიდან ჯარის გადასროლა მოსკოვში. სემიონოვსკისა და ლადოგის პოლკები ბატარეებლით მიდიოდნენ მოსკოველთა აჯანყების ჩასაქრობად. ტვერთან ახლოს რკინიგზის ხიდი უნდა ამეფეთქებინა. შეიარაღებული რაზმი გავაგზავნე, პიროქსინის შაშხანები გავატანე, დავალება გავუმარტე, მაგრამ რუკა არ მივეცი. ამიტომ მთელი ღამე ტოპეს ჭაობში, ხიდს კი ვერ მიაგნეს! მეფის პოლკები უხიფათოდ გავიდნენ ხიდზე, აჯანყებულ მოსკოვს შეესივნენ, ჩვენი ძალები მოსრისეს.

მერე თავშერცხვენით ამოხდა:

— ლენინმა სასტიკად გამკიცხა, გაბრაზებით მითხრა: „აი ბრწყინვალე მაგალითი იმისა, თუ როგორ ვემზადებით თურმე შეიარაღებული აჯანყებისათვის! რაზმი გაგზავნეთ ხიდის ასაფეთქებლად და რუკა კი არ მიეცით?! მთელი ღამე იარეს და უკან არაფრით დაბრუნდნენ“.

— დიახ, მოქნილობა გვაკლდა. არც იარაღი გვქონდა. ერთ რევოლვერზე ათი ხელი მოდიოდა. უიარაღობამ დაგვამარცხა... ამის გამეორება აღარ შეიძლება. უნდა შევიძინოთ მეტი თოფი, მაუზერი, ხელყუმბარა, ტყვიაწამალი!.

ბუდუმ და სერგომაც იცოდნენ იარაღის ფასი. შოვნა კი ძნელი იყო. ქუთაისში დაბანაკებული პოლკის საწყობის გატეხვა რომ სცადეს, ჩაეშალათ, უდანაშაულო მეურმეები კი პოლიციამ ციხეში გააბამწყვდია. მწარე იყო მოგონება. ერთადერთი იმედი უცხოეთი რჩებოდა.

— როდის გავალთ საზღვარგარეთ?

კრასინი ისევ ჩაფიქრდა, გონებაში ისევ რაღაც გამოთვალა:

— როგორც კი პარიზიდან დასტური მოგვივა. იარაღის შესაძენად შედგენილია კომისია. მეც შევდივარ. ცეკას წარმომადგენელი პარიზშია. მისი პარტიული სახელია „ფელიქსი", მაქიმ მაქსიმეს-ძე ლიტვინოვი. სხვების გვარსაც საჭიროების დროს გაიგებთ... პასპორტებს დღეს მიიღებთ.

მერე სერგოს უთხრა:

— თქვენ სორბონის უნივერსიტეტში ღვთისმეტყველების ფაკულტეტზე ჩარიცხვას აპირებთ! თქვენ კი, — გადახედა ბუდუს, — თავისუფალი მხატვარი ხართ, მონმარტრზე მუშაობას აპირებთ! რუს ემიგრანტებს არ გაეკაროთ, სანამ საამისო რჩევას ფელიქსი არ მოგცემთ. ფრანგებს ნუ დაუფრთხებით, ეცადეთ მათთან შეხვედრას. გახსოვდეთ კი, თქვენი ერთადერთი და მთავარი მიზანი• რაც შეიძლება მალე შეისყიდოთ იარაღი საქართველოში გადასაგზავნად. თქვენი მხარე მთელი ჩვენი რევოლუციის გასამხედროებული ბასტიონი იყო, არის და ამიტომ თოფ-იარაღი დროზე უნდა• მიაშველოთ! დაღმართზე დაშვებულ რევოლუციას ხვალინდელი გამარჯვების იმედი უნდა დაუბრუნოთ. შეიარაღება, შეიარაღება• და კიდევ შეიარაღება! — ეს ლოზუნგი თქვენი ორგანიზაციიდანაც წამოვიდა და უნდა გავამართლოთ.

მერე სხვაც გაანდო:

— ახლა ყველანი მეოთხე ყრილობის მომზადებაზე ვმუშაობთ. ეს პატარა საქმე როდია?!.. მენშევიკებთან გასაერთიანებლად სტოკჰოლმში მივდივართ, რაკი ამას მუშათა კლასის ფართო მასები მოითხოვენ!.. უარის თქმა არ შეიძლება. მენშევიკების ლიდერები დემაგოგიურად გვამტყუნებენ — ბოლშევიკების ფრაქცია გვიხირდებაო. მაგრამ გაერთიანებაც გვაფიქრებს, მუშებმა მათი ცოდვები ჩვენც არ აგვკიდონ!.. ამიტომ ფრთხილად ვართ, მთელი დრო და ყურადღება დელეგატების ინფორმირებაზე გადაგვაქვს და მომიტევეთ, თუ მეტს კეღარ მოვიცლი თქვენი მფარველობისათვის!

ჰელსინკში კი ფინელი ამხანაგები გიპატრონებენ. იქიდან გვინდა სტოკჰოლმში გახვალთ, ყრილობის დელეგატებთან ერთად, მერე ბერლინზე გავლით პარიზში ჩახვალთ... ფელიქსის მისამართს მოგცემთ, პაროლსაც...

ახლა უკვე სორბონელი სტუდენტი და თავისუფალი მხატვარი გულთბილად გამოემშვიდობნენ „სიმენსის“ ფირმის წარმომადგენელს. მას დრო აღარ ჰქონდა. უნდა მოემზადებინა ყრილობის დელეგატები გამგზავრებისათვის.

* * *

მალე „ფელიქსის“ დასტურიც მიიღეს და ორივენი ფინეთის ვაგზალზე გავიდნენ. ცოტა ხანს სადგურ კუოკალაში შეაჩერეს პასპორტების შესამოწმებლად. ბუდუმ განგებ ჟანდარმერიის წარმომადგენელს მოწყურებული ცნობისმოყვარეობით ჰკითხა:

— მითხარით, გეთაყვა, ვერ მოვასწრებ ეტლით, მხატვარ რეპინთან პენატებში მისვლას?.. თავადაც მხატვარი ვარ, მისი თაყვანისმცემელი! დიდად მეამებოდა ნახვა.

ჟანდარმერიის ოფიცერმა თანაგრძნობით მოუსმინა ახალგაზრდა „თავისუფალ მხატვარს“ და სინანული გამოთქვა:

— თუ მატარებელი ერთ საათს დაგიცდიდა! ეს კი რკინიგზის განრიგით შეუძლებელია.

— დიდად გმადლობთ თანაგრძნობისათვის, ბატონო! თქვენზე რომ ყოფილიყო დამოკიდებული, დარწმუნებული ვარ. ორ საათსაც შემიჩერებდით მატარებელს.

— ო, რა თქმა უნდა! — გაცვალ-გამოცვალეს თავაზიანობა და ბუდუმ შლიპა მოუხადა დიდის მადლიერებით.

ორივენი კარგი გუნებით დასცილდნენ ერთმანეთს: ბუდუ იმის იმედით, რომ ჟანდარმერია რეპინის თაყვანისმცემლად ჩათვლიდა, ჟანდარმი კი იმის შინაგანი რწმენით, რომ აზიელი გარეგნობის კაცი სხვებსავით სტოკჰოლმში არ მიემგზავრებოდა, პარიზისაკენ ეპირა თვალი, კუოკოლაზე კი გული სწყდებოდა...

ჰელსინგფორსში სასტუმრო „სუომში“ დაბინავდნენ, დელეგატებისაგან განცალკევებით. შუადღისას უცნობმა მანდილოსანმა ტელეფონით დაურეკა. „ნიკიტიჩის“ მოკითხვა გადასცა, ჯანმრთე-

ლობა გამოჰკითხა და თავის მხრივაც აცნობა: „ნიკიტიჩის ჯანმრთელობაც კარგია, ეჭიშები ელოდებიან კურორტიდან დაბრუნებას“.

მიუხვდნენ. მადლობა გადაუხადეს ყურადღებისათვის. მანდილოსანმა რესტორან „ვიკინგში“ მათთან შეხვედრის სურვილი გამოთქვა.

უცნობი მანდილოსანი ელენე სტასოვა გამოდგა, პეტერბურგელი გამოჩენილი მუსიკოსისა და მხატვარ სტასოვის ძმისწული. ჰელსინგფორსიდან სტოკჰოლმში ყრილობაზე მიმავალ რუსეთის სოციალ-დემოკრატი დელეგატების გადაყვანას მეურვეობდა და სხვა ორგანიზაციულ პრობლემებსაც აგვარებდა. საქართველოდან ჩამოსულთაც, ზოგი რამ რჩევა მისცა და პარიზსა და ბრიუსელში სანდო პირებიც დაუსახელა.

მერე ღიმილით შესთავაზა:

— ყრილობის ერთ-ერთი დელეგატი ცოტა ხნით აქ დაყოვნდა, სტოკჰოლმისაკენ ამაღამ გაემგზავრება. თქვენთან შეხვედრა და საუბარი სურს!.. კავკასიის საქმეებით ძრის დაინტერესებული. ხომ არ დათანხმდებით ვიზიტზე?!

— სიამოვნებით! — მიუგო სერგომ.

— თქვენც? — მიუბრუნდა ბუდუს.

— რა თქმა უნდა! — დაუმოწმა მანაც.

— მაშ ახლავე გაგიძღვებით. მაგრამ შეხვედრა კონსპირაციულია! შეკითხვებს ის მოგცემთ.

— გასაგებია!

— გვესმის...

სასტუმროსთან ახლოს ორსართულიანი ალალში შეკიდეა. ოთახში უცდიდა საშუალო ტანადობის კაცი. გამოემართა და გაღიმებით მიმართა:

— გამარჯობათ! — და მაგიდასთან მიდგმულ ჩალის სკამებზე მიანიშნა. ოთახის მოწყობილობა სადა და ღარიბული იყო.

— თქვენ საქართველოდან ჩამოხვედით... დელეგატები არა ხართ... მე ზოგი რამ ვიცი თქვენი ევროპაში გამგზავრების მიზანზე!.. თქმა არ უნდა, კარგი და საჭირო საქმეა.

სტუმრები მიხვდნენ: „ცენტრალური კომიტეტის წევრი იქნება, შესაძლოა, იარაღის შემსყიდველი კომისიის წევრიც“. კრასინის ნათქვამი გაახსენდათ: „სხვების გვარსაც საჭირო დროს გაიგებთ...“ ამისათვისაც ცნობილი ყოფილა მათი ფარული მისია.

იმან კი იარაღზე კრინტიც არ დაძრა, შორიდან დაიწყო:

— როგორი მდგომარეობაა საქართველოში, და საერთოდ ამიერკავკასიაში? რას ფიქრობთ რევოლუციურ სიტუაციაზე?..

ჩამოსულებმა დაწვრილებით უამბეს საქართველოს ამბები:

— რევოლუციური მოძრაობა ქალაქსა და სოფელს მოედო. ხალხმა ბრძოლას გემო გაუგო, აღარ დაივიწყებს...

— რეაქცია გამხეცებით თარეშობს...

— დამარცხება დროებითია...

— ხანძარი ჩააქრეს, მაგრამ მუგუზალი ღვივის. უფრო მეტი ძალით ავარვარდება.

უცნობი კაცი დაძაბული ყურადღებით უსმენდა.

— ეგ მართალია... საქმე ამით არ დამთავრდება. ჩვენ თვალყურს ვადევნებთ თქვენს ბრძოლას... ეს პარტიის მესამე ყრილობამაც აღნიშნა. წაიკითხეთ?

— შეიძლება ითქვას, ჩვენთან არ დარჩა მოძრაობაში მონაწილე მუშა, გლეხი თუ ინტელიგენტი, რომელიც გაცნობილი არ იყოს ყრილობის რეზოლუციას!..

— საქართველო პირველ ყოვლისა გლეხური ქვეყანაა, მაგრამ მუშათა მოძრაობას თქვენთან უკვე თავისი ისტორია აქვს, — შეაქო მასპინძელმა.

— გლეხობისა და მუშების შეკავშირებას კვლავაც გავაგრძელებთ!

უცნობმა ბოწონებით თავი დაუქნია.

— მაგრამ სიძნელეებიც გვაქვს... მენშევიკები აჯანყებულებს აშინებენ, იარაღი არ უნდა აგეღოთო!

— რევოლუციის დამარცხებამ იატაკქვეშეთში შეგვყარა, ახლა უფრო გვიჭირს იარაღის შოვნა, საიდუმლო შესახვედრი ბინების მოძებნა, პროკლამაციების ბეჭდვა.

— ძალებიც გამოგველია... ზოგი უცხოეთში წავიდა თავის გადასარჩენად! ბევრი დაგვეხოცა. ზოგმა კი წყნარი ნავთსაყუდელი ირჩია.

— მათი მოცილებით მოვიგეთ, მშიშარა და ორპირნი მოვიშორეთ. ახლა ჩვენი ორგანიზაცია უფრო ბრძოლისუნარიანი და შეკავშირებულია... ვინცა ვართ, მტკიცენი ვართ!

— ეგ სწორი ოპტიმიზმია. სიმტკიცე გამარჯვების ნახევარია, — დაეთანხმა უცნობი.

— თქვენებურებთან შედარებით ჩვენი მენშევიკები უფრო ცბიერი ლიკვიდატორები არიან, — გაანდო ბუდუმ.

უცნობს გაეღიმა:

— ერთი ჭირია!.. ლიკვიდატორობა სოციალური მოვლენაა, რომელიც განუყრელად დაკავშირებულია ლიბერალური ბურჟუაზიის სულიერ განწყობილებასთან.

— მეხშევიკებს დაცემულობის განწყობილება შეაქვთ მასებში, რევოლუციურ შემართებას აყუჩებენ, — დაურთო ქავთარაძემ.

— ნუ გიკვირთ!.. ამით თავიანთ მიზანს ახორციელებენ. არ უნდათ რომ პროლეტარიატი გაუძღვეს ბურჟუაზიულ რევოლუციას. საკმარისია უკიდურესი ოპოზიციური როლი შეასრულოს; ძალაუფლებას არ ესწრაფოსო. რევოლუციის მამოძრავებელი, განსაზღვრელი ძალა ბურჟუაზია არისო, — განუმარტა მასპინძელმა.

— საქართველოში ამ საკითხში განცალკევება არსებობს მენშევიკების ცენტრსა და პერიფერიას შორის, ლიდერებსა და პარტიულ მასალაში, — უთხრა სერგომ.

— მასა მხარს უჭერს შეიარაღებულ აჯანყებას. ქოფაკი ხელმძღვანელები კი წინააღმდეგი არიან თოფის გასროლისა. მაგრამ პარტიული მასის დაწოლის გამო აშკარად, დასანახად ვერ ბედავენ ავნონ შეიარაღებულ აჯანყებას. გაგეგონებათ — „ერთმა მსუნაგმა ლორმა ოჯახი ამოაგდო“, — გაფიცხდა მდივანი.

— გამაერთიანებელი ყრილობის საკითხისადმი როგორი დამოკიდებულებაა თქვენში?

— უთანხმოება არა გვაქვს, კრიტიკულ შენიშვნებს კი არ ვაკლებთ. — მშვიდი უკმაყოფილებით მიუგო ქავთარაძემ.

— „ვინც კატას არ გაიჩენს, ის თაგვებს მოიმრავლებს“. უნამუსო მენშევიკებთან პარტიაში ერთად ყოფნა რა ხელს მოგვცემს. იდეურ რწმენას გვპარავენ და ბრძოლის უნარს გვიყუჩებენ. „აქლემისა თუ ნემსის ქურდი მაინც ქურდია!“ — აქუხდა მდივანი.

— უნდონი და უპატიოსნონი არიან მენშევიკების ლიდერები, — დაეთანხმა უცნობი კაცი, — მაგრამ, „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტია?“. უნდა დავძლიოთ.

— მართალი ბრძანებაა, უნდა დავუხვდეთ, დავძლიოთ, დავახრჩოთ! „დიაცი მიმავალი იკვეხის. მამაცი მომავალიო“. ჩვენ მძიმე გზით მავალი ბოლშევიკები ვართ!..

უცნობი ახლო ნაცნობივით ელაპარაკებოდა და იღაყვაყრილნობილი ორივეს აკვირდებოდა.

ქავთარაძე ლაპარაკობდა წყნარად, თავშეკავებულად. მდივანი კი ექსპანსიური ბუნების გრძნობა-ძახილს, რიხსა და მუქარას მუშტსაც აყოლებდა. მენშევიკებს გულ-ღვიძლს უტრიალებდა, ლანძღავდა, თვალებს უბრიალებდა და ხელის ტორებს ურტყამდა, გაპრიალებულ მაგიდას უტყლაპუნებდა და ამითაც ადასტურებდა მენშევიკების ლიკვიდატორობას, ოპორტუნიზმს, ორპირობასა და მოღალატეობას.

მასპინძელიც უთანაგრძნობდა, მაგრამ ეცოდებოდა, რომ სამხრეთელი ბოლშევიკი ამდენ ენერგიას ხარჯავდა! თან კი უღიმოდა, ზოგჯერ სარხარებდა კიდეც, ხშირად თავსაც უკანტურებდა თანხმობის ნიშნად და ისევ გულდასმით უსმენდა.

— ჩვენს ლიტერატურას თუ ღებულობთ, და რამდენად მოწესრიგებულად?

— თითქმის ყველაფერს, რაც ჩვენამდე აღწევს, ლენინის ნაწერს და სახელმძღვანელოს, ჩვენ რომ გვჭირდება.

— იქნება ზოგ რამეში ლენინი მაინც ცდება?

— არა! — დაჯერებით უპასუხა სერგომ.

— რატომ არა?! — გადაკითხა უცნობმა.

— შეუძლებელია!.. თავადაც ვარჩევთ მართალსა და მცდარს! — აგრუხუნდა ბუდუ.

მასპინძელმა გემრიელად გადაიხარხარა.

მერე საათს დახედა, ჟილეტის უბეში ჩაიდო, თავაზიანად კარამდე გააცილა, თბილად ხელი ჩამოართვა, დაემშვიდობა და ჩაფიქრებული საქმის წარმატებით დამთავრება უსურვა.

დილით ქართველებს ელენე სტასოვა ეწვია და ღიმილით ჰკითხა:

— როგორ მოგეწონათ გუშინდელი ამხანაგი? რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე?

— ჭკვიანი კაცია! მტკიცე ბოლშევიკი ჩანს. ვინ არის?

— ლენინი!

ორივენი გაფითრდნენ. ყველაფერი აერიათ თავში, — „რას ვეუბნებოდით, სწორსა თუ მცდარს? როგორ ვიქცეოდით, როგორ გვეჭირა თავი?!“.

მერე სერგომ ბუდუს ბეუბღვიოა:

— რამ აგაყბედა, კაცო? ხელებს იქნევდი, მაგიდაზე ურტყავდი. იგინებოდი!.. მართლაც, ტყვილად არ შეგარქვეს „გრუხუნა ბოჩკა“.

— ნუ ღელავთ! — დაამშვიდა სტასოვამ. — ლენინი ძალიან კმაყოფილია თქვენი ინფორმაციით...“ სხვათა შორის თქვა: „საკვირველია, ორივე ერთი ეროვნების ადამიანია, მაგრამ რა დიდი განსხვავებაა მათ შორის: ერთი ხძაურიანი და უშუალო, მეორე კი ჩუმი და თავშეკავებული“.

* * *

ბუდუს და სერგოს ელენე სტასოვამ უცნობი ფინელი სოციალისტ-დემოკრატის მიწვევაც გადასცა, სახლში ეახლნენ და გაოცდნენ. სამუშაო ოთახში ზოგი რამ უჩვეულო ეჩხირათ თვალში; მაგიდაზე მოვარაყებული სახარება იდო, კუთხეში ღვთისმშობლის ხატი ესვენა.

მსახურმა ყავა მოართვა. მასპინძელმა უსიტყვოდ, თითქოს ხმის ამოღება ეძვირებაო, მრგვალ მაგიდასთან ხელის მინიშნებით მიიწვია და ყავის ფინჯანი ხელში აიღო. სტუმრები ამით მიახვედრა, რომ ერთდროულად საუბარსაც ვერ გააგრძელებდა; ქავთარაძემაც მოწრუპა და ბუდუს ქართულად უთხრა:

— ამ ღვთისმოსავნა ჩემს თვალში ჩვენი მენშევიკების ავტორიტეტი აამაღლა... ისინიც კი არ დაცემულან სოციალიზმის რწმენის ამგვარ დამახინჯებამდე!

ბუდუს ჩაეცინა. სახარებასა და ხატს მზერა მოარიდა და შუაკედელზე დაკიდებულ ოქროსჩარჩოიან დიდ ფერწერულ პორტრეტს დააკვირდა:

— საკუთარი თავიც დაუხატვინებია: ალბათ, „ჯერ თავო და ოავო. მერე ცოლო და შვილო!“ ბოლოს კი სოციალიზმიო, ხომ?!

პორტრეტზე გამოსახულ კაცს კეთილი თვალები და ენერგიული გამოხედვა ჰქონდა.

— ვგავარ? — იკითხა მასპინძელმა.

— რა თქმა უნდა!

— მე არა ვარ!..

სტუმართა ცნობისმოყვარეობა სტასოვამ დააცხრო:

— სიბელიუსია...

— აქაური სოციალ-დემოკრატი?

— სამწუხაროდ, არა, — სინანულით წარმოთქვა სტასოვამ.

— სამაგიეროდ ყველა სოციალისტის მეგობარი!.. ჩვენი მშვიდობიანი ცხოვრების მოსურნეა, თანამედროვე ფინური მუსიკის მეფე... ორმოცი წლისაა, მაგრამ უკვე ერის წინამძღოლია. მაცხოვარზე შვიდი წლით დიდია, ვლოცულობთ, რომ უფრო მეტ ხანს იცოცხლოს. ერს სჭირდება სულის სიამაყე!.. მისი ღვთაებრივი მუსიკა სოციალისტებსაც გვამაღლებს. „ნაღვლიანი ვალსი" კი — ლოცვაც არის, გოდებაც და ვედრებაც!.. ქართველების დარად ფინელებსაც ბევრი გვაქვს საევედრებელი. ეროვნული თვითგამორკვევისათვის ვიბრძვით. მეფეს ეს არ ესმის ანდა არ სურს გაგვიგოს. რომანოვთა მფარველობა ფინეთისადმი ბევრით არ სჯობს თქვენ ბედს!.. პოეზია და მუსიკა ცხოვრების სიმძიმეს გვიმსუბუქებს, ბრძოლის ხალისს გვმატებს. მისი ჰანგი ჩვენთვის ისეთივე მხნე მოწოდებაა, როგორც თქვენი ხალხის ბრძოლად მომხმობი რევოლუციური სიმღერა!

მერე მასპინძლის თხოვნით სტასოვა ფორტეპიანოს მიუჯდა და „ნაღვლიანი ვალსის" მელოდიამ იქ მყოფნი ერთხმად დაატყვევა.

— სიტყვა მჭრელია, მაგრამ როცა აჩუნებენ, სიმღერა მეტყველებს და ცენზურას უსხლტება, — გაგულიანდა ფინელი.

სერგო სდუმდა...

ბუდუ შფოთავდა, ჭავჭავაძის ნატვრის სიმღერა გაახსენდა: „ღმერთო, ღმერთო! ეს ხმა ტკბილი გამაგონე ჩემს მამულში":

— თქვენ მეტი დამოუკიდებლობა გაქვთ, — მიიქცია მასპინძლის ყურადღება სერგომ, — ჩვენ კი თვითმპყრობელობის ტყვეობაში ვართ.

— ნე კი მგონია, ერთ ბედს ქვეშ ვიხრაკებით: „თევზმა თევზს უთხრა: პატარა იქით მიიწიეო და — სად მივიწიო, ორივე ერთ ტაფაში ვიწვითო", — დანაღვლიანდა ბუდუ.

— მაინც არის განსხვავება — ცხელზე თუ ცივ ტაფაზე დაგაგდებენ! თავად შევატყვე, ჰელსინგფორსში მეფის პოლიციელები ფრთხილობენ. თბილისსა და ქუთაისში კი თავაშვებულად დათარეშობენ. აქაურ რევოლუციონერებს დიდად არ აჩნიათ პარტიული განდგომანი, ჩვენებურებს კი ბევრს აკლებს. ასუსტებს და ვნებს!.. ჩვენში ეჭვით ვეკიდებით ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრა-

ობას, ფინეთში კი იგი მეფის წინააღმდეგ ბრძოლის ქვაკუთხედს წარმოადგენს. სწორს არ ვამბობ?

ფინელი სოციალ-დემოკრატიც ჩაერთო საუბარში და სტასოვაც ჩაიყოლა. თავისი ქვეყნის პოლიტიკური ავ-კარგი ქართველებზე უკეთ იცოდა, საქართველოში რევოლუციური სულისკვეთების აღგზნებას მიესალმა და ამის საფუძველიც მონახა:

— კავკასიის ხალხის ცხოვრების პირობებმა ხელი შეგიწყოთ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყველაზე უფრო ებრძოლი ორგანიზაციის შესაქმნელად!.. გაგებული მაქვს, რევოლუციური მოძრაობა თქვენში უკვე მივიდა თვითმპყრობელობის წინააღმდეგ საყოველთაო-სახალხო აჯანყებამდე... ამიტომ მოგესალმათ პარტიის მესამე ყრილობა... ეს დიდი დამსახურებაც არის და დიდებული შეფასებაც.

* * *

გამომშვიდობებული ქართველი რევოლუციონერები ნავთსადგურში გაემგზავრნენ. ნათი გემი სტოკჰოლმ-კოპენჰაგენის მარშრუტით მიდიოდა. იქიდან კი მატარებლით ბერლინზე გავლით პარიზს ჩააღწევდნენ.

დილა ბურუსიანი იდგა. გემის ბაქანზე ხელის გაწვდენაზე კაციც არ ჩანდა. ნახევარ საათსაც არ გაევლო, წყალქვეშა ქვებს წაწყდნენ, გემი მეჩეჩზე დაჯდა.

— ვიღუპებით! — დაიძახა ვიღაცამ.

მგზავრებს ელდა ეცათ. აიშალნენ, აწრიალდნენ. აურზაური ატყდა. ვიღაცამ ხმა დააგდო. „მეფის პოლიციამ რაც ჰელსინგფორსში ვერ გაბედა, აქ აკეთებს ფინეთის უბის ნეიტრალურ წყლებში. გემს ეხლა სამხედრო კატერი მოადგება და ყველას კრონშტადტში წაასხამს“.

მწარე ფიქრმა სერგოც და ბუდუც შეაშფოთა, მაგრამ მალე დაწყნარდნენ — „ასეთ ბურუსში მოდარაჯე გემიც ცხვირს მოიტეხს“.

გემი კი მაინც გამოჩნდა — არა გამჩხრეკი, არამედ მაშველი. კაპიტანმა ბრძანება გასცა:

— ყველანი გადასხდებით!.. მეზღვაურები დაგეხმარებიან. ხელის ბარგი თავად გაიყოლეთ!, მძიმეს გადმოგიტანთ. ჯანიანი კა-

ცები ჩემს განკარგულებაში დარჩებით ტვირთის გადასაზიდად, გემი უნდა შევამსუბუქოთ, მეჩეჩიდან მოვხსნათ.

დაიწყო ხალხის გადარჩევა. მეზღვაურები მწკრივად დაეწყვნენ და გვერდით თორმეტი მოქალაქეც მიუდგა, რომელთაგან ათი ბოლშევიკების მანდატებით მიემგზავრებოდა ყრილობაზე. ორი სხვა კი ვითომ უცხო იყო მათთვისაც; აბა რა საერთო უნდა ჰქონოდა ამ ხალხთან „ღვთისმეტყველსა“ და „მხატვარს...“

— ძმებო, ძალა ერთობაშია! — გაისმა ბუდუს ომახიანი შეძახილი.

კაპიტანმა თავი ღირსებით აიღერა, ვიღაც კნაჭა, უანჩასავით აწოწილმა მგზავრმა კი ცხვირზე პენსნე მიიჭირა და მოწოდება მოუწონა — „ვაშა, ვაშა! — დაიძახა.

ათეულის თავში ბუდუ ბობოქრობდა, აღარც „სოვდაგარს!“ ჰგავდა და აღარც „მხატვარს“. ათისთაობას ჩემულობდა, სხვებიც ერთგულად მიჰყვნენ.

არც ისე იოლი დაბრკოლება შეხვდათ. დაბლა წყალია, მაღლა — ნისლი, ქვეშ — მიმალულია მეჩეჩი, რომელზეც გემია წამოგებული.

ბუდუ და სერგო ყველაზე ახალგაზრდებად ჩანდნენ, ზღვის როდი შეუშინდნენ, წყალწითელას ხიდიდანაც გადაშვებულან ბავშვობაში, ფსკერზე ხელისგულიც დაუკრავთ და მთელი მუჭა კენჭითაც ამოყურყუმელავებულან!.. აქ კი, გემბანიდან რა ისეთი დიდი სიმაღლეა, რომ ქალები და მოხუცები ზღვაში მოცურებულ მაშველ ნავებში მარჯვედ ვერ ჩასხან?!.

კაპიტანმა ბრძანა:

— მოხალისეთა რაზმმა მძიმე ბარგი გადაზიდოს!

— არის, გადავზიდოთ! — შესძახა ბუდუმ და ორ ჩემოდანს დასწვდა, — დიდსა და პატარა საკვოიაჟს.

— მოითმინეთ, უმაწვილო! — შეჰყვირა შეშფოთებულმა ჭნაკა-კაცმა, რომელიც წლოვანებით ორჯერ მეტი ხნისა იყო, ბუდუზე, — საკვოიაჟს მე დავიჭერ!.. თქვენ მხოლოდ ხელი მომკიდეთ ბალანსირება არ დავკარგო!

ბუდუმ დიდი ჩემოდანი აიღო და უანჩასაც იღლიაში შეუდგა.

მერე გემბანიდან ზღვაში ჩაკიდებულ კიბეზე ჩაეშვა და საკვოიაჟიანიც ჩაიყოლა. მგზავრს შიშით ცხვირი ისე მოეღრიცა, რომ პენსნე მოსძვრა, ინსტინქტიურად მარცხენა ხელით ბეცად ჰაერში

წაეტანა, უნებლიეთ მარჯვენაც მიაშველა და საკვოიაჟი გაუვარდა. ახლა იმისკენაც წაიწია, ბალანსირება დაკარგა, გადავარდა და ჩემოდნიანი ბუდუც გადაიყოლა.

— მიშველეთ, ამხანაგებო! —წამოიძახა კნაჭა კაცმა და უმწეოდ აფართხალდა.

ბუდუმ ზვიგენივით გაჭრა ტალღა, ტორა-ხელი მოხვია კნაჭას და ახლო მომდგარ მაშველ ნავთან მიყვანილი მეზღვაურებიც მიეშველნენ და წყალნაჭყაპი კნაჭა-კაცი ზღვიდან ამოათრიეს წყალში დამხრჩვალი კატასავით.

ცოტა ხნის შემდეგ ბუდუ მდივანიც მაშველ გემის ბაქანზე იდგა, მერე დანარჩენი მგზავრებიც გადმოსხეს, ბარგიც გადმოიტანეს, ტვირთიც გადმოზიდეს და მეჩეჩზე დამჯდარი გემი ატივტივდა. ცხვირი ასწია, წელი აითრია და შემაფერხებელ ქვებს მოსწყდა.

მერე ისევ თავის გემზე გადმოსხდნენ. ჩემოდნებიც გადმოიტანეს და პენსნედაკარგული ბეცი კაცი ბალღივით ხელით გადმოიყვანეს. დახრჩობას გადარჩენილი მაინც წუწუნებდა:

— ყრილობაზე წასაკითხი მოხსენების ტექსტი დამეღუპა!

რამდენიმე საათის შემდეგ მაშველი გემის თანხლებით ხმელეთს მიადგნენ.

ნავთსადგურში დამხვდურებში ერთი კაცი იდგა, ფინურ კეპში და მეზღვაურის ბუშლატში გახვეული.

სერგომ იცნო, ბუდუს დაანახვა და ორივემ სიხარულით ქუდები მოიშვლიპეს.

ლენინმა კი ირონიულად გადაჰკრა:

— რაო, ამხანაგო ბუდუ!.. ბოლშევიკმა ლიკვიდატორი მენშევიკი დახრჩობას გადაარჩინეთ?! იმუქრებოდით კი, დავახრჩობო!..

ზღვამაც არ მიიღო ოპორტუნისტი!.. გაერთიანებული ყრილობის დელეგატი ყოფილა, თანაც ნომხსენებელი.. იქნებ იქ მაინც არ გაიხადოს თავი დასახრჩობად! — გაუცინა ბუდუმ.

— ღმერთმა ქნას!.. ამის იმედით ჩამოვედით სტოკჰოლმში!

ოჯროაირთა ორაიროგა

პარიზის ვაგზლის მოედანზე გასულებმა ეტლს დაუძახეს და მაქსიმ ლიტვინოვის სახლის მისამართით გაემგზავრნენ. „ფელიქსმა“ საქმიანად მიიღო კავკასიელები, დაარიგა, ამიერიდან მაკედო-

ნელებად უნდა წარუდგეთ სახლის პატრონსო. სწრაფად დააკავშირა და ბელგიური იარაღით მოვაჭრე ფირმის პატრონს ბეკერს და გარიგებაც შედგა — ორი ათასი კარაბინი და მილიონ-ნახევარი ვაზნა შეუკვეთეს.

სხვა რჩევაც მისცა:

— რუსი ემიგრანტების წრეებს ერიდეთ, თავისუფალი დრო პარლამენტის ქანდარაზე გაატარეთ, მაგრამ ბურჟუაზიული და სოციალისტური პარტიებისა და ფრაქციების ჩვეულებრივ ცხარე პოლემიკაში არ მოტყუვდეთ!.. პარიზელების ემოციებს ნუ აჰყვებით, ქანდარაზე რომ სხედან და ლამაზი რეპლიკებით აწონებენ თავს დეპუტატებს. პოლიცია იმათ არ ერჩის, თქვენი ვინაობით კი დაინტერესდებიან და ამ კარგად დაწყებულ საქმეს ჩაგიშლიან.

სერგო და ბუდუ შარში გახვევას მოერიდნენ, „ფელიქსს" დაუჯერეს და მეორე დღესვე პარლამენტის ქანდარაზე ადგილები დაიკავეს.

პარლამენტში გრძელდებოდა სარიენო-კლემანსოს მთავრობის დეკლარაციის განხილვა, რომელიც ფრანგ მუშებს სოციალური პირობების გაუარესებით ემუქრებოდა. კლემანსომ მბრძანებლურად განაცხადა, რომ სასტიკად გაუსწორდება ყოველგვარ უწესობას, გაფიცვებსა და მუშების წინააღმდეგობას, რაკი ამას მოითხოვს პარლამენტის უმრავლესობა — რადიკალების ფრაქციაო.

სოციალისტები ყალყზე შედგნენ, ცხარე წინააღმდეგობა გაუწიეს, ტრიბუნიდან შეუტიეს. ჟორესმა კრიტიკის ქარცეცხლი კლემანსოს წინააღმდეგ მიმართა.

იმ დღესაც ლიდერების პაექრობით თავს ირთობდა საფრანგეთის პარლამენტის ორივე ფრთა. ჟან ჟორესი ხატოვან ფრაზებს აფრქვევდა მოწინააღმდეგეთა მოქმედების გასაჭირდად.

— პარლამენტს სურს და კლემანსომ უნდა გვიპასუხოს — რამდენი ფრანგი ჯარისკაცი აკავებდა მუშების პროტესტს ყველაზე ნღელვარე მომენტში? თუ მან არ იცის, მე გიპასუხებთ!.. ახლა გვითხარით, ბატონო კლემანსო, რამდენი ჯარისკაცი გაგზავნეთ პადეკალეს რაიონში მუშათა გაფიცვების ჩასახშობად? ამას კი ვეღარ დამალავთ, — ორჯერ უფრო მეტი — ოცდახუთი ათასი!..

ჟორესი განაგრძობდა:

კლემანსო თრგუნავს მუშათა კლასს, სურს წაართვას გაფიცვის უფლება, მაგრამ ვეკითხები: ვისი ინტერესების დასაცავად?

განა ძნელია ამის გაგება? — აი, ამიტომ მოვითხოვ რეფორმას საზოგადოებრივი წყობილებისას, რომელიც დღემდე დაფუძნებულია ჩაგვრა-უსამართლობაზე!

მერე რადიკალების ძლიერ ფრაქციას გახედა და დაბალი ხმით მიადევნა:

— იქნებ უარყოფს კლემანსო, რომ იცავს ისეთ ვითარებას, როცა საზოგადოების ერთ პოლუსზე მოქცეული ერთი მუჭა მუქთახორები მილიარდობით ფრანკსა ფლობენ, ხოლო მეორე პოლუსზე გარიყულ მილიონობით მშრომელებს ერთი ცენტიც არ უდევს ჯიბეში! ვის შესწევს ძალა ასეთი უსამართლო საზოგადოებრივი წყობილების შესაცვლელად? მხოლოდ მშრომელ მასას! დიახ, მას, და მხოლოდ მასას შეუძლია დაამყაროს სამართლიანად განაწილების წესი ახალ საზოგადოებაში, რომელშიც შრომისა და საწარმოო ძალების ყველა საშუალება მუშათა კლასის კუთვნილებად იქცევა. შესაძლებელი გახდება თვით პროლეტარიატი იქცეს სუვერენულ ძალად! ნუთუ ასეთი საზოგადოება არ იქნება უკეთესი, სამართლიანი, ადამიანური? — კითხვა დასვა ჟორესმა და თავადვე განმარტა, რა გზით უნდა მომხდარიყო კაპიტალისტური საკუთრების ექსპროპრიაცია, — ანაზღაურებით თუ აუნაზღაურებლად?..

კლემანსომ ჟორესის სუსტი ადგილი იპოვა და რეპლიკა ესროლა:

— ჟორესმა პირდაპირ გვიპასუხოს თავისავე კითხვაზე, — კერძო საკუთრების ექსპროპრიაციით თუ უამისოდ?

პარლამენტის ორივე ფრაქციაში ჩოჩქოლი ატყდა. ეთქვა, რომ კაპიტალის ექსპროპრიაციით, — ბურჟუაზიულ რადიკალებს დაეფრთხობდა, — უთქველობა კი მემარცხენეებს გააღიზიანებდა. ჟორესმა საშუალო გზა არჩია:

— ამას მოვლენების განვითარება გვიჩვენებს, მაგრამ მე გეგმიური, მშვიდობიანი, წყნარი ევოლუციისა, კანონმდებლური გეზის მომხრე ვარ. ძალადობა არ უნდა შეეხოს პრივილეგირებული კლასების ჩვეულებასაც კი. არ გვავიწყდება მარქსის ნათქვამი: „თუ მოვაბერხეთ საქმის მოგვარება გამოსყიდვის გზით, რევოლუცია უფრო იაფად დაგვიჯდება“.

მერე წამით შეყოვნდა სულის მოსათქმელად და უფრო მშვიდი მომრიგებლური კილოთი განაგრძო:

— პარლამენტს შეუძლია, თუ ეს მას სურს. ახლა ეროელოს ბოლო კლასობრივ წყობილებას, მშრომელების ექსპლოატაციაა, ადამიანზე ადამიანის ბატონობას. კაპიტალისტური წარმოების წესი შესაძლებელია შეიცვალოს ძალადობით გარდაქმნითაც, უხეში და ბრმა ძალმომრეობით ან მშვიდობიანი კანონიერების გზით!..

რადიკალები სანახევროდ დამშვიდდნენ.

ქავთარაძემ გაკვირვებით შეხედა ბუდუს და თანამემამულის გაოცებულ თვალებშიც ამოიკითხა ეორესის პათოსით მოხიბლულობის გრძნობაც და დაუკმაყოფილებლობის დაუფარველობაც. ბუდუმაც ზოგი რამ ისეთიც იგრძნო ორატორის ნათქვამში, რაც იდეურ გაორებად მოეჩვენა და საქართველოშიც ჩასახული სიტყვა-პასუხის პაექრობით რევოლუციური ბრძოლის შეცვლის ქადაგება გაახსენდა:

— გესმის რა თქვა, — „მომხრე ვარ გეგმიური, მშვიდობიანი, წყნარი ევოლუციისა და კანონმდებლური გეზისო"!. ამათი იმედით ვიაროთ საქართველოში?! აბა, ალარ დაგვირდება იარაღი, რაღას ჩამოვჩანჩალდით აქანე?!

სერგო ჩაფიქრდა, მიუხვდა, რომ ოქროპირი ორპირობდა, დასანან მანევრს იწყებდა, პარლამენტის დარბაზს მედუქნის სასწორად იხდიდა და ბადიაზე გირებს ისე დებდა, რომ არც ერთ მხარეს არ გადახრილიყო.

„იქნებ ვცდები?" — გაიფიქრა ქავთარაძემ. მაგრამ, აშკარაა, რომ ეორესი პრინციპულად უარყოფს პროლეტარიატის ძალმომრეობას ბურჟუაზიული ძალმომრეობის მოსაშლელად. „უამისოდ კი შეუძლებელია სოციალისტური საძირკველის ჩაყრა", — თავში უტრიალებდა იდეა, რომელიც ღრმად ჰქონდა გამჯდარი იმერეთ-სამეგრელოს კომიტეტში მუშაობის დროიდან. ბოლო დავალებაც ამ მიზანს ისახავდა და ამანვე ჩამოიყვანა ორივე, სერგო და ბუდუ, ქუთაისიდან პარიზში.

— ეორდანიაც ეორესის ჰანგზე გალობს! — გულთამტენით იგრძნო ბუდუმაც და მენშევიკების ფრაქციის ოინებიც გაიხსენა.

— ევროპელი სოციალისტ-რეფორმისტების მირონი სცხიათ! ცუდია, რომ უცხოეთში ნასწავლი ქართველები სოციალიზმის იდეას აგონჯებენ, ანდა სულაც აშკარა მოწინააღმდეგეებად გვიბრუნდებიან, — ახსნა მათი უბედურების ამბავი ქავთარაძემ.

* * *

მეორე დღესაც გაგრძელდა პარლამენტის სხდომა. სერგომ და ბუდუმ ქანდარაზე ადგილები დაიკავეს, ახლა უკვე კლემანსოს პასუხის მოსასმენად.

ორივემ მალე იგრძნო, რომ კლემანსოც ჟორესის ღირსეულ მოწინააღმდეგედ დადგა ტრიბუნაზე თავისი ჭკუის ბრწყინვალეობითა და პოლემიკური ოსტატობით. მაგრამ იგი სხვა სტილის, სხვა მანერის და სკოლის ორატორი იყო. იმის სიტყვაში არ იყო მქუხარე გრძნობა და მგზნებარე მღელვარება. კლემანსო მხოლოდ თავს იცავდა, არ ეთანხმებოდა ანტიმუშურ რეპრესიების გაძლიერების ბრალდებაში, ცდილობდა განხეთქილება ჩამოეგდო იმათ შორის, ვისაც ჟორესი თავგამოდებით იცავდა, და ამითაც ტაშს აჩენდა პარლამენტის ქანდარაზე.

კლემანსო ორპირობდა, მასების საგაფიცვო მოძრაობას ებრძოდა, სიტყვით მფარველობდა, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ სწორედ იგი ეხმარება, მუშებს, მაგრამ ებრძვის იმათ, ვისაც მუშაობა არა სურთ. არც იმას ფარავდა, რომ გაფიცულთა წინააღმდეგ ჯარს გზავნიდა:

— ეს იმიტომ, რომ გაფიცვა ძალადობაა! ძალადობას კი ძალადობასვე ვუპირისპირებ! — ხმას აუწია კლემანსომ. — ვის შეუძლია თქვას, რომ ვებრძვი მუშათა კლასს, ვავიწროებ ანდა ვთრგუნავ?! მე მას მხოლოდ ვიფარავ სოციალისტებისაგან, რომლებიც მუშათა კლასს კი არ იცავენ, არამედ დანაშაულის ჩამდენ ცალკეულ ელემენტებს აქეზებენ. ამათ ისინიც ძალადობენ, წესრიგს არღვევენ. სისხლის ღვრას აწყობენ და ასეთ დანაშაულურ აქტებს პროლეტარიატის ბრძოლად აცხადებენ!

სერგო დინჯად უსმენდა. ბუდუ სკამზე ირწეოდა, ვერ ჩერდებოდა, ბორგავდა. ოფლს იწმენდდა. ლამის დაეყვირა — „ძირს კლემანსო!“.

ორატორი კი მშვიდად განაგრძობდა სოციალისტების ქირდვას;

— ნუთუ ჟორესს გულწრფელად სჯერა, რომ მუშათა კლასი, თუნდაც შორეულ მომავალში მაინც შეძლებს აიღოს თავის ხელში მართვა წარმოებისა, მიწადმოქმედებისა და ვაჭრობის?! ზღაპარია, არა მჯერა, არა, რომ ეს როდისმე ან რომელიმე ქვეყანაში მოხდება, გარდა საფრანგეთისა, მაგრამ ისეც მხოლოდ რესპუბლიკელ-

თა წინამძღოლობით და არა სოციალისტობის ყავაზე მარჩიელობით. მიუხედავად ამისა, მე ამას ვამბობ არა თქვენს საწინააღმდეგოდ, სოციალისტებო, არამედ სოციალური სამართლიანობის გასამარჯვებლად თუ, რასაკვირველია, ეს შესაძლებელი გახდება ჩვენი საერთო მუშაობით. ამიტომ რაა უფრო საჭირო ჩვენთვის? — რეფორმა თუ რევოლუცია? მევე გიპასუხებთ, რა თქმა უნდა, პირველი. ჩვენ ვატარებთ რეფორმას და კვლავაც გაგრძელება გვწადია!

ქანდარაზე დაბუდრებული სერგო და ბუდუ საბოლოოდ დარწმუნდნენ ფრანგი სოციალისტებისა და რესპუბლიკელების ევოლუციურობაში, რასაც არასოდეს არ მოჰყვებოდა რევოლუცია!

— გასაგებია, რატომ გაუშვეს ხელიდან პარიზის კომუნარებმა რევოლუციური წარმატება და გამარჯვებული მუშები დამარცხების ხიშტზე აეცვნენ! — ბუბუნებდა ბუდუ.

ორი ქართველი რევოლუციონერი საკუთარი თვალით ხედავდა და ყურით უსმენდა გაწაფულ ორატორთა პაექრობას ახალი, სოციალურად სამართლიანი საზოგადოების საძირკველის ჩაყრაზე, მაგრამ არც ერთი არ ადიოდა ბრძოლის ბარიკადზე, არც ერთს არ მიაჩნდა საჭიროდ თოფ-იარაღის ხელში აღება, სხვა ქვეყანაში ნაშოვნი კი არა, საკუთარ სამშობლოში დამზადებული დენთის გაშრობა, ენაწყლიანობის საქმით შეცვლა, მუშათა კლასის მეგობრობის ფიცის პრაქტიკულად დაცვა. ამას პარლამენტის ორივე ფრთა გრძნობდა, ხედავდა, მაგრამ მაინც მჭევრმეტყველების ალერსს ეძლეოდნენ, ქადაგებდნენ, ერთმანეთს უხმობდნენ, დღეს გასაკეთებელს სახვალიოდ დებდნენ, სადღეისო ასაშენებლს უკვე აგებულად თვლიდნენ და სამერმისოზე თავს არ იწუხებდნენ.

— დიახ, მე ვამტკიცებ, მოსწონს ეს ჟორეს თუ არ მოსწონს, ჩვენი დეკლარაცია სოციალისტურია, სოციალისტებისა კი რეაქციული! ბურჟუაზიამ მეტი გააკეთა მუშათა კლასისათვის, ვინემ სოციალისტებმა. სოციალისტების ერთი სასწაულმოქმედი ხელის აქნევით აგებული ციური სასახლე თვალის დახამხამებაშივე დაინგრევა, როგორც კი ცხოვრების პირველსავე სინამდვილეს შეეჯახება.

ნდიკანი აღშფოთდა, შეირხა, სკამზე წამოიწია დაბლა გადასაფურთხებლად, თითქოს ქუთაისის ბულვარში ყოფილიყოს, მაგრამ სერგომ შეაკავა.

— რომ გკითხონ, ვინ ბრძანდებითო? რას უპასუხებ, ვაუბატონო?

მეგობრის სიდინჯემ უმალ დააცხრო და თავისთვის ჩაიბურტყუნა:

— ქუთაისში მომცა მაგის თავი, ვაჩვენებდი სეირს იქინე...

—შენ კი აქანეც არაფერს არ „გიჩვენებენ". დაგიხსომებენ მხოლოდ! იქნებ მეფის პოლიციასაც ჩაუკაკლონ ჩვენი ჩამობრძანების მიზანი. მერე რაღას შობი?!

— მაგი მართალია! აქანე უფრო გვმართებს მოთმინება, ვინემ ეორდანიას კამპანიასთან, შინ.

ბუდუ დადუმდა. სერგო ახმაურდა:

— ჰო, ბუდუ. ხვალ ბელგიაში მომიწევს მარტო ჩასვლა. შენ კი დროა შინ დაბრუნდე, იარაღის მისაღებად ჩვენი ზღვის სანაპიროზე მყუდრო ადგილები შეარჩიე! ამასობაში კამო და ტიტეც ჩამომეშველებიან. ორივე გამოცდილი ექსისტია, მოხერხება და გაბედულება მათი მოგონილია. მარტო არ დავრჩები.

ღათქვეს და სასტუმროსკენ გაესწიეს.

განწირულთა ნერა

მესამედასელებს ჯიბრში ჩაუდგა ახალგაზრდების ჯგუფი, ამ ჯგუფის წევრები უცხოეთში სწავლობდნენ და სოციალ-დემოკრატების წამსედაობით თავმოწონებით სოციალისტობდნენ, მაგრამ მათი პროგრამა სოციალ-დემოკრატებისაგან ზოგი რამით განსხვავდებოდა. 1903 წელს მათ პარიზში გამოსცეს თავიანთი გაზეთი „საქართველო", რომელიც გარკვევით გამოხატავდა ახალი პარტიის, სოციალისტ-ფედერალისტების მსოფლმხედველობას, თუმცა ნათ თბილისში უკვე ჰყავდათ წინაპრები და საკუთარი გაზეთიც — „ცნობის ფურცელი".

უკვე იმხანად შეკავშირდა მცირე, მაგრამ მკაფიოდ გამოკვეთილი მსოფლმხედველობის ჯგუფი, რომელშიც შევიდნენ არჩილ ჯორჯაძე, მთავარი იდეოლოგი ამ ახალი პარტიული მიმდინარეობისა, გიორგი ლასხიშვილი, კიტა აბაშიძე და ვლადიმერ ლორთქიფანიძე.

„ცნობის ფურცელმა“ გარკვეული ინტერესი გამოიწვია მკითხველთა შორის, ნოე ჟორდანია კმაყოფილებით ნიესალმა გაზეთის გალაშქრებას თავადაზნაურობის წინააღმდეგ, მაგრამ წყრომას არ მალავდა, რომ მესამე დასის უმრავლესობის მიმართაც გაზეთი მწვავე საყვედურებს გამოსთქვამდა, თავადაზნაურობას ერისადმი ღალატსა და კონსერვატორობას უკიჟინებდა, მესამე დასის ნემარჯვენე ფრთას ეროვნული ნიჰილიზმისათვის ჰკილავდა.

დავა დიდხანს გაგრძელდა, ბოლოს სოციალისტ-ფედერალისტების პირველი კონფერენცია მოიწვიეს ჟენევაში, რომელსაც დაესწრენ ნოე ჟორდანია თავისი თანამოაზრეებით, არჩილ ჯორჯაძისა და გიორგი დეკანოზიშვილის ჯგუფი; ჩერქეზიშვილიც — ანარქისტების სახელით.

სულ მალე ჟორდანიას ჯგუფმა კონფერენცია დატოვა.

— სოციალ-დემოკრატიისათვის დაუშვებელია ავტონომიურობის დროშის აღმართვაო.

ასეთმა მდგომარეობამ სოციალისტ-ფედერალისტებიც დაიფიქრა. არჩილ ჯორჯაძემ ევროპაში მყოფ პარტიის გამოჩენილ ლიდერს გიორგი დეკანოზიშვილს გაანდო:

— ჩვენს პარტიაში დომხალივით ირევა სხვადასხვა ჯურის ხალხი. ვინც ავტონომიას თანაუგრძნობს, სულ ჩვენ პარტიაში შემოვიდნენ და საქმე ძლიერ გაგვიფუჭეს, რადგან ეს ხალხი სოციალიზმის წინააღმდეგია. საზოგადოდ, ძლიერ სუსტობს სოციალიზმის პროპაგანდა... მოძრაობაში ჩვენი მონაწილეობა მცირეა, მართალი რომ ვთქვა, ნამდვილი ორგანიზაცია არ გვაქვს... სოციალ-დემოკრატიის ხელშია მთლიანი მოძრაობა. ჩვენი სისუსტე იმაშია, რომ პარტიაში ნამდვილი სოციალისტები არა გვყავს. დემოკრატი-ლიბერალები და ნაციონალისტები, უფრო ავტონომიის გამო, ბევრი მოგვეკედლა. იმისთანაც ვინც სახლში შესაშვები არაა. ამ გარემოებას უთუოდ ბოლო უნდა მოვუღოთ. ნაციონალ-დემოკრატებს უნდა დავშორდეთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ხალხი ჩამოგვშორდება.

გიორგი დეკანოზიშვილი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის წარმომადგენლად იქცა ევროპაში. სწავლა-განათლება პეტერბურგში ჰქონდა მიღებული და შინდაბრუნებული ინჟინერი ერთხანს ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში მუშაობდა ღოლობერა-

ძის მიწვევით, მერე ბაქოს ნავთის წარმოებაში გამოიჩინა თავი, ბოლოს ინგლისში, გერმანიასა და საფრანგეთში იმოგზაურა ამ ქვეყნების სოციალური და ეკონომიური ორგანიზაციის გასაცნობად და პარიზში დასახლდა საცხოვრებლად. აქ ჩამოასხმევინა მან ქართული შრიფტის ასოები, რომელსაც „პარიზულის“ სახელით იხსენიებდნენ, შემოიკრიბა ევროპაში გაფანტული ახალგაზრდა ძალები, გამოსცა გაზეთები „საქართველო“ და ფრანგული „ლა ჟორჟი“, ყველას საქმე გაუჩინა და ყველამ იცნო ის ხელმძღვანელად.

სოციალისტ-ფედერალისტების ცენტრალურმა კომიტეტმა იარაღის შეძენა და საქართველოში გადმოგზავნის საქმის მოგვარებაც დაავალა, ამისათვის მან ამსტერდამში 597-ტონიანი გემი „სირიუსი“ შეიძინა 3725 გირვანქა სტერლინგად, ცხრამეტი ქაცისაგან შემდგარი გემის ეკიპაჟი დაიქირავა კაპიტან ქრისტიან კორნელსონის მეთაურობით და იარაღით დატვირთული გემი საქართველოსაკენ გამოამგზავრა.

გემმა მშვიდობით გაიარა გიბრალტარი, ნაგრამ ქალაქ სეტში შეჩერდა; ეკიპაჟს სამგზავრო ფული აღარ ეყო. გამოუვალ მდგომარეობაში ჩავარდნილმა გიორგიმ ნაცნობებს მიმართა ფულის სასესხებლად, მაგრამ ცივი უარი მიიღო. იარაღის ნაწილის მიყიდვა დაშნაკების პარტიასაც შესთავაზა, მაგრამ სომეხმა ნაციონალისტებმაც უარი უთხრეს. მერე პარიზში იმხანობად ჩამომხდარ ქართველ მრეწველებს—ღოღობერიძესა და ჯაყელსაც ეწვია დახმარებისათვის, მაგრამ იმათაც ხელცარიელად გაისტუმრეს.

დრო კი იწურებოდა, სეტის ნავსადგურში ღუზაჩაშვებული გემის ეკიპაჟი გაფანტვით იმუქრებოდა და მაშინ იარაღის შესაძენად გაღებული იმოდენა თანხა წყალში გადაიყრებოდა. თბილისიდან ფულის გადმოგზავნის იმედი რომ გადაეწურა, სხვადასხვა ქალაქში ნაგულევ ახალგაზრდა მეგობრებს სასწრაფო დეპეშით პარიზში ჩასვლა მოსთხოვა. პავლე ყიფიანი, გიორგი სიხარულიძე და იასონ ბობლაშვილი უმალ ადგილიდან დაიძრნენ. რა და რითი დაეხმარნენ გაჭირვებაში ჩავარდნილ გიორგი დეკანოზიშვილს, თვითონ პავლე ყიფიანი იტყვის:

— მოვკრიბეთ ამხანაგებში საჭირო გზის ფული და იმავ ღამეს თორმეტი საათის მატარებლით ბრიუსელიდან გამოვწიეთ პარიზისაკენ. დილის ექვს საათზე უკვე პარიზში ვიყავით. ვინახულეთ

გიორგი დეკანოზიშვილი, რომელმაც გვიამბო საქმის ვითარება: ოითქმის ერთი თვის მოგზაურობის შემდეგ იარაღით დატვირთული ჩვენი გემი სეტში შეეჩერებინათ. კაპიტანი და ერთი ნაწილი, ეკიპაჟისა, შეშინებულნი აღარ სთანხმდებოდნენ საქონლის წაღებას, ფული საკმაოდ აღარ რჩებოდა. თუ საქმეს დროზე არ ვუშველიდით, შეიძლებოდა მთელი საქონელი და გემიც დაგვკარგვოდა. ერთი სიტყვით სულ ბევრი ერთი კვირის განმავლობაში უნდა გვეშოვნა ახალი კაპიტანი, ახალი ეკიპაჟი, და ამასთანავე საჭირო ფულიც, რაც ასე ადვილი არ იყო. თვით გიორგი დეკანოზიშვილს ეტყობოდა, რომ დაქანცული და მოღალული იყო, თუმცა თავის თავს ძალას ატანდა ჩვენთვის არ ეჩვენებინა ეს და პირიქით სცდილობდა ჩვენს გამხნევებას.

— აქ დაღონება და თავის ჩაკიდება კი არ უნდა, არამედ მხნეობის და მამაცობის გამოჩენა — მიმართა მან იასონს, რომელიც თავჩაკიდული რაღაცას ლუღლუღებდა, — რამ შეგაშინათ, ყველაფერს კარგად მოვაწყობთ, მხოლოდ სურვილი და მონდომება იყოს. — ამ სიტყვებთან ერთად გიორგი დეკანოზიშვილს მართლაც სახე თანდათან გაუბრწყინდა. ჩვენც რაღაც იმედი მოგვცა, ვგრძნობდით, რომ ცარიელ ლაპარაკისათვის აქ არ დაგვიბარებდა, რამე უნდა დაევალებინა და ჩვენც მზად ვიყავით მონდობილი საქმე სიხარულით აღგვესრულებინა.

— ფული გვჭირდება! — დაიწყო ისევ გიორგი დეკანოზიშვილმა — ჩვენ უხეირონი ვართ, არაფრის შნო არ გვაქვს. შეხედეთ, სხვა სარევოლუციო პარტიები როგორ შოულობენ ფულს. ძალით და მუქარით ართმევენ. განა ჩვენ არ შეგვიძლია ასე ვიშოვოთ, როგორც ისინი შოულობენ. განა ჩვენ არა გვყავს კაცები, რომელთაც შეუძლიათ ხელი მოგვიმართონ!..

— გვითხარი! — ვერ მოითმინა გიორგი სიხარულიძემ, რომელიც სახეზე ალეწილი უსმენდა ლაპარაკს და მოუთმენლად ელოდა მოქმედებას.

— ვისთანაც გინდათ მივალთ! — დაუმატა იასონმა, — წავახრჩობ და ისე გამოვართმევ.

— აი აქ არის იაკობ ზუბალაშვილი, მდიდარი კაცია: მისთვის 25 ათასი მანეთი ერთი გადაფურთხებაა. — და წამიერი ფიქრის შემდეგ დაამატა:

— თუ მეტყვით, მე თვითონ წავალ, დანით დავადგები და ისე

გამოვართმევ, — წამოიძახა გიორგი დეკანოზიშვილმა ისეთის გაბრწყინებულის სახით, რომ იმ წამს ყველა დარწმუნებული იყო, რომ ფულის შოვნას წინ არა უდგა რა.

ამის შემდეგ შეგვექმნა თათბირი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გვენახა და ვისთვის უნდა მიგვენდო ამის აღსრულება.

აღმსრულებელნი გამოჩნდნენ, მხოლოდ ცოტა ბაასი გამოიწვია იმ გარემოებამ, თუ რა სახელით უნდა მივსულიყავით და თუ ვინიცობაა არ აღგვისრულებდა მოთხოვნას, რა გზას დავდგომოდით; საზღვარგარეთელ სარევოლუციო პარტიას სრული ავტონომია ჰქონდა მოქმედებისა, ამიტომ აქვე შეგვეძლო გადაგვეწყვიტა ეს კითხვა. ჰოდა, გადავწყვიტეთ, რომ თუ იაკობ ზუბალაშვილი უარს გვეტყოდა, მაშინ იგი სიკვდილით უნდა დაგვესაჯა. მაგრამ საქმე ის იყო, რომ იმ ჟამად ჩვენ არც ადამიანები გვყავდა, რომელთათვისაც შეგვეძლო მიგვენდო ამ გადაწყვეტილების აღსრულება და არც გვცალოდა ამისათვის, რადგან ჩვენთვის საჩქაროდ ფული იყო საჭირო.

იაკობ ზუბალაშვილის მოკვლა კი ჩვენ ამას ვერ შეგვძენდა. თანაც დარწმუნებული ვიყავით, რომ ეს უკიდურესი საშუალება არ დაგვჭირდებოდა, თუმცა გიორგი დეკანოზიშვილი ძალიან სკეპტიკურად უყურებდა საქმეს, და ალბათ იმიტომ, რომ ჩვენში მეტი მანეობა გამოეწვია, სულ იმას ჩაგვძახოდა ბოლოს, რომ „არაფერი გამოვაო, ისევ მე უნდა ვიცე თავში და სადმე ვივალო ეს ფულიო?"

ბევრი სხვა და სხვა წინადადებების შემდეგ გადაწყვიტეს ამ საქმის აღსრულება მიენდოთ გიორგი სიხარულიძისათვის, იასონ ბოპლაშვილისა და ჩემთვის.

პირველი გეგმა ასეთი იყო. ეს სამი დასახელებული კაცი უნდა მივსულიყავით ზუბალაშვილის ბინის ახლო, გვედარაჯნა და როგორც რომ სახლიდან გამოვიდოდა გაგვეჩერებინა და სარევოლუციო კომიტეტის სახელით მოგვეთხოვა ოცდახუთი ათასი ფრანკი.

ეს ძნელი არ იყო, მაგრამ საჭირო იყო ყოველი შემთხვევა გაგვეთვალისწინებინა და ამის დაგვარად ყოველი ზომები მიგვეღო. შესაძლებელი იყო მედგრად დაგვხვედროდა, პოლიციისათვის მიეშვართა, ანდა შიშისაგან ყვირილი დაეწყო ქუჩაში. უნდა მომზადებული ვყოფილიყავით გასაქცევად და თუ პოლიციას ჩავუვარდებოდით ხელში, წინდაწინ დაწყობილ გეგმით თავი გაგვემართ-

ლებინა. უბედურება ის იყო, რომ ჩვენ არავითარი გამოცდილება არა გვქონდა ასეთი რთული ოპერაციის ჩასატარებლად. იქამდე მოუმზადებელი ვიყავით, რომ პირველ დღეს ტრამვაის ფულიც კი არ გვქონდა, რომ შინ დავბრუნებულიყავით.

ჩვენ გაგებული გვქონდა, რომ ზუბალაშვილი სახლიდგან შუადღისას გამოდიოდა, რომ სასადილოდ წასულიყო. თორმეტ საათზე დანიშნულ ალაგას ვიყავით; რადგან ერთ ალაგას ტრიალი მოუხერხებელი იქნებოდა, მივედით პირდაპირ რესტორანში, მოვითხოვეთ სამი ჭიქა ლუდი და გარეთ დავსხედით ისე კი, რომ იმ სახლში შემსვლელი და გამომსვლელი არ გამოგვპარვოდა. შესრულდა თორმეტი საათი. გავიდა კიდევ საათი. ამ დროს ოტელის კარებიდან ვიღაც ყმაწვილი გამოვიდა.

— ეგ ხომ არ არის? — ვეკითხებით გიორგი სიხარულიძეს, რომელსაც ერთხელ სადღაც ენახა ზუბალაშვილი.

— იმას ჰგავს — გვიპასუხა სიხარულიძემ.

— როგორ თუ ჰგავს! ნამდვილად უნდა იცოდე...

ჩვენ ყველანი ავდექით, მაგრამ ამ დროს ის ყმაწვილი, რომელიც იაკობ ზუბალაშვილი გვეგონა, ჩაჯდა ფაიტონში და წავიდა.

— რა ვქნათ! — დავეკითხეთ ერთმანეთს, და მხოლოდ მაშინ დავრწმუნდით, რომ თავდასხმა ასე ადვილი არ იყო: ცხადი იყო, რომ გამოვიდოდა თუ არა ოტელიდან იაკობ ზუბალაშვილი, ეტლში ჩაჯდებოდა და ისე წავიდოდა სასადილოდ. მაშასადამე, ან კარში უნდა ჩავსაფრებოდით, რომ შეგვეჩერებინა, რაც მოუხერხებელი იყო, ან ჩვენც უნდა აგვეღო ეტლი, თან გავყოლოდით, რესტორანში დაგვეჭირა, ან იქიდან გამოსვლის დროს დავცემოდით. ამასთანავე გიორგი სიხარულიძის პასუხმაც — „მგონი, ის არისო“, ეჭვში შეგვიყვანა, რომ ვაი თუ ვერ ეცნო და სხვა კაცს დავტაკებოდით.

რესტორანში, სადაც აქამდე ვისხედით, მეტი დაყოვნება არ შეიძლებოდა, რადგან ფული აღარ გვქონდა, რომ კიდევ რამ მოგვეთხოვა. ავდექით ისევ და დავიწყეთ ხეტიალი.

ამასობაში სამი საათი შესრულდა.

იქნება გამოგვეპარა? იქნება აქ არც კი დგას? ეს კითხვები ძალაუნებურად თავში გვიტრიალებდა და თან იმასაც ვგრძნობდით, რომ დაწყობილი გეგმის შესრულებას ვერ მოვახერხებდით.

გადავწყვიტეთ გეგმის შეცვლა და საქმე მეორე დღისთვის გადავდეთ.

მაგრამ საჭირო იყო ერთში მაინც დავრწმუნებულიყავით: იმ სასტუმროში დაბინავდა ზუბალაშვილი თუ არა? და რა დროს გამოდიოდა სასადილოდ? რადგან ჩემს ამხანაგებში მარტო მე ვიყავი ფრანგული ენის მცოდნე, ამიტომ ამის შეტყობა მე დამავალეს. შეველ სასტუმროში და ვითომ რაღაც წერილი მქონდა გადასაცემი, ვიკითხე რაც მინდოდა. გავიგე დანამდვილებით, რომ იაკობ ზუბალაშვილი მართლა იქ იდგა და რომ ჩვეულებად ჰქონდა თორმეტ საათზე გამოსვლა.

პირველ დღეს, ასე არაფრით დავბრუნდით.

გიორგი დეკანოზიშვილი ძალიან დაღონებული დაგვხვდა. თუ საყვედურები არ გვითხრა, ეს იმიტომ, რომ ჩვენი წყენა არ უნდოდა, თორემ ისე კი დარწმუნებული იყო, რომ ჩვენთვის ამნაირ საქმისათვის ღმერთს არც შნო და არც უნარი არ მოეცა.

მე გაჩუმებული ვიყავი: თავის გამართლება მეტად მიმაჩნდა. ვიცოდი, რომ გიორგი დეკანოზიშვილი იმ ქეიფზე არ იყო, რომ ჩვენი თავის მართლება ჯეროვნად მოესმინა: თან გული მომდიოდა გიორგიზე და მინდოდა ყველაფერი მისთვის გადამებრალებინა. ასეთ გუნებაზე ვიყავი, როდესაც მეორე დღეს სიხარულიძეს დავავალე მისულიყო დეკანოზიშვილთან, რომ გადაეცა ჩემი წინადადება — ერთად ორნი მივსულიყავით იაკობ ზუბალაშვილთან. იმ დილითვე მოვიდა ჩემთან გიორგი დეკანოზიშვილი და აქ ხელმეორედ დავიწყეთ ახალი გეგმის შედგენა. გადავწყვიტეთ: გიორგი სიხარულიძე და იასონ ბობღაშვილი მისულიყვნენ პირდაპირ იაკობ ზუბალაშვილის ბინაზედ. ვიცოდით, რომ მათ არ მიიღებდა, ამიტომ სხვა ცნობილი გვარით უნდა წარსდგომოდნენ. შესვლისთანავე იარაღით დაეშინებინათ და გამოერმთიათ ფული.

იმ დღესვე თერთმეტი საათი იყო, რომ ორი დასახელებული პირი შევიდა ოტელის კარში. მე გარედან უნდა ყური მეგდო და თუ ხიფათში გაებმოდნენ, გარემოების დარად მემოქმედა.

გულის ფანცქალით ვითვლიდი წუთებს. გავიდა ხუთი წუთი, გარედან ოტელს არაფერი ალიაქოთი ეტყობოდა, მაშასადამე, ვფიქრობ, საქმე კარგად არის, გავიდა კიდევ ხუთი წუთი და ამხანაგებიც გამოჩნდნენ. დანიშნულ ალაგისკენ წავიდნენ. მე შო-

რიდან თვალს ვადევნებ, რომ საეჭვო პირი ხომ არ დაედევნა. შე-ვიკრიბენით.

— რა ჰქენით? — დავეკითხე.

— არაფერი. არ მიგვიღო. ეჭვის თვალით შეგვხედეს. მისამარ-თი მოგვთხოვეს, ჩვენც ტყუილი მისამართი მივეცითო და წამო-ვედით.

მოგვწყდა წელი. რაღა გვეშველება? დღეები გადიოდა. ორასი ათასი ფრანკის იარაღი გვეღუპებოდა, რამდენი თვის შრომა და ვაივაგლახი სულ ფუჭად იკარგებოდა. იქ საქართველოში ყოველ-დღე ელოდნენ შველას. ერთი სიტყვით. ვიღუპებოდით. ამ ფიქრე-ბით შეპყრობილი მივდიოდით სამივე თავ-ჩაკიდულნი, ხმას არ ვი-ღებდით, რადგან თვითეული ჩვენგანი ეძებდა ხსნის გზას.

— მე წავალ! — წამოვიძახე უცებ.

— სად? — მომაძახეს გაშტერებულმა ამხანაგებმა.

— მე შევალ ზუბალაშვილთან.

— არც შენ მიგიღებს.

— ვსინჯავ.

— გუშინ რომ იყავი, იქ. მოსამსახურეები გიცნობენ.

— არა უშავს რა. თქვენ წადით ეხლავე და ამოირჩიეთ ალაგი, რომ შორიდგან ოტელში შემსვლელ-გამომსვლელს კარგად ხედავ-დეთ. თუ დამიჭირეს, ხომ გამოყვანისას მნახავთ: თუ მე თვითონ გამოველ და კარში ქუდი მოვიხადე, იცოდეთ საქმე კარგად არის და აქვე შევიყაროთ, თუ ქუდი არ მოვიხადე, იცოდეთ საქმე ცუ-დათ არის და თავს უნდა უშველოთ. ეს იყოს ჩვენი ნიშანი და ახლა წადით.

— შენ სადღა მიდიხარ?

— სავიზიტო ბარათები უნდა შევუკვეთო!

ამ სიტყვებით დავშორდით ერთმანეთს, შეველ რამდენიმე ალა-გას, არსად არ იყო მუშა, რომ რამდენიმე წუთში დაებეჭდა ბარა-თები. მაშინ ვიყიდე ერთი კარგი თეთრი სავიზიტო ბარათი და ზედ დაახლოებით შემდეგი დავწერე:

„მოწყალეო ხელმწიფევ! მე კერძოთ თქვენთან არავითარი სა-თხოვარი არა მაქვს და არც თქვენს დახმარებას ვსაჭიროებ. მე მინდა მხოლოდ გაუწყოთ ერთი ფრიად მძიმე გარემოება, რომე-ლიც შეეხება თქვენს სიცოცხლეს . გნებავთ თუ არა მინახულოთ? ჰო თუ არა? ტრე პრესე“.

ამნაირი ბარათით შევედი სასტუმროში, ბრძანების კილოთი დავავალე მოსამსახურეს ეხლავე გადაეცა ეს ბარათი იაკობ ზუბალოვისათვის და ეხლავე კატეგორიული პასუხი ჩამოეტანა.

ერთი წუთის შემდეგ ჩამოვარდა ბიჭი პასუხით... ბატონი ზუბალოვი გთხოვთ, სალონში მოიცადოთ, ეხლავე გეახლებითო.

„გასჭრა ბარათმა, თუ მახეში გავები", ვფიქრობდი რამდენიმე წამს სალონში რომ ვუცდიდი. ვინ შემოვიდოდა, პოლიცია თუ ბატონი ზუბალაშვილი?

გაიღო სალონის კარები და გამოჩნდა ფრიად სიმპატიური სახის კაცი.

— ვისთან მაქვს პატივი ვილაპარაკო?—მკითხა მან აღელვებული ხმით.

— ბოდიშს ვიხდი, ბატონო, რომ არ შემიძლიან მოგახსენოთ ჩემი გვარი და ამას არც საჭიროება მოითხოვს. მე მოველ მხოლოდ გაცნობოთ კომიტეტის გადაწყვეტილება... თქვენი სიცოცხლე განსაცდელშია... თუ გინდათ სიკვდილი აიცდინოთ, ეხლავე, ამწამსვე უნდა წახვიდეთ სადმე, დაიმალოთ. მაგრამ არ ვიცი... მოახერხებთ ამას თუ არა. მე ვიცი, რომ თქვენ შეძლებისდაგვარად ეწევით ჩვენ საზოგადო საქმეს, თქვენი სიცოცხლე კიდევ საჭიროა ჩვენთვის. მინდა აგაცდინოთ... მაგრამ როგორ... აი ეხლა, მე რომ აქ ვარ, ორი კაცი აქვე ჩასაფრებული უცდის თქვენ გადაწყვეტილებას. მე მათ დავპირდი, ჩემ თავზე ვიღებ კისრად, რომ თქვენ სიამოვნებით დაეხმარებით სარევოლუციო საქმეს, რომ საჭირო არ არის იმნაირი ზომების მიღება.

— მე ყოველთვის ვშველოდი და ვშველი ჩვენს საქმეს.

— ჰო, მე ეს კარგად ვიცოდი, რომ თქვენ უარს არ იტყოდით, და ამიტომ გავბედე ამ მძიმე მისიის ტვირთის აღება.

— მე კომიტეტის ყველა წევრს ვიცნობ... და მიკვირს რად მიიღეს ამნაირი გადაწყვეტილება?!. მეშინია, აქ რამე „შანტაჟი" არ იყოს.. მე გთხოვთ თქვენი გვარი მითხრათ...

— ბატონო, მე გაძლევთ პატიოსან სიტყვას, რომ ჩემს გვარს დაუმალავად მოგახსენებთ, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ აღმიქვამთ იმ შემწეობას, რომელსაც კომიტეტი თქვენგან ითხოვს. ამასთანავე, რომ დარწმუნებული იყოთ ვის ხელშიც მიდის ფული, ამ ფულს ვერც მე და ვერც სხვა ვინმე თქვენგან არ მიიღებს. ეს

ფული თქვენ უნდა ჩააბაროთ გიორგი დეკანოზიშვილს, რომელსაც შორიდან ალბათ იცხობთ.

— რამდენს მთხოვენ?

— ოცდახუთ ათას მანეთს.

— დღეს საღამოს ველი გიორგი დეკანოზიშვილს, მხოლოდ რადგან პირადად არ ვიცნობ, დაავალეთ მოიყვანოს თუნდ ბატონი გიორგაძე. ეხლა კი გთხოვთ ნითხრათ თქვენი გვარი.

— მე პავლე ყიფიანი გახლავართ.

— პალიკო ყიფიანი ხომ არა?!

— დიახ, ჩემო ბატონო.

— ილია ჭავჭავაძის ბანკის ერთ-ერთი დირექტორი?!

— ვიყავი, ბატონო.

— 27.000 მანეთის გამტაცებელი?!

— მე გახლავართ, ბატონო.

ზუბალაშვილმა თვალები გადმოკარკლა:

— სად გაფლანგეთ ასეთი დიდი თანხა, ბანქოში წააგეთ?!.

— გიორგი დეკანოზიშვილმა ის იარაღი შეისყიდა რევოლუციონერებისათვის, ახლა რომ უფულობით გვეკარგება.

— საოცარი შეხვედრაა!

— ნუ დამძრახავთ, ბატონო! რევოლუციას თავშეწირვა სჭირდება.

— მართალია, ბატონო პალიკო, მართალი!

მან მადლობის ნიშნად ხელი გამომიწოდა. ჩვენ რამოდენიმე ხანი კიდევ ვისხედით და უკვე დამშვიდებული ვბაასობდით სარევოლუციო მოქმედებაზე.

გახარებული და ქუდმოხდილი გამოველ სასტუმროდან; ამხანაგები დანიშნულ ადგილზე დამხვდნენ.

— წავიდეთ, მალე ვახაროთ გიორგის.

გიორგისთან შევიდა იასონი. ის წინადვე მომზადებული იყო ცუდი ამბის გასაგონად. შეეცივებინა და თავშეხვეული პალტოთი წახურული იწვა ტახტზე.

— გიორგი, წადი ფული მიიღე! — უთხრა მას იასონმა.

— რაო!! ფული მივიღო?!

გიორგი დეკანოზიშვილი უცებ წამოხტა ფეხზედ, გვერდზე გადისროლა თავსაკრავი, სახე მხიარულად გაებრწყინა და ავადმყოფი კაცი უცბად გამოიცვალა.

იაკობ ზუბალაშვილის მიერ მიცემული ფულიდან ათი ათასი ფრანკი გაიგზავნა სტამბოლში; ხუთი ათასი ფრანკი გაეგზავნა სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას საქართველოში, გრიგოლ ვოლსკის სახელზე და ოთხი ათასი გაეგზავნა გემის კაპიტანს.

მართალია, საქმე დაღუპვას გადარჩა, მაგრამ, სამწუხარო ის იყო, რომ ჩვენ ასე უხეშად დავესხით თავს ზუბალაშვილს, რომელიც თურმე სოციალისტ-ფედერალისტურ პარტიას ყოველთვის ფინანსიურ დახმარებას უწევდა, რაც, რასაკვირველია, გიორგი დეკანოზიშვილმა არ იცოდა».

ეს ამბავი რომ თედო სახოკიამ გაიგო, თვრამეტ ნოემბერს გიორგი დეკანოზიშვილს მოსწერა ბათუმიდან:

„თქვენ რომ ულტიმატუმი დაგიდვიათ, ის კაცი ჩვენთან ძალიან კარგად იქცეოდა. აქამდე იმით ვიბრუნებდით სულს. სამწუხაროა, რომ შენ არაფერი იცოდი და იმასთან სირცხვილში ჩავარდი. არა უშავს, გამოვაკეთებთ საქმეს. ბოდიშს მოვიხდით მასთან. ყოჩაღად კი მოქცეულხართ“.

პავლე ყიფიანი და იასონ ბობღაშვილი გაემგზავრნენ სტამბოლში, რათა იქ წინასწარ მოემზადებინათ გემის უმტკივნეულოდ გასვლა სრუტეებში.

გემი „სირიუსი“ მარსელში დარჩა ერთი დღე-ნახევარი. ცხადია, აქაც გემზე შეიტანეს იარაღი და ფარული ლიტერატურა, ამ საქმის მოწყობაში ცნობილი კონტრაბანდისტები ეხმარებოდნენ. მარსელში გემის ეკიპაჟს მიემატა ორი ქართველი: გიორგი სიხარულიძე და ლიეჟელი სტუდენტი ნაზარიშვილი.

სტამბოლში ჩამოსულმა პავლე ყიფიანმა გიორგი დეკანოზიშვილს აცნობა პარიზში:

„ძმაო გიორგი, დღეს დილით 9 საათზე ჩამოველი, დასვენების დრო არ იყო, მაშინვე შევუდექი საქმეს“.

მერე ყველაფერი წვრილად აღუწერა:

„პირველად ვნახე გალაჯევი, რომელმაც მამცნო საქმის ვითარება. შემდეგ ვინახულე მეორე პირი, რომელიც უფრო დიდ მონაწილეობას იღებდა თურმე ამ საქმეში და რომელიც გალაჯევმა მიმასწავლა. ორთავენი იმ აზრისანი არიან, რომ გემი უთუოდ ცნობილია აქ და კიდეც რომ არ ყოფილიყოვო, მისი გამოგზავნის თაობაზე კერესელიძემ და ვილაც კიდევ სხვამ, ჩვენს დაუკითხავად

მიმართეს იმისთანა პირს, რომელიც ნამდვილად ჯაშუში ყოფილა. ეს უკანასკნელი გარემოება სხვამაც დაგვიდასტურა.

ამ ცნობის შემდეგ დაგიკარ ის დეპეშა. ორთავე პირმა მირჩია, ტყუილად საქონელს ნუ დაღუპავთო, ნამდვილად შეტყობილი ექნებათო. მე ვსთხოვე, დღეს საღამოს შევიყარნეთ-მეთქი ყველანი ერთად და კიდევ ერთად მოვილაპარაკოთ. ორივენი ძალიან მოწადინებულები არიან მხარი დამიჭირონ და მათი დახმარება საქმეს გამიადვილებს, თუ რამ შესაძლებელია. ყველა ეს მოლაპარაკება მოხდა დილით.

მე გადავწყვიტე ჩემი მეგობარი ფაშას ნახვა, მაგრამ დახე ჩვენს ბედს: ეს რამდენიმე ხანია თურმე ქართველი ფაშები აქეთ-იქით გაფანტეს და ჩემი მეგობარი კი შინ არის თურმე დამწყვდეული და იმასთან მისვლა საკმარისია, რომ აქაურ მართველობას ეჭვი შეუვიდესო. ამიტომ ეს იმედიც გამიცრუვდა.

აქაურმა მეგობრებმა მირჩიეს ძალიან დიდი სიფრთხილე, რადგან ჯაშუშებით სავსე არის აქაურობაო და რომ აიცდინო იმათი ეჭვი — ქართველების მონასტერში გაატარე მთელი დღეო.

მეც წავედი და, წარმოიდგინე, შემხვდა აქ ერთი ჩემი ყმაწვილობის მეგობარი, რომელიც ეხლა ბერად არის და როგორც ახლა გალაჯევმა მითხრა, გავლენიან პირებთან ახლო მდგარა. სიტყვა გადავუკარი და მართლა თუ ტყუილად ძალიან გულს მოხვდა ჩემი სიტყვები — მაგ საქმისათვის თავს დავდებო.

მე მაინც ჩვენი საქმის ვითარება დავუმალე და ვუთხარ, საზოგადოდ გვინდა ეს საქმე მოვაწყოთ-მეთქი! დამპირდა, ნამდვილ გზას გიჩვენებო. აქაურებს რომ მისი ნალაპარაკევი ვუამბე, ამათაც დამარწმუნეს, რომ იმის მეტი ვერავინ მოგიხერხებსო.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ეს ამბავი ერთსა და ორ დღეში არ მოთავდება. მეტადრე ეხლა, როდესაც თურქების რაღაც უქმეებია. ვიცი, რომ გემის დიდი ხანი შეჩერება მოუხერხებელია. ამ საღამოს კრებაზეც ამნაირად ვარჩიეთ: მე და ერთი აქაური თურქულის მცოდნე უნდა წავიდეთ კუნძულზე და იქ დავსხდეთ გემზე, რადგან დარდანელში გაბოჩენა, თუ გემი შენიშნულია, არ შეიძლება და თუ შენიშნული არ არის, ეჭვს შეიტანენო. იქიდან შემოვყვებით გემს როგორც მგზავრები. დარდანელში რომ მოვალთ, კაპიტანი განუცხადებს, რომ ეს ორი კაცი კონტრაბანდით

წამოვიყვანეო: ჩვენც შევეხვეწებით, რომ არ გადმოგვსვას და ამისათვის ცოტაოდენ ფულს შევაძლევთ.

პაკლე ყიფიანი იმ ბერს წინდაწინ დაწყობილ გეგმას აცნობდა და მცირეს სწირავდა დიდის გადასარჩენათ.

— მიხვდები, რომ ყველა ამას იმიტომ ვაკეთებთ, რომ კონტროლის ყურადღება ჩვენზე მივიქციოთ და სხვა დავივიწყოთ. თუ ვინიცობაა გემი შემჩნეულია და პირდაპირ დაუწყო კონტრაბანდის სინჯვა, მაშინ უკვე ქრთამს შევაძლევთ, ისე როგორც მანდ ვლაპარაკობდი.

ახლა ქრთამის რაოდენობის შესახებ გვქონდა მსჯელობა ყველა იმ აზრისა იყო, რომ თუ გემი შენიშნულია და, მაშასადამე, მოხელეს ნაბრძანები აქვს დაიჭიროს, მაშინ ის ისე უნდა დავახარბოთ ფულს, რომ თუ სამსახურითგან დაითხოვენ, ამ ფულით ცხოვრება შეეძლოსო. ათი ათასი ფრანკი საჭირო იქნებაო. მე ვუთხარ — ან საქმისათვის ხუთი ათასის მეტი არ შეგვიძლიან-მეთქი. მეტი რა ჯანია, ამ ფულით ვცდიო. ჩვენი კრება თერთმეტის ნახევარზე გათავდა და ამის შემდეგ დაგიკარ დეპეშა ოთხი ათასის გამოგზავნისა.

თუ ვინიცობაა ფულითაც ვერას გავხდით და გემი დაიჭირეს, მაშინ გამოჩნდება, იმ ბერს შეეძლება დახმარება აღმომიჩინოს, რომ ზარალი აგვაცდინოს?

როგორც ხედავ, საქმე რისკზეა მიმდგარი. დარწმუნებული იყავი, რომ ყოველ ღონისძიებას ვიხმარ, თუ გაჭირდა, მუქარას მივმართავ და რევოლვერსაც დავაბჯენ გულზე. და თუ მაინც არ მოხერხდა, ეს იმის ნიშანი იქნება, რომ ამ პირობებში სხვა არავითარი საშუალებით არ მოხერხდებოდა. ძალიან ვნანობ, რომ შენ მე აქ უფრო ადრე არ გამომგზავნე; მაშინ იქნება სხვანაირად მოგვეხერხებინა და სამერმისოდ გაგვეკვლია გზა.

სტამბოლში იმხანად დიდი არეულობა იყო. ყველა ადამიანს თვალყურს ადევნებდნენ. ამიტომაც ყიფიანი და ბობლაშვილი ერთად როდი ცხოვრობდნენ, სხვადასხვა სასტუმროში დაბინავდნენ.

— მომივა თუ არა შენი პასუხი ჩემს უკანასკნელ დეპეშაზე ფულის შესახებ, — სწერდა ყიფიანი დეკანოზიშვილს, — მაშინვე გავემგზავრები კუნძულზე, თუ მანამდე კიდევ სხვა გარემოებები არ აღმოჩნდა, რომელთაც შეიძლება სხვა გადაწყვეტილებას დაგ-

ვაყენოს. როგორც ხედავ — თუ გემი შენიშნული არ არის, ჩვენი ქრთამი ხუთიოდე ფრანკის მეტი არ დაიხარჯება და თუ სხვანაირად არის საქმე, რაც მეტი ფული გვექნება, ის სჯობია. ამ წერილს იმიტომ გწერ, რომ გაცნობო საქმის გარემოება და იქნება შენ ამის წაკითხვის შემდეგ იმ გადაწყვეტილებას დაადგე, რომ გემი რამდენიმე კვირით შეაჩერო, რომ ვსინჯოთ ის გზა, რომელსაც ჩემი ნაცნობი ბერი გვპირდება. ამის მიხედვით დამიკარ დეპეშა.

საბედნიეროდ, ყველაფერმა კარგად ჩაიარა. იარაღით დატვირთულმა გემმა უმტკივნეულოდ გაიარა დარდანელი და შავ ზღვაში შევიდა, ისარგებლა რუსეთის ფლოტის აჯანყებით და 24 ნოემბერს შეჩერდა ფოთთან ახლოს.

ყიფიანმა გზის ხარჯები კაპიკ-კაპიკ ჩამოსწერა და იმავე დღეს დეკანოზიშვილს აცნობა. პარიზში: შენს მიერ მოცემულ ათი ათას ოთხმოცი ფრანკიდან დაიხარჯა 2825 ფრანკი, დარჩენილ თანხას — 7255 ფრანკს უკან გიბრუნებო.

მაგრამ სიხარულს სინანულის გრძნობაც გაჰყვა. თედო სახოკიამაც მისწერა:

— როგორც გემის კაპიტანი გეტყოდა, მივიღეთ იარაღის მხოლოდ ნახევარი. მეორე ნახევარსაც მივიღებდით, მაგრამ მენშევიკებმა ხელი შეგვიშალეს. ორი სანდალი — შხუნა ერთი დღით გვიან გავიდა ზღვაში და ვეღარ მიაგნო გემს. იმავე სანდლებში იჯდა იასონ ბობღაშვილი და კაპიტნის ფული მიჰქონდა. ზღვაში სულ გავიდა სამი სანდალი. თითოში ეწყო 1500 თოფი. ერთი სანდალი ღელვისა და ნისლის გამო ფოთის ყურეში შევიდა. იქ გადაუწყვეტიათ დაცლა. დაუცლიათ კიდეც, მაგრამ ბოლოს სალდათებს დაუნახავთ და ექვსასამდე თოფი წაურთმევიათ. დანარჩენი ხალხის ხელში დარჩა. ეს ექვსასიც მერე სალდათებმა გაყიდეს.

ამ ამბავზე ქვეყანა ფეხზე დადგა და ორთქლის გემი გამოუყენეს მეორე სანდალს. როგორც კი უნდა დაეცალათ, სწორედ მაშინ მიუსწრეს და დაიჭირეს, ფოთში შეიყვანეს, იარაღი სამხედრო გემზე გადაიტანეს და რუსეთში წაიღეს.

მესამე სანდალი სავსებით გადარჩა და ახლა იარაღის დანაწილების დავიდარაბაში ვართ. მაგრამ შენის სიკეთით, ნეტავ სრულიად არ გამოგეგზავნა. რაც სოციალ-დემოკრატიული პარტიის

მენშევიკების ფრაქციამ ჩვენ დღე დაგვაყენეს და გვაყენებენ ამ იარაღის გამო, კაცი ენით ვერ გამოსთქვამს.

სოციალისტ-ფედერალისტების ლიდერი გიორგი ლასხიშვილიც უმოწმებდა:

— პარტიამ მოაწყო სათანადო ორგანიზაცია, რომლის ხელმძღვანელობა დაევალა ფოთის პარტიული ორგანიზაციის მეთაურს მიხეილ ესაკიას. მას ეხმარებოდნენ თედო სახოკია, ვლადიმერ ლორთქიფანიძე და სპირიდონ ნორაკიძე, გემი „სირიუსი" ფოთის მახლობლად გაჩერდა. ჩვენი ნავები მას მიადგნენ და გადმოიტანეს დანიშნულ ადგილას პირველი ყუთები. ოპერაცია კარგად დასრულდებოდა, მაგრამ ამხანაგებს კონსპირაცია არ დაეცვათ, ხმა გავარდა, ატყდა ხმაურობა, სირბილი, იარაღის მიტაცება. მოდარაჯე გემს შეუნიშნავს ეს არევ-დარევა. რამდენჯერმე აუტეხიათ სროლა, „სირიუსიც" შეუმჩნევია, რომელსაც ერთი ნაწილი იარაღისა ზღვაში ჩაუყრია და წასულა. დატვირთული ნავები გავრის ახლოს გაუჩერებიათ და იქ ნაპირზე გადმოუტვირთავთ. ბევრი იარაღი დაიღუპა, მაგრამ დიდი ნაწილი ხალხს დაურიგდათ უმეტესად იმერეთში და სამეგრელოში.

გიორგი დეკანოზიშვილი კი საფრანგეთში ჩარჩა. ავადმყოფობამ დასძალა. გულის მანკი სიცოცხლეს უსწრაფებდა. მისი ერთადერთი მშველელი მეუღლე ანრიეტა იყო. გიორგი თავისი ოჯახით სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ მონპელიეში დასახლდა, ავადმყოფობას დაემორჩილა.

მისი მეგობარი მარკოზ ტუღუში საქართველოში სწერდა: — „დასუსტდა, მეუღლის ანრიეტას დაუღალავი მოვლის წყალობით ოდნავ გამოკეთდა და იმედი დაებადა, რომ მოკლე ხანში ხელახლა ჩადგებოდა მებრძოლთა რიგებში. მაგრამ ძალიან მალე ისევ ცუდად გახდა. მეორე დღეს ნასადილევს ოთხ საათზე ანრიეტამ დაუხუჭა გიორგის თვალები".

გიორგის ცხედარი კუბოში ჩაასვენეს ანრიეტამ და მიხეილ თუმანიშვილმა. მისი კუბოს წინაშე სიტყვები წარმოთქვეს საფრანგეთისა და პოლონეთის სოციალისტური პარტიების წარმომადგენლებმა.

მერე ყველაფერი საიდუმლოებამ მოიცვა, რაკი ასეთი იყო ნება განსვენებულისა: თბილისში, წმინდა ნინოს სასაფლაოზე ჩუ-

მად, უსიტყვოდ მიწას მიაბარეს შინ დაბრუნებულის ნეშთი. მხოლოდ საყდრის ზარი აწკარუნდა, მაგრამ ვის აუგო წესი, მოძღვარმაც არ იცოდა.

* * *

სოციალისტ-ფედერალისტების კომიტეტში კი მონასტერი აირია, ერთი ოჯახი შუად გაიყო, მისმა ერთმა წევრმა ჯაჯანაშვილმა ხნას აუწია, მარქსისტის ნიღაბი მოირგო რომ უფრო შეუმჩნეველად მიჰპარვოდა მესამე დასელების რევოლუციურ ფრთას და განსვენებული მოძღვრის სახელიც გამოეყენებინა. თავისი აბნეულ-დაბნეული თეორია წამოაყენა:

— მე ისა ვარ, ვინც მარქსის მოძღვრებას იცავს, თქვენ კი მის ნათქვამს იმეორებთ და სწორედ ამით ზიანს აყენებთ!

— რა სჭირს მარქსს შენი დასაცავი?

— ის, რომ მარქსის დამსახურება მისმა მსახურებმა არ მიჩქმალოთ!.. აბა წარმოიდგინეთ, — მარქსი თავისთავად ერთი პიროვნებაა. მისი მოძღვრების მოქადაგენი კი ათასნი: განა ყველას ბაგეთაგან ერთნაირი ჭეშმარიტებით წარმოსდინდება მარქსის რჩევა-დარიგებანი?! ვფიქრობ, არა! ყოველი ბაგე აზრის ცალკე ბუკი და სალამურია.

— ამით რა გინდა თქვა?

— ის, რომ ყოველ ხანას თავისი გენიოსი ჰყავს ხოლმე, — განაცხადა მან, — ჩვენი დროის გამომხატველია მარქსი. მან მოგვცა გენიოსური კრიტიკა კაპიტალიზმისა, მასვე ეკუთვნის მისი მშვენიერი დახასიათება... წინააღმდეგ უტოპისტებისა, მარქსმა აზრი გამოთქვა, რომ სოციალიზმი ობიექტური განვითარების შედეგი იქნებაო. მაგრამ ისტორიული განვითარების შედეგად სოციალიზმის აღიარება შეცდომაა, რადგან მისი ცდით დამტკიცება შეუძლებელია. ექსპერიმენტი რომ არ ყოფილიყო, ზუსტი მეცნიერებები თავის დღეში ვერ განვითარდებოდნენ, მაგრამ ექსპერიმენტის მნიშვნელობა ისტორიულ მოვლენათა ახსნაში ნოლს უდრის. მტკიცე კანონის დამყარება ისტორიულ მოვლენათა შორის, როგორც ეს კანონი ბუნებისმეტყველებს ესმით, ყოვლად შეუძლებელია. შეუძლებელი ხდება ამიტომ ისტორიული პროგნოზებიც. ჩვენ მხოლოდ დაახლოებით შეგვიძლია აღვნიშნოთ ისტორიული

განვითარების ტენდენციები. მენციერული გარანტია იმისა კი, რომ ეაა თუ ის მოვლენა აუცილებლად ამა და ამ მოვლენას მოჰყვება, ჩვენ არ გაგვაჩნია. ამიტომ არ შეგვიძლიან მეცინერულად დავამტკიცოთ, რომ სოციალიზმი, როგორც შედეგი ისტორიული განვითარებისა, აუცილებლად განხორციელდება. მარქსიზმი კი სწორედ ამის დამტკიცებას ცდილობს და დიდ შეცდომაში ვარდება.

— საით გრეხავ?!

— იქით, რომ სოციალიზმი არ წარმოადგენს რეალურ საზოგადოებრივ წყობილებას, რაღაც ოცნებაა.

— ადამიანი ყოველთვის ოცნებით მიისწრაფვის რაღაც უმაღლესი ბედნიერებისაკენ. განა არ არის ეს ოცნების სანახევროდ ფრთების შესხმა?!

— სამწუხაროდ, ადამიანის ყველა მისწრაფება მარტო სიტყვა „სოციალიზმში" მოექცა, მაგრამ სოციალიზმიც თავისი წარმოშობით დიდი ხნისაა. მისკენ მიისწრაფოდნენ ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც კაპიტალიზმის სახსენებელიც არ იყო.

— მაშასადამე, სოციალიზმიც მარადიული იდეალია!

— დიახ, მაგრამ იდეალის დასაბუთება მეცნიერულად ყოვლად შეუძლებელია და რაკი ეს ასეა, მარქსიზმიც თავის საფუძველში მცდარია. მე მიჭირს მის მხარეზე დადგომა.

არჩილ ჯორჯაძე არ დაეთანხმა:

— მაგრამ ეს არ ნიშნავს რომ ჩვენ, სოციალისტ-ფედერალისტები, ახლა გაბატონებული კლასების მხარეზე ვართ. პირიქით, ვაღიარებთ, რომ საქართველოში ნეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში გაბატონებულ კლასებს არასოდეს არ სჭერიათ ხელში სამშობლოს დროშა, გაბატონებული კლასები იყვნენ და არიან ჩვენში ეროვნების სამარის მთხრელნი! საქართველოში მეფის რუსეთის გაბატონების შემდეგ თავადაზნაურობის დიდი ნაწილი არც უსაქმოდ დარჩა ახალ ბატონობის ხანაში, არც დაუჯილდოებელად, და დედამიწაზე. მგონი. არ მოიპოვება არც ერთი ერის „კეთილშობილი წოდება", რომლის წრეში ისე ღრმად ყოფილიყოს გამჯდარი წოდებრივი ინტერესები და ისე დახშული ყოფილიყოს მამულიშვილობის გრძნობა, როგორც ქართველ თავადაზნაურობაშია.

— ვაგლახ!.. მართალს ამბობს ბატონი ჯორჯაძე, თვითონ თავადი და სიცოცხლეგანწირული მამულიშვილი! — ამოხდა ილია ჭავჭავაძეს ამ სიტყვების გაგონებაზე.

ტიტე ცამიწაძემ ისევ ის ნაგულევი ბიჭები მოიხმო და გაანდო:

— რევოლუციურ მუშაობას ფული სჭირდება. სტამბის ხარჯი, ფურცლების გავრცელება, ციხეებში გამომწყვდეულ ჩვენიანებზე ზრუნვა, მისვლა-მოსვლა მუქთად როდი ხდება, მეფის ხაზინა კარს რას გაგვიღებს, თავად უნდა გავაღოთ, უსისხლოდ გამოვიტანოთ. საკუთარი სისხლის დაუკცევლობას კი ვერ დაგპირდებით, არც თქვენ დამიჯერებთ.

— რა ბალღებივით გვაფრთხილებ, მოკლედ გვითხარი „ექსი" გველის. შენი გამჭრიახობისა გვჯერა! — ბიაშველა სიტყვა ჭიაბრიშვილმა.

ტიტემაც მოკლედ მოჭრა:

— თბილისის კომიტეტმა ჩვენ რაზმს დააკალა დიდი თანხის გატაცება. წვრილ თანხისათვის მენშევიკები იცლიან, ქურდბაცაცობას ეწევიან, ავაზაკობენ, მოსახლეობას გულს ატრეკინებენ. ჩვენ იმათნაირად თავს არ შევირცხვენთ. არც შეგვირცხვენია დიდი თანხა გვჭირდება და თანაც მალე. მე უკვე ვიზრუნე, სანდო კაცი გავიჩინე — სახაზინო ფოსტის მოხელე გიგო კასრაძე. აქ არის, თავად მოუსმინეთ რას იტყვის.

„ტილიპუპურას" სამიკიტნოს მყუდრო ოთახში ჩია ტანის, ფოსტის მოხელის ფორმიანი ხნიერი კაცი ფეხზე წამოდგა, კარტუზიანი ქუდი მოიხადა და შეკრებილებს თავი დაუკრა.

— სთქვი, გიგო, ვითომც სადღეგრძელოს ამბობ, ღვთის წყალობით, ტილიპუპურამ ღარიბი სუფრა არ გაგვიშალა — კახური, დედას პური, გუდის ყველი და ჩვენი კეთილი გული.

ფოსტის მოხელემ მოკრძალებით დაიწყო:

— აბა მე რა სათქვენო კაცი ვარ, მაგრამ ბოლმა მეც მახრჩობს, პატიოსანი შრომით მოპოვებული ლუკმა ყელში არ ჩამდის. ჩემი დღე და მოსწრება ლამის მილიონები გადამითვლია, მაგრამ განა ღარიბებს რგებიათ, — სულ ბობოლა ადამიანებს მიაქვთ. ხალხი გროშებით გადადის, ვალში არც მე დაგრჩებით, თუ მენდობით.

— გენდობით, მაშ არ გენდობით!

— ვინც უნდოდ მოვა ჩვენთან, ჯობია სიცოცხლეს თავად გამოეთხოვოს.

— ეგეც ვიცი! ეს ჩემი კისერი და ეგ ოქვენი ხმალი.

— ამინ! — კვერი დაჰკრა ტიტემ. ვერ იქნა და ვერ მოიშალა სალმრთო რჯულის ენით ლაპარაკი, სემინარიული ჩვევა რევოლუციურ ბრძოლაშიც გამოჰყვა. ქრისტესეულ მცნებას მისდევდა: „მიეცით პური არსობისა!“ თუ არადა „კბილი კბილისა წილო!“.

— ფული რამდენი გადათვალე? — იკითხა კამომ და თვალები ცნობისმოყვარეობით მოჭუტა, თითქოს ანგარიშობს, ღირს თუ არა ხელის გასვრაო.

— 250 ათასი მანეთი!

— აფერუმ, ბიჭო! — გაიღეღა შავი სატინის ხალათის საყელო დათიკო ჭიაბრიშვილმა და კისერი მოიფხანა.

— როდის გაატან?

— მაგასაც გეტყვით. დღეს ივნისია, შაბათ-კვირას არა და, ორშაბათს, მთავარ ფოსტიდან გავცემ. პირდაპირ პეტერბურგიდან მოგვივიდა ფოსტის მატარებლით. მსხვილი კუპონებიც ურევია. ორი შეკვრა 500 მანეთიანი საკრედიტო ბილეთებია, თითოში — ასი ცალი. ძნელად გამოსაყენებელია. ასეთი მსხვილი კრედიტკები უმთავრესად ვაჭრებსა და მრეწველებს ურიგდებათ ხოლმე. წვრილფეხა ოფიცრობა და მოხელენი სად გადაახურდავებენ.

— მაგის დარდმა მომკლას! მოვუვლი, სულ თუმან-თუმან დავახურდავებინებ აქაურ სოვდაგრებს, მსხვილი ფულის გიჟები არიან.

— გაფრთხილება გმართებთ! ხუთას მანეთიანის ნომრებს ხაზინა საიდუმლოდ ინახავს და პოლიციაც თვალს ადევნებს.

— ფიქრი ნუ გაქვს-მეთქი, ორას კრედიტკას ას ქალაქში გავფანტავ, — იმპერიაშიც, უცხოეთშიც, ეძებონ, თუ კარგი ბიჭები არიან! — გაამხნევა კამომ ფოსტის მოხელე და რაზმელები დაარწმუნა. მაგრამ თვითონ ტიტე მძიმედ დაფიქრდა. ისიც იმ ხუთასმანეთიან ორ დასტას ეჭვის თვალით გონებაში უმზერდა და მერე თვითონაც დამშვიდდა: „კამოს ნათქვამს დაეჯერება“, — ჩასჩურჩულა თავისთავს, თითქოს ის ასი ათასი მანეთი ტილიპუჭურას მედუქნეს უკვე ლანგარზე დადებული შემოჰქონდა.

— ჰოო, შენ საქმე თქვი, ფულის დახურდავებას ჩვენ მოვუვლით! — დაეთანხმა ტიტე.

— საქმეც ეს არის! სხვა რა შემიძლია...

ტიტემ კმაყოფილი ღიმილით შეხედა გიგო კასრაძეს, მერე სხვებსაც თვალი შეავლო, თითქოს მოსმენილზე რაზმის დასტურს ითხოვსო. რაც უნდა იყოს ახალი კაცია, დღემდე ტიტეს გარდა არავინ იცნობს, რა იციან გულში რა უდევს; ქუთაისში რაზმმა ბევრი საქმე წარმატებით დაასრულა, ახლა იქნებ პოლიციასთან შეკრულია და მისატაცებელი ფულის გატაცებასთან ერთად მთელი რაზმიც არ მიიტაცონო.

— ფიცი უნდა დადო, გიგო. ჩვენი წესია.

ფოსტის მოხელეს უგემურად გაეღიმა.

— ფიცი? რახანია შევფიცე ტიტე ცამიწაძეს. თქვენი თავკაცი არ არის-რო?! იმასვე ვიმეორებ ახლაც ცა და მიწას შორის ღმერთმა არ მამყოფოს, ეშმაკის კერძად მაქციოს თქვენი ღალატისათვის!

— ამინ! — ისევ ამოუქანდა მრისხანებით ნათქვამი დასტური ცამიწაძეს და ფიცის დასანათლად თითო ჭიქა კახური ასწიეს და წმინდა ლუკმაც გემრიელად დააყოლეს.

მერე გიგო თავაზიანად გაიყვანეს სამიკიტნოს უკანა კარიდან, გზად კამო გაჰყვა. უფრო იმის დასანახად, ხომ არავინ აჰყვა ფოსტის მსახურს, რომელსაც არც „ტილიპუტურას“ მუშტრის იერი ჰქონდა და ფეხიც არ ერეოდა ნასვამივით.

კამოს მობრუნებას დაუცადეს, ერევნის მოედანზე რაზმელების განლაგების გეგმა დააწყეს.

ტიტემ ყველას კიდევ ერთხელ გადახედა, როგორც ტოლმა სწორებს, პირველი კამოს გაუსწორა თვალი.

— ყველაზე ლაზათიანად შენ გიხდება ოფიცრის ფორმა. ეტლში მედიდური ჯდომაც დაგმშვენდება. ზაქარია მეეტლესთან გარიგებული ვარ, ორი ულაყი ებმევა გაკრიალებულ ფაიტონში, ველიამინოვის ქუჩაზე გაგაჩერებს ექიმ შახბაზოვის სახლის კართან, ვითომ ავადმყოფის გამოსვლას ელოდები. სხვა ნურაფერზე იდარდებ. ჩვენი ბიჭები ფულის ტომარას ჩაგიგდებენ და ჰაიდა! მერე უკეთესად იცი: ბოჭორიძის სახლში მიხვალ, ბაბოსთან. ოფიცრის ფორმას გაიხდი, მეკურტნისას ჩაიცვამ, ისიც მოგერგება. ორძირა ტახტში ფულის ტომარას ჩადებ, კურტანზე დაიდგამ და მიხაილოვის პროსპექტით ჩოდრიშვილის სახელოსნოში გადაიტან ტახტს შესაკეთებლად. გზად ტახტის პატრონად ელისო ლომინაძე გამოგყვება. თუ გაპირდა, რევოლვერს იძრობს რედიკულიდან, შენ კი

ავჭალურ ყუმბარას ჩაგიდებს ხელში ქუხილის ასატეხად და ბოლის დასაყენებლად. პოლიციელებს დააბნევთ, იმარჯვებ, ტომარას გაიტაცებ და მოკურცხლავ მთავარმართებლის ქუჩისკენ. იქ ეტლი დაგელოდება და ისევ ბოჭორიძის სახლისაკენ მოუსვამ.

მერე ლონგინოზ ტყემალაძეს მიუბრუნდა, კუთხეში რომ იჯდა, თითქოს ოცნებობსო. მისი ხასიათი საკუთარი ხუთი თითივით იცოდა, გულში გაიფიქრა — „რომანტიკოსი რევოლუციონერია, მოქმედებით რაინდი, მისი ბუნება არ ურიგდება კომპრომისს, არ შეურიგდება ახლაც სიძნელს. მაგრამ ამასწინანდელ ექსში დაიჭრა და გაფრთხილება გვმართებს“.

— ლონგო, პუშკინის ბაღში ისეირნე. ბაღის წინ ფაცია გალდავა იდგება, თვალიდან არ მოიშორო, როგორც კი ფრეილინის ქუჩიდან ფოსტის წინწამძღოლი კაზაკები გამოჩნდებიან, შლაპის მოხდით ფაციას აცნობე. იმან თავისი საქმე იცის.

სხვებიც თავ-თავიანთ საბრძოლო ადგილის მიღებას ელოდნენ, ისეთი გრძნობით, როგორითაც შობის ხეზე თოვლის ბაბუა საჩუქრებს არიგებს. მაგრამ იმ ბავშვებივით სახეგაბრწყინებულ როდი იყვნენ, — ფიქრობდნენ, ანგარიშობდნენ, ვის რა ადგილი და სამოქმედო დავალება შეხვდებოდა, ამის მოლოდინში იყვნენ და ეს აფიქრებდათ, მძიმე და თავგადასადებ ტვირთად აწვათ კისერზე, სალიმილო არა ჰქონდათ?!.

დათიკო ჭიაბრიშვილი დაბალი ტანის გამხდარი და ნაზი ჭაბუკია, რომელშიც გმირის ბუნება ფეთქავს.

ვანო კალანდაძეს კი სულაც დაუკარგავს შიშის გრძნობა.

ბაჭუა კუპრაშვილი და აკაკი დალაქიშვილი ფეხმარდნი არიან, მწევრებივით ჩქარნი, თვალებში ჩაუქრობელი ცეცხლით.

ილიკო ჭაჭიაშვილი უსამართლობის მტერია და, მაშასადამე, სამართლის დამდგენი. ყუმბარასაც ისევე ისვრის, როგორც მაუზერს. არც ერთს არ აცდენს ამოღებულ ნიშანს.

ტიტემ სხვებსაც გაუსწორა მზერა.

— ბაჭუა, გაზეთის კითხვაც გულით გიყვარს, ვიცი. ახლაც დაიჭირე ხელში, გაშალე და კითხვა-კითხვით შემოუარე ერევნის მოედანს იმის ნიშნად, რომ რაზმელებმა თავ-თავიანთი ადგილების დაკავება მოათავონ.

აკაკი დალაქიშვილი და თეოფილე კაკრიაშვილი თავს დაესხმით ქალაქის გამგეობის შენობის წინ ატუზულ პოლიციელებს. ჭიაბრი-

შვილი, ელბაქიძე, კალანდაძე, ჭაჭიაშვილი, ებრალიძე დაუცემით ფოსტის გამყოლ კაზაკებს. სერაფიონ ლომიძე დადგება ველიამინოვის ქუჩაზე, კაზაკთა სადარაჯოს პირდაპირ. ჩვენი თავდამსხმელი ბიჭები შენი მიმართულებით გაიქცევიან.

შენ კი, კამო, ბომბის აფეთქების დროს ეტლით მოედანზე გახვალ, ბიჭები ფულის ტომარას ჩაგიგდებენ და ვერცხლის ქუჩას დაჰყვები.

ითქვა, მოისმინეს, იმსჯელეს, დავალება დაიხსომეს და დაიშალნენ.

შაბათ-კვირის გალევის ბოლოდინში სული დაელიათ.

მერე გულიც ეტკინათ: ტიტე ცამიწაძე დააპატიმრეს სულ სხვა რამეზე, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ფულის გატაცებასთან.

ერევნის მოედანზე ამ დღეებში, სანამ ფოსტიდან ბანკში 250 ათას მანეთს გადაიტანდნენ, პოლიცია გაათკეცებით ყარაულობდა ფულის გასატარებელ მთელ გზას. თბილისის პოლიცმეისტერი თავს არხეინად გრძნობდა. საგუბერნიო სასამართლოს პროკურორი აფრთხილებდა კიდეც მოსალოდნელ თავდასხმაზე, მაგრამ პოლიცმეისტერი მშვიდად პასუხობდა, — ფართო სააგენტურო ცნობები ამას არ ადასტურებენო.

ტიტეს მოულოდნელი დაპატიმრების გამო ერევნის მოედანზე ჩასატარებელი „ექსის“ ხელმძღვანელად თბილისის კომიტეტმა კამო გამოჰყო და იმანაც გადაწყვიტა თავდასხმის დანიშნული დღე არ გადაედო. 1907 წლის 13 ივნისს ცამიწაძის რაზმელები ადგილზე იყვნენ.

როგორც ნავარაუდევი იყო, ფოსტა გამოჩნდა, სამი ცხენოსანი კაზაკი წინ მიუძღოდა ეტლს, რომელშიც ხუთი ჯარისკაცი იჯდა. მათ ფულისტომრიანი ეტლი მისდევდა ფოსტის ერთი მოხელისა და ერთი ყარაულის თანხლებით. უკან მიჰყვებოდა მესამე ეტლი ხუთი ჯარისკაცით. ბოლოში მიათქარუნებდა სამი კაზაკი. ყოველ ეტლს აქეთ-იქიდან ამომდგარი კაზაკებიც ცხენდაცხენ მისდევდნენ.

როგორც კი მეწინავე კაზაკებმა სოლოლაკის ქუჩაზე გაუხვიეს, დათიკო ჭიაბრიშვილმა პირველი ბომბი ისროლა და მთელი მოედანი შეაზანზარა. კალანდაძემ მეორე მიაყოლა და მოედანი სულ მთლიანად გაყრუვდა. ბოლში გახვეულ პოლიციელებს ჭაჭიაშვილმა და ებრალიძემ მაუზერით სროლა აუტეხეს და გააქციეს.

სასწაული მაინც მოხდა. ფოსტის ეტლის ცხენები გადარჩნენ,

დაფრთხენ და სომხის ბაზრისკენ გაქანდნენ. ბაჭუა კუპრაშვილმა ისროლა, მესამე ბომბი ესროლა და ცხენებთან ერთად ჰაერის ძლიერი ტალღით თითონაც ჰაერში ავარდა და მიწაზე დაეცა.

«მოკვდა» — გაიფიქრა ჭიაბრიშვილმა და ინარჯვა — ეტლში ახტა და ფულის ტომარა გადმოათრია. ამ დროს ველიამინოვის ქუჩიდან ოფიცერ კამოს ეტლმა ჩამოიქროლა, ჭიაბრიშვილის ტომარა ჩაიგდო და გაუტია.

ათიოდე წუთში მთელი ოპერაცია დამთავრდა. უჩინმაჩინის რაზმელებიდან არავინ არ მომკვდარა, ბაჭუა კუპრაშვილიც კი გადარჩა, თავს უშველა. თავშერცხვენილმა თბილისის პოლიცმეისტერნა კი ტყვია შუბლში იკრა და პოლიციის სხვა მრავალმა მოხელემაც სამსახური დაკარგა.

ერთი საათის შემდეგ მიხეილის პროსპექტზე წელში მოხრილი მეკურტნე ძველ ტახტს ტაატით მიარწევდა, გვერდით მისი პატრონი ელისო ლომინაძე უდარდელად, ნება-ნება მისდევდა. ჩოდრიშვილის სადურგლოში შეატანინა, შეკეთებას გაურიგდა და მეკურტნესაც დაპირებული ფული გადაუხადა.

დურგალმა ოფლმოდებულ მეკურტნეს ულვაშებში გაღიმებით გააყოლა:

— ყოჩაღ, კამო!..

• • •

მაგრამ პოლიციამაც იყოჩაღა. კამომ თავის თავი თვითონ წაიგო. ის ორასი ცალი ხუთასმანეთიანი გადასახურდავებლად ლამის მთელ გუბერნიებს და უცხოეთის ქალაქებსაც მოჰფინა.

რუსეთის იმპერიაში ამ უდიდესი ექსის მოწყობისა და მონაწილეთა დასაჭერად საერთაშორისო პოლიციაც ჩაერთო და სწორედ ის ერთი 500 მანეთიანის გადამხურდავებელი დააპატიმრეს. 1908 წლის იანვარში პოლიციამ შეიპყრო სარა რავიჩი, რომელიც ახურდავებდა ხუთასმანეთიან საკრედიტო ბილეთს, რომლის სერია „ა" „მ" იყო, ნომერი კი 63791, სწორედ ის, რომელიც ჩაწერილი ჰქონდა რუსეთის ბანკს და დაგზავნილი საერთაშორისო პოლიციისათვის წარმდგენის დასაკავებლად.

მეფის ოხრანკის ასეთ „სიზუსტეს" დიდი ცოდოც მოჰყვა. ზოგმა გულში ჩადებული ზოგის მტრობა ახლა გამოიყენა და ის

მესაკუთრენი დააბეზღა, რომლებსაც ხუთასმანეთიანები მანამდეესაც შინ ელაგათ, ერევნის მოედანზე უჩინმაჩინთა ოპერაციასთან არავითარი კავშირი არ ჰქონდა. მაგრამ ამას არ კითხულობდა არც დამბეზღებელი და არც შურისმაძიებელი ოხრანკა.

მერე იმავე წლის 27 ოქტომბერს ვინმე ავსტრიელი მოქალაქე მირსკიც დააპატიმრეს, რომელსაც ორძირა ჩემოდანში ასაფეთქებელი ნივთიერებანი უნახეს. მაგრამ არ გატყდა, — უცნობმა მატარებლის ვაგონში ვილაცისთვის გადასაცემად გამომატანაო. ბერლინის პოლიციის უფროსი დაეჭვდა, კამოს სურათი რუსეთის პოლიციას გაუგზავნა ვინაობის დასადგენად და ბალე პასუხიც მოუვიდა — გორელი სიმონ ტერ პეტროსიანი არის, „კამოდ“ ანუ „კამუდ“ რომ იცნობენ პარტიაშიო.

კამომ თავი შეშლილად მოაჩვენა, გერმანელმა ფსიქიატრებმა საგიჟეთში მოათავსეს და რამდენიმე თვის ცდა — წამება-წვალებას შემდეგ დაადასტურეს, ფსიქიურად ავადაო.

რუსეთის პოლიციამ დაჟინებით მოთხოვა კამოს თბილისში გადმოგზავნა განძეების გასაგრძელებლად, მეტეხის ციხეში გამომამწყვდია, მაგრამ რაკი შეშლილობის ნიშნები უფრო მკვეთრად გაეზარდა, საგიჟეთში ჩაკეტეს სამკურნალოდ, რომ მერე სამართალში მიეცათ 250 ათასი მანეთის გატაცების ბრალდებით.

ამ დროისათვის ტიტე ცამიწაძე უკვე გამოვიდა ციხიდან და კამოს გაქცევის გეგმის დაწყობას შეუდგა. ჯერ საგიჟეთის მონახულებელ პერსონალი შეისწავლა, — რომელი რა დღეს მორიგეობდა, — ახალბედა ზედამხედველი ბრაგინი მოისყიდა, ინგლისური ფოლადის ოთხი შეკვრა ბეწვა-ხერხი შეუგზავნა თითოში რომ მთელი დუჟინი იდო, წვრილი თოკი და რკინის კაუჭიც შეატანინა და გაქცევის დღედ 15 აგვისტოს დილის ათი საათი დაუნიშნა.

კამო ხუთ დღეს ხერხავდა ჯერ ბორკილებს, მერე ფანჯრის რკინის გისოსებს, მაგრამ რომ არ შეემჩნიათ, ისევ პურის გულით ავსებდა, გადახერხილ ბორკილებს კი ლიმონათის საცობის მავთულით იმაგრებდა ზედამხედველებისა და ექიმების თვალის ასახვევად.

15 აგვისტოს დილის ათ საათზე ტიტე მტკვრის სანაპიროზე იდგა და კამოს საკნის ფანჯარას შეჰყურებდა. წუთი წუთზე თეთრი ხელსახოცით ნიშნის მიცემას აპირებდა, რომ გადახერხილ ფანჯა-

რაში კამომ თოკი ჩამოუშვა, მაგრამ სწორედ ამ დროს სერგო ოოჯონიკიძემ ჩაიარა, ტიტე დაინახა და გაღიმებით ჰკითხა:

— კარგ საქმეზე არ იქნები მოსული, ტიტე, აქ?!.

ტიტემ თითქოს ვერც გაიგონა. სერგო გაკვირვებით გასცილდა, ჭირად, ვიღაც კაცმა ხელზე გამობმული ძაღლი მტკვარში შეაგდო და ბანაობა — წმენდა დაუწყო. ორი საათი მოუნდა ის მამაცხონებული. ფანჯრიდან ამის შემყურე კამო მაგარ-მაგარ კურთხევას უგზავნიდა ძაღლსაც, იმის პატრონსაც.

როგორც იყო წავიდნენ.

ტიტემ თეთრი ხელსახოცი ააფრიალა.

კამომ საპირფარეშოს გადახერხილ ფანჯარაში თოკი გადმოჰკიდა და თითონაც მარდად გადმოეშვა. თოკი ოთხნახევარ ფუთს მაინც უძლებდა, კამო იმის ნახევარსაც აღარ იწონიდა, დალეულიყო, მაგრამ, თოკი ფანჯრის თუნუქის მჭრელ პირს მოედო, ხახუნში გაწყდა და ორი საჟენის სიმაღლიდან კამო მიწას დაენარცხა:

— შე ფეთხუმო, ტიტე! დამპალი თოკი შემაჩეჩე! — შეიგინა კამომ, წელი აითრია და მტკვარში გაჩენილ პაწაწკინტელა კუნძულზე გატოპა, მინიშნებული ფონით ვერის ხიდის თაღქვეშ ვამოძვრა ტიტესთან შესახვედრად, მისი ლაბადა მოისხა, ხელი ჩაკიდა მტკვრის სანაპიროს გაყოლებით დიდი მთავრის ქუჩით წავიდნენ.

ტიტეს ერთ ადგილას ველოსიპედი ჰქონდა მიყუდებული, მაგრამ კამო ისე იყო დასუსტებული, რომ ველოსიპედის პედალებს სწორეზეც ვეღარ აატრიალებდა, მალე საგანგებოდ მომლოდინე ეტლი მიუგორდა და ჩერქეზიშვილის ქუჩაზე გავიდნენ. იქ მეეტლე გაუშვეს, ტრამვაიში ჩასხდნენ მაძებარი ძაღლებისათვის კვალის ასარევად.

ფერზე რომ მოვიდა, ღამით ეტლით ველიამინოვის ქუჩაზე გავიდნენ და თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს შენობაში მყუდრო სარდაფში ღამის სათევი დაიდო. კაცი ყველაფერს იფიქრებდა, პოლიცია ყოველი სახლის კუნჭულ-კუთხეს ყნოსავდა, მაგრამ თავში ვის მოუვიდოა, რომ ცამიწაძე ცასა და მიწას შუა გააქრობდა, ჟანდარმერიის სამმართველოს შეაფარებინებდა კამოს თავს.

ტიტემ კიდევ ერთხელ ჩაიკითხა თეთრ ტაიცინა ქაღალდზე კოხტა ხელით მერამდენეჯერ გადაწერილი ლექსი, გადაუკეცავად ჩადო ლურჯ საქაღალდეში და თავის კბილა მეგობარ ილია ზურაბიშვილს მიადგა „ივერიის“ რედაქციაში.

ტიტე მდუმარედ ელოდა რას ეტყოდა, — მოუწონებდა თუ დაუწუნებდა? რაც არ უნდა იყოს, გულმართალ პასუხს არ დაუბალავს, თუ სიხარულით ცას არ ეწევა, უძირო კალთაშიც არ ჩააგდებს რევოლუციის საქებარ ჰიმნს.

ის იყო რედაქციის შენობას გაუსწორდა, რომ სადარბაზოს ეტლიც მოადგა, ილია ჭავჭავაძე გადმობრძანდა და დინჯი ნაბიჯით კიბეს აჰყვა. მოხუცის ზურგი მძიმედ ირხეოდა, მაგრამ წელში როდი იხრებოდა. ტიტემ თვალი გააყოლა, მერე უნებლიედ შეტოკდა, შეყოვნდა, შეჩერდა: „იქნებ გავბრუნდე“. გულმა უგრძნო, „არც აქ დამიბეჭდავენ“. გახელებულ დროებას ლოცვა როდი უდგება, სისხლიანი ბრძოლისაკენ მოუწოდებს ქართველ კაკო ბლაჭიაშვილებს, ცეცხლმოკიდებულ მთა-ბარს თითონაც ნავთს ასხამს — „ძირს ნიკოლოზა!...“ „მოჰკალ ბატონი!...“ „გზა თავისუფლებას!“ — აბა ასეთი რამით „ივერია“ გულში როგორ ჩაიხუტებს ყრმის გულიდან ამოდენილ ლექსს.

არა, არც ჩაიხუტა, რჩევა კი მისცა. ილია ერის შვილებს მორიგებას ურჩევს და ნაღვლობს, რომ მრავალდასელები ერთმანეთში ქიშპობენ, ვერ რიგდებიან, შფოთი ჰყოფთ და ჭავჭავაძის კურთხევას გუნდრუკს რატომ მიუჯრევენ.

გაზეთმა „მოგზაურმა“ კი თავი სულაც აიშვა, ისე გააჭენ-გამოაჭენა, რომ მოხუცი მგოსანი საგონებელში ჩააგდო და პასუხად ქალამიც ააღებინა.

ტიტეს ლექსი კი რევოლუციურად ჭიკჭიკებს, მაგრამ „მოგზაურის“ რედაქტორებმა ეორდანია-მახარაძემ მაინც ღაუწუნეს, „კაკო ყაჩაღის“ ავტორისადმი ფარული თაყვანისცემა ენიშნათ, ეწყინათ და რატომღა დაუბეჭდავდნენ, — ცივად უკან დაუბრუნეს, შენს გულისწყრომას სუსხი აკლიაო: „კაკო ყაჩაღის“ ავტორის შეფარვით ქება რევოლუციონერისათვის რა საკადრისიაო.

„მოგზაურის“ რედაქცია ტიტეს შემოსწყრა, მაგრამ „ივერია“ რას ეჩრის?! იქნებ გაულიმოს კიდეც. ტიტემ ლექსში ის სიტყვე-

ბიც ააღელვა, სამღვთო რჯულიდან რომ ახსოვს სემინარიიდან გამოგდებულს. ახლაც იმითვე იწონებს თავს; კაცთმოყვარეობას ათამამებს კაცთმოძულეობაზე და რატომ არ უნდა დაუბეჭდონ. „ივერიამიც“ ცოტა როდი წაუკითხავს ასეთივე წადილით ასხმული ლექსი, ორიოდე ამისთანა სოსელოს ხელმოწერილიც ახსოვს და ესეც აბედვინებს.

ზურაბიშვილმა ის იყო ზეზეურად ჩაიკითხა ტიტეს მიძღვნა კაკო ბლაჭიაშვილისადმი, მტარვალ მებატონეს რომ სული გააყრევინა და მოულოდნელად ოთახის კარი თვით ილიამაც შეუღო. პატარა ილიამ დიდს მოწიწებით თავი დაუკრა და კედელთან მორიდებით აკრული ყმაწვილკაცის ხელნაწერზე მინიშნებით თითონაც მოკრძალებით გააყოლა:

— არ ვიცი, იქნებ მხოლოდ მე მომეწონა, ორჯერ კი გადავიკითხე.

— ჰოო?! — ეამა ილიას, — აბა ერთი მიბოძე.

ზურაბიშვილმა თავაზიანად გაუწოდა და თავადაც ტიტესავით კედელს აეკრა.

— „ივერიის“ ყოფილმა რედაქტორმა უცნობი ყმაწვილკაცის ლექსი მშვიდად ჩაიკითხა და ტიტეს ჰკითხა:

— პირველია?..

— დიახ.

ილია ჩაფიქრდა.

— კაკოს ბედმა დაგაფიქრა?

— ბევრნი სხვანიც.

— ამბობ, ბევრნიო?

— სუყველანი ვისაც სამართლიანობის ხატზე დაუფიცნია.

— მაგრამ, თუ სიმართლის ყველა ნაძიებელი კაკოსავით ტყეში გავარდა, სოფელს სიმშვიდე ვიღამ დაუბრუნოს?

— თუ მებატონეები სულერთიანად გაწყდებიან, სიმშვიდეც მაშინ დაუდგებათ.

— მეც მებატონე ვარ, ყმაწვილო?

— ვიცი, მაგრამ როდი ბატონობთ.

— მეც მანდა ვარ, იქნებ ერთად ვიქადაგოთ, მეც, შენც, კაკო ბლაჭიაშვილმაც. მებატონეებმაც ხელი აიღონ მტარვალობაზე და გლეხკაცობამაც თოფიარაღით ტანტალზე.

— მგლები და ცხვრები ერთად მოძოვენ?!

— შევაგნებინოთ, შევიჩვიოთ, გავხედნოთ.

— უთოფოდ?!

— სიყვარულით.

— სიძულვილს რაღა უყოთ?

— მოვათვინიეროთ.

— რითი დავიწყოთ.

— მართალი სიტყვით, სამართლიანი გაზეთების მომრავლებით, „ივერია“ ამის მოწადინეა.

— „ბრძოლაც“! — ამოუყენა ტიტემ.

— „მოგზაურს“ კი გზაკვალი აერია, ჭორსა და სიავეს სიმართლეთა და სიამეთ ასაღებს.

— ცუდია...

— სავალალო!..

დიდ ილიას მწარე მოსაგონებელი გაახსენდა და თავაზიანი სალმით ჰატარა ილიას ოთახიდან გავიდა.

მიუხურავ კარში ერთხანს კიდევ ჩანდა დინჯად გარწეული მოხუცი.

ილია თავის ყოფილ კაბინეტის კართან შედგა, უკან მოიხედა და ზურაბიშვილს გააგონა:

— შემოდი, ეგ პოეტიც შემოიყვანე, ჩვენი გაზეთის გულისტკივილიც მოისმინოს. მერე იქნებ სხვა ჰანგის ლექსი დაწეროს. თავად განსჯის „მოგზაურის“ სიმართლისა და სიმრუდის გზას...

უმეცრების ფართიფურთი

„ივერიის“ რედაქტორის ოთახში ილია ჭავჭავაძემ თანამშრომლები მოიხმო.

მაგიდას შემოუსხდნენ ერთგული ხელქვეითები: რედაქტირებაში მთავარ დამხმარედ მოწვეული ალექსანდრე სარაჯიშვილი. მდივნად გრიგოლ ყიფშიძე, ცალ-ცალკე საკითხების განმგებელი იაკობ მანსვეტაშვილი, სოფრომ მგალობლიშვილი და სხვებზე ახალგაზრდა ილია ზურაბიშვილი.

გრიგოლ ყიფშიძემ საწერ მაგიდაზე დააწყო ილიას სტატიის ახლად ამოღებული ანაბეჭდები, რომლებსაც სალებავის სუნი ისევ დაჰკრავდა და თითის მიკარებაც კი მსუყედ ამოჭდომილ ასოებს პრიალა ქაღალდს აგლესავდა.

— ბატონებო, — მშვიდი კმაყოფილებით დაიწყო ილია ჭავჭავაძემ, — ჩვენი გაზეთი მადლიერებით მიესალმა ახალ, მეცხრამეტე, საუკუნეს და საბაბი საამისოდ ცოტა როდი გვაქვს. რაც ამ საუკუნეში მეცნიერებამ სასწაული მოახდინა, რაც განათლებულ ქვეყნების ადამიანმა სახელი და დიდება მოიპოვა, მთელს დანარჩენს თვრამეტ საუკუნეს ერთად არ უნახავს. ადამიანი გამოკეთდა აზრით, ფიქრით, გონებით და ზნეობით. წეწვა-გლეჯამ, ერთმანეთზე მისევამ, ერთა ერთმანეთზე მტრულად მისვლამ, — პირშელაგამი ამოიდო საზოგადო მსჯავრის შიშით.

მერე თავისი ხელნაწერი და სასტამბო ანაბეჭდების დასტა ახლოს მიიწია, ცალი თვალით დახედა და ისევ განაგრძო:

— ვინ მოსთვლის ყოველს იმ სიკეთს, რომელიც მეცხრამეტე საუკუნემ შესძინა კაცობრიობას. ერთი დიდი და სახელოვანი საქმე მეცხრამეტე საუკუნისა, სხვათა შორის, ის არის, მაგარს საფუძველზე დააყენა და ფრთა გააშლევინა იმ კაცთმოყვარულს მოძღვრებას, რომ ყოველი ადამიანი, რა წოდებათა კიბის საფეხურზედაც გინდ იდგეს, მაინც ადამიანია, და ვითარცა ადამიანი — ყველასთან თანასწორი, თანასწორად შესაწყნარებელი და გულშესატკივარი.

„— მართალს ბრძანებთ, ბატონო“, — დინჯად თავი დაუხარა ერთმა იმათთაგანმა და სხვებმაც უთქმელად დაუდასტურეს.

ილიამ დინჯად გაიტანა აზრის ლარი ახალ საუკუნეში და ივერიელებიც გაიყოლა.

— მართალია, ამ მოძღვრების დასაბამი დიდის ხნისაგან მოდის, მაგრამ ამ საუკუნემ ეს მოძღვრება განადიდა, გააძლიერა, გააფართოვა და, დაუდვა რა მეცნიერული საბუთი, ღარიბთა და უძლურთა სამწეო მოძღვრებად გარდააქცია..

„— ეს დიდი პროგრესია ცხოვრებისა“, — დაეთანხმა მეორეც.

— ბეკონმა, ინგლისის ფილოსოფოსმა, სთქვა, რომ პროგრესი კაცობრიობისა სხვა არა არის-რა გარდა იმისა, რომ დღემდე განზე გადგმულ იქმნას საზღვარი შეუძლებელისაო.

„— ამ თვალით რომ შეხედოს კაცმა ამ მეცხრამეტე საუკუნის ღვაწლს, მართლა რომ საკვირველებაა“, — კვერი დაჰკრა მესამემაც.

— ამ მეცხრამეტე საუკუნემ სოციალურის წყობილების იდეალად გამოსახა გაუქმება ქონებისა და შემოსავლის მეტ-ნაკლებად განაწილებისა ადამიანთა შორის, გაუქმება ყოველის კლასობრივის ბატონობისა და, შეძლებისამებრ, ყოველის კლასობრივის სხვადასხვაობისა, ფეხზე წამოყენება და ხელშეწყობა გამრჯელ და მშრომელ კლასებისა წარსამატებლად.

„— საკითხავი ეს არის მხოლოდ: დღეს უფრო ბედნიერია კაცი, თუ არა?“, — იკითხეს.

— არა გვგონია. დღეს ადამიანი იცვამს, იხურავს, უკეთ სჭამს და სვამს, მაგრამ ბედნიერება კი შორს არის. დღეს ღარიბსა და მდიდარს შორის, ძლიერსა და უძლურს შორის უფრო დიდი ზღვარი არის, ვიდრე ოდესმე ყოფილა, და აქ არის იგი სიმწვავე იმ ტკივილისა, რომლის მორჩენაც მეცხრამეტე საუკუნემ უანდერძა აწ ნომავალს საუკუნეს.

ილიას ნათქვამს ნუგეშით შეხედეს „ივერიის“ თანამშრომლებმა. მისი ამგვარი აზრები სხვაც მოესმინათ, წაეკითხათ და დაებეჭდათ კიდეც თავიანთ გაზეთში, მაგრამ სხვა ჯურის გაზეთებიც უგებდნენ საკუთარ ფაცერს და იქ წაკითხულიც აღონებდათ. უარმყოფელობა აშინებდათ:

„— ამ უნუგეშო ყოფას ხშირად ჩავუფიქრებივართ ჩვენ და ხშირად მოგვწყურებია გამორკვევა მიზეზისა“.

ილიაც დაეთანხმა:

— ჩვენ ადრეც გვითქვამს, რომ ეხლანდელს დროს რაღაც ხიფათი შეემთხვა და ადამიანის ლოღიკამ გზა შეიშალა, თითქო ან მიმართულება მოეშალა, ან ღერძი გაუბრუნდაო. სულ ყველაფერი აირივ-დაირია, ტყუილი და მართალი, ვეღარავის გაურჩევია, ქვენაგრძნობანი ზენაგრძნობათა ადგილას გამეუფდნენ, ცოდვამ მადლის პირბადე აიფარა, ყალბი ხალასად გადის და ნაძირალა თავანკარად, თითქოს ჭკუისა და გულის აღებ-მიცემობაში აღარ იშოვება საწყაო ცოდვისა და მადლისა, ტყუილისა და მართლისა.

ივერიელებმა პირი აიხსნეს:

„— ყველანი ვხედავთ ამას, ყველას თვალწინ ათასი ამისი ბაგალითი გვიდგა და ყველანი ვიშვენებთ და ვიწყნარებთ ამისთანა ყოფას, თითქოს ამითი არავითარი რიგი ურთიერთობისა არ ირღვეოდეს“.

— ეს ადვილი მისახვედრიც არის, — მიახვედრა ილია ჭავჭ-

ვაძევ „ივერიის“ თანამშრომლები და მისი მკითხველებიც. — გასაქანი ეძლევა სულელობას, ოღონდ მეცნიერების სახელით — კი გამოვიდეს მოედანზე და ლიბერალობა მიეწეროს, ამგვარ უვიცთა და უმეცართა შორის ერთი მეტად საჩინო ადგილი დაიჭირა ჩვენმა ბატონმა ნოე ჟორდანიამ. საკმაოა მხოლოდ ყური მოჰკრან ჰოსა თუ არას. და გათავდა საქმე, ყოველს საჭაილობას წამოიყრანტალებენ. გამოუძიებლად, საბუთის უკითხველად, ნამეტნავად მაშინ, თუ ყურში წასჩურჩულეთ, რომ ეს უკანასკნელი სიტყვაა მეცნიერებისა, ახალი მოძღვრებაა, ახალი მიმართულებაა და უეჭველი ნიშანია ლიბერალობისა.

„— ჟორდანიამ?!“ — ყურში გაჰკრა ტიტეს.

— მან სწორედ ამისთანა კაცად გამოიჩინა თავი!

„— რა მინდაო?!“

— ინას რომ ჰკითხოთ, იგი მოვლინებულია, რომ წუთისოფლის ბორბალს ღერძი გამოუცვალოს და თავის ბრძანებისა და ნებისამებრ ატრიალოს ცა და ქვეყანა.

„— მაგისთანებს, რა გამოლევს ქვეყანაზე?“

— ბევრი ყოფილა და არის დღესაც ჩვენში უნიჭო და უმეცარი მწერალი და, სწორედ მოგახსენოთ, ესე სრულად ნიჭმოკლებული, ესე უმეცრობის გაბედულებით გათამამებული და გაკადნიერებული, როგორც ბატონი ჟორდანიაა, ჯერ არ გვინახავს.

„— რა ღვთის რისხვა დაემართა?!“

— არახუნებს. რაც ენაზე მოადგება და მამალსავით ჯერ თვალებს ჰხუჭავს და მერე ჰყივის, თითქო ენა ადამიანს მარტო ინიტომა აქვს, რომ მოშლილ წისქვილსავით ჰფქვას და ჰროშოს. უნიჭობასა და უვიცობასთან ბატონ ჟორდანიას ის უნარიც ზედ შეჰკეცებია, რომ ხორციელ თვალით დასანახავს საგანსაც — კი ხელში ამრუდებს ასხვაფერებს და მსმენელს თვალებს უბამს წინათ — აკვიატებულ აზრის გასატანად. ამას გარდა, სიტყვა-პასუხისათვის იმისთანა განგებ გაბერილ ფრაზებსა ჰხმარობს, რომელიც ისე შორს უდგა საგანს, ისე არ შეეფერება, რომ კაცს უკვირს, — თქმული ბატონ ნოე ჟორდანიასი ბოდვაა გონება — დაბნეულისა, თუ ამაზე უარესი სხვა რაზ ღვთის რისხვაა.

„— რა მარგალიტებსა ჰყრის?“

ამ მაგალითების ჩამოთვლას ერთი უშველებელი წიგნი მოუნდება, და, ვინ იცის, იქნება ოდესმე გამოჩნდეს ვინმე და ბატონს

ორდანიას ყველაფერი წინ გადმოულაგოს მისდა სასახელოდ და ჩვენი მწერლობის შესარცხვენად.

„— თავი შეურცხვენია და ეგ არის!“

— ესეა, მაგრამ ბატონი ნოე ორდანია თავზე ბუზსაც არ ისვამს და დიდის ბუკით და ნაღარით იქადის: რაცა ვარ, მე ვარო. დეე იძახოს, ამით არავის არც რაზ დააკლდება, არც მოემატება და ჩვენც ამაზე არ გამოვეკიდებ-ით თავმოწონებულს პუბლიცისტსა, მით უფრო, რომ რუსულ ანდაზისა არ იყოს, — დეე ბალღებმა იცელქონ, თავი შეიქციონ, ოღონდ — კი ნუ იტირებენ.

მომსმენ-წამკითხველნიც შეუფიქრიანდებიან?

„— გამოსაკიდებელი რა ასეთი დარჩენია?“

— აქ გამოსაკიდებელი მარტო მისი ქადილი და თანხებია. ქვეყნის აშენებას გვიქადის ბატონი ნოე ორდანია და მისიანები. საბა ორბელიანის ზღაპრისა არ იყოს, თითონ მამალსავით ხეზე შემჯდარა და იძახის: მე აქ ვიყივლებ, თქვენ მანდ ძირს იყეფეთ და სოფელი აშენდებაო.

ამ იმედით ბრძანდებოდეს ბატონი ნოე ორდანია და მისი კამპანია, და როცა ამ გზით იმან ქვეყანა ააშენოს, მე წილს ნუღარ დამიდებენ, არ დავემდურები.

„ივერიის“ წინამძღვარმა „კვალის“ რედაქტორის წერილი გადაშალა და გულნატკენობით გააყოლა თვალი ორდანიას ნაწერს:

— მოგახსენებთ, ამისი მაგალითები ბევრია, მე — კი საბუთად მოვიყვან მარტო ბატონ ორდანიას უკანასკნელს მეთაურს, რომელაც „პრესა“ ჰქვიან და დაბეჭდილია „კვალში“. აქ იმდენი უმეცრობის მაგალითებია, რომ კმარა ბატონ ნოე ორდანიას სასახელოდ. მთელი ეს მეთაური იმ აზრზეა აკინძული, რომ დაამტკიცოს „ივერიის“ კონსერვატორობა და უვარგისობა, მისი უთავბოლობა, ერთ აზრზე დაუდგრომლობა, ილია ჭავჭავაძის უხეირობა, თავად-აზნაურობისათვის მის მიერ გუნდრუკის კმევა და სხვა ამისთანები. მე არც „ივერიის“ დარდი მაქვს და არც ილია ჭავჭავაძისა. „ივერიასაც“ და ჭავჭავაძესაც თავისი პატრონი ჰყავთ და, თუ უნდათ, თითონ უპატრონონ თავის თავს. მე-კი სულ სხვა საქმე მაქვს. მე გულს მისივებს ბატონ ნოე ორდანიას უმეცრობის სითამამე და კადნიერება. დროა, რომ ამისთანა ოინები გამომეღავნდეს და დაუსჯელად არავის შერჩეს, თორეს აირია, ბატონებო, მონასტერი, აბეზარს მოვედით. მოთმინება აღარა არის: თვა-

ლებში ნაცარს გვაყრიან, ლაშის დაგვაბრმავონ, გამოგვიჭედეს ყურები ტყუილმეცნიერებით და სიბრძნით, — აემრიზა გუნება ილიას ჭავჭავაძეს.

— „მართალი ბრძანებაა“.

— ჰოდა, დროა შიგნითი ტიკები დავუსინჯოთ ბატონ ნოე ჟორდანიას და ვიცოდინოთ, რა თანხების პატრონია და რაოდენად თამამი და კადნიერია, ვითარცა ყოვლად უვიცი და უმეცარი მისი, რასაც-კი ხელსა ჰკიდებს განსაკითხად და საბაასოდ. აკი მოგახსენეთ, ამისათვის შორს წასვლა არ მოგვინდება, საკმაოა მისი უკანასკნელი მეთაური.

„— რაო?!“

— ბატონი ნოე ჟორდანია ამ თავისს მეთაურში ბრძანებს:

„ჩვენებური სათავად-აზნაურო ბანკი ორ დედა-აზრზეა აშენებული: ერთის მხრით ის არის დაწესებულება ბურჟუაზიულ-ფინანსიური“.

— ერთი ჰკითხეთ ბატონს ნოე ჟორდანიას: რას ნიშნავს აქ სიტყვა „ფინანსიური“? აშკარაა, აქ ამ სიტყვით გაუბერავს ფრაზა, და მნიშვნელობა მისი — კი არ ესმის, არა სცოდნია. „ფინანსიური დაწესებულება“ იგია, რომელიც განაგებს „ფინანსებს“, ესე იგი სახელმწიფოს შემოსავალ-გასავლის საქმეებს. რა აქვს საერთო სათავად-აზნაურო ბანკს „ფინანსიურ დაწესებულებასთან“? სრულიად არაფერი. ბანკი საკრედიტო დაწესებულებაა და „ფინანსიურ დაწესებულებასთან“ ისეთივე მსგავსება აქვს, როგორც ზღვასა და ხმელეთს, წყალსა და ცეცხლსა.

ბერე ისევ „კვალში“ დაბეჭდილი მეთაურის ჩაკითხვა გააგრძელა ჭავჭავაძემ და გულისწყრომაც გააყოლა:

„მეორე მხრითაო, — ამბობს ჩვენი ბრძენი, — ჩვენებური სათავად-აზნაურო ბანკი თავადაზნაურულ-წოდებრივიაო“. რა საბუთით ბრძანებთ ამას, ჩვენო ბრძენო პუბლიცისტო? ბალღმაც კი იცის, რომ ყოველივე „თავადაზნაურულ-წოდებრივი? დაწესებულება მარტო თავად-აზნაურთაგან შესდგება და მარტო თავად-აზნაურთა გამგებლობის ხელთ არის. იქ სხვა წოდების კაცს არც ხმა აქვს და არც ადგილი.

„— მაშ საიდამ მოაჭორა ბატონმა ნოე ჟორდანიამ ანისთანა მსხვილი ტყუილი?“

ილიამ წვრილად განმარტა:

— რომ ჩვენი ბანკი ყველას ერთნაირად კრედიტით ხელს უმართავს — ეს ხომ ეჭვს-გარეთ არის. გლეხია, თავადია, აზნაურია თუ სხვა ვინმე, ყველას, წოდების და ხარისხის მიუხედავად, ნება აქვს ჩვენს ბანკს ფული ესესხოს, ოღონდ დასაგირავებლად უძრავი ქონება ჰქონდეს. ამ მხრით ჩვენებური ბანკი, როგორც ცხადად ხედავთ, წოდებრივს ნიშანწყალზე შორს არის. არა ნაკლებ შორს არის მოგების განაწილების თვალითაც. მე-101 მუხლი, წესდებისა ცხადად ამტკიცებს, რომ მოგება თავადაზნაურთა ჯიბეში არ მიდის. ყველაზე უდიდესი ერთიანი წილი, ესე იგი 45 პროცენტი მოგებისა, წესდების ძალით, უნდა მოჰხმარდეს ტფილისის გუბერნიის მიწისმფლობელთა და მიწის-მომქმედთა საზოგადო საჭიროების გაძღოლას, სასოფლო კრედიტის, სამეურნეო სკოლების სოფლებში მოფენას, სამეურნეო მანქანების და იარაღებისათვის საწყობების და სახელოსნოების დამართვას და სხვანი. დანარჩენი, თვითოეულად ბევრი ამაზე ნაკლები წილი, სხვადასხვა თავნის სამატად და ბანკის მოხელეთა გასამრჯელოდ არის დადებული.

რა ეს და რა სხვა! აი თუნდ ერთი მაგალითიც, რომ ბატონი ნოე ჟორდანია არ დაგიდევთ, რას ამბობს და რას არა და მის მიერ ხმარებული სიტყვა ან მას თითონაც არ ესმის, ან უნდა გამოგვიტყდეს, რომ განგებ და განზრახ აბრიყვებს მკითხველს. ეს იგი იმავე მეთაურში რას არახუნებს:

„ბანკი მას (მითამდა თავად-აზნაურობას) უფროდაუფრო ასუსტებს და არღვევს; ბანკს დამფუძნებელთ (?!) ეყიდებათ მამული და ღატაკდებიანო“.

არ შეიძლება ბატონმა ჟორდანიამ გვიბრძანოს: სად, როდის და რა შემთხვევაში „დამფუძნებელთ“ ეყიდებათ მამული ბანკის საშუალებით? ბევრიც რომ თავი იფხანოს, ბევრიც რომ გაიჭაჭოს, ამას ვერ გვეტყვის, იმიტომ, რომ „დამფუძნებელი“ ბანკისა ამ მხრით ყოვლად ხელშეუხებელია და მამულის გაყიდვის თუ არგაყიდვის გამო ბანკს საქმე აქვს მარტო იმასთან, ვისაც ბანკში მამული გირაოდ შეუტანია და ვალად ფული გაუტანია, ამისთანა კაცს ვალის ამღები ჰქვიან და არა „დამფუძნებელი“.

„დამფუძნებელი“ — კი მარტო ფულის ჩამომსვლელია და საქმის დამაარსებელი, ჩვენის ბანკის დამფუძნებელმა იმისთანა სიკეთეც გამოიჩინა, თავისდა სასახელოდ, რომ მისის ფულით და მისის ღვაწლით დაარსებული საქმის გასაძღოლად და წარსამართა-

ვად ყოველ წოდების კაცს კარი გაუღო, ყოველის წოდების კაცი მიიწვია, იქმო, მოდით, ერთად ვიშრომოთო, წოდების და ხარისხის მიუხედავადო, თუკი ჩვენის ბანკიდამ სესხით ხელის გამართვას ბოიწადინებთო. ამ სახით, „დამფუძნებელი“ მარტო ბანკის დამაარსებელია და ფულის ჩამომსვლელი და სხვა არავითარი ცალკე ქონებრივი დამოკიდებულება არა აქვს ბანკთან, და ვისი რა პასუხის-მგებელია, ვისი რა მზღვეველია თავისის მამულითა? გავუსწოროთ უმეცარს უმეცრობის ცოდვა და ჩავაგონოთ, რომ თუ ბანკი მამულს უყიდის ვისმე, სხვას არავის, თუ არ ვალის ამღებისა, ისიც მარტო იმ შემთხვევაში, როცა ვალის ამღები ვალის დაბრუნების პირობას არ ასრულებს. თავადაზნაურულ-წოდებრივიო“.

მაშ როგორ ჰნებავს ამ გერმანიაში გამეცნიერებულს ვაუბატონს, რომ ბანკმა თავისის ხელითვე საფლავი არ გაითხაროს? მაშ რა ჰქნას ბანკმა, რომ მის მიერ ნასესხები ფული ძალით არ დაიბრუნოს, თუ სესხის ამღები, ნებით არ უბრუნებს ნასესხსა?

ნუთუ მარქსი ოდესმე დამდურებია ბანკს, რომ მის მიერ გასესხებულს ფულს ძალით იბრუნებს, თუ ნებით არ უბრუნებენ. რომელი ბანკია ქვეყანაზე, რომ ბარაქალა ან მადლობა უთხრას სესხის ამღებს, როცა ნასესხს არ უბრუნებს პირობისამებრ? აბა ერთი ბატონ ჟორდანიამ გამობლერტოს თავისის უნეცრობის მაფრაშა, იქნებ სადმე კუნჭულშია მივარდნილი ამისი პასუხი.

დავანებოთ ამაებს თავი და ერთი ეს ვიკითხოთ: თუ ქონების გაყიდვის შიში, თუ ძალით გამორთმევის ფიქრი და დარდი არ ექნება ვალის ამღებს, ვიღა აიტკივებდა თავს ვალის მოსაშორებლად. ეს ერთის მხრით, და მეორეს მხრით ვინ ოხერი იქნებოდა ფული ანდოს ვისმე სესხად და ნება არა ჰქონდეს ძალით აზღვევინოს, თუ ნებით არ დაუბრუნებს? ამიტომაც ქონების გაყიდვა კრედიტის არსებობისათვის ისეთივე აუცილებელი ძირეული კუთვნილებაა, როგორც ადამიანისათვის სული და ხორცი.

მართალია, კრედიტი ორ-პირა ნახვილია. ვინც კრედიტით მოპოვებულ ფულს საქმეს მოახმარებს და მით საქმეს შემოსავლისათვის გაიძლიერებს, მისთვის კრედიტი მისწრაფებაა, და ვინც გაჰფლანგავს და ჭერში ქუდის სროლით ლხინს მოანდომებს, მისთვის ყელის გამოსაჭრელია და საფლავის მთხრელი.

ყველაზე სასაცილო სიბრძნე ბატონ ნოე ჟორდანიასი არის შემდეგი: ხომ სთქვა, რომ „ერთის მხრით ჩვენებური ბანკი ბურ-

ეუაზიულ-ფინანსიური დაწესებულება არის და მეორეს მხრით თავადაზნაურულ-წოდებრივიო“.

მერე ასე სამასხაროდ ჰბჭობს:

„პირველ შემთხვევაში ის (ესე იგი ჩვენი ბანკი) ჰხატავს პრინციპს ფულის ბატონობისას, ხოლო მეორე შემთხვევაში პრინციპს წოდების განმტკიცებისასო. მარა რადგანაც ეს ორი მოვლენა — ფული და წოდება — ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგება, ამიტომაც ბანკიც იძულებულია ამ წინააღმდეგობაში იტრიალოს და მით თავის-თავს ებრძოლოსო“.

ერთი ქუდი დასდეთ და სამართალი ისე ჰქენით:

განა ფული როდის მივარდნია ბატონ ეორდანიას წოდებისაგან ცხვირპირ-დასისხლიანებული საჩივრად, ან წოდება როდის უნახავს ფულისაგან გატყეპილი. ამათ შორის დავიდარაბას, ერთმანეთზე მისევას, ერთმანეთში წინააღმდეგობას, ჩხუბს და ომს ვინ მოსწრებია...

ეხლა ერთი ეს ვიკითხოთ, რა ძალა ადგა ბატონ ეორდანიას, რომ ისეთს ბოდვას მოჰყვა და უმეცრობის მტვერბუქი ააყენა ჩვენებური ბანკის გამო. რაკი ანბანიც იმ საქმისა არ გაეგებოდა, რაზედაც ლაპარაკობს, ბარემც თავისს ქერქში ყოფილიყო და კუსავით ფეხი არ გამოეყო, ვითომდა მეც ნახირ-ნახირო. მაგრამ რას იზამთ? ხელთ ჩაუგდია „კვალი“ და ხომ მოგეხსენებათ: „ყვავი რა ვარდსა იშოვის, თავი ბულბული ჰგონია“.

ეს ხომ ფული და წოდება ერთმანეთს თავპირს ამტვრევენ. ბატონ ეორდანიას სიტყვით. ეხლა ყური ათხოვეთ, აქედამ რა გამოჰყავს:

„ფული და წოდება ერთმანეთს ძირიანად ეწინააღმდეგებაო და ამიტომაც ბანკი იძულებულია ამ წინააღმდეგობაში იტრიალოს და ნით თავის თავს ებრძოლოს“.

ღმერთი არ არის თქვენში, — ერთი ღვთის გულისათვის მაინც უპატრონეთ ამის მთქმელსა, თორემ სადავე თუ მიუშვით, ვინ იცის, რა კლდე-ღრეზე გადაიჩეხოს, მადლია, მიხედეთ!

აი რამდენი მადანი სიბრძნისა მოგვიტანა ბატონმა ეორდანიამ გერმანიიდამ.

ბევრს სხვასაც შეუნიშნავს ჩვენს ეურნალ-გაზეთებში და ეურნალ-გაზეთების გარეთაც, რომ ბატონი ნოე ეორდანია, უცოდინა-

რი, უვიცი კაცია და არც სურვილი აქვს იცოდეს რამე, არც უნა-
რი რამ მწერლობისა ღმერთს იმისთვის მიუმადლებია.

მე ერთი, ერთად-ერთი სიტყვაც არ მახსოვს მისი იმისთანა, რომ ცოცხალი სიტყვა იყოს, გულსა და გონებას გასაღვიძებლად მოხვედროდეს. აბა რამდენი უწერია და ერთი ამისთანა სიტყვა მაგალითად მიჩვენეთ.

მისი საუბარი ერთი რაღაც უგემურად კევის ღეჭვაა. საკუთარი აზრი არაფერში არ აბადია: რაც სხვისაგან თუთიყუშივით არ გა-უზეპირებია, ისიც ღმერთმა იცის როგორ, და რაც მისს საკუთარს ჭკუაზე მივარდნილა, იქ ყველგან ფეხი მოსხლეტია და სრული არარაობა გამოუჩენია.

ცა ქუდად არ მიაჩნია, დედამიწა ქალამნად, აქაო და ხუთი-ექვსი ფრაზა რუსულ მარქსიზმისა უსწავლია, ისიც იმისთანა მარქსის-ტებისაგან, რომელთანაებზე თითონ მარქსმა სთქვა: რაც გინდათ დამარქვით, ოღონდ მარქსისტობას-კი ნუ დამწამებთო.

ასე იუარა მარქსმა იმისთანა მარქსისტები, როგორიც დღეს ჩვენში ბატონი ნოე ჟორდანიაა და მისნი წილადობილნი. დრო მოვა და ყოველივე ეს მიზეზი გამოიფინება და განკითხვის დღესა წინაშე გამოსჭიმავს ვინმე ამ ჩვენს ვაუბატონს მთელის თავისის სიგრძე-სიგანითა.

სულ სხვაა, როცა სჯიჯგნიან იმისთანა საქმეს, რომელიც ჭირა-დაც გვყოფნის და ლხინადაც, რომელიც დიდის ღვაწლით და შესა-წირავით აგვიჩენია, გაგვიმართავს და ეს ოცდაექვსი წელია ვამოქ-მედებთ.

სულ სხვაა, როცა ამისთანა თვალწინ დაყენებულ საკუთარ საქმეზე განგებ თუ უნებლიედ თვალებს გვიბამენ, გონებას გვიხ-შობენ, სულს გვიხშობენ, გულს გვიტეხენ, რაც გინდ დამწამონ, რაც გინდ გუნდრუკის კმევა მიკიჟინონ, მე ამაებს არ შევუშინ-დები და იმ უეჭველს მართალს გულის სიწმინდით ვიტყვი, რომ ჩვენებური ბანკი, რომელიც წელიწადში ოცი ათას თუმანზე მეტს მოგებას იძლევა და ამ ოცი ათას თუმნიდან თითქმის ათი ათასს თუმანს საზოგადო, საქვეყნო ჭირსა და ვარამს ანდომებს, იმისთანა დაწესებულებაა, რომ ყველა რიგიანს და ჭეშმარიტ ქართველს უნდა სასიქადულოდ და თავმოსაწონებლად მიაჩნდეს, რომ შევძე-

ლით, ამისთანა რამ შევქმენით, ჩვენის საკუთარი ღონით და შეძ-
ლებისამებრ ვპატრონობთ და ვუძღვებით.

როცა ბატონი ჟორდანია და მისი ამქარი ამისთანა საქმეზე ტყუილებით თვალს გვიბრმავებენ, განგებ, თუ უნებლიეთ სახელს უტეხენ, რომ მით გული გაგვიტეხონ, მხნეობა დაგვინელონ და ეს ერთადერთი საკუთარი საქმე გულიდამ ამოგვაღებინონ, ნუთუ არა ჰგრძნობენ რას სჩადიან?

რა ჰქვიან ამისთანა საქციელს მე არ ვიცი, და რიგიანი კაცი — კი ამას ინატრებდა, რომ დედამიწა გაირღვეს და ერთად-ერთს საკუთარ საქმეს, საკუთარის თაოსნობით წარმოებულს და მომქმედს, ასეთი დღე დააყენოს.

იმისი მაინც როგორ არა სცხვენიათ, რომ ჩვენებურს ბანკს არავითარი წოდებრივი საგანი არა აქვს, არავითარი კერძო ინტერესები.

აბა ერთი სხვა ბანკი გვიჩვენეთ იმისთანა, რომ მისი მოგება არავის ცალკე ჯიბეში არ მიდიოდეს და მარტო საზოგადო საქმეს-ნო საჭიროებას ჰხმარდებოდეს?

აბა ერთი იმისთანა ბანკი მიჩვენეთ, რომ ფულს მე ჩამოვსულიყავ და მოგება-კი საზოგადო საჭიროებისათვის შემეწიროს? ქვეყანაზე ამისთანა ჰუმანურს, თანასაგრძნობელს დედა-აზრზე აგებული ბანკი სხვა არსად გამიგონია და ხელი არ უნდა გაუხმეს ამ ბიროტს, ვინც ამისთანა საქმეს ჭლამობს ცილისწამებით, ტყუილებით ციხე-სიმაგრე შეუნგრიოს, სახელი გაუტეხოს! მაშ რაღაა იგი თქვენი თავში ცემა და ყვირილი, რომ ყველა ცალკე ადამიანი საზოგადოებისათვის უნდა იღვწოდეს, საზოგადო გამოკეთებას და გამდიდრებას უხდა ემსახურებოდეს და არა მარტო თავის თავსაო.

მაშ ის თავში ცემაც და ყვირილიც ტყუილი ფართიფურთი ყოფილა!

თავადაზნაურობამ დააარსა ჩვენი ბანკი, მის მოგებაში, თავისდა სასახელოდ, თითონ საკუთრად წილი არ ჩაიდო, იგი საზოგადო საჭიროებას შესწირა და თქვენ-კი გამოსულხართ და ეუბნებით: ეგ რა ჰქენით, თქვენი საფლავი თქვენის ხელითვე რათ გაითხარეთო!

კაცობაა ასეთი საქციელი? ეს არის თქვენი ახალი მოძღვრება! ეს ხომ პირდაპირ იმას ჰნიშნავს, რომ კაცი საზოგადო საქმიდამ გინდათ კერძო ინტერესზე ჩამოახდინოთ, საზოგადო საჭიროები-

სათვის ფეხადგმული კაცი მის საკუთარ კერძო ინტერესზე მიახელოთ და, რომ უფრო ადვილად მისწვდეთ თქვენს საწადელს, შიშით გულს უხეთქავთ, იღუპებიო, რომ სხვას საშველად ხელს უწვდიო და თქვენსას ყველას უწილადებთ წოდებისა და ხარისხის განურჩევლადო! ამისი თქმა გინდათ განა!

მაშ ამაში სხვა რა აზრია, როცა ამბობთ, მერე ტყუილადაც, რომ ბანკი, რომელსაც საგნად აქვს თავისის მოგებით საზოგადო საჭიროებას გაუძღვეს, შენ გასუსტებს და გარღვევსო, მამულებს გიყიდის და გაღატაკებსო.

ეს ყოველივე ხომ ცოცხალი ტყუილია და რათ გინებებიათ ასეთი ტყუილი მუქარა და შიში? ძლივძლივობით ჩვენში საზოგადო საქმის სურვილმა ფეხი აიდგა, საზოგადო საჭიროებისათვის ფულის გადადებამ და გამოღებამ ძლივძლივობით ერთი საზოგადო საქმე შექმნა საზოგადო სამსახურისათვის, კერძო ინტერესები არ იკადრა, არ გააჭაჭანა და ამაზე ადამიანს აფრთხობთ და გულს უტეხთ. ეს არის თქვენი სიმბოლო სარწმუნოებისა, ეს არის თქვენი ახალი აღთქმა! ეგ ხომ ათადამ-ბაბადამვე ვიცოდით, რომ თუ მე არ ვიქნები, ქვა-ქვაზედაც ნუ იქნებაო. ეს ხომ საზოგადო ინტერესებიდან კერძო ინტერესებზე ჩამოხდომაა! ეს ხომ უკან გაბრუნებაა წინ მიმავალი კაცისა! ეს ხომ უკან დახევაა! ამას რუსები „აბრუნდის“ (кругом) ეძახიან, სომხები იტყვიან ხოლმე: „ეი ახმახ“, ქართველები კი — „ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო“.

მე არ ვიცი, ამ ჩემი წერილისაგან ბატონი ნოე ჟორდანია ჭკუას მოვა თუ არა. ვაი, თუ მგლის თავზე სახარების კითხვა დამემართოს და გადარეული უფრო გადაირიოს. ესეც-კი შესაძლოა: იქნებ, იმის ქედმაღლობის ამბავი რომ ვიცი, მე და ჩემი წერილი ცხვირზევით აიცდინოს, ვითომდა არა გვკადრულობს, თავს არ გვიყადრებს. ეს-კი უეჭველია, რომ უსაბუთობას ვერ მიკიჟინებს, და თუ მიკიჟინა, მკითხველმა გაგვასამართლოს.

* * *

მაგრამ მოტყუვდა. აზნაური ჟორდანია ისეთი კაკალი არ გამოდგა, რომ თავად ჭავჭავაძის კბილს ადვილად გაეტეხოს. პასუხი როდი დაუგვიანა და უფრო გაახელა:

— მე ამისიც მადლობელი ვარ,—დაჰყაბულდა საკუთარ ხვედრს

ილია და თავი სამოწყალოდ დახარა, — რაკი არის ჩვენში ერთი სახის ჯგუფი, რომელსაც ბატონი ჟორდანია დიდ მეცნიერად მიაჩნია, და ხომ მოგეხსენებათ, — დიდმა კაცმა რომ ნეკიც გაღირსოთ, მთელის ხელის მოცემად უნდა მიიღოთ. დიდის კაცის ნეკის შეხებაც დიდი მოწყალებაა. ბატონმა ჟორდანიამ პასუხი მაღირსა, თუნდაც „გზა-და-გზა“ და ეს სახელადაც მეყოფა და სახრავადაც.

ილიას გულში ეამა, თუმცა შუბლში უმიზნებდნენ, იმისთანასაც აგონებდნენ, რომ ლამის მუქარას ჰგავდა, მოხუცს ჯეელის სიტყვები შხამიან ისრად ესობოდა და თუმცა არ იმჩნევდა, მაგრამ დაქადნება მარტო მუქარად როდი რჩებოდა, აკრძალული ილეთით დარტყმასაც უტოლდებოდა და კაცს მტკივნეულად აფიქრებდა. ილია მაინც არ შეეპუა ნოეს და იმედიანად იგერიებდა მწარედ მოხვედრილ სიტყვის წვერს საპასუხო ჭირდვით ისხლეტდა, მაგრამ განა ამით დაკოდილი გულის სატკივარს რაიმე მალამოს აცხებდა?!

„ — უფრთხილდი, ილია! ნოე ჟორდანია მარტო როდი გახლავთ, სხვა სამი ნოეს ამქარსაც წინამძღოლობს! მისი გაზეთი „კვალი“ გექადნება, მრავალი კაცის სახელით გემუქრება!“

— ვიცი, დიახ, საქართველოს ერის წარმომადგენლობის საბუთად „კვალმა“ ას-ერთის კაცის მიერ ხელმოწერილი წერილი წარმოგვიდგინა ქვეყნის სასაცილოდ და თავისდა სასახელოდ. მე ამის პასუხად „ახალ-მოსულის“ ფსევდონიმით, დავუწერე, რომ ამისთანა შემთხვევაში, საცა ეთიკაზე და მართებულობაზეა ლაპარაკი, ხმა უნდა ა წ ო ნ ი ლ იქნას და არა დ ა თ ვ ლ ი ლ ი, რაც გინდ ბლომად ნულები გაამწკრივოთ, მაინც ნული ყამოვა-მეთქი. ამაზე აი რა პასუხს მაძლევს ბატონი ჟორდანია:

„ამიერიდან სახელოვანმა „ახალმოსულმა“ თავისი ერთი ყუმბარა ამ ას-ერთს კაცსაც ესროლა და თან გამოუცხადა: თქვენ ვინა ყრიხართო, თქვენ ნულები (ესე იგი არაფრები) ხართო! მარა, რადგანაც მთელი ჩვენი ხალხი (კაი მოგეცათ, კაი „რადგანაც“ ეგ იყოს) ასეთი „ნულებისაგან“ შედგება, მაშ ყველა წყალწაღებულ ყოფილა. საქართველოს „ჩიორა“ და „ახალ-მოსული“ შეადგენს თურმე და ნამდვილი ხალხიც ისინია! (კაი მოგეცათ, კაი ლოღიკა ეს იყოს). აი სადამდის მივიდა „ივერია!“ ი მ ე დ ი ა ა მ ა ს ა რ დ ა ი ვ ი წ ყ ე ბ ს ა ს ე ყ ბ ა დ ა ღ ე ბ უ ლ ი ქ ა რ თ ვ ე ლ ი ხ ა ლ ხ ი“.

ტიტეს თითქოს თავზე ცა ჩამოექცა.

ილიას გელეზე შემოეყარა და გაოცდა:

— რის თქმა გებავთ ამიღი, რასაც უკანასკნელი სიტყვები ამ-ბობენ. ბატონო ჟორდანიავ?

რომ ვეღარას გახდითრა, საქართველოს ერთიან მაბეზღებთ განა?

ეს კიდევ არაფერი: ხარი ხართან დააბი, ან ფერს იცვლის, ან ზნესაო. ვიცი, რომ ამ ანდაზას თქვენ ვერ წაუხვიდოდით, ისიც ვიცი, მაგ ბეზღობის უნარი საიდან მოგცხებიათ.

ეს რა საქმეზე აქეზებთ საქართველოს ხალხს, რომ „იმედია ამას არ დაივიწყებს ასე უბადაღებული საქართველოს ხალხი“ და სამი წერტილით ათავებთ ამ სიტყვას.

რა გნებავდათ ამით გეთქვათ და რა დაგრჩათ კიდევ სათქმელი, რომ სამი წერტილი ჩაურთეთ ამ სიტყვის ბოლოში?

ღმერთმა შეგინდოთ ეს უკადრისი, თუ უარესი არა, საქციელი, დეე ტაში გიკრან თქვენმა უკან-მდევნელებმა.

ყველა რიგიანი და პატიოსანი კაცი — კი მარტო ამ საქციელი-სათვის ზურგს შემოგაქცევთ და ყველა ამისთანას შეეზარებით, სულ ცოტა რომ ვთქვა.

თუნდ ეგეც არ იყოს, თუნდ მართლა თქვენი ამყოლი ას-ერთი კაცი ნულებად ჩამეთვალოს, რათ გიკვირთ ეს? თქვენ განა ის კაცი არა ბრძანდებით, რომელმაც სთქვით, რომ, არამც-თუ ას-ერთი კაცი, მთელი ხალხი, მთელი ერი უგუნურიაო. ას-ერთი კაცი ხომ მთელ ხალხთან, მთელს ერთან მხოლოდ წვეთია ზღვაში! აი თქვენი სიტყვები:

„გონიერება საზოგადოდ იშვიათი რამ არის, ის სანთლით საძებარია, ხოლო უგუნურობა ყოველგან და ყოველთვის ადვილად ძისაგნებია. ცხადია, პირველის ჭურჭელი — **ინტელიგენცია—ძლიერ** ცოტაა, სულ ერთი მუჭაა, მეორის-კი **(ესე იგი, უგუნურების) მთელი ხალხი, მთელი ერია**“.

— ამაზე უარესად გაბიაბრუება, ამაზე მეტად გაუპატიურება და შეგინება, მერე ვისი? — მთელის ხალხისა, მთელის ერისა, განაღა იქნება!

მე მაინც-და მაინც, თუ არ დაგიშლიათ, ას-ერთ კაცზე ვთქვი ნულები არიან-თქო და ბატონი ჟორდანია — კი ამისთანეებად ჰხდის მთელ ხალხს, მთელს ერს და შუბლზე ბუზსაც არ ისვამს. აქაო და, „ახალმოსულმა“ ჟორდანია და მისი მსგავსი ას-ერთი კაცი ნულებად ჩასთვალაო, ჩემზე ხელს უშვერს, ჩემზე აქეზებს რაღაცისათ-

ვ ი ს საქართველოს ხალხს და თითონ-კი, რომელმაც მთელი ხალ-ხი, მთელი ერი უგუნურებად ჩასთვალა, დოინჯი შემოუყრია და მის მიერ გაუპატიურებულს საქართველოს ერსვე უბრძანებს ბა-ტონსავით: ი მ ე დ ი ა, ა მ ა ს ა რ შ ე ა რ ჩ ე ნ თ „ახალ-მოსულ-საო“. განა სასაცილო არ არის ეს ახალი მაგალითი ბატონ ჟორდა-ნიას ორთავიანობისა, ორპირობისა, რომ ეს სამწუხარო და, საზა-რო არ იყოს ზნეობის მხრითა!

ილია უმადურობამ ააღაღადა:

— ჯარო და ჯამაათო, ღვთის გულისათვის მაინც იკითხეთ: ეს რა კაცს შევესწარით, ეს რა კაცი მოგვევლინა, ეს რა ღვთის წყრომის დრო დაგვიდგა!

ქვეყანას ღერძი გასტეხია და სულ უკუღმა დატრიალებულა, თუ რა დაემართა ამ ისეც უბედურს საქართველოს, რომ ეს ამის-თანა ქადებული პროგრესისტი გამოსულა და ჭკუას გვასწავლის და გზას ცხოვრებისას გვინიშნავს.

წარმოიდგინეთ, თურმე ყურის-მგდებელიცა ჰყავს, ამყოლიც და ძგალობელნიც! მართალი ნათქვამია, — როგორც ალხანა, ისე-თიც ჩალხანაო, მაგრამ განა ეს ნუგეშია. მარტო ის ამბავი, რომ არის ქვეყანა, სადაც ამისთანა კაცი ლიტერატორობს, მარტო ეს ამბავი საკმარისია, კაცმა ამ ქვეყანაზე ხელი აიღოს და ცხრა მთას იქით გარდაიხვეწოს.

განა ყოველად შესაბრალისი და ამასთანავე ყოვლად აუტანელი არ არის ის ქვეყანა, ის ერი, საცა ჰფარფაშობს და ჰფაჩიფუბობს ამისთანა კაცი, რომელსაც ჭკუა არ უშლის სთქვას: „ხალხი და ინტელიგენცია, ინტელიგენცია და ხალხი, — აი ორი მეტოქე და მებრძოლი ელემენტი. ამნაირად (?) ინტელიგენტი გონებას აგდებს ხალხიდამ და ხალხს გონებიდამო“.

თუ მართლა ასეა, მე რომ ბატონი ნოე ჟორდანია ვიყო, ვიტყო-დი: იმედია საქართველოს ხალხი არ შეარჩენს ინტელიგენციას ამ ამბავს! ხუმრობა დანაშაულია, კაცმა ხალხიდამ გონება გამოაგდოს და გონებიდამ ხალხი!

„ეგრე რამ შეგაძრწუნათ ბატონო ილია?“

— რას იტყვით ამაზე, ჩვენო ინტელიგენციავ? ვერც ეხლა მიხვდებით, რა კაცი ყოფილა ეს ყოვლად უმეცარი, ქარაფშუტა, ორთავა და ორპირა პროგრესისტი, ეს ვითომდა ახალ მოძღვრების მღაღადებელი! განა მართალი არა ვთქვი წინანდელ ფელეტონში,

რომ ამისთანა უმეცარი, უნიჭო, უგემური მწერალი, როგორც ბატონი ჟორდანიაა, და ამასთან ასე თავმოწონებული, სხვა არავინ გამოჩენილა-თქო ჩვენში.

უკეთური აზრი

მერე „ივერიის" რედაქტორს ალექსანდრე სარაჯიშვილს მიუბრუნდა, თავის მაგივრად რომ ჰყავდა მიწვეული გაზეთის გასაძღოლად, და დაუფარავი გაკვირვებით უთხრა:

— გუშინდელს „ივერიაში" დაბეჭდილია ვითომდა ჩემი ნალაპარაკევი თავად-აზნაურთა კერძო თათბირზე და, სწორედ მოგახსენოთ, ჩემი ნათქვამი მე ძლივს ვიცანი?!.

„— ეგრე რამ დაგაღონათ, თავადო?" — გაიკვირვა რედაქტორმაც. რომელიც უკვე მესამე წელია რაც თავად მიუძღვოდა. ილიამ 1877 წელს დააარსა „ივერია" ყოველკვირეულ გაზეთად, შემდეგ ყოველთვიურ, ჟურნალად გადააკეთა, 1886 წლიდან კი ყოველდღიურ გაზეთად აქცია, ოცდახუთზე მეტ წელიწადს თვითონ რედაქტორობდა, 1902 წელს კი ეს საპატიო მოვალეობა სარაჯიშვილსაც მიუწილადა.

— ბევრს სხვას რომ არას გამოვუდგე, საკმაოდ ვრაცხ მარტო ორი მაგალითი მოვიყვანო, რომელთა შორის ერთი ისეა გადმოცემული, რომ მისი გამგონი ან გიჟებში ჩამთვლის, ან მტკნარ სულელობაში ჩამომართმევს.

მე მართლაც ვამტკიცებდი, რომ მიზეზი გლეხკაცთა მოძრაობისა სულ სხვა გარემოებაში უნდა ვეძიოთ, და მოვიყვანე რამდენიმე მაგალითი იმ უსამართლობისა, რომელიც მთავრობამ ჩაიდინა:

„სახელმწიფოს ბევრი ადგილ-მამული აქვს, რომელიც მთავრობამ ჩვენს ქართველ გლეხს წაართვა, სხვა ტომის ხალხს მისცა და ზედ დაასახლა-მეთქი. ქართველ გლეხისათვის მიწა არ არის, ხოლო ნემეცისთვის, ფრანგისთვის ბევრია. ბარიათინსკის დროს ჩვენ გვითხრეს, გლეხები გაანთავისუფლეთ, ადგილ-მამული მიეცით და ჩვენ ორი მილიონი დესეტინა გვაქვს და იმას მოგცემთო. ჩვენ მაშინ ჭკუა არა გვქონდა და ამაზედ არ დავთანხმდით. ეს იყო ჩვენი დიდი შეცდომა და ეხლა უნდა გამოვასწოროთ. ჩვენ უნდა მოვითხოვოთ მთავრობისაგან ეს ადგილები. ჩვენ ვიცით, რომ

გლეხკაცი ვერსად წავა, როგორც სხვა ტომის ხალხი სჩადის. ის მიჯაჭვულია იმ მიწაზე, რომელიც მისი სისხლით არის მორწყული და ეს სისხლით მორწყული ადგილები ქართველ გლეხს უნდა მიეცეს და არა გადმოსახლებულებს-მეთქი. ჩვენს გლეხს ადგილი არა აქვს, რომ თონე ჩააგდოს, იმის გვერდით კი გაშენებულია გოლიცინი, სვეჩინი, ვორანცოვი და სხვა მრავალი სოფელი. სახელმწიფოს აქვს დიდი ადგილები შავი ზღვის ნაპირზე, სადაც სხვა ტომის ხალხს ასახლებენ. თუ ვინიცობაა ჩვენი გლეხკაცი იქ არ წავა, მოგვცენ ჩვენ, თავად-აზნაურობას, ეს ადგილები, და აქ რაცა რამა გვაქვს გლეხკაცს მივცემთ, ჩვენ კი იქ წავალთო.

ღმერთი — რჯული, — ჯერ ჭკუიდამ არ შევმცდარვარ, რომ ეგ ბრტყელი და ყოვლად უმსგავსო სულელობა გამომეთქვა. მე ეგ კი არა ვთქვი, მე ეს მოვახსენე კრებას: მოგცენ ქართველებს ჩვენგან წართმეული ჩვენი მიწა-წყალი, რომელიც ეხლა ხაზინასა აქვს დაჩემებული და რომელსაც ყველას ურიგებს, ქართველს გარდა, და მაშინ იქნება ზოგმა ჩვენგანმა დაუთმოს გლეხკაცს თავისი ადგილიდამ ზოგი რამ იმ პირობით, რომ სამაგიერო მიიღოს ხაზინის მამულებში; ისიც შესაძლოა, — იმისთანა გლეხკაცნიც გამოჩნდნენ, რომ თვით მოინდომონ ჩვენის ქვეყნის სახაზინო მამულებში გადასახლება და დაბინავება, ოღონდ-კი საკმაო მიწა-წყალი აუჩინონ და ის მზრუნველობა გაუწიონ, რასაც უცხოელებს უწევენ, როცა ქართველის სისხლით მორწყულ მიწებს ურიგებენ. აი ჩემი აზრი.

მერე თავისი საყვედურის შესანელებლად მოწყალე ხმით თავაზიანად დაურთო შეწუხებული სარაჯიშვილის მოსანანიებლად:

— თქვენ თვითონ, ბატონო რედაქტორო, მიხვდებით, — ეს ჩემი აზრი, და თქვენის გაზეთის მიერ გადმოცემული, ერთი და იგივე არ არის და მათ „შუა უზის დიდი ზღვარი“.

რედაქტორმა ილიას მოყვანილი ეს ერთი მაგალითი გაზეთის შეცდომად აღიარა.

— აი მეორე მაგალითიც, — გადაბა ილიამ, — საცა ჩემი ნათქვამი აზრი თუმცა უმსგავსოდ გადასხვაფერებული არ არის ზემოხსენებულისამებრ, მაგრამ ისე შეკვეცილია და ბოლომოგლეჯილი, რომ თავისი ფერი აღარ შერჩენია. თქვენი გაზეთი იუწყება, — ვითომც მე ბოლოს მეთქვას: „ნუთუ ჩვენ არ შეგვიძლიან მოვითხოვოთ, რომ კანონები, რომელიც ეხლა პეტერბურგში იწერება

(რა თქმა უნდა ჩვენი ქვეყნისათვის), აქვე ადგილობრივ იწერებოდესო".

სასურველია, რასაკვირველია, რომ ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე, ჩვენში, იწერებოდეს, მაგრამ მარტო ამით არა გვეშველება-რა. მე ვთქვი და კიდევ ყველგან ვიტყვი: „ჩვენის ქვეყნისათვის კანონები აქვე უნდა იწერებოდეს ჩ ვ ე ნ ი ს ქ ვ ე ყ ნ ი ს მ ი ე რ ა რ ჩ ე უ ლ წ ა რ მ ო მ ა დ გ ე ნ ე ლ თ ა კ რ ე ბ უ ლ ი ს ა გ ა ნ". აი ეს ხაზგასმული სიტყვები დაუმატეთ და ჩემი აზრი სავსებით გამოთქმული იქნება.

გთხოვთ, ბატონო რედაქტორო, ჩემი ეს წერილი დაბეჭდოთ და ნება მიბოძოთ გაგიბეღოთ და ერთი სარჩიელი მოგახსენოთ. დღეს ისეთი დღეა, რომ თვითეულს სიტყვას დიდის სიფრთხილით უნდა მოვეჭიცეთ, და ვიდრე სხვისა თქმულს ბეჭდვით საჯაროდ განვიმეორებდეთ, ავწონ-დავწონოთ, რა თქმულა და როგორ თქმულა. დღეს ისეთი დროა, რომ თვითეული ჩვენგანი უნდა განკითხულ იყოს და პასუხის მგებელი ჩვენი ქვეყნის წინაშე თავისის სიტყვისა და საქმისამებრ და არა იმისებრ, რასაც სხვანი ან დაუდევრობით, ან წინდაუხედაობით თავზე მოახვევენ.

მანამდე კი, ბევრად ადრე, სანამ სარაჯიშვილი დაბეჭდავდა ილიას „წერილს „ივერიის" რედაქციის მიმართ", 1895 წლის 20 მაისს სიტყვა წარმოსთქვა თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე და ზოგის ფიცხი და ფუტურო თავი გაარხ-გამოარხია, რომლებიც საქართველოზე მზეს ფიცულობდნენ, მაგრამ ქართველს ქართველებისაგან ჰყოფდნენ. ილიამ მათი ასეთი ორპირობა ძველთაგანვე იცოდა, ახსოვდა, მაგრამ თუ ასეთი ჭირი დიმიტრი ყიფიანისა და ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაარსებულ საადგილმამულო ბანკშიც ჭუპრს გაიჩენდა, ეს გულგასახეთქ ამბად მოესმა.

მეორე დღესაც დიდად მოუცლელი გახლდა, მაგრამ დაყოვნება დამღუპველად ჩათვალა, ყველაფერი გადადო, ეტლი მოიხმო და თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე მისულმა გულამღვრეულმა განაცხადა:

— მე, ბატონებო, გუშინ და გუშინწინ ვერ დავესწარი კრებას ბანკისავე საჭირო საქმის გამო. გაზეთებიდან და კრების ოქმიდან შევიტყე, რომ გუშინწინ ჩემი ქება-დიდება მოგისმენიათ ეროის ორატორისაგან. რაც ამ ორატორს უნებებია ჩემი უკადრისად ხსე-

ნება, მე იმას ყურადღებას არ ვაქცევ. ხოლო თქმულა ერთი რამ ისეთი, რომელმაც შეაძრწუნა ჩემი მამულიშვილური გრძნობა და ეს არ შემიძლიან აღუნიშნავად დავტოვო.

ესა თქვა ილიამ და წყენით ამოისუნთქა, ერთწამს შეჩერდა, თითქოს სული მოითქვა, შუბლზე ოფლიც კი მოისხა. ნეტა რა გაიხსენა ისეთი, ან რა უთქვამთ გუშინწინ თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის წლიურ კრებაზე საძრახისი, რამაც ასე დაიფიქრა, დააღონა და გააგულისა კიდეც დარბაისელი, მუდამ დინჯი და თავშეკავებული კაცი, როცა წყენას ადვილად არ ივლენს სახეზე და სულიერ მღელვარებას გაფიცხებული სიტყვის კონად არ შეჰკრავს ხოლმე. მერე კრებას თვალი მომნუსხველად გადააცლო და კოპშეკრულმა დასაგმობი კილოთი იკითხა:

— აქ ერთს ორატორს მეორეზე უთქვამს: ეგ მოსული არისო და ჩვენთან არავითარი კავშირი არა აქვსო.

დარბაზს რაღაც ამდაგვარი გაახსენდა, მაგრამ გაუჭირდა უცებ შეცნობა, რომ რაღაც დიდსა და ცოფიან თქმას მგვანებულა, რაკი არც კაცის კვლას ეხებოდა, არც ვინმე რომელიმე ოჯახის დაქცევის, ან პირადი შეურაცხყოფის მცდელობას. დიახ, დიახ, რა ითქვა?! რამ აღაშფოთა ილია, რომ შუბლი ასე შეუჭმუხნავს და ხმაც გაჰგოროზებია. ვინ რის ჩამდენია ანდა გამბედავი მაინც?!

— მე არ ვახსენებ, ვის უთქვამს ეს. მე მთქმელთან საქმე არა მაქვს-რა. მე ვებრძვი აზრს და ამ აზრის გამოსარკვევად მარტო საჭიროა ვიცოდეთ ის კი არა, ვინ სთქვა, არამედ ის, ვის უთხრეს.

ილიამ ისევ ჭმუნვით შეხედა გაოცებულ კრების მონაწილეთ და საყვედურის რისხვა გადმოღვარა ერისკაცობის თავლაფდასასხმელად:

— ეს უთხრეს იმიერ ქართველს? — და უფრო განრისხდა. — როგორ? იმიერი ქართველი აქ, ჩვენს კრებაში, ამ ჩვენს საქართველოში — მოსულია, უცხოა და არა სახლიკაცი, არა სისხლხორცი იმ დიდ ოჯახისა, რომელსაც საქართველო ჰქვიან! არა, ბატონებო!.. ყოველს ქართველს საქართველოს ნაწილისას, — გურული იქნება, მეგრელი, იმერელი, კახელი თუ ქართლელი, — ჩვენის ერთიანის ოჯახის კარი ღია აქვს, რომ ჩვენს საერთო ჭირსა და ლხინში ძმური მონაწილეობა მიიღოს. ეს არამცთუ უფლებაა თვითეულის ჩვენგანისა, უწმინდესი მოვალეობაა. ძმობა და ერთო-

ბა ამაშია. ეგ ძმობა და ერთობა არის იგი კლდე, რომელზედაც უნდა აშენდეს დიდი სასახლე ჩვენის ცხოვრებისა.

თავადაზნაურთა კრება შეირხა.

გაბაფხული იდგა, 20 მაისის მზიანი და თბილი დღე, ულრუბლო და ცისფერიანი. აქ, თბილისის ქართული საადგილმამულო ბანკის შენობაში კი ავდარია, ცა ქუხს და გრგვინვა ისმის. ხმა იმიერ-საქართველოსაც სწვდებოდა და აფხიზლებს, ილია იმისთანას ამბობს, რაც ერის ერთიანობას კრავს, მიიწ-მოიწობანას გმობს, ჩემი-შენიანობის სიცეღლუტეს როზგავს და ერთი დედის შვილებს თბილ კალთას აფარებს:

— ეს თითქმის ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც საქართველო დაირღვა, დანაწილდა. ეს ექვსი საუკუნეა მას აქეთ, რაც ჩვენი მამა-პაპანი, ჩვენნი უკეთესნი და უდიდესნი მამულიშვილნი, ჩვენი გენიოსები, ჩვენნი ვაჟკაცნი და მეომარნი, ჩვენნი მსწავლულნი და მეცნიერნი, სისხლის ღვრით იღვწოდნენ, რომ მკვდრეთით აღედგინათ ჟამთა ვითარებისაგან დარღვეული ძმობა და ერთობა. ამას შესწირეს თავისი სახელოვანი სიცოცხლე, თავისი სისხლით და ღვაწლით შემოსეს და აკურთხეს. მთელმა თაობამ მეცხრამეტე საუკუნისამ ამას შეალია თავისი პატიოსანი ძალ-ღონე, თავისი სისხლი და ხორცი, თავისი ნიჭი საქმისა და მეტყველებისა. აწ განსვენებულმა ჩვენმა მწერალმა ვახტანგ ორბელიანმა მთელის თავისის მხურვალე გულისძგერით აღთქმად დასდვა, ანდერძად დაგვიტოვა, რომ ძმობა და ერთობა კლდეა და ამაზედ ააშენეთ თქვენი ბედნიერებაო, ამაშია ჩვენი იმედი, ჩვენი სასოება.

ილიას იმედიანობის კეთილი გრძნობა სახეზე აუთამაშდა, თვალის სინათლეს მოციაგე სხივი ჩაუდგა, შეირხა, ჯერ მარცხნივ მხარეს გახედა, მერე მარჯვნივ მიიხედა და დადუმებულ კრებას გააგონა:

— დღეს სხვას გვეუბნებიან. დღეს უნდათ, ერთმა ნაწილმა საქართველოსამ მეორეს უთხრას: შენ ჩვენ შორის მოსული ხარო!

მერე ოდნავ შეყოვნდა, რომ კრებას მოსმენილი სიტყვის აღქმა-გაკვირვებისათვის დრო ეხელთა, გულში ღრმად ჩაეტანა, უხეირობის ჭუპრი მოეჩხრიკა, დაენახა და დახსომებოდა:

— სამართლიანი გულისწყრომა მამულიშვილობისა ამ აზრს ვერ მიიკარებს!

შემდეგ ისევ კოპები შეიკრა, მძიმე ხელი აღმართა და გააყოლა:

— მე ამით ვაცხადებ ჩემ მაგიერ და ჩემთა თანამოაზრეთა სახელით, რომ მამულიშვილურ გრძნობის წყევლა-კრულვით ჩვენ ზურგი შეგვიქცევია ამ უკეთურ აზრისათვის. თქვენც მოგიწვევთ, ასე მოიქეცით. დეე ამ უკეთურმა აზრმა იქვე გაითხაროს თავისი საკადრისი სამარე და დაიმარხოს, სადაც დაიბადა და აკვანი დაიდგა.

ამ ხმამ ნოე ჟორდანიას ყურამდე მიაღწია — ანერვიულდა, ენა წაუბორძიკდა და გამქირდავად წამოსდინდა:

— თავისას არ იშლის, საქართველოს მამობას წადილობს, უკლასო ერის ბელადობას არ თაკილობს.

„რა სათაკილოა?! — გაიკვირვა" გუნებაში ტიტე ცამიწაძემ, თეთრ ტკიცინა ქაღალდზე დაწერილი ის თავისი ლექსი, „ივერიაში" დასაბეჭდად რომ მიეტანა, ისევ უბეში ჩაიდო და ჩამალა.

ნუთუ?

ტიტე ცამიწაძე სხვა მწარე და საძრახისი ამბის მოწმეც გახდა.

ჭავჭავაძემ თავისი სტატიის ხელნაწერი რვეული გაშალა და 1905 წლის რევოლუციური ამბებით დაბნეული და ილიას მიერ ნოეს გაკრიტიკებით გულმოსული „მოგზაურის" რედაქციის ჭორი საჯაროდ ამხილა. მახარაძემ და ჟორდანიამ ძველი ჯიბრით მიზანში ამოიღეს ილიას საზოგადოებრივი ღვაწლი და ადამიანური ღირსება.

მაგრამ მგოსანი არ შეუშინდა, გონებას სიმართლე ათქმევინა და დანაღვლიანებული თანამოღვაწენი დაამშვიდა:

— ავტორი „მოგზაურის" შემწეობით მე მაბრალებს, ვითომც მხეცურ გულქვაობით და სამარცხვინო ავზნეობით ვეპყრობოდე საგურამოს გლეხკაცობას.

მერე თავის „ივერიაში" გადმობეჭდილი „მოგზაურის" კორესპონდენტის მძაღლედ ნაწერი კიდევ ერთხელ ხმამაღლა ჩაიკითხა, რომელიც მზაკვრობით შეფერილი სიტყვა-კილოთი მთავრდებოდა:

„ნუთუ ეს აღმაშფოთებელი ამბავი მართალია?" — და ჭორის კილოს ილიაზე წააწევინა.

ტიტეს გუნება გაუფუჭდა.

კორესპონდენტმა კი კილოს მუქარაც დააწია:

„ნუთუ „გლახის ნაამბობის“ ავტორს ასეთი დამოკიდებულება აქვს გლეხობასთან?“ — ესაქირქილებდა „მოგზაური“.

ამის გამგონთ სახე გაუფითრდათ.

„მოგზაურის“ მარდი კორესპონდენტი კი ჭორ-მუქარის ჭილოფზე დოინჯმოყრილი შედგა და ღვთის განმსჯელის იერითა და ხმით იძახის:

„ — ჩვენ არ გვინდა დავიჯეროთ და გვირჩევნია ჯერჯერობით იმედი ვიქონიოთ, რომ თითონ თავადი ილია ხმას ამოიღებს და კოოესპონდენციის შინაარსის უსაფუძვლობას დაგვიმტკიცებს!“

ილიამაც ცხარედ უპასუხა, თავის სტატიას „ნუთუ?“. დაარქვა, რომ „მოგზაურის“ ჭორ-ბეზღობა ემხილებინა;

— ეხლანდელი დრო რომ ხმამაღლა ჰღაღადებს ხელშეუხებლობას ადამიანისას, განა მარტო პოლიციის მიერ ხელშეუხებლობა აქვთ სახეში, არამედ ყოველგვარი ხელშეუხებლობა და, სხვათა შორის, იგიც, როცა სამარცხვინო და სახელგასატეხ ბრალს რასმე სდებს ერთი მეორეს ტყუილისა და მართლის წინასწარ გამოუძიებლად და აუწონლად.

მაინც გულის გასატეხი ბევრი არა ჰქონდა მგოსანს:

„ — თქვენ კი, ილია, საკუთრივ ღმერთმა გიბრალათ. ამ შემთხვევაში იმისთანა წინდაუხედავი და საზრს მოკლებული ბრალდებები მოგივლინათ, რომ ზოგან თითონვე თავისის ხელით ყელს იჭრის და ზოგან იმისთანა გარემოებას გვანიშნებს, რომლის ტყუილი და უსაფუძვლობა ადვილად დასამტკიცებელია და დასამოწმებელი თვალთა ხედვით და ხელშეხებით» — გულით მიუდგა ხალხი.

ილია ჭავჭავაძე სიმართლის მხნეობას მიეცა:

— დიაღ, ბატონებო, თუმცა ჩემს მხილებელს, ჩემს ბრალმდებელს სურვილი დიდი ჰქონია ჩემთვის სახელი გაეტეხნა და სირცხვილი ეჭმევია, მაგრამ საფანელი დაჰკლებია და ვერ მოუხერხებია. ვერ მოუხერხებია იმიტომ, რომ ტყუილსაც და ცილისწამებასაც ჭკუა და გონება სდომებია. იგი იმისთანა ბრალებსა მდებს, რომელთა გაქარწყლება ძალიან ადვილია, თუ კაცი გაირჯება და თვითოეულის ბრალის გარემოებას ცოტაოდნად განიკითხავს.

მერე კალამი გაიბასრა და „მოგზაურის“ ინკოგნიტო ავტორი ტყუილ-მართალში გააშიშვლა.

— იგი სასახელო კორესპონდენცია, რომელმაც გამოიწვია ეს ჩემი წერილი, იმით იწყება, რომ საგურამოს საზოგადოების მცხოვრებლებმა ექვს მარტს თავი მოიყარეს და გადასწყვიტეს: „ბოიკოტი გამოეცხადოს აქაურ მემამულე ილია ჭავჭავაძეს“, რომ უფრო გაძლიეროს ამ „ბოიკოტის“ მნიშვნელობა ჩემდა სამარცხვინოდ, ავტორი დიდის რიხით და პათოსით შემოგვძახის: ასე გასინჯეთ, ილია ჭავჭავაძეს ჰყავდა (ვაი ჩემს შერცხვენას!) ერთი დედაბერი მეკათმედ. იმის შვილის სახლს ცეცხლი წაუკიდეს, — რატომ დედაშენი არ ანებებს თავს მებატონესთან სამსახურსაო, და კაცი იძულებული იყო ძალით გამოეთრია გაჯიუტებული დედაბერი.

მერე „მოგზაურის“ მონაგონი ტყუილიც გამოსტეხა:

— მართალია, დედაბერიც, როგორც ყველა სხვა მოჯამაგირეები, სულმთლად დაითხოვეს, მაგრამ სხვა ყოველი ამ ამბავთან ჩართული ტყუილი და ურცხვი ლათაიებია თავზე ხელაღებული ადამიანისა. მაშ რა ძალა დასდგომია ჩვენს ბედნიერ ავტორს, რომ ამისთანა აშკარა ტყუილი, რომ ამისთანა აშრობა უკადრნია და არ უთაკილნია! ამით ვითომ რა ჰსურვებია ეთქვა ჩვენს ბედნიერ ავტორს? ის რომ, რაკი ჭავჭავაძეს დედაბერიც არ დაუყენეს, — ჩანს რაოდენად გაუწბილებია ჭავჭავაძეს გლეხკაცობა, რამოდენად შეუძულვებია თავისი თავი, რომ მისდა სავნებლად გლეხკაცებმა თავისი მოძმეც არ დაინდეს. ავტორს ისიც კი ვერ გაუგია, რომ თუ დედაბერი გაჯიუტებულა და ჭავჭავაძესთან ყოფნა ურჩევნია, ვიდრე შვილთან წასვლა, ეს ამბავი ჭავჭავაძისათვის უფრო ხელსაყრელია, ვიდრე ავტორისათვის. აბა ამას ჭკუა არ უნდა, რომ კაცი აშკარა ტყუილს იგონებდეს და ამ ტყუილით თითონვე თავისი ხელით ყელს იჭრიდეს? კიდევ ვიტყვი: არა შეჯდა მწყერი ხესა, არა იყო გვარი მისი. ღმერთის მადლით და გლეხთა სასარგებლოდ, ეს სახლის გადაწვა, ეს საშინელი და ყოვლად შეუნდობარი ავკაცობა ავტორისაგან მოგონილია, და გლეხობას რას ემართლება, რომ ასე სახელს უტეხავს, ასეთ ბრალში ხვევს.

«— რუსეთის რევოლუციამ საქართველოც აამხედრა», — გაიხსენეს ფილიპეს თქმა.

— ასეა თუ ისე, გლეხკაცობა დღეს ყველას შემოსწყრა და მართალი თუ მტყუანი, ავი და კარგი თან გაიტანა. ეს სტიქიონის მოძრაობასა ჰგავს და ამიტომაც საერთოდ შემოწყრომა და „ბოიკოტობა“ იმის მაჩვენებელი არ არის, ვინ ვის უყვარს, ვინ ვისა

სძულს. სიძულვილსა და სიყვარულს ამისთანა შემოხვევაში ადგილი არა აქვს, ამიტომაც საზოგადოება, რომელსაც ჭკუა და გონება შერჩენია და ცხობიერება გაჭღვიძებია, მარტო იმას კი არ უნდა სჯერდებოდეს, — აი გლეხობა სხვასთან ერთად ამასაც შემოსწყრა, ამას „ბოიკოტობა" გამოუცხადა, არამედ გულდამშვიდებული გარჩევა უნდა, — ვინ ვის რას ემართლება, ვინ ვის რას ერჩის, ვინ ვისზე სამართლიანად ხელს იწვდის. განა კაცთა ადამიანური ცხოვრება, ისტორია, პროგრესი და სხვა რაიმე სიკეთე შესაძლებელია, თუ ყოვლით უწინარეს კაცთა ურთიერთობაში ისინი არ მოიკითხა, ამაების პასუხი არ იძია.

ამიტომ გთხოვთ, — ჩაურთო ილიამ, — ნება მიბოძოთ მოგახსენოთ იგი ვითარება საქმისა, იგი გარემოება, რომელიც ასე თუ ისე ამ მხრივ შუქსა ჰფენს კორესპონდენტის მიერ ხსენებულს „ბოიკოტს". ჩემდა მიმართ: მე და ჩემი მეუღლე მემამულენი ვართ, მაგრამ მე და არც ჩემს მეუღლეს არც ერთი ნაყმევი, არც ერთი ხიზანი არა გვყავს, არამც-თუ საგურამოს, არამედ მთელს დედამიწის ზურგზე. მართალია, მე საკუთრივ ცოტა თუ ბევრი ყმები მყავდა კახეთში, მაგრამ ყმათა განთავისუფლების პირველ ხანებშივე მთელი მათ მიერ ხმარებული საკომლო, სახლ-კარის მიდამო, მათი ხვეღრი ვენახები უ ს ა ს ყ ი დ ლ ო დ დავუთმე და ხელშეუხებელ საკუთრებად დავუმტკიცე და ამით მოვსპე ყოველივე ბატონ-ყმური ნაშთი ჩემსა და ჩემთა ნაყმევთა შორის. ხიზნებიც მყავდა თიანეთის მაზრაში. ხაზინა შემომევაჭრა მათ მიერ ხმარებულ მამულს და მე მარტო მაშინ მივყიდე, როცა ჩემი ხიზნები სხვა, მათ მიერ არჩეულ და მოწონებულ სახელმწიფო მამულში გადავიყვანე და დავაბინავე თავად ლევან ჯანდიერის შემწეობით, რომელიც მაშინ მაზრის უფროსად იყო. ჩემმა მეუღლემაც გაყოფის დროს ისე გამოიწილადა მონაწილეთაგან მამული, რომ არც ერთი ხიზანი, არც ერთი ნაყმევი არ ირგუნა. ამ-სახით, ჩვენ ორს რაც მამულები გვაქვს, სულ თავისუფალი და დამოუკიდებელია სხვისაგან.

„ — ერთი ეგ გვითხარით, თავადო, რა ბრალსა გდებს „მოგზაურის" ინკოგნიტო კორესპონდენტი?

ილიამ „მოგზაურის" ნაბეზღარი „ივერიის" ცალკე დამატებად გადმობეჭდა და ყველას დასამახსოვრებლად გაანდო:

— შევუდგები რა ამ ფრიად უსიამოვნო ამბავს, ყოველთ უწი-

ნარეს, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მას, ჩემი კეთილის-მყოფელი ავტორი ბრალსა მდებს კაცის კვლაში.

„— უჰ!..“

— დანაშაული ჩემი თურმე ისა ყოფილა, რომ ერთს „ახალ-სოფელს“ გლეხს უამბნია, ვითომც ჩემს კალოზე „ს ა ნ ა დ ე ლ ო“ ყანის ძნა მოუტანიათ მაშინ კი არა, როცა ჩემს მოურავს დაუვალებია, არამედ მეორე დილას ადრიანად, და მე უ შ ვ ე რ ი ს ს ი ტ ყ ვ ი თ ლ ა ნ ძ ღ ვ ა დამიწყვია და, რა თქმა უნდა, ჭყივილ-ყვირილით მითქვამს: „ეხლავე ეგ ძნა იქვე ჩაიტანე, სადაც დაუდე, და როცა მოურავს დრო ექნება, ჩამოვა, ახლად გადმოითვლის და გაჰყოფსო“. გლეხკაცს ძნა ისევ „სანადელო“ მიწაში ჩაუტანია.

„— მერე — მერე?!“

მე და ჩემს მეუღლეს ახალ სოფელში, არც ერთი მტკაველი მიწა არ გაგვაჩნია. იგი სოფელი მთლად ეკუთვნის თავად ზაალ გურამიშვილს, ასე, რომ განზრახ მოგონილია.

„— მეორე ბრალი „ბოგზაურმა“ რა დაგწამათ?“

— მეორე ბრალი, რომელსაც გლეხისათვის ვითომდა გულდამწვარი კორესპონდენტი მე მწამებს, ის არის, ვითომც ერთ სხვა მემამულესთან ერთად მთავრობას ჯარი ვთხოვე „ბუნტის ჩასაქრობად“. ესეც მტკნარი ტყუილია ლილახანა — წამხდარ ავტორისა. მე ჯარი არ მითხოვნია და არც მოვითხოვ, პირიქით თბილისიდან მოურავს მივწერე: ნუ შიშობთ, გლეხკაცნი ისე არ გასულელდებიან, რომ კაცს დაუშავონ რამ, ავკაცობა რამ შეამთხვიონ. თან ბარათით დავაბარე: თუ ვინიცობაა მანდ საგურამოში ჯარი მოვიდა, შენ თვითონ ჩადი და ვინც უფროსია ჩემმაგიერ სთხოვე, ხალხი არ დააწიოკონ, ჩვენ თვითონ მოვრიგდებითთქო. თუ მაინცა და მაინც თავისი არ დაიშალონ, მაშინვე ფაეტონი გამოგზავნე, მე თვითონ ამოვალ და მე თვითონაც ვთხოვ უფროსს, მანდ არა იმოქმედონ-რა და ხალხი ტყუილ-უბრალოდ არ გააფუჭონ».

— თავად ჭავჭავაძის ბარათი მოურავისაგან მოგონილი ამბავია! — დაეჭვდა ვიღაც ჭორიკანა.

— მოურავო რას იტყვი?

მოსე მოურავმა მაღლა ცას ახედა, დაბლა მიწას დახედა და გულით ამოილუღლუღა:

— ტყუილი რა საკადრისია, სიმართლე ბნელშიც სჭრისო, თა-

ვად ჩაიკითხეთ. სწორედ ისეა, როგორც ბატონმა ბრძანა. მანამდეც მომწერა ეს ორი ბარათი:

„მ ო ს ე! ეგ ამბავი, რასაც შენ იწერები, დღეს და ყველგან არის: გლეხკაცები ყველგან მაგ ამბებში არიან დღეს. მეცოდებიან საწყლები: დღეს-ხვალ მთავრობა თურმე აპირებს ჯარები მიუსიოს გაბრიყვებულ გლეხ-კაცობას და ნაცარტუტა ააღინონ. თავადაზნაურობა ჰცდილობს ეს ჯარების მისევა როგორმე ააცდინოს გლეხ-კაცობას და, ღმერთმა ჰქნას მთავრობას ხელი ააღებინოს ჯარების გაგზავნაზე... შენ მხოლოდ ეცადე, რომ მშვიდობიანად მოელაპარაკო და ცეცხლს წყალის მაგიერ ნავთი არ დაასხა“.

მეორეც წაიკითხა:

„მ ო ს ე! თუ მანდ გარეშე სოფლებში იშოვი მოჯამაგირეებს, ძალიან კარგს იზამ. იწერები, მეეპატრონეთ აქაურობასაო. მე შეუძლოდა ვარ და იქნება ხვალ თუ ხვალზევით გარეთ გამოვიდე და ამისთანა დღეებში მანდ ვერ ამოვალ. ან თუნდ ამოვიდე, რას გავაწყობ. წინათაც მოგწერე და ეხლაც გწერ, რომ ეგ ამბავი, რაც მანდ არის, მთელს საქართველოშია მოდებული. მანდ კიდევ, მადლობა ღმერთს, მარტო ტყეს მიესივნენ. სამწუხარო ეს არის, რომ დღესა თუ ხვალ მაგ საწყლებს დიდიდამ პატარამდე დააწიოკებენ. შენ როგორც გეტყობა, ცოტა არ იყოს შეგშინებია. მაგოდენა ჭკუიდამ როგორ შეიშლებიან ეგ უბედურები, რომ შენ შეგამთხვიონ რამე. შენ მანდ ვერას გერჩიან. მე ამას იმიტომ კი ბრა გწერ, რომ ჩემის გულისთვის თავი ვისმეს შეაკალ-მეთქი. ღვთის მადლით მანამდე საქმე არც მისულა და არც მივა. მანდ საკმაო ხალხი გყავს, ვერას შემოგბედავენ, ჯერ იმიტომ რომ შემობედვა ავაზაკობაში ჩამოერთმევათ და დიდად დაისჯებიან, და მეორე იმიტომ, რომ ეგენიც ადამიანები არიან, ჭკუა და გონება აქვთ, ადამიანს საავკაცოდ არ გამოიმეტებენ, რადგან იციან კაცის გაფუჭებას ვერავინ შეარჩენს. შენ მანდ მშვიდობით იყავ, მაგათის მუქარისა ნუ გეფიქრება-რა“.

— სხვასაც მწერდა ამ პატარა ბარათში, ინებეთ, წაიკითხეთ:

„მ ო ს ე!.. გლეხებს ძალიან ნუ აუხირდები, ნურაფერს ნუ გაგაფუჭებინებ-კი და უბრალოზე კი ნუ გამოეკიდები. დრო მოვა და ყველაფერი დაწყნარდება და ყველაფერი გასწორდება. ეს ისეთი დრო დადგა, რომ ბევრი რამ უნდა ვითმინოთ, ბევრს რასმეს უნდა ვუაროთ გვერდი, თითქო არა ვხედავდეთ. რა თქმა უნდა, არც

ალვირის მიშვება უნდა ყველაფერში და არც უბრალო რასმეზე გამოკიდება“.

«— მაშ რად უნებებია „მოგზაურის“ კორესპონდენტს ამისთანა ტყუილის ხელდახელ გამოცხობა?!»

— იმად, რომ კაცია და გუნებაო. ღმერთმა ესეთი კაცობა და ესეთი გუნება, თუ ბუნება, მშვიდობაში მოახმაროს ავტორს იმ ერთ-გვარი ჯგუფის სადღეგრძელოდ, რომელიც არავითარ საზიზღარ ცილისწამებას არ ჰთაკილობს, ოღონდ-კი ჭუჭყი რამ მოსცხოს მისს არა-მასიამოვნებელ — და არა-თანამოაზრეს, — გააყოლა ილიამ.

— მესამე ბრალი, კი, სხვებზე არა ნაკლებ, ის არის, რომ თურმე „არც დიდებული ილია ჭავჭავაძე“ არ აძლევს ნებას ზეზე სადგომის აგებასაო. ამას კი ჩვენი პატიოსანი კორესპონდენტი თავისით ამბობს და არა სხვისა სიტყვით. „დიდებული ილია ჭავჭავაძე“ კი არა — დიდებულს და ძალიან დანამცეცებულს ავტორს მოახსენებს. რომ საგურამოში გლეხთა საბინადრო ადგილები ერთი მტკაველიც არ ეკუთვნის არც ილია ჭავჭავაძეს, არც მის მეუღლეს და სულ სააპეკუნოშია, როგორც ზევით ალვნიშნეთ, მცილად სხვისი მამულია. მაშასადამე, სხვის მამულში რა ხელი მაქვს ან დავუშალო ვისმე, ან ნება ვაძლიო ან მიწურის გათხრისა, ან ზეზეურად სახლის აგებისა, ძალიან გულითაც რომ მინდოდეს.

«— აბა რა ჭკუაში მოსასვლელია ასეთი ჭორი»!

— იმ ჭკუაშია, ბატონებო, რომელიც ღმერთს სხვებისთვის დაურიგებია და ზოგიერთისოვის კი არ გაუმეტნია, — მეტი ბარგი იქნება და ვერ ატარებსო. ამ სახით, ეს ზეზეურად სახლის დადგმის ამბავიც ჩვენ გახუნებულ ავტორის მიერ შეხანხლული ჭორია და მისდა სასახელოდ ისიც უნდა დავუმატოთ, რომ გლეხის ნაამბობი კი არ არის, მის მიერ საკუთრივ მოგონილი და შეთხზულია და ამიტომაც არის ასეთი კარგი და ლაზათიანი.

— დაგვრჩა ეხლა მეოთხე და უკანასკნელი ბრალი, ყველაზე მეტად შემაძრწუნებელი და საშინელი, რადგანაც თითქმის კაცისკვლამდეა გაჭიმული.

— რა ზნეობურ ავლადიდების პატრონია ჩემი პატიოსანი მხილებელი, ისე აშკარად არსად ჩანს, როგორც ამ მეოთხე ბრალის დაწამებაში, სხვა მე და ჩემს მოურავს თუ კაცის მკვლელად არა,

კაცის სიკვდილის მიზეზად მაინც გვხდის. „ამ ზამთარსაო, — უთქვამს ვითომც ავტორისათვის ერთს გურამიანთ-კარელს გლეხს — დიდი ყინვებისაგან სოფლის სასმელი წყალი გაიყინაო ისე, რომ მთლად უწყლოდ დავრჩითო“. აშკარაა, ნაამბობი ვითომდა გლეხისა „ამ ზამთარს წყლები გაგვეყინა, ასე, რომ უწყლოდ დავრჩითო“, ან კუდიანი ტყუილია გლეხისა, ან ზღაპარია თვით ავტორისაგან ხელდახელ შეხანხლული იმის ძალით, რომ რაც მელას აგონდება ის ეზმანებაო. გურამიანთ-კარის წყარო თავის დღეში, რაც გინდ ძლიერი ზამთარი იყოს, არა-დროს არც გაყინულა და არც გაიყინება, როგორც მოგეხსენებათ ბუნება წყაროს წყლისა. ვთხოვ ბატონ რედაქტორს „მოგზაურისას“ და მის მიერ განებივრებულს ავტორს მიბრძანდნენ და იქავ, ადგილობრივ შეამოწმონ ჩემი ნათქვამი. აქ მოწმეთ მომყავს იმისთანა უტყუარი, იმისთანა დაუქრთამავი მოწმე, როგორც ბუნებაა და თვალად დასანახავი გარემოება.

„ — წყაროს გაყინვის გამო ერთი შიშველ-ტიტველა ბერი კაცის კოკები ჭავჭავაძის მოურავს თავის წყაროზე გადაუმტვრევია და ბერი კაცი სიცივითა და უწყალოდ მომკვდარა“. — ყურში უზუზუნებთ „მოგზაურის“ ჭორი.

— განა შესაძლოა კაცს ღმერთი იქამდე გაუწყრეს, რომ კაცის სიკვდილი ვისმეს დააბრალოს მაშინ, როდესაც თვით სიკვდილი არ მომხდარიყოს სრულებით? თურმე ნუ იტყვით: გურამიანთ-კარს ამ ზამთარს არც ერთი მამაკაცი გლეხი არ გარდაცვლილა არამაცთუ ჩემის მიზეზით, არამედ სხვა მიზეზითაც!

„შარშან პირველ დეკემბრიდან წლევანდელ პირველ აპრილამდე მამაკაცი გლეხი არავინ გარდაცვლილა?“, — ასე წერია დუშეთის საპრისტაოს დავთარში.

— არ გარდაცვლილა! ნუთუ ქვეყანაზე მოიპოვება სხვა მაგალითი, რომ ბეზღობას ამისთანა რამ მოეხდინოს სადმე? ნუთუ მაგალითი ყოფილა სადმე, რომ კაცის სიკვდილი არსად იყოს, კაცმა ეს სიკვდილი თვით განგებ მოაჭოროს და ამ არ-ყოფილის სიკვდილის მიზეზად კაცი ვინმე გახადოს, — აღშფოთდა ილია.

— ნუთუ ამისთანა მაბეზღარის ხელშემწყობს გაზეთს, თუ ჟურნალს, პრესა ჰქვიან თვით პრესის სამარცხვინოდ? აფსუს, სამართლიანად თავმოწონებულო პრესავ, რომ შენი დიდებული სარბიელი მყრალ გუბედ გაუხდიათ და საცა პატიოსანი ჭკუა და წმინ-

და გული უნდა ხელმწიფობდეს, ჭია-ღუა ბეზღობისა ჭყუპალაობს და თავის ბუდეს იკეთებს.

« — ბეზღობა, ჯაშუშობა, სამართლიანად ცნობილია ვითა ყოვლად საზიზღარი საქციელი». — გაწყრა მკითხველი.

— მე ამას მარტო იმისათვის კი არ ვამბობ, რომ ამ შემთხვევაში მე ვარ გაწბილებული, შეგინებული და ასე უწყალოდ ხელშეხებული. მაგრამ, არ ვიცი, — რომელი ბეზღობა და ჯაშუშობა უფრო საძაგელია: იგი, რომელიც პოლიციის ხელჯოხიანობას გამოიწვევს, თუ იგი, რომელიც ერთს კაცს მეორეს გადაჰკიდებს მტრად, ერთს წოდებას მეორეზე აალურსებს და აასისინებს, ან თუნდა ცალკე კაცს, როგორც ამ შემთხვევაში მე ვარ, მთელს გლეხკაცობას პირში მისცემს, ვითარცა მათ მოძმეთა მყვლეფელს და მათ მოძმეთა მკვლელს, ყოვლად უსაბუთოდ, ყოვლად უმიზეზოდ. დასასრულ, კიდევ ხელმეორედ მოგახსენებთ: არის ზოგიერთი იმისთანა ზნეობრივი კანონი, რომელიც კაცთა ერთმანეთობით ცხოვრებას საძირკვლად უდევს და რომელიც ყველასათვის ერთნაირად სავალდებულოა, რა დასისა და რწმენისაც გინდ იყოს, და ერთი ამ კანონთაგანი ის არის, რომ რაც შენ არ გინდა მოგივიდეს, იმას ნურც სხვისთვის მოინდომებო.

თავდასაკლავი დანა

ხუთი თვეც არ გავიდა, „მოგზაურმა“ ხელმეორედ მოზიდა მშვილდისარი და რედაქტორებს კალმის წვერი წაუცდათ:

— წავიკითხე თავად ილია ჭავჭავაძის საპასუხო წერილი, რომელიც გაზეთ „ივერიის“ რედაქციას ცალკე გამოცემად დაუსტამბავს თავის სასახელოდ და სწორად მოგახსენოთ გაოცებული დავრჩი.

« — რამ გაგაოცათ, „მოგზაურის“ კორესპონდენტის ბრალდებამ თუ ჭავჭავაძის თავის მართლებამ, ფილიპე და ნოე რედაქტორებო?» — იკითხა ტიტემ.

პასუხი თავმართლების უნაყოფო ცდა იყო.

— ჩემ გამოზდაში ბევრი რამ წამიკითხავს, ბევრი სისაძაგლე მინახავს ჩემი თვალით, ბევრი კიდევ სხვებისგან გამიგონია, მაგრამ

ჩემ დღეში ამისთანა არც ჩემი თვალით მინახავს და არც სხვისგან გაკიგონია.

„— ასეთი რა სიზ?არი გეზმანა, ფილიპე?!“

— წარმოიდგინეთ კაცი, რომელიც მთელი თავისი არსებით მოწადინებულია მეორე პირი ლაფში ამოსვაროს, სახელი გაუტეხოს, დააძცეროს, მიწასთან გაასწოროს, რომ თავის-თავი ყოვლად პატიოსან არსებად დასახოს, და ნამდვილად — კი მხოლოდ თავისივე თავს ამცირებდეს, მიწასთან ასწორებდეს, თავისივე თავს სამარეს უთხრიდეს.

— „ასეთს ვინ რას სჩადის?!“ — გაიკვირვა ცამიწაძემ.

— აი ასეთ საქმეს ჩადის საქართველოს სასიქადულო მწერალ-პოეტი თავადი ილია ჭავჭავაძე!

„— ეგრე რატომ მტრობ?“.

— მტერი იმას ვერ უზამდა, რაც მან თავის-თავს უქნა. მისი უშველებელი წერილი, თავის გასამართლებლად დაწერილი, „ივერიის“ გულუხვი გადაჭარბებული სტუმართმოყვარეობის წყალობით აღბეჭდილი, თავის გამართლება კი არაა, არამედ უსასტიკესი საბრალდებლო ოქმია თავისივე ხელით შედგენილი და ხელმოწერილი. ეს არის თავისი ხელით თავის მოკვლა.

„— ეგ რა სთქვით, ფილიპე?!“.

— თავად ჭავჭავაძის წერილში არც ერთი წინადადება, არც ერთი სიტყვა არაა, რომელიც მას არა თუ ბრალდებიდან ათავისუფლებდეს, არამედ ამ ბრალდებას რამოდენიმედ მაინც უმსუბუქებდეს!

„— გასაოცარია, დაუჯერებელი, საიდან გამოსჩხრიკეთ?!“

— ქათამმა ჩხრიკა, ჩხრიკა და თავის დასაკლავი დანა გამოჩხრიკაო, — სწორედ ამაზე ითქმის! — დაიმუქრა ფილიპე.

„— ნუთუს?“ წამკითხავთ თუ დაეჯერებათ, „მოგზაურის“ ჭორ-ბრალდება ერთიანად დაარღვია!“ — გაუდგა ტიტე.

— თავადმა ჭავჭავაძემ არა თუ ვერ დაარღვია ის, რასაც მას „მოგზაურის“ კორესპონდენტი აბრალებდა, არამედ თავის წერილის მეოხებით ეს ბრალდება მან კიდევ უფრო გააძლიერა, მის დასამტკიცებლად უფრო მეტი ფაქტები გამოამჟღავნა, ესე იგი იმაზე მეტი, რაც ჩვენ კორესპონდენტს ჰქონდა დასახელებული; თავად ჭავჭავაძემ უფრო დაწვრილებით გვამცნო, თუ რანაირი განწყობილება არსებობს მასა და გლეხებს შორის, თუ მას რო-

გორი წესი შეუმუშავებია და ცხოვრებაში განუხორციელებია; ერთი სიტყვით, ყოველივე ის, რაც მან გასამართლებლად მოიყვანა, „მოგზაურში“ დაბეჭდილი კორესპონდენციის დამატება და განმარტებაა. ცნობილია, რომ ნაწერით რამდენადმე იცნობება თვით დამწერი; თუ ყოველთვის ეს ვერ მართლდება, ეს იმიტომ, რომ დღევანდელ საზოგადოებაში ავტორი უფრო ხშირად, ნებსით თუ უნებლიეთ, მალავს თავის ნამდვილ სურვილს და გულის წადილს.

„ — ჩანს, მწერალ ჭავჭავაძეს კარგად არ იცნობთ!“

— თავად ილია ჭავჭავაძეს ჩვენ აქამდისაც ვიცნობდით, თუ რა „კაცური კაცი“ ბრძანდება ის, რას ემსახურება, რა შეადგენს მის სულისკვეთების საგანს, მაგრამ არც ერთ თავის ნაწარმოებში მას არ დაუნახვებია საზოგადოებისათვის თავისი შინაგანი „მე“ ისე, როგორც „ივერიის“ № 68-ში დაბეჭდილ წერილში. აქ ჩვენ იმ ჭავჭავაძესთან გვაქვს საქმე, რომელიც სინამდვილეში არსებობს; აქ იგი გველაპარაკება ჩვენ, როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგი, როგორც მემამულე, რომელიც ყოველი ფეხის გადადგმაზე მზად არის იარაღით ხელში დაიცვას თავის ინტერესები. მართალია, თავადი ილია ჭავჭავაძე აქაც შიგა-და-შიგ ძველ ოინებს ხმარობს, წამდაუწუმ ზნეობაზე, კაცურ კაცობაზე, სამართლიანობაზე და სხვა ამგვარობაზე გაიძახის, მაგრამ ყველაფერი ეს აქ მეტად უადგილო და უხერხულია. ილია ჭავჭავაძე, როგორც საქართველოს სასიქადულო მწერალი, ავტორი „გლახის ნაამბობის“, „კაცია ადამიანის“, „გლახა ჭრიაშვილის“, „კაკო ყაჩაღის“ და სხვათა, სრულებით დაუჩრდილავს თავად ილია ჭავჭავაძესვე, როგორც მემამულეს. ამიერიდან ქართველ მკითხველს საქმე ექნება არა ზევით დასახელებულ ნაწარმოებთა ავტორთან, არამედ მემამულესთან, რომელსაც მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ იმისათვის მოუნდომებია, რომ გლეხები ეყვლიფა და ეტყავებინა! ჩვენ არა გვგონია საქართველოს მიწაზე მოიპოვებოდეს მეორე ისეთი სასტიკი მემამულე, რომელსაც ასე ულმობლად მიყავდეს ცხოვრებაში გლეხების გაყვლეფის სისტემა.

„ — ეს საიდან მოგიტანიათ, შენ და მაგ შენს კორესპონდენტს?!“.

— თითონ ჭავჭავაძე დიდი რიხით აცხადებს, რომ იგი კერძო საკუთრების მოტრფიალეა. ამიტომ რა გასაკვირალია, რომ ის დიადი მოძრაობა, რომელიც დღეს ჩვენ თვალწინ ხდება, რომლის

მოწმენი დღეს ჩვენა ვართ და რომელიც მიმართულია დღევანდელი უსამართლობის წინააღმდეგ, დღევანდელი ძირითადი სოციალური უკუღმართობის მოსასპობად, მას მეტად აღონებს და ძლიერ აწუხებს.

„— თქვენი გაზეთის კორესპონდენტი რას მოითხოვს — ფეოდალ ჭავჭავაძეს მიწები ჩამოართვით და გლეხებს მიეცითო? მაგრამ განა ამით მოისპობა კერძო საკუთრების იდეოლოგია?“.

— დავამშვიდებთ თავად ჭავჭავაძეს, რომ გლეხები ჯერ არ იწვდიან ხელს სხვის მამულზე, ისინი ჯერჯერობით თხოულობენ მხოლოდ იმ უსამართლობის გასწორებას, რომელიც მებატონეებმა ჩაიდინეს ეგრედ-წოდებული გლეხების განთავისუფლების დროს. უკეთესია დავანებოთ მას თავი, როგორც კერძო საკუთრების ვაგლახ იდეოლოგს.

„— არა, ვერ დავანებებთ თავს, გავიხსენებთ 1863—1865 წლებში საქართველოში საგლეხო რეფორმის მომზადებას. მაშინ ილიას შეტაკება მოუხდა რეაქციონურად განწყობილ თავადაზნაურობის წრეებთან. ახალგაზრდა ილია ჭავჭავაძემ ხმამაღლა განაცხადა, რომ გლეხებს მიწა უნდა მიეცესო, ყმა მიწიანად უნდა განთავისუფლდესო. ამ სიტყვების გაგონებაზე კრება აღშფოთდა, ერთმა თავადმა ხანჯალი იშიშვლა, ლანძღვა-გინებით ილიასაკენ გაიწია და დაიყვირა: „გამიშვით, გამიშვით, ეხლავე უნდა მოვჰკლა!“. გაგიჟებული თავადი შეაკავეს და ძლივძლივობით გაიყვანეს კრებიდან. ილია დღესაც ამას ქადაგებს, მაშ როგორღა ამბობთ, თითქოს იცავს სოციალურ უკუღმართობას, თითქოს მას მეტად აღონებდეს და ძლიერ აწუხებდეს დღევანდელი უსამართლობის საწინააღმდეგო დიდი მოძრაობა?!“

— ჩვენი კორესპონდენტი მას სრულებით არ შეხებია როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგს, მან გამოაქვეყნა მხოლოდ რამდენიმე გულის ამრევი და აღმაშფოთებელი ამბავი, რომლებიც ახასიათებენ თავად ილიას არა როგორც კერძო მესაკუთრეს, არამედ როგორც ადამიანს.

„— თქვენს მაგ ბრალდებებში ლოგიკას ვერ ვხედავ, წეღან რიხით ამბობდით, — ილია გველაპარაკება როგორც კერძო საკუთრების იდეოლოგიო“.

— ახლაც იმასვე ვამტკიცებთ. თავადი ილია მთელ თავის სიცოცხლეში ცდილობდა, რომ თავისი ბატონობა განემტკიცებია,

რაც შეიძლება მეტი წილი გლეხის ნაოფლარისა ხელში ჩაეგდო, რისთვისაც იგი გლეხკაცობას ყოველგვარად ავიწროვებდა, არაფერს არ ზოგავდა, ოღონდ კი თავისი მიზანი განეხორციელებია, და ახლა ხედავს, რომ ყოველივე ეს იფუშება, ყოველივე მისი მეცადინეობა იკარგება. განა ასეთი შესაბრალისია? ძნელი დასაჯერებელია! და აი, ამის შემდეგ თავადი ილია ჭავჭავაძე გამოდის და დაურცხვენლად ადამიანის ხელშეუხებლობაზე, პიროვნების პატივისცემაზე და სამართლიანობაზე ლაპარაკობს. ის, ვინც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ადამიანის პიროვნებას (შეიძლება თავად ჭავჭავაძეს გლეხი ადამიანად არ მიაჩნია) ფეხქვეშ თელავს და ჯიჯგნის, იმის პირიდან ასეთი სიტყვების წარმოთქმა ყველა პატიოსან ადამიანში მხოლოდ ზიზღს იწვევს. ჩვენ ეხლა კარგად გვესმის, თუ ასე ძალზე რისთვის იჭაჭებოდა თავადი ჭავჭავაძე, როცა საქართველოს ავტონომიის შესახებ სჯა-ბაასი ჰქონდა ქართველ თავად-აზნაურობას. ჩვენ ახლა კარგად ვიცით, თუ რას ნიშნავდა იმის სიტყვები, რომ ყველა კანონებს აქ, ადგილობრივ, უნდა ვწერდეთო. კაი თქვენ დაგემართებათ, კარგ კანონებს დაუთესავ-დით თქვენ მუშა-ხალხს!

„— თავადი ილია ჭავჭავაძე საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მომხრეა და ამიტომაც ყველა კანონებსაც ადგილობრივ უნდა ვწერდეთო“.

— ჩვენ კი საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის წინააღმდეგნი ვართ! — ხმას აუწია ფილიპემ.

„— ილია თავკერძა თავადი არ არის. 1905 წელს, როცა რუსეთის მსგავსად საქართველოშიც შავრაზმელთა შეიარაღება დაიწყო რევოლუციური გლეხობის დასარბევად, ილიამ თავადაზნაურთა ყრილობაზე გაბედულად გაილაშქრა ამ ბნელი საქმის წინააღმდეგ: „რად გინდათ იარაღი რომ აგისხამთ? არ გაბედოთ! ახალეთ თავში ეგ იარაღი მათ, ვინც დაგირიგათ!“. ამაზე რაღა იტყვით?!“.

— ეგეც ფანდია, თუ ამას ამბობს ჩვენი სახელოვანი მწერალი მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ გლეხობისაგან მას დიდი შემოსავალი აქვს, გლეხობა მისთვის კარგი სათალი დუმაა!. თუ ვინმეა ჩვენში ისეთი, რომელსაც სავსებით განეხორციელებოს ცხოვრებაში თვითნებობა, ერთი იმათგანი უეჭველად თავადი ილია ჭავჭავაძე უნდა იყოს.

„ — 1864 წლის აპრილში ილია დანიშნეს იმერეთში საგანგებო მიიდობილობათა მოხელეთ ქუთაისის გენერალ-გუბერნატორთან. ილიას მოვალეობაში შედიოდა შესწავლა ბატონყმობის ნიადაგზე ჩამომდგარი ურთიერთობისა მებატონეთა და გლეხთა შორის. ადგილობრივ რეაქციონურ თავადაზნაურობას დიდად საწყენად დაარჩა პროგრესული მოღვაწის — ილიას დანიშვნა ამ თანამდებობაზე: ილია მეუღლესა სწერდა: „ჩვენი მოსვლა ვერაფრად ეჭაშნიკათ. აი ესენი არიან ჩვენი დამღუპველებიო, ყმების წამრთმევებიო, ნამეტნავად ჩემზედ თურმე ტლინკებს ჰყრიან“. მერეც სჩიოდა: „საქმე ეხლა ისე მოეწყო, რომ რაც შეიძლება მალე დავაღწიო' თავი სამსახურსა და მოვშორდე სუდის ნაწილის სიდამბლესა და სიმყრალესა... ქვეყანა დიდია; იქნება უსამსახუროდაც თავი როგორმე დავირჩინოთ... მარტო ეს მაწუხებს, რომ ცხოვრების სახსარი ჩვენი, სამსახურიდან რომ გამოვალ, ყინულზე იქნება დაწერილი“. — თქვენ კი ხალხთან და ღმერთთან აბეზღებთ, თუ გლეხების მოძრაობის ჩასაქრობად და თავის სახლკარის დასაცავად მთავრობის ჯარზე უარს ამბობს, თუ საზოგადოდ ერიდება ან ღონისძიებას ჩვენი სახელოვანი მწერალი, განა მართლა მხოლოდ იმ მოსაზრებით, რომ გლეხობისაგან მას დიდი შემოსავალი აქვს, გლეხკაცობა მისთვის კარგი სათალი დუმაა?!“.

— თუ ეს ასეა, მაშ რაღა საბუთი ჰქონდა თავად ილია ჭავჭავაძეს ასეთი უშვერი ლანძღვა-გინებით დაეჯილდოებია ჯერ კორესპონდენტი და მერე ის ორგანო, რომელმაც პირველმა გამოაქვეყნა ჩვენი მწერალ-მემამულის „საქმენი საგძირონი?“.

„ — ამის საბუთი პირველად ნოე ჟორდანიამ მისცა, როცა ქართველობასთან დააბეზღა ნულებათღა გვთვლითო, თანაც დაიმუქრა — „იმედია ამას არ დაივიწყებს ხალხიო“, ავ საქმეზე წაქეზება ბოუნდომა და სამი წერტილით დაამთავრა მუქარა: ღმერთმა უწყის, კიდევ რა დარჩა უთქმელი მეწშევიკების ფრაქციის მეთაურსა და „მოგზაურის“ იდეურ რედაქტორს?! მეორე საბუთი გაზეთ „მოგზაურის“ კორესპონდენტის მოგონილი ტყვილებია, მესამე საბუთად კი თქვენი გამოსარჩლება და დაუფიქრებელი ნათქვამიც დაემატა: „თავის გასამართლებლად დაწერილი ილიას წერილი უსასტიკესი საბრალმდებლო ოქმია თავისივე ხელით შედგენილი და ხელმოწერილი, ეს არის თავისივე ხელით თავის მოკვლაო“. რატომ გაიმეტეთ ასე უსაბუთოდ? სხვა რომელ თავადს დაუყენებთ წინ

თავად ილია ჭავჭავაძეს გლეხკაცობის მფარველობაში, გლეხთა მოძრაობის შემწყალებლობაში, ერის მამობაში?!

„მოგზაურის“ რედაქტორმა მოსჭრა:

— ამით გავათავებთ დღეს-დღეობით საუბარს ილია ჭავჭავაძის შესახებ. შეგვეძლო კიდევ ბევრი გვეთქვა მის შესახებ, მაგრამ ვფიქრობ, რომ ამითაც მოვაბეზრეთ მკითხველს თავი.

„— დიახ, ჭეშმარიტებაა, მოაბეზრეთ!“ — ამოხდა ტიტე ცამიწაძესაც.

სახელმწიფო საბჭოს წევრი

1906 წლის 6 აპრილი გათენდა. პეტერბურგის ქუჩებში გაზაფხულის სიომ დაჰკრა.

დილის საუზმის შემდეგ ილია ჭავჭავაძემ სასტუმროს მსახური იხმო.

— გეთაყვა, შენ გაზრდას, გამეგზავნე აი ამ მისამართით წერილის მისართმევად.

— ამ წუთსავე, ბატონო! — და სხარტმა ბიჭმა ლურჯი კონვერტი ვერცხლის ლანგარზე დადო, ნაჩუქარი ორი ათშაურიანი ჯიბეში ჩაიჩხრიალა და, მარმარილოს კიბეებჩარბენილმა, თითებიალერსიანად მოუთათუნა.

უფროსი მეგობარი უმცროსს — ალექსანდრე ყიფშიძე — ფრონელს სწერდა:

„ხელახლა მოვედი ამ ბედნიერ ქვეყანაში და ჩემი პირველი სალამი თქვენ უნდა მოგიძღვნათ, როგორც ჩემს კარგ თანამემამულეს. თუ არ დაიზარებთ და მნახავთ, დიდ სიამოვნებას მაღირსებთ. მე ჩემის კნეინით ვიახელ რუსეთის სატახტო ქალაქს, მუხინის ნომრებში ჩამომხდარი“.

ილია პეტერბურგს წაბრძანდა სრულიად რუსეთის თავადაზნაურობის ყრილობაზე, როგორც საქართველოდან გაგზავნილი სახელმწიფო საბჭოს დელეგატი — ამომრჩეველი და მიუხედავად მეფის ოხრანკის გულმოდგინე მამხილებლური წარდგინებისა, მაინც აირჩიეს სახელმწიფო საბჭოს წევრად.

საქართველოს თავადაზნაურობის დელეგატს პეტერბურგის გაზეთების კორესპონდენტები მიეტანნენ:

— თავადო, როგორია თქვენი შეხედულება საქართველოში გლეხთა აჯანყების შესახებ?

ჯერ პირველზე პასუხი არ გაეცა, რომ მეორე კითხვაც მიაყოლა:

— ან როგორ აფასებთ სატახტო ქალაქის გაზეთებში დაბეჭდილ ტელეგრამების სინამდვილეს?

ილია ჭავჭავაძემ ორივე კითხვას ერთი პასუხი გასცა და ყველა კორესპონდენტს ფერი ეცვალა:

— საქართველოს აწიოკების შესახებ რაც რუსულ გაზეთებში დაიბეჭდა, ის სინამდვილის მეასედია.

კორესპონდენტები ახლა თვითონაც ალაპარაკდნენ:

— მაშ მიგაჩნიათ, რომ თქვენი ხალხის ცხოვრება ვერ გარდაქმნეს?

ილიამ არც ეს დაფარა:

— ჩვენი ხალხის ცხოვრება ჯოჯოხეთად გარდაქმნეს.

ცნობისმოყვარე ჯგუფიდან ბლანჟეწვერიანი ჩია ტანის ჟურნალისტმა კითხვა შეუტრიალა:

— რაშია, თქვენის აზრით, გამოსავალი შექმნილი ჩიხიდან?

ილია ოდნავ დაყოვნდა, მაინც უპასუხა:

— რუსეთის შინა საჭირბოროტო საკითხების ისე მოვლა-მოგვარებაში, რომ საკუთარი თავი ამის შემწედ იგრძნოს ყოველმა წოდებამ.

კორესპონდენტები გაჯიუტდნენ:

— ვინ დააყენებს ასეთ საკითხებს სახელმწიფო საბჭოში, ან სათათბიროში და კონკრეტულად რას იტყვიან?

ილიამ მეხსიერება და გულის გრძნობა მიიზიდა და მიუგო:

— ჯერ იმაზე იტყვიან ალბათ ჩვენი სათათბიროს დეპუტატები, რაც დედამიწის ზედაპირზე ღიადა დევს. საუბედუროდ, რუსეთი ხალხის სწავლა-განათლებაზე ნაკლებად ზრუნავს. ადმინისტრაციისა და პოლიციის შენახვა ბევრად უფრო მეტი უჯდებოდა და უჯდება საერთოთ სახელმწიფოს და კერძოთ ქალაქებს, ვიდრე ხალხის განათლებისა და საექიმო, ან საბეითლო დახმარების მოწყალება.

— ფაქტებს ხომ არ მოიყვანთ, ილია გრიგორიჩ?

— რატომაც არა, თქვენივე გაზეთის ნომრები იტყობინებიან, ქალაქების დაახლოებითი ხარჯი ერთ მცხოვრებზე დიდად გასახა-

რი არ არის. მოსკოველთა სწავლაზე 70 პროცენტი მოდის, მაშინ როცა პოლიციაზე დახარჯული 116 პროცენტს აღწევს. პეტერბურგში სასწავლებლებზე 80 პროცენტი, პოლიციის შენახვაზე კი 90. ხარკოვში ცოდნის მისაცემად 30 პროცენტი, ცოდვის დასატრიალებლად კი 50-ზე მეტი. განა სერიოზული ფაქტები არაა, რომ სახელმწიფო საბჭო ჩაუფიქრდეს და სათათბირომაც გულმოდგინეთ ითათბიროს ასეთი განსხვავებულობის შესაბრუნებლად.

— იქნებ რუსეთის ტერიტორიული სიგრძე-სიგანით აიხსნება ასეთი განსხვავებულობა? — ჩაურთო კითხვა იმავე კორესპონდენტმა პასუხისავე კილოთი.

— რა თქმა უნდა. მაგრამ საოცარია, რომ რუსეთის იმპერიის ყოველ 207 ვერსის მანძილზე ერთი სკოლაა, პოლიციის უბანი კი ლამის ყოველ ნაბიჯზე. ჩემთვის დიდად პატივცემული მეცნიერის სახელმწიფო საბჭოს წევრის ბატონ კოვალევსკის გაანგარიშებით, მარტო მცხოვრებთა მომატების გამო ყოველწლიურად საჭიროა გაიხსნას სამი ათასი სკოლა.

— მაგრამ ამასაც ხომ უნდა მოჰყვეს საპოლიციო უბნების გაზრდაც. სხვაგვარად რუსეთის შინაური სიმშვიდე ბუშტივით გაქრება, — ჩაურთო შეფიქრიანებულმა ჟურნალისტმა.

ილია აზრის ფესვს ჩაწვდა:

— თქვენ გაფიქრებთ კლასობრივი გრძნობის გაზრდა ცხოვრების სკოლაში? რა თქმა უნდა, არც ამის გარეშეა. ბრძოლა კანონია ცხოვრებისა, კლასობრივი ბრძოლა კი კლასობრივი ბრძოლის კანონი. მაგრამ საპოლიციო უბნები რომ შევამციროთ და სასკოლო კლასები გავზარდოთ, მაშინ ურთიერთის სიძულვილის თესლიც შემცირდება, თუმცა საბოლოოდ ვერ გაქრება, თუ არ გადაწყდა აგრარული საკითხი ისეთივე მონდომებით, როგორც ამის გადაწყვეტას ითხოვს ნაციონალური საკითხიც. აი, ყოველ ასეთ კითხვას პასუხი უნდა გასცეს სახელმწიფო საბჭომ.

— რამდენად ბრძანდებით დარწმუნებული, რომ ასეთ კითხვებზე სახელმწიფო საბჭოს თქვენებური პასუხიც მოჰყვება?

ილიამაც იცოდა, რომ არც არანაირი პასუხი მოჰყვებოდა, მაგრამ იმდენს მაინც იქმდა, რომ საქართველოში დატრიალებულ უსამართლობის სურათს დახატავდა, რომ იქნებ მცირეთა გულები

ნაინც აღელვებინა და რუსი მოწინავე ინტელიგენცია მეფის დესპოტიზმის საწინააღმდეგოდ განეწყო.

ეს ის დრო იყო, როცა რუსეთის და მასთან ერთად მასში შემავალი საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქცია, — შეშვევიკებისა და ბოლშევიკების, — ბოიკოტს უცხადებდა მეფის ბიერ ხალხის პირბადედ ჩაფიქრებულ სახელმწიფო სათათბიროს და უკვე ესეც აშკარა პროტესტს წარმოადგენდა, სამუქაროდ განაწყობდა ბულიგინის სათათბიროს მიმართ, რომელიც მეფის ადმინისტრაციას თავის ხსნის გზად მიეჩნია.

ამიტომ გაზეთის კორესპონდენტთა შეკითხვებიც ილიას გულში ნადების გადმოშლასაც მოითხოვდა, რასაც შესაძლოა სათათბიროს დიდი უმცირესობა დაეიმედებინა ბრძოლის გაბედულად გასაგრძელებლად, რეაქციული უმრავლესობა კი თავთავიანთ სკამებზე საზარლად აეკყივლებინა. ილია ასეთ მოლოდინს არ შეუშინდა და თვითონაც გაბედულად თქვა:

— თუ სახელმწიფო საბჭოში მოხერხდა, იქ შევეცდები ღაღუფარავად დავხატო სრული და უტყუარი სურათი ჩვენი ქვეყნის ვაებისა.

გაზეთის კორესპონდენტების ნაწილი კმაყოფილებით გაიმართნენ, სხვანი კი უსიამოვნოდ აილურსნენ ფანქარმომარჯვებული პოზით. მერე ერთმა იმათგანმა თავაზიანად ჰკითხა:

— თავადო, თქვენ მაღალი წოდების კაცი ბრძანდებით, აზრებს კი ისეთს ქადაგებთ. სოციალ-დემოკრატების ბოლშევიკი ლიდერები რომ მოითხოვენ:

მეორემაც დააძატა:

სახელმწიფო საბჭოში, ვგონებ, თავადაზნაურობამ აგირჩიათ, ან იქნება ვცდები?

ილიას გაეღიმა, აგრძნობინა, „არა სცდებითო“, და ბევრისმთქმელ ღიმილს, მჭევრმეტყველებით დააყოლა:

— სახელმწიფო საბჭოში მე ამომირჩია თავადაზნაურობამ. ეს იმას არ ნიშნავს, რომ საბჭოში მე მარტო თავადაზნაურთა საჭიროებებზე ვილაპარაკებ.

— მაგრამ განა სწორედ ამას არ მოითხოვენ თქვენგან ამომრჩევლები, ილია გრიგორიჩ?..

— თუ ამას ფიქრობენ ზოგნი ჩემნი ამომრჩეველნი — ეს დიდი შეცდომაა. სახელმწიფო საბჭოში თუ თავადაზნაურთა სახელით

შევდივარ, ეს მხოლოდ ფორმალური, იურიდიული მხარეა. არ დავფარავ და ვიტყვი: საბჭოში მთელი საქართველოს და ქართველთა ინტერესების დამცველი ვიქნები. საერთო კითხვებსაც შევწირავ ჩემ ღონეს.

„პეტერბურგსკიე ვედომოსტის" კორესპონდენტიც ჩაჰყვა ილიას ნაგულისხმევ „საერთო კითხვასაც" და კითხვა შეუფინა:

— ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ორიოდე წლის წინათ, უფრო ზუსტად 1905 წელს, თქვენ ინებეთ გებრძანებინათ, რომ საქართველოს პოლიტიკურ ავტონომიას ითხოვთ, მაშინ როცა თქვენი თანამემამულე სოციალისტური პარტიები დღესაც ასეთი თქვენი მოთხოვნის წინააღმდეგნი არიან. ხომ არ შეგეცვალათ აზრი რევოლუციური აღმავლობის დაცემის დღევანდელ ეპოქაში, ბატონო ილია გრიგორიჩ?!.

ილიამ თავი გააქნია, რაც კატეგორიულ „არას!" ნიშნავდა, და მოკლედ მოსჭრა:

— მე დავიცავ ადგილობრივ ინტერესებს. ადგილობრივ საჭიროებათა და ინტერესების სფეროში მე მომიხდება დავიცვა ფართო თვითმმართველობა კანონმდებლობის უფლებით.

— ხომ არ ინებებთ ისე გავიგოთ, თქვენი ეს სიტყვები, რომ მომხრე ბრძანდებით „ადგილობრივი ფართო თვითმმართველობისა, ადგილობრივი ფართო კანონმდებლობითი უფლებით", რომლის წინააღმდეგნი არიან თქვენივე თანამემამულენი?

— ჭეშმარიტად სწორად გინებებიათ გაგება, ბატონებო. ასევე დაბეჭდეთ.

იმათაც დაბეჭდეს და მკითხველები ორად გაჰყვეს — რეაქციონერებად და პროგრესისტებად. უკვე სახიერად ჩანდა, რომ ერთნი, მეფის ძალები, ანჩხლობდნენ, იმუქრებოდნენ, იარაღზე ხელს იკრავდნენ; მეორენი კი დინჯად ამბობდნენ — ისტორიის ჩარხის ტარს ხელს ვეღარ ჩაჰკიდებთ და უკან რაღას დაატრიალებთო.

— ცდებით, ბატონო სოციალისტებო! ისტორიის ჩარხი უკვე დატრიალდა უკან. რევოლუციის ტალღასაც ფაცერი დავუდეთ, თვითონ რევოლუციონერები კი სარდაფებში შევყარეთ და, კაზაკობის წყალობით, უკვე შევატრიალეთ გუშინდელი დღე!

ამის მთქმელთა ხმის ჩასახშობად გაემართა ილია ჭავჭავაძე პეტერბურგს.

ილია იმთავითვე სახელმწიფო საბჭოს მცირე, მემარცხენე,

ჯგუფს მიეკედლა, თუმცა მისგან მოითხოვდნენ მემარჯვენე, კადეტების ფრთას გაჰყოლოდა როგორც დიდი მემამულე-თავადი.

მცირე, მემარცხენე ჯგუფი კი, ილიას გულისწადილს რომ უდგებოდა, განცალკევებულ კომისიას შეადგენდა, რომელიც დიდის ყურადღებით ადევნებდა თვალს პირველი სათათბიროს მუშაობას. ეს წრე თავის კრებებზე არჩევდა იმ კითხვებს, რომლებიც სათათბიროში მზადდებოდა და უკვე თავიდანვე ჩანდა, რომ მათ განხილვას დიდი აურზაური მოჰყვებოდა, პოლიცია ამხედრდებოდა და მონარქიც გაწყრებოდა. სხვა რამ სასიკეთო იმედი არც უღიმოდათ: ამნისტია რევოლუციის მოთავეებისა და მონაწილეებისათვის, სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმება, ამას აგრარული საკითხის გადაჭრაც ემატებოდა და ბევრი სხვაც, რაც სულაც არ ეწერა მეფის მთავრობის ზნეობრივ კარაბადინში. 17 ოქტომბრის მანიფესტის სიფუყე ვერავის ვერ დააპურებდა, თავისმომტყუებლები კი მომხიბვლელ დაპირებებს აეტანათ და ხალხს ულოცავდნენ: „დადგა სანატრელი დღე, რასაც ბრძოლით ველოდით, მეფის წყალობით მივიღეთო“.

კორესპონდენტები კი ერთი შეკითხვით ყველა საკითხზე მოკლედ მომცემ პასუხს სთხოვდნენ ილიას. ქართველი მათი კოლეგა მალაქია ბოლქვაძეც როდი უმალავდა, თუ რამ იცოდა, ჟურნალისტებს წინ უშლიდა.

— აგრარული საკითხი სოციალ-დემოკრატების დაყენებულია. ნუთუ თავადი ილია ჭავჭავაძეც ამასვე მოითხოვს? — ჰკვირობდა ერთი მათგანი და ქართველი კოლეგის პასუხს ელოდა.

— დაიხ, ამ საკითხის გარჩევის დროს ილია გრიგორიჩს სურს ვრცლად და სერიოზულად დასაბუთებული მოხსენება წარადგიოს სახელმწიფო საბჭოში.

— როდის?

— სახელმწიფო საბჭოს სესიის რომელიმე სხდომაზე.

ასეც მოხდა:

— რას შეიძლება ვუწოდოთ „საძულველი ვიწრო ბიუროკრატიული რეჟიმი?“ — კითხვა დასვა ილიამ და სათათბიროს მემარცხენე დელეგატების ჯგუფმა ერთხმად ამოხსნა:

— არსებულ რეჟიმს!

ილიამაც თავის დაქნევით დაუდასტურა:

— კომისიამ მოიწადინა დაამატოს სახელმწიფო საბჭოს მიერ დადგენილ განაწესს... სახელმწიფო საბჭოსა და ხალხს შორის ყოველგვარი კავშირის აკრძალვის თვალსაზრისი. ეს ცოტათი მოგვაგონებს ვიწრო-ბიუროკრატიული რეჟიმის საძულველ დასაწყისს, რომელსაც ჰგონია, რომ სახელმწიფო დაწესებულებები და პიროვნებები კი არ არსებობენ ხალხისათვის, არამედ ხალხი — ამ დაწესებულებებისათვის.

ახალი კითხვები შეჰფინეს მარცხნიდან და მარჯვნიდანაც. ილია შუაში იდგა და იგერიებდა:

— ბუნებამ სიმდიდრით მორთო თქვენი მხარე და კეთილდღეობას განა ესეც არ გიზრდით?

ილიამ გულში ნადები როდი დაუმალა:

— ხალხთა კეთილდღეობას სხვა მხრითაც ხელის შეწყობა სდომებია. კაცს მაგოდენად ვერა შველის თურმე ვერც სიკეთე ჰაერისა, ვერც სიმსუქნე მიწისა, ვერც შეძლება ყოველ-გვარის წარმოებისა, თუ კაცთა შორის კეთილად დადგენილი და ცხადად განსაზღვრული არ არის ურთიერთშორისო უფლება და მოვალეობა. კაცთა კმაყოფილებისათვის, ხალხთა კეთილდღეობისათვის, ეს უკანასკნელი უფრო აუცილებლად საჭიროა, ვიდრე სხვა რამე ქვეყნიერებაზე.

— ამას რა გადასწყვეტს?

— ისა, რომ კაცმა იცოდეს, „ჩემი აქ თავდება და სხვისა აქ იწყება“.

— მაგრამ ვინ ჩააგონოს ეს უბედურ ადამიანებს?

— კანონმა. რაც სხვისაა, — ჩემი მოვალეობაა, რაც ჩემია, — ეგ ჩემი უფლებაა.

— რომელმა უნდა წადგას ფეხი წინ ძლევამოსილ ხვალესათვის?

— ორივემ თანასწორად. უფლება და მოვალეობა, რომელნიც არიან პირველნი და უკანასკნელნი საგანნი ურთიერთშორის განწყობილებისა, დადგინდება და განისაზღვრება მხოლოდ ხალხის კანონმდებლობის ძალითა და ნიჭითა.

— ამით რის თქმა გსურთ?

— იმისა, რომ მომქმედი კანონი უვარგისია!

მერე ნათქვამ სიტყვას აწონილი აზრიც გააყოლა:

— რამდენად მისაღებია ეს საბუთი, ჩვენ მაგის გამოძიებას

არ შევუდგებით; ჩვენ მარტო ის გვინდოდა გვეთქვა, რომ რაც უნდა მდიდარი ქვეყანა იყოს ბუნებით, თუ იქ ჩემი და შენი, ესე იგი კაცთა უფლება და მოვალეობა, ძნელად გასარჩევია და არ არის საყოველთაოდ განსაზღვრული ცხადად და უცილოთ, იქ ხალხის წარმატება და კეთილდღეობა, თუ ყოველ-დღე უკან არ იწევს, შეფერხებული ხომ არის და არის. ამისი მაგალითი თვით ჩვენი ქვეყანაა. ერთი მითხარით, რა არ მოუცია ღმერთს ჩვენის ბედნიერებისათვის? ყოვლისფერი უხვად გვაქვს, მხოლოდ არა გვაქვს ურთიერთშორისი განწყობილება.

ყველა არ გაჰყვა ილიას საყვედურს, საბუთიც კი დაუდეს.

— 1861 წლიდამ ბევრგვარი ცვლილება მოხდა, რომელთ აზრად ჰქონდათ და აქვთ საზოგადო ურთიერთშორისო წყობილება უკეთესს და უფრო უმართლეს ნიადაგზე დაედგინა.

— დიახ, — მოუჭრა ილიამ, — ამ ცვლილებას ჩვენში ყოველი გონიერი და მიხვედრილი კაცი დიდის სიხარულით და თითქმის აღტაცებით მიეგება, მაგრამ გამართლდა ჩვენი სიხარული და აღტაცება თუ არა?

არა!

„რატომ, არა?“.

— იმიტომ, რომ 1861 წელს მოისპო ჩვენში ერთისაგან მეორის ადამიანობის გაქელვის მიზეზი, კაცი კაცად აღიარეს. ეს ერთი დიდი და უკეთესი მხარეა ამ სახელოვანის ცვლილებისა. აქ ყოველივე დამოკიდებულების კავშირი სამუდამოდ გაწყდა; ერთს ჩამოაცალეს ის, რაც სიმართლის შეურაცხყოფა იყო, მეორეს დაუბრუნეს ის, რაც უმართლოდ წართმეულ ჰქონდა. ამ მხრით ორთა-შუა ხელის მოსაკიდებელი და სადავიდარაბო არა დარჩენილა რა, ჩემსას და შენსას ამ მხრით მათ შორის ადგილი აღარ ჰქონდა. მაშასადამე, აქ საჭირო არ იყო განსაზღვრა უფლებისა და მოვალეობისა. ხოლო ბატონ-ყმობის საქმეში არის მეორე მხარეც, რომელსაც ქვეყნის კეთილდღეობისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, განთავისუფლებულ გლეხს დაბინავება უნდოდა. უამისოდ გლეხის განთავისუფლება იმას ემგვანებოდა, რომ კაცისათვის გეთქვათ: წადი, ეხლა თავისუფალი ხარ, რომ შიმშილით მოკვდეო. ჩვენდა საბედნეროდ, ეს ასე არ მოხდა. გლეხს ბინა მიეცა, მიწა მიეცა. რადგანაც გლეხის ადრინდელი ბინა და მიწა საბატონოდ აღიარეს და გლეხს სახმარისად დაუტოვეს, მაშასადამე, აუცილებელი საჭი-

როება მოითხოვდა განესაზღვრათ უფლება და მოვალეობა გლეხს და ნაბატონარს შორის. აი, ჩვენის ფიქრით, ამ განსაზღვრაში მოხდა ის, რამაც ჩვენი თავდაპირველი სიხარული არ გაამართლა იმდენად, რამდენადაც იმედი გვქონდა.

რასაკვირველია, ვიდრე ეგ საქმე გადაწყდებოდა, დიდი ლაპარაკი და ყაყანი იყო მასზე, თუ როგორ უნდა გააშველონ ბატონი ყმასა, ყმა ბატონსა.

მცირემ, მაგრამ უკეთესმა ნაწილმა ჩვენის საზოგადოებისამ მაშინვე აღიარა, რომ თუ საქმე იმაზე მიდგა, ისა სჯობია, ეხლავე ისე გავშველდეთ, რომ ურთიერთშორის სამდურავისა და დავიდარაბის მიზეზი ჩვენში აღარ დარჩეს რაო.

რაკი გლეხი მისის ნაჭერის მიწების მეპატრონედ არ იცნეს, რასაკვირველია, ეს აზრი ფრიად მოსაწონი და სამჯობინარი იყო ყველასათვისა.

ამგვარად გაშველებისათვის ორი გზა იყო: ერთი ის, რომ მებატონეს მაშინვე მიეყიდნა გლეხისათვის მამული და მთავრობას გლეხისათვის ამაში ხელი გაემართა, ან არა და გადასახადი მოჭრით განესაზღვრათ, გადაეკვეთათ.

რასაკვირველია, პირველი გზა უმჯობესი იყო, თუ არჩევანზედ მივარდნილიყო საქმე. მაგრამ არამც თუ არც ერთი ეს გზა არ მიიღო ჩვენმა საზოგადოებამ, არამედ მაგ გზების დედა-აზრიც სრულიად უარჰყო.

ჩვენი საზოგადოების მეორე ნაწილმა, უფრო უმრავლესმა, განდევნა სრულიად პირველთა დედა აზრი და ირჩია საქმის გათავება ისე, რომ გლეხსა და ნაბატონარს შორის ცოტა კლანჭ-გამოსადები რამ დარჩენილიყო. ჩამოვარდა მეოთხედობა — ეს განუსაზღვრელი მიზეზიანი მოვალეობა ერთისა და მეორისაც.

— წეღან ერთი თქვით, ახლა მეორეს ბრძანებთ, თავადო; თუ გლეხის მოვალეობას სძრახავთ, როგორღა მოითხოვთ იმის უფლებას? — წააძახეს საყვედურად სახელმწიფო საბჭოს იმ წევრებმა, რომლებიც გლეხის მოვალეობაზე თვალებს აშუეტდნენ, თავიანთ უფლებებზე კი ხელს არ აკარებინებდნენ.

ილიამ საამისოდაც მოიმარჯვა სიტყვის სალესავი.

— მეოთხედი მოსავლის შინ მიტანის დროს მებატონის კაცი უნდა დასწრებოდა. აბა, ახლა იფიქრეთ, სად შეეძლო ერთსა და იმავე დროს ოცსა და ორმოც კომლთან მოსავლის მეოთხედი მი-

ეთვალა, თუ აეწყო. ამიტომ გლეხი უცდიდა, წვიმით ჭირნახული უფუჭდებოდა და საქმე თავსატეხი უხდებოდა გლეხსაც და მებატონესაც. ასეთი დავიდარაბა გლეხკაცს სასამართლოში არბენინებდა და მოსამართლე-ჩინოვნიკების კლანჭებში ვარდებოდნენ. ამასთან საჩივრების გამო ჩვეულებრივი მიწერ-მოწერა, დავიდარაბა და გამოძიება გლეხს უფრო მეტად აზარალებდა, ვინემ მებატონეს, სანამ სამართალი თავისას იტყოდა, ამის მოლოდინში ტაციობა და ძალმომრეობა იწყებოდა.

ამიტომაც ერთმანეთისაგან გასარჩევია, რა უფრო სასარგებლოა ხალხის კეთილდღეობისათვის, — ისეთი მმართველობა, როცა ყველაფერი ერთის მესვეურობით კეთდება, თუ ის, როცა ადგილობრივი თვითმმართველობა ეკიდება?

პერე ილიამ რუსსა და უცხოელ კორესპონდენტებს გამომკითხავი იერით გადახედა და განაგრძო:

— ერთი მწერალი ამბობს: ისტორია ამტკიცებს, რომ თვითმმართველობა უკეთესი წამალია ხალხის ყოველგვარის საჭიროებისა. სადაც უნდა დარგათ, იგი ყველგან ხეირობს. როცა პრუსიამ წაართვა საფრანგეთს ელზასი და ლოტარინგია და პარლამენტში ჩამოვარდა საუბარი მასზედ, თუ რა-გვარი მმართველობა მივცეთო ამ ახლად დაჭერილს ქვეყნებს, ბისმარკმა აი რა სთქვა: „ჩვენი საქმე ელზასსა და ლოტარინგიაში თვითმმართველობის გაძლიერება უნდა იყოსო. ადგილობრივი საზოგადოების კრებანი უნდა დავაწყოთო ადგილობრივის მმართველობისათვისაო. ამ კრებათაგან უფრო უკეთ გვეცოდინება იმ ქვეყნების საჭიროება, ვიდრე პრუსიის მოხელეთაგანა. ადგილობრივთა მცხოვრებთაგან ამორჩეულნი და დაყენებულნი მოხელენი ჩვენთვის არავითარს შიშს არ მოასწავებენ. ჩვენგან დანიშნული მოხელე კი მათთვის უცხო კაცი იქნება და ერთი ურიგო რამ ქცევა უცხო კაცისა უკმაყოფილებას ჩამოაგდებს, და ეგ მთავრობის განზრახვასა და სურვილს არ ეთანხმება. მე უფრო ისა მგონია, რომ მათგან ამორჩეულნი მოხელენი უფრო ცოტას გვავნებენ, ვიდრე ჩვენივე პრუსიის მოხელენი“.

თუ იმისთანა კაცი, როგორც ბისმარკია, რომელიც თავისუფლების დიდი მომხრე მაინცდამაინც არ არის, ისე იღვწოდა თვითმმართველობისათვის, მერე იმ ქვეყნების შესახებ, რომელთაც გერმანიის მორჩილება არამც თუ უნდოდათ, არამედ ეთაკილებოდათ,

თუ ამისთანა რკინის გულისა და მარჯვენის კაცი, როგორც ბისმარკია, სხვა გზით ვერ ახერხებდა ურჩის ხალხის გულის მოგებას, თუ არ თვითმმართველობის მინიჭებითა, სხვას რალა ეთქმის?!.

ილია ჭავჭავაძემ თვითმმართველობის კუთვნილებანიც ჩამოთვალა:

— ადგილობრივთა საქმეთა ადგილობრივის გასამართლების უფლება;

— უმაღლესის მთავრობისაგან განწესებულის ხარჯისა, ბეგარისა და სამსახურისა ადგილობრივთა მცხოვრებთა შორის განაწილება;

— ადგილობრივის საჭიროებისათვის გარდასახადის დადგენა, გაწერა და აქედან შემოსულის ფულის თავისუფლად გამგეობა;

— სხვადასხვა წესისა და რიგის დადგენის უფლება ადგილობრივის საზოგადოების კანონად, მაგრამ ისე კი, რომ იგი წესი და რიგი საყოველთაო კანონს არ ეწინააღმდეგებოდეს;

— ადგილობრივი საზოგადოების პირველ-დაწყებითი სწავლის მოწყობა და თავისუფალი გამგეობა;

— ადგილობრივი საზოგადოებისათვის მზრუნველობა და ღონისძიებების მოხმარება;

— ადგილობრივი საზოგადოებისათვის თადარიგის დაჭერა და ღონისძიების მოპოვება;

— ადგილობრივი გზებისა, ხიდებისა კეთება, მოვლა და თავისუფალი გამგეობა;

— უმაღლესი მთავრობის წინაშე შუამდგომლობა ყოველს მასზედ, რაც ადგილობრივი საზოგადოების საჭიროებას და მოთხოვნილებას შეადგენს.

ილიას ნააზრევმა თვითმმართველობის უმთავრეს საფუძვლებად წარმოსახა, რომ:

1. ხმა და არჩევის უფლება უნდა ჰქონდეს ყოველს ადგილობრივს მცხოვრებსა, რაკი სრულწლოვანია; მაშასადამე, ყოველ მოვალეობაშიც ყოველს მცხოვრებს წილი უნდა ედვას;

. ადგილობრივი სამმართველოს ხელქვეევით უნდა იყვნენ ყოველნი, ვინც კი სამმართველოს წრეში სცხოვრობს; აქ, როგორც პირველს შემთხვევაში, წოდებათა შორის განყოფილება და ხარიხების ვადება მავნებელია და თვითმმართველობის ბუნების წინააღმდეგია;

3. ადგილობრივი მოსამართლენი, ავრეთვე მოხელენიც, უნდა ამოირჩიონ ადგილობრივთა მცხოვრებთა;

4. ყოველივე ადგილობრივის თანამდებობის მქონი კაცი პასუხისმგებელი უნდა იყოს წინაშე საზოგადო სამართლისა და სამსჯავროსა და არა თავისთა უფროსთა წინაშე.

* * *

სახელმწიფო საბჭოშიც ხუთ თვეზე მეტი დრო ილაპარაკეს სახელმწიფო კანონებისა და ხალხის უფლებების ურთიერთ მისადაგების შესახებ, მაგრამ სარფა იმით ვერა ნახეს, ვისთვისაც შეიკრიბა პირველი სათათბიროც. ხუთ თვეზე მეტია, რაც რუსეთის პარლამენტი მოქმედობს; ხუთ თვეზე მეტია, რაც თავრიდის სასახლეში ხმა მაღლა გაიძახიან „კანონების" დამყარების შესახებ, და კანონები არ დამყარდა, — სჩიოდნენ ტრიბუნიდან სათათბიროს თუ საბჭოს დეპუტატები. 17 ოქტომბრის მანიფესტით დაპირებული თავისუფლებანი საპნის ბუშტივით გაქრა. ილია ახალი დროების ვითარებას იმასწინდელს ადარებდა და სასიქადულოს ვერას ხედავდა.

ქართული ჟურნალის „განათლების" მიმომხილველი კი დაზუსტებულ ცნობებს აქვეყნებდა რეპრესიების გაძლიერებაზე რუსეთში. გაზეთმა „ტოვარიშჩმა" მკითხველებს აუწყა, რომ ერთი წლის განმავლობაში სულ სხვადასხვა სამსჯავრო დაწესებულებათა დადგენილებით დასჯილთა რიცხვი 11,060 კაციაო. აქედან სიკვდილი მიესაჯა 1692 კაცს. სამუდამო კატორღა — 477-ს, გადასახლება 413-ს, ციხეში გამომწყვდევა — 6112 კაცს. დასჯილთაგან 4704 ყოფილა გლეხი, 2130 — სამხედრო, 1603 ქალაქის მუშა, 446 მოსწავლე, 211 — პირველი და მეორე სათათბიროს დეპუტატი, 176 — პერიოდული გამოცემების რედაქტორი.

სინანდვილეში რეაქციის მსხვერპლი ბევრად მეტი იყო. არც საქართველოში მოიცარა ხელი მართლმსაჯულების უკანონობამ.

— კანონი კაცს არა ჰქმნის, ხოლო ეს კია, — თუ კანონი ისეთია, რომ კაცი პოულობს მასში ღონისძიებას ცუდი საქმე ჩაიდინოს, მაშინ კანონი ბრიყვი ადამიანებისაა; თუ კანონი ისე ბნელია, რომ კაცს არც ესმის და ვერც გაიგებს, მაშინ ადამიანს არც ეცოდინება კანონი; თუ კანონი იმისთანაა, რომ თვით კეთილსინ-

დისიანს კაცსაც არ ძალუძს მისი აღსრულება უნაკლოდ, მაშინ კანონს ადამიანი არც ასრულებს. ამიტომაც საჭიროა საზოგადო სასამართლოების გარდა, ცალკე ადგილობრივი სასამართლოებიც დაწესდესო, იმისთანა სასამართლო, რომელიც მოდავისათვის მახლობლად იყოსო და ისეთი მარტივი საქმის საწარმოო წესები ჰქონდესო, რომ შეეფერებოდეს უმრავლესის ხალხის საჭიროებასო. ამიტომაც მას ჰქვიან მომრიგებელი სამართალიო.

ილიამ ამიტომაც ჩაიხედა რუსეთის წესდებაში, რომელშიც შეტანილი იყო, რომ მომრიგებელი მოსამართლე უსათუოდ იმ ადგილის შვილი უნდა იყოს, საცა მოსამართლობა უნდა და, გარდა ამისა, იქაურ მცხოვრებთაგანვე აღმორჩეულიო.

— ჩვენი წესდებით კი არ არის საჭიროდ ცნობილი, რომ მომრიგებელი მოსამართლე უსათუოდ ადგილობრივი მცხოვრებთაგანი იყოს, — ჰკვირობდა ილია, — ამის გამო ხშირია ჩვენში, რომ იაროსლაველი კაცი სვანებს, მაგალითად, ან ფშავ-ხევსურებს მოსამართლედ ენიშნება იმავე „მომრიგებელი მოსამართლის“ სახელითა, რომლის შესახებ უმაღლესმა მთავრობამ საქვეყნოდ საბუთიანად აღიარა, რომ თუ ადგილობრივი მცხოვრები არ არისო, მოსამართლობას ვერ იზამსო. რა მიზეზით უნდა აიხსნას ეს მართლა და გაუგებარი განკარგულება, რომელმაც მომრიგებელ მოსამართლობას გული გამოაცალა და მარტო ქერეჭი შეარჩინა.

სახელმწიფო საბჭოს წესიერი წევრი კი იკითხავს:

— რამ აიძულა კანონმდებლობა, რომ ხალხს მომრიგებელი სასამართლო არ დაუახლოვა?

— სხვა არაფერმა, ჩვენის ფიქრით, გარდა ფულის ანგარიშისა. სამართლის ურიგოდ მოწყობილება სვავია — რომელიც ნთქავს ხალხის სიმდიდრესა, მახვილია — რომელიც ჰკვეთს ფრთებსა ხალხის ხელთმოქმედებას და ეკონომიურს წარმოებას. სამართალი და კანონი უნდა ყველას სწამდეს თავის მფარველად, თავის სახსნელად. თუ სამართალი და კანონი ისეთია, რომ მისი არც კარგი სჯერათ და არც ავი, მაშინ, ვიმეორებთ, ყველაფერი ამაოა. მაშასადამე ამისთანა საქმეში, როგორც სამართლის აღგება და დაყენებაა, ფულის დაზოგვა, ხარჯის შიში — დიდი შეცდომაა და შეუვსებელი ნაკლია.

ზოგი გაკვირდება ასეთი ულოგიკობით.

— ალბათ, ადგილობრივი ხაზინა ისეთს მდგომარეობაშია, რომ

სამყოფ ფულს ვერ შოობს სამართლის რიგიან მოწყობისათვის? — თავს იმართლებს მართლმსაჯულების მიამიტი დამცველი. ჭავჭავაძე კი ფესვში ჩახედულად იტყვის:

— თითო მაზრაში რომ ოთხი მომრიგებელი მოსამართლე მაინც ყოფილიყო, და ის ეკმარებინათ, რაც რუსეთშია მიღებული, მოსამართლედ იქაურ მცხოვრებთაგანი დაენიშნათ, მაშინ სრულიად საჭირონი აღარ იქნებოდნენ იმოდენა კანცელარიები, მთარგმნელები, რამოდენანიც ეხლა არიან და ჯამაგირებსაც სჭამენ. მაშინ უსარგებლოდ იმოდენა ხარჯი არ წავიდოდა. რატომ არ უნდა მოისპოს ეხლა ჩვენში, მაგალითად, თუნდა ის „დობავოჩნი", რომელიც სრულიად უმიზეზოდ და უსაბუთოდ ეძლევათ ჩვენში სხვიდან მოსულს მოხელეს ყოველ ხუთს წელიწადში? იმ უსამართლო გასავლის მოსპობა არა სჯობდა სამართლის ფესვების დაჭრას?

ჩვენში ხშირად, ნამეტნავად ამ ბოლო დროს, იმისთანა მომრიგებელი მოსამართლენი ინიშნებიან, რომელნიც ხალხის ენის უცოდინარნი არიან. უენო კაცმა რა გაარიგოს? რა შუაკაცობა უნდა გაუწიოს იმათ, ვისაც მაგისი არა ეყურება-რა და ვისიც თითონ არ ესმის-რა?

— განა მთარგმნელის შემწეობით ვერ მოხერხდება მორიგება?! ილიამ ირონიულად გახედა.

— ჩვენ პირდაპირ ვიტყვით, რომ მთარგმნელის შემწეობით უფრო ადვილად შეიძლება მორიგებული საქმე დაიშალოს, ვიდრე მოსარიგებელი გარიგდეს.

— ეგ საერთო ნაკლია, — შემოესმა ილიას, — რუსეთშიაც უჩივიან, რომ მომრიგებელნი მოსამართლენი ვერ ასრულებენ თავიანთ დანიშნულებას ისე როგორც სანატრელია, და, სხვათა შორის, მიზეზი ის არის, რომ კანონი ნებას აძლევს იმისთანა კაცი ამოირჩიონ მოსამართლედ, რომელსაც მამული აქვს იქ, საცა ირჩევენ და ცხოვრებით კი იქ არა სცხოვრობს; ამის გამო ადგილობრივის გარემოების უცოდინარია და თავის დანიშნულებას წარმატებით ვერ ასრულებსო.

ილიას კიდევ უფრო გულს მოედო:

— თუ რუსეთში ერთს მაზრაში მცხოვრები ვერა ვარგობს მეორე მაზრაში, რომელთანაც ქონებითი და თემობითი კავშირი მაინც აქვს, აბა როგორ უნდა ივარგოს ჩვენში კაცმა, სრულიად ხამად მოსულმა უცხო ხალხში, ჩვენთან არავითარის კავშირის მქო-

ნებელმა; ჩვენი ენისა, ჩვეულებისა და ყოფა-ცხოვრების მთლად უცოდინარმა? თუ რუსს რუსეთში უძნელდება საქმის მორიგება, სხვათა შორის იმითაც, რომ ადგილის მკვიდრი მცხოვრებელი არ არის და ადგილობრივის ვითარების უცოდინარია, ჩვენში ხომ უფრო უარესად უნდა გაუძნელდეს? აკი უძნელდებათ კიდეც.

• • •

ილიასაც გაუძნელდა პეტერბურგში უფრო მეტხანს დარჩენა, გული აღარ უდგებოდა, შინისაკენ მიუწევდა. თანაც საგურამოდან ცუდი ამბავი მოუვიდა.

როგორც კი სახელმწიფო საბჭოში საქმეები მოილია, იქაურობას გამოეშვიდობა, საქართველოსაკენ გამოეშურა, მაგრამ რეაქციული დეპუტატებისა და მეფის მინისტრების გულისწყრომაც გამოიდევნა და მემარცხენე, პროგრესისტთა თანაგრძნობა და თაყვანისცემაც გამოიმძღვარა.

სატახტო ქალაქის ადმინისტრაცია უკვე აღარ ხუმრობდა; დიდად იყო დათრგუნული დეპუტატ ჭავჭავაძის პეტერბურგში ნაღვაწით და საათებს ითვლიდა, როდის გაეცლებოდა ქართველი თავადი მისი იმპერატორობითი უდიდებულესობის ადგილსამყოფელს. პოლიცია და ჟანდარმერია კი ამასობაში დროს არ კარგავდა, ილიას საწინააღმდეგო ბოროტების ბადეს ქსოვდა და ახლა ხელსაყრელ დროს ეძებდა, რომ დედაქალაქიდან დიდად დაშორებულ თბილისში ჭიქა-ქუხილი აეტეხა, ხოშკაკალა დაეშინა, ღვარლაფი წარმოედინებინა ილიას მამულამდე ჩამოსაღვრელად და ღვარცოფიც გადაეტარებინა მის სიცოცხლეზე.

საგურამოში აბრძანებულ ილიას მოურავი მოსე მემარნიშვილი ჩვეულებისამებრ წიწამურთან აღარ დაუხვდა, როგორც წესად ჰქონდა დადგენილი. მეეტლე ლაბაურმა მიკიბულ-მოკიბულად მიუბლანდა „მოჰკლეს“, „მე რა ვიცი“. საგურამოს მამულში მეფუტკრე იან მასლოვი კი წვრილად მოუყვა:

— 7 ივნისს ჩვენთან ემზადებოდნენ თიბვისთვის და მოურავმა გლეხები გაგზავნა სოფელში. ეზოში დავრჩით დამლაგებელი ქალი და მე. ჩვეულებრივ 7 საათზე ჩაი დავლიე და წავედი საფუტკრეში. ჯერ მუშაობა არა მქონდა დაწყებული, რომ მომესმა კარის ჭრიალი, მოურავის ცოლის ყვირილი — ახ! და სროლა. მე მაშინვე

მივხვდი, რომ მოურავს თავს დაესხნენ. ყველა ხელსაწყო იქვე დაკყარე და გავიქეცი მამულში, რომ დამეძახა ვინმესთვის მოსაშველებლად... მოვედი სოფელში და ვერაფერი ვერ ვთქვი — მუნჯურად ვანიშნე, რომ წყალი მოეცათ. მეჩვენებოდა, თითქოს ვილაც მომდევდა და ჩემი მოკვლა უნდოდა. როგორც იყო გამოვერკვიე და ვთქვი: „თავდასხმაა!“ — მაშინ გივი სტაროსელსკი იქ იყო და განკარგულება მისცა ორი ჩაფრის გაგზავნისა... ჩაფრები მხოლოდ მუხამდე მივიდნენ, ნახევარ გზაზე შეჩერდნენ, წინ წასვლისა შეეშინდათ! მე მალე შევამჩნიე, რომ ჩვენი დამლაგებელი ქალი ხელს უქნევს ჩაფრებს. გამხნევებული ჩაფრები დაიძრნენ. მეც დავბრუნდი სახლში. რას ვხედავ! ოთახში იატაკზე გდია მოკლული მოურავი, თავი მოეჭრათ ხანჯლით და მუცელი გამოეფატრათ. მისი ცოლისათვის ფეხი მოეტეხათ და იქვე მიეგდოთ ქმრის გვამზე. მას სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა, ჩანდა რომ მოულოდნელად დაესხნენ თავს. იარაღის ხმარება ვეღარ მოუსწრია, და თავის თავს მხოლოდ ბოთლით იცავდა. მოურავის მკვლელები ვერ მონახეს, მაგრამ ყველამ ვიცით, რომ ის მკვლელი გაქცეული პავლე ფშავლიშვილია.

ილია სდუმდა, თავი დამნაშავედ მიაჩნდა:

— მწერდა, სიკვდილით მემუქრებიან, ამობრძანდით, მამულს დაეპატრონეთო. მე კი ვამხნევებდი: ვერ შემოგბედავენ-მეთქი. ხედავ, შებედეს, სიცოცხლეს გამოასალმეს.

მერე სოფელში გავიდა, გლეხები შემოესივნენ, თავჩაღუღუნული იდგნენ.

ილიამ ჰკითხა:

— ვინ მოჰკლა მოსე და იმისი ცოლი?

— რა ვიცით, ბატონო! — ამოღერღა ერთმა.

— ჩვენ რა ვიცით, ვინ დახოცა?..

ისევ მეფუტკრე მასლოვმა ძისცა გეში:

— მოურავმა გამოაცხადა, რომ კანტორიდან მას დაეკარგა ორმოცი მანეთი. ამ დაკარგვას ის აშკარად აბრალებდა მამულის დარაჯს პავლე ფშავლიშვილს. ეჰვი მასზე მიიტანა იმიტომ, რომ მოურავმა ის მარტო დაინახა კანტორაში. პავლე თითქოს ამარაგებდა საგურამოს ტყეებში მოხეტიალეებს. ვინ იყვნენ ტყეში მოხეტიალეები, არ ვიცი... ეს საქმე მალე უშედეგოდ მიყრუვდა.

— მერე აქ რა ბრალი აქვს იმ უბედურ ფშავლიშვილს? — გამოექომაგა ილია.

მასლოვმა პასუხი ვერ გასცა, მაგრამ გაიხსენა კი:

— იმ დღეს საღამოთი მინდვრიდან ბრუნდებოდა ნახირი. მოსე მოურავმა შენიშნა, რომ ნახირს ერთი ხბო აკლდა. მაგრამ ყველა-ლაპარაკობდა, რომ მენახირემ საქონელი უკლებლივ მორეკა ეზოში. რამდენიმე წუთის შემდეგ მეღორემაც მორეკა ღორები. ღობის იქით რო ხევია, ბუჩქნარიანი, ღორებმა ამ ადგილას დაიწყეს ჭყივილი და ჩხუბი. ხალხი დაინტერესდა და სწორედ იმ ადგილას დაიწყეს მიზეზის ძებნა, ყელგამოჭრილი ხბო ეგდო, რომელსაც მიფარებული ჰქონდა მწვანე ფოთლები და ფიჩხები.

— აქ რა შუაშია მამულის დარაჯი ფშავლიშვილი? — ისევ გაკვირვებით იკითხა ილიამ.

— ილია გრიგორიჩ, მოურავმა იქვე გამოაცხადა, რომ ამ საქმეში პავლეს ხელი ურევიაო. აქ მოდგა მოურავი პავლეს და დაუწყო საყვედური და მუქარა, მეორე დღეს მოურავმა დაუძახა სოფლის პოლიციელს და გამოუცხადა მომხდარი შემთხვევა. პავლე დააპატიმრეს. მცხეთაში სამი დღე დააკავეს, მეოთხე დღეს კი ერთ ჩაფარს გაატანეს დუშეთში, მაგრამ გზაში გაექცა. მოურავი გაეფრთხილეს, რომ პავლე სიკვდილით ემუქრება, და ურჩიეს მორიდება.

— ჰო, ასე იყო, ბატონო! — თავი დაუქნია სოფლის ნამამასახლისარმა ვანო ინაშვილმა.

— მეც ასე მამწვდა ყურში! — კვერი დაუკრა ილიას მეეტლემაც, თედო ლაბაურმა.

ილიამ თავშეკავებული საყვედურით მიმართა საგურამოელებს:

— თუ ვისმე რამე დაგიშავათ, რუსეთში ხო არ მოვკვდებოდა, აქ არ მოვიდოდი? გეთქვათ და მე გამოვასწორებდი საქმესა. აბა, რისთვის მოკალით. ან მათმა მკვლელმა რა გააკეთა, მითხარით? უნდა იფიქროთ და ისე მოიქცეთ. უცებ რაც მოგივიდეს ფიქრებში, განა მაშინვე უნდა აასრულოთ!.. იმათ მკვლელმა მხეცური საქციელი ჩაიდინა!

მოხუცმა გლეხმა ქეჩო მოიფხანა და ჩაიბურტყუნა:

— ი, შენ იმ ჯორს რაღას ერჩოდნენ?!.

— ეგა თქვი შენა! მოსე მოურავივით გამოფატრეს, — ჩაუდუდუნა მეორე მოხუცმაც.

ილიამ თავი ნაღვლიანად გაარწია:

— საცოდავ პირუტყვს რაღას ემართლებოდნენ: ისიც კოკებს ამტვრევდა გლეხკაცობას ჩემს წყაროზე?! — და „მოგზაურის“ წყენა გაიყოლა.

ისევ რუსეთს უნდა დაბრუნებულიყო სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე დასასწრებად. ამთავითვე ჩაფიქრებული ჰქონდა სიტყვით გამოსვლა ადამიანის სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმების მოსათხოვნად.

ნუ მოჰკლავ, ადამიანო!

ერთი წლის შემდეგ ისევ პეტერბურგს გაემგზავრა, მეუღლესთან ერთად. სახელმწიფო საბჭოს მეორე სესიაზე მოხსენებით გამოსვლას აპირებდა.

გამოვიდა კიდეც და მთელი სესიის ყურადღება მიიქცია. რა საანგარიშოა, — ვისზე რა კარგი შთაბეჭდილება დატოვა, ვისზე კი ცუდი?!. განა ადამიანი ადამიანს ყოველთვის უგებს? კაცი კაცს ყოველთვის სწყალობს? კლასი კლასს, ეპოქა ეპოქას მუდამ ჟამს თანაბარი სამართლიანობით როდი ეკიდება. ერთისთვის სამართლიანია, მეორისთვის უკეთური.

არა!

თუ არა, მაშ ილიას რაღას უჩიოდნენ თვით ილიას თანასწორნი, წოდებრივადაც და გონებრივადაც თანატოლნი? რატომ იბზუებდნენ ტუჩს ჭავჭავაძის სიტყვაზე, როცა ერთი ილია იმას ამბობდა, რასაც ილია წინასწარმეტყველის ბაგენიც კი დაიმშვენებდნენ და რაც ხალხს სიკეთე-ბედნიერებას დაჰფენდა.

განა პეტერბურგშიაც არ იყვნენ ისეთივე საღად მოაზროვნენი, რომელნიც რუსეთის აწმყოს და მომავლის სიკეთეს საკუთარი სიცოცხლის თავგანწირვის ფასად მოიპოვებდნენ?

რა თქმა უნდა, იყვნენ, თუნდაც ისეთნი, როგორც თავადაზნაურობის მიერ არჩეული დიდგვაროვანნი, — კოვალევსკი, ტაგანცევი, მაგრამ ხომ იყვნენ პირწავარდნილი კრუპენსკი და პურიშკევიჩიც.

ილია იქცა მცირე ჯგუფში მოთავედ, მიუხედავად თავისი მოხუცებულობისა, ჭაბუკური სიხალისით მოუწოდა სახელმწიფო საბ-

ჭოს ბებერსა და რეტროგრად წევრებს ყურად ეღოთ ახალი დროების მოთხოვნა, ძველს ყოფაზე ხელის აღება და ახალის დაჩემება ხალხის საბედნიეროდ, როცა შეძლებული კაციც და ქონებრივად შეუძლონიც ერთნაირად თუ ვერ გაიმართებოდნენ წელში, ერთიმეორეს სამტროდ მაინც აღარ გადაჰკიდებოდნენ ქონებრივი განსხვავებულობის გამოისობით.

ილიამ კი იმთავითვე ითავა პროგრესისტთა მცირე ჯგუფის სახელით გამოსულიყო სახელმწიფო საბჭოს სესიაზე ყველაზე მწვავე საკითხის დასაყენებლად, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა დიდი სჯა-ბაასი ადამიანის სიკვდილით დასჯის კანონის გასაუქმებლად. დიდი შინაგანი სიამაყითა და მტკიცე რწმენით შეუდგა მოხსენების თეზისების შედგენას და გული არ უდგებოდა საწერ მაგიდასთან ერთი-ერთზე დარჩენილს, — სული ესწრაფოდა, რომ ვინმე, ღვთისნიერი, გონიერი ადამიანისათვის გაეზიარებინა გულში ნადები, გონებით წარმოშობილი და ადამიანური სიკეთით წარმოჩენილი მოთხოვნანი, — ადამიანო, ნუ მოჰკლავ ადამიანს!

ამის საჯაროდ თქმა მეფის რუსეთში კი, როცა რევოლუციის დამარცხებით რეაქცია მძვინვარებდა, დიდი გაბედულება იყო.

როდესაც რომელიმე დეპუტატი ტრიბუნიდან წარმოსთქვამდა ძლიერს და თამამს სიტყვას, ილია საამოდ მოღიმარ სახით გამოვიდოდა სათათბიროს კულუარებში და აღტაცებით აღნიშნავდა ორატორის სიტყვის დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას. ილია ქებასთან ერთად კრიტიკულადაც არჩევდა დეპუტატთა ნათქვამს:

— კარგად ლაპარაკობს, კარგი ორატორია დეპუტატი ალადინი, — თქვა ერთხელაც, — მაგრამ ნამეტანი გადამეტებული კილო აქვს. მე სხვასაც ვფიქრობ: უმეტეს ნაწილად გულწრფელი არ არის.

ერთ კრებაზე დეპუტატმა ნაბოკოვმა მთავრობის წინააღმდეგ სასტიკი სიტყვა წარმოთქვა, იმ მთავრობის წინააღმდეგ, რომელსაც მაშინ მოუფერებლად ეუბნებოდნენ: „როდისღა მოგვშორდებით!“ ყველა მინისტრები დარბაზში ბრძანდებოდნენ და ისმენდნენ მსუსხავ მსჯავრს. ნაბოკოვის სიტყვის შემდეგ წამოდგა ლოჟიდან და ნელის ფეხის ნაბიჯით გასწია კულუარებისკენ. მის სახეზე იხატებოდა უსაზღვრო კმაყოფილება, სიამოვნება, ნეტარება, მტრის დამარცხებაზე აშენებული. ილიას სული და გული ღელავდა, მთელს სახეს ალმური მოსდებოდა, ზღვა-თვალნი ბრწყინავდნენ.

მერე საქართველოს წარმომადგენლებიც მოვიდნენ, — ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, ივანე გომართელი, — სამივე სოციალ-დემოკრატი, — სოციალისტ-ფედერალისტი იოსებ ბარათაშვილი.

ჰავშავაძემ კრების დაწყებამდე სთქვა:

— ისიდორეს სიტყვა მომისმენია, კარგად ლაპარაკობს, ქართული ენაც კარგად იცის. დანარჩენებზე რა მოგახსენოთ, გარდა იოსებ ბარათაშვილისა, რომელიც კარგ ორგანიზატორად ითვლება.

ილია დიდის ეჭვის თვალით უყურებდა ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირის შეკვრას პირველ სათათბიროში, სადაც წარმომადგენლობდნენ განაპირა კუთხეთა შვილები — უკრაინელები, პოლონელები, ბალტიისპირეთის მხარის, მაჰმადიანთა, ებრაელთა, სომეხთა და სხვათა დეპუტატები. ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირი საკუთარი თვალთახედვით არჩევდა ხოლმე საერთო დეპუტატთა კრებაზე წარსადგენ საკითხებს. ილიაც მიიწვიეს კომისიის სრულუფლებიან წევრად და ისიც სიამოვნებით დათანხმდა;

— აქ ყოველ კითხვის შესახებ მოხსენების წაკითხვაა საჭირო, თორემ ყველა ეს ვაუბატონები ჩინეთის იმპერიას უფრო იცნობენ, ვინემ ჩვენს ქვეყანას.

თან სიფრთხილეს იჩენდა, რომ ავტონომისტ-ფედერალისტები ერთმანეთს არ გადაკიდებოდნენ. მიზეზი ძალიან რთული იყო და ძალიან ხშირად შეტაკება ხდებოდა ხოლმე, განსაკუთრებით აგრარულ საკითხის გარჩევის დროს. ლიტვაში მცხოვრები პოლონელის სიტყვა ლიტველს არ ეპიტნავებოდა, უკრაინელს პოლონელის, უკრაინაში მცხოვრებ პოლონელს უკრაინელისაო.

— ეს გარემოება მაფიქრებს, — სთქვა ილიამ. — განა შესაძლოა აგრარულ კითხვაზე მოხსენების წაკითხვა საქართველოს შესახებ ისე. რომ სომეხთა როლს ჩვენს ეკონომიურს ცხოვრებაში არ შეეხო? მე რომ მოუფერებლად და ჩემებურად გამოვსთქვა ჩემი აზრი, რაღას იტყვის კავშირის წევრი სომეხი დეპუტატი? წევრთა უმეტესი ნაწილის აზრი ამა თუ იმ კითხვაზე არ არის საამდროვო. მე საქართველოში სოციალ-დემოკრატები რეტროგრადს მეძახიან, ესენი-კი, ჩემი მოხსენებანი რომ წავუკითხო, რევოლუციონერს დამიძახებენ!

ილია მართლაც ზოგიერთ კითხვებში ავტონომისტ-ფედერალისტთა კავშირზე უფრო მარცხნივ იდგა. ამიტომ ისეთი მოხსე-

ნების წაკითხვას აპირებდა, რომელიც კავშირში აურზაურს და პროტესტს არ გამოიწვევდა.

მაინც ვერ ასცდა. როდესაც კომისიაში ჭავჭავაძე და ბარათაშვილიც დაასახელეს, წამოხტა დეპუტატი თოფჩიბაშევი და ხმამალლა დაიძახა:

— ჩვენი წარმომადგენელიც უნდა იქნას არჩეული კომისიის წევრად. ქართველებს თუ ირჩევთ, ჩვენც უნდა აგვირჩიოთ. ქართველებს მიწის სოციალიზაცია სურთ, ისინი სოციალისტები არიან, ჩვენ-კი სულ სხვა პირობებში ვართ და სხვა მოთხოვნილება გვაქვს.

კრებამ თოფჩიბაშევი დააწყნარა. ისიც აირჩიეს კომისიაში. ილიამ სთქვა:

— არ გითხარ, რევოლუციონერს დამიძახებენ-მეთქი?! ჯერ კრინტიც არ დამიძრავს და თოფჩიბაშევი სოციალისტს მეძახის... ნეტავი რის შეეშინდა?

მერე ნამდვილ სოციალისტ-ფედერალისტ იოსებ ბარათაშვილზე სთქვა:

— ეხლა მე რაღა საჭირო ვარ? — რაკი ბარათაშვილი აქ არის, უჩემოდაც დაიცავს ჩვენს ინტერესებს.

მაგრამ ილია მაინც ეჭვობდა, რომ ავტონომიის საკითხი გადაწყდებოდა. ქართველთა მინდობილობით, — იუწყებოდა ბოლქვაძე, — კავშირის თავმჯდომარე დეპუტატმა ლედნიცკიმ საქართველოს სოციალ-დემოკრატი დეპუტატების ჩამოსვლამდის პარლამენტის კომისიაში შეიტანა განცხადება საქართველოს ავტონომიის შესახებ.

— ჩვენი სოციალ-დემოკრატები წინააღმდეგნი იქნებიან და ხომ შევრცხვით. განცხადება მაინც არ იყოს კომისიაში. რამე უნდა ვიღონოთ. — სთქვა ილიამ.

მართლაც ძნელი იყო ამ მდგომარეობიდან თავის დაღწევა ილიასათვის.

— სოციალ-დემოკრატების ჟურნალ-გაზეთები ჩემთან საქმის დაჭერას კი არა, პურის მჭამელსა და მოლაპარაკესაც ჯვარს მაცვამდნენ. — ამბობდა ილია.

მაინც იმედს არ კარგავდა.

პროფესორი ცაგარელიც აგულიანებდა:

— უთუოდ უნდა შევხვდეთ სადმე, მოვილაპარაკოთ. ნუთუ ასეთი პროტესტანტები არიან?!

ისევ ჟურნალისტ ბოლქვაძეს მიმართეს:

— გაიგეთ ქართველი სოციალ-დემოკრატების აზრი.

ისიდორე რამიშვილი, ნოე ჟორდანია და ივანე გომართელი დაჰყვნენ, — „ვინ იცის, იქნებ შევთანხმდეთო“.

ამ დროს პეტერბურგში ჩავიდა დავით სარაჯიშვილიც, კაცი დიდი შეძლებისა.

— მე მსურს ჩვენს დეპუტატებს და მათთან ერთად ზოგიერთ აქაურ ქართველს სადილი გავუმართო. მომინდვია შენთვის, აირჩიეთ დრო, დანიშნეთ საათი, ადგილი და მე მზადა ვარ.

ბოლქვაძემ ისიდორე რამიშვილს ჰკითხა:

— წამოხვალთ?

— რატომ არ წამოვალ?

სადილი მოაწყეს სასტუმრო „ევროპაში“, ცალკე დიდ ოთახში. სუფრას ილია თამადობდა.

დავით სარაჯიშვილი შამპანური ღვინით გაუმასპინძლდა. ავარდა საცობი და აივსო ჭიქები შუშხუნა შამპანით.

ისიდორე რამიშვილმა არაჩვეულებრივად შეათამაშა სახე, ულვაშებში ჩაიცინა და მოსვა შამპანური ღვინო... დაცალა ჭიქა და სიცილით თქვა:

— ძალიან გემრიელი ყოფილა შამპანური. პირველად ვსვამ. მშვენიერი ღვინოა. ამიტომ ვერ შორდება და იცავს თავის ცხოვრებას ბიუროკრატია და ბურჟუაზია. რა თქმა უნდა, ასეთი ღვინის დაკარგვა ეძნელებათ.

ისიდორეს გულწრფელმა ირონიულმა სიტყვებმა საერთო სიამოვნება გამოიწვია. შამპანური კიდევ დალიეს. ილია გამხიარულდა და გულახდილად შენიშნა:

— სოციალ-დემოკრატს შამპანური გაუტკბილდა.

— ჩემს სიცოცხლეში არ დამილევია, მაგრამ უარს ვერ ვიტყვი, — ჩაილაპარაკა ისიდორემ და დაუმატა:

— მართლა დიდებული რამ არის!

სადილს მორჩნენ და შეუდგნენ პოლიტიკას, — წერდა მერე მალაქია ბოლქვაძე.

ნოე ჟორდანია და დავით სარაჯიშვილი გერმანულ-ფრანგულად ლაპარაკობდნენ. ისიდორე რამიშვილს პროფესორი ცაგარელი

მთელ ლექციას უკითხავდა, მაგრამ ავტონომიის შესახებ ისიდორეს აზრი მაინც ვერ შეაცვლევინა.

— ჩვენ ეხლა ამ კითხვაზე სათათბიროში ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, ჯერ სხვა საერთო კითხვებია გასარჩევი.

ილია ისეთის ყურადღებით უსმენდა რამიშვილს, თითქოს მოლაპარაკის ყოველივე სიტყვას რთულს ანალიზს უკეთებდა. მგოსანს ხშირად სახის გამომეტყველება ეცვლებოდა, ხანდისხან დარბაისლურად შეინძრეოდა, მაგრამ მსწრაფლ შესწყვეტდა მოძრაობას. უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ თავს იჭერდა და საშუალებას აძლევდა რამიშვილს დაემთავრებინა თავისი სიტყვა.

ილიას გადმოხედვა, მიმოხვრა, უცაბედი შენიშვნა, შეჩერება ნათლად ამბობდა:

— მე მაგათ ვერას შევაცვლევინებ. რაც ისიდორე რამიშვილმა თქვა, ის მაგათი მტკიცე გადაწყვეტილებაა. ჩვენ სხვა რამ უნდა ვიფიქროთ.

მეორე დღეს ბოლქვაძე ილიას სათათბიროში შეხვდა:

— გუშინ ხომ არ დაღლილხართ?

— არა. გუშინდელი საღამო საინტერესოდ მიმაჩნდა, თორემ იმდენხანს რა გამაჩერებდა! რაც უნდა იყოს, ჩვენმა შეკრებამ ერთი რამ აგვიხსნა: ეხლა ვიცი მაინც როგორ მოიქცევიან ჩვენი დეპუტატები, როცა ავტონომიაზე იქნება მსჯელობა.

— განა წინათ არ იცოდით?

— ჩვენ ვიცოდით, რომ ისინი საქართველოს ავტონომიის წინააღმდეგნი არიან. ეს ყველამ ვიცოდით, მაგრამ ის, რაც გუშინ გამოირკვა, — ახალია. ამათთან, ბელადებთან, ისიდორესთან და ნოესთან შესაძლოა მოლაპარაკება, — სხვებთან კი... ფანატიკოსები არიან დალოცვილნი. შეიძლება ორს სხვადასხვა უკიდურესს პარტიას ვეკუთვნოდეთ, მაგრამ ჩვენ ერთად ლაპარაკი უნდა შეგვეძლოს. მწამს: ეს ცოტაოდენ სარგებლობას უთუოდ მოიტანს. ნაციონალური გრძნობა ძლიერ ღრმად არის ჩანერგილი, შესისხლხორცებული და თუ გაიძახიან „არაო“ — ეს თავის მოტყუილებაა. კარგად ჩაიხედონ გულში... ეჰ, შორს წავედი. ისევ გუშინდელ დღეს დავუბრუნდეთ. „ჩვენ საქართველოს ავტონომიას არც დავიცავთ და არც წინააღმდეგ ვიტყვით არაფერსო“. ეს დაპირებაც კარგია, მადლი ღმერთს: მე არც ამას მოველოდი.

მერე ავტოკეფალიაზე გამოელაპარაკა ზოგიერთებს. სიმონ

წერეთელმა თვითონ უთხრა: „საქართველოს ეკლესიის შესახებ და ავტოკეფალიაზე საკუთარი მოხსენების წარდგენას ვაპირებ სათათბიროში, რასაკვირველია, ამხანაგების ნებართვითო“.

— ამასაც არ ველოდი, — უთხრა ილიამ მალაქია ბოლქვაძეს. — ჯერ ესეც ვიკმაროთ. ეს დაპირებანი შეასრულონ, დამოკიდებულებას ნუ გავამწვავებთ. არა უშავს რა...

ილიას კანონიერად მიაჩნდა საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის მოთხოვნა. ამას არსად არ ფარავდა — არც საბჭოს წევრთა შორის და არც სხვაგან:

— ამბობენ, სათათბიროში ავტოკეფალიაზე იქნება სჯაო! — გაანდო მალაქიამ.

— მაშასადამე, სახელმწიფო საბჭოშიც გადმოვა, მეც ამიტომ ვაგროვებ მასალას და ვემზადები. არა უშავს, ღმერთი მოწყალეა, — დინჯად წაილაპარაკა ილიამ.

მერე მიაღწია იმას, რომ მასალები მოსდიოდა საქართველოდანაც: პეტერბურგში, სინოდში მონაწილეობის მისაღებად გამოწვეულნი იყვნენ ჩვენი ეპისკოპოსები, კირიონი და ლეონიდე.

მაგრამ ილია დიდადაც დანაღვლიანდა. პეტერბურგში მოსწავლე ქართველ ახალგაზრდობის ცხოვრებაში ჩაიხედა და გულისწყრომა ვერ დაუმალა ქართველ ჟურნალისტს:

— გუშინ ჩემთან ერთი ახალგაზრდა იყო, ბევრი ცუდი რამე მიამბო. ნეტავ რამოდენ დ მართალია ჩემი გუშინდელი სტუმარი?

— ძალიან დაუნაღვლიანებიხარ. როგორც ვატყობ?

— ძალიან მეწყინა... მაგრამ ყმაწვილის ნათქვამი გარდამეტებული უნდა იყოს. ქართველნი მოსწავლენი არას აკეთებენო, ქართული ენა სრულიად არ იციანო. თავისუფალ დროს მხოლოდ ბანქოს ანდომებენ, კლუბში თამაშობენ. ამ ნიადაგზე ბევრს მეტად საზარელს და საძაგელ შემთხვევათ ქქონდა ადგილიო. ის სტუდენტები, რომლებსაც ყველა მოსწავლე წრე საუკეთესოთ სთვლის, კლუბებში ათენებენ და აღამებენ. ახლებს თითქმის ძალით აჩვევენ ბანქოს თამაშსო. ეს რა უბედურება დატრიალებულა? ნუთუ მართალია?

— საზოგადოდ რა მოგახსენოთ, მაგრამ ეგ სენი მართლა რომ გავრცელებულია. ბანქო ბევრს ნიჭიერს და ენერგიით სავსე ახალგაზრდა მოსწავლის უბნევს გზას და აკარგვინებს ძვირფასს დროს, — დაუდასტურა მალაქიამ.

— ეს უბედურებაა! — გაიმეორა ილიამ.

მერე ათი წლის წინანდელი პეტერბურგელი ქართველი სტუდენტობა გაიხსენა და გულიდან ღრუბელი გადაეყარა.

— როგორც გუშინ, ისე მახსოვს. 1887 წლის 22 მარტს ამ ქალაქიდან „ივერიას" სწერდნენ, მაგრამ მე მიმიზნებდნენ. ალბათ, მიფრთხილდებოდნენ, მთავრობას ყბაში არ ჩავვარდნოდი, „ვინძლო პასუხს ნუ დაგვიგვიანებთო", მაფრთხილებდნენ. ასეთივე წერილი გიორგი წერეთელსაც გავუგზავნეთო.

მერე გავიგე ქართველ სტუდენტთა დელეგაცია საბერძნეთის ელჩთან მისულა თანაგრძნობის გამოსაცხადებლად. იმას კი ურჩევია: თანაგრძნობის დეპეშას თქვენ თვითონ ნუ გაგზავნით, ეს სახიფათოა თქვენთვისო, მე გადავცემ პირადად ჩემს მთავრობას თქვენს თანაგრძნობასო.

30 ივნისს კი „ივერია" აუწყებდა: „გაზეთების სიტყვით, საბერძნეთში თავისუფალ მეომართა შორის ორი ქართველი ყოფილა: შევარდნაძე და წითლიძე".

სტუდენტები თავიანთ აზრს მიზიარებდნენ:

კრიტოსელნი და ბერძენნი — ეს განუყრელნი ძმანი საგმირო მოედანზე გამოსულან, ევროპის წინაშე ეროვნული თავისუფლების დროშა აუმართნიათ და საყოველთაოდ აღიარებენ: „ერის თავისუფლებას პატივი ეცითო. ამათ უთანაგრძნობს ევროპის საზოგადო აზრი, ძმურად ხელს უწვდის და გამარჯვებას უნატრის; ამხნევებს და აათკეცებს გმირთა სიყვარულს თავისუფლების მიმართო. ამის გამო ქართველმა სტუდენტებმა გადავწყვიტეთ: გავუგზავნოთ, ბერძნებს, ათინელ სტუდენტობას, თანაგრძნობის წერილი ან დეპეშა და ამით ნათელი ვყოთ, რომ ჩვენთვისაც ისე ძვირფასია თავისუფლება, როგორც კრიტოსელებისათვისო, მაგრამ ჯერჯერობით არაფერი გაგვიგზავნია, რადგან გვსურდა დაგკითხებოდით, თუ თქვენ რა აზრისა ბრძანდებით ამ საკითხის შესახებო.

უფრო გვიან შევიტყე, რომ სტუდენტების ამ წერილის დამწერი და მოთავე მაშინდელი სტუდენტთა სათვისტომოს თავმჯდომარე სიმონ ფირცხალავა ყოფილა, ახლა კი წერა-კითხვის საზოგადოების მდივანი.

ილია მამაშვილური მადლიერებით ლაპარაკობდა სტუდენტების მოწერილზე და თავისი პასუხი — რჩევაც გაახსენა თანამემამულე ჟურნალისტს:

— რასაკვირველია, მე დიდ პატივად მიმაჩნია, რომ თქვენ ინებეთ და ჩემი რჩევა მოითხოვეთ. ხოლო ეს-კი უნდა მოგახსენოთ, რომ თქვენმა წერილმა ორ ცეცხლშუა დამაყენა-მეთქი.

ერთის მხრივ, ყოვლად პატიოსანი გულისძვრა თქვენი დამიდგა თვალწინ, გულის-ძვრა საქვეყნო, გულის-ძვრა ბრწყინვალე და დიდებული, რომლის ღაღადის წინაშე აღტაცებით და სასოებით შუხლი უნდა მოიდრიკოს ყოველმა რიგიანმა კაცმა.

მე მივხვდი და ვიწამე, რომ ამ კეთილშობილებით აღსავსე გულის-ძვრამ აღმოგიშობათ სურვილი ქება-დიდებით და ლოცვა-კურთხევით მიჰმართოთ ჩაგრულთა, რომელთაც თავი გამოიდეს ხსნისათვის. ძნელია პატიოსანი კაცი გაუმაგრდეს ამ მშვენიერს და ყოვლად თავმოსაწონებელს გულთა-ძვრას და განსამხნევებლად, თუ ხელი არა, გული მაინც მიაწოდოს შორიდამ დიდებულ საქმისათვის თავგამოდებულთა, რომელთაც ხელის ღონე არ შესწევს ძლიერებას გულისას.

მაგრამ ილიაც დაღონდა:

— კაცთა საუბედუროდ, დღევანდელი დღე მუშტისაა, ძალა ხნავს აღმართსა, მით უფრო საქებ-სადიდებელია უღონო ჩაგრულთა მოქმედება. მე არ ვეჭვობ, რომ დრო მოვა და თავისუფლება და სამართალი, რომლის სახელით დღეს ბერძენი გამოდის, დაემჯობინება მთელ სპა-ლაშქარსა და წინაშე მათთა ხმას გაიკმენდს თოფი და ზარბაზანი.

აქ არის ყოვლად-მხსნელი ღონე და სასოება ადამიანისა და ამის მაგალითს დღეს თვალწინ გვიყენებს ერთი მუჭა ერი საბერძნეთისა. შეიძლება-ღა ამაზე უდიდესი მაგალითი!

არ მიკვირს, ამის მნახველს ქართველის სტუდენტობას გული ანთებია თანაგრძნობით, კვნესით შეჰნატრის ბერძენს და ლოცვა-კურთხევას უფლის. ძნელია კაცმა ამ მხურვალე და ბრწყინვალე გრძნობას ადამიანისას, ასეთის პატიოსან გულთა ძვრისაგან მოვლინებულს, ცივი ანგარიში დაუყენოს წინ.

მაგრამ, რაკი პატივი დამდევით და ჩემი აზრი მოითხოვეთ, არ შემიძლიან ამ ცივ ანგარიშს არ მივცე თავი და ჩემი გულ-ნადები არ მოგახსენოთ გულახდილად.

თქვენი მშობელი ქვეყანა ყველა სხვა ქვეყანაზე ჩვენთვის უფრო საფიქრებელი და საზრუნველია.

აქ არავისის ძრახვას და საყვედურს არ ვერიდები. ჩემი მრწამ-

სი ეს არის. ადამიანი ასე გ[illegible]
ვიდრე სხვას.

თქვენ ჩემზედ უკეთ მოგეხსენებათ, — [illegible]
ლესი სწავლისათვის გადახვეწილნი [illegible]
ანის ქვეყნისათვის.

მთელი სასოება ჩვენი ქვეყნისა [illegible]
ხვალე, ჩვენი მერმისი თქვენა ხართ. [illegible]
საქმე არ შეგასრულებინონ და ამის გამო [illegible]
ცოდნით და განათლებით არ მოუხვიდეთ [illegible]
ლა იმედზე დარჩეს?

აშკარაა, იგი, რაც თქვენს პატიოსანს გულს [illegible]
მოეწონება ვისაც ჯერ არს და ვაი თუ [illegible]
თქვენი ზიანი, თქვენი შეფერხება, ჩვენის ქვეყნის ზიანი და შეფერხებაა.

გარდა ამისა, დღეს გაფიცხებული დავიდარაბა აგვიჩნდა — და ამ დროს რომ მიზეზი რამ მივცეთ, მთავრობა ჩვენზე ავის თვალით მოახედონ, ჩვენი საქმე დიდ ხიფათში ჩაგვივარდება, თუ მთლად არ დაგვეღუპება.

თქვენი განზრახული თუ ასრულდა, საიდუმლოდ არ დარჩა, დიდი შიშია, რომ ჩვენმა მტრებმა ჩვენდა თავში საცემლად არ გამოიყენონ, აი სად და საით უფრინავთ ქართველებს გონებაო.

განსაცდელი და საფრთხე დიდია. განა საფიქრებელი არ არის, რომ თქვენი ბედი, და მაშასადამე, ბედი თქვენის ქვეყნისა, ამ საფრთხესა და განსაცდელში არ ჩავარდეს!

ბერძნებს თქვენი თანაგრძნობა, რა თქმა უნდა, იამებათ, მაგრამ ბევრს არას არგებს. მათ თანაგრძნობას ხელში დასაჭერი და გამოსაყენებელი სიკეთე არ მოსდევს რა, გარდა გულთა-ძვრისა და გულთათქმის გარეგ გამოფენისა და, მაშასადამე, საკუთარის თავის კმაყოფისა.

კიდევ მოგახსენებთ, მე მესმის მთელი პატიოსნება და კეთილშობილება თქვენს მიერ მოწადინებულისა. არც თავის დღეში ეპვი არა მქონია, რომ ჩვენს ყმაწვილკაცობას გული არ ერჩოდეს, არ ეძროდეს ყოველ პატიოსნურ საქმისთვის.

მაგრამ რა ვქნათ? ბედმა იმისთანა დღეში ჩაგვაგდო, რომ ჩვენის სიკეთისაგან სხვისთვის გავწირავთ ვერარას, ყოველივე ჩვენი

კეთილი ჩვენს ქვეყანას უნდა მოვახმაროთ და ამისათვის ყველა სხვა წყურვილი უხდა მოვიკლათ.

ნუ მიწყენთ, რომ მოგახსენოთ ჩემი კი არა, ჩემისა და თქვენის ქვეყნის სახელითა; სასწავლებლად წასულხართ, ისწავლეთ, ცოდნა შეიძინეთ, ჯერ ხანად ნურც აქეთ გადიხევთ, ნურც იქით, მარტო სწავლა-ცოდნას შეალიეთ თქვენი დღენი და თქვენი სურვილნი და ამ ორის უუძლიერესის ფარ-ხმალით მოდით და ეპატრონეთ თქვენდა მოსავს ქვეყანასა, რომელსაც ჯერ სხვა სავედრებელი თქვენს წინაშე არა აქვს-რა და რომელიც ამ გზით მოელის თქვენ-გან ხსნასა და ბედნიერებასა.

ქვეყანა იმით კი არ არის უბედური, რომ ღარიბია, არამედ იმით, რომ მცოდნე, გონება-გახსნილი, გულ-განათლებული კაცები არა ჰყავს. აი თქვენი თავი რად გვიღირს ასე ძვირად, და სიძუნწე-ში ნურავინ ჩამოგვართმევს, რომ სხვისთვის არც ერთის თქვეოგა-ნის თმის ბეწვსაც ვერ ვიმეტებთ.

თქვენ თქვენის ქვეყნისათვის ხართ საჭირონი.

იქნება დამძრახოთ და მაინც კი ვიტყვი, რომ იქ, საცა ერთი მხრით, სამშობლოა და, მეორე მხრით სხვა, სხვას მარტო ნამეტა-ნობისაგან უნდა მიეცეს. ნამეტანობამდე, ჩვენდა საუბედუროდ, ჯერ შორსა ვართ, და რაც ჩვენი საკმარიც არ არის, ჩვენთვისვეა საჭირო და მარტო ჩვენს სამშობლოს უხდა გამოვუზოგოთ და შევ-წიროთ. აქ დიდად მოსარიდებელია მცირეოდენი განსაცდელიც კი, რომელიც თქვენს სწავლა-ცოდნის წყურვილის წყაროს და-უშრობს.

თუ აქ ჩემი წინასწარ-ხედვა განსაცდელისა ცდომაა, ისევ სჯო-ბია კაცი განსაცდელის ხედვაში შეცდეს, ოღონდ მოერიდოს — კი, იმიტომ რომ თვალწინ მიდგა ჩვენი საწყალი ქვეყანა, უკაცურობით ღონემიხდილი და ჯანსმიღებული.

უთქვენობა რომ ძვირად არ უჯდებოდეს ჩვენს ქვეყანას, არ ამოგიფრთხობდით გულიდამ მაგ პატიოსანს გულის-თქმას. შიში განსაცდელისა აქ საბუთიანია და სამართლიანი. გიყვარდეთ თქვენი ქვეყანა და ამ სიყვარულს ანაცვალეთ ყოველისფერი.

„საცა არა სჯობს, გაცლა სჯობს კარგისა მამაცისაგან“.

ეს არის ჩემი რჩევა, რჩევა თქვენის ქვეყნის შვილისა.

ილია ჩაფიქრდა, კეთილმა ღიმილმა გაურბინა ტუჩებზე და იმე-დიანი გულნადები აზრი გაიმძღვარა.

— არა, ჩვენს დღევანდელ თაობასაც უპრიანი აქვს თქვას — შვილი სჯობდეს მამასაო. სწორედ ეს უნდა მამულსა და ამან გვამყოფოს ყველანი კურთხეულად და შეწირულად.

• • •

მეორე დღეს ქართველი ჟურნალისტი სათათბიროს წევრებს შეხვდა, თბილისისა და ქუთაისის გუბერნიიდან წარგზავნილებს.

იმათაც აინტერესებდათ ჭავჭავაძის აზრები და გეგმები, — როგორ დაიჭერდა თავს სახელმწიფო საბჭოში?.. საით მიუქცევდა?!. ვის მიუდგებოდა?! რას დაუდგებოდა?!

ეს კი ცოტას არ ნიშნავდა თვით ილიას საზოგადოებრივი რეპუტაციის შესანარჩუნებლად: ეროვნული ინტერესების დაცვის ვედრებით ავიდოდა ტრიბუნაზე, თუ საქვეყნოდ მოდებული რევოლუციური იდეების ამყოლად წარმოჩნდებოდა?..

სოციალ-დემოკრატი ქართველი დეპუტატები მთლიანად მენშევიკური ფრაქციის აზრის გამტარებლები იყვნენ და, ვინც არ უნდა ყოფილიყო იმ რვიდან, საქართველოს ორ გუბერნიას რომ წარმომადგენლობდნენ, არც ერთი არ იკარებდა გულთან ილიასეულ ნაციონალურ თრთოლვას.

როცა ჟურნალისტ მალაქია ბოლქვაძისაგან შეიტყეს 1897 წლის პეტერბურგელი ქართველი სტუდენტების წერილზე ილიას ნაპასუხარი, მაშინ სულაც სამტროდაც აიმრიზნენ და დასჭყივლეს:

— ჭავჭავაძე იყო და რჩება ნაციონალისტად, ინტერნაციონალური სოლიდარობის მოწინააღმდეგეთ!.. სცხვენოდეს რომ თურმე მაშინდელ ქართველ ბარტყებსაც კი აუკრძალა მიშველებოდნენ უცხო ქვეყნის ახალგაზრდობის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას?! როგორღა ვენდოთ, რომ რაიმე სოლიდარობას გამოავლენს საკუთარი ქვეყნის რევოლუციური თაობის ბრძოლისადმი, რომლის გამარჯვების ერთადერთი იმედია საერთაშორისო მუშათა კლასის სოლიდარობა!.. ამის შემდეგ ვინღა გამოგვიწვდის საქართველოს გამარჯვებას კურთხევის ხელს, თუ ილიამ პირი აუკრა ქართვლის შვილებს სიტყვით მაინც გამოეევლინათ თავიანთი მხარდაჭერა საერთაშორისო რევოლუციურ მოძრაობისადმი, რომლის შესუსტებით დაყოვნდება თვით რუსეთის რევოლუციაც. რატომ არ ესმის ჭავჭავაძეს, რომ რუსეთში რევოლუცია ვერ გაი-

მარჯვებს საერთაშორისო რევოლუციის გაუმარჯვებლად, უიმისოდ კი ქართველ კაცს სად შეუძლიან თავი იხსნას ჩაგვრა-თრგუნვისაგან, თუ თვითონაც არ მიეშველა სხვა ეროვნებათა სოციალურ განთავისუფლებას?!

— არა, ჭავჭავაძეს არაფერი სცხია ინტერნაციონალური გრძნობებისა, იგი ჩვენი პარტიის აშკარა მტერია და პირი უნდა ავუკრათ სახელმწიფო საბჭოშიც, თუ კიდევ იტყვის იმგვარ რამეს, რაც მას თურმე უკვე უთქვამს პეტერბურგელი სტუდენტების შესაცდენად! — ამოჰყარა მუქარა და წყევლა-ვიშვიშის სიტყვები ნოე რამიშვილმა.

მერე ნოე ჟორდანიამაც ქოქოლა დააყოლა:

— ჭავჭავაძე ყოველთვის გვიშლიდა ხელს ინტერნაციონალური შეგნება შეგვეტანა მდაბიოთა თავში და ერთიანად გამოგვედევნა მათი შეგნებიდან ნაციონალიზმი, რომელსაც ილია დღენიადაგ სთესდა თავისი პირადი ავტორიტეტის წყალობით. ჩვენთვის ის ისეთივე მოწინააღმდეგეა სახელმწიფო საბჭოში, როგორც პურიშკევიჩი. განსხვავება ერთშია: პირველი ჭკვიანი, მეორე კი უჭკუო. ახლა თვითონ განსაჯეთ, — ვინ უფრო საშიშია ჩვენი პარტიისათვის — ვისაც მიზნად დაგვისახავს რუსეთის რევოლუციის გამარჯვება სოციალური ევოლუციის გზით.

მალაქია ბოლქვაძე დუმილით უსმენდა ორ ნოესეულ წყრომას და მორიდებით შეუფინა:

— სოციალ-დემოკრატი კობა კი ასე სულაც არა თვლის?! იგი დაუნდობლად ებრძვის ყოველგვარ ლიბერალიზმს, მაგრამ ილიას ავტორიტეტს კი თითსაც არ აკარებს?!.

ორივე ნოე აენთო.

— ვერ მიმხვდარხარ მისახვედრს! ილიამ, რაღაც ორი რამ დაუბეჭდა სოსელო-ჯუღაშვილს „ივერიაში“ და იმ დღიდან იმის ღვთისნიერების ვალიდან ვეღარ ამოსულა ნაციონალისტური ლექსის ავტორი — გეხსომებათ ალბათ:

— აყვავდი ტურფა ქვეყანავ, ილხინე, ივერთ მხარეო,
  და შენც ქართველო სწავლითა სამშობლო გაახარეო.

ამის გამხსენებელი ქართველი ჟურნალისტი შეცბა:

— მაგრამ ილია იმედით მოეკიდა „სოსელოს“ ლექსის გარდა, „კობას“ პუბლიცისტურ წერილებსაც? თქვენ კი, თავადაც იცით,

ცხარე პოლემიკა გაგიმართათ, — ეს როგორღა ავწონოთ, ნოე-ბატონო? — შეჰბედა ჟორდანიას.

დიდი ნოე მოიღრუბლა, პატარა კი აქუხდა:

— ილია — კობას აზროვნების სასწორი ბარი-ბარისაა! რაც ერთია, ის მეორეა, ჭავჭავაძე ბევრით წინ არა დგას ჯუღაშვილზე ხასიათის სიჯიუტით, აზრის სიმძიმით, ენის სიმწარით. კობაც ესწრაფვის ჭავჭავაძის უფესვო მუხიანობას, ფუყე ზეკაცობას. მეტს ვერ მიაღწევს: მოხუცმა დააგვიანა მარქსიზმის შეცნობაში, ჭაბუკი კი ბლანკიზმის ჭოკით გადაახტა მარქსის მოძღვრებას. ორივემ იციან ერთი-მეორის უძირფესვობა და ამიტომაც ერთმანეთს ხელს არ ახლებენ. სოციალ-დემოკრატების პარტიის ჩვენი ფრაქცია, ნოე ჟორდანიამ რომ დაგვიმძღვარა — ილიას და კობას სთვლის რევოლუციის შემაფერხებლად, ჭავჭავაძეს გამოუსწორებელ რეტროგრადად, ჯუღაშვილს კი თავწამტეხ მაქსიმალისტად! თუმც, ერთიც და მეორეც სიტყვით ეჭიდავებიან მონარქიზმსა და ანარქიზმს, საქმით კი ორივეს წინ მიუძღვიან, — ზეკაცის ძალადობასა და ნებისყოფას ქადაგებენ, — ვერაფერს კი ვერ გაამარჯვებინებენ. ორივეს მარცხის დღე მოახლოებულია!

მერე ჟორდანიაც გაჰყვა რამიშვილის ნათქვამს:

— თქვენ მართებულად გამახსენეთ ჭავჭავაძის გაჟიანურებული პოლემიკა ჩემთან. ჯუღაშვილს კი ბუზიც არ აუფრინა მისმა მწარე კალამმა. ვითომ რატომ, რა მაგეთი ანგელოზია?! ბრწყინვალე შთამომავლობისაა, თუ განათლება მიუღია სორბონისა და კემბრიჯის უნივერსიტეტებში?! ერთი უბრალო მეწუღის შვილია და სემინარიაშიც შერისხული! მაშ რაღას ნიშნავს მათი ერთმანეთისადმი დუმილი?! ჩემის აზრით. ბედის ერთიანობას, მიზნის სოლიდარობას. ამიტომაც შემიძლია დაბეჯითებით ვივარაუდო, რომ რეაქციონერი ილია და რევოლუციონერი კობა ერთმანეთში მორიგდებიან, დღეს თუ აშკარად არა, ხვალ-ზეგ, ოდესმე მაინც შერიგდებიან და შეერთდებიან, თუ, რა თქმა უნდა, ორთავე არ გარიყა რევოლუციის მეცამეტე ტალღამ.

— რატომ მეცამეტე? მეცხრეა ყველაზე ძლიერი!..

— ეგ ბუნებაშია! პოლიტიკაში კი ეშმაკის რიცხვი „ცამეტია" ამომგდები კაცისაც და ქვეყნისაც. დაიხსომე ჩემი სიტყვა!

ილიამაც დაიხსომა სხვა ბევრი ასეთი მწარე სიტყვა — სახელმწიფო საბჭოსა თუ სათათბიროს სხდომებზეც: დაიღალა **რუსი**

მომამულეების ჯიჯგნითა და ქართველი მეწშევიკი დეპუტატების ჯაჭვანით, მათი გესლიანი სიტყვების მოსმენით: ერთნი — მონარქის ტახტის ღალატს აყვედრიდნენ, მეორენი რევოლუციის მტროობას სწამებდნენ. ის კი ახალი დროების მერცხლების ჭიკჭიკის ხმის გაგონებას ელოდა თავის მამულში.

არც პეტერბურგში დარჩენილი ქართველების ცხოვრება აკმაყოფილებდა ჭავჭავაძეს. ამათ შორის სულ სხვაფრივ უცქერდა ქართველ პროფესორებს:

— დროებით დარჩენილი ქართველები, ძალას იკრებენ და რაც მალე წავლენ ჩვენში — მით უძჯობესია, — თქვა ჭავჭავაძემ.

მაგრამ, თავი და თავი საკითხი, რის გადასაჭრელადაც პეტერბურგში ჩავიდა და კარგა ხანსაც დარჩა, იყო მისი მოთხოვნა, რომ სახელმწიფო საბჭოში გაეტარებინა სიკვდილით დასჯის კანონის გაუქმება. თავის ჯანისა და დროის უმეტეს ნაწილს ამ ჰუმანური ამოცანის განხორციელებას ანდომებდა. მაგრამ ამ საკითხთან დაკავშირებით ყოველ სიტყვას საცენზურო კომიტეტმა ყადაღა დაადო.

მეფის მთავრობამ აკრძალა ზოგიერთი ორატორის სიტყვის დაბეჭდვა და, რა თქმა უნდა, არც ჭავჭავაძის გვარი გამორჩათ. მაგრამ ილიას მცირე ჩანაწერებიდანაც გამოიცნობა მისი ნააზრევი და ნაგულვები სიკვდილით დასჯის მოსპობაზე. მან რამდენიმე დებულება დასახა, რომელთა შეერთება სრულ შთაბეჭდილებას გვაძლევს წარმოვიჩინოთ თუ რა მოხდებოდა თვით სახელმწიფო საბჭოს სესიაზე და რა გუნებაზე დადგებოდა მეფეც, რომელიც უკვე კარგა ხანი იყო, რაც სიკვდილით სჯიდა პეტერბურგის, მოსკოვის, ივანოვო-ვოზნესენსკისა და საქართველოს აჯანყებულებს.

მარტო ერთი გაპონის წაქეზებით პეტერბურგის ზამთრის სასახლის წინ ათასი დახვრეტილი მუშისა და მათი ოჯახის წევრების სისხლი გამოაჩენს, გურიაში ამოჟლეტილი რევოლუციონერების ცოდვაც წარმოგვიდგენს „მამა“-მონარქს კაცის მკვლელობის მიქელ-გაბრიელად.

ილიამ თავისი ვრცელი მოხსენების წარმოსათქმელად შვიდიოდე დებულება მოხაზა და მერე სიტყვად გაშალა: აი ისინიც:

„1. გრძნობაც ერთი დარგია ცნობადობისა, და საჭიროა, როცა ჭკუა მოკლებულია შეძლებას გაიგოს რამე. შექსპირმა გრძნობით

სასწაულები მოახდინა ცნობისა და ცოდნისათვის. გრძნობა სულიერი მარტო ადამიანის ნიჭია.

2. ჰო და არა, რაც კი თქმულა სიკვდილის თაობაზე, რომ სასწორზე დაიდვას, არა მგონია ისე თვალსაჩინოდ გადიხაროს ან ჰოსა და ან არასკენ, რომ ამ გადახრამ დაარწმუნოს ვინმე.

3. ხოლო სამი რამ საბუთია წინააღმდეგ სიკვდილით დასჯისა:

ა) აჩლუნგებს გრძნობას ბუნებურს, რომელსაც სისხლი ეზიზღება და ხშირის ნახვით-კი თვალიც ეჩვევა და გრძნობაც. მაგალითად, ახლა სიკვდილი ისეთი ჩვეული რამ ამბავია, არავის-ღა უმღვრევს გულს და ყურადღებასაც არ იქცევს".

სახელმწიფო საბჭოს წევრებმა ნიშანდობლივ წარმოიდგინეს, სადა ხრიდა მათი კოლეგა და რას მიანიშნებდა; ზამთრის სასახლის მოედანზე მუშების ჟლეტვას, საქართველოში კი გლეხკაცობის დაუნდობელ ხოცვას.

ილია თავისი მოხსენების დებულებად ამ გამოთქმასაც იშველიებს:

ბ) არყევს ზნეობას, რადგანაც ა რ თ მ ე ვ ს ი მ ა ს, რ ი ს მ ი ც ე მ ა ც ა რ შ ე უ ძ ლ ი ა ნ.

რას ართმევს? — შუბლზე შუა თითი მიიდო სახელმწიფო საბჭოს მღუშე და ნათელმა ძალამ, — ზოგმა აშკარად მძაღე გამომეტყველებით, ზოგმაც მთავრობისადმი ნიშნისმოგებით და ილიამაც განუმარტა:

ართმევს სიცოცხლეს, უბოძებს სიკვდილს. მაგრამ განა მეორე პირველს აანაზღაურებს?

რა თქმა უნდა, ვერა.

ამიტომაც ჰქვია სიკვდილს დაკანონება ბოროტებისა. ასეთი კანონმდებლობის შესარყევად აბრძანდა ილია ტრიბუნაზე და თქვა:

„გ) შეცდომა დასჯისა აღარ სწორდება და უდანაშაულოს ჰკლავს".

კიდევ რას იტყვის ქართველი თავადაზნაურობის წარმომადგენელი?..

4. იმას, რომ ადამიანის კვლა — ეწინააღმდეგება ქრისტიანობას, რომელიც დაფუძნებულია სიყვარულზე.

ღმერთო, შეგცოდე, ამ დებულებას სახელმწიფო საბჭოს მართლმადიდებელი მემამულე-წევრები როგორ იუარებენ, მაგრამ კმაყო-

ფილებით ტაშსაც დაუკრავენ ილიას მიერ ამოწერილ ჰაინეს სიტყვებს: „მე მტერი მიყვარს მხოლოდ მაშინ, როცა ვხედავ სახრჩობელაზე ჩამოკიდებულს“.

ილიაც ხმამაღლა აცხადებს სახელმწიფო საბჭოს ტრიბუნიდან:

5. მთელი ქვეყანა თხოულობს სიკვდილით დასჯის მოსპობას და თუ ბანინ მიცემაში შევცდით... ნუგეში იმაშია, რომ ავყევით ხმას უფლისას, რადგან ხმა ერისა არის ხმა ღვთისა.

— კიდევ რას მოითხოვთ, თავადო ჩავჩავაძე?—აიჩლიქინეს ენა რეტროგრადებმა, მაგრამ გამხნევდნენ პროგრესისტები. ილიამ ითხოვა:

6. საბუთად მოყვანა იმისი, რომ სიკვდილით დასჯა ამრავლებს თუ აკლებს დანაშაულობას, — არაფერს არ მოასწავებს, რადგანაც დანაშაულობის სიმრავლე სხვა ათასნაირ მიზეზებზეა დამოკიდებული.

მეშვიდე საბუთსაც აცნობს სახელმწიფო საბჭოს წევრებს:

— რას?!

— ჰო და არას საბუთებს შორის ერთი რამ არის ზოგადი: ერთიც და მეორეც ხელშესახებ საფუძველზე არ არის დამყარებული და წარმოადგენენ მარტო მრწამსს როგორც ერთისას, ისეც მეორისას. აქ მარტო დიალექტიკური ღონისძიებაა ერთმანეთის დასაჯერად მიმართული.

— კიდევ, კიდევ? — იძახიან პროგრესისტები.

— შეწყვიტეთ, აღარ გვინდა მოსმენა! — გაჰყვირიან მონარქისტები.

ილიამ სიტყვის დამთავრება ვერ მოასწრო, რუსეთის შავრაზმული თავადაზნაურობის გულისწყრომის ტალღა ლანძღვად მიეშხაპუნა. იგრძნო, სიტყვას წაართმევდნენ, სჯობდა თვითონ შეეწყვიტა პროტესტის ნიშნად, სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთა მცირე ჯგუფის შეგონებით და საამისოდ კბილიც გაჰკრა იმათ, ვის ბანაკშიც ილიას ხმა დარჩა „ხმად მღაღადებლად უდაბნოსა შინა“. მაინც წარმოსთქვა:

— კითხვა, როგორ მოვიქცეთ თუ პროექტი სიკვდილით დასჯის მოსპობის შესახებ, მიუხედავად ჩვენი მთელი მონდომებისა, არ გავა, არ შეიძლება გადაჭრილი იქნას არითმეტიკული დასაბუთების წესით, ესე იგი იმით, რომ ჯგუფი, რომელიც თავის წინაშე აყენებს ამ კითხვას, ფრიად მცირერიცხოვანია მოახდინოს რაიმე შთა-

ბეჭდილება, რაიმე არევ-დარევა უდიდეს უმრავლესობაში. მე ისეთი კაცი არა ვარ, ვიფიქრო, რომ ჩვენი წასვლა სახელმწიფო საბჭოდან ხალხს არ დააფიქრებდეს.

ილიას ბოლო სიტყვაც წინასწარ გაანგარიშებული ჰქონდა და მემარცხენე ჯგუფის მიერ მოწონებულიც იყო. ჭავჭავაძემ და მისმა თანამოაზრეთა ჯგუფმა სახელმწიფო საბჭოს დარბაზი დემონსტრატიულად დასტოვა. სახელმწიფო საბჭოს მემარცხენე ჯგუფის წევრი, მეცნიერი კოვალევსკი მერე იტყვის ილია ჭავჭავაძის თავდადებასა და მეფის წინაშე გამბედაობაზე:

— იგი იმ მცირე რიცხვშია, ვინც მოითხოვს ფართო აგრარულ რეფორმას, რომლის ამოცანაა გლეხური მეურნეობის გაფართოება. მისი მზერა მიმართულია ნათელი მომავლისაკენ, რომელიც დაფუძნებულია თავისუფლების საზოგადოებრივი სოლიდარობის საწყისებზე!

მონარქიული რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს წევრი, მემამულე კრუპენსკი კი სასაყვედუროდ ავიდა ტრიბუნაზე:

— ჩვენ ავირჩიეთ ილია ჭავჭავაძე. იმან კი მთელი თავადაზნაურობა შეგვარცხვინა. ის სახელმწიფო საბჭოს მემარცხენეთ მიეკედლა. ჩვენ შევცდით და ვნანობთ!

შავრაზმელმა თავადმა მარკოვმა მოუწოდა ქართველებს:

— ეხლა თუ საიმედო კანდიდატს დაგვისახელებთ, ისეთს, როგორც გენერლები ორბელიანი და მუხრანსკია, თუნდაც წერა-კითხვაც არ იცოდნენ, დიდი სიამოვნებით ავირჩევთ!

სხვებმაც ბანი მისცეს.

• • •

ილიამ საშინელი ამბავიც შეიტყო. შიო ჩიტაძე მოკლეს სათავადაზნაურო გიმნაზიაში.

— რა უბედურება გვატყდება თავს?! რას ვესწრებით? რას გვიშვრებიან?!. უთუოდ შეკითხვა უნდა შეიტანონ ჩვენმა დეპუტატებმა. რა ხდება? — გულმოკლულად გაიძახის ილია.

ძიო ჩიტაძის მკვლელობის გამო აღძრულ შეკითხვის გარჩევას სათათბიროში ილია დაესწრო, მოისმინა ჟორდანიას, ჯაფარიძის და ბარათაშვილის სიტყვები, განსაკუთრებით გული აუჩვილა ბარათაშვილმა.

კირიონმა და ლეონიდიმ ალექსანდრე ნეველის ლავრაში დილის 11 საათზე პანაშვიდი დანიშნეს. სამწუხაროდ, პეტერბურგელ ქართველთაგან ორიოდე კაცი დაესწროო, ამათ შორის პროფესორი ცაგარელიც.

ილია ავადმყოფობდა. მაინც ყველაზე ადრე მივიდა პანაშვიდზე.

— რად დაიზარეს პანაშვიდზე დასწრება, — საყვედური გამოთქვა ილიამ, — რა სუსტნი ვართ!..

განა შეეძლო წარმოედგინა ილიას, რომ მასაც შიოს ბედი ელოდა.

ნაცნობ-მეგობრები არ ურჩევდნენ საქართველოში წასვლას:

— დარჩი აქ ცარსკოე სელოში, ან სხვაგან ქალაქს გარეთ დაბინავდი.

საქართველოში გამწვავებული ცხოვრებით აშინებდნენ. ილიას მეუღლესაც არ სურდა კავკასიაში გამგზავრება, ისიც წინააღმდეგი იყო, — იტყობინება მალაქია ბოლქვაძე:

„— რას ან ვის უნდა შევუშინდე?.. გაკვირვებით ეკითხებოდა ხოლმე ილია მოლაპარაკეს. — მე იქ რა უნდა მაშინებდეს? მე არავინ არას მიზამს საქართველოში. შიშით განა აქ უფრო არ უნდა მეშინოდეს?

თან მეგობრებს დასცინოდა:

— თქვენ თვითონ ნუ გეშინიათ, — შემოდგომაზე ისევ ერთად ვიქნებით. უფრო გაყოჩაღებული ჩამოვალ სახელმწიფო საბჭოში“.

ილიამ საქართველოსკენ გამოსწია, მაგრამ რა იცოდა, რომ მისი ფიზიკურად მოცილების სიტყვებიც უკან მოსდევდნენ.

კავკასიის პოლიციის დეპარტამენტში ილიას ძველ დოსიეს ახალსაც უმატებდნენ:

„დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ მიმართულების მთავარი ხელმძღვანელი, რომლის მიზანია ეროვნული მოძრაობის გაღვიძება, არის თავადი ილია ჭავჭავაძე, თბილისის სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარე. ამ ბანკის საშუალებით ინახება აღნიშნული თავადაზნაურობის სკოლა და აგრეთვე იგია რედაქტორი ქართული გაზეთისა „ივერია“.

სხვასაც ამბობდნენ:

„თავადი ილია ჭავჭავაძე არის თვალსაჩინო ჭკუის და მდგომა-

რეობის პატრონი, დიდი ავტორიტეტის მქონე ქართველებში საერთოდ და თავისუფლად მოაზროვნეთა შორის განსაკუთრებით".

დუშეთის მაზრის უფროსსაც უბრძანეს.

„პირადი საიდუმლო ზედამხედველობის ქვეშ იყოლიეთ თავადი ილია ჭავჭავაძე".

ჩანს, დიდად გადაიღალა ჟანდარმერია ილიას დევნით. იქნებ ერჩია სულაც მოეცილებინა ეს პრობლემა თავიდან, ერთხელ და სამუდამოდ მოესპო, მაგრამ ისე ოსტატურად, რომ ხალხს ვერ გაეგო, ვინ ჩაიფიქრა პირველმა და ვინ აღასრულა მეორემ, — დიმიტრი ყიფიანის ვერაგულად მოცილებისდა გვარად.

იქნებ ივანე მაჩაბლის გაქრობაშიც ოხრანკა იმავე მიზანს ისახავდა, ზიანს მიაყენებდა თვით ილიასაც, როგორც ბანკის მმართველს, საერთოდ ქართულ მწერლობასაც, რაკი რაც სავნოა ქართული მწერლობისათვის, სახეიროა საქართველოს მტრებისთვის.

ჰმ!.. საშინელია, საზარელია, მაგრამ მწარე ლოგიკაა, დაუნდობელი ლოგიკა!

ჯაშუში

თვითონ თქვა:

— მე დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში ერთი უბრალო ასოთამწყობთაგანი ვარ. დამთავრებული მაქვს მხოლოდ ჩოხატაურის სამკლასიანი სკოლა. 17 წლისა ვიქნებოდი, როდესაც თბილისში ჩამოვედი და შევედი შეგირდათ ქართველთა ამხანაგობის სტამბაში, ასოთამწყობის ხელობა ამოვირჩიე. რამდენიმე წლის შემდეგ კარგი ასოთამწყობი გავხდი და ვმუშაობდი გაზეთ „ტიფლისკი რაბოჩში", რომელიც გამოდიოდა იმ ხანებში, ესე იგი 1901 წელს, ნიკო ელიავას რედაქტორობით. იბეჭდებოდა თამამშევის სტამბაში.

— ღმერთმა ხელი მოგიმართოს, ყმაწვილო, განათლებას დაწაფებიხარ.

მერე ლუარსაბ ხელაძემ დაუმატა:

— სულ ეს იყო მისი სტამბაში მუშაობის სტაჟი. რამდენიმე ხნის შემდეგ, რაღაც პროვოკაციული საქმის მოწყობისათვის, მეტეხის ციხეში მოხვდა, მიუსაჯეს ორი თუ სამი წელიწადი ციხე.

სასჯელის მოხდის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა, ჯაში კიდევ ხელახლა ჩასვეს ციხეში, მხოლოდ ამ ჩავარდნით ჩაითრია თან რამდენიმე კაცი, რომელთაც მოახვია თავზე ვითომცდა ბომბების დამზადება ვორონცოვის ხიდის ყურეში არსებულ ერთ-ერთ სახლში. ამ საქმეში, რასაკვირველია, მან სხვები გახვია, თითონ კი რამდენიმე დღის შემდეგ გამოვიდა ციხიდან.

ორივეს ნათქვამი მოსამართლე ისიდორე ოდიშვილმა დააზუსტა:

— ილია ჭავჭავაძის მამულის მოურავი დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში მეფის „ოხრანკის" დაქირავებული ჯაშუშია. სასამართლომ დაკითხა, როგორც მოწმეები, დიმიტრი ჯაშის მეუღლე, დარია ჯაში და ძმა, უშანგი სოფრომის ძე ჯაში. მათი ჩვენებიდან ნათლად გამოირკვა, რომ დიმიტრი ჯაში, როგორც სისხლის სამართლის დამნაშავე, რამდენჯერმე იყო მოთავსებული საპატიმროში, მაგრამ იგი ბოკლე ხანში სულ იოლად გამოდიოდა საპატიმროდან. არსად არ მუშაობდა და ყოველთვის ღამით ღებულობდა ჯ ა მ ა გ ი რ ს, ეწეოდა შანტაჟს და სხვა შანტაჟისტებთან ერთად აწარმოებდა ბანკის და სხვა დაწესებულების ძარცვას, ამზადებდა ყალბ ფულს. ყალბი სამგზავრო ბილეთების დამზადებისა და გასაღებისათვის 1912 წელს ქალაქ ბაქოში დიმიტრი ჯაში მიცემულ იქნა პასუხისგებაში, მაგრამ იქიდანაც იოლად დააღწია თავი. იგი არ ირიცხება არც ერთ პოლიტიკურ პარტიაში და პირწავარდნილი პროვოკატორია. თანამშრომლობს შავრაზმულ-რეაქციულ გაზეთებში, სადაც წერს წერილებს „ჯიგიტის" ფსევდონიმით და ქება-დიდებას ასხამს მეფისნაცვალს კავკასიაში, რის გამოც მიიპყრო უკანასკნელის ყურადღება.

— ნუთუ ესეც შესძლო რეციდივისტმა და ბძარცველმა, მაგრამ როგორ?

— თვით ვორონცოვ-დაშკოვმა მიიწვია სასახლეში!

— რისთვის?

— მეფისნაცვალმა მადლობა გადაუხადა მისი მაქები წერილებისათვის და უსურვა შემდგომ უფრო ერთგული სამსახური მეფისათვის.

ასეც გააგრძელა?

— ამ წვეულების შემდეგ იგი ხშირი სტუმარი შეიქნა სასახლეში ოფიციალური ზეიმების დროს და საერთოდ ითვლება მეფის მოხელეებში მიღებულ პიროვნებად.

მერე მოწმეც დაუდასტურებს:

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე: თქვენი გვარი, სახელი და მამის სახელი?

დ ა რ ი ა ჯ ა შ ი: ჯაში დარია ნიკოლოზის ასული.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე: ვინ იყო თქვენი ქმარი?

დ ა რ ი ა ჯ ა შ ი: დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე: თქვენი მეუღლე დიმიტრი სოფრომის ძე ჯაში სად მუშაობდა, როცა თქვენ გათხოვდით?

დ ა რ ი ა ჯ ა შ ი: მაშინ არ მუშაობდა.

მ ო ს ა მ ა რ თ ლ ე: რითი ირჩენდა თავს, თუ არსად არ მუშაობდა?

დ ა რ ი ა ჯ ა შ ი: იმ ხანებში, როდესაც წამიყვანა, მან გაძარცვა სასოფლო-სამეურნეო ბანკი... ბოლოს ძალიან დაახლოებული იყო მეფის მთავრობის მოხელეებთან... ყოველ კრებაზე ესწრებოდა, მე თითოხ მქონდა რამდენიმე მოსაწვევი ბარათი. იმიტომ რომ ხშირად წერდა გაზეთებში და აქებდა ვორონცოვ-დაშკოვს. იგი ხუთჯერ იყო დაპატიმრებული მეფის დროს... ღამე სად დადიოდა, არ ვიცი, ყოველთვის ღამე ღებულობდა ჯამაგირს.

დიმიტრი ჯაშის ჯაშუშობა და შანტაჟისტობა დაადასტურა საკუთარმა ძმამ, უშანგი სოფრომის ძე ჯაშმაც:

— როგორც მახსოვს, ილიას ცოლისთვის ვიღაცეებს გაუგზავნიათ წერილი: „თუ დიმიტრი ჯაშს მოურავად არ მიიღებ, აუცილებლად გაგისწორდებითო“.

ისევ ლუარსაბ ხელაძე გააგრძელებს თხრობას:

— დიმიტრი ჯაშისთვის ციხე უკვე საშიში აღარაა, რადგან იმდენად დახელოვნდა და იმდენად შეითვისა იქ ჯდომა, რომ ციხეში ჩავარდნა მისთვის უკვე აღარაფერს ნიშნავს, თუმცა, რომ თქვას კაცმა, ამ მახინაციებითაც ფონს ვერ გადის და მშიერია. მაგრამ დიდი ხანი არ გასულა ამის შემდეგ, დიმიტრი ჯაში უკვე კარგად ჩაცმული დადის გარეთ და უფულობა აღარ ეტყობა. ჯაში თანაშრომლობს მხოლოდ გაზეთებში — „მოსკოვსკიე ვედომოსტსა“ და „პეტერბურგსკი ვედომოსტში“.

— ესე იგი შავრაზმელ კატკოვის „მოსკოვსკი ვედომოსტში?!“. სიამოვნებითაც მიიკრავდა გულზე მისი რედაქტორი ილია ჭავჭავაძის მწარე სტატიის შემდეგ — „კატკოვის პასუხად“.

— დიახ, მის თანამშრომლობას ამ გაზეთებში შეადგენდა განსაკუთრებით მთავარმართებლის ქება-დიდება. ფსევდონიმი მისი

იყო „ჯიგიტი“. გარეგანი შეხედულებით ვერ შეიტყობდით — ეს კაცი თუ რამეს წარმოადგენდა, ან მოახერხებდა, მაგრამ სწორედ ეს სამკლასდამთავრებული ადამიანი იმდენად მშვერმეტყველი და გამჭრიახი იყო, რომ თავისი მოქნილი ენით დაწერილ ქება-დიდებას განცვიფრებაში მოჰყავდა როგორც კავკასიის მეფისნაცვალი, აგრეთვე მისი თანამოაზრენი.

ერთ გაზაფხულის საღამოს მოვიდა ჩემთან სახლში უბნის ზედამხედველი და მითხრა, პოლიცმეისტერი გიბარებს და ამ საათშივე უნდა გამოცხადდეო. მივედი. მაშინ პოლიცმეისტერი იყო ზასიპკინი. მან მითხრა: „თქვენ როგორც ციხეში მოსამსახურე, დიმიტრი ჯაშს უნდა იცნობდეთ, როგორმე უნდა იპოვნო და გამომიგზავნო საჩქაროდო“.

მეორე დღეს ვნახე ჯაში და გავუგზავნე.

გავიდა დრო. რამდენიმე დღის შემდეგ შემხვდა ჯაში და როგორც დაინტერესებულმა ვკითხე: რაზე დაგიბარა პოლიცმეისტერმა-მეთქი?

ცოტათი შეყოყმანდა, თითქოს არ უნდოდა ეთქვა, მაგრამ განმეორების შემდეგ გამიმხილა:

— პოლიცმეისტერმა მითხრა, რომ მეორე დღეს, თორმეტ საათზე, გამოვცხადდე აუცილებლად მეფისნაცვალთან, ვორონცოვ-დაშკოვთან, მე ძალიან შევფიქრიანდი, მაგრამ რა უნდა მექნა, წაუსვლელობა არ შეიძლებოდა, მაგრამ ტანისამოსი არაფერი მქონდა შესაფერისი და ეს ძალიან მაწუხებდა. ბოლოს გადავწყვიტე ქირით ამეღო მაღაზიიდან. მეორე დღეს გამოვეწყე ფრაკში და მიველი სასახლეში — მაგრამ შესვლა არ გინდა? აველი კიბეზე, შევიხედე მისაღებ დარბაზში და თვალები ამიჭრელდა სხვადასხვა სანახაობებით.

კანცელარიის დირექტორმა, ალბათ, იცოდა ვინც ვიყავი, რა ვიყავი და მომცა ადგილი, სადაც უნდა ვმდგარიყავ. მე გაოცებული ვიყავი ამ სანახაობით. ჩემ დღეში არ ვყოფილვარ დიდრონ პირებთან და არც ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავ. დარბაზში იდგნენ გაყოფილი ორ რიგად: ერთ მხარეს სამხედრო პირნი იყვნენ ჩამწკრივებული და, მეორე მხარეს, სამოქალაქო პირნი. მე ვიდექი დარბაზის შუა ადგილას, მაგრამ ვღელავდი და სულ ვკანკალებდი. ამ დროს გამოვიდა მეფის მოადგილე ვორონცოვ-დაშკოვი, თავის

ამალით, ყველას ესალმება იქეთ-აქეთ და თან ჰკითხულობს: «А где Джигит?»

რომ უჩვენეს ჩემზე, წამოვიდა მეფის მოადგილე ჩემკენ მოსასალმებლად და მე როგორც გამოუცდელმა, არ ვიცოდი დიდრონ პირებთან შეყრის წესრიგი — დავუჩოქე და თაყვანი ვეცი, თუმცა ასე არ უნდა მოვქცეულიყავ. მეფის მოადგილე მომიახლოვდა, მხარზე ხელი დამადო და მითხრა:

— „ჯიგიტი“ თქვენ ხართ, მოსკოვისა და პეტერბურგის უწყებებში რომ წერთ ჩემზე?

მე დავუდასტურე, და შემაქო:

— ყოჩაღ, ყოჩაღ, სამშობლოს ერთგული კაცი ყოფილხარ!

მთხოვა განმეგრძო მუშაობა დიდი რუსეთის საკეთილდღეოდ, მომაგონა აგრეთვე გაზეთ „მოსკოვის უწყებებში“ დაბეჭდილი დიდი ფელეტონი „ჯიგიტის“ ფსევდონიმით, რომელიც შეეხებოდა სხვათა შორის თათრების მიერ ჩვენი სახელმწიფო საზღვრების დარღვევას, ბოლოს რომ ვამთავრებდი: «მაგრამ კავკასიაში ჩვენი მეფისსაცვლის ფხიზელ თვალს არაფერი გამოეპარება, ესე იგი, შემჩნეულია ხარვეზი მეფის მოადგილის მიერ, რაც სასწრაფოდ გამოსწორებული იქნა».

ეს უნებლიე ჩემი ვიზიტი დამთავრდა. წამოსვლისას მოვიდა ჩემთან კანცელარიის დირექტორი და მითხრა:

— დღეს თქვენ ჩვენი სტუმარი ხართ და გთხოვთ, მობრძანდეთ რესტორან „ანონაში“ საღამოს ხუთ საათზე.

მე სირცხვილით უარი ვერ ვუთხარი და მივეცი სიტყვა.

წაველი სახლში. გამოვიცვალე ფრაკი და პატრონს ჩავაბარე. საღამოს ჩავედი „ანონაში“, დავიარე ყოველი კუთხე რესტორნისა, მაგრამ იქ არავინ აღმოჩნდა. მხოლოდ ერთი ცალკე ოთახი იყო, სადაც ლაქიებმა არ შემიშვეს და მითხრეს:

— აქ დიდი პიროვნებები არიან, შენი აქ შესვლა არ შეიძლება.

რა მექნა, დავაპირე უკან წამოსვლა, რადგან უკვე დაგვიანებული იყო. ამ დროს მეფის მოადგილის კანცელარიის მოსამსახურეთა ერთ-ერთმა მოსადილეთაგანმა კარი გააღო და ოფიციანტს დაუძახა:

— აქ ერთი სტუმარი უნდა მოსულიყო ჩვენთან, სად არის?

მაშინვე დამინახეს და საყვედური მითხრეს, რომ დავიგვიანე, თუმცა-ღა ჩემი ბრალი არ იყო, მაგრამ ოფიციანტებმა ჩემი სტუმ-

რობა მათთან სირცხვილად მიიჩნიეს. ასე თუ ისე, შევუდექით პურისჭამას. ჩამოვარდა ლაპარაკი სწავლა-განათლების შესახებ. მე მომიბრუნდა მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორი და ნეკითხება:

— რომელი უნივერსიტეტი დაასრულე?

— ჩოხატაურის უნივერსიტეტი.

დირექტორი ცოტა არ იყოს გაშტერდა, ამ სახელწოდების უნივერსიტეტი მას არ გაეგონა და ხელმეორედ შემეკითხა:

— უკაცრავად, ვერ გავიგონე, რომელი უნივერსიტეტი დაასრულეთ?

მე ვეღარ მოვითმინე, გამეცინა და უთხარი:

— ჩოხატაურში არავითარი უნივერსიტეტი არ არის, არის მხოლოდ სამკლასიანი სოფლის სკოლა, რომელიც ჩემთვის უნივერსიტეტიც იყო და სკოლაც.

ამაზე ბევრი იცინეს, მაგრამ მაინც არ სჯეროდათ, თუ მე მხოლოდ სამკლასიანი ვიყავი. ბევრი ხუმრობისა და სიცილის შემდეგ გავათავეთ პურისჭამა და დავიშალენით. იმ ხანებში მომანდვეს მუდმივი მეთვალყურეობა გერმანელთა კოლონიებისა, — ეკატერინფელდი, ელენდორფი.

* * *

დიდი დრო არ გავიდა. ჯაში თავისთან დაიბარა თბილისის ქანდარმერიის სამმართველოს უფროსმა.

— კმაყოფილი ბრძანდებით გერმანელებით?

— საკმარისად, თქვენო ბრწყინვალებავ, — მოელაქუცა ჯაში.

— ჩვენ კი უმკაყოფილონი ვართ ქართველებით!..

ჯაში მიუხვდა:

— გასაგებია, თქვენო ბრწყინვალებავ, ქართველი სოციალ-დემოკრატებით, არა?

— ჩაიჭერით. ჩანს, არ იცნობთ სოციალისტების ქადაგებას?

— მაპატიეთ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— უკეთ უნდა იცნობდეთ სხვების ქადაგებასაც, რომელთაც პოლიტიკური პარტია არ გააჩნიათ, მაგრამ მეფის საწინააღმდეგო განწყობილებას კი აღვივებენ საქართველოს ყველა წოდებაში, — თავადაზნაურობაში, გლეხობაში, მუშათა კლასში, მოვაჭრეებშიც.

— მე ასეთი უხილავი პარტიის გამგონი არ ვარ. ნუთუ საშიშია მათი ქადაგებანი? — გაიკვირვა მიწვეულმა.

ჟანდარმერიის უფროსმა თვალები მინაბა, სკამ-სავარძლის ზურგს მიეგჯინა და თითქოს ფიქრით საპასუხოს ჩამოსთვლიდესო, რამდენიმე წამით ტუჩები აცმაცუნა და შავად გაპოხილი ულვაშების წვეტები აიპრიხა.

— ჩემო ძვირფასო, პოლიტიკა — საიდუმლოების ცხრაკლიტულია. მაგრამ დაწვრილებით ვიცით, საქართველოს რომელ პარტიას რისკენ მიუწევს გული. სიმართლე გითხრათ, ყველა ერთად და ცალ-ცალკე ხელმწიფე-იმპერატორის ტახტიდან ჩამოგდებას ნატრობს, მაგრამ ყველა როდი ქადაგებს ერთიანი და განუყოფელი რუსეთის დაქუცმაცებას. ქართველი სოციალ-დემოკრატების ორივე ფრაქცია, — მენშევიკ ნოე ჟორდანიას იტყვით თუ ბოლშევიკ ფილიპე მახარაძეს, — ერთიანი, დაუშლელი, დაუნაწილებელი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მმართველობაში დარჩენას ქადაგებენ და ეს გვაძლევს იმედს, რომ დედა-რუსული არ გაიწეწ-გამოიწეწება. არც ქართველი სოციალისტ-რევოლუციონერები უარყოფენ ერთი პოლიტიკური ცენტრის მორჩილებას. სოციალისტ-ფედერალისტები კი უფრო ეშმაკობენ, — დანარჩენ პოლიტიკურ პარტიებს ფეხებში ებლანდებიან, მაგრამ ისინიც კი რუსეთის იმპერიის დღევანდელ ფარგლებში დატოვებას ითხოვენ, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ ხალხთა ერთად ყოფნას — ფედერაციას არ-ქმევენ.

ჯაში ლამის დაიბნა, ველარ გაეგო, რომელი მათგანი იყო პოლიტიკურად უფრო აგრესიული მეფის რუსეთის წყობილების წინააღმდეგ, მაგრამ ჟანდარმერიის განათლებულმა შეფმა წვრილად განუმარტა:

— ნუ ღელავთ, ჯიგიტო! არც ერთი მათგანი არ არის რუსეთის დანაწევრების მოწადინე, სოციალური წყობის შეცვლისა კი — დიდად მოსურნენი: მზად არიან გვირგვინოსანი რომანოვების ტახტზე დასვან რესპუბლიკის უგვირგვინო პრეზიდენტი, რომელსაც, როცა მოინდომებენ, ერთი თითის აწევით შესცვლიან და ახალს წამოასკუპებენ. წარმოგიდგენიათ, რა ოთურმა გაიმართება ამ ჩვენ ძველს. მამაპაპურ მეფურ იმპერიაში, როცა ყოველი პარტია თავისკენ გაიწევს, თავში ჩამკაკუნებელი კი „ფაფუ“ აღარ ეყოლებათ.

— მე მაინც ვერ დავიჯერებ, რომ ქართული პოლიტიკური პარ-

ტიები არ მოითხოვდნენ პოლიტიკურ ავტონომიას?! ვერც იმას, ოომ მარტო მეფის მწყალობლური გვირგვინის ჩრდილში ყოფნა უხაროდეთ, — შეკადრა გაბედული ბუნების ჯაშმა პოლიტიკაში გაწვრთნილ ჟანდარმთა შეფს.

— დაიჯერებთ, თუ შეგახსენებთ, რომ ასეთ ერთადერთ მიერეკილებას იჩენს მხოლოდ ერთადერთი უპარტიოთა პარტია. ისინი იმასაც კი ითხოვენ, რომ კანონები საქართველოსათვის იწერებოდეს აქვე, მაგრამ მეფის მიერ კი არა, ხალხის მიერ არჩეული კრების მიერ. ახლა ხომ ხვდებით, ვინ უფრო საშიშია ამ ეტაპზე ჩვენთვის?!

ჯაში წინ წაუხტა.

— ვინღა წარმართავს საქართველოში ასეთ კრამოლას, თუ არც პარტია ყოფილა ამისი მომწოდებელი და არც ბელადი ჰყოლიათ?! მარქსის თეორიის მიმდევრებს კავკასიაში რა ვუყოთ, იავნანა ვუძღეროთ?!

შეფს გაეღიმა ჯაშის ენაკვიმატობაზე, მოსწონდა, რომ „ჯიგიტი“ ასეთივე ენაწყლიანობით წერდა „სანკტ-პეტერბურგსკიე ვედომოსტებში“ მეფისნაცვლის მოღვაწეობაზე, მაგრამ დაუწუნა, რომ სოციალიზმის ძოძღვრების შიში შეჰყროდა. თვითონაც ღრმა აზროვნების ექსტაზს მიეცა და სხვათა ნაწერებშიც ჩახედული სამხედრო კაცი პოლიტიკურ მოღვაწეთა ნააზრევის გარჩევასაც მიეტანა:

— მარქსის თეორია რევოლუციის გარდაუვალობაზე ის ღვთიური ვაზია, რომელსაც ლერწზე ტკბილი ყურძნის ჯაგნები ჰკიდია, ხოლო ცხრა იმისთანა შტოზე კი მწარე ანწლი ასხია. ანწლი კი ყურძენს ახდენს.

— დიახ, თქვენო აღმატებულებავ, ყოველი სოციალისტური თეორია ერთდროულად მათრობელაც არის და მახრჩობელაც! — შეიცხადა ჯაშმა შეფის საამებლად, იმან კი, ვითომც არაფერიაო, წარბი შეიკრა და ხმასაც აუწია:

— მითხარი, გეთაყვა, ვინ შექმნა რევოლუციური მოძღვრება საზოგადოებრივი ურთიერთობის გარდაქმნაზე? — შეეკითხა შეფი და თვითონვე უპასუხა, — კარლ მარქსმა.

— მართალს ბრძანებთ, ჩვენო აღმატებულებავ, ერთობისა და თავისუფლების მოქადაგეა. კავკასიამაც მეფე-იმპერატორის სამტროდ აიტაცა მისი მოძღვრება, — დაიღრიჯა ჯაში.

— მაგრამ თავთავიანთებურადაც გაიდეს მხარზე მისი დროშის ტარი კავკასიელებმა. ამით რუსეთის იმპერიისათვის საშიში მოძღვრება უსაშიშროდაც აქციეს. წაიკითხეთ თუნდაც მისი ვეება წიგნი „კაპიტალი“. რევოლუციური მოძღვრების გულს წარმოადგენს, მაგრამ იმდენად მძიმეა აღსაქმელად, რომ სანკტ-პეტერბურგის ცენზორმაც კი გულდამშვიდებით წააწერა: „ნებადართულია დასაბეჭდად, რაკი მკითხველი მაინც ვერას გაიგებს“. შეცდა! რევოლუციონერობას აყოლილმა მოციქულებმა სხვადასხვაგვარად გაიგეს მარქსის მოძღვრება. ამით შეწუხებულმა მარქსმა თვითონვე შეჰღაღადა: „ღმერთო, მიხსენი ასეთი მარქსისტებისაგან!“ — ერთმა სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ მენშევიკად მოინათლა თავი და ემბაზში ოპორტუნიზმის მირონიც ჩაღვარა, მეორე პარტია სოციალისტ-ფედერალისტად აიფოფრა, მესამემ სოციალისტ-რევოლუციონერის იარლიყი დაიკიდა და ყულფში გაჰყო თავი, მეოთხემ ლიბერალობის ალამი ააფრიალა, მეხუთემ ანარქიის ქადაგება დაიწყო, ყველამ სოციალისტობა დაიჩემა. ასე არივ-დარიეს მარქსის მოძღვრებაში გასაგნები გზები. სოციალ-დემოკრატთა ბოლშევიკური ფრაქცია სხვებზე სუსტია რიცხობრივად და აკი ხმის მოგროვებაშიც აგებს, თუმცა „უმრავლესობის“ სახელწოდებით გვებრძვის. აბა „ჯიგიტო“, თუ ჭკვიანი კაცი ხარ, გამოიცანი, ვინ არის მათში მართლაც უფრო საშიში ჩვენი წყობილებისათვის?

ჯაშმა თავი გააკანტურა:

— ძნელია, თქვენო აღმატებულებავ, რევოლუციონერისა და ოპორტუნისტის გარჩევა. ყველა ერთი ხილისაა.

შეფმა თავი გააქნია:

— ცდებით, ჯიგიტო! მათი ნათქვამის წაკითხვა და გააზრება გმართებთ. მაშინ გაგიადვილდებათ მათი ცალ-ცალკე დამარცხება. მარქსიზმის თეორიით თავმოწონებამ ყველა დაასუსტა, ოპორტუნიზმის ღერძი შეუყენეს და მარქსისავე მოძღვრების საწინააღმდეგო მიმართულებით წაიყვანეს ურმის თვალი. მართალია, სოციალისტურ რევოლუციას ქადაგებენ, მაგრამ ერთმანეთის ქიშპით ხევში გადამჩეხი თავდაღმართით მიგორავენ.

მერე კუშტი სახე კიდევ უფრო შეიჭმუხნა და ბოლმა ჩამოწურა:

— ილია გრიგორიჩ ჭავჭავაძე კი არც იმ აღმართს აჰყვა და არც თავდაღმართს დაჰყვა, მარქსის „ერთობა-თავისუფლების“

მოწოდება მოიწონა, მაგრამ მისი ნაირსახეობის მოქადაგეთა სიტყვა-საქმენი დაიწუნა. ერის შეკვრა-შეკავშირება მოსთხოვა ქართველობას. თანაც, რომელიმე პარტიისადმი მიდრეკილება რომ არ დაეწამებინათ, სულაც განზე გაუდგა, ყველას თავისი დროშის ასაწევად მოუხმო. საქართველოს ძალა ერთობასა და თავისუფლებაშიაო, შეკავშირებაშიო, ერთძანეთს ნუ ავნებთ, აამეთო, საკაცობრიოს სარგოს მოეკიდეთ და მამულიშვილებად დარჩითო.

ჟანდარმერიის შეფმა ჯაშსაც თავში ჩაუქედა:

— აი ესაა მეფის საწინააღმდეგო ყველაზე საშიში ქადაგება. სოციალიზმის იდეის წარმატება ნაკლებად მაშინებს. იმათ დამარცხებაში თითონ მარქსიზმის მოძღვრების ენაარეულად მოქადაგე ბოციქულები დაგვეხმარებიან, ერთმანეთს დასჭამენ.

— ბოლშევიზმი კერკეტი კაკალია, გაჭირდება მისი გატეხვა, — გაუბედა ჯაშმა.

— სუსტი ფრთები ასხიათ, მაღლა ვერ აფრინდებიან. მენშევიკები, ფედერალისტები, ესერები, ლიბერალები, ანარქისტები, დაშნაკები, მუსავატელებიც და ბუნდელებიც მხრებზე მძიმედ ჩამოეკიდებიან და ჩამოაგდებენ, ბოლშევიზმი ვერც მიწაზე გაიხარებს რაკი პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგით იბრძვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ წვრილ მესაკუთრე-მოვაჭრეთა ფენასთან ერთად ზღვა-გლეხკაცობის ტალღაც აღუდგება და მუშათა კლასის ანაბარად დარჩენილს წარმატება არ უწერია. პროლეტარიატის დიქტატურით დაშინებული სხვა სოციალისტური პარტიების მხარდაჭერას დაკარგავენ და ესეც გვაიმედებს მონარქიის დამცველებს. ილია გრიგორიჩი კი ყველა კლასის ზნეობის დიქტატურას ლოცავს და ამით საქართველოს გამგებლის გვირგვინს იწნავს.

ამიტომ უნდა კარგად გესმოდეთ, ჯიგიტო, რომ ჭავჭავაძეა მონარქიული წყობის მთავარი მტერი და არა მოსოციალისტო ინტელიგენტები — მენშევიკები, ესერები, ფედერალისტები, ლიბერალები. ბოლშევიკებს კი უფრთხილდი. მათთან ხუმრობა არ გამოდგება, პოლიტიკას ისე მარჯვედ შეცვლიან, რომ იქნებ ილიაც კი თავიანთ შემწედ იქციონ. მაშინ მართლაც გაჭირდება ნამდვილ მარქსისტულ მოძღვრებასთან ბრძოლა და საქმეს მხოლოდ ტერორი უშველის. გაიხსენე რაებს ბრძანებს ჭავჭავაძე პეტერბურგის სათათბიროში, იმდენი დეპუტატიდან მხოლოდ ქართველმა თავადმა დაგმო მონარქიული წყობილება! მართალია მარქსისტუ-

ლი წყობილება არ ახსენა, მაგრამ რაღაც დემოკრატიულს გულისხმობდა. ასეთი სიტყვები აღარ უნდა ისმოდეს საქართველოში, თუნდაც რომ რუსეთის სატახტო ქალაქიდან მოდიოდეს. ილია გრიგორიჩს სასიმღერო ხმა უნდა ჩაუწყდეს!..

ჯაში მოიღუშა, მოსმენილმა რევოლუციონერების შიში არ გაუქრო, მაგრამ რევოლუციონერებისა და მთავრობის მიერაც ათვალწუნებულმა ჭავჭავაძემ ახალი შიში გაუჩინა.

— თქვენ ბრძანებთ, რომ ჭავჭავაძე აღარ ფარავს მეფე-იმპერატორისადმი თავის მტრობა-ურჩობას?

ჟანდარმერიის შეფმა მაგიდის უჯრა გამოწია და ჯაშთან სასაუბროდ წინასწარ მომზადებული წითელტყავგადაკრული სქელი მუყაოს საქაღალდე ამოიღო, შიგ კოხტად ჩაკერებული დოკუმენტები ერთი თითით გადაფურცლა, მერე ისევ უკან გადმოფურცლა და ერთს ისეთს დახედა, რომელსაც წითელი ფანქრის მსუყე განასმი აჩნდა, — მოისმინეთ, რას წერენ ჩვენი ერთგული მოხელენი:

„გაზეთი“ „ივერია“ ყოველთვის გამოირჩეოდა თავისი ჟინიანი, ცალმხრივი დამოკიდებულებით სახელმწიფოსადმი“.

— ამას სწერს კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს ჟანდარმერიის ცენზორ-ზედამხედველი. ალბათ ხვდებით, როძელ პარტიაზეა ლაპარაკი და თუ რატომ შეიძლება ვუწოდოთ ჩვენ მას „ივერიის“ პარტია, თუმცა ასე არავინ არ ეძახის.

ჯაშს ჭკუაში დაუჯდა. იმ გაზეთში წაკითხული ბევრი მამულიშვილური, დემოკრატიული შინაარსის სტატია, ფელეტონი, მიმოხილვა, მოთხრობა და ლექსიც კი მეფის წყობილების გმობად ეჩვენა.

— სხვაც ინებეთ, გეთაყვა, — წყნარად ჩაილაპარაკა შეფმა, — იმავე კავკასიის საცენზურო კომიტეტის თავმჯდომარეს ფეოქტისოვისათვის გაგზავნილი საიდუმლო მიმართვაც შემიძლია წაგიკითხოთ:

ჯაშმა პატივისგების ღირსებით მოისმინა:

„სრულიად უგულებელყოფს რა ცენზორულ მითითებებს, თავადი ჭავჭავაძე დაურიდებლად და დაჟინებით განაგრძობს ცენზურაში ისეთი წერილების გადმოგზავნას, რომელთა მიმართულება განუვითარებელი და მეტად ადვილად დამჯერი ადგილობრივი ახალგაზრდობის ამაღელვებელია“.

მერე უფრო ღრმა ეჭვის კილოთი ჩააგონა:

— ისიც გაიხსენეთ: ხელმწიფე-იმპერატორის ადმინისტრაციამ ქართველი თავადაზნაურობის ერთგულების საწინდრად რომ შეიარაღებული შავი რაზმები შეჰქმნა, რას ვისახავდით მიზნად? თავადაზნაურობის დაცვას გლეხკაცობის ავკაცობისაგან აჯანყებების საშინელ პერიოდში!.. მერე როგორ დაგვიფასა ასეთი ზრუნვა თვითონ თავადმა ჭავჭავაძემ?

შეფმა იგრძნო სტუმრის ცნობისმოყვარეობის გაძლიერება, მისი თვალების ჭყეტაც არ დარჩა შეუმჩნეველი, მაგიდიდან მოშორებით მჯდარი ჯაშუში ცდილობდა საიდუმლო საქაღალდეში ჩაეხედა, ჟანდარმმა კი რბილად დახურა დოკუმენტებით სავსე საქაღალდე.

ამით უკმაყოფილო ჯაში სავარძელში გასწორდა და შეფს ცივად შეხედა. ჟანდარმერიის ოფიცერმა წითელტყავა საქაღალდე ისევ რბილად გადახსნა და სხვა რამ ამოსაკითხის წინ ჩადებული წითელი ბაბთა აზიზად გადააბრუნა.

„ნიკოლოზის ეკლესიის სამრევლო სკოლის შენობაში შეიკრიბნენ მღვდლები და გადაწყვიტეს, რათა მოკლე ხანში გამართონ სრულიად საქართველოს სამღვდელოების კრება“.

— ოჰო! — ამოხდა გაკვირვების ხორხიანი ხმა ჯაშს.

— დიახ, ასეა! ხომ გესმით, რა საშიშია არა მარტო პოლიტიკური პარტიების კრამოლა, არამედ ღვთისმსახური მამების ვედრებაც. რა თქმა უნდა, ეწყინათ, რომ მეფისნაცვალმა ნება არ დართო ასეთ ძირგამომთხრელ კრებაზე, — ჩაურთო განსწავლულმა შეფმა.

— ახლა ყველაფერი გასაგებია.

— ხედავთ, მღვდლების პარტიის ჩანასახიც ჩნდება, კირიონის მოთავეობით.

— მესმის თქვენო ბრწყინვალებავ. ქართულ ეკლესიას რა ხანია ავტოკეფალია წაერთვა. ამის აღდგენის მოთხოვნა კი, მართლაც, უწმინდური კრამოლაა, — მორჩილებით ჩაურთო ჯაშმა.

— სრულ სიმართლეს ბრძანებთ „ჯიგიტო“. ასეთი საღი გონიერებისათვის შეგაქოთ ამას წინათ მეფისნაცვალმაც.

— მე უაღრესად მადლიერი გახლავართ მისი უდიდებულესობისა და თქვენი მოწყალების! — მიუქათინაურა ენაქანქარა სტუმარმა.

ეს არც შეფის ცქვიტ ყურებს გამორჩა და ბასრმა თვალებმაც განჭვრიტეს, მაგრამ იმისიც სჯეროდა, რომ სწორედ ასეთი ესქანქარანი ეწაფებიან მონარქისადმი ისეთ სასახელოს ჩადენას, რასაც სხვა სინდისიერი არსება ვერც წარმოიდგენს, არც იტყვის და ვერც იქმს.

— და აი სამღვდელოების კრებას შემთხვევით დასწრებია ჭავჭავაძე, — გააგრძელა ჟანდარმმა, — გაცხარებული კამათის დროს კრების თავმჯდომარემ, სიონის ბლაღოჩინმა ტყემალაძემ შემდეგი სიტყვები მიმართა მას: — „ბატონო ილიავ, მოგეხსენებათ, როგორ დიდად გვიღირს თქვენი სიტყვა. დაგვარიგეთ, გვითხარით, როგორ მოვიქცეთ?“.

ამ სიტყვების ამოკითხვისთანავე შეფმა თვალები ააბრიალა და წაკითხული სტრიქონებიდან ცალკე მარგალიტებად ამოკენკა — „გვიღირს“, „დაგვარიგეთ“, „გვითხარით“.

— აგენტურის ცნობაში ნათქვამია შემდეგიც, — განაგრძო შეფმა, — თავადმა ჭავჭავაძემ დასდო პენსნე მაგიდაზე და თქვა:

— გული სუსტი მაქვს, ბევრს ვერ ვილაპარაკებ, აქ ბევრი კარგი აზრი იყო გამოთქმული; ჯერ კანონიერად მოიქეცით, მიმართეთ ეგზარხოსს, მეფისნაცვალს, მიმართეთ თვით მეფეს და თუ არაფერი გამოვა, არა უშავს რა, ერთი-ორი მათრახი თქვენს ანაფორასაც რომ მოხვდეს.

— დახეთ, როგორ წაუქეზებია, იმ ვაჟბატონს! — აგულიანდა ჯაში.

— ავუხდინეთ! — დააცხრო ფიცხი სტუმარი, — ბევრმა ხანმა არ გაიარა, სულ რამდენიმე დღემ. მღვდლები შეიკრიბნენ ტფილისის სასულიერო სემინარიაში, ყოჩაღი ყაზახები მივუსიეთ და ერთი-ორი მათრახი კი არა, სულ მტვერი ვადინეთ იმათ ანაფორებსაც.

— ხა-ხა-ხა, — ჩაიხითხითა ჯაშმა.

შეფი უმალვე გაგოროზდა:

— Молчать! სახითხითოდ არ დამიბარებიხართ! — ცივი, მტკიცე კილოთი გააყოლა. — მეფისნაცვლის დავალებაა, თვით გრაფ ვორონცოვ-დაშკოვისა, მისი მოადგილე კრიმ-გირეის პირით გადმოცემული და, რა თქმა უნდა ჩემიც... გესმით! — ჩექმის ქუსლის იატაკზე მირტყმით წამოიქუხა შეფმა.

ჯაში შეცბა, საკუთარი ხითხითისა შერცხვა, უხერხულობის წარმომშობი სიტყვა ბანზე ააგდო და მიამიტურად იკითხა:

— მაშ რაღაში ხედავთ, თქვენო ბრწყინვალებავ, ჭავჭავაძის უფრო მეტ კრამოლას, ვინემ სოციალისტური პარტიები არიან.

— ბრიყვო! — ამდენს გეჩიჩინეთ, თქვენს თავში კი არაფერი შესულა!..

— დიახ, ასეა, თქვენო ბრწყინვალებავ, — მოიკუნტა ჯაში.

— ჰოდა, დაიხსომეთ, სოციალ-დემოკრატები პირველი რიგის კითხვად აყენებენ აგრარულ რევოლუციას. ეროვნულ საკითხს კი ამ პირველზე დამოკიდებულებად სთვლიან და სამერმისოდ სდებენ. ორივე ფრაქცია ერთა თვითგამორკვევის მოწადინეა. რევოლუციური რუსეთის ფარგლებში, ყველა ერის ერთად დარჩენას ირჩევენ ერთი პარტიის, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ეგიდით.

მერე მომსმენს თვალებში ჩახედა, — „შეიგნო რამე თუ არაო“ და ისევ განაგრძო ახსნა:

— თავად ილია გრიგორიჩს კი, პირიქით, სადღეისოდ მიაჩნია, რომ ერთდროულად და თანაბრად უნდა იღვაწონ ქართველებმა, ქართული ეროვნულობის დამოუკიდებლობისათვისაც და ფართო აგრარული რეფორმებისთვისაც. ეს ერთგვარად ელამუნებათ მუშებსაც და გლეხებსაც, წვრილბურჟუაზიასაც, რომლის სულის ჩამდგმელია ჭავჭავაძე და თვალსაჩინო პირადი მაგალითიც მისცა ერს. — საკუთარი ყმები მიწიანად გაათავისუფლა, ხიზნებიც კი არა ჰყავს, სოციალურ სოლიდარობას ქადაგებს და ამითაც მისი სახელი უფრო პოპულარული ხდება ყველა სხვა ქართული სოციალისტური პარტიების ლიდერებთან შედარებით. ეს, ერთის მხრივ, იწვევს ქართული პოლიტიკური პარტიების ერთმანეთისადმი ჩასაფრებას, კილვასა და სარმის გამოდებას, რაკი შიშობენ, რომ ხალხის დიდი ნაწილის სოციალისტურისა და ეროვნულის ლოზუნგების შეერთებით უფრო ადვილად მიიტყუებს ჭავჭავაძე, ვინემ ჟორდანია, მახარაძე, ჯორჯაძე თუ ჩერქეზიშვილი, — მენშევიკები, ბოლშევიკები, ფედერალისტები თუ ანარქისტები, — ყველა გრძნობს „ივერიელთა“ ძალასა და გავლენას. ახლა ჭავჭავაძე საქართველოს რევოლუციური მოძრაობის ყველაზე პოპულარული წარმომადგენელია. ეს სოციალისტურმა პარტიებმა იციან. ამიტომ ჭეშმარიტ მეფის წყობილების დამცველთა სადღეისო ამოცანაა

გავაღვიოთ მათ შორის შუღლი, რომ არ მიაღწიონ პარტიათა კურსის გაერთიანებას. მათი გაერთიანების მოთავეებად მუშები გამოდიან და ამის გამოც მენშევიკებიც და ბოლშევიკების ფრაქციაც იძულებულია ანგარიში გაუწიონ. მიუხედავად ამისა, ორივე ამ ფრაქციას და სხვებსაც ერთმანეთის უნდობლობის ჭია სჭამთ და ეს არის, რომ გვშველის. ამასთან საჭიროა მეფის ადმინისტრაციის მხრივ, ცალკეული დაპირებითა და რეფორმებით კვლავაც პირში ჩალა გამოვავლოთ! მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლის გაერთიანებისა და კოორდინირების პათოსი კვლავაც უნდა შევანელოთ, რომ მერე სულაც ჩავაქროთ. ამის მიღწევა კი გაადვილდება ილია ჭავჭავაძის მოძღვრების სახელის გატეხვითაც, პირველ ყოვლისა მისი პირადი სახელის შელახვით.

შეფს დაღლა დაეტყო. ბროლის ჭიქაში ზელტერის წყალი დაისხა, ორიოდე ყლუპი მოსვა, გული გაიგრილა, ხმას ხრინწი მოაცილა.

— განა არ გაგვაჩნია საამისო საბაბი და არგუმენტი?!

— ალბათ! — ამოიქშინა ჯაშმა.

— ალბათ კი არა, ნამდვილად! თავადმა ჭავჭავაძემ თავადაზნაურობას უღალატა. ხომ წაგიკითხავთ სახელმწიფო საბჭოში წარმოთქმული საყვედური, რუსეთის მთელი თავადაზნაურობის სახელით რომ წარმოსთქვეს: თავადმა ჭავჭავაძემ მოგვატყუილა, გვიღალატაო! ჩვენ ის თავადაზნაურობის სახელით ავირჩიეთ, ის კი გლეხობასა და შავ ბრბოს მიუდგაო. ჰოდა, თუ ასე სჯერათ პეტერბურგში, რატომ არ უნდა დაიჯერონ თბილისსა და ქუთაისის გუბერნიებშიც?! თუ ჭავჭავაძემ საკუთარ თავადაზნაურობას უღალატა, რატომ და როგორ უნდა ენდოს გლეხკაცობა, რომ არ უღალატებს მასაც და მუშათა კლასსაც, მათთან ერთად ბურჟუაზიასაც. განა ისტორიამ არ იცის, რომ კაპიტალიზმი და ფეოდალიზმი ერთად ვერ მოძოვენ, ერთმა მათგანმა უღელი უნდა დაიდგას, მეორემ კი აღვირები მოსჭიმოს. ჭავჭავაძეს მეეტლეობა ურჩევნია, ცხენებად კი იმათ გამოაბამს, ვინც უფრო ფიცხად და მორჩილად ათრევს ძის ეტლს. განა მისი და ივანე მაჩაბლის ბრძოლაც რაღაც ამგვარს არა ჰგავს?

— ჰგავს! — კვერი დაუკრა ჯაშმა.

— ყოჩაღ, ჯიგიტო, მიმხვდარხართ! მაშასადამე, რა იხსნის თქვენ ხალხს ილიას ღალატისაგან?

— ილიას ჩამოცილება! — მიუხვდა ჯიგიტი.

— ბალადეც! შორსმჭვრეტელი პოლიტიკოსიც ბრძანებულხართ, მეფე-იმპერატორის გულის წადილის გამგები. მაგრამ ერთია გაგება, მეორე კი შესრულება.

— მიბრძანეთ!..

— მისმინეთ: ჭავჭავაძის მეურნეობის მოურავად გამწესებთ.

— მეე?! — გაიკვირვა ჯაშმა, — მე ხელობით მხოლოდ ასოთამწყობი ვარ, მოწოდებით კი ჟურნალისტი.

— თავმდაბლობთ! თქვენ უფრო მეტი ბრძანდებით, ვინემ ფიქრობთ: ერთს უფრო მეტის გაკეთება შეგიძლიათ, ვინემ რუსული ალფაბიტის ოცდათერთმეტი ასოს შეერთებას, — მოუქათინაურა შეფმა.

— ოცდაცამეტის! — თქვენო ბრწყინვალებავ! — ჩაუმატა ასოთამწყობმა.

— ბრავო, ბრავისიმო! უბგერო რბილსა და მაგარ ასონიშნებსაც მათვლით, ხომ? ასეთივე რბილი, აგრეთვე მაგარი ასონიშნებით უნდა ელაპარაკოთ გლეხობას, ინტელიგენციას! გერმანელთა კოლონიების თვალთვალი რომ დაგავალეთ, განა მარტო ფილოლოგიური თვითგანვითარებისათვის, მათი სამეურნეო წესრიგიანობის სარფის გზებშიც გასარკვევად. ჩვენ სასიამოვნოდ დავრწმუნდით, რომ იქაც ივარგეთ, რუსეთის ტახტისადმი იმათი ღალატიანობის ინსტინქტი აგვიწონეთ და თქვენი აგენტების დასმენებიც მოგვაწოდეთ. რაკი ასე იმარჯვეთ, ახლა საჭიროა თავად ჭავჭავაძის მამულსაც წაეშველოთ. მიწა ნოყიერი აქვს, ხალხი მორჩილი. გერმანული წესრიგიანობით მოაწესრიგეთ ყველაფერი ისე, როგორც ტახტისადმი ფიცი გავალებთ.

— დიახ, თქვენო ბრწყინვალებავ!

— მომწონს თქვენი მიხვედრილობა.

— გმადლობთ, თქვენო ბრწყინვალებავ, მაგრამ ჩემ-თავად როგორ მოვეწყო მოურავად?!

— ამაზე ვიფიქრეთ! გზაც მოვნახეთ.

— შემიძლიან ვიცოდე, ვისი წყალობით?

— რატომაც არა: ჭავჭავაძის ქვრივი დაი, კნეინა ელისაბედ სალინაშვილი, თავადისათვის ძალზე საყვარელია, რა თქმა უნდა, ბეღლის ოლოას შემდეგ. დიდი მდგომარეობის ნაცნობის შემწეობით დავიყაბულეთ, — სთხოვოს ძმას აგიყვანოთ მოურავად.

— ძველ მოურავს რაღაო?!

— აძახეც ვიბრუნეთ. რა ხანია წერილი გავატანეთ საიქიოს. დიახ, არცთუ დიდი ხანია, ახლახან, შვიდ ივნისს, ცოლთან ერთად.

— დამ რომ ძმა ვერ დაიყაბულოს?! — შეფიქრიანდა ჯაში.

— დაყაბულდება! იმ კაცს უარს ვერ ეტყვიან.

— მაშასადამე მე!.. — ვერ დაამთავრა კითხვა ჯაშმა.

— მაშასადამე, ჩათვალეთ, რომ დღეიდან თავად ჭავჭავაძის მამულის ცივილიზებული მოურავი ბრძანდებით; რომელიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ უდგებით, არც თვით ილიასი!..

— მესმის.

— მაგრამ, გახსოვდეთ, გლეხკაცობის დაწიოკებას კი არ გავალებთ, გლეხკაცობის მტრად უნდა გამოაცხადოთ თავადი და გულმოდგინედ ეცადეთ, რაც რამე ცუდი მოხდება, თავადს გადაბრალეთ, დაანახვეთ თავადის დესპოტობა. დაარწმუნეთ, რომ ხვალ უფრო ავკაცობით მოიქცევა, ვიდრე იქცეოდა გუშინ. განა ასე არ სჩადიან ქართველი თავადები რევოლუციის დამარცხების შემდეგ.

— ლოგიკურია! — ამოილუღლუღა სამოურავო კაცმა.

— ჩააგონეთ გლეხობას, რომ თავადი ილია გრიგორიჩ ჭავჭავაძე რაც არ უნდა ეცადოს და გაზაფხულის მერცხლების ჭიკჭიკის სახატრელი ხმის გასაგონად იჭაჭებოდეს, მაინც თავადად დარჩება და ამის დამადასტურებლად შეგიძლიათ მოიტანოთ ქართული პოლიტიკური პარტიების არა მარტო ერთმანეთში ქიშპი, არამედ ყველას მიერ ილიასადმი ეჭვი და შურიც, როგორც ისეთი თავკაცისადმი, ვინც უკვე დააჯერა ერი, რომ მას და მხოლოდ მას შეესწევს ძალა ჩამოაგდოს მშვიდობა ქვეყანაში, მოარიგოს გლეხი და თავადი, ორივენი კი ქალაქის მუშასთან და სუყველა ეროვნულ ბურჟუაზიასთან საქართველოს პოლიტიკური ავტონომიის მოსაპოვებლად, ვითომდა ქართველი ერის ურმის ღერძის გაუბრუნებლობისათვის!

— გავიგე, თქვენო, ბრწყინვალებავ!

— ისიც ჰკითხეთ გლეხებს; თუ ჭავჭავაძე ასეთი ალალ-მართალი გულის კაცია, თუ ის მთელი ერისათვის ფიქრობს, რატომ არის, რომ საქართველოს ნაკუწ-ნაკუწ დამნაწილებელი პარტიები მაინც

არ სწყალობენ ამ ზეკაცს! რატომ არ უყვართ? რატომ არ დგებიან მისი უპარტიობის დროშის ქვეშ?.. უპასუხეთ, — იმიტომ, რომ ერთი ჭავჭავაძის ჭკუა მთელს საქართველოს ვერ გასწვდება! არც გასწვდა! თავად იქცა სოციალისტური პარტიების ბრძოლის დამგმობად და ამიტომაც დარჩა ბნელ საქართველოში თეთრ ჭილყვავად, არწივობას კი ლამობს!..

— დიახ, სწორი ლოღიკაა!

— მაგრამ, ლოღიკასაც მიყოლა უნდა! ერთი სიტყვით, ყოველ ნაბიჯზე გახსოვდეთ მთავარი მიზანი — მოკვლა!.. მახამდე კი ჩუ! პირზე კლიტე დაიდეთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ჩემი გულახდილობა და თქვენი გულწრფელი თანაგრძნობა ცუდად დაგიმთავრდებათ! თქვენს მეუღლე დარია კოპლატაძესაც არ მოერიდებიან, ზედ დაგაკლავენ! დიახ, ვიცი უტაქტობაა ამის თქმა, მაგრამ სჯობს სპექტაკლის დასაწყისში, ვინემ დასასრულს კულისებში! თქვენ ღვიძლ ძმას, უშანგისაც არ დავინდობთ!.. ბოლშევიკებს აჰყოლია, რევოლუციას ერთგულობს, მეფის ტახტს კი ორგულობს; ვიცით — ბაქოს სტამბა „ნინა“-ში ბოლშევიკების გაზეთ „ბრძოლას“ ბეჭდავდა, ახლა კი თვით მოსკოვშიც გიორგი სტურუას მოწყობილ საიდუმლო სტამბაში პროკლამაციები ააწყო! ესეც დაგეშატებათ მეფისადმი თქვენი უმადურობის დასამტკიცებლად, თუკი საერთოდ საჭიროდ ჩავთვალეთ დამტკიცებების ძებნა!.. ჩვენთან, ოფიცრობაში, არსებობს თავადიშვილური, რაინდული წესი, — რევოლვერი საკუთარ საფეთქელთან!.. თქვენ ლურჯი სისხლის ჩამომავალი არ ბრძანდებით, ვერ მიხვდებით მისახვედრს...

— მივხვდი, ბატონო!.. მაგრამ?!.

— რის თქმა გსურთ, ჯიგიტო? — აიმრიზა ამ „მაგრამზე“.

— ჩემი ძმა, უშანგი ჯაში, ბოლშევიკებსაც უღალატებს, მენშევიკია ბუნებით, ასე მგონია მე!..

— ბრავო!..

— გარწმუნებთ, დრო განახვებთ!

ანახვა კიდეც; გამენშევიკდა, მერე ისევ გაბოლშევიკდა.

— თქვენ კი, ამიერიდან იმოქმედეთ ისე, რომ უფრო ადრე მოაცილოთ საგურამოს, ვინემ ტყეს ფოთოლი ჩამოსცვივა!

„საგურამოს და ჭოპორტის საზოგადოების“ დამწერის საპირ-შაოდ ქართლ-კახეთის გლეხკაცობამ გულისნადები გამოამზეურა და ილია მართალს მხარი დაუჭირა.

ამის ამბავიც მოვიდა, რაც ახმეტაში მოხდა. ილიამ გლეხი გონდაურების გვარი ბატონ-ყმობის უღლისაგან გაათავისუფლა, ოითო მეკომურ გლეხკაცს ხუთი დესეტინა მამულის ნასყიდობის ქაღალდი მისცა, მესაკუთრე გლეხებად აქცია და დალოცა:

— ძმებო, ბატონ-ყმობის გადავარდნა, თქვენი განთავისუფლება, მე თქვენზე მეტად გამიხარდა; ნიშნად ჩემი სიხარულისა ეს მამულები თქვენთვის საკუთრებად გადმომიცია, არავითარი ღალა თუ ხარჯი მე არ მინდა! იცხოვრეთ, იბედნიერეთ და შვილებს ასწავლეთ!..

ამ ამბავმა მთელი საქართველო მოიარა, მაგრამ მხოლოდ „მოგზაურის“ რედაქციაში ვერ შეაღწია, ანდა კარი გადაურაზეს. ყური მოიყრუეს, თვალი დახუჭეს და საკინკლაოდ გამოფინეს ქვეყნის გასაოცებლად.

სიმართლეს კი თავადებიც არ მალავდნენ. ბარბარე მაყაშვილი ილიას ქველმოქმედებას მოსთვლიდა:

— ილია ძლიერ კეთილი იყო, თავის გლეხებს ეზოები და ნადელები უსასყიდლოდ დაუბრუნა საკუთრებად.

მზარეულად ჰყავდა თავისი ყოფილი ნაყმევი ლაზარე ღონიაშვილი, თბილისში იყო ილიას ოჯახში, როგორც შინაური, ილიას ხშირად თან დაჰყავდა, საცა წავიდოდა თბილისს გარეთ.

ლაზარეს ქალიშვილი სოფიო, როგორც შვილი, ისე გაზარდეს, გაათავებინეს გიმნაზია და მასწავლებლობს თელავის წმინდა ნინოს ქალების სასწავლებელში.

ილიას კარზედ, როგორც მლოცავნი, ისე თურმე იდგნენ ყოველ დილას გაჭირვებულები და თითო-თითო შემოდიოდნენ, სთხოვდნენ დახმარებას და ისიც აძლევდა ოც, ზოგს ოცდაათ მანეთს, ვისაც როგორ ესაჭიროებოდა და თანაც დაარიგებდა ხოლმე.

ხელის გასამართავად მოდიოდნენ მეტი წილი გაჭირვებული სტუდენტები, ნაცნობი და უცნობი ქალი და კაცი.

ერთ დილით შესულა ხნიერი საწყალი ქვრივი ქალი და უთხო-

ვია, სამი დღე არის მიცვალებული სახლში მისვენია და ვერ დამიმარხამსო. აუღია და ორმოცდა ათი მანეთი მიუცია.

ერთ კვირაში, როცა ჩვენთან იყო, სოფლიდან მოდიოდნენ გლეხები და სთხოვდნენ ეგზეკუცია მოეხსნევინებინა, რადგან ძალიან აწუხებდნენ ხალხს. ილიამ თბილისში წასვლისას მოახსნევინა მთავრობის ეგზეკუცია.

როცა ყვარლის სახლი და კოშკი გააკეთებინა, თავის მეუღლე ჩამოიყვანა და კარგა ხანს დარჩა. შემოდგომა იყო, ეზოში გზის პირას პატარა ორთვალიანი წისქვილი ჰქონდა და რუსხმული გააკეთებინა დურგალს. მოიწვია ხელოსანი და ურიგდებოდა. ხელოსანი ნარდათ თხოულობდა, ილია ურჩევდა დღიურად მორიგებულიყვნენ, მაგრამ ხელოსანმა ისევ ნარდი არჩია; დაიქირავა ხელოსანმა დამხმარეები და ერთ კვირას მოუნდნენ ფიცრის რუსხმულის გაკეთებას. გაათავეს სამუშაო, გადმოაგდეს წყალი რუსხმულში, მაგრამ წისქვილამდის წყალი არ ჩავიდა, ფიცრებ შუა გავიდა მთელი წყალი. რაკიღა კარგად გაკეთებული უნდა ჩაებარებინა, აჰყარეს ფიცრები და ერთ კვირას კიდევ იმუშავეს, მაგრამ კარგად გააწყეს და წყალი რომ გადმოუგდეს, მშვენივრად ჩაიჩხიალა წისქვილის ღარში.

ახლა ილიამ უანგარიშა, დღიურობაზე რამდენი დაჯდებოდა. გამოირკვა, რომ დღიურად მეტს იჭერდა ნამუშევარი, ვიდრე ნარდად. ხელოსანს გაუსწორდა დღიურობაზე და უთხრა:

— ჩემო რომანოზ, შენ თუ მაგრე ანგარიშით იმუშავე, ვერას მოიგებ!

ნოშრევან ჯაფარიძე მოურავად უდგა ყვარელში და თავის თვალნანახსა და გაგონილს გვილაგებს:

— ილიას ძალიან უყვარდა გლეხობა, თვითონ გლეხებსაც ძალიან უყვარდათ ილია.

როცა ილია მოვიდოდა თბილისიდან, მაშინვე უნდა ეკითხა ჩემთვის სოფლის ახალი ამბავი და მისი ნაცნობი გლეხების ყოფაცხოვრება. ძალიან ადრე დგებოდა, საათის შვიდზე ფეხზე იყო, მაშინვე ჩამოვიდოდა ეზოში და ყველას გულთბილად მოიკითხავდა, ყველასათვის ხელი უნდა ჩამოერთმია, შემდეგ თავის ოთახში უნდა მოეწვია, დაუწყებდა კითხვას სოფლის საქმეზე. კითხავდა, მთავრობა ხომ არ გაწუხებთო, როგორ გექცევათ ბოქაული, ხომ არ გაღონებთო, ან უდიერად ხომ არ გეპყრობათ, სულ სათითაოდ

გამოკითხავდა ყველა ამბებს და იტყოდა. „თუ ვინიცობაა ცოდათ მოგეპყრათ, მაშინვე მაცნობეთო, ანდა ჩემზე მოუშვერდა ხელს — უთხარით ნოშრევანს, მაშინვე დაწვრილებით მომწერს და მოვახსნევინებ სამსახურიდან და მოგაშორებთ აქედანო“ .

მთელმა გლეხკაცობამ ერთბაშად უთხრეს: „ბატონო ილიავ! თქვენი თავი გვიცოცხლოს ჩვენს საიმედოდ, დიდხანს იცოცხლეთ, თქვენი იმედი ნუ მოგვიშალოსო და ჩვენც გადაგვახდევინოს ღმერთმაო“.

1906 წელს, როდესაც სოფელ ყვარელში წყალი მოვარდა, ნახევარი სოფელი წაიღო და სამოცი ადამიანი წყალმა დაახრჩო, ილიამ დიდი ამაგი დასდო სოფელს, იმით, რომ მთავრობის დახმარება მოახერხა და სოფლის თავში გააკეთებინა ჯებირები მდინარე დურუჯზე.

ყოველ ჩამოსვლაზე უთუოდ უნდა პატივი ეცა სოფლელებისათვის. საუზმეს გაუმართავდა, არაყს დაალევინებდა, ეტყოდა ხუმრობით: „დალიეთ, გუნებაზედ კარგად გახდებითო“. მე მეტყოდა: რომელიც კარგი ღვინო გქონდეს, ის მოიტანეო.

ილია ყვარელში განსაკუთრებული ყურადღებით ეექცეოდა თემურა ზაუტაშვილს, ალექსი იმერლიშვილს, ნიკო ზურიაშვილს, იასე კოკორაშვილს, ადამო ქარენაშვილს, ფიდო ჯიბოშვილს, ლევან ღვინიაშვილს, ლევან მაისურაძეს. ესენი იყვნენ ის გლეხები, რომლებიც მთავრობას კრიჭაში უდგებოდნენ.

თემურა ზაუტაშვილს ილიამ ერთხელ მოუტანა ფეშქაშათ უბის საათი, რომელმაც ის ძალიან გაახარა, სულ იმას იძახდა, რომ ილიამ საათი მომიტანა სასსოვრადო. ილიას გლეხები ხშირად ეპატიჟებოდნენ თავისთან, მაგრამ არსად არ მიდიოდა, ეტყოდა, რათ უნდა შეგაწუხოთო.

1905 წელს, როდესაც კახეთში დაიწყო მღელვარება და გლეხთა გამოსვლა, გლეხებმა თავადების ტყეები გაჩეხეს თვითნებობით. რამდენიმე ასეთი შემთხვევა იყო ილიას ტყეშიც. ეს საქმე უნდა გარჩეულიყო სასამართლოში.

ამ ხანებში ილია ყვარელში ჩამოვიდა, მოსვლისთანავე ყველაფერი დაწვრილებით გამომკითხა, და როდესაც გაიგო ეს ამბავი, მაშინვე გააუქმა სასამართლოში ეს საქმე. გაიცინა და ხუმრობით მითხრა: „არა უშავს, ეს ტყე მეც მეყოფა და იმათაცაო, ტყე კი

უფრო ხშირი გაიზრდებაო“ და გადაჭრით მოითხოვა, მათ საწინააღმდეგოდ არაფერი ჩაიდინოო.

მახსოვს 1905 წელს რომ ჩამოვიდა, მეორე ღღესვე შეაბმევინა ეტლი და მოემზადა სადღაც წასასვლელად. მე ძალიან გამიკვირდა და ვკითხე:

ნუთუ თბილისში ასე მალე მიხვალთ?

მან მიპასუხა:

— ჩემო ნოშრევან! მე თბილისში არ მივალ, მაგრამ, სადაც მივდივარ ჯერ არც იმას გეტყვი.

მერე გაიღიმა და მითხრა:

— ჩემმა გამზრდელმა მასწავლა, რომ კაცი დილით რომ მიდიოდეს სადმე, მას ამის შესახებ არაფერი არ უნდა ჰკითხოვო.

მხოლოდ მითხრა, რომ სადილად აქ ვიქნებიო.

როგორც შემდეგ აღმოჩნდა, წავიდა საბუეში და გრემში.

ამ სოფლებში იმ ხანად მოხდა გლეხთა გამოსვლები, რომლის დროს მოჰკლეს ერთი გლეხის ქალი, ხეჩიაშვილი ეთერი და სოფლელებს „ზეკუციად“ ჩაუყენეს ყაზახები.

როგორც ვფიქრობ, ილიამ თბილისშივე გაიგო ეს ამბავი და ამიტომ მისვლისთანავე გაემგზავრა ამ სოფლებში და მოახსნევინა „ზეკუცია“, შემდეგში მისმა მსახურმა იაკობმა მიამბო:

როდესაც მივედით სოფელში, ილიამ მაშინვე გამოაძახებინა უფროსი და ნახევარი საათი ელაპარაკა, რაღაც ქაღალდი უჩვენა, რის შემდეგ უფროსმა მოწიწებით სალამი მისცა და წავიდა, იმავე ღღეს „ზეკუციაც“ მოხსნილი იყო სოფელზე. მე თვითონ კი ვნახე, რომ მოკლული ქალის გვარი და სახელი ილიას უბის წიგნაკში ეწერა.

საზოგადოდ ილია ძალიან თავდაბლად ეპყრობოდა ყველას. ეინტერესებოდა გლეხობის ცხოვრება და გულმოდგინეთ ეცნობოდა მათ ჭირვარამს. მის გარშემო მომუშავე ადამიანებს სიყვარულით ეპყრობოდა. უყვარდა საჩუქრების მოტანა, უყვარდა სუფთა ანგარიში. ჩემი ორი შაური რომ მართებოდა და გასულიყო წელიწადი, მაინც არ დაივიწყებდა.

საგურამოელმა გლეხმა სანდრო ბედუკაძემაც დაამოწმა:

— მამაჩემი ხშირად იტყოდა ხოლმე ოჯახში: „ილია ისეთი კაცია, ერთხელ ჩემს მამასახლისობის დროს, როცა არეულობა დაიწყო, ხალხს დაუძახა და უთხრა:

— აი, ხალხო, გაუფრთხილდით ტყეს, ჩემს ხეხილსაც და ვენახებსაო, ნურას წაახდენთ. მე ერთი უშვილო კაცი ვარ და ყველაფერი თქვენ დაგრჩებათ!

მერე მე შემიყვანა ოთახში და მარტოკას მითხრა:

— აი, დაიხსომე ჩემი სიტყვა, ჩვენს გლეხებს მალე ეშველებათ. მე რომ ყველას უთხრა ჩემი გულის ნადები, მთავრობა და თავადაზნაურობა ჩამომახრჩობენ.

არც მიხა ფარადაშვილმა დაფარა ილიას გულმართლობა და პირდაპირობა:

— ერთხელ, მე ილიასთან ვიყავი, საღამოთი მზე რო ჩაბრძანდა, ამოვიდნენ ჩვენი სოფლის რწმუნებულები: სოსიკო გზირიშვილი, მარტია უნდილაშვილი, და ილიამ მათ უთხრა:

— გამარჯობათ, ჩემო ბებრებო, რა გინდათ, ბიუებოო?

— თუ არ შეგვრისხამ, ბატონო, მოგახსენებთ!

— რაზე შევრისხავთ, სისულელეც რო სთქვათ, მე მაინც თქვენი ჭკვისა არ გავხდები, — სიცილით უპასუხა ილიამ.

— აი, რა არის ჩვენი თხოვნა: ტყეში ყრია აუარებელი ხმელი ხე, იქ ტყუილად ლპება და მოდი ისევ სოფელს გვაჩუქე.

— მარტიავ! ნეხვს რათ აყრით ხოლმე მიწას?

— იმიტომ, ბატონო, რომ მიწა გასუქდეს, — მიუგო მარტიამ.

— ჰო, სწორედ ტყეშიაც ეგ ამბავია, ის ხმელი ტოტი რო ჩამოვარდება ხიდან, ფესვებზე დაეცემა, დალპება და საზრდოს მისცემს ხეს. თქვენ კი მატყუებთ, რომ ხე ტყუილად ლპებაო. აზირ ის მითხარით, რომ გაჩუქოთ!

— მართალს ბრძანებ, ბატონო.

— ჰოო და აიღეთ და გამოიტანეთ, მიჩუქებია სოფლისათვის, მხოლოდ ხეები არ დასჭრათ.

ილია ყველას ჭკუას აჩიგებდა. ერთხელ მე მითხრა:

— მიხავ, ზოგი კაცი ფიქრობს, ჭავჭავაძეს ტყე რათა აქვს შეკრულიო. აი რა გითხრა — ეს ტყე რო არ იყოს, ამ სოფელს ნიაღვრები წაჰლეკავს. ამ სოფელს ეს ტყე ინახავს. მე. ხომ იცი, ერთი უშვილო კაცი ვარ, გადავბრუნდები და მოვკვდები და ეს ყველაფერი თქვენ შვილებს და შვილიშვილებს უნდა დარჩეთ. მე რომ ეს ტყე გავკაფო, თქვენი ჩამომავლობა დამწყევლის.

ალექსი შოთხიაშვილი თხებისა და ცხვრების მწყემსად უდგა ილიას:

— როცორც მამამ შვილი დაარიგოს, ისე გვარიგებდა ჩვენა:

— «თქვენ ყური არ უგდოთ უხეირო ხალხსა, მძიმედ იყავით, ჩე მიყურეთო!».

ქურდ-პაცაცები ფოთოლივით იყო მაშინ ტყეში!

საგურამელი ზაქარა ჯავახიშვილიც იტყვის:

— ჩვენ სოფელში თუ კი პური დააკლდებოდა ვისმე და გა-ივებდა, მაშინვე თითონვე დაიბარებდა და მისცემდა: ზოგს ნა-ხევარ კოდს, ზოგს ექვს ჩანახს და რომელიც ძალიან გაჭირვებული იყო, — ორ-სამ კოდობით პურს და ფულსაც აჩუქებდა ხოლმე. მე თითონ, ერთხელ ორკოდნახევარი პური და ერთი თუმანი ფული მაჩუქა. მე კი არ მიოხოვნია, ლაპარაკი ყოფილა სოფელში პურის დაკლებაზე და ვიღაც ბედნიერი ენის პატრონს ჩემზე ეთქვა, რომ ძალიან გაჭირვებით ცხოვრობსო! კაცი გამოეგზავნა ჩემთანა, ახლავე ამოდი ჩემთანაო; თურმე უნდა ქალაქს წასულიყო, გარეთ ეტლი იდგა შებმული, თურმე ჩემ მისვლას ელოდებოდა! მე მა-შინვე წავედი და სანამ ილიას სახლამდინ მივიდოდი, ვფიქრობდი: ალბათ, ვინმე რამეზე დამაბეზღებდა ტყუილათა ბატონთან და იმა-ზე თუ მიბარებს მეთქი! როცა მივედი, ილია კიბეზე ჩამოდიოდა, მე ძირს ვიდექი და როცა ილიამ შემომხედა, მე თავი დაუკარი, მივესალმე, ილიამაც სალამი მომცა და გაბმულად მითხრა:

— აი ღმერთმა გაცოცხლოს! მე გავიგე, რომ შენ, თურმე პური გაკლია, მართალია? — მკითხა ილიამ.

— დიახ, ბატონო, რა ვქნა, დღე და ღამეს ვასწორებ, მაგრამ მაინც ღატაკი ვარ-მეთქი.

— ის კაცი მეცოდება და ის კაცი მიყვარს, რომელიც მშრო-მელია და არა ზარმაცობს; მე ვიცი, რომ შენ შრომა გიყვარს, მხოლოდ გემდურები იმისათვინ, რომ, როცა ასეთი გაჭირვება გადგია კარზე, რატომ არ მაგებინებ? თუ მე აქ არა ვარ ხოლმე, მოურავი ხომ სულ აქ არის, უთხარი და შემწეობას გაგიწევს! მე ნათქვამი მაქვს მოურავთან, რომ შენისთანა კარგ კაცს ხელი მიაშ-ველოს. თუ მოურავი არას მოგცემს, ქალბატონთან მიხვალ და დაგეხმარება! მეც ხშირად აქა ვარ ხოლმე, ნუ გეშინიან!

მერე ამოიღო საფულე და ერთი თუმანი ფული მომცა. მე მადლობა ვუთხარი, შემდეგ ამოიღო პატარა რაღაც შეკერილი ტყავიდან ქაღალდი, ფანქარი, რაღაცა უცებ დასწერა და მე მომცა, თან მითხრა, ეს ქაღალდი მოურავს მიუტანეო, თითონ კი ჩაჯდა

ეტლში და წავიდა. ცოტა ქვემოთ რომ ჩავიდა, ილიამ უკან მოიხედა, მე ვიდექი და სანამ ეტლი მოეფარებოდა ტყეს, მანამ თვალს ვადევნებდი.

იმ დღეს ვუცადე მოურავს, არ მოვიდა; მეორე დღეს, დილით მივედი, ქაღალდი მივეცი, წაიკითხა, მითხრა, წადი ტომრები წამოიღე, სამი ცალი და ვინმე მოიყვანე, რომ გიშველოსო! მე მეგონა, ალბათ უნდა მამუშაოს-მეთქი. ტომრები ვიშოვე, ერთი ჩემი მეზობლის ბიჭი წავიყვანე და მივედი. ბიჭს უთხრა: ჩახტი ამბარში და კასრით პური მიაწოდე ზაქარასო! ბიჭი მაწოდებდა და მე ტომარაში ვცლიდი კასრსა, ორი ტომარა სავსე და მესამე ნახევრად რო მოიყარა, მოურავმა თქვა: კარგით, გეყოფაო. აბა ეხლა წაიღეო, მითხრა მოურავმა. მე ვერ გავიგე, თუ სად უნდა წამეღო, და ვკითხე, სად წავიღო-მეთქი? სადა და სადაც შენი ნებაა, იქ წაიღეო. ბატონმა გაჩუქა. ე ქაღალდში იმასა მწერს, განა შენ არ გითხრა ბატონმა, რომ შენთვის პური უნდა ეჩუქებინაო? არა-მეთქი, უთხარი და თან გახარებულმა დავავლე ხელი ტომარასა. მე მეგონა, ბატონმა მარტო თუმანი მაჩუქა, იმაზე დავუბარებივარ-მეთქი!..

ვანო მახარაშვილი, სოფელ ჯიღაურიდან, დაუმატებს:

— დარიგებას გვაძლევდა ხოლმე, თუ ცხოვრების წესი როგორია და როგორ უნდა მოვქცეულიყავით სახლში თუ გარეთ, რა ვიცი, რალას არ გვეტყოდა ხოლმე. ერთხელ ილიასას ყრილობა იყო მამასახლისის ამორჩევაზე. ილიამ უთხრა ხალხსა:

— მამასახლისად ისეთი კაცი უნდა აირჩიოთ, რომელიც სოფელსა და გლეხებს გაუფრთხილდება, ისე, როგორც თავის ორ თვალსა. უნდა იყვეს ჭკვიანი და ისეთი კაცი, რომელსაც ტყუილი ლაპარაკი ეჯავრება.

სოფელმა ჩემი ძმა ამოირჩია მამასახლისადა, ილიამ სთქვა, მე როგორც ვიცნობ, ეგ კაცი, მართლა კარგი კაცი უნდა იყოსო. დაიბარა ჩემი ძმა და დაარიგა:

— სოფელში გლეხებს უნდა კარგად მოექცე, არავის მტრობა არ უნდა გქონდეს და ყველა ერთნაირად უნდა გიყვარდეს, ერთი მეორეს არ უნდა დააჩაგვრინო, თორემ დიდი ცოდვაა!..

ილიას მოჯამაგირე იოსებ გოგიძეც ამბობს:

— როცა ჩვენ კალოზე ვმუშაობდით, ილია ხშირად ატარებდა დროს ჩვენთან. აიღებდა ფოცხს ან ფიწალს და კალოზე, სადაც

პურის თავთავი აიხვეტებოდა კევრისაგან, იმ ადგილებს ასწორებდა. შემდეგ ჩამოჯდებოდა კალოს პირზე და გვიყურებდა. სახლში ხათქვამი ჰქონდა ილიასა, რომ კარგი საქმელები მოეტანათ ჩვენთვის სადილ-სამხრათა! მართლაც არც ერთი დღე ისე არ წასულა, რომ ჩვენ ხორცი არ გვქონოდა საქმელად. კალოზე ბევრი ხალხი ვიყავით, გვეტყოდა ხოლმე ილია, სულ ზეზე ნუ ხართ ამ სიცხეშიო. ბევრი ხალხი იმიტომა ხართ, რომა რიგრიგობით დაისვენოთ ჩრდილშიო. ასე გვეტყოდა ხოლმე, აბა, შვილო, იმისთანა კაცსა, სადა ნახავდი? სხვის მოჯამაგირეებს სული ხდებოდათ მუშაობითა! ჩვენ კი ასე კეთილად გვექცეოდა.

სოფიო უნდილაშვილმაც დაამატა:

— ერთხელ, საგურამოში ილია ხნავს მიწასა თავისი მოჯამაგირეებით. თავისი ხელით მიჰქონდა ხოლმე სამხარი გუთანზე.

— ილიაობა დღეს მთელი საგურამო — ერწოს მუშები, მცხეთისა, და კახეთის კნიაზობა, იყრიდა თავსა. ილია დაკლავდა ხოლმე ორ-სამ ძროხას, ხუთ-ექვს ცხვარს და ძალიან დიდ ქეიფსა მართავდა ხოლმე. თითონ თავზედ დაგვადგებოდა და ძალიან გულითა გვთხოვდა, კარგად იქეიფეთო. კახური სიმღერები და მრავალჟამიერი უყვარდა ძალიან. ილია ხან ერთ მხარეს მივიდოდა სუფრისა და ხან მეორეზე; ხან მაღლა ადიოდა და ხან ძირს ჩამოდიოდა მარანში; ხშირად კი ჩვენთან იყო ხოლმე, სადაც ჩვენი სოფლის ხალხი ვეგულებოდით. ჩვენი სოფლის კაცი, თუ ვინმე მოახსენებდა მადლობასა, ილიას ეწყინებოდა ხოლმე:

— თქვე ბრიყვებო, თქვენ რა მადლობლები ხართ, როცა თქვენი ნაშრომით ქეიფობთ!.. როგორი მასპინძელიც მე ვარ, თქვენც ისეთივე მასპინძლები ხართ იმ უცხო სტუმრებისა. — მიგვითითებდა ხოლმე სხვა სოფლებიდან და ქალაქიდან მოსულ ხალხზე:

— რაც მე ცხოვრება მაქვს, ცოტა მე მეკუთვნის და ბევრი კი თქვენ!

ჩვენი სოფლის ქალები ცალკე ატარებდნენ დროს, იმათკენაც გაივლიდა და მოხუცებულ ქალებს ეტყოდა:

— აბა კარგი დრო გაატარეთ, იქეიფეთ. ღვინო ისევ ისე გიდგათ, მიირთვით, დალოცეთ ცის ნამი და დედამიწა, რომელიც ჩვენ უხვ მოსავალს და საზრდოს გვაძლევს.

მერე მოგვიტრიალდებოდა ბიჭებსა:

— ქალებს ტკბილი ღვინო მოურბენინეთ ერთერთმა.

ჩვენ რომელიმე წამოვხტებოდით, მარანში მივდიოდით და შიგ ვინც ჰყავდა დაყენებული, ვეტყოდით ილიას დაბარებულს: ისინიც მაშინვე ასრულებდნენ; ილიას სულ სახე უცინოდა და ღიმილი არა შორდებოდა სახიდან. ასეთი ამბით გავატარებდით ხოლმე ილიაობა დღესა!..

* * *

„საძაგელი... ბოროტი მემამულე... გლეხკაცის გამტყავებელი... ულმობელი გამყვლეფი... ბატონობის განმამტკიცებელი... შემავიწროვებელი... დაუზოგველი... მოძალადე... სასტიკი... დამსჯელი... მაბეზღარა, მოსავლის წამხდენი... ვისაც გლეხი ადამიანად არ მიაჩნია... ვინც ადამიანის პიროვნებას ფეხქვეშ თელავს... უწყლოდ დარჩენილ გლეხებს კოკებს თავზე ამტვრევს... დავრდომილებს სასიკვდილოდ იმეტებს... ვისთვისაც გლეხკაცობა სათალი დუმაა! — იწყევლებოდა ნოე და ფილიპეს გაზეთი „მოგზაური“.

„მართლა ასეა?“.

ილიას გულდაწყვეტით აღმოხდა:

— ნ უ თ უ!..

ნინამურის გზაზე

მოსე-მოურავის მოკვლით დაფიქრებულმა ილიამ ვარაუდი დაიჭირა: „ისეთი მეურნე-გლეხი უნდა დავიყენო მოურავად, სოფელი რომ სწყალობდეს“.

ასეთად თავისი შინაკაცი გიორგი ინაშვილი მოსდიოდა თვალში. გიორგი ღვთისნიერი, გამრჯე, საქმიანი, საზრიანი, ოქროხელა იყო: „ერთი ჭირი სჭირს, ღვინოს ვერ ერევა, ორნახად არაყსაც ეფერება. სახელს გაუტეხს მოურავობაში“ — ფიქრობს ილია.

მერე გამოსაცდელად, სავარაუდოთ არჩეული გლეხი გაბო მღებრიშვილი მოიხმო, მაგრამ ერთ კვირაშივე შეატყო გიორგი ინაშვილს კოჭებამდეც ვერ ასწვდებოდა...

— გაბო, ავჭალის წყალსადენ ჯებირს აკეთებენ მტკვარზე. ჩემს წილად ფიჩხი უნდა ჩაიტანო, — უთხრა ილიამ.

— ჩაიტანე რა!..

— აქე

ხების ჯიბრია. უცხოსაგან ელიან მოწყალებას. შევითვისებთო. „იყოს მათი ნება“ და ელისაბედმა ძმას ურჩია:

— წელანდელი შენი ლაპარაკით ვისაზრე, საყვარელო ძმაო, რომ აქაურ კაცს შორეულის მოწვევა ემჯობინება. გლეხკაცობას ერთმანეთის შურს. უცხოს კი უჯერიან. მთავარმართებლის მოადგილე კრიმ-გირეი დიდად შეწუხებულია გლეხკაცობის არეულობით. თავდებათ დამიდგა ერთ ვინმეზე.

— ვინაო, ჩემო დაო? — იკითხა ილიამ.

— რა ვიცი, ჯაში ყოფილა ვიღაცა...

— რა ხელობისა, ვინძლო, ლაქიათ ნამყოფი არ იყოს.

— რას ამბობ, ძმაო. გონებაგახსნილია. ასოთამწყობი.

ილიას ულვაშებში ჩაეცინა:

— აბა, რა ჭირი უნდა გაეგებოდეს ბაღ-ვენახისა, ფუტკრისა, ცხვარ-ძროხისა?!.

— რასა ბრძანებ, ქა? გერმანელთა კოლონიებში უმსახურია ერთხანს და იმათი წესრიგიანობაც გადმოუღია.

— ბიჭოს! სანაქებოა!.. რა პარტიისააო, კაცმა რომ იკითხოს?!

— შორსა მდგარა მაგეთ საქმისაგან, შენი არ იყოს!

— კეთილი და პატიოსანი!..

ილია დაფიქრდა.

— შეუთვალე იმ შენ პროტეჟე კრიმ-გირეის ჩემი დასტური!

• • •

ახალმა მოურავმა დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშმა 1907 წლის ივნისის ბოლოს ჭავჭავაძის მამულის შემოსავალ-გასავლის დავთრები ჩაიბარა და გლეხკაცობის გასაცნობად სოფელში გაიჭრა. მეორე დღესაც მიაკითხა და მიხვდა, მრუდედ არ უცქერდნენ, როგორც იმ ცხონებულ მოსე-მოურავს.

ჯაშმაც ვითომ გული გაუხსნა გლეხკაცობას, მაგრამ იმავე დროს იმ ხალხს დაუწყო ძებნა. ვინც სოფელს აეთვალისწუნებინა, ზოგი ქურდ-ბაცაცად დაეჩემებინა, ზოგი შარაგზის ავაზაკად, ზოგიც მაჩხუბრად და გაუტანლად. ყველა ისინი ისეთის მზრუნველობით შეიბუდრა, როგორც ქათმის კრუხმა ბატის ჭუჭულები.

სოფლის ყრილობის გადაწყვეტილებით ახატნიდან გასახლებული ქურდ-ბაცაცა ცხრამეტი წლის გიგლა ბერბიჭაშვილი საგურა-

ბოს ტყეში მოაქცევნინა და შეუთვალა — „ნუ გამირბიხარ, მოწყალეობას არ დაგაკლებ, ოღონდ გამომადექით“.

მერე ბატონთან უბრალ მყოფი ნამამასახლისარი ვანო ინაშვილიც მარანში შემოიპატიჟა, როცა ილია ქალაქს იყო წასული, და რომელიც ინება, იმ კასრის ღვინო ჩამოუსხა. ნაციხარი მოძღვრიშვილიც შორი-ახლოს მოიყენა. — დამჭირდები, თვალიდან არ დამეკარგოო და მოსე-მოურავის მკვლელ პავლე ფშავლიშვილსაც კაცი გაუგზავნა, საგურამოს ტყეში გადმოინაცვლე, საჭმელ-სასმელს არ მოგაკლებო. ნაყაჩაღარი სანდრო ხიზანიშვილიც სანდოდ შეიხიზნა და გონებადაბნეულ ვანო ფეიქრიშვილსაც გუნება აუმღვრია ბატონებზე შურის საძიებლად. ერთი თვეც არ გავიდა და ავკაცების ისეთი გუნდი შეჰკრა, რომ სოფელიც კი წინ ვერ დაუდგებოდა.

მერე საგურამოს, ახატნის, ჯიღაურის გზა-ბილიკებზე დაუსრულებელი ხეტიალით გლეხებს თავი მოუყარა და ბატონზე გააბოროტა:

— რაო, გლეხკაცებო, რევოლუცია რო დამარცხდა, არ გეშინიათ?

— რისი უნდა გვეშინოდეს?! ჩვენ ვისთვის რა წაგვირთმევია.

— სამაგიეროდ ახლა თქვენ წაგერთმევათ! თავადაზნაურობა წელში გასწორდა წითელრაზმელების დაშლის შემდეგ.

— ილია-ბატონი არ გაგვწირავს!

— ხი-ხი!.. მაგის იმედი გქონდეთ. როცა ზურგს აგიწვავთ იმისი მოწვეული ყაზახობა, მაშინ მეც გამიხსენეთ.

— რას გვერჩის? — დაღონდა ერთი მოხუცი.

— რასაც ერჩიან ბატონები გლეხებს: შენი მე, ჩემიც მეო!..

— ვაი ჩვენს დღესა! — თავი ჩაქინდრეს საგურამოელმა და ახატნელმა გლეხებმა.

მოურავმა კი კისერი მოიღერა:

— ყველამ თავიდან მოიშორა ბატონები. თქვენ კი ისევ უარეს დღეში ხართ ჩავარდნილი... მე შემიძლია დღეს-ხვალ წავიდე ქალაქში, მაგრამ თქვენ რა გეშველებათ? თქვენ ვერსად წახვალთ. მე ყველგან გახსნილი მაქვს გზა. აი, ასეთი სისხლის მწოველები, როგორც თქვენი ბატონი ჭავჭავაძეა, ბევრ ადგილას მოიცილეს და თქვენ კი ვერ მოიშორეთ.

გიგლა ბერბიჭაშვილი ცოფიანივით დაიღრიჯა, ნამამასახლისარ ინაშვილს ხელი მათრახისაკენ წაუვიდა და ტყეში შეფარულ ფშავლიშვილსაც სიბრაზისაგან კანკალი დააწყებინა.

— გამოგიმეტათ ბატონმა და მისმა მოსე-მოურავმა. ერთის ჯავრი მე ამოვიყარე, მეორისა თქვენთვის მომინდვია, — ბუტბუტებდა პავლე ფშავლიშვილი, ხეობის მცხოვრებნი რომ აფციაურადაც იცნობდნენ.

მოურავის ენამ გასჭრა, სოფელ-სოფელ მოირბინა, ჯაგებსა და ბუჩქნარებში გაძვრა-გამოძვრა და საგურამოს ტყეში თორმეტი გლეხკაცი მირეკა, რომლებსაც ამ ავაზაკებმა გზა-კვალი აუბნიეს. ჯაშის მიერ დაგეშილი ონავრები — ბერბიჭაშვილი, ინაშვილი. ფშავლიშვილი, ფეიქრიშვილი, მოძღვრიშვილი და ხიზანიშვილი ლაჯებშუა გაჩრილი ბერდენებით და შაშხანებით მიწაზე ნებიერად გვერდზე წამოწოლილიყვნენ, ქვევიდან მაღლა აჰყურებდნენ ტუსაღებივით თავდახრილ გლეხებს.

— ჯერაც ვერ მიმხვდარხართ, თქვე უბედურიშვილებო, ბატონები თქვენ ნაოფლარს ნთქავენ, თქვენ კი მხოლოდ იცოხნებით! — გაჰკრა კბილი ზეზეურად აყლარწულმა ჯაშმა-მოურავმა.

— აბა, როგორ მოვიქცეთ, გაგვაგებინეთ, — ამოიკვნესა ვიღაცამ.

— ამას მაშინ გაიგებთ, ბატონები რომ გადავარდებიან ყველგან საქართველოში და საგურამოშიც.

— ბატონობაც რო წაართვან, მაინც დიდი კაცი იქნება, მწერალია, მთავრობა მაგითანათ უდგება.

ჯაშს მწარედ გაეცინა. საპასუხო მაგალითად მონაჭორი დაიხმარა.

— უდგებაო!.. რატო არ მიუდგა ვაჟა-ფშაველას? რა ნაკლები მწერალია! იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა გლეხის ჩამომავალი რაზიკაშვილია. ტყეში ერთი კუნელი მოსჭრა და ცხრა სტრაჟნიკმა გათოკილი მიჰგვარეს თიანეთის მაზრის უფროსსა. იმიტომ, რომ ვაჟა-ფშაველა გლეხია, ილია ჭავჭავაძე კი თავადი.

არ გაგიგონიათ ჭავჭავაძე ეკზეკუციას ითხოვს?

— მართლა?!

— მაშ...

— თქვით! — წამოიძახა ნამამასახლისარმა ინაშვილმა.

— არ იტყვით და, გიჩვენებთ სეირს! — დაემუქრა ხიზანი-შვილი.

— თქვენ მაინც მოგერევით, თუ ჭავჭავაძეს ვერა! — დაიქადნა ბერბიჭაშვილმა.

— ვიტყვით, აბა არ ვიტყვით? რაკი ქალაქელი მოურავი ამ-ბობ, იცი და იმიტომაც ამბობ!

— მაშ არა-და! — გული გაუკეთა დაბრიყვებულ და დაშინე-ბულ გლეხკაცობას ფეიქრიშვილმა.

— ახლა შინ გასწით! — უთხრა ჯაშმა. — ჩემი იმედი ნუღა გექნებათ. მე დღეს თუ ხვალ აქედან უნდა წავიდე, მაგრამ თქვენ თუ არ მოაშორეთ თავადი ჭავჭავაძე, გახარება არ გექნებათ!

გლეხები თავქვეზე დაეშვნენ, ბილიკ-ბილიკ მიძუნძულებ-დნენ.

ტყეში დაყოვნებულმა მოურავმა კი თედო მეეტლეს თვალი დაადგა:

— ოჯახი არ გეცოდება?!

— რას მემუქრები?!

— ამოწყვეტას!

— ვინ მიპარებს?

— ხალხი.

— ასე რა შევცოდე მაღლა ღმერთსა და დაბლა ხალხს?!

— ისა, რომ ნებიერად ატარებ მაგ შენ ეტლით თავად ჭავჭა-ვაძეს.

— ფეხით ვატარო?!

— ვეღარ გაატარებ.

— ეგრე იყოს. ხელი ამიღია, დავეთხოვები ბატონსა.

— ვერ მოგართვი! ქუდი მიწაზე დადე და სიტყვა მოგვეცი. ილიას საგურამოში რო ამოიყვან, წიწამურთან ცხენები ისე მიაყე-ნე, რომ სასროლად მარჯვე იყოს!

თედო ლაბაურმა ქუდი მიწაზე დადო.

— ეგრე! — მოუწონა მოურავმა ჯაშმა. — ამ დღიდან შენი ოჯახი ამოწყვეტას გადაურჩა. თუ, დაგვაბეზღებ, შენც ზედ დაგაკ-ლავთ!

— ეგრე იყოს! — ამოილუღლუღა თედო ლაბაურმა.

— ახლა მითხარი, როდისთვის დაგიბარა ბატონმა?

— ხვალისთვის.

— როდის ამოვა საგურამოში?
— ხვალვე.
— რომელ საათზე უნდა მიართვა ეტლი?
— ცხრა საათზე.
— წიწამურთან რომელზე ვარაუდობ ამოვლას?
— თერთმეტ საათისთვის.
— ამაღამვე მიდიხარ ქალაქს?
— ჰო.
— სად დააყენებ ცხენებს?
— ბატონს სახლში თავლა ჯერ არ გაუმართავს. კუნა გლდანელის ბაკებში მეყენება, ავჭალაში... დილით დასვენებულებს მივაყენებ, კარგად დამიდიან, ფიცხებია.
— გასწი ახლა!.. ქუდის ნამუსი შეინახე!
მეეტლემ ქუდს ხელი დასტაცა, თავზე დახურვას შეუშინდა, ეცოდვიანა, იღლიაში ამოიდო და თავშიშველა დაეშვა თავშეფოთლილ ტყეში. მიდიოდა, მიფლატუნობდა უბედური და ვერ გაეგო, რა უბედურება და ცოდვის ჩადენა ეწერა. ერთით იყო ბედნიერი — ყურში მოწყვეტილად ესმოდა ავკაცურად დადევნებული სიტყვები, მოწყალებად რომ მოიღო ჯაშმა.
„შენი ოჯახი ამოწყვეტას გადაურჩა!“.
„ილია?!“.
„იმისმა ოჯახმა იტიროს, მე რა?!“.
„მისი ოჯახი საქართველოა, თედო!“.
„მაშ უფრო ადვილად მოინელებს ერთი ოჯახის დარდს მთელი ქვეყანა“.
კუნა გლდანელის სამიკიტნო-ბაკების სტუმარს მკვდარივით დაეძინა.

* * *

გარიჟრაჟზე ცხენებს შვრია ჩაუყარა, ქერიც შეურია, რომ ფიცხად ევლოთ სამურველიც დაუსვა, რომ ფაფარსა და გავას პეწი დასცემოდათ.
ბატონს ხალისიანი სიარული უყვარდა, როცა ეტლის ბორბლებქვეშ გზა უკან რჩებოდა და თვითონ კი წინ მიიწევდა, საგურამოს უახლოვდებოდა.

არა, ილია დღეს მაინც ნუ შეამჩნევს, რო თედო-მეეტლე შეშფოთებულია, კოფოზე მარჯვედ უნდა იჯდეს და გული გაიმაგროს.

დილის თერთმეტი საათი უკვე მომდგარი იყო, რომ კისისხევს მიადგნენ.

საგურამოში კი რა ხანია მოურავ-მოჯამაგირენი ფეხზე ტრიალებდნენ, ბატონისა და ქალბატონის ამობრძანებას ელოდნენ.

მეფუტკრე დანიელ მასლოვმა საქმე ადრე მოათავა და როცა ნახა, ილიას მობრძანების საათის მოახლოება, მოურავი მოიკითხა:

— დიმიტრ სოფრომიჩი სადღაა?

— ეგე, კაკლის წვეროკინაზე ზის! — დაანახვა ცოლმა.

— იქ რა უნდა? — გაიკვირვა მეფუტკრემ.

— ნედლ კაკალს ბერტყავს გრძელი ხალითა.

მერე ხის ძირში მიდგა:

— კაკლის კენწეროზე რომ აბრძანებულხართ, რა ასეთი თავისუფალი დრო ნახეთ?! — აუძახა დაბლიდან მაღლა მასლოვმა.

— რითია უდროო? — ჩამოესმა მშვიდი ხმა ზევიდან.

— ახლა თერთმეტის ნახევარია, ილია საცაა წიწამურსაც მოადგება, წესად დადებულია მოურავის გზაში დახვედრა.

— ვიცი! — ჩამოაგდო წენგოსავით მწარე სიტყვა კენწეროდან.

თხუთმეტი წუთი რომ გავიდა, დანიელ მასლოვმა მღელვარებაშეპარული ხმით ისევ აუგდო:

— დიმიტრი სოფრომიჩ — შეეშვით მწვანე კაკლის ბერტყვას, გაგვიანდებათ...

— კარგი, მომეშვი, უბრძანე ცხენი შემიკაზმონ!

ამ დროს თოფმაც იჭექა.

ჭაეჭავაძიანთ კაკლის კენწეროს გადაუარა, შეარხია, აწრიალებული მოურავი ფაცა-ფუცით ჩამობობღდა, შეკაზმულ ცხენს მოახტა და წიწამურისაკენ გააჭენა.

თედო ლაბაურმა გაოფლიანებული ცხენები ნაგულევ ადგილზე შეაჩერა. „მოურავს დაველოდოთო!“ და წიწამურის ტყეში ჩასაფრებული ბერბიჭაშვილი გზის ნაპირა ჯაგებში შეძვრა, გვერდით ინაშვილი და ფშავლიაშვილი ქშინავდნენ, გზის იქითა მხარეს წაწვნენ მოძღვრიშვილი, ფეიქრიშვილი, ხიზანიშვილი და ჩახმახის გამოკვრის ნიშანს ელოდნენ.

მერე ყველაზე მარდი გიგლა ბერბიჭაშვილი ჯაგებიდან წამოხ-

ტა, ბერდანის თოფი მხართან მიიგდო და ხრინწიანი ხმით დაიძახა:

— დამიდექი, თავადო!

— რას სჩადიხარ, ადამიანო! — დაიძახა ილიამ და ბერდანის ტყვიაც გავარდა, მარცხენა ფერდში მოხვდა, მარცხენავე ძუძუში გაუარა, ილია ეტლიდან მოწყდა და გზაზე გადავარდა.

მეეტლე თედომ თავი დაღუნა, ვერაფერს ვხედავო.

— რას ჩავდივარ, და ამასა! — ისევ დაიჩხავლა, ბერბიჭაშვილმა და სხვებმაც ტყვიის სეტყვა დააყარეს. იაკობა-მხლებელმა იმარჯვა, რევოლვერი იმ ახალგაზრდა ბერბიჭაშვილს ესროლა, კანჭში მოარტყა და ძაღლივით ააწკმუტუნა; ფეხზე ხელი იტაცა და ჩირგვებში გაწვა. დანარჩენებმა იაკობ ბითარაშვილს დაუმიზნეს, დაახალეს... ზოგის ტყვია გულში მოხვდა, ზოგი მუცელში, ერთი საფანტი კი შიგ ყანყრატოში გაეჩხირა. სისხლმა იხრიალა და ჯანლამაზი ჭაბუკიც მოწყვეტილად ჯაგებში გადაგორდა.

მერე ინაშვილი, ფშავლიაშვილი, მოძღვრიშვილი მკვდარ ილიას მივარდნენ, თოფის კონდახებით თავი ჩაუტეხეს, ოლღა-კნეინასაც ჩასცხეს, გონება დააკარგვინეს, და ეტლში ჩაწყობილ ნივთებს ეძგერნენ.

ბერბიჭაშვილიც გამოძვრა ძაღლივით აკონწიალებული ფეხით, ოლღას საყურეები მოაგლიჯა, გულიდან მედალიონი ააგლიჯა, ილიას ოქროს პენსნე აიღო, სხვებმაც ოქროს საათი აართვეს, ფეხსაცმელი გააძვრეს, ბითარაშვილს ჩექმები ჩამოასხლიტეს, ქალის ბოღჩა აიტაცეს, ჩემოდანი ჩამოიგდეს, რომელშიც მეუღლის ტანსაცმელი ელაგა, და გაიკვირვეს:

— ეს რაღა კოლოფია? — დახედა ინაშვილმა.

ბერბიჭაშვილმა ხუფი ახადა:

— ღილები და ბეჭდებია!

— აქ მაიტა!

მერე ნადავლით წიწამურის ტყეს შეეფარნენ. მთელი დღე იქ დაჰყვეს, ღამით კი ყველა თავ-თავისი გზით გაიპარ-გამოიპარნენ.

წენგოიანმა მოურავმა კი ჯერ სოფლის საყარაულოში შეაჭენა, — „თოფის ხმა მომესმა, მომყევითო“, ერთი ყაზახი ემეცი აიყოლა და როცა მოკლულ ილიას ცხედარს დახედა, წინათგრძნობელის საყვედურით სთქვა — სოციალ-დემოკრატებს მოუკლავთ!

— ნამდვილად! როგორც ბრძანეთ! — დაუდასტურა უმეცარმა ყაზახმა ემეცმაც და როგორც მართლმადიდებელმა პირჯვარი გადისახა.

— ჰოო, ასე არ ინდობენ ერთმანეთს საქართველოში ჭირივით გამრავლებული პოლიტიკური პარტიები. ახლა კი მოეღებათ ბოლო! — დაიმუქრა დიმიტრი ჯაშმა და წიწამურზე ამოვლილი მეურმეები გააჩერა:

— დაუდეთ!

მეურმეებმა ქუდები მოიხადეს. ერთ ურემზე ილია ჭავჭავაძე დაასვენეს, მეორეზე — მხლებელი ბითარაშვილი.

ურემი ჭრიალ-ჭრიალით აჰყვა საგურამოს აღმართს, უკან ლაბაურის ეტლი მისდევდა გონებადაკარგული, დაჭრილი ქალით. წინ კი, ჭირისუფალივით ჯაში მიუძღოდა.

მოურავმა და მოჯამაგირეებმა მიცვალებულები შინ შეასვენეს.

ერთ დიდ დარბაზში 70 წლის მგოსანი იწვა.

მეორე პატარა ოთახში — 23 წლის მსახური.

დუშეთის მაზრის უფროსმა ყარამან ფაღავამ თბილისს კაცი აფრინა ექიმების ამოსაყვანად და ილიას ნეშტის გასაკვეთად, თან გაძომძიებლებიც გამოაყოლებინა.

თავადაც დრო არ დაკარგა და პირველივე მოკვლევით ოქმში შეიტანა:

— ამ წყეული საქმის ჩამდენია მოურავი დიმიტრი ჯაში, ხელისშემწყობი კი მეეტლე თედო ლაბაური. დანარჩენებსაც ტყიდან გამოვრეკავ! — თქვა მაზრის უფროსმა.

ასეც მოხდა.

მკვლელობის ყველა მონაწილე ხელთ იგდეს იმ თორმეტი გლეხის წყალობით, თავადის მოკვლას რომ უქადაგებდნენ. ხელიდან გაუსხლტათ მხოლოდ ბერბიჭაშვილი და ფშავლიაშვილი, მან სოფელ დიდი ლილოს ფარიხებს შეაფარა თავი. ხელებშეკრული ვანო ინაშვილი ცხენზე შესმული წინ გაიგდეს პავლეს გამოსაძახებლად.

ფარეხის ბანზე ბიჭი იდგა. შუბლზე ხელისგულაფარებული ხედავდა ჩაფრების მიახლოებას.

ინაშვილმა ახლოდან გაუძახა:

— ეი, ბიჭო, პავლე გამამიყვანე!

— ვინ პავლე?

— ფშავლიაშვილი, ანდა აფციაურად თუ იცნობ!
— რი ფშავლი, რა ფლავი?!
— დაუძახე-მეთქი!..
— არავინაც არ არის!
— დაუძახე, თორემ ბანიდან გადმოგაგორებ! — დაემუქრა ინაშვილი.
— ჯერ შენ გადმოგორდი მაგ ცხენიდან, გათოკილო ინაშვილო — გამცემო! — და ფშავლიაშვილის თოფმაც დაიჭექა.
ჩაფრებმა უპასუხეს, ტყვია მიახალეს, ფარეხი დაცხრილეს და, როცა ჭერიც ჩაიქცა, ყაჩაღი და მოსარჩლე ბიჭი დახოცილები ნახეს.
რა იცოდა იმ ბიჭმა? იქნებ სიმართლის მოწადინე ეგონა, ოძელაშვილ არსენადა სთვლიდა, ან ჯორჯიაშვილად, — სიმღერებად რომ გაეგონა მათი ვაჟკაცობა და ახლა თავადაც ისეთსავე მინამგვანს ვინმეს ფარავდა!.. არ იცის და ამიტომაც მალავს, მაგრამ ღმერთმა ხომ იცის, რომ პავლე ეშმაკის მაშხალაა და წმინდა საქართველოს მტერი. „შეინდოს სული ყრმისა, რამეთუ აუბნია წყეულმან გზა“.
მერე ბერბიჭაშვილსაც დაედევნენ, მაგრამ იმათაც რა იცოდნენ, რომ უწმინდური ოხრანკის ლოცვა-კურთხევით ცხრამეტი წლის გიგლა ახატნელი რკინის ქალამნებს აისხამდა, უჩინმაჩინის ქუდს დაიხურავდა და შავ ნაბადში გახვეული ირანში გადავიდოდა ილიას მოკვლას კი საქართველოს პოლიტიკური პარტიების ხელმძღვანელებს დააბრალებდნენ, — სულ ერთია, ვინც ეგულისხმათ: დაე სოციალ-დემოკრატებმა თავად გაარჩიონ ერთმანეთშიო. ინტელიგენციამ გლეხობაზე აიყაროს გული, პროლეტარებმა — ინტელიგენტებზე, სამივემ — ერთმანეთზე, ამერეთმა — იმერეთზე, — სარგებელში მეფის ოხრანკა დარჩებაო.
მე შენ გეტყვი საბაბი არა აქვთ. თუ ერთმა გურიამ იმდენი შავრაზმელი და კაზაკი გაწყვიტა 1905—1907 წლების რევოლუციაში, რა გაჭირდებოდა, რომ ერთი საძულველი თავადიც მოეკლათო.
ამიტომ დუშეთის მაზრის უფროს ყარამან ფაღავას ილიას მოკვლის ძიების საქმე ჩამოართვეს და გამომძიებლები გურიაში გაგზავნეს საქმის დასასრულებლად. ღვთის წყალობით, ახლა კარგი შემთხვევა უვარდებოდათ ხელში აჯანყებულ გურულებზე ჯავრის

საყრელად და თუ ჭავჭავაძის მკვლელობას საბაბად დაუდებდნენ, გულს მოიფხანდნენ იქ ნანახი და განცდილი დამარცხებებისათვის, ნასაკირალისათვის, ბახვის მანიფესტისათვის, ლენინის სიტყვების გაგონებისათვის, რამაც ისე ააშაღლა საკაცობრიო იდეალების თვალში საქართველოს რევოლუციური მოსახლეობის შეგნება, შემართება და შეუდრეკელობა.

მადლი ეშმაკს: ოდესელი გენერლის ტოლმაჩოვის მზაკვრობამ და შანტაჟმა გასჭრა და გურული გლეხი გრეკოვი აალაპარაკა; ჩვენება მისცა — ჩემი თვალით ვნახე და საკუთარი ყურით მოვისმინე ფერშალ ბერეჟიანის სახლში ძმები დოლიძეებისა და ბასილაშვილის გადაწყვეტილება ილია ჭავჭავაძის მოსაკლავადო.

ეს კი საქართველოს კუთხეების ერთმანეთზე წაკიდებად იზომებოდა, იმდაგვარად იკაზმებოდა, როგორც მეფის ოხრანკის მიერ მოწყობილი სომეხ-თათართა ჟლეტვა იყო.

ამ შინამტარვალობაზე ხალხმა ხმა აღიმაღლა და პირველნი ისევ ილიას მეგობარ-მოთაყვანე ქართველი მწერლები ალაპარაკდნენ:

— ჩვენი ერის შვილების ერთმანეთზე წაკიდება სწადიათ! — გულთმისნობდა იაკობ გოგებაშვილი.

— ერის კუთხეებს შორის ხიდის ჩატეხვას ესწრაფვიან! — აფრთხილებდა აკაკი.

— ეს რა ოხრობაა, გონს ვერ მოვსულვარ. ლამის ყველა მტრად ჩავთვალო და მკვლელად! — გოდებს ჩარგალიდან ტფილისს თავბრუდასხმულად გამოშურებული ვაჟა-ფშაველა და საქართველოს აგონებს:

— ადვილად შესაძლებელია მკვლელებად ქართველებიც იყვნენ, მაგრამ იმ ქართველებს იარაღად ხმარობს მეფის ჟანდარმერია! ეს იმიტომ, რომ ჩვენ უბედური ქართველები ერთმანეთს შეგვაჯახონ და უფრო მაგრად ჩაგვიპირონ ბრჭყალებში. ნიკოლოზმა თავისი დაუძინებელი მტერი მოიშორა და ჩვენი ხალხის თვალის ასახვევად მკვდარს ვერცხლის გვირგვინი მოართვა. არ დაუჯეროთ ჩვენი ხალხის მტარვალს!.. ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ყიფიანის მკვლელობა ერთის ხელისაა და ერთი და იგივე დასკვნა გამოიტანეთ! ნიკოლოზის მთავრობას სურს ჩაუკლას საქართველოს აზრი და ტვინი!...

— ფრთხილად, ქართველებო, — იმეორებდა ამერეთ-იმერეთი.

ოხრანკას ხმა ჩაუწყდა: დაპატიმრებული დიმიტრი ჯაში ციხიდან გამოუშვა, რომ მისით მოწყობილი ავკაცობის შემსრულებლები გზიდან ჩამოეცილებინა.

ბერბიჭაშვილი სამშვიდობოზე გაიყვანეს ირანში; ფშავლიაშვილი ფარეხში დაცხრილეს, ფეიქრიშვილი ციხეში მოკვდა, ხოლო დანარჩენთათვის, — მეეტლე თედო ლაბაურის, მავნე ნამამასახლისარი ვანო ინაშვილის, ავკაცობაში გაუმაძღარი მზარეული მოძღვრიშვილისა და უნდო ხიზნის სანდრო ხიზანიშვილის სახრჩობელისათვის მუხის კოჭები გამოსჭრეს საგურამოს ილიასეულ ტყეში.

ჩამოხრჩობა მისჯილებმა კი შეწყალება სთხოვეს ილია ჭავჭავაძის ქვრივს.

— შეიწყალეთ! — შეიცოდა თავად შეუწყალებელმა.

მაგრამ საეშმაკო გონების ოხრანკამ ჭკვიანი რჩევა მისცა ნიკოლოზა მეფეს: თუ ლაბაური, ხიზანიშვილი, ინაშვილი და მოძღვრიშვილი ცოცხლები დარჩებიან, როდისმე მაინც წამოსცდებათ ჯაშის ნამოქმედარი და მაშინ ჯაშიც თავის დასაცავად „ოხრანკაზე" მიდგება. ამით თქვენს მიერ განსვენებულ ილიას თავზე დასვენებულ ვერცხლის გვირგვინს ფერი დაეკარგებაო.

იფიქრეს, იძიეს და ირჩიეს: დაპირებისამებრ ჯაში ავკაცობის თონედან წარბებშეტრუსული თაგვივით ამოაგდეს, დანარჩენები კი სახრჩობელაზე დაჰკიდეს, — საქმეც გაჩარხეს და ბოროტების ძაფის გორგალი სკივრში ჩაჰკეტეს.

დიმიტრი ჯაშმა, როგორც „პატიოსანმა უპარტიომ", სხვა სარჩო-საშოვარი გაიჩინა: სოფელ-სოფელ დაძრწოდა ლექცია-ცილისწამებით — ილია მისმა გლეხკაცებმა მოკლესო. როცა ოხრანკის ნაკურთხი ასეთი პროპაგანდისტი საგურამოელებმა კეტებით იფრინეს, ჯაში სხვა საშოვარს მიადგა, — 1912 წელს ყალბი რკინიგზის ნაკეთები ბილეთების ბეჭდვა დაიწყო და ისევ ციხეში ამოჰყო თავი.

ოხრანკამ ამჟამადაც არ გაიტეხა პირი და მზრუნველობით აპატია იმის აუნაზღაურებელ საფასურად, რაც ჯაშუშმა ჯაშმა მეფე-იმპერატორის ტახტის დიდებას მიურწყა თავისი ცბიერი ფალავნობით.

როცა მენშევიკების მთავრობიანობა დამყარდა, ოხრანკის ჯაშუშ-აგენტების პირველსავე გამოვლენილ სიაში დიმიტრი ჯაშის გვარიც ამოხტა.

ეს რომ ნოე რამიშვილმა შეიტყო, დიდად ეამა: ეხლა კი ააღაპაოკებს ჯაშს ბოლშევიკების საწინააღმდეგოდ და ამით ნოე ჟორდანიას მთავრობას ქართველი ხალხის მხარდაჭერას მოუპოვებს.

ერთი სული აქვს ნოეს, ათქმევინოს ჯაშს, — მეფის ოხრანკამ და ბოლშევიკებმა წამაქეზესო, — მახარაძემ, ქავთარაძემ, ცხაკაიამ, რომელიც არ უნდა იყოს, თუნდაც იესო ქრისტემ, — მხოლოდ ბოლშევიკების ფრაქციას კი მიაწეროსო.

ჯაშმა ოხრანკისათვის მიცემული სიტყვა შეინახა!

ოჭროკაბილა მიკიტანი

საქართველოში კაცი არ დარჩა, რომ პირზე არა ჰკერებოდა დიდი მგოსნის ვერაგულად მოკვლის ამბავი. წვრილ-წვრილი პოლიტიკური პარტიები მსხვილებს აბრალებდნენ, ხან კი მკვლელობის მორალურ შემზადებას აწერდნენ, წინ წასაწევად ერთიმეორეს ჭორებს უგონებდნენ და ამით მონარქის გულს ახარებდნენ.

ტიტე ცამიწაძე გადასახლებიდან სწორედ იმ ხანად დაბრუნდა, როცა ილიას საქმის გამოძიება უკვე დამთავრებული იყო. მეგობრებმა უთხრეს: სასამართლოს გარჩევა დახურულ დარბაზში ხდებოდა, გარეთ მყოფმა საზოგადოებამ და პრესამ არა იცოდა რა გარდა იმისა, რომ ზოგი თავდამსხმელი სიკვდილით დასაჯეს, ზოგიც უგზო-უკვლოდ გაქრა. საგურამოელმა მოურავმაც მხოლოდ ორი თვე დაჰყო ამ თახამდებობაზე, ეოთხანს ციხეშიც ამყოფეს, მაგრამ მობოდიშებით გამოუშვეს და მოწმეთაც კი აღარ აკარებეი ამ საქმეს, ვითომ იყო კაცი და აღარ არისო.

საგურამოს მეურნეობასაც დაქვეითება დაეტყო, მამული „წერა-კითხვის საზოგადოებამ" მიიღო და იჯარით გადასცა თბილისელ პროვიზორ სტაუჩაიტის, რომელიც თვითონ თბილისში ცხოვრობდა, ცოლი კი საგურამოში დიასახლისობდა. მერე სხვა მოიჯარადრეებიც გაჩნდნენ — წინამძღვრიანთკარის სკოლის მასწავლებლები — მაღალაშვილი და ნაკაშიძე. მაგრამ რაკი თვითონ ილიას თვალი აღარ დაჰყურებდა. სულ მეტად და მეტად დაეცა ბალ-ვენახის შემოსავალი, მართლდებოდა ნათქვამი: მამული კი არ ამდიდრებს კაცს. უმამულიშვილობა აღარიბებს ქვეყანასო.

ამან ტიტე ცამიწაძეც დააფიქრა და აზრზე დააყენა, — გაეგო,

ვინ იყო ის კაცი, ვინც ისე უკუღმართად ასწერა ილიას მამულის თავდაპირველი სურათი, მთელი „საგურამოსა და ჭოპორტის საზოგადოების“ ავ-კარგი, შებრუნებულად რომ გადასცა მკითხველს ილიას ყოველი კეთილი ნაბიჯი, ისიც კი მოუგონა თუ, როგორ გადაუმტვრია ილიამ კოკა თავზე სოფლის ყველაზე ღარიბსა და დაჩაჩანაკებულ გლეხკაცს. ამოდენა წვრილი და მსხვილი ამბავი სცოდნია ამის დამწერს და მაინც უჩინმაჩინის ქუდს იხურავს, გვარს არ აწერს, ფსევდონიმს ეფარება, ორი ღერი ასოს — „ვ. ნ.“-ის ამარა რჩება?!

ტიტე ცამიწაძეს ისიც აფიქრებს, რომ ილიას მკვლელობის შემდეგ ეს „ვ. ნ.“ აღარც როდისმე გამოჩენილა არა მარტო გაზეთ „მოგზაურის“ ფურცლებზე, არამედ საერთოდ ქართულ ჟურნალ-გაზეთებშიც. არადა, ავტორი, რომელმაც რამდენიმე წერილად გასწელა „საგურამო — ჭოპორტის საზოგადოების“ ჭირ-ვარამი, ნუთუ ისე დაკმაყოფილდა ყველაფრისა და ყოველივეს მოგვარებით, რომ სტრიქონის დაბეჭდვაც აღარ დასჭირდა საზოგადოებრივი ნაკლის გამოსაჭენებლად, ანდა სხვა ახალი საკითხების დასაყენებლად, დასამდურის გამოსატანად ან მადლიერების საჯაროდ გასაცხადებლად?!.

ტიტეს ისიც აღელვებდა, რომ ოჯახებში ნაბარტყი ეს ჭორებიანი ამბავი სულაც აღარ აწუხებდათ თვით მთავრობის კაცებს! პოლიციას თავი ისე ეჭირა, თითქოს ამადლიდა ხალხს — დახე, დახე, რა ბიჭები გახლავართ, — ერთი წელიწადიც არ გასულა და წიწამურის ტრაგედიის ამბავი არა მარტო გავხსენით, არამედ საკითხავადაც კი მოვშალეთო. ვინც დასასჯელი იყო, დავსაჯეთ, ალალმართალი კი გავამართლეთო.

ერთი იყო მხოლოდ გასარკვევი, — რატომღა აგრძელებდნენ ქარაგმებით თქმას, რომ, ალბათ, სოციალ-დემოკრატიული პარტია მაინც დაზარალდა, მისი ავტორიტეტი მაინც დაეცა, რაკი ყველაზე მეტად ის ებრძოდა მემამულე ჭავჭავაძის საბანკო თუ სამეურნეო მოღვაწეობას და ერთი წამითაც არ იზიარებდა ილიასეული საერთო ნიადაგიანობის მოძღვრებას, რომელიც ხელს უშლიდა რევოლუციური პარტიის მთავარი იარაღის — კლასობრივი ანტაგონიზმის გაღვივებასო. მეფისნაცვლის მოხელეებმა სინანულითაც კი აღნიშნეს სამთავრობო პრესაში, რომ ილია ჭავჭავაძის პოლემიკა ხოე ეორდანიასთან უნაყოფოდ არ ჩაივლიდა ქართველ თა-

ვადაზნაურთა ბანკის თავმჯდომარისათვისო, ისევე, როგორც საკალალოდ დამთავრდა იმავე ბანკის შექმნის მეორე მოთავის დიმიტრი ყიფიანის პოლემიკა ეგზარქოს პავლესთან, რომელიც ქართველი მოღვაწის სიკვდილით დასრულდაო.

ეს ისეთი კალამბურები იყო, რომელთა გარჩევა და ჩაწვდომა მხოლოდ წყნარ, საოჯახო ვითარებაში დაფიქრებით გაიკვლევდა გზას, მაგრამ ამგვარი საუბრები მარტო რბილ სავარძელზე ჩამოჯდომითა თუ მუთაქიან ტახტზე გვერდზე წამოწოლით როდი გრძელდებოდა, — მოედნებსა და ბულვარშიც იმართებოდა, ბაღებში ირხეოდა და მოსეირნეთ ერთ ადგილას აჩერებდა, რომ ერთმანეთისათვის ისეთი რამ მოულოდნელი და თავზარდამცემი ახალი ამბავი ეთქვათ, როგორც, მაგალითად, ის, რომ ილიას ოქროს საათი, ცნობილი ქართველი მენშევიკის უბეში დევსო.

— ამის დასაბუთებას მოვითხოვთ! — აღშფოთდნენ მენშევიკური ფრაქციის მომხრე სტუდენტები და იქვე დაადგინეს ჯგუფური პროტესტი განვაცხადოთ გაზეთ „აზრის“ შემწეობითო.

დიახ, ასეთების მოთმენა აღარ შეიძლებოდა და ქართულმა გაზეთმა „აზრმა“ დაბეჭდა კიდეც სოციალ-დემოკრატი სტუდენტების ერთი ჯგუფის ღია პროტესტის წერილი.

ტიტეც კითხულობდა ყველანაირ ჟურნალ-გაზეთებს და გადაწყვიტა მარტოხელად გაერკვია, რა როგორ მოხდა, და საერთოდ, მეფისნაცვლის მოადგილის კანცელარიის მოხელენი ისეთ ისრებს რატომ ისროდნენ, რომელთა წვერი ამოვლებული იყო საგანგებოდ შეზავებულ შხამში, ზოგს რომ სწვავდა, ზოგს კი ატკბობდა, მომხვედრსა თუ მოუხვედრელს ერთნაირად ოცებდა, ხან მოსმენილს ამეორებინებდა, ხანაც თავად ამბობდა სხვების გასაგონად.

ასეთ არეულობაში, როცა ძნელი იყო გარჩევა მტყუანისა და მართლისა, ტიტეს არ გაუჭირდა დამეგობრებოდა ისეთ პირებს, ვისაც ახლო წარსულში მოუხდა ილიას მკვლელობის დახურულ პროცესზე დასწრება სამსახურებრივი მდგომარეობის წყალობით. ერთი ასეთთაგანი სამხედრო სასამართლოს არქივის გამგეც გახლდათ და სწორედ მისი დაჭრთამვა დასჭირდა ტიტეს. ბევრი ფული დახარჯა სასამართლოს ოქმების გადაწერაში, მაგრამ მაინც დიდად კმაყოფილი დარჩა; თავის თვალით წაიკითხა და დარწმუნდა, რომ ილიას მკვლელობა მოაწყო მეფის ოხრანკამ.

ახლა ტიტემ მიზნად დაისახა გამოერკვია, ვინ იმალებოდა გაზეთ

„მოგზაურში“ დაბეჭდილი წერილების ავტორის ფსევდონიმის ძიღმა, ვინ იყო ეს „ვ. ნ.“?

ბედზე იმ დღეს ნაძალადევის მუშების არალეგალურ კრებაზე გაგზავნა რევოლუციურმა კომიტეტმა. საუბარი ილიას მკვლელობაზეც ჩამოვარდა. ტიტემ გულნაკლულად თქვა:

— რა ხანია, დავეძებ, მაინც ვერ მივაგენი, ვინ ბრძანდება ის უცნობი ავტორი, ფსევდონიმად რომ დაირქვა „ვ. ნ.?“

ერთმა მუშამ წამოიძახა:

— ვანო ნაცვლიშვილი!..

— გინახავს? — შეეკითხა გახარებული ტიტე.

— არც მინახავს, არ მეცნობა. ღირსი კია ჩაქოლვისა, ისეთი პატიოსანი კაცი შეურაცხყო!

— იმან კი არა, ოხრანკამ! — გამოესარჩლა ძეორე, სახელად ზაქარია რომ ერქვა.

— მართალი ხარ, ზაქრო, ოხრანკის გაბრიყვებულია ის უბედურიშვილი. იმიტომაც გაქრა ამ ქვეყნიდან. იმ დღიდან მისი გვარი აღარ გაჭაჭანებულა არც ჟურნალსა და არც გაზეთში. „ეშმაკის მათრახში“ წერდა, იქაც ამოიკვეთა ფეხი!

— რა შვილია გამოჩნდეს! — დაიძუქრა რკინიგზელმა მუშამ.

— ჰოდა, სწორედ ამის შიშით გაეცალა ერთობის საქმეს.

— საცა „ოხრანკის“ ხელი ურევია, იქ რა ერთობა იხეირებს?!

— შენ ეგა თქვი! — დაუკანტურა თავი ზაქრომ.

მერე კრების მონაწილენი ცალ-ცალკე დაიშალნენ, წავიდ-წამოვიდნენ. ტიტემაც კარი გამოაღო და ხნიერი კაციც გამოჰყვა, გვერდში მიუდგა და ჩაეკითხა.

— რას უპირებ იმ უბედურს?

ტიტეს ეუცხოვა კითხვის კილო.

— რა შემიძლია, რას უნდა ვუპირებდე?! დარდს მომხსნიდა: რევოლუციონერებს ბრალსა გვდებენ!.. რათა მალავს, ვინ დაავალა დაწერა?!

მუშამ ქუდის კარტუზი თითით ოდნავ მაღლა შეიგდო, რომ ტიტეს თვალებში ღიათ შეეხედა და ღია გულითვე ამოუთქვა:

— იმას საკუთარი ცოდვაც ეყოფა, სისხლში კი წილი არ უდევს.

ტიტემ საიდუმლოების ძაფის წვერს ჩაავლო და გამოარღვია:

— ეყოფა?!. მაშ დუმილით რატომ იწვავს გულს!

— ეშინია! პირი შეუკრავს, თუმცა პირდაღებულებს ყოველ დილა-საღამოს პურს აჭმევს.

— იცნობ?

— მეცნობება, დუშელია. გლეხი. ერთხანს წითელრაზმში იყო. კანტიკუნტად რაღაცეებსაც წერდა ჩვენს კუთხეზე. მერე, ეს ამბავი რომ შეემთხვა, ხელი აიღო ერთზეც და მეორეზეც.

— მიჩვენებ?

მოხუცმა მუშამ ჩურჩულით უთხრა ტიტეს:

— იარმუკაში გადი, ღვინის აღმართზე ერთი სამიკიტნოა. იმისი პატრონია ოქროკბილას ეძახიან. ის არი ვანო ნაცვლიშვილი.

ტიტე სისხამ დილით თავს დაადგა. ხაში მოითხოვა. არაყიც დააყოლა და ყუათიანი კერძისათვის მიკიტანი დალოცა:

— გაიხარე, ოქროკბილა, ტყვილად კი არ გიქებენ პირის გემოს!

— გაამოთ, გაამოთ, გენაცვალოს ჩემი თავი, არ დამივიწყოთ!..

ტიტემაც არ დაივიწყა; სადილადაც შეუარა. ისევ მადლობა უთხრა, ისევ „გაამოს“ მოისმინა, მერე ვახშმადაც მიადგა.

დღეს დღე მისდევდა, დამეგობრებულმა მიკიტანმა მერე სუფრაზეც მიიწვია გვიან ვახშმად, როცა მუშტარი მიილია, დუქნის ბიჭმა დარაბები ჩაკეტა.

ტიტემ მიკიტანს კიდევ ერთი მადლობა უთხრა და სახლში წასაღებად დოშის ნაჭრის გასახვევად ანაზდეულად გაუწოდა „მოგზაურის“ ძველი ნომერი:

— ბარე ამაში გამიხვიე!

მიკიტანმა დახედა დაჭმუჭნული გაზეთის ფურცელს და დაიმანჭა. მერე თავი ასწია და მუშტარს მტრულად შეხედა. ტიტე გახვევაში შეეშველა და უფრო ანაზდეულად შეესიტყვა.

— ციმბირში ვინ მომაქვავებდა ქართულ გაზეთს. ახლა აქ წავიკითხე ილია ჭავჭავაძეზე დაწერილი. გვარიც კი აწერია.

მიკიტანს ელდა ეცა, კრიჭა შეეკრა, ხმა ვეღარ ამოიღო, დარაბებდახურული სამიკიტნოს კარი ტიტეს უსიტყვოდ მიუხურა და მიკეტა.

ტიტემ კი ის თავისი ნაცნობი მოხუცი მუშა ნახა და ყველაფერი უამბო.

— დაშინებულია!.. წადი ისევ, უთხარი, რომ ჩემი კარგი ნაც-

ნობი ხარ, პროპაგანდას უწევ ერთობის საქმეს. იქნებ მაშინ მაინც გაგიხსნას გული?

— წავალ, რატომაც არ წავალ! — და მეორე დილით ისევ ხამზე ეახლა. ვახშმად კი თითონ ოქროკბილა მიუჯდა ტიტეს განმარტოებულ მაგიდას, როგორც კი დუქნის ბიჭმა დარაბები მოიკეტა, და გული გაუხსნა.

— ჰო, ჩემი მოკეთეა, ზაქარა. ერთხანს მეცა ვმეგობრობდი. ახლა ყველას ჩამოვცილდი, — მძიმედ ამოთქვა მიკიტანმა.

— ასეთი რა გაწუხებს? ვინ რას გადანაშაულებს, ვანო?

„ვანო!“ — შეცბა ოქროკბილა, სახე შეეცვალა, ლამის მუშტარიც კი მიუხვდა — ეწყინა თუ გაუხარდა, იქნებ გულსაც მოკმევ, რომ სტუმარი სანდოსა ჰგავს.

— ჰო, მე ვარ იმ შენი თევზიანი გაზეთის შემცოდე. რა ცუდად გამოვიდა ბოლოს! — სინანულით თქვა მიკიტანმა და დუქნის ბიჭს გადაულაპარაკა:

— წადი, შვილო, დაიძინე!

— ვინ დაგაწერინა, ვანო?

— ჩემმა სულწასულობამ: მეამაყებოდა გამორჩეულობა, თავადების გამათრახება თავმოსაწონად ჩანდა! დროება იყო ისეთი — რაც მეტ ტლინკებს დააყრიდი, უფრო მეტად გაგივარდებოდა სახელი. მერე კი, როცა მგოსანი საგურამოელებმა მოკლეს, შემეშინდა, — მე არ დამბრალდეს-მეთქი, და სულაც შევეშვი დროების კაცობას. გავბრიყვდი... გაზეთებიც ჰაიჰარად ბეჭდავდნენ იმისთანა ამბებს. მეც, — რაც ვიცოდი და რაც არა, თავი მოვუყარე. ბევრი გაგონილი მქონდა, ზოგიც თავად დავამატე და, — რაკი ახლა შენც წაგიკითხავს, — დუშეთის მაზრა ავალაპარაკე. გვიან მივხვდი, რომ ავკაცობის კევრში შევები. ბრალი დამედო. ამიტომაც გავანებე გაზეთებში ჭენაობას, სარგებლიანს მოვეკიდე, ხალხი არა მლანძღავს, მოსული გამარჯვებას მეუბნება, გასული კი გაგიმარჯოსო, ვერ-კი ვიტყვი, — სად უფრო მეტი პატიოსნებაა, — გაზეთში თუ სამიკიტნოში?!

— რა თქმა უნდა, გაზეთში, — მაშინაც რომ ის სიმართლე გეთქვა, რასაც ახლა მიყვები!

ოქროკბილა სიხარბით ულაპავდა ტიტეს ყოველ სიტყვას, ბოლოს ტიტემ კითხვა შეაპარა:

— რატომ რჩევა არა ჰკითხე ვინმე საზრიან კაცს?!.

ოქროკბილას მძაღედ გაეცინა, თითქოს თქმა უჭირდა. მაინც ამოყაჯა, ჩანდა, მანამდეც გადაეკრა სითამამისათვის: კახურისა და ჯონჯოლის სუნი სცემდა.

— უფრო საზრიანი ვინღა მენახა? რედაქციაში რო მივიტანე, ნოემ ჩაიკითხა. გამამხნევა: ასეთ წყეულ მემამულეს მეტი მაგარი ტლინკიც მოუხდებაო! მომიწონა ფილიპემაც.

— შენც გაბრიყვდი, განა!

— დავყევი.

— ახლა სინანული გახრჩობს?

— გულმავიწყობა დამჩემდა, ესა მშველის!

— რა ეგეთი წამალია?!

— მეც არ ვიცი, მიშველა კი.

— ღვთის წყალობა დაგცემია!

— გავეყარე საკუთარ თავს, დავივიწყე ჩადენილი, — ეს არის და ეს.

— ეგ რა ჯანის მალამოა?!

— რაკი არ მახსოვს, არცა მტკივა!

— თავის მოტყუებაა!

— მაშ ყალიონი რიღასთვისაა?..

— გეღიარებინა და განიწმინდებოდი.

— რომ აღარ მახსოვდა?

— ბურანში ჩავარდნილხარ, წახდები!

— რა წამერთმევა, აზრი გამიდევნია, უჭკუო კაცს ჭირი რაღას მოერევა.

— ასეთი აზრის კაცმა ილია რატომ გაიმეტე?

— რა გიკვირს?

— ისა, რომ ერთ ქალაქში ცხოვრობდით, ვერ-კი ხედავდი იმის კეთილ საქმეს.

— ჰმ! თუ კაცად დავდექი, იმისი მადლია. მომრიგებელ მოსამართლედ ბრძანდებოდა, მე ხელმსახურად ვუდექი. მაქებდა, კითხვას ვეტანებოდი. რამის საყიდლად რომ მაგზავნიდა დუქანში, ხურდა ფულით „ჩემი წიგნიც“ წამოიყოლე, შეგნებას გაგიზრდისო. ის რომ არა და მისი ნაწერები, კაცად ვერ ვიქცეოდი. „გლახის ნაამბობი“ და „კაკო ყაჩაღი“ ჩემი სახარებაც იყო და ღმერთიც.

— რითიღა გადაუხადე?

— მე რას მეკითხები? სხვებმა, უფრო თავისიანებმა, ნასწავლებმა რა დაუბრუნეს? ყველა იმის წიგნებზე აღიზარდა, მაინც ემდურიან. ვინც ახლო უდგას, სწორედ ისა ღალატობს.

— შენც იმათში არა ხარ?

— ჩემისთანა კაცს რაღა ჭკუა შერჩებოდა, როცა გამორჩეულები ფეხიდან ხალიჩას აცლიდნენ. შენ გგონია, რომ ფედერალისტები დიდი შემწენი იყვნენ ილიასი? ახლა გიორგი მუხრან-ბატონიც ნახე, როგორ აბეზღებდა ხოლმე მეფის მთავრობასთან. ერთიორი ნამდვილი მეგობარი ჰყავდა. იაკობ გოგებაშვილსა და აკაკის ვამბობ. წვრილშვილი ვაჟა-ფშაველაც ბევრჯერ მინახავს საგურამოში ილიაობაზე. სხვებს შურდათ-მეთქი, იმიტომ, რომ ილია ერთი იყო, — მემამულედაც ერთი, ბანკის მმართველადაც ერთი, წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თავმჯდომარეც ერთი, რედაქტორადაც ერთი, მწერალ-პუბლიცისტად ერთი, ქვეყნის სათავკაცოდაც ერთადერთი. როგორ გგონია, იოლად გადიტანდნენ იმდენი თავადობა, თანაც იმდენი რევოლუციონერობაც ამ ერთი კაცის მეფობას. არა, შვილოსან; ილია სამეფო კაცი იყო და ამას არც მეფის მთავრობა უწონებდა. აკი მოუღო კიდეც ბოლო!

— შენც გგონია, რომ მეფის ხელი ურევია ილიას მკვლელობაში?

— ჩემს სამიკიტნოშიც მობრძანებულა ილიას მკვლელი, მოურავად რო დაიყენა ილიამ: მოატყუა — იმისი მოსაკლავი დანა საკუთარი ხელით გაუწოდა.

— ჯაშზე ამბობ?

— ჰო, დიმიტრი ჯაშზე, მაგრამ, აბა, კარგი ბიჭი ხარ და ხმა ამოიღე, თქვი — ავაზაკიაო! არ დაგიჯერებენ. ენა აბია იმ სიგრძე, რომ უშინდი, თავად არ გაქციოს მკვლელად. ყალთაბანდის თავია, მაინც ცუდად დაამთავრებს სიცოცხლეს, ყველას ბოროტი თვალით უცქერის, ვისაც სინდისიც მეტი აქვს და გაბედულებაც დიდი.

— გაბედულება? — გადაჰკითხა ტიტემ.

— რა გაიკვირვე, კაცო! პატიოსანი კაცის გაბედულება გეტყობა შენც, ასე რო მომიარე, ამალაპარაკე და თუ ამაღამ ტყვიას არ დამახლი, მართლაც სინდისი გქონია. დაგიფაროს ღმერთმა.

— ღამე მშვიდობისა, ვანო!

— ძილი ნებისა. დილის ხაშზე მოგელი, არ დამივიწყო.

ტიტე იმ დილით მეტეხის ციხის ალაყაფისაკენ გაემართა, ხელ-

ში კალათი ეჭირა კერძეულით და ორ ჯიბეში ცალ-ცალკე შეკუჭულ-ი თუმნიანები ედო ციხის უფროსისა და ზედამხედველების დასაფულებლად, პატიმარი ძმების, დოლიძეების დასაპურებლადაც, რომლებსაც ილიას მკვლელობაში მონაწილეობა მოუგონეს.

ესეც ოხრანკის ოინი იყო.

ნაძრახი სიცოცხლე

ტიტე ცამიწაძემ ახლაც ბევრი ფული დახარჯა ძმები დოლიძეების სანახავად მეტეხის ციხეში. ნათესავები არიანო, ეთქვა, არ დაუჯერებდნენ. ეგეც არ იყოს, თვით ნათესავებსაც, დოლიძეების შშობლებსაც კი პატიმრებთან ახლოს არ აკარებდნენ.

მეგობარმა მწერალმა ნოე ზოძლეთელმა მიზეზი აუხსნა:

— მთავრობა ცდილობს თავისი ოხრანკის ცოდვები პოლიტიკურ პარტიებს გადააბრალოს. აჯანყებული გურია მაგარი კაკალი გაძოდგა, კბილები მოამტვრევინა მეფისნაცვალს და კრიმ-გირეის, ალიხანოვ-ავარსკი ხომ სულაც შეიწირა. ახლა სამაგიეროს გადახდას ლამობს, ილიას მკვლელობის კვალი ლანჩხუთამდე მიჰყავს, რომ აჯანყებულ გურიაზე შური იძიოს, თანაც ხალხის თანაგრძნობა მოიპოვოს, — ილიას მკვლელების კვალს მივაგენითო, საკუთარი ბოროტების ნახელარი დაფაროს და ნასაკირალისათვის სისხლი ალოს.

ტიტეს გეში კი ჯაშისაკენ მიდიოდა, მაგრამ ძმები დოლიძეები ვინღა არიან?!

ძიების მოკვლეულ მასალაში გურული გლეხის, სანდრო გრეკოვის ჩვენებაც ეკერა, რომელიც გენერალ-მაიორ ტოლმაჩოვის მოთხოვნით მიეცა:

— შარშან ზაფხულში მე ვიმყოფებოდი ჩემს სოფელში, ნაგომარში, რომელიც სოფელ ბახვიდან სამი-ოთხი ვერსითაა დაშორებული. რადგან ჩემი პატარა ძმა ავად გახდა, მე წავედი სოფელ ბახვში ფერშალ პროკოფი ბერეჟიანთან ქინაქინის მოსატანად. იმის სახლში ვნახე მთელი კრება, რომელზედაც ესწრებოდნენ ერმალოზ და კალინიკე დოლიძეები, დიომიდე ბასილაშვილი და სხვები. კრებას ხელმძღვანელობდა ბათუმიდან ჩამოსული კაცი. ილაპარაკეს საქმის მდგომარეობის ირგვლივ გურიაში. შემდეგ საკითხი

წამოიჭრა ილია ჭავჭავაძის შესახებ, და კრების თავმჯდომარემ თქვა, რომ თავადი უნდა მოვკლათ, რადგან გვიღალატაო. გამოყვეს ტერორისტების ჯგუფი ერმალოზ და კალინიკე დოლიძეებისა და ბასილაშვილის შემადგენლობით. ოთხი-ხუთი დღის შემდეგ ძართლაც გავიგე, რომ თავადი ჭავჭავაძე მოეკლათ.

ჭორი, ძმები დოლიძეების მონაწილეობაზე შეთხზული იყო იმავე ოხრანკის მიერ. ტიტემ მერე სასამართლოს სხდომების ოქმიდან ამოწერილი სიტყვები გაიხსენა, რომლიდანაც ჩანდა, რომ ილიას მკვლელობაში მონაწილეობა მიეღო მოურავ ჯაშს, მაგრამ გამოძიებას ყურადღება არ მიუქცევია დუშეთის მაზრის უფროსის ყარამან ფაღავასათვის მიცემულ ჯაშის ჩვენებაზე.

— რა გინდოდა სწორედ იმ დროს კაკლის ხეზე? რატომ ახვედი კაკალზე სწორედ იმ დროს, როცა ილიას წიწამურზე თავდასხმელები დახვდნენ?

— ნედლი ნიგოზის ჭამა მომენატრა!..

— კი მაგრამ ნედლი ნიზოგის მოკრეფისათვის საჭირო არ იყო კაკლის კენწეროზე ასულიყავი. ამას გარდა, ჭავჭავაძის მოურავს ბიჭები არ გყავდა, რომ შენთვის ახალი ნიგოზი მოერთმიათ?!

ძოურავი დუმს, კაკლის ხე კი უხმოდ მეტყველებს.

მაზრის უფროსმა დაადგინა, რომ კაკლის კენწეროდან კარგად ჩანს წიწამურის გზა, რომელზედაც უნდა ამოევლო ილიას ეტლს. მოურავი მანამდე არ ჩამოვიდა ხიდან, სანამ თოფის ხმა არ მოესმა.

შემდეგ კი, როცა თვითმპყრობელობა დაემხო და საქართველოში ხელისუფლების სათავეში მეხშევიკები მოექცნენ, ბოლშევიკმა სერგო ქავთარაძემ თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის არქივის გახსნა მოითხოვა და ტიტე ცამიწაძეს დაავალა ოხრანკის აგენტების სიის გამოჩხრეკა. იმასაც ბევრი ქექვა არ დასჭირდა, — საიდუმლო აგენტურის სიაში დიმიტრი სოფრომის ძე ჯაშის გვარიც თეთრზე შავით ამოიკითხა.

ძეორე დღეს ჟურნალისტი ვიქტორ ნოზაძე შემოხვდა და უამბო:

— გაზეთ „ერთობის“ რედაქციაში შევედი. სამუშაო ოთახში დამხვდნენ ნოე რამიშვილი და ალექსანდრე ახმეტელი. კარი შემოაღო შეიარაღებულმა გვარდიელმა და რამიშვილს მოახსენა:

— მოიყვანე ჯაში, ამხანაგო ნოე!

— შემოათრიე აქ!

ახმეტელი წერდა, თავი არ აუწევია, სახვალიო ნომრისთვის მასალას აბარებდა.

რედაქციის ოთახში პატიმარი შემოიყვანეს, ნოე რამიშვილი სკამიდან წამოვარდა და გააფთრებით ეცა:

— აი, შე ბინძურო, გათახსირებულო!.. მოღალატე, მკვლელო, ჟანდარმერიის აგენტო, ჯაშუშო!

ახმეტელმა ყურები სცქვიტა, წერას შეეშვა. მეც გავინაბე, რამიშვილის ლანძღვამ გამაოცა.

— ამოიღე ხმა, მკვლელო! — შეჰყვირა ნოემ.

პატიმარი დუმდა.

— ოხრანკის აგენტი ხარ, ამიტომ დაგიჭირეთ. განა შენ არ უდექი ილიას მოურავად, როცა იგი მოკლეს!..

პატიმარი ხმას არ იღებდა, მედიდურად იდგა, თვალებსაც კი არა ხრიდა.

ახმეტელი წამოდგა და გაკვირვებით მიაჩერდა პატიმარს. მეც გავშეშდი, ველარ ვინძრეოდი, რამიშვილი კი ქუხდა და ბორგავდა, ოთახში გამძვინვარებული ბოლთას სცემდა, პასუხს ელოდა, ხან მრისხანებას ავლენდა, ხან კი მოწყალების ნაპერწკალი უჩნდებოდა თვალებში.

— ახლა მაინც თქვი, შე საწყალო, მხოლოდ ესღა გიხსნის, უბედურო, — ვიცით, მონაწილეობა მიგიღია მკვლელობის მოწყობაში, მაგრამ, ვინ დაგავალა? თქვი, ვისი ბრძანებით ან მუქარით გააკეთე ეგ ბინძური საქმე?

— არაფერი არ ვიცი! — მედიდურად მოუჭრა პატიმარმა.

— როგორ თუ არაფერი არ იცი?! შენ იყავი ამ მკვლელობაში ჩარეული. მე ახლა სხვა მაინტერესებს, — ვინ დაგავალა მკვლელობის მოწყობა, რომელმა პარტიამ?! სთქვი და გაგიშვებ!

— არაფერი არ ვიცი!

რამიშვილმა უკან დაიხია, მოიქნია მკლავი და ისეთი მაგარი სილა გააწნა, რომ პატიმარი დაბარბაცდა, მაგრამ არ დაეცა:

— თქვი, შე საძაგელო, მოღალატე, აგენტო, თქვი-მეთქი! — ყვიროდა ნოე რამიშვილი.

— არ ვიცი!

— გაათრიე აქედან ეს ბინძური, დააბრუნე ციხეში! — უბრძანა შეიარაღებულ გვარდიელს ნოემ.

მერე ალეწილი სახით თითონაც კარი გაიხურა და რედაქციიდან წავიდა.

ტიტემ შემდეგ შეიტყო: ჯაში გაასამართლეს როგორც ოხრანკის ჯაშუში და მხოლოდ სამი თვის პატიმრობა მიუსაჯეს. მაგრამ გაიძვერა ჯაშს ეს მცირე სასჯელიც არ მოუხდია.

ცამიწაძე დაეჭვდა: ღირდა კი რამედ ნოე რამიშვილის ასე გაცოფება, რედაქციაში მთავრობის წევრის მობრძანება და დაკითხვის ჩატარება. რატომ აძალებდა „თქვი, ვინ დაგავალა მკვლელობის მოწყობა, რომელმა პარტიამ?“ განა არა სჯერა თვითონაც, რომ არც ერთი პოლიტიკური პარტიის ხელი არ ურევია მწერლის მკვლელობაში, ან იქნებ უნდა, რომ ოხრანკის მონაჭორი, თითქოს სოციალ-დემოკრატებმა ესროლეს თავად ჭავჭავაძეს, — ბოლშევიკებს მიამიზნოს და ხალხის წყრომა ამ მიმართულებით წარმართოს. რამიშვილი დიდად შეფიქრიანებულია ბოლშევიკების გავლენით და თუკი რამით მაინც ავნებს მათ, ეს ნოე ჟორდანიას მთავრობასაც არგებს.

რამიშვილის ვარაუდი სწორი იყო. მენშევიკების ხელით დაპატიმრებული ჯაში რა შვილია თქვას, რომ „ნოე ჟორდანიას ფრაქციამ დამავალაო“: მაშინ სულსაც ამოაძრობს „მძორსა“ და „მიღალატეს“, მარტო იმ ერთი სილით როდი დაკმაყოფილდება, ციხეში ჩაალპობს. მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ჯაშუშმა ჯაშმა, თავის გადარჩენის მიზნით გამოგონილი ცილისწამება ბოლშევიკების ფრაქციასა და ოხრანკას ერთობლივად მიაწეროს; ნოე ჟორდანიას პარტია წმინდაა, ფილიპე მახარაძისა კი ცოდვილიო! მაშინ ნოე რამიშვილი ცას ეწევა, ჯაშუშ ჯაშის ნაყბედს ხვალვე გამოაჭენებს გაზეთ „ერთობის“ ფურცლებზე და მთელ საქართველოს მოსდებს, — „მნახეთ, რა ბიჭი ვარო“, მეფის მთავრობა მალავდა, მენშევიკებმა კი წვრილად გამოვიძიეთ და ილიას ნამდვილი მკვლელები ვიპოვეთო. დიმიტრი ჯაში, ერთადერთი ცოცხალი მოწმე ამ ვერაგული მკვლელობისა, გულწრფელად ინანიებს, რომ ბოლშევიკებმა წამაქეზესო. ამის შემდეგ რატომაც არ უნდა აიყაროს გული ქართველმა ინტელიგენციამ, მუშებმა და გლეხებმა, ახლა რომ ყურებდაცქვეტილებს ქართველი ბოლშევიკებისაკენ უჭირავთ თვალიო.

მეფის ოხრანკის ჯაშუში ჯაში კი უფრო შორსმჭვრეტელი გამოდგა. მენშევიკ ნოე რამიშვილს ფანდს მიუხვდა, ბოლშევიკებიც ცილისწამებაზე რომ აქეზებდა. მაგრამ რა შვილია ეგრე ადვილად მოატყუონ ვორონცოვ-დაშკოვის მზრუნველობით ამაღლებული უპარტიო ჯაში, რომ რომელიმე პოლიტიკურ პარტიას უმართებულოდ დაადოს ხელი. იმას რა სჯობს, სიმართლე თქვას და თავი პოლიტიკური ფართიფურთობის ჩირგვებში არ გაიჩხიროს. სჯობს წმინდა ადამიანებს მოეფეროს, უწმინდური ოხრანკელები კი საყვედურის ხმას ვეღარ ამოიღებენ. ამით არც პოლიტიკურ პარტიებს გადაიმტერებს და თანაც დროება შეიცვალა, კაცი ვერ მიხვდება, ხვალ რა პარტიის მთავრობა დადგება: ესერებიც ისე იზმორებიან მხრებში, როგორც ანარქისტები, ფედერალისტებიც სამთავრობო ჩოხას იზომავენ და ბოლშევიკები ხომ სულაც წითელ ცხენზე ამხედრებულან. თუ მენშევიკები მაინც დამკვიდრდნენ, — დიდად არ დამწუხრდებიან ჩემის ჯაშუშობითო. მაგრამ თუ მოხდა და ბოლშევიკები მოექცნენ სათავეში, არც ისინი დამემდურებიან, რაკი ცილი არც მათთვის დამიწამებიაო.

ამიტომ კრინტიც არ დაძრა. ან უფრო მეტს რას იტყოდა, რაც უკვე თქვა ჟანდარმერიის სამმართველოს არქივების ჩხრეკით. ჯაში ოხრანკის აგენტია და რატომ არ შეიძლება მენშევიკებს მწყალობლადაც იქცეს. იოლი როდია ამისთანა ჯიშიანი ჯაშუშების მოშენება, თანაც თუ ამისი ნიჭი ღმერთსაც მიუცია და მეფისნაცვალსაც გზა დაულოცნია.

ასეც ახდა. სამი თვეც არ გავიდა, მას შემდეგ რაც რამიშვილმა ერთი მაგარი ჭიტლაყით გამოაგდო „ერთობის“ რედაქციის ოთახიდან დიდი ილიას მკვლელი, რომ ნებიერად ევლო მთელ სამ წელიწადს ამ ცოდვილ მიწაზე.

იარა კიდეც. მაგრამ როცა ნოე რამიშვილი დანარჩენ ორ ნოეს მთავრობასთან ერთად უცხოეთს შეეხიზნა და საქართველოში ბოლშევიკური მთავრობა შეიქმნა, ჯაშუშმა ჯაშმა ჯავშნად ბნელი ორმო მონახა, მაგრამ სულმა წასძლია და ღამის სიბნელეში თავის ნათესავს შეაფარა თავი.

მერე ასე ჩასწერს თავის წარდგინებაში ქალაქ თბილისის მეოთხე უბნის სახალხო გამომძიებელი დავით ლორთქიფანიძე:

— 1922 წლის 30 მაისს, საღამოს 9 საათზე, მოქალაქე დი-

მიტრი სოფრომის ძე ჯაში სტუმრად მივიდა თავის ცოლის ძმასთან, მეშვიდე უბნის მილიციელ მიხეილ ნიკოლოზის ძე კოპლატაძესთან, არსენალის ქუჩა № 22-ში.

კოპლატაძე სახლში არ აღმოჩნდა, იყო მხოლოდ მისი ცოლი ანა. დაახლოებით ნახევარი საათის შემდეგ მოვიდა კოპლატაძე, რომელიც ეს-ეს იყო მოიხსნა საგუშაგოდან და თან ჰქონდა თოფი. დაიწყეს ლაპარაკი ოჯახურ საქმეებზე და იმ ვალზე, რომელიც ემართა ჯაშისა კოპლატაძეს. საათნახევრის შემდეგ, საუბრის დროს, ანამ გარეთ გასვლისას კარები მიიხურა. წამოიქცა კედელზე მიყუდებული კოპლატაძის თოფი. კოპლატაძეს გაახსენდა, რომ თოფი დატენილი იყო, აიღო იატაკიდან და შეეცადა ვაზნის ამოღებას. უცაბედად ჩახმახი გაუსხლტა, თოფი გავარდა და ამ დროს სკამზე მჯდომი დიმიტრი ჯაში დაჭრილი დაეცა იატაკზე და დაიწყო ყვირილი... ჯაშის სიკვდილი ექიმების დასკვნით გამოწვეულია ბევრი სისხლის დაკარგვისაგან... რადგან სიკვდილი გამოწვეულია შემთხვევით და კოპლატაძეს არ ჰქონია მოკვლის განზრახვა, დავადგინე: ეს საქმე გადაეგზავნოს სახალხო სასამართლოს მ ო ს ა ს პ ო ბ ა ღ.

უფრო გვიან კი, 1942 წლის 5 იანვარს, თბილისში საჯარო სხდომაზე სასამართლოს თავმჯდომარე ისიდორე ოდიშვილიც იტყვის:

— ასე დაამთავრა თავისი სამარცხვინო სიცოცხლე მეფის ოხრანკის ჯაშუშმა დიმიტრი ჯაშმა.

იმავე დღეს, სასამართლოს იმავე სხდომაზე, ილიას მკვლელმა, სამოცდაათხ წელს მიღწეულმა გიგლა ბერბიჭაშვილმა თავის საბოლოო სიტყვაში აღიარა:

— მე პროკურორივით ვერ ვილაპარაკებ. ყველასათვის ცნობილია, რომ პროკურორის დაბადებას აკვნად სასწაულებელი დაედგა და მე კი შავი ტყე და შავი ჭირი დამედგა აკვნად. მე ჩემებურად რაც შემეძლება, ვილაპარაკებ. დღეს პირველად ამ სასამართლოში ჩაეძახა ჩემს ყურს პატივცემული პროკურორისაგან მშვენიერი ილიას სიტყვები და აგრეთვე ჩემი დამცველის სიტყვებიდანაც გავიგე, თუ ვინ ყოფილა დიდი ილია და რა მოღვაწეობა ჰქონია მას.

პატივცემულმა დიდმა ილიამ მთელი ხალხის გული აავსო მშვენიერებით და ხალხის აღშფოთება არის მისი დაღუპვის გამო.

ამ დიდი ადამიანის სახე პირველად ჩაესახა ჩემს სულს. არ იქნება საჭირო, რომ დაფნის გვირგვინის ფოთლები სისხლით დალაქდეს... მე დიდი მადლობელი ვარ პატივცემულ პროკურორისა და დამცველისა. ეს ისტორია ჩემს შვილებსაც გამოადგებათ.

სახალხო სასამართლოს განაჩენმა თავისი სიტყვა თქვა:

„ბრალდებული გიორგი (გიგლა) პეტრეს ძე ბერბიჭაშვილი ცნობილი იქნეს დამნაშავედ და აერჩიოს სასჯელის უმაღლესი ზომა — დახვრეტა".

მაგრამ კიდევ ვის წინააღმდეგ მიიმართა ეს განაჩენი?

კიდევ ვინ დაინახა თავისი თავი დამნაშავეთა ამ ვრცელ გალერეაში! ვინ იცნო სხვებიც? ვისი სული შეირხა, ვისი გვამი შეტორტმანდა და მკვდარი გული შეფართხალდა? ვინ გადაბრუნდება ახლაც საფლავში ამის გაგონებაზე? ვინა-მეთქი, გეკითხები ადამიანის მეხსიერებავ, ყველაზე მართალო, მიუდგომო და მოუსყიდველო, უშიშარო და სულმაგარო კაცის ხსოვნავ?!

იქნებ აჩრდილებმა უპასუხონ თავიანთ თავს, ვინც ილიას სამწერლო მოღვაწეობის ორმოცი წლის იუბილეს გადაეღობნენ, იმათაც, ვინც შვილივით ნაზარდ „ივერიის" რედაქტორობაზე ხელი ააღებინეს, იმათაც, ვინც სათავადაზნაურო ბანკის თავმჯდომარეობაც დაატოვებინეს, ილიასთან დაძმობილებულ ვანო მაჩაბელთან მამულიშვილური დამოკიდებულების ღერძი გაუმრუდეს, თქვენც, ნოე ჟორდანიას აჩრდილო, გაზეთი „კვალი", რომ ილიას საცემსაგვემად გათხარეთ, ფილიპე მახარაძის „მოგზაურის" რედაქციაც, მიკიტან „ჟურნალისტის" ვანო ნაცვლიშვილის მურტალი თითიდან გამოწუწნული ცილისმწამებლობის ფერუმარილით რომ სახე დაიმშვენა და არქი-რევოლუციონერობით გაიპრანჭა, — ყველა იმათაც, ვინც 1907 წელს სამარეს მიბარებულ ილიას ყოველწლიურად მარხავდნენ საფლავში და ზევიდანაც იმდენ ხანს სტკეპნიდნენ, სანამ „ივერიაში" დაბეჭდილი „დილას" ლექსის ავტორმა — ყრმა „სოსელომ" 1934 წელს არ წარმოსთქვა:

— მკვდრეთით აღდგეს, ილია!

— გამოგიტყდებით, მომწონს! — ამოთქვა ნუცამ ალაპლაპებული თვალებით და წარბები აჰყარა.

— გრძნობა პეტერბურგშიც არ გაგიცივდა?! — დაიეჭვა რუსუდან მიქელაძემ.

— განა მას სადმე სცივა ხოლმე? სიცივეს მაგდენი შეუძლია?

— თუ გახმაურდა, დააზრობს.

— რაა საძრახისი?..

— არც არაფერი! ტიტე აქაურებსაც მოეწონებათ, რომ ნახონ! რა ჭკუაზეა ახლა უშენოდ? ნეტავ დამანახა?

მერე ნუცას თვალებში ჩახედა და მოეფერა:

— გარეგნობით, რაღა თქმა უნდა, მომხიბვლელია; სახის თეთრი კანით, ცისფერთვალება, კინკრიხოზე გადაყრილი წაბლა თმით — სრულებითაც არა ჰგავს კავკასიელს. პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში ევროპელად მიიღებენ. ფრანგულს ფლობს. სორბონის უნივერსიტეტში აპირებდა სწავლას, მგონი. მომისმენია. გალანტურია, მინახავს. მანდილოსნებთან თავის დაჭერა იცის. დაუფარავი გამბედაობაც უხდება — შემინიშნავს... მაგრამ...

— რა? — მიეხუტა ნუცა რუსუდანს და დამალული ამოათქმევინა.

— სხვაა დასაფიქრებელი; სასულიერო სემინარიელია. ექზარქოზ პავლეს მიერ დაწყევლილი რჯულის! — ჩამოთვალა სმოლნის კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტის დამამთავრებელი კურსის მოსწავლემ.

ნუცა უსმენს და ღონდება. შემკრთალია. ტიტე თითქოს თვალწინ უდგას, მაგრამ ახლო ვერ მიდის. გრძნობს, — ხმა კი არ ესმის. „უცნაურობაა?!“ — გაიკვირვა, სისხლი გაეყინა.

— მღვდლად რომ აღიკვეცოს?! — უფრო შეკრთა, მავედრებელი თვალებით შეხედა პეტერბურგის ზნე-ჩვეულებას შეგუებულ ნათესავს, თბილი ქუთაისიდან ჩრდილოეთის პალერმოში გადმოსულ რუსუდანს, ჩაუქრობელი კანდელივით რომ უნათებს და ათბობს ნუცას შეციებულ სულს.

— არც იფიქრო, მასეთი რამ! ქართველი სემინარიელები ლოყას როდი ვინმეს უშვერენ მეორედაც გამარტყიო. მეფესაც კი ეურჩებიან. სოციალისტობაში ბევრს არ ჩამორჩებიან; გულზე

ჯვარი ჰკიდიათ, უბეში კი ყუმბარა უდევთ. უცნაური ხალხია! მათი ბედი ბეწვზე ჰკიდია. სიცოცხლე არად უღირთ.

ნუცა ისევ ჩაფიქრდა, ბედისწერას შეუშინდა და გაუბრაზდა კიდეკ.

— ლოცვასა და სროლას ერთად როგორ არიგებენ?!

— როგორადაც ცხოვრება უწესებთ. იცი, ალბათ, ნევის ნაპირას, პეტრეპავლოვკაში ეკლესიის ზარიც რეკავს და ტუსაღების ბორკილების ჟღარუნიც ისმის. ერთნი ხატს ემთხვევიან, მეორენი მარყუჟში ყოფენ თავს.

— ასე რატომ არის? მეშინია.

— ყოველთვისაც იქნება ბორკილიც და ზარიც ორივე ფოლადისგან იქედება.

— გულიც?

— ისიც.

— ტიტე მათ შეუთავსებლობას ქადაგებს, კარგად ვიცი მე! — აელეწა სახე ნუცას.

— გგონია, რომ მიზანს მიაღწევს?!

— მიზანი ასახდენის შუა გზაა. გაბედულსა და მორწმუნეს სამშვიდობოზე გაიყვანს.

— ბედი ვიწრო ხიდია, ყველა ვერ გაეტევა.

— ხიდიც ადამიანმა გასდო.

— ფეხი რომ გაუსხლტეს?!

— ფრთხილად გაივლის.

— მაშ, შენც გაგიყოლებს.

— მენდობა?

— რა გაეკვებს!

— ქალი ვარ.

— ასეთია ბედი ჩვენი, გაბედე!

— მაფიქრებს.

— მაშ, მიზანი გაგჩენია, ალბათ.

— შუა გზაზე ვდგავარ...

მერე მწუხრის წირვა დაიწყო.

ნუცამ სმოლნის ეკლესიაში წირვა მოისმინა და ღვთიურ გალობას ფიქრი გაატანა, სანკტ-პეტერბურგის ცივ ლრუბლიან ცას მოცრემლილი თვალები აღაპყრო და ქუთაისის ბაგრატის ტაძრის ნანგრევებიც გაიხსენა, დედა ნახა, მამაც!.. ტიტეს კი ახლოც ვერ მიეკარა.

უცნაურია!.. გრძნობა იზიდავს, თანაც აშორებს, აშინებს და ახარებს, აფიქრებს და აწუხებს, შორით იწვის, ოცნებით იახლოვებს, იდაგება და ეურჩება, ეზმანება და ებუტება.

ნუცას დარდი რუსუდანმა იცის. სმოლნის ინსტიტუტის ცივი კედლები კი უტყვად უბღვერენ, მასწავლებელ-მონაზვნები ლამის გულში ჩაუძვრნენ, — ღვთის საძრახისი ხომ არა მოგძალებიაო, მაგრამ რაკი სულში ვერ ეხედებათ, ლოცვის ჟამს საწოლს უჩხრეკენ და წიგნებს უფურცლავენ. ნუცას მკრეხელობის ნიშანწყალიც არ აცხია, მაგრამ ქუთაისის ჟანდარმერიის უფროსის დასმენის შეტყობინება აფიქრებთ:

„თავადის ასული ნუცა მიქელაძე მოსწავლეთა დემონსტრაციაზე კაზაკებს უდიერად მოექცა, გაიქცა და სხვა დროსაც შემჩნეულმა სემინარიელმა ტიტე ცამიწაძემ დამალა. მშობლებმა, თავადმა მიქელაძემ და კნეინა ჩერკეზოვამ შვილის საძრახისი მოქმედება არაფრად არ ჩააგდეს, სოციალისტ სემინარიელს სახლის კარი გაუღეს, ისე დაიახლოვეს, რომ პეტერბურგში სასწავლებლად გაწგზავრებული დედა-შვილი შემჩნეულმა სემინარიელმა სადგურ რიონამდე გააცილა რაღაც საიდუმლოს გადასაცემად. პოლიციამ დააპატიმრა, მაგრამ გაექცა. გვარად გაიპარაშვილი დაირქვა, ნამდვილად კი ცამიწაძე გამოდგა. ახლა ქუთაისის ციხეშია".

ნუცა მოგონებაში ჩაღრმავდა: „როდის ვნახავ?"

დრო მიდის, კურსს ამთავრებს. ტიტეს კი იმის შემდეგ ერთხელ შეხვდა. ნახვის წადილით ივსება და უნახაობა მწუხარებით ავსებს.

ისევ რუსუდან მიქალაძემ გაართო. ოფიცერ რატიშვილის ოჯახს გააცნო. იმის სალონში რუსი მოწინავე სტუდენტების აზრებს ეზიარა:

— რა ეშველება რუსეთს, თუ ეკლესია და სახრჩობელა ერთმანეთს არ გაეყარნენ, როზგი თავისუფლებამ არ შებოჭა და პეტრეპავლოვსკის კაზამატების კარი პეტერბურგის უნივერსიტეტის ახალგაზრდობამ არ გამოალო.

ეს გაიფიქრა და უფრო მოიღრუბლა.

შეფის სასახლის მოედანზე კი ცეცხლი ენთო.

„თავს არ ვჩივი. მისი ბედი მაწუხებს", — ხმამაღლა წამოიძახა ხუცამ და მოულოდნელ აზრს მიეცა: „მეც მის გზას გავუდგები!"

ტიტე ცამიწაძე პეტერბურგს ჩავიდა. კიდევ ერთხელ თვალი შეავლო ნუცა მიქელაძეს და გული ისევ აუფრთხიალდა.

მანამდეც ენახა პეტერბურგში, სმოლნის ინსტიტუტის გვერდით დედისაგან საიდუმლოდ ხვდებოდნენ ერთმანეთს ქუთაისელი მამიდის, რუსუდან მიქელაძის ბინაში, ვასილიევის კუნძულზე, ხან პოლკოვნიკ რატიშვილის ოჯახში. ერთხელ ქართველ სტუდენტთა სათვისტომოში, ნიკო მარის ლექციასაც დაესწრნენ უნივერსიტეტის თეთრ აუდიტორიაში.

ნუცა უფრო მეტად გამშვენიერდა, პეტერბურგის ნოტიო ჰავამ ქუთაისური ღაღლაჟა მზით შერუჯული ლოყები გაანაზა, ჰაეროვანი მედიდურება შემატა, ტანადაც დაიხვეწა, ამაღლდა, ვიწრო წელად აიზიდა და ყელიც მოიღერა. ყველანაირი ტანსაცმელი უხდებოდა, თუნდაც სმოლნის სასწავლებლის უბრალო სამოსელში გამოწყობილიყო.

იმ კვირადღეს ისააკის საყდარში წირვასაც დაესწრო. დედის გვერდით მდგარი ნუცა ტიტეს თვალებს უნაბავდა და ვერკი ამჩნევდა, რომ დედამისი ჩუმად თვალს ადევნებდა თავის ქალიშვილს. ტიტეც ცერად გამოხედავდა ხოლმე და ორივენი თრთოდნენ და ღელავდნენ.

მერე დედამ უხერხულობიდან თავის დასახწევად პატარა საკანში სანთლები გამოართვა, კლიროსთან მიდგა. ღვთისმშობლის ხატს დაუჩოქა, პირჯვარი გადისახა, რაღაც ჩაითქვა, ტუჩების ცმაცუნით წამოდგა და ავარვარებულ სანთლებს თავისიც ასანთებად დააღვენთა.

ნუცაც გვერდით გადაიხარა და ჯვარცმულ იესოს ქანდაკებასთან ზურგით ატუზულ ტიტეს წარბის დახრით რაღაც ანიშნა, მერე ხმადაბლა ნათქვამი სიტყვები მოესმა:

— დღეის სწორს პარიზში მივყევართ! მთელ თვეს დავრჩებით...

ტიტე გაოცდა, ნუცას ჩურჩულის ხმა ბედნიერებად ჩაესმა.

მიქელაძის ქალიშვილს კი ფერი ეცვალა, გაუკვირდა. — ნეტავ რა ემართება? — წყენას ცნობისმოყვარეობაც დაერთო.

— შენ რას იზამ, ქუთაისში დაბრუნდები? აქაური ჰავა გავნებს, როცა აცივდება.

ტიტე მღელვარებისაგან დუმდა.

— რატომ ხმას არ იღებ?

— მიხარია...

— განშორება?

— მოახლოება.

— ვერ გაგიგე! — გაიოცა ნუცამ.

ტიტეს კი ტუჩზე ღიმილი აულიკლივდა.

ღვთისმშობლის წინ თავდახრილი კნეინა გასწორდა, ტრაპეზთან მიდგა, ერთი სანთელი ნუცას ბედნიერებას დაუნთო, მეორე — დედა-შვილის მშვიდობიან მგზავრობასაც, ცოლ-შვილის გასაცილებლად ქუთაისიდან მატარებლით უკვე გამოსული მეუღლის პეტერბურგში მშვიდობით ჩამოსვლასაც თაფლის კელაპტარი მიუდგა და თვალებდახრილ ქალიშვილისაკენ გამობრუნდა, რომელმაც ის-ის იყო თვალები ტიტეს კიდევ ერთხელ მიაფინა და ფერმკრთალ ლოყებზე ისევ ის, ქუთათური დროის სიღაჟღაჟე აუთამაშდა.

წირვა დასრულდა

ისააკის საყდართან მომლოდინე მეეტლემ ცხენები გააქროლა და ბორბლების ტრიალმა ტიტეს გულის ძგერაც გაიყოლა, ნუცას გული ისევ უთრთოდა. დედამისი ხან შვილს უყურებდა, ხან სენატის მოედანზე ყალყზე შემდგარ „სპილენძის მხედარს“, და ამოიბუტბუტა:

— ნეტავ ვიცოდე, რაზე ფიქრობდა მაშინ პეტრე დიდი?!

— ევროპაში ფანჯრის გაჭრაზე! — წაიბუტბუტა ნუცამაც.

— დიახაც! ამ ფანჯრიდან მალე შენც ჩაფრინდები პარიზში.

ნუცას გული დასწყდა რომ ტიტეც ვერ გაჰყვებოდა, რაკი იმ დიდსა და ლაძაზ პარიზში მხოლოდ სახალისოდ ჩადიოდნენ შეძლებული და მოცლილი ადამიანები. ტიტეს კი საამისოდ არც ქონება მოსდევდა და პოლიციაც ფხიზლად დასდევდა მის ასავალ-დასავალს. ან რა საქმე უნდა ჰქონოდა ქართველ რევოლუციონერს, რომელსაც ქუთაისის სასულიერო სემინარიაც კი არ დაემთავრებინა და თვალხილული ცხოვრების მშვენიერებას იატაკქვეშეთის ბედის სიმწარეს არჩევდა. თუმცა კეთილი მასწავლებელი დობრიჩენკო სორბონის უნივერსიტეტის დამთავრებასაც უწინასწარმეტყველებდა, იმასაც, რომ ოდესმე ისააკის საყდარშიც წირვაც დაეყენებინა, მაგრამ ნუცამ კარგად იცოდა, რომ ტიტესთვის მეტი ბედნიერება არაფერია, ვინემ ხალხის თავისუფლებისათვის თავის

შეწირვა. „უცნაურია, ქრისტე-წამებულიც ვერ გადადებდა თავს ასე უყოყმანოდ", — ეჩვენებოდა ნუცას და ბედს ურიგდებოდა.

ტიტე ახლაც დუმდა, ისააკის საყდრის მარმარილოს ცივ სვეტებს ამოფარებული, ნევის სანაპიროზე გაჭრილ ეტლს თვალს მიაჯეკნებდა და იმ ფანჯრიდან გაფრენაზე ფიქრობდა, იქით, სადაც, როგორც სჯეროდა, ხალხის რევოლუციური ბობოქრობა არყევდა ძველ სამყაროს. „რომ ჩავიდე იქ, და შევხვდე ნუცას რევოლუციურ პარიზში, რა უთხრა შენს კვალს გამოვყევი-მეთქი?!.

ძნელი სარჩევია, უფრო ძნელად ასახსნელი. რევოლუციურ ბრძოლაში თავისი მონაწილეობის გამხელით იქნებ საქმე წამხდარიყო. ნუცას დედაც უეჭველად განცვიფრდება, ჭირვეული სასიძოს გამოკიდებად ჩაოვლის, მაგრამ ეს ხომ წარმოუდგენელია?! ღარიბი სემინარიელი. შესაძლოა, უიღბლო სოციალისტიც, მაინც ასე გულდაჯერებით ფეხდაფეხ დასდევს მიქელაძისა და ჩერქეზიანთ კნეინის ქალიშვილს. მამის მაღალ მდგომარეობას მაინც მოერიდოს, თუნდაც შეუშინდეს. ან რა ასეთი მამულები აბადია, რა სახსრებით მირბი-მორბის ქუთაისისა და პეტერბურგს შუა? ვერ გამიგია! რა თამასუქების იმედით ბრძანდება? იქნებ ნუცაც თანაუგრძნობს?! „ღმერთო, დამიფარე", — გულში გაუელვა და პირჯვარი გადაისახა.

მეეტლე კი იორღებს ფიცხად მიერეკებოდა, ზამთრის სასახლის ხიდს უახლოვდებოდა, მერე ისიც გადაირბინა და ვასილევის კუნძულზე რუსუდან მიქელაძის სახლთან შეჩერდა.

ტიტე კი მეორე დღეს დათქმულ საათზე კრასინს ეახლა ფირმის შენობაში საჭირო დოკუმენტები მიიღო, პარტიის ცეკას რწმუნებულის პარიზში მაქსიმ ლიტვინოვის მისამართიც გონებაში ჩაიჭედა და კვირის სწორს იმავე ჩქარი მატარებლის მეორე კლასის ვაგონით თვითონაც საზღვარგარეთ გაემგზავრა.

კნეინა და ქალიშვილი პირველი კლასის ვაგონში ისხდნენ და ვაგონ-რესტორანშიც არ გამოდიოდნენ. მთელი გზა არც რომელიმე სადგურზე ჩასულან მუხლის გასაშლელად. მხოლოდ ბერლინის ვაგზლის ბაქანზე გამოჩნდნენ, მაგრამ ტიტე არ ეჩვენა, თავისი კუპეს ფანჯრის ფარდას მოეფარა.

ნუცა კი სევდიანი და ჩაფიქრებული მიჰყვებოდა დედას, მაგრამ უინტერესო მგზავრებიც კი უნებლიედ თვალს აყოლებდნენ ორ ლამაზ ქალს და ვის რომელი უფრო მოსწონდა, ძნელი იყო გამოცნობა.

ტიტემ უეცრად შენიშნა, რომ ზურგს უკან ადევნებული კაცი მზერას არ აცილებდა. ის უცნაურად აცეცებდა თვალებს, მიხვდა აედევნენ, გაცლა აჯობებდა, ახლა კი იმ ორ ნაცნობ მანდილოსანს მიჰყვა, მაგრამ უცხოს მზერაც გაიყოლა. „ჯაშუშია!“ — გაიფიქრა და ნაბიჯს უმატა, ნებივრად მიმავალ დედა-შვილს ზურგში ჩაუდგა, ნუცამ სუნთქვით იგრძნო, ვითომც მიდევნებულ მებარგულს მოხედა და თვალის დახამხამებაში ქაღალდის პატარა ნაჭერი ტიტეს ხელში ჩაუდო. ცამიწაძემ მოკუჭა, ნაბიჯს უკლო, გული აუჩქარდა, ახლა სულაც აღარ აფიქრებდა, რომ ჯაშუში უთვალთვალებდა.

ჩემოდნებიანი მებარგულე ვაგზლის მოედანზე გავიდა, მომლოდინე მეეტლეების რიგს თვალი გადაავლო, წინა მეეტლეს ანიშნა, მაგრამ „დაკავებული ვარო“; არც კი გაინძრა, თავიც არ მოატრიალა, მეორე მეეტლემ კი გაუღიმა და შეეხვეწა: „მიმსახურეთ, მადამ!“.

მებარგულემ ეტლის ძარას ჩემოდნები შემოუწყო, გასამრჯელო ორმაგად მიიღო და კმაყოფილი გაბრუნდა.

ტიტემ შეიცადა. ბაქნიდან გამოსული მგზავრები წინ გაუშვა, თვითონ კი რიგის ბოლოს მომლოდინე ეტლში ჩაჯდა და დაინახა, რომ მეეტლეს, წელან რომ უარი უთხრა ქალებს — „დაკავებული ვარო“, მდიდრულად ჩაცმული ორნი ჩაუსხდნენ, ერთს, დარბაისელ კაცს, ქერა აპრეხილი ულვაშები ამშვენებდა; მეორე, ახალგაზრდა, თვალებს აცეცებდა. ბაქანზე ადევნებულმა ჯაშუშმა კი შავი ფეტრის შლაპის ფარფლებზე ორი თითი მოკრძალებით მიიკრა და ეტლი ადგილიდან მოწყდა.

ტიტესაც მოკრძალებით მოესმა:

— მიბრძანეთ, მუსიე, სად ინებებთ მიყვანას?

მგზავრი კი მძიმე ფიქრმა წაიღო. მიხვდა, რომ მას მიჰყვებოდნენ, კრასინმა ორი მისამართი მისცა, ცენტრში — მაქსიმ ლიტვინოვის კანტორისა და სერგო ქავთარაძის ბინის, ლათინურ კვარტალში. კონსპირაციის დასაცავად არც ერთთან მისვლა არ შეიძლებოდა. ჩანს, მდევნელებს ტიტის ჩამოხდომის ადგილი აინტერესებთ, მათი ცნობისმოყვარეობა მარტო ერთი კაცით არ იფარგლებოდა ვისთან დაამყარებდა კავშირს, ისიც უნდა სცოდნოდათ.

ფიცხი ცხენები ეტლს ფიცხლად მიაქანებენ. ტიტე კი დინჯად ფიქრობს.

— მიბრძანეთ თქვენი მისამართი, მუსიე? — გაუმეორა მეეტლემ.

ტიტემ ჩაიბურტყუნა:

— სასტუმრო!

— გრანდ-ოტელი, პარიზი, თუ კონტინენტალი?

— სულერთია! მაგრამ აუცილებლად ლუვრთან ახლოს. მეტი დრო დამრჩება მუზეუმის გასაცნობად.

— დიახ, მუსიე, ერთ დღეში რას მოასწრებთ, — მგზავრის გასართობად ენად გაიკრიფა მეეტლე, იმ იმედით, რომ ყურადღების გამოვლენის საზღაურად გასამრჯელოს წაუმატებდა ხელოვნების სიყვარულით პირველად ჩამოსული ახალგაზრდა მგზავრი.

— რატომ ერთ დღეში, მთელ თვეს ვრჩები! ლუვრზე უკეთესს რას ვიხილავ პარიზში?! — გაკვირვების კილოთი შეუბრუნა მუსიემ და მეეტლეც აჰყვა.

— მთელ თვეს?! ფეშენებლური სასტუმრო ძვირი დაგიჯდებათ, მუსიე! გატყობთ, ხელოვნების წყურვილმა გამოგაწევინათ მაცდუნებელ პარიზში!

ტიტეს ჭკუაში დაუჯდა მეეტლის რჩევა.

— გმადლობთ ყურადღებისათვის. ხელმისაწვდომ სასტუმროში მიმიყვანეთ, ხელმოკლე სტუდენტი გახლავართ!

— „ეიფელს“ გირჩევთ. კმაყოფილი დარჩებით, მუსიე, დემოკრატების საკრებულოა.

ტიტეს თითქოს გუნება წაუხდა.

— დემოკრატების ბუზღუნსა და ჭიჭყინს რუსეთში ვერ ვიტან!.. მღლიან. რა ენაზე დავობენ? — უდარდელი კილოთი ჰკითხა მგზავრმა.

— მრავალზე!

— რუსული ესმით?

— რუსი ემიგრანტების ბუდეა.

— სოციალისტებისა ხომ არა? — იწყინა ტიტემ.

— მეფის ერთგულებისაც.

— საჩემო ყოფილა. დიდად მაამეთ, ლუვრის მუზეუმში ერთგულ თანამემამულეებთან შეხვედრაც სასიამოვნო სურპრიზი იქნება.

— სამუზეუმოდ ვერ იცლიან. სოციალიზმის გზების ჩ'რეკაში არიან.

— შეხე მაგათ, მიმიყვანეთ გეთაყვა, იმ სასტუმროში.

— მზად ვარ გემსახუროთ, მუსიე!..

მივიდნენ.

— აი, ესეც კეთილი სამსახურისათვის! — და სტუდენტმა ენაწყლიან მეეტლეს ფრანკით მეტი გაუწოდა.

სასტუმროს კარისკაცმაც თავაზიანად გაუღო კარი, მაგრამ მომლოდინე მსახურ ბიჭებს სახე არ უღიმოდათ, მგზავრს ხელბარგიც კი არა ჰქონდა და არც გასამრჯელო შეხვდებოდათ თავაზიანი მომსახურეობისათვის.

ტიტე ვესტიბიულში შევიდა, პორტიეს ნომერი მოსთხოვა. ფართო შუშის კართან უკან მოყოლილი ეტლიც გაჩერდა. ქერაულვაშა, შუახნის დარბაისელი კაცი, მედიდურად იჯდა, მეორე, ახალგაზრდა, მოუსვენრად ცქმუტავდა, ეტლიდან ჩამოხტა და კარი ისე ნაჩქარევად შეაღო, რომ კარისკაცი არც კი გაისარჯა თავის დასაკრავად. ტიტე მიხვდა, რომ ერთმანეთს ცნობდნენ, ზედმეტ ცერემონიალს საჭიროდ აღარ თვლიდნენ, დრო არ ითმენდა, მგზავრისა და პორტიეს მოკლე ლაპარაკის მოსმენა უნდოდა ან ტელეფონით ვისმესთან დაკავშირება. მაგრამ ვისთან? ესეც უნდა სცოდნოდა, ალბათ! ვესტიბიულში შემოსული პორტიეს არც მიესალმა, მგზავრს კი მიმართა — „პარდონ!“ — რაკი სასტუმროს მსახურს ელაპარაკებოდა, მაგრამ პორტიემ თავაზიანად აცნობა:

— მუსიე, ფოსტას ერთ საათში მივიღებთ! შემოიარეთ!

უცნობმა კმაყოფილება აიკრა სახეზე, ტიტემ — გაკვირვება.

მიხვდა, რომ დადევნებული კაცი და პორტიე ერთ შეფს ემსახურებოდნენ. გასაღები მშვიდად გამოართვა და უნიფორმიან მსახურ ბიჭს მიმართა:

— გამიძეხით, გეთაყვა! — წინ წავიდა. ლიფტამდე და ლიფტშიც იმ მისაღებ ფოსტაზე ფიქრობდა, მიხვდა, რომ თვითონ იყო ის ამანათი, მისი მოსვლის ამბავი წინდაწინ იცოდნენ ეტლით დადევნებულმა და სასტუმროს პორტიემ. მოსალოდნელ საფრთხეზეც ფიქრობდა, გადაწყვიტა სასტუმროდან ტელეფონით არ დაერეკა. ნომერში რომ შევიდა, გაეხარდა, ტელეფონი არ ეკიდა კედელზე.

სასტუმროს ფანჯრიდან ლუვრის მუზეუმის სახურავი ჩანდა.

მსახურმა მგზავრის სახეზე რაღაც უკმაყოფილება შეამჩნია, მაგრამ თკითონ ტიტემ გაუფანტა შიში.

— კარგია, რომ უტელეფონო ნომერია, მეცადინეობაში ხელი არ შემეშლება.

— ხომ არაფერს დამავალებთ, მუსიე!

ტიტეს მოაგონდა და მსახური შეაქო:

— ყოჩაღ, ყმაწვილო, კარგია, რომ გამახსენეთ, ლუვრის მუზეუმის დიდი კატალოგი. რასაკვირველია ილუსტრირებული! — და საფასურად უფრო მეტი მისცა, ვინემ ღირდა, — ხურდა არ მომიტანოთ!..

მსახურმა ბიჭმა ფრანკიანები ჩაიმუქა და დიდად კმაყოფილმა უფრო სწრაფად ჩაირბინა კიბე, ვიდრე წელან ლიფტით ტიტეს ამოჰყვა.

ხუთი წუთიც არ გავიდა, ტიტე ცამიწაძე ლუვრის მუზეუმის კატალოგს უკვე სახელდახელოდ ფურცლავდა, ფიქრით კი იარაღის საწყობს უტრიალებდა, შესყიდულ თოფებს და ტყვია-ვაზნებს ითვლიდა და ზღვა-ხმელეთით საქართველოში ჩატანის გეგმას ადგენდა. მერე კატალოგი მაგიდაზე დადო და ნომრიდან გავიდა, ხვალინდელი შეხვედრების ფიქრი არ შორდებოდა.

ვესტიბულში უამრავი ხალხი ირეოდა, ენა ენაში ირეოდა და ყურს ზუზუნი სჭრიდა. პორტიეს ტელეფონთან მაინც არ მივიდა. ქალაქში გავა, რომელიმე მაღაზიის ტელეფონით ქავთარაძეს დაუკავშირდება, ლიტვინოვსაც აცნობებს და ორივე მონახავს გზას ტიტეს გადასარჩენად დემოკრატიული სასტუმროს ზუზუნისაგან. თორემ საქმე ცუდად იხლართება, ეტლით დადევნებული ქერაულვაშა უბრალოდ არ შეწუხდებოდა თავისი ორი ჯაშუშით, ერთი რომ ბაქანზე ელოდებოდა, მეორე კი სასტუმრომდე მოჰყვა წინასწარ დაქირავებული ეტლით.

* * *

კნეინა ლიზა მიქელაძის ეტლი კი ბომარშეს ქუჩის მეხუთე სახლთან გაჩერდა. მეეტლემ ჩემოდნები მეორე სართულზე აიტანა, ზედმეტად ნაჩუქარი ფრანკიანი ჯიბეში ჩაიგდო და უკან ჩამოგრიალდა. მეეტლეს მანამდეც შეემჩნია და ახლაც დარწმუნდა, რომ რუსეთიდან ჩამოსული თავადები ხელგაშლილები არიან, მეტს იმე-

ტებენ, ვინემ ფრანგები. გერმანელები წუწურაქობენ. მეეტლეს წინდაწინ ურიგდებიან რამდენი გადაუხადონ. იტალიელები კი მოგზაურების თავიანთ ქვეყანაში მოსაზიდად თავს იმდაბლებენ. რომ წარსული დიდებით მოხიბლონ, სამადლოდ ამოაყაჭინონ ოქრო, მეორედაც მოაწყურონ ვენეციისა და დაფერფლილი პომპეის ნახვა. რომის იმპერიის შთამომავლებმა ბატონკაცობის იერი დაკარგეს, ტურიზმი საოჯახო შემოსავლის წყაროდ გაიხადეს და მელომანური ჯადოსიმღერით მძიმე ცხოვრებას იიოლებენ.

მაგრამ რა გააჩნია საქართველოს? თავისი სახელიც კი წაართვეს, თბილისის და ქუთაისის ორ გუბერნიად იწოდება. სულიო მდიდარი და ჯიბით ღატაკი თავადაზნაურობა ჰყავს და ხელმოკლე გლეხკაცობა. მიწას თავგამოდებით რომ შეჭიდებია.

მაგრამ ქართველმა მაინც ასახელა თავისი ქვეყანა. შალიაპინისა და სობინოვის გვერდით ტენორმა ვანო სარაჯიშვილმაც მოხიბლა მსმენელი, უფრო ადრე კი ფილიმონ ქორიძე — ბასსო პროფუნდო — „ქორიჯიოს“ ფსევდონიმით ღრმა ბანით აგუგუნდა რომის, პარიზისა და რიო დე-ჟანეიროს საოპერო სცენებზე. ბატარა ხონიდან გამოსულ პლატონ კაკაბაძეს დი-ფორზა ტენორით — აღტაცებაში მოჰყავდა მელომანები. თუმცა ისიც „იმერილის“ გვარით აკვირვებდა ევროპას. სოფელ ვაქირში დაბადებულმა ჩავერდოვანმა ტენორმა „მიშელ დარიალი“ დაირქვა მიხა ნანობაშვილის დასამალად. ყველა გვარიანსა და ფსევდონიმიანს ერთი ქართველი მანდილოსანიც ამშვენებს. ნინო ჩერქეზიშვილი! ისიც მეტსახელად ნინო ჩერკეზინის ირქმევს. ნინო ჩერკეზინი ნოდიას დედის დისწულია. საქართველოზე მიტად ევროპა იცნობს და აისედორა დუნკანის მეტოქედ ადიდებენ. ისიც მომხიბლავი ჯადოქრობით დაჰქრის ქალაქიდან ქალაქში. პარიზში ცხოვრობს და საქართველოდან ჩამოსული ათიათასთა მზრუნველობას. ქებას და ტაშს იმსახურებს, თვითონაც ჰაეროვან კოცნას აგზავნის გაჭიდილ პარტერს თუ ხალხით დახუნძლულ ლოჟა-იარუსებს.

ტიტემ კიდევ ერთხელ ამოიღო ჟილეტის ჯიბიდან ოთხად დაკეცილი პატარა ბარათი — „ნინო ჩერკეზინის აპარტამენტში დამირეკე“ — აღტაცებაში მოვიდა მისი ეშმაკობით. ქუთაისშიც ეტყობოდა სიანცე, აქაც, დედის გვერდში მიმავალმა ისე მოხერხებულად გადასცა საპაემნო ბარათი, რომ გამოცდილი ტიტე-კონსპირატო-

რიც კი განაცვიფრა. კნეინას რომ თვალი აუხვიო, მართლაც დიდი საზრიანობის გამოჩენაა საჭირო, — გაიფიქრა ტიტემ.

ნუცას თავდაჭერა და საკუთარი გრძნობების დაფარვის უნარიც ტიტეს ისეთ თვისებად მიაჩნდა, რევოლუციონერისათვის რომ მთავარია, მით უფრო თუ არალეგალურად იბრძვის. ეს თვისება ყველაზე გამოსარჩევი ნიშატი და ნირია, რომელიც მხოლოდ ერთეულებს რგებიათ და თუ რწმენაც დაემატებათ, დიდებულ მებრძოლებადაც დადგებიანო.

ასეთი ქალების სახელიც სმენოდა — პეროვსკაია, კოლონტაი, სტასოვა, ქართველებში ვარო ჯაფარიძე, ჯავაირა ხუტულაშვილი, მაგრამ ნუცას გაბედულებაც ეამაყებოდა, როცა გაახსენდებოდა ქუთაისელ მოსწავლეთა მეფის საწინააღმდეგო დემონსტრაცია. იმ დღეს ტიტემ ცხენოსანი კაზაკის გადაწხული მათრახით მიწაზე დაცემული ნუცაც დაინახა, დასწვდა, აიტაცა, ბულვარის ბაღის ჩრდილში მიმალა, მერე ხელში აყვანილი შინ მიიყვანა, დედა გაახარა, მამა გააკვირვა და ორივე დააფიქრა: „ეს რა ჩაუდენია ჩვენს ქალიშვილსო!“.

ახლა კი პარიზის ვაგზლის ბაქანზეც კონსპირაციის ბრწყინვალე ნიჭიც გამოავლინა და თუ მერე და მერე არ დაშინდა, სჯერა, ტიტეს მრწამსსა და მიზანდასახულობასაც მხარს აუბამს, ბრძოლას გაუადვილებს, ფათერაკიანობას ააცდენს, თავის კაცურ სიჯიქეს იმის ქალურ მოქნილობას შეუფენს და გამარჯვებას მოუახლოებს.

ტიტემ ნუცას ბარათი მეათედაც ჩაიკითხა და სათუთად ისევ ჟილეტის უბეში ჩამალა.

აუცილებლად დაურეკავს! მაგრამ უნდა მოზომოს, — დედამ არ აიღოს ყურმილი პირველმა. ისაზრა, ნინო ჩერკეზინი ნაზი ქალია, მსუბუქი ცეკვა მძიმედ ღლის, ჩვეული არ იქნება ადრე ადგომას. არც კნეინა ლიზა მიქელაძეს გაეღვიძება უმცროს ნინოზე ადრე, თანაც ქუთაისში ხომ არაა, რომ ქმრისა და შვილის მორთვა-დანაყრება აწუხებდეს? პარიზის სუნთქვა მასაც ათრობს და რა აიძულებს დილით ადრე წამოდგომას?

ნუცა კი ყველაზე ახალგაზრდაა, ქორფა, სხარტი და ცნობისმოყვარე, დიდი ქალაქის გუგუნი მერცხლების ჭიკჭიკად ესმის და ლოგინში დიდხანს რა გააჩერებს. ტიტეს ზარის მოლოდინში ყური ფხიზლად ექნება! ეს ტიტემაც იცის და დილაადრიან დაურეკავს, თუ გულმა არ მოითმინა, შუალამითაც გამოაღვიძებს, ყურმილში

სიტყვა რომ არც დაძრას სუნთქვით აგრძნობინებს, რომ ისაა, ვისაც ნუცა ელის.

ასეც მოიქცა.

ნუცამ ყურმილი თრთოლვით აიღო და უფრო ყუჩად, ვინემ ჩვეულებრივი სიხარულით იტყვის ხოლმე, მოსმენილს გულის ბაგუნიც გააყოლა:

— მე ვარ, ტიტე, ნუცა ვარ!

მერე ისიც აცნობა, რომ დედა და ბიძაშვილი ნინო საძინებელ ოთახის ფართო საწოლზე წვანან, გვიან ჩაეძინათ. თვითონ ცალკე დარბაზშია, ტახტზე გაიშალა და ტელეფონის ზარის გაგონებაზე წამოხტა.

* * *

კნეინა ლიზა მიქელაძე და მოცეკვავე ჩერკეზინი წუხელ გვიანობამდე საუბრობდნენ. ლიზამ ბიძაშვილს ქალური გული გაუხსნა და კითხვას პასუხიც მიაყოლა, დასაწყის დასასრულის მიჯნა დაეკარგა და ორთავეს ძილი დაუფრთხო. მერე განცდილი და განსაცდელად მომდგარი ერთმანეთს სიცილ-სინანულით შეუდარეს და თავიანთი ცოდვა-უცოდველობა კიდევ ერთხელ გაიხსენეს.

კნეინა უფროსია, მოწყალე კილოთი უყვება, მოცეკვავე უმცროსი შეწყნარებით მიჰყვება, მაგრამ დიდიხნის უნახავ ნათესავებს გული ურთიერთგანდობის წყურვილით ევსებათ და ინტიმური ბაასი იტაცებთ. თანაც ფხიზლობენ, გვერდით დარბაზში ღრმა ძილს მიცემული ნუცა არ გამოაღვიძონ, ამით ნუცას ცნობისმოყვარეობას უფრო ძაბავენ, კარებს მიყურადებული ქალური გრძნობა ვნების თრთოლვად ექცევა და უნებურად შიშველ მკერდზე ხელისგულებს იდებს. იცის, რაც ემართება; უსმენს დედას, უფალს რომ ევედრება ცოდვის ჩადენისაგან იხსნას ნუცა.

— მთელ პარიზს ცეკვით აჯადოებ, მაგრამ შენ თვითონ არავინ მოგწონს, არავინ გეგულება საშენოდ, — გაუბედა დეიდამ ღისწულს.

ნინოს გულს ახლობელის საყვედური ეჩხვლიტა.

იქნებ მართალს ეუბნება? უკვე ოცდახუთი წლისაა, გატაცების ფრთები გამოსხმია, მაგრამ მარტო სცენური ბედნიერება როდია საკმარისი, ძმაც კი მარტოხელად რჩება, ანარქისტულ მოძღვრებას

შეყვარებული თავის თავზე სულაც არ ფიქრობს, უფრო დიდი ოჯახის — სახელმწიფოს დასანგრევად სიცოცხლესაც სწირავს, ამ მიზნით საზღვარგარეთ გადაიხვეწა, მაგრამ პარიზიდან დამუქრებული სიტყვები პეტერბურგის ორთავიან არწივსაც აშინებს და ისიც ბაკუნინ-კროპოტკინის დასაფლეთად თუ ჩერქეზიშვილის დასაწიწკნად ბრჭყალებს ილესავს. მონარქიის დამცველები ცდილობენ ანარქისტის მუქარამ ნიკოლოზის ყურამდე არ მიატანოს; მეფის სიმშვიდეს უფრთხილდებიან, მაგრამ იმპერატორი ფრანგულ გაზეთებსაც ფურცლავს ხოლმე და დროდადრო ქართველი ანარქისტის ანათემასაც აწყდება, რომანოვების ჯილაგის დედაბუდიანად ამოგდება-ამობუგვას რომ იქადნის.

ერთი ამშვიდებთ მხოლოდ: მეფის იმპერიაში სოციალისტური პარტიები მრავალ სახელად დაინათლნენ, დაიქსაქსნენ და ერთი პირი ვერ შეუკრავთ. ცხრა ყური გამოუსხავთ, მაგრამ ერთი თვალსაწიერი დაუსახავთ — მეფის რუსეთის დაუნაწილებლობას ქადაგებენ, დამოუკიდებელ ქვეყნებად დაყოფას არ მოითხოვენ, ნაციონალურ თვითგამორკვევას უარობენ, რუსეთის ჩარჩოებში დარჩენას ირჩევენ, ერთიანობისა და განუყოფელობის იდეას იცავენ, ზოგს კონსტიტუციური მონარქია მოსწონს, ზოგი უმეფო სამეფოს იჩემებს, თუნდაც პროლეტარიატის სახელმწიფოდ, მაგრამ მაინც დაუყოფელ, ერთიან რუსეთად დარჩენას ლამობს. ეს რომანოვების დინასტიასაც აწყობს, მაგრამ ტახტის დაკარგვას მაინც ვერ ელევა. ამასობაში კი სოციალისტური მღელვარების ტალღა ცხრება და შტილი დგება, ქარიშხალს ძალა ელევა და რევოლუცია ევოლუციურობის გზას ადგება.

ანარქისტები კი მაინც ყოველგვარი სახელმწიფოებრიობის სინსილას გაწყვეტას მოითხოვენ და უმეფო, უპრეზიდენტო, უთავმჯდომარო, უმეთაურო მმართველობას იწონებენ და სწორედ ამით იმხედრებენ ისინი ყველა ჯურის სოციალისტებს, მონარქიის მოწინააღმდეგე ლიბერალურ მოლაქლაქეებს, ენა რომ აზრს უსწრებთ, გონი ფეხის გადადგმაში ეჩხირებათ და სვლაში ეურჩებათ, წინ წასვლას ითხოვენ, უკუსვლა კი გამოუდით, ერთ ნაბიჯს რომ წინ წადგამენ, ორ უკუსვლას ითვლიან, მონარქიის მიერ წამებულობით თავს იწონებენ, მოქმედებით კი მაამებელ წამებულებად იჩოქებენ კვერთხის წინაშე, საბოლოოდ არც თავს არგებენ და მეფურ წყობილებასაც ვერას ვნებენ, ადამიანებს სოციალურ სამოთხეს პირდე-

ბიან, მაგრამ კაცობრიობას ჯოჯოხეთში ჩასანთქავად სწირავენ. თუ ეს მაინც მოხდა მაშინ მშვიდობით რომანოვების დინასტიის ბატონობავ! დაინგრევა თვალუწვდენელი იმპერიაც, გაქრება დემოკრატიული და ვერ შეიქმნება სოციალისტური სახელმწიფოც! ანარქისტები ამას ქადაგებენ და ყოველ გზაჯვარედინზე გაჰყვირიან, — კაცი ისე უნდა მოკვდეს, ვითომ არც დაიბადაო, შვილი არ იყოს მამის მფარველი და მამა შვილისაო. თვითეული ცალკე ნება-სურვილის ძეა, ყველამ თავისთავს უმძღვაროს, მოძღვარს კი წინ აღუდგეს, საზოგადოებრივს სახელწოდება — „სახელმწიფო“ მოშალოს და უსახელობა და უსახეობა დაამკვიდროსო.

ვარლამ ჩერქეზიშვილსაც ანარქისტ კროპოტკინის მოძღვრების ციებ-ცხელება შეჰყრია და მსოფლიოსაც გასაწირად იმეტებს. ზოგი მოსოციალისტო პარტია ცალი ყბით კილავს ვარლამის ანარქიზმს, მაგრამ თავისივე ფრაქციული მანევრით ფაქტიურად აქეზებს. ამით მხოლოდ იმათ იმხრობს, ვინც უკმაყოფილოა მატერიალური უთანასწორობით და შეგნებულ, თანამიმდევრულ პოლიტიკურ ბრძოლას სტიქიური, ბეცი ძალმომრეობით სცვლის. განსაკუთრებით ახალგაზრდობას ითრევენ სამწყსოდ და თავთავიანთ პარტიებში რღვევა შეაქვთ.

მარტო ბოლშევიკ სოციალ-დემოკრატთა ფრაქცია ეურჩება ანარქისტთა თეორიულ და პრაქტიკულ გზაბნეულობას. კობა ჯუღაშვილმა ცხარე ბრძოლა გაუმართა ქართველ ანარქისტებს და რუსი მიმდევრებიც ზედ მიაყოლა, მაგრამ ნოე ჟორდანიას ფრაქციას როდი მოსწონს ბოლშევიკების პოზიციის გამაგრება. ყველა ხერხს მიმართავენ, რომ ანარქიზმი სიკვდილს გადაარჩინონ, მაგრამ არც ბოლშევიზმს გაამარჯვებინონ.

მეფის მთავრობამ პეტერბურგში ეს კარგად იცის და ამიტომაც ნინო ჩერკეზინის ძმას ვარლამსაც ისეთივე სიმკაცრით სდევნის, როგორც მის მასწავლებელ კროპოტკინს.

კნეინამ ლამის პოლიტიკური მოქმედების მთელი პროგრამა გადაუშალა თავის ბიძაშვილს და ნინოს გული მადლიერების გრძნობით აავსო:

— მეფეს ვერ დავემდურები, ჩემი ძმა ვარლამისავით! პარიზში უფრო ვგრძნობ მისი უმაღლესობის საელჩოს ერთი წარჩინებული მოხელის განსაკუთრებულ ყურადღებას ჩემდამი.

— ელჩისას?

— სხვის.

— შემძლეა?

— საეკლესიო კულტისა და კულტურის ატაშეა რანგით.

— რა წოდებისაა, რა გვარია?!.

— თავადია!.. პასტრიულინი, — ფარული სიამოვნებით დასცდა ნინოს. იგი მას უკეთილშობილეს არისტოკრატად მიაჩნია და ამაყობს, რომ ყელამდე მოხიბლული ჰყავს.

კნეინამ მისანივით ამოიკითხა ნინოს მიმალული აზრი.

— მოსწონხარ?

— ვუყვარვარ...

— შენ?

— არა...

— იქნებ დროა, იმას მაინც ანდო შენი თავი. მოფრიალე სილამაზეს გრძელი გზა როდის უწერია!.. ჯერ მოფარფატედ იქცევა, მერე სულაც გაქრება. სამუდმივოდ დაიმონე, ვინც ახლა დაგემონა.

ნინო ჩაფიქრდა, მოსმენილის საშიშროებას არ დაუჯერა, მაგრამ გონების თვალი მაინც გაუსწორა და ლიზას გაუმხილა.

— მესმის, გათხოვების დროა... მაგრამ მეშინია!..

— რა შიშმა აგიტანა?..

— სუსტი ნებისყოფისაა! სიყვარულს ღვთის მსახურების ენაზე მიხსნის. იმდენად ღვთისნიერია, რომ ჩემი ძმის ახირებაშიც კი ვერა ხედავს სახელმწიფოს მტრობას! შენ კარგად ამიხსენი, რა ყოფილან თურმე ანარქისტები. ჩემი ღვთაება ხარ, ძმა როგორღა მივიჩნიოთ ბოროტადო? სიკეთისთვის უშობია დედათქვენს, მე როგორ გავწირო ღვთით გაჩენილიო? მოწყალე და მორწმუნეა, ლამის ჭიატოვის დიპლომატობის მაღალი რანგი, ბერად აღიკვეცოს და მეც სამონასტროდ გამწიროს. განდეგილობა ვირწმუნოთ ღვთის უმაღლეს წყალობადო. ადამიანის ცოდვას ნუ დავიდებთ, ავს ნურავის ვუზავთ, მტერსაცო! ძე — ღმერთისა და ძე — მეფისა უმანკო კრავია და ხელი სისხლით როგორ შევიღებოთო? იმათი კარგად ყოფნისათვის ორივემ ვილოცოთ, ესაა უფლისადმი ჩვენი საზღაურიო. სხვა ყველაფერი მიწიერია, განსაკუთრებით ყოველგვარი პოლიტიკური ამბიციების ნაცოდვილარი, ურწმენო ადამიანების ქრისტიანობისაგან განდგომაა, ურჯულოთა და ურიათა ახირებაო! აბა მითხარი, ასეთი ღვთის მოსავი კაცი საქმროდ გამომადგება?!

ნინოს ნათქვამმა კნეინაც დააღონა და ღვთის მსახური დიპლომატის სულის სიწმინდემ დააფიქრა, მაგრამ რჩევის მიცემა ვეღარ გაბედა. დუმდა. იმ კაცის მოქმედებას ჩხრეკდა და მზერით ნინოს სულის მერყეობის ძალას ზომავდა. თავადი რწმენით ირწმუნებოდა, მაგრამ კნეინას ვერ აჯერებდა — ან ნინო იგონებდა, ან დიპლომატს კაცობა ღალატობდა და საკუთარ უუნარობას ღმერთმსახურების ერთგულებად ასაღებდა. ერთიღა აღმოხდა კნეინას:

— შენი აწმყო იცის?

— აწმყოც და წარსულიც. ბავშვობის მძიმე წლებზეც მოვუყევი. შემიცოდა, ლამის ატირდა. ცრემლი ჩუმად მოიწმინდა, დამიყვავა. ნუ დაიღონებ, წმინდა ნინოდ დაბადებულხარ და ასეთადაც მინდა მყავდე გვერდითო. ყველა ჩემი სიმწარე გადავუშალე, ყველაფერი იმას მივაწერე, რომ ჩემს ძმა ვარლამს ჭკუა გადაუბრუნდა და სოციალისტურ ყაიდაზე მოექცა, საშიში ანარქისტი გახდა, ყაჩაღობას რომ უტოლდება. თავის მოძღვრებით არც ღმერთისაა და არც კაცის, ყველას სდევნის, რისხავს და მეც ზედ მაყოლებენ, ერთადერთი ძმა გამაჩნია, მაგრამ ისიც უძიროდ ბერდება. მე რომ არა ვყავდე, ვინ უპატრონებს? მეფე? მისი დაუძინებელი მტერია. რესპუბლიკური სახელმწიფო? საშინელი უარმყოფელია! ხალხი? ბრბოა!.. თავის თავზე მაფიქრალი, სხვისი ჭირის დაუნახავი! არც ის იბერტყავს ყურებს. ვარლამს როგორ შევაცოდო თავი? თავის სიცოცხლესაც არად აგდებს!.. ამიტომ არც მეფე იცავს და სოციალისტური პარტიებიც გაურბიან, მარტო მუქარით და მაუზერის ქნევით საზოგადოებაში როგორ გამოჩნდეს, ჩემს კონცერტებზე ლოჟის ფარდას ეფარება ხოლმე, ერთი ყვავილიც არ უსვრია სცენაზე, ბომბის გადაგდებად მეჩვენება და მეცოდებიო. უცნაური კაცია! ანარქისტი ვარლამის სრული საწინააღმდეგოა ღვთისმოსავი პასტრულინი.

ლიზამ საწოლზე გვერდი იცვალა, ბიძაშვილს სიბრალულით შეხედა და იმის გაღეღილ მკერდს თვალით მიეკრა, — თეთრი ყვავილი, შავი ნაწნავები, საალერსოდ გაშიშვლებული ვნებიანი მკლავებიც თითქოს იხვეწებოდნენ, — ღმერთო, შენ გვიშველე, შეგვიცოდე და შეგვიბრალეო, ისეთი სიყვარული გვარგუნე, რომ ჩავინთქათ და ჩავიღვაროთ, მივენდოთ და მივიჩემოთო.

ნინო წელში ასხლტა, წამოიხარა, იდაყვზე დაეყრდნო, თითქოს

ლიზას კი არა, ვიღაც სხვას, უფრო სანატრელს, მაგრამ მიუკარებელს შესცქერისო და ატიტინდა:

— მაინც ბედნიერი ვარ! რაც მაკლია, ცეკვა მწყალობს! ვიღლები და ესეც მხიბლავს, ოცნებას ვეძლევი და მასვენებს, თავადის ლოცვა მამშვიდებს და მალულ ნდომას მიჭრობს! რაღა მინდა სხვა? დედ-მამა აღარ მყავს, ძმა გამერიყა და სამშობლო ცხრა მთას იქით დამრჩა. საქართველოში ისეთი არეულობაა, რომ შიშით გული მისკდება, თავადობა აუწიოკებიათ, ქართველობა ორად, თუ ათად გაყოფილა, ერთმანეთს დარევიან, მაგრამ ერთმანეთში გასარჩევად ზოგს შავი ჩოხა ჩაუცვამს, ზოგს კი წითელი ხალათის საყელო გაუღეღავს. ყველას თავისუფლება აკერია, თურმე ენაზე, მაგრამ მიწა სისხლით არის გაჟღენთილი. თავადი პასტრულინიც კი შესძრა საქართველოს ბედმა! მითხრა, — მე რომ იქ მამყოფა, მოვუვლიდიო!

როგორ-მეთქი?

ბერად აღვკვეცავდი და ჩემთავადაც წავუძღვებოდი საბედნიერო სამწყსოშიო!

იდეალისტია, უხორცო წმინდა სული, ან წამებულ-გკეძისათვის გაჩენილი ხორციელი.

— მაშ თვითგვემისაკენ მიილტვის? — ამოსხლიტა კნეინას ენამ და ქუთაისის მანიფესტთა დემონსტრაციაზე ნაწამები და ნებეგვი ნუცას მილასლასებული სახე წარმოუდგა, მაშინ რომ იმ ვიღაცა ბეკმინარიელმა მკლავებზე გაწვენილი მიუყვანა შინ. კიდევ კარგი რომ ჩაილურის წყალივით ჩაიარა დრომ! ნუცას მაშინდელი გატაცება მხოლოდ წუთიერი იყო და მეტი არაფერი. კიდევ მეტი დრო გავა, ნუცა თავის შესაფერს შეიყვარებს, მასაც შეუყვარდება ნუცა და ორი წმინდა სული საამცხოვრებო სიამე — ბედნიერებისათვის შეუღლდებიან, არც ჭიშპი იქნება მათ გარშემო და არც მტრული შეცილება! ნინოს ბედი კი ნეტავ როგორ გადაწყდება, ან რას იზამს თავადი პასტრულინი, ამქვეყნიური ბოროტებისადმი პროტესტის ნიშნად რომ მისტიკურ სამყაროში სახლდება. არა, ეს ნინოს არ შეეფერება და ვერც მისი ანარქისტი ძმის ბუნტარული სული შეეგუება!

ბოლოს, კნეინამ ჰკითხა ნინოს:

— შენს ძმას, ვარლამს თუ შეხვედრია თავადი?

— არა.

— არც სურვილი გამოუთქვამს გაეცნო იგი?

— არა!

— ყურადღებას რატომ არ იჩენს შენი ძმისადმი?

— პირიქით, მისი ყოველი ნაბიჯი აინტერესებს, ხიფათისაგან მინდა დავიცვაო! რუსეთის საელჩოს გავლენიანი მოხელის ფარული ყურადღებაც კი სიკეთეს მოუტანს ვარლამს. საიმედო პატრონად უდგას, ალბათ, ჩემი თანაგრძნობის მოსაპოვებლად! ამაში დავრწმუნდი: ვისაც ვარლამთან სიახლოვე ჰქონდა, რუსეთში რომ დაბრუნდნენ მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად, ციხეში მოხვდა ან მოჰკლეს პატიმრობიდან გაქცევის მცდელობისათვის. ვარლამს კი ბუზსაც ვერ უფრენენ. მაგრამ ასეთი მფარველობა ძმისადმი სულაც არ არის ჩემთვის ის, რასაც სიყვარული ჰქვია.

დეიდა დაიღალა მოსმენილით და დაიტანჯა განცდილით, მაინც ამოიჩურჩულა:

— ვარლამი როგორ უდგება მისიანების დაპატიმრებას?

— თავადზე ეჭვობს.

— შენ?

— ცილისწამებაა! ჩემთან სიახლოვეზე ეჭვიანობს. მესმის, — ძმაა! მაგრამ ბოროტება გამოუდის. ესეც მისი ბუნებაა, არავითარი სიკეთე და ქველმოქმედება არა სწამს, ბატონკაცურ ჩვევად თვლის შე კი სხვანაირად ვხსნი: გაგიჟებით ვუყვარვარ, ხელიც მთხოვა, მაგრამ დედ-მამა აღარა მყავს, ვინ დალოცოს? ძმამ?! ახლოსაც არ იკარებს. შენ? შორსა ხარ!.. თანაც, ხომ გითხარი, „ამქვეყნიური ცხოვრებისთვის უმწეო ვარო“, ჩემი მამულების მოვლის სურვილიც დამეკარგა რუსეთში და შენიანს, კნეინა მიქელაძეს რატომ დაუსიძდეო. ამას კიდევ დასძლევდა, მაგრამ ჩემი საბოლოო თანხმობის იმედი არა აქვს; ძმაც ვერ შეურიგდება ბერად აღსაკვეც სიძესო, უუნარო და ღმერთის მოშიშეს შენი გმირი ძმის გვერდითო, რომელსაც მისი პარტია ხელისგულზე ატარებსო. მე, „შენს გარდა, ნამდვილი შემწე ქვეყანაზე სხვა არ მეგულება, არც მეფე, მაღალი ღმერთის გარდაო! ვარლამი კი შორიდანაც უბღვერს, ჩემს დარიგებას არ ისმენს, მეუბნება — საჩვენო არ არისო! ეჭვიანობს-მეთქი! ან რა ძალაუფლება გააჩნია ისეთი, რომ ვინმეს რამე ავნოს. წმინდა დიპლომატია და ჟანდარმერია სძულს! სხვასაც გეტყვი, — როცა ჩემგან შენი ქმრის თანამდებობა გაიგო, გუნება წაუხდა. — მაპატიე, მაგრამ ვერა ყოფილა წმინდა კაცი! მეფის

ადმინისტრაციას შინაური საქმეების მოგვარება რეპრესიების გარეშე გაუძნელდებაო. სხვა საქმეა საგარეო საქმეების გაძღოლა. სახელმწიფოთა მორიგებას ვესწრაფვით და ამით რუსეთის ქვეშევრდომების ბედნიერებასაც ვიცავთო. ასეც არის, რას იტყვი? აკი გითხარი, ბოროტებას ჰგმობს. გაგაცნობ, მოგეწონება. შენც მოეწონები, თუმცა შენი ქმარის მოხელეობა დაიწუნა, მაგრამ ეს გაუკლის, ჩემს რჩევას დაჰყვება. აღტაცებით შეხვდა შენს ჩამოსვლას. სინანული გამოთქვა, რომ მოუცლელობის გამო ვაგზალზე ვერ დაგხვდა, გადაუდებელი საქმე გამიჩნდაო, უცხოელ სტუმარს ვხვდებოდი პარიზის სხვა ვაგზალზეო. ინანა, ღირსეული პატივი ვერ მივაგე თქვენს დეიდასო. ნეტავ მეც მყოლოდა დეიდა, რომელსაც ისეთი დისწულები ეყოლება, როგორც ნინო, თქვენ, და თქვენი ძმა ვარლამი ბრძანდებითო. ჩემი წმინდა, ღვთიური მოლვაწეობა უფრო დაფასდებოდა ცაში ღმერთის მიერ და მიწაზე თქვენითო. ნუცას ნახვაც სურს. ისიც, ალბათ, თქვენსავით, ღვთისმოსაობის განსახიერება იქნებაო.

კნეინა ფიქრით ისევ ქუთაისის დემონსტრაციას გადასწვდა და სმოლნის ინსტიტუტის კურსისტკების ამბებმაც დააფიქრა, ვაითუ ყველაფერი ისე არ წარიმართოს, როგორც ის ღვთისნიერი თავადი წინასწარმეტყველებსო.

მერე უფრო დაქანცულად ამოილუღლუღა:

— გამაცანი, ახლა კი მოვისვენოთ, ნინო.

— ძოგეწონება, არ დამიწუნებ, შუახნისა, უღმერთოდ თვინიერი.

— ძილი ნებისა, ნინო!..

— ღმერთი იყოს ჩვენი შემწე...

— ამინ...

* * *

ნუცა ჩვეულებრივზე ადრე წამოდგა. დედასაც გაეღვიძა, ნინომ ნებივრობა ინება, მოგვიანებით გამოვიდა დარბაზში.

კნეინა თავისი ნათესავის ელენე თარხნიშვილის სანახავად წავიდა. შვილმა, შეუძლოდ ვარო, მოიგონა და შინ დარჩა. ნინოს გულში გაეხარდა, წინაღამეს ნალაპარაკები ახლაც აფორიაქებდა და წუთს არჩევდა, როცა ნუცასაც გაუჩნდება ნინოსთან საუბრის

სურვილი. სულმა სულის მღელვარება იგრძნო და ერთმანეთს გული გაუხსნეს.

— დედამ მითხრა, მაღალი მდგომარეობის თავადი გეტრფის, სხვებიც, მართალია?

— რა გითხრა? ბევრი, მაგრამ ერთი გამორჩეულად. სამსახურის დროის ლამის ნახევარს ჩემთან ახლო ყოფნას ამჯობინებ. დიდებული მოუბარია. სულში ჩამიძვრება ხოლმე, უთქმელს აღარაფერს მიტოვებს. განსაკუთრებით უხარია, როცა საქართველოზე ველაპარაკები. თუმცა რა მაქვს გასახარი. დედაც გიამბობდა ჩვენი ოჯახის ბედზე?!

— შემთხვევა არა ჰქონია.

— არც საინტერესოა! მოსაწყენია. უცრემლოთ ვერც ვიხსენებ...

— ნუ, ჩემო ძვირფასო, ნულარ დარდობ. გაიარა, მორჩა. ახლა მთელი პარიზი ტაშს გიკრავს, განებივრებს, მეტი რაღა გინდა? ბედს რად უჩივი?!.

— ჩემი ბედი, მტერსაც ნუ რგებია, — დაინაღვლა ნინომ.

— დასამდურია?!.

— დასაღონიც. გულისმომკვლელი. ცეკვით ჩემი გატაცება რომ არა, ვერც ვიცოცხლებდი.

— თბილისში ისწავლე?

ნინოს მწარედ გაეღიმა. ბავშვობა ცოცხლად წარმოუდგა, თითქოს სუნთქვა შეეკრა.

— ექვსი წლისამ მამა დავკარგე. მალე დედაც. ძმამ, ვარლამმა, მოსკოვის მეორე კადეტთა კორპუსი დაამთავრა. მამის გზას უნდა გაჰყოლოდა, მაგრამ მეომრობას განუდგა და მშვიდობიან ცხოვრებას მიეტანა, პეტროვსკ-რაზუმოვსკის სასოფლო-სამეურნეო აკადემიაში განაგრძო სწავლა, სამშობლოს მიწა-წყალს აგრონომის თვალი სჭირიაო. თერგდალეულების იდეას გაჰყვა, კადეტთა კორპუსშივე ჩაება განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ვიღაც იშუტინის წრეში! პოლიცია გაუწყრა. კარაკოზოვის თანამოაზრეობა დასწამეს, მეფეს რომ ესროლა და ააცდინა. ის უბედური ჩამოახრჩვეს, ჩემი ძმა კი ორ წელიწადს ციხეში გამოკეტეს. მაინც არ დაიშალა მეფის ურჩობა, ნეჩაევის საქმეზე ოთხი წლით ციმბირს გაუყენეს. გადასახლებიდან გაიქცა. ემიგრაციაში ბაკუნინს დაუახლოვდა და თავგამოდებულ კროპოტკინელად იქცა. მწარე წერი-

ლებს წერდა მეფის მთავრობაზე. როცა საქართველოშიც დაიწყო აჯანყება, სოფელში ჩამოვიდა, მამაპაპეული მიწები გლეხებს აჩუქა, თკითონ კი რუსული გაზეთის „ხლებ ი ვოლიას“ პატრონად დაჯდა. დიდედაჩემმა უსწავლელად დასარჩენად არ გამიმეტა, ურეკში შეაბმევინა და თბილისში წამიყვანა პანსიონში მისაცემად. გზაზე ყაჩაღი გადაგვიდგა: „ბებერო კნეინა, ქისა ამოიღე, თორემ ჯერ ე მაგ ბალღს მოგიკლავ და შენც ზედ დაგაყოლებო“. რა ექნა!

— აჰა, რაც მაბადია, ჩახეთქე, ბავშვი არ შემიშინოო!

კალთის უბიდან ქისა ამოიღო და მიუგდო:

— ჩაცეცხლე, შე პირშავო, შენა!

ყაჩაღმა გადაიხარხარა, გამოსტაცა და მე შემომიბღვირა.

— გეშინია, გოგო?

— მეშინია, ძია!

— მე რომ შენხელა ვიყო, ლეკურს დავუვლიდი! — თოფი მხარზე გაიდო და ტყეს შეეფარა.

— მოაბრუნე ურემი, უფულოდ ვინღა მიიღებს პანსიონში! — უბრძანა მეურმეს დიდედამ და შინისკენ გამოვწიეთ. თავსხმა წამოვიდა. დავსველდი, გავცივდი და ლოგინად ჩავვარდი. ფილტვების ანთებამ ჭლექიც დამმართა. პაპაჩემმა თავისი მიწები გაყიდა, ექიმები დამახვია. წამლად კარგი კვება და სუფთა ჰაერზე ყოფნა გამომიწერეს. ზამთარში გამოღებულ ფანჯარასთან მეძინა, ზაფხულში კი ატმის ჩრდილში გაჰქონდათ ჩემი ტახტი. ის დღეები ახლაც თვალწინ მიდგას.

ხილეულისა და ყვავილის სურნელი მცემდა, სუნთქვა მიადვილდებოდა, ხალისზე და ფერზე მოვედი, ცის სილურჯეს შევცქეროდი და ფრინველების ჟღურტულს შევხაროდი. ვუმზერდი და ვუსმენდი ყვავილებზე დაფრენილ ფუტკრების ფარფატსა და ზუზუნს. ჭრელი პეპლები კაბის კალთებს აფრიალებდნენ, ბუზანკლები ბზუოდნენ, ჭიამაია ხელისგულზე მაცოცდებოდა, თავი ზღაპარში მეგონა.

მერე ნინომ ზღაპარი ცხადადაც დაინახა და სახე გაუბრწყინდა, ისე აენთო, აილეწა, გაიხარა და ცაში აფრენილად იგრძნო თავი, როგორც ახლა, დიდების. სახელის გვირგვინდადგმულს უცხო ადამიანები რომ მოხიბლულნი შეჰყურებენ და ტაშს უკრავენ. მაშინ კი დიდი სცენის მაგიერ სოფლის ორღობიდან უცქერდა და თვითონაც იხიბლებოდა სხვების ხალისიანობით.

— ერთხელაც სიმღერა შემომესმა. სამუშაოდან შინ დაბრუნებული სოფლის გოგო-ბიჭებმა ჩვენი ბაღის ღობესთან ჩამოიარეს, მოიმღეროდნენ, ტაშს უკრავდნენ და ცეკვას აყოლებდნენ:

— „ეს ბიჭი კარგად თამაშობს, თითის წვერებზე დგებაო!“.

ერთი ბიჭი ცეკვავდა, იკლაკნებოდა, იზნიქებოდა, მერე გაიმართებოდა წელში და მკლავებს განი-განშლიდა, თავს ივლებდა, ხელისგულს ხან შიგნით იბრუნებდა, ხან გადმოიტრიალებდა, სიმღერას და ტაშის ხმას უწყობდა და მიწას მტვერს ადენდა, ისე ლამაზად ილიმებოდა, რომ თვითონაც ეამებოდა, სხვებსაც ახარებდა, იცინოდა და იხვეწებოდა, ვიღაცას ეძებდა, ეტანებოდა, ის კი ემალებოდა და ებუტებოდა; „მომყე გოგოს“, იძახდა და სხვებიც აქეზებდნენ. „გაჰყეო!“ გოგო კი თავზე ქოქოლას აყრიდა და ალერსიან „შენ კი გაჰქრის“ აყოლებდა. მერე ის გოგო თვითონაც ვეღარ გაუძალიანდა გულის ძახილს, მკერდის ბაგუნსა და მუხლების ახურებას, სულმა წასძლია და ისიც თვალხუჭულად გადაეშვა ნეტარებაში, ხელით მიუკარებელ გრძნობას ჩაჰყვა და ჩაუქროლა ბიჭს, ხან ერთ მხარეს გადიზნიქა, ხან მეორეს გიდიხარა, სახეში შემოხედვა არ გამიბედოო! ბიჭი კი უფრო აიფოფრა და ახლა სხვებმაც სხვა სიტყვებიც გააყოლეს, — „ამან რომ ფეხი იტკინოს, გოგონას დაბრალდება“.

ნინო ლოგინიდან რაღაც ძალამ წამოაყენა და ხელები მაღლა აჰყარა.

როცა მომღერალ-მოცეკვავენი ბაღის ბოლოში გავიდნენ, იმ დანახული ცეკვის გამეორება სცადა. სუსტად იყო და ლოგინზევე ჩაიკეცა.

იმ ღამეს ტკბილად ეძინა, სიზმარში ცეკვავდა. დილით დიდედამ რძე დაალევინა, თაფლი დედასპურზე წაუცხო, ტახტი ისევ ატმის ჩრდილში დაუდგა და თავზე ხელი გადაუსვა:

— ღმერთია ჩემი შემწე, კარგ ფერზე მეჩვენები, ნინო!..

თვითონაც იგრძნო, მოფერიანდა, ავადმყოფობას წამლად ცეკვა წაადგა და ჯანის მალამოდ რწმენა ჩაესახა, რომ მუნჯური ენით სიმღერა ეთქვა და შემყურეთა ტაშიც აეყოლებინა.

— ორი წლის შემდეგ მეც ისევე ვცეკვავდი და ვმღეროდი, როგორც ის მომღერალ-მოცეკვავენი, მოფარფატე პეპლები და მოზუზუნე ფუტკრები, მაგრამ უფრო ამაღლებულადაც, წარმოვიდგინე ფუტკრების ზუზუნი, კრაზანების ბზუილი, ჭრელი პეპლების

ფრენა და თეთრგულა მერცხლების ცქრიალი, ბუნების მშვენიერება და სიხალისე სიცოცხლის მომნიჭებელ ცეკვად ავაწყე. მერე და მერე კი ისე გავიწაფე, რომ ჩვენს დამგლოვიარებულ სახლს ობლობის ჩრდილი მოვაცილე, სიხარულის სხივიც ვარგუნე. გახარებული ნათესავები მთხოვდნენ — ნინო, ერთხელ კიდევ გვიცეკვეო! მეც ვცეკვავდი, ვმღეროდი, ვჩიკჩიკებდი და სოფელმაც მერცხალა შემარქვა.

მერე ერთმა ბიჭმა მეც შემომხედა სიყვარულის თვალით, ბაღში გადმომიხტა და დამჭყივლა — „ჩემო მერცხალაო!" — პაპაჩემმა თოფი გადმოიღო, ესროლა, ვერ მოარტყა, მაგრამ საზაფხულოდ სოფელში ჩამოსულ გიმნაზიელს კაკარდიანი ქუდი გაუხვრიტა.

ნინოს თავის ბედზე გაეცინა, ნუცა კი დადუმდა.

— სოფელში აღარ დამედგომებოდა. ისევ ურემი შემიბეს და ქალაქს წამიყვანეს. ჩემი ძმა ძველებურად რევოლუციონერობდა, სოფელში არეულობა დაიწყო, თავადებსა და გლეხობას შორის ქიშპმა იძალა. ჩვენი სოფლის გლეხები თბილისში ჩამოვიდნენ და ჩემ ძმას შეეხვეწნენ.

— ბატონიშვილო, შენი ნაჩუქარი მიწა უნდა მოგვყიდო.

ძმა აღარ აუხირდა, ჩალის ფასად მიჰყიდა, თქვენი მოცემული ფული ცოდვად დამეწერებაო. მე კი წყალობად წამადგა. პეტერბურგში ცეკვის მასწავლებელს მივებარე. ძმაც პარიზში წავიდა, მერე ლონდონშიც, ემიგრაციაშია ახლაც. მეფის მთავრობას დაუძინებელ მტრად დაუდგა, ყველანაირ სახელმწიფოებრიობის შემრისხავად აიზიდა და თვითონაც თავი შეირისხა. ერთადერთი, ვინც მას ღვთის კალთას აფარებს, თავადი პასტრულინია, აბა იმის ამაგს რა დამავიწყებს, თუ მეც ღმერთი არ გამიწყრა! — დაიფიცა ნინომ და ნუცამაც მოუწონა.

— კაცის კეთილშობილება ღმერთის წყალობაა!..

ჩაშხამეგული ვახშამი

ღვთისმოსავი პასტრულინი რუსეთის პარიზის საელჩოს თვალსაჩინო მოხელეა კულტისა და კულტურის საკითხებში და საფრანგეთში მცხოვრებ ერთმორწმუნე რუს ქვეშევრდომებს მფარველობს. კეთილი კაცის სახელი აქვს და თანაბრად სწყალობს პარიზ-

ში დროს გასატარებლად ჩასულ თავადაზნაურებს, ვაჭარ-მრეწველებს და სოციალისტ-რევოლუციონერებსაც, რათა ააცილოს ღმერთის წყრომა და ეშმაკის სულის მაცდუნებლობაო, — ასე სჯერა ნინოს.

კეთილ კაცს კნეინა მიქელაძის პარიზში ჩამობრძანების ამბავიც წინასწარ შეეტყო და განსაკუთრებული ყურადღებით მოეკიდა. ამას კნეინის წოდებრივი მდგომარეობა ავალებდა და ქართველი ანარქისტების მეთაურის, თავად ვარლამ ჩერქეზიშვილის ნათესაური სიახლოვეც ხელს უწყობდა.

პარიზში ჩასვლამდე დედა-შვილს არაფერი სმენოდათ თავად პასტრულინის კაიკაცობაზე. ისიც პირად ცხოვრებაზე გულს არავის უხსნიდა, ქველმოქმედებით მფარველობას კი არ აკლებდა, მონარქისტებისა და სოციალისტების ბედი ერთნაირად გულთან ახლო მიჰქონდა და როდი ვისმეს უმხელდა, ვის რამდენად უყვარდა თუ სძულდა. ყველა რუსეთის ქვეშევრდომია და მათ ბედზე ზრუნვა ჩემი ვალიაო. მისი ასეთი ქცევა ზოგს ამშვიდებდა, ზოგს კი აეჭვებდა, განსაკუთრებით ნინოს ძმა, ვარლამ ჩერქეზიშვილი არ უჯერიდა, მაგრამ თავისი დის ჩაგონებას მაინც ანგარიშს უწევდა: „შენი კეთილი მფარველიაო“.

პასტრულინი არ ფარავდა მხოლოდ ერთს — მოცეკვავე ნინო ჩერკეზინით გატაცებას. კავკასიელ აისიადორა დუნკას ეძახდა და მთელი გულით ეტრფოდა. ამას საელჩოს მოხელენიც ხედავდნენ. თავადი პასტრულინი ნინო ჩერკეზინის არცერთ კონცერტს არ აკლდებოდა, თაიგულებს უგზავნიდა და კონცერტის შემდეგ ვახშამსაც უმართავდა მდიდრულ რესტორანში.

ნინოს ნამდვილი გვარიც იცოდა და მისი ძმის, კახელი თავადის ვარლამ ჩერქეზიშვილის დოსიეც ედო სეიფში. იმ მიზნით, რომ მფარველობა გაეწია ამ მეამბოხისათვის და ქრისტეს რჯულზე მოექცია, რა თქმა უნდა, ძმის მოყვარე დის თანაგრძნობის მოსაპოვებლადაც.

ერთ მშვენიერ დღეს კნეინამ საგანგებო კაცის ხელით მორთმეული დალუქული წერილი მიიღო. კონვერტი დინჯად გახსნა და ეამა:

— ნუცა, შვილო! თავადი პასტრულინი დიდ სიხარულს გამოთქვამს, პარიზში ჩვენი ჩამოსვლით და თავაზიანად გვთავაზობს ცალკე ლოჟას ნინოს კონცერტზე, „იმპერიალის“ დარბაზში.

ნუცას თვალები გაუბრწყინდა, დეიდის, ნინოს ცეკვის ნახვა სწყუროდა, თავადის გაცნობაც აინტერესებდა. შუახნის კაცის გატაცება ახალგაზრდა ქალით უჩვეულოდ არ მიაჩნდა, მაგრამ მაინც ცედას ჰკითხა:

— ნინოსაც უყვარს?

— მოსწონს! მისი ერთგულება ავალებს ყურადღებით მოვეპყრას. ამით თურმე ბიძაშენს, ვარლამს, მრავალ ფათერაკს აცილებს. ესეც აახლოვებთ ნინოსა და პასტრულინს ერთი-მეორესთან.

ნუცას სიამაყის გრძნობა მიეძალა:

— მიხარია, დედილო, რომ ჩვენს ნათესაობაში ნინო ესოდენ გამორჩეულია!

კნეინამ წარბები მედიდურად აჰხარა და შვილს გაახსენა:

— სხვებითაც იამაყე. ნათესაობაში მომღერლითაც ვერჩევით.

ეს ნუცამაც იცის. გაევო. ენახა ქუთაისსა და გორში ელენე თარხნიშვილი, გაღარიბებული თავადის იოსებ თარხან-მოურავის ქალიშვილი.

— მშვენიერი ეკატერინე გაბაშვილიც ჩვენი ნათესავია, თარსნიშვილის ქალი.

ნუცას ესეც სმენოდა, მაგრამ ახლა უფრო მეტი დიდებულებით წარმოუდგა ეკატერინეს სახლი გორში, თუმცა ღარიბული, მაგრამ მაინც ქართველ მოღვაწეთა მიმზიდველი კერა. მის განთქმულს სალონში თავს იწონებდა თავისი წკრიალა ხმით ელო თარხნიშვილიც. მერე და მერე ელომ რუსეთის სამეფო კარზე მიღებული მეიდარი ოჯახებიც მოხიბლა. იტალიაშიც გაითქვა სახელი და ახლა პარიზსაც აშშვენებს. მოცეკვავე ნინო ჩერკეზინმაც დიდების გვირგვინი მოიწნა და მოწიწებით დაახრევინა თავი ბრწყინვალე საზოგადოებას.

— რა გასაკვირია, თუ ქართველი აისედორა დუნკანის — ნინო ჩერკეზინის მომხიბვლელობამ ქვრივი თავადიც დაატყვევა?! — გაეღიმა კნეინას, და ნუცას გულს ფიქრმა გაჰკრა, ტიტე წარმოესახა:

„რითია მოხიბლული? ჩემი ცეკვა არ უხილავს და სიმღერა არა სმენია! სიტყვა ლაღად ვერ მითქვამს, საალერსოდ არც ადგილი მქონია და არც დრო დამრჩენია. თვითონაც მემალება, ჩემთან სიახლოვეს გაურბის. თითქოს მე ვიყო პოლიციისაგან შემჩნეული და არა ის, იქნებ ჩვენი ოჯახის სახელის ჩრდილის მოყენებას

უფრთხის? მაგრამ როდემდის იაროს ნიღაბაფარებულმა და მეც გაშლილი ქოლგით მატაროს წვიმაგადაღებულ დარშიც კი. პარიზშიც ჩამომყვა, მაგრამ მე რომ არ მესაზრა, ჩემ კვალსაც დაკარგავდა. კარგია, რომ მისამართი მივეცი, მაგრამ რატომ არ მეხსიანება, ეშინია? რისი, ვისი?! დედაჩემი იცნობს? — როდისმე ხომ უნდა გაიცნოს! ნანახი ჰყავს, მაგრამ აშინებს, — სოციალისტია! არც ის იცის, რომელი ფერის,—წითელი, მწვანე, ყვითელი თუ შავი?! დედაჩემი ფერებად ჰყოფს რევოლუციონერებს, მამაჩემი კი დასებად, პირველი, მეორე, მესამედასელები! ვინ გაუგებთ, რაზე დაობენ, ყველა ახალდროულობის მოთავეობას იჩემებს, მაგრამ ერთმანეთს მაინც ვერ უგებენ. მეფის წყობილებას ებრძვიან, თვითონ კი ზუსტად ვერ დაუდგენიათ, როგორი წყობილება დაამკვიდრონ, — კუდაშეკრეჭილი მეფური, თავდაბრილი გლეხური თუ თავაღერებული პროლეტარული? რას დაადგან თავი და რას გამოაბან კუდი?! ერთხელ მაინც შემახვედრა გულახდილად სალაპარაკოდ, მერე თვითონ მივხვდები, რა როგორ წარვმართო, გრძნობას მივცე გზა, თუ მოკლეზე გადავუქრა. პეტერბურგში პოლიციას ერიდებოდა, პარიზში მაინც დამენახოს, სათქმელი მითხრას, გულში ჩამახედოს და ჩავხედო, მეც ის მაგრძნობინოს, რამაც ნინო ბედნიერებით დაღალა. თუ სნიერ თავადს ჰყოფნის გამძლეობა არ დამალოს სიყვარულის გრძნობა, ახალგაზრდა რევოლუციონერს რა აშინებს?! ისე აღარ იქცევა, როგორც რიონის სადგურზე, ჟანდარმს და პოლიციელს რომ ცხვირწინ გაექცა. ნინოს ვთხოვ თავისი ძმის მფარველის თვალი ტიტესაც მიაპყროს, თუნდაც პარიზში ჩვენი ერთად ყოფნისას მაინც. მგონი, თხოვნას შემისრულებს, მაგრამ ეს ტიტემ არ უნდა იცოდეს, არც დედაჩემმა. შვილზე მზრუნველობა ბოროტებას ჩაადენინებს. ორივეს უნდა ავაცილო უბედურება. პასტრულინის მფარველობით კი სიკეთესა და ბოროტებას მოვარიგებ, კეთილი კაცის მფარველობას ტიტესაც მივაღებინებ და ჩვენი ერთად ყოფნის ბედნიერებას გავიადვილებთ.

* * *

ტიტემაც საწადელს მიაღწია, ლათინურ კვარტალში ქავთარაძის ბინა მონახა და საქართველოს ამბები გააცნო. ილია ჭავჭავაძის მკვლელობაზეც მოუთხრო და ისიც აცნობა, რომ კობა ჯუღაშვილ-

ბა პოლიტიკური კოპისიის შექმნა მოითხოვა ნამდვილ ბოროტ-მოქმედთა კვალის საპოვნელად. მე კი პარიზში ჩამოსულ ნუცას სახლს სამ დღეს ვუტრიალე, არ შევედი, არ დავურეკე, სანამ შენ არ გკითხე.

— ინახულე, მაგრამ ფრთხილად იყავი. მოცეკვავე ნინო ჩერკეზინს ჟანდარმერია მეთვალყურეობს, მისი სახლის კარის შემღებ-გამომღების გვარი უბის წიგნაკში შეაქვს თავად პასტრულინს. მეც ამადევნა ჯაშუში საფრანგეთის პარლამენტის ქანდარაზე ჟორესისა და კლემანსოს ცხარე კამათის დღეს. დიპლომატის ხელშეუხებლობით სარგებლობს, თორემ სილას გავაწნავდი. ჭუჭყიან საქმეებს აწყობს, მაგრამ თვითონაც საშიშ მარყუჟში გაყოფს თავს. დროზე თუ არ გადავუმტვრიე თათები, თვითონ გადაგვიჭრის გზას და საქართველოში იარაღის ჩატანის გეგმაც ჩაგვეშლება.

ტიტე ჩაფიქრდა, ნუცას ნათესავის სახლთან ჟანდარმერიის სიახლოვემ გული ატკინა, მაგრამ ბრაზიც მოჰგვარა. თავზეხელაღებულ ვარლამ ჩერქეზიშვილის შიშიც არა ჰქონია, იმის გვარს ჩრდილს რომ აყენებსო. მაინც დაეჭვდა:

— რა იცი, რომ პასტრულინი ჟანდარმერიის რწმუნებულია?

— ლიტვინოვმა გამიმხილა. შენ ნურას შეეკითხები, ჩემი ნათქვამი იკმარე. საქმითაც დამტკიცდა. ლიტვინოვის ერთგული კაცი, ფრანგი ფოტოგრაფი რუსეთის საელჩოს გასაიდუმლოებული მსახურიცაა. ვალდებულია ყველა რუსი ქვეშევრდომის მიერ მასთან გადაღებული ფოტოგრაფიული სურათის ასლები საელჩოს ჟანდარმერიის რწმუნებულს პასტრულინს გადასცეს. აი, ერთი იმის ცალი, შენცა გქონდეს, იქნებ გამოგადგეს. ახლა ხომ გასაგებია, ვინცა ყოფილა პასტრულინი.

ტიტე აიმრიზა, სისხლი ყელში მოაწვა, მაგრამ თადარიგის დაჭერა არჩია. ჯერ ნუცას ნახავს, მერე გადაწყვეტილებასაც მიიღებს თავად ჩერქეზიშვილის კარიდან მეთვალყურის მოსაცილებლად.

მეორე დილით ნუცას ხმა მიაწვდინა და იმანაც მოკლედ მოუჭრა:

— სანამ დედაჩემი დარბაზში არ შემოსულა, ეს ლაპარაკი უნდა მოვასწრო. ხვალ საღამოს „იმპერიალში“ ვართ, ჩერკეზინის კონცერტზე. მოდი, მინდა გნახო

— მეც!

— ჰოდა, გელი, ნახვამდის.

იმ შეხვედრამდე კიდევ მთელი დღე-ღამე იყო, მარამ ორად ეჭცა ტიტეს. სალაჭოთი კი პარტერში იჯდა, სერგო ქავთარაძესთან ერთად. ლოჟაში კნეინა მიქელაძე და ნუცა შემობრძანდნენ, დარბაისელი მამაკაცი ახლდათ, წარმოსადეგი და ქერაულვაშა.

— ის არის? — ჩასჩურჩულა ტიტემ და სერგომ ლოჟისაკენ გაიხედა.

— საიდან იცი?

— ვაგზლის მოედნიდან სასტუმრომდე ჯაშუში მომაყოლა და თვითონაც შორიახლო მოგვდევდა ეტლით.

— მაშ ორივენი ხელში ვყოლივართ! — ჩაილაპარაკა ქავთარაძემ.

— ვერ მივართვი. მე სხვა მაფიქრებს. ნუცა ჩემკენ იყურება, დედამისიც მამჩნევს, რაღაც გადაუჩურჩულა.

პასტრულინმა დედა-შვილის აღელვება იგრძნო, თავაზიანად დაიხარა და ნუცას გააგონა:

— მგონი, თქვენი თანამემამულენი არიან?!

ნუცას არ ესიამოვნა თავადის ცივი, გამომცდელი ტონი.

— დიახ, რუსეთის ქვეშევრდომები.

— ბრავო, რომ ასე კარგად ანსხვავებთ თანამემამულეთ ქვეშევრდომებისაგან.

კნეინამ ნერვიულობის მოძალება იგრძნო და საუბარში ჩაერია.

— მეც თავს სიამოვნებით ვიგრძნობდი თქვენს საზოგადოებაში მაშინ ეჭვიანობასაც ბოლო მოეღებოდა. ნინო ჩერკეზინის სცენური მომხიბვლელობა ოჯახურ კეთილგანწყობილებასაც წარმოშობს, ხომ ასეა, თავადო?

თავადმა წინდახედულად გამიზნა.

— დიდად დამავალებთ. კნეინა, თუ ვახშმად ყველა თავს მოვიყრით!

კნეინამ შერიგების შემთხვევა ხელიდან არ გაუშვა:

— თუ მასპინძლობას არ დამიწუნებთ, გიწვევთ ყველას ნინოს აპარტამენტში.

— ჯერ აქ ნინოს ფერიული ცეკვით დავტკბეთ.

— დიახ, მერე ოჯახური სიმშვიდ...

თავადმა მოკრძალებით თავი დაუხარა კნეინას, ნუცამ კმაყოფილებით გახედა ტიტეს, სერგომ ცივად შეხედა ფრაკში გამოწყობილ პასტრულინს და ხავერდის მბზინავი ფარდაც აიწია...

როცა ცეკვა დამთავრდა, ტაში ატყდა, სცენა ყვავილებით აივსო, [illegible] „ამოაკისიმო“ წაეკითხა და ხინოც უფრო გალამაზდა, დაღლაც შეეტყოდა, კულისებში შესულმა კნეინამ სურპრიზად ვახშმის მასპინძლობა ამცნო. ნინო ისევ ენერგიით აღივსო, გრიმი მოიცილა, გამოეწყო და ორი მომლოდინე ეტლით შინისკენ გაემართნენ. ერთში სამნი ისხდნენ, მეორეში ყვავილების თაიგულები ეწყო.

ნუცამ კი ფოიეში ტიტე მოძებნა, სერგო გაიცნო და უთხრა, რომ დედამისმა ორივე სტუმრად მიიპატიჟა.

— ჩვენც? — გაიკვირვა ტიტემ.

— თქვენც და თავადიც...

სერგო შეცბა. ტიტეს ელდა ეცა. ვერ გამოეცნო, შეშინდა თუ გაგულისდა? იქნებ ორივე გრძნობა მოერია, და ამის ადვილად ამომცნობმა ნუცამ ორივეს ხელკავი გაუწოდა და სწრაფად გამგზავრება შესთავაზა.

— ვაგვიანებთ!..

ეტლი მოიხმეს და სწორედ მაშინ მიადგნენ ნინოს სახლს, როცა პირველი ორი მეეტლე ცხენებს უკან აბრუნებდა.

კნეინამ დაღლილი ნინო საგარძელში ჩასვა. ნუცა სუფრის გასაშლელად მოიხმო და მდუმარედ მდგარი ტიტეც გაამხნევა.

— ნუ მოიწყენთ, გეთაყვა, ჩვენს ოჯახში ბრძანდებით!

საკვირველი ის იყო, რომ თავადიც ისე იქცეოდა, როგორც იმ ოჯახის წევრს შეეფეროდა. ნინოს აღტაცებული თვალებით შესცქეროდა, ხოლო თვითონ ნინო კი ტიტეს მზერას იჭერდა და არ მალავდა:

— მგონია, რომ სასიამოვნოა ნუცას დიასახლისობის გაცნობა, ხომ არ ვცდები, ტიტე?

— კარგია, რომ თქვენ მას თანაუგრძნობთ. ამას ვხედავთ მეც, ჩემი მეგობარიც.

— ამიერიდან თავადის თანაგრძნობაც გექნებათ, ხომ ასეა, პასტრულინ?

— თქვენს გულთმისნობას ჩემი გულის კარი ღია აქვს.

— დიდად მასიამოვნებთ!

— ჩვენ კი მხოლოდ დაგღალეთ, ისედაც კონცერტით დაქანცული, — მოიბოდიშა ქავთარაძემ და ნინოს ხელზე აკოცა. ცამიწაძესაც ხელი წაცდა. მიგრამ მოიჩვენა, რომ ჯიბეში რევოლვერის ტარს თითი მოუთათუხა, მერე ხელი ამოიღო და თავადის

მიერ აწეულ ბროლის ფუჟერს ვიწრიწელიანი თავისი ბოკალიც მიუწკარუნა.

პასტრულინმა ხოტბა-სადღეგრძელო წარმოთქვა..

— ევროპას და ამერიკას დღეს ორი გამორჩენილი მოცეკვავე ჰყავს, დუნკანი და ჩერკეზინი! რუსეთს კი ერთადერთი, მადმუაზელ ნინო ჩერკეზინი! — და ფუჟერი დაცალა. მეორეც შეავსო და მესამეც მიაყოლა.

— გმადლობთ, ქათინაურისათვის, ჩემო თანამემამულე თავადო! — ღიმილით გაეპასუხა ნინო.

შემთვრალმა პასტრულინმა გამიზნულად გააგონა:

— თქვენებურ, კავკასიელ თანამემამულედ ნუ ჩამთვლით, ევროპიელად მიგულეთ!

ნინოს ღიმილი შეეყინა ტუჩზე.

— რუსეთის შვილობას თაკილობთ, თავადო?!

— ევროპელობა მეამაყება.

— განთავისუფლების იდეით განვითარებულ ევროპულ გზას დაადგა მონარქიული რუსეთიც! — ჩაურთო ტიტემ.

— რასაც თქვენ გულისხმობთ, ჯანყი ჰქვია, ღმერთისა და მეფისაგან განდგომაა!..

— ჩემი ძმის საქციელს არ იწონებს, ალბათ, პასტრულინი, — დაამშვიდა სუფრა ნინომ.

— გულახდილად რომ ვთქვა, კეთილგონიერი მემამულე თავის მიწებს გლეხებს უფასოდ როდი უნდა ურიგებდეს სახელმწიფოს დასაშლელად. ხმალია ჩვენი მფარველი! — გადმოშალა ნაღვინევი გუნება პასტრულინმა.

— რუსეთის სათათბიროს წევრი, თავადი ილია გრიგორიჩ ჭავჭავაძე, სხვას ამბობს — გუთანია მთავარი, ჩვენი მიწის დამამშვენებელი! მფარველი კი ხმალი! — შეესიტყვა შეზარხოშებულ პასტრულინს ტიტე.

— ბიოლოგიური აბსტრაგირებით, შესაძლოა, ასეც იყოს, პოლიტიკით კი სრული ბნელეთია! სახელმწიფოს ყვავილი — დიდებულთა წოდებაა. მისი ამონასუნთქი ამდიდრებს თვით მიწასაც. — გათამამდა პასტრულინი.

— სოციალურ თავხედობას ავლენთ, თავადო! — აენთო ტიტე ცამიწაძე.

— კლასობრივ შეზღუდულობასაც! — ხმადაბლა დაუმატა ქავთარაძემ.

ნინოც გაერკვა და განცვიფრებით შეჰბედა:

— მე მგონია, თქვენ ის არა ხართ, თავადო, რაც იყავით, უფრო ტერორისტსა გევხართ, ვინემ ჩემი ძმაა, სახელმწიფოს ყოველგვარ ფორმაციას რომ ემუქრება და მოსპობას მოითხოვს.

— თქვენს ფეხშიშველა ცეკვას მომხიბვლელობის ძალა გააჩნია, თქვენი ძმის შიშველ ანარქიზმს კი სიცოცხლე არ უწერია. რაც მალე მოიყვანთ ჭკუაზე, მით უკეთესი თქვენი ხელოვნებისათვის და ჩემთვისაც, თქვენი მოტრფიალე დიპლომატისათვის.

ტიტემ პასტრულინს გოროზად შეხედა და თვალით გაბურღა.

— ასე გულახდილად და გამომწვევად რატომ ლაპარაკობთ თავისუფლების მოქადაგე ფრანგთა დედაქალაქში. რაც არ უნდა იყოს, აკრედიტებული რუსეთის საელჩოს დიპლომატი ბრძანდებით!

— ჭეშმარიტ რუსად დაბადება მალაპარაკებს.

— დარწმუნებული ვარ! — ორაზროვნად გაუწვინა კილო ქავთარაძემ.

— დაკვირვების უნარი გქონიათ, ახალგაზრდავ.

— იმის უნარიც რომ ამოვიცნო თუ თქვენ ვინ ბრძანდებით!

— არ მესმის!

— მაშინ მე მკითხეთ.

— რის თქმა გსურთ, კავკასიელო?

— მიცანით?

— თქვენდა სამწუხაროდ, არა!

ტიტე მაგიდიდან წამოდგა.

— თქვენ დიპლომატი არა ბრძანდებით!

— ოჰო! მაშ ვინ გგონივართ? სოციალისტი, თქვენსავით ბუნტის თავი! — ახმაურდა ბახუსს მიცემული თავადი.

— ჟანდარმი! — მიახალა ქავთარაძემ.

თავადი უცებ გამოფხიზლდა, მაგრამ ტიტემ არაფრის თქმა არ აცალა.

— ჯაშუშიც!

— რაებს როშავთ?! — ახლა კი აიმაღლა ხმა პასტრულინმა.

— ხელები მაღლა! — და სკამიდან ფიცხლად წამომხტარმა ტიტემ კეფაზე რევოლვერი მიადო.

— რას სჩადიხართ! რა ხდება, ღმერთო ჩემო, სისხლი არ დაიღვაროს! — აკივლდა ნინო ჩერკეზინი.

თავადმა რევოლვერის ლულის სიგრილე იგრძნო და დაცხრა ქავთარაძემაც რევოლვერი გულზე დაადო და მანდილოსნები დაამშვიდა.

— ღვთის გულისათვის, არ შეაშინოთ, თორემ გაინძრევა და ტიტეს ტყვია აქვე გააციებს! — გააფრთხილა მანდილოსნები ქავთარაძემ.

პასტრულინმა თავი მარყუჟში იგრძნო.

— რას მოითხოვთ ჩემგან?

— საბუთს, რომ ჟანდარმერიის აგენტი ხართ!

— რითი გნებავთ დამიმტკიცოთ? — მწარედ გაეღიმა პასტრულინს.

— ჩემი ფოტოსურათით!

პასტრულინს ფერი ეცვალა. ტიტემ კეფაზე მიბჯენილი რევოლვერი კიდევ უფრო მიაბჯინა და ნუცას სთხოვა.

— თავადს დაეხმარეთ, ამოართვით ჯიბიდან რევოლვერი და უბის წიგნაკი!

ნუცა მონუსხულივით დაემორჩილა, პირველად მოესმა ტიტეს მბრძანებლური ხმა, მუდამ თვალში შემყურე, ახლა ცეცხლის ნაპერწკლებს ყრიდა და ნუცასაც ალმურში ახვევდა. მოკრძალებით თავადს მიუახლოვდა და თვინიერად შეხედა, პატიებას სთხოვდა. თავადს კი ნუცას მოკრძალებულობამ ირონიული ღიმილი მოჰგვარა და თავაზიანად ამოხდა:

— დაემორჩილეთ მოძალადეს, მადმუაზელ!..

ნუცამ აკანკალებული ხელი ჯიბეში ჩაუყო, შეცივნული თითებით „ბრაუნინგი“ ამოაცურა, მერე ტიტეს დაბრიალებულ თვალებს შეხედა, რევოლვერმიშვერილ ქავთარაძესაც გახედა და როცა ორივემ ანიშნეს, იჩქარეო, უბის წიგნაკიც ამოართვა და მაგიდაზე დააგდო.

ყველამ ამოისუნთქა. ტიტემ რევოლვერი დაუშვა, ქავთარაძე მაგიდას მიუჯდა და თავადიც თავაზიანად მიიწვია:

— დაბრძანდით!

გულშემოყრილ კნეინასთანაც ბოდიში მოიხადა და ნინოსაც პატიება სთხოვა.

ცამიწაძემ კი უბის წიგნაკი გახსნა და ხუთიოდ ფოტოსურათში

ერი ისეთიც ნახა, რომელზედაც ქავთარაძე და ტიტე ცამიწაძე ილიმებოდნენ.

თავადი დუმდა. საუბარი ტიტემ განაახლა, მაგრამ უფრო მშვიდი და დაბალი ხმით. ვინემ, როცა პასტრულინი ყელყელა ფუჟეროით ნინოს პირველ სადღეგრძელოს ხმამაღლა წარმოთქვამდა.

— შევეშვათ სალონურ საუბარს, პირობა დავდოთ!

— რა პირობაა? — დაიკნავლა პასტრულინმა.

— ჯერ ოქროს ძეწკვი მოიხსენით!

— ეს უკვე ავაზაკობაა, გაქურდვა! — ისევ გათამამდა მიკერავებული თავადი.

— ძეწკვს დაგიბრუნებთ! — თვითონ მისწვდა, ოქროს ძეწკვს რკინის გასაღები მოხსნა და ჯიბეში ჩაიდო.

— ჩვენი პირობა მოკლე და დაურღვეველია! ამ წამიდან ჩვენს დევნაზე ხელს აიღებთ, თქვენი სეიფი კი გაუხსნელი დარჩება იმ დრომდე, სანამ შინ მშვიდობით დაგბრუნდებით! თუ ვალდებულებთ მომხდარ ამბავს, მადმუაზელ ჩერკეზინის თანაგრძნობას დაკარგავთ, ჟანდარმერიაში მუშაობასაც გამოემშვიდობეთ და ქართველ ექსისტებსაც ცოცხალი ვერ წაუხვალთ.

პასტრულინი უსმენს და ვერ გარკვეულა, — ასე როგორ გაება?..

ნინო სიბრალულით უყურებს და ზიზღი ერევა. კნეინა მიქელაძე განცვიფრებით შესცქერის და ტიტეს გაბედულებით თავბრუ ეხვევა. ნუცას სიამაყის გრძნობა გულში ვეღარ ეტევა, შეკრებილთა შორის ტიტე მიაჩნია ნამდვილ რაინდად და თანაგრძნობის გაწევა სწადია, სიხარულის ხმამაღლა გამოთქმა სწყურია.

პასტრულინი გონს მოვიდა, ნინო ჩერკეზინის ძველებური მოწყალების თვალით შეხედა და დაბალი ხმით ამოღერღა:

— იმედს არ ვკარგავ, სეიფის გასაღებს თქვენ დამიბრუნებთ, მადმუაზელ!

დიასახლისი სდუმს. ცამიწაძის მაგივრად როგორ უპასუხოს! თვალი ტიტეს მიაპყრო და ყუჩედ ჰკითხა:

— შეგიძლიათ შეასრულოთ პირობა, ტიტე?

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ. როგორც კი პეტერბურგიდან დეპეშას მიიღებთ, იმავე დღეს მოგართმევენ სეიფის გასაღებს შინ, არტისტულ საფარეშოში ანდა შეკვეთილი საფოსტო

ბანდეროლით. თავადს ძბოლოდ ორი კვირის მოთმინება დასჭირდება.

ტიტემ ფუქერები შამპანიურით ააავსო და გამოსამშვიდობებელი სადღეგრძელო წარმოთქვა.

— მშვიდობას გისურვებთ, თავადო!..

— თქვენც, კავკასიელო ყაჩაღებო! — გაღიზიანებული ხმით წარმოთქვა დიპლომატის მანტიაჩამოხსნილმა ჟანდარმმა.

— ქართველო რევოლუციონერებო-თქო! — გაუსწორა ტიტემ.

— ეგრე მაშინ გეტყვით, როცა კიდევ შეგხვდებით, მაგრამ ასე სულელურად როდი მოვიქცევი!

— უკეთესი შეხვედრის იმედი გაქვთ?!

— რა თქმა უნდა!..

— დაგიცდით, თქვენო ალმატებულებავ!

— ცხოვრება კიბეა! — გული გაიკეთა პასტრულინმა.

ტიტე და სერგო წამოდგნენ, მანდილოსნებს თავი დაუკრეს და დარბაზის კარი გაიხურეს.

მაგიდიდან არავინ ადგა.

მერე ნუცა წამოდგა, თვითონაც კარი გაიხურა და ტიტეს ჩასჩურჩულა:

— მარტო არ დამტოვო, მეშინია! ხვალ ნინო რომში მიდის, კონცერტი აქვს. დედაც მიჰყვება. მე თავი არ მაქვს! დაგელოდები.

ტიტე მორჩილად დაჰყვა.

— სამ დღეში მეც მითავდება აქ დარჩენის დრო. საქართველოში ვბრუნდები. შევხვდეთ სადმე.

შეხვდნენ...

* * *

ტიტე პირველი ქართველი ბოლშევიკი-რევოლუციონერია, რომელმაც ჯვარი დაიწერა პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში, მშობლების დალოცვის მიუღებლად.

ხელისმომკიდეებად სერგო ქავთარაძე და ელენე თარხნიშვილი წაყვნენ. საქორწინო სუფრა მაქსიმ ლიტვინოვმა გაუწყო პატარა კაფეში. საქორწინო სურათი კი ისევ იმ ნაცნობ ფოტოგრაფთან გადაიღეს, რომელიც, ჩვეულების მიხედვით, ათ ცალს ჩააბარებს რუსეთის პარიზის საელჩოს კულტისა და კულტურის საკითხების

მფარველ ატაშეს. პასტრულინს კი საიდუმლო სეიფის გასაღები აღარ აქვს და, დროებით, საწერი მაგიდის უჯრაში ჩააწყობს, რომ ეს თარსი დღე აღარ გაახსენდეს.

სიყვარულის ჩურჩული

ტიტემ ნუცას შეაფარა თავი, რაკი ნინო ჩერკეზინის სახლს ჟანდარმერია მფარველობდა და ჯაშუშები აღარ უტორღიალებდნენ. პასტრულინის პირობით, მისი დევნა შეწყდებოდა და ისიც სიტყვას არ გატეხდა. როგორ შეიძლება! — ერთი თავადიშვილია, ოფიცრის სიტყვის პატრონი, მეორე — რევოლუციონერი და თავის ნათქვამის დამცველი! მათი პირობიდან მხოლოდ ერთი კვირა გავიდა და დღეის სწორს პასტრულინიც სეიფის გასაღებს მიიღებს. ამ დროისათვის ნინო ჩერკეზინიც დაბრუნდება საგასტროლო მოგზაურობიდან და დაპირებას შეასრულებს! მერე ყველაფერი ისე წავა, როგორც მეფის ჟანდარმერიის პარიზის განყოფილების უფროსს პასტრულინს გულში დაუჩემებია — „ცხოვრება კიბეაო!“

ტიტემაც ის ერთი კვირა უქმად არ გაატარა, მოსაგვარებელი მოაგვარა. ხუთი დღის წინ საქართველოში წასული ქავთარაძის დეპეშაც მიიღო: „ბათუმში მზიანი დარია, წამლები კი მაკლია, მომაშველე, თორემ მკურნალობა გამირთულდება“.

ცამიწაძემ ის წამლები უკვე შეაფუთვინა, მაგრამ სიფრთხილეს, რომ თავი არ სტკენოდა, თვითონაც თავი საიმედოდ შეინიღბა, დემოკრატიული სასტუმრო „ეიფელი“ დატოვა და ეჰვმიუტანელ ჩერკეზინის აპარტამენტში გადასახლდა. მთელი კვირა დავალებული საქმის შესრულებაში გალია და სასიყვარულო ტრფიალს თავისი ხარკი გადაუხადა.

ნუცასთან ერთად ყოფნის ბოლო ღამეა. ნებიერად ჩურჩულებდნენ, იმ დიდ დარბაზში იწვნენ, სადაც ტელეფონი იდგა, მაგრამ ზარის ხმაზე ნუცა აპარატს არ ეკარებოდა. ტიტე გვერდით ჰყავდა და სხვისი ხმის გაგონება სულაც არ სურდა; როცა გადაბმული ზარი იყო, ნუცა მარდად იღებდა ყურმილს, რომ რომიდან, ვენეციიდან, მილანიდან დედის მოკითხვის ხმა გაეგო და ნინოს გასტროლების წარმატების ამბავით კიდევ ერთხელ გახარებულიყო.

ნუცაც კმაყოფილებით პასუხობდა დედის აღტაცებას, მაგრამ

სევდის კილოც ეპარებოდა, დედასთან საუბრისას ხმა უწყდებოდა, რაკი მთავარს უმალავდა — პარიზის ღვთისმშობლის ტაძარში დედამამის დაულოცავად ნუცამ გვირგვინი დაიდგა და რა ელოდა ამისათვის, ვერც წარმოედგინა.

ამან ძალიან დააღონა ნუცა, ისევ ლოგინგაშლილ ტახტზე რბილად მოიკეცა და ფიქრს მიეცა, მუხლები ნებივრულად შეიწყვიტა, ჩამოქნილ წვივებს ღამის პერანგის მოქარგული კალთა მორცხვად წააფარა, მაგრამ უნებურად გულმკერდი გაეღღა და მკვრივი კოკრები უფრო ვნებიანად გადმოჰყარა. ტიტე იმ გადმოღვრილ ნეტარებას მიეტანა და ნუცაც ათრთოლდა, ტუჩი ტუჩს აკრა, თვალები მინაბა, სუნთქვას მიაყურა და სევდამ გადაუარა. მისი დაშორება აშინებს. ნაპირგარღვეული ტრფიალი სძალავს, მუდამ გვერდით ყოლას ნატრობს, ტიტეს კი სხვა გატაცება, სხვა საქმე ეძახის, ჯიუტად იხმობს თავისკენ.

„როგორ შევათავსო?.. ტანჯვა ნეტარებას შევარიგო?.. ბრძოლის სიმკაცრე სიყვარულის სათნოებას შევაჩვიო?!“.

„ — ვერ ჰგუობენ ერთმანეთს?!“ — შეეკითხა ნუცა.

— ვერა!.. ბრძოლა მოითხოვს, რომ სიცოცხლე მას შესწირო, ეს ღვთაებრივი ალთქმაა! სიყვარული კი თავისას იჩემებს — ყოველ განშორების ჟამს მას მიჰყვება ხოლმე, შიშისა და ნატვრის უსასრულო გრძნობაა, ორთა ერთ არსებად მიძინება და ერთმანეთად გაღვიძება, რომელიმეს სიკვდილი — ორივეს სიცოცხლის დასასრული! უცნაურობაა, მაგრამ ბუნებრივ ლტოლვებს ასე დაუწესებია, დაუწერელი კანონია და ვერც ჩვენ წაუვალთ! ან ერთნი ვიქნებით ორივენი, ან არც ერთი ჩვენგანი! ამაშია ჩემი შენდამი სიყვარულის სიდიადეც და საშინელებაც!

ნუცას სიყვარულის ჩურჩული ეყურება, მაგრამ აზრი როდი ესმის, გაბრუებულა, მთელი ტანით მის ბუტბუტში ჩალეკილა და საშინელი დასასრულის დასაწყისს თვითონაც ფიქრით ეხიზნება და ემიჯნება. ცდილობს მასზე აღარ იფიქროს.

ტიტემ კი მწვანე ღრუბლიანი თვალები ცისნაფენი ალერსით აუვსო, ისევ დაუხუჭა, სევდას საკინძი გაუხსნა, გაუღიმა, გააღიმა და ნუცას საშორისო შიშს თავისი სიახლოვის იმედი შეუფინა, თვითონაც დაკუნთული ლოყით მიეცხო, იმის ეჭვს საკუთარი თავდაჯერება შეუნაცვლა, გაღეღილი მკერდი ნაზად მიიზიდა და ისევ სანეტაროდ დაეღვარა.

ნუცა თვალებაპყრობილი ანგელოზივით ისმენს ტიტეს გახელებულ ჩურჩულს, მღვიმეში იძირება, სანთელსავით წვეთ-წვეთად ილევა და უკვირს რომ აზრად ვეღარ ჩამოუსხავს ამაფორიაქებელი ვარძხობა. მისი ალერსის ენა სიტყვად ვერ უქცევია, გულის ალმუოის ამოქრობას ლამობს, მაგრამ ვერ ერევა და გონიც დამუნჯებია. ტიტეს ბედი აშინებს, საამჟამო თავგანწირვა აფიქრებს და სამომავლო ფათერაკიანობას მისანივით ჰვრეტს, ეჭვნეულად აკვირდება. მაგრამ მაინც ვერ გაუგია, ასე რა აოგნებს?

მართლაცდა, რა ემართება? იქნებ ტიტე დროების მონაქროლს აუტაცია, ერთობის კაცობით თავს ირთობს და ახლა ნუცას გართობაც სწადია? ბრძოლა თამაშობად გაუხდია და სითამამე ასპარეზად უქცევია?!

ხვდება ნუცა, მაგრამ სიტყვით მაინც ვერ გამოუთქვამს. ვერც ტიტეს ეკითხება, ვაი თუ გული ატკინოს და თავი დააძრახვინოს, მიამიტი შიშით გული აუყაროს და ათქმევინოს — „რა სულმოკლე ყოფილაო!“ არადა, ტანითაც გრძნობს ტიტე, აზრის სიმტკიცეს, მოქმედების სიჯიქეს, იმასაც, რომ ტიტე სხვებს არა ჰგავს. — არც ერთ იმათგანს. ქუთაისში ნუცას მამის ოჯახში რომ სუფრას შემომსხდარნი თავთავიანთ პოლიტიკურ შეხედულებებს აფრქვევდნენ, გაბედული სიტყვა-პასუხით ერთმანეთს ერჩოლებოდნენ, მალულ-ფარული გამოხედვით მანდილოსნებსაც თავს აწონებდნენ და ისინიც აზრის აუწონავად თავს უქნევდნენ, უღიმოდნენ, მრავალმნიშვნელოვნად სწყალობდნენ.

სხვა მრავალ გასართობსაც ჰყვებოდნენ დიდი ქალბატონის მოსახიბლად, სალონური მასლაათით ართობდნენ, გრძლად ან მოკლედ უყვებოდნენ მავანმა თავადმა რამდენი წააგო ბანქოში ანდა ვისი დაგირავებული მამული გადავიდა უცხოელ მევახშეთა ხელში დროზე გამოუსყიდველობითო!..

სოციალისტურ პარტიებში ატეხილ ამბებსაც არ მალავდნენ. ყოველ ასეთ მოსაყოლს ნუცას ეშხიანი და გავლენიანი დედის გასართობად იგონებდნენ, მეხსიერებას ძალას ატანდნენ და ლოტოს სათამაშო ქისიდანაც ამოჰქონდათ კნეინას საამებლად; „ეს ხელიც თქვენ მოგვიდათ“.

ქალბატონი ჩერკეზოვა-მიქელაძეც ნებიერად გაუღიმებს პეწიან მამულიშვილებს და ერთითლა ამშვიდებს; ლოტოსა თუ ბანქოს თამაში კოპისა და ტუზის მოსვლაზეაო! ცხოვრება კი მაცდურ თა-

მაშზეა აწყობილიო, ვისაც ბანქოში ბედი სწყალობს, სიყვარულში ხელი მოეცრებაო! თუმცა, შესაძლოა, პოლიტიკამი ხელი მოემართოს, თუ ღმერთმა და მეფემ მოწყალება მოიღოო. ნუცა კი დაიფაროს უფალმა ასეთი ბედისაგანო.

ბედისწერის ზურგშექცევა ყველას აფიქრებს, ოჯახის დიასახლისსაც და სტუმარ ახალთაობასაც, წარჩინებული გვარის შვილებსაც, ევროპიდან განსწავლულებად დაბრუნებულ ღარიბ აზნაურებს შესაფერი სამსახური რომ ვერ ეშოვათ და მოუწყობლობის საზღაურად წყობილების საწინააღმდეგო თამამსა და მაგარ-მაგარ საყვედურებსაც ისროდნენ ხოლმე, მასპინძლის გულუხვ სადილ-ვახშამს მოდური წასოციალისტობითაც კაზმავდნენ და ამითაც ცალდებოდნენ ნუცასა და მისი ტოლი, ეპარქიული სასწავლებლის კურსდამთავრებულ „ბარიშნებში“.

მათი სითამამე შეუმჩნეველსა ხდიდა პრანჭია — რევოლუციონერთა უნებისყოფობას, მერყეობას, მიზნის გამოუკვეთლობას და ცქრიალა კურსისტკებიც იხიბლებოდნენ!.. მომხიბვლელი ახალთაობის ყმაწვილები კი უკიდურეს უარყოფამდე იხრებოდნენ. „ბარიშნებიც“ თავიანთი ალერსის დასაფარად პირსახეს რომანტიკის გამქვირვალე ვუალს აფარებდნენ და ამ ადამიანებს „ლამაზ სოციალისტებს“ უწოდებდნენ.

მამლაყინწა მამრებიც სიამოვნებით იფერებდნენ სოციალისტ-რევოლუციონერის, სოციალისტ-ფედერალისტის, სოციალისტ-სინდიკალისტის, სოციალისტ-დემოკრატის, ნაციონალ-დემოკრატის სახელს და უფრო მარჯვედ გამოსათქმელად — „ესერის“, „ფედერალისტის“, „ანარქისტის“, „მენშევიკის“, „ლიბერალის“ ნიღაბ-ფსევდონიმს ირგებდნენ. ხმააწეულად მიმართავდნენ დროებას, მეფის ტახტიდან ჩამომგდები, ძველი წყობილების დამნგრევნი ვართო!

თუმცა ახლის აშენების ერთი პირი არა ჰქონდათ! ადამის ძის ხვედრის აქიმობას პირდებოდნენ ქვეყანას, მაგრამ საქონლის ბეითლადაც არ ვარგოდნენ!

ერთმანეთის აზრს უარყოფდნენ, მტრობდნენ, წყალში ფაცერს უგებდნენ, ნაპირზე ორმოს უთხრიდნენ და თავიანთ თავსაც მშრალზე ტოვებდნენ!

ბოლშევიკებს სულაც არა ცხობდნენ, შიშველ ინტერნაციონა-

ლისტებად ნათლავდნენ და ემბაზში ნიჰილიზმის მირონს ურევ-დნენ.

ღოლბაც ისე სწირავდა, როგორც კურთხეულ მის უდიდებულესობას ენება, და პარტიების მჭევრმეტყველებასაც წირვა აერია, ერთმანეთს დაერივნენ და თავი დაიძაბუნეს! კიდევ კარგი, რომ მეშათა კლასს საკუთარი სადარდელი მაინც დარჩენოდა — პური და სანახაობა. ამას კი ბოლშევიკები იპირებოდნენ, მაგრამ ნუცას ოჯახის სალონს ეს მოწოდება არაფრად არ ადგებოდა...

სოციალისტური თმავარცხნილობა ლაზათიანად ფარავდა იდეურ ულაზათობასა თუ ბუნტარულ უკმეხობას და ესეც რომანტიკულ გატაცებად ეჭცათ კურსისტკებს, ეპარქიული სასწავლებლის ფრთებგაუშლელ ჩიტუნიებს. „ჩინოვნიკის“ ცოლობა ხომ არაფრად უღირდათ, ღვთისმსახურთა მეუღლე — „ფოფოდიობა“ სულაც მომძაძველად აღონებდათ. რევოლუციონერთა ტრფიალი კი ახარებდათ, ეამაყებოდათ, ენატრებოდათ, თავბრუს ასხამდათ და მოდურ ფლირტს სიყვარულის ტოლად იჩნევდნენ, ცხოვრების შეუცნობ უმანკო გულზე იხატავდნენ.

მომხიბვლელი ახალთაობის გვერდით შეჭაღარავებულებსაც იწონებდნენ და ისინიც თავს იმშვენებდნენ დროების ფეხის ამყოლობით, ერთმანეთს ეთავაზიანებოდნენ, ფიქრით კი ეამპარტავნებოდნენ! სახეზე ლიბერალობის იერს ირგებდნენ, რწმენას საეშმაკოდ იზოგავდნენ, მოსაჩვენებლად ღვთისმოსავობის იერს იღებდნენ, მაგრამ გულში ერთმანეთის საქირდავს ჩუმად ინახავდნენ.

ნუცა ქუთაისიდანაც იცნობდა ასეთ საზოგადოებას და პეტერბურგშიც ტრიალებდა იმათ წრეში. რუსუდან მიქელაძის სახლის კარიც ღია იყო და ისინიც ენაწყლიანობდნენ, საზოგადოებრივ კონფლიქტებს გასართობად იხდიდნენ, საკუთარ თავთან გულახდილობდნენ და კონსტიტუციურ ყაიდაზე სხვაფერდებოდნენ, მონარქიას თავს უხრიდნენ, მაგრამ იქითკენაც გადიხრებოდნენ ხოლმე, საიდანაც რევოლუციურობის ქარი უბერავდა. პოლიტიკაში ორჭოფობის გამამართლებელი არგუმენტი მუდამ მზადა ჰქონდათ, — ოპორტუნიზმს რეალიზმს არქმევდნენ, ფლიდობას კი დიპლომატიას უწოდებდნენ.

მათდა საბედნიეროდ სახელმწიფოს ვითარება იმდენად დახლართული იყო, რომ ვერც იმ ატმოსფეროს შემქმნელნი და ვერც შემცნობნი ცხოვრებით კონფლიქტებში გარკვევას ვერ ახერხებ-

დნენ. მენშევიზმს, ესერიზმს, ფედერალიზმს, ანარქიზმს, ლიბერალიზმს მოდურ მოსოციალისტო ჭულეტელა წამოსასხამად ირგებდნენ და ლამაზმანებს ასეთი რევოლუციონური გარეგნობითაც ხიბლავდნენ.

ერთი იყო მათთვის გამოუცნობი, — რატომ და როგორ ჩუებოდა, რომ ყოველი მათი პოლიტიკური წამოდუდღუნება მეფის გოროზ ადმინისტრაციას აღიზიანებდა და ქოჩრიან მოსოციალისტეთაც ბოლშევიკებთან ერთად თავს უხოტრავდნენ?!

მერე რა, რომ ასეც ხდებოდა. ხელისუფლება საჯაროდ ფლიდობდა და მისი მორჩილად შემყურე არისტოკრატიაც ფლიდობითვე პასუხობდა!..

ნუცას ოჯახის ახლობლობაც ასეთნაირადვე იქცეოდა, ხოლო რაკი ყოველივე ამდაგვარს დიდგვაროვნობაც ურიგდებოდა, მდაბიონი რაღას დაგიდევდნენ, ისინიც თავს იკატუნებდნენ და გრძელდებოდა ჭაობში ჭყაპუნი, ფესვს იდგამდა სოციალური მედიდურება, წოდებრივი კუდაბზიკობა, პოლიტიკური ცანცარი და ბატონკაცური ტრაბახი, საქართველოსათვის თავდადების ფუჭი სადღეგრძელოები, მაგრამ ქართველების ერთმანეთისაგან გათიშვა, მეფის სამსახურში ჩადგომისა თუ თავგამოჩენისათვის ჭაპანწყვეტა და ეროვნული ენერგიის იმაზე ხარჯვა, რასაც მატერიალური ნაყოფი არ მოჰქონდა, ფქვილის ნაცვლად ქატო იფქვოდა, სულიერ რწმენას კი ჰყინავდა, თოშავდა და სთიშავდა.

— თამაშობაა ეს! — ამოიდუდუნა ნუცამ და ტიტეს თვალებში ჩახედა.

— თამაში გართობაა, ნუცა!

— ვიცი, ჭარბი ენერგიის გაცლა! — ტუჩაბუზვით გამოხატა ნუცამ თავისივე მისნობით გამოცნობილი ეჭვი.

— ცოტა ეგეცაა, ჩემო ჭკვიანო გოგონავ, მაგრამ ამ „ცოტათი" ვერ დაიწყურებ დაგუბებულ ბრძოლის ჟინს!..

— ნაგუბარის დაცლასაც თამაშობა ჰქვია, ბავშვობიდან მახსოვს.

— მაშინ ასე იყო, დავიზარდენით და შესადარიც შეიცვალა! ადამიანის გრძნობა დასაჩუტი ბუშტი როდია. მიზან-მისწრაფებამ წარმოშვა და მაცოცხლებელ მრწამსად გვიქცია.

— ყოველი თამაში, ხანგრძლივი თუ მოკლე, მიზნის დასასრუ-

ლიკაა, ასე მგონია მე! — და ნუცამ საალერსოდ თუ სათამაშოდ ტიტეს თმაში გრძელი და თხელი თითები შემალა.

ტიტე დაფიქრდა. სათამაშო განწყობით დიად მიზანს ვერ წარმოქმნის, ცოდვილ ქვეყანას ვერას უშველის, უკუღმართობას ვერ შეცვლის. სიკეთის მომწევი გარჯაც უნდა შეეძლოს კაცს, თუ მაინდამაც ადამისძის გამხარებლად გაუწირავს საკუთარი თავი და სხვებიც წაუყოლებია.

— თამაშობაც სიცოცხლის პირობაა, უფრო ამაღლებულად რომ ვთქვა — მშვენიერების ხელოვნებაა, მეტი არაფერი!

ტიტემ მშვენიერების შესაცნობად გონების თვალით შორს გაიხედა. მიუწვდომელ, ხელში მოუგდებ ამაღლებულობის ამბრის, იერისა და ფერის დანახვა სცადა, მაგრამ მისი აღწერა ვერ შეძლო და მიუწვდომელი იდეალის საძებნელად ისევ მიწაზე დაეშვა:

— ხელოვნება თამაშობა როდია! შემოქმედებითი წვაა, მაშასადამე, წინააღმდეგობის დაძლევაც, ბრძოლა! ზოგჯერ მარცხიც!.. დამარცხების შემთხვევაში შემოქმედს ისევ იმას მოსთხოვენ, რის გაკეთებაც ვერ შეძლო! ხოლო თუ მერეც აუცდა ხელი, აუკანკალდა გული და გაუცივდა სული, — სიკვდილსაც უმარჯვნია, ნუცა, გეხაცვალე!

— ვერა, ვერ დამაჯერე, ტიტე! ჩვენი წლოვანებისათვის ყოველგვარი თამაში ზეიმია. სიხარული, სიზანტის გალევა, ისეთი ზეიმეულობა, რაც გააალისებს და გალაღებს, მაგრამ გღლის კიდეც განცდილი სიამით! მერე ისევ გინდება ენერგიის მოკრება, ჟინის დაგროვება. რომ თვითონვე გაგრძნობინოს, მიგახვედროს, მოგთხოვოს. როდის და რა ძალით გამართო ხელახალი, ისეთივე დამღლელი, დამცლელი თამაშობა-გართობა! განა სწორს არ ვამბობ, ჩემო ლამაზო რევოლუციონერო?

ცამიწაძე ჩაფიქრდა. წინათ მისი ცხოვრება, თავად რომ თავგანწირვას არქმევს, მართლაც თამაშია და მეტი არაფერი, უსარგებლო ამონაფრქვევია, კვალსაც რომ არ დატოვებს?! ფუჭი გარჯაა. არავის რომ არ არგებს და მისი მრწამსის მომხრეთა მიერაც კი დაუფასებელი დარჩება?!

არა, ასეთ ფიქრს ტიტე გზას არ მისცემს, ვერც ამგვარ რჩევას გაჰყვება, თუნდაც ყველაზე სათაყვანო არსება აგონებდეს, ახსენებდეს და მაცდუნებელი ჩურჩულით ტიტეს ბრძოლის ნაკვალევს

პირუკეულმა ფარცხავდეს. ალმა ანიავებდეს და ალმა სათამაშო ჩასარბენ ბილიკად იხდიდეს.

— ჰოო, ნუცა. ჩვენს წლოვანებაში იდეათა ჭიდილიც თამაშობად გვეზმანება. ცუდი როდია, ხალხის ნებისყოფას ბადებს. მძიმე სავალს გვიადვილებს, მაგრამ უნაყოფო არაა, ფშუტი როდია. ფუჭად არ გვატარებს. მე კი, თუ იმ დრომდე სიცოცხლე მივატანე, თმა რომ გამითეთრდება და, შენი თქმისა არ იყოს, ჭარბად დაგუბებული ბრძოლის ენერგია შემომელევა, მაშინ ალბათ საზრიანობა წამადგება, წამომეშველება, რომ უფრო მოზომილად ვიმოქმედო, ერთი ბეწვა წინდაუხედაობაც არ გამოვიჩინო და ამით შენც გათქმევინო — „ტიტე ძველებურად ალარ თამაშობს!" — თუ ეს აგიხდება, შეგიძლია ჩემს დღევანდელ ჭაბუკურ, რევოლუციურ თამაშას სხვა სახელიც შეარქვა, გინდაც ამამაღლებელი ხელოვნების ფართიფურთად მონათლო! მაგრამ იცოდე, მაინც არაფერი შეიცვლება! სიჭაბუკის ჭარბი ენერგიის დაცლას სიჭარმაგეში მოძალებული სიბრძნის გამონათება შეენაცვლება! საქმეს კი ისევ ბრძოლა ერქმევა, მიზანსა და მრწამსს მეგზურად წაუძღვება.

ნუცამ თვალები მიბნიდა, ფიქრით დროის შორეთში გაფრინდა. ხეტა რა ძალამ მისცა ნორჩი გულის გოგონას წინასწარმეტყველური წარმომსახველობის უნარი; თვალხუჭულაც იმას ხედავს, რასაც მხოლოდ სიბერეში იგრძნობს, ახლა კი აინუნშიაც არ იგდებს.

მერე ნუცამ გულში ინანა, რომ თავისი მისნობით დააღონა ტიტე, ანაზდეულად გაანდო ეჭვნარევი ფიქრები და ნაადრევად დაადუმა. მოფერება სცადა, მაგრამ ისევ შეგონებად ექცა.

— მიგიხვდი, ტიტე ხვაშიადს, აგსრულებიყოს წადილი! მაგრამ თავადაც მისვდი ჩემი სულის ღელვას — დღევანდელი შენი რევოლუციური თავგანწირვა და შორეული სოციალიზმისაკენ მიზანსწრაფვა, ტანისა და გონების ვარჯიშ-თამაშობაა, ორივე გატკბობს და გახალისებს! სიამოვნებით გატაცება კი ღვთისმოსაობა როდია. გულითადი მისწრაფების გახსნაა-მეთქი, რამაც, შესაძლოა, შენი თავიც შეიწიროს, შენი მოიმედენიც არ დაზოგოს, გეგონოს კი, რომ არგე!

ტიტემ ნუცას მზერა აისხლიტა, ამოსაცნობს დააკვირდა და ამოცნობილმა გააკვირვა.

— შენ რა იცი, რომ უნაყოფოდ დავისრულებ სიცოცხლეს?! გულთმისანი ხარ? იქნებ პირიქითაც მოხდეს, დღეს შენს მიერ და-

ჭუნებულმა „თამაშამ“ ხვალ ან ოდესმე დამონებული ადამიანების აზრის განთავისუფლება ივალოს და მაშინ ისღა დაგრჩება, რომ ჩემი რწმენის აბუჩად აგდებისათვის ღმერთს შენდობა სთხოვო!

ნუცამ უნებლიედ გადაიკისკისა და ბალიში იღლიაში მოიგდო, მწვანე თვალები ჭერში აჰყარა და მღელვარება ბროლის ჭაღს მზერად შეაფინა, გვერდზე ახაზდეულად გაწეულ ტიტეს მოეხვია და თავისკენ მიიწია.

— მაშინ ღმერთად გიგულებ!

— ღმერთად ვერ ვიქცევი! თუ წამება მიწერია, შენგან მინდა ვიყო შენდობილი. სხვებისთვის კი სიცოცხლის დამცველად დავრჩები, თუმცა თავკერძობად მითვლი და გათამამებული თამაშის გრძნობად მიქციე! — მიუსაყვედურა ტიტემ და ისევ გვერდზე გაიწია, თვითონაც ბალიში თავქვეშ შეიკეცა და ჭერაპყრობილ ნუცას მზერას თვალი ააყოლა.

— თუ ეგრე მოხდება, — ახლავე გთხოვ მონანიებას, — ამოიდუდუნა ნუცას ტუჩებმა და ტიტეც დაადუმა.

მაგრამ ვაი თუ იმ დაბინდულ მომავალს გამთოშმა ქარიშხალმა წამოუქროლოს, ტიტეს სიცოცხლეს მზაკვრად მიეპაროს? ნუცაც შეარხიოს, შეაციოს, თმები აუწეწოს და გული დაუწიწკნოს?!

ნუცა მაინც თავის ღმერთს ირჩევს! თვალხუჭულად მიჰყვება და მოუსმენლად დაჰყვება ტიტეს მრწამსის სიმტკიცეს, მაგრამ რატომ არის, რომ თვალები დახუჭა?!

ო, ო! ქალი გულთმისანია... ტიტე შიშის ფიქრს მიუხვდა, ნუცაც გააგულადა:

— სიკვდილი არ მაშინებს, მაგრამ სიცოცხლის გამგრძელებელ მემკვიდრედ ნაშიერიც მყავდეს მინდა.

— ჰაა! ვინა?! — დასცდა ნუცას ბაგესაც.

— შვილი...

ნუცამ სიამით დაიმორცხვა და კითხვა აიფარა.

— განა თანამოაზრენი მემკვიდრენი არ არიან?

ტიტე ჩაფიქრდა, ეჭვნეულს შეეჭიდა:

— დღეს თანამოაზრეა, ხვალ ვაითუ მოწინააღმდეგედაც მექცეს! დროებას იმიტომ უჩივიან, რომ დღენიადაგ იცვლება, მერყეობს და ბორგავს! საიმედო მემკვიდრე კი ჯიშის ამონაყარია. თანამოაზრენი ახლაც მძიმედ მომყვებიან, რაღა იქნება მერე? ჩიჩიხი

და ჩაგონება მიხდება, თითქოს მათ სასიკეთოს გავურბოდე. ჩემსას ვაძალებდე!

— მრწამსით ერთნი ხართ, ერთი იდეის მიმდევარხი. რაღა შეგაცვლევინებთ აზრსა და გეზს? — გაიკვირვა ნუცამ და ტიტეს ჩაფიქრებულ თვალებს ჩახედა, ამოუთქმელის ამოცნობას ლამობს და ამოსათქმელს უღიმის.

— რა თქმა უნდა, ერთი იდეისა და ერთი ფერისანი ვართ, მაგრამ ესეც დროების ფერუმარილია. კაცს გულში რა უმწიფს ან კანს როდის შეიცვლის — მომავლის გამოსაცნობია.

— ბუდე ერთი გიდგათ, სავალი გზა უცხო რატომ გაგიჩნდებათ?

— კრუხს ოცი კვერცხიც რომ შეუწყო, ზოგს თეთრად გამოჩეკავს, ზოგს კი ჭრელად. ყველა წიწილა ერთ ხმაზე აწივწივდება, მერე კი, ვარიკა აკაკანდება, მამლაყინწა ამოიხრინწინებს და ერთი ბუდით გამონაჩეკი მეორეს აეძიძგილება, ჩაუნისკარტებს კიდეც! ასეთია მათი ბუნება. მაგრამ თუ ქორი აფრინდა აწივწივებული და აკრიახებული ტკარცალით ისე უმალ შეფრთხიალდებიან ჯაგებში, რომ „ძიბა-ძიბას“ დაძახებასაც ვეღარ მოასწრებ.

— უმწეონი ხდებიან!

— ჰო, ადამიანებს ემსგავსებიან, შიში აფრთხობთ და თავგადარჩენის ინსტინქტს ემორჩილებიან, გულის თქმას მიჰყვებიან და ვინ სად შეჰყოფს თავს, რას გაუგებ?! ასე დაემართებათ, ალბათ, ჩემ ახლანდელ თანამოაზრეთაც. ჩემი სისხლისა კი ჩემივე ჯიშს გაჰყვება, უცხოს ძნელად მიუდგება. მე რომ ქვეყანაზე ალარ ვიქნები, ჩემეულ რწმენასა და ცოდვას ჩემი შთამომავალი განავრცობს. მოსაშორებელს მოიცილებს, დასატოვს დაიცავს. ესეც კანონია ბუნების.

— ამაზე ახლა რა გაფიქრებს, ტიტე? სიცოცხლეს რად იმძიმებ, რად იმწარებ?! ანდა რატომ გგონია, რომ ეგრე მოხდება, როგორც ქარგავ!

— იმიტომ, რომ ასე ყოფილა და იქნება!..

— გამოდის, რომ სიცოცხლე ერთხელ გატკეპნილი გზაა? მიხვეულგადასასვლელი ხევ-ხუვები არ ახლავს?!

ტიტემ ისევ თავის წინათგრძნობას დაუჯერა:

— ჩემი ჭკუისა და გეზის გამგრძნობი მყავდეს მინდა, ნააზრისა და ნამოქმედარის მემკვიდრე!.. სანანებელი რატომ გავიხადო?!.

— ვაითუ უფრო ინანო, საკუთარი ცხოვრების დამტუქსველიც გაზარდო?! — დაიეჭვა ნუცამ.

— ეგეც ბედისწერა იქნება. ჩემივე გენისა თუ ჯილაგის ყივილი!

მერე გონის თვალით საქართველოს გახედა და წიწამურის ეკლებიან გზაზე დაქცეულმა სისხლმა შესძრა, შეატოკა, ამრიზა და დაანალვლა.

— ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა იმ დიდი საგურამოელის სიცოცხლე, ძე — შვილი რომ ჰყოლოდა?!

ნუცამ ეჭვნეულად ამოხედა:

— ვითომ ერთი შვილი დაიფარავდა დღევანდელი მრავალი უკეთური შვილის ავი თვალისაგან? ბევრს ხალხის მფარველადაც მოაქვს თავი.

— მფარველი მამა-პაპას არ ერჩის, ლოცავს, წინაპართა ნახნავნათესს უკულმართად როდი ფარცხავს. ილია ჭავჭავაძემ ყველა იშვილა, საკუთარი კი ერთიც არა ჰყავდა.

— რა მისი ბრალია, ღმერთმა არ ინება!..

— არც არა დაკარგა, ყველას მამად დარჩა.

— უფალიც ძუნწია! ერთხელ იცის ხოლმე სიკეთის გამეტება, ხალხის გაბედნიერება ბრძენ-კაცის მოვლენით. ერსა სცდის! მომდევნო თაობამ სასაუკუნოდ უნდა ინანოს წინაპრის ცოდვიანობა! შემდეგ კი ჯვარცმულსაც მკვდრეთით აღადგენს და წინ წაუმძღვარებს ახალ დროებას! მჯერა შემწენიც დაიბადებიან და დამსჯელნიც დაიზრდებიან. ჭავჭავაძის მკვლელი ერთი კაცი როდია, მთელი გუნდი და დასია, დროების აზროვნების ნაბიჭვარი! მაგრამ შემსრულებელი კაენი მაინც ვერ გამოგვიცნია.

ნუცას მწარე ღიმილი გადაუცურდა ტკბილად მოუბარ ტუჩზე:

— შენ კი ამბობ, მგოსანს შვილი მრავლად დარჩაო, ერი იშვილაო...

— გულს ნუ გაიტეხ, ნუცა. დღეს თუ ვერა, ხვალ მაინც ამოვაძვრენთ კაენს სოროდან.

ნუცამ ტიტე ახლო მიიწია და ჩასჩურჩულა:

— დედაჩემმა გამანდო; „მამაშენმა იცის, ვისი ხელიც ურევია მგოსნის მკვლელობაშიო“.

ტიტემ თვითონაც იცის, მთელი საქართველო ზეზეურად დაეძებს და აქ, ტახტზე ნებიერად წამოწოლილმა, ახალი რა უნდა

გაიგოს. რას ეტყვის? თუმცა ნუცას მამა ქუთაისის ქალაქის თავია და თავკაცობის ნალაპარაკევი გაგონილი ექნება, ჟანდარმერიის საქმიანობასთანაც ხელი მიუწვდება და მართალს თუ არა, ჭორად შეფერილ სიმართლის წვერს თითზე მაინც დაიხვევდა.

— ვისი ხელიო, ალარ იტყვი?! — აფორიაქდა ტიტე.

ნუცა ტიტეს სულწასულობამ შეაფიქრიანა და ჭორ-მართალში გახლართულმა თავი ვეღარ დაიძვრინა:

— იმისი, ვინც ხატზე იფიცება, მაგრამ პოლიტიკანობით სული ეშმაკს მიჰყიდაო, ზღვა მელანი დააშრო იმის ძაგებაშიო. დაუსრულებელი ტარტარით იმერეთ-ამერეთი აატორღიალა და მომწამლავი ნაწერითა და ნათქვამით წააქეზა მკვლელი მთავრობაო...

ეს ტიტესაც გაეგონა და ახალ ამბად არ ეჩვენა. ნუცამ კი ტიტეს ხელი მკერდიდან მოიცილა და გულში ჩაუწველა:

— მამაჩემმა მეც გამანდო, მაგრამ ტუჩზეც ხელი დამაფარა! კობა ჯუღაშვილმა სოციალ-დემოკრატიულ პარტიას მოსთხოვა ილიას მკვლელობის გამოძიების კომისიის შექმნა. თეთრი და შავი იმან გამოაჩინოსო! ჟანდარმერიას კი დაუცაცხანებია, — ეგ ვისი ტიკი-ტომარააო?! ერთმანეთში მოქიშპე და მგოსნის დიდების მოშურნე პოლიტიკური პარტიებიც უმძრახად შეხვედრიან კობას მოთხოვნას. რა ჩვენი საქმეა სისხლის სამართლის საქმის გამოძიებაში ჩარევაო! მთავრობა იმისაა, თავად ითავოსო! ითავა კიდეცო. გამოძიება არ დაუმთავრებიათ, მაგრამ მკვლელობის ბევრი მონაწილე ამოუწყვეტიათ! ერთ-ერთი მოთავე დიმიტრი ჯაში კი ციხეში შეუფარებიათ დროებითო...

ტიტემ ხელი ჩაიქნია: ავაზაკობის გზა-კვალს ფარცხავენ, ასე აწყობთ!.. კიდევ დიდხანს გვალოდინებენო.

— ლოდინს ბოლო არ მოეღება, თუ მეფის წყობილება დედაბუდიანად არ ამოვაგდეთ! ისე მკვლელების მოთავეებს სოროებიდან ვერ გამოვათრევთ სახრჩობელაზე ასათრევად და ზნეობრივადაც წასაწყმედათ!

— ამის ცდაში უფრო გაგვიტყდება სახელი, სისხლიც მეტი დაიღვრება, — დაინაღვლა ნუცამ.

— ისე სიმართლეს ვერ დავადგენთ და სამართალსაც ვერ დავამყარებთ! ამიტომ ვთქვი, ძე-შვილი მინდა მყავდეს-მეთქი, ჩემს მოუსწრებს მოესწროს და მეც გამაგონოს იმქვეყნიურში — „ავკაცობას გადავუხადეთ!“ — ილია-მართალი მკვდრეთით აღდგაო!..

— გვეყოლება კი ამ ძალის ძე?! — ფიქრი ღრუბლად შეადედა ნუცამ და შორით მგლოვიარე საქართველოს დაჰფინა.

— რა გვიშლის?!

— შენი ბედი, ტიტე! ციხე-გადასახლებები გიწერია...

— ციხეც სემინარიაა! ნაოცნებარ სორბონის უნივერსიტეტის ტოლია... იმისი კარი ერთხელაც ვერ შევაღე. საპატიმროს ალაყაფი კი სამჯერ გამოვიკეტე. მეათედაც გამოვიხურავ სამართალის ძებნა-ძიებაში!..

— ასე ფიქრობ, ტიტე?!

— ცხადად ვხედავ.

— ამინ, კეთილად აგვხდომოდეს, სიყვარულის შიშის ჩურჩული!..

გეგის კაპიტანი

ქართველების შეკვეთა მეფაბრიკესაგან ტიტე ცამიწაძემ ჩაიბარა, მაგრამ ყასიდად შემკვეთად დაიყენეს ბულგარელი სოვდაგარი ტიუფიკჩევი, რომელსაც სანდო რეპუტაცია ჰქონდა ევროპის სამხედრო სამინისტროებში და, რა თქმა უნდა, თვით ბულგარეთშიც. ეს კი ბევრს ნიშნავდა. სატრანზიტო სამხედრო ტვირთის გადაზიდვას მრავალი ფორმალობის შესრულება სჭირდებოდა, თვით დენთის ანალიზის გაკეთებაც, გზად გატარების უფლება ყოველი სახელმწიფოს საბაჟოში, და თუ არა დიდი ნაცნობობის მქონე ტიუფიკჩევი, ისე ძნელი იქნებოდა საქმის წარმატებით დაგვირგვინება, გაჭირვებით შეკვეთილი იარაღის რუსეთში გადაზიდვა.

ტიტე ორი სხვა კაცის ტოლა შემძლე იყო და ბულგარელი სოვდაგრისა და ლიტვინოვის მარჯვენა ხელად იქცა. იგი საიდუმლო, ქარაგმული დეპეშით ხან საქართველოს უკავშირდებოდა, ხან კი თურქეთს, რომლის მიწაზე საგანგებო საგუშაგოები მოეწყოთ, იქაური რევოლუციონერების შემწეობით მოსახერხებელი ადგილები შეერჩიათ ბათუმის, ფოთის და ნოვოროსიისკის სანაპიროებზე სამხედრო ტვირთის გემიდან გადასაზიდად.

მაქსიმ ლიტვინოვმა იზრუნა, რომ ნავსადგურ ფუშეში პატარა გემი „ზარია“ დაექირავებინა, რომელსაც მხოლოდ ათასი ფუთის წაღება შეეძლო, მაგრამ მეპატრონემ ოცი ათასი ფრანკი

გადაახდევინა. ცამიწაძე კი ეკიპაჟის შესადგენად დატრიალდა, შაჟი ზღვის სანაპიროს მიგდებული ნავსადგურები მოიარა და სანდო ეკიპაჟი შეიგულა. კაპიტნად რევოლუციური ამბოხების მონაწილე სემიონოვი შეარჩია, რომელიც წინდაწინვე გააცნო ქავთარაძემ და ტიტეს გადასცა, — „ვენდობიო".

ბუდუ მდივანი უკვე საქართველოში იყო, სერგოც ოდესით ბათუმში ჩავიდა, ცამიწაძის მიერ შეპირებული ლაზი მენავეების მოთავე კონტრაბანდისტი ასლანი მოძებნა და გაურიგდა. ლაპარაკი მოკლე იყო:

— ბულგარეთის ნავსადგურ ვარნადან იარაღით დატვირთული გემი ღამით ნაპირს მოადგება. ტვირთი ნავებში უნდა გადაზიდოს.

— შეიძლება! — ძუნწად მოჭრა ასლანმა.

— სანდო ადგილს უნდა გადატვირთო!

— იქნება!

— მეფის მესაზღვრეები კატარღებით დარაჯობენ მთელ სანაპიროს.

— ვიცი!

— გჯერა წარმატების?

— გატყობ, თავად არა გჯერა.

— ასე რომ იყოს, ამდენს რას გემასლაათებოდი! — იწყინა ქავთარაძემ.

— მასლაათში კაცის გულის სიმტკიცე იცნობა.

— შენიც!

— ეს ალაჰსა ჰკითხე.

— კაცს?

— რასაც ასლანი ვერ გააკეთებს, კაცი ვერას გახდება.

— ალაჰიც?!.

— ალაჰის ძალა ზღვაზე არა ბატონობს, შაითანია პატრონობ.

— შენ ალაჰის მოციქული მგონიხარ!

— იფიქრე, ვითომც „ზარია" მაჯაზე მიბია, კლდიანი ნაპირის ყოველი უბე ვიცი, ბუჩქნარიც. მესაზღვრეები ვერ მომაგნებენ. თუ მომიხელეს, ალაჰს შემავედრე, — დაიკვეხნა ასლანმა.

— თავსა სწირავ? — გამომცდელი კილოთი შეეკითხა სერგო.

— სამას თუმანზე ვახურდავებ! — არ დაუმალა მაზანდა ასლანმა.

— რა პირობით?

— ნახევარი დატვირთვის წინ, დანარჩენიც ნაპირზე გადასხმისას!..

შეთანხმდნენ.

ნარვიდან გემს დაელოდნენ. დღე და ღამე ზღვას გაჰყურებდნენ. გემი არა ჩანდა.

სტამბოლიდან იტყობინებოდნენ: დარდანელი არ გამოუვლიაო.

ქავთარაძემ ტიტეს დეპეშა გაუგზავნა: „ნუცას ავადმყოფი მამის გემით გამოსვლა მაცნობე!“.

რუმინეთიდან ტიტეს სამგლოვიარო დეპეშა მიიღო:

„ნუცას ავადმყოფმა მამამ ღელვა ვერ გადაიტანა, განისვენა. გადაეცი ოჯახს ჩემი თანაგრძნობა“.

სერგომ და ბუდუმ ერთმანეთს გაოგნებით შეჰხედეს.

„რა უნდა დამართოდა ისეთ ჯანმრთელ კაცს?!“

• • •

გემ „ზარიას“ კაპიტანი სემიონოვი ჰპირდებოდა, შავ ზღვას დანიშნულ დროში გადაცურავდა, მაგრამ ვარნადან გამოსვლისთანავე დიდი ღელვა ატყდა. შტორმმა ნაფოტივით აისროლა „ზარია“. ძველმა ქვაბმა ვეღარ გაუძლო, სამანქანო ნაწილში წყალი შევარდა, გემი გადაიზნიქა, ტალღამ ჩრდილოეთისკენ გაიტაცა. ოცი საათი იტივტივა, რუმინეთის სამხედრო კატარღამაც თვალი მოჰკრა. მეზღვაურები ნაპირზე გადაიყვანეს, გემი საზღვაო უწყებამ მიიტაცა და თოფ-იარაღიც ნადავლად მიითვალეს.

ბულგარელმა სოვდაგარმა ტიუფაკჩევმა სარჩელი წარუდგინა რუმინეთის სამხედრო სამინისტროს. — „ჩემი საკუთრებაა“, „მაკედონიის განმათავისუფლებელი კომიტეტის მისამართით გავაგზავნე, მაგრამ შტორმმა რუმინეთის ნაპირზე გარიყაო“:

— თქვენც ხომ თანაუგრძნობთ პატარა მაკედონიას?! — თავს აბრალებდა რუსეთის მონარქიის მოძულე ბულგარელი რუმინელ სამხედრო მოხელეებს.

დაუჯერეს, გემზე მყოფი ქართველი ცამიწაძე აკვირვებდათ.

— რუსეთის ქვეშევრდომია, მაშასადამე, მაკედონელთა თანამგრძნობი?

— რა თქმა უნდა. გემის კოკიც, — გაიმაგრა მოგონილი ვერსია ბულგარელმა სოვდაგარმა და ტიტეს ხელი დაადო.

— თავადი და გემის კოკი?! სიდაური ახირებაა, — ეჭვი შეიტანა რუმინეთის ოხრანკის აგენტმა.

— ყოველი ქართველი თავადი ახირებულია. მართლაც, რა მისი საქმეა გემის მზარეულობა. მაგრამ ასე იციან თავნება კნიაზებმა!..

— უცნაურია! —

— ნურას უკაცრავად! რაა საუცნაურო. თავადი ვარ, არცა ვმალავ, მაკედონელთა დასახმარებლად კოკის სახელს შევეფარე. სხვაგვარად ბულგარეთში რუსეთის ჟანდარმერია ცხვირსაც არ გამაყოფინებდა! — თავი იმართლა თავადმა — კოკმა.

რუმინელებმა ცამიწაძე გაათავისუფლეს, მაგრამ ტიუფიკჩევი ცარიელზე დასვეს. სამხედრო ტვირთი ჩვენს ტერიტორიულ წყლებში დავიჭირეთ და ხმა არ ამოგეღებაო.

დავა დიდხანს გაგრძელდა. ტიტე საქართველოში დაბრუნდა. ქავთარაძესა და ბუდუ მდივანს „ნუცას ჯანმრთელი მამის მოულოდნელი გარდაცვალების ამბავი“ წვრილად უამბო.

ბულგარელი სოვდაგარიც, მოულოდნელად გარდაიცვალა ვარნაში და მასთან ერთად იარაღის დაპრუნების იმედიც სამუდამოდ გაქრა.

* * *

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა.

1918 წელი დადგა. ჩრდილოეთ კავკასიაში სამოქალაქო ომი გაჩაღდა.

დენიკინის არმია ამიერკავკასიას ემუქრებოდა. საქართველოს სამხრეთიდან თურქეთი აშინებდა. შიგ თბილისში კი ბოლშევიკები აწუხებდნენ. ბევრი აღარ იფიქრეს და ვისაც მისწვდნენ მეტეხში ჩაკეტეს. ზოგმა მაინც მოასწრო გაქცევა. ჩრდილოეთ კავკასიას შეაფარა თავი.

ფილიპე მახარაძემ მღვდლის ანაფორით, სომეხ პოეტ აკოფ აკოფიანთან ერთად, როკის უღელტეხილით კავკავს ჩააღწია. ქავთარაძე ვლადიკავკაზის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს. ტიტე ცამიწაძე გვერდში ედგა, რევოლუციურ რაზმებს მეთაურობდა. ნუცაც თან ახლდა, პატარა ტატო ცამიწაძით.

აგვისტო დადგა. კავკავში, ყოფილ კადეტთა კორპუსის შენობაში, თერგის ოლქის ხალხთა ყრილობა გაიხსნა. ფილიპეს, სერგოსა და ტიტეს ყველა ცნობდა. განსაკუთრებით ქავთარაძეს უთვალთვალებდნენ თეთრგვარდიელები, დენიკინისა და ბიჩერახოვის რაზმელები. ვერ ითმენდნენ ქართველი აზნაურის, პოლკოვნიკის შვილის გაბოლშევიკებას, თანაც თერგის ოლქში კავკასიის სამხარეო კომიტეტის რწმუნებებით რომ თავკაცობდა. ქავთარაძის ყოველ ნაბიჯზე ხაფანგი ელოდა.

იმ ღამესაც თეთრგვარდიელი ბიჩერახოველები თავს დაესხნენ კავკავს, თითქმის მთლიანად დაიკავეს ქალაქი.

მუშათა დეპუტატების საბჭოს შენობა მთავარ ქუჩაზე, ალექსანდრეს ბულვარზე იდგა

ცამიწაძის რაზმელებმა ძალღონე მოიკრიბეს და ბიჩერახოველები ცენტრიდან გარეკეს, მაგრამ რევოლუციონერთა შტაბი მაინც ბრძოლის შუაგულში მოექცა.

ტიტემ მდგომარეობა შეიფასა, პირველ ყოვლისა, ფილიპე მახარაძისა და სერგო ქავთარაძის სიცოცხლე უნდა დაეცვა. სერგომ კი ფილიპეს ნახვა აიხირა.

ბნელოდა. ქავთარაძე ფარულად მივიდა მახარაძესთან. მთელი ღამე საუბარში გალიეს. მათი სახლის სახურავზე ზუზუნი გაჰქონდათ ყუმბარებს. ერთმანეთს უშენდხენ ცამიწაძის რაზმელები და თეთრგვარდიელები, სადგურიდან კი ბოლშევიკების ჯავშნოსანი ურტყაჰდა.

გათენდა. სერგო ფილიპეს გამოემშვიდობა, შტაბში კედელ-კედელ დაბრუნება სცადა. ერთი სახლის ეზოს კარიდან ახალგაზრდა კაცი გამოვიდა, სერგო იცნო:

— ხეიფეცია ჩემი გვარი. მემარცხენე ესერი ვარ!.. — დამადასტურებელი ქაღალდი აჩვენა.

მცირე მანძილი ერთად გაიარეს. პატარა შესახვევს მიადგნენ. ქუჩის მოპირდაპირე მხარეს შეიარაღებული კაცების ჯგუფი იდგა, ფაფახიანები, ზოგიც თეთრი ქეჩის ქუდებში. დრო და დრო გაისმოდა სროლის ხმა, მაგრამ მაინც შეიძლებოდა ერთი კუთხიდან მეორეში თავდახრილად გადარბენა.

— მე პირველი წავალ. თქვენ მერე მომყევით, ამხანაგო თავმჯდომარევ! — ითხოვა ახალგაზრდამ.

დაიხარა და უვნებლად გადაირბინა ქუჩა, მერე ქავთარაძეს

გამოხედა, მარცხენა ხელი აუწია, მარჯვენათი კი შეიარაღებულ კაცებსაც ის ქალალდი აჩვენა, მაგრამ პასუხად მაუზერი დაახალეს.

სერგოსაკენ გამოწვდილი ხელი მოწყდა და მოკვეთილად დაეცა ხეიფეცი: თეთრგვარდიელებს ჩაუვარდა ხელში უნებლიედ გულ-მინდობილი მებრძოლი.

სერგო შეტრიალდა, ეზო-ეზო სხვა ქუჩებში გავიდა. გაახსენდა, რომ მიტნიკის საავადმყოფოს ახლოს მისი ამხანაგი — გრიგოლ ლომინაძე ცხოვრობდა. პეტერბურგის უნივერსიტეტში ერთად სწავლობდნენ, ახლა კი საქართველოს კოოპერაციის წარმომადგენ-ლად მუშაობდა ვლადიკავკაზში.

სერგომ კარზე დაუკაკუნა.

რამდენიმე წამის შემდეგ ფაჩუნი მოესმა. კარს უკან მდუმარედ მდგომმა კაცმა ყრუდ იკითხა:

— ვინა ხარ?

— მე ვარ, გრიშა, სერგო ქავთარაძე, გამიღე, ნუ გეშინია.

კარი გაიღო. მასპინძელი გაფითრებული შეჰყურებდა ყოფილ თანაკურსელს.

— რამ მოგიყვანა, კაცო? — და მასპინძელი სასადილო ოთახში შეუძღვა.

— ფიქრი ნუ გაქვს, არავინ მომდევს, ვერავინ დამინახა. თუ მაინც რამე მოხდა, სთქვი, რომ იარაღით დაგემუქრე და ძალით შემოვიჭერი, შენს ცოდოს არ დავიდებ. თითონ ოჯახთან გადი, მე აქ ჩამოვჯდები, სანამ რამეს მოვისაზრებ, სხვა გამოსავალი არ მქონდა და არცა მაქვს.

ქუჩებში სროლა გრძელდებოდა.

სერგო დაძაბული ფიქრობდა, გარეთ გასვლა არ შეიძლებოდა. მაგრამ აქაც თავს დაესხმოდნენ, საშიშროება ელოდა.

დააკაკუნეს.

— ვინა ხარ? — იკითხა შეშინებულმა ლომინაძემ.

კარის ჭუჭრუტანაში სიკვდილი იჭყიტებოდა.

— გააღე!..

კაზაკი ოფიცერი შემოვარდა:

— ქავთარაძე დავინახე!

— არ შემოსულა.

— ნუ მატყუებ, სახეზე ვიცანი. თერგის ოლქის ხალხთა ყრი-ლობას თავმჯდომარეობდა.

მერე უხმოდ გავიდა.

სერგო მიხვდა, განსაცდელის წუთი მოახლოვდა.

ისევ კარის ბრახუნი გაისმა.

სერგომ რევოლვერი მოზიდა.

— ქავთარაძე აქ არის?

— ვარ!..

ხუთი შეიარაღებული შემოვარდა.

— გამოდი! — შეუყვირა მეზღვაურისფორმიანმა.

— მშვიდობით, გრიშა!

— ლაპარაკი არ იყოს, წინ წადი!

წავიდა.

მეზღვაური უკან გაჰყვა მიშვერილი მაუზერით.

„თავში მიმიზნებს!“ — მიხვდა სერგო.

მეზღვაურმა მხარზე ხელი დაჰკრა.

სერგო ტყვიანასროლივით შეხტა.

— ვერ მიცანი?

— ვერა...

— მე კი დიდი ხანია გიცნობთ. თქვენ კი ვერ მიცანით. ცუდია, ძაან ცუდი!

— ვინა ხართ, რა გინდათ ჩემგან?

— მე იმ გემის კაპიტანი ვარ, თქვენი იარაღი რომ მომქონდა ვარნიდან, 1906 წელს.

ქავთარაძე გაოცდა.

— მაშინ რევოლუციას ეხმარებოდით, ახლა ხვრეტავთ!

— აბა რას ამბობთ! თქვენს გადასარჩენად მოვედი.

რამდენიმე ნაბიჯის შემდეგ ბადრაგს მიუბრუნდა.

— ამას მე წავიყვან. თქვენ უკან დაბრუნდით! — უბრძანა მეზღვაურისფორმიანმა და უცნობ კაცთან მიიყვანა. მერე თითონაც დაეწია.

უცნობი კაცი სერგოს მიუტრიალდა.

— აქაური მცხოვრები ვარ, ვექილი დავით სხირტლაძე. ქალაქში ძარცვა-გლეჯაა, ადამიანებს ხვრეტენ. ტიტემ თავდაცვის რაზმი შეგვიდგინა. ჩემთან წამოდით, დაგმალავთ.

შინ წაიყვანა. ცოლი და შვილები მზრუნველად შეხვდნენ, ტიტეს ცოლშვილიც შეეხიზნა.

ჩამოჯდა, ჩათვლიმა.

რამდენიმე ხნის შემდეგ ვიღაც შემოვიდა. გამოეღვიძა.

— ვერა მცნობ? — გაკვირვებით იკითხა ნაცნობმა ხმამ. მაგრამ თვალით უხილავმა.

სერგოს წინ ფილიპე მახარაძე იდგა, გრძელი წვერი შეეკრიჭა, თმაც შეეჭრა.

— აქ როგორ მოხვდი, ფილიპე? — გაკვირვებით შეეკითხა სერგო.

— ვიღაც მეზღვაური მომადგა, ძალით წამომიყვანა.

— მეც!

— არ დავუჯერებდი, ვიფიქრე გზაში მომკლავდა, ტიტე ცამიწაძემ მიბრძანაო. დავმშვიდდი.

— გადავრჩით?

— ვნახავთ.

• • •

სამი წელი გავიდა.

საბჭოთა საქართველოს შინაგან საქმეთა კომისარ ქავთარაძეს ჰკითხეს:

— ერთი თეთრგვარდიელი პატიმარი აცხადებს — „ნუ დამხვრიტავთ, ქავთარაძე მე გადავარჩინე დახვრეტასო“. გახსოვთ ვინმე ასეთი? თავის თავს გემის კაპიტანს უწოდებს.

— მახსოვს!..

— მაშ თქვენც გადაგირჩენიათ!

სერგო ფიქრებს გაჰყვა:

„როგორ, საიდან გაჩნდა აქ ჩემი გადამრჩენი კაპიტანი, ახლა — თავისი თავისაც?! მართლაც, არც ისე დიდი ყოფილა ეს ჩვენი პლანეტა!“.

ᲙᲝᲒᲐᲡ ᲛᲐᲠᲮᲘᲚᲘ

სექტემბერი იდგა ხუთი საათი იყო, ნევის პროსპექტზე მიდიოდა. ამ დროს ჭუჩა თითქმის უმოძრაოა, ანიჩკინის ხიდთან ხმა მოესმა:

— ტოგო!

„ალბათ, მომეჩვენა“, — გაიფიქრა ქავთარაძემ, უკან არც მიიხედა, აბა ვის შეეძლო სცოდნოდა პარტიული მეტსახელი, თანაც პეტერბურგში. ქუთაისში ხომ არ არის.

— ტოგო! — მოესმა უფრო მკაფიოდ.

ეს მოჩვენებას აღარა ჰგავდა. სწრაფად შეტრიალდა. ათიოდე ნაბიჯის სიშორეზე, ხიდის ყურეში ტროტუარიდან ოდნავ გადასული კაცი იდგა, უყურებდა და უღიმოდა.

— ვერ მიცანი, ბიჭო? — ჰკითხა ქართულად.

— კობა?! — შესძახა, მისკენ გაიქცა და ერთმანეთს გადაეხვივნენ.

— საიდან? როგორ... ამას ვერ ვიფიქრებდი!

— კარგია, რომ შეგხვდი.

— აქ რას აკეთებ... ასე აშკარად, პირდაპირ ნევის პროსპექტზე?

— ვსეირნობ! — გაეღიმა მწარედ.

— მერე ამ სახით, წვერებაბურძგნული, საეჭვოდ ჩაცმული! პოლიციელებისა და ოხრანკის სამიზნოდ?

— ხედავ, ჩემი მიზანი გამართლდა. შენა გნახე.

— ახლავე აქაურობას გავეცალოთ, ერთი წუთითაც არ შეიძლება დარჩენა. სასახლის წინ ჯაშუშები წრიალებენ.

— კეთილი, წავიდეთ! — მშვიდად უპასუხა კობამ და უდარდელად გააბიჯა.

ნევის პროსპექტიდან გადავიდნენ, არხის მიყოლებით წავიდნენ, მშვიდი მუსაიფი დაიწყეს.

სასახლის წინ, შუა ქუჩაში, ვეებერთელა სიმაღლის პოლიციელი იდგა და არხის ნაპირს გაყოლილ მიმავალთ უყურებდა. „აი ახლა ამოიღებს სასტვენს, ჩვენს დასაჭერად გამოქანდებიან“ — გაიფიქრა ტოგომ, „თუმცა, რა იციან, რომ ერთი ტოგოა, მეორე კი კობა?“ გრძნობენ, წყეულები, ყნოსვა დაგეშილი აქვთ.

კობა ხუმრობის გუნებაზე მოვიდა:

— თუ იცი რატომ აქვთ პოლიციელებს, ისეთი ცხვირები, როგორიც აი იმას, ჩვენ რომ გვიყურებს?

— გვიჯობს ფეხები როგორმე ავათრიოთ, თორემ ცხვირით ვირის აბანოში გვიკრავენ თავს. რა დროს ხუმრობაა?!

კობა თავისას ამბობდა:

— იმის ცხვირის შემხედავს იესო ქრისტე გამახსენდა. თავისი

ბოწაფეებით ერთ ქალაქში მიდიოდა, გზას არ უყურებდა, ისე ქადაგებდა. უცაბედად ფეხი ნაგავში ჩაჰკრა, ანაზდად ნაგვიდან ქალაქის პოლიციელი, რუსები გოროდოვოის რომ ეძახიან, ის ამოხტა და იყვირა: „დაიშალენით!“. ქრისტემ ხელი მოიქნია და მუშტი ცხვირში მოარტყა. იმ დროდან ასეთი ცხვირები აქვთ ყველა გოროდოვოებს!..

კობამ ჩაიცინა და ტოგო უფრო გააკვირვა.

—ყნოსვა მაინც არ დაუკარგავთ იმათ ცხვირებს! — გააფრთხილა შეფიქრიანებულმა ტოგომ. თან კობას დამალვის გეგმას აწყობდა გონებაში. შესახვევ-მისახვევებით კოლომენსკის ქუჩაზე გაიყვანდა. ერთ სახლში ქართველი სტუდენტები ცხოვრობდნენ, იქ მოიფიქრებდა სად გადაეყვანა ღამის გასათევად.

კობა თავის ამბავს მოჰყვა გზადაგზა:

— გადასახლებიდან დავიძარი... ვოლოგდიდან პიტერამდე მშვიდობიანად მოვაღწიე, მაგრამ, დახე უბედურებას, სახვედრში ვერავინ ვნახე, თითქოს ყველა კენჭივით წყალში ჩაძირულიყო. ქუჩაში დავრჩი. ლამის პოლიციაში გამოვცხადდე. კარგია, რომ შეგხვდი.

— ნევის პროსპექტზე რატომღა გამოხვედი, უცებ ჩაგავლებენ ხელს!

— ხედავ, არ ჩამავლეს. კარგად გამოვიდა ყველაფერი. სულ ერთია ვერსად ვერ მივდგებოდი. ახლა ის მითხარი, შენ რასა იქ, ტოგო?

ტოგო მოკლედ მოუყვა.

კოლომენსკის ქუჩაზე ქართველი სტუდენტების ბინაში შეიყვანა ღამის გასათევად, მერე უფრო საიმედო ადგილს შეაფარებდა.

ქართველი სტუდენტები ჟრიამულობდნენ, თავ-თავიანთ ამბავს ჰყვებოდნენ, შავრაზმელ სტუდენტებს რომ დაერივნენ, იმაზე ალაპარაკდნენ და იცინოდნენ.

— მაგრად დაადეთ? — ჰკითხა კობამ.

— დედა ვუტირეთ!

— როგორ იყო? — დაინტერესდა პოლიტიკური მუშტი-კრივით.

— წინასწარ ვიცოდით, შავრაზმელ სტუდენტებს საერთო შეკრების ჩაშლა სურდათ. თხუთმეტამდე ქართველი სტუდენტი მოვგროვდით და გადავწყვიტეთ პირველსავე პროვოკაციულ გამო-

ხდომაზე უცებ გვერტყა. არ ვაცალეთ. მაგრად ვუთაქეთ, გავაქციეთ.

კობა ილიმებოდა. საძართლიანი ჩხუბი უყვარდა.

ჩაბობნელდა. ახალი ბინისაკენ გასწიეს. საბლინის ქუჩაზე, ათ ხომერ სახლშიც ქართველი სტუდენტები ცხოვრობდნენ, ბინის პატრონმა, რომელიღაც კონტრადმირალის ქვრივმა, სმას გადააყოლა მთელი ქონება, მხოლოდ გიტარას ვერ ელეოდა. ტოგოს მეგობრებიც მბიარულად ცხოვრობდნენ, ლაზღანდარობდნენ, თან საომედოებად ითვლებოდნენ; იმავე სახლის პირველ სართულში საპოლიციო უბანი იყო. ვის მოუვიდოდა აზრად, რომ გადასახლებიდან გაძოქცეული სტალინი სწორედ იქ შეაფარებდა თავს.

— პეტერბურგში დარჩები! — ჰკითხა ტოგომ.

— ჰო! უნდა დავიწყო მუშაობა. მოვლენები ვითარდება, დრო არ გვიცდის!

— რა ვაკეთოთ? რა არის მთავარი, ძირითადი?

კობა ოდნავ დაფიქრდა:

— შევაკავშიროთ რიგები. შევქმნათ ძლიერი ორგანიზაცია... აღმოვფხვრათ ლიკვიდატორების მომწამლავი გავლენა, მოვსპოთ ლიბერალური პოლიტიკა ლენინის ნაჭედი იარაღით.

იყუჩა. მერე გააგრძელა:

— ძნელი ამოცანაა. მაინც დავძლევთ!

— დრომ ბევრი ჭუჭყი მოიტანა! — დაინაღვლა ქავთარაძემ.

— ბუნებრივია! როცა საქმე რევოლუციისაკენ მიდის, ტალღაც ღიდდება. ეს კი პროლეტარიატისკენ, მისი პარტიისკენ იზიდავს წვრილბურჟუაზიულ ელემენტებსაც. პარტიაში შემოძრომას იწყებენ შუალედური კლასებიდანაც. და აი როცა პროლეტარიატის საქმეები ცუდად მიდის და საშიშროება ელით, — ყველა შემთხვევაში უნებისყოფონი და მშიშარანი უკან ეწევიან, გარბიან, გვღალატობენ. ამოცანა გადაუდებელია. ღრმა ზღვარი უნდა გავავლოთ არალეგალურ პარტიასა და ლიკვიდატორებს შუა, ორგანიზაციასა და უფორმობას შორის! — დაასკვნა და თითოეული სიტყვა ბეჭედივით დაასვა.

— ბევრია მტერი, აშკარა, ნახევრად აშკარა და ფარულიც, — დაამატა კობამ.

— ჩვენსავე წრეშიც! — დაურთო ქავთარაძემ.

— ჰო! — გააგრძელა კობამ. — ეგრეთწოდებული „ბოლშევიკი-

შემრიგებლებიც“ რევოლუციის მტრები არიან. ყველა ლიკვიდატორზე მავნენი. მათი დანახვა უფრო ძნელია. შემთანხმებლობა მუშათა კლასის ღალატია. ბევრნი არიან, ასეთებიც და ისეთებიც: გოლოსელები, პრავდისტები, ვპერიოდელები, უპარტიო ბოლშევიკებიც კი, თავისი არსით არათანამიმდევრული ტროცკისტები, როგორც ლენინმა მონათლა.

— უბედურება ის არის, რომ ყველა იმათ ზოგიერთნი მაინც მისდევენ. — დაიღონა ქავთარაძემ.

— ჰო, მისდევენ. პატიოსნად გზააბნეული მუშათა ჯგუფებიც. უნდა მოვწყვიტოთ.

გვიან ღამით ტოგომ უთხრა:

— აქ გაათევ! ფიქრი ნუ გექნება. მე წავალ. დაიხსომე სათადარიგოდ კიდევ ერთი მისამართი. ყოველთვის შეგიძლია გამოიყენო. „პეტერბურგის მხარე, შიროკაიას ქუჩა, თორმეტი ნომერი, ბოლო სართული“. ჩემი ძმა ცხოვრობს.

— დავიხსომებ.

— ხვალ მოვიდე?

— არა, რა საჭიროა. ვფიქრობ, ჩვენებს ვიპოვი.

— თუ ვერ იპოვო, ისევ აქ მოდი და ამათივე შემწეობით მაცნობე, იქნებ რამე მოგიხერხო.

— კეთილი.

— გამარჯვებით, კობა!

— გაგიმარჯოს! — და ერთმანეთს დაშორდნენ.

გარეთ გამოსულმა ქავთარაძემ გარშემო მიმოიხედა. საეჭვო არავინ ჩანდა. საპოლიციო უბანი მთელი თავისი განათებული ფანჯრებით მოწმობდა, რომ წესრიგის დამცველები ფხიზლად იყვნენ.

ზემო სართულის ღია ფანჯარაში კონტრადმირალის ქვრივის გიტარა ჟღარუნებდა.

„იძინე. ძმაო, აქ ვერავინ გიპოვის“ — გაიფიქრა ტოგომ და შინისაკენ მშვიდად გასწია.

* * *

ორი დღის შემდეგ. გვიან ღამით, სტუდენტური ლხინიდან შინ რომ ბრუნდებოდა, ქუჩა შიროკაიას მეთორმეტე ნომერთან ქავთარაძეს ნაცნობი მოახლე გოგო შემოხვდა.

— რა მოხდა, ირიშა? — ჰკითხა ქავთარაძემ.

— ვილაც მოვიდა, ამბობს, რომ გიცნობთ, ვითომც თქვენი ამხანაგია! არ ვუშვებდი. ვინ იცის ვინ არის? ის კი მეკითხება: „გაქვთ თუ არა ცალკე ოთახი, გასაღებით იკეტებოდეს?“ ვუთხარი, რომ გვაქვს! „მაშ იმ ოთახში ჩამკეტეთ, რაკი გეშინიათ, გასაღები წაიღეთ“. ჰოდა, ჩავკეტე! „თქვენც მშვიდად იქნებითო“. პატარა ოთახში ზის რა ხანია. ღრიჭოში ჩუმად ვიჭყიტებოდი, წყნარად არის, გასაღები კი — აი!..

— ეგ რა ჰქენი, სტუმარი როგორ ჩაძიკეტე, ასე როგორ შეიძლება?!

ტოგო კარებს ეცა. გააღო.

ბნელ ოთახში თამბაქოს ბოლი იდგა. კობამ დაინახა, გაეღიმა.

— აი ესეც მე, თქვენი პატ-მარი!..

მოახლემ მოუბოდიშა.

— არა უშავს, მე თითონ შემოგთავაზეთ ასეთი გამოსავალი. თქვენმა ტყვეობამ ჟანდარმერიის ტყვეობას გადამარჩინა.

ირიშა განცვიფრებით უყურებდა სტუმარს.

რამდენიმე წუთის შემდეგ ჩაის მიუსხდნენ.

— უცებ მოაგენი? — ჰკითხა ქავთარაძემ.

— მისამართი მახსოვდა, მგონი, სუფთად მოვედი. ჯაშუში არ ამკიდებია.

— შენ თუ მიაქციე ყურადღება ვისმეს, ან ხომ არ მოგაქცია ყურადღება ჩვენმა მწითურმა მეეზოვემ?

— არა, არ მინახავს.

— ძალიან კარგი. ძაღლის შვილია, მაგრამ აქვს ღირსებაც. — დალევა უყვარს და საჩუქარზე ხარბია. სიფრთხილეს თავი არა სტკივა, ვნახავ.

ქავთარაძე უკანა კარიდან გარეთ გავიდა, ქუჩაში საეჭვო რამე არა ჩანდა, ისევ შემობრუნდა სადარბაზო კარიდან. მწითურა მეეზოვეს განგებ დაენახვა, ათშაურიანი აჩუქა და იმანაც თავი ათჯერ დაუკრა, დიდი მადლობელი დარჩა.

კობაც კმაყოფილი იყო.

— აქედან შორს ვიყავი. რაღაც ცუდი წინაგრძნობა მქონდა! ამიტომ თქვენკენ გამოვემართე. ცოტახანს ახლოს ვიტრიალე და შემოვედი. არა უშავს არა? — ჰკითხა კობამ და გაიღიმა.

დაღლილი იყო. იმავე საპატიმრო ოთახში ლოგინი გაუშალეს და მოასვენეს.

მეორე დილით უკანა კიბით გავიდნენ. ერთმანეთს დაემშვიდობნენ. კობა ისევ ჩაუვარდათ, გადაასახლეს.

* * *

დიდი ხანი გავიდა.

ციოდა. გარეთ ყინვა იდგა. ქავთარაძე ოთახში იჯდა. უნივერსიტეტის კურსს ამზადებდა.

კარის კაკუნი გაისმა. კობა შემოვიდა. ჯერ პალტო არ გაეხადა, უთხრა:

— რამდენიმე ხნით შენთან დავრჩები.

— რა ლაპარაკია... გაიხადე, გათბი. ახლავე ჩაიც იქნება.

— არ გინდა. ცოტას დავისვენებ. მაგრამ აი, რაშია საქმე: ახლა მოსკოვიდან მოვდივარ. მატარებლიდან პირდაპირ შენკენ გამოვემართე. მოსკოვში ვაგზალზე შევნიშნე მეთვალყურე ჯაშუში. შენ წარმოიდგინე, როცა აქ ვაგონიდან გამოვედი, ისევ ის ჯაშუში დავინახე. ამეკიდა, შენს სადარბაზომდე მომაცილა. ახლაც ქუჩაში ყიალობს, მამაძაღლი!

მძიმე საქმე ელოდათ, მოსკოვიდან დადევნებული ჯაშუში მარტო არ იქნებოდა. ოხრანკას კობას აყვანა მოსკოვშივე შეეძლო, მაგრამ არა ჩქარობდა. იმ პინის გახსნასაც იმედოვნებდა, სადაც კობა პეტერბურგელ იატაკქვეშელებს შეხვდებოდა, და ყველას ერთად მოუსვამდა ხელს.

— უცებ არ ამიყვანა, თვალი უნდა გამაყოლოს.

— როგორ მოვიქცეთ? მოვიფიქროთ რამე, — დადარდიანდა ქავთარაძე.

ბევრი იფიქრეს, მაინც ვერაფერი მოისაზრეს.

— მე მანამდე მივწვები, მერე ვნახოთ.

— დაიძინე, დაისვენე საღამომდე. იქნებ ყინვას ვერ გაუძლოს, წავიდეს. ნაპოლეონის არმიამაც კი ვერ გადაიტანა ასეთი ცივი ზამთარი.

— გაუძლებს, დიდი მამაძაღლი ჩანს.

კობა დაწვა. დამშვიდებული იყო.

ქავთარაძე კობას ხსნის გეგმებს აწყობდა, ვერაფერ საიმედოს ვერ აგნებდა. მერე გარეთ გავიდა დასაზვერად.

ყინვამ უფრო მოუჭირა. ადამიანები თავჩაღუნულნი მიდიოდნენ. მიისწრაფოდნენ, ასეთ ყინვაში კაცი ერთ ადგილას როგორ გაჩერდებოდა? ვერც ჯაშუში გაუძლებდა, წავიდოდა, გაეცლებოდა.

ქავთარაძე შინ შევიდა.

კობას ეძინა.

საღამოს ხუთი საათისათვის გამოიღვიძა. დასვენებული წამოდგა. ქავთარაძემ ახარა.

— წავიდა!

კობა დაფიქრდა.

— არ წავიდოდა.

ერთი საათი კიდევ იმასლაათეს. გარეთ უკვე კუპრი ღამე იყო. პეტერბურგის ბურუსში ფერმკრთალად ანათებენ ელექტრონის ფარნები, ადამიანის აჩრდილები აბუზული მისრიალებდნენ. ახლა ადვილია იმ ჩრდილებში შერევა, ძნელად რომ კაცმა რამე გაარჩიოს. ათიოდე ნაბიჯი გადადგეს, კობამ გადაულაპარაკა:

— აგერ, დგას!

ქავთარაძის სახლის მოწინააღმდეგე მხარეს ბეწვისქუდიანი, საყურეებჩამოშლილი და საყელოაწეული კაცი იდგა.

— ეგ არის!

— როგორ მოვიქცეთ, კობა?

— დინჯად გავიაროთ.

ნევის პროსპექტისკენ წავიდნენ. ქუჩაში დიდი მოძრაობა იყო, ხალხში შეერივნენ. ტროიცკის ქუჩის კუთხესთან შეჩერდნენ, მოიხედეს. გამოდევნებული ჯაშუში არა ჩანდა.

— სადღაც მიიმალა! — აღმოხდა კობას, — ასე ადვილად არ გაგვიშვებს. პურის ფული ხომ უნდა გააკეთოს.

საჯარო ბიბლიოთეკას მიუახლოვდნენ. ნევის პროსპექტისა და სადოვოის კუთხის გზაჯვარედინზე ჯაშუშს მოხერხებული ადგილი დაეჭირა და წინ წასული უკან ჩამორჩენილებს ელოდა.

— გვიყელა!

საჯარო ბიბლიოთეკის საათზე უკვე შვიდი იყო, წინ და უკან სიარულით დაიღალნენ. ჯაშუში კი არ სცილდებოდათ. ვერც გზა აუბნიეს.

— გამოცდილია! — თქვა კობამ.

მოშივდათ. კობას დილიდან არაფერი ეჭამა. ეკატერინეს ქუჩაზე ფეოდოროვის რესტორანში შევიდნენ. იფიქრეს, იქაც ხომ არ შემოგვყვებაო. მყუდრო კუთხე აირჩიეს, იქიდან კარგად ჩანდა რესტორანში შემომსვლელ-გამსვლელი. ქავთარაძე ფარდას ცოტას გასწევდა ხოლმე ჯაშუშის დასანახად, მაგრამ როდი ჩანდა.

კობამ წყნარი ხმით უთხრა:

— ახლა მთავარი ამოცანაა ბრძოლა ლიკვიდატორებთან. ლეგალურ მუშათა ორგანიზაციებში ძვრებიან, ფეხს იკიდებენ, თავიანთი ცენტრიც კი შექმნეს. სწორედ იმათ უნდა დავარტყათ.

კობა ქართულად ლაპარაკობდა, თითქოს აღარც კი ახსოვდა კარიბჭესთან მომლოდინე უბედურება. რამდენიმე წუთის შემდეგ შეიძლება გამოუსწორებელი უბედურება კობას თავს დასტეხოდა, თავგადარჩენის იმედი სულ უფრო მცირდებოდა.

— რა ვიღონოთ, კობა?

— შენთან წამოსვლა აღარ შეიძლება. შენი ბინა უკვე ჩავარდნილია. არის ერთი კონსპირაციული ბინა ვიბორგის მხარეზე ფინელ მუშასთან. იქით უნდა გავაღწიოთ.

ათი საათი შესრულდა, რესტორნიდან გამოვიდნენ. ჯაშუში ქუჩაში აღარ იდგა, ალბათ გაიყინა. ნევის პროსპექტიდან საპირდაპიროდ, მანეჟის მოედნისკენ გაემართნენ. ნაკლები განათება იყო. სიბნელეს სამეგობროდ ეძებდნენ. მეორე მხარეზე ნაცნობი ლანდი შენიშნეს:

— დასწყევლოს ეშმაკმა. თითქოს მიწიდან ამოძვრა! — აიმრიზა კობა.

ქავთარაძე მოიღუშა. ალექსანდრე მესამის მუზეუმს მიუახლოვდნენ, უფრო ბნელოდა. ქავთარაძემ კობას ჩასჩურჩულა:

— ნაბიჯი ავაჩქაროთ, ჯაშუში დაგვედევნება, კუთხეში სწრაფად შევუხვიოთ, მივიმალოთ. იფიქრებს, გამირბიანო, გამოგვეკიდება, კუთხეში შემოუხვევს. პირდაპირ შევეჩეხებით, ჯიბეში რკინის კასტეტი მიდევს, ერთი დარტყმით დავცემ. დაყვირებასაც ვერ მოასწრებს.

კობაც ძარღვიანია, მაგარი, ღონიერი და სხარტი, ქავთარაძესაც საკუთარი თავის იმედი აქვს და რკინის ღაჯია — კასტეტს თითებზე ირგებს.

კობა დაფიქრდა.

„არ ვარგა, მარტო არ არის, დამხმარენი უნდა ჰყავდეს“.

სემიონოვის ხიდისა და ჩინიზელის ცირკის მიმართულებით წავიდნენ. უფრო ძალიან ბნელოდა, გამვლელები არ ჩანდნენ. ჯაშუში დაიკარგა. ბევრი ათვალიერეს, მაგრამ მოთვალთვალე აღარავინ ჩანდა.

— მგონი, იგი აღარ არის.

— ჰო, არა ჩანს. — უპასუხა კობამ.

ამ დროს მარხილი გამოჩნდა, ფიცხი, ორლოვური ცხენები ჩორთით უახლოვდებოდნენ.

ორივეს ერთმა აზრმა გაუელვა:

— კობა, ჩაჯექი და გააქანე!.. ფული გაქვს?

— მაქვს...

კობა უმალ მარხილში მოექცა. ცხენები ადგილიდან მოწყდნენ, შურდულივით გაეშვნენ.

ქავთარაძემ სიამოვნების ღიმილი გააყოლა. თოვლის ნამქერში მიფარებულ კობას კვალს გაჰყურებდა.

დაოთხილი ცხენების თქარუნი შემოესმა. გვერდით ჩაქროლილ მარხილში ის ჯაშუში იჯდა ვიღაც სხვასთან ერთად.

— მოგვატყუეს, გამოეკიდნენ!

წინა მეეტლეც მათი მოგზავნილი იყო.

ქავთარაძე მძიმე ფიქრებს მიეცა. აშკარად წარმოიდგინა უნუგეშო სურათი: „კობამ გაუშვა სადმე ეტლი, თითონ საიდუმლო სახვედრისკენ წავიდა. ჯაშუშებმა უთვალთვალეს, დაესხნენ, დააპატიმრეს, ოხრანკაში წაიყვანეს... „ისევ ციმბირი, გადასახლება, იქნებ კატორღაც... რა მძიმე დარტყმაა!“ — დარდობს სერგო.

ახლა თითონაც უნდა იჩქაროს. მასთანაც მივლენ გასაჩხრეკად.

ათიოდე წუთის შემდეგ შინ იყო. დრო აღარ ითმენდა, ცოტა რჩებოდა, თორმეტს უახლოვდებოდა, ოხრანკას წუთი წუთზე შეეძლო თავდასხმა.

ღამის სამი საათი გახდა. ოხრანკის ვიზიტი იმ ღამეს არ შედგა. მეორე დღემაც მშვიდად ჩაიარა.

მესამე დღეს საღამოს შინ იყო. დერეფანში ტელეფონის ზარი გაისმა, ქავთარაძეს დაუძახეს.

— ვინ ლაპარაკობს?

— მე ვარ, ბიჭო! — უპასუხა ქართულად და ქავთარაძეს გული ამოუვარდა.

— ჯანზე როგორ ხარ?

— ძალზე კარგად, მერე გიამბობ...

მეოთხე დღეს, ღამის თორმეტ საათზე, თავს დაადგნენ. ჟანდარმერიის როტმისტრმა ჩხრეკის ორდერი წარმოუდგინა: „მოიქეცით თანახმად ჩხრეკის შედეგებისა“.

ქავთარაძე დამშვიდდა:

„ეშმაკიც რომ მოიყვანოთ, ვერას მიპოვნით“, — გაიფიქრა გულში.

დილის სამ საათზე წავიდნენ. ქავთარაძე არ წაიყვანეს.

მეორე დღეს ჟანდარმერიის სამმართველოში გამოუძახეს. ერთ დიდ ოთახში შეიყვანეს, არავინ იყო.

— მოიცადეთ, სტუდენტო!

შემოსასვლელი კარის პირდაპირ კიდევ ერთი კარი იყო, ნახევარ საათს მარტო დაჰყო. უცებ გაიღო კარი, ოთახში გამოიარა სტუდენტის კარგად ნაცნობმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა, ქურქითა და ბეწვის ქუდით იყო: „ალბათ ნება ეძლევა შევიდეს ხოლმე ასეთ შენობაში“, — გაიფიქრა სტუდენტმა. პროფესორმა ალმაცერად გახედა და გაუჩინარდა მოპირდაპირე კარში. „აი, რა საქმეებს აკეთებთ თურმე, პატივცემულო პროფესორო“.

გავიდა კიდევ ერთ საათამდე, გაიღო კარი, პროფესორი უკან გამობრუნდა, მაგრამ სტუდენტს უკვე აღარ შეხედა.

ქავთარაძეც შეიწვიეს კაბინეტში. ჟანდარმერიის პოლკოვნიკი ტყავის მდივანში ჩაფლულიყო. მაგიდაზე ედო სტუდენტის ბინიდან წამოღებული ორი დიდი გროვა: წერილები, წიგნები და ხელნაწერები.

— აბა, დაბრძანდით! — გამომცნობად აათვალ-ჩაათვალიერა და რაძდენიმე წამის პაუზის შემდეგ ფოტოსურათები გაუწოდა:

— იცნობთ ამ ბატონს?

ქავთარაძემ დახედა და კინაღამ გადიხარხარა. კობა სასაცილოდ იმანჭებოდა, თმები აბურძგნოდა. ჩანს თავის თავის ფოტოგრაფირების საშუალებას არ აძლევდა, როგორც საჭირო იყო.

— არა, ბატონო, არ ვიცნობ. ვიღაც არანორმალურია.

— არა, ნორმალურია, — სინანულის ტონით თქვა პოლკოვნიკმა. — ხომ არა ჰგავს რომელიმე თქვენს ნაცნობს? გაიხსენეთ!

— არ ჰგავს. გახსენებაც არ შემიძლია.

— იოსებ ჯუღაშვილს არ იცნობთ?

— როგორ არა. ვიცნობ. ამას წინათაც კი ვნახე შემთხვევით.

— სად გაიცანით ერთმანეთი, როგორ მდგომარეობაში?

— მდგომარეობა არ მახსოვს, გავიცანი კი ქუთაისში 1904 წელს.

— მაგრამ არ იცით, რომ სახელმწიფო დამნაშავეა?

— სახელმწიფო დამნაშავე? არა, არ ვიცოდი! — და სტუდენტმა განცვიფრება გამოხატა სახეზე.

— დიახ, საშიში სახელმწიფო დამნაშავე. ხელისუფლება დაეძებს.

— საშიში?.. რასა ბრძანებთ? — სტუდენტმა ახლა თვალებიც გადმოკარკლა.

— დიახ, თქვენ კი ასეთ ბოროტმოქმედთან დაყიალობთ. რას აკეთებდა თქვენთან, რაზე ლაპარაკობდით, როდის და სად წავიდა თქვენგან?

— მე იგი არ მინახავს რა ხანია. უბრალო ნაცნობია. ქართველები ყველა თითქმის ერთმანეთს იცნობენ. როგორ გახდა სახელმწიფო დამნაშავე, წარმოდგენა არა მაქვს. მოულოდნელად მოვიდა ჩემთან. როგორც ქართველმა, მოვალეობად ჩავთვალე მიმეღო, დამესვენებინა, დამეპატიჟა.

— მიამბეთ დაწვრილებით! — პოლკოვნიკის ხმაში ბრძანების კილომ იმატა. ქავთარაძე მიხვდა, რომ მან ყველაფერი იცოდა. საიდუმლო არაფერი იყო. წვრილად მოუთხრო რა ქუჩებით მიდიოდნენ, სად რამდენ ხანს დარჩნენ, როდის დასცილდნენ ერთმანეთს. პოლკოვნიკი უსმენდა და მის ნაამბობს ქაღალდში წაკითხულს თვალს აყოლებდა.

სტუდენტმა მოათავა, პოლკოვნიკმა კმაყოფილებით თქვა:

— დიახ, ყველაფერი ემთხვევა. სხვა არაფრის თქმა არ შეგიძლიათ ჯუღაშვილზე?

— არა.

მერე ჩხრეკის დროს წაღებული ქაღალდების გროვა თავისკენ მიიწია და ჰკითხა:

— რომელ წითელ ჩემოდანზეა ლაპარაკი ამ ღია ბარათში?

— აა, ეს? თბილისში რომ ვიყიდე, ადელხანოვის მაღაზიაში. შამა მწერდა გამოგიგზავნიო.

დაკითხვამ ახალი არაფერი მისცა. პოლკოვნიკმა ცივად მოსჭრა:

— თქვენ დროებით გიშვებთ. სიაში არ ირიცხებით. ეს შეგიძლიათ წაიღოთ. ეს კი დარჩება.

სტუდენტმა წიგნები და წერილების ნაწილი წამოიღო. შინ დაბრუნდა. მაგრამ მოსვენებას არ აძლევდა კობას ამბავი. სულმოუთქმელად ელოდა შეხვედრას. ეს შემთხვევაც მიეცა. როგორღაც ტიტე ცამიწაძეს შეხვდა და იმან გადასცა ქავთარაძეს ჯუღაშვილის ნათქვამი:

— უცებ ვიგრძენი ჯაშუშის გამოდევნება და ისიც, რომ მდგომარეობა გამოუვალი იყო. მარხილი ლიტეინის პროსპექტით მიჰქროდა. უკან თოვლის ფიფქში ვხედავდი დადევნებულ ოხრანკის მარხილს. კვალდაკვალ მისდევდნენ. ალბათ ეს მეეტლეც აგენტია, — გადავწყვიტე, შეუმჩნევლად უნდა წავუვიდე ერთსაც და მეორესაც. მაგრამ როგორ? თურმე ლიტეინის ხიდი გადაიარა, ვიბორგის მხარეზე გადავიდა. ვილიეს კლინიკას გვერდი აუარა.

სწრაფად გადაწყვიტა როგორ მოქცეულიყო. დაყოვნება აღარ შეიძლება. კიდევ ერთხელ მიიხედა და თოვლის გუნდასავით შეკუმშული გადაგორდა მარხილის ზურგიდან. კიდევ რამდენიმე გადაგორება და ქუჩისპირა თოვლის ნამქერში ჩაიფლო. „ლამის ცხვირწინ ჩამიქროლა ოხრანკამ ცარიელი ჩემი მარხილის დასაწევადო“. თვალები გააყოლა, წამოდგა, თოვლი ჩამოიბერტყა და მშვიდად შეევიდა სახვედრში მეხუთე სართულზე.

ოხრანკამ დაახლოებით განსაზღვრა კობას დამალვის რაიონი, ალყა შემოარტყა და მთელი ეზოების ჩხრეკას შეუდგა.

— მე ზევიდან თვალს ვადევნებდი, როგორ შედიოდნენ ჯაშუშები ეზოში. ყველა კუთხეში ძვრებოდნენ, ჩემს კვალს ეძებდნენ. — უთხრა კობამ ტიტეს.

სამი დღის შემდეგ კი სამხედრო სამედიცინო აკადემიის სტუდენტის ფორმაში გადაცმული თავშესაფრიდან გამოვიდა, მუშაობა გააგრძელა 1912 წლის 23 აპრილამდე, როცა იგი ისევ დაიპირეს ქუჩაში და რამოდენიმე თვის პატიმრობის შემდეგ გადაასახლეს სამი წლით, უფრო შორს — ნარიმის მხარეში. მაგრამ პირველ სექტემბერს მაინც გამოიქცა გადასახლებიდან, პიტერში ჩავიდა და „პრავდის“ რედაქტირებას შეუდგა.

ოხრანკასაც როდი ეძინა, არ ასვენებდა. 1913 წლის 23 თებერვალს ისევ ხელში ჩაიგდო და ოთხი წლით გადაასახლეს შორეულ ტურუხანსკის მხარეში, მერე უფრო ჩრდილოეთშიც — სოფელ კურეიკაში, თვით პოლარულ წრესთან.

თებერვლის რევოლუციის ცნობამ ციმბირში მოუსწრო. 1917 წლის 8 მარტს აჩინსკიდან გამოემგზავრა და გზიდან მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა ლენინს, შვეიცარიაში.

დაშიფრული დეპეშა

„მთავრობაძე გარდაიცვალა პეტროგრადში! აცნობეთ საქართველოში ნათესავებსა და ნაცნობებს“ — უდეპეშა თბილისში მეფის ჩამოგდებაზე კარლო ჩხეიძემ.

მერე ისიც შეიტყვეს, რომ მუშათა და ჯარისკაცთა პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარედ სწორედ ის ჩხეიძე აერჩიათ და ახლა, კაკი წერეთელთან ერთად, ლენინის დაბრუნებას ელოდნენ უცხოეთის ემიგრაციიდან, რომ ბოლშევიკებიც მოემხროთ ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გასაყინად თებერვლის სიცივის დონეზე.

მეფისნაცვალმა კავკასიაში, ნიკოლოზ მეორის ბიძამ, მიხეილ მიხეილის ძე რომანოვმა, პოლიტიკური პარტიების მეთაურები დაიბარა და ყველამ იგრძნო, რომ მოწვეულთა შორის განსაკუთრებული პატივით მიეგება ქართველი მენშევიკების ლიდერებს — ნოე ჟორდანიას, ნოე რამიშვილს და თბილისის ქალაქისთავს ხატისიანს, მაღალ წრეებში ხატისოვად რომ იცნობდნენ.

— გაბარებთ მმართველობას! როგორც აქამდე, დღეის შემდეგაც გონივრულად იმოქმედეთ ერთიანი, განუყოფელი რუსეთის მშვიდობისა და დიდებისათვის!..

პარტიათა ლიდერებმა მოწყალებით მიიღეს მეფისნაცვლის რჩევა-დარიგება.

მიხეილ რომანოვს ჯერ კიდევ იმედი ჰქონდა, რომ ნიკოლოზ მეორის გადადგომა დროებითი მოვლენა იყო. თვითონ პეტროგრადში გაწვეულს, დასავლეთის ფრონტის მთავარსარდლად დანიშნულს სჯეროდა, რომ რაც ძმისწულმა ვერ შეძლო იმპერიაში

სათანადო წესრიგის დასამყარებლად, იგი იქ ყველას და ყოველ-ვეს თავის ადგილს მიუჩენდა!..

იმ დღესაც კმაყოფილებით აკურთხა სასახლეში მოწვეული ქა-ლაქის დიდებულნი და დროებითი მთავრობის სახელით მეფური სიტყვით დაამშვიდა:

— მტერი უნდა დავამარცხოთ!.. მე მგონია, თქვენც ეს უნდა გინდოდეთ, ბატონებო?!

ნოე ჟორდანიამ და რამიშვილმა თანხმობით თავი დაუკრეს, ხატისოვმაც ორივე ხელი გულზე დაიკრიფა და მეფისნაცვალმაც ოქროსიტყვები ამოაპნია:

— რაც შეეხება სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმას, ამას მომავალი დამფუძნებელი კრება გადაწყვეტს, სადაც მეც რაღაც ადგილი მექნება!..

მოწვეულებმაც თავაზიანი გაღიმებით ერთგულების გრძნობა გამოხატეს და მიხეილ რომანოვმაც ქათინაური გადმოაფრქვია:

— საერთოდ უნდა ვთქვათ, რომ მე ძლიერ კმაყოფილი ვარ ამჟამად კავკასიით, რადგან არავითარი არეულობა არ არის. ბაქოსა და თბილისში სამაგალითო წესიერებაა დაცული. ეს, ჩემი აზრით, იმით აიხსნება, რომ სოციალ-დემოკრატია, რომელსაც აქ, კავკა-სიაში, დიდი გავლენა აქვს, წესიერების მომხრეა! მე იმედი მაქვს, ეს კვლავაც ასე გაგრძელდება!..

ნოე ჟორდანია და რამიშვილიც კმაყოფილებით ისმენდნენ.

სხვა პარტიების ლიდერებიც ახმაურდნენ. სოციალისტ-ფედერა-ლისტებმა ყურები დაცქვიტეს და ნაციონალ-დემოკრატებმაც ისევ წამოაყენეს ეროვნული და პოლიტიკური ავტონომიის გულში ნაღვივები პრობლემა.

მძიმე ომით დაღლილ-დაქანცული ჯარისკაცობა კი სახედაღრე-ჯით შეხვდა ახალ მთავარსარდლად დანიშნულ ბიძა-რომანოვის მიერ ომის გამარჯვებამდე გაგრძელების მოთხოვნას, — მათ ახლა მიწების განაწილების ერთადერთი ფიქრი აღელვებდათ და ამი-სათვის სწრაფად უნდა დაბრუნებოდნენ თავთავიანთ სახლკარს.

თბილისის ვაგზალში ჩამომდგარ მატარებელსაც მეფისნაცვლის ვაგონი ება და ზარიც არ მიეცათ, ისე დაიძრა ორთქლმავალი ყრუ ქშიტინითა და მოგუდული გუგუნით.

მეფისნაცვლის სასახლეში ბრწყინვალე უფროსობის ჭაჭანებაც

ალარ იყო, ხელზე მოსამსახურენი კი გაოგნებული იდგნენ და პირ-ჯვარს ისახავდნენ.

ბერე სასახლის კარი მორჩილად გაიღო და ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი შებრძანდა! პეტროგრადში დროებითი მთავრობის გადაწყვეტილებით, კომიტეტის მეთაურობა კადეტ ხარლამოვს დაევალა, წევრებად სომეხი კადეტი ფაფაჯანოვი შეიყვანეს, აზერბაიჯანელი მუსავატელი ჯაფაროვი მიუყენეს და ქართველი სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე ამოუყენეს, მაგრამ ორი დღეც არ აცალეს მისახედ-მოსახედად, რომ ლიტერატორი აბაშიძე პოლიტიკოსი აკაკი ჩხენკელით შეცვალეს და რუსი პერევერზევიც დაუყენეს.

ბოლშევიკებიც ამოქმედდნენ, პოლიციის რეპრესიებით დარბეული ორგანიზაციები ფეხზე წამოაყენეს და ახალი ვითარებით ნაკარნახევი მოქმედების გეგმა — გეზი დაისახეს. მეფის ტახტიდან ჩამოგდების ცნობის მიღებისთანავე ფილიპე მახარაძის პატარა ჯგუფმა რკინიგზელი მუშები შეკრიბა და რევოლუციური საბჭო აირჩიეს, რომელსაც თებერვლის მონაბერი ამბები საქართველოშიც უნდა გაევრცელებინა.

ვერც მოასწრო მახარაძემ მეორე ასეთივე კრების ჩატარება თბილისის დანარჩენი ქარხნების მუშების მონაწილეობით, რომ დარბაზში შეუცვივდნენ ნოე ჟორდანია, სილიბისტრო ჯიბლაძე, რამიშვილი, და აღშფოთებით უთხრეს:

— ვინ მოგცათ თბილისის მუშების საბჭოს არჩევის უფლება?!.

კრება შეყოყმანდა, მერე სულაც დაჰყვა დაყვირებას და ჟორდანიამ დახურულად გამოაცხადა! იმავ ღამით, ორ საათზე, ზუბალოვის სახალხო სახლში თავისი კრება მოიწვია და მდგომარეობის ბატონ-პატრონად გამოაცხადა თავი.

1917 წლის 18 მარტს კავკასიის მუშათა საბჭოების წარმომადგენელთა თათბირიც ჩაატარეს და მენშევიკების შთაგონებით ისიც მათ ნება-სურვილს დაუმორჩილეს.

მალე კავკასიის მუშათა და გლეხთა პირველი ყრილობაც გაიმართა საბჭოების სამხარეო ცენტრის ასარჩევად და იქაც მენშევიკებმა მოიკალათეს.

ომის დამთავრებას კი ბოლო არ უჩანდა.

გარე სახელმწიფოების კარნახით, რომელიც მუქარასაც ჰგავდა

და მენშევიკების დალოცვით, ამიერკავკასიის მთავრობაც შეიქმნა, რომელმაც თავის უპირველეს ამოცანად დაისახა საქართველოს, აჯერბაიჯანისა და სომხეთის ჩამოცილება რევოლუციური რუსეთის ოჯახიდან.

მერე ოქტომბრის რევოლუციის ტალღით პეტროგრადიდან გამორიყული დამფუძნებელი კრების წევრები თბილისში შექუჩდნენ და ამიერკავკასიის სეიმი შექმნეს 1918 წლის 10 თებერვალს.

— თუ საქართველოს დამოუკიდებლობა არ გამოაცხადეთ, ინგლისი დაგვასწრებს, ბაქოს ნავთობის ბატონ-პატრონი გახდება, და ამიტომ თქვენი ტერიტორიიდან შეტევა მოგვიხდება! — გაფრთხილა თურქეთმა.

ჟორდანიამ რთული დიპლომატიური ძაფის გორგალი დაახვია, ბიუდგომლობა დაიჩემა, გერმანია-ინგლის-თურქეთ-რუსეთს შუა საქანელა გაბა და მძიმე საფიქრალს მიეცა — ვის მხარეზე დამდგარიყო?!. მერე ყველასთან ნეიტრალობა არჩია, მაგრამ ვერც ერთი სახელმწიფო ვერ მოიმადლიერა. დამრეცილზე დაკიდებულ საქანელას ბოძები მოერყა და მის გამგებლობას დიდი დღე აღარ ეწერა.

ᲐᲛᲘᲜᲘ

იმ დრომდე კი: ირან-თურქეთის ძალადობით დაქანცული საქართველო რუსეთისკენ გადაიხარა, ერთმორწმუნე მეფეს თავი დაუხარა.

გეორგიევსკის ტრაქტატი ერთადერთი შველა იყო! მაგრამ არც ის აღაფრთოვანებდა უკლებლივ ყველას; ზოგს გულსა სტკენდა, მაგრამ ამ გულნატკენ ადამიანებს ერთგვარი შვება მოჰგვარა რუსეთ-თურქეთის. ომმა, როცა რუსეთმა შემოიერთა თურქეთის მიტაცებული ქართული მიწები.

ქართველმა მხედრობამ ძველადაც ბევრი სისხლი დაღვარა, მაგრამ გატაცებული მხარე ვერ დაებრუნებინა მანამდე.

ახლა, ბერლინის ხელშეკრულებით, თურქეთი დამარცხებას აღიარებდა და რუსეთის იმპერიისათვის გადაცემული მიწა-წყალი ისევ საქართველოს უბრუნდებოდა! თუმცა ეს ტერიტორია თბილისისა და ქუთაისის გუბერნიების შემომატებად ითვლებოდა! სა-

ქართველოს ხსენება არსად იყო, მაგრამ განა სიხარულსაც არ მატებდა ის ამბავი, რომ ამიერიდან ყარსი, ართვინი, არდაგანი კვლავ დედა-სამშობლოს უერთდებოდა და ამითაც გეორგიევსკის ტრაქტატის სიკეთე მრავალ ქართველს გულს უფონებდა! რუსეთ-საქართველოს ერთმორწმუნოებრივ მეგობრობას მზიანი სამზერი უჩნდებოდა. ბერლინის ტრაქტატის 58-ე მუხლი ქართველებს საიმედოდ აუწყებდა:

„ბრწყინვალე პორტა აზიაში უთმობს რუსეთის იმპერიას არდაგანის, ყარსის, ბათუმის ტერიტორიებს ნავსადგურით. აგრეთვე ყველა ტერიტორიას, რომელიც მოექცა რუსეთ-თურქეთის ყოფილ საზღვარს შუა და ახალი საზღვრის ფარგლებში. ახალი საზღვარი, მოდენილია შავი ზღვიდან, თანახმად საზღვრის ხაზით, რომელიც დადგენილია სან-სტეფანის ხელშეკრულებით, ხორდის ჩრდილოდასავლეთის პუნქტამდე ართვინის სამხრეთისკენ, გრძელდება სწორი ხაზით მდინარე ჭოროხამდე, გადაჰკვეთს ამ მდინარეს და გადის აშმიშენის აღმოსავლეთით, გრძელდება სამხრეთისკენ სწორი ხაზით, რუსეთის საზღვართან შესაერთებლად, რომელიც აღნიშნულია სან-სტეფანის ხელშეკრულებით, ნარიმანის სამხრეთის პუნქტით და რუსეთს უტოვებს ქალაქ ოლთას. ნარიმანის ახლო აღნიშნულ პუნქტიდან, საზღვარი უხვევს აღმოსავლეთისკენ, გადის ტებრენევზე, რომელიც რუსეთს რჩება, და აღწევს პეჩეკ-ჩაიმდე“.

„ — კიდევ რა?“

— კიდევ ის, რომ:

„ამ მდინარით საზღვარი გასდევს ბარდუზამდე, მერე მიემართება სამხრეთისკენ და რუსეთს უტოვებს ბარდუზსა და იონიკოსს. პუნქტიდან, რომელიც მდებარეობს სოფელ კარაუგანის დასავლეთით, საზღვარი მიემართება მეჯინგერისკენ, სწორი მიმართულებით გრძელდება კასადაგის მთის მწვერვალამდე და გასდევს არაქსის ჩრდილოეთ შენაკადებისკენ მურადსუს სამხრეთით, რუსეთის ძველ საზღვრამდე“.

საქართველოსათვის დიდად სასიხარულო გახდა ამ ამბის გაგება, გეორგიევსკის ტრაქტატის შემდეგ რომ განხორციელდა.

ახდა დიდი ხნის ოცნება, საკუთარ ბუდეს დაუბრუნდა ოსმალთაგან მიტაცებული მიწა-წყალი! ასევე უხაროდა მოძმე სომხეთს. მასაც ბევრი ჰქონდა მანამდე დაკარგული და ისიც იბრუნებდა.

ორივე ხალხი, სომხები და ქართველები, თავ-თავიანთ ისტო-

რიულ მიწებსა და მოსახლეობას რუსეთის იმპერიას უერთებდნენ, მაგრამ ესეც გულის მოსაფონი იყო, მხოლოდ მალამოდ ედებოდა იმათაც, ვინც გულნაკლული იყო საკუთარი სუვერენობის დაკარგვით.

კავკასიის მთავარმართებლისა და მთავარსარდლის მიხეილ ნიკოლაევიჩ რომანოვის ბრძანება ოტომანის იმპერიის მესვეურთა გულის გასახეთქად გაისმა, მუდამ ჟამს რომ რუსეთს მტრობდნენ. თბილისსა და ერევანში სომეხ-ქართველთა გასახარად დაირხა მთავარმართებლის სიტყვა:

„— ბათუმში შესვლით დამთავრდა თქვენი საბრძოლო გარჯა, კავკასიის არმიის მხედრობავ!..“

ეს შემოერთება დიდად სასარგებლო იყო საქართველოსთან ერთმორწმუნეობით დაახლოებულ რუსეთისთვისაც. მას გზა ეხსნებოდა ახლო აღმოსავლეთისაკენ, რომლის ნაწილს ასევე ოსმალეთის სულთნის დამმონებელი მძიმე უღელი ედგა.

აკი სულთანიც ამბობდა:

„— ვინც კავკასიას ფლობს, ის უსიტყვოდ იბატონებს მცირე და შუა აზიაშიც!“.

კავკასიის კარიბჭეს კი ბათუმი წარმოადგენდა და მარქსიც აფასებდა ამ პატარა ქართული ქალაქის საერთაშორისო დიდ მნიშვნელობას, რომელიც ერთნაირად იზიდავდა თავისკენ ოსმალეთს და ინგლისს, გერმანიასა და საფრანგეთის მხედართმთავრებსაც. აკი თქვა კიდეც მარქსმა:

„იმის გამო, რომ ბათუმის ნავსადგური გემებისათვის ერთადერთი საიმედო თავშესაფარია შავი ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, რუსეთის მიერ ბათუმის აღება წაართმევს თურქეთს პონტოში უკანასკნელ საზღვაო სადგურს და ამით გადაიქცევა მხოლოდ რუსულ ზღვად. თუ რუსეთი ყარსთან ერთად ბათუმსაც დაისაკუთრებს, მას შესაძლებლობა მიეცემა გაწყვიტოს ვაჭრობა ინგლისსა და სპარსეთს შორის, რომელიც ტრაპეზუნდზე გადის, და შეექმნას თავისთვის ოპერატიული ბაზა როგორც ინგლისის, ისე მცირე აზიის წინააღმდეგაც“.

ბათუმის დაბრუნებამ ეროვნული კმაყოფილების გრძნობა გაუზარდა ქართველობას! დააიმედა, რომ თურქების მიტაცებულ ქართულ მიწაზე გათათრებული ქართველები მშობლიურ ბუდეს და-

ებრუნდებოდნენ, მიუხედავად უცხო სარწმუნოების ძალად თავის მოხვევისა.

მაგრამ, ობლის კვერი ბოლომდე როდი გამოცხვა. თურქული ძალადობის შემცვლელად ახლა თავი აიღერა მცდელობამ — სარწმუნოებრივი შფოთი ჩამოეგდოთ ქართველ-მუსლიმანებსა და ქრისტიანებს შორის, ერთი-მეორეს დაუპირისპირეს ერთი ერისა და ენის ორი ძმა.

მიუხედავად ასეთი შუღლის თესვისა, ქართველობა კაცთმოყვარეობის გონიერებით შეუდგა ქვეყნის შენებას; ქალაქში გაიხსნა სკოლები, დაარსდა ქართული თეატრი, შეიქმნა სტამბები. ბათუმში ექვსი ჟურნალი და გაზეთი იბეჭდებოდა, — ერთი ბერძნულ ენაზე „ეფნიკი დრასის", ორი ქართული — „ბათუმის მოამბე" და „ბათუმის გაზეთი". სამი რუსული — „ბატუმსკიე ვედომოსტი", „ბატუმეც" და „ბატუმსკი სელსკი ხაზიაინ".

1893 წელს დასრულდა ბაქო-ბათუმის რკინიგზის გაყვანა, 1900 წელს კი შეიქმნა ბაქო-ბათუმის ნავთობსადენიც. ქალაქში ამოქმედდა მრავალი სავაჭრო წარმოება, გაჩნდა მუშათა კლასი და ხისი გამჩენ-გამტყავებელი სავაჭრო და საწარმოო ბურჟუაზიაც, დაირაზმა პროლეტარიატიც და რევოლუციურმა მოძრაობამ ისე იმარჯვა, რომ რუსეთის იმპერიის მისადგომებსაც კი მისწვდა მისი ტალღის ძალა.

ქართველობა ისევ დაუბრუნდა ბათუმს! შემოერთებამდე ბათუმში 3000 მცხოვრები იყო, 1900 წელს კი 30 000-ს მიაღწია.

ეს განა ცოტაა?!

მეოცე საუკუნის დამდეგს ბათუმში მარტო ნავთობის ათზე მეტი გადამმუშავებელი და სავაჭრო ფირმა ამოქმედდა. რუსეთის რკინიგზამ უზრუნველჰყო სატრანსპორტო ტვირთის გაზიდვა ევროპიდან სპარსეთსა და შუა აზიისაკენ.

ბათუმმა ტვირთბრუნვით რუსეთში მესამე ადგილი დაიჭირა პეტერბურგისა და ოდესის შემდეგ.

ბათუმმა პირველმა დაბეჭდა ჰექტოგრაფზე მარქსისა და ენგელსის „კომუნისტური პარტიის მანიფესტი", სოღორაშვილმა რომ თარგმნა.

1884 წელს 450 ადგილიანი ქართული თეატრის ხის შენობაც გაჩნდა. რკინეულობის საწყობიც დიდ დარბაზად გადაკეთდა და

„ოკინის თეატრის“ სახელწოდებით ქართულ-რუსული წარმოდგენები ვაიმართა.

მერე ილია ჭავჭავაძის ბანკის ხარჯითა და ქველმოქმედებით ექვთიმე თაყაიშვილმა ქართველ ხელოვანთა ჯგუფი შეკრა ოსმალეთის მიერ რუსეთისათვის დაცლილ მიწებზე ქართული ძეგლების შესასწავლად. ჯგუფში ბიიწვია ინჟინერი კალგინი, ხუროთმოძღვარი ზდანევიჩი, ახალგაზრდა მხატვრები — ლადო გუდიაშვილი, დიმიტრი შევარდნაძე და მიხეილ ჭიაურელი.

ექვთიმე თაყაიშვილის ექსპედიციამ ინახულა საქართველოსათვის დაბრუნებულ მიწაზე განლაგებული ძეგლები — ოშკი, იშხანი, ხახული, პარხალი და ბანა.

განა იმათ ნახვას, ძეგლების გადაღებასა და ფრესკების გადმოხატვას მოესწრებოდნენ ქართველი მამულიშვილები, რომ რუსეთის ჯარს ბერლინის ტრაქტატით არ მოეპოვებინა საქართველოს ისტორიული ადგილების დაბრუნების უფლება?!.

მერე კი, ინგლისელმა გენერალმა მიმართა ჟორდანიას:

— ყარსის ციხე და ძთლად ყარსის ოლქიც მოითხოვს ჩვენს კუთრებულ ყურადღებას! მოვედით თქვენთან, რათა გთხოვოთ შეიყვანოთ თქვენი ჯარი იმ ოლქებში და დაადგინოთ თქვენი ბთავრობა!..

ნოემ უპასუხა:

— გენერალო, ჩვენ ქართველები ავანტიურისტები არა ვართ, თქვენს წინადადებას ვერ მივიღებთ!

— მაშ, თქვენი აზრით, ვის უნდა მიეცეს ის ოლქი, ქართველები რომ ცხოვრობენ? — შეეკითხა გენერალი.

— საქართველოს მთავრობას ამაზე არ გვიმსჯელია! მაგრამ რაკი თქვენ მოითხოვთ ჩემს ახრს, გეტყვით, რომ ამ ოლქს სომხებმა უნდა უპატრონონ!..

— არა, ამაზე ველარ ითქმის — ამინ!.. — ამოხდა ტიტე ცამიწაძეს.

სამთა მრუდე გეზი

ეროვნული ნიჰილიზმის გეზი გაგრძელდა და სამი განაპირა რესპუბლიკა სამი სხვადასხვა გზით გადაუდგა საბჭოურ რუსეთს. სამივემ თავი ერთ დემოკრატიულ რესპუბლიკებად გამოაცხადა, მმართველი პარტიები კი — სოციალისტური გეზის მიმყოლად

ასე ერჩიათ; ინტერნაციონალიზმს ფიცულობდნენ, მაგრამ თავზე ერთმანეთის საწინააღმდეგოდ შოვინისტურ ჩაჩქანს ირგებდნენ, ამჯარსაც ერთმანეთის შესაშინებლად იცვამდნენ და თავსაც იმშვიდებდნენ — ჩრდილოეთისა და სამხრეთელი სახელმწიფოების შიშით სამივენი ვერთიანდებითო, ისლამურ თურქეთსაც ისეთივე წინააღმდეგობა უნდა გაეწიოთ, როგორც საბჭოურ რუსეთსო!

რომელ მხრიდან იყო საამისო საშიშროება?

ცალ-ცალკე რომ გეკითხათ, სამივე ერთ პასუხს იტყოდა. — დამოუკიდებლობის დასაცავად თავსა ვწირავთო. მაგრამ სამივენი ერთმანეთს უმალავდნენ, რომ ურთიერთ მიწაწყლის მიტაცება ეწადათ.

თავის ძირივ დაშნაკებიც „დიდი სომხეთის“ სახელმწიფოს აღდგენაზე ოცნებობდნენ, რაკი ამერიკელების პრეზიდენტი ვილსონიც გერმანიის მოკავშირეობისთვის თურქეთზე განაწყენებით, ოსმალეთის სომხური მოსახლეობის ვილაეთებს დაშნაკური სახელმწიფოს ნაწილად აცხადებდა, ბორჩალოს, ახალქალაქისა და ახალციხის მაზრებსაც უბოძებდა და შავ ზღვაზე გასასვლელ დერეფანსაც უხსნიდა.

ოსძალები ჯერ ხმას ვერ იღებდნენ, დამარცხებული იყო. მაგრამ ქემალ-ფაშა ძალებს იკრებდა და ამიერკავკასიის სამივე დემოკრატიული რესპუბლიკის მიტაც-მოტაცების მადას იღვივებდა! ძალმოსილებლად რევოლუციურ რუსეთს მიმართავდა, მაგრამ ვერ იბრძოლებდა.

საბჭოთა ქვეყანასაც თავის გასაჭირი ადგა. სამხრეთიდან გენერალ დენიკინის „მოხალისეთა არმია“ უტევდა და რუსეთის შუაგულისაკენ მიიწევდა. ინგლის-საფრანგეთის მიერ წაქეზებული დენიკინი „ერთიანი რუსეთის“ აღსადგენად შეჯდა თეთრ ცხენზე და როდი ვისძეს ჰპირდებოდა, რომ საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი განზე დაურჩებოდა.

— ტყუილი იმედი აქვთ განაპირა ხალხებს, მეფისნაცვლის კავკასია რუსეთს უნდა დაუბრუნდეს! — იმუქრებოდა გენერალი. ამან გააბედვინა ჟორდანიას მთავრობას სოჭის ოლქში შეეჭრილიყო და ტუაფსეც დაეკავებინა მაზნიაშვილის ჯარებს! მაგრამ ასეთი რამ ინგლისელი საოკუპაციო ჯარების უფროსს ამიერკავკასიაში

არაფრად ეგაშნიკა და მოსთხოვა მაზნიაშვილს უკან დახევა, ჯარის გამოყვანა სოჭის ოლქიდან! მიაღწია კიდეც.

მაშინ რევოლუციურმა რუსეთმა საქართველოს, აზერბაიჯანსა და დაღესტანს ღეპეშით მიმართა:

„— მეფის გენერალი დენიკინი, კავკასიას უტევს, იმისათვის, რომ კვლავაც ამოგდოთ მეფის აღვირი! მან უკვე გამოაცხადა თქვენი მიწა-წყალი განუყოფელი რუსეთის ნაწილად! საბჭოთა რუსეთი მტკიცე იმედს გამოთქვამს, რომ დაღესტნის, აზერბაიჯანისა და საქართველოს გლეხები არ მისცემენ უფლებას მეფისა და ინგლისის ჯალათ გენერალს გატკეპნოს თქვენი თავისუფლება!..“

ჩიჩერინის მოწოდება ყუმბარასავით გასკდა ამიერკავკასიის მმართველი პარტიების ბანაკში. მაგრამ უფროსობამ პირში წყალი დაიგუბა, რევოლუციური რუსეთის მოწოდებას მზის სინათლე არ ანახვა, ხალხის გულამდე არ მიუშვა.

ერთმანეთში კი ქიშპი გააგრძელეს.

შუაკაცად ამერიკა ჩაეჩარა და მოსარიგებლად სამივე რესპუბლიკის მიწა-წყალი გაიხადა.

საქართველოს მენშევიკური მთავრობაც დაეთანხმა მდიდარი შუამავლის ნებას. ვილსონის დაპირებით დაშნაკების სახელმწიფო საზღვარი ხმელთაშუა და შავ ზღვამდეც მიდიოდა. ამით საქართველოსა და თურქეთს შორის ბოლშევიკური რუსეთის საწინააღმდეგო ბუფერული დიდი ზოლი ჩნდებოდა და საქართველოსაც ახალ მოსაზღვრე სარტყელად შემოერტყმოდა, რომელიც მომავალში სიმშვიდეს მოუტანდა, რაკი მეგობრული სომხის ერი გვერდით ეყოლებოდა. დაშნაკების დელეგაციამ მოითხოვა, რომ გასასვლელი გზა მისცემოდა ტრაპიზონის ვილაეთში, აგრეთვე ტრაპიზონის დასავლეთით მდებარე ხოფამდე. ლაზისტანის სანჯაყი „დიდი სომხეთის“ სახელმწიფოს ტერიტორიაში მოექცა.

ამით შეშინებულმა ბერძნებმა, ოსმალეთზე რომ კბილი ეჭირათ და არც სომხეთის გაძლიერება ახარებდათ, „პონტოს რესპუბლიკის“ შექმნის პროექტი წამოაყენეს.

ეს კი ქართველი ტომებით დასახლებული მთელი ლაზისტანის დაკარგვას უდრიდა, რასაც არც სომხები ეთანხმებოდნენ, რაკი თავადაც ამ დიდ ნაწილზეც თვალი ეჭირათ. მენშევიკურმა მთავ-

რობამ ბანამდე ყარსის ოლქზე უარის თქმა გააუქმა და ამ საკითხთან დაკავშირებით თავისი პროექტი გამოაქვეყნა:

„— ბათუმის ოლქი, ბათუმისა და ართვინის მახრების შემადგენლობით უნდა შეუერთდეს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიას. რომელთა მოსახლეობის უმრავლესობა ქართველი მუსლიმანები არიან. ბათუმის ოლქის დაყოფა და რომელიმე მისი ნაწილის სხვა, და არა საქართველოს სახელმწიფოს შემადგენლობაში შეყვანა უსათუოდ გამოიწვევს უღრმეს უთანხმოებას და გაამწვავებს ურთიერთობას ამიერკავკასიის მეზობელ ხალხთა შორის! თუ დამტკიცდება, რომ გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული თუ სხვა რაიმე პირობების გამო ზღვაზე გამოსასვლელმა სომხეთის გზამ უსათუოდ უნდა ჩაიყოლიოს იმ ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც ქართველი ხალხი თავის ეროვნულ კუთვნილებად თვლის და რომლის მიღებას ამ საბუთით ცდილობს, — ქართველი ხალხის უფლებები უნდა იქნეს შეწყნარებული, ზღვისაკენ ზემორე მოხსენებული გასავალი. ესე იგი, სომხეთის რკინიგზების მიბჯენა შავ ზღვაზე განზრახულ გასავალზე შესაძლებელია მოეწყოს სპეციალური შეთანხმების საფუძველზე, და ვნება არ მიეცეს ამ ტერიტორიების მიმართ საქართველოს სუვერენობას. ბათუმის ავტონომიური რესპუბლიკის დაარსება, რომელშიაც შევა აგრეთვე ბათუმის ოლქის ნაწილი, აუცილებლად გამოიწვევს ამიერკავკასიის სახელმწიფოთა შორის ისედაც საკმაოდ ურთიერთობის კიდევ მეტს გართულებას! ეს გადაწყვეტილება სასოწარკვეთილებას მოჰგვრის ქართველ ხალხს, რომელსაც ჩამოართვეს მისი საუკეთესო ნავსადგურის მფლობელობა: სრულიად არ არის იგი აუცილებელი არც საქართველოს მოსაზღვრე ქვეყნების ვაჭრობისა და ეკონომიური მოთხოვნილებების თვალსაზრისით, არც საერთაშორისო სავაჭრო ტრანზიტის საჭიროებით, განსაკუთრებით სპარსეთთან, ვინაიდან ყველა ეს ინტერესები, რომელთა მნიშვნელობას საქართველოს მთავრობა სავსებით აფასებს, შესაძლებელია დაკმაყოფილდეს, და საჭირო გარანტიები უზრუნველყოფილ იქნეს სპეციალური შეთანხმებით, რომელსაც შეკრავენ დაინტერესებული მხარეები, უშუალოდ, ანდა უმაღლესი საბჭოს ან ერთა ლიგის დახმარებით! ამ საფუძველზე აგებული ბათუმის ნავსადგური, საქართველოს ხელდების ქვეშ, მართლად გახდებოდა ამიერკავკასიის სამი რესპუბლიკის გასავალად და ამავე დროს საერთაშორისო სავაჭ-

როების საწყობ ადგილად, — ამ შემთხვევაში ქალაქი ხელოვნურად არ იქნებოდა თავის შიდა ქვეყანას ჩამოშორებული და საქართველოს უფლებები ბათუმზე არ იქნებოდა დარღვეული. საქართველოს მთავრობა ადასტურებს თავის წინანდელ პრეტენზიებს... ყარსის ორ ნაწილზე: არდაგანსა და ოლთისზე. შესაძლებელია, საერთო პოლიტიკის მოსაზრებით და სამშვიდობო ხელშეკრულებების შესრულების უზრუნველსაყოფად დიდი სახელმწიფოები შესაფერისად ჩათვლიან ბათუმის ნავსადგურში იქონიონ სამხედრო და საზღვაო ბაზა! ამ მიზნისათვის ხელისშეწყობა უზრუნველი უნდა ჰქონდეს დიდ სახელმწიფოებს და ყველაზე ადვილი გზა კი არის საქართველოსთან სავაჭრო შეთანხმების და კონვენციების დადება!"

საქართველო ამ დავაში მარტო არ დარჩა

მუსავატელური მთავრობა სამართლიანად არ თვლიდა, რომ დაშნაკებისათვის მიეცათ ოსმალეთის ზოგიერთი ტერიტორია! მათი დელეგაციის თავმჯდომარე ალი — მარდან-ბეგ თოფშიბაშევი დაჟინებით მოითხოვდა საქართველოს შეერთებოდა ყარსის მთელი ოლქი! საქართველო კი ოთხიდან მხოლოდ ორ მაზრას ითხოვდა, — არდაგანსა და ოლთისს.

ტერიტორიული საკითხის გადაწყვეტა შეუძლებელი გახდა. სულ უფრო ნათელი იყო, რომ სამივე რესპუბლიკაში მშვიდობა არ ჩამოვარდებოდა, თუ მათ მოსარიგებლად ჩრდილოელი მეზობელი არ გამოვიდოდა.

მაგრამ სწორედ იმის სახელითვე აშინებდნენ ერთმანეთს და ხსნას სხვა რომელიმე დიდი სახელმწიფოს ქვეშევრდომობაში ხედავდნენ.

ამიტომ ანტანტის მხრივაც ისევე გაჭირდა დემოკრატიული საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ცნობა, როგორც მანამდე გერმანია — თურქეთის მიერაც. სამთა გეზის ღერძი გამრუდდა!

ვინ შეცოდა?

ეროვნული ნიჰილიზმი ახლა ინტერნაციონალიზმის ფერუმარილით შეინიღბა. ტიტე ცამიწაძე მძიმე ფიქრმა გაიტაცა, მაგრამ ისევ ჯარდმა გამოაფხიზლა: „რა გაამაგრებს დაცემულ საქართველოს?"

— ხალხის შრომა, მმართველთა გონიერება, ეროვნული ენერგიის დაძაბვა!..

„ — განა აკლდა როდისმე ერთი, მეორე ან მესამე?“

— აქამდეც გამეგო, — მტერი სუსტს ეძალება, ძლიერს გაურბის — შიში აქვს მისიო! — ფიქრობდა ცამიწაძე.

საქართველო კი შავ დღეშია მთელ თავის ჟამს, — ვისკენ გადახრილიყო რომ მძიმე ურო არ მოხვედროდა?! გრდემლად ექცა სასთუმალი! მშვიდი ძილი არ ეწერა. დამპყრობელი დამპყრობელს მისდევდა და ამ მტრების მოგერიებაში სისხლისაგან იცლებოდა ქვეყანა...

მთქმელმა გამგონიც დააფიქრა და ათქმევინა:

„ — დავითისა და თამარის საქართველო დაგვიწყნია!..“

— არც გამიფიქრია დავიწყება, მაგრამ მეთორმეტე საუკუნიდან მეცხრამეტემდე რა იმდენი ხანია, რომ საქართველოს თავისი დამოუკიდებლობის ისეთი ციხე აეგო, რომელსაც მტერი ვერ გასტეხდა! ამ ტანჯვა-წამებით მოვაღწიეთ მეოცე საუკუნემდე, რევოლუციამდე, მაგრამ პირველ ხანებში აქაც საქმე ვერ წავიდა აღმა. მენშევიკებმა მარქსიზმის ნიღბის აფარებით რევოლუციური იდეა წელში გასტეხეს — საქართველოს „დემოკრატიული მთავრობა“ ეიწროფრაქციულ დიქტატურად იქცა.

აგრარული საკითხის გადაუჭრელობამ ჩაახშო მენშევიკების პოლიტიკა. თავადების ჩამორთმეული მიწები გლეხობას როდი დაურიგეს, — მიჰყიდეს! და მაშასადამე, მიწა იმათ მიუმატეს, ვისაც მთავრობისაგან ნაღდზე გამოსყიდვის წელი შესწევდა! ამით გლეხკაცობამ გული აიყარა მენშევიკურ მთავრობაზე. ბოლშევიკები ხომ რუსეთში უსასყიდლოდ ურიგებდნენ მიწებს და მათი მოსალოდნელი გამარჯვება საქართველოში გლეხობას აღარ აფიქრებდა, შესყიდულ მიწას ვინღა ჩამოართმევდა. ღარიბ-ღატაკებს კი სულაც უფასოდ მიუზომავდნენ. აი, ასე ბუნებრივად იბადებოდა და ბუნებრივად ღვივდებოდა ორიენტაცია ჩრდილოეთზე! გლეხი პრაქტიკულად ნსჯიდა — ის კარგად გრძნობდა, რომ სიკეთესა და სიმშვიდეს არ უნდა მოელოდე სამხრეთელი მეზობლის — თურქეთის მოძალებისაგან, მიწას იგი ისევ ფეოდალებს დაუბრუნებდა და ათას ჭირსა და განსაცდელს ბეგების რისხვაც დაემატებოდათ!

საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირა, — ხან თურქეთისკენ იზნიქებოდა, მაგრამ ხახაში რომ არ

ჩავარდნოდა, შემწეობას გერმანიის იმპერატორს ეღალადებოდა! ხანაც თავს უხრიდა ინგლისს, მაგრამ იმის მბრძანებლობაც აშინებდა და მაშინ, ორ ცეცხლ შუა მოქცეული „სიკვდილის ცეკვა-ფერხულს“ იწყებდა; ხან იმას წაუწვებოდა, სადაც უფრო ოლიარი ქარი მოქროდა და ბრესტის ზავით გაწირულ არდაგანსა და ალბანის გარდა, ბათუმ-ახალციხეს მხარესაც სწირავდა. გერმანელებს შესახვედრად იკაზმებოდა და ინგლისელებსაც ეპატიჟებოდა! მაგრამ განა ასეთი საქციელით მოსახლეობის გულს მოიგებდა?!

რამ მიიყვანა უფსკრულში დამოუკიდებლობის მოწადინე საქართველოს მთავრობა?

როცა რევოლუციურ რუსეთს გაუჭირდა, შინ „დამფუძნებელი კრება“ ძირს უთხრიდა თავისი დაუთანხმებლობით, გარედან კი ვილჰელმ მეორის სარდლობა ანექსიონისტურ, ყაჩაღურ ზავს ამზადებდა, სწორედ ამ საბედისწერო დღეებში გაუჩნდათ მენშევიკებს, დაშნაკებსა და მუსავატელებს რევოლუციური რუსეთისაგან ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის სურვილი, რომელიც ძლიერ დაშავებული იყო რეალური მდგომარეობის გონივრული განსჯისაგან.

რუსეთისაგან გამოყოფილმა სამივე რესპუბლიკამ ამიერკავკასიის ფედერაცია შეადგინა, მაგრამ ერთმანეთისადმი ნდობა მაინც ვერ დაიმკვიდრეს. ფედერაციაში შემავალი მუსავატელები მოითხოვდნენ უფლებას დამოუკიდებელნი ყოფილ-ყვნენ საგარეო პოლიტიკაში, ამაზე დაშნაკური მთავრობის დათანხმება მათ სიკვდილს უფრიდა, მუსავატელები იმ მიწების შემოერთებაზეც ოცნებობდნენ, თურქებმა რომ ოსმალეთში სომხობა აჰყარეს. თანაც ჩრდილოეთის სომხეთის მაჰმადიანი მოსახლეობის, მოიანი ყარაბაღის მიმატებასაც აპირებდნენ და ესეც საგარეო პოლიტიკით საშინაო პოლიტიკის ძირფესვიანად შეტრიალებას ნიშნავდა.

სომეხ და აზერბაიჯანელთა სადავო მიწა-წყალი მენშევიკურ საქართველოსაც სიმშვიდეს ართმევდა. რადგან მუსავატელები თბილისთან ახლო ჩავლით და სომხურ მიწებზე გადავლით თურქეთისაგან წართმეულ მიწებსაც ეპოტინებოდნენ. რითაც მარტო მენშევიკებს კი არ აღელვებდნენ. დაშნაკცუთიუნელთა რესპუბლიკის დამოუკიდებლობასაც ფრთებს აჭრიდნენ და ყარსისა და ტრაპეზუნდის შუა მოქცეულ მიწებზეც ხელს აღებინებდნენ.

საგარეო პოლიტიკის ყველა ამ მოსაგვარებელ საკითხზე ახლა უკვე ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულებით დადგენილი საზღვრებით ვეღარ დაკმაყოფილდებოდნენ, რადგან სამივე რესპუბლიკამ სულწასულად უარი თქვეს ეცნოთ გერმანიის მიერ რევოლუციურ რუსეთზე თავს მოხვეული ხელშეკრულება, რომლის ძალით ართვინი და ყარსის ოლქები ოსმალეთს უბრუნდებოდა. ბრესტის ზავიდან განზე განდგომა კი ამიერკავკასიის ფედერაციულ მთავრობას იმედს აძლევდა, რომ თურქეთის მთავარი მოკავშირის გერმანიის დახმარებით, არდაგან-ყარსის ოლქებს ოსმალეთთან პირისპირ მოლაპარაკებით დაიტოვებდნენ, მაგრამ ენვერ-ფაშამ პირში ჩალა გამოავლო: არა თუ ეს ორი ოლქი, — სხვებიც მოითხოვა, ბათუმი დაიკავა და ოზურგეთიც შეიერთა, სომხეთის ტერიტორიის სხვა დიდი ნაწილიც იარაღის ქნევით გააოსმალა. მუსავატურ აზერბაიჯანისაკენ გზა გაიკაფა და ისინიც ხელგაშლილი დაელოდნენ შორიდან მოსასვლელ ერთმორწმუნე სულთანურ ოსმალოს ჯარებს.

ეს საქართველოს მიწა-წყალს წალეკვას უქადდა, ანტიმაჰმადიანურ სომხეთს კი — სულაც ამოჟლეტას. ამიტომ ნაჩქარევად შედგენილ ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკას ხმაშეუწყობელი დამოუკიდებლობის სიმღერა გამოსდიოდა, საგარეო საკითხებში შეუთანხმებლობა და ტაციობა საშინაო დამოუკიდებლობის საძირკველს უნგრევდა.

ასეთი გაორებული გრძნობით შეიკრიბნენ ისინი თურქეთის მიწვევით და მაინც გულში ფიქრობდნენ, რომ წინ აღუდგებოდნენ რევოლუციური რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე კარახანის დეპეშას, რომელიც აცნობებდა ამიერკავკასიის დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს ევგენი გეგეჭკორს:

„ — საბჭოებს გადაწყვეტილი აქვს ხელი მოაწეროს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებას და ამ აქტით ოსმალეთს უთმობს ყარსს და არდაგანს“.

ოსმალეთმა გაიგო, რომ ამიერკავკასიელები ბრესტის ზავს არა სცნობენ! ამით კიდევ უფრო გამხნევდნენ და ორჯერ მეტიც მოსთხოვეს ზავსგარეშე დარჩენილ ჯერ ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკას, მერე კი სეიმსაც. ახლა ტრაპეზუნდის კონფერენციაზე მიწვეულ სამივე რესპუბლიკის დელეგაციებს ისეთ ახალ მახეს

უგებდნენ, ო

ლ·ს გაძოც ევგენი გეგეჭკორს ძალაუნებურად უნდა ეთქვა:

— ეხლა მთავრობას არ შეუძლია სხვა გადაწყვეტილება გამოიტანოს, გარდა ოსმალოებთან ომის დაწყებისა, ჩვენ აუცილებლად ვცახით ომის გაგრძელება...

ნოე ჟორდანიამაც სეიმს აუწყა:

— ჩვენ ოფიციალურად ვდგებით საომარ ნიადაგზე!

ლენინმა კი, უაღრესად საღად განკვრიტა მძიმე პირობები და ცეკას მიმართა:

— ომისათვის საჭიროა ჯარი, ჯარი არა გვყავს, მაშასადამე, უნდა ძიეიღოთ პირობები!...

თურქეთმაც ალღო აუღო მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების ბაქიაობას და თავისი ჯარები შეიყვანა თოფის დაუცლელად არა მარტო ბრესტის ხელშეკრულებით მიტაცებულ სამივე სახჯაყში — ყარსში, არდაგანსა და ბათუმში, არამედ საქართველოს სხვა ახალ მიწა-წყალზეც, სომხეთის ნახევარზეც და აზერბაიჯანის მისადგომებშიც!

საქმის ასეთმა შებრუნებამ გეგეჭკორი ჩამოაგდო ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის საკარძლიდან და მისი ადგილი ჩხენკელმა დაიჭიოა.

* * *

დავა თურქების მიტაცებულ ბათუმში ირჩეოდა და წითელფესკიანი ასკერების დამცველობით ტარდებოდა საზეიმო ცერემონიალ·

კონფერენცია გახსნა ოსმალეთის დელეგაციის მეთაურმა, იუსტიციისა და საგარეო საქმეთა მინისტრმა ხალილ-ბეიმ.

აძიერკავკასიის დელეგაციას წინამძღვრობდა აკაკი ჩხენკელი, სომხეთისას — თბილისელი ექიმი ხატისიანი, აზერბაიჯანისას კი თოფჩიბაშევი.

ბათუმის კონფერენციას პატრონობდა გერმანიის სრულეფიზიანი წარმომადგენელი, გენერალ-მაიორი ფონ ლოსოვი, გვერდუდგხენ ომამდის თბილისში კონსულად ნამყოფი გრაფი შულბურგ· და ახალგაზრდა დიპლომატი ფონ ვეზენდოკი.

გენერალმა ფონ ლოსოვმა ადრევე მოასწრო გარიგება ფოთში მიწკეულ ქართველების დელეგაციასთან ხელშეკრულების დასადებად და გერმანიის მიერ იურიდიულ ცნობასაც ჰპირდებოდა, მაგრამ ამას გაუხმაურებლად აკეთებდა თავისივე მოკავშირე თურქეთისაგან დასამალად და არც ქართველებს აძლევდა უფლებას თავი გამოედოთ ბათუმის კონფერენციაზე: დაე, მოლაპარაკება ისე განვითარდეს, როგორც ამიერკავკასიის სამთა რესპუბლიკა შეძლებსო. ოგრამ თუ თურქებს ვერ დაიყოლიებენ ან ერთმანეთში ვერ მორიგდებიან, თურქებს კიდევ უფრო მიუსევს სამივეს და მერე თითოეულს ცალ-ცალკე გამოექომაგება, კეთილ მომრიგებლად ჩაერევა და კავკასიელ ქრისტიანებს, გრიგორიანელებსა და მაჰმადიანებს საბოლოოდ გაამწკრივებს გერმანიის იმპერატორ ვილჰელმის წვეტიანი, ბრეუყვიალა ჩაჩანაკის წინაშე მორჩილებით თავის დასახარად.

ასეთმა დაშინება-დაპირების ტაქტიკამ ბათუმის კონფერენციას „მშვიდად გაყვლეფის“ მოლაპარაკების კილო დააჩნია და ხალილ-ბეიც ცბიერი ოსმალური იერით მიესალმა სხვადასხვა გუნებით ჩამოსულ კავკასიელ დელეგატებს:

— ამიერკავკასიის თავზე ამობრწყინდა მშვენიერი ვარსკვლავი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისა!

თურქი, რევოლუციური რუსეთისაგან დამოუკიდებლობას გულისსმობდა და ხმაში ისეთ კილოს ურევდა, რომ სამივე რესპუბლიკის წარგზავნილებმა იგრძნეს — ერთმანეთისაგან დამოუკიდებლობით თურქებზე დამოკიდებულებას აძალებდა!

გენერალი ფონ ლოსოვი კი თურქი თავმჯდომარის მისალმებაჩაგონებას ისმენდა, მაგრამ წარბიც არ ეხრებოდა.

საპასუხო მისალმებით არავინ არ გამოვიდა, ალბათ, იმიტომ, რომ კონფერენცია არ გაგრძელებულიყო, მაგრამ იმოკლებდნენ სადავო გზას ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებასთან დასაბრუნებლად. ამიერკავკასიის დელეგაციის თავმჯდომარემ ძველად უარყოფილი ბრესტის ზავი ახლა თავსაშველად დაიყენა რომ ბათუმის კონფერენციაზე თურქების ძალადობით იმ ტერიტორიაზე მეტი აღარ დაეთმო, ვინემ ბრესტის ძალაუნებურმა ბედმა არგუნა:

— ამიერკავკასიისა და ოსმალეთის მთავრობის მოლაპარკება ერთად ერთ საფუძვლად უნდა დაედოს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ოსმალეთისათვის ჩვენი ტერიტორიის ნაწილის — არდაგანისა და ყარსის მიცემა! — ალაპარაკდა ჩხენკელი.

ხალილ-ბეიმ კისერი გაკვირვებით მოღრიცა, ჩხენკელმა ეს შენიშნა, მაგრამ ბრესტის სახელით აღიმართა:

— ჩვენ არ უნდა გვაიძულოთ უფრო მეტი დავუთმოთ ოსმალეთს, ვინემ ბრესტის ხელშეკრულება ითვალისწინებს!..

ხალილ-ბეიმ ახლა თვალებიც გადმოაბრიალა. ჩხენკელმა მაინც განაგრძო:

— თორემ ბოლშევიკების დასაცინი გავხდებით! „ახლა ხომ ხედავთ, იმაზე მეტს გართმევენ, რასაც ჩვენი ხელშეკრულებით გირჩევდითო“.

ხალილ-ბეიმ ჩხენკელის ჩივილს რისხვით უპასუხა:

— ბრესტის ზავზე მოლაპარაკება გერმანიასა და საბჭოების რუსეთს შორის შეწყდა საომარი მოქმედებით და, მაშასადამე, ეს ხელშეკრულებაც ვერ იქნება საფუძველი ბათუმის კონფერენციისათვის! ოსმალეთი იტოვებს უფლებას წამოაყენოს ახალი მოთხოვნა!

ჩხენკელმა მოწყალების თხოვნის თვალით გახედა გერმანელთა დელეგაციის მეთაურს ფონ ლოსოვს.

მან კი მშვიდად წარმოთქვა:

— გერმანია მხედველობაში იღებს ოსმალეთსა და ამერიკავკასიას შორის წარმოშობილ უთანხმოებას.

„მერე?!“ — იკითხა საქართველოს დელეგაციამ.

მერე ის, რომ ვისაც როგორც შეუძლია, იმდენი და ის შეაძლიოს გერმანიის მეგობრობის მოპოვების საფასურად.

მანამდე, და მისი მოპოვების მოლოდინში კი, ოსმალეთმა მოხაზა ბრესტის ხელშეკრულებისაგან დიდად განსხვავებული ახალი საზღვრები, საქართველოს ჩამოეჭრებოდა არა მარტო მისი ძველი, გამაჰმადიანებული ოლქები, რომლებიც ბუნებრივად და ისტორიულად იყვნენ დაკავშირებული საქართველოსთან, არამედ ახალციხისა და ახალქალაქის მაზრებიც. სომხეთს კი სულაც ერთმეოდა მისი დიდი ნაწილი ალექსანდროპოლისა და ეჩმიაძინის მაზრები, რკინიგზის ლიანდაგებიანად ყარსი — ალექსანდროპოლი და ალექსანდროპოლ-სპარსეთის საზღვრით. ოსმალეთი აზერბაიჯანსაც ახლო უდგებოდა და ერთი ნაბიჯიღა რჩებოდა ბაქოს ნავთობის საბადოებამდე.

მოლაპარაკებამ დამოუკიდებელ საქართველოს ვერაფერი ვერ მისცა! იმედის ინსტინქტმა გერმანიაზე ორიენტაციის გაზრდის გრძნობა განუმტკიცა, მაგრამ როდი სჯეროდა, რომ ამ თვითტყვეობის უფლებასაც იოლად მოიპოვებდა.

გერმანიამაც იგრძნო; დადგა საქართველოს განწირვის ჟამი და მოწყალების თვალით მოიხედა: ფონ ლოსოვმა დახმარება აღუთქვა, მაგრამ ისე, რომ შეურაცხყოფა არ მიეყენებინა თავის მოკავშირე თურქეთისათვის. ამას უფრო მუსავატელები უღრთხოდნენ, გაჯინსკიმ ჩხენკელს ურჩია:

— დავეკითხოთ ოსმალებსაც. ასე თუ ისე, უნდა მოვათაოთ! ამერკავკასიის აღმოსავლეთ ნაწილისათვის არსებული უთანხმოება მნიშვნელოვანი არ არის. ნულარ ვაჭიანურებთ მოლაპარაკებას!

სომხეთის დელეგაციის წარმომადგენელმა ხატისიანმა კი სასიკვდილო ლახვრად მიიღო თურქების მოთხოვნა.

ქართველებსაც ასეთი ბედი ემუქრებოდათ.

სამთა რესპუბლიკის მეგობრობაში ბზარი გაჩნდა.

ამან ქართველებს ფონ ლოსოვისაკენ უბიძგა. თურქებმა კი მუქარა აღასრულეს — საქართველოს მთელი სამაჰმადიანო ნაწილი დაიჭირეს ბათუმიდან ბორჯომის ხეობამდე, ახალციხე მიიტაცეს და კასპიის ზღვის ნაპირისკენ გაიჭრნენ.

მენშევიკური მთავრობის ერთადერთი იმედი გერმანია იყო! მაგრამ ისიც განგებ ართულებინებდა თურქებს კავკასიის პრობლემას, რომ მერე მწყალობელ მომრიგებლად გამოსულიყო. გაჭირვებაში ჩავარდნილ საქართველოსაკენ რევოლუციური რუსეთის გამოწვდენილ ხელს არავითარი შედეგი არ მოჰყოლია!..

სეიმის ჰანგები

სამთა დემოკრატიული ერთიანი რესპუბლიკის შექმნის იდეას ახალი თავსატეხი გაუჩნდა.

ამერკავკასიის სეიმის პრეზიდიუმის მაგიდასთან კარლო ჩხეიძე მიდგა და დინჯად მიესალმა სეიმის წევრებს. მერე მოწვეულ სტუმრებსაც თავი დაუკრა, მაგრამ ისეთი გამომეტყველებით, რომ უფრო წინასწარ შეგონებას ნიშნავდა — ხელი არ შეეშალათ სხდომის მშვიდად ჩატარებისათვის. რაკი ისედაც შფოთით გამოწვეული საკითხების მოსმენა და გადაწყვეტა უწევდათ სოციალისტური მიმდინარეობის, მაგრამ სხვადასხვანაირად გაკაფული გზით მიმავალ სამი რესპუბლიკის ცხრამდე დაკუწმაწებული სეიმის პოლიტიკურ პარტიებს, რომლებიც წითელ რევოლუციურ დროშას ეჭიდებოდ-

ნენ, მაგრამ სხვადასხვა ფერებითაც ღებავდნენ. ამით ჰეშმარიტი რევოლუციონერობის იდეას აჭრელებდნენ.

— სიტყვა აქვს სეიმის წევრს ონიაშვილს, — აუწყა კარლო ჩხეიძემ.

დარბაზი აშრიალდა, ჩურჩული გაისმა: „სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის წევრია".

საქართველოს წარმომადგენლები ინტერესით მიაცილებენ თავის წევრს ტრიბუნისკენ, დაშნაკცუთიუნის პარტიის წარგზავნილები გულგრილად აყოლებდნენ თვალს, მუსავატელები კი სულაც უგუნებოდ უყურებდნენ.

მაგრამ ახლა ერთმანეთთან ბუტიაობის დრო არ იყო, საერთო მტერი თურქეთი, ყველას კარს უახლოვდებოდა და ჯერ კიდევ ვერ ამოეხსნათ, რომელ პარტიას უფრო დაბრალდებოდა სახელმწიფოს პოლიტიკის წარმართვაში უხერხემლობის გამოჩენა? შეერთებას კარნახობდა შექმნილი მდგომარეობა, საკითხის ისეთი კუთხით წარმოსახვას, რომ ყოველ პარტიას თავის გამამართლებელი დარჩენოდა და რომელიმე ძლიერი სახელმწიფო ორიენტაციის არჩევანში რაც შეიძლება ნაკლებად მოტყუებულიყო, ისეთი პოლიტიკური და ეკონომიური დამოუკიდებლობის პროგრამა ჩამოეყალიბებინა, რაც თავ-თავიანთ ხალხს ეროვნულ თვითმყოფადობას შეუნარჩუნებდა და ერთ ფედერაციად გაერთიანებული დამოუკიდებელ სუვერენულ სახელმწიფოდ წარსდგებოდა დასავლეთის თვალში.

— ამიერკავკასიაში მოსახლე ხალხები დიდიხანია გრძნობდნენ საერთო ცხოვრების სიკეთეს, მაგრამ იმის გამო, რომ არ შეეძლოთ საკუთარი საშუალებებით მოეწყოთ დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრება, ისინი, მდგომარეობის კარნახით, იძულებული იყვნენ შეფარებოდნენ ძლიერ ქვეყანას, რუსეთს. ეს უკანასკნელი ამიერკავკასიისათვის დიდი ხნის განმავლობაში წარმოადგენდა სახელმწიფოებრივი დიდების სიმბოლოს. რუსეთის ორიენტაციას ამიერკავკასიის ხალხებისათვის ჰქონდა ის პოლიტიკური აზრი, რომ რუსეთი როგორც ძლიერი სახელმწიფო, შესძლებდა საშიშროების ჟამს დაეცვა ისინი გარეშე და შინაური მტრებისაგან. რუსეთის ორიენტაცია, ბოლო დროს, არსებითად, გადაიქცა რევოლუციურ ორიენტაციად. ამიერკავკასიის ხალხები, რუს ხალხთან ერთად, დიდი ხნის მანძილზე ებრძოდნენ საძულველ მეფურ რეჟიმს. ამიერკავკასიის ხალხების საუკეთესო შვილები, მრავალ წელს წყდებოდ-

ენ ცხელებში. რუსეთის ხალხის საუკეთესო წარმომადგენლებთან ერთად ღვრიდნენ სისხლს 1905 წლის ბარიკადებზე და მაინც უძლებდნენ გაჭირვებას ნათელი მომავლის მოლოდინში.

ონიაშვილი წამით შეჩერდა, ღრმად ამოისუნთქა, რომ უფრო ლაღად ეთქვა სათქმელი:

— აი რატომ არის, რომ ამიერკავკასიის ხალხებმა რევოლუციის პირველ დღეებშივე იგრძნეს არაჩვეულებრივი სულიერი აღმავლობა, არ წყვეტდნენ რუსეთთან შინაგან კავშირს, სურდათ შეექმნათ და შეუდგნენ კიდეც პოლიტიკური წყობილების შენებას საერთო რუსული დემოკრატიული ფრონტის ერთობლივ ნიადაგზე.

— მართალია! — გაისმა ხმა დარბაზში და ტაშიც მოჰყვა.

— მცდარია! — დაეწია სხვა უფრო ძლიერი ხმა და ტაში იმასაც გაჰყვა. ორატორმა ორივე შეძახილს ალღო აუღო და განაგრძო:

— მაგრამ ბედს სრულიად სხვა ეწადა, მან ცხოვრება წარმართა სხვა გზით! როგორც თქვენთვის ცნობილია, მოქალაქენო, ოქტომბრის თვეში რუსეთში მოხდა დიდი რევოლუციური გადატრიალება და ამის შედეგად საერთო-რუსული დემოკრატიის ფრონტის ეს ერთიანობა დაიმსხვრა! მთელ სახელმწიფოში გაჩაღდა სამოქალაქო ომი! საშინელი ანარქია, სრული ფინანსიური და ეკონომიური კრახი, სარკინიგზო მოძრაობის მოშლა, ავტორიტეტის მქონე ერთიანი ხელისუფლების უქონლობა!.. შექმნილი ვითარება გვავალებს გადავაგდოთ გვერდზე რუსული ორიენტაცია და ვეძიოთ უკეთესი და ახალი ორიენტაცია!...

დარბაზში ერთიმეორეს საწინააღმდეგო შეძახილები გაისმა, კარლო ჩხეიძე დაემუქრა სეიმის სხდომაზე შეკრებილ გარეშე საზოგადოებას:

— უმორჩილესად ვთხოვ საზოგადოებას ნუ დაარღვევს წესრიგს, წინააღმდეგ შემთხვევაში, იძულებული ვიქნები ვთხოვო წესრიგის დამრღვევს დატოვოს სხდომა!

ორატორმა სიტყვის შეწყვეტის საშიშროება იგრძნო და მოკლეზე მიუახლოვდა დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხს:

— ამიერკავკასიის ხალხების წინაშე წარმოიშვა ასეთი ტრაგიკული მდგომარეობა: ან გამოვაცხადოთ ამიერკავკასია ამჟამად რუსეთის განუყოფელ ნაწილად და ამის შედეგად აქაც გავიმეოროთ რუსეთის სამოქალაქო ომის ყველა საშინელება, ხოლო შემდეგ კი გადავიქცეთ გარეშე ძალთა თავდასხმის არენად, — ამ შემთხვე-

ვაში თურქეთის თავდასხმა იგულისხმება, — ანდა გამოვაცხაღოთ ჩვენი დამოუკიდებლობა და საკუთარი ძალებით დავიცვათ მთელი მხარის ფიზიკური არსებობა! როცა საქმე ასეთნაირად ტრიალდება, ერთადერთი გამოსავალია სასწრაფოდ გამოვაცხადოთ პოლიტიკური თავისთავადობა და ამიერკავკასიის დამოუკიდებელი ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა!

დარბაზში ხმაური ატყდა, — პარტიათა ყველა ფრაქცია ტაშს უკრავდა. სდუმდა მხოლოდ დაშნაკცუთიუნის ფრაქცია.

ორატორი კმაყოფილი იყო, ერთი თვალის გადავლებით ყველა დაიხსომა, მაგრამ რატომ სდუმდნენ დაშნაკები — ვერ აეხსნა?! იქნებ იმიტომ, რომ მათთვის სანუკვარ ერთიან — „დიდი სომხეთის" სახელმწიფოსაგან ჩამოჭრილ და თურქეთისათვის მიცემულ მიწებზე არაფერი თქვა?!. ეს გაიფიქრა და უმალ ამის მალამოც იპოვა, რა თქმა უნდა, ისევ საბჭოთა რუსეთის გასამტყუნებლად, ბრესტ-ლიტოვსკის იძულებითი ზავის გამო ცილის დასაწამებლად:

— მოქალაქენო, მე გელაპარაკეთ ბოლშევიკური რუსეთის საშინელებებზე! ამ საშინელებებს კიდევ უნდა მივამატო ეგრეთწოდებული, ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულება, ფინალი, რომელიც ამთავრებს ბოლშევიკური რუსეთის დაშლას! თქვენთვის ცნობილია, რომ ამ ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების ძალით თურქეთს გადაეცემა ამიერკავკასიის სამი ოლქი.

— სამი ოკრუგი! — მიაწვდინა ვიღაცამ რეპლიკა.

სხდომის თავმჯდომარემ ზარი გააწკარუნა:

— უმორჩილესად გთხოვთ სიჩუმე დაიცვათ!

— ამგვარად, — განაგრძო ორატორმა, — ამიერკავკასიის ხალხების წინაშე მთელი სიგრძე-სიგანით დაისვა ამიერკავკასიის დემოკრატიული რესპუბლიკის თავისთავადობისა და დამოუკიდებლობის საკითხი! ამ დროს, როცა საშიშროება გვიახლოვდება ორი მხრით: ჩრდილოეთიდან — ბოლშევიკების მხრით, და სამხრეთიდან — თურქეთის სახით, ყოველგვარი დაყოვნება და მერყეობა არყევს ქვეყნის პოლიტიკურ კურსს და ქმნის ნერვიულ ატმოსფეროს, რომელიც ხელს უშლის ქვეყნის თავდაცვის საქმეს!

— თქვენი მტკიცება, თითქოს საბჭოთა რუსეთი ამიერკავკასიას ემუქრება, სიმართლეს არ შეეფერება, — გაისმა სეიმის წევრის შეძახილი, — პირიქით, საბჭოეთის სახელმწიფოს საგარეო საქმე-

ია კომისრის მოადგილე კარახანმა ათი დღის წინათ, 13 აპრილს საგულისხმო პროტესტით მიმართა თურქეთის მფარველ გერმანიის მთავრობას, რომელშიც გამაფრთხილებლად არის ნათქვამი:

„— საბჭოები დარწმუნებული არიან, რომ თქვენ მიიღებთ საჭირო, მხოლოდ თქვენზე დამოკიდებულ ზეგავლენის ზომებს თურქეთის ხელისუფლებაზე სამოქმედოდ, მშვიდობიანი მოსახლეობის განადგურებისაგან გადასარჩენად. როგორც ამას ადგილი ჰქონდა არდაგანში“.

ონიაშვილმა იგრძნო, რომ საბჭოეთის გამტყუნების ტენდენციურობაში თავის მართლება გაუძნელდებოდა; ამიტომ მენშევიკების, დაშნაკებისა და მუსავატელების ფრაქციების ზეგავლენით შეძღშავებული კურსის მოწინააღმდეგეების აზრის გამომზეურებაც ლოიალად ჩასთვალა საკუთარი თავის ობიექტურად წარმოსაჩენად:

— ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ აქაც გაისმის ჩვეულებრივი დაუთანხმებლობა! — შეიცსადა მომხსენებელმა და სეიმი აპილპილდა:

— დიახაც, რომ გაისმის! ეკონომიური პირობები არ გვაძლევენ საშუალებას შევქმნათ ამიერკავკასიის დამოუკიდებელი სახელმწიფო!

— ეს არ არის სწორი! თუ ჩვენ აქ, ამიერკავკასიაში, განვიცდით ეკონომიურ კრიზისს, უფრო მეტ წილად იგი იგრძნობა რუსეთში. ამის გამო არ შეგვიძლია ველოდოთ რუსეთის მხრიდან ჩვენი ეკონომიკის გამოჯანსაღებას! — თავი იმართლა ონიაშვილმა.

— თურქეთის მხრიდან თუ მიიღებთ იმის ნახევარს მაინც, რასაც რუსეთი მოგვცემდა?

— თურქეთი სულაც დაგვღუპავს და გაგვაკოტრებს!..

— როგორც თქვენთვის ცნობილია, რუსეთის საწარმოო ძალები საშინელ მდგომარეობაშია: ყველა ფაბრიკა-ქარხანა დაკეტილია. ქვეყანა მათხოვრობს და შიმშილობს!..

— თურქეთი თავის პურით გამოგვკვებავს?!.

— არის ამის გზა, თუ ამიერკავკასიაში შეიქმნება პოლიტიკური ცხოვრების საშუალება!

— მაგრამ გაქვთ ამის იმედი?! — ახრიალდა კითხვა-პასუხი.

მომხსენებელი ერთ წამს შეცბა, შეყოვნდა, მერე კი რიხით გადაბა ჩაწყვეტილ საქმელს:

— მე წინადადებით შემოვდივარ გამოცხადდეს ამიერკავკასია დამოუკიდებელ ფედერაციულ რესპუბლიკად!

ონიაშვილი მენშევიკების ფრაქციის კუთხისაკენ გაემართა:

კარლო ჩხეიძე წამოდგა:

— ვის სურს აზრის გამოთქმა?.. სიტყვა ეძლევა რასულ-ზადეს, სეიმის წევრს, მუსავატის პარტიის ფრაქციის წარმომადგენელს.

— მე მხარს ვუჭერ მომხსენებლის ყველა დებულებას. ხომ ხედავთ, რა მდგომარეობაში აღმოვჩნდით: დავკარგეთ არდაგანი, ყარსი და ბათუმი! თუ ასე გაგრძელდა, ერთმანეთსაც დავკარგავთ, ერთმანეთს დაგვაშორებენ! ამიერკავკასია განიცდის ახლა ისეთ ტკივილს, რომელიც მშობიარობის ტკივილს შეედრება! ამიერკავკასია იბადება, არ უნდა გვაწუხებდეს ტკივილები და ეს უნდა ვაღიაროთ არა შიშის გამო, არამედ სინდისის კარნახით!

თავმჯდომარემ სიტყვა მისცა მენშევიკების პარტიის წარმომადგენელს გიორგაძეს:

— მოქალაქენო, სეიმის წევრებო! როგორც ფრაქციის წარმომადგენელი, ვერ დავუფარავ მაღალ კრებას, რომ ჩვენს ფრაქციაში არის სხვა თვალსაზრისიც, უფრო პესიმისტური შეხედულებაც.!.

გიორგაძის სიტყვამ „პესიმისტებსაც" აუშალა აზრის გაჭოხატვის საღერღელი. ეს კარლო ჩხეიძემაც იგრძნო და გამოაცხადა:

— სიტყვა ეძლევა სეიმის წევრს, სოციალისტ-რევოლუციური პარტიის წარმომადგენელს თუმანოვს.

მისი გვარის გაგონებაზევე დარბაზი აჩურჩულდა.

— მოქალაქენო, სეიმის წევრნო! პატივი მაქვს ვილაპარაკო სოციალ-რევოლუციონერების პარტიის ფრაქციის იმ ნაწილის სახელით, რომელიც ენერგიულად ეწინააღმდეგება ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაზე გამოცხადებას ამჟამად!

მქუხარე აპლოდისმენტები გაისმა. თავმჯდომარის ზარის წკარუნი ხმაურში ჩაიძირა და კარლო ჩხეიძეც მშვიდად ჩაეშვა სავარძელში. რა ქნას მეტი? თუ, მართლაც, ყოველი თავისი მუქარა შეასრულა, დარბაზიდან არა მარტო გარეშე საზოგადოებას გაადევებს, შესაძლოა სეიმის წევრებიც ამოიღოს მიზანში, მაგრამ ეს ამ უმაღლესი კანონმდებლური ორგანოს ხელყოფა იქნება და თვით თავმჯდომარეც შეეწირება! ისევ სიჩუმე და ზავი არჩია,

მით უფრო, რომ თვითონაც არის ბევრი გასაკვირის მნახავი და ძოძსმენი საზავო მოლაპარაკებების დროს. როცა დარბაზში ხმაური ჩურჩულამდე დავიდა, თუმანოვმა თავიდან დაიწყო ძაფდაუკარგავი სიტყვის დასაწყისის გაგრძელება:

— მოქალაქე, სეიმის წევრნო! ნუ მოგეჩვენებათ ასეთი უცნაური განცხადება სოციალ-რევოლუციური პარტიის წარმომადგენლის ბაგეთაგან წარმოთქმული, იმ პარტიის, რომლის დროშაზე ყოველთვის ეწერა წმინდა სიტყვები ხალხთა თვითგამორკვევის შესახებ, თავისუფლებაზე. თვით თავისთავადობის განხორციელებამდე საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში, და თუ ახლა გამოვდივართ აქ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის გამოცხადების წინააღმდეგ, ამით ჩვენ პრინციპს კი არ ვეწინააღმდეგებით, არამედ მიზანშეწონილობის პრინციპს ვითვალისწინებთ!

მერე მოკამათემ მომხსენებელ ონიაშვილისკენ მიიხედა და როცა სხდომის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძის თვალის მშვიდად გაყოლებაც შენიშნა, უფრო თამამად განაგრძო:

— ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის კომისიის წარმომადგენელმა განაცხადა, თითქოს ამიერკავკასიის ხალხები ყოველთვის ესწრაფოდნენ დამოუკიდებლობას და ახლა ახორციელებდნენ თავიანთ დიდიხნის ოცნებას! მაგრამ, მოქალაქენო, სეიმის წევრნი, ჩვენ ვიცით, რომ ამიერკავკასიის ხალხებს ერთ წელზე მეტი ხნის მანძილზე საშუალება ჰქონდათ გამოეცხადებინათ თავიანთი დამოუკიდებლობა, თავიანთი შეხედულება საკუთარ თავისთავადობაზე, იდეალებზე, და არც ერთმა ხალხმა არ დააყენა საკითხი რუსეთისაგან სრული გამოყოფის შესახებ, არც ქართველებმა, არც სომხებმა, არც აზერბაიჯანელებმა!..

ორატორმა ისევ მენშევიკების ფრაქციის სკამებისკენ გაიხედა და შენიშნა, რომ სხდომის თავმჯდომარე ჩხეიძეც იქით იყურებოდა, მერე ისიც დაინახა, რომ ნოე ჟორდანიას თვალი თვალში გაუყარა და ორივე თავიანთ წარსულს ჩაუფიქრდა: იქნებ სეიმის ტრიბუნიდან ნათქვამმა ერთი წლის წინანდელი დამოკიდებულება მოაგონა ორივეს და სხვებიც გულში დაემოწმნენ?! ამიერკავკასიის ხალხები კი არა, მათი მენშევიკი მეთაურები ქადაგებდნენ სოციალ-დემოკრატების ერთი ხელმძღვანელი ცენტრის გამგებლობაში დარჩენას და გაგონებაც არ უნდოდათ ავტონომიაზე, მით უფრო გამოყოფა-დამოუკიდებლობაზე!

თუმანოვმა ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. არც ყველაზე ძლიერ ფრაქციას მოერიდა და თავისი პარტიის მხოლოდ ერთი ნაწილის სახელით წეღან ნათქვამს სხვაც დაუმატა:

— თუ ახლა წარმოიშვა ეს იდეა. გამოყოფისა, თავისთავადობის შესახებ, მაშინ პატიოსნად უნდა აღიაროთ, რომ იგი გამომდინარეობს თურქი იმპერიალისტებისაგან!

დარბაზი ისევ ახმაურდა, თურქებზე ასე პირდაპირ ხელის გაშვერა თავისთავად გულისხმობდა იმ ბრალდებათა გაუთვალისწინებლობას, რომელიც ბოლშევიკების წინააღმდეგ ჩამოაყალიბეს და ამ სხდომაზე გამოთქვეს ონიაშვილმა და რასულ ზადემ. ეს არ ამართლებდა არც მენშევიკებს და არც მუსავატელებს. მაგრამ თუ პირველნი ხმას არ იღებდნენ, მეორეთა ფრაქციამ ვერ მოითმინა და ერთმა მათგანმა ადგილიდან წამოიძახა საყვედურის კილოთი:

— თურქეთს რას გადაეკიდე, გეკითხები?!.

— მაშ მეც გეკითხებით თქვენ, მუსავატელებო, რაკი ასე გულმოდგინედ იცავთ მენშევიკებს: თუ ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის ამჟამად გამოცხადების იდეა მართლაც, არ გამომდინარეობს თურქი იმპერიალისტების მუქარიდან, მაშინ გეკითხებით, რომელი პოლიტიკური პარტიებია, რომლებმაც დეკლარირებით გვამცნეს თავისი იდეალები, როცა ჩვენთან მიმდინარეობდა დამფუძნებელი კრების არჩევნები და რუსეთიდან ამიერკავკასიის გამოყოფას თავიანთ ლოზუნგად აყენებდნენ? ასეთი პარტია. მოქალაქენო, სეიმის წევრნო, არ ყოფილა!

— მაშინ ბოლშევიზმიც არ ყოფილა!

— თუ ახლა ისმის კითხვა, თითქოს ამიერკავკასიის დამოუკიდებლობის საკითხი ამიერკავკასიის ხალხების გულისწადილის გამოვლენის შედეგია, მაშინ მიპასუხეთ — რატომ არ ეკითხებით ხალხს, სურს თუ არა მას ეს დამოუკიდებლობა?!

ტაშმა ისევ იფეთქა, თავმჯდომარე ადგილიდან აღარ იძროდა.

— ხალხებმა რატომ არ განაცხადეს ამის შესახებ დამფუძნებელი კრების არჩევისას? რატომ არ მიმართეთ ხალხს ასეთ რთულ საკითხზე? რატომ თქვენ, ასეთი რთული საკითხის გადაჭრის დროს, ამიერკავკასიის სიკვდილ-სიცოცხლის საკითხში, არ მიმართავთ დასახმარებლად რეფერენდუმს?

დარწმუნებული ხართ, რომ ხალხი ამ საკითხის თავისუფალი

კენჭისყრით გადაჭრის დროს არ გეტყოდათ: „არა მსურს თურქეთის სულთანის მათრახით მოცემული ეს დამოუკიდებლობა“.

მოქალაქენო, სეიმის წევრნო, ყველა თქვენთვის, ალბათ, სრულიად აშკარა და ნათელია, რომ თუ ახლა ლაპარაკია ამიერკავკასიის დამოუკიდებლობაზე. ეს იმიტომ, — მე სეიმის წევრის რასულ-ზადეს სიტყვის პერიფრაზს მოვახდენ, — სინდისი კი არა, შიში გალაპარაკებთ! დაე, დემოკრატიის წარმომადგენლებმა გასაგებად და გარკვევით თქვან ამის შესახებ, მაგრამ ნუ ლაპარაკობენ ამიერკავკასიის ხალხების გულის წადილის გადმოღვრაზე, რომლებმაც მჭიდროდ დააკავშირეს თავიანთი ბედი სხვადასხვა ურთიერთობით რუსეთის ბედთან. ეს სიმართლე არ არის! ამიერკავკასია პოლიტიკური ცხოვრებით არასოდეს არ ცხოვრობდა, ამიერკავკასია დღემდე იმყოფება რუსეთზე დამოკიდებულ პოლიტიკურ და ეკონომიკურ ურთიერთობაში და თუ აქ ეყრდნობიან იმას, რომ რუსეთის ძალები დასუსტდა, — მე გეკითხებით, აქვს კი ეს ძალები თურქეთს?

— რა შუაშია აქ თურქეთი? — გაღიზიანდა მუსავატელთა ფრაქციის წევრი გაჯინსკი.

— შეგვიძლია კი ჩვენ რუსეთთან ესოდენ ხანგრძლივი ერთად ცხოვრების შემდეგ, — განაგრძო თუმანოვმა, — ვთქვათ, რომ ჩვენ არა გვაქვს არც ეკონომიური, არც პოლიტიკური, არც კულტურული კავშირი ამ სახელმწიფოსთან? თუ გინდათ პატიოსანი იყოთ, თქვენ ვერ უპასუხებთ ამ კითხვას მტკიცედ! და იმის ლაპარაკი, რომ ორიენტაცია რუსეთზე ბოლშევიკურია, მე ვაცხადებ, რომ რუსეთზე ორიენტაცია არის რევოლუციური ორიენტაცია!

დარბაზი კიდევ ერთხელ აშიშინდა და ახმაურდა:

— ბოლშევიკური ორიენტაციაა!

— ის ვინც ამბობს, რომ თითქოს რუსეთზე ორიენტაცია არის ბოლშევიკური ორიენტაცია, პატარა ბავშვებივით იქცევა, რომლებიც ხეებს იქით ტყეს ვერ ხედავენ.

სხდომა დაიძაბა: მერე ერთიმეორეს მიჰყვნენ სხვა ორატორები, სეიმის წევრები თუ ფრაქციების წარმომადგენლები, მაგრამ ისეთი გამორჩეული ვერარა თქვეს, რომ თუმანოვის სიტყვის ტოლი და დარი ყოფილიყოს.

საბოლოო სიტყვისათვის კათედრაზე ავიდა ონიაშვილი:

— მე არ დამჭირდება ბევრი ლაპარაკი კადეტ სემიონოვის წი-

ნააღმდეგ. იგი ამბობდა, რომ ჩვენი ორიენტაცია არის ამიერკავკასიის რესპუბლიკის თავისუფალი დამოუკიდებლობის ორიენტაცია თურქეთზე! მდგომარეობა კი ასეთია ჩვენთან: თურქეთი გვეუბნება:

„აღიარეთ ბრესტის ხელშეკრულება, გამოაცხადეთ დამოუკიდებლობა; თუ თქვენ ეს დამოუკიდებლობა არ გინდათ, თუ გსურთ დარჩეთ განუყოფელი რუსეთის ნაწილად, ამ შემთხვევაში მოვახდენთ ამიერკავკასიის ოკუპირებას“.

— მეც იგივე ვთქვი! — ისროლა რეპლიკა სემიონოვმა.

ალყაშემორტყმული ონიაშვილი სემიონოვს მიუბრუნდა:

— მე ვეკითხები სემიონოვს: რა გამოსავალია? ამ შემთხვევაში როგორ უნდა მოიქცნენ ამიერკავკასიის ხალხები? რა საშუალებას გვთავაზობს? შეიარაღებულ წინააღმდეგობას? ჩვენ ვცადეთ წინააღმდეგობა, მაგრამ, სამწუხაროდ მას ჯერჯერობით არ მოჰყოლია არავითარი წარმატება!

ან იქნებ სემიონოვის განკარგულებაში არის რომელიმე კადეტური პოლკები, რომელთა დაძვრა არ სურს მას ბათუმისკენ?

ვფიქრობ, ასეთი პოლკები სემიონოვს არა ჰყავს! მე მჯერა, რომ თუ სემიონოვი კვლავაც გვირჩევს შეიარაღებული ძალებით წინააღმდეგობის გაწევას, იგი დააჩქარებს ენვერ-ფაშას „მეორედ ძოსვლას“ უფრო ადრე, ვინემ ჩვენ, სოციალ-დემოკრატები, როცა ვლაპარაკობთ ამიერკავკასიის დამოკიდებულობაზე.

უცნაურია, რომ სემიონოვმა აქ ლაპარაკი დაიწყო სეიმის დათხოვნაზეც! მე არ ვიცი, ვისი სახელით ლაპარაკობდა იგი? თუ სეიმი თავისი სოციალისტური უმრავლესობის სახით არ წარმოადგენს ამიერკავკასიის დემოკრატიული ქვეყნის ხმას, მაშინ ისმის კითხვა. — ვის ნებასურვილს, „ვის აზრს“ გამოხატავს სემიონოვი? ჩანს ბოლშევიზმისადმი მისი სიმპატიები ისე გაძლიერდნენ, რომ მას სურს მიბაძოს ლენინსა და ტროცკის. — ხიშტის ძალით გარეკოს ამიერკავკასიის სეიმი, მაგრამ იგი ვერ მოესწრება ასეთ მოშენტს!

— ხიშტი რად გჭირიათ, თქვენივე სიტყვა და საქმე დაგშლით! — მიაძახა თუმანოვმა, მაგრამ ონიაშვილმა განაგრძო:

— სემიონოვს ლაპარაკი უყვარს მშვენიერ თვალებზე! უნდა შევნიშნოთ ერთხელ და სამუდამოდ. რომ როცა ლაპარაკია ორიენტაციაზე, სემიონოვს ლამაზი თვალებისათვის კი არ ვიღებდით

რუსეთის ორიენტაციას, დაე იცოდეს მან, რომ, როცა ქართველი ხალხი და კავკასიელი ხალხები რუსეთზე ორიენტირებდნენ, ისინი მიზნად ისახავდნენ გარკვეულ პოლიტიკურ მიზანს, ისინი ხელმძღვანელობდნენ იმ მოსაზრებით, რომ რუსეთი ძლიერი სახელმწიფოა, რომ იქიდან ჩვენთანაც შემოაღწევს სინათლე! მაგრამ როცა ვხედავთ, რომ რუსეთს არა აქვს ძლიერი სახელმწიფო, როცა ყველაფერი ინგრევა რუსეთში, როცა ეს სინათლე, რომლისკენაც მივილტვოდით, თანდათან ქრება, ჩვენ ვეყრდნობით ჩვენს საკუთარ ძალებს, ჩვენს რევოლუციურ დროშას, და დარწმუნებული ვართ, რომ ეს წითელი დროშა არ შეირხევა ჩვენს ხელში.

— რუსეთშიც წითელი დროშა ფრიალებს, აიღეთ ხელში! — მიაწვდინა ხმამ მომხსენებლის ყურამდე.

— აქ ამბობენ, რომ ჩვენ თითქოს უნდა მივმართოთ დახმარებისათვის ბოლშევიკურ რუსეთს! კიდევ საკითხავია, რომელი საშიშროებაა უფრო ცუდი ჩვენთვის — ბოლშევიკური თუ თურქული?.. ჩვენ ვემხრობით ამიერკავკასიის ორიენტაციას იმიტომ, რომ დარწმუნებული ვართ ამ ორიენტაციით გზას ვიკაფავთ ევროპისკენ!

სეიმის წევრთა კამათი დასრულდა.

თავმჯდომარემ კენჭი უყარა ამიერკავკასიის დამოუკიდებელ რესპუბლიკად გამოცხადებას.

სეიმმა მიიღო ეს წინადადება.

თურქეთმა კი მთელს ამიერკავკასიაზე გამოილაშქრა და სეიმს პირში ჩალა გამოავლო, ააწიოკა და მიფანტ-მოფანტა. სულთანის თათით ნაცემ-ნაბეგვი სამთა სეიმი ჯერ ნაწილ-ნაწილ დააქუცმაცა და მერე ერთმანეთის მიყოლებით მათ დაპყრობას შეუდგა.

ფონ ლოსოვის ფანდი

მაგრამ მოულოდნელად მაშველი ხელიც გამოჩნდა! გენერალმა ფონ ლოსოვმა ამიერკავკასიის დელეგაციას დახმარება შესთავაზა.

როგორც არ უნდა ყოფილიყო დელეგაციის თითოეული წევრის, — საქართველოს, სომხეთისა თუ აზერბაიჯანის პასუხი, საბოლოო ჯამში გერმანია წაუგებელი დარჩებოდა, — პირველ ყოვლისა სამივე რესპუბლიკას თურქეთისადმი შიშს გაუზრდიდა, მე-

ორეც, — თურქებსაც ანექსიონისტურ ჟინს დაუცხრობდა და ამით თავის ვასალ-მოკავშირეს კიდევ უფრო მიაჩვევდა იმ აზრს, რომ ვილჰელმს ძალაც აქვს და უფლებაც კარნახობდეს თავის ვასალ-მოკავშირეს!

გენერალი ფონ ლოსოვი თავისი წინადადების არსით ამიერკავკასიის შინაურ საქმეებში ულტიმატურად ჩაერია, ფორმით კი მწყალობელის სახე მიიღო და დელეგაციის ხელმძღვანელ ჩხენკელს შესთავაზა:

„— ბათუმის კონფერენციის მოლაპარაკება წინ არ მიდის; ოტომანისა და ამიერკავკასიის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობამ დღემდე წარმატებას ვერ მიაღწია; იმის გამო რომ ორივე მხარის ინტერესები ითხოვს რაც შეიძლება სწრაფად მიაღწიონ შედეგს, მაქვს პატივი გაგიწიოთ თქვენ, ბატონო მინისტრო, ჩემი სამსახური, როგორც შუამავალმა. გთხოვთ უარი არ მითხრათ და ოფიციალური წესით მაცნობოთ, მზად არის თუ არა ამიერკავკასია მიიღოს ჩემი წინადადება!“

ფონ ლოსოვის შუამავლობა ცისარტყელას ფერებით გადიკლაკნა ბათუმის ავდრიან ცაზე, წვიმამ გადაიღო, ქალაქის მთავარი სასტუმროს „ფრანციას“ კარიც ჭრიალით გაიღო, ამიერკავკასიის დელეგაციის სხვადასხვა ეროვნების წევრებმა ერთი გზით და სხვადასხვა ეტლებით ქალაქის ცენტრში „კრუჟოკს“ მიაშურეს ახალი ამბის საკუთარი ყურით მოსასმენად, მაგრამ უცნაური გრძნობაც მიჰყვებოდათ. შველის ხმაც ესმოდათ ჭირვეული ხალილ-ბეის დასაყოლიებლად და თურქული ფანდიც ეკვიატებოდათ!.. გზა სასტუმროდან „კრუჟოკამდე“ გრძელი არ იყო და ამ მოკლე მანძილზე ვერ ამოეხსნათ, რა იყო ეს? — შველა თუ ხაფანგი?! ამას ერთმანეთში აზრთა გაცვლა-გამოცვლა გაარკვევდა, და ყველანი გულისფანცქალით უახლოვდებოდნენ შესაკრებ ადგილს.

საღამოს ცხრის ნახევარზე უკვე დარბაზში იყვნენ ექვსივენი,— აზერბაიჯანის მხრიდან მუსავატელი გაჯინსკი და რასულ-ზადე, სომხეთიდან დაშნაკცატიუნელი კაჩაზნუნი და ხატისიანი, საქართველოდან ნაციონალ-დემოკრატი ავალიშვილი და სოციალისტ-ფედერალისტი ნიკო ნიკოლაძე!

სხდომა გახსნა ამიერკავკასიის დელეგაციის ხელმძღვანელმა ბათუმის კონფერენციაზე აკაკი ჩხენკელმა.

— ძე დღეს დილის თორმეტ საათზე მივიღე გენერალ ფონ ლოსოვის ნოტა შუამავლობის შემოთავაზების შინაარსით!

მერე ზურაბ ავალიშვილს მიმართა:

— გთხოვთ წაიკითხოთ, გაგვაცანით დელეგაციის წევრებს ეს შოულოდნელი, ჩემის აზრით, დიდად სასარგებლო წინადადება!

ავალიშვილი დინჯად წამოდგა, ერთგვერდიანი ნაბეჭდი გატკეცილი ქაღალდი აიღო, გერმანიის იმპერიის არწივის ემბლემით. ოომლის ტექსტი ჩხენკელს უკვე რამდენჯერმე ჰქონდა წაკითხული ნიკოლაძესა და ავალიშვილთან ერთად და საპასუხო აზრიც ჩასახოდა. მაგრამ, როგორც ავალიშვილის გამომეტყველება და ხმის სირბილე ავლენდა, დიდად როდი სჯეროდათ ქართველ დელეგატებს, რომ გასახარელ ამბავს მოასმენინებდნენ.

ავალიშვილმა ჩაამთავრა მოკლე ტექსტის ჩაკითხვა და შიშნაკრავად დაჯდა.

სხვებიც შეეჭვდნენ: მამედ-ჰასან გაჯინსკიმ პირველმა აღმოთქვა პირველი შთაბეჭდილება:

— ამ საკითხს საფუძვლიანი განხილვა დასჭირდება!..

ნათქვამი განხილვის გაჭიანურებას გამოიწვევდა. ესეც პირველმა კაჩაზნუნიმ იგრძნო და გაკვირვებით მიუგო:

— ვერ წარმომიდგენია, რა ეჭვის გამოწვევა შეუძლია ამ საგანს? მე სათქმელი არაფერი მაქვს! აშკარაა, გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარემ წინადადებით მოგვმართა ჩვენ და თურქეთის დელეგაციას, გერმანია თავის სამსახურს გვთავაზობს, უნდა ვისარგებლოთ ამით!..

მუსავატელი გაჯინსკი მიუბრუნდა — დაშნაკცატიუნელი კაჩაზნუნის მხარდაჭერას ვერ მოიპოვებდა თავისი წინადადების გასაყვანად, და სცადა შემოვლითი გზა მოენახა, თურქეთიც ჩაერთო:

— მე მგონია, ამ საკითხზე საჭიროა შეთანხმდეს ორი მთავრობა!

ხატისოვი გაჯინსკის შორს გამიზნულ მანევრს გაუსხლტა ხალილ-ბეისაგან მოსმენილი ამბავი გაიხსენა და შეეცადა ამით გადაეკეტა მუსავატელთა თურქეთთან მისაწვდომი გზა.

— რამდენადაც მახსოვს, პირველი სხდომის დროს ხალილ-ბეიმ თქვა, სხვათა შორის, თუკი დადგებოდა ისეთი მომენტი, რომ ჩვენსა და თურქეთს შორის თავს იჩენდა უთანხმოება, რომლის შესახებაც ჩვენ ვერ შევძლებდით მოლაპარაკებას, მაშინ შეგვეძ-

ლო მიგვემართა გერმანიის შუამავლობისათვის! გერმანიის მხრივ ასეთი დახმარების გეგმები ნათელია. როგორღა შეიძლება ამ საკითხში იყოს რაიმე უარყოფითი მხარე?

ხატისოვის ლოგიკამ გასჭრა, გაჟინსკი სიტყვიერ ფაცერში მოექცა, მაგრამ მშვიდობიანი გზით დაძვრომა მაინც სცადა: თავისაზე დადგა, რაკი მიაჩნდა, რომ სადაც დიპლომატიურ პოლემიკაში, ენით მოქსოვილ ბადეს დაუგებენ, იქ ფეხის წვერით უნდა გაარღვიოს და მუჯლუგუნის ქნევით გაჰყოს თავი. ამიტომაც განაგრძო:

— უნდა მოველაპარაკოთ ხალილ-ბეის, როგორ უყურებს იგი? გამოთქვამს კი თურქეთი თანხმობას ასეთ შუამავლობაზე?!

აშკარა გახდა, რომ მუსავატელებს თურქების აზრი უფრო გულს უფონებდა, ვინემ ფონ ლოსოვის თუნდაც შეფარული, თურქეთის მოკავშირეობით წარმოთქმული ისეთი შუამავლობა, რომლითაც გერმანიის მოგების წილი მეტი იქნებოდა, ოსმალეთისაკი იმაზე ნაკლები, რასაც შუაკაცობის გარეშეც მიიღებდა. ამიტომაც გაიმეორა: „დათანხმდება კი თურქეთი ასეთ შუამავლობაზე?“.

— მაგრამ, — შეახსენა ხატისოვმა თურქოფილ გაჟინსკის. — ჩვენს გადაწყვეტილებაში დამოკიდებულნი არა ვართ თურქეთის დელეგაციაზე!.. ჩვენ შეგვიძლია გაგვაჩნდეს საკუთარი აზრი!

ჩხენკელმა იგრძნო, რომ მოკამათენი ცალმხრივად პაექრობდნენ, რასაც შესაძლოა დაეცილებინა ორივე მხარე მთავარი მიზნისაგან და ახლა თვითონ სცადა შუამავლობა. საკითხი გერმანიას დაუახლოვა:

— საეჭვოა დავუშვათ აზრი, რომ გერმანიამ გადადგა ნაბიჯი, რომელიც თავის მოკავშირეს უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენებს?! გერმანია, ალბათ, პირიქით, ისწრაფვის, რომ საქმე გაარიგოს, შეანელოს შთაბეჭდილება; ზავს, რომელიც წარიმართება თავისი მოკავშირის მისწრაფების საწინააღმდეგოდ, იგი, რასაკვირველია, არ მოისურვებს!

დაშნაკების პარტიის თავკაცმა კაჩაზნუნიმაც დაუდასტურა:

— ასეთ წინადადებაზე პასუხის დაყოვნება არ შეიძლება! მე პრეტენზია უნდა გამოვთქვა, — დილიდან აქამდე უპასუხოდ დარჩა ნოტა, ეს უხერხულია!..

— მოწინააღმდეგე მხარის თანხმობამდე პასუხის მიცემა არ შეიძლება, ამას იქნებ კონფლიქტიც მოჰყვეს! — გაჯიუტდა გაჟინსკი.

ძახაადე ჩუმად მჯდარი ნიკო ნიკოლაძეც ალაპარაკდა, ადვილად მიუხვდა ერთობლივი დელეგაციის წარმომადგენლებს რა მუცლის გვრემაც ჰქონდათ:

— არავითარ კონფლიქტს არ უნდა ველოდეთ: ჩვენ გვთხოვენ მივცეთ პასუხი, ჩვენ მას მივცემთ!

ჩხენკელმა მოკამათეთა პათოსს შორის წონასწორობის აღდგენის მომენტი იგრძნო, მაგრამ მუსავატელთა თურქოფილური მოთხოვნის გამოსამჟღავნებლად განგებ მკვეთრი კითხვით მიმართა გაჯინსკის:

— მაშასადამე, მამედ-ჰასან, თქვენ საჭიროდ მიგაჩნიათ უარვყოთ შუამავლობის წინადადება?

კითხვაზე პასუხის ისეთივე პირდაპირობით გაცემა, როგორც დასვა ჩხენკელმა, აშკარა მოწინააღმდეგედ ჩათვლიდნენ და ისევ განმეორება არჩია, ბუსდოვანი „ჰოც“ და „არაც“:

— წინასწარ დავადგინოთ საერთო თვალსაზრისი ამ საკითხზე თურქეთის დელეგაციასთან.

რასულ-ზადემ პარტიული თანადგომა არ დააყოვნა, გაჯინსკის შეეშველა:

— მათთან დაკავშირება საქმეს არ წაახდენს, დიდი დაყოვნება არ გამოვა, რაღაც ნახევარი საათი!

— მაშასადამე, ჩვენი გადაწყვეტილება დამოკიდებული უნდა იყოს ხალილ-ბეის აზრზე? — მზის შუქზე გამომთრევად ჰკითხა ჩხენკელმა.

— ხალილ-ბეისაზე კი არა. არამედ ოტომანის დელეგაციის თავმჯდომარეზე, — უპასუხა რასულ-ზადემ.

— ასეთი ეჭვი გასაგები იქნებოდა, თუ ლაპარაკი არბიტრის, მედიატორის არჩევაზე მიდგებოდა, მაგრამ ჩვენ მხოლოდ შუამავლის არჩევაზე ვლაპარაკობთ, — ახსნა ნიკოლაძემ.

გაჯინსკი მოულოდნელად მოლბა და დამყოლი ხმით გააგონა კოლეგებს:

— თანახმა ვარ ფონ ლოსოვისათვის დამაკმაყოფილებელი პასუხის გაგზავნაზე!

იმავე საღამოს ამიერკავკასიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ აკაკი ჩხენკელმა გენერალ ფონ ლოსოვს თავაზიანად აცნობა:

„ — მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ ამიერკავკასიის დელეგაცია კმაყოფილებით იღებს შემოთავაზებულ თქვენს კეთილ სამსახურს, როგორც შუამავლისას, რომელიც ინებეთ თქვენ ცხრამეტი მაისის წერილით“.

ახლა სამთა დელეგაციის შვიდ წევრს დასჭირდა მთელი კვირის ცდა პასუხის მოლოდინში.

ამასობაში სულთანის ჯარებმა ცხარე ბრძოლები გაანაღლეს, გერმანელმა გენერალმა კი ცივი უარი შემოუთვალა მენშევიკ-დაშნაკელების დასაღონებლად და მუსავატელების გასახარებლად.

„ — ცხრამეტი მაისის წერილით თქვენ ინებეთ გვცნობებინათ ჩემთვის, რომ ამიერკავკასიის რესპუბლიკის დელეგაცია იღებს ჩემი კეთილი სამსახურის წინადადებას, როგორც შუამავლისა! მე მივმართე ასეთივე წინადადებით მის უდიდებულესობას ხალილ-ბეის და ერთდროულად წარვუმძღვარე მას მხარდასაჭერი საკითხების გადამჭრელი პრაქტიკული პროექტი. სამწუხაროდ, ჩემი ცდა, როგორც ჩანს, არ დაგვირგვინდა წარმატებით!?

სეიმშიც ერთი პირი არ იყო და ერთიანი სულისკვეთებით არ გასსჯიდნენ! რაც უფრო ახლოვდებოდა ოსმალთა ღრმად შემოჭრის საფრთხე, მით უფრო ირღვეოდა სეიმის გაფარჩხული ტანი: თათრები თავის მხარეზე მიიწევდნენ, სომხები თავისაზე, ქართველებიც ასევე. 1918 წლის ოცდაექვს მაისს, სეიმმა, დიდი აყალმაყალის შემდეგ, თითონ გამოაცხადა თავი გაუქმებულად!..

დარბაზიდან დარბაზში

მხოლოდ საათი და ორმოცდაათი წუთი გავიდა ამიერკავკასიის სეიმის დეპუტატების წასვლიდან, რომ იმავე დარბაზში შევიდნენ საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრები.

კვირა დღე იყო, 1918 წლის 26 მაისი.

მეფისნაცვლის ყოფილ სასახლეზე საქართველოს ეროვნული დროშა აფრიალდა, დარბაზში კი ეროვნული საბჭოს 42 წევრი და 36 კანდიდატი თავ-თავიანთ სკამებზე დასხდნენ.

ყველაზე თავგამოსაჩენ სავარძელში გერმანიის ჯარების უფროსი გრაფი შულენბურგი დაბრძანდა მოკარნახე — მბრძანებლად, მაღალი წოდების ოფიცრების გარემოცვით; ყველას კმაყოფილე-

ბის იერი ეპჩნია. რაკი იმ დღეს რაც იქ ხდებოდა, მათი თანხმობისა და სტრატეგიის შედეგიც იყო, საქართველო უნდა ექციათ ოლიგოლუციური რუსეთის საწინააღმდეგო ფრონტის კარიბჭედ; ვიაც ბათუმ-ბაქოს მაგისტრალს პირველი დაიპატრონებოდა, ის იქცეოდა სამეჯლისო მუსიკის შემკვეთადაც! სახელად კი ამ ცეოემონიალს გინდ ამიერკავკასიის სეიმის გარდაცვალების ქელეხი რქმეოდა, გინდაც საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის გამოცხადების ალა-ფურშეტი.

ეროვნული საბჭოს პრეზიდიუმის მაგიდაზე ორი პატარა ალამი იდგა — ეროვნული და რევოლუციური, ერთი სამფერი, მეორე — მხოლოდ წითელი.

პრეზიდიუმის მაგიდას მიუახლოვდნენ საქართველოს რესპუბლიკის აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე ჟორდანია და წევრები — გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი და პავლე საყვარელიძე, მანამდე ცნობილნი, მაგრამ ახალ ვითარებაში ვინ რად იქცეოდა, ჯერ უცნობი იყო სასახლის წინ ქუჩაში თავშეყრილ უამრავი ხალხისათვის, იმათთვისაც, ვინც დარბაზში იყვნენ მიწვეულნი — სამოქალაქონი თუ სამხედრონი. ის პირებიც მობრიანდნენ, რომლებსაც თავი მოეჭონდათ მომავალი დემოკრატიული პარლამენტის ოპოზიციური ფრაქციის წევრებად.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტს თავმჯდომარემ შეკრებილებს მიმართა:

— მოქალაქენო! ეროვნული საბჭოს სხდომას გახსნილად ვაცხადებ!

ნოეს სმა ძლივს მისწვდა დარბაზის ბოლო რიგებს, არა, მღელვარებას როდი ჰგავდა, არც შიშს ან გადამეტებულ თვითსიმშვიდეს! რაღაც ისეთი კილო-კვნესით ითქვა იმ ერთი წინადადების სუთი სიტყვა. რომ შეკრებილებიც ჩააფიქრა: ზოგი თავმჯდომარის ისეთ კილოს დაღლილობით ხსნიდა, ზოგმაც იფიქრა, — „მშვიდი კაცის თქმაა“, სხვებს კი მძიმე ეჭვი შეეპარათ და აჩურჩულდნენ — „უთუოდ ცუდი რაღაც გველის“ და ნოეს ეს წინათგრძნობა აწუხებსო.

თუმცა ცუდი რატომ უნდა ეფიქრათ? განა იმიტომ არ დაიშალა სეიმი, რომ ერთ ფედერაციად გაერთიანებულმა სამმა რესპუბლიკამ ცოტაც ვერ დაუთმეს ერთმანეთს, რათა ისე ხელგადახვეულებს ეარათ, როგორც ამას თავიანთი ფრაქციული პროგრამით

აპირებდნენ, მაგრამ როგორც კი საქმით გასახორციელებელ გზაზე გადიოდნენ, მოულოდნელად ერთმანეთს ეკარგებოდნენ, სხვადასხვა ბილიკზე უხვევდნენ, რომლის მოლევით ისევ უკან ვეღარ ბრუნდებოდნენ. მათი ფეტერო კონფედერაცია უხეირო მეურმის კონკილასავით ქანაობდა და ვერც ერთხელ ვერ შეედარა სამი მეზობელი და მეგობარი ერის მოვლენებით თავმძიმედ დატვირთული ურმის უღელს, მათი გუთნისდედა და მეხრეები თავიანთი უპირობობით ერთნი აღმა ხნავდნენ, მეორენი თაქვე ფარცხავდნენ. მესამენი კი არც აქეთ იყვნენ და არც იქით, — არ იცოდნენ და ვერც ხედავდნენ. რომელი იყო სწორი გზა?!

თავმჯდომარემ ღრმად ჩაისუნთქა, თითქოს ჰაერი არა ჰყოფნისო, და მძიმედ ამოისუნთქა, თითქოს გული უფრიალებსო.

— მოქალაქენო! დღეს თქვენ მოწმენი გახდით იშვიათი ისტორიული და ამასთან ერთად, ტრაგიკული აქტისა: ამ დარბაზში გარდაიცვალა ერთი სახელმწიფო და ახლა ამავე დარბაზში საძირკველი ეყრება სხვა სახელმწიფოს!

მერე მომრიგებელი შუაკაცის კილოთი დაუმატა:

— ამ ორ სახელმწიფოს შორის, რომელთაგან ერთი მოკვდა, მეორე კი იბადება, არ შეიძლებოდა არსებულიყო ინტერესთა წინააღმდეგობა.

ამ სიტყვების შემდეგ, თითქოს სამართალი აღედგინოს და მსჯავრიც სწორი გამოეტანოს, უფრო მეტი შემწყალებლობით დააყოლა;

— და თუ პირველი როდისმე მიცვალებულთა შორის მკვდრეთით აღსდგება, მაშინ ჩვენ დარწმუნებულნი უნდა ვიყოთ, რომ მათ შორის ყოველთვის იარსებებს ინტერესთა შეთანხმება!

დარბაზმა შვებით ამოისუნთქა.

— ახალი საქართველოს სახელმწიფო, რომელიც დღეს არსდება, არ წავა რომელიმე ერის, ხალხის ან სახელმწიფოს ინტერესების საწინააღმდეგოდ!

ტაშმა იგრიალა. ნოემ პირობად დადო:

— და როდესაც ეს მიზანი მიღწეული იქნება, იგი მიეშველება იმათაც, ჩვენთან ერთად დიადი გამოცდა რომ ერგოთ!..

ჟორდანიას კბილებში გამოცრილ სიტყვას „როდესაც“ — დათქმული თვე და წელიწადი არ დაჰყვა, მაგრამ გულის დამამშვიდებელმა ტაშმა მაინც არ დაიგვიანა. ნოემ იმთავითვე განმარტა,

თუ რატომ არ ასახელებს მიახლოვებით ვადას მაინც დაპირებული „ბაუველებისათვის". საკუთარი ეროს წარსულმა გააცხენა, რომ საქართველოს ახლანდელ ვითარებასა და მომავლის მიზნებს შუა უფსკელი იდო. რომლის უცბად გადახტომა, ლიტონი სიტყვით დაძლევა — ზღაპარი იყო; მოვლენების შეცვლა — განვითარებასაც ჰქონდა საკუთარი კანონზომიერება, რასაც ზოგი იღბალს უწოდებდა. ზოგიც კოჭის ალჩუზე დაჯდომას! ამიტომ დაპირებაც იმ მოვლენებზე მიგდებით დაიბევა და თავი დაიმშვიდა.

— ახლა ხება მოთეცით გადავიდეს იმაზე, რისთვისაც აქ შევიკრიბენით! ჩვენ უკვე შემუშავებული გვაქვს აქტი საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ, რომელიც წაკითხული იქნება.

ეოდაბიამ სხვა არ შეაწუხა, თვითონვე შეიწუხა თავი.

ეროვნულმა საბჭომ და დამსწრე საზოგადოებამ ფეხზე დგომით მოისმინა აქტის კითხვა. ქართული ტექსტი არ ესმოდა მხოლოდ გრაფ შულენბურგს, არ იმჩნევდა, რადგან თარგმანი წინასწარ წაკითხულიც ჰქონდა და დალოცვილიც. ამიტომ თავაზიანად ისმენდა.

ის პირნი კი, ვინც ქართულის უცოდინარობაზე არც დარდობდნენ გვერდით, გრიგოლ ვეშაპელის კაბინეტში შევიდნენ და რუსულ ენაზე ისმენდნენ, მაგრამ, რა თქმა უნდა, ფეხზე არ იდგნენ, არც ტაშით აჯილდოვებდნენ, გზადაგზა მყიფე ხმით რაღაცას აძოიბურტყუნებდნენ და ისევ ჩუმდებოდნენ. თვითონაც უკმაყოფილონი იყვნენ, რომ მათი აქ შეკრება აღარ ჰგავდა მეფისნაცვლის სასახლის პომპეზურობას, როცა დიდის ზარხეიმით ტარდებოდა ხოლმე იმპერატორ ნიკოლოზ მეორის სადიდებელი მიღება — გაცილებანი. ახლა ყველაფერი მოსაწყენად გამოიყურებოდა და ესეც სეიმის მიცვალების გლოვას ჰგავდა.

არც გრიგოლ ვეშაპელი გამოხატავდა აღტაცებას სოციალ-დემოკრატების მთავრობის დაბადების დღით, მოთმინებით უყურებდა ცივად მომსმენ სახეებს, რომლებიც დროდადრო გაკვირვებით ახამხაებდნენ წამწამებს, იჭმუხვნიდნენ შუბლს და კუმტად კრავდნენ კოპებს. დაბნეულობა ეტყობოდათ მუსავატელებს და დამნაკცუთიუნელებს. არც მალავდნენ, — იმ მიზნით ვესწრებით თქვენს რესპუბლიკად კურთხევას, რომ ჩვენც იგივე გვიწევს ბაქოსა და ერევანშიო. მენშევიკების მიბაძვით თავ-თავიანთი რესპუბლიკების დამოუკიდებლობის გამოცხადების ცერემონიალის ჩასა-

ტარებლად იმ ღამესვე სამშობლოში მატარებლით გამგზავრება ელოდათ. ამიტომ მედიდური თავაზიანობით ითხოვეს ვეშაპელის კითხვას, რათა საკუთარი ყურით გაგონილი და თავისი თვალით ნანახი მისსალ-მისხალ გადაენერგათ მუსავატურ აზერბაიჯანსა და დაბნაკურ სომხეთში, სამთა სეიმის პარაკლისსეც ეგლოვათ და ძეხშევიკების მთავრობის დაბადების ზეიმსაც გულგრილი მოწმეებივით შეხვედროდნენ! მათი ამგვარი გაწყობილების მიზეზი ნოე რაჟ.შვილის ამპარტავნობაც იყო. — მენშევიკების ფრაქცია სეიმში უმრავლესობას წარმოადგენდა და რამიშვილი საკუთარ თავგზე გამოტანილ პოლიტიკას სხვებსაც აძალებდა. ეს ხან ძნელად შესამჩნევი ხდებოდა, ხან კი აშკარა ძალადობად იქცეოდა და ბანინ მუსავატ-დაშნაკები განზე უდგებოდნენ, მენშევიკების ფრაქციას უჯარო გენერლად ტოვებდნენ, ხანაც ფეხებში ებლანდებოდნენ და სამეფნი ერთმანეთს ენებდნენ.

მენშევიკების კარნახის გამო განაწყენებულებმა არც ახლა ღამალეს უკმაყოფილება, მათი ლიდერები დაუყოლებლობას ავლენდნენ ხან დაღმეჭილად თავის გაქნევით, ხან კი უილაჯო პროტესტის გამოთქმით! ზოგჯერ ისეთ რეპლიკასაც ისროდნენ, როგორც ერთხელ მენშევიკმა წერეთელმა შებედა თავისივე მენშევიკური მთავრობის ლიდერს. იგიც რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ოქრობირ ლიდერად ითვლებოდა, ყოველგვარი სოციალური სისტემის რუსეთის სახელმწიფოს განუყოფლობას ქადაგებდა, მაგრამ სეიმის სხდომაზე ასეთი ნაჩვევი, სოციალ-დემოკრატიული პატრიოტული ლოზუნგით ორჯერ ზედიზედ გამოსვლითაც კი ვერ იხსნა სეიმი გაჭრობისაგან! ახლა კი სასოწარკვეთამდე მისულმა ეროვნული საბჭოც შერისხა:

— რას ჩადიხართ? საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებით სამარეს უთხრით რუსეთის სოციალ-დემოკრატიას!..

თბილისელმა ექიმმა ხატისოვმაც ცუდი დიაგნოზი დაუსვა მენშევიკების მოქმედებას — რაკი ქართველები უმცირესობა ხართ, ეს სასახლეც და თბილისის საბჭოს შენობაც ნაქირაკებად ჩათვალეთო.

მუსავატელების მეთაურმა მამედ-ჰასან-ჰაჯი — გაჯინსკიმ კი კრინტიც ვეღარ დასძრა ელდანაკრავივით; წინაღამით ბათუმში ეროს საათს ითხოვდა თურქეთის დელეგაციის მეთაურ ხალილ-ბეკთან იმგვარი სეპარატიულობით მოსალაპარაკებლად, რომ არ-

ლაგან-ერთიანი აზერბაიჯანს შეერთებოდა. ბათუმში, ოზურგეთში, ახალციხესა და ახალქალაქში თურქების შემოჭრით კი სომხეთის მიწაწყალიც ისე შეკრეჭილიყო, რომ ხატისოვს ერევნის დაკარგვაც არ ასცდენოდა.

მაინც მოთმინებით მოისმინეს აქტის კითხვა და იმ ღამესვე თავ-თავიანთ გზას გაუდგნენ, რათა ახლა ბრძოლა გაეჩაღებინათ არა მარტო თურქეთის სულთანის წინააღმდეგ, არამედ ერთმანეთის საზღვრების გადმოსაწევად და გამოთავისუფლებული მიწაწყლის ერთმანეთში გასანაწილებლად.

მაგრამ ამაზე აშკარა ლაპარაკს სასარგებლოდ არა თვლიდნენ. ამის დროც მოვიდოდა, როცა თურქეთის ჯარების მთავარსარდალი ვაჰიბ-ბეი საქართველოს შეუტევდა. ასეთი დროც მალე დადგა.

მანამდე კი, რაკი აქტის წაკითხვა მშვიდობით მოათავა, მთავრობის შემადგენლობაც გააცნო. ეროვნული საბჭოსათვის სულ ერთი იყო, ვინ ეკურთხებოდა მინისტრად. არც იმას ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა, თუ მენშევიკების უმრავლესობაში ერთი რომელიმე ფედერალისტი, ან ესერიც შეეტენებოდა ისე, ხმელ ხილად, კოალიციურობის მოსაჩვენებლად, რადგან, ჟორდანიას განცხადებით, თვით მთავრობაც დროებითი იყო.

— ახლა ნება მომეცით გამოვაცხადო ჩვენი დროებითი მთავრობის შემადგენლობა, რომელიც დასახულია ფრაქციების წარმომადგენლებთან შეთანხმებით.

ჟორდანიამ კითხვით მიმართა ეროვნული საბჭოს წევრებს.

— ხომ არავინ არის წინააღმდეგი?.. მაშასადამე, დამტკიცებულია!

მერე პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაზეც მოჰყვა:

— სანამ საკანონმდებლო მუშაობას შევუდგებოდეთ, საჭიროა ძალაში დავტოვოთ კანონები, რომლებიც დღემდე არსებობს და მოქმედებს საქართველოში, მათ შორის სეიმის დადგენილებებიც!...

ეროვნული საბჭო დაეთანხმა.

— ამის შემდეგ ჩვენ უნდა მივიღოთ დადგენილება ფინანსების შესახებ! ფინანსების საქმის არაჩვეულებრივი სირთულის გამო საჭიროა დროებით დავტოვოთ ძველი ფულადი სისტემა. სანამ გამომუშავებული არ იქნება ჩვენი საკუთარი სახელმწიფოებრივი ფულადი სისტემა. სხვაგვარად რომ ვიქვათ, ამიერკავკასიას

ექნება საერთო ფულადი სისტემა მუსავატელებისა და დაშნაკცუ-თიუნელების მთავრობასთან შეთანხმებით!

სამხედრო მინისტრმა — გრიგოლ გიორგაძემ შესაძლებლად ჩათვალა თავი ეჩვენებინა ფინანსებშიც ჩახედულ კაცად და ადგილიდან ისე წამოიძახა, რომ არ შეხედა არც დიდ ნოეს და არც პატარა „ნოვეებს" — არც რამიშვილსა და ხომერიკს ჩაუკრა თვალი:

— გადავდოთ ეს საკითხი!..

დიდ ნოეს დიდად გაუკვირდა სამხედრო სტრატეგის სამთავრობო მწყობრში ფეხაუწყობლობა და არცთუ დაბალი ხმით მოუჭრა:

— გადადება შეუძლებელია!.. ფული საჭიროა ყოველ წუთს, ჩვენ კი ძალა არ შეგვწევს სასწრაფოდ შევქმნათ საკუთარი ფულადი სისტემა. სახელმწიფო ნიშნების ესკიზების დამზადება და საქართველოს სახელმწიფო გერბის ესკიზის წარმოდგენა. დავავალეთ მხატვარ ევგენი ლანსერეს. ამ საკითხის შესრულებას კონტროლს გაუწევს ნოე რამიშვილი! ფულის მოჭრის გარჯა კი ვანდოთ ფინანსთა მინისტრს, სოციალისტ-ფედერალისტ გიორგი ჟურულს! რაც შეეხება სამხედრო მინისტრს, უკეთესია გადაეჩვიოს უკან დახევის ტაქტიკას, თუ ეს მას საერთოდ თავის სტრატეგიად არ გაუხდია!..

დარბაზში ჩურჩული ატყდა: ხომ არ დაებედება საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას, მართლაც უკან-უკან დახევის ტაქტიკაო; რა უკანდახევაზეა ლაპარაკი? საიდან ელიან შემოტევას? ვის გულისხმობენ? თურქეთს? — ვაჰიბ-ბეი უკვე შემოჭრილი იყო ბათუმში!..

ინგლისელებს? — უკვე გადმოჰყავდათ თავიანთი ჯარები ფოთში...

დენიკინს? — რუსეთს უტევდა საქართველოს მარცხენა ხელის ჩრდილო სანაპიროდან.

მეხსახელა დეკუბატი

დამოუკიდებელი საქართველოს პარლამენტის პირველი სხდომა გაიხსნა. ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა პარლამენტის პრეზიდიუმი: კარლო ჩხეიძეს თავმჯდომარეობა მიეცა, სანდრო ლომთათიძესა და სისიკო მდივანს — მისი თანაშემწეობა.

მოავრობაც დაინიშნა: ნოე რამიშვილს მინისტრთა საბჭოს თავ-ჯდომაობა ერგო და შინაგან საქმეთა მინისტრობაც დაეკალა. აკაკი ჩხენკელს საგარეო საქმეთა მინისტრობა შეხვდა ევგენი გეგეჭკორის ნაცვლად, შალვა მესხიშვილი სოციალისტ-ფედერალისტების პარტიიდან მენშევიკების ფრაქციაში გადავიდა და გასამრჯელოდ იუსტიციის მინისტრობა არგუნეს! გრიგოლ გიორგაძე სამხედრო მინისტრად აამხედრეს, ნოე ხომერიკი მიწათმოქმედების მინისტრად დააწინაურეს, ერაძე კი მომარაგების მინისტრად გაამწესეს, ყველაზე მეტი დახმარება აღუთქვეს ფინანსთა მინისტრს გიორგი ეურულს, რომელსაც ერთი საბეჭდი მანქანა დაუდგეს და ისიც ხელგაშლილად ბეჭდავდა ქაღალდის ფულებს, მაგრამ ერთი რამ მაინც აწუხებდა — ეს მაგიური დაზგაც კი ვერ აუდიოდა გაუფასურებული ბონების გამოშვებას.

ძაგრამ სწორედ პირველსავე სხდომაზე მოხდა შეხლა-შემოხლა. ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ენაკვიმატი დეპუტატი გრიგოლ ვეშაპელი ადგილიდან წამოხტა და პროტესტი განაცხადა:

— თუმცა ბატონი გიორგი ეურული ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წევრია, მაგრამ ჩვენს პარტიას არ გაუგია არც არრეკა, არც დანიშნვა დღეს პარლამენტში გამოცხადებამდე!..

ნოე ჟორდანიამ ნოე რამიშვილს უკმაყოფილოდ გახედა და ჩაულაპარაკა:

— ეცი ახლა ასეთ პარტიას პატივი! თავისიანს არ ინდობენ, ჩვენ რას გამოგვყვებიან?!

— არ გამოგვყვებიან და ვაყურებიებ სეირს, მაგათ! — გამოსცრა კბილებში რამიშვილმა პარლამენტური დემოკრატიზმის პირველივე მუქარა და საბრძოლველად გაემზადა...

— თავი შეიკავე! — ურჩია ჟორდანიამ.

შემკითხველმა პროტესტს მკვახედ დაუმატა:

— ჩვენ ბატონი გიორგი ეურული არ დაგვისახელებია და ვინ დანიშნა ჩვენს დაუკითხავად? პარლამენტური წესით ჩვენთვის უნდა მოგემართათ!..

რამიშვილმა ეურულს თვალით ანიშნა გამოდიო.

ეურული პარლამენტის კათედრაზე შედგა, მაგრამ ახლა რევაზ გაბაშვილიც ვეშაპელს აჰყვა და ორმა ერთის ჩამოგდება სცადა:

— რომ მოგემართათ, ალბად სწორედ ბატონ გიორგის დავა-

სახელებდით, მაგრამ ასეთ თავის აგდებაზეც მეც პროტესტს ვაცხადებ!..

ეურულს სახე მოეჟამა, ორივე ხელით კათედრაზე მაგრად დაყრდნობით, არცთუ მტკიცე ხმით, ამოილუღლუღა:

— თუ არჩევანზე მიდგა — პარტია ან მინისტრობა — მე პარტიის დეზავუაციას მივიღებ და მინისტრად კი დავრჩები!..

დარჩა კიდეც! ამ საქმეში ვეშაპელი და გაბაშვილი აღარ გამოჭიდებიან. მხოლოდ გული მოიფხანეს და ახლა სხვა საკითხების არევ-დარევაზეც დაიჭირეს თვალი.

კათედრაზე შედგა პარლამენტის თავმჯდომარის თანაშემწე სანდრო ლომთათიძე და მენშევიკების პარტიის სახელით თავდაჯერებით განაცხადა:

— ჩვენს საკრებულოს „საქართველოს პარლამენტი" უნდა ეწოდოს!..

— წინააღმდეგი ვართ! — დაიძახა ადგილიდან პარლამენტური უფლების იმედით რევაზ გაბაშვილმა, — ეგ ეწინააღმდეგება ჩვენს მოსაზრებას, — „დარბაზი" ვუწოდოთ!

თავმჯდომარის თამაშემწემ თავის გაკანტურებით უარი სტაცა და ენაწყლიანობის არგუმენტიც გაატანა:

— ასეთ დაწესებულებას ყველგან პარლამენტი ჰქვია და ჩვენც პარლამენტი უნდა დავარქვათ!

მერე გამარჯვებულის ფერით ოდნავ დამცინავად გაიღიმა და გაბაშვილის ფრაქციას ყური აუწია:

— თქვენი მოსაზრების მიღება ყოვლად შეუძლებელია, რადგან „დარბაზი" ცხენების დასაყენებელი დიდი ოთახია და თავს ვერ შევირცხვენთ!..

მენშევიკების სკამებზე სიცილი ატყდა; რამიშვილი ხარხარებდა, ჟორდანია კი ჩაფიქრდა, აზრის ფესვის ამოხსნას დაეჭიდა.

ოპოზიციაში მდგარი დეპუტატი ფეხზე წამოდგა და ირონიითვე მიუგო:

— ალბათ, დარბაზი, რომელიც თქვენ გინახავთ, ბატონო ალექსანდრე, სულ სარკეებით იყო მორთული და საცა გაიხედავდით, სულ ცხენის თავს ხედავდით, თორემ ქართველმა კაცმა უნდა იცოდეს, რა იყო „დარბაზი" პოლიტიკურად თამარ მეფის დროს და ან დღეს რა მნიშვნელობა აქვს დარბაზს. აქედანაა სიტყვა დ ა რ ბ ა ი ს ე ლ ი ც! მაგრამ რა შეიძლება იყოს დარბაისელი ჩვენს ამ

„სალაყბოში“, რომელიც პირდაპირი თარგმანია „parlement“-ისა.

ნოე რამიშვილი სკამიდან წამოხტა, აილეწა მაგრამ პრეზიდიუმის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძის სიდარბაისლემ შეაჩერა. ცივად დაჯდა და ცხარედ აღმოხდა: «Болтун!»

თავმჯდომარის თანაშემწემ თავი საიმედოზე გასულად იგრძნო და თავმჯდომარემაც კენჭი უყარა: „პარლამენტი“ მიიღეს, „დარბაზი“ კი უარყვეს.

ჯერი მიდგა პარტიული სახელებისა და საპარლამენტო გვარების მორიგებაზე.

ალექსანდრე ლომთათიძემ მენშევიკური პარტიის სახელით ახალი წინადადებაც შეიტანა:

— რადგან ჩვენი პარლამენტი გამოსულია რევოლუციიდან და პარლამენტის ბევრი წევრი ცნობილია უფრო თავისი რევოლუციური მეტსახელით, ვიდრე გვარით, — თავმჯდომარემ, როცა სიტყვას მისცემს დეპუტატს, უნდა გამოიძახოს!... „სიტყვა ეკუთვნის ამბანაგ... მავანსა და მავანს, ესე იგი მეტსახელით, „კლიჩკით“.

პარლამენტის დარბაზი აჩურჩულდა.

გაბაშვილმა ისევ საფალავნოდ გაიწია, წეღან დამარცხებულმა ახლა უნდა შუაკავური გამოჰკრას, თორემ იმის პარტიას ნირი წაუხდება. სიტყვა მოითხოვა და თითონაც კათედრაზე შედგა:

— ბატონებო, ქართულ პარლამენტში ვართ და ქართულს კი ვამახინჯებთ! სადაური გამოთქმაა — „რადგან ჩვენი პარლამენტი გ ა მ ო ს უ ლ ი ა რევოლუციიდან“, ნუთუ მართლა ასეა? და, საერთოდ, შესაძლებელი კია პარლამენტის გამოსვლა რევოლუციიდან?! ჩვენი პარლამენტის წევრებმა ქართული სიტყვის მნიშვნელობაც უნდა იცოდნენ, თუკი ქართულ პარლამენტში ჯდომა მოუწადინებიათ! აქ მე დღესაც მესმის დამახინჯებული ქართული ენა და ეს მაშინებს, რომ ქართული პოლიტიკაც დამახინჯებულად ივლის!

— საგანს ნუ სცილდები, დეპუტატო გაბაშვილო! — შეუძახა მომარაგების მინისტრმა ერაძემ.

— გმადლობთ, რომ მეტსახელით არ მომმართეთ!.. „კლიჩკით“ არ მომამარაგეთ!

— არ გქონია კლიჩკა თვარა რაიზა არ მოგმართავდით! — ჩაუნისკარტა მიწათმოქმედების მინისტრმა ნოე ხომერიკმა.

— დიახ, ჭეშმარიტებაა, არ მაქვს მეტსახელი, „კლიჩკა“, ამი-

ტომ გაბაშვილად ვიწოდები! მაგრამ რატომ არ უფიქრდებით, სად ვართ ჩვენ, ველურ ქვეყანაში? თავი კი მოგვაქვს, კულტურული ხალხი ვართო. ჩვენს სხდომებს უცხოელები და გახათლებული გარეშე სტუმრებიც ესწრებიან და სირცხვილი იქნება, მასხრად აგვიგდებენ, რომ პარლამენტის დარბაისელმა თავმჯდომარე კარლო ჩხეიძემ მიჰმართოს დეპუტატებს. მაგალითად, — „სიტყვა ეძლევა დეპუტატ ნოე ხომერიკს კი არა, არამედ ამხანაგ „ხუნხუზს“ ან — დეპუტატ გიორგი ერაძეს კი არა, არამედ — ამხანაგ „ბრადიაგას“.

დარბაზს გაეცინა; ზოგს სიმწრის ცრემლი მოადინა თავიანთმა „კლიჩკამ“ — „კოწიამ“, „კოლიამ“, „კუჭიამ“ და „ჭიპიკომ“. დააფიქრა და მერე, როცა მთელ პარლამენტს სიცილი აუტყდა, მათაც გულს მოეშვათ და „კლიჩკობანას“ შეეშვნენ. გაბაშვილი გამარჯვებული ფალავანივით ჩამოვიდა კათედრიდან, მაგრამ მთავრობის პარტიის ბოღმა-ბღვერაც გამოიყოლა.

მერე პარლამენტის თავმჯდომარე კარლო ჩხეიძემ თავის მეგობარსა და თანამებრძოლს კაკი წერეთელს მისცა სიტყვა და დარწმუნებულიც იყო, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიის საპარლამენტო ფრაქციის ლიდერის წინადადება ერთხმად გავიდოდა ოქროპირის ორატორული მომხიბვლელობის წყალობით.

— ბატონებო, მე მჯერა, თქვენ შეგიგნიათ, რომ თავისუფალ დემოკრატიულ ქვეყნებში ყველა დეპუტატს უნდა მიეცეს უფლება ილაპარაკოს იმ ენაზე, რომელზედაც ეადვილება!

დეპუტატებმა ადგილიდან წამოიძახეს:

— საქართველოს პარლამენტში სხვა ეროვნების მხოლოდ ხუთიოდე დეპუტატია.

კაკი წერეთელი მათ წამოძახილს გაჰყვა.

— სწორედ მათთვის გასაგებ ენაზე უნდა ვილაპარაკოთ, თორემ სომხებსა და აზერბაიჯანელებს ვერც ერთი ქართველი დეპუტატი და ვერც პრეზიდიუმი ვერ გაუგებს უთარჯიმანოდ. ამიტომ ყველას გასაგებ რუსულ ენაზე უნდა მივმართოთ ხოლმე.

— რუსული კი ვიცით, მარა ზოგმა იმდენად გაქართულებულად, რომ ახალ რუსულ დიალექტს ჰგავს.

— ფიქრი არ არის, ენასაც გაიტეხთ და ყველასათვის გასაგები გახდება თქვენით გამდიდრებული დიალექტური რუსულიც.

პარლამენტში ჩოჩქოლი ატყდა, კაკი წერეთლის ოქროპირო-

ბაკ ვერ გასჭრა, კამათი მეორე დღისთვის გადაიდო, რომ პარლამენტის კულუარებში მორიგებულიყვნენ იმაზე, რამაც ტრიბუნაზე ქაოსუქი ააყენა! დიდ უმრავლესობას უჭირდა ქართულად ლაპარაკი და პარლამენტსაც თავისკენ ეწეოდა. მერე ხალხის რისხვას შეუშინდნენ და კათედრაზე დეპუტატი არსენიძე გამოუშვეს, რომელმაც წერეთელს მოუბოდიშა და ვითომც „ეროვნულ-დემოკრატებს" არც ეთქვათ, მენშევიკების სახელით წყალობა მოიღეს: საქართველოს პარლამენტს სალაპარაკო ენად ქართული მიაღებინეს.

ნაკიდ-ნამოკიდეაა

ესერებიც მენშევიკებს წაეძიძგილავნენ, — რევოლუციის ღალატი და ეროვნული ნიჰილიზმი დასწამეს. ნოე რამიშვილს არ სიამოვნებდა ესერების თამამობა ყველაფერში, მით უფრო, რომ ხალხსაც იყოლიებდნენ, მენშევიკების პროგრამაზე მწყრალი თვალით აყურებინებდნენ. ნოე ესერების სითამამეს იმით ხსნიდა, რომ მათ კისერს სამთავრობო უღელი არ ედგა, როგორც მენშევიკების პარტიას, ამიტომაც გულარხეინად ექცეოდნენ სხვების თავის ტეხას: „ოპოზიციაში გიდგავართ", დაყვირებით კი არა, თუ კარგი მთავრობა ხართ, დარწმუნებით გაგვიყოლეთ სარევოლუციო საქმეშიო!

ხალხი დაიღალა, დაიმშა, გაწყრა, მთავრობას ჯერ გაებუტა, მერე ამრეზით დაიწყო ცქერა. თბილ პურს ვინა ჩივის, ცივი მშიადიც მოენატრათ და გამოსაცხობი შეშაც გამოელიათ! თბილისის ახლომახლო ტყეები გაჩეხეს და მატარებლებიც გზად იმდენ ხანს ჩერდებოდნენ, მანამ მგზავრები ლიანდაგის გაყოლებით ქარსაწინააღმდეგო ნიკოლოზისეულ მესრებს არ დაშლიდნენ და ხეებსაც წამოაქცევდნენ, ხუთ-ხუთ მტკაველზე ხერხავდნენ, ოთხად აპობდნენ და ნედლსა და ხმელ შეშას ორთქლმავლის საქვაბეს უკეთებდნენ, რომ მძიმედ დაეძრათ და ჩაქჩაქით გზა განეგრძოთ.

„მაქსიმ გორკად" შერქმეული მატარებლის — ჭრელი ჭიაყელასავით გაწელილი და მღოლავი წითელი, მწვანე, შავ თუ ყვითელ ფერად შეღებილი ვაგონების სახურავზე მგზავრები ჭერსა ზნიქავდნენ თავიანთი ბარგი-ბარხანით და შიგაც მოხრილ-მოკუნტულნი ზეშოელების ბედს ნატრობდნენ: ვაგონში სიცხით დახუთულები

სახურავზე სუფთა ჰაერით მაინც სუნთქავდნენ, მატარებელი კი რება-ნება მიირწევდა და როცა შუშა გამოელეოდა, მაშინვე — ზემოურნიც და ქვემოურნიც — ერთობლივად „ჰოპუნას“ დასძახებდნენ და იწყებოდა გზისპირა ბაღ-ვენახების ჩეხვა-ხეხვა!

ასეთი ჩეხვა-კაფვით შორს ვერ წავიდოდა რესპუბლიკა და ამას თვალით ხედავდა ხალხი, რომელსაც სამთავრობო პარტია ყველას ერთი სიტყვით ნათლავდა, „ერს“ არქმევდა. მაგრამ როგორც კი მატარებელი ბოლო სადგურს მიაღწევდა, იმ „ერსაც“ ჯიბე-უბეებს უბრუნებდა და სულს უჩხრეკდა, — გლეხობას უნდოდ ექცეოდა და ამიტომ მიწას არ ურიგებდა, მუშებს გაფაციცებით უყურებდა, ბოლშევიზმის სენი არა სჭირდესო, ინტელიგენციას ცხვირს უბზუებდა, — თავისი პრივილეგიის დაკარგვას უშინდებაო, — ეროვნულ-დემოკრატების ნაციონალიზმს ანათემა გამოუცხადა, სოციალისტ-ფედერალისტებს დემაგოგიურობა დაუწუნა, ანარქისტებს კი სულაც შიშით ახლოს არ იკარებდა.

სოციალისტ-რევოლუციონერებიც, თავიანთ თავს ესერებს რომ უწოდებდნენ, ოპოზიციის სანგრიდან მმართველი პარტიის დაშინების გეზს ადგნენ და საქმეზე კი ყურსაც არ იბერტყდნენ.

რამიშვილმა ახლა უკვე ვეღარ მოუთმინა თავის სიყრმის მეგობარ ლევან შენგელაიას და დამტუქსავად უთხრა:

— გეყოთ ლევან, მთავრობის კრიტიკა!

— რატომ გაიხადე თავი საკრიტიკოდ? — ჩაეცინა ესერების ლიდერს, განაწყენებული მთავრობის თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა მინისტრი უარესად მოიღუშა.

— გეყოთ-მეთქი, გიმეორებ! ჩვენი შინაური საქმეებიც გვაწუხებს, თქვენ კი ფეხებში გვებლანდებით, — აგიჩემებიათ ჩვენი პოლიტიკის კრიტიკა?

— გაკრიტიკებთ იმიტომ, რომ ვხედავთ: მენშევიკების პარტია არცა ცდილობს თავისი პოლიტიკური „მეს“ გამოკვეთას, — არც ღვთისა ხართ, არც ეშმაკის! — უკმეხად უთხრა შენგელაიამ.

ნოეც აიმრიზა, მწარე სიტყვა მოადგა ენაზე.

— ხე-ხე!.. თქვენ ხომ დიდად მკაფიო პროგრამის წარმომჩენი ხართ, რაღა?! ენას აქანქარებთ მხოლოდ!

— გაკრიტიკებთ! რაკი საბაბს გვაძლევთ. გაკრიტიკებთ იმიტომ, რომ ვიცით, — თუ ოპოზიციაში მდგარმა ჩვენმა პარტიამ კბილები არ გაბოაჩინა, ისე ჩაგვყლაპავთ.

— სადამდე იჭირვეულებთ თქვენი ასეთი ტაქტიკით?

— მანამდე, სანამ ჩვენსას გავიტანთ.

— ეგაა თქვენი პოლიტიკის ღერძი?!

— დიახ, აწმყოს და მომავლის ტაქტიკაც. იარაღს არ ავიღებთ ხელში თქვენს გასარეკად. თქვენც ნუ მოგვინდომებთ ენის ამოგლეჯვას. აი, ჩვენი პროგრამის მინიმუმი.

— არა, თქვენ მაქსიმალისტები ხართ. სხვაში ვერ დამაჯერებ! გინდათ თავადებს მამულები ჩამოართვათ, მიწას ხალხის კუთვნილებად აცხადებთ! რა ხეირია მაგეთი პროგრამისაგან? — გაიქნია თავი რამიშვილმა.

— სწორედაც ვაცხადებთ? ჩვენი პარტიის პროგრამაში თეთრზე შავით გვიწერია — „სოფლის მეურნეობაში საკუთრების განზოგადება წინ უნდა უძღოდეს შრომის განზოგადებას“... კიდევ ის, რომ „მთელი მიწა მისი სიმდიდრით, წყლებით, ტყით, გამოცხადდეს ხალხის ავლადიდებად“. მიწის გამოცხადება მთელი ერის ავლადიდებად კი იმას ნიშნავს, რომ „მოისპობა მიწაზე ფეოდალების და ბურჟუების საკუთრება და გამოცხადდება სახალხო საკუთრებად... წვრილ მესაკუთრეებს მიწა არ ჩამოერთმევათ, მაგრამ არც მიეცემათ უფლება გაჰყიდონ მიწა, რადგან არავის ექნება უფლება მიწის ყიდვა-გაყიდვისა“... „მიწის მუშას შეუძლია მიწა, რომელზედაც ის მუშაობდა, თავის შვილებს და სხვებს მემკვიდრეობით გადასცეს“.

— სწორედ ამას ეწოდება თქვენი მაქსიმალისტობა ეკონომიკაში. გამოიჩინეთ მაქსიმალისტობა პოლიტიკაშიც, დაიცავით ეს პრინციპები, ბარემ მოითხოვეთ საბჭოთა მთავრობაც. — გაუბრაზდა რამიშვილი.

— ნურას უკაცრავად!.. „დამფუძნებელი კრება არის ქართველი ერის სახელმწიფოებრივი აღდგომის უზენაესი განხორციელება და მშრომელი ხალხის ბრწყინვალე გამარჯვება“, — ასე წერია ჩვენს საარჩევნო პლატფორმაში და ამას არ ვუღალატებთ! მენშევიკებმა კი რახანია უღალატეთ სოციალიზმს! თქვენი შეხედულება იმაზე, თუ რა უნდა აკეთოს სოციალისტურმა მთავრობამ, სრულიადაც არ შეეფერება იმას, რასაც აკეთებენ სოციალ-დემოკრატიის მესვეურები! დღევანდელი მთავრობა ამბობს: ჯერ ბურჟუაზიული წყობილების განმტკიცება, მისი განვითარება და მ ხ ო ლ ო დ შემდეგ მასთან ბრძოლა, — აი დეევიზი თქვენი მთავრობისა.

ჩვენი შეხედულება ამ შემთხვევაში ნათელია: სოციალისტური მთავრობა ქვეყნის სათავეში მდგომი უნდა ემსახურებოდეს სოციალიზმის საქმეს, უნდა დგამდეს მასთან დამაახლოებელ ნაბიჯებს, მოითხოვდეს მიწის უსასყიდლო სოციალიზაციას, აქამდე რომ ჩვენ მუნიციპალიზაციას ვუწოდებდით, ახლა კი „მიწის ძირითადი კანონის პროექტს“ ვარქმევთ, — გაახსნა გული ესერმა.

— რატომ უცვლით ასე ხშირად სახელებს იმას, რასაც შინაარსი არ ეცვლება? — დასცინა რამიშვილმა.

— იმიტომ, რომ უფრო! მისახვედრი იყოს გლეხობისთვის და გასაგები თქვენთვის, მენშევიკებისთვის! სამაგიეროდ არ ვიცვლით ჩვენი პროგრამის შინაარსს, რასაც თქვენზე ვერ ვიტყვით: თქვენი ნოე ჟორდანია პერანგივით იცვლის აზრებს, ეკონომიკაშიც და პოლიტიკაშიც. მიწას ვინლა ჩივის, ეროვნულ საკითხშიც ასევე იქცევით! თქვენი ეროვნული ძიებანი დაიწყო სრული ეროვნული ნიჰილიზმით და დაამთავრებთ წმინდა წყლის შოვინიზმით.

— ეგ საიდანლა მოიტანე?

— შენი პარტიის ბელადის ნაწერებიდან. იქნებ არც წაგიკითხავს? — გაგახსენებ, — გაუღიმა ესერმა.

— დიდად დამავალებ, თუ ახლავე გამახსენებ!

— სიტყვასიტყვით ჩამოგითვლით. ჟორდანიამ თქვა, იცი შენც კარგად:

„ავტონომია საქართველოსათვის დამღუპველია. ავტონომიას მოითხოვს არა მშრომელი ხალხის ინტერესები, არამედ ქართველი თავადაზნაურობის და ბურჟუაზიის ინტერესები“.

— აი, ის აზრი, რომელსაც ბატონი ნოე ჟორდანია ჩასჩიჩინებდა საქართველოს დემოკრატიას და ქართველ საზოგადოებას ათი წლის განმავლობაში, — გაახსენა შენგელაიამ.

რამიშვილმა ბუზიც არ აიფრინა.

— კიდევ გნებავს, სხვაც მოგაგონო? ინებე და შეიტკბე შენი ნოეს ტკბილი სიტყვები:

„საქართველოს ავტონომია სრულიადაც არ შეესაბამება საქართველოს ეკონომიურ ინტერესებს. პირიქით, ავტონომია თავისი საკუთარი სავაჭრო პოლიტიკით დაარღვევდა უკვე შემუშავებულ ეკონომიურ ცენტრებს, დაწყვეტდა ეკონომიურ ძაფებს, გან-

დაეკნიდა უცხო კაპიტალს. უცხო აღებ-მიცემას და ჩააყენებდა იმ მდგომარეობაში, რომელშიც ვიყავით ამ ორმოცი წლის წინათ. ავტონომია ნიშნავს ეკონომიურ რეაქციას".

— სხვა ამონაწერსაც მოგართმევ:

„ამიერკავკასიის ნაჭრებად დანაწილება, თითოეული ერისთვის მის-მისი ტერიტორიის მიზომვა — ეს ძველი ფეოდალური დროინდელი აზროვნებაა".

— ავტონომიისა და ტერიტორიის საკითხმა ბატონი ჟორდანია ისე დააშინა, რომ დაწერა შემდეგი, აწ უკვე ისტორიული სტრიქონები:

„თბილისმა დაკარგა ქართველური ხასიათი და მიიღო საერთაშორისო ელფერი"! ესერმა განაგრძო საბუთების გადმოშლა:

„თბილისი ქართველებს არ ეკუთვნისო".

— მანვე წამოაყენა თბილისის ნეიტრალიზაციის და ცალკე შტატად გამოყოფის პროექტი. თუ ტერიტორიული ავტონომია ბატონ ნოე ჟორდანიასათვის საშინელება იყო, სეპარაცია, ცალკე სახელმწიფოს დაარსება ხომ ნამდვილი წარღვნა და ჯოჯოხეთი უნდა ყოფილიყო. აი, რა ჭაობში ჩაეფლო მენშევიკების თავკაცი, გამკითხველი კი არავინ ჰყავს. მის საშინაო და საგარეო პოლიტიკას ისეთი გაქნილი და გაიძვერა მზარეულები კაზმავენ, როგორც არიან საგანგებო რაზმის ხელმძღვანელები კედია და ფაჩულია. ესენი არიან ყოფილი ბოქაულები, რომლებიც მთელი თავისი სიცოცხლე ებრძოდნენ რევოლუციონერებს! მათი მეოხებით არა ერთმა სოციალისტმა დალია სული კატორღასა და ციმბირის ტუნდრაში.

რამიშვილი აილეწა:

— მაშ, ეგრე გამოგყავს, რომ ვინც არიან დასადანაშაულებელი, ყველა მენშევიკია? ბოლშევიკები კი უცოდველნი არიან? იმათგან უნდა მოველოდეთ სიკეთეს?!

— რაც მოყვება ჩვენში ბოლშევიკების გამარჯვებას, იცი — საშინელი არევ-დარევა, ანარქია და ჩვენი დემოკრატიის და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენელთა განადგურება!.. დღეს ბრძოლას დირიჟორობს ორი მიმართულება — ბოლშევიზმი და მენშევიზმი. ბოლშევიზმი ეს არის სოციალიზმი უდემოკრატიოდ, მენშევიზმი — ეს არის დემოკრატია უსოციალიზმოდ! ჩვენ გვინდა ორივე ერთად — სოციალიზმიც და დემოკრატიაც! ამიტომ ჩვენ არ

გვინდა არც მენშევიზმი და არც ბოლშევიზმი! — ახმაურდა შენგელაია.

რამიშვილმა გასცინა:

— ახლა ბოლშევიკებსაც ჰკითხეთ, — თუ უნდიხართ ესერები? — სოციალისტ-რევოლუციონერების გრძელ სახელწოდებას რომ მოერიდენით და მოკლეთი გახვედით, თავი ესერებად მოგაქვთ!

— იმათ არც ერთი არ უნდათ! ვინ მოსთვლის რამდენი პარტიაა, მაგრამ გამოუკლებლივ წვრილბურჟუაზიული არსით თავგამოტენილი! გამონაკლისი ესერები არიან. ამიტომაც შეიყვანა ლენინმა თავის მთავრობაში, მაგრამ რა იმისი ბრალია, თუ რუსმა ესერებმა რუსეთის ბოლშევიკების მთავრობის შეცვლაც მოინდომეს და სწორედ ამას შეეწირა მთელი მათი პარტია! ჩვენ, საქართველოს სოციალისტ-რევოლუციონერები, იმგვარ შეცდომას არ დავუშვებთ! აკი ვთქვი, ჩვენი მოქმედების ფორმულაა — „იმდენად, რამდენადაც!“. სწორედ დღევანდელს ჩვენს მდგომარეობას საუკეთესოდ შეეფერება ეს ფორმულა, რევოლუციის პირველ ხანებში გამომუშავებული. იმდენად და რამდენადაც თქვენი მთავრობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ინტერესებს დაიცავს, ჩვენ მას მხარს დავუჭერთ, მაგრამ რა ნაბიჯიც არ უნდა გადადგას თქვენმა მთავრობამ, არასოდეს არ დავისახავთ იარაღის ძალით მისი დამხობის მიზანს!..

— თქვენგან ესეც დიდი წყალობაა, ღმერთმანი! მაგრამ რომც მოინდომოთ მაუზერის მოშვერა, ხელებზე მწარედ დაგკრავთ, გაგაგდებინებთ და მეტეხისაკენაც გაგიყენებთ!.. ის მარტო ბოლშევიკების სამლოცველოდ ხომ არ დარჩება?.. ზოგიერთმა ესერმაც გამოფხაჭნოს მის ნესტიან კედლებზე თავისი გვარ-სახელი! — გადასცინა რამიშვილმა.

— გვემუქრები, ხომ ნოე — მთავრობის კაცო? — იწყინა შენგელაიამ.

— მთავრობის „ნოეობა“ ნავში ჯდომაა, მაგრამ თუ ატყობ, რომ მენავე სამტროდ გიბღვერს, — სანამ ზღვაში არ გადაგაგდო, ნიჩაბი თავში უნდა ჩაჰკრა და გააბრუო, მერე გათოკო და...

— ზღვაში გადააგდო?! — გააწყვეტინა მუქარა ესერების ლიდერმა.

— რატომ ხღვაში? წყალში ცურვას ნაჩვევი ნაპირს გაბოსცურავს. მეტეხის საკანში უფრო მშვიდად იგრძნობს თავს: ხმელეთია და არ ჩაიძირება.

მიწავ-მარჩენალო

ცხარე კამათი პარტიებს შორის აგრარულ საკითხსა და გლეხკაცობის ბედიღბალზე ჯერ კიდევ თებერვლის რევოლუციამდე დაწყო. ახლაც ორატორი ორატორს ცვლიდა, არგუმენტი არგუმენტს არღვევდა, კითხვა კი გადაუჭრელი რჩებოდა.

— დიახ, გატყდა ძველი დროება, შეირყა სოფლის მყუდროება. ჯერ კიდევ გუშინ უსუსური გლეხთა მოძრაობა დღეს ნიაღვარს ემსგავსება და ძველი წყობილების წინააღმდეგ მიექანება, — ეზა დამილოცეთ, თორემ წაგლეკავთო!

«— რა გვინდაო? რას მოითხოვენო?!» — ჰკვირობდნენ გლეხობის მოძულენი.

— გლეხებს მემამულეთა მიწები უნდათ, ბატონყმური ნაშთების მოსპობა უნდათ, — აი რა ხმები ტრიალებს დღეს აჯანყებულ სოფლებში, — ამოხსნა სოფლის ჭირ-ვარამის საფუძველი კობამ.

„ფიქრი ნუ გაქვთ, ჩვენ გლეხებსაც ამოვდებთ ლაგამს!" — დაიმუქრა სტოლიპინი პეტერბურგში და ეს ხმა მთელ იმპერიაში დაირხა.

— ცდება, ვინც ტყვიაწამლით ფიქრობს გლეხების გაჩუმებას: ცხოვრებამ დაგვანახა, რომ ეს უფრო აცხოველებს და ამწვავებს გლეხთა რევოლუციურ მოძრაობას.

«— გლეხობას გაჭირვებისაგან იხსნის მხოლოდ საგლეხო ბანკების შექმნა», — აიმედებდნენ ლიბერალები მთავრობას.

— თქვენცა სცდებით, რაკი უბრალო დაპირებითა და „საგლეხო ბანკებით" ცდილობთ გლეხების დაცხრომას: გლეხებს მიწა უნდათ, ისინი სიზმარშიც კი ამ მიწას ხედავენ და, ცხადია, არ დაცხრებიან, სანამ მემამულეთა მიწებს არ ჩაიგდებენ ხელში.

«— მაგრამ როგორ უნდა ჩაიგდოს ხელში მემამულეთა მიწები გლეხკაცობამ?» — კითხვა დასვეს ესერებმა. ლიბერალებმა გულდაჯერებით უპასუხეს:

«— შეღავათიანი გამოსყიდვით. მთავრობას და მემამულეებს

ბევრი თავისუფალი მიწა აქვთ. გლეხებმა რომ ეს მიწები გამოისყიდონ, ყველაფერი თავისთავად მოეწყობა და, ამგვარად არც მწვადი დაიწვება და არც შამფური...»

კობამ სიტყვა გადაუჭრა:

— იმას აღარ კითხულობთ, რით უნდა გამოისყიდონ გლეხებმა მიწები, როცა მათ ფული კი არა, ტყავიც აღარ შეარჩინეს.

«— გლეხებს მემამულეები გაათავისუფლებენ, თუ ცოტა ხურდას ჩაუჩხრიალებენ». — დასამშვიდებლად წარმოთქვა გლეხთა მეგობარმა.

— არა!.. გლეხებს ვერ იხსნის მიწების გამოსყიდვა. ერთად-ერთი გზა მემამულეებისაგან მიწების ჩამორთმევაა, ესე იგი მიწების კონფისკაცია.

«— კონფისკაცია?! — გაიკვირვა მენშევიკმა, — მთელი მიწების ჩამორთმევა მეტისმეტია. საკმარისია ამ მიწების ნაწილი ჩამოერთვათ რომ გლეხები დაკმაყოფილდნენ».

— კეთილი, მაგრამ რა ვუყოთ, თუ გლეხებმა მეტი მოითხოვეს? წინ ხომ არ გადავეღობებით და არ ვეტყვით: შეჩერდით, ამას იქით ხელი არა გაქვთო! განა რუსეთის ამბებმა არ დაამტკიცა, რომ გლეხები მართლა მემამულეების მთელი მიწების კონფისკაციას მოითხოვენ? — გაახსენა კობამ.

«— რატომ აქამდე არ მოითხოვდით სოციალ-დემოკრატები მთელი მიწების კონფისკაციას. რატომ იყო, რომ დღემდის მხოლოდ „ჩამონაჭრების“ კონფისკაციაზე ლაპარაკობდით?»

— იმიტომ, ბატონებო, რომ 1903 წელს რუსეთის გლეხობა ჯერ ჩაბმული არ იყო მოძრაობაში. პარტია მოვალე იყო ისეთი ლოზუნგი გადაესროლა სოფელში, რომელიც გულს აუნთებდა და ბატონყმობის ნაშთების წინააღმდეგ აამხედრებდა. ახლა კი გამოწვევა აღარ ესაჭიროება, — სოფელი ისედაც აზვირთებულია. და, აი, პარტია ეუბნება გლეხებს, მემამულეებისა და ხაზინის მთელი მიწების კონფისკაცია უნდა მოითხოვოთო.

«— სოციალისტ-რევოლუციონერებიც მიწების ჩამორთმევის მხარეზე ვართ და ვიქნებით, მაგრამ ჩამორთმეული მიწები სოფელს უნდა გადაეცეს ს ა ე რ თ ო საკუთრებად, ა ხ ლ ა ვ ე უნდა მოისპოს მიწის კ ე რ ძ ო საკუთრება და ამგვარად ახლავე განხორციელდება სოფლად სოციალიზმი. ჩვენ ამას ვუწოდებთ „მიწის ს ო ც ი ა ლ ი ზ ა ც ი ა ს».

— მიუღებელია თქვენი ესეთი გზა! — გადაუდგა კობა. — სოციალიზმის განხორციელება სოფლიდან ვერ დაიწყება. ქალაქია სოფლის ბელადი და, მაშასადამე ყოველი სოციალისტური საქმე ქალაქიდან უნდა იწყებოდეს. თქვენი „სოციალიზმი" უდღეური იქნება.

მაგრამ „მიწის ნაციონალიზაციის" მომხრეებმა წამოჰყვეს თავი.

კობამ ისინიც განზე დაიჭირა, რადგან მომავალი სახელმწიფო რაც არ უნდა დემოკრატიული იყოს, მაინც ბურჟუაზიული იქნება და ამისთანა სახელმწიფოსათვის მიწების გადაცემას ბურჟუაზიის გაძლიერება მოჰყვება. ეს კი დიდად საზარალოა სოფლისა და ქალაქის პროლეტარიატისათვის. თვითონ გლეხებიც წინააღმდეგი იქნებიან „მიწის ნაციონალიზაციისა" და მარტო მოიჯარადრეობას არ დასჯერდებიან. მაშასადამე, არც „მიწის ნაციონალიზაცია" არის მისაღები დღევანდელი გლეხობის მოძრაობის ინტერესებისათვისო.

სხვებმაც სხვა პრინციპი წამოაყენეს აგრარული საკითხის გადასაწყვეტად და დაბურულ ტყეში შეიკრიბნენ: „მიწის მუნიციპალიზაცია" დაიყენეს თავიდათავ ამოცანად.

— რას ნიშნავს „მიწის მუნიციპალიზაცია"? — კითხვა დასვა კობამ და თავადვე უპასუხა, — ეს, იმას ნიშნავს, რომ გლეხები საკუთრად ვერ მიიღებენ იმ მიწებს, რომლებსაც ისინი ბრძოლის დროს ართმევენ მემამულეებსა და ხაზინას. როგორ შეხედავენ ამას გლეხები? გლეხებს მიწების დასაკუთრება უნდათ, გლეხებს ჩამორთმეული მიწების დაყოფა უნდათ, ისინი სიზმარშიაც კი ხედავენ მიწებს, როგორც თავიანთ საკუთრებას, და როცა მათ ეტყვიან, რომ მიწები თქვენი კი არა, თვითმმართველობას უნდა გადაეცესო, გლეხები, უეჭველია, არ დაეთანხმებიან „მუნიციპალიზაციის" მომხრეებს. გლეხები წინანდელი გატაცებით აღარ იბრძოლებენ, რაც დიდად მავნებელი იქნება დღევანდელი რევოლუციისათვის, განზე გაგვიდგებიან. ზურგს შეაქცევენ პარტიას და შესამჩნევად შეასუსტებენ რევოლუციის ძალებს.

მენშევიკები გაჯიუტდნენ:

« — ჩვენ არ შეგვიძლია მუდამ გლეხების სურვილს ავყვეთ, პარტია თავისი პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს».

კობა დაეთანხმა:

— **სრული ჭეშმარიტებაა! პარტია თავისი პრინციპით უნდა ხელმძღვანელობდეს. მაგრამ თავისი პრინციპების მოღალატე იქნე-**

ბოდა ის პარტია, რომელიც გლეხების ყველა ზემოხსენებულ მისწრაფებას უარყოფდა; თუ გლეხების მისწრაფება მემამულეთა მიწების ხელში ჩაგდება და მათი დაყოფა არ ეწინააღმდეგება ისტორიის მიმდინარეობას, თუ ეს მისწრაფება გამომდინარეობს დღევანდელი დემოკრატიული რევოლუციიდან. თუ ფეოდალურ საკუთრებასთან ნამდვილი ბრძოლა მხოლოდ ბურჟუაზიული საკუთრების ნიადაგზე შეიძლება, თუ გლეხების სურვილებიც სწორედ ამ ტენდენციას ღაღადებს, — მაშინ თავისთავად ცხადია, რომ პარტია ვერ უარყოფს გლეხების ამ მოთხოვნას. ვინაიდან ამ მოთხოვნის მსარის დაჭერაზე უარის თქმა რევოლუციის განვითარებაზე უარის თქმა იქნებოდა. პირიქით, თუ პარტიას პრინციპები აქვს, თუ მას არ უხდა, რევოლუციის მუხრუჭად გადაიქცეს, მან ხელი უნდა შეუწყოს გლეხთა ამნაირი სურვილების განხორციელებას. ეს სურვილები კი ძირიანად ეწინააღმდეგება „მიწის მუნიციპალიზაციას"!.

დისკუსიამ ცხადყო, რომ ვერც ლიბერალების „მიწის სოციალიზაცია", ვერც სოციალისტ რევოლუციონერების „მიწის ნაციონალიზაცია", ვერც მენშევიკების „მიწის მუნიციპალიზაცია" — ვერც ერთი მათგანი ჯეროვნად ვერ დააკმაყოფილებს რევოლუციის ინტერესებს.

მაგ, როგორ უნდა დანაწილდეს ჩამორთმეული მიწები, ვის უნდა გადაეცეს საკუთრებად, რომ საბოლოოდ გადაჭრას აგრარული საკითხი?

— ცხადია, თვით გლეხებს უნდა გადაეცეს გლეხების მიერ ჩამორთმეული მიწები, რომ საშუალება მიეცეთ მათ ერთმანეთში დაიყონ ეს მიწები, — ჩამოწურა კამათის მთავარი არსი ჯულაშვილმა და მერე შემდგომი ისტორიული პროცესის სურათიც სახოვანად დახატა:

„მიწების დაყოფას აი რა მოჰყვება: ხელმოკლენი გაყიდიან მიწებს და გაპროლეტარების გზას დაადგებიან, შეძლებულნი ახალ მიწებს შეიძენენ და მიწის დამუშავების ტექნიკის გაუმჯობესებას შეუდგებიან, სოფელი კლასებად დაიყოფა, გაჩაღდება კლასთა გამწვავებული ბრძოლა და ამგვარად, საძირკველი ჩაეყრება კაპიტალიზმის შემდგომ განვითარებას.

აგრარული საკითხის ასეთნაირად გადაჭრის მოწინააღმდეგენი აღშფოთდნენ:

— როცა თქვენ გლეხებს ემხრობით მემამულეთა მიწების ექსპროპრიაციის დროს, ამით თქვენ, თქვენდა შეუგნებლად, ხელს უწყობთ წვრილბურჟუაზიული მეურნეობის შემოღებას კაპიტალისტური მწარმოებელი მეურნეობის უკვე ცოტა თუ ბევრად გავითარებული ფორმების ნანგრევებზე. განა ეს უკან გადადგმული ნაბიჯი არ არის ოთოდოქსალური მარქსიზმის თვალსაზრისით?

კამათის მონაწილეთა შორის ზოგი დაეჭვდა ვაი თუ ორთოდოქსალურ მარქსიზმს დავცილდეთო, თვით ისინიც შეშფოთდნენ წელან რომ გულდაჯერებით ტაშს უკრავდა „მიწების დაყოფვის“ ბოლშევიკების მოთხოვნის ლოზუნგს. მაშ ახლა რა მოხდა? ამ ერთმა მაგიურმა შეხსენებამ — „მარქსიზმის თვალსაზრისიდან უკან გადადგმული ნაბიჯი იქნებაო“ ყოყმანი გამოიწვია. ამის დამნახავმა კობამ როდიღა დააგვიანა:

— უნდა მოგაგონოთ ამის მთქმელსა და იმათ დამჯერ ბატონ კრიტიკოსებს, რომ ფაქტები აგრევიათ. დაგვიწყებიათ, რომ მემამულეთა მეურნეობა, რომლის დანგრევას აპირებენ გლეხები, კაპიტალისტური მეურნეობა არაა, — ბატონყმური მეურნეობის ნაშთია და, მაშასადამე, მემამულეთა ექსპროპრიაციით ბატონყმური მეურნეობის ნაშთი ინგრევა და არა კაპიტალისტური მეურნეობა.

მერე დარბაზში მსხდარ ესერებს ბასრი მზერა მიაპყრო და მენშევიკებსაც გადაჰკრა:

— გავიწყდებათ ისიც, რომ მარქსიზმის თვალსაზრისით ბატონყმურ მეურნეობას არადროს უშუალოდ არ მოჰყოლია და არც შეიძლება მოჰყვეს კაპიტალისტური მეურნეობა. მათ შორის წვრილბურჟუაზიული მეურნეობაა აღმართული, რომელიც ბატონყმურ მეურნეობას სცვლის და შემდეგ კაპიტალისტურზე გადადის. ჯერ კიდევ „კაპიტალის“ მესამე ტომში ამბობდა კარლ მარქსი, რომ ისტორიაში ბატონყმურ მეურნეობას ჯერ სოფლის წვრილბურჟუაზიული მეურნეობა მოსდევს და მხოლოდ ამის შემდეგ ვითარდება მსხვილი კაპიტალისტური მეურნეობა — ერთიდან მეორეში პირდაპირ გადახტომა არ ხდებოდა და არც შეიძლებოდა მომხდარიყო. ახირებული კრიტიკოსები კი გვეუბნებით, რომ მემამულეთა მიწების ჩამორთმევა და მათი დაყოფა უკან დახევაა მარქსიზმის თვალსაზრისითო! ჩქარა იმასაც დაგვაბრალებთ, ვითომ „ბატონყმობის გადავარდნაც“ უკან დახევაა მარქსიზმის თვალსა-

ზრისით, რადგან მაშინაც ზოგიერთი მიწა მემამულეებს „ჩამოერთვა", და წვრილ მეურნეებს — გლეხებს გადაეცა.

მერე კობამ თავი ასწია და მოწინააღმდეგეთა გასაგონად თქვა:

— რა სასაცილონი ხართ! თქვენ არცკი იცით, რომ მარქსიზმი ყველაფერს ისტორიული თვალსაზრისით უყურებს, რომ მარქსიზმის თვალსაზრისით სოფლის წვრილბურჟუაზიული მეურნეობა პროგრესულია ბატონყმურ მეურნეობასთან შედარებით, რომ ბატონყმური მეურნეობის დანგრევა და წვრილბურჟუაზიულის შემოღება აუცილებელი პირობაა იმ კაპიტალიზმის განვითარებისა, რომელიც შემდეგ განდევნის ამ წვრილბურჟუაზიულ მეურნეობას...

წელან რომ შეყოყმანდნენ და შეეშვდნენ, ახლა წელში გაიმართნენ და კობას მიუდგნენ:

— ვავანებოთ თავი ასეთ ვაიკრიტიკოსებს, ჩვენი ლოზუნგების დაცვის საქმეს მივყვეთ.

კობაც დაჰყვა:

— მ ი წ ე ბ ი ს გ ლ ე ხ ებ ი ს ა თ ვ ი ს გ ა დ ა ც ე მ ა და შემდეგ მ ა თ ი დ ა ყ ო ფ ა ძირს უთხრის ბატონყმურ ნაშთებს, ნიადაგს უმზადებს კაპიტალისტური მეურნეობის განვითარებას, შესამჩნევად აძლიერებს რევოლუციის აღმავლობას და სწორედ ამიტომ არის ეს მისაღები სოციალ-დემოკრატიული პარტიისათვის. ამ ნიადაგზე უნდა აშენდეს პარტიის აგრარული პროგრამა.

მაინც წამოხტა ერთი ურწმუნო თომა:

«— ყოველივე ეს გლეხებისთვისაა ნათქვამი, მაგრამ სოფლის პროლეტარებს რაღას ეტყვით?»

კობამ იმასაც უპასუხა:

— თუ გლეხებისათვის დ ე მ ო კ რ ა ტ ი უ ლ ი აგრარული პროგრამაა საჭირო, სოფლისა და ქალაქის პროლეტარებისათვის ს ო ც ი ა ლ ი ს ტ უ რ ი პროგრამა არსებობს, სადაც მათი კლასობრივი ინტერესებია გამოხატული. დღესდღეობით კი ვეუბნებით სოფლის პროლეტარებს: რამდენადაც დემოკრატიულ რევოლუციას ახორციელებთ, იმდენად კავშირი იქონიეთ მებრძოლ გლეხებთან და ებრძოლეთ მემამულეებს, ხოლო რამდენადაც სოციალიზმისკენ მიდიხართ, — ხელაღებით შეესისხლხორცეთ ქალაქის პროლეტარებს და დაუნდობლად ებრძოლეთ ყველა ბურჟუას. — სულ ერთია, გლეხი იქნება ის თუ აზნაური. გლეხებთან ერთად

დემოკრატიული რესპუბლიკისთვის! მუშებთან ერთად სოციალიზმისთვის! — აი რას ეტყვის პარტია სოფლის პროლეტარიატებს.

და მერე უფრო ცხარეც დაამატა:

— თუ პროლეტართა მოძრაობა და მათი სოციალისტური პროგრამა კლასობრივი ბრძოლის ცეცხლს დაახთებს, რომ ამით სამუდამოდ მოსპოს ყოველივე კლასობრიობა, თავის მხრივ გლეხთა მოძრაობა და მისი აგრარულ-დემოკრატიული პროგრამა წოდებათა ბრძოლის ცეცხლს დაანთებს სოფლად, რომ ამით ძირფესვიანად მოისპოს ყოველივე წოდებრიობა.

საპარლამენტო ოთურმა

— ქართველი შინგაზრდილი სპეკულანტები ბრძანდებით, ბატონებო! — შეძახა ტიტე ცამიწაძემ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ლიდერებს — კედიას, გვაზავას, მაჭავარიანს და ასათიანს, ერთად რომ გამობრძანდნენ თავიანთი პარტიის კონფერენციის შენობიდან და დიდად კმაყოფილნი ჩანდნენ. მათ ერთსულოვანი გადაწყვეტილება მიიღეს მენშევიკურ საქართველოში ეროვნული კაპიტალის დასამკვიდრებლად და სოციალ-დემოკრატიული მთავრობის ისედაც შელახული რეპუტაციის კიდევ უფრო შესარყევად, თუმცა მენშევიკებს მეგობრადაც ეკიდებოდნენ, რაკი სჯეროდათ, ჟორდანია იმას აკეთებდა, რასაც კედია — გვაზავა კარნახობდნენ, მაგრამ ხალხის თვალში ოპოზიციაში დარჩენა ერჩიათ, რომ ზეკლასობრივ პარტიად წარმოჩენილიყვნენ და საქართველოს ამ გზით დაპატრონებოდნენ.

ჟორდანია — ხომერიკის მთავრობა უნიათო გამოდგა, ვერც შინა და ვერც საგარეო პრობლემებს ვერ ერეოდა და ასეთ სახელმწიფო ციებ-ცხელებების დროს უკეთესი იყო სხვისი ხელით ნარის გლეჯა.

მეორე დღეს პარლამენტის სხდომაზე დეპუტატმა გვაზავამ მინისტრი ნოე ხომერიკი გვერდით გაიხმო და მეგობრული თავდაჯერებით ჩააგონა:

— ეროვნულ-დემოკრატების საპარლამენტო ფრაქცია ყოველმხრივ გეხმარებით. სოციალ-დემოკრატების მთავრობას, გარეშე

თუ შინაგანი საფრთხის თავიდან ასაცილებლად. ბოლშევიზმის ცდუნებების შემოპარვის წინააღმდეგ გაერთიანებული ფრონტის მოციქულად გამოვდივართ. ამიტომ ჩვენმა კონფერენციამ დაავალა საპარლამენტო ფრაქციას გავაძლიეროთ თქვენი მთავრობის საშინაო და საგარეო პოლიტიკის მიუღებელი პრინციპების მხილება, თქვენი ყოველნაირი რევოლუციური ცდომილების კრიტიკა. როგორც ხედავ, უკვე დროა გავაკეთოთ ეს!

ნოე ხომერიკმა შეიცხადა, ეროვნულ-დემოკრატების ლიდერის გამაფრთხილებელი დაპირება საყვედურად მიიჩნია, მაგრამ, ნირის შეცვლა რომ არ შესტყობოდა, თვინიერი თვალებით შეჰხედა და შეჰღაღადა:

— რას გვიჩივით კიდო?!

— იცით, რასაც! — გოროზად მიუგო გვაზავამ და მხარზე მოუთათუნა. ესეც მუქარას ჰგავდა, მაგრამ ხომერიკმა მაინც არ შეიმჩნია, კვლავ თავი მოისაწყლა:

— ჩვენი მთავრობა ყოლიფერს აკეთებს შენი პარტიის ნდობის მოსაპოვებლად. კიდო რას მოითხოვ, ძმა?!

გვაზავას გრძელი ლაპარაკი არ უყვარდა, მოკლედ მოუჭრა:

— შეეშვით რევოლუციობიას თამაშს!

— როგორ გეკადრება, ბატონო! თამაშიზა სად გვცალია, თავს ვაკლავთ რევოლუციის მონაპოვარს, კი იცი შენც!

— დროა თავი დაანებოთ რევოლუციის ექსპლოატაციას. დიდი ხანია რაც მენშევიკებმა გაათავეთ რევოლუციის ლაციცი!.. საქართველოს განახლება უნდა მოხდეს „რევოლუციური მონაპოვარის“ გაუქმებით. ეგ მონაპოვარი კი იმაში გამოიხატა, რომ ყველა მენშევიკმა საქმე იშოვეთ, ყველა დაწესებულება ხელში ჩაიგდეთ, თქვენი ხალხით გასჭედეთ...

მენშევიკური მთავრობის მინისტრს სიმშვიდე დაუბრუნდა, პირდაპირ მუქერას განიგანა პასუხი შეუხვედრა და დემოკრატიულობის ნიღაბი აიფარა:

— რა გაღელვებს, აგერ პარლამენტი და აგერ მთავრობა. შეხტი ტრიბუნაზე და გვირჩიე!.. ეროვნულ-დემოკრატს სიტყვას ვინ გართმევს, რევოლუციის მონაპოვარია კამათის თავისუფლებაც.

— ჩვენ დიდი ხანია გადავეჩვიეთ მენშევიკებთან კამათს და რევოლუციის მონაპოვართა გაუქმებაზე ლაპარაკი მარტო ირონიით შეიძლება.

— რატომ ირონიით, დაგვისაბუთეთ, მივიღებთ. ჩვენი პარტიის დამოუკიდებლობა თვით მიზანი როდია, არც ფეტიშია. არ გვაშინებს დაკარგვა.

— კი გაშინებთ!.. დამოუკიდებლობის დაკარგვით თბილ ადგილებსაც დაკარგავთ. გესმით ესეც კარგად თქვენ!

— უსაბუთოა შენი გაბრაზება

— ჩვენი ცხოვრების უტყუარი საბუთია სოციალ-დემოკრატიული პარტიის სრული გაკოტრება. მარა ვაი ჩვენი ბრალი! აქ საძხიარულო არაფერია. ამ გაკოტრებას თან მოსდევს ჩვენი ქვეყნის გაკოტრებაც და შეიძლება — დამხობაც.

ნოე ხომერიკს სახე მოეღრუბლა ახლა გვაზავასაც ნირი შეეცვალა, მენშევიკების დამხობის შიშმა აიტანა, მაგრამ მინისტრმა თანამოსაუბრე მაინც დაამშვიდა:

— ფიქრი ნუ გაქვს, გვეშველება ჩვენც და თქვენც!. .

მერე თითონაც მხარზე ხელი მოუთათუნა და გაანდო:

— ჩვენთან მოდიან ევროპის გამოჩენილი სოციალისტები, დიდი სახელმწიფო მოღვაწენი — ვანდერველდე, ჰიუსმანსი, შოუ, მაკდონალდი, რენოდელი, კაუცკი და ყველა ისეთი კაცი, რომელთაც დღევანდელ საქართველოში ქართველ წმინდანებზე უკეთ იცნობენ.

გვაზავამ ისევ ირონიულად ჩაურთო:

— ვიცი მაგიც. საკუთარ საქმეს ჩარხავთ. გგონია, ვერ მიგიხვდებით. ბურჟუაზიულმა ევროპის კონსტიტუციამ მოაშინაურა ვანდერველდე და კაუცკი, ზოგს სამინისტრო სავარძელი დაუთმო, ურჩობა დაავიწყა, სიტყვის შემობრუნებას გადააჩვია. დღეს თითოეულ მათგანს ხელი პორტფელისაკენ მიურბის, აზროვნების მინისტრალიზაცია სტანჯავთ, დიდკაცობაზე ოცნებობენ.

— ნუ აჭარბებ! — არ დაუთმო ნოე ხომერიკმა.

— დღეს ეგ ხალხი საქართველოში მოდის დაღუპული იდეოლოგიის როგორმე აღსადგენად. თქვენი სახით საქართველოში უთუოდ ერთგული მოწაფეები დახვდებით ევროპაში გამინისტრებულსა თუ სამინისტროდ გამზადებულ სტუმრებს.

— რატომ გგონია, რომ მხოლოდ მენშევიკური მთავრობის საშველად მოდიან? შენს პარტიასაც სწყალობენ, როგორც ვიცი მე, თანამოაზრეებადაც გამოგადგებიან. სოციალ-დემოკრატი ჰიუსმანსი ბოლშევიკური მეთოდით რევოლუციის მოხდენის წინააღმ-

დეგია. მათი სოციალიზმი პრაქტიკულად გამოხატა სხვადასხვა ტიპის კოოპერატივებში, ხოლო პოლიტიკური პრაქტიკიზმი — ბელგიის პროლეტარიატის საყვარელ ბელადს ემილ ვანდერველდეს ბელგიის მეფესთან უასლოეს თანამშრომლობაში, რასაც კაპიტალის ფრთის გაშლა მოჰყვა. ამას მოითხოვს შენი ეროვნულ-დემოკრატიული პარტიაც! ჰოდა, უმასპინძლე შენც, არ წააგებ არაფერს, მოგებას კი ნახავ!

გვაზავამ არც წააგო, პარლამენტის სხდომაზე საჯაროდ განაცხადა — „უნდა გაუგონოთ ჰიუსმანსს!“. მასთან შეხვედრაც გახსენა:

— მეორე ინტერნაციონალის მდივანი ჰიუსმანსი მე გავიცანი, ამ ზაფხულს პარიზში. ერთ დღეს შევიარე ჩვენს დელეგაციაში. დარბაზში ისხდნენ ირაკლი წერეთელი და ბატონი ჰიუსმანსი. ირაკლიმ გამაცნო იგი.

— აი ეს გახლავთ ჩვენი მარჯვენა ოპოზიციის წარმომადგენელი, იცავს ბურჟუაზიას და კაპიტალისტურ წარმოებასო, — უთხრა ჩემზე ღიმილით და მეგობრული კილოთი.

— არა, ბატონო, — ვუპასუხე მეც ღიმილით, — მე ვიცავ ეროვნულ და არა კლასობრივ ინტერესებს. მე დემოკრატი ვარ და სანამ თქვენ დემოკრატი ხართ. თქვენთან ვარ და თქვენთან ვთანამშრომლობ-მეთქი.

— დაგავიწყდათ აგრარული რეფორმა? თქვენ არ მოითხოვდით მიწის გამოსყიდვას? — დამეკითხა ბატონი ირაკლი.

— მართალია, — ვუპასუხე მე, — ჩვენ მოვითხოვდით მიწის გამოსყიდვას მემამულეებისაგან. ვინაიდან, ჩვენი აზრით, მუქთად ჩამორთმევა ქონებისა არის ტაციობა და არა დემოკრატიული პრინციპი.

ბატონი ჰიუსმანსი, რომელიც აქამდე ჩუმად იყო და ყურს უგდებდა ჩვენს დავას, ჩაერია ბაასში და გაკვირვებით ჰკითხა ირაკლის:

— როგორ? თქვენ უსასყიდლოდ ჩამოართვით მიწა?

— უსასყიდლოდ.

— დიდი შეცდომა ჩაგიდენიათ, — თქვა ჰიუსმანსმა: უსასყიდლოდ ჩამორთმევა ქონებისა ბოლშევიკური პროგრამაა და არა ჩვენი, ნამდვილი სოციალისტებისა.

— ჰხედავთ, ბატონო ირაკლი? მე ვყოფილვარ „ნამდვილი სოციალისტი", თქვენ კი...

ირაკლიმ ჩაღუნა თავი, ალბათ, დავის გაგრძელება არ უნდოდა ეს, რომ მოისმინეს, სახელმწიფოს მმართველები ადვილად მიხვდნენ, რომ გვაზავამ მარტო ირაკლი წერეთელი კი არა, ნოე ჟორდანიაც გაწკეპლა.

ეროვნულ-დემოკრატიული ფრაქცია, არც ამით დაკმაყოფილდა.

პარლამენტის ტრიბუნიდან გვაზავამ მიუკიბ-მოუკიბავად თქვა:

— ან ევროპული, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული გზა, ან რუსული პროლეტარულ-ბოლშევიკური?!.

მენშევიკურ პარლამენტში ჩოჩქოლი ატყდა. ორატორი მოითხოვდა ეროვნული კაპიტალის უფლებების შეუზღუდაობას, სახელმწიფო მონოპოლიის მოშლას, მანგანუმის, ხე-ტყის, აბრეშუმის კერძო პირების მიერ თავისუფლად გატანას უცხოეთში, რვა საათის სამუშაო დღის გაუქმებას.

მენშევიკებს გაუჭირდათ ეროვნულ-დემოკრატების მოთხოვნას დაჰყოლოდნენ, რადგან საქონლის ექსპორტიდან მოგების 75 პროცენტი მთავრობის ხაზინაში შედიოდა. საქონლის პატრონს კი მხოლოდ 25 პროცენტი ეძლეოდა.

— ჩვენი მთავრობა შინ ანგარიშს არ უწევს არაფერს. იგი ცდილობს თავისი კარაბადინის პრინციპები როგორმე განახორციელოს, შინ მას არა აქვს არც შიში და არც რიდი. საგარეო საქმეში კი ამ ღირსებით იგი ფონს ვერ გადის. აქ საჭიროა მეტი გონებამახვილობა და ჰორიზონტის სიფართოვე. მთავრობამ ვერ შეძლო ამ საქონლის მაქსიმალურად გამოყენება. უცხო პირთ ჩაუგდო ხელში მხოლოდ იმიტომ, რომ შნო და ნიჭი არ შესწევს.

ორატორს ორატორი სცვლიდა, მაგრამ, მენშევიკური მთავრობის უნიათობის გამოვლენის გარდა, სასარგებლოს ვერავინ ვერ ამბობდა. საქირდავს კი უხვად აყრიდნენ:

— საკვირველია სწორედ: უცხოელ ვაჭრებს ჩვენს ვაჭრებთან შედარებით უპირატესობას რისთვის უნდა აძლევდეთ? დალოცვილები იძახით, ბურჟუები გვძულსო, მაშ უცხოელი ბურჟუები რამლა შეგაყვარათ?

— ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიას კვლავ მიუღებლად მიაჩნია აგრარული რეფორმა.

— მაგრამ განა დღეს საქართველოში სოციალისტური აგრარული რეფორმა ხდება?

— უკანასკნელ პარასკევის სხდომაზე აგრარული კომისიის თავმჯდომარემ ბატონმა კირილე ნინიძემ პარლამენტში აშკარად და ყველასთვის გასაგებად განაცხადა, რომ მთავრობის მიერ წარმოდგენილ კანონპროექტში არსებითად არაფერი არ არის სოციალისტური.

„ — აგრარულ საკითხში სოციალ-დემოკრატებმა, რომელნიც უფრო ფხიზელი და მტკიცე სოციალისტები არიან, ვიდრე სოციალისტ-რევოლუციონერები ან სოციალისტ-ფედერალისტები, უარყვეს სოციალიზაცია, მუნიციპალიზაცია, ნაციონალიზაცია და კერძო საკუთრების პრინციპი მიიღეს“.

„ — კიდევ მეტი, ჩვენ მივიღეთ მიწის გაყიდვის პრინციპი. ამის შემდეგ ეროვნულ-დემოკრატებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის აგრარულ პროგრამაში აღარ არის არსებითი წინააღმდეგობა“.

„ — ჯერ ჩვენი შეგნება და სინდისი სრულებით ვერ ურიგდება იმას, რომ მიწა ჩამოერთვას უსასყიდლოდ. უსასყიდლოდ ჩამორთმევა არის ტაციობა და ყაჩაღობა“.

„ — დაუყოვნებლივ დავუბრუნოთ მემამულეებს ჩამორთმეული მიწები!“.

„ — დაკანონდეს მიწის კერძო საკუთრება და მემკვიდრეობითი გადაცემა. კერძო საკუთრება გამოცხადდეს ხელშეუხებლად!“.

საპარლამენტო ოთურმა ერთმანეთში მორიგებით გათავდა. სამდურავი აღარავის დარჩა. ყველამ ერთად მოითხოვა „სოციალიზმის ყოველგვარი ნასახის აღკვეთა“ და პარტიათა შორის ერთმანეთზე დასამდური გაქრა. საქართველოს პოლიტიკური ცხოვრება ნაკუწ-ნაკუწ დაიყვანეს, მერე ერთმანეთს მიებლანდნენ და ჭრელ ჭილოფად უცხოელებს ქვეშაგებად გაეგნენ.

ბოლშევიკები გარიყეს და ტიტე ცამიწაძეს გაბუტულად ათქმევინეს:

— რუსეთშიც ბრძანდებოდნენ შინგაზრდილი სპეკულანტები, ბატონებო, — მაგრამ რევოლუციამ მათი სინსილა მოსპო!..

ბრესტ-ლიტოვსკის ზავმა რუსეთი დიდი განსაცდელის წინაშე დააყენა.

— დიახ, „სოციალისტურობის“ ნიღაბს ჩვენც შევუცდენივართ, მაგრამ დროზე მიხვედრილნი, გავცლილვართ! მენშევიკებს ვინღა ჩივის, ბოლშევიკებსაც შეგვეყარა საბადი. მოხდას დრო სჭირდებოდა. ასეთ ჭირად გაგვიჩნდა ბრესტ-ლიტოვსკის ზავიც.

ბედუკუღმართობისაგან დასაღწევად, დღეს საბჭოთა სახელმწიფოს ხსენებაც არ იქნებოდა, — მიუყენა ცამიწაძემ თავისი განცდაც იმ პატიმრულ სჯა-ბაასს:

1918 წლის 8 იანვარს ცამიწაძესაც მოესმინა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრესტ-ლიტოვსკის ზავად ჩამოყალიბებული ლენინის თეზისები.

ეს პრობლემა საქართველოსაც ეხებოდა და თანამოსაკნემაც ყურები სცქვიტა. მისთვისაც მოულოდნელი გამოდგა ტიტეს ბაგეთაგან წარმოდგენილი სიტყვები და ეს შემთხვევა რომ არა, ვინ იცის, როდის მოაღწევდა მეტეხის ციხემდე მართალი, მაგრამ დამთრგუნავი ნათქვამი:

— ბრესტ-ლიტოვსკის ზავი ბედუკუღმართი და სამარცხვინოა რუსეთისათვის!..

გერმანიამ დამამცირებელი ულტიმატუმი წამოაყენა: ან ომის გაგრძელება, ან ანექსიონისტური ზავი, რომლითაც იჩემებდა რუსეთის ევროპულ ნაწილში პოლონეთს, ლიტვას, ლატვიას, ესტონეთს, სამხრეთის ფრონტზე კი თურქეთისათვის დაბრუნებას ქართველებითა და სომხებით დასახლებულ არდაგანს, ყარსსა და ართვინს.

ცამიწაძე მაშინ პირველად შეჰზარა ლენინის სიტყვებმა:

— რევოლუციური ომის გაგრძელება არ შეგვიძლია!.. გლეხობა დაიღალა, სისხლისაგან დაიცალა, აღარ გამოგყვება!.. მაგრამ, თუ დავაძალეთ, — ერთი დარტყმით წაგვლეკავს ბოლშევიკურ ხელისუფლებას და შემთანხმებლურ მთავრობას დაისვამს ზავის გასაგრძელებლად!

მერე კენჭი უყარეს: თათბირის მონაწილე სამოცდასამ კაცს ხელი უნდა აეწია.

ლენინმა მოითხოვა:

— დაუყოვნებლივ დავეთანხმოთ ანექსიონისტურ ზავს!

მხარი მისცა მხოლოდ თხუთმეტმა.

ტროცკიმ დაიჩემა:

— გერმანია — ავსტრია-უნგრეთ-თურქეთის ბლოკთან საომარი მდგომარეობა შეწყვეტილად გამოვაცხადოთ! არმია დავშალოთ, სახლებში გავუშვათ, ზავს კი ხელი არ მოვაწეროთ!

თექვსმეტმა დელეგატმა მხარი დაუჭირა მას.

მოსკოვის ოლქის მემარცხენე კომუნისტებმა კი, რომელთაც წინამძღოლობდა ბუხარინი, ოცდათორმეტი ხმა მიიღეს, რო ისინიც „რევოლუციური ომის“ გაგრძელების გზას დაადგნენ.

ყოფნა-არყოფნის ბედი გადაუჭრელი დარჩა.

11 იანვარს ბოლშევიკური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა განიხილა ზავის საკითხი. ცხრა წევრმა ტროცკის მისცა მხარი, ორმა — „რევოლუციური ომის“ გაგრძელებას. ლენინი დარწმუნდა, რომ ზავის შეკვრის მისი წინადადება ვერ გავიდოდა. ამიტომ ახალი წინადადება შეიტანა:

— ყოველმხრივ გავაჭიანუროთ ზავის გაფორმება დროის მოსაგებად, წითელი არმიის გასამაგრებლად!

ცკ-ის ცამეტი წევრიდან მხოლოდ ერთი წავიდა წინააღმდეგი.

მოლაპარაკება გაგრძელდა. ლენინმა საბჭოთა დელეგაციის ხელმძღვანელს ტროცკის მტკიცე დავალება მისცა:

— გააჭიანურეთ მოლაპარაკება ულტიმატუმის მიღებამდე, თუ გერმანელები ულტიმატუმს წამოაყენებენ, — ხელი მოაწერეთ ზავს!

მერე უფრო მკაფიოდ გაუმეორა საზავო დელეგაციის ხელმძღვანელ ტროცკის:

— შევთანხმდეთ: გერმანელების ულტიმატუმამდე მაგრად ვდგებით, ულტიმატუმის შემდეგ კი დავყვებით!

ტროცკიმ მაინც დაარღვია ლენინის მითითება გერმანელთა ულტიმატუმზე. ათ თებერვალს დემონსტრაციულად დატოვა ბრესტი.

გერმანიის დელეგაციის თავმჯდომარე ჰოფმანსაც ეს უნდოდა. 16 თებერვალს აცნობა საბჭოთა მთავრობას, რომ 18 თებერვლიდან შეტევას იწყებს.

17 თებერვლის ღამით შეიკრიბა ცენტრალური კომიტეტი. ლენინის წინადადებაზე, რომ ზავი მიეღოთ. ხუთმა მისცა ხმა: სტა-

ლ ნმა. სვერდლოვმა. სოკოლნიკოვმა და სმილგამ. წინააღმდეგი კი ექვსმა: ბუხარინმა, ტროცკიმ, ლომოვმა, ურიცკიმ, იოფემ, კრესტინსკიმ.

გამარჯვებული ტროცკი ირწმუნებოდა;

— გერმანელებს შემოტევა არ ძალუძთ!

ბუხარინმაც ბანი მისცა:

— ვერ გაბედავენ!..

გაბედეს. შეტევა განაახლეს. ქალაქი დვინსკი აიღეს.

უბედურებამ ყელში წაუჭირა საბჭოთა რუსეთს.

ცეკა საჩქაროდ შეიკრიბა. ტროცკიმ, ვითომც არაფერიაო;

— შევეკითხოთ ვენასა და ბერლინს, რას მოითხოვენ?!

ლენინი განცვიფრდა:

— მოცდა შეუძლებელია, რადგან ყველაფერი უკვე გასაგებია: გერმანელები ახლა ყველაფერს აიღებენ. თამაში ისეთ ჩიხში მოემწყვდა, რომ რევოლუციის კრახი გარდუვალია, თუ შემდეგშიც გავაგრძელეთ საშუალო პოლიტიკა! მოცდა აღარ შეიძლება! ეს იქნება რუსეთის რევოლუციის განადგურება! თუ გერმანელები იტყვიან, რომ მოითხოვენ... ბოლშევიკური ხელისუფლების დაცემას, მაშინ, რასაკვირველია, უნდა ვიომოთ! მაგრამ თუ შევეკითხებით გერმანელებს, ეს შეკითხვა მხოლოდ ფარატინა ქაღალდად დარჩება. ეს პოლიტიკა არ არის!..

მერე ტროცკის მიმართა მრისხანედ:

— ისტორია იტყვის, რომ ჩვენ შეგვეძლო შეგვეკრა ზავი, რომელიც არაფრით არ ემუქრებოდა რევოლუციას. ჩვენ არაფერი არ გვაქვს. უკან დახეულნი აფეთქებასაც კი ვერ მოვასწრებთ.

ბუხარინი გაჯიუტდა:

— გვაქვს ჩვენი ძველი ტაქტიკა, მსოფლიო რევოლუციის ტაქტიკა. თუ გაჭირდა პეტროგრადსაც დავუთმობთ, სამაგიეროდ „მუჟიკებს“ გავაცოფებთ გერმანიაზე.

ლენინი აღშფოთდა:

— შეიგენით, გლეხს ომი არ უნდა, გლეხთა პერმანენტული ომი უტოპიაა. რევოლუციურ ომზე გლეხობა არ წავა და ყველას ჩამოაგდებს, ვინც აშკარად ეტყვის ამას. ერთიღა დაგვრჩენია, დაუყოვნებლივ დავეთანხმოთ ზავის მძიმე პირობებს!

ლენინს მხარი დაუჭირა შვიდმა წევრმა, ექვსის წინააღმდეგ.

19 თებერვალს, დილით, ცარსკოე სელოს რადიო-სადგურმა გადასცა ლენინის დაწერილი ტექსტი ხავის შეკვრის თანხმობით, მაგრამ ახლა გერმანელები გაჯიუტდნენ, შეტევა გააგრძელეს ლუცკსა და მინსკზე.

ლენინმა განკარგულება გასცა:

— სანამ გერმანელთა შემოტევა არ შეწყვეტილა, სადაც კი ეს შესაძლებელია, გაუწიეთ წინააღმდეგობა, გზადაგზა გაანადგურეთ აბსოლუტურად ყველაფერი, უკანასკნელ პურის ლუკმამდე. მტერს არ დაუტოვოთ არაფერი. აყარეთ რკინიგზის ლიანდაგი, ყოველ ათ ვერსზე ორი ვერსით, ააფეთქეთ ხიდები.

პეტროგრადის კომიტეტს მოსთხოვა:

— გაამაგრეთ ქალაქის დაცვა. ერთი წუთის დაუკარგავად შეიარაღეთ მუშების ათასეულები, გაჰყარეთ ბურჟუაზია, ქუდზე კაცი სანგრების სათხრელად.

ბალტიის ფლოტს უბრძანა:

— ძეუტრეთ, უკუაგდეთ მტერი! თუ ეს ძნელია, მოშალეთ გზები, მოაწყვეთ პარტიზანული თავდასხმები. არ მისცეთ ზღვიდან ხმელეთზე გადმოსხმის საშუალება!

21 თებერვალს ქალაქში გაიკრა ლენინის მოწოდება: „სოციალისტური სამშობლო საფრთხეშია!"

ალა ანტანტის სახელმწიფოებმაც იგრძნეს რუსეთის როგორც სახელმწიფოს მოსპობის საშიშროება და გერმანიის გაბატონება. საფრანგეთმა და ამერიკამ დახმარებაც კი შესთავაზეს ლენინს.

ბუხარინმა ამაზეც ალიაქოთი ატეხა. ცეკას დაემუქრა, ანტანტის დახმარება არ მიიღოთო.

ლენინმა ბუხარინს, ტროცკისა და მათ ამყოლებს „ქეციანები" უწოდა, რომლებიც მხოლოდ რევოლუციურ ფრაზებს ისვრიან:

— ვებრძოლოთ „რევოლუციურ ფრაზას", აუცილებლად ვებრძოლოთ, რათა როდისმე არა თქვან ჩვენზე, რომ „რევოლუციურმა ფრაზამ" რევოლუციურ ომზე, რევოლუცია დაღუპა.

23 თებერვლის დილით გერმანელებმა გამოგზავნეს პეტროგრადში პასუხი, მაგრამ კიდევ უფრო მძიმე, ვიდრე მანამდე იყო.

სვერდლოვმა გააცნო ცეკას სხდომას ულტიმატუმის ტექსტი. ლენინმა მტკიცედ დაასკვნა:

— რევოლუციური ფრაზის პოლიტიკა დასრულდა. თუ ეს პოლიტიკა ახლაც გაგრძელდა, მე გამოვდივარ მთავრობიდან და ცეკადან! რევოლუციურ ომს სჭირდება არმია, ის, კი არაა. მაშასადამე, უნდა მივიღოთ ზავის პირობები!

ცეკას ბიგაერთმა წევრმა იწყინა:

— ამას როგორ ამბობთ?!

— ესეც ულტიმატუმია! — აყვირდა ტროცკი.

— მოხსენით ულტიმატუმი! — შეეპბედა ბუხარინმაც.

ლენინი თავისაზე მტკიცედ დადგა:

— ულტიმატუმი იმიტომ კი არ დავსვი, რომ მოვხსნა! მე არ მინდა თქვენი რევოლუციური ფრაზა. ერთი წუთითაც არ მეეჭვება, — ზავის მძიმე პირობები უნდა მივიღოთ!..

ტროცკიმ გული დაიიმედა:

— არ ვიქნებოდით ცუდ როლში, თუ ჩავაბარებთ პეტერსა და მოსკოვს. ამით მთელ მსოფლიოს დავძაბავთ!

ისევ რევოლუციური ფრაზა!..

ლენინის ულტიმატუმმა გასჭრა.

მაგრამ შინაპარტიული ბრძოლა მაინც გაგრძელდა. ბუხარინმა, ლომოვმა, ურიცკიმ, ბუბნოვმა, იაკოვლევმა, პიატაკოვმა და სმირონოვმა განაცხადეს, რომ სტოვებენ თავიანთ პოსტებს.

მოსკოვის საოლქო კომიტეტმა უნდობლობა გამოუცხადა ცეკას. თავისი რეზოლუცია დაამთავრეს სიმხდალის გამომხატველი სიტყვებით:

— მსოფლიო რევოლუციის ინტერესებისათვის ჩვენ მიზანშეწონილად ვთვლით შევურიგდეთ საბჭოთა ხელისუფლების დაკარგვას, რომელიც ახლა წმინდად ფორმალურია!

ბუხარინი გაიძახოდა:

— ჩვენ მოვსპეთ ჩვენივე სოციალისტური არსი! ჩვენ გავანადგურეთ ჩვენივე თავი, როგორც საერთაშორისო სოციალისტური რევოლუციის ავანგარდმა.

რიაზანოვმაც ბუხარინის დასაცავი ირონიული რეპლიკა ისროლა:

— ლენინი აძლევს სივრცეს, რომ მოიგოს დრო!

ლენინმაც მწარედ დასცინა რიაზანოვს და მის თანამოაზრეებს:

— ისე როგორც ათ წელიწადში ერთხელ მომხდარი გამონაკ-

ლისი ადასტურებს გამონაკლისის წესს, ასევე რიაზანოვმაც უნებურად დაადასტურა სინამდვილის არსი! დიახ, მე მინდა დავუთმო სივრცე ფაქტიურ გამარჯვებულს, რათა მოვიგო დრო. ამაში მთელი არსი, მხოლოდ ამაში!

რამ წარმოშვა აზრთა ასეთი სხვადასხვაობა პარტიის ცეკას შიგნით?

ლენინმა ესეც ახსნა:

— განებრივრებამ! დაუთანხმებლობა აიხსნება ამხანაგების შეხედულებებით ჩვენს რეალურ ძალებზე. ამხანაგების ნაწილის მართებული აღშფოთება საზიზღარ ზავზე ხელის მოწერის გამო გამომდინარეობს არა ცივი გონებიდან და ძალების სწორი შეფასებიდან, არამედ იმის შედეგად, რომ მათ არ გაითვალისწინეს რუსეთის რევოლუციის ნამდვილი მდგომარეობა. ოქტომბრის რევოლუციის ადვილმა გამარჯვებამ გააღვივა ჩვენი ამხანაგების ნაწილში სიამაყის გრძნობა, რომ ჩვენ არასოდეს არ დაგვიხევია კლასობრივი მტრების წინაშე და ამიტომ ყოველთვის ვიმარჯვებდით. ახლა დადგა დამარცხების დრო. და უნდა დავიხიოთ ჩვენზე ოცჯერ ძლიერ მტერთან. ზავის მოწინააღმდეგეთა პოლიტიკა არის უუნარობა იმისა, რომ მიუსადაგო სოციალისტის რწმენა შექმნილი ბრძოლის პირობებს. თუ უარყოფ საკუთარი პიროვნული გრძნობების მისადაგებას უხეირო ზავზე და დადგები მასების შეხედულებაზე, აშკარა გახდება, რომ ზავი საჭიროა!

ასეთებზე თქვა ლენინმა:

— ამ ადამიანებმა ვერ გაიგეს და ვერ გაითვალისწინეს, რომ მომენტის მთავარი განსაკუთრებულობაა ქვეყნის შიგნიდან ტრიუმფალური გამარჯვებებიდან მობრუნება მძიმე დამარცხებებისაკენ გერმანიის იმპერიალიზმთან შეჯახების დროს. ეს ძირითადი შემობრუნება მუდამ ეკარგებათ მხედველობიდან ისეთ ადამიანებს, რომლებიც უყურებენ ახლანდელ მდგომარეობას, რევოლუციის არაჩვეულებრივად მძიმე მდგომარეობას, არა ისტორიული თვალსაზრისით, არამედ გრძნობისა და აღშფოთების თვალსაზრისით!

ტიტემ განაგრძო:

— დანარჩენი თავადაც კარგად იცით. იმავე 1918 წლის ცხრა ნოემბერს გერმანიაში გაიმარჯვა რევოლუციამ, ორი დღის შემდეგ კი მოხდა კაიზერის არმიის კაპიტულაცია.

დრო მოგებული აღმოჩნდა!

ცამეტ ნოემბერს რუსეთის რევოლუციურმა მთავრობამ გააუქ-

ნა დამაბეჭერებელი ბრესტ-ლიტოვსკის ზავი და სიამაყის გრძნობით აღაკსო ხალხის გული. ტიტე იმ დროს მეტეხის ციხეში იყო გამოკეტილი და წყრომის გრძნობაც გააყოლა თანამოსაკნესთვის ნათქვამ სიტყვებს:

— თქვენ კი, ვინც საქართველოს პატრიოტობაზე სდებთ თავს, სინამდვილეში სამშობლოს ღალატობთ. არც კი ინებეთ ბრესტ-ლიტოვსკში ჩასვლა! არდაგანსა და ართვინს ვინღა ჩივის, — ბათუმიდან მოკიდებული ოზურგეთამდე მოუშვით თურქები, სომხეთიც და აზერბაიჯანიც ოსმალთა ჯარების საჯიჯგნად აქციეთ! რა თქმა უნდა, იმაზე ხომ ბუზსაც არ იფრენდით, რომ გერმანიამ მთელი უკრაინა მიიტაცა, ბელორუსი ხალხიც იყმო და ბესარაბიელებ ც რუმინეთის მეფეს უბოძეს. საქართველოში გულარხეინად ისხედით და რევოლუციური რუსეთის დამარცხების იმედით ოსმალეთისაკენ იყურებოდით; დაივიწყეთ, რა არის სულთანის თურქეთი საქართველოსთვის!

— არ ვისხედით, ვმოძრაობდით, ნოე ჟორდანიას პარტიულ თეორიას მიჰყვებოდა საქართველო: „მოძრაობა ყველაფერია, შედეგი არაფერი", — მრავალმნიშვნელოვანი ცინიზმით ამოთქვა მესაკნემ.

— მაგ თეორია დაღუპავს ჟორდანიას პარტიას! — მიამწარა ტიტემ.

— ამას შენ ამბობ, საპატიმროს საკანში უმოძრაოდ გამოკეტილი?! — გაიკვირვა პატიმარმა.

— მეც დროს ვიგებ სამოძრაოდ!.. მოღალატეებსა და მათზე მინდობილთ კი ზღვის ტალღა წაგლეკავთ, მონანიება ვეღარას გიშველით!.

— ნურც ბოლშევიკები დაიკვეხნით, რომ ქრისტესავით ზღვაზე ფეხდაუსველებლად გაივლით! რატომ გამოეყავით ქართველი ინტელიგენციის დიდ უმრავლესობას ბოლშევიკური ინტელიგენციის დიდი უმცირესობა?

ტიტე გაოცდა.

მენშევიკების წეღანდელი მქირდავი, ახლა ბოლშევიკებს გადასწვდა:

— განა არ შეგეძლოთ თუნდაც ეროვნულ-დემოკრატები მაინც შეგეკედლებინათ ან თქვენს მიერ უარყოფილი ბიბლიური მცნებებიდან ერთი მაინც გეღიარებინათ! განა იესოს ან მის მოციქუ-

ლებს — ლუკას, მარკოზს, იოანეს — ყველას ერთად ან ცალ-ცალკე ჭკუაში არ გიჯდებოდათ ქრისტეს მცნებანი?! რა თქმა უნდა, ბოლშევიკებს უფრო გესახელებათ მარქსის სახარების გაშლა, მაგრამ არც ის კაცი იყო მძრახველი საკაცობრიო მორალისა, თქვენ კი ძველი ნახმარი პერანგივით გადააგდეთ გულსა და სულზე საუკუნეობით თვინიერად მორგებული სიბრძნე.

— „არა პურითა ერთითა ცოცხლობს კაცი, არამედ ყოველი სიტყვა თ".

ტიტემ სახარების სიტყვა გაუწოდა:

— „ნეტარ არიან სიმართლისათვის დამშეულნი და მწყურვალნი!"

— „შეიყვარე მოყვასი შენი!" — ძოუწოდა თანამესაკნემ.

— „და შეიძულე მტერი შენი!" — გაუბრუნა ტიტემ.

— ადამიანები მშვიდობიანად როდი ცხოვრობდნენ, მათ შუა ქრისტე — მოქადაგე იდგა, რათა ერთი პურით ათასნი დაეწაყრებინა.

— ქრისტე-მაცხოვარს ფიცულობენ და მერე სასიკვდილოდაც სწირავენ, გაბაწრული მიჰყავთ პილატე მსაჯულთან და ისიც მიამიტად იკითხავს:

— „ვინ გაგითავისუფლოთ, ავაზაკი კაცი თუ წმინდა იესო?!".

შურიანებმა ქრისტეს დასჯა ირჩიეს.

პილატემაც წყალი გადაისხა, ხელები დაიბანა ხალხის თვალწინ და ამოიღაღადა:

— „უდანაშაულო ვარ ამ მართალის სისხლისაგან".

ნოე ჟორდანიაც პილატეა: ბეჯითმა სემინარისტმა ქრისტეს სახარებასაც უღალატა და მარქსის მანიფესტსაც უმუხთლა: უდანაშაულო ვარ საქართველოს მიწა-წყალზე თურქი ასკერების მოწვევაში, ოსმალო-ოკუპანტების შემოშვებაშიო.

გერმანიამ რუსეთისათვის თავს მოხვეულ ბრესტ-ლიტოვსკის ზავზე ქართველი მოღვაწეებიც მიიწვია — თქვენი სატკივარი თქვითო. მაგრამ საქართველოს წარმომადგენელმა ევგენი გეგეჭკორმა თავიდან აიცილა:

— კავკასია, მაშასადამე საქართველოც, რუსეთის ნაწილს შეადგენს და ზავის კომპეტენციაც ბოლშევიკების რუსეთს ეკუთვნისო.

ეერეც გაუმეორეს გერმანელებმა — საზავო კონფერენციაში

ქონაწილეობა ბიოლეთო. მაგრამ ყორდანიას დავალებით ორჯერვე ოუკოა გეგეკკორმა, რადგან საქართველო რუსეთის საზღვრებში არა რჩებაო.

შემდეგ კი თურქებს დაჟინებით მიწვევას დასთანხმდნენ. ტრაპიზონში გაძართულ კონფერენციაზე საქართველოს წარმომადგენლად აკაკი ჩხენკელი გააჭწესეს და ისიც უმალ შეუდგა საკუთარი ქვეყნის გეოგრაფიის გაცნობას. კედელზე დაკიდულ საქართველოს რუკასთან სტუდენტი პავლე ინგოროყვა მიდგა და გრძელი ჯოხით მოკლედ მონიშნა მრავალჯერ გაროზგილი და აწიოკებული საქართველოს ადგილმდებარეობანი:

— აი, ეს გახლავთ კახეთი! — მიაგნებინა მინისტრს სტუდენტმა.

— ეე ყოფილა დიდი ქვეყანა! — გაიკვირვა საზღვრებს დამდგენი დელეგაციის თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელმა და ტრაპიზონის კონფერენციაზე გაემგზავრა ორმოცდაათი კაცის თანხლებით ბმობლიური უცნობი მიწა-წყლის გაძოსატაცად თურქების წაპოტინებული ხელებიდან.

იქ კი სულაც დადუმდა ანდა დაადუმეს. ტრაპიზონის კონფერენციაზე მუსავატელი დელეგატები პირში უვარდებოდნენ ერთმორწმუნე თურქებს, სომეხი დაშხაკები პირიდან აგვუმენტებს აცლიდნენ „დიდი სომხეთის“ სახელმწიფოს შექმნის მოწინააღმდეგე ოსმალოებს, ქართველი მენშევიკები კი პირში წყალს იგუბებდნენ ქართველებით დასახლებული არდაგანისა და ართვინის მინდორველების დაკარგვის გამო იმ საბაბით, რომ ბრესტის ზავს არ ცნობდნენ, უფრო სახეიროს კი ვერაფერს ამბობდნენ.

თურქ მასპინძლებს გაეცინათ:

— ქართველები ორმოცდაათკაციანი რაზმით ჩამოდიხართ ტრაპიზონის კონფერენციაზე: თუ საომრად მობრძანდით, ცოტანი ხართ!, თუ სალაყბოდ — ძალზე ბევრნი!

მენშევიკ-პატრიოტებს არც ერთი არ ჰქონდათ გუნებაში. ომის თავი სადა ჰქონდათ, ლაპარაკით კი რას გახდებოდნენ.

რაკი არც ბრესტში წაბრძანდნენ, რომ რუსეთთან ერთად ებრძოლათ თურქეთის საზღვრების გადმოწევის წინააღმდეგ და არც ტრაპიზონის თათბირზე ამოიღეს ხმა, ოსმალეთის ფაშებს მადა ჭამაში გაეხსნათ და უფრო მეტი მიიტაცეს, ვინემ 1917 წლის ბრესტის ზავის პირველი პირობა ითვალისწინებდა.

მუსავატელები თურქებს კრიჭაში როდი უდგნენ, პირიქით, ფი-

ანდაზად ეფინებოდნენ, თურქების საზღვრების გადმოწევას სიხა. რულით ხვდებოდნენ. რომ მერე სულაც შეერთებოდნენ. ეს შეა-შევიკებს ანერვიულებდათ და დაშნაკების პარტიის მკლავებში ვარ-დებოდნენ. ისინი კი თავის მხრივ ბენშევიკებს საყვედურობ-დნენ, — რაკი საქართველოს მიწა-წყალს თურქებს აღვილად უთ-მობთ და სომხეთისკენაც პირს აქნევინებთ, ჩვენი თავი თავად უნ-და დავიცვათ „დიდი სომხეთის" აღსადგენადო. თბილისის თავმა ხატისოვმა ვოროსცოვ-დაშკოვთან თავისი ძველი თბილი სიახლო-ვე გაიხსენა და მეფის ჩამოგდების შემდეგაც ძველი გეგმის ხორ-ცშესხმას შეუდგა, — ბორჩალოსა და ახალქალაქის მაზრების თბი-ლისის გუბერნიიდან გამოყოფა და ცალკე გუბერნიის შექმნა მო-ითხოვა „დიდი სომხეთის" ფარგლებში შეტანით. მენშევიკებმა თურქების წინააღმდეგ ერთი ასეულიც არ დააყენეს, დაშნაკებმა და ჰნჩაკისტებმა კი თვით თბილისში სომეხთა მეექვსე „დრუჟინის შტაბი" შექმნეს ოსმალოებისაგან ქართული და სომხური მიწების თავის სახელმწიფოსათვის შემოსაერთებლად.

ამერიკელებმა ვილსონის ჩანაფიქრის განსახორციელებლად პოლკოვნიკი ჰასკელი დანიშნეს უმაღლეს კომისრად სომხეთში და იმანაც როდი დამალა, რომ „ბათუმი უნდა გადაიქცეს ამიერკავკა-სიაში ამერიკის ბაზად".

ბერე იტალიელებსაც აღეძრათ სურვილი.

არც ოსმალეთის სულთანი ასვენებდა საქართველოს. ჯერ სომ-ხეთში შეიჭრა და პირი თბილისისკენ ქნა, მაგრამ რევოლუციური რუსეთი გზაზე გადაუდგა და საქართველოს გარდა, სომხეთის ხალ-ხსაც ააცილა თურქების მიერ განზრახული ახალი გენოციდი.

მწარე ინტერვიუ

რესპუბლიკას ნელნელა ეცლებოდა ძალღონე.

ჟორდანიას დიპლომატებმა ახლა ამერიკის შეერთებულ შტა-ტებს მიმართეს თხოვნით — იცანით ჩვენი დამოუკიდებლობაო, მაგრამ საეჭვო პასუხი მიიღეს:

— ამგვარად, თქვენ გსურთ სრული დამოუკიდებლობა. თქვენმა ფინანსთა მინისტრმა ჩვენებს განუცხადა თბილისში, რომ სხვების

დაუხმარებლად ვერაფერს გავხდებითო... ნუთუ დამოუკიდებლობის ცნობა მოგცემთ რაიმე სახსარს, რომელიც თქვენ არ გაგაჩნიათ?

— დიახ, ჩვენ გვჭირდება როგორც ფინანსური ისე სხვაგვარი დახმარება; დამოუკიდებლობის ცნობა, რა თქმა უნდა, ერთბაშად არ მოგვცემს სიმდიდრეს, მაგრამ თუ, იმავე დროს, საქართველო უზრუნველყოფილ იქნა ნამდვილი დახმარებით, შესაძლებელი გახდება ბუნებრივი სიმდიდრის დამუშავება! ამით კი ჩვენ წელში გავსწორდებით; რა ფორმას მიიღებს ჩვენი ურთიერთობა, ეს სხვა საკითხია? იქნებ მანდატის ფორმა სჯობდეს?! თქვენ ხომ ერთგვარი ზედამხედველობის წინააღმდეგი არ ხართ?

— არა!

— მანდატი გაითვალისწინებს, მაგალითად, დროებით სესხს, დახმარების გაწევას ფინანსების მოწესრიგებაში, — ყოველივე ეს სრულიად არ ეწინააღმდეგება დამოუკიდებლობას!...

მერე ბაქოდან ბათუმში გზად ჩამოსული ამერიკელი მისიის თავმჯდომარეც ესაუბრა საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს დიომიდე თოფურიძეს. მისიის თავმჯდომარემ — საერთაშორისო სამართლის ჩიკაგოს უნივერსიტეტის რექტორმა, პროფესორმა ჯეკსონმა კითხვით მიმართა:

— როცა თბილისში ვიყავით, დიდი ზეიმი ტარდებოდა. ყველგან ფრიალებდა წითელი დროშები, უცხო ქვეყნის ჯარისკაცთა თოფებზეც კი. მერე, ქალაქში სამხედრო პარადიც მოეწყო. მაგრამ რატომ არის, რომ ყველგან წითელი დროშები გამოფინეთ, ნაციონალური დაივიწყეთ?!

თოფურიძე ჩაფიქრდა:

— იმ დღეს სახალხო გვარდიის ზეიმი იყო...

— ყოველ სახელმწიფოს აქვს თავისი ეროვნული დროშა, რომელიც ნაციის ემბლემაა. წითელი დროშა სოციალიზმისა და რევოლუციის ემბლემაა. იქნებ თქვენი მისწრაფებაა რევოლუციის გაგრძელება? ახლაც მიილტვით სოციალურ რევოლუციისაკენ, — მაგრამ ეს ხომ იგივე ბოლშევიზმია?! თუმცა თქვენ ისიც იცით, რაც მოკავშირეებს სწადიათ, — ბოლოს და ბოლოს, დაამყარონ მშვიდობა და წესრიგი.

მენშევიკური მთავრობის წარმომადგენელი შეცბა, ძლიერი სა-

ხელმწიფოს მისიის თავმჯდომარის გაკვირვებული კითხვა გაჯიტ-ხვაც იყო და სცადა დაემშვიდებინა იგი:

— რევოლუცია ჩვენთან უკვე დამთავრდა! ახლა შემოქმედებითი მუშაობა მიმდინარეობს. ჩვენ სავსებით დაშორებული ვართ სოციალურ ექსპერიმენტებს. რაც შეეხება იმას, რომ თქვენ თბილისში ნახეთ მხოლოდ წითელი დროშები, ეს აიხსნება იმით, რომ სახალხო გვარდიის ზეიმი ტარდებოდა, რომელიც რევოლუციის დასაწყისში ჩაისახა და წარმოადგენს ორგანიზაციას, რომლის მიზანი იყო მეფე ნიკოლოზის რეჟიმის მოსპობა, მონარქიის წინააღმდეგ ბრძოლა ისეთი წესწყობილების დასამყარებლად, როგორიც არსებობს თქვენთან და სხვა დემოკრატიულ ქვეყნებში. სახალხო გვარდიის გვერდით ჩვენ გვყავს რეგულარული არმიაც, რომელსაც აქვს ნაციონალური დროშა.

პროფესორმა ჯეკსონმა კითხვა შეუტრიალა:

— მართალია თუ არა, რომ თქვენი მთავრობა სოციალისტურია?

— რა თქმა უნდა, — გაუადვილდა პასუხის გაცემა მენშევიკური „სოციალისტური" ხელისუფლების წარმომადგენელს, — ჩვენმა მთავრობამაც, როგორც სხვა ქვეყნებშიც, შეიყვანა მთავარი პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლებიც. მინისტრთა კაბინეტი, როგორც ასეთი, სოციალისტური არ არის, მაგრამ მთავრობაში სოციალისტებიც შედიან.

ჯეკსონი თავის კითხვას ბოლომდე ჩაჰყვა:

— თუ საქართველოს მთავრობა სოციალისტური არ არის და არა დგას წმინდა სოციალისტურ პლატფორმაზე, მაშ როგორღა ავხსნათ ინტერნაციონალისტური მთავრობის სახელით გაგზავნილი წერილის ფაქტი?

— წერილი გაგზავნა მთავრობამ კი არა, არამედ ქვეყნის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხელმძღვანელობამ. მას ხელს აწერენ სოციალისტებიც, რომლებიც მთავრობის შემადგენლობაშიც არიან, და ამ პირებმაც მოაწერეს ხელი, რაც ჩვეულებრივი მოვლენაა ევროპაშიც. პარტიის წევრები მთავრობაშიც არიან, მაგრამ კვლავაც რჩებიან თავიანთი პარტიის წევრებად.

ამერიკელმა საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

— რა მდგომარეობაშია თქვენთან აგრარული საკითხი, მართალია, რომ გადაწყვიტეთ ყველას ჩამოართვათ საკუთარი მიწები?

თოფურიძე კვლავ თავის მართლებას შეუდგა.

— არა! მდგომარეობა შემდეგნაირია — გლეხებმა რევოლუციის პერიოდში ძალით დაიტაცეს სხვისი მიწები. იმისათვის, რომ შევაჩეროთ ასეთი მიტაცება და ძალადობა, სახელმწიფო იძულებული გახდა ეკისრა საკითხის გადაჭრა. თვითნებური მიტაცების ასაკრძალად განსაზღვრა მიწის მფლობელობის ნორმები და შეუდგა დასამუშავებლად მთელი ვარგისი მიწების რეგისტრაციას. ასეთ პირობებში მთავრობამ საქართველოს ტერიტორიაზე თავის გამგებლობაში 220 ათასამდე დესეტინა მიწა მოაქცია და ახლა გადაწყვეტილი გვაქვს მივყიდოთ მიწათმფლობელებს საკუთრებად. ამგვაროად, კერძო საკუთრების პრინციპი ჩვენთან დაცულია.

პროფესორი სამხედრო ძალის გამორკვევასაც შეუდგა:

— რამდენია თქვენი ჯარის რიცხვი?

— განზრახული გვაქვს მშვიდობიან დროს გვყავდეს 30 ათასი, ჯერჯერობით კი შევაგროვეთ 20 ათასამდე. ომის შემთხვევაში შესაძლოა გამოვიყვანოთ 200 ათასამდე.

— სახალხო გვარდია რაღამდენია?

— სამი-ხუთი ათასი, მაგრამ არა როგორც მუდმივი ორგანიზაცია, არამედ ვაგროვებთ საჭიროების მიხედვით.

პროფესორმა შინაგანი მოწინააღმდეგობის ძალაზეც ჰკითხა:

— შეგიძლიათ კი იმ ძალებით, რომლებიც გაგაჩნიათ, შინაგან წესრიგსაც გაართვათ თავი?

— დიახ, სავსებით!.. შინაგანი არეულობის ცდები იყო, მაგრამ დავძლიეთ და ჩავახშეთ. ამის საბუთი აშკარაა — რუსეთის ყოფილი იმპერიის ტერიტორიაზე მხოლოდ საქართველოში არ არის ბოლშევიზმი, ნორმალური წესრიგია და შემოქმედებითი მუშაობა მიდის.

ამერიკელმა მეთვალყურემ წაქეზებაც სცადა:

— შეგიძლიათ გაუძლოთ ჩრდილოეთიდან ბოლშევიკების დაწოლას?

— დიახ, ჩვენს მთიან გადასასვლელებში სიმაგრეებიც გვაქვს და ჯარიც გვიყენია. შეუძლიათ გაუძლონ ბოლშევიკების შემოტევას. მათი ერთი ცდა უკვე იყო, თავი გავართვით. თუ ისევ შეეცდებიან, მზადა ვართ, იარაღით დავუხვდეთ!

სამართლის მქადაგებელი სწავლული ახლა საერთაშორისო წესიერებაზე ალაპარაკდა:

— თქვენ იცით, რომ ინგლისი და ამერიკა ერთობლივად იბრძვიან მთელ მსოფლიოში გარკვეული პრინციპებისა და წესიერების დასამყარებლად. მათ შორის არსებობს სრული თანხმობა და სოლიდარობა. ამიტომ ჩვენ გვინდა ვიცოდეთ, შეგიძლიათ თქვენ იყოთ ინგლისისათვის სასარგებლო და მაშასადამე, ჩვენთვისაც ბოლშევიკებთან ბრძოლაში წესიერების დასამყარებლად?

საგარეო საქმეთა სამინისტროს საიმედო მსახურმა სიამაყით მიუგო:

— თუმცა არა მაქვს ამის შესახებ ჩემი მთავრობის პირდაპირი მითითებები, მაგრამ ვფიქრობ, რომ ჩვენი რესპუბლიკა ყველა საშუალებითა და ძალებით დაეხმარება შეკავშირებულ სახელმწიფოებს ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლაში წესიერების დასამყარებლად.

პროფესორმა ჯეკსონმა თავშეკავებული რჩევაც მისცა გულგახსნილ მოსაუბრეს:

— მოკავშირეები პირდაპირ არ მოგმართავენ დაგეხმარებითო. საქართველოს მთავრობას შეუძლია თვითონ წამოაყენოს ასეთი წინადადება, და ეს იქნება ფრიად სასარგებლო საქართველოსთვის. ნე ამას ვამბობ არა ოფიციალურად, მაგრამ გირჩევთ როგორც ამერიკის მოქალაქე, შემიძლია ნათქვამი გავიმეორო; საქართველო უნდა შეუერთდეს თანხმობის სახელმწიფოებს როგორც მათი მოკავშირე!

მერე რჩევა-ბრძანება ახალი საბუთით გაამაგრა:

— ინგლისელები თქვენი მეგობრები იქნებიან. ჩვენ, როგორც ინგლისელთა მეგობარს, გვინდა ვიცოდეთ, თქვენ რას ფიქრობთ თანახმა ხართ?

— რა თქმა უნდა, გვინდა გვყავდეს მეზობლად ისეთი ცივილიზებული ერი, როგორც ინგლისია, ეს სასარგებლოა და სასიამოვნო!

— როგორია თქვენი დამოკიდებულება ამერიკასთან? ჩვენ გაგვაჩნია ცნობები, რომ როცა ამერიკა ჩადგა მოკავშირეთა რიგებში, თქვენი გაზეთები წერდნენ, ამერიკაში გაიმარჯვა მილიტარიზმმა, რამაც წარმართა იგი გერმანიის წინააღმდეგო.

ქართველმა დიპლომატმა არ დაფარა სიხარული:

— როცა ამერიკა გამოვიდა გერმანიის წინააღმდეგ, მაშინ ჩვენ რუსეთთან ერთად ვიმობდით საერთო მტრის — გერმანიის წინა-

აღმდეგ და, ამგვარად, ჩვენ შეგვეძლო მხოლოდ გავეხარებოდა ისეთი ძლიერი სახელმწიფოს დახმარება, როგოროიცაა ამერიკა! რაც შეეხება ცალკეული გაზეთების აზრს, ეს არის ცალკეული ჯგუფებისა და პარტიების, — სრულიად უპასუხისმგებლოების, — მაგრამ ეს არ არის მთავრობის ან ერის აზრი, როგორც ასეთი.

ჯეკსონი დიდად კმაყოფილი დარჩა მენშევიკური მთავრობის კეთილგანწყობილებით ამერიკისადმი და მტრული დამოკიდებულებით ბოლშევიკებისადმი:

— ჩვენ მადლობას გიხდით ცნობების მოწოდებისათვის, რომლებიც ჩვენთვის ფრიად საინტერესოა.

თოფურიძემ მთავრობის მემორანდუმიც მიართვა იმავე სულისკვეთებით შედგენილი, რამაც კიდევ უფრო გაახარა ამერიკელი სტუმარი და საპასუხოდ უძღვნა თავისი წიგნაკი გერმანიის პოლიტიკის შესახებ.

საღამოთი კი თოფურიძე ამერიკის მისიის მეორე წევრს, უებსტერსაც ესაუბრა, მოკლედ გააცნო თავისი შთაბეჭდილებები ამერიკაში მოგზაურობის დროს და დააყოლა:

— ჩვენ რომ შევძლოთ სარგებლობა მოვუტანოთ ინგლისს საერთო საქმეში წესიერების დასამკვიდრებლად, ეს დიდად გაგვახარებდა, თუმცა მე არა მაქვს ჩემი მთავრობის რწმუნება გავაკეთო ასეთი გაკცხადება, მაგრამ მგონია, რომ გამოვხატავ ჩემი მთავრობის აზრსა ღა განზრახვას, თუ გეტყვი რომ საქართველო ყოველთვის ჩასთვლის თავის მოვალეობის შესრულებად, თუ აღმოუჩენს დახმარებას ინგლისს კავკასიაში, როგორც ბოლშევიზმისა და ყოველგვარი უწესოების წინააღმდეგ ბრძოლაში, ისე, წესრიგის დაცვაში ბათუმსა და მის ოლქში.

უებსტერმა დიდი მადლობა გადაუხადა ასეთი დამოკიდებულებისათვის და დაპირდა, რომ ინფორმაციას გაუკეთებს თავის მთავრობას.

შემდეგ თოფურიძე აღელვებით შეეკითხა ამერიკელ მბრძანებელს:

— ბათუმში ხმები დადის, რომლებსაც ინგლისელებს აწერენ, თითქოს მათ სურთ ადმინისტრაციულ თანამდებობაზე დანიშნონ ადგილობრივი მეფის დროინდელი რუსი მოხელეები. ეს ხმები დიდად აღელვებს ადგილობრივ მოსახლეობას, რომელიც ვერაფრით ვერ ურიგდება აზრს, რომ ლიბერალური ინგლისელები ხელ-

მეორედ მოახვევენ თავს რასპუტინისა და ნიკოლოზის ეპოქის ჩინოვნიკებს. იმისათვის, რომ ბოლო მოეღოს ასეთ ხმებს იქნებ საჭიროა ინგლისელებმა განაცხადონ თავიანთი გეგმები, — რას უქადიან ქალაქსა და ოლქს? თუ საჭიროა, ჩვენც შეგვიძლია დავეხმაროთ ინგლისელებს ამ შემთხვევაში.

ამერიკელმა მოსმენით კი ყურადღებით მოისმინა, მაგრამ ინგლისელების მიმართ სიტყვაც არ წამოსცდა, — ბათუმელი დიპლომატის საამებლად რატომ გაჰკილავდა თანხმობის წევრ სახელმწიფოს აღვირახსნილ თავნებობას ბათუმსა და საქართველოს სხვა ქალაქებშიც, რომლის ფაქტები ჟორდანიას მთავრობას ბევრი დაუგროვდა, მაგრამ ამის საწინააღმდეგო ძალა არა ჰქონდა. ჯეკსონი კი უცერემონიოდ თავს ახვევდა ქართველებს იმ ინგლისელებისავე მეგობრობას, რომლებიც ცინიკურად დასცინოდნენ საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას. გამკითხავი აღარავინ იყო!

უმაღლესთა აუდიენცია

იმ დღეს თბილისში ძლიერ ცხელოდა, პაპანაქება იდგა. მთავრობის სასახლეს თბილისში მღელვარება დაუფლებოდა. ჟორდანია საათს დასცქეროდა.

არც საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი იყო მშვიდად, მაგრამ თავს ისე აჩვენებდა, თითქოს არაფერიც არ ელოდა უსიამოვნო — არც თვითონ და არც მის საგარეო პოლიტიკას.

ინგლისელთა საოკუპაციო ჯარების ახალი უფროსის აუდიენციას ელოდნენ და საჭირო იყო გარეგნული სიმშვიდე მაინც სახეზე, რომ ბრიტანეთის თვალში კარგად გამოჩენილიყო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებელი მთავრობა, რომელიც, საბჭოთა რუსეთთან გაბუტული, ხან თურქეთს მიეკედლებოდა ხოლმე, ხან გერმანელებს. ზოგჯერ ფრანგებსაც და კაცი ვერ გაიგებდა, რა ორიენტაცია ეჭირა.

რად ემართებოდა ასეთი რამ ნოე ჟორდანიას მთავრობასა და მის პარტიას, — ეს ჯერ კიდევ ბევრს ვერ გაეგო და ვერც მიმხვდარიყვნენ: თითქოს თავსატეხი ბრძოლა არ გადახდენოდათ ქართველ მენშევიკებს იმის მისაღწევად, რომ რუსეთის სოციალ-დემოკრა-

ტიული მოძრაობის ყველაზე მაღალ ტალღას ნაფოტივით აყოლილებს თოფის გაუსროლად ჩაეგდოთ ხელში ძალაუფლება.

მართალია, არც პეტროგრადში დაიღვარა სისხლი მეფის ჩამოსაგდებად და რევოლუციის ქეჩოზე ლიბერალური ბურჟუაზიის მოსაქცევად, მაგრამ მერე თუ ერთ ნავში ბოლშევიკები და მენშევიკები ვერ მოთავსდნენ. ყოველ შემთხვევაში, ქართველები ისე გამოეიყენენ რუს კოლეგებს, რომ სინანულიც არ უგრძვნიათ. პირიქით, მეფისნაცვალმა მიხეილ მიხეილის ძე რომანოვმა, ჩოხა-ახალუხში გამოწყობილმა დატოვა თბილისი და ჟორდანია — რამიშვილი მემკვიდრე ხელისუფლების თავკაცებადაც აკურთხა, სანამ იგი პეტროგრადში კონსტიტუციურ მონარქიას აღადგენდა და თბილისში ისევ დაბრუნებული თავის ხიზან პოლიტიკურ პარტიებს მადლობას ეტყოდა წესიერად თავდაჭერისათვის!

მართალია, რომანოვების დინასტიამ ვეღარ დაიბრუნა ტახტი, მაგრამ არც ქართველმა მენშევიკებმა დაღვარეს სისხლი კავკასიაში მეფისნაცვლის სასახლის კარის შესაღებად: თოფის გაუსროლად განვლეს გოლოვინის პროსპექტი და მშვიდად განლაგდნენ ორსართულიან სასახლეში.

სადარბაზო კარი კი ღია იყო. დამოუკიდებელი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე დიდი ბრიტანეთის წარგზავნილი გენერლის სტუმრად მოსვლას ელოდა.

ინგლისის საოკუპაციო ჯარების ახალი მხედართმთავრისათვის ეს პირველი შეხვედრა იყო საქართველოს დემოკრატიული მთავრობის თავმჯდომარესთან.

ინგლისელი გენერალი კორი ისეთივე ამაყი ნაბიჯით შევიდა ჟორდანიას საპარადო დარბაზში, როგორც მისდაგვარ თანამემამულეებს დასჩემებოდათ ინდოეთში. განსხვავება ის იყო, რომ ბრიტანეთი რა ხანია მბრძანებლობდა დამონებულ ინდოეთში, საქართველოში კი მათ მოსვლამდე თავ-თავიანთი წილი ბალახი უკვე მოეძოვათ თურქებსა და გერმანელებს.

— ნაძალადევი ღიმილით წარმოთქმული მისალმების შემდეგ მთავრობის კანცელარიის მოხელეებმა ფანქრები მოიმარჯვეს უმაღლეს დონეზე დანიშნული საუბრის ჩასაწერად.

მთავრობის თავმჯდომარემ ინტერესით მიაგება გენერალს:

— გავიგე, რომ თქვენ ჩამობრძანდით გენერალ ტომსონის შე-

საცვლელად. ეს დროებითი შეცვლაა? მე ჯერ არც კი მენახა გენერალი ტომსონი.

სტუმარიც ელოდა მასპინძლის ამ პირველ შეკითხვას და იგრძნო კიდეც რაღაც უსიამოვნო კილო, რაც მის წინაპარს დამსახურებულად მოეპოვებინა. მაინც გამოიჩინა იმდენი თავაზიანობა, რომ მისი სიბრიყვე ან თავხედობა ოდნავ მაინც გაენელებინა:

— გენერალი ტომსონი სასწრაფოდ გაემგზავრა დილით და, სამწუხაროდ, ვერ მოასწრო გამოთხოვება.

მერე იმ წინამორბედის მედიდურობისა და მიუკარებლობის ნიღაბი თვითონაც სახეზე მოიგდო და დაუმატა:

— მე მივიღე ამიერკავკასიაში ბრიტანეთის ძალების სარდლობა და ჩემს მოვალეობად ვთვლი მივესალმო მთავრობის თავმჯდომარეს.

ნოემაც ცივად მიიღო ცივი ტონით მისალმება და მისი წინაპრის გამკილავად შეაგება:

— დიდად სასიამოვნოა, ვფიქრობ. რომ ჩვენ ერთობლივი მეგობრობით ვიმუშავებთ.

გენერალმა ისეთივე ეჭვნაკრავი კილოთი ჩაილაპარაკა:

— მიხარია ამის მოსმენა და მჯერა ეს!..

მაგრამ არც ერთს რომ არ სჯეროდა. ნოეს სიტყვებმაც გასთქვეს:

— ბოლო კვირას ჩვენ გაუგებრობა გვქონდა ინგლისის სარდლობასთან კავკასიაში, მაგრამ, ვფიქრობ, ახლა ეს მოგვარდება.

— გუშინ მე სიამოვნება მქონდა მენახა თქვენი სამი მინისტრი და მათაც აღმითქვეს ეს.

— ამ დღეებში აქ იყო გენერალი მილნი. მაგრამ არ მიიღო ჩვენი წარმომადგენლები. ჩვენ ნაჩვევი არა ვართ ასეთ მოქცევას, — არ დამალა ჟორდანიამ.

— მე ამის შესახებ არაფერი არ მსმენია. ეს ალბათ, სამწუხარო გაუგებრობაა!

მთავრობის შეურაცხყოფილმა თავმჯდომარემ საკმარისად არ მიიჩნია პასუხი:

— სამწუხაროდ, ეს ასეა. მე პირადად 25 წელიწადს ინგლისის სასარგებლო პროპაგანდას ვეწეოდი, მაგრამ ახლა უნდა ვთქვა, რომ ამგვარი მოქცევა ბრიტანეთის ხელისუფალთა მხრივ ჩვენს მუშაობას აძნელებს.

ბრიტანელმა გენერალმა, თავისი თანამემამულის ხეპრეობის კვალის დასაფარავად, ტკბილი დაპირება მისცა ეორდანიას:

— მე დიდი ხანია მსმენია, რომ მთავრობის თავმჯდომარე დიდი მომხრეა ინგლისის. გენერალი მილნი, ეჭვს გარეშეა, შემდგომი ჩამოსვლის დროს ეწვევა ბატონ პრეზიდენტს. რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, მთავრობის თავმჯდომარე ნამყოფია ინგლისში, ლაპარაკობს ინგლისურად და დიდად სასიამოვნო იქნება, თუ პრეზიდენტი ისევ ვვინახულებს ჩვენ.

მთავრობის თავმჯდომარე თავაზიანად მიეგო და საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა:

— გმადლობთ! მითხარით, გეთაყვა, რითი აიხსნება იტალიელების მოსვლა საქართველოში?

კითხვამ მიახვედრა გენერალი, რომ მთავრობის თავმჯდომარე ნაწყენი იყო — ყოველივე ეს უჩვენოდ და ჩვენს დაუშვებლად რად ხდებაო.

— გენერალ ტომსონის წერილის თანახმად, ისინი მოდიან აქ ჩვენი ჯარების შესაცვლელად.

— მაგრამ მაინც რამდენ ხანს გაგრძელდება ეს? კონფერენციის გადაწყვეტილებამდე?

— მე ვფიქრობ, რომ ეს არის პარიზის კონფერენციის ერთ-ერთი უკვე წინასწარ გადაწყვეტილი საკითხთაგანი.

— იტალიელები დამოუკიდებელი იქნებიან თავიანთ მოქმედებაში თუ იმოქმედებენ ინგლისელთა დირექტივებით?

— იტალიელები იმოქმედებენ ისევე, როგორც ინგლისელები, — ანტანტის სახელით.

ნოემ თავი მოისაწყლა:

— ასეთი ხშირი შეცვლა ჯარების, ჩვენს დაუკითხავად და დაუთანხმებლად, დიდად არასასიამოვნოა. ჩვენ უკვე გავიცანით ინგლისელები, მათ დაგვარწმუნეს თავიანთ სიმპათიებში როგორც აქ, ისე ლონდონიდან მოსული ცნობებით, და ახლა კი უცებ მოდიან იტალიელები. ჩვენ არაფერი არ ვიცით მათ განზრახვაზე.

გენერალმა ბუზიც არ აიფრინა:

— შეგიძლიათ მიიღოთ უფრო ზუსტი ცნობები პარიზში მყოფი იტალიის დელეგაციისაგან. ისინი, რა თქმა უნდა, ჩემზე უკეთ არიან გაცნობილი ამ საკითხს.

დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს ხმა ჩაუწყდა:

— როგორ მოგწონთ ჩვენი ქვეყანა?

— ო, მშვენიერია!..

ამან სული მოათქმევინა მასპინძლებს და საგარეო საქმეთა მინისტრსაც სათხოვარის საღერღელი აეშალა. სწორედ ისეთი მომენტი იხელთა, როცა გენერლის მოწონებას — საქართველო „მშვენიერიაო", რეალურ ნაყოფსაც გამოაღებინებდა. ჟორდანიას არც გახედა თანხმობის მისაცემად და დარწმუნებული, რომ საგარეო საქმეთა ფუნქციების საზღვარს არ სცილდებოდა, თავისი თხოვნა მიაპყრო შავი ზღვის მღელვარე პრობლემას:

— ჩვენთან არ უშვებენ არც ერთ გემს ტვირთით საზღვარგარეთიდან, მაშინ როცა კონსტანტინოპოლში დაგროვდა დიდი რაოდენობა ყოველნაირი საქონლისა. ხომ არ შეიძლება მოხსნათ ბლოკადა ჩვენი სანაპიროდან და გამოგვიგზავნოთ რამე? ეს, ასე ვთქვათ, აღნიშნავდა თქვენს ჩამოსვლას და დიდ როლს შეასრულებდა ჩვენს უოთიერთდამოკიდებულებებში. ჩემს ხელთ არსებული ცნობებით, ერთ-ერთი გემი, ოდესაში მიმავალი, იქ არ მოხვდა ბოლშევიკების მიერ ქალაქის დაკავების გამო. ამ ტვირთის ნახევარი კონსტანცაში გადმოტვირთეს; ხომ არ შეიძლება მეორე ნახევარი მაინც გამოემართოს საქართველოში?

— ყველაფერს დაწვრილებით გავიგებ და დახმარებას დაგპირდებით ამ მიმართულებით. მე ძალიან კარგად მესმის სავაჭრო კავშირის დიდი მნიშვნელობა.

გეგეჭკორი გამხნევდა, საყვედურზეც გადაერთო:

— გუშინ თქვენ გვთხოვეთ, გენერალო, გულწრფელად ვილაპარაკოთ ყველაფერზე, და აი მე ვიტყვი, რომ შვიდი თვის მანძილზე ბრიტანეთის ძალების ჩვენს მხარეში ყოფნისას არ მიგვიღია ინგლისისაგან არც ერთი მარცვალი. ესა ქმნის უსიამოვნო სურათს. ჩვენს შორის იყო გაუგებრობა, მაგრამ ეს იყო მხოლოდ შემთხვევითი მოვლენები. კარგად გვესმის, რაოდენ მნიშვნელოვანია ჩვენთვის კავშირი ინგლისთან და ვიცით, რომ ეს კონტაქტი ჩვენთვის უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე რომელიმე სხვა სახელმწიფოსთან!

გენერალმა ქათინაური შეიფერა:

— მე დეპეშას გავგზავნი კონსტანტინოპოლში და ყველაფერს

შევატყობ მთავარსარდლობისაგან. 2-3 დღის შემდეგ გამოვგზავნი თქვენთან ჩემს ოფიცერს მოსალაპარაკებლად. ჩემთვის ცნობილია, ოომ რამდენიმე გემი ტვირთით კავკასიისათვის, ზღვაში იმყოფება. და გავაკეთებ თქვენთვის ყველაფერს, რაც შემიძლია.

ჟორდანია გენერლის პასუხმა დაანმედა. ახლა სცადა ისიც გაეგო, როგორ უყურებდა იგი ქართული მიწების მიტაცებას დენიკინის მიერ. თან აუწყა:

— დენიკინი სოხუმის მხრისკენ უხვევს. ჩვენ მასთან ომი არა გვსურს, მაგრამ რაკი იგი ასე იქცევა, საქართველოს მთავრობა იძულნის ყოველგვარ პასუხისმგებლობას. საკითხი ეხება უკვე მხოლოდ საქართველოს ტერიტორიის სრულიად კუთვნილ ნაწილს.

გენერალი ცივად შეხვდა ჟორდანიას სიტყვებს, დენიკინის მომდურება არ ეწადა და ბუნდოვნად უპასუხა:

— ვფიქრობ, ეს ცნობები არასწორია!

— ეს არის ზუსტი ცნობები ჩვენი კონტრდაზვერვისა გაგრაში და სახალხო გვარდიის შტაბისა. ამიტომ გთხოვთ, თუ ინგლისელებს კავშირი აქვთ დენიკინთან, შეატყობინეთ ამის შესახებ.

— გმადლობთ ცნობებისათვის,—არაფრის ვალდებულებას რომ არ იძლეოდა, იმ კილოთი გაუბრუნა გენერალმა.

მეტის იმედი არც ჟორდანიას ჰქონდა, იგი ახლა სამხრეთ საქართველოს მიუბრუნდა და ამაღლებული ტონით ჰკითხა ინგლისელ ოკუპანტს:

— როგორია თქვენი შეხედულება არდაგანში შექმნილ მდგომარეობაზე?

გენერალმა ახლა თვითონ უპასუხა გამომცდელი აზრით:

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, საქართველოს მთავრობას არ უნდა ამ ოლქის ევაკუირება, მაგრამ ზუსტი ცნობები ჯერ არ მიმიღია ჩემი ოფიცრებისაგან.

ჟორდანიამ განუმარტა გენერალს:

— საქმე იმაშია, რომ არდაგანის დაკავება დიდი სისხლი, ზრუნვა და ფული გვიჯდება. ამას გარდა, არცთუ დიდიხნის წინად, ჩემთან იყო ბერძენთა მოსახლეობის დელეგაცია და მთხოვა არ დაეცალოთ, რადგან ბერძნებს ეშინიათ, რომ თათრები სისხლს დააღვრევინებენ ქართველებისადმი თანაგრძნობისათვის!

გენერალმა მზის სინათლეზე ჟორდანიას გამოყვანა სცადა, რაკი შეატყო, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე თავს არ იტეხდა

არდაგნის მიდამოების დაბრუნებაზე და თუ არც დაუბრუნებდნენ, იტყოდა მაინც — ღმერთმაც კი იცის, ეს საკითხიც დავაყენე ინ-კავშირებად მოსული ინგლისელების წინაშეო.

— როგორ გავიგო თქვენი სიტყვები, იმას ხომ არ ნიშნავს, რომ არ გინდათ არდაგანის დატოვება:

ჟორდანია შეცბა;

— არა, საკითხი ეხება მხოლოდ თვით არდაგანის ნაწილს, მდინარე მტკვრის გამოღმა ნაპირს. ამ დასახლებული ოკრუგის ტერიტორიის დატოვებას ვუკავშირებთ ბრიტანეთის ჯარების იქ მოსვლას ჩვენს შესაცვლელად.

— ეს ჩემთვის ახალი ამბავია. რამდენადაც ჩემმა შტაბმა მაცნობა, ქართული ნაწილები უკვე ტოვებენ იქაურობას.

ჟორდანიას თვალები აუწვა სიმართლის შუქმა და შეაგება:

— რასაკვირველია, ჯარის დემობილიზაციას ვახდენთ, მაგრამ ზოგიერთ ადგილებში ვტოვებთ მცირე გარნიზონებს, ინგლისური ნაწილებით შეცვლამდე. მთავრობამ ეს მოიმოქმედა ძარცვა-გლეჯის თავიდან ასაცილებლად.

— თუ ჯარი მშვიდად დატოვებს, მაშინ ძარცვა-გლეჯასაც ადგილი არ ექნება, — მოუჭრა გენერალმა.

— ჩვენ არ შეგვიძლია გავაშიშვლოთ საზღვარი, განსაკუთრებით ესოდენ შფოთიანი. სახელმწიფოს ინტერესები სასტიკად კარნახობს სწორედ რესპუბლიკის ამ ნაწილში ვიყოლიოთ შეიარაღებული ძალები, თორემ ისევ დაიწყება იქ ბანდების მოძრაობა.

გენერალი კორი მისახვედრს მიუხვდა, — დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტს საჭიროდ არ მიაჩნდა საკუთარი ჯარის ნაწილებით დაეცვა უკვე ხელთ არსებული არდაგანის ოლქში მდინარე მტკვრის სათავეები და ახლავე ინგლისელებს უტოვებდა უპატრონოდ დასატოვებელ მიწა-წყალს. ამიტომ თავადაც ის ურჩია, რასაც ნოე ჟორდანია გულში მალავდა, პილატესავით ხელის დაბანას ლამობდა, მაგრამ ისე, რომ მერე ყველაფერი ან თურქებისათვის გადაებრალებინა, ან ინგლისელების გულცივობისათვის მიეწერა, ანდა, ბოლოს და ბოლოს რუსეთის მიერ გერმანია-თურქეთის ნაძალადევ ბრესტის ზავის უსამართლობით გაემართლებინა თავისი დამღუპველი პოლიტიკა.

— ძალიან გთხოვთ, — თვალი თვალში გაუყარა გენერალმა პრეზიდენტს, — არ წაახდინოთ კეთილი დამოკიდებულება, უკან

არ წაიღოთ თქვენი სიტყვები და გამოიყვანეთ ჯარი. მით უფრო, რომ ვიცი — იქ არავითარი არეულობა არ მოხდება. მე აქ ჩამოვედი ამ განზრახვით და არ მინდა საქმე გავაუარესო. ამიტომ კიდევ ერთხელ გთხოვთ, გაიყვანოთ ჯარები. მე კი, ჩემს მხრივ დავუკავშირდები გენერალ მილნს და ვიშუამდგომლებ ნებართვას გაიგზავნოს ამ ადგილებში ბრიტანეთის ჯარები.

ვიძეორებ: ახლავე დავუკავშირდები კონსტანტინოპოლს მოთხოვნით, რომ საჭიროა იქ ჩვენი ჯარების გაგზავნა.

ჟორდანია სანახევროდ გატყდა:

— ჩვენ არ მიგვიღია ოფიციალური გადაწყვეტილება ევაკუაციის საკითხზე, მაგრამ, ნამდვილად ვაპირებდით გამოყვანას.

გენერალმაც გამოიჩინა უფრო მეტი ინფორმირება, ვინემ პრეზიდენტს ეგონა:

— ეს ამბები დაიწყო უჩემოდ, მაგრამ პოლკოვნიკი ბელიუ ამბობდა, რომ გენერალი კვინიტაძე გაემგზავრა არდაგანის ჯარების გასაყვანად.

ჟორდანიას შერცხვა, რომ ერთი წამით სხვა თქვა, გამოყვანის გადაწყვეტილება არ მიუღია მთავრობასო. გენერალმა კი კვირიტაძის გვარის დასახელებით გადაწყვეტილების ფაქტი დაადვინა. ნოემ მაინც თავი იმართლა:

— არა, კვინიტაძე დემობილიზაციისათვის წავიდა, მაგრამ ამასთან ერთად იმისათვისაც, რომ განალაგოს საზღვარზე გარნიზონები და პიკეტები საჭირო ადგილებში.

— ჩვენ არა გვაქვს პრეტენზიები არდაგანის მიწებზე, მაგრამ მთავრობის მტკიცე სურვილია თავი დაიზღვიოს იმ ამბების გამეორებისაგან, რომელსაც ადგილი ჰქონდა ამ რაიონში. ამ მიზნით გვინდა გავამაგროთ ჩვენი საზღვარი. რა თქმა უნდა, თუ ამას გააკეთებენ ინგლისელები, ამას ჩვენ მხოლოდ მივესალმებით.

ნოემ ნორჩილების პირობაც მისცა გენერალს: მხედველობაში გქონდეთ, რომ ჩვენ ერთ ნაბიჯსაც არ გადავდგამთ ინგლისელთა თანხმობის გარეშე.

ესეც საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობის ნოესეული აღიარება იყო და საუბრის გაგრძელებასაც აზრი აღარ ჰქონდა. სტუმრად მოსული გენერალი სახლის გამქირავებელი პატრონივით გამოემშვიდობა:

— ბოდიშს ვიხდი, რომ წაგართვით ამდენი ძვირფასი დრო.

მასპინძელიც ხელგაძლილი მადლიერებით დაემშვიდობა და სთხოვა:

— გეთაყვათ, ყოველთვის გთხოვთ ილაპარაკოთ თქვენთვის ყველა საინტერესო საკითხზე პირადად ჩემთან.

მერე ერთმანეთს კიდევ ერთხელ ბიესალმ-გამოემშვიდობნენ და ყველა კმაყოფილი დარჩა, — ჟორდანიაც, კორიც, გეგეჭკორიც, საუბარზე დამსწრენიც — პოლკოვნიკი ბელიუ, ინტერპრეტატორი მელიქოვი და მდივანი მაჭავარიანი.

მაგრამ კმაყოფილი თუ დარჩა დამოუკიდებელი საქართველო, ამას ხალხი იტყოდა, მაგრამ როდის და სად?!..

ვილჰელმ მეოთხის მადა

საქართველოს დელეგაცია, გენერალ ფონ ლოსოვთან ერთად, ბერლინს გაემართა დამოუკიდებლობის ცნობის მისაღებად. გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროში დელეგაციის წევრი ზურაბ ავალიშვილი საქმის წინასწარ მოსასინჯად შევიდა. დასაწყისისათვის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის დირექტორს, დოქტორ კრიგეს ესაუბრა.

საქართველოს წარმომადგენელი გამხნევებული იყო გენერალ ფონ ლოსოვის დაპირებით, რომ გერმანია ცნობდა საქართველოს დამოუკიდებლობას და ამ იმედით გენერალი იმპერატორ ვილჰელმსაც ესაუბრა. გერმანიის მეფემ პასუხად ნახოლოდ ტკბილი მოგონება გაანდო ფონ ლოსოვს:

— ბავშვობიდან მახსოვს. მამაჩვენი, ტახტის მემკვიდრე ფრიდრიხი, დაესწრო ალექსანდრე მესამის ჯვრისწერას, სადაც ნახა საქართველოს დედოფალი, რომელსაც თავს ედგა რომაული ციხის მსგავსი გვირგვინი!..

იხსენებს რა ამ ამბავს, ავალიშვილი გაოცებით შენიშნავს: გასული საუკუნის სამოციან წლებში საქართველოს არცერთი დედოფალი ცოცხალი არ ყოფილა. შეიძლება ეს იყო სპეგრელოს უკანასკნელი მთავრის მეუღლე ეკატერინე ჭავჭავაძე.

გენერალ ფონ ლოსოვს თან ახლდა ყალმუხი თავადი დუნდუტოვი. იმპერატორმა ვილჰელმმა მასაც გადაუშალა გულში ნადები:

— რუსეთი უნდა გაიყოს ოთხ ნაწილად: ველიკოროსია, უკრაინა, ციპბირი და სამხრეთ-აღმოსავლეთის კავშირი კავკასიით, ცენტრი — თბილისი!..

რა ეთქმის ამას? მომავლის სურვილი?! მაგრამ ვილჰელმი თავად ელის მოვლენების ისეთნაირად წარმართვას, რომ შესაძლოა თვითონ იგი გააძევონ თავისივე სატახტო ქალაქიდან. ესეც მოგონება იქნება, მაგრამ უკვე დუნდუტოვისა და ფონ ლოსოვისათვის, თუ შესძლეს უფრო მეტხანს იცოცხლონ. ვინემ ვილჰელმმა.

საგარეო საქმეთა სამინისტროში დოქტორი კრიგე კი ნაკლებად ეძლეოდა მოგონებებს. ავალიშვილმაც ჩაიწერა:

— კრიგე დგას მკაცრ ფორმალურ თვალსაზრისზე: რუსეთი ჩვენთან მშვიდობიან განწყობილებაში არის, და ჩვენთვის ძნელია ერთი მისი ნაწილი დამოუკიდებლად ვიცნოთ, როცა ეს მოგვიმოქმედნია ბრესტ-ლიტოვსკში. ჩვენ არ შეგვიძლია რუსეთს წავეიხუბოთ, როცა ძალების ასეთი დაძაბვა გვჭირდება საფრანგეთის ფრონტზე: ხალხთა თვითგამორკვევის უფლება აღიარებული აქვს რუსეთის მთავრობას, მაგრამ ამ აღიარებაზე დამყარება არ შეუძლია მესამე სახელმწიფოს.

გენერალი ფონ ლოსოვიც გაუტყდა საქართველოს წარმომადგენელს:

— საგარეო საქმეთა აქაური სამინისტრო სავსებით არ იზიარებს იმ პოლიტიკას, რომელიც მე გირჩიეთ, ყველაფერს გადაჭარბებული სიფრთხილით, ფორმალურად უყურებენ.

საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობის მოწადინებით გატაცებული ქართველების ჯგუფი მაინც მიიწვია საგარეო საქმეთა სამინისტრომ სადილზე.

ჩხენკელმა მოიკალათა საგარეო საქმეთა მრჩეველ ფონ როზენბერგის გვერდით. ავალიშვილი კი მიუჯდა მინისტრ ფონ კიულმანს. მათი საუბარი მინისტრმა გამამხნევებელი სიტყვით დაიწყო და ავალიშვილიც გულახდილად გამოეხმაურა მინისტრის ცნობისმოყვარეობას:

— მე კონსტანტინოპოლში გერმანიის საელჩოს მრჩევლად ყოფნის დროს კავკასიაც მოვინახულე. თბილისზე საუკეთესო მოგონება მაქვს, დიდად ვაფასებ თბილისის საზოგადოების მაღალ სოციალურ დონეს. მაღალი წოდების ერთ ქორწილსაც დავესწარი.

მერე რუსეთის სასახლის კარის დიდებულებიც გაიხსენა:

— რა ბედი ეწია დიდ მთავარს ნიკოლოზ მიხეილის ძეს, რომელსაც ბორჯომიდან ვიცნობდი?

ავალიშვილმა არ დაუფარა:

— სწორედ ეს წრე სასტიკად დააზიანა რევოლუციამ, თუმცა საქართველოში ჯერ უფრო ლმობიერი წყობილებაა, ვიდრე რუსეთში.

კიულმანმა სხვაც გამოკითხა:

— როგორი მოცულობისაა თქვენი ქვეყნის სოციალური შერყევანი და რა ხასიათისაა საქართველოს მთავრობა, რომლის შესახებ გამიგონია, რომ იგი პარტიულია და მეტად რადიკალურად არის განწყობილი?

ავალიშვილმა არც ეს დაუფარა.

კიულმანმა რუსეთის ვითარებაც იკითხა:

— რა არის მიზეზი ბოლშევიზმის დიდი ხნის, აგერ უკვე შვიდი თვის წარმატებისა რუსეთში?

— მიზეზი ბევრია, მაგრამ უმთავრესია ნებისყოფის საფუძვლის აღდგენა, სახელმწიფოს ხელისუფლების ნებისყოფის დაჩიმვა! 1917 წლის მარტში კატასტროფულად დაინგრა ძველი რუსეთი. გაცამტვერდა ბურჟუაზიული ძალა, მატერიალური სიმდიდრე, ფული, საგნები. სახლები, ერთი ხელიდან მეორეში გადავიდა რამაც გამოიწვია მოსახლეობის ისეთი მრავალრიცხოვანი ჯგუფების შექმნა, რომელნიც სისხლხორცეულად დაკავშირებული არიან ახალ წყობილებასთან და მზად არიან დაიცვან იგი.

მინისტრმა სიტყვა ჩამოაგდო ერმიტაჟის, კრემლისა და რუსეთის სამხატვრო სიმდიდრის ბედ-ილბალზე, პეტერბურგის ზამთრის სასახლის ღვინის სარდაფების დარბევის შესახებ.

— ეს დარბევა და ტფილისის სასახლის სარდაფების ხელუხლებლობა ასურათებს ამ ორი რევოლუციის სხვადასხვაობას, — უპასუხა ავალიშვილმა.

მინისტრმა კი მზრუნველად გააფრთხილა:

— ოღონდ... თბილისის ღვინის სარდაფზე სიტყვა არ დაგცდეთ თქვენს მოკავშირეებთან! ალბათ, გესმით ვისაც ვგულისხმობ?

— ო, რა თქმა უნდა! დამშვიდებული ბრძანდებოდეთ.

მერე ავალიშვილი შეეკითხა საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელ დოქტორ სიმონსს:

— როგორ გესახებათ გერმანიისა და საქართველოს ურთიერთ-

განწყობილების შესაძლებელი ფორმა? საქართველოს პოლიტიკური მიზანია განიმტკიცოს სახელმწიფოებრივი არსებობა, შექმნას ეროვნული, თავისუფალი განვითარების პირობები ვერმანიაზე დაყრდნობით... მასთან კავშირი, ცხადია, უნდა იყოს საკმაოდ მჭიდრო: უბრალო კავშირი აქ არ იკმარებს.

გერმანელმა დიპლომატმა გული უფრო გაუხსნა, ვიდრე დიპლომატი ავალიშვილი ელოდა. სიმონსი დიდხანს როდი დაყოვნდა, რომ გაღიმებით ეთქვა, სჯეროდა, მოწვეულ სტუმარსაც აამებდა:

— მე ვფიქრობ, გეოგრაფიული სიშორე რომ ხელს არ გვიშლიდეს, საქართველოსათვის ყველაზე უფრო მართებული იქნებოდა შესულიყო გერმანიის ფედერაციაში.

— დიახ, გეოგრაფია წინააღმდეგობას გვიწევს! — უპასუხა ზურაბ ავალიშვილმა.

მერე იმის გამართლებას შეუდგა, რასაც რუსეთთან ხელშეუშლელ გეოგრაფიულ პირობებს ანგარიშშიც არ აგდებდა:

— საქართველოს მდგომარეობა სამხრეთში შესაძლებელია ყველაზე უფრო შევადაროთ ფინეთის მდგომარეობას ჩრდილოეთში. მაგრამ იგი უფრო რთულია, რადგან დაკავშირებულია ამიერკავკასიის კონფედერაციის შექმნის კითხვასთან. საქართველოს გამაგრება და მისი ნეიტრალურ სახელმწიფოდ გამოცხადება — აი მიზანი, რომლის დასახვა სავსებით ბუნებრივია იმ დროში, როცა რუსეთის იმპერიამ დაიწყო გარდაქმნა ფედერაციულ საფუძველზე. საქართველო უმთავრესი ნაწილია კავკასიაში ასეთი „ბუფერული" შენობისა.

მერე უფრო სასურველი სურათი გადაშალა:

— როცა გერმანია საქართველოს დამოუკიდებლობას უზრუნველყოფს დიპლომატიური დახმარებით და პოლიტიკური გავლენით, იგი დაინახავს და დარწმუნდება, რომ გერმანიისათვის ფაქტიურად სასარგებლო მდგომარეობის შექმნა სავსებით ეთანხმება საქართველოს ფაქტიურ დამოუკიდებლობასაც.

ავალიშვილის ნათქვამი დიდად ეამა სიმონსს. იგი სრული თანაგრძნობით შეხვდა ქართველი დიპლომატის იმ შეთავაზებას, რაც რევოლუციური რუსეთისათვის ფიქრადაც არ ნოსდიოდა, მასთან სიახლოვე აშინებდა, თითონაც გაურბოდა და მასაც იშორებდა. ბოლშევიკური წყობილება არ სწამდა, მაგრამ არც მენშევიკების პოლიტიკით იყო დიდად გახარებული. მისი მოსაუბრე — მასპიხ-

ძელიც ძალას არ ატასდა — ეკითხა, თავად რა წყობის ხელისუფლებას ნატრობთო. ერთი კითხვა მაინც მისცა:

— მმართველობის ფორმა საქართველოს შინაგანი საქმეა! მაგრამ როგორ უყურებენ ამ საკითხს თქვენში? არიან იქ მონარქიის მომხრენი?

სტუმარმა მასპინძელს სიმართლე ვერ დაუმალა, თუნდაც დიპლომატისათვის ჩვეული ინსტინქტით, მაგრამ პასუხი ისე აასხა, როგორც მონარქიული გერმანიის ერთგულ შემკითხველს ეამებოდა:

— საქართველოში სულიერი განწყობილება აშკარა რესპუბლიკურია — ძველი მონარქიული ტრადიციები დავიწყებულია, ახალი მიმართულებანი არ არსებობს და რუსეთში მონარქიის დაცემამ კიდევ უფრო შეარყია ეს იდეა. სიმპათია მონარქიული ფორმისადმი, შესაძლებელია, დარჩა ზოგიერთ წრეში; რესპუბლიკელებიც მოიძებნებიან, რომლებიც ფიქრობენ, რომ საქართველოს საშიშარ გეოგრაფიულ მდებარეობის გამო, თუ საჭირო გახდა შუა ევროპის იმპერიებზე დამყარება, მონარქიული ფორმა მისაღები და სასარგებლო იქნება საქართველოსათვის. ასე ვთქვათ, ეს არის მონარქიზმი ანგარიშითა და გონებით გამოწვეული, როგორც იყო ნორვეგიაში 1905 წელს, ანდა ფინეთში ეხლა. მაგრამ ამ „ფერს“ საქართველოში ეხლა არავითარი მნიშვნელობა არა აქვს.

მერე ავალიშვილმა გამომცნობი კითხვაც მისცა მასპინძელს:

— როგორ წარმოვსახოთ მომავალში გერმანიის წარმომადგენლის მდგომარეობა საქართველოში?..

დოქტორი სიმონსიც ბოლომდე გულახდილი დარჩა:

— ფორმალურად იგი ჩვეულებრივი დიპლომატიური წარმომადგენელი იქნება; არსებითად, შეიძლება, უახლოვდებოდეს ინგლისის რეზიდენტს ინდოეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოსთან. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს იურიდიული სქემა და არა შინაური ყოფაცხოვრების ანდა სოციალურ-პოლიტიკური მხარე!.. მე ვიცი, რომ ქართველები ინდოელები არ არიან.

ამ სიტყვების მომსმენს გული უხდა გახეთქოდა, მაგრამ ჩანს, დიპლომატ-ვასალების გულს უფრო სხვა მანკი ერევათ, ერის ვასალად გადაქცევა ცოდვად არ ეჩვენებათ.

• • •

გერმანელი კრიგე კი თავისაზე იდგა. მერამდენედ თხოვნით მისულ ჩხენკელსა და ავალიშვილს ცივი უარით უპასუხა:

— საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობას გერმანია რუსეთზე ადრე ვერ იქმს, რადგან ასეთი ცნობა, მას შემდეგ რაც ბრესტ-ლიტოვსკის ზავი შეკრულია, იქნებოდა მტრული მოქმედება რუსეთის მიმართ. იქ, ბრესტ-ლიტოვსკში, რუსეთი წინადადებას გვაძლევდა, მიგვეღო ხალხთა თვითგამორკვევის უფლება საერთაშორისო უფლებების საერთო პრინციპის მნიშვნელობით. მაშინ ეს წინადადება ჩვენ გადაჭრით უარვყავით; როგორღა შეგიძლია ახლა რუსეთის ერთი ნაწილი, საქართველო, რომელმაც თავი დამოუკიდებლად გამოაცხადა, ვიცნოთ მხოლოდ მისი გამოცხადების აქტის ძალით? ჩვენ დავემსგავსებოდით იმ გლეხს, რომელმაც უარი განაცხადა დანიშნულ ფასად ეყიდა ცხენი, შემდეგ კი თავლიდან მოინდომა ცხენის გამოყვანა იმ საფუძვლით, რომ მას ცხენი სჭირდება.

ბერე უფრო მეტი იურიდიული არგუმენტები შეახსენა ავალიშვილსა და ჩხენკელს:

— თქვენ ამბობთ, რომ საქართველოს აქვს განსაკუთრებული უფლებები?!. არ ვაპირებ მათს კრიტიკულ განხილვას! მაგრამ ვიტყვი, რომ თუ საქართველო იყო სახელმწიფო, ახლა აღარ არის! მომხდარმა ფაქტებმა შექმნეს ახალი მდგომარეობა. და ყოველ შემთხვევაში: განსაკუთრებულ უფლებებზე ლაპარაკი შეიძლება რუსეთსა და საქართველოს, და არა რუსეთსა და მესამე სახელმწიფოს განწყობილებაში. აჯობებს კითხვა პლებისციტით გადაწყდეს? ამის წინააღმდეგ, მგონი, ბოლშევიკებიც ვერაფერს იტყვიან?!

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა გაოცებით უპასუხა კრიგეს:

— როგორ შეიძლება საქართველოს განსაკუთრებული უფლებების საკამათოდ გადაქცევა?!. ამ უფლებებს სცნობენ ამერიკაში, იაგლისში, საფრანგეთში და მხოლოდ თქვენთან, გერმანიაში, რაღაც მიზეზის გამო მათ არ აღიარებთ!

ავალიშვილიც წაეშველა თავის მინისტრს:

— ზეიბით გამოცხადებულ საქართველოს დამოუკიდებლობის

მიღების შემდეგ უფერულია პლებისციტის მოხდენა, არც აგიტაციაა სასურველი ასეთ დროს!

კრიგე გაკერპდა:

— ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით ზოგიერთი ნაწილი გამოვიდა რუსეთის შემადგენლობიდან; სხვებისთვის შექმნილია განსაკუთრებული მდგომარეობა! დანარჩენი ნაწილები კი რჩებიან რუსეთის სუვერენიტეტის ქვეშ. რაც შეეხება კავკასიას, ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულია მხოლოდ სამი ოლქი, რომლებიც ჩამოეცალა ოსმალეთს 1878 წელს, და მეტი არაფერი!

— მაგრამ, — გაახსენა ავალიშვილმა, — იქ პირდაპირ ნათქვამია, რომ ამ ოლქების მოწესრიგებაში ერთგვარი ხმა ეძლევა, გარდა ოსმალეთისა, „მეზობელ სახელმწიფოებსაც“, მხოლოდ არა ოუსეთს.

— ეს კითხვის თქვენი გაგებაა! ჩვენ ასე არ ვუყურებდით საგანს. მაგრამ თქვენც გაიგეთ, ჩვენ არ შეგვიძლია, იმ დროს როცა ომი, მგონი დასასრულაა მისული, ისეთი მგდომარეობა შეექმნათ, რომ საჭირო გახდეს საფრანგეთის ფრონტიდან მოვხსნათ თუნდაც რამოდენიმე კორპუსი.

ქართველმა დიპლომატმა ქართული კვანტი გამოსდო გერმანელ დიპლომატს წამოსაქცევად:

— კეთილი, მაგრამ თუ საქართველო და ამიერკავკასია რუსეთს ეკუთვნიან, როგორღა მიიღო გერმანიამ მონაწილეობა ბათუმის კონფერენციაში, რომელშიაც თქვენი აზრით, რუსეთის ტერიტორია გამოდიოდა როგორც მხარე, როგორც სახელმწიფო, ყოველ შემთხვევაში, თქვენივე მოკავშირის — ოსმალეთის მიერ უკვე ცნობილი?!.

კრეგე წამით შეცბა, მაგრამ სიტყვით შეეცადა გაჰქცეოდა ქართველი დიპლომატის მიერ გამოდებულ სარმას:

— ეს მონაწილეობა იყო, ასე ვთქვათ, ფაქტიური იმ პირობით, რომ წინასწარ გიცხობდათ რუსეთი...

ავალიშვილმა კრიგეს ფორმალურ მტკიცებაში ბზარი იგრძნო და გააღრმავა:

— არა ფაქტიური, არამედ რეგულარული, კანონიერ რწმუნებაზე დამყარებული! არავითარი განცხადება არ შემოსულა არც მონაწილეობის ფაქტიურ ხასიათზე, არც რუსეთის უფლებებზე ოაც წერილობითი, არც სიტყვიერი! კიდევ მეტს მოგახსენებთ: მა-

შინაც კი, როცა ბათუმში მოლაპარაკების დროს გავიგეთ, რომ მირბახსა და მოსკოვს მთავრობას შორის მიწერ-მოწერა წარმოებს ბათუმის კონფერენციაზე უკანასკნელის მონაწილეობის მიღების შესახებ. მაშინაც კი არც ოსმალეთს გახსენებია და ჩვენთვისაც არ გაუხსენებიათ რუსეთის უფლება! დასაბრულ, როგორ ხსნით თქვენ საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით გერმანიის ჯარის ყოფნას თბილისში?

— რადგან რუსეთი ფაქტიურად ვერ ახორციელებს ხელისუფლებას, გერმანია თავისი ინტერესების დასაცავად იძულებული იყო გაეგზავნა იქ თავისი ჯარი, — მშვიდად მოიგერია კრიგემ.

— და ეს მოხდა რუსეთის ნებართვით ანდა მას, როგორც სუვერენს, აცნობეთ მაინც? — ჩააჯინდა ავალიშვილი.

— საერთოდ, თქვენის აზრით, ჩვენ იმდენი ცოდვა ჩაგვიდენია, რომ უნდა განვაგრძოთ იმავე გზით სიარული!..

— არა, მაგრამ დამეთანხმებით, რომ ყველაფერი ეს ეწინააღმდეგება ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებით თქვენს მიერ წამოყენებულ სასტიკ ფორმალურ თეორიას. რაც დრო ვავა, წინააღმდეგობა მით უფრო გამოაშკარავდება. უფრო ადვილია იმ მოსაზრებაზე დავდგეთ, რომ ბრესტ-ლიტოვსკის მოლაპარაკების დროს გერმანიასა და რუსეთს ამიერკავკასიის ახალი სახელმწიფოებიც მხედველობაში ჰქონდათ...

კრიგემ ხელები გაშალა და თავი გააქნია:

— რა ვქნათ, ჩვენ ერთნანეთი ვერ დავარწმუნეთ! მე გამოვთქვამ აზრს, რომელსაც აქ, ჩვენს სამინისტროში, ყველა ეთანხმება. მე იურისტი ვარ და ვმსჯელობ, როგორც ამას მოითხოვს საერთაშორისო სამართალი. როგორ უყურებს ჩვენი მთავრობა პოლიტიკურ კითხვებს, — ეს არ ვიცი?! ასეთ კითხვებს გადაწყვეტენ კანცლერი და იმპერატორი.

„და ლიუდენდორფი! — დაუმატა გონებაში ავალიშვილმაც. მერე თავის თავს გუმანით უთხრა:

— მეც აუცილებლად მიმაჩნია, რომ წინასწარ უნდა იქნეს რუსეთის თანხმობა საქართველოს გამოყოფაზე; ამის შემდეგ არ დააყოვნებს გერმანია ცნობას, რადგან პოლიტიკურად გერმანია ასეა განწყობილი...

საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნობის საკითხი გერმანიის რაიხსტაგშიც გადავიდა. თბილისის დელეგატებს ჩხენკელსა და ავალიშვილს ლოჟაში ესმოდათ საგარეო საქმეთა მინისტრის ფონ კიულმანის თავაზიანი სიტყვა საქართველოს ცნობის დასაცავად, მაგრამ ისეთი „თუს" წამძღვარებით, რომ უარსაც ნიშნავდა:

— ახლად აღმოცენებულ სახელმწიფოებრივ ორგანიზმთა რუსეთის შემადგენლობიდან გამოსვლის შესახებ საჭიროა რუსეთის საბჭოთა მთავრობასთან წინასწარი მოლაპარაკება, და ამის შემდეგ იქნება შესაძლებელი ამ ახალი სახელმწიფოების გადაჭრით დიპლომატიური ცნობა!

მენშევიკური საქართველოს მთავრობის ნოტის პასუხადაც დაამატა:

— გერმანიის იმპერატორის მთავრობას პატივი აქვს განაცხადოს, რომ იგი მზად არის კეთილგანწყობილებით შეხვდეს ამ წინადადებას და არ დააყოვნებს მოლაპარაკება იქონიოს ამ საქმის შესახებ მოკავშირე სახელმწიფოების მთავრობებთან!..

ბოლოს საგარეო საქმეთა სამინისტროს იურიდიული სიზუსტის მოყვარულმა მოხელეებმაც დასძინეს:

— იმპერატორის მთავრობა ახლაც ცნობს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას „De iure" და პრინციპულად თანახმაა რესპუბლიკის ფორმალურად ცნობის სასარგებლოდ გამოთქვას აზრი, მას შემდეგ, რაც კეთილად დამთავრდება მოლაპარაკება საქართველოს რესპუბლიკასა და მოსკოვის მთავრობას შორის!..

ამ პრობლემას დაეთანხმნენ საქართველოს წარმომადგენლებიც.

— ეს შეთანხმება დამოკიდებულია რუსეთ-გერმანიის მოლაპარაკების შედეგებზე ბრესტ-ლიტოვსკში მიღებული ხელშეკრულებების რატიფიკაციის შემდეგ, რამაც ბევრი მოსაწესრიგებელი მიიმე საკითხი აღძრა.

თბილისელმა დელეგატებმა ამ პრობლემის გადაწყვეტის ბედი მიაგდეს რუსეთის თანხმობაზე, მაგრამ ეს უმძიმეს საქმედაც მიაჩნდათ, რადგან ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა საბჭოთა მოღვაწეებისადმი თავიდანვე აიღეს ანტაგონისტური კურსი, რაც საქართველოს უფრო ვაებდა, ვიდემ რუსეთს. ამიტომ მოცდა იყო

საჭირო. ავალიშვილმა მაინც გადასცა გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს თავისი მთავრობის მემორანდუმი და ისევ აღაღადდა:

— საქართველო ერთგული იყო რუსეთისა დიდი ომის დროს ბრესტლიტოვსკის ზავის შეკვრამდე, მაგრამ მას არ შეეძლო გულგრილად შეხვედროდა რუსეთის მთავრობის მოქმედებას, რომელიც ამიერკავკასიის სახლვრებს ტოვებდა მტრის შემოსასევად და ხელშეკრულებით მტერს უთმობდა საქართველოს ნაწილებს. ამგვარად, ის ბედის ანაბარად მიტოვებული საქართველო, ამიერკავკასიაში რუსეთის სახელმწიფოებრიობის დაცემისა და სრული მოსპობის შემდეგ, ჯერ ხელს უწყობდა დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი წესწყობილების დაფუძნებას, მაგრამ შემდეგ დაიწყო საკუთარი სახელმწიფოს მოწყობა, რომელიც მომხდარ გარემოებათა გამო, სრულიად თავისუფალი იყო ყოველგვარი ვალდებულებისაგან რუსეთის ბიმართ, რომლის მთავრობამ განსაკუთრებული დეკრეტით სრული თავისუფლება მიანიჭა რუსეთის სახელმწიფოში შემავალ ყოველ ერს აერჩია შესაფერისი პოლიტიკური რეჟიმი, თუნდაც სრულიად ჩამოშორებოდა რუსეთს.

ავალიშვილს ამ სიტყვებით სურდა დაესაბუთებინა გერმანიაზე ორიენტაციის კურსი და იურიდიულადაც დასადასტურებლად რჩევისათვის მიმართა გერმანიის ცნობილ მეცნიერს, საერთაშორისო სამართლის სპეციალისტს პროფესორ ფრანც ფონ ლისტს, რომელმაც დაასკვნა, რომ არ მოიპოვება იურიდიული დაბრკოლება გერმანიის მიერ საქართველოს ფაქტიურად ცნობისათვის.

სწორედ იმხანადვე საბჭოთა რუსეთის ელჩმა ბერლინში იოფემ 1918 წლის 27 აგვისტოს ხელი მოაწერა დოკუმენტს, რომლის საფუძველზე გერმანიის მთავრობას საბჭოთა რუსეთის სახელით გახუცხადა:

— რუსეთი თანხმობას აცხადებს, რომ გერმანიამ ცნოს საქართველო, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ორგანიზმი.

ჩხენკელმა პირჯვარი გადაისახა, ავალიშვილმა შვებით ამოისუნთქა, რაკი თავისი ჭაპანწყვეტის შედეგი ნახა, გერმანიის მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის გაჭიანურებული ცნობა შესდგა, მაგრამ ახლა თვით გერმანიას დაუტრიალდა ჩარხი უკან. 1918 წლის 3 ოქტომბერს იმპერატორ ვილჰელმს ტახტი გამოეცალა და ანტანტამ თვით იგი აქცია თავის ვასალად.

ნოე ჟორდანიამ გეზი იცვალა და ბურუსიან ბრიტანეთის კუნ-

ძულს გახედა, ფიქრით იქით გადავიდა და თურქეთის საწინააღმდეგოდ ახლა ინგლისს, მისი ჯარის ნაწილების მოწვევას რევერანსი გაუკეთა.

ბრიტანეთსაც ხელს აძლევდა ასეთი მასპინძლების მოწვევის მიღება, მაგრამ მათი დამოუკიდებლობის გასამტკიცებლად კი არა, ამიერკავკასიის რკინიგზებისა და ნავსადგურების გამოსაყენებლად ევროპიდან აზიაში ოკლეზე გადასასვლელად, ბაქოს ნავთობის როგორმე ხელში ჩასაგდებად, თურქესტანის „თეთრი ოქროს" — ბამბის გასატანად და მესოპოტამიაში მისით წამოწყებული ძნელი ომის დასამთავრებლად.

ასეთი ეკონომიკური და სტრატეგიული მიზნების მიუხედავად ინგლისი მაინც ვერ ბედავდა რევოლუციური რუსეთის წინააღმდეგ საომარი მოქმედების დაწყებას. ცეცხლიდან დაბრაწული წიბლის სხვისი ხელით ამოღებას იყო ნაჩვევი და ახლაც საკუთარი ფულითა და იარაღით შექმნილი დენიკინის „მოხალისეთა არმია" მიუქსია საბჭოთა რუსეთს, თავად კი სავაჭრო გარიგება სცადა და პილატესავით ხელის გაბანვა ირჩია.

თუმცა ესეც კი სახეირო იყო სამოქალაქო ომით გაბეზრებული და დაქანცული რუსეთისათვის.

მაგრამ ყველაფერი ისეც არ წავიდა, როგორც ჟორდანიას პარტიას და მენშევიკების მთავრობას ეწადათ. მაინც ეწვოდათ ხელი!..

ხათაბალა გზა

ცხელა.

შემოდგომის ბუზები ცხარედ იკბინებიან.

ბაქოს მატარებელი გრუხუნით შეგორდა ფოილოს ხიდზე.

რბილი ვაგონის კუპეში ორი სხედან, მაგარ-მაგარ პრობლემებს ეჭიდებიან, ერთმანეთს ეჭირვეულებიან. სადგურ ბალაჯარიდან ოკიდებული კამათობენ, სოციალიზმის მოძღვრებას თავ-თავიანთ გავებას აძალებენ, მაგრამ ერთმანეთის კარგად მცნობნი ერთიმეორეს ვერ არწმუნებენ, ერთი ალთასაა, მეორე კი — ბალთას.

მერე კავკასიის მეფისდროინდელი საზღვრების შეცვლა-შეუცვლელობის დავიდარაბაში ჩაიძირნენ, დაირწნენ და საერთაშორისო

ვაგონის ბორპლების ტაკატუკს საკუთარი დაუთანხმებლობის ხმაც ააყოლეს.

ოუსავატური აზერბაიჯანის საზღვარი მტკვარგადაღმა დარჩათ, მენშევიკური საქართველოს ნაპირზე გადავიდნენ და ხიდზე ჩაქროლილი ხმაურიც შეწყდა. ტიტე ცამიწაძემ ფანჯარა ჩაიწია, თავი გაჰყო და...

— ჰაიკ!

— ჰაჯან?

— მუსავატელებზე მოვრჩეთ!..

— ვაჰ. მაშ, მარტო მენშევიკებზე გინდა ჯავრი მაყრევინო?!

— გაწყენინეს?

— ჰამაც როგორ! — და გულით ნატარები ბოღმა ამოანთხია.

— მეცა მკითხე მათი ავკაცობა, — მოეამულად გააგონა ჰაიკას, რომელიც დაშნაკური მთავრობის რწმუნებით მუსავატურ მთავრობასთან მოლაპარაკებას აწარმოებდა საზღვრის საკითხებზე, მაგრამ, როგორც ტიტემ გაიგო, გაბუსხული ბრუნდებოდა შინ. ახლა, თბილისზე გავლით, ერევანში მიდიოდა მთავრობის თავმჯდომარე კაჩაზუნისათვის ანგარიშის ჩასაბარებლად და კარგ გუნებაზე ვერ იყო.

— შენ რა უნდა გკითხო, ტიტეჯან, ბედნიერი ხარ, ბოლშევიკი იქნები თუ მენშევიკი! ვის გაუყვიხართ? ორივენი საქართველოში ცხოვრობთ. სამოთხის კარი გიჭირავთ. ღმერთმა თქვენ დაგაბერტყათ ყველა სიკეთე. რა არ გიწყალობათ, — თბილი ჰავა, ცივი წყარო, ნოყიერი მიწა, უხვი მდინარეები, ჰამაც, პონტოს ზღვა.

— შავი.

— შენ შავი თქვი, ოქროს ვერძის კია! ჩვენი იკითხოს ნეტა ვინმემ, წითელ ზღვასაც ყაბულსა ვართ, ნაგრამ სად არის?! მოკრუნჩხულები ვყრივართ შაჰისა და სულთანის მუხლებს შუა. თუ ეორდანიას თავი არ დავუკარით, ბაქო-ბათუმშიც ვერ ჩავაღწევთ. მდინარე ჭოროხიც მაგ შავ ზღვაში ჩადის, ორნაპირად გაყოფილი არაქსი კი კასპიისას ერთვის, რასა გვრგებს?!

„მდინარე ჭოროხი?“ — მწარედ მოხვდა ყურში და მახსოვრობას კუნჭულები გაუხსნა ტიტეს.

ურარდიანი უფრო დაიბოღმა:

— ევროპამ სულაც გაგვიმეტა, მშრალზე დაგვსვა!..

ცამიწაძე გულისტკენას მიუხვდა:

— მესმის!.. ანტანტა აგიხირდათ. მარტო სომხეთს კი არა, რუსეთსაც. რას იზამ? ფლიდი ბუნებისაა! საფრანგეთ-ინგლისი ერთმანეთს არ ინდობენ, სხვებს რას დაგიდევენ? საქართველოსაც ყლუპს უზამენ, რუსეთის რომ არ ეშინოდეთ. გერმანიას კი სამივეს ვეჯავრებით. სამაგიეროდ, ამერიკა გესარჩლებათ. პრეზიდენტმა ვილსონმა შავ ზღვაზე გასასვლელი ტერიტორია მოგიჭრათ ბათუმსა და სამსუნს შუა. არ მოტყუვდეთ კი!.. თქვენი სიყვარულით როდი ნდოძობს — ვერაგობის მახეს გიგებთ! „დიდი სომხეთის“ შექმნით რუსეთს ერჩის, საბჭოთა ქვეყნის სამტრო ბუფერად გაქცევთ, ერთი უნდა — იმის ძლიერებას თავით შეგახეთქო და მერე ოოივე დაუძლურებულს თითონ გამოუყვანს წერვას.

ურარდიანს არ ეჭაშნიკა ცამიწაძის შორს წახედვა, გულს გაჰკაწრა და საყვედურით ამოთქვა:

— მაშ სულ ასე მოკრუნჩხული ვეყაროთ დღეს და ხვალაც?!

— რატომ ხვალაც?! დღესვე სწორად იანგარიშეთ, ჰაიკ. კარგად დაითვალეთ დაშნაკები. ამავ შეცდომას აკეთებთ, რაც მენშევიკებმა უკვე ჩაიდინეს, ორიენტაციაში ცდებით.

— ქართველმა რომ სომეხს ანგარიში ასწავლოს, ჯერ არ გამიგია? ჭკუა და ფული ერთ ყულაბაში გვიყრია.

— სადაური ჭკუაა? ხალხთა თვითგამორკვევის მოქადაგე რუსეთს გამოეყავით და სამივეს გადამყლაპავ თურქეთისკენ იშვერთ ხელებს?! განა რევოლუციურობას დაჩემებული მენშევიკები, მუსავატელები, დაშნაკები სულთანთან უფრო ახლო ხართ, ვიდრე საბჭოურ წყობილებასთან?!

— უბედური ბედი გვწერებია, რას ვიზამთ, ტიტეჯან!

— თქვენი უბედურება საკუთარ თავმოტყუებაშია, — სოციალისტობთ, სინამდვილეში კი ნაღდი ნაციონალისტები ბრძანდებით! სიტყვით რევოლუციონერობთ, საქმით ბურჟუაზიულ წყობას ირგებთ.

ურარდიანმა სათქმელი გააწყვეტინა:

— ეს იმიტომ, რომ დამოუკიდებლობა გვერთმევა, — ამოღერღა ჰაიკამ.

— თურქეთი გაძლევთ?

— სიტყვით მაინც.

— დალოცვილებო, საბჭოთა მთავრობა სიტყვითაც და საქმითაც ეროვიულ თვითგამორკვევას ქომაგობს, მეტი რაღა გინდათ?!

— ეგ რომ ყოფილიყო, თქვენი მენშევიკები ადრე რად მოიხოვდნენ რევოლუციის შემდეგ რუსეთში დარჩენას. ჟორდანია მთელი თავისი დღე და მოსწრება რუსეთის კავშირიდან გამოსვლის წინააღმდეგი იყო! იმიტომ, რომ არა სჯეროდა რუსეთისგან დამოუკიდებლად არსებობა!.. ახლა, როგორც კი საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, თავისივე რწმენას უღალატა. იცი რატომ? ინტერნაციონალურ წყობილებაში ეროვნების დამოუკიდებელი სახელმწიფოებ-ს შექმნა შეუძლებელია. ამიტომ სულაც ხელი აიღო სოციალისტობაზე. ბურჟუაზიული რესპუბლიკის შექმნა დაისახა მიზნად. სწორს არ ვამბობ?

— მაგაში მართალი ხარ — სოციალისტობაზე ხელი აიღო, ბურჟუაზიული მნართველობა დაიმყარა. მაგრამ სოციალისტობის ნიღაბს რატომღა ირგებთ ჟორდანიასთან ერთად დაშნაკებიც, თქვენი შემყურე მუსავატელებიც.

— გამოგიტყდები, ტიტე! დიდი ხანი როდია, რაც დავრწმუნდი, რომ სოციალისტ-ინტერნაციონალისტურობა ტანჯულ სომხეთს სახელმწიფოებრივ დამოუკიდებლობას ვერ მოუტანს. ამის მოქნედი მხოლოდ სოციალისტ-ნაციონალისტობაა. აი, ამიტომ მივატოვე სოციალ-დემოკრატიული პარტია და დაშნაკცუთიუნს მივეკედლე. საქართველოში ეს პარტია არ არის, თორემ ჟორდანიაც გადმობარგდებოდა.

— არ არისო?! ვინ მოგახსენა, ქართველ ნაციონალ-დემოკრატებს აღარ კითხულობ? არ იცნობ და ლაპარაკობ.

— ძალიანაც კარგად ვიცნობ. სწორედ მათ აგვირიეს დავთრები მენშევიკებთან შუსმატკბილებაში, მაგრამ მათ დაშნაკების მარიფათი აკლიათ!.. ამის მიზეზი სხვაა. ეგ პარტია თავადაზნაურობას ეყრდნობა. სომხეთში კი ასეთი კლასი არაა. ბურჟუაზიას შევყურებთ: უფრო გაბედულია, ვიდრე თქვენი თავადობა, ჩხუბის თავია! გეხსომება კომუნისტური მანიფესტი, — რა უმწეოდ გამოიყურებოდნენ არისტოკრატები რევოლუციური ბურჟუაზიის გვერდით, პროლეტარიატი და გლეხობა ადვილად გაჰყვა სომხეთის ამ პარტიას, რადგან ჩვენში, გარდა მწვავე სოციალურისა, არსებობს კიდევ უფრო მწვავე პრობლემა — ერის ფიზიკურად მოსპობის საშიშროება. სწორედ ეს უბიძგებს იმ პარტიისაკენ, რომელიც იხსნის მას, ერთი მხრივ, მუსლიმანური ტერორისგან და, მეორე მხრივ, სოციალ-დემოკრატების ეროვნულ ნიჰილიზმისაგან, მათი

უშედეგო რიტორიკისაგან. სოციალური და ეროვნული, რევოლუციური და დემოგრაფიული მოვლენების ერთმანეთში გადაკვანძამ აქცია დაშნაკცუთიუნი ერის მხსნელის იმედად, მაშასადამე, ერის თვითგამორკვევის ბრძოლის ბელადად.

— გჯერა, რომ ამას მიაღწევთ ამერიკის პრეზიდენტის დაპირებით? — საყვედურის კილოთი შეუბრუნა ცამიწაძემ.

— სამწუხაროდ, ვილსონის დანაპირებიც ისევე უნაყოფო გამოდგა, როგორც ბაქოელ მუსავატელებთან ყავაზე ჩემი მათთან მკითხაობაც. საქართველოსთან ჩვენი საზღვრების გასწორ-გამოსწორებაში უფრო მეტი მტრობა გამოიჩინეს სომხეთისადმი, ვიდრე თვითონ ქართველმა მენშევიკებმა, — ჩაიქნია ხელი ჰაიკამ.

— ემსახურეთ, რა გიშლით!

— რა გვიშლის და, მეფისდროინდელი საზღვრები. ჩვენი მიწები თათრებთან ერთად ქართველებმაც მიიწერეთ. დაგვიბრუნეთ! ნიკოლოზის დროიდან დღემდე ამას მოვითხოვთ, მაგრამ არც კერენსკის დროებითმა მთავრობამ და მისმა ნაბუშარმა ამიერკავკასიის განსაკუთრებულმა კომიტეტმა, არც ამიერკავკასიის სეიმმა უურიც არ შეიბერტყა, ერთხელაც არ განიხილა ჩვენი მტკივნეული საკითხი.

ტიტე უნებლიეთ შეიშმუშნა, გაუკვირდა, რომ სოციალისტური სიტყვის ადამიანი რევოლუციის გამარჯვების შემდეგაც გულნატკენი ჩიოდა და ინტერნაციონალიზმის საყრდენიდან ნაციონალისტობის საქანელაზე ბუქნაობდა, სოციალ-დემოკრატიული პარტია მიეტოვებინა და დაშნაკელებში შერეულიყო, იქ მაგრად ჩამჯდარი იმ საზღვრების გადახედვას ითხოვდა, რომელიც მეფის დროსაც კი გულს არავის არა სტკენდა.

— რაა განსახილველი? კავკასიელები აქამდე ძმურად ვცხოვრობდით, ერთმანეთს არ ვუწყრებოდით, ახლა რა დაგვემართა?

დაშნაკელმა ფანჯარაში გაიხედა. ორთქლმავლის ჩაქჩაქს უური გააყოლა. ტიტეს შეხედვა აღარც კი უნდოდა, წელან ნათქვამი საყვედური ახლა უხმოდაც გააგონა, შორეთში მზერა-ბღვერით გამოხტა, ჩამქროლ ტელეგრაფის ბოძებს ითვლიდა, გაჭიმულ მავთულებზე საფიქრალს მიასრიალებდა, ჩარბენილ ხის კენწეროებს კისერს აყოლებდა და გულში დუმილს სულის ყვირილად აქცევდა.

ამბობ, ძმურადო?! ესეც იმდროინდელმა პარტიულმა სოლიდარობამ გვაიძულა. მაშინ მთავარ ამოცანად გვედგა პოლიტი-

კური ძალაუფლების მოპოვება, მეფის ტახტის შერყევა. ამან გაგვაერთიანა ყველა და გაგვაჩუმა იმანაც, რომ პარტია ეროვნულ-გამათავისუფლებელ მოძრაობას პოლიტიკური განთავისუფლების ამოცანას უმორჩილებდა! ახლა ეს მთავარი პრობლემა ყველას სასიკეთოდ გადაწყდა! თვითმპყრობელობა მოვსპეთ, მაგრამ რაღა გვიშლის საზღვრების უსამართლობაც მოვშალოთ?! ახლა ეროვნული საკითხიც ისეთივე პირველადია, როგორც მაშინ პოლიტიკური! მისი საზღვარი ასეთივე ტელეგრაფის ბოძებით იწყება და მთავრდება. მარტო მიწაში ჩაფლული ბოძი როდია, ეროვნულობას იცავს. ჩვენ კი დღემდე დაკარგული ვერ დაგვიბრუნებია!

— ფანჯარაში გაყოფილ მაგ შენს თავს რომ ვუყურებ, ასე მგონია, რომ ძაან შორეთში ეძებ! — ორაზროვნად გააგონა ტიტემ.

— საძებარი როდია, არც შორეთში დევს. აქვე ახლოსაა. სომხეთის მიწა-წყლის დიდი ნაჭრები, მტრების გარდა, ძმურმა პოლიტიკურმა პარტიებმაც მიიტაცეს. მუსავატელებმა ნახიჭევანი ჩამოგვაჭრეს, მენშევიკებმა — ბორჩალოს და ახალქალაქის მაზრები ჩამოგვათალეს.

— მაგას სადაური ანგარიშით ამბობ, ჰაიკ? თბილისის გუბერნიელი მაინც არ იყო.

— სადაურიო? ჩვენი ერთობლივი, სოციალისტურით! შენ თითონაც ძველი სოციალ-დემოკრატი ხარ! რა ვუყოთ, რომ ახლა ბოლშევიკებს მიჰყვები! მეც ასევე მოვიქცევი!.. საძრახისი როდია, რომ დაშნაკურ პარტიას ვაღიარებ სომხეთის დამოუკიდებლობის მეურვედ. მუსავატელებიც სოციალისტები არიან, მაგრამ თავიანთ დამოუკიდებლობას ისინიც თვალის ჩინივით უფრთხილდებიან! ჩვენ რატომღა დავრჩეთ წაგებული ქედგადმოღმა ამხელა მხარეში?!.

— მერე რა გიშლის, იზრუნე და ააშენე საკუთარი ქვეყანა!

— ჰმ! კარგად კი ამბობ, ააშენეო! მენშევიკები მარყუჟს გვიჭერენ, მუსავატელები ბორკილებს გვადებენ, ერთი ნავთს არ გვაძლევს, მეორე თავის ტერიტორიაზე არ ატარებს. ამიერკავკასიის გადასწორებაც ცარიელ ლაპარაკად რჩება! ერთნი გვეფიცებიან — გიბრუნებთო! მეორენი იმუქრებიან — არაო! საქმე ომამდე მიჰყავთ! მერედა, სირცხვილი არ იქნება, რომ დაშნაკები მუსავატელებსაც ვეძგეროთ და მენშევიკებსაც დავეტაკოთ?! ვინ მოგვიწონებს? სოციალისტები მაინც არ ვიყოთ!..

ტიტეს გუნება გაუფუჭდა:

— სოციალისტობთ, ნაციონალისტებად კი რჩებით. ამიტომაც ვერ რიგდებით ერთმანეთში! დამიჯერე, ჰაიკ, გამოჰყევით ბოლშევიკებს და საზღვრების პრობლემაც გაგიჭრებათ. ახლა კი...

მოსაუბრემ სათქმელი გააწყვეტინა.

— ახლა კი, მართლაც, სამივე ხელმძღვანელმა პარტიამ, ვერ განვახორციელეთ სამივეთა მოწონებული პირობა! გეკითხები, რატომ?

— ალბად იმიტომ, ჰაიკ, რომ სამნი ძმანი სამ სხვადასხვა ენაზე ჭიჭყინებთ, ერთმანეთის გაგება არა გწადიათ? ერთი პირი არა გაქვთ! ან რითი რას ასაბუთებ, რომ ხალხმა მბარი დაგიჭიროთ, ჰკითხეთ მაინც?

— ვკითხეთ, დავაჯერეთ. გასაყოფიც წინ გვიდევს!.. საბუთრუქებიც! მაინც ხელი გვეშლება, ერთმანეთში სწორად ვერ ვანგარიშობთ, — გამოკვანძა საბუთებად და წინასწარ ნაანგარიშევი ციფრები კრიალოსანის კოჭებზე ჩამომარცვლა.

— მაშასადამე, მენშევიკებთან თქვენი პირობა ალსდგა?

— რასა ბრძანებ, უფრო ჩაიშალა! მუსავატელებს ადვილად მოვუგრეხდით კისერს, მაგრამ ახლა უკვე მენშევიკებმა გვიმტყუნეს, პირობა დაარღვიეს! თუმცა მანამდე ასეთი რამ არც იგრძნობოდა. მენშევიკები ადვილად გვეთანხმებოდნენ, ჩვენც თავს ვიმშვიდებდით.

— მენშევიკებს კაცი როგორ ენდობა! — გაჰკრა კბილი ტიტემ.

— საეჭვო რა გვქონდა?! ნოე ჟორდანიამ და მისმა ხეხნია რამიშვილმა პირადად გვაცნობეს საქართველოს საზღვრების გადასინჯვის დასტური.

— არ იტყოდით უარს?

— არც გვიფიქრია! სულ ამაზე ვეჩიჩინებოდით ორივე ნოეს და რას დავაყოვნებდით. მეგობრული პარტიისა და მთავრობის ასეთი დამთმობლობა კეთილგონიერად დავაფასეთ! სომხეთის ეროვნულმა საბჭომ მეორე დღესვე გაგზავნა თავის წარმომადგენლებად ხაჩატურ კარჩიკიანი, ყორღანოვი და ხატისიანი, მაგრამ ორივე ნოე დაეშალათ. ჩვენი დელეგაცია ირაკლი წერეთელმა მიიღო.

— დიდი ოქროპირია, ტკბილად აგალობდებოდა! ვიცი მისი ოინები, — გაეღიმა ტიტეს.

— ნუღარ იტყვი! ცივი წყალი გადაასხა წარგზავნილებს!

— რა თქვა ასეთი? — და ტიტემ ვაგონის ჩამოწეულ ფანჯარაში თავი გაჰყო, მაგრამ ქარმა გაჰკრა, სურდო დაემართა. ჰაიკა კი ცარიელ ალაპარაკდა:

„ — საქართველოს შემადგენლობაში უნდა შეკიდეს მთლიანად ახალქალაქისა და ბორჩალოს მაზრები.

— ოჰო! სოციალისტს ქრისტიანის ხერხიც მოუმარჯვებია! ტყუილად როდი იყო კერენსკის დროებითი მთავრობის ნაფიცი მინისტრი. ნაშინაც მართლმადიდებლური ქადაგებით ცდილობდა ჯვარზე გაეკრა რევოლუციური რუსეთი. აკი თქვა კიდეც: დღეს რუსეთში არ არის პარტია, რომელიც ძალაუფლებას ხელში აიღებსო, — უსაყვედურა ტიტემ.

ურარდიანმაც შიშით გაიხსენა:

„ — არის ასეთი პარტია!“ — უპასუხა ბოლშევიკმა ლენინმა.

იმ თავშეკრებას რუსეთის ყველა რევოლუციური პარტიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. ურარდიანიც იყო! სწორედ იმის შემდეგ განუდგა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიას და თავი შეაფარა დაშნაკური მაუზერის ნაციონალისტურ ქადაგებას.

— არა, ჰაიკ, ზუსტად ეგრე არ ითქვა. საკუთარი ყურით გავიგონე. ირაკლი წერეთლის შეძახილზე — „არ არის ასეთი პარტია!“ — ლენინმა ერთი სიტყვით მოუჭრა: „არის!“

— ვაჰ, მეც ეგ არა ვთქვი? — გაიკვირვა ჰაიკამ.

ტიტემ სხვაც გაახსენა:

— ორჯონიკიძე და სტალინი ახალი დაბრუნებული იყვნენ გადასახლებიდან პეტროგრადში. სერგოს ძლიერ მოეწონა ირაკლის გამოსვლა და კობას გადაუჩურჩულა: „ბრწყინვალე სიტყვაა“.

კობამაც მოკლედ მოუჭრა:

„ — სიტყვა ბრწყინვალეა, პოლიტიკა დამპალი!“.

ჰაიკ ურარდინს დიდად ეამა წერეთლის გაკილვა, კობას მწარე სიტყვის გახსენებით ჯავრი იყარა.

დამდურებული ურარდიანი დადუმდა, სათქმელი სამოქმედოდ შეინახა. მენშევიკურ რესპუბლიკაში დაშნაკური მთავრობის ელჩის ჯამალიანის მრჩეველია და თბილისთან მატარებლის მიახლოებამ გუნება შეუცვალა. ორნაირი გრძნობა მიეძალა თბილისში დაბადებულს, კომერციულ სკოლაგათავებულს, პეტერბურგის უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის კურსდამთავრებულს, მთელი

სიცოცხლე სოლოლაკში გაეტარებია და საკვექილო პრაქტიკაც თბილისში გაუგრძია. დიდი სიახლოვე აქვს ქართველ საზოგადო მოღვაწეებთან, იურისტებთან, პოლიტიკური პარტიების ლიდერებსაც იცნობს, მეგობრობს და რუსულ გახეთებშიც თანამშრომლობს უფთავრესად სომხური კაპიტალის საქართველოში შემოტანა — გალაღების სარგებლიანობის აზრის გასავრცელებლად. თავისი ბევრი კაოგი რჩევითაც ქართველი მრეწველების ავტორიტეტიც აეწევა სოფეხი ვაჭრების თვალში.

— მართლა? — იკითხა ტიტემ.

— ჩემნა მზემ! — მიუგო ჰაიკამ და ერთი მდიდარი ვაჭარიც გაიხსენა:

— მელიქ აზარიანცია სახელი გეცოდინება, ტიტეჯან!

— გოლოვინის პროსპექტზე?..

— იმის ბოლოს, ზემელის აფთიაქის პირდაპირ. მართლაც ზორბა რამეა! ასეთი დიდი შენობა თბილისში არც ერთ სომეხს არ წამოუდგამს!.. ახლა მით უფრო, ვინ აგიშენებს? ეს ჩვენი მელიქ აზარიანცი ახირდა, ეშმაკი შეუჯდა რაღა, თავში! ვერეს დალმართზე სანიაღვრო ხევი იყიდა სახლის წამოსაგებიმად. ჩემი ოჩეკით პროექტი პოლონელ არქიტექტორს შეუკვეთა. კაი ფული დაუჯდა! ფასადის შესამკობად ახალგაზრდა მოქანდაკე იაკობა ნიკოლაძეს გაურიგდა. მერე საძირკველი ჩაყარა, ჰამაც იმ სიღრმეზე და იმ სიგანე — სისქისა, რომ ასეთსავე სამოიდე სახლსაც აიტანდა სადმე ვაკე ადგილას!

— ფული ჰქონდა, რა ენაღვლებოდა! — ჩაურთო ტიტემ.

— შენ ეგა თქვი!.. მაგრამ, კაცმა რა იცის, დროება რას მოიტანს?!. როცა საძირკველი გოლოვინის პროსპექტის პირაბდეკ ამოიყვანა, ხათაბალაც მაშინ დაატყდა! ქალაქში ბუნტი დაიწყო. აირია მონასტერი. პეტერბურგში გაპონმა მუშებს სისხლი დააქცევინა, ალიხანოვ-ავარსკიმ ქუთაისის გუბერნია ააწიოკა. არსენა ჯორჯიაშვილმაც გენერალი გრიაზნოვი ალექსანდრეს ბაღთან გააგორა! მერე კი ეგ თქვენი ილია გრიგორიჩ ჭავჭავაძე მოკლეს წიწამურთან! აბა, ასეთ არეულ დროში, ვინ სულელი ააშენებდა, მამიჩემის მზემ, ამოდენა სასახლეს?! ჰამაც მეწყერიან ხევში, რუსები, რომ „ბალკას“ ეტყვიან. მელიქ აზარიანცი თავნება კაცია. არამიანცს. ბოზარჯიანცს. ეფეიანჯიანცს, ადელხანოვს სულაც თავს არ უყადრებდა, იმათზე მეტი სახელის გაკეთება უნდოდა, გოლო-

ვინის პროსპექტზე თავისუფალი ადგილი რაკი აღარ იყო, სანაგვე ხევი ედემად უოდა ვაეციოო, დაიქადნა! ეშმაკი შეუჯდა-მეთქი, ხო ვითხარი.

მერე ჰაიკამ ვერცხლის პორტსიგარი ამოიღო, გახსნა, გაუწოდა, ოითონაც ამოაძრო, ფაფუკი ცერა და სალოკი თითით მოუთათუნა, მოთელა, მარცხენა ხელის თითებითაც რბილად ჩამოსწველა, ბუყაოს მუნდშტუკი ორი თითით ცალი მხრიდან მოკუყლიტა, შეატრიალა, მეორე მხარეც დააკუყლიტა, კბილებში გაირჭო, სანთებელა მიანთო, მოქაჩა, შეიწოვა, ჩაისუნთქა, ნიკაპაწევითა და ცხვირაპოვნით ქონიანი ტუჩები მოპრუწა, ბოლის რგოლი რგოლს მიაყოლა, გადააბა და ჩახლეჩილი, ჭვარტლიანი ხმით დააყოლა:

— იმას ვამბობდი, რევოლუციამ ფულის ყადრი არ იცის-მეთქი! ანგარიშის კაცები შეშინდნენ, ოქრო ზანდუკებში ჩაკეტეს. ვინ ტუტუცი გაასესხებდა ძველი მაზანდით, თავზე ორპროცენტიანი სარგებლით? გიუეს?!. მელიქ აზარიანცსაც ცუდად წაუვიდა საქმე. დეზერტირის ბაზართან სპილენძის საგლინავი ქარხანა ჰქონდა, რუსის მთავრობამ ჩალის ფასად წაჰგლიჯა, ლამის გააკოტრეს!.. სახლის აშენებას კი ნაღდი ფული სჭირდებოდა. რას იზამდა, თბილისელ მდიდრებს სესხი თხოვა. არამიანცმა ფეხი დააჭირა, უიმედო დროა, ქარის გასატანებელი ფული სადა მაქვსო. ბოზარჯიანცმა სარგებლად შვიდი პროცენტი დაუდო, ორის ნაცვლად!.. ენფიანჯიანცმაც კაპიკი არ დაუკლო. ადელხანოვმა სულაც ატკაზი უყო! მაშ?!.

ურარდიანმა მოწყალე კაცის იერი მოირგო სახეზე. კრიალოსანი ამოიღო და გიშრის კოჭებს მოუთათუნა:

— ისევ მე ვურჩიე: თუ ხეირს ეძებ, წადი, ვინმე ტუტუც-ვრაცი ნახე-მეთქი! მართლაც, მილიონერი აკაკი ხოშტარია ნახა, შინ ეახლა.

— პარუნ, მელიქ ეგ შენი ძმები — რა, თბილისიდან სხვაგან გადასახლდნენ?! ბოზარჯიანცი ნათლიმამად მოგიდის, მიდი, სთხოვე მოგცემენ, — ურჩია ხოშტარიამ.

სტუმარს მოერიდა მდიდარი ძმების ძუნწად ხსენება, სახელი შეუნახა, არაფერი უპასუხა.

— ადელხანოვიც გასესხებს! არც არამიანცი გეტყვის უარს, — გადაეკიდა მასპინძელი.

სტუმარი უფრო გაწითლდა, ვეღარ დაუმალა:

— იძლევიან, როგორ არა! შვიდპროცენტიან სარგებელსა მთხოვენ თავნზე...

— უჰ! — გაოცდა ხოშტარია.

— დაუიქცევი, აკაკიჯან.

— გაკოტრდები, მა რა დაგემართება!

— მააშ!.. ეშინიათ, რევოლუცია სარგებელსაც დაგვიკარგავს და თავნსაცო.

ხოშტარია ჩაფიქრდა, თავისი მძიმე ბედიც წარმოუდგა: მენშევიკების მთავრობა დიდ გადასახადს ადებს, ოპოზიციურ ანარქისტებს კი თავიანთი წილი მუქარით მიაქვთ! ახლა მელიქ აზარიანიც კარს მიადგა:

— კეთილი, მომიცია!..

მელიქ აზარიანცს გულზე მოეშვა, მაგრამ გასარკვევი ჯერ წინ ედო. მობოდიშებით ჰკითხა:

— ბატონო აკაკიჯან, პროცენტს რამდენს ინებებ?

ხოშტარიამ იწყინა, დაუბღვირა, უკმეხად მიახალა:

— მე რომელი ჩარჩი მნახე? გიჭირს და სულაც უპროცენტოთ მოგართმევ! თუ ორივეს დაგვეკარგება, თბილისს მაინც დარჩება! რევოლუცია ამისათვის არ ებეგვაჩვენებს. შენ გგონია, რევოლუციონერები მე არ მაწუხებენ?! ჩემი შემოსავლის ნახევარი იმათ ნიაქვთ! ვიცი ჩემი სახელი მაინც არ დაიძრახება.

— ჩე! არა! — აკაკიჯან.

— ხალხი დაგვიხსომებს, პარუნ მელიქ!..

— ამენ! — ასტვაც ტა! ღმერთმა ქნას.

— ჰოდა, ბარემ თქვი, რამდენი გვჭირდება საქმის გასაძღოლად, და მოვრჩეთ!..

— ავაშენოს ღმერთმა! გაჭირვებულის შემწედ გაუჩენიხარ ქართველი კაცი.

— თუ „ტუტუც-ვრაცად?!.“ — გაეღიმა ხოშტარიას.

— სახელოვან კაცზე მაგას არ იტყვიან. დაგიფასებენ!..

— სახელის ფასი ყველაზე დიდი საურავის მომტანია, დაუკარგავი პროცენტია! მართალს არ ვამბობ?

— მართალსა და, ჰამაც, როგორ სიმართლეს! — დაუდასტურა მადლიერმა სტუმარმა და ხელი ხელს დაჰკრეს.

ჰაიკ ურარდიანმაც ტიტეს ხელს ხელი დაჰკრა და დააყოლა:

— მენშევიკებიც რომ ასე გვექცეოდნენ დაშნაკებს, ჩემმა მხემ, შფოთი აღარ გვექნება. ვთხოვე — მამე! მთხოვე — გასესხებ.

— არა, ჰაიკ! პოლიტიკა ძსესხაობა არაა! ბოლშევიკები დალალად არ გამოგადგებით! ყველამ თავისი ჭკუით იაროს!

— ასტვაც ტა! ღმერთმა ქნას. მაგრამ ღმერთი ერთს ამბობს, კაცი — მეორეს, მორიგდებიან?!.

— თუ ერთი მიზნით ივლიან.

— ეგ რა ასეთი მიზანია?

— ძმობა, ერთობა, თავისუფლება.

— ჰოო?!. — დაეჭვდა ჰაიკა.

ვერ მორიგდენ.

ერთმანეთს დაემშვიდობნენ, თბილისის ვაგზლის პერონზე ჩამოხდნენ და სხვადასხვა გზით წავიდნენ: დაშნაკელი ჰაიკა სოლოლაკისკენ — სომხეთის საელჩოში, ბოლშევიკი ტიტე კი — ბუდუ მდივანს მიცემული მისამართით ქართველი ლიტერატორის ნაქირავები ბინის საპოვნელად.

ვერის ალმართი ამოიარა და მელიქ აზარიანცის ვეება სახლს გაუსწორდა: „თბილისს მაინც დარჩა“.

მენშევიკებმა კი იმ პარუნ მელიქ აზარიანცს სახლი სულაც ჩამოართვეს და თბილისიდანაც გაასახლეს. აკაკი ბატონსაც თავიი დაუკარგეს, მაგრამ პროცენტათ სახელი მაინც დარჩა.

ეს ამბავი დაშნაკური მთავრობის საელჩოს თანამშრომელ ჰაიკასაც გაეგო და ახლა ტიტესაც უამბო მენშევიკების უპირობის მერამდენე საბუთად.

მერე ტიტე ზემელის პატარა აფთიაქში შევიდა სურღოს წამლის გამოსართმევად, მატარებლის ღია ფანჯარაში გაციებულმა ორი ფხვნილი იქვე გადაყლაპა და მოსკოვის ვიწრო ქუჩის ალმართს აჰყვა. ცამიწაძე სარგის კაკაბაძის ბინას უახლოვდებოდა და არკი იცოდა, რომ მშობლიურ დედაქალაქში მისი დაპატიმრების ჟამიც ახლოვდებოდა.

ვალიკო ჯუღელის ყვითელბუშლატიანი გვარდიელები ქუჩებში წრიალებდნენ.

დაშნაკელებთან მეხშევიკებს ომის მოახლოების სუნი ჰაერში ტრიალებდა.

ცხელი დღე იწურებოდა.

შემოდგომის ბუსები ცაარად იკბინებოდნენ.

გზაგადაჭრილი ელჩი

ტელეფონის ყურმილში გაისმა:

— აპარატთან არის ბატონი მინისტრი. ვისა ნებავს მასთან ლაპარაკი?

პასუხი მიეცა:

— მასთან ლაპარაკი სურს საქართველოს ელჩს, რომელიც აპარატთან არის.

ტელეფონი აიღო სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ტიგრანიანმა:

— გამარჯობათ, სემიონ გურგენოვიჩ! — მიმართა მშვიდი, მეგობრული ტონით სისიკო მდივანს.

— გაგიმარჯოთ, სირაკან ფადეევიჩ! — უპასუხა საქართველოს ელჩმა.

— გისმენთ ბატონო?..

— როგორც იქნა შევძელი მიმეღწია სადგურ კობერამდის. შემდგომ წასვლა შეუძლებელი გახდა. რკინიგზის ლიანდაგი გადაჭრილია. მიუხედავად იმისა, რომ მივუგზავნე მოსალაპარაკებლად გამოსაკუთრებული დელეგაცია, სომხის მოსახლეობამ არ გაგვატარა ოც მე, არც ჩვენი მატარებელი.

ტიგრანიანმა უნებლიეთ ჰკითხა:

— მაშ როგორ მოიქცევით?

— იძულებული გავხდი ისევ უკან, კარაკლისში დავბრუნებულიყავი. ვფიქრობ, აქ მოგვიხდება მოთათბირება რა გზით ჩავიდე თბილისში? გამოვარკვიე, რომ იქ, თურმე, ფორმალური აჯანყება მოხდა, მაგრამ ჩანს, საქმე ძალზე სერიოზულ და ღრმა ხასიათს იღებს. შედეგი ახლა ძნელი წარმოსადგენია.

ტიგრანიანი მშვიდად უსმენდა, მისი სიდინჯე მდივანს აეჭვებდა.

— თქვენთვის მოულოდნელია საქმის ასეთი შებრუნება?..

საქართველოს ელჩს დათანხმება შეეძლო, მაგრამ გააბსენდა:

— ასეთ აჯანყებაზე მე ვსაუბრობდა ჯერ კიდევ ალექსანდროპოლში, სადაც საუბარი მქონდა სომხეთის რაზმის უფროს, პოლკოვნიკ დროსთან, რომელთანაც მივაღწიე შეთანხმებას ასე მოულოდნელად წარმოშობილ შედეგზე.

— პოლკოვნიკი დრო ამჟამად მანდ არის, — აცნობა ტიგრანიანმა თითქოს იმის მისანიშნებლად, — უკეთესი ხომ არ იქნება ისევ მასთან გააგრძელოთ შეთანხმების მისაღწევი მოლაპარაკება, რომ სომხეთისა და საქართველოს სასაზღვრო ჯარების შეჯახებამ გარეგნულად მაინც არ მიიღოს ორ სახელმწიფოს შორის კონფლიქტის სამწუხარო სახე.

სისიკო მდივანმა ტიგრანიანის „განზე დაჭერის" ჩანაფიქრი გუმანით ამოხსნა და თვითონაც შეეცადა მომიდარი ამბისათვის ბცირე კონფლიქტის მნიშვნელობა მიეცა, რომლის მოგვარება კარაკლისშიც გახდებოდა შესაძლებელი, მაგრამ ამისათვის მაინც საჭიროდ მიაჩნდა დაშნაკცუთიუნის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრის ჩარევა პოლკოვნიკ დროს და რკინიგზაზე დაცემულ აჯანყებული გლეხების რაიმე გზით დასაშოშმინებლად.

— დიახ, კარაკლისში დაბრუნების შემდეგ კვლავ მქონდა საუბარი დროსთან, რომლისგანაც მივიღე დადებითი პირობები. მაგრამ ეს პირობები არა თუ ხელს უწყობენ საკითხის სასიკეთო გადაწყვეტას, არამედ, თავისთავად კიდევ უფრო გააღრმავებენ მოვლენებს კატასტროფამდის მიყვანით. ჩვენს შორის მოლაპარაკების ხასიათი სრულიადაც არ შეესაბამება ამჟამად შექმნილ მდგომარეობას. ამიტომ გთხოვთ თქვენ მოელაპარაკოთ მთავრობას ამ პირობების შესაცვლელად, რომლებიც გადმომცა დრომ. თუ რა პირობებია ეს, თვითონ გაიგებთ მისგან. ყოველ შემთხვევაში, მე ვფიქრობ, თქვენ მიიღებთ ზომებს, რომ შინავანი ხასიათის მოვლენებს არ მიეცეს საერთაშორისო გართულების ფორმა.

სისიკო მდივანი პასუხად თანხმობის გაგონებას ელოდა, მაგრამ რაკი პირდაპირი ხაზის აპარატთან მდგარი სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრი დუმდა და თანხმობის სიტყვის ჩართვას არ აპირებდა, კარაკლისში ჩარჩენილმა საქართველოს ელჩმა თავად გააცნო საპურველი ზომების მიღების წინადადება:

— პირადად მე ვფიქრობ, რომ ძალზე მიზანშეწონილი იქნებოდა თქვენი იმ სახით ჩარევა, როგორც წარმოედგინა პოლკოვნიკ დროს ალექსანდროპოლში ჩვენი წესიერი საუბრისას. მე მე-

ვეცდები რაც შეიძლება სასწრაფოდ დავუკავშირდე საქართველოს მთავრობას, რათა ავიცილოთ საშინელება. რომლის გაძლიერება გვემუქრება! ამისათვის საჭირო არც იყო ჩვენი თქვენთან ერთად თვე-ნახევრის მანძილზე წინააღმდეგობებ-ს გადალახვა ამ ორი ხალხის დასაახლოებლად.

ტიგრანიანმა მდივნის თხოვნას კითხვით უპასუხა, ყურადღება არ გამოავლინა, რასაც მომსმენი გულმოდგინედ ელოდა.

— თქვენთვის ცნობილია თუ არა ათ დეკემბერს ჩემს მიერ გაგზავნილი დეპეშა ჩვენი მთავრობის დავალებით საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრისათვის, რომელშიც პროტესტს ვაცხადებთ მენშევიკურ ჯარის მიერ ძალადობის, დარბევების, საარტილერიო და სატყვიამფრქვევო სროლის ატეხვის გამო რამდენიმე დღე-ღამის განმავლობაში სოფელ უზუნლარზე?

მდივანმა ერთიოლა უპასუხა:

— თქვენი დეპეშა ჯერ არაა დანიშნულებისამებრ გადაცემული სატელეგრაფო კავშირის გაწყვეტის გამო. სადგურ კობერში ნე შევძელი ჩავრთულიყავი სარკინიგზო ტელეგრაფ-ს ხაზში და მელაპარაკა გენერალ წულუკიძესთან. რომელმაც მაცნობა, რომ დღეს მას სროლა აუტეხეს სადგურ სანაინსა და ალავერდში, მაგრამ არ უპასუხნია. აი, რაც მე ვიცი! ყოველშემთხვევაში, ვიმეორებ, როგორიც არ უნდა იყოს ამ მოვლენების გამომწვევი მიზეზები, დაშაკური მთავრობის დამოკიდებულება ამ ამბებისადმი არ უნდა აუარესებდეს ისედაც მძიმე მდგომარეობას, რომელშიც წარმოიშვა ორივე მთავრობის სურვილის გარეშე.

— რა პირობებზე ლაპარაკობდით თქვენ პოლკოვნიკ დროსთან და რატომ მიგაჩნიათ ეს პირობები მიხანშეუწონლად? — შეეკითხა მინისტრი.

— რა პირობებიცაა ეს, თვით დროს უფრო უკეთ შეუძლია გაცნობოთ! მე მათ ვთვლი მიხანშეუწონლად იმიტომ, რომ საკითხის გადაწყვეტა გადააქვს საქართველოს რესპუბლიკის შინაურ საქმეებში ჩარევის სფეროში.

— თქვენ თვითონ რაში ხედავთ შექმნილ მდგომარეობიდან გამოსავალს? — საპასუხო დათმობის მოლოდინით გაუმეორა ტიგრანიანმა.

— მე ვთვლი, რომ საჭიროა საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების წარმომადგენლებმა მოიარონ აჯანყებით მოცული

სოფლები და დაავალონ მათ დაემორჩილონ არსებულ მდგომარეობას სასაზღვრო დავის გადაწყვეტამდე და არ იქონიონ იმის არავითარი იმედი, რომ გადაწყვეტის ისეთი საშუალება თანაგრძნობას ჰპოვებს რომელიმე მხარისაგან! რა თქმა უნდა, თუ არიან დამნაშავენი, როგორც ქართული ადმინისტრაციის, ისე სომეხი ხალხის მხრივ, ასეთები მიიღებენ სათანადო სასჯელს! ამასთან მე დასაშვებად მიმაჩნია შეწყნარება ხალხის წარმომადგენლების მიმართ, მაგრამ არავითარი პატიება ადმინისტრაციის წარმომადგენლებისათვის, რომლებმაც რაიმე დანაშაული ჩაიდინეს მოსახლეობის წინააღმდეგ!

ტიგრანიანმა არ დამალა აღშფოთება:

— სომხეთის რესპუბლიკის მთავრობა ვერ შეურიგდება მოსახლეობისადმი სასტიკ ეკზეკუციას, ვერ ურჩევს ხალხს რომ იგი იძულებით დაემორჩილოს უმართებულოდ მოქმედ ძალაუფლებას იმ რაიონებში, რომლებიც ეკუთვნის სომხეთის ტერიტორიას. ჩვენს მთავრობას მიაჩნია, — ყველა მომხდარი და შექმნილი მდგომარეობა მოითხოვს, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ საკუთარი ინიციატივით გაიყვანოს თავისი ჯარები ყველა ამ რაიონიდან ხალხთა თვითგამორკვევისადმი პატივისცემისა და მშვიდობის დასამყარებლად. მე გთხოვთ გავლენა მოახდინოდ ამ მიმართულებით!

მდივანმა უკმარისობის გრძნობით უპასუხა:

— მე ვერ მივიღე თქვენი პასუხი ჩემს წინადადებაზე, ახლა რომ ჩამოვაყალიბე!...

— გიპასუხებთ. სომხებისა და ქართველების დელეგაციას ბორჩალოში ჩასვლა შეეძლებოდა უკეთეს შემთხვევაში, რამოდენიმე დღის შემდეგ, ამასთან საჭიროა ახლავე მიიღოთ ზომები მოსახლეობის დასაწყნარებლად, დააკმაყოფილოთ მისი მართებული მოთხოვნანი. თუ მაინც ერთადერთ მისაღებად მიგაჩნიათ ქართულ-სომხური დელეგაციების გაგზავნა ადგილზე, მაშინ მე გადავცემ ამის შესახებ ჩემს მთავრობას და ვთხოვ მასზე პასუხს.

მდივანმა დაუდასტურა:

— მე ვთვლი, რომ ჩემს მიერ შემოთავაზებული ღონისძიება ერთადერთი და სასწრაფო შესაძლებლობაა კონფლიქტის სალიკვიდაციოდ. როგორც მე, ისე თქვენ მოკლებული ვართ საშუალებას

მივმართოთ საქართველოს მთავრობას იმის გამო, რომ არავითარი სატელეგრაფო კავშირი არ არსებობს.

— თუ კავშირი არ არსებობს, მაშ როგორლა შეგიძლიათ გამოიწვიოთ საქართველოს წარმომადგენლები? — მოამწყვდია ელჩი ჩიხში. ტიგრანიანის კითხვა მართლაც დასაფიქრებელი იყო, მაგრამ მდივანი იოლად დაუძვრა:

— აქ არიან სოფელ უზუნლიარის წარმომადგენლები, რომლებთანაც მე, სომხეთის რესპუბლიკის დელეგატებთან ერთად, შემეძლებოდა გავსულიყავი სანაინში და იქიდან დავკავშირებოდი საქართველოს რესპუბლიკის მთავრობას.

სომხეთის მინისტრს ჭკუაში დაუჯდა და კმაყოფილებით ააჩქარა მდივანიც:

— ამ წუთშივე გადავცემ მთავრობას, თქვენ კი გთხოვთ დაიჩქაროთ, უზუნლიარელების შემწეობით აცნობოთ სანაინს და ასე შემდეგ, რომ საქართველოს მთავრობამ ახლავე შეწყვიტოს ყოველგვარი სამხედრო მოქმედება და ჯარების ჩამოყვანა იმის გამო, რომ ყველაფერი ეს აღრმავებს უფსკრულს და აღვივებს გაშმაგებას, რაც ართულებს მშვიდობიანად გადაწყვეტის საშუალებას.

ტიგრანიანმა დაამთავრა:

— ჯერჯერობით მშვიდობით!

— მშვიდობით, გისურვებთ ყოველივე კარგს!

— გმადლობთ.

მდივანმა წერილი გაამზადა საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის სახელზე სანაინიდან თბილისში გადასაცემად.

„12 დეკემბერს კარაკლისში ჩამოვიდა დრო. მან გადაწყვიტა არ დაიხიოს პირდაპირი სამხედრო მოქმედების საშიშროების წინაშეც კი, რადგან საქართველოს მთავრობის მოქმედება ახალქალაქსა და ბორჩალოში აშკარად აგრესიულია სომხეთის მიმართო, და მოითხოვს სასტიკ აღკვეთას. — მისი სიტყვებით, სომხეთისათვის დადგა მომენტი, როცა უნდა წავიდეს რისკზე: თუ მას დაატყდება უბედურება და განადგურებული იქნება, მაშინ ასეთი ყოფილა ბედი მისი, მაგრამ უნდა მიიღოს ზომები უზრუნველყოს თავისთვის ის, რაზედაც მას აქვს უეჭველი უფლება, მაგრამ დღემდე ვერ მიუღია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგობის გამო“.

მდივანმა თავის მხრივ უპასუხა კარაკლის-ლორის რაზმის უფ-

როს დროსაც, რომ ახალქალაქის საკითხში იგი უკვე შეთანხმდა სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტიგრანიანთან:

— თუ ახალქალაქის მაზრა ჩაირიცხება სომხეთის ტერიტორიის ნაწილად, ჩვენი ჯარები მას დაუყოვნებლივ სავსებით დაცლიან, ისევე როგორც თუ ამ მაზრას დაიკავებს სომხეთი, მაგრამ შემდგომ ჩაითვლება საქართველოს ტერიტორიის ნაწილად, დაუყოვნებლივ დაცლიან სომხეთის ჯარები. რაც შეეხება ბორჩალოს მაზრის დაცლას ჩვენი ჯარების მიერ, ამაზე ლაპარაკიც კი არ ყოფილა.

პოლკოვნიკმა დრომ არ მისცა ამაზე პასუხი და არც დაეხმარა მდივანს სადგურ სანაინში მშვიდობით მისასვლელად, რომ თავის რესპუბლიკის მთავრობას დაკავშირებოდა. 13 დეკემბერს კი თვით დრომ მიიღო ბრძანება, რომელშიც სომხეთის დივიზიის უფროსი სილიკოვი ავალებდა მას თავისი მთავრობის სახელით:

«— საქართველოს ჯარების მოქმედებამ ბორჩალოს მაზრის სომხეთის ნაწილში, რომელიც ძალით მიიტაცა საქართველომ, ამ რაიონში შექმნა შეუწყნარებელი, აუტანელი მდგომარეობა. მაგალოდ ქართული ჯარის დაუყოვნებლივ გაყვანა ამ რაიონიდან შეუსაძლებელს გახდის შემდგომი სისხლის დაღვრის აცდენას და მტკიცე სამეგობრო დამოკიდებულების დამყარებას საქართველოსა და სომხეთს შორის. ამის გამო სომხეთის მთავრობას პატივი აქვს მიმართოს საქართველოს მთავრობას გაიყვანოს თავისი ჯარები ბორჩალოს მაზრის სომხეთის ნაწილიდან ყოველგვარი დაყოვნების გარეშე. უარის, ან დაყოვნების შემთხვევაში სომხეთის მთავრობა იძულებული იქნება მიიღოს საჭირო ზომები თავისი საზღვრების დასაცავად ქართული ჯარების ძალადობის აღსაკვეთად».

სომხეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კაჩაზნუნის ამ ულტიმატუმის ვადა 13 დეკემბერს თავდებოდა.

მდივანმა კარაკლის-ლორის რაზმის უფროს დროს განუმარტა:

— უკვე მესამე დღეა გთხოვთ დამეხმაროთ ჩავიდე სანაინში იმისათვის, რომ შევძლო მიდგომა საქართველოს მთავრობის წარმომადგენლებთან, მაგრამ ასეთი შესაძლებლობების მიღება დღემდე არ მომეცა. ამის გამო მოკლებული ვარ საშუალებას გადავცე სომხეთის ნოტა თბილისს.

რაზმის უფროსმა დრომ კვლავაც გაუმეორა რომ ულტიმატუმის ვადის გასვლის გამო იგი იწყებს შეტევას. საქართველოს ელჩი

კარაკლისიდან თბილისს გაემგზავრა შორით შემოვლილ — ლილიჟან-ყაზახ-აქსტაფის გზით საქართველოს მთავრობასთან დასაკავშირებლად და ულტიმატუმის ნოტის გადასაცემად.

მდივანი გზად აანალიზებდა აჯანყებისა და მასში ორივე მხრივ მთავრობების ჩარევის ფაქტს და მერე თბილისს აცნობა:

«— მომხდარმა მოვლენამ მაფიქრებინა, რომ სოფელ უზუნლიარელი გლეხების აჯახყება სრულიადაც არ არის საქართველოს სამხედრო ადმინისტრაციისადმი და ჩვენი აგენტების მოქმედების წინააღმდეგ იძულებითი ზომა, რაც გამოწვეული იქნებოდა მათი უფლებების დათრგუნვით, არამედ სრულიად სხვა მიზნით აიხსნება. არავინ დაიჯერებს რომ უზუნლიარელი გლეხების აჯანყება ხელოვნურად არ მოამზადეს სომხეთის დაშნაკცრმა მთავრობამ ან მისმა საზოგადოებრივმა ჯგუფებმა ომის დაწყების მიზეზად».

საგარეო საქმეთა მინისტრი კი სხვა აზრისა იყო, დანაშაულს მენშევიკური მთავრობის ჯარის თავაშვებულებას მიაწერდა და 9 დეკემბრის ნოტით იუწყებოდა:

— კარაკლის-ლორის რაზმის უფროსი დრო, იტყობინება. რომ უზუნლიარელებს მეორე დღე და ღამეა ქართული ჯარი საარტილერიო და სატყვიამფრქვევო ცეცხლს უშენს, რომ ლორის უბნის სომხურმა სოფლებმა განიცადეს ძალადობა მათი ჯარის მხრივ. სომხეთის მთავრობა მტკიცე პროტესტს აცხადებს საქართველოს ჯარების დამრბევლობისა და თავაშვებულობის წინააღმდეგ იმ რაიონებში, რომლებიც ძალით არის დაპყრობილი ქართული ჯარის მიერ და შედის სომხეთის ტერიტორიაში.

12 დეკემბერს კი მენშევიკური საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი რადიოთი პასუხობდა დაშნაკური სომხეთის საგარეო საქმეთა მინისტრ ტიგრანიანს:

— საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა კიდევ ერთხელ აღიარებს თავის განუხრელ მისწრაფებას, ყველა სადაო საკითხები გადასწვრას მშვიდობიანი შეთანხმების საფუძველზე. სანამ ეს დავა აღნიშნული გზით გადაწყვეტილი არ არის, საქართველოს მთავრობა სთვლის დაუშვებლად როგორიც არ უნდა იყოს რაიმე ჩარევაა შინაურ საქმეებში. რაც შეეხება კარაკლის-ლორის რაზმის უფროსის ცნობას, საქართველოს მთავრობა აცხადებს, რომ ის აბსოლუტურად სიმართლეს არ შეეფერება. ცხრა დეკემბრიდან დღემდე ზოგიერთმა სომხურმა ნაწილებმა სომხური საარმიო ნაწილების

საწესაო და ობერ-ოფიცრების მეთაურობით თითქმის სავსებით გაწყვეტეს საქართველოს სასაზღვრო გუბერნიები. ათეულობით მოხვეულია.

პასუხად, 13 დეკემბერს, მინისტრმა ტიგრანიანმა ახალი ნოტა გაუგზავნა მიხეილ გელოვანს:

— ჩემს მთავრობას ო

დაში, მაგრამ ერთმანეთშიც სთესდნენ აზიურ ღვარძლსა და ჭკვაჭ. ასეთის მთესველობა კარგ მოსავალს ვერ მოუყვანდა ერთმანეთს და ხალხი ამით იტანჯებოდა, სიკეთეს ართმევდნენ, საბჭოთა რუსეთის ხელისუფლებას კი ძვრასაც ვერ უშვრებოდნენ. არც ერთში არ გამოჩნდა ბრძენი კაცი, ვინც შეძლებდა ორივე ღრძო მთავრობისთვის პირში კაპი ამოედო. ილია ჭავჭავაძე ცოცხალი აღარ იყო, რომ გულში ჩამწვდომ ბრძნული სიტყვით მიემართა ქართველობა-სომხობისათვის — „რას სჩადიხართო?“ მის ძველ აზერბაიჯანელ მეგობარს ალი მარდან-ბეგ თოფჩიბაშევს კი უილიოდ აღარ ეყო შუაკაცობის საფანელი ორივე მოსოციალისტო-მენშევიკებისა და დაშნაკების პარტიების ჭკუაზე მოსაყვანად. ადამიანის უგუნურობამ ბრმად გადააბოტა გონიერებას!

მოლაპარაკება საქართველო-სომხეთის სასაზღვრო საკითხების განსახილველად აღარ შედგა, რაკი რამდენიმე დღის შემდეგ 1918 წლის 8 დეკემბერს, ომმა უკვე პირი დააღო და რაც დიპლომატიამ ვერ გადაწყვიტა, ის თოფ-ზარბაზანმა სცადა.

ორი მოძმე ხალხის სისხლი დაიღვარა, ორივე ქვეყნის, — დაშნაკური სომხეთისა და მენშევიკური საქართველოს,—მთავრობების უხეირო დიპლომატიისა და უგკანო აგრესიულობის წყალობით ამ ორ მოძმე ერს შორის მთელი თავიანთი არსებობის მანძილზე ერთმანეთზე გაწევ-გამოწევის შავი ლაქა მოეცხო. სწორედ ამაზე ლაპარაკობდა ნოე ჟორდანია საქართველოს პარლამენტში სომხეთის მთავრობის თავმჯდომარე კაჩაზნუნის ჯვარზე გასაკრავადაც, მაგრამ თავადაც ზედ ჩამოკიდებული ჩანდა.

დეკემბრის ბოლო რიცხვებში თბილისში მყოფი ინგლისისა და საფრანგეთის მისიების უფროსებმა, შარდინიემ და ჯორდანიმ, თავიანთი მთავრობების სახელით ორივე მეომარ დამოუკიდებელ რესპუბლიკას საომარი მოქმედების შეწყვეტა „ურჩიეს“ და ვერც ერთმა მხარემ კრინტიც ვეღარ დასძრა, თითქოს უიმითოთაც არ შეეძლოთ ერთმანეთში ომი სულაც არ წამოეწყოთ, პარტიულ ამბიციებს არ მისცემოდნენ; დაშნაკელები მენშევიკებისაგან იმის წართმევას შეეცადნენ, რაც თურქეთის გარეკვით დაებრუნებინათ, და მენშევიკებიც ისეთივე გაშმაგებით შეასკდნენ დაშნაკების მთავრობას, რაც დიდად არ განსხვავდებოდა ოსმალოების თავაშვებულობისგან.

მენშევიკურმა მთავრობამ დიდის მადლიერებით მიმართა 22 დეკემბერს ინგლისის მისიის უფროსს პოლკოვნიკ ჯორდანს:

— საქართველოს მთავრობამ მთელი კმაყოფილებით მიიღო მოკავშირეთა წარმომადგენლების ინიციატივა საქართველოსა და სომხეთს შორის ძმათა სისხლისმღვრელი ომის შესაწყვეტად.

დაბნეულობამ მთავრობამაც არ დააყოვნა ნაძალადევი კმაყოფილება გამოეთქვა:

— სომხეთის მთავრობა თანახმაა საბჭოდრო მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტასა და ჯარის გაყვანაზე, როგორც ნათქვამია გენერალ რაიკროფტის გადაწყვეტილებაში.

ჟორდანიამ რაიკროფტსა და ჯორდანს შეახსენა:

— საქართველოს მთავრობა მოითხოვს, რომ შერეულმა კომისიამ, გარდა სხვა საკითხებისა, უნდა დაადგინოს, რომელი მხარე იყო თავდამსხმელი, რომ იმ მხარემ, როგორც დამნაშავემ, აუნაზღაურეოს მეორეს ყველა ხარჯი და ზარალი, უკანასკნელის მიერ თავის დასაცავად გაწეული.

მაგრამ არც შუამავალი დატოვა დაუსაჩუქრებლად:

— ბორჩალოს მაზრის ნაწილს, უწინ რომ თურქებს ეჭირათ, ახლა დაიკავებენ ინგლისის ჯარები და შექმნიან ნეიტრალურ ზონას.

ასეთი მონაგარით კმაყოფილმა მესამე სახელმწიფომ ფრანგების მხარდაჭერით განაცხადა:

— დიდი ბრიტანეთის გენერალ-მაიორი რაიკროფტი და საფრანგეთის მისიის სათავეში მდგომი პოლკოვნიკი შარდინე კონფერენციაზე საქართველოს მთავრობის თავმჯდომარე ბატონ ჟორდანიასთან ერთად, ბატონ ჯამალიანის თანდასწრებით, ადგენენ, რომ საბჭოდრო მოქმედება დაუყოვნებლივ უნდა შეწყდეს! მიუხედავად ბატონ ჯამალიანის პროტესტისა, გენერალმა რაიკფორტმა, პოლკოვნიკმა შარდინიემ და საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ, ბატონმა ჟორდანიამ დაადგინეს, რომ: შერეული კომისია, რომელშიც შედიან ინგლისის, საფრანგეთის, საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლები, რაც შეიძლება მალე უნდა გაემგზავროს ფრონტზე, რათა გაატაროს ცხოვრებაში შემდეგი პირობები:

„კომისია განსაზღვრავს იმ გარნიზონების რიცხვს, რომლებიც უნდა დატოვონ ქართველებმა ბორჩალოს მაზრის ჩრდილოეთ ნაწილში, ხოლო სომხებმა სამხრეთ ნაწილში!

გარნიზონები უნდა იყოს მცირერიცხოვანი!

ქართული ნაწილები დაიგზავნებიან იმ ხაზზე, რომელიც უჭირავთ ამჟამად!

სომხურმა ნაწილებმა უნდა დაიბინონ თურქეთის დისიხლ-ჯალალ-ოღლის ხაზისკენ!

ბრიტანეთის პიკეტებს ჩააყენებენ რკინიგზაზე ქართული და სომხური ნაწილების სივრცეს შორის.

ადმინისტრაცია ამ სადავო ნაწილში იქნება შერეული, ქართულ ადმინისტრაციას ახალქალაქის მაზრაში მეთვალყურეობას გაუწევს მოკავშირეების კომისია, რომელშიც შედიან სომხური და მუსლიმანური ადგილობრივი მცხოვრებლების წარმომადგენლები!

საქართველო და სომხეთი უახლოეს ხანში წარდგენილი იქნებიან ევროპაში, სადაც ყველა საკითხს საზღვრების შესახებ გადაწყვეტენ დიდი სახელმწიფოები!

"შეთანხმებას ხელი მოაწერეს გენერალმა რაიკროფტმა, პოლკოვნიკმა შარდინიემ და ნოე ჟორდანიამ".

1918 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ჯარებს დაეგზავნა მთავარსარდალ გენერალ გედევანიშვილის ბრძანება № 01384:

„მთავრობის ბრძანების შედეგად გავალებთ თქვენ, შეწყვიტოთ სამხედრო მოქმედება დღეს, 1918 წლის 31 დეკემბერს, 24 საათზე".

საქართველოსა და სომხეთს შორის უგუნური ომი შეწყდა, ჩაქრა, დაცხრა, მაგრამ ახლა სხვა სახის ანტაგონიზმი გაჩნდა, — რომელი მათგანი უფრო განზე გაუდგებოდა თავისი ხალხის სურვილს, — ვინ უფრო თავგამოდებით ჩამოსცილდებოდა ახალ, რევოლუციურ რუსეთს და უფრო მეტის მოწადინეებით დაიმედდებოდა ბურჟუაზიულ ევროპის „ოთხეულთა" კოალიციის ან „ანტანტის" სახელმწიფოების მფარველობაზე, რომლებსაც არც ისტორიულად და თანამედროულად არად აფიქრებდა საქართველოსა და სომხეთის ბედი, — ორივეს ერთად ჩაყლაპვას ლამობდნენ და ზედ აზერბაიჯანის მიტანებასაც ნატრობდნენ; თუ სავსებით კოლონიად ვერ აქცევდნენ — ნახევარ კოლონიურ ვასალად მაინც გაიხდიდნენ, საბჭოური რუსეთზე შეტევის პლაცდარმად მიიზომავდნენ, მაგრამ ივიწყებდნენ, რომ წელში იმართებოდა დიდი ქვეყანა, თუმცა არც იმისთვის იყო იოლი მგლების ხროვად შემოსეული მტრების მოგერიება; საქართველოს გვერდით დენიკინის

„მოდალისეთა არმია“ აყენდა და „ერთიანი, განუყოფელი რუსეთის“ მოსაოქროული იმპერიის აღდგენა დაიქადა, დაიკვეხნა, ბაგოთ. ნათქვამია, — „კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდა“.

საქართველოს მენშევიკურ პარლამენტში კი გასაცინი აღარაფერი ჩანდა. ოპოზიცია ბობოქრობდა. ნაციონალ-დემოკრატი დეპუტატი ოვვაზ გაბაშვილი როდი ფარავს:

„ — მე როგორც ქართველს, როგორ შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენი ბრალი ყოფილიყოს ეს „ძმათა ომი“, საუკუნეთა განმავლობაში ათ გაგონილი, მაგრამ იმის უარყოფა არ შეიძლება, რომ ეორდანიას მთავრობა სრულებით მტყუანი იყო დაშნაკელების მთავრობასთან და ორმა სოციალისტურმა პარტიამ აღვრევინა სისხლი ორ ეოს: 1912 წელს, სწორედ იმ პირებმა „დაუთმეს“ ახალციხე, ახალქალაქი და ბორჩალოს მაზრა ნავთლუღამდე, რომელნიც ეხლა მენშევიკურ მთავრობაში ბრძანდებოდნენ და სწორედ იმ პირებს, რომელნიც ეხლა დაშნაკურ მთავრობაში აღმოჩნდნენ: „ხვნაში პირობა სჯობს, მკაში — ხმლების ტრიალსო“ და ეს ორი „პარტია“ სხვისას ხნავდა. პირობის დადებისას, და, სულ სხვისას იმკიდა. გადა ამისა, 1917 წელს ხომ ამტკიცებდა ეორდანია — თბილისის ბესამედი სომხებისა არისო! სიყალბე ეორდანიასი იმაშია, რომ ომის მიზეზებს რასაც დაშნაკებს მიაწერს, სინამდვილეში მისი საკუთარი. 1917 წელს ბელინსკის ქუჩის № 2-ში წაკითხული მოხსენების შინაარსიც იყო, საცა თვითონ გვიმტკიცებდა სწორედ ისას და იმავე დოკუმენტებით, რასაც თავის ნაწერებში სხვებს მიაწერს. სწორედ ამაშია მენშევიკური ყალთაბანდობა, რომ 1912-სა და 1917-ში მენშევიკები დაშნაკების პრეტენზიებს ეთანხმებოდნენ ქართულ ტერიტორიასა და თბილისზე. მაგრამ, ან მათმა ბოროტმა რა იცოდა მაშინ, ან საზოგადოდ ორივე ერი როგორ დაუშვებდა შემდეგ ასეთ მიცემ-მოცემობას!..“

გათანგული სულთანის ახირება

ტიტე ცაძიწაძე ერზერუმს ჩავიდა, გენერალ ქემალ-ფაშას მოსკოვიდან წერილი ჩაუტანა საბჭოთა რუსეთის დამხარების დაპირებით. ერზერუმში იქაურებმა „გურჯი-ეფენდი“ შეარქვეს და ის სიამოვნებით შეეგუა ახალ სახელს.

მთელი ის მხარე — არდაგანი, ყარსი, ართვინი, — მეფის რუსე-

თის არმიას რა ხახია დაეცალა. თურქებს ჯერ კარგად შესვლა ვერ მოესწროთ, რომ ინგლისმა საოკუპაციო ჯარები განალაგა, თურქეთის სულთანი კი კრეისერ „აგამემნონის“ ბაქანზე აიყვანა და ტიჩმიშვერილი ზარბაზნების მუქარით „მუდროსის ზავით“ დამთრგუნველ ხელშეკრულებაზე ხელი მოეწერინა.

ქემალ-ფაშა და მისი თანამოსანგრე ოფიცრობა ბრაზით იხრჩობოდა — ხუმრობა ხომ არ არის — პანთურქიზმის ციებ-ცხელებით შეპყრობილნი ოტომანის იმპერიის დიდების აღდგენას იმუქოებოდნენ, აქ კი ეს ბაქიობა საკუთარი ენით აალოკვინეს.

სულთანი და მისი დიდი ვეზირი ფერიდ-ბეი მხოლოდ ერთსღა ემუდარებოდნენ გერმანია-ავსტრია-უგრეთ-თურქეთის ოთხთა კოალიციაზე გამარჯვებულ მოკავშირეთა მთავრობებს, — სულაც თავიანთ კოლონიებად ექციათ სისხლითა და მზაკვრობით მიტაცებული ეგვიპტე, არაბეთი, სირია, ერაყი, თკით ოსმალოებით დასახლებული ნახევარი ტერიტორიაც, ოღონდ დაეტოვებინათ სულთნის სამბრძანებლოდ სტამბოლი და ფერდეპ ჩამოკორტნილი თურქეთის შუაგული.

ამან ჭკვიაზე შეშალა პანთურქიზმით გაჟღენთილი ოფიცრობა, წვრილი ბურჟუაზია და გაოგნებულებმა თავი მიწას ახალეს დამოუკიდებლობის შემანარჩუნებელ ფიცის დასაგებად.

ბედის დაცინვა იყო — საქართველოს, სომხეთს, აზერბაიჯანს ეპოტინებოდნენ და აღლა კრეისერ „აგამემნონის“ ბრძანებით ძველად დაპყრობილი ქვეყნებიც ხელიდან ეცლებოდათ!

ძიუხედავად ასეთი მეხისა, ენვერ-ფაშამ მესოპოტამიიდან ჯარის რჩეული ნაწილები ამიერკავკასიის სახღვარზე გადმოიყვანა, რომ საძხრეთში დაკარგული მიწები ჩრდილოეთში მიტაცებით აეხახღაურებინა, მაგრამ, დახეთ უბედობას, — გზა საბჭოთა რუსეთმა გადაუჭრა.

ტიტე ცაძიწაძე აზერბაიჯანელ და ბაშკირელ კომუნისტებთან ერთად ინგლისელების ოკუპირებულ ზონაში ჩავიდა და გულზე ცეცხლმოკიდებული, ოპოზიციურად განწყობილი ოფიცრების ვარაძს უთანაგრძნო.

ტიტემ თურქული არ იცოდა, მაგრამ ფრანგულს ფლობდა, თურქეთშიც რომ ისეთივე პატივშია, როგორც მეფის რუსეთში. ცუდი ტონის ნიშანი იყო, თუ რუსეთის რომელიმე განათლებულმა კაცმა ფრანგული ისე არ იცოდა, რომ რუსულ სუფრაზე

ღრანგული შარშით შამპანური გაეხსნა და „ვივატ!“ მაინც ეთქვა. ტიტეს კი სახარებაც ჰქონდა ფრანგულად წაკითხული და ბედს არ უჩიოდა, რომ სასულიერო სემინარიაში სამღვთო რჯულის დოგმების დაზეპირებით დრო დაკარგულად არ დარჩა: თურმე ყველაფრის გამოყენება შესძლებია კაცს, თუ საზრიანად გაირჯება ცხოვრებაში სიკეთის კვალის გასავლებათ.

ცამიწაქემ დავალებული წერილი გადასცა გენერალს და სიტყვიერადაც გააცნო ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულების მნიშვნელობა სულთანმა რომ ახლოსაც არ გაიკარა. თურქი-მბრძანებელი ერთხანს დიდად ნაწყენი იყო იმით, რომ გერმანიის მიერ რუსეთის კისერზე მარყუჟად მოგდებული ბრესტის ხელშეკრულებით მხოლოდ სამი ოლქი — ართვინი, არდაგანი და ბათუმი უბრუნდებოდა. მას კი ამიერკავკასიის სხვა ექვს ოლქზეც ჰქონდა გაწვდილი ხელი. მერე საქმე ისე დატრიალდა, რომ თვით გერმანიის იმპერატორსაც მოუხდა თავისი ტახტის დაცლა და თურქი სულთანის იმედებიც თან გადიყოლა! ბოლოს იმის საშიშროებაც გაჩნდა, რომ გათანგულ სულთანს მარტო სტამბოლი და თურქეთის მწირმიწიანი შუაგულიღა რჩებოდა სულის მოსათქმელად.

ერზერუმში კი, სულთანის სულაც მოსაშორებლად, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა მწიფდებოდა და მთელ თურქეთშიც გასამარჯვებლად ღვივდებოდა. ერთი იყო მხოლოდ გადასაჭრელი: თოფ-იარაღი აკლდათ და ამაში საბჭოთა რუსეთის იმედი ამაგრებდათ.

მაგრამ მარტო ამითაც შებრძოლებას ვერ დაიწყებდნენ? გენერალ ქემალ-ფაშას, ანტიანტანტურ ბრძოლას რომ იწყებდა, შინაური მტრებიც უნდა დაეძლია. ხოჯა-მოლები და კომპროდორული ბურჟუაზია ინგლისთან სავაჭრო გარიგებებში უფრო მეტ ხეირს ხედავდნენ, ვიდრე ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლის გაშლაში, საკუთარი მიწა-წყლიდან ოკუპანტების გაყრაში.

— გვიჭირს, ძალიან გვიჭირს, ტიტე-ეფენდი! — გაუმხილა გენერალმა, მოსკოვიდან მიღებული წერილი რომ წაიკითხა:

— ჩვენც ძლიერ გვიჭირდა, მაინც დავძლიეთ! — გაამხნევა ტიტე-ეფენდიმ.

ეს ქემალმაც კარგად იცოდა, საბჭოთა რუსეთს შინაური მტერიც ისე უტევდა, როგორც ინტერვენტები, მაგრამ იქ გამოკვეთილად ისახებოდა კლასთა ბრძოლა და ეს აძლევდა ახალ რუსეთს

რწმენას, რომ გაიმარჯვებდა! თურქეთში კი კლასთა ბრძოლის მეშვეობით საკუთარ სახლში დაგუბებულ მტრობას ვეღარ ამჩნევდ ენ და, როცა მსერას ინგლისს მიაპყრობდნენ, მოულოდნელად თავისივე ერისკაცების ხახჯალი ზურგში ფარულად ესობოდათ. ამას ქემალ-ფაშაც გრძნობდა, ხედავდა, მაგრამ სულთნის მხარდამჭერი ხოჯა-მოლაობა ყურანის სიტყვებით ხალხს გონებას უმღვრევდა.

— თქვენს ქვეყანასთან სიახლოვე დიდ ძალას შეგვმატებს! — გაანდო ქემალმა ტიტეს.

მერე ჩაფიქრდა და დაამატა:

— რუსეთთან ძმობას სიცოცხლის ტოლა ფასს ვადებ, ალაჰია ამის მოწმე! მაგრამ სწორედ ამან განაირისხა სულთანი. მსაყვედურობს — „ისლამს განუდექიო, ერზერუმი და არდაგანი ურჯულოებით აავსეო". თქვენს ჩაძობრძანებასაც ამის საბუთად გამოიყენებს, ჩვეყნის ხოჯა-მოლებს ამ ხმაზე ააყვირებს და აქადაგებს. ცოტანი ოდი არიან, — თურქეთში ჩვადმეტი ათასი სასულიერო სკოლაა — ბთელი არმია ჩვენი მეგობრობის წინააღმდეგ.

ის იყო, ტიტე-ეფენდის რაღაც უნდა ეთქვა, რომ გენერალს იქაური უფროსი მოლა წარუდგა:

— ალაჰის ნებაა, კიდევ ეთი მედრესე გავხსნათ ერზერუმში, ალაჰის ხმაა, ქემალ-ფაშავ, მედრესის მოსწავლენი ჯარში არ გაიწვიო!

ქემალ-ფაშა აღნთო:

— რა უფრო ძვაკარია თქვენთვის, მტერზე გამარჯვება თუ მედრესე?.. გაგიხუქებიათ ეგ ტალიკ-ტალიკა ბიჭები, გაგიძრავლებიათ მღვიძარეები! ხალხი კი სისხლიდან იცლება. საუკეთესო შვილები თავს არ ზოგავენ, სიცოცხლეს სწირავენ!..

დაეძუქრა ალაჰის მოციქულს.

— ხვალვე ბრძანებას გავცემ, ყველა ეგ ნასუქი ყოჩები ჯარში გაიწვიონ!

მოლამ ხმა ჩაკმინდა, მაგრამ გულში ალაჰთან დააბეზღა:

„— ურჯულოა! ურწმუნო!.."

გენერალი მიუხვდა და შეუბღვირა:

— როგორც კი ომი მორჩება, მაშინ მოგელაპარაკებით!

მოლა გასცილდა.

ქემალ-ფაშა გურჯი-ეფენდის მიუტრიალდა:

— პიოველყოველისა წაკართძევთ არსებობის საფუძველს — ვაკუფს, ფეოდალურ-კუსლიმანური უფლებით მითვისებულ სასულიერო ქონებას, — მიწებს, შენობებს, საწარმოებს. ახლა თურქეთის მთელი მიწების სავარგულების ორ მესამედზე მეტი ხოჯებს უჭირავთ, შესაძლოა უფრო მეტიც. ეს არის მოლების თავნებობის სათავე!

ახლა ამავე სამშობლოს საზღვრებს, ბრესტ-ლიტოვსკის ზავით ბედუკულეართად შეჭოილსა და შეკოეჭილს, გალმა მხრიდან უკეთ ხედავდა ამ მხარელი ტიტე, მაგრამ იცოდა, რომ დადგებოდა საშართალის დროც, ბათუმს მაინც დაიბრუნებდა. ახლა ამ დროის მოსაახლოებლად ირჯებოდა იგი ანკარაში, ქემალ-ფაშას თავისი კითხვა-პასუხით აფიქრებდა და ანტიანტანტური, დაძოუკიდებელი თურქეთის ბედზე წუხილსა და ფიქრსაც არ ივიწყებდა.

ქემალ-ფაშამაც გული გახსნა:

— ოფიცრები, და არა მაოტო საძხედროები, არამედ აგრეთვე მთელი ჩვენი პროგრესული ინტელიგენციაც, ოქტომბრის რევოლუციის პირველსავე დღიდან ღრმად დავინტერესდით. ჩვეხ ვიცოდით, რომ ლენინი ატარებს რუსეთის დაჩაგრული ხალხების განთავისუფლების კურსს. ამაშია დიდი ძალა. ჩვენი იმედი გამართლდა.

— ჩვენიც! — დაუმატა ცამიწაძემ.

— მაშასადამე, ყველასი! — შეუერთდა იუნუს ნადი — ნადიმაძეც.

* * *

ტიტე ცამიწაძემ თურქეთის წარსულიც იცოდა და აწმყოშიც ერკვეოდა. საქართველოს მტერ-მოყვარეთ როდი ივიწყებდა: ისიც ახსოვდა, რომ ოსმალოებმა ძრავალჯერ გათანგეს საქართველო, ბევრის მშობელი აატირეს, — ზოგის ოჯახი მოსრეს, ზოგიც მონად გაიტაცეს.

იმ დროისათვის ორ მეზობელს, ირანსა და თურქეთს, ერთი მიზანი ჰქონდათ, — საქართველოს მიწა-წყლის მიტაცება, თავიანთ რჯულზე მოქცევა, მაგრამ ერთმანეთის გაძლიერებაც შურდათ. და ამიტომ მორიგდნენ, მშვიდად გაიყვეს ამიერკავკასია თავიანთი გავლენის სფეროში მოსაქცევად.

თურქეთსა, იმ ხანებში, ოტომანის იმპერიის საზღვარი გააყოლა დასავლეთ საქართველოს მიწა-წყალზე მდინარე ჩოლოკს, აჭარა-ბესხეთის ქედს და ჯავახეთის მთებს. დასავლეთ საქართველოს ქალაქებში — ქუთაისში, ბაღდადსა და ფოთში საკუთარი საყაზარულოები ააგო ხარკის ასაკრებად.

მაგრამ ცოცხალი ოქროც შესდიოდა — ქართველი ჭაბუკები მონებად მიპყავდა. გულადებსა და ჯანიანებს საკუთარი ჯარების შესავსებად წვრთნიდა, ისეთ მებრძოლებად და მხედართმთავრებად აძაღლებდა, რომ თვით თურქებსე საიმედო სიმარჯვით შესძლებოდათ სულთანის კარის დაცვა.

ამ ძალებით აძაგრებდა ოტომანის სულთანის ტახტის მოდარაჯე. არმიას და ეს უფრო ბაჯაღლო იყო, ვინემ ვაჭოუკანების მიერ სულთანის ჯიბეში ჩაჩხრიალებული ოქროს თუმნიანები.

ამიერკავკასიასა და თურქეთს შორის მდებარე ვილაეთებიდან მეფეს რუსეთის ჯარი გ-ყვანის შემდეგ ბრიტანეთის ლომმა დაადო თათი, ცოტა რამ კი სომხეთსაც შეპირდნენ ამერიკის პრეზიდენტის ვილსონის პროექტის განსახორციელებლად. თურქებს კი ოცდარვებით მწირმიწიან ვილაეთებს უტოვებდნენ სამოწყალოდ.

ამან აფიქრებინა გენერალ ქემალ-ფაშას ერზეუმისა და ანკარის ვილაიეთებში გაეშალა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის ქადაგება.

სულთანი სტამბოლში სულს ღაფავდა, ქემალი ანკარაში მხრებსა ზლიდა. მას ის ოფიცროებიც მიუდგა, ვინც პანთურქიზმის კვეხით დაავადებული ოტომანის იმპერიის დიდებულების აღდგენაზე ბოდავდა. გერმანიის ვასალობაზე წაცლებისათვის სულთახს აღანაშაულებდნენ, ქემალ-ფაშას კი თურქეთის გადამრჩენ წინამძღოლად აძაღლებდნენ.

ოფიცრობისა და წვრილი მესაკუთრეების მხარდაჭერამ წელში გამართა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა და ქემალ-ფაშაძაც იარაღი აღმართა ანტანტის წინააღმდეგ.

მაგრამ ქემალს გკერდში ორი საშიში ფრაქციაც ედგა და ორივე ხაცრონალური ბოღმით გატენილი. გენერალს იმათი დახმარებაც სჭირდებოდა, ვინც თურქეთს ომიდან დაუნაწილებლად გაძოაყვახინებდა და იმათიც, ვინც პანთურქიზმის იმპერიულ ბოღვასაც აგრძელებდა მაგრამ ისე, რომ ქემალს წინ არ წახტომოდნენ.

ამიტომ ქემალ-ფაშა ასეთ პოლიტიკას დაადგა: თუ უჭირდა, —

საბჭოთა რუსეთის მადლობას უსდიდა, — უკლინდა და თურქ-კომუნისტებს ცოხეში ამწყვდევდა! ბრესტის ზავით ნაბოძებ იმ საჰი საჯაყის გარდა მთელ აზიერკავკასიასაც ძალადობით შეიერთებდა. ბოლშევიკებს, მუსავატელებსა და დაშნაკცუთიუნელებს ამიერკავკასიის ფედერაციულ რესპუბლიკას აძალებდა. თუ არ ნებავთ, — მაშინ რუსეთ-გერმანიის ხელშეკრულებების პირობები მათზე აღარ გავრცელდება და ბათუმ-ართვინ-არდაგანის გარდა, სხვა ექვსი ოლქიც ჩაბოეჭრებათო. ხოლო, თუ საშიერ ეროვნების ხალხი აზიერკავკასიის ერთ რესპუბლიკად შეიკვროდა სეიმის სახით, მაშინ ყველას ადვილად მოუგრეხდა კისერს ერთმანეთზე წაკიდებით და ცალ-ცალკე გადაბირებით.

ამიტომ ამიერკავკასიის სეიმის შექმნა ალაჰის ნაჩუქარივით იყო, ხოლო, თუ თავ-თავიანთ რესპუბლიკებად დანაწილდებოდნენ, — არც ამით ინანებდა, თითო-თითოდ მოიგდებდა იღლიაში; საქართველოს მოსთელავდა, სომხეთს მოსცელავდა და ერთმორწმუნე აზერბაიჯანსაც ზღვა-ნავთიანად გააქრობდა.

ასე ფიქრობდნენ ქემალის მოწინააღმდეგე თუ მომხრე ორი ძლიერი ფრაქციის მეთაურები და ამით დაშინებული გენერალი დახმარების მიღების იმედით საბჭოთა რუსეთისკენ იხედებოდა. ამასთან იმასაც ანგარიშში აგდებდა, რომ ბურჟუაზიული ამიერკავკასია ბოლშევიკებს არა სწყალობდა და ვარაუდობდა, — იქნებ სამოქალაქო ომით დაღლილმა და დაკავებულმა ბოლშევიკებმა სულაც გაიმეტონ სათურქოდ მენშევიკური საქართველო, დაშნაკური სომხეთი და მუსავატური აზერბაიჯანიო.

პანთურქული ბანგით გაბრუებული თურქეთის რეაქცია თავის მთავარ მტრად მაინც ბოლშევიკურ რუსეთს სთვლიდა და ანტანტის გულის მოსაგებად მზად იყვნენ შესეოდენ მას, მაგრამ ისიც აფიქრებდათ, რომ ამიერკავკასიის მთავრობა და მისი ხალხები ერთნაირ ინტერესებს არ იჩენდნენ, მათი სოციალური ლტოლვა სხვადასხვა იყო. მაინც ვერ მოზომეს, თავი აიწყვიტეს და თურქეთმა მენშევიკურ საქართველოს ნაძალადევი ზავის მარყუჟი შეაბა კისერზე 1918 წლის 4 ივლისს, მაგრამ ფეხი დაუცდა, — საბჭოთა სახელმწიფომ ერთი ისეთი შთამაგონებელი ნოტა — გახსენება გამოუგზავნა მოსკოვიდან, რომ ამიერკავკასიის მიწაწყლის მიტაცების მაღა სულ წაუხდინა სულთანისტებსაც და ქემალისტებსაც.

ქემალ-ფაშას დიდად სიამოვნებდა ურჯულო გურჯი ტიტეს საუბარი და თითონაც გააცნო საკუთარი შეხედულებები თურქი ერისა თუ სხვა ეროვნებების წარმოშობა-უფლებებზე. გული გაიხსნა და განსაზღვრა საკუთარი ერის მომავალი. მაგრამ ამისათვის აწმყოც უნდა განემარტა და დაეცვა.

ტიტემ კარგად იცოდა, რომ თურქეთის მოსახლეობაც სიჭრელით გამოირჩეოდა. ეროვნული პრობლემის გადასაწყვეტად ეს ქვეყანა კარგ საფუძველს წარმოადგენდა. ოტომანის იმპერიის დროიდან რელიგიური ტრადიციების ბატონობა და გვერდით კი ბერძნულ-ბიზანტიური ფსიქიკის თანაარსებობა საშუალებას მისცემდა სახელმწიფო მოღვაწეებს ისეთი ურთიერთობა დაემყარებინათ ერებს შორის, რომელიც ბნელსა და ჩამორჩენილ თურქეთს სოციალური პროგრესის, ეროვნული და რელიგიური სოლიდარობის მიწად გადააქცევდა.

— ვერ დავივიწყებთ, რომ თანამედროვე ერების არსებობა ქმნის ახალი ხასიათის ურთიერთობებს ერებს შორის და აყენებს ახალ პრობლემებს, რაც დენადაც ამ ახალ ვითარებაში მთავარ მნიშვნელობას იძენენ ეროვნული თავისებურებანი და ეროვნული ხასიათი. — თქვა ქემალმა.

ტიტემ გაბზე გაიხედა. საქართველოსა და რუსეთში ღრმად დამუშავებული და ჩამოყალიბებული ნაციონალური საკითხის თეორიის დებულებები გონებაში გაიხსენა და მოსაუბრეს მიმართა:

— გვსმენია, ამტკიცოთ, რომ თურქული ნაციონალიზმი მიზნად ისახავს ეროვნული თავისებურებისა და ხასიათის დაცვას ეროვნებათა განვითარების ახალი ეტაპის პირობად?

— სწორად მიმიხვდით, ტიტე-ეფენდი, — დაეთანხმა ქემალი. — ჩემი აზრით, ერი არის ის თანამემამულეთა პოლიტიკური და სოციალური ერთობა, რომლებიც დაკავშირებული არიან ერთმანეთთან საერთო ენით, კულტურით და სამშობლოთი.

— მაგრამ ბუნებრივ და ისტორიულ ფაქტორებსაც უნდა გაეწიოს ანგარიში. განა ასე არაა? — შეუფინა გურჯი-ეფენდიმ.

ქემალმა თავაზიანი კმაყოფილებით მიიღო შემოთავაზებული დებულება, მაგრამ გონებაში უკვე მზადა ჰქონდა „არა“, ეთანხმებოდა, მაგრამ საკუთარ გაგებასაც აძალებდა, ცისფერი თვალების

დახოიდა და ძიკლად შეკრეჭილ ულვაშებიან ტურ'ხე კეთილი ღიმილის მოგდებით ტიტეს კითხვა მოუწონა და თავისი უარიც შეაწოვა:

— ბუნებრივი და ისტორიული ფაქტორები, რომლებიც ქმნიან ერს, არის ექვსი ნიშანი: პირველი, — პოლიტიკური ერთიანობა; მეორე — საერთო ენა; მესამე, — საერთო სამშობლო; მეოთხე, — საერთო წარმოშობა, კლასობრივი ერთიანობა; მეხუთე, — ისტორიული ერთობლიობა; მეექვსე კი — ზნეობრივი საფუძვლების ერთიანობა.

გურჯი ტიტე ქემალ-ფაშას მისჩერებოდა, აკვირდებოდა, მისი ნათქვამის კვალს მიჰყვებოდა, წარსულსა და აწმყოს მოურიგებლობის სავალს ხედავდა და საჭოჭმანოსთან ძიმწყვდეულს ცივი ხმითა და მყინავი გახედვით კითხვა-გაკვირვება დაუყენა:

— ასეთი ერის შემწეობით შექმენით რესპუბლიკა?

— დიახ. ასეთი ერი ქმნის სახელმწიფოს საფუძველს, დასაყრდენს.

მერე აწმყოში ნაგულევითაც დაჰკრა კვერი:

— ჩვენი სახელმწიფოს დასაყრდენია თურქი ხალხი და რაც უფრო ღრმად არის ეს ხალხი გამსჭვალული თურქული კულტურით, მით უფრო ძლიერი იქნება რესპუბლიკა, რომელიც მას ეყრდნობა.

— სხვა ერებს რაღა ბედი ეწევათ მომავლის თურქეთში, — ბერძნებს, არაბებს, სომხებს, რუსებს, ქურთებს, ქართველებს?..

— აკი ვთქვი, — ერთი ერი — ერი სახელმწიფო-მეთქი!

ეს კი უკვე იგივეს ჰგავდა, რასაც სულთანის გარეშოცვაც ქადაგებდა, — ყველა დაჰყრობილ ხალხს, — ეგვიპტელებს, სირიელებს, ერაყელებს, ბულგარელებს, მაკედონელებს, სომხებს, ქართველებს, — გათურქება ეწინასწარმეტყველებოდა და ამით ის დაპირება ირღვეოდა, რომლის პირობასაც ქემალ-ფაშა ლენინს აძლევდა პირადი წერილის მეოთხე პუნქტით:

„შერეული მოსახლეობის ყველა ტერიტორიას უფლება მიეცემა განსაზღვრონ საკუთარი ბედი“.

მეხუთე პუნქტი კი უფრო მეტსაც ჰპირდებოდა:

„იმ ტერიტორიაზე, რაც შესულია ახალი თურქეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში თურქეთის უმაღლესი ნაციონალური კრების მეთაურობით, აღიარებული იქნება ყველა უფლება, რომლებიც

მიკუთვნებული აქვთ ნაციონალურ უმცირესობებს ევროპის სახელმწიფოებში შედარებით უფრო ლიბერალური წყობილებით".

ტიტეს კი დიდხანს უწიოდა ყურში:

„აკი ვთქვი, — ერთი ერი — ეოთი სახელმწიფო-მეთქი!.."

* * *

ქემალს დაღლა დაეტყო. გურჯ-ეფენდიმ იგრძნო და დადუმდა.

გენერალი მხოლოდ ოცდათვრამეტი წლისა იყო, სავალი წინ ბევრი ედო. ბრძოლის ჟინით შეპყრობილს ბრძოლის გაგრძელების ნატვრის გზა უმოკლდებოდა და დაღონებით ამოთქვა:

— ასეთი სახელმწიფოს შექმნას დიდი ძალღონე სჭირდება. ჯერ ვუძლებ, მაგრამ, ვიცი, ბოლო მეც მოძელება, მგონი ძალიან ძალეც! ვინ გააგრძელებს ჩემს საქმეს?..

მერე უფრო ყუჩე ხმით ამოხდა:

— მე ხშირად მითქვამს მეგობრებისათვის, ახლა თქვენც გამხელთ, ტიტე-ეფენდი, — თირკმელები მაწუხებს! თირკმელების ტკივილით კი დიდხანს ვერ ვიცოცხლებ. ეს კარგად ვიცი. ხალხი სხვას წამოაყენებს ხელმძღვანელებად, ეჭვი არ მეპარება. მაგრამ ალუდგებიან კი წინ მრავალრიცხოვან მტრებს?! ეს მაღელვებს, მზარავს. დროდადრო ძალიან მიძძიმს!..

დრო მიდიოდა...

დღე ილეოდა...

ადამიანების სიცოცხლეც!

ტიტეს კი, სამშობლოში ციხე ელოდა.

დიალოგი საკანში

მეტეხის ციხე მართლაც აივსო პატიმარი ესერებით და ფედერალისტებიც მიაყოლეს! არც ეროვნულ-დემოკრატები გაეურჩენ მბრძანებელი სამთავრობო პარტიის მუქარას, — ბოლშევიკებიც შეუსახლეს და ყოველივე ამას დემოკრატიის თანასწორად გამოყენების უფლება უწოდეს.

ოოგორც კი 1919 წელს გამოცხადდა პარლამენტის დახურვა და დამფუძნებელი კრების არჩევნები დაინიშნა, პოლიტიკური

ოპოზიციური პარტიის მრავალ ლიდერს მოუსვეს ბელი და მიტინი კაოგაუტეხავ საპატიმროდ აქციეს.

— რატომაც არა, — თავი იძართლა ჟორდანიამ. — ჩვენს აგრარულ პროგრამას ყაჩაღური უწოდა გაბაშვილმა და განა ამის მოთმენა შეიძლება?!

მერე, განსაკუთრებული რახმის უფროსმა, მექი კედიამ, მობოდიშებით წაუკითხა დასაპატიმრებლებს შინაგან საქმეთა მინისტრის ნოე რამიშვილისა და მისი მდივნის მოწერილობა:

„...ვინაიდან სისტემატურად იბრძვიან საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ, დაუყოვნებლივ გაჩხრიკეთ და დააპატიმრეთ!“.

ამიტომ ერთ საკანში მოხვედრილი ბოლშევიკი ტიტე ცამიწაძე ეროვნულ-დემოკრატ გაბაშვილს გაკვირვებით შეეკითხა:

— მე რომ ციხეში გამომამწყვდიეს, გასაგებია, — საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება რუსეთის სოციალ-დემოკრატიისადმი ღალატად მიმაჩნია, მაგრამ შენი საქმე მაკვირვებს, — თავგამოდებით ქადაგებ საქართველოს დამოუკიდებლობას, უფრო მონდომებით და აშკარად, ვიხმ ნოე რამიშვილი, შენ კი თავი აქ ამოგაყოფინეს, როგორც დამოუკიდებლობის მოწინააღმდეგეს?!

პატიმარს მწარედ გაეღიმა.

— შინაგან საქმეთა მინისტრის კანცელარიის დირექტორმა, პარლამენტის წევრმა მეგობრულად გაბახდო: „ეს ჩემი შედგენილი ფორმულაა: მაშ ხომ არ დავწერდით, იმიტომ გაპატიმრებთ, რომ ჩვენ ყაჩაღები გვიწოდეთ!“.

ტიტე ცამიწაძე დაფიქრდა:

— მაშასადამე, თქვენი ნაციონალისტობისაც ისევე ეშინიათ, როგორც ჩვენი ინტერნაციონალისტობის?!

— ასეთი ბედი გვქონია ორივეს! მაგრამ ერთის განსხვავებით, მე მართლაც ნაციონალისტს, თქვენ კი პირიქით! ჩემი დაჭერით მეორე კურდღელსაც კლავს რამიშვილი. საშუალებას მისპობენ მონაწილეობა მივიღო დამფუძნებელი კრების არჩევნებში; აკი ჩვენი პარტიის ლიდერთაგანს გრიგოლ ვეშაპელსაც ვაუგზავნა მუქარის დეპეშა, — „შენც ეს მოგელისო“. ასეთი ხრიკებით ცდილობენ ჟორდანიას მომხრეები თავისუფალი არჩევნების ჩატარებას.

ტიტე ცამიწაძემ ჟორდანიელთა ხრიკები დასძრახა:

— მიკვირს, როგორ თანამშრომლობთ თქვენს ყაჩაღურ მთავ-

რობასთან, რომელსაც არავითარი ქართული პატრიოტიზმი არა აქვს და არც იცის, რა უნდა?..

თანამესაკნე პატიმარმა გული არ გაიტეხა:

— კარგია თუ ავია, მაინც ქართულია, საქართველოსია!.. საქართველო დამოუკიდებელია, — ესაა მთავარი!.. მერე ან მენშევიკებიც გაქართველდებიან, ან საქართველო გამოცვლის მენშევიკურ მთავრობას.

— ჩვენ კი ქართველები არა ვართ? თქვენზე ნაკლებად გვიყვარს საშობლო? ეროვნულად ჩვენ უფრო შორს მიედინოდით ცათზე, — აეძრიხა ტიტე.

ყოფილი დეპუტატი დაყოვნდა და მცირე პაუზით მიუგო:

— ჩვენ არ ვიცით, სად მიდიოდით, ან მიდიხართ ერთად თუ ცალ-ცალკე. ღმერთმა ორივე ჯანდაბას წაგიყვანოთ!.. მაგრამ პირადად მე სოციალური საკითხები არასოდეს მაინტერესებდა და რა რეჟიმი იქნება, ჩემთვის სულ ერთია! საქართველოს ეროვნულ სახელმწიფოს კი მე ბუდამ ლოიალურად ვემსახურები.

— აბა, იცით მაშ რას გეტყვით! ჩვენ, ბოლშევიკებს, სრული საშუალება გვაქვს 24 საათში თქვენი მთავრობა გადავატრიალოთ და ჩვენს მაგიერ ყველა ეგენი აქ ჩავყაროთ. მაგრამ გულახლილად გეუბნებით, ჩვენს პარტიას საქართველოში საკმარისი ხალხი არ ჰყავს. თუ თქვენ მხარს არ დაგვიჭერთ გადატრიალება უბრალო ძმათა სისხლის დაღვრით გათავდება და ამას გავურბივართ!..

მესაკანემაც გული გაახსნა:

— ძალით გადატრიალების შემთხვევა ჩვენ უკეთესიც გვქონდა, მაგრამ სწორედ ბე ვიყავი წინააღმდეგი, რადგან ჩემი და ხოკი სხვების ღრმა რწმენით, მაშინ ჟორდანია და ჯუღელი მოიყვანენ თვითონ რუსებს! ეხლა კი, მინისტრობა, ძალაუფლება, ქართულ საქმეში ჩაბმა, კეთილი ცხოვრება და სხვა. — შეაჩვევს ძალაუნებურად ქართველურობას, მათივე იდეოლოგიის გაქართველებას.

— ეს თქვენი ღრმა რწმენაა? — გადაჰკითხა ტიტემ.

— დიახ, მაგრამ იქნებ ვცდები?!

— ბართალს ამბობთ! მაგრამ ჩვენ, ბოლშევიკები, ეროვნულად ყოველთვის მეტს მოვითხოვდით და ეხლაც სრული დამოუკიდებლობის მომხრეები ვართ!..

— აბა, მაშ ვილაპარაკოთ და იქნებ შევთანხმდეთ კიდეც!

— კეთილი, განვსაჯოთ! — დაეთანხმა ტიტე.

ეროვნულ-დემოკრატი ბოლშევიკთან მოლაპარაკებას შეუდგა:

— თუ თქვენ ყოველმხრივ გარანტიას იძლევით, რომ რუსეთი სცნობს საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას, მე პირადად, როგორც გითხარით, მზად ვარ ბოლშევიკურ რეჟიმთანაც ისე ვიყო, როგორც მენშევიკურთან, ესე იგი განსაკუთრებით დამოუკიდებელი საქართველოს ინტერესებით ვიხელმძღვანელო.

ტიტე მიჰყვა:

— ამაზე არა მარტო ჩემი პირით, ყველა ქართველი ჩვენი ამხანაგების სახელით დაგარწმუნებთ, რომ რუსეთის ბოლშევიკური მთავრობა საქართველოს სრულ დამოუკიდებლობას სცნობს!

— გარანტიები?

— ოფიციალური ცნობა და ხელშეკრულება საქვეყნოდ...

— არა, ეს საკმარისი არ არის სრულიად, — ჩვენ უნდა შევქმნათ ნამდვილი ქართული რეგულარული ჯარი, ერთადერთი დასაყრდნობი — თანამედროვე პირობებში — სახელმწიფოსი, როგორც შინ, ისე საგარეო მტრებთან თუ მეგობრებთან, სათანადო უოთიერთობის დასამყარებლად.

— მაგაზედაც ადვილად შევთანხმდებით! — დაჰყვა ტიტე.

— მაშინ მე ვკისრულობ დავარწმუნო ჩემი ამხანაგებიც, უკანასკნელი პირობით: რაც უნდა მოხდეს, როგორც უნდა დატოიალდეს საქმე. — არავითარ შემთხვევაში თქვენ უცხო ძალას არ მიმართავთ, და რუსის ჯარს არ შემოიყვანთ საქართველოში...

ცამიწაძემ ყოყმანით უპასუხა:

— კი... მაგრამ... ხო, ამაზედაც შეიძლება გამოინახოს...

— არა, ესაა მთავარი!

ტიტე ცამიწაძე გაჰყვა:

— მაგაზედაც დავთანხმდებით: ოღონდ ერთი პირობით, — თუ ქართველი გლეხობა და მუშები გვთხოვენ მოძმე რუსების დახმარებას, მუშათა, გლეხთა და ჯარისკაცთა საბჭოს მივმართავთ.

— მაშ თქვენც ისევე, როგორც მენშევიკებს, არ გესმით: უცხო ძალა, ვისიც უნდა იყოს და რა სახელმწიფოებიც არ მოგვევლინოს, — ყოვლად მიუღებელია! ასეთი დამოუკიდებლობა არ არსებობს.

ტიტემ ციხის საკნის სარკმლიდან ცას გახედა:

— ქათამი რომ წყალსა სვამს, ცას ახედავს, ბევრი არ მომივიდესო. თქვენ ეროვნულ-დემოკრატიულობას იჩემებთ, მაგრამ

ეკონომიურ პრობლემებს როდი სჯერდებით. პოლიტიკურ კითხვებს აყენებთ, — რუსეთ-საქართველოს ტრაქტატის აღდგენასაც ძოითხოვთ, თუმც ამატებთ — „დემოკრატიული წყობილების საფუძველზეო“.

— დიახ, პოლიტიკურსაც მოვითხოვთ, 1783 წლის ტრაქტატის აღდგენასაც, როგორც სახელმწიფოებრივი საფუძვლისა საქართველოსთან ურთიერთობაში და არა მარტო სოციალურ რეფორმებს, როგორც სოციალ-დემოკრატები, ან თუნდაც ავტონომიას, — სოციალისტ-ფედერალისტებივით.

— სოციალურ ანტაგონიზმს უარყოფთ?!

— დიახაც!

— მგლებსა და ცხვრებს ერთად აძოვებთ?! საქართველოში გამძაფრდა კლასობრივი ბრძოლა.

— ესეც სოციალისტური პარტიების გამოგონილი ფორმულაა! გაიხედეთ, საქართველოში ბურჟუაზია და პროლეტარიატი ძლივს ბოგინობს: ხუდადოვი, ხოშტარია, სარაჯიშვილი, ზუბალაშვილი — ეს არის და ეს თქვენს მიზანში ამოღებული ბურჟუები; თავადაზნაურობა ისე კუდშეკრეჭილია, რომ თუ მათი მიწები თბილისისა და ქუთაისის საადგილმამულო ბანკებმა არ დაიგირავა, — მეფის საუფლისწულო მამულებს შეუერთდება, ანდა მანთაშევისა და მელიქ-ახარიანცების უძრავ ქონებას მიემატება. თქვენ კი აგიჩემებიათ — ამას გვასწავლის მარქსიზმიო?!

— დიახ, არ უარვყოფთ!.. ჩვენ ახლა მთავარ მოწინააღმდეგედ მენშევიკების პარტია მიგვაჩნია, მაგრამ არც იმას ვივიწყებთ, რომ თქვენც შორს იჭოებით შოვინიზმის ქადაგებაში. ამას გიჩივიან მენშევიკებიც, საძივე ნოე.

— რამ გადარიათ, ღმერთი არ სწამთ?!

— თქვენმა ერთმა ალტერნატივამ: სჯობს სულ არ იქნებოდეს საქართველოს ავტონომია, ვიდრე იქმნებოდეს იმ ვიწრო ფარგლებში, რომელიც სოციალ-დემოკრატებმა და სოციალისტ-ფედერალისტებმა წამოაყენესო!..

პატიმარ რედაქტორს სახე დაემანჭა, მენშევიკებისა და ფედერალისტების შოვინისტებთან შედარებამ გუნება გაუფუჭა და მერე უფრო მწარე რამ გაიხსენა:

— ვაი მენშევიკების „ნაციონალიზმსა“ და „შოვინიზმს“. ნიჰილისტები აბა მაგათ ეთქმის!.. 1912 წელს კიევში საიდუმლოდ ჩა-

იტარეს „რუსეთის არასახელმწიფოებრივ ერთა“ კონფერენცია; სოციალ-დემოკრატმა ნოე რამიშვილმა და სილიბისტრო ჯიბლაძემ, სოციალისტ-ფედერალისტმა ოსიკო ბარათაშვილმა და სამსონ ფირცხალავამ თავიანთი პარტიების სახელით ბოროტება ჩაიდინეს! მომავალ ტერიტორიალურ-ეროვნულ განსაზღვრაში, ესე იგი რევოლუციის გამარჯვების შემდგომ პერიოდში, ასე გაანაწილეს: საინგილო — აზერბაიჯანს; აფხაზეთი — ჩრდილო-კავკასიას და ახალციხე, ახალქალაქი ბორჩალოს მაზრა ნავთლუღამდის — სომხებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის „რეალური მოსახლეობის“ პრინციპის მიხედვით. ეს თეორიული გაცემა სახელმწიფოებრივი ტერიტორიის მთელი პროვინციებისა დადასტურებული იყო ჩვენი ზემოაღნიშნული „სოციალისტების“ არა მარტო ხელის მოწერით, არამედ კიევიდან ჩამოტანილ რუკაზედაც აღნიშვნით.

ცამიწაძემ იმ ქათამივით ცას ახედა:

— შეხე მაგათ?!. ბოლშევიკებს კი ცილს სწამებენ საქართველოს ნაკუწ-ნაკუწ დარიგებაში.

— რას მოიმოქმედებთ თქვენც მომავალში, ღმერთმა უწყის! მაგრამ ერთსა გთხოვთ, — მენშევიკებსა და ფედერალისტებს „ბაციოხალისტებად“ ნუ ნათლავთ. დიდი პატივია!.. ეს ორივე პარტია სიტყვით საქართველოს მფარველობს, საქმით კი — მტრობს. თუ ცალ-ცალკე უნიათო ქართველ თავადს არ ესმის, რას სჩადის სამშობლოს მიმართ, როცა თავის საკუთარ მიწას ჰყიდის ნაჭერ-ნაჭერ უცხოელებზე; თუ რუსის მეფის სახელმწიფო შეგნებულად ძარცვით ასუსტებს საქართველოს, ღრღნის მის ტერიტორიას უცხოელების ჩასახლებით, — ჩვენმა „ინტელიგენციამ“, სოციალისტ-ფედერალისტების ფალავნობით და გაპროლეტარებულმა ხალხვარინტელიგენციამ მენშევიკების მწყალობლობით მეტი გულუბავობა გამოიჩინა და სხვებს მთელი პროვინციები გაუბოძა! ასეთ პირობებში განა შეიძლება გულგრილად და გულზე ხელდაკრეფილად დარჩენა?!

მერე ეკატერინე გაბაშვილის მიერ პატიმარი შვილისათვის ციხეში შემოგზავნილი კალათა ამოალაგა; რკინის სალტეებით მოჭედილ პატარა მაგიდაზე „ატენურის“ დოქი დადგა, ორი პატარა ყანწიც მიუწყო, ორი დედასპურიც მიუდო, დარჩეული ნიგოზი და ხუთიოდე ვაშლიც მიულაგა, ალბათ, ფურცელაძიანთ ზვარიდან და

ხამუმ, სქელ ქაღალდში გახვეული ერთი კარგად ნასტქი, ცოვად ბოსარშული დედალიც ამოაგდო. შვილმა დედის მიბეედრილობა სწორედ იმ დაჭუჭნულ-გაქონილი ქაღალდით იცნო, — გაშალა, ხელის გულებით გასწორა და საქართველოს დაკეწული რუკა დაფინა.

— აი, ამ უკანასკნელმა ვერაგობამ გაწყვიტა ყოველგვარი კავშირი ჩვენსა და მენშევიკ-ფედერალისტებს შორის. ფიალა აღვსო, და შინაგანმა დღღილმა გადმოხეთქა გარეთ. ჩვენ არ მოვერიდეთ იმას, რომ კიევის კონფერენცია ფარული იყო და ეფერ-ხალ „კლდეს" ცალკე დამატებად მივეცით ბატონ სამსონ ფირცხალავას მიერ ჩამოტანილი რუკა. გაბოძებული პროვინციების საბგლოვიარო ფერებით აღბეჭდილი და სათანადო განმარტებით.

ამ საიდუმლო რუკის დაბეჭდვამ ხალხი ააფორიაქა. მენშევიკები სანგრებში ჩასხდნენ და ფედერალისტებმაც ფარ-ხმალი აისხეს. მცხეთელი თავადი იოსებ გედევანიშვილი „კლდის" რედაქციას ეძგერა და კბილით ღრღვნა მოუნდომა, მაგრამ, ღრძილები ელრძო, მწარედ წაანიტა და გარეთ „ცნობის ფურცლიდან" გასცინა:

— ერთი დამიხედეთ, რა ფალავნები გამოსულან! ამ ხალხს თავისთვის ერთი ოთახიც ვერ აუშენებია და საქართველოს აშენებას ჩემულობენ!..

„კლდეელებმაც" ბოღმით მიაფურთხეს:

„შენ, ის გედევანიშვილი ხომ არ ბრძანდები, დუშეთის ხაზინის გაძარცვაში მონაწილეობის საშუალებით თითონ სახლი რომ აიშენე მცხეთაში?!."

— ჩუ! თქვე წყეულებო! — დაიწყევლა დუშელმა.

მენშევიკები და ფედერალისტები საიდუმლო რუკის გამომქვეყნებლებით ხალხის რისხვის შიშმა შეაერთა და ხელი მიაყვეს „კლდეზე" ლაფის მისხმას. ამით გელმოსულ სამი თავადის — გაბაშვილის, ვაჩნაძის და ამირეჯიბის რედაქციამ დუელში გამოიწვია „ცნობის ფურცლის" რედაქცია. მაგრამ მხდალობით დუელში არ გამოჰყვნენ, ორ წელიწადს, სანამ 1914 წლის ომი არ დაიწყო, ერთმანეთში მწყრალად იყვნენ, არც კი ელაპარაკებოდნენ.

1917 წელს კი ნოე ჟორდანიამ დანაცრულ ნაღვერდალს ნაპერწკალი დაასხა: სათავადაზნაურო საკრებულოს შენობაში, ბელინსკის ქუჩის ორ ნომერში, ერთსაათიან მოხსენებაში ეჩიჩინებოდა თბილისში მცხოვრებ ქართველებს:

— თბილისი საქართველოს დედაქალაქი კი არ არის, არამედ ანტინაციონალური ცენტრია. რომლის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და იმის იქით მდებარე ტერიტორია ეკუთვნის სომხებსა და აზერბაიჯანელებს და მიოლოდ დასავლეთი მესამედი — „ვერე“ და აქეთ მდებარე ტერიტორია გვეკუთვნის ქართველებს!..

1918 წელს კი დენთმაც იფეთქა. სომხეთის მთავრობის მეთაურმა დაშნაკებმა ნოეს შემოუთვალეს მენშევიკების ელჩის სიტყვა მდივნის პირით. — პირობაზე როგორა ხარო? კიევის 1912 წლის საიდუმლო რუკით სახლვარი სოლანლუღამდე გაავლე და თბილისის მხოლოდ მესამედი დაიტოვეო!..

ჟორდანიამ თავზე ხელი შემოირტყა, უარი სტკიცა და ომის ალიც ავარდა.

ან ჯერ რა უფლება ჰქონდათ, რომ ასეთ გარიგებას ახდენდნენ ქართველი ხალხის ზურგს უკან და მეორეც, პირის გატეხვაც იუკადრისეს. მენშევიკებისა და დაშნაკების „სოციალისტურმა“ პარტიებმა! მოძმე ორი ერი საბოლოოდ გადაჰკიდეს ერთმანეთს: დაშნაკები მენშევიკებზე წამოვიდნენ, ალავერდის სპილენძის საბადოები ის რუკით შეიერთეს, ნოემ კი პარლამენტი სასწრაფოდ შეკყარა და თავისი წასდენილი საქმე იგლისელ ოკუპანტებს გადააბრალა. მაგრამ განა ამით ძმათა სისხლი ზღა?!.

ტიტე ცამიწაძე ჩაფიქრდა, გაბაშვილს მწარედ გაუღიმა:

— არ გიკვირს, რომ ბოლშევიკებიც არ ჩაგვრია ამ გარიგებაში?!.

— აღარაფერი აღარ მიკვირს! ჩვენი, ეროვნულ-დემოკრატიული პარტია ენაგადმოგდებული მოითხოვს საქართველოს დაბოუკიდებლობას. ნოე რამიშვილმა კი დამოუკიდებლობის მტრებად გამოგვიყვანა! შენც, ტიტე, ამასვე ფიქრობ ჩვენზე: ნაციონალისტებს ნიჰილისტებთან გვაერთიანებ და ამიტომაც გეშლებათ ბოლშევიკებს იმის გარკვევა ხალხი ვის მხარეზე დგება?!. მე არ ვამბობ, რომ ჩვენა ვართ ერის მხსნელები? ამ არეულ ვითარებაში ვინ რას პირდება ხალხს და ვის რისი საფანელი გააჩნია, ამას ბოლოს დავინახავთ, მაგრამ ბოლშევიკებსაც თავი აგიღერებიათ და მიგაჩნიათ, რომ რაკი მენშევიკები სოციალისტური პარტიაა, მართლაც გულიც სოციალიზმით უხურთ. არ დაიჯერო! ეგ ისეთი ხალხია, — დღეს შენია, ხვალ ჩვენი, ზეგ გადამთიელების. მაგრამ მე

რას დამიჯერებ, დაუჯერე ფონ კრესს, გერმანელების საოკუპაციო ჯარის გენერალს!:

ეს სიტყვები ცამიწაძესაც წაეკითხა:

«თუ არ მივიღებთ მხედველობაში წმიხდა გარეგნულ მხარეს, ჩემზე მიხისტრებმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს, რამდენადაც შეიძლება ითქვას პირველი საუბრის მიხედვით. მათ ღირსეულად ეჭირათ თავი, ზოგჯერ პასუხის გაცემის დროს დარცხვენილად ილიმებოდნენ, როცა იძულებული იყვნენ ელიარებინათ, რომ სოციალიზმის ზოგიერთი ლოზუნგი ცხოვრებაში მიუღებელია! მეტად საინტერესოა თვალყურის დევნება როგორ ნაკლებად შეგუებულნი აღმოჩნდნენ ცხოვრებასთან სოციალისტური იდეები, როგორც კი დაიწყეს მათი პრაქტიკული გატარება, სინამდვილეში ეს ბატონები პირობების ზეგავლენით უკვე დიდი ხანია აღარ არიან სოციალ-დემოკრატები!»

მერე სხვაც დააბატა, რომ მენშევიკების ვაისოციალისტობის ბუნება ეჩვენებინა.

— ფონ კრესმა თავის მონარქიულ მთავრობას სთხოვა გერმანული ორდენები ეჩუქებინა საქართველოს ხელმძღვანელ პირთა — ნოე ჟორდანიასათვის, ჩხენკელისათვის, რამიშვილისათვის.

ძერე კი, როცა გერმანიის მონარქიული ჯარები დამარცხდნენ ანტანტასთან ბრძოლაში და ამიერკავკასიის დატოვება მოუხდათ, მენშევიკების ორიენტაციის შეცვლაც სწრაფად მოხდა. საქართველოს პარლამენტის 1919 წლის სხდომაზე საგარეო საქმეთა მინისტრმა ევგენი გეგეჭკორძა ამაყი სინანულით თქვა:

— ანტანტის სახელმწიფოების წარმომადგენლებს ბედმა არგუნა გამარჯვება გერმანიის კოალიციაზე. საქართველოს მთავრობას თამამად შეუძლია თქვას, რომ იგი უშიშრად და შეურცხვენლად ხვდება მათ!..

— მენშევიკების უცხვირპირობაზე ჩვენც ბევრის თქმა შეგვიძლია! — ჩაურთო ცამიწაძემ.

— მაგრამ მაიხც სოციალისტურ პარტიად მიიჩნევთ! დროა გაეთიშოთ, თორემ უფრო უარესსაც შეგყრით, ვიდრე უკვე შეგყარათ. ნუ გავიწყდებათ სოციალისტ ჟორდანიას საჯაროდ ნათქვამი:

„თქვენ გგონიათ, რომ თუ მთავრობა სოციალისტურია, მან უსათუოდ სოციალიზმი უნდა განახორციელოს? ეს ბოლშევიკების შეხედულებაა!“.

— ასეთმა სოციალისტებმა დაღუპეს თქვენი 26 ბაქოელი კომისარი.

— გეთანხმები! — დაჰყვა ცამიწაძე. გაბაშვილი უფრო აეშალა:

— ბოლშევიკებსაც მიგიძღვით დანაშაული: თქვე მამაცხონებულებო, — ქართველ ეროვნულ-დემოკრატებს კეტით დაგვდევთ, თავად კი ბაქოში წარმოუდგენელ შეცდომებს ჰპატიებთ მუსავატელებს, დაშნაკებს, მენშევიკებს, ესერებს!..

მერე პატიმარმა მასპინძელმა პატიმარ სტუმარს ცივად მოხარშული დედალი გაუხლიჩა, მიაწოდა, პატარა ყანწში ატენურიც ჩამოუსხა და თითქოს ყურში ჩასჩურჩულა მორიდებით:

— ჯერ იყო და რეაქციონერი ბიჩერახოვის კაზაკების ნაწილები რევოლუციურ არმიას შეურიეთ და ციხე შიგნიდან გასტეხეთ!.. მერე თავისუფლად ათარეშეთ საკანონმდებლო ხელისუფლებაში ესერები!.. შემდეგ ბაქოელთა გამოწრთობილი ბოლშევიკი ბელადი შაუმიანი რა ჭკუაზე დადგა, რომ ხელი აიღო თქვენს ნაფიც დიქტატორულ ხერხზე და საპარლამენტო დემოკრატიის დროშა ააფრიალა, რაც უმალ გამოსტაცეს ხელიდან თქვენი რევოლუციის მტრებმა! ბოლოს, მოცებს სხვაც: ჯუღაშვილის ყოველ მითითებას საქართველოს პოლიტიკური პარტიების საზიანოდ განუხრელად ახორციელებთ, აზერბაიჯანში კი აინუნშიც არ ჩააგდეს, ყურიც არ გაიბერტყეს! ჯუღაშვილი ხომ ავალებდა აზერბაიჯანის სახკომსაბჭოს, — „უსიტყვოდ დააპატიმრეთ უცხოური და შინაგანი კაპიტალის აგენტებიო!“.

— ჰო, არ განახორციელეს!..

— გამოდის, რომ რაც ქართველ პოლიტიკურ პარტიას ვნებს, ის სხვებს მხოლოდ რგებს?!.

ტიტე ცამიწაძე წამით ჩაფიქრდა. მწარედ ნათქვამში სიმართლის წილიც იყო და ახლა იმის შედეგების გასწორებას უტრიალებდა, მაგრამ მანამდელს რაღას უშველიდა?!.

პატიმარმა პატიმარსაც გული გადაუღეღა, გაუხსნა, მაგრამ სხვისი დამძრახავი თავის დანაშაულს ვეღარ ხედავდა, გააგრძელა:

— ამას იმიტომ გეუბნები, რომ სასაუბროდ სხვა დრო აღარ გვექნება!.. ბოლშევიკების ტაქტიკის მიზეზიანობის ამბავი რომ ვიცი, საქართველოს ეროვნულ პარტიას ახლოსაც არ იკარებთ, თითქოს ჭირიანები ვიყოთ: მენშევიკებზე ხართ გადაგებული! გინებითაც მათ აგინებთ და მხარშიც მათ იყენებთ ჩვენთან საბრძოლ-

ველად! ივიწყებთ, რომ საქართველოში სხვა ისეთი მერყევი, ფლიდი და უხერხემლო პოლიტიკური პარტია არ გაჩენილა, პირის გატეხვა რომ ცხვირსახოცის გამოცვლასავით ესე ეხერხებოდეს და მაინც მას უფრო უსწორებთ თქვენი ბრძოლის იდეურ იარაღს, რაკი გგონიათ, რომ მარქსის „კაპიტალი“ მათ უკეთ წაუკითხავთ!.. წაკითხვით კი წაუკითხავთ, მაგრამ რა გამოუტანიათ იქიდამ — ამაშია ფასი!..

მერე თითქოს შემწყალებლის კილოთი დააყოლა:

— მე თქვენი ფრაქციის, ბოლშევიკების, თავგადადების დიდი შემწე არ გახლავარ, მაგრამ გაკვირვებული ვარ თქვენი ბელადების გონების სიმახვილითა და მიზნისათვის ბრძოლაში შეუდრეკელობით! შენი ბედი, ტიტე, რომ მეფის ციხის მაგივრად მენშევიკების მეტეხში ზიხარ, თორემ ვინ გაპატიებდა ქუთაისის ციხის გვირაბის გათხრას, ბაქოს ციხიდან თომა ჩუბინიძის გატაცებას; თბილისის საგიჟეთიდან დღისით, მზისით კამოს მოტაცებას?!. მაგრამ, თავადაც დაფიქრდი, მენშევიკებს ერთი დიდი ექსიც ვერ მოეწყოთ, როცა ამის მთელი სიმძიმე ბოლშევიკებს გზნიქავდათ. ლაპარაკით და ლაქლაქით კი, — იცოცხლე, შეიარაღებულ გუბერნატორსაც ცხენიდან ჩამოაგდებდნენ. სამი ნოეს პარტიას ერთი დიდი პოლიტიკური აქციაც არ ჩაუტარებია, რაც ბოლშევიკების წამოწყება არ ყოფილიყოს, მაგრამ „კუმ ფეხი გამოყოს“ ნათქვამისა არ იყოს, ყოველთვის წილს მოითხოვდნენ. მაგრამ, თუ ოდესმე გამოუჩენიათ დამოუკიდებლობა, ესეც მხოლოდ მარქსიზმის მოძღვრების ურმის ღერძის გამრუდებაში! არა-და, რამდენი რამის გაკეთება შეეძლო მეფის მთავრობის საწინააღმდეგო ქართველ გლეხკაცობას მშვიდობიანი ცხოვრების მოსაპოვებლად. რატომ? იმიტომ, რომ მარტო ჩვენ, ეროვნულ-დემოკრატებს კი არ გვებრძვიან, საკუთარ გლეხობასაც! კაცი რომ ასეთს აღიარებს, — განა უნდა ენდოს მათ გლეხკაცობა თუ თავადაზნაურობა?

„არსებობენ ჩამორჩენილი გლეხები, რომელთაც ქალაქთან და მუშათა დემოკრატიასთან არავითარი საერთო არ გააჩნიათ“. — ამბობს ნოე.

ეორდანია მათ რეაქციონერებს უწოდებს და რა გასაკვირია, რომ გლეხებს დღესაც არ უყნოსავთ მენშევიკების აგრარული რეფორმა. განა საკვირველია, რომ მეფის ჩამოგდებამდეც გლეხთა ინტერესებთან ერთად მემამულეთა ინტერესებს ერთ კონაში წნავ-

და და ძირის ამოგდებას ეწადა? ერთი ასეთი ეროვნული პრობლემაც მაგონდება, ჩვენ რომ ჭაპანწყვეტით გავიტანეთ, მაგრამ, განა მენშევიკებმა დაგვიჭირეს მხარი?! შენც არ მომიკვდე! ხმა-კრინტიც არ დაძრეს, თითქოს ეს პრობლემა გლეხობის სოციალურ საკითხს არ ეხებოდა. არც ბოლშევიკებს მოგიკლავთ თავი ჩვენს გასამართლებლად! არ გინდოდათ გაგეგოთ, რომ გლეხისთვის მიწაც სამშობლოა და ვინც ამას არა ჰგუობს, ის მას ვერ მოიმხრობს! მე ძჯერა, რომ, თუ დაღუპავს მალე მენშევიკების მთავრობას, მათი გარიყვა გლეხობისაგან! გაბუტული გლეხი მუშასაც კუჭს გაუხმობს და მაშინ ორივე მშიერი მგელკაცი უძღობ მთავრობას ეძგერება. ეს ჩემი კისერი და ეგ შენი ხმალი, თუ ეს ჩემი ნათქვამი არ ახდეს! ახლა მენშევიკების საბრძანებელში იმის გატარებაც კი ზღაპარია, რასაც მეფე-იმპერატორის დროს პოლიტიკური ლოგიკის შიშით გლეხობა აპერხებდა.

ტირიფონის ატირება

გლეხი რას მიქვიანო!

გრაფმა ვორონცოვ-დაშკოვმაც მისი უბრწყინვალესობა რომ კაეხარებინა, პატაკი გაუგზავნა ხელმწიფე-იმპერატორს:

„საქართველოს ორივე გუბერნიაში 250 პუხქტად კაზაკები დავასახლე. ახლა ქართველი თავადაზნაურობაც მშვიდად იცხოვრებს. გლეხობა თავს ვეღარ ასწევს, შეიარაღებული უცხოტომელები ჩაუკაკუნებენ“

„გააგრძელეთ ასევე!“ — მიიღო პასუხად.

ვორონცოვი ნოყიერი და მდიდარი მიწების გაცემით როდი კმაყოფილდებოდა, ქართლის გულში, ტირიფონის ველზე მას 40 000 კომლის აყრა გადაეწყვიტა კავკასიის არმიის სამხედრო პოლიგონის გასამართავად.

აქედან აყრილი გლეხკაცობა კი დაღესტანსა და ყუბანის მიდამოებში უნდოდა გაეხიზნა.

ამ მაცდურ პროექტს თავადაზნაურობის ყველაზე გულუბრყვილონი და დოყლაპიებიც კი მიუხვდნენ: ჯერ ერთი, საკუთარი ბუცლის გვრემაც ჰქონდათ. — ხელიდან ეცლებოდათ ცოცხალი ძალა, ყოველწლიურად რომ ღალას უხდიდნენ ხოლმე. ახლა კი ხა-

ხიხიდან ერთდროულად ძიღებული თანხა მიწის გაყიდვაში — ორ წელიწადში შემოეკმებოდათ და მერე თვითონაც უნდა შესდგომოდნენ მეფის ჩინოვნიკობას, ან თოხი და ბარი აეღოთ. ვორონცოვის პროექტის მიხედვით გლეხკაცობა ხელიდან ეცლებოდათ ფეოდალებს, მაგრამ რევოლუციურ წითელრაზმელობასაც ფესვს ამოუგდებდნენ.

ხაზინის მიერ ფეოდალების მიწების გამოსყიდვაც დიდ ფინანსურ ხარჯს მოითხოვდა, თუმცა რა ანგარიშში ჩასაგდებია ფული, თუ ამით მეფის მთავრობა, სამხედრო დასახლებებისა და პოლიგონის გამართვით, საიმედო მოგუშაგე რეგიონებს ჰქმნიდა, რომელიმე მომავალ ალიხანოვ-ავარსკის ისე აღარ გაუჭირდებოდა ცეცხლითა და მახვილით გაეკაფა გზა ამერეთიდან იმერეთში, თბილისის გუბერნიიდან ქუთაისის გუბერნიის ჯერამც დაუმცხრალი რევოლუციური ხანძრების ჩასაქრობად.

ამ პროექტის წინააღმდეგ ჟურნალმა „კლდემ“ აღიმაღლა ხმა, რამაც მეფისნაცვალი გააგულიანა და „კლდის“ რედაქტორი, რომელიც დღენიადაგ წერდა — ტირიფონის ველის სამხედრო პოლიგონ-უდაბნოდ გადაქცევა ბოროტებაოო, სამხედრო სამართალში მისცეს. რომლის თავმჯდომარედ ქართველივე თავადი გედევანოვი დანიშნეს.

სასამართლომ რედაქტორს რამდენიმე ბრალდება წაუყენა: ისე მიდიოდა საქმე, აშკარა იყო — რედაქტორს ციხე ელოდა.

— თქვენ, ბრალი გედებათ იმაში, რომ გლეხკაცობას აჯანყებთ მეფე-იმპერატორის ნება-სურვილის წინააღმდეგ — გამართოს ტირიფონის ველზე სამშობლოს სამხედრო დიდების დამცველი პოლიგონი, ამას გარდა, თქვენ ფიცი გაატეხინეთ მეფე-იმპერატორის ერთგულებაზე მისი ბრწყინვალების ერთგულ ფეოდალს, გიორგი ამილახვარს და მისი საძრახისი სიტყვებიც კი დაბეჭდეთ: „მართალია, მევაჭრებიან, ფასსაც დიდს მაძლევენ. მაგრამ ძვლები ჩემი მამა-პაპათა მაგათ ყელზე დაადგებათ და ვერ მოინელებენ!..“ თქვენ კანონსაწინააღმდეგო ბოროტება ჩაიდინეთ ამ განცხადების გამოქვეყნებით.

— დიახ, ბატონო მოსამართლენო, თუმცა აღნიშნული წერილების ავტორი მე არა ვარ, მაგრამ ჩემის რედაქტორობით გამოდის ჟურნალი და პასუხსაც ვაგებ, თუმცა არაფერში არა ვცნობ დამნაშავედ თავს!

პროცესის ბედი წინდაწინ გადაწყვეტილი იყო. სასამართლოს თავმჯდომარემ ყრუდ წარმოთქვა:

— სიტყვა ეძლევა ბრალდებულის დამცველს, ბატონ შალვა მესხიშვილს.

შალვა მესხიშვილი ნაჩვევი იყო რევოლუციონერების დაცვა-გასამართლებას, მაგრამ, ამჯერად ვერ იმარჯვა, საქმე იქით მიდიოდა, რომ რედაქტორს თუ კატორღა არა, თბილისიდან გასახლება მაინც არ ასცდებოდა.

ბრალდებულმა ვექილს შეაწყვეტინა:

— შალვა, გვერდზე მიდექ, მე დამაცადე, ახლა!

— ბატონო მოსამართლენო, ჩემ თავს მე დავიცავ! — და საყვედურისა და გაკიცხვის კილოთი ამოჰყარა მაგარ-მაგარი საწინააღმდეგო საბუთები, რომელიც სასამართლოს თავმჯდომარე გედევანოვმა მიივიწყა პოლიტიკური სიბეცის შედეგად.

— ბატონო მოსამართლენო, და ბატონო თავმჯდომარევ! როდესაც თქვენმა იმპერიამ ეს-ეს არის განიცადა რევოლუციური ღელვა და მთელი კავკასია დღემდე მოქცეულია სოციალისტური პარტიების ალყაში, ერთადერთი ჟურნალია „კლდე", რომელიც იცავს სახელმწიფოებრივ წესებსა და კანონებს, კერძო საკუთრებასა და მშვიდობას!.. ამ დროს კი გამოდიხართ თქვენ, როგორც სასამართლოს თავმჯდომარე, და ყოველგვარი სამართლიანობის გარეშე ორმოც ათას დესეტინა კულტურულად დამუშავებულ და სახნავ მიწას, ოც ათას პატიოსნად და მძიმედ მომუშავე გლეხობას, — ძალით ართმევთ, რომ მიწა უსულო ზარბაზნების სავარჯიშო პოლიგონის უდაბნოდ გადააქციოთ; თქვენ გსურთ ოცი ათასი კერძო მესაკუთრე ბოგანოდ გახადოთ და რევოლუციონერობა ჯარს შეუერთოთ!

ბრალდებულმა მენტორული ტონი მწყალობლური ინტონაციებით შეცვალა:

— მე გთხოვთ გაიხსენოთ, ბატონო სასამართლოს თავმჯდომარევ, — ვინ ესროლა ქუთაისის გუბერნიაში უშიშარ გენერალ ალიხანოვ-ავარსკის?! გაღიზიანებული გლეხკაცობიდან გამოსულმა ტერორისტმა!.. კავკასიის არმიის შტაბის უფროს გენერალ გრიაზნოვის მკვლელის გვარიც გაიხსენეთ და მისი ბოგანო მდგომარეობაც, — ისიც თბილისის გუბერნიის გლეხობიდან იყო გამოსული, მერე რომ რევოლუციონერ მუშებს შეეკედლა! მე მხოლოდ ორი

ტერორისტი გაგახსენეთ! დანარჩენების გვარები, გრაფ ვორონ-ცოვ-დაშკოვსაც რომ შესაძლოა ბომბი ესროლონ, თქვენ უკეთ უნდა მოგეხსენებოდეთ! და ასეთ კრიტიკულ ვითარებაში, როცა რევოლუციური მოძრაობა აღმავლობის გზას დაადგა მთელ იმპერიაში, რატომ იღებთ საკუთარ თავზე ცოდვას და ამ ოცი ათასიანი ბოგანო გლეხიდან, ოცმა რომ მაინც ბომბი სტყორცნოს მთავარმართებლის სასახლეს, წარმოიდგინეთ რა ამბავი იქნება!

ამიტომ მე უკვე გაგაფრთხილეთ, ხოლო მისი ბრწყინვალების სიცოცხლეს თქვენც უნდა გაუფრთხილდეთ!

მერე დამაეჭვებლადაც გაანდო:

— განა არ იცით, რომ მთავარმართებელი, გრაფი ვორონცოვ-დაშკოვი საშინლად გადატვირთულია სახელმწიფოებრივი საქმეებით და თავისი მოღვაწეობის მძიმე უბანს გრაფინია ვორონცოვას ავალებს. ამიტომ, მე გთხოვთ, ბატონო სასამართლოს თავმჯდომარევ, სანამ ამ საქმეზე განაჩენს გამოიტანდეთ და ოცი ათას გლეხს მშობლიური მიწიდან აყრიდეთ, დაეკითხოთ მას, გრაფინიას, და მხოლოდ მისი ღვთისნიერი და მისნური წინათგრძნობით გადაწყვიტეთ ძნელად გადასაწყვეტი საკითხი!.. თქვენ რატომ იღებთ თავზე ასეთ დიდ და გამოუსწორებელ პასუხისმგებლობას?! მაგრამ, მეც რომ ჩემს სინდისთან და თქვენდამიც პილატედ არ გამოვჩნდე, ჩემი გუმანიც გააცანით გრაფინიას, თუმცა ვიცი, რომ ამითაც შესაძლოა უფრო განარისხოთ!

მერე უფრო მშვიდად განაგრძო:

— თქვენ მოწოდებული ხართ დაიცვათ სახელმწიფოს საფუძვლები: კერძო საკუთრება, პატიოსანი შრომა და არა ხელი შეუწყოთ ამ საფუძვლის შერყევას გაუგებარი ბრძანებით. თქვენ უკვე ყველა წოდებით ამაღლებული ხართ, მაგრამ ხომ შეიძლება, რომ ყველაფერი თქვენი ხელის ერთმა მოსმამ დაგაკარგვინოთ. თუ გავარდნილ ბომბებს თქვენ გადურჩით, მაგრამ სხვა, უბრწყინვალესი პიროვნება კი გაფლითოს?!. ჩვენი ჟურნალი ერთადერთია, რომელიც იცავს ამ ძირითად იდეებს და მე ვფიქრობ, ღირსი ვარ მადლობის თქვენი მხრიდან და არა დასჯისა რაღაც-რაღაც ფორმალური პარაგრაფების ჩამოთვლით!..

სხდომა შეწყდა. სასამართლო განაჩენის გამოსატანად გავიდა და უმალვე დაბრუნდა. თავმჯდომარემ საშინელი მრისხანებით

ჩაიკითხა ბრალდების შესავალი ნაწილი და მერე უფრო გოროზად ძოსჭრა:

— სასამართლო გაჯარიმებთ ორასი მანეთით!..

რედაქტორს კლდე ჩამოეფშვნა გულიდან და ცამიწაძეს გაუღიმა: კარგა ხნის შემდეგ, როცა თვითმპყრობელური რეჟიმი უკვე დაეხობილი იყო, რედაქტორმა გაახსენა ტიტეს:

— ახლა არ ვიცი, ვისი ვალი მმართებს? ნიკოლოზის? არა! იგი აღარ არის. მისი შვილი — მეშკვიდრე ალექსის? არც ის არის. მენშევიკური მთავრობის? — ისინი კი გამომცინცლავდნენ ეკუთვნით — თუ არა! იქნებ ძომავალი ბოლშევიკური მთავრობის? მაგრამ თქვენმა რუსმა კოლეგებმა სულაც ხელი აიღეთ მეფის ვალებზედ და რაღა ჩემს ორას მანეთს გამოეკიდებიან. მგონი საფლავამდის გამყვეს მეფის ვალი, თუძცა კაცი არ დაიარება ქვეყანაზე, რომ ვისიმე რამე მემართოს.

თვითონაც კარგ გუნებაზე ძოსულმა, ცამიწაძის გუნების გამოსაკეთებლად, კიდევ ძესამე, თუ მეოთხე ატენური ყანწი მიაგება და თითონაც გადაკრულზე კაკლის ლებანი გაღეჭა:

— პატიოსნად უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკური პრესა ამ საკითხში არ შემოგვდავებია, როგორც მოველოდი, იქნებ იმიტომ არ ამოიღეთ ჩვენს წინააღმდეგ ხმა, რომ იფიქრეთ — „ყვავს კაკალი გააგდებინე, ესეც კარგიაო!“... თუმცა ყველა სოციალისტურმა პარტიამ უნდა იცოდეს, რომ ასეთი კაკლების გამოგლეჯით არა მარტო თავადაზნაურობის „გენეალოგიური ხეები“ ესპობა საქართველოს, არამედ ხეების ფესვებიც — გლეხობა, ცხრა მეათედი ქართველი ერისა! დაპირებული „აგრარული საკითხი“ კი მენშევიკებს დღემდეც არ გადაუწყვეტიათ. თავიანთი „მიწის მუნიციპალიზაციის“ ლოზუნგიც კი შესცვალეს.

ბოლოს აღიარა:

— ჩვენ სასურველად მიგვაჩნია მიწის მუნიციპალიზაცია, მაგრამ ცხოვრების კანონი უფრო ძლიერი აღმოჩნდა, ვიდრე ჩვენი განზრახვა. ამიტომ ავიღეთ ჩვენ ხელი მუნიციპალიზაციაზე და შევჩერდით ისეთ ფორმაზე, რომელიც არც ეკონომიურ განვითარებას შებორკავს და არც გლეხებისათვის იქნება მიუღებელი — ეს არის მიწის კერძო საკუთრება

ტიტე ცამიწაძემ თავი მრავალძნიძვნელოვნად გააქნია:

— აი, ესეც მენშევიკების „სოციალისტობა!“ არა სჯობდა თავიდანვე ლიბერალ-კადეტებს მიჰკედლებოდნენ ან თქვენ შემოგერთებოდნენ, ეროვნულ-დემოკრატებს!

— გვიხსნას ეშმაკისაგან! — დაიწყეველა პატიმარმა გაბაშვილმა.

სოჭის ციზნეები

იმ დღეს, 1918 წლის 15 ოქტომბერს, ნოე ჟორდანიამ კიდევ ერთხელ გადაიკითხა გერმანიის მისიისათვის გასაგზავნი ნოტის ტექსტი და მცირე ყოყმანის შემდეგ, ხელი მოაწერა.

ნოტა აღიარებდა საქართველოს მთავრობის ნეიტრალიტეტს, მაგრამ შეფარულად:

„მე არადროს არ მიმიჩნევია: საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობა სრულიად ნეიტრალური სახელმწიფოს მდგომარეობად, რადგან არსებული ფაქტები საწინააღმდეგოს გვიმტკიცებს. ამიტომ კმაყოფილებით გეთანხმებით, რომ თქვენც ამ მდგომარეობას შეზღუდულ ნეიტრალიტეტს უწოდებთ.

ამ ვითარებიდან გამომდინარე, რაც სავსებით გამოხატავს ჩვენი პოლიტიკური ცხოვრების ვითარებას, უნდა ვთქვა, რომ თუ ჩვენ შევუერთდებით იარაღით ხელში რომელიმე ერთ მეომარ მხარეს, აშკარაა აღარ შეიძლებოდა ლაპარაკი თუნდაც შეზღუდულ ნეიტრალიტეტზე. რა თქმა უნდა, ჩვენ არ მიგვაჩნია ეს შეზღუდული ნეიტრალიტეტი ისეთად, თითქოს არ ვიბრძოდეთ ჩვენი დამოუკიდებლობისათვის, არ ვიცავდეთ თავს ყოველი შესაძლებლობით: პირიქით, ჩვენი მტკიცე გადაწყვეტილებაა დავიცვათ ჩვენი დამოუკიდებლობა და ჩვენი თავისუფლება ყველანაირ თავდასხმებისაგან იმათთან კავშირში, ვინც ამ ბრძოლაში ჩვენთან იქნებიან“

ჟორდანიას ასეთი ტონი იმით იყო გამოწვეული, რომ გერმანელები მოითხოვდნენ საქართველოს მთავრობისაგან ნება დაერთო თეთრგვარდიელ როტმისტრ ბერგისათვის საქართველოშიც შეეკრიბა რუსი ოფიცრები და ჯარისკაცები მეფის ატამანის, თავად დუნდუტოვის არმიის შესაქმნელად.

ფონ კრესმა სხვა გამართლება მოუძებნა ბერგის თაოსნობას:

„ — საერთოდ, ჩემი აზრით, სასურველია რაც შეიძლება ბევრმა რუსმა ოფიცერმა დასტოვოს საქართველოს ტერიტორია“, — წერდა იგი.

„— ვჩქარობ გაცნობოთ რომ საქართველოს ტერიტორიაზე ბატონ ბერგის მიერ თავად დუნდუტოვის არმიის რაზმების შეგროვება მიმაჩნია პოლიტიკური თვალსაზრისით უხერხულობად“, — უპასუხა გერმანიის მისიას საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გვარჯალაძემ.

მაგრამ არც საქართველოს მეზობლად შექმნილი „მოხალისეთა არმიის“ მთავარსარდალი დენიკინი ასვენებდა მენშევიკურ მთავრობას, — ბოლშევიკების წინააღმდეგ დახმარების გაწევას მოითხოვდა.

სამოქალაქო ომის შედეგად სოჭის ოლქში თავმოყრილი ყველა ჯურის ანტიბოლშევიკური პარტიები კი, რომლებიც სოციალისტური დემოკრატიის დროშას კვლავაც აფრიალებდნენ, საქართველოს დახმარებას თხოვდნენ. 1918 წლის 18 სექტემბერს ქალაქ სოჭის სოციალისტური პარტიების საბჭომ საგანგებო რეზოლუცია მიიღო:

„მთელი რუსეთის სახელმწიფოს გაერთიანების დრო სრულიად სახალხო დამფუძნებელი კრების მოწვევის იდეით ჯერ არ დამდგარა. ქვეყნის დემოკრატია ჩაბმულია ბოლშევიზმთან სამოქალაქო ომში, ერთის მხრივ, და მონარქიული ტენდენციების ცალკეულ პირებთან თუ ჯგუფებთან, მეორე მხრივ.

ერთადერთი ნაწილი ყოფილი რუსეთის სახელმწიფოსი, სადაც არა მარტო მოპოვებულია ხალხის სისხლით რესპუბლიკური წყობილება, არამედ დამკვიდრებულია მისი ძირითადი კანონებით, — საქართველოს რესპუბლიკაა.

ისახავენ რა ამოცანად რუსეთის სხვადასხვა ნაწილის ერთ ძლიერ დემოკრატიულ რესპუბლიკად გაერთიანებას, ჭეშმარიტმა სოციალისტებმა ყოველმხრივ უნდა შეუწყონ ხელი დემოკრატიული წყობის დამკვიდრებას სახელმწიფოს ცალკე ნაწილებში.

და თუმცა სოჭის ოლქი ეკონომიკურად მიილტვის ყუბანის ოლქისაკენ, მაინც მისი შეერთება ყუბანთან გააფართოებდა სამხედრო დიქტატურის გავლენის სფეროს დემოკრატიისა და სახალხო ხელისუფლების იდეის საწინააღმდეგოდ, წაართმევდა სოჭის ოლქის მოსახლეობას ყველა დემოკრატიულ თავისუფლებას, დააყოვნებდა მიწის რეფორმის გატარებას და დემოკრატიული ერთობის შემოღებას.

ოლქის ცხოვრების განვითარება ფაქტიური თავისუფლების საფუძველზე: მიწის რეფორმის გატარება, დემოკრატიული ფორმის

თვითმმართველობის შემოღება, პროლეტარიატისა და გლეხობის სრული თავისუფლება და კლასობრივი ბრძოლა თავისი საბოლოო იდეალებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ოლქის შეერთებით საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასთან

ზემოაღნიშნულის საფუძველზე, სოჭის გაერთიანებული სოციალისტური პარტიების საბჭო (სოციალ-დემოკრატებისა, სოციალ-რევოლუციონერებისა) ერთხმად გამოსთქვამენ სურვილს, რომ: საქართველოს მთავრობამ განსაკუთრებული დეკრეტით დაუყოვნებლივ გააფორმოს სოჭის ოლქის დროებით შეერთება რესპუბლიკასთან".

მხოლოდ „დროებითო!" — ყურში ხმამაღლა ჩასძახოდნენ.

იმავე დღეს ასეთივე რეზოლუცია გამოიტანა სოციალ-რევოლუციონერების პარტიის სოჭის ორგანიზაციამ: „დროებით შეუერთდეს საქართველოს".

ორი დღის შემდეგ სოჭის მოქალაქეებმაც მოითხოვეს „დროებით შეერთება".

ასეთმა სიტუაციამ, ერთი მხრივ, წააქეზა მენშევიკური მთავრობა სოჭის იქითაც გაჭრილიყო, ხოლო მეორე მხრივ, დააშინა მონარქისტი გენერალი დენიკინი, რომელიც ანტანტის დახმარებით რუსეთის სამხრეთიდან აძლიერებდა შეტევას საბჭოთა ხელისუფლების დასამხობად.

სტავროპოლის ფრონტის სარდლობამ და ყუბანის თეთრგვარდიულმა მთავრობამ გადაწყვიტეს ქალაქ ეკატერინოდარში მოეხმოთ მენშევიკური მთავრობის წარმომადგენლები წამოჭრილი პრობლემების მოსაგვარებლად. მათ ისიც აჩქარებდათ, რომ ქართული ჯარის ნაწილებმა გენერალ მაზნიაშვილის სარდლობით სოჭიც დაიკავეს და ტუაფსეც გამოაცალეს ხელიდან დენიკინის მონარქისტელ სარდლობას.

გენერალ დენიკინის გუნებაში

როგორც შეთანხმდნენ, თათბირი შედგა ეკატერინოდარში.

რუსეთის მოხალისეთა თეთრი არმიის მხრიდან ესწრებოდნენ გენერლები — ალექსეევი, დენიკინი, რომანოვსკი, დრაგომიროვი, ლუკომსკი; სამოქალაქონი — შულგინი და სტეპანოვი; ყუბანის

საჭხარეო მთავრობის თავმჯდომარე ბიჩი და ვორობიოვი, საქართველოს დემოკრატიული მთავრობის წარმომადგენლები, საგარეო საქმეთა მინისტრი გეგეჭკორი და გენერალი მაზნიაშვილი.

გენერალმა ალექსეევმა დენიკინს მოკრძალებით გახედა, თითქოს თანხმობას ითხოვს სხდომის თავმჯდომარეობაზე, და მისი თავკახტური დასტურად მიიღო: წინასწარ იყვნენ მოლაპარაკებულნი. მართალია, ალექსეევს მეტი ღიარება ჰქონდა ყოფილი მეფის ნიკოლოზ მეორის თვალში, მისი სამხედრო მინისტრი იყო, თუმცა ვერაფრით ვერ გამოიჩინა თავი დასავლეთის ფრონტზე გერმანელების შემოტევის შესაჩერებლად. მაგრამ, თუ მაშინ გენერალი დენიკინიც დიდად არ გამოერჩეოდა, ახლა, ანტანტის თვალში მნიშვნელოვნად აიწია მისმა რეპუტაციამ, რაკი თეთრგვარდიულ „ეოხალისეთა არმიას“ სარდლობდა, ანტანტა რომ სწყალობდა და მასზე აგებდა საბჭოთა სახელმწიფოს წამოჩოქების იმედს. მთელი ის ბალეტიც, ვინც დენიკინს დაეხმარებოდნენ შინ თუ გარეთ, დენიკინის მფაოველობასაც მიიღებდნენ, ისეთებიც, როგორც თუნდაც ყუბანის საჭხარეო ბურჟუაზიული მთავრობა იყო და ამიტომ მისი წარმომადგენლების მოწვევა თათბირზე, მეფის მონარქიის წელში გაჭართვისათვის საერთო სოლიდარობის გამოვლინებას წარმოადგენდა.

მაგრამ თუ რატომ მოიწვიეს გეგეჭკორი და მაზნიაშვილი, ესეც ძნელად გასარკვევ პრობლემად არ მიაჩნდათ: საკითხი შეეხებოდა დემოკრატიული საქართველოს მიერ დენიკინისათვის დახმარების გაწევას.

სინამდვილეში ასეც იყო,—ეხმარებოდა, თუმცა გვერდზეც იხეღებოდა, რომ თვალში საცემი არა ყოფილიყო საბჭოთა მთავრობისათვის. ნეიტრალიტეტის ბაირაღს აფრიალებდა, ამით რაც შეეძლო ხელსაც უმართავდა, მაგრამ დენიკინს ეს არ აკმაყოფილებდა, — მას ვერ გაეგო და ვერ აეხსნა. — რატომ მოხდა, რომ გენერალმა მაზნიაშვილმა თავისი ჯარებით დენიკინის მოხალისეთა არმიის მიერ დაპყრობილი ტერიტორიებიდან სოჭი და ტუაფსე დაიჭირა და დენიკინის არმიას კარგა დიდი მიწაწყალი ჩამოათალა. ამის გასარკვევად შეიკრიბნენ გენერლები, მთავრობის წარმომადგენლები და ბრძოლა ახლა დიპლომატიურ ენაზე წარმართეს, თუმცა იგრძნობოდა, რომ ნაკლებ ცხარე არ იქნებოდა, ვინემ ხარბაზნების ერთმანეთზე მიშვერით.

გენერალმა ალექსეევმა წინასწარი საარტილერიო მომზადება თავაზიანი სიტყვით შენიღბა:

— „მოხალისეთა არმიისა“ და „ყუბანის მთავრობის“ სახელით მივესალმები ჩვენი მეგობრული საქართველოს წარმომადგენლებს ევგენი გეგეჭკორსა და გენერალ მაზნიევის სახით. იმედი მაქვს, მოლაპარაკება ჩვენი ურთიერთობის შესახებ სავსებით წარმატებით დამთავრდება, რაკი არ შეიძლება იყოს ჩვენს შორის ის, რაც დავას გამოიწვევს.

გენერლები და ყუბანელები ოდნავ აიბუზნენ, — არა სჯეროდათ თათბირის ისე ტკბილად დამთავრება, როგორც ალექსეევი წინასწარმეტყველებდა.

გენერალმა ალექსეევმა პირდაპირ მოჭრა:

— მე მივიღე ერთი ქართველი გენერლის დეპეშა, რომელმაც თავისი ძალაუფლება დაამყარა ტუაფსეში და გაკვირვება გამოთქვა, რომ ჩვენ ის იქიდან გავდევნეთ. ჩივის — ასე რატომ მოვექეცით?! ახლა კი სოჭისა და ადლერისაკენ მიმართა მან თავის ძალები, ყველგან დააყენა საქართველოს ხელისუფალნი. მაგრამ განა შესაძლოა ამ ოლქებს საქართველოს ტერიტორია ერქვას, როცა მათსა და საქართველოს შუა მთელი აფხაზეთის ოლქი დევს? ეს წმინდა რუსული ოლქებია და შედიან კიდეც რუსეთის ტერიტორიაში. რა არის მდინარე კოდესკა? რატომ მოიცვა 25 ვერსი ხელმა მბრძანებლურმა, მაგრამ უკანონომ?! იმიტომ, რომ ჩემმა ხელმა ასე ინებაო! არა, ბატონებო, ასე არ შეიძლება. ის საზღვარი, რომელიც დადგინდა 1905 წელს, უნდა დარჩეს. მხოლოდ ასეთ აუცილებელ პირობებში შეგვიძლია ვილაპარაკოთ თქვენთან.

თეთრმა გენერლებმა მხრები გაშალეს, ყუბანის ბურჟუაზიული მთავრობის წარმომადგენლებმა ყელი მედიდურად მოიღერეს. მთავრობის თავმჯდომარე ბიჩმა ხმას აუმაღლა:

— რაც შეეხება საზღვრებს, აქ სადავო არც უნდა იყოს. 1905 წლამდე შავიზღვისპირეთის გუბერნია ყუბანის ნაწილი იყო და ჩვენ არა გვაქვს არავითარი საფუძველი სხვაგვარად განვიხილოთ ეს საკითხი. მე მიმაჩნია, რომ მთელი შავიზღვისპირეთის გუბერნია 1905 წლის გადასინჯვით ყუბანის შემადგენლობაში უნდა შევიდეს.

გენერალი ალექსეევი სავსებით კმაყოფილი დარჩა ბიჩის მოთხოვნით და კიდევ უფრო მოკლედ მოჭრა:

— პირველ საკითხს, ჩანს მოვრჩით. ჩვენ, „მოხალისეთა არმიამ“ და ყუბანის მთავრობამ ჩვენი აზრი გამოვთქვით. ახლა მეორე საკითხს შევეხოთ.

გენერალმა ფრთხილად ჩაურთო:

— როგორც საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელმა, არ შემიძლია, პატივცემულო გენერალო, უპასუხოდ დავტოვო თქვენი სიტყვა. ჩემს მოვალეობად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ მე და ჩემი ამხანაგებისთვის ძალზე მძიმე იყო თქვენი ბრალდებების მოსმენა. მე ამით ვამთავრებ ჯერჯერობით სიტყვას. დანარჩენს იტყვის გენერალი მაზნიევი.

თეთრგვარდიელი გენერლები მენშევიკური მთავრობის გენერალს უფრო კოლეგიალურად შეხვდნენ, — რაც არ უნდა იყოს მეფის გენერლები იყვნენ.

მაზნიაშვილიც პირდაპირზე გავიდა:

— შვიდ ივნისამდე მე თურქეთის ფრონტზე ვიდექი. ამავე რიცხვიდან, როცა ბოლშევიკები კოდორს უკან გამოჩნდნენ და ჩვენი სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა იქიდან მათ განდევნას, მე, ჩემი მთავრობის ბრძანებით, გადავისროლე ჯარები, დავიძარი შავი ზღვის სანაპიროთი, რომელიც გავწმინდე ბოლშევიკებისაგან და 14 ივლისს ავიღე ტუაფსე.

— ესე იგი, თქვენ მიიტაცეთ ჩვენი ქალაქი! — შეახსენა დენიკინმა.

— უნდა ვთქვა, რომ მთელ ამ მანძილზე, ჩემი ჯარების გარდა, სხვა არ იყო, ბოლშევიკებს რომ შებრძოლებოდნენ! ამ დროს „მოხალისეთა არმიის“ არსებობაზე არც არაფერი ისმოდა, ბოლშევიკებისაგან თავის საშველად გაქცეულმა კაზაკებმაც კი ოჯახებით ქლუხორის უღელტეხილით თავი ჩვენ შეგვაფარეს, მათზე ზრუნვა, ჩემი მთავრობის მიერ, ჩემს თავზე ავიღე.

— ბევრი აგიღიათ თავის თავზე, გენერალო! ჩვენ აღარ გვეკითხებოდით?!

— მხოლოდ ტუაფსეში შევიტყვე „მოხალისეთა არმიაზე“ და რამდენიმე დღის შემდეგ მის მიერ ეკატერინოდარის აღების შესახებ.

იმავე დროს მივიღე ყუბანის რადას წარმომადგენელის თხოვნის წერილი დავხმარებოდი მათ, არ მიმეტოვებინა ისინი! ამ მიზნით გავემართე ბელორეჩენსკოესკენ და ყუბანის მთავრობის წარმომადგენლების თხოვნით, დავიკავე ხოდიჟენსკოე.

აი სწორედ პირველად აქ გამოცხადდა მზვერავი ოფიცერი „მოხალისეთა არმიიდან“. ამავე დროს სოხუმიდან ჩამოვიდა 87 ოფიცერი პოლკოვნიკ მოროზოვის მეთაურობით, რომელიც დავნიშნე საბრძოლო უბნის გარნიზონის უფროსად.

ერთდროულად სტანიცა დაგესტანისკოედან გენერალ გეიმანის თხოვნა მივიღე იარაღი მიმეცა მისთვის, რაც შევასრულე კიდეც — გავეცი 600 თოფი, 2 ტყვიამფრქვევი და ვაზნები. ამ ფრონტიდან მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ გავიყვანე ჩემი ჯარები იმ მიზეზით, რომ ძალზე გადაღლილნი იყვნენ, ამდენი ხნის მანძილზე განუწყვეტელ ბრძოლას ეწეოდნენ.

მერე დენიკინის სასაყვედუროცა თქვა:

— იმის გამო, რომ მე მომიხდა ჩემი მარაგიდან მეჭმია კაზაკებისა და მათი ოჯახებისათვის, რომლებმაც სოხუმში მოიყარეს თავი, მიიღო რა ეს მხედველობაში ყუბანის მთავრობამ, გადამიხადა, როგორც ვალი, 5 000 ფუთი ფქვილი და ქერი, მაგრამ სამხედრო გუბერნატორმა დააკავა ეს ტვირთი და არ უშვებს.

დენიკინმა თავის გამართლება სცადა:

— ეს საკითხი აღიძრა მხოლოდ გუშინ და უკვე გაცემულია გაშვების განკარგულება.

— არა, ეს საკითხი აღიძრა დიდი ხნის წინათ, — მიეშველა ბიჩი.

— ჩვენ ბრძანება გავეცით შეეჩერებინათ, სანამ გამოირკვეოდა საქართველოს ჯარის დიდი ნაწილის მიზანი, რომელიც სოჭში გადმოსხდა — მოიშველია ახალი არგუმენტი დენიკინმა.

— რამდენადაც ჩემთვის ცნობილია, ამ ტვირთის გადაზიდვის აკრძალვის ბრძანება ბევრად ადრე გაიცა, ვიდრე ქართული ჯარის ნაწილი სოჭში გადასხდებოდა, — მოაგონა გეგეჭკორმა, და დენიკინი შესამჩნევად გააწითლა. მაგრამ ახლა ვორობიოვი შეეცადა გენერალს წაშველებოდა და გეგეჭკორის სიტყვა ბანზე აეგდო, — სხვა საკითხზე გადავიდა:

— ცნობილია თუ არა თქვენთვის, რომ თქვენმა მოკავშირე გერმანელებმა ფოთიდან გაზიდეს და კონსტანცაში გაგზავნეს 60 ვაგონი ხორბალი და 60 ვაგონი საბურავი?

— საბურავების შესახებ ცნობები არ მაქვს, მაგრამ ხორბალი გერმანელებს შეუძლიათ შეისყიდონ სრული ფასით და გაგზავნონ, — მიუგო გეგეჭკორმა.

— მართალია თუ არა საგანგაშო ცნობა, რომ მენშევიკურ მთავრობას წინადადება მიეცეს გადავიდეს ქუთაისში? — შეძოუარა სხვა კითხვით შულგინმა.

— ეს სიმართლე არ არის! — იწყინა გეგეჭკორმა.

მაგრამ ახლა შულგინიც აღელდა:

— აქ, ეკატერინოდარში, ბევრნი ჩამოდიან, რომლებიც ამბობენ, რომ საქართველოში დევნიან ყოველივე რუსულს, ოფიცრებს, მოხელეებს, ენას, სკოლასა და ასე შემდეგ. ჩვენ ვხედავთ: ამ მომენტში ჩრდილოეთიდან ბოლშევიკები გვაწვებიან, დასავლეთიდან გერმანელები, აღმოსავლეთიდან ბაქოს მიმტაცებელი თურქები და გერმანელები, სამხრეთიდან კი საქართველო იწყებს დაწოლას. პირდაპირ გვითხარით, რომ თქვენც მონაწილეობთ ჩვენი „მოხალისეთა არმიის“ ალყის შემორტყმის კომბინაციაში!..

მერე დარწმუნებული იერით ხელები გაასავსავა და დამტკიცებულივით დაამატა:

— თუ თქვენც მონაწილეობთ, მაშინ გასაგები ხდება, რომ რუსებსაც ცერემონიას არ დაუწყებთ, — ამისი გამოცდილება უკრაინაში მივიღეთ. ამიტომ პირდაპირ გისვამთ კითხვას და ვფიქრობ ეს გააადვილებს შემდგომ ლაპარაკს.

გეგეჭკორმა წამითაც არ დაუყოვნა:

— მეც პირდაპირ გპასუხობთ ამ შეკითხვაზე: ჩვენ ამაში არავითარ მონაწილეობას არ ვიღებთ. მაზნიაშვილის მოხსენებიდან დაინახეთ, რომ ჩვენი ამოცანა შავი ზღვის სანაპიროზე და შემდგომ წინ წაწევაზე — ეს არის ბოლშევიკებთან ბრძოლა. მუდმივი ინფორმაციის უქონლობას და ერთმანეთის ამბების არცოდნას შეუძლია წარმოშვას უამრავი ყოველგვარი ეჭვი. ჩვენ ხომ ბოლშევიკებიც გვამტყუნებენ იმაში, რომ თქვენთან კავშირში ვართ.

მე კი ვთვლი, რომ დღევანდელ მომენტში ჩვენი თანამშრომლობა წმინდად შემთხვევითია. სხვადასხვა სუბიექტური მიზეზებით ჩვენ, თქვენთან ერთად, ერთ წერტილში ვურტყავთ, რომელიც ამ მომენტში წარმოადგენს მტრულ ძალას თქვენთვისაც და ჩვენთვისაც.

გენერალ ლუკომსკიმ განაცხადა, რომ ზოგი რამ მენშევიკური მთავრობის სახელით გეგეჭკორის ბაგეთაგან თქმული ძალზე დამაეჭვებელია.

— რას ნიშნავს გეგეჭკორის ფრაზა, იმის მესაზეა, რომ „სახამ

ჩვენ ეროად ვურტყავდით ერთ წერტილში", აგრეთვე ის, რომ ბოლშევიკებიც ბრალსა სდებენ ქართველებს მოხალისეთა არმიასთან კავშირში. სასურველია აგრეთვე ვიცოდეთ როგორია საქართველოს დამოკიდებულება რუსეთის სახელმწიფო ქონებისადმი, რომელიც იქ არის. აი, ამიტომ, საჭიროდ მიმაჩნია, ჯერ კიდევ ცალკეული საკითხების გაცნობამდე ეთხოვოს საქართველოს წარმომადგენელს უპასუხოს მიცემულ კითხვებს.

გენერალიტეტი და ყუბანის თეთრგვარდიული მთავრობა დაძაბული ელოდებოდნენ რას იტყოდა რომელიმე მათგანი. სიტყვა ისევ გეგეჭკორმა აიღო:

— „მოხალისეთა არმიას", რომელიც თავის მიზნად ისახავს აღადგინოს რუსეთი, ფართო და დიდი პერსპექტივები გააჩნია!

დენიკინი შეიშმუშნა მოსმენილზე:

— გაუგებრობას იწვევს ჯუღელისა და კონიაშვილის ქართული რაზმების გადმოსხმა სოჭში!

ბიჩმაც რბილად გაუფინა:

— შავი ზღვის გუბერნიის შეყვანამ ყუბანის შემადგენლობაში საქართველოს პროტესტი არ უნდა გამოიწვიოს. ჩვენ უფლება გვაქვს ვთქვათ, რომ საქართველომ ხელი უნდა აიღოს ამ ტერიტორიაზე. და თუ ეს წანამძღვრები, ეს მთავარი საკითხები გადაწყდება და მიღებული იქნება, ჩვენ უკვე შეგვეძლება შევუდგეთ ცალკეული საკითხების დამუშავებას.

გენერალი ლუკომსკი უფრო გულახდილად ახირდა:

— საზღვრის საკითხი გამოურკვეველად მიმაჩნია. საქართველოს წარმომადგენლის სიტყვებიდან გავიგე, რომ მათ მიერ სოჭი დროებით არის დაკავებული და დაგვიბრუნებენ მხოლოდ საქართველოს სხვა ორგანიზმთან ერთად. ვფიქრობ, რომ ეს საკითხი ყოველმხრივ უნდა გაშუქდეს, რათა ამაში უთქმელი აღარაფერი დარჩეს.

დენიკინიც აიფოფრა:

— ერთი საკითხი რჩება ჩემთვის გაურკვეველი საქართველოს წარმომადგენლის ფრაზის შემდეგ იმის შესახებ, რომ თურმე ბოლშევიკებიც დღემდე ბრალსა სდებენ „მოხალისეთა არმიასთან" კავშირში. ამიტომ ვთხოვ საქართველოს წარმომადგენელს. გაშიფროს ეს ფრაზა და ბოლშევიკების შესახებ მტკიცე და გარკვეული განცხადება გააკეთოს.

გეგეჭკორმა არც დააყოვნა:

— ბოლშევიკებთან დამოკიდებულების შესახებ შემიძლია განვაცხადო, რომ ჩვენს ფარგლებში ბრძოლა ბოლშევიზმთან დაუნდობელია. ჩვენ ხელთ არსებული ყველა საშუალებით ვთრგუნავთ ბოლშევიზმს, როგორც ანტისახელმწიფოებრივ მოძრაობას, ჩვენი სახელმწიფოს მთლიანობას რომ ემუქრება, და მე ვფიქრობ, რომ ამ შემთხვევაში ჩვენ უკვე მოგეცით რიგი დასაბუთებისა, რომლებიც თავისთავად მეტყველებენ.

რაც შეეხება საზღვრების საკითხს, მე ვთვლი, რომ ახლა საჭირო არ არის ვიდავოთ! „მოხალისეთა არმია" ხომ ამ მომენტში მხოლოდ ჩრდილოეთისაკენ უნდა ისწრაფოდეს?! მას ახლა იმდენი საქმე და სამუშაო გააჩნია, რომ ამ რაიონში ჩვენი დროებითი ყოფნა ბოლშევიკებისაგან თავის დასაცავად, დავას არ უნდა წარმოშობდეს! მე ვფიქრობ, რომ შეგვიძლია შევჩერდეთ ჩვენს ფორმულაზე — სოჭის ოლქი დროებით რჩება საქართველოს, ვიმეორებ, დროებით-მეთქი! ბოლშევიკების დამარცხებამდე.

— ეს ფორმულა გაურკვეველი და ბუნდოვანია! — თავი გააქნია გენერალმა ალექსეევმა.

— ახლა ყველაფერი ბუნდოვანი და გაურკვეველია, — თავი დაუკანტურა გეგეჭკორმა.

ყუბანელმა ხელისუფალმა ვორობიოვმა კი თავისეული გარკვეულობის შეტანა სცადა და შორიდანაც მოზომილად:

— ჩემი აზრით, ამ საკითხის განხილვისას შეცდომას ვუშვებთ, რომელიც შემდგომში გაუგებრობას გამოიწვევს. ლაპარაკია მხოლოდ სოჭის ოლქზე და სრულიად არაფერს ვამბობთ გაგრისაზე! რას უპირებთ მას?

ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ქართველები გაგრას ულაპარაკოდაც თავისად სთვლიან! თუმცა ეს სრულიადაც ასე არ უნდა იყოს. მთელი ეს რაიონი აშენებული იყო პრინც ოლდენბურგსკის ძალ-ღონით. მარტო ერთ გაგრაზე დახარჯულია ათ მილიონამდე მანეთი ძველი ვალიუტით. მართალია, ბოლო ხანებში აღინიშნება საქართველოს მთავრობის სურვილი გააქართულოს ქალაქები, ნიშნავენ იქ კომისრებს და სხვებს, მაგრამ ეს სრულიადაც საკმარისი არ არის იმისათვის, რომ ეს ოლქები ქართველებისად ჩაითვალოს.

— საზღვრების შესახებ მე მხოლოდ ერთს ვიტყვი, 1905 წლის

საზღვარი მოიცავს შავი ზღვის გუბერნიასა და გაგრას, — დაუკრა კვერი სტეპანოვმაც.

მერე გეგეჭკორს მიუბრუნდა და თავაზიანად შეახსენა:

— რას ნიშნავს ცნება „დროებით დაკავება?" რა დრომდე, მანამდე ხომ არა, სანამ „მოხალისეთა არმია" რეალურად უზრუნველყოფს ქართველი მოსახლეობის უშიშროებას, თუ დამფუძნებელ კრებამდე? მაგრამ მაშინ ხომ აღარავითარი აზრი არა აქვს დღევანდელ თათბირს?!.

დენიკინმა იგრძნო, რომ მოლაპარაკება ჩიხში ემწყვდეოდა და დაყვავება სცადა:

— საკითხის გადაჭრა ადვილად შეიძლება. თუ საქართველოს ეშინია ბოლშევიკების და ამით აიხსნება ქართველი რაზმების სოჭაში ყოფნა, მაშინ ჩვენ უბრალოდ დავიკავებთ მას ჩვენი ჯარებით და დავიცავთ. მაგრამ თუ თავს ვერ გავართმევთ, მაშინ იქნებ ვთხოვოთ დახმარებისათვის იმავე საქართველოს.

დენიკინის ფორმულას ვერ ჩაუწვდა ვორობიოვი და კვლავ თავისაზე დადგა:

— მე ვთვლი, რომ სოჭის ოლქზე ბევრი ლაპარაკი არ გვჭირდება, რადგან იგი დიდი ხანია ცნობილი, როგორც რუსული. უწინ მის ფარგლებში იყვნენ ჩერქეზები, შემდგომ მათი ნაწილი გავასახლეთ — ნაწილი კი თავისით წავიდა. ისტორიაში ეს რაიონები ცნობილია ვენეციისა და გენუის ფაქტორიებად. XV საუკუნეში აქ იყვნენ თურქები. ჩერქეზებმა მიიღეს მათი ქვეშევრდომობა, მაგრამ მათზე პირდაპირ დამოკიდებულები არ იყვნენ. იმ დროს იქ არ ჰაჰანებდნენ არც რუსები, არც ქართველები. შემდეგ იმ ადგილებზე ჩასახლება დაიწყეს რუსებმა. მდინარე ფსოუმდე ქართული სოფლები არ არის. არის მხოლოდ გვიან ჩამოსული მცირე რაოდენობა. სოჭთან ახლოს არის აგრეთვე რამდენიმე ქართველი კომლი. დანარჩენი ქართველი მოსახლეობა, რომლებიც იქ გვხვდება, არიან — მედუქნეები, ბაყლები, მოიჯარადრეები და მონარდეები, მაგრამ იმდენად მცირე რაოდენობით, რომ სოჭის ოლქზე ლაპარაკი დიდხანს არ დაგვჭირდება.

ამ დროისათვის კომისრად დაინიშნა ქართველი ბოგვერიშვილი, ჩადიოდა იქ კომისარი მგელაძეც. მათ გამოაცხადეს ოლქის შეერთება ამიერკავკასიასთან. აი, იმ დროიდან ამ ოლქს შავი ზღვის გუბერნიიდან მოწყვეტილად თვლიან. მე კი მგონია, რომ ამისათვის არავი-

თარი საფუძველი არ არსებობს, არც ეთნოგრაფიული, არც ისტორიული.

ყუბანის თეთრგვარდიული მთავრობის წარმომადგენელმა ვორობიოვმა თავისი სტატისტიკური გამოთვლების საფუძველზე, საკუთარ აზრთან ერთად, თეთრგვარდიული გენერალიტეტის დამოკიდებულებაც გამოთქვა სოჭის გარდა გაგრის მისაწერადაც და კმაყოფილი დარჩა, რომ მან ერთმა, სამოქალაქო პირმა, უფრო მეტი პრეტენზიები განუცხადა მენშევიკურ საქართველოს მთავრობას, ვიდრე „მოხალისეთა არმიის“ სამხედრო ხელმძღვანელობამ ერთად აღებულმა.

დენიკინმა ალექსეევს გახედა და ორივე ზეზე წამომდგარ გეგეჭკორს მიაშტერდნენ: „რაღა უნდა თქვას?“

— მე მიმაჩნია, რომ, — დაიწყო ასევე სამოქალაქო პირმა გეგეჭკორმა, — ბატონ ვორობიოვის მიერ დღეს აქ ნათქვამი არის უფრო გაფართოებული გუშინდელი გამოსვლის განმეორება. აქ ყველა დამოკიდებულება დროებით დგინდება, ვინაიდან თვით „მოხალისეთა არმიის“ ორგანიზაციაც დროებითი ორგანიზაცია არის! სოჭის ოლქიც ჩვენს მიერ დროებით არის დაკავებული. „მოხალისეთა არმიამაც“ ხომ. როგორც თქვენ გუშინ განაცხადეთ ამის შესახებ, ომის ძალით დაიკავა სტავროპოლის გუბერნია და ყუბანიც! „მოხალისეთა არმია“ ჯერჯერობით წარმოადგენს კერძო ორგანიზაციას და არა საერთო სახელმწიფოებრივ ორგანიზაციას!..

თათბირის მონაწილენი შეიშმუშნენ, შეირხნენ, ერთმანეთს გაკვირვებით შეხედეს, მოსმენილის გასაქარწყლებლად სარეპლიკოდ განეწყვნენ, მაგრამ ყველას გენერალმა ალექსეევმა დაასწრო:

— მაგრამ იქნებ ეს კერძოც საერთო-სახელმწიფოებრივ ორგანიზაციადაც იქცეს?!

— აი, როცა ის ასეთად იქცევა, მაშინ ჩვენც დავიწყებთ მასთან ლაპარაკს მრავალ საკითხზე, რომელთა განხილვა, ჩემი აზრით, არ არის ამ კრების კომპეტენცია! ამის გამო გთხოვთ თქვენ, ბატონო თავმჯდომარე, დაგვაბრუნოთ ჩვენი კრების თემასთან! — მოუჭრა გეგეჭკორმა.

ყველა დადუმდა. გენერალ ალექსეევს, როგორც თავმჯდომარეს აღარ შეეძლო წინააღმდეგობის გაწევა. გაგრის საკითხის მოხსნა კი სოჭის ოლქის ქართველების მიერ დაცლის პრობლემასაც ართულებ-

და და ერთ წამს დუმილს მისცა თავი. შეულგიხმა ეს იგრძნო და თავ-
მჯდომარის შესაშველებლად გეგეჭკორს მიმართა:

— გუშინ ჩვენმა თავმჯდომარემ განგიცხადათ იმის შესახებ, რომ ჩვენ პატივისცემით ვეპყრობით საქართველოს დამოუკიდებლობას და ამიტომ გთხოვდით ასეთსავე დამოკიდებულებას ჩვენდამი. მაგრამ საკითხი იმის შესახებ, „მოხალისეთა არმია" არის თუ არა კერძო ორგანიზაცია, — ძალიან გთხოვდით ეს ჩვენ, რუსებს მოგვანდოთ!.. როცა საქმე ეხება იმ ოლქებს, რომლებიც ესაზღვრებიან ჩვენი ნაწილების განლაგებას, აქ უკვე ცალმხრივი მსჯელობა არ შეიძლება. აქაოდა, ჩვენ ვერ ჩამოვყალიბდით ერთიანად და ამიტომ გაჩუქდითო!.. მაგრამ ის ნაჭერი, რომელიც უკვე ჩამოყალიბდა, მას თავისი ხელმძღვანელების სახით გააჩნია თავისი კომპეტენტური აზრიც და გადაწყვეტილებაც. ამის გამო მე ვთვლი, რომ შეგვიძლია ვიყოთ სავსებით კომპეტენტური ჩვენს გადაწყვეტილებებშიც აფხაზეთის საკითხის შესახებ.

— არა, ზუსტი საზღვრები დაფიქსირებული არ ყოფილა! — მიუგო გეგეჭკორმა, მაგრამ ხომ ახსოვდა, რომ საქართველოს საზღვარი ყარსის ოლქამდე მიდიოდა.

დენიკინმა თათბირის დასრულების დაჩქარება მოინდომა და ჩაერთო:

— მე ვეთანხმები საქართველოს წარმომადგენელს, რომ თეორიული ლაპარაკი არაფერს არ მოგვცემს. უნდა გარკვეულად გადაწყდეს საზღვრების საკითხი.

— მე ვუერთდები გენერალ დენიკინის აზრს. გეგეჭკორის სიტყვიდან ჩანს, თითქოს აქ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ საზღვრების შესახებ, რაკი გვთვლიან კერძო ორგანიზაციის წარმომადგენლებად. ასეთ შემთხვევაში უნდა შევწყვიტოთ თათბირი, — დაასკვნა სტეპანოვმა.

— დიახ, ეს საკითხი ახლავე უნდა გადაწყდეს. როგორ შეიძლება „მოხალისეთა არმიას" კერძო საზოგადოება ეწოდოს, — გაასავსავა ხელები გენერალმა ალექსეევმა.

გეგეჭკორი გაჩუყა:

— თქვენ შეგიძლიათ როგორც გენებოთ, შეაფასოთ ის, რაც მე ვთქვი. რაც შეეხება დროებითი საზღვრების დაწესებას, ვთვლი, რომ ჩვენ ამისათვის შევგროვდით აქ, და ეს საკითხი სავსებით შესაძლებელია განხილულ იქნას!

ალექსეევმა მხრები აიჩეჩა:

— „დროებითი“ — ეს ძალზე ბუნდოვანია. ჩვენ ვერაფრით ვერ დავეთანხმებით ამას. რასაკვირველია, თუ თქვენ ხელშეკრულება გაქვთ აფხაზეთთან, ეს თქვენი კერძო საქმეა. მაგრამ სოჭისა და გაგოის ოლქებში ხელშეკრულებები რომ არა გაქვთ და მხოლოდ იმით სარგებლობთ, რომ იქ აღარავინ არის დაიცვას რუსეთის ღირსება. რა საწყისებზე გაერთიანდება რუსეთი, — ეს ღმერთმა უწყის? სანამ ხალხი აქამდის მივა, ბევრში მოგვიხდება გადარწმუნება, მაგრამ ამაზე დაყრდნობით რომ არ მივიღოთ არავითარი ზომები, ჩვენ არ შეგვიძლია, რადგან უბრალოდ არ შეიძლება შუალედური დროიდან თავის დაღწევა, ახლა რომ განვიცდით. არ შეიძლება რუსეთის მიწის იგნორირება, რასაც წარმოადგენს ამჟამად სოჭისა და გაგრის ოლქები.

— საქართველოს წარმომადგენელი საეჭვოდ მიიჩნევს ჩემს ცნობებს. მე კი ვადასტურებ, რომ ჩვენთვის ცნობილია ხოსტის მოსახლეობა და აქ გეგეჭკორის აზრი ბცდარია. პლასტუნსკოეში, მართლაც არის რამდენიმე ქართველი, მაგრამ ეს ერთადერთი ადგილია. თუნდაც რომ მივიღოთ გეგეჭკორის მიერ წარმოდგენილი გაანგარიშების პროცენტი, მაშინაც კი რუსები უმეტესობაა, ხოლო თუ მივიღებთ მხედველობაში რამდენი რუსული ფული დაიხარჯა იქ, ნათელი გახდება, რომ ყველა მონაცემი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენია, მეფის რუსეთისაა.

გენერალი ალექსეევი აიფოფრა:

— უკვე მივადექით იმ მიჯნას, რომლის შემდეგ შეიძლება მოლაპარაკების წარმოება მხოლოდ მაშინ, როცა გაირკვევა, სურთ თუ არა საქართველოს წარმომადგენლებს ეს ოლქები აღიარონ რუსეთისად?

გენერალმა ალექსეევმაც საკუთარი თვალით დაინახა მიუღწევლობის ის მიჯნა, რომლის შემდეგ მოლაპარაკება უნდა ჩაშლილიყო, და დაძაბულობის გასაფანტავად დამყვავებლური კილოთი განაცხადა:

— ათწუთიან შესვენებას ვაცხადებ, რათა მოგეცეთ შესაძლებლობა კიდევ ერთხელ მოილაპარაკოთ სხდომის დახურვამდე!

გენერლები ცალკე კუთხეში მიდგნენ, ყუბანელი მთავრობის წარმომადგენლები მათ არ სცილდებოდნენ. გეგეჭკორმა და მაჯნიაშვილმა კი თავიანთ ადიუტანტების მიწოდებულ რაღაც ქაღალდს

დახედეს, თითო პაპიროსიც მოსწიეს და 12 საათზე პაექრობა ისევ გააგრძელეს.

გენერალმა ალექსეევმა დაუფარავი კატეგორიულობით თქვა:

— შესვენება უკანასკნელი ცდაა მივაღწიოთ ორმხრივ თანხმობას. ვთხოვ საქართველოს წარმომადგენელს თქვას, შეიცვალა თუ არა მისი გადაწყვეტილება?

დარბაზში სიჩუმე ჩამოვარდა. გეგეჭკორი ფიქრობდა. გენერალი მაზნიაშვილი ყურადღებით აკვირდებოდა კრების თავმჯდომარე ალექსეევის დაძაბულ სახეს, რომელიც აშკარად ნერვიულობდა; ერთი მხრივ, მისთვის მეტად საჭირო დიპლომატიური ბრძოლის მოგების იმედი აოკებდა, მეორე მხრივ, საქართველოსთან სამხედრო კონფლიქტი თავის საჩრდილოეთო ექსპედიციის წარმატებით გაგრძელებას ხელს შეუშლიდა და ეს უკვე ფრონტის გართულებას ნიშნავდა. აკი თქვა კიდეც. — ჩრდილოეთით წითელი რუსეთი გვიტევს, აღმოსავლეთით აზერბაიჯან-თურქეთი, სამხრეთით კი საქართველო და გერმანია ზურგში გვემუქრებიანო.

მერე გეგეჭკორიც წამოდგა:

— მდგომარეობის სერიოზულობის გამო, კიდევ ერთხელ ვიმეორებ; ბოლშევიკებთან ბრძოლის იმ ამოცანის თვალსაზრისით, რომელიც „მოხალისეთა არმიის“ წინაშე დგას, სოჭის დროებით დაკავების საკითხი იმდენად მცირემნიშვნელოვანია, რომ „მოხალისეთა არმიის“ წარმომადგენლებს არ უნდა სჭირდებოდეთ საკითხის ასე მწვავედ დასმა! ვთქვი და ვიმეორებ, ჩვენი ერთობლივი მიზანია ბოლშევიკური რუსეთის დამარცხება. როცა ამას მივაღწევთ, მერე ვილაპარაკოთ სოჭსა და გაგრის ოლქზეც.

გენერალი ალექსეევი აიმრიზა, მერე წამოდგა და განაცხადა:

— თათბირს დახურულად ვაცხადებ!..

ჯანუის ღალატი

დემოკრატიული მთავრობის საქმე სულ უკუღმართად წავიდა, ხალხი გამწარდა, ჯარიც კი დაიმშა. გაბეზრებულმა ხუხუნეიშვილმა ჟორდანიას შველა სთხოვა:

— ჯარისკაცი აუტანელ მდგომარეობაშია, არა გვაქვს საკმარისი საჭმელი, ტანსაცმელი. სამხედრო ნაწილი მოკლებულია საშუალებას

დროზე მიიღოს ფული. იქნებ ჯარისკაცია გამონაკლისი? არა! ყველა ერთ დღეში ვართ! ჩვენზე არავინ ზრუნავს, გვიჭირს. დამსმარე არავინაა. ზოგჯერ მოწყალებასავით გადმოგვიგდებენ ხოლმე საჭმელსა და ტანსაცმელს, ხან კი არც ესაა. ჯარისკაცებს ხშირად თვითონ მოგვაქვს საჭმელი სახლიდან, მაგრამ ამ დაწყევლილ წელიწადს სახლშიც არაფერი დაგვრჩენია.

გენერალმა გედევანიშვილმაც საიდუმლო დეპეშა გაუგზავნა სამხედრო მინისტრ გიორგაძეს:

„ჯარისკაცებს არა აქვთ ტანსაცმელი, ფეხსაცმელი, ფეხშიშველა დგანან ყარაულში. ამის გამო განსაკუთრებული წარმატება აქვს ბოლშევიკურ იდეებს“.

არმია შიმშილობს, სცივა! ამქვეყნისას არას ეკითხებიან. სამხედრო მინისტრი გიორგაძე კი თავს იმართლებს, საბუთებიც მოჰყავს:

— ჩვენ იმიტომ ჩამოვართვით არმიას საარჩევნო უფლება, რომ თავისი მოვალეობა შეასრულოს. გამოცდილებამ დაგვარწმუნა, — არმია არ უნდა ერეოდეს პოლიტიკაში, რადგან ყაზარმებში პოლიტიკამ მახინჯი სახე მიიღო, არმიის დისციპლინა დაეცა.

სამაგიეროდ „ეროვნულ გვარდიას“ ფეხქვეშ ეგებიან. მთავრობა არაფერს არ აკლებს; აცმევს, აჭმევს. გვარდიაში იმათ იღებს, ვინც ეზნაურია, ვაჭარი, სულით ყაჩაღი და ავაზაკი, დაუნდობელი და სახელმწიფოს დოვლათის დაუზოგავი.

ჯარსა და გვარდიას შორის განსხვავებას ხალხი ხედავს. მათ შორის შური იზრდება, ღრმავდება. ეს კი უფრო მეტად აღვივებს და აახლოებს ხალხის აჯანყებას. გლეხობამ თოფი ჩახმახზე შეაყენა.

საბჭოთა ელჩი საქართველოში კიროვი ლენინს ატყობინებს:

— პარტია არალეგალურად მუშაობს. ბევრი ამხანაგი საპყრობილეში ჩაყარეს. მაგრამ პარტიის რიგებში ოთხი ათასამდე მუშა და გლეხია გაერთიანებული. ხალხის მასებშიც სწრაფად იზრდება თანაგრძნობა საბჭოთა ხელისუფლებისადმი.

დღითი დღე მწიფდება შეიარაღებულთა გამოსვლა. აჯანყების დღედ 24 ოქტომბრის დილა დაინიშნა. მაგრამ მოულოდნელმა ღალატმა ჩაფუშა. 1919 წლის 22 ოქტომბრის წინასწარ თათბირზე აღმოჩნდა იუდა — გამცემი, პროვოკატორად შეგზავნილი. მეხივით დაეცა თავს ეს ამბავი აჯანყების მეთაურებს. სამხედრო რევოლუციური შტაბი ჩავარდა, აჯანყებას ჩაშლა ელოდა.

შინაგან საქმეთა მინისტრმა ნოე რამიშვილმა დეპეშით აცნობა ყველას სამხედრო საალყო წესების გამოცხადება.

აჯანყების კომიტეტის გადარჩენილმა წევრებმა ვეღარ მოასწრეს შიკრიკების დაგზავნა აჯანყების გადადების შესატყობინებლად.

გვარდიამ და მილიციამ აჯანყებას დაასწრეს: გორში, ლაგოდეხში, ფოთში, ჩოხატაურში, ახალციხეში ხელმძღვანელები იმ ღამესვე დააპატიმრეს, მთავარი ძალები გაანადგურეს.

მეტეხის ციხე პატიმრებით აივსო. მაგრამ აჯანყების სული როდი დაცხრა. სოციალურმა ბოღმამ უფრო იბარტყა, შეიარაღებულმა რაზმებმა და რაზმელებმა უფრო ღრმად ჩაუმუხლეს სანგრებში და რეპრესიებზე გაწაფულ მთავრობას სული არ მოათქმევინეს. დროდადრო ხან ერთ კუთხეში იფეთქებდა ჯანყი, ხან — მეორეში, საქართველო დენთის ცეცხლით დაიტენა. ციხის გარეთ დარჩენილი ბოლშევიკები ზოგი ჩრდილოეთ კავკასიაში გადაიხვეწა, ზოგმაც იატაკქვეშეთს შეაფარა თავი, რომ ხალხის საერთო აჯანყების დრო და თარიღი მოეახლოებინა.

ეს თარიღიც განისაზღვრა და ადგილიც შეირჩა — ლორის ნეიტრალური ზონა.

უსისხლო რევოლუცია

ტიტე ცამიწაძე დაძაბული ყურადღებით უსმენდა, მაგრამ საკუთარი ნააზრევით მაინც წინ უხტოდა — იმას ეკითხებოდა, რაც იმ წუთას უკვე მოსმენილი ჰქონდა და თავისი ახალი კითხვით თანხმობასაც და დაუთანხმობლობასაც ავლენდა.

„ — რევოლუცია საქართველოში და უსისხლოდ? კლასთა გამწვავების პირობებში უძალადოდ?! როგორ მოხდება?!“

— დიახ, რევოლუცია არის ყველაზე მწვავე კლასობრივ წინააღმდეგობათა უდიდესი გამწვავება!

„ — მით უფრო, რაკი ეგრეა, ვერც უმსხვერპლოდ გაიმარჯვებს, ასე მგონია მე?“ — კიდევ უფრო დაეჭვდა ცამიწაძე.

ლენინმა საზოგადოებრივი მოვლენების მაგალითები გადმოშალა:

— თქვენ გამოიარეთ 1905 და 1917 წლები, თქვენ იცით, რომ რევოლუცია დაკვეთით არ ხდება, რომ რევოლუციები სხვა ქვეყნებში ხდებოდა სისხლისმღვრელ აჯანყებათა მძიმე გზით, რუსეთში კი არ არის ისეთი ჯგუფი, არ არის ისეთი კლასი, რომელიც შეძლებდა

საბჭოების ხელისუფლებისადმი წინააღმდეგობის გაწევას. ამიტომ ეს რევოლუცია შესაძლებელია, გამონაკლისის სახით, როგორც მშვიდობიანი რევოლუცია.

„ — ვერ წარმომიდგენია! ძნელი რამაა, გაძნელდება ამის მიღწევა საქართველოში“.

— საერთოდ ყოველგვარი რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება მეტისმეტად იშვიათი და ძნელი რამაა. მაგრამ გლეხურ ქვეყანაში, როცა პროლეტარიატისა და გლეხობის კავშირს შეუძლია ფრიად უსამართლო და დანაშაულებრივი ომით განაწამებ მასებს მოუტანოს მშვიდობა, ხოლო გლეხობას მთელი მიწა, ასეთ ქვეყანაში, ასეთ განსაკუთრებულ ისტორიულ მომენტში რევოლუციის მშვიდობიანი განვითარება მთელი ძალაუფლების საბჭოების ხელში გადასვლის დროს შესაძლებელიცაა და მოსალოდნელიც.

„ — საქართველოს მბრძანებლურ პარტიას თუნდაც რომ საბჭოებში ადგილები დავუთმოთ, ამაზეც არ დაგვეთანხმება“.

— საბჭოების შიგნით პარტიების ბრძოლა ძალაუფლებისათვის შეიძლება მიმდინარეობდეს მშვიდობიანად, თუ საბჭოებში სრული დემოკრატიზმია, თუ ისინი უარს იტყვიან ისეთ წვრილმან „ქურდობაზე“, დემოკრატიული პრინციპების ისეთ „გაძარცვაზე“, როგორიცაა ჯარისკაცებისათვის ერთი წარმომადგენელის მიცემა ხუთას ამომრჩეველზე, ხოლო მუშებისათვის ერთი წარმომადგენელის — ათასზე. დემოკრატიულ რესპუბლიკაში ასეთ წვრილ ქურდობას გაქრობა უწერია.

„ — საოცარი შესაძლებლობაა!..“

— ისტორიაში მეტისმეტად იშვიათი და მეტისმეტად ძვირფასი შესაძლებლობაა. და რაკი არის თუნდაც ერთი შანსი ასიდან, ასეთი შესაძლებლობის ცდა მაინც ეღირებოდა, რომ იგი განხორციელებულიყო.

მერე უფრო წვრილად განმარტა:

— თუკი შესაძლებელია ქალაქის მუშებისა და უღარიბესი გლეხების კავშირის განხორციელება საბჭოებისათვის ხელისუფლების დაუყოვნებლივ გადაცემით, მით უკეთესი. ბოლშევიკები ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ რევოლუციის განვითარების მშვიდობიანი გზა უზრუნველყონ.

„ — კომპრომისზე წასვლით?“

— ჩვენ, როგორც პარტიას, შეგვიძლია შევთავაზოთ ნებაყოფ-

ლობითი კომპრომისი — მართალია არა ბურჟუაზიას, ჩვენს აშკარა და მთავარ კლასობრივ მტერს, არამედ უახლოეს მოწინააღმდეგეებს, „მთავარ“ წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიულ პარტიებს.

„— ლოზუნგით?“

— საბჭოების ხელში მთელი ძალაუფლების გადასვლის ლოზუნგი რევოლუციის მშვიდობიანი ვანვითარების ლოზუნგი იყო.

ლენინის ამ ლოზუნგის საფუძველზე შეიმუშავა ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტმა რევოლუციის მშვიდობიანი განხორციელების ტაქტიკა და ზოგიერთ წარმატებასაც მიაღწია. მაგრამ მმართველმა წვრილბურჟუაზიულმა პარტიებმა შეურიგებელი ბრძოლა გამოუცხადეს რევოლუციის უსისხლოდ გამარჯვების მომწოდებელ და მოსურნე ბოლშევიკებს. ამის გამო 1918 წელს უკვე შეუძლებელი შეიქნა მშვიდობიანი გზით საქართველოში ძალაუფლების ხელში აღების ბოლშევიკური ტაქტიკის გაგრძელება, — და იძულებული გახდნენ შეიარაღებული აჯანყების მომზადებას შესდგომოდნენ.

მაგრამ ამის მიღწევაც, გამარჯვება საკუთარი ძალის ამარა, უიმედო გამოდგა, მენშევიკებმა ცეცხლითა და მახვილით გადაუარეს საქართველოს კუთხეებს — რაჭა-ლეჩხუმიდან მოყოლებით გორსა და ბორჩალოს, გურიას, სამეგრელოს, იმერეთსა და მთიანეთსაც კი.

ბოლშევიკები მაინც ცდილობდნენ მშვიდობიანი გზის გაგრძელებას. ლენინის მითითებით საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა ჟორდანიას ნოტა გაუგზავნა რადიოთი 1920 წლის 6 იანვარს:

„რუსეთის საბჭოთა მთავრობა მიმართავს საქართველოს წინადადებით, დაიწყოს დაუყოვნებლივ მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან ორივე სარდლობის მხრივ სამხედრო შეთანხმების დადების შესახებ“.

ნოე ჟორდანიამ გაგონებაც არ ისურვა. საქართველოს დამფუძნებელი კრების სხდომაზე 1920 წლის 14 იანვარს ქედმაღლურად და წინდაუხედავად განაცხადა:

— თქვენ იცით, რომ ჩვენ საომარი კავშირი შემოგვთავაზა საბჭოთა რუსეთმა. ჩვენ გადაჭრით უარი ვუთხარით! ვიცი, ჩვენი მტრები აყვირდებიან — იმპერიალისტებს ემხრობითო. აქ გადაჭრით უნდა ვთქვა: მირჩევნია დასავლეთის იმპერიალისტები აღმოსავლეთის ფანატიკოსებს!

ამან ორჯონიკიძე გაახელა, თვალი ბასრად გააყოლა საბჭოთა

რუსეთის საწინააღმდეგო ძალების თავმოყრას საქართველოს ჩრდილო საზღვრის გასწვრივ. თურქოფილები კი თურქული გაზეთის გამოშვებასაც შეუდგნენ თბილისში. ამიტომ თითონაც თადარიგს შეუდგა აჯანყებების მოსაწყობად საქართველოში და ეს დიდად უადვილდებოდა მოსახლეობის მზარდი უკმაყოფილებით, მენშევიკების პოლიტიკაზე დამდურების გამო.

მაგრამ სერგო არც მარტო შინა აჯანყების ამარა რჩებოდა, გარეშე ძალების მიშველიებაზეც ფიქრობდა! ვლადიკავკაზში ლადო დუმბაძეს შეუთვალა, საქართველოში რევოლუციის მომხდენი რევოლუციური ძალების დასახმარებლად გაწვრთნილი, გადახვეწილი ოსების ინტერნაციონალური ბრიგადა მალე დასძარიო! პირაქეთელმა ოსებმაც ქვემო როკში მებრძოლი რაზმები შექმნეს და საბჭოთა რუსეთისა და მენშევიკური საქართველოს მთავრობას ამცნეს:

„გატყობინებთ, ქვემო როკში საბჭოთა ხელისუფლებას ვაცხადებთ და საბჭოთა რუსეთს ვუერთდებით!“

თერგის საბჭოთა რესპუბლიკის თავმჯდომარე ბესო კვირკველიას კი ორჯონიკიძე აცნობებდა და ავალებდა:

— 2 მაისს თბილისში ხელისუფლების აღების ცდა იყო, მაგრამ წარუმატებლად. ბათუმში კი გადატრიალებაა მოსალოდნელი. მთავრობა დღეს საალყო წესებს აცხადებს. ბათუმის მუშების უდიდესი ნაწილი ჩვენს მხარეზეა. 8—10 მაისისთვის მოსალოდნელია აფხაზეთის აჯანყება. ამიტომ დააწექით გორის მაზრას ჩრდილოეთ ოსეთიდან, ეს დაქსაქსავს მთავრობის ძალებს!

მენშევიკების მთავრობამ ყველა ასეთი მოულოდნელი საშიშროება გაითვალისწინა და საბჭოთა რუსეთისაკენ იბრუნა პირი ხელშეკრულების დასადებად.

ლენინის აზრი, რომ საქართველოში რევოლუცია უსისხლოდ გაიმარჯვებდა, ფრთას ისხამდა.

ჟავთარაძის დღიური

— მენშევიკები ეროვნულ საკითხშიც დღენიადაგ თავს მაღლა იჭერდნენ, პატრიოტებად მოჰქონდათ თავი, სინამდვილეში კი ნაციონალურ-კულტურული ავტონომიის იქით არ მიდიოდნენ, ეროვნული ნიღილიზმის გზას ადგნენ, ხალხთა თვითგამორკვევის ლოზუნგს არად აგდებდნენ. ეს საკითხი ბევრჯერ დავაყენეთ, მაგრამ

ყოველთვის ეორდასიელთა წინააღმდეგობას ვაწყდებოდით, — ჩაიწერა ქავთარაძემ თავის დღიურში და გააგრძელა სინანულით აღსავსე სიტყვები:

1916 წლის აგვისტოს ღამით, ფუნიკულიორის პლატოზე წრიულად დავსხედით, ერომანეთს თითქმის ვერც ვხედავდით. პოლიციის ყურამდე რომ არ მისულიყო, ჩურჩულით ვლაპარაკობდით ეროვნულ თვითგამორკვევის საკითხზე, ბევრ სხვაზეც, ომის საწინააღმდეგო დასაბეჭდ ფურცლებზე, რომლის დაწერა მე დამევალა, მაგრამ ვერ მოვასწარი, — ყველა ერთად დაგვაპატიმრეს. ვიღაცამ გაგვცა.

დილით კი თბილისის ჟანდარმთა სამმართველოს შენობის მეორე სართულზე აღტაცებით შემეგება სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი პასტრულინი.

— აა, ბატონო ქავთარაძე?! მობრძანდით, გეთაყვა, მობრძანდით! რა ხანია გელოდებით თქვენ და თქვენს პარიზელ მეგობარ ტიტე ცამიწაძეს.

წუხანდელი საიდუმლო კრების მონაწილენი არავინ შემხვდა, ჰე ისინი მხოლოდ მეტეხის ციხეში ვნახე, იმავე დღეს რომ გადამიყვანეს.

ჩვენ ცალ-ცალკე საკანში ვისხედით, მაგრამ ყველას საერთო გასასვლელი გვქონდა — „სიკვდილის დერეფანს“ ვუწოდებდით, რადგან ვინც დასახვრეტად გაჰყავდათ, ვხედავდით.

ამ დერეფნით შემოიყვანეს თბილისში ცნობილი გერმანელები, მათ შორის კუჩენბახი, ბორჩალოში რომ კავკასიურ-შვეიცარულ ყველს ამზადებდა და შმიდტი — კავკასიის სამხარეო მუზეუმის დირექტორის მოადგილე.

კუჩენბახი ციხის სარკმელთან მივარდა და აბნეულმა მკითხა:

— გევედრებით, მითხარით, რა უბედურება გველის?

— თქვენ არავითარი, კაპიტალისტები ხართ. ომი კი კაპიტალისტებს არ ემუქრებათ... მათი ნახელარია... ომში იღუპებიან მხოლოდ მუშები და გლეხები.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ, რომ დამამშვიდეთ!..

ჩემს საკანში ერთი ტახტი თავისუფალი იყო. ჯერ თბილისელი ცნობილი რეციდივისტი არტავაზ ნალბანდიანი შემომისახლეს, თბილისის რეალური სასწავლებლის ყოფილი მოწაფე; მეოთხე კლასიდან გაჰყვა ქურდობას. სახელგანთქმულ ქურდად იქცა. თბილისს

გუბერნიის თავადაზნაურთა წინამძღოლს, თავად აფხაზს, ძვირფასი ბეებით მოჭედილი ძველებური ხმალი მოპარა. მერე თავისი მოღვაწეობა გადაიტანა მოსკოვში, კიევში, როსტოვში, სხვა ქალაქებში, მასზე ირიცხებოდა ქურდობის 250 შემთხვევა. სათუთად ინახავდა გაზეთებიდან ყველა ამონაჭერს თავის მოღვაწეობაზე და ძალიანაც ამაყობდა:

— ეს ყველაფერი როდია? უფრო მეტის გამქურდავი ვარ, ეს მხოლოდ, რაც დამიმტკიცეს. რამდენიმე გაქცევაც მაქვს!..

არტავაზას განსაკუთრებული ნიჭი გააჩნდა სხვისი ხელწერის გადაღებაში. ეროხელ მეც დავიჭირე.

ბარათი დაწერილი იყო ჩემი სახელით ჟანდარმერიის დავალებით.

— აი, შე მამაძაღლო! პროვოკაციას მიწყობ?! — და მაგრად ვუთაქე.

აყვირდა.

სხვა საკანში გადაიყვანეს. ციხის ადმინისტრაციას ოინი ჩაეშალა.

შმიდტი შემომისახლეს, ხნიერი კაცი, დაბალი, ელეგანტური, ყურადღებიანი, თავაზიანი. სანამ თავის ნივთებს დააწყობდა, მკითხა:

— ეს იქნება ჩემი ადგილი?

— დიახ.

— გმადლობთ! — და განლაგდა. ქათქათა ზეწარი გაიშალა, ბალიშის პირიც გადააკრა, რბილი ფლოსტები დაჰყარა. პატარა ყურთბალიშიც დადო. გადაკიდა წითელი ჯვრებით ამოქარგული თეთრი პირსახოცი, დაალაგა სუფთა ხელსახოცები.

ჩვენ ერთმანეთს გავეცანით.

სწავლული ეთნოგრაფი გამოდგა.

— ბატონო ქავთარაძე, ეს ბაღლინჯო უნდა მოვკლათ.

— აუცილებლად!

შმიდტმა ფლოსტი მოუღერა, დაიღმიჯა და გაჭყლიტა.

ერთი კვირა გავიდა. დილით დავინახე, რომ ფანჯარაში იყურება.

— ჩამოდით, გესვრიან!..

არ ჩამოვიდა.

ხელი ვტაცე...

აკონწიალდა.

თავი ჩამოეხრჩო. მერე გავიგე გერმანელთა მზვერავი ყოფილა.

გამოატარეს ლამაზი კაცი. ატლასის ახალუხი ეცვა, გალიბანდი ეხუოა.

მეორე დღეს დერეფნის მცველმა, ნაყაჩაღარმა, რომელიც რამდენიმე აღმოსავლურ ენას ფლობდა, მითხრა:

— ქურთი ბახშოა, ჯაშუში, თურქეთზე მუშაობდა. თქვენთან სათხოვარი აქვს!. .დერეფანში ჩავლის დროს დაგელაპარაკებათ.

— რას გავუგებ?..

— გადაგითარგმნით.

ჩამიარა:

— მე ამაღამ ჩამომახრჩობენ!.. ცოლი და პატარა ბიჭი მყავს. ვანთან ახლოს ცხოვრობენ, თურქეთში. სარჩო-საბადებელი არ გააჩნიათ. მე ერთ ადგილას ფუთი ოქრო ჩავფალი... არ მინდა ჩემს ოჯახს დაეკარგოს. ვიცი, კეთილშობილი კაცი ხარ. თუ დათანხმდები, დაეხმარე ჩემს ოჯახს. გეტყვი ჩაფლულ ადგილს. ღმერთი შენდობას მოგცემს.

— ვერ შეგისრულებ, რომც მინდოდეს. თქვენ კი, როგორც სიკვდილ მისჯილმა, მოლა მოითხოვეთ. კანონი გაძლევთ უფლებას. სიკვდილის წინ იმას გაანდეთ.

ბახშომ უიმედოდ ჩაიქნია ხელი.

— გვიან ღამით, კლიტე-გასაღებების ჩხარუნი მომესმა. ბახშო ფიალით ღვინოს სვამდა. ჩხაკუნის ხმაზე წამოდგა, ფიალა დადო, სახეზე ხელი მოისვა, თვალები აღაპყრო და ამოიბუტბუტა, ეს იყო ალბათ მისი უკანასკნელი ლოცვა სიკვდილის წინ.

მეციხოვნეებმა რიგი გააწყეს, გამოიყვანეს საკნიდან, დერეფანში გაატარეს.

მალე ციხის ეზოში დახურული დროგის ბორბლები აგრიალდა. ბახშო საგუბერნიო ციხეში წაიყვანეს, იქ ჩამოახრჩეს.

მერე სხვა შემოიყვანეს — მაღალი, ცისფერთვალება, ქერა გერმანელი, წვერიანი, მხედრულად გამართული, ხაკის ტანსაცმელში, ტყავის გეტრებით. ტალახში ამოსვრილი იყო, მოათრევდნენ.

ეს იყო ვილჰელმ პაშენი, არმიული კადრის ოფიცერი, თვით იმპერატორმა ვილჰელმმა გაგზავნა არაბეთში, ინგლისელთა ზურგში. ირანელებმა დაიჭირეს და რუსეთს გადასცეს.

ომის წინ, ზაფხულში სამხედრო ნაწილში მოუვიდა საცოლის წერილი გერმანიიდან.

— „თუ წინააღმდეგი არ ხარ, ჩამოვალ!..“

ოფიცრებმა კარავი მოუწყეს. იქეიფეს.

ღამით საცოლე მეგობრის კარავიდან გამოვიდა.

ვილჰელმ პაშენმა აიღო კარაბინი, ააღებინა იმ ოფიცერსაც და დუელი გამართეს.

მოკლა!

ვილჰელმი დასაჯეს, ჯარისკაცად ჩამოაკვეითეს; აფრიკაში გაგზავნეს.

იქ ცხრა ცოლი ყავდა, ყველას მეწველი ძროხები უყიდა.

რუსეთის მეფის სამხედრო ტრიბუნალმა კი ჩამოხრჩობა მიუსაჯა.

— უფლება არა გაქვთ ძაღლივით ჩამომახრჩოთ. იმპერატორის არმიის ოფიცერი ვარ. დახვრეტას ვითხოვ!

შეიწყნარეს. დახვრიტეს.

სამიდან ოთხი მარტის გათენებისას ციხის ზედამხედველმა მითხრა.

— ბატონო ქავთარაძე, ამბობენ მეფე ჩამოაგდეს!..

— საიდან იცი?

— მთელი თბილისი ლაპარაკობს.

ფანჯრიდან „მარსელიეზის“ ხმა შემოესმა.

* * *

რუსეთში თებერვლის რევოლუცია მოხდა.

თბილისში კი ჟანდარმერიის სამმართველო ძველებურად რჩებოდა.

ბოლშევიკების დაჟინებითი მოთხოვნით მენშევიკები დათანხმდნენ შექმნილიყო თბილისის მუშათა დეპუტატების აღმასრულებელი კომიტეტი, რომელშიც შევიდა ბოლშევიკებიდან მიშა ოკუჯავა და ვალიკო ჯუღელი.

მე მოვითხოვე საგუბერნიო ჟანდარმერიის სამმართველოს არქივის ხელში ჩაგდება.

მენშევიკებმა გააჭიანურეს.

მე ალყა შემოვარტყი. მხოლოდ ტიტე ცამიწაძე გამომყვა.

პეტრე დიდის ქუჩის 19 ნომერში მოთავსებულ არქივში შევიჭერით.

არავინ იყო.

— ტყუილად ეძებთ, პოლკოვნიკმა პასტრულინმა ყველაფერი დაწვა!..

ბენშევიკების ცეკას, რომელსაც ხელმძღვანელობდა სამი ნოე — ჟორდანია, რამიშვილი, ხომერიკი, — დააგვიანა არქივის ხელში ჩაგდების ბრძანების გაცემა.

ერთ უჯრაში იპოვეს „ქავთარაძის საქმე“ ჩემი „ბრაუნინგი“, რომელიც 1916 წელს ფუნიკულიორზე კრების ჩავარდნას ეხებოდა.

მაშინდელი კრების ყველა მონაწილე დაგვიჭირეს, გარდა სამისა; მოსე ვარამაშვილის, იოსება დალაქისა და ვალოდია რკინიგზელის.

თავზე წამომადგა ლამაზი, ქერა, ახალგაზრდა ქალი:

— მე პოლკოვნიკ პასტრულინის ცოლი ვარ! იქნებ დაგაინტერესოთ ასეთმა გამოცემამ? მინდა გიჩვენოთ.

ლამაზ ქალს ხელში ეჭირა დიდი ფორმატის წიგნი, ოქროთი მოვარაყებული.

— არა მგონია, არ მაინტერესებს!..

— მაინც ნახეთ, იქნებ შეიცვალოთ აზრი.

მაჩვენა სატიტულო ფურცელი, გრიბოედოვის „ვაი ჭკუისაგან“!

ისევ ვიუარე.

— მაშ, მე თვითონ გაჩვენებთ!

გადაშალა რაშდენიმე ფურადი ილუსტრაციის გვერდი პორნოგრაფიული ლექსებით.

— არ მაინტერესებს!

— არც მე გაინტერესებთ?..

— არა!

— მე კი მაინტერესებთ! ჩემი ქმარი ბებერია. მე არ ვცხოვრობ მასთან. ოფიცერ თავად ჩერქეზიშვილთან ვწვები.

— არ მაინტერესებს, ვისთან წვებით, არც თქვენი ქმრის მამაკაცური ძალის რესურსების სისუსტე მაინტერესებს.

— ნამდვილი ბუ ხართ!..

მერე ვალიკო ჯულელთან მივიდა. იგი დააინტერესა ალბომის გარდა, საკუთარი ტანითაც.

ყარაული შემოვარდა:

— პოლკოვნიკი პასტრულინი მამადავითისკენ მიდის!..

გამოვეკიდეთ.

— თქვენ ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსი პოლკოვნიკი პასტრულინი ხართ?

— დიახ!..

— გაპატიმრებთ! გამობრუნდით. წინ წადით! — შეუძახა ცამიწაძემ.

— თქვენ ვინა ხართ?

— თავს ნუ იკატუნებთ!.. ჩვენ ერთმანეთს კარგად ვიცნობთ!.. გაიხსენეთ პარიზი, ნინო ჩერკეზინი!

— რომელი ხელისუფლება მაპატიმრებს? — შეცბა დიპლომატი ჟანდარმი.

— რევოლუციისა და ხალხის!

— მე ასეთ ხელისუფლებას არ ვიცნობ.

— გაეცნობით. წინ იარეთ, თორემ გესვრით!

ჟანდარმერიის შენობაში შევიყვანეთ.

— ლაპარაკი მოკლე იქნება... ჩვენ გვაინტერესებს, რა დაწვით?.. მოგვეცით თქვენი აგენტურის სია, ჯაშუშებისა და გამცემების საქართველოში და ამიერკავკასიაში!

— თორემ საქმე ცუდად წაგივათ! — დაემუქრა ტიტე.

— არა, ამას არ მოგცემთ!..

— მოგვისმინე, პასტრულინ! თუ მოგვცემ, მშვიდობით გაგიშვებთ უცხოეთში, ოჯახით, ფულით. იფიქრეთ!..

— ჩემგან ვერაფერს გაიგებთ.

— მაშინ, დაგხვრეტთ!

— ამკუწეთ!

— არ იძლევი?

— არა!

— აი რა დაგვმართეს მენშევიკებმა! — დაინაღვლა ტიტე ცამიწაძემ.

* * *

ვალიკო ჯუღელმა კი ხასად დაისვა მისი ლამაზი ცოლი. პოლკოვნიკი მეტეხში ჩასვა.

ნოე ჟორდანიამ დამიბარა და მითხრა, — გააგრძელა ქავთარაძემ:

— ესერთა წრეებიდან ცნობა მივიღე. თქვენი ამხანაგი ჯუღელი ორი ბოლო ღამეა დადის ჟანდარმერიის პოლკოვნიკის პასტრულინის ბინაზე, მის ცოლთან!.. ჟანდარმერიის სამმართველოს დალუქული ოთახი, რომელსაც გუშაგები ყარაულობდნენ, ორჯერ გატეხეს!.. ამაღამ ესერები ჯუღელს უსაფრდებიან, როგორც კი გამოჩნდება,

ჟანდარმერიის სამმართველოს შენობაში, ესვრიან! გააფრთხილეთ ჯუღელი, საშიშროება ელის.

ვალიკო ჯუღელი მოღალატედ იქცა. ხასა ქალის შემწეობით მოიტაცა „ქავთარაძის საქმე". მაშინ ჯუღელი ბოლშევიკი იყო. ჟორდანიას სურდა მისთვის ჩრდილის მიყენება ჩვენს თვალში, რომ ჯუღელი მენშევიკებისკენ გადაებირებინა.

მე ვაცნობე ჯუღელს ჟორდანიას ნათქვამი, რომ სიკვდილი ელის.

შეშინდა! იმ დღიდან დაგვეკარგა. მენშევიკებთან გადაბარგდა.

პასტრულინი ცოლითურთ დენიკინთან გააპარეს.

მაინც დავიწყე ფუნიკულიორის კრების გამცემის ძებნა.

მოვიმარჯვეთ გამორიცხვის მეთოდი პროვოკატორის გვარის ამოსაცნობად.

გავიხსენეთ ყოველი კრება ცალ-ცალკე, ვინ ესწრებოდა.

ორი-სამი გაცდენა ყველას ჰქონდა, გარდა „ვალიკოსი".

რკინიგზის სახელოსნოებში მუშაობდა, ცხრა წლის მანძილზე პარტიაში ირიცხებოდა, ახალგაზრდა, ნიჭიერ კაცად ითვლებოდა, ბევრს კითხულობდა, კარგად იცოდა რუსული ენა, პოლიტიკურად იზრდებოდა, ამაყობდნენ, რომ მუშა ასე გაიზარდა.

გავიგეთ, ვალიკო საგარეჯოში წავიდა კრების ჩასატარებლად.

გამოვითხოვე მენშევიკების გარაჟიდან მეფის ნაცვლისეული მანქანა „რენო".

მე და თომა ჩუბინიძე ჩავედით:

— გამცემო, თბილისში გიბარებენ!

ვალიკო შეცბა.

— რა გამცემი ვარ, ხედავთ, კრებას ვატარებ.

— ვეღარ ჩაატარებ, თბილისში წამოხვალ.

წამოვიყვანეთ.

თომა ჩუბინიძემ ჩამჩურჩულა:

— აქვე, ჩირგვებში გავაგოროთ!

— არ შეიძლება, უნდა გავასამართლოთ.

თბილისში ჩამოვიყვანეთ. ნოე რამიშვილს გადავეცით. მეტეხ-ს ციხეში ჩასვეს. პასტრულინის საკანში.

ნოე ჟორდანიამ გამცემი ვალიკო და პოლკოვნიკი პასტრულინი მეტეხიდან გააპარა. ეშინოდათ, რომ მისი პარტიის წევრთა ოხრანკასთან თანამშრომლობა გამომჟღავნდებოდა. ტყუილად კი არ ფარავდა თავისი აგენტების ქსელს პოლკოვნიკი პასტრულინი.

„ციხეს რად უნდა რკინის კარები, მას უნდა ჰქონდეს შუშაბანდები!“ — გაისმა თბილისში ხალხის სიმღერა და რევოლუციონერები, ვინც როგორ და სად იყო, ყველა გამოვიდა ციხიდან.

1917 წლის 2 მარტს ქართველი ბოლშევიკებიც განთავისუფლდნენ, მაგრამ სხვა პარტიების გზააბნეულობას როდი გაჰყვნენ, — გაერიყნენ მათ და დაფიქრდნენ:

— ახლა რა ვაკეთოთ?.. ბრძოლის როგორ ტაქტიკას დავადგეთ?!

თუმცა რა საკითხავია, ძირითადი პოზიცია გარკვეულია! იგივეა, რაც მანამდე, რევოლუციამდე იყო.

— რა? — იკითხა ჟორდანიას ფრაქციის მიმდევარმა ნატუსაღარმა ნოე ხომერიკმა.

ბოლშევიკმა ტიტე ცამიწაძემ შეახსენა:

— არც ერთი ნაბიჯი უკან! რევოლუციის მოქმედ ძალებში მუშათა კლასის მეთაურად დაყენება, პროლეტარული დიქტატურის დამყარება!.. ამასთან, გლეხებისათვის მიწების გადაცემა, დემოკრატიული რევოლუციის დამთავრებით სოციალიზმისათვის ბრძოლის გაგრძელება, ეროვნული თვითგამორკვევის მხარდაჭერა!

ამბობდნენ, მაგრამ ღრმად არ იყვნენ დარწმუნებული პირველადად რომელი საკითხი წამოეწიათ?! ცენტრალურ კომიტეტს ახალი ტაქტიკის ინფორმაცია არ მოსვლოდათ. რა ხაზი მოემარჯვებინათ შექმნილი ვითარების გასაძღოლად?

ლოდინი საქმეს ვნებდა. მიტინგებზე სტიქიურად დაიწყო რევოლუციური პროგრამების გარჩევა — მიღება. ამას მოსდევდა არა მარტო მათი გაერთიანების შეძახილი, არამედ ერთმანეთისაგან გათიშვა და გარიყვაც. მაგრამ რისა და როგორი პოლიტიკური პროგრამის საფუძველზე? ადამიანები დავობდნენ პოლიტიკურ განურჩეველ გაერთიანებაზე, ბევრნი კი, პირიქით, იდეოლოგიურ გამოოჩეულობაზე. ერთმანეთის სულში ღრმად ჩახედვას მოითხოვდნენ, უნდობლებთან შეკავშირებას არა ნდომობდნენ. რა ხელს მისცემდათ: მოღალატესთან მოჩვენებითი მოკეთეობა რევოლუციის შემდგომ საქმეს წაახდენდა. ამას უშინდებოდა ბოლშევიკ-რევოლუციონერთა ფრთა. ამის გასარკვევად მოიწვიეს აქტივის კრება, აირჩიეს თბილისის კომიტეტი, აგრეთვე საინფორმაციო ბიუროც, რომელსაც უნდა გაეშალა ბეჭდვითი და ზეპირი პოლიტიკური აგიტაცია.

ზუბალოვის სახალხო სახლში ას კაცამდე შეიკრიბა. თავმჯდომა-

რედ აირჩიეს სერგო ქავთარაძე. მან კრების გახსნისთანავე გასაგებად განაცხადა:

— ჩვენი ტაქტიკა იყო და არის თვითმპყრობელობის დამხობა და მასთან ერთად ბურჟუაზიის მიყოლებაც, თორემ იმის გამეფებას ფრთაშეკვეცილი ცარიზმის აღდგენაც მოჰყვება!

დარბაზში ყველა როდი გაჰყვა კრების თავმჯდომარის მოწოდებას:

— ასე რად ფიქრობ! ჯერ ხომ არ მომხდარა?—ეჭვის ხმა ააგორა ნიკო ქარცივაძემ.

— როცა მოხდება, გვიანღა იქნება, — მიუგორა თავმჯდომარემ.

— წინასწარ სიკვდილს რატომ ვიწერთ? — ხმა მიაწვდინა ნიკო ელიავამ.

— ბურჟუაზიის გამარჯვებას გამორიცხავთ? — შეეკამათა ქავთარაძე.

— არა!

— მაგრამ თუ იმარჯვა? წარმოიდგინე, რაც მოჰყვება! ბურჟუაზია და ფეოდალობა კვლავაც დაამკვიდრებენ შეკეთებულ, წელათრეულ მონარქიას ან იმის მაგვარ რეჟიმს. ვერც მუშათა კლასი, ვერც გლეხობა ვერაფერს ვერ მიიღებენ ჩვენი პროგრამით გათვალისწინებულ მოთხოვნებიდან. აი, ეს მოხდება!

— სწორია! — ხმა მიაშველა ტიტე ცამიწაძემ, — ამიტომ, მომავალშიც გამარჯვების მოსაპოვებლად ახლავე უნდა გავაგრძელოთ ბრძოლა ყოველგვარ შემთანხმებლობასთან, ბურჟუაზიულ ან სხვა რაიმე შერეულ მთავრობასთან.

— საამისო მითითება ცენტრიდან ჯერ არ მიგვიღია, წინ რატომ წავუხტეთ?!.

— რახანია მივიღეთ. ლენინმა ჯერ კიდევ 1915 წლის ოქტომბერში დაბეჭდა ჩვენი პარტიის ცენტრალურ ორგანოში. რა უნდა იყოს ჩვენი ტაქტიკა იმპერიალისტურ ომში თუ ხელისუფლებას ბურჟუაზია ჩაიგდებს: არ დავუშვათ ბოლშევიკების შეერთება მენშევიკებთან. თუმც არ გამოვრიცხავთ დროებით შეთანხმებასო.

— დღესაც ამით ვუპასუხოთ!

ქარცივაძე და ელიავა არა ცხრებოდნენ, ჯიუტად იმეორებდნენ:

— ბოლშევიკებისა და მენშევიკების ცალ-ცალკე არსებობა რევოლუციურ მომენტში ორივე სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში დაბნეულობას დაბადებს, ორივეს ავტორიტეტსა და გავლენას დას-

ცემს, რეაქციის ძალებს გაამხნევებს, რევოლუციის ფრონტს შეასუსტებს, — ანერვიულდა ქარცივაძე.

— გეთანხმები! — დაემოწმა ნიკო ელიავა, — სოციალიზმის მოწინააღმდეგენი ისარგებლებენ. მენშევიკებთან შეერთებას ვირჩევ. საერთო ძალით დავასამაროთ ნიკოლოზას გვამი.

— კი ბატონო, შეეერთდეთ, გადავებათ ერთმანეთს, როგორც ცნობილ რუსულ „ბაბკა ზა რედკუს“ ზღაპარშია — ბოლშევიკები მენშევიკებს გამოებმევიან, მენშევიკები კადეტებს გამოეკიდებიან, კადეტები „ოქტიაბრისტებს“ ჩამოეკონწიალებიან, „ოქტიაბრისტები“ მონარქისტებს მოებმიან, ყველა ერთად გამოსწევენ და ისევ ნიკალაშკას ამოსწევენ!.. აი ასეთი იქნება თქვენი რევოლუცია, — გადასცინა ცამიწაძემ.

— ხა-ხა-ხა! — გადიხარხარა დარბაზმა.

კრებამ დაადგინა.

„მტკიცედ დავიცვათ პარტიის დამოუკიდებლობა, ამასთან პრინციპულად დასაშვებად მიგვაჩნია მენშევიკებთან ტაქტიკური შეთანხმება მდგომარეობისა და ვითარების გათვალისწინებით“.

ეს რომ ჟორდანიამ შეიტყო, ნოე ხომერიკი მიუგზავნა ბოლშევიკებს:

— სერგო, სწორედ არ იქცევით. თუ როდისმე დაგჭირდება გაერთიანება, სწორედ ახლა!

— რისთვის?!

— რევოლუციის საერთო ინტერესებისათვის.

— საერთოში ვისა ხედავ?

— ჩვენ ორთავეს, ერთიანი სოციალ-დემოკრატიის შვილებს.

— სხვადასხვა გზით მიმავალთ?!

— მიზანი თუ ერთი გვაქვს, გზა რა საკითხავია?! თქვენ მოკლეზე გადიხართ, ჩვენ შემოვლას ვარჩევთ. ხალხურ ანდაზას დაუჯერეთ: შორი გზით, შინ მშვიდობით მიდი.

— მაგრამ ხალხს რომ სული მისდის, რად ელოდოს? მივიყვანთ კი შინამდე გარე-გარე შემოვლით, — ჩაუჭრა ცამიწაძემ.

— თუ ხელიხელჩაკიდებულები ვივლით, მისაღწევსაც მოვიწევთ.

— იცით კი მისაღწევის სახელი? — გადაუბრუნა სიტყვა ქავთარაძემ.

— სოციალიზმი ჰქვია.

— ერთნაირად მოსალხენი მდიდარ-ღარიბთათვის?!

— თავდაპირველად ორივეთათვის ერთნაირად მძიმე. მერე გა-მოჩნდება, ვინ დარჩება ღარიბად. მაგრამ თუ დავიქსაქსეთ, მდიდარ-ღარიბსაც ვეღარ გავარჩევთ!

— გარჩეულია, ვერ გაგყვებით საეჭვოზე.

— ამით სოციალიზმს დაღუპავთ, ისევ თვითმპყრობელობა წა-მოიწევს. ნიკოლოზა წელს ვეღარ აითრევს, მაგრამ დესპოტობის მო-წადინე მთელი კლასი წამოიჭიმება, უარესი დღე დაადგება კაცობ-რიობას...

— ამას დრო გვიჩვენებს!

ორივე ფრაქციის დიალოგი შეწყდა. გაფართოებულმა კრებამ უარი თქვა შეერთებაზე.

— მენშევიკებთან არც რევოლუციამდე გვილხენდა, ვერც შემ-დეგ მოვილხენთ. ჩვენი გზები საბოლოოდ გაიყარა, — აიმრიზა ტიტე.

— მაგრამ მიზანს რა ვუყოთ? — დაუყვავა ქარცივაძემ.

— მიზანიც შეიცვალა, — დაამატა ნოე ხომერიკმა.

— მაშ რატომღა იკლავთ თავს ჩვენთან შემოსაერთებლად? — გადაჰკითხა ცამიწაძემ.

სერგო ქავთარაძემ ხომერიკის მაგივრად უპასუხა:

— ვერა ხვდები? უნდათ როგორმე სწორ გზას აგვაცდინონ. თა-ვიანთში შეგვრიონ, გაგვთქვიფონ და ჩაგვყლაპონ. ჩვენი ძალები და-ქსაქსონ, წვრილმან პოლიტიკურ საქმიანობაში ჩაგვაბან, დიდ საპ-როგრამო მოქმედებას ჩამოგვაშორონ. მენშევიკურ ჭაობში ჩაგვფ-ლანთ!..

ხომერიკმა ირონიულად გაიღიმა და უკბინა:

— ბოლშევიკები თქვენა გქვიათ, ჩვენ კი მენშევიკები, უმრავ-ლესობა როგორ უნდა გათქვიფოს უმცირესობამ?!.

ტიტე სერგოს წაეშველა:

— ჰოდა, ბოლშევიკებსაც ვეღარ დაგვიძახებენ თუ ასეთ მზაკ-ვარ უმცირესობას შემოვიერთებთ. ახლა მთავარია ჩვენდამი თქვენი თანაძმობის პირფერობას არ წამოვეგოთ, დამოუკიდებლად დავრ-ჩეთ.

— იქნებ ვცადოთ! — იკითხა ვალიკო ჯუღელმა. რომელსაც გუ-ლი ყოველთვის უმცირესობისაკენ მიუწევდა, მაგრამ უმრავლესო-ბის მფარველობასაც არ იცილებდა.

— ხაფანგში გაგვაბავენ!

— ვერა!

მაინც გააბეს.

ფილიპე მახარაძეს იმდენს შეუჩნდნენ, სანამ გამაერთიანებლობის ბადეში არ გახვიეს. მენშევიკებმა რევოლუციის პირველსავე დღეს თავიანთ აპარატში მიიწვიეს, ქალაქის მმართველობაში ხელმძღვანელად დასვეს, ნახევარ ათეული ტელეფონის აპარატი შემოუდგეს, ავტომანქანაში ჩასვეს და ქაღალდებით გატენილი ვეებერთელა პორტფელიც დააჭერინეს. მოქმედი კაცი — რევოლუციონერი წვრილმანებით ისე დატვირთეს, რომ მაგიდიდან თავი ვეღარც აეღო.

მეგობრები ცუდად შეხვდნენ ფილიპეს განდგომას, ტუჩს უბზუებდნენ, ზოგიც პირში კილავდა. თავად კი სულაც არა გრძნობდა მენშევიკების ზეგავლენის ნატამალობას, რაიმე უხერხულობას.

— მე ისეთივე რწმენით ვრჩები, როგორითაც პარტიაში მოვედი. მენშევიკების იდეური იერი ერთი ციცქნაც ვერ მომეცხება. მაგრამ ახლა ყველას ერთად მუშაობა გვმართებს და არა კინკლაობა!..

თანამებრძოლები ახსენებდნენ:

— ხელს არ მოგვცემს, ფილიპე! მენშევიკების ღალატს ვერ წაუვალთ.

ფილიპეს წამქეზებლებიც გამოუჩნდნენ:

— გიღალატებს ის, ვისაც შენი ეშინია. მენშევიკები ჩვენზე ბევრი არიან, ჩვენ მცირერიცხოვანი, მაგრამ მტკიცე გულისანი. რისა გვეშინია, შევიერთოთ, ჩვენსკენ გადმოვზნიქოთ, გადმობირებით რას წავაგებთ, — გაამაგრა ქარცივაძემ ფილიპეს ნათქვამი.

სხვანიც დაეთანხმენ:

— ფრაქციათა უთანხმოებამ 1905 წლის რევოლუციაში ზიანი მოგვიტანა, — გაიხსენა ხომერიკმა.

— ისტორიას ნუ ვივიწყებთ, შინაპარტიულმა უთანხმოებამ, ორ ფრაქციათ განხეთქილებამ დიდი ზიანი მიაყენა რევოლუციურ წინსვლას, — გულისტკივილით გაიხსენა ფილიპემაც. — ლაპარაკიც არ უნდა, შინაური შეუთანხმებლობა სასტიკად ვნებს რევოლუციურ მოქმედებას.

— ფილიპე მართალს ამბობს! — აჰყვა ვალიკო ჯუღელი.

— რევოლუციამ თავისი საქმე გააკეთა, საკმარისია. ჩვენ რევოლუციონერები ვართ. სოციალიზმი კარგი რამაა, ვემხრობით, მაგრამ ნუ გადავყვებით! ახლა მასზე ფიქრი უგუნურობაა, — აბულბულდა ნოე ხომერიკი.

— სოციალისტური რევოლუცია მხედველობაში უნდა ვიქონიოთ მხოლოდ როგორც მიზანი, როგორც ისტორიული პერსპექტივა და არა უშუალო პრაქტიკული ამოცანა, — ჩამოკაკლა ნოე ჟორდანიამაც.

— ასეთ სოციალიზმზე უარს ვინ გეტყვით, ყველა შემთანხმებელი პარტია გამოგყვებათ — სოციალ-შოვინისტიც და წვრილბურჟუაზიულიც, — შეუბღვირა ტიტე ცამიწაძემ.

— ლვოვიც, გუჩკოვიც, მილიუკოვიც, რუსეთისა და განაპირა კუთხეების ყველა ჯურის სოციალისტიც, — მწარედ დაუმოწმა ქავთარაძემ.

გაჰყვნენ კიდეც: დაშნაკებმაც ხმა მისცეს და მუსავატელებმაც კილო აუწყეს.

ბოლშევიკები ამგვარ ღალატს წინ აღუდგნენ და თვალი ბაქოს პროლეტარიატს მიაპყრეს.

მაგრამ ისინიც კერენსკისა და ჩხეიძის მიმხრობამ ააბნია და ბოლშევიკ-მენშევიკების შეერთებას მიემხრნენ.

უცნაური მდგომარეობა შეიქმნა. საქართველოში ბოლშევიკები მენშევიკების მეთაურ ნოე ჟორდანიასთან შეთანხმებას ეწინააღმდეგებოდნენ. პიტერში კი წერეთელი და ჩხეიძე მემარჯვენე ესერ ჩერნოვთან ერთად პეტერბურგის საბჭოს შეთანხმებისაკენ წარმართავდნენ. მათი პოზიცია იმის საპირისპირო იყო, რაც საქართველოში ხდებოდა.

— მოვიცადოთ, ლენინი იტყვის თავის სათქმელს! — თავს იმშვიდებდნენ ბოლშევიკთა ფრაქციაში ზოგ-ზოგები.

ამის მოლოდინში კი თბილისის ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორივე ფრაქციის გამაერთიანებელი კრება შედგა და ამიერკავკასიის მუშათა დეპუტატების პირველი ყრილობაც მოჰყვა, კრებას ნოე ჟორდანია თავმჯდომარეობდა, სტეფანე შაუმიანი კი მოადგილე იყო. კრებამ მიიღო რეზოლუცია ჟორდანიას მოხსენების გამო, მაგრამ ყველამ როდი აიტაცა. შემთანხმებლები გაჰყვიროდნენ:

„ამიერკავკასიის მუშათა დეპუტატების საბჭოს პირველი ყრილობა უახლოეს პოლიტიკურ მიზნად ისახავს დაიყვანოს რევოლუცია დემოკრატიულ რესპუბლიკამდე“.

— მაგრამ ვინ დაიყვანს, ვინ იბრძოლებს, ვინ იმოქმედებს, ვის ავალებს ეს რეზოლუცია?!

„ამ ბრძოლაში ორგანიზებულ პროლეტარიატს, რომელიც იმოქმედებს იმ რევოლუციურ და ოპოზიციურ კლასთან ერთად, რომელიც იმავე ძირითად მიზნისკენ, დემოკრატიული წყობილებისაკენ მიილტვისო". ამიტომ, „დგანან რა ბურჟუაზიული წყობილების ფარგლებში მუშათა და ნაციონალური საკითხის გადაწყვეტის ნიადაგზე, კვლავაც იბრძოლებენ მიწების კონფისკაციისთვის ხალხის სასარგებლოდ, პროლეტარიატის ყველა რევოლუციური და ოპოზიციური ძალების ერთიანობის შესანარჩუნებლად, ყველა დაინტერესებული მხარეებისაგან მოითხოვს ეკონომიკური და სხვა კონფლიქტების მოგვარებას მომრიგებელი კამერების დაარსებით, სადაც ეს შესაძლებელია".

— მაგრამ თუ თვითმომრიგებელმა კამერებმა რევოლუციური პარტიები და ოპოზიციური ძალები ვერ მოარიგეს, ვიღამ გადაჭრას მათი ეს ეკონომიკური საკითხები?

მაშინ:

„— საბოლოო გადაწყვეტილებისათვის აღნიშნული საკითხები წარედგინება დამფუძნებელ კრებას".

— თუ არც დამფუძნებელი კრება აღმოჩნდა ამის შემძლე?

„— წინასაარჩევნო კამპანიაში მუშათა კლასი გამოვა მთელი თავისი საპროგრამო მოთხოვნების გაშლილი დროშით".

ასეთი იყო „უახლოესი ამოცანების გამოცხადებით და დროშის გაშლით" დამთავრებული რეზოლუცია, რომელშიც ყველაფერი ითქვა შეთანხმებისათვის — დაპირებისა და მერე შეუსრულებლობისათვის.

ძნელი იყო დაჯერება, რომ ბურჟუაზიული წყობილების პირობებში გლეხებს დაურიგდებოდათ მიწები.

ტყუილი იყო, რომ მიწის მიცემაზე უარის მთქმელი მემამულენი დაზავდებოდნენ მომრიგებელი კამერების ლოცვა-კურთხევით.

ფუჭი დაპირება იყო, რომ ყბადაღებული დემოკრატიული რევოლუციის შიშით შეკავშირდებოდნენ ბატონები და მონები, მგლები და ცხვრები.

რაღას იძლეოდა ასეთი აბნეულ-დაბნეული რეზოლუცია, თუ არა რევოლუციით დაუინტერესებელი და დაშინებული მხარეების ერთმანეთისადმი უნდობლობის დამფარავ პირფერობას? — გამოკვანძა ქავთარაძემ ეორდანიელთა ნაქადაგარი და განავრცო, — მხოლოდ

მშრომელი მასების მოტყუების გუმანს, მხოლოდ რევოლუციური მონაპოვარის შემძლე კლასების ხელში ჩაგდების ანგარებას.

მაგრამ მაინც გაიმართა ყრილობა და რეზოლუციაც მიიღო, რომელსაც არც ერთი მხარე არა თვლიდა ისეთად, როგორც მისი გარეგნული იერი ღაღადებდა — სახეზე დემოკრატიულობის ფირნიშს იკოავდა, არსით კი საწინააღმდეგოს ფარავდა. ეს იყო რევოლუციური ტალღის რეაქციისაკენ შებრუნება, და ახლა ყველაფერი იმაზე იყო დამოკიდებული, ვინ როგორი ძალით გაიწევდა თავისკენ, მარტო ერთი ბურჟუაზია თუ ვერ მოერეოდა, მეორე, ცარისტული წყობის მოწადინე ფეოდალთა კლასსაც მმართველობის უღელში გამოაბავდა და ორნივ ერთგულად გაწევდნენ ჭაპანს რევოლუციის მძიმე უღის ლაფში ჩასაფლობად და თავად შარა გზაზე გასულები სულაც უპატრონოდ მიაგდებდნენ, თვითონ ჩქარი მატარებლის კუპეში ნებივრად გაწვებოდნენ და პეტროგრადში ჩამოხდებოდნენ. იქ კი, კერენსკისა და ჩხეიძეს ჩაეხუტებოდნენ და სოციალისტურ რევოლუციაში გადაუზრდელობის საქმეც დამთავრდებოდა.

მაგრამ მაინც საკითხავია, რად მიიღო ამიერკავკასიის მუშათა დეპუტატების პირველმა ყრილობამ ასეთი უსახური რეზოლუცია, ტყუილისა და მზაკვრულობის ნარევი?!

იმიტომ, რომ თვით ყრილობა იყო არა იმათი, ვისი სახელითაც შეიკრიბა, და არც იმათი, ვისაც უნდა ეთავკაცა ყრილობის წარმართვისათვის. სიტყვით შრომის ადამიანებს ეჭომაგებოდნენ, საქმით კი ზურგს უკან ხანჯალს ულესავდნენ. კიდევ იმიტომ, რომ ყრილობა თითქმის მთლიანად „ობორონცელებისაგან“ შედგებოდა და რაკი პეტროგრადში კერენსკისა და წერეთელის, ჩერნოვისა და ჩხეიძის ლოცვა-კურთხევაც არ აკლდათ, ამ სიახლოვით გათამამებულ ყორდახიას მიმდევრებს წინ რა დაუდგებოდათ.

ამ ადამიანებს ბოლშევიკების მცირერიცხოვანი ჯგუფიღა უძალიანდებოდა, მაგრამ საქმე ის იყო, რომ ამ ჯგუფის ხელმძღვანელ შტაბს, რევოლუციის წინახანში, 1916 წლის 18 აგვისტოს ღამით, ფუნიკულორზე გამართულ კრებაზე ერთიანად ხელი მოუსვეს და თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსს, პოლკოვნიკ პასტრულინს ჩააბარეს.

იმ გამცემლის ძებნა-აღმოჩენა მომავლის საქმე იყო, მაგრამ დაკვირვებული თვალი და გუმანი როდისმე მაინც დაადგენდა ვინც

იყო ციხის შიგნიდან გამტეხი. ძმადნაფიცობაში ყველას მოღალატე ისკარიოტელი.

ახლა კი მთელი პარტიის გადარჩენა იდგა თავიდათავ საბრუნავად და მენშევიკებთან შეთანხმებული პოლიტიკის მოჩვენებითობის გაქრობაც.

ნოე ჟორდანია შორს იყურებოდა: ნოე ხომერიკი დესპანად მიუგზავნა ბოლშევიკებს — შეეერთდეთო.

რატომ აძალებდა?

— იმიტომ რომ იცოდა, ბოლშევიკები თავის დასაკლავ დანას მენშევიკებს არ გავალესინებთ, — მიუხვდა ჩანაფიქრს ტიტე.

ქავთარაძეც მიუდგა:

— მუშებსა და გლეხობას ჩააგონებდნენ, — ხედავთ, ბოლშევიკები რევოლუციის მონაპოვარის გადმოცემაზე არ მოგვდევენო. მიწა რომ გლეხებს მიეცეთ, არც ამაში მოგვყვებიანო! მუშებმა დემოკრატიულ რესპუბლიკას გაამარჯვებინეს, ბოლშევიკებმა კი თვით მუშებზე პარტიის ბატონობა განიზრახესო. ჩვენ კულტურულ-ეროვნულ ავტონომიას ვთავაზობთ, ისინი კი შორს იჭერენ თავსო, რაღაც განუხორციელებელ ერთა თვითგამორკვევას ნატრობენ, თანაც ისეთი შენიშვნებით, რომ ერის თვითგამორკვევის ბურტყლიც აღარ დარჩებაო.

— დიდი დემაგოგები არიან, უბედურები, — მოსჭრა ცამიწაძემ.

— მათი ტყუილების ფანდმა მაინც გასჭრა, — წარმოთქვა ქავთარაძემ.

— მართლაც!

მენშევიკების ზეგავლენამ ბევრი მიიმხრო და ყრილობაც მრუდე გზას გაჰყვა. ბოლშევიკები გააფთრებულ წინააღმდეგობას უწევდნენ, მაგრამ ზოგნი თავსაც ხრიდნენ.

ერთადერთი იმედი ახლა, ამ გართულებულ ვითარებაში ლენინი იყო და იმის დაძახილს ელოდნენ.

ეს დღეც დადგა.

1917 წლის სამ აპრილს პეტროგრადის მატარებელი ფინეთის სადგურზე ჩამოდგა. ემიგრაციიდან დაბრუნებულ ლენინს შეეგება რუსეთის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე:

— იმედია, ჩვენთან ერთად იქნებით, ვლადიმერ ილიჩ!

ლენინმა ჭერს ახედა, მერე ვაგზლის „მეფის ოთახიდან" მოედახ-

ზე გავიდა, ჯავშნოსანი ავტომანქანის ქონგურზე შედგა და შეკრებილ პეტროგრადელებს მიმართა:

— გაუმარჯოს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის გადაზრდას სოციალისტურ რევოლუციაში!..

„ვაშა!“ — აგუგუნდა ვაგზლის მოედანი და ეკომ თბილისშიც ჩამოაღწია.

ქართველმა ბოლშევიკებმა მენშევიკებთან შემთანხმებლობის მოწადინე ფილიპე მახარაძე პეტერბურგს გაუყენეს აპრილის კონფერენციაზე ლენინის რჩევა-დარიგების მოსასმენად, ხოლო იქიდან შინდაბრუნებული თითქოს მეორედ დაიბადა. 1917 წლის მაისში თბილისის ბოლშევიკური ორგანიზაციის გაფართოებულ კრებაზე მტკიცედ აღიარა:

„— სამი თვის წინათ, ჩვენ მოგიწოდებდით დაგვიწყებინათ ყოველივე წარსული, მენშევიკურ პარტიასთან ერთ პარტიაში შერწყმულიყავით! მაგრამ ცხოვრებამ დაგვანახა, გამოცდამ გვიჩვენა, რომ ვცდებოდით!.. ჩვენ დღემდე შევინახეთ ჩვენი პარტიული სახე ჩვენი იდეური ორგანოს „კავკაზსკი რაბოჩის“ საშუალებით. ჩვენ გვინდა ჩვენი საკუთარი ორგანიზაცია“.

ითქვა და გაკეთდა კიდეც. ბოლშევიკების მენშევიკებთან თუნდაც ფორმალურად, დროებით გაერთიანებას, საბოლოოდ მოეღო ბოლო. ორ ფრაქციას შორის ბრძოლა კიდევ უფრო სამკვდრო-სასიცოცხლოდ გაგრძელდა!

ჟორდანიამ ხმა უფრო აღიმაღლა. კლასობრივ და ეროვნულ პრობლემებს ერთნაირად ღალატობდა. სოციალისტური რევოლუცია ხომ სამერმისო ოცნებად გადასდო, — ერთა თვითგამორკვევის ბოლშევიკების ქადაგებაც კი მავნედ გამოაცხადა:

— ჩვენი თვითგამორკვევა დღესაც ისეთია, როგორც იყო ასი წლის წინათ! ამ მხრით ჩვენ ვერ წავედით შორს ჩვენს წინაპრებთან შედარებით. დღესაც იმასვე ვფიქრობთ, იმასვე მოვითხოვთ: უნდა დავრჩეთ რუსეთის ჩარჩოებში და მოგვეცეს შინაური თვითმართველობა! განსხვავება მხოლოდ იმაშია, რომ მაშინ ამ თვითმართველობის მეთაური და ბჭენი იყვნენ ქართველი მეფეები, დღეს კი მათი შემცვლელები ჩვენ ვართ!..

— შენი მიკვირს, ტიტე, მთელი ყმაწვილკაცობა ლამის შფოთიანობაში გაგიტარებია. ახლა რა დაგემართა, — მშვიდობიან ბრძოლას ქადაგებ?! — უსაყვედურა ლონგინოზმა და ალბათ ასეთი გააყოლა, რომ კითხვას პასუხიც მოჰყოლოდა და გულს მალამოდ მოსცხებოდა.

ტიტემ თვითონ უკეთ იცის, — ძალამ იქ უნდა იქუხოს, სადაც მოწინააღმდეგის დაყოლება ყუჩე ხმით არა ხერხდება და იქ იყუჩოს, სადაც რჩევის მჭევრმეტყველება ძალადობას ერევა.

მშვიდობა ცხოვრების სიკეთეა. ძალდატანება მაშინ სჭირს, თუ მოპირისპირეს ქვა აუგდია და თავი შეუშვერია, ან გონება ბორიალობს, ვიწროებში გავლის ნაცვლად ხევ-ხუვების გახერგვა-გარღვევას ირჩევს, მაგრამ მძიმედ გატეულს მუხლის თავები ეკაწრება, სისხლით იცლება, ძნელად გადასახტომ უფსკრულს ჩაითავებს და სათუოზე გასული ნებიერად ცას შესძახებს — „ესეც მე და ჩემი ბიჭობაო!“.

ტიტე ახლა იმას აღარა ჰგავს, რითაც ქუთაისის სემინარიაში ერჩეოდა ტოლებში. მაშინ შფოთის თავი იყო და წინამძღოლობასაც აკისრებდნენ, ახლა თხუთმეტი წლის შემდეგ, კიდევ უფრო გამოირჩევა მშვიდი სიმტკიცით, ცხოვრებას გაუწვრთნია და დაუბრძენებია.

რატომ არ გაჰყვეს მშვიდობიან გზას, თუ მიზანს უჩხუბრადაც მიაღწევს, მაუზერის გაშიშვლება და მუშტის მოღერება ადამიანებს ისე ვერ აჯერებს ტყვიისა თუ დენთის ძალაში, როგორც სიტყვით ნასროლი ჭეშმარიტება, მაგრამ ამისათვის ჯერ საკუთარი თავის დაჯერებაა და მერე სხვების დაყოლიებაც: სიტყვა მაგიურია. ამას მიხვდა მაშინ, როცა პოლიტიკურად მომწიფდა, მოაზროვნეთა ნაწერები გონებაში ჩაიწურა, თავის ნამოქმედარს შეუჯერა და მშვიდად განსაჯა — სად სცდებოდა, სად არა.

ტიტეს გაახსენდა მარქსის სიტყვები: „ძალმომრეობა რევოლუციურ როლსაც ასრულებს!“ ენგელსის ნათქვამიც: „კონსტიტუციური გზით შეიძლება გააკეთო ყველაფერი, რაც გნებავს, თუ შენთანაა ხალხის უმრავლესობა“.

— მაშასადამე, მშვიდობიანი გზით?!

— რატომაც არა! რევოლუცია უსისხლო ბილიკებსაც იძიებს. ბრესტის ზავმაც, თავის დროზე, ეს მიზანი დაისახა და ნაყოფი მო-

იმკა. კაიზერის აფოფრილ შფოთისთავობას თათები გადაუკვნიტა და რუსეთზე წამოსულ გერმანიასაც ჭირი მოაშორა. ლენინს ახლაც შესაძლებლად მიაჩნია ქართველების მიერ ძალაუფლების აღება მშვიდობიანი მოძახილით, მაგრამ მენშევიკების მთავრობა ჯიუტობს, შფოთის ფაცერს აგებს. ჟორდანიამ ცივი უარით გვიპასუხა სამშვიდობო კავშირზე. დამფუძნებელ კრებაზე ყოყოჩად აქადაგდა და მერეც იგივე გაიმეორა:

— საომარი კავშირი შემოგვთავაზა საბჭოთა რუსეთმა. ჩვენ გადაჭრით უარი ვუთხარით!

ორჯონიკიძემ კიროვთან ერთობლივი წერილით ათიოდე დასაბუთება გაუგზავნა ლენინს:

— მეფის კონტრრევოლუციას თბილი ბინა დაუდო თბილისში; დენიკინის „მოხალისე არმია" შეიფარა და ვრანგელის დესანტსაც შავი ზღვიდან შეეწია; საბჭოურ აზერბაიჯანს უმუხთლა და 26 ბაქოელი კომისარი სასიკვდილოდ გასწირა: მეზობელი სომხეთი დაამშია — რუსეთის პურის ვაგონები არ გაატარებინა თავის ტერიტორიაზე; თავად კი თურქეთის ყურმოჭრილ მონად იქცა, კარისკაცადაც დაუდგა გერმანიის, ინგლისისა და საფრანგეთის ოკუპანტ-გენერლებს; რევოლუციურ რუსეთის მოსაზღვრემ დუშმანური ნეიტრალიტეტით პალოზე დააბა მთელი ჩვენი მეთერთმეტე არმია და ამითაც შეეშველა თეთრი პოლონელების შემოჭრა რუსეთის შუაგულში. მენშევიკურმა მთავრობამ საკუთარი ერის ინტერესებიც გაჰყიდა — უარი თქვა ბრესტის ზაკათ საქართველოსათვის მიკუთვნებულ არდაგანის, ართვინის, ბათუმის ოლქებზე თურქეთის საამებლად; ბათუმს კი ბრიტანეთის პორტად აცხადებს ანტანტის ჯარების თავისუფლად გადმოსასხმელად რევოლუციური რუსეთის ზურგში.

ორჯონიკიძემ ქვეყნის შინა მდგომარეობაც აღწერა:

— მენშევიკებმა ცეცხლითა და მახვილით დათრგუნეს საქართველოს მოსახლეობა, ოსების აჯანყებულთა სოფლები გადაწვეს, სარჩო-საბადებელი გადაუბუგეს, ციხეები გადატენეს, ხალხს ხსნის იმედი გადაუწყვიტეს. ასეთ პირობებში იატაკქვეშეთში გადასული ქართველი ბოლშევიკები თავისი ძალებით ვერ შეძლებენ ტირანიის მოშორებას, რუსეთის დახმარებას საჭიროებენ, — ავტორები ლენინს შემწეობას სთხოვდნენ, არწმუნებდნენ. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლებისთვის ყველა პირობა არსებობს, დროს ნუ გავუშვებთ ხელიდანო.

ლენინი მაინც მშვიდობიან გზას ირჩევს. საბჭოთა რუსეთმა საქართველოს მენშევიკურ მთავრობას საგანგებო ნოტით მიმართა 1920 წლის 6 იანვარს:

« — რუსეთის მუშებისა და გლეხების გმირული ძალით შექმნილი წითელი არმია იუდენიჩისა და კოლჩაკის დამარცხების შემდეგ გამანადგურებელ დარტყმას აყენებს მეფის გენერალ დენიკინის თეთრგვარდიულ ბანდებს».

ამიტომ:

« — რევოლუციური რუსეთის მთავრობა მიმართავს საქართველოს წინადადებით, დაიწყოს დაუყოვნებლივ მოლაპარაკება საბჭოთა მთავრობასთან ორივე სარდლობის მხრივ სამხედრო შეთანხმების დადების შესახებ, რომლის მიზანია ერთობლივი ძალით სასწრაფოდ გაანადგუროს სამხრეთ რუსეთის თეთრგვარდიული არმიები. საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია მიუთითოს, რომ სამხრეთის კონტრრევოლუცია წარმოადგენდა და წარმოადგენს დაუძინებელ მტერს არა მარტო რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკისა, არამედ ყველა მცირე ხალხებისა, რომლებიც ყოფილ რუსეთის იმპერიაში შედიოდნენ. დენიკინი არა მარტო მტერია რუსი, არამედ ქართველი და აზერბაიჯანელი მუშის და გლეხისა. ჩვენ დარწმუნებული ვაოთ, რომ საქართველოს და აზერბაიჯანის მუშები და გლეხები მასში მტერს ხედავენ. ჩვენ იმაშიც დარწმუნებული ვართ, რომ ისინი მოუთმენლად ელიან იმ დღეს, როცა თეთრგვარდიელი მიჯნები საბჭოთა რუსეთსა და კავკასიას შორის დანგრეული იქნება და აღსდგება ურთიერთობა იმ ხალხებისა, რომლებიც წინათ ერთი სახელმწიფოს ფარგლებში ცხოვრობდნენ».

ნოტამ მოუწოდა ორივე მხარეს:

«საჭიროა დავაჩქაროთ ეს მომენტი. საჭიროა დარტყმას, რომელსაც დენიკინს აყენებენ ჩრდილოეთიდან რუსეთის მუშები და გლეხები, შევუერთოთ საქართველოსა და აზერბაიჯანის მუშებისა და გლეხების შეიარაღებული დარტყმა. ჩვენ მივმართავთ საქართველოსა და ქართველ ხალხს მოწოდებით — დაიწყონ ბრძოლა დენიკინის წინააღმდეგ».

ნოე ჟორდანია საწინააღმდეგოს ადგას. ყველას სამეგობრო ხელს უწვდის. ვისაც კი გული არ მიუდის რევოლუციურ რუსეთზე და ამაში ხედავს თავის ხსნას, — ერთნაირი ხალისით ეკიდება მეგობრობას თურქეთთან, გერმანიასთან, ინგლისსა და საფრანგეთთან,

იტალიასთანაც — ყველასთან, ვისაც დასავლეთის იმპერიალისტებად იცხობს, მაგრამ მაინც ამჯობინებს აღმოსავლეთის ფანატიკოსებს.

სერგო ორჯონიკიძე ჟორდანიას მზაკვრობას უმინდება და საქართველოს საზღვრებზე დაბანაკებულ მეთერთმეტე არმიას შესატევად აწყობს. ხვდება ანტანტის ბოროტ ჩანაფიქრს, — თვითონ ვითომ ხელი აიღო საბჭოთა ქვეყნის ინტერვენციაზე, მაგრამ წააქეზა პოლონეთი რუსეთზე შესატევად. გენერალ პილსუდსკიმ ერთბანს რიბითაც შეუტია წინწავარდნილ წითელ არმიას და უკრაინისა და ბელორუსიის დიდი ნაწილიც მიიტაცა. კიევი აიღო და უფრო ღრმადაც მოიწევს. ყირიმში ვრანგელიც გამოცოცხლდა და თავისი არმია ყუბანშიც გადმოსხა. ასეთ ვითარებაში ორჯონიკიძის მიერ კავკასიაში აბალი ფრონტის გახსნა წინდაუხედაობა იყო, მაგრამ ვერ აჯერებდა ლენინს. მერე პირდაპირ მავთულთან სტალინი მივიდა და ორჯონიკიძე გააფრთხილა:

— ცეკა გავალებს მიიღო ყველა ზომა ჯარის ნაწილების რუსეთისა და აზერბაიჯანის საზღვრებთან გასაყვანად, უარი თქვა საქართველოს წინააღმდეგ ყოველგვარ შეტევით მოქმედებაზე!

ორჯონიკიძე უსმენს, შინაგანად არ ეთანხმება.

სტალინი ამასაც მიუხვდა და კატეგორიულად დააყოლა:

— მე მოვედი აპარატთან, რომ გავიმეორო ცენტრალური კომიტეტის ეს მოთხოვნა!

მერე მშვიდი ხმით გააგონა:

— მხედველობაში მიიღე, რომ ცენტრალური კომიტეტის ეს მოთხოვნა ნაკარნახევია საერთაშორისო მასშტაბის ახლანდელი ვითარებით!

ლენინი კვლავ რევოლუციის გამარჯვების მშვიდობიან გზას ადგას და სწუხს, რომ მისი ეს ჭეშმარიტი გეზი ორჯონიკიძემ მთელი შინაგანი რწმენით ვერ აღიქვა. თუმცა შესრულებაზე უარს არ ამბობს ლენინის ნათქვამი და ნააზრევი 1920 წლის 4 მაისის პოლიტბიუროს ოქმში ჩაიწერა:

— ამჟამად მუშურ-გლეხური მთავრობის ცენტრალური ამოცანაა ბრძოლა პოლონეთის ფრონტზე. ქვეყნის მთელი ძალები და საშუალებანი გამოყენებულ უნდა იქნას სრული და სწრაფი გამარჯვების მისაღწევად.

ორჯონიკიძემ კი წინადღით ლენინს აუწყა, რომ საქართველოში აჯანყებისათვის ყველა პირობა მომზადებულია, დაჰპირდა, კიდეც:

— არა უგვიანეს 15 მაისისა, ვიმედოვნებ, ვიყო თბილისში!..

მერე ახალი დეპეშაც გააყოლა:

— მეორედ გპასუხობთ: ამბები ისე ვითარდება, რომ არაუგვიანეს თორმეტი მაისისა ვიმედოვნებთ, ვიყოთ თბილისში, ამისათვის ყველაფერი გაკეთებულია, ბრწყინვალედ გამოვა, საკითხის სხვანაირი გადაჭრა გამოიწვევს აჯანყებულთა საშინელ ამოჟლეტას!

ლენინმა ორჯონიკიძის ორივე დეპეშა პოლიტბიუროს სხდომაზე განიხილა და უმალვე პასუხი გასცა. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიურომაც 4 მაისს სავსებით მხარი დაუჭირა ლენინის გადაწყვეტილებას და ორჯონიკიძეს შიფრით კატეგორიული უარი გაეგზავნა:

„ცენტრალური კომიტეტი გავალებთ თავი შეიკავოთ საქართველოზე შეტევისაგან! თბილისთან მოლაპარაკების შემდეგ ცხადია, რომ საქართველოსთან ზავი გამორიცხული არ არის! დაუყოვნებლივ გვაცნობეთ მთელი უზუსტესი ცნობები აჯანყებულთა შესახებ. ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს დავალებით ლენინი, სტალინი“.

ორჯონიკიძე განცვიფრებული დარჩა, მაგრამ კიროვმა დააცხრო. ორივემ თავიანთი ხელმოწერით ლენინს აღუთქვეს:

— თქვენი ბრძანება ზუსტად იქნება შესრულებული!

თან მოთხოვნილ კითხვაზეც პასუხი დაურთეს:

„საჯანყებო რაიონებია: სამხრეთ ოსეთი, დუშეთის მაზრა, ლაგოდეხი, აფხაზეთი და ფოთი. მთელი ქუთაისის გუბერნია. საზღვრებთან ჩვენი მიახლოებისას აჯანყება აღნიშნულ რაიონებში გარდუვალია“.

ბოლოს დაუფარავი გაკვირვებით თვითონაც შეეკითხნენ:

„რას გვიბრძანებთ გავაკეთოთ — დავუჭიროთ მას მხარი თუ არა?“.

ორჯონიკიძისა და კიროვის პასუხმა კიდევ უფრო დააეჭვა ლენინი, სერგოს სიფიცხე იგრძნო და სერგეის თანდაყოლაც იცნო, რაკი ეს ახალი აჯანყებაც ისე იყო „ყოველმხრივ მომზადებული“, როგორც წინა, 1919 წლის 24 ოქტომბრის აჯანყება, მოულოდნელი ბარცხით რომ დამთავრდა და მრავალი ბოლშევიკი ხელმძღვანელის სიცოცხლე შეიწირა. ლენინმა ამჯერადაც კიდევ უფრო უარყოფითად უპასუხა კავბიუროს ორივე წევრის ერთობლივ დაჟინებით მოთხოვნას:

— ეს ძირშივე ეწინააღმდეგება ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებას, შეიძლება დამღუპველი შედეგი ჰქონდეს! ცეკა აოავითარ შემთხვევაში არ იძლევა ნებას! კატეგორიულად მოვითხოვთ შესრულების შეჩერებას და გადაწყვეტილების შეცვლას!

კავბიუროს ორივე წევრმაც კარგად იცოდა, რა მთავარსა და უაღრესად მნიშვნელოვან მოტივებს უდებდა ლენინი ორჯონიკიძისეული გადაწყვეტილების მიუღებლობას, სმენოდათ პოლონეთის ფრონტისა და ვრანგელის იმდროინდელი შეტევის საშიშროებაც, მაგრამ იმ თვალსაწიერით ვერ ხედავდნენ. რაც ლენინს ხელისგულზე წარმოეჩინა.

ორივენი პერიფერიაში ჩარჩენილნი სუბიექტური რჩებოდნენ რევოლუციის ბედის მიმართ და თუმცა ჰმორჩილობდნენ ცენტრის მითითებას, მაინც უკმაყოფილების გრძნობით იმუხტებოდნენ, ხელს უშლიდნენ საქართველოს მენშევიკური მთავრობის მიმართვას საბჭოთა რუსეთის მთავრობისადმი დადებულიყო საზავო ხელშეკრულება, რომელიც გამოასწორებდა დაძაბულ მდგომარეობას რუსეთსა და საქართველოს შორის, მაგრამ ამაშიც ჟორდანიას მზაკვრულ მანეკრს ხედავდნენ.

ლენინს ამის ცნობაც მიღებული ჰქონდა და მიაჩნდა, რომ პილსუდსკისა და ვრანგელის ორმხრივი შეტევის ვითარებაში საქართველოსთან სამშვიდობო ზავის შეკვრა სასარგებლო იქნებოდა, მოსკოვი რამდენიმე დივიზიას გამოითავისუფლებდა ყუბან — პოლონეთის ფრონტებზე გადასასროლად და საქართველოს დამოუკიდებლობის ცნობითაც საქვეყნოდ აღიარებდა ერთა თვითგამორკვევის კეთილი ნების დამცველობას, რაც არა ნაკლებ გამარჯვებას მოუტანდა საბჭოთა მშვიდობიან პოლიტიკას, ვიდრე თუნდაც იარაღით მოპოვებული გამარჯვება, რომელიც უმოწყალოდ ღლიდა ხალხსა და ჯარს, ანელებდა დანგრეული მეურნეობის აღდგენას და აყოვნებდა ხალხის მშვიდობიან ცხოვრებაზე გადასვლას.

ორჯონიკიძე მაინც ვერ ელეოდა შეიარაღებული აჯანყების თავისეულ გეგმას და შეგნებულად აყოვნებდა დემოკრატიული რესპუბლიკის დესპანის გრიგოლ ურატაძის მოსკოვში გამგზავრებას, რომელსაც საგარეო საქმეთა მინისტრის ევგენი გეგეჭკორის სრული რწმუნება ჰქონდა მიღებული იმის საფასურად, რომ საბჭოურ რუსეთს ეცნო მენშევიკური საქართველოს დამოუკიდებლობა, ეხსნა უცხოელი ოკუპანტების გათავხედებული პარპაშისაგან.

ლენინს დიდად ეჩქარება ურატაძის მოსკოვში ჩასვლა, მაგრამ ორჯონიკიძემ უდეპეშა;

— ეს-ესაა როსტოვში ჩამოვიდა ლონჟიუმოს პარტიული სკოლის ყოფილი მოწაფე, მენშევიკი გრიშა ურატაძე! თუ მოიგონებთ ეს ისაა, სახელი რომ გაითქვა თქვენთან აღმოსავლური ეშმაკობით!.. მისთვის გეგეჭკორს კარტ-ბლანში მიუცია. სურს გამოემგზავროს მოსკოვში თქვენთან. ვფიქრობ, ეს არაფრის მაქნისია!

ლენინი, საქართველოს წარმომადგენელთან მოლაპარაკებას დიდ სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას აძლევს! კავბიუროს კი ადგილობრივი ხასიათის სამხედრო ოპერაციამდე დაჰყავს! საქართველოსათვის ნაკარნახევი შეიარაღებულ აჯანყებაზე უფრო მეტ იმედს ამყარებს, ვინემ დასავლეთის ფრონტზე პოლონელების საშიშ გამორღვევის მოგერიებაზე, რომელსაც ანტანტის სახელმწიფოები საბჭოთა რუსეთის დამარცხების დასაწყისის პირველ დღედ მიიჩნევდნენ. ლენინი ვერ ითმენს მენშევიკების მთავრობის წარმომადგენლის გზად დაყოვნებას და ორჯონიკიძეს არა მარტო ახსენებს ურატაძის დროულად ჩაყვანას, არამედ დამტუქსავადაც ავალებს, — იჩქარეო!

ორჯონიკიძემ კი კავკასიის რევოლუციურ საბჭოს შესთავაზა საპასუხო დეპეშის ტექსტი და ტელეგრაფმაც უმალ ჩაიტანა ავტორიტეტული ორგანოს შუამდგომლობა. ლენინს მოახსენეს:

— ორჯონიკიძე გთხოვთ, ვლადიმერ ილიჩ, ურატაძის შესახებ ნუ იჩქარებთ!..

ლენინმა პასუხად განმეორებით მოსთხოვა ორჯონიკიძეს დეპეშით ეპასუხა, რატომ აჭიანურებდა ურატაძის მოსკოვში ჩაყვანას? მერე ყველა ეს დეპეშები სტალინსა და ჩიჩერინს გადასცა კონტროლზე ასაყვანად და ორჯონიკიძეს დაავალა სასწრაფოდ ეცნობებინა დემოკრატიული საქართველოს დესპანის გამოუმგზავრების მიზეზი:

— განმეორებით გთხოვთ ნურც ერთ წუთს ნუ დაკარგავთ და რაც შეიძლება სწრაფად გვაცნობეთ ვადის გადაწევის შესახებ თქვენი დეპეშის მოტივები!

ამ დეპეშასაც ლენინი და სტალინი აწერდნენ ხელს.

ორჯონიკიძეს არ უნდოდა ეთქვა ურატაძის გამგზავრების გაჭიანურების თავის ჩანაფიქრზე, არადა, ლენინი ფხიზლობდა! ამიტომ კავკასიის ფრონტის რევოლუციური საბჭოს წევრს სმილგას საჩქაროდ მისწერა ლენინის დასაყაბულებლად:

„— ილიჩი მეორედ კითხულობს ურატაძის გამგზავრების გაჭიანურების მოტივების შესახებ! მე ეს-ესაა გადავეცი ილიჩის სასელზე ერთი პატარა დაშიფრული დეპეშა. იქვეა დიდი დეპეშა, რომელიც შეიძლება გამოყენებულ იქნას პრესისათვის“.

მერე სმილგას საქართველოში შეიარაღებული აჯანყების თავისი გეგმის განხორციელების საჭიროება შეახსენა და, როგორც კავბიუროს წევრს, კიროვის სახელის მიშველიებითაც სმილგას სთხოვა:

— შენი მხრივ მხარი დაუჭირე ილიჩისადმი ჩვენს განცხადებას ამ საკითხის შესახებ! დამერწმუნე, ბრწყინვალედ გამოვა.

სმილგასაც სმენოდა ლენინის წინააღმდეგობის მოტივები, მაგრამ ისიც, როგორც ორჯონიკიძეც, თავისი ფრონტის რევოლუციური სამხედრო საბჭოს ავტორიტეტს საერთო სტრატეგიულ პრობლემებზე მაღლა აყენებს და თავადაც ურჩევს — ორჯონიკიძეს:

— დაჟინებით მოითხოვე, რომ ილიჩმა ხელები გაგვიხსნას!

ორჯონიკიძემ სხვაც იცოდა. ლენინმა დავალება მისცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარ გიორგი ჩიჩერინს დაეჩქარებინა საერთოდ სომხეთთან და საქართველოს რესპუბლიკებთან მშვიდობიანი დამოკიდებულების საკითხებზე მოლაპარაკების დაწყება, ხოლო შემდეგ კატეგორიულად სთხოვდა ადგილიდან დაეძრა ამ პრობლემის გაყინვა.

კიროვი და ორჯონიკიძე იძულებული გახდნენ გზა გაეხსნათ ურატაძისათვის მოსკოვში გასამგზავრებლად, როსტოვში კარგა ხნით დაყოვნების შემდეგ და თან ლენინს მისწერეს ისეთი კურსი მიეღო მოსკოვს, რომ მენშევიკურ მთავრობას ზავის პირობის შედეგად სულაც ხელი აეღო ხელისუფლებაზე და ქვეყნის მართვა-გამგეობა ბოლშევიკებისათვის გადაეცა:

— ჩვენი აზრით, საქართველოსთან ზავის პირობად უნდა იყოს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების უთუოდ გამოცხადების მოთხოვნა! ჩვენი მონაცემებით მენშევიკები მზად არიან ამაზე დათანხმდნენ, მხოლოდ ივაჭრებენ შეუპოვრად.

საკითხის ასეთი დაყენება სრულიად გამორიცხავდა ზავის ფორმას, შეიარაღებულ აჯანყებას, ანდა ძალდატანებით ჯარების შეყვანის ულტიმატუმს უფრო ჰგავდა და, ბუნებრივია, ლენინის ჩანაფიქრს ეწინააღმდეგებოდა. ლენინმა უარყო ასეთი რჩევაც და დავალა საგარეო საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილე ლევ კარახანს ეცნობებინა ორჯონიკიძესათვის:

„წინადადებას ბათუმში ჯარების შეშვების შესახებ, ისევე როგორც მითხოვნას, რომ საბჭოთა ხელისუფლება გამოცხადდეს საქართველოში, ცენტრალური კომიტეტი უარყოფს! ჩვენთვის უფრო ხელსაყრელია, რომ ინგლისელები ბათუმიდან თვითონ ბურჟუაზიულმა საქართველომ გარეკოს, ვიდრე ჩვენი ჯარები შევიყვანოთ ბათუმში და ჩავებათ ინგლისთან ომში. საქართველო ჩვენ გვჭირდება დროებით ბუფერად, რადგან საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იგი უკვე ვეღარ გამოგვადგება ამ როლისთვის! აზერბაიჯანმა ზავი უნდა დადოს საქართველოსთან... მხოლოდ მათ მიერ ნავთობის მიღება ისე უნდა განვახორციელოთ, რომ ყოველთვის ხელთ გვყავდნენ ისინი. ხელშეკრულების თანახმად, ისინი მოვალენი არიან გაწმინდონ ბათუმი ინგლისელებისაგან, და თუ ეს გაჭიანურდა, შეგვიძლია ნავთობსადენი გადავკეტოთ... ეს კი სერიოზული დარტყმა იქნება მათთვის!“

შექმნილ სიტუაციაში, როცა საბჭოთა ხელისუფლებას ანტანტის მახვილი ემუქრებოდა და პოლონეთის შემოტევაც მზადდებოდა, ძალზე მიუღებლად ჩანდა ორჯონიკიძის თხოვნა ლენინისადმი:

— ურატაძეს გამოვგზავნი როსტოვიდან, მაგრამ გთხოვთ ზავის დადების მხრივ მასთან ნუ აჩქარდებით!

ლენინი კი ურატაძის ჩასვლას აჩქარებინებდა, რომელიც ორჯონიკიძეს, როსტოვში დროებით დაკავებული ჰყავდა და ამით აყოვნებდა ზავის დადებას. ამან მოლაპარაკებაში საბჭოთა ქვეყნისთვის ფსიქოლოგიური მარცხის საშიშროებაც გაზარდა. პოლონელები წარმატებებს აღწევდნენ, საქართველოში კი მეამბოხენი ხან ერთ კუთხეში და ხან მეორეში ისეთ ინცინდენტებს ქმნიდნენ, რომ ჟორდანიას მენშევიკურ მთავრობას აშინებდნენ, თითქოს რევოლუციური რუსეთი შეიარაღებულ აჯანყების კურსს აგრძელებდა და საზავო მოლაპარაკებაც ლამის ჰაერში გამოკიდებულიყო.

სტალინი და აბელ ენუქიძე საქმის კურსში აყენებდნენ ორჯონიკიძეს და პირდაპირი მავთულით აფრთხილებდნენ:

— ურატაძეს მოლაპარაკება ჰქონდა გეგეჭკორთან, რომელმაც დაადასტურა მისი მანდატი და უფლება მისცა დადოს ხელშეკრულება, რომელიც შეიცავს საბჭოთა რუსეთის ყველა მოთხოვნას, საქართველოს კომუნისტების ლეგალიზაციამდე!

ლენინის დავალებით სტალინი განუმარტავდა კავბიუროს წევრებს:

— ჩვენი ნაწილებისა და აგრეთვე აზერბაიჯანის ნაწილების ზოგიერთი გამოსვლა რომ არ გვირევდეს კარტს და არ გვიშლიდეს ჩვენი პოლიტიკის გატარებას, ხელშეკრულება უკვე ხელმოწერილი იქნებოდა!

პირველყოვლისა ეს საყვედური „კავბიუროს“ მისამართით იყო თქმული:

— როგორც ჩვენი, ისე აზერბაიჯანის ნაწილების მხრივ საქართველოზე შეტევითი მოქმედება თუ არ იქნება, ჩვენ ხვალვე დავდებთ ხელშეკრულებას საქართველოსთან, — ჩიოდა სტალინი.

ამიტომ ურჩევდა ორჯონიკიძეს:

— როგორც სომხეთის, ისე საქართველოს მიმართ აზერბაიჯანმა უნდა დაიკავოს თავისი ტერიტორიის თავდაცვის უმკაცრესი პოზიცია, მთელი ძალებით დაიცვას საზღვრები, არ გადალახოს მეზობელი სახელმწიფოების საზღვრები!

სტალინი ორჯონიკიძეს განუმარტავდა:

— ის, რასაც შენ ამბობ საქართველოს მთავრობაზე, აბსოლუტურად სწორია, მაგრამ ვითარება ისეთია, რომ... ახლა საქართველოს მიმართ აჩქარების — მისი საბჭოურად გარდაქმნის აზრით — ჩვენ მომხრენი არა ვართ!

სტალინი უაღრესად დიდ მნიშვნელობას აძლევდა ხელშეკრულების იმ მუხლს, რომლითაც ლეგალური არსებობისა და მუშაობის უფლება ენიჭებოდათ ბოლშევიკებს.

— თუ კომუნისტები ლეგალიზებული იქნებიან, საქართველო ისედაც საბჭოთა რესპუბლიკა გახდება, მას სხვა გზა არა აქვს, — მიმართავდა სტალინი პირდაპირი მავთულით ორჯონიკიძეს.

1920 წლის 7 მაისს საბჭოთა რუსეთმა და დემოკრატიულმა საქართველომ ხელი მოაწერეს საზავო ხელშეკრულებას. გაზეთმა „პრავდამ“ ხალხს აუწყა:

„ღამით 7-ზ მაისს საბჭოთა რუსეთის გულში — მოსკოვში მოხდა ყურადსაღები მნიშვნელობის აქტი. საბჭოთა დიპლომატიამ. რომელიც დაუღალავად და განუხრელად იღვწის დაამყაროს მშვიდობა ყველა სახელმწიფოსთან, ვინც ამაზე თავის კეთილ სურვილს გამოთქვამს, ხელი მოაწერა საქართველოსთან საზავო ხელშეკრულებას“.

ლეგალური გაზეთი „კომუნისტი“ პირველსავე ნომერში განმარტავდა მომხდარი მოვლენის უაღრესად დიდ მნიშვნელობას და აღნიშნავდა, რომ ამ ხელშეკრულებით ჩვენს პარტიას ლეგალური არ-

სებობის საშუალება ეძლევა და საქართველოს მშრომელი მასა, მუშები და გლეხები მჭიდროდ უკავშირდებიან სოციალისტურ რუსეთს:

„ლეგალური არსებობა ჩვენთვის არავის მოუცია, როგორც წყალობა, იგი მოპოვებულია სისხლით, იგი პირდაპირი შედეგია წითელი არმიის გმირული გამარჯვებისა სამოქალაქო ომში, ჩვენი შეუწყვეტელი ბრძოლისაც თვით საქართველოში".

— საქართველო მსოფლიო პოლიტიკის ერთი ყველაზე მგრძნობიარე კვანძთაგანია, — თქვა საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა გიორგი ჩიჩერინმა. — ჩვენ საქართველოში ორი ჰიზანი დავისახეთ. ერთი მიზანი — ეს ის, რომ საქართველოს ტერიტორია არ ემსახურებოდეს ჩვენზე რაიმე თავდასხმისათვის მზადებას და არ გახდეს არენა საბჭოთა რუსეთისადმი მტრული ჯარებისა. მეორე მიზანი — ესაა საქართველოს კომუნისტებისათვის ლეგალური მდგომარეობის უზრუნველყოფა.

ჟორდანიაც ამეტყველდა. ყველა ძველი წყევლა — საყვედური დამალა და ახლა მთელი ხალხის სახელით აღიღინდა:

— ცნობას ზავის შესახებ ხალხი კმაყოფილებითა და აღფრთოვანებით ღებულობს!

მოსკოვში მყოფ თავის ემისარს გრიგოლ ურატაძეს დაავალა საბჭოთა მთავრობისთვისაც გადაეცა, რომ ნოე ჟორდანიასაც სურს კვლავაც იღვაწოს:

— მშვიდობიანად და თანხმობით საზოგადოებრივი ცხოვრების სოციალისტურ საწყისებზე გარდაქმნისათვის.

გულში სხვასა ფარავს.

ხელშეკრულება

საქართველოს და რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისს დადებული ხელშეკრულება რუსეთის პრესაში უფრო ადრე დაიბეჭდა, ვიდრე მენშევიკების ქართულ გაზეთებში.

ორივე ქვეყანაში ხალხი კმაყოფილებით კითხულობდა შეთანხმების ტექსტს, რომელსაც დიდად მოწყურებული მშვიდობა მოჰქონდა ორივე მხარესათვის.

საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბ-

ლიკის ცნობის დამადასტურებელი ხელშეკრულება თექვსმეტი მუხლისა და ოცდაორი ქვემუხლისაგან შესდგებოდა.

პირველივე მუხლს მოჰქონდა საბჭოთა რუსეთის კეთილი სურვილები, გარანტიები და პირობები.

ხელშეკრულების ტექსტი რუსმა და ქართველმა ერთნაირად აღიქვა და თანაბრად ირწმუნა:

„საქართველოს დემოკრატიულმა რესპუბლიკამ ერთი მხრით, და რუსეთის სოციალისტურ ფედერატიულმა საბჭოთა რესპუბლიკამ მეორე მხრით, ხელმძღვანელობდნენ რა საერთო სურვილით დაამყარონ ორივე ქვეყნის მცხოვრებთა საკეთილდღეოდ, გადასწყვიტეს შეკრან ამ მიზნით განსაკუთრებული ხელშეკრულება და დანიშნეს თავის რწმუნებულად: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დამფუძნებელი კრების წევრი გრიგოლ ილარიონის ძე ურატაძე და რუსეთის სოციალისტურ-ფედერატიულმა საბჭოთა მთავრობამ გარეშე საქმეთა სახალხო კომისარის მოადგილე ლევ მიხეილის ძე კარახანი. ხსენებულმა რწმუნებულებმა აცნობეს რა ერთმანეთს თავის რწმუნებულების შესახებ, რომელიც აძლევდა მათ აღნიშნულ ხელშეკრულებაზე ხელის მოწერის უფლებას, შეთანხმდნენ ქვემო მოყვანილ მუხლებში.

მ უ ხ ლ ი 1. გამოდის რა რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის მიერ ყველა ერთა თავისუფალ თვითგამორკვევის უფლების აღიარებიდან სრულ გამოყოფის უფლებამდე იმ სახელმწიფოებიდან, რომლის შემადგენლობაშიც ეს ერები შედიან, რუსეთი ყოველ პირობის გარეშე სცნობს საქართველოს სახელმწიფოს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას, და თავის ნებით იღებს ხელს ყოველგვარ სუვერენულ უფლებებზე, რომელიც ეკუთვნოდა რუსეთს საქართველოს ხალხისა და ქვეყნის მიმართ.

მ უ ხ ლ ი 2. გამოდის რა ხსენებულ ხელშეკრულების მუხლში აღიარებულ პრინციპებიდან, რუსეთი ვალდებულად ხდის თავს ხელი აიღოს საქართველოს შინაურ საქმეებში ჩარევაზე.

მ უ ხ ლ ი 3. სახელმწიფო საზღვარი საქართველოს და რუსეთს შორის გადის შავი ზღვიდან მდინარე ფსოს გასწვრივ ასახჩის მთამდე, გადადის ხსენებულ ასახჩისა აგაპეტის მთაზე და მიდის ყოფილ შავი ზღვის, ჩრდილოეთის საზღვრით ზ ა ქ ა თ ა ლ ი ს ო ლ ქ ა მ დ ი და ხ ს ე ნ ე ბ უ ლ ო ლ ქ ი ს ა ღ მ ო ს ა ვ ლ ე თ ს ა ზ ღ ვ რ ი თ მიდის სომხეთის საზღვრამდე.

მ უ ხ ლ ი 4. რუსეთი ვალდებულია აღიაროს საქართველოს რესპუბლიკის უდავო შემადგენელ ნაწილებად გარდა შავი ზღვის გუბერნიის ნაწილებისა, რომელნიც გადადის საქართველოს საზღვრებში ხსენებულ ხელშეკრულების პირველ და მესამე მუხლების ძალით. აგრეთვე ქვემოთ ჩამოთვლილი გუბერნიები და რუსეთის სახელმწიფოს ყოფილი ოლქები: თბილისის, ქუთაისის და ბათუმის ყველა მაზრებით და ოლქებით, რომლებიც შეადგენენ ხსენებულ გუბერნიებს და აგრეთვე ზაქათალის და სოხუმის ოლქები.

მ უ ხ ლ ი 5. აღიარება სამართლიანად რ უ ს ე თ ი ს მოთხოვნილებისა, რომ არ იქნეს დ ა შ ვ ე ბ უ ლ ი შემდეგში საქართველოს ტერიტორიაზე რაიმე სამხედრო ოპერაცია, არსებობა სამხედრო ძალათა და სხვა მოქმედებათა, რომელთაც შეუძლიათ საქართველოს ტერიტორიაზე შექმნან პირობანი დამუქრებისა რუსეთის დამოუკიდებლობის წინააღმდეგ ანდა საქართველოს ტერიტორიას გახდის სამხედრო ოპერაციების ბაზად, რომელიც მიმართული იქნება რუსეთის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის ან მასთან კავშირში მყოფ სახელმწიფოს და მასში არსებულ სახელმწიფოებრივ წესწყობილების წინააღმდეგ.

მ უ ხ ლ ი 6. რუსეთი ვალდებულია არ მისცეს უფლება მის ტერიტორიაზე ყოფნისა და მოქმედებისა არავითარ ჯგუფსა და ორგანიზაციას, რომელიც საქართველოს მთავრობის, ანუ მის ნაწილის მთავრობის როლს მიითვისებენ, და აგრეთვე იმ ჯგუფებსა და ორგანიზაციებს, რომელთაც თავის მიზნით საქართველოს მთავრობის დამხობა ექნებათ დასახული. რუსეთი ვალდებულია იქონიოს სავსებით თავისი გავლენა მის მოკავშირე სახელმწიფოებზე, რათა მათს ტერიტორიაზე არ დაუშვან არსებობა ამ მუხლში აღნიშნულ ჯგუფებსა და ორგანიზაციებისა.

მ უ ხ ლ ი 7. შესაძლო გაუგებრობის ასაცილებლად ორივე ხელშემკვრელი მხარე შეთანხმდა, რომ ამ ხელშეკრულების მეხუთე მუხლის განხორციელების დროს საქართველოს ნაწილებში, რომლებიც მას უნდა შეუერთდნენ ამ ხელშეკრულების მეოთხე მუხლის თანახმად, როდესაც მეზობელ სახელმწიფოებთან რუსეთს გარდა, საზღვრები საბოლოოდ დაიდება, საქართველოს მხრივ ამ შემთხვევაში საჭირო ზომების მიღება უნდა გათავდეს უახლოეს დროში, მის მიერ ამა თუ იმ ტერიტორიაზე თავისი სახელმწიფოებრივი მეპატრონეობის ფორმალური განხორციელების შემდეგ.

მ უ ხ ლ ი 8. ამა ხელშეკრულების მუხლების სისწორით ასრულებისა და მეხუთე მუხლის მესამე და მეოთხე პუნქტებში აღნიშნულ პირთა და ქონების გადასაცემად აოსდება შერეული კომისია ორი მხრიდან თანაბარ წევრთა რიცხვით. კომისიის მუშაობის წესი თვით კომისიის მიერ გამომუშავდება.

მ უ ხ ლ ი 9. საქართველოს ჩამომავლობის პირთა, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე ცხოვრობენ და დაბადებიდან 18 წლისა არიან, შეუძლიათ საქართველოს ქვეშევრდომობა მოითხოვონ. აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრებ არა ქართველთ, რომელნიც ზემო-აღნიშნულ წლოვანებას მიაღწევენ, უფლება აქვთ რუსეთის ქვეშევრდომობა მოითხოვონ.

მ უ ხ ლ ი 10. საქართველო ვალდებულია გაანთავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლოს ან ადმინისტრაციულ წესით დევნისაგან, ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტურ ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის.

შ ე ნ ი შ ვ ნ ა: საქართველო ვალდებულია დაუყოვნებლივ გაანთავისუფლოს საპყრობილეთგან ყველა პირები, რომლებსაც ბრალდებათ ზემოაღნიშნული ხასიათის მოქმედებანი.

მ უ ხ ლ ი 11. ყოველი შემკვრელი მხარე ვალდებულია იცნოს და პატივით მოეპყრას მხარეთა დროშას და ღერბს, როგორც მეგობარ სახელმწიფოთა ემბლემებს. დროშის და ღერბის ნიშნები ან ცვლილებანი, რომლებიც შესაძლებელია შეტანილი იქნეს შიგ, უნდა აცნობონ ერთმანეთს დიპლომატიური გზით.

მ უ ხ ლ ი 12. ეკონომიური დამოკიდებულებანი საქართველოსა და რუსეთს შორის განისაზღვრება დროებით, ორ ხელშემკვრელ მხარეთა შორის განსაკუთრებულ ხელშეკრულების დადებამდე, რისთვისაც უახლოეს დროში უნდა იქნეს მიღებული აუცილებელი ზომები, და რომელსაც უნდა დაედვას საფუძვლად ქვემო მოყვანილი საერთო დებულებანი:

მ უ ხ ლ ი 13. ხსენებულ ხელშეკრულების მე-12-ე მუხლი უნდა დაედვას საფუძვლად სავაჭრო ხელშეკრულებას, რომელიც იმავე მე-12-ე მუხლის ძალით უნდა დადებულ იქნას ორ ხელშემკვრელ მხარეს შორის.

მ უ ხ ლ ი 14. დიპლომატიური და საკონსულო დამოკიდებულე-

ბანი საქართველოს და რუსეთს შორის უნდა აღდგენილ იქნას უახლოეს დროში.

მ უ ხ ლ ი 15. საჯარო უფლებრივი და კერძო უფლებრივი ხასიათის იმ საკითხების გადაწყვეტა, რომლებიც აღიძვრება ორ ხელშემკვრელ მხარის მოქალაქეთა შორის, და აგრეთვე ზოგიერთი ცალკე საკითხების მოწესრიგება ორ სახელმწიფოს შორის, დაევალება განსაკუთრებულ შერეულ ქართულ-რუსულ კომისიას, რომელიც დაარსდება უახლოეს დროში ამ ხელშეკრულების ხელის მოწერის შემდეგ.

მ უ ხ ლ ი 16. ხსენებული ხელშეკრულება შევა ძალაში თვით ფაქტის ძალით და ხელის მოწერის მომენტიდან, და საჭირო არ იქნება განსაკუთრებული რატიფიკაცია.

რის დასამტკიცებლად ორივე მხარის რწმუნებულებმა მოაწერეს ხელი და თავის ბეჭდები დაასვეს.

შედგენილია მოსკოვში 1920 წლის 7 მაისს ორ ეკზემპლარად.

გ. ურატაძე.
ლ. კარახანი.

* * *

რუსეთსა და საქართველოს შორის ხელშეკრულების დადებამ ანტანტის ანგარიშები არია. მაგრამ რუსეთის ყოფილი განაპირა კუთხეების ხალხთა ინტერესიც გაზარდა, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკად ცნობამ თურქი, გერმანელი, ფრანგი და ინგლისელი მთავრობების მეთაურები ააწრიალა და რუსეთის წინააღმდეგ ჩაფიქრებული ინტერვენციის გაძლიერების მადა გაუფუჭა. მეზობელ ქვეყნებშიც გაღვივდა დამოუკიდებლობისადმი ყურადღება და ამან, პირველყოვლისა, რუსეთის მეფის ყოფილი იმპერიის ხელდებული ქართულ, სომხურ, აზერბაიჯანულ ადგილობრივ მმართველებშიც ახლად დასადგენ საზღვრებისადმი ინტერესი გააცხოველა: ქართველ მენშევიკებსა თუ მათ თანაგვარ „სოციალისტურ“ პარტიებს, — დაშნაკებსა და მუსავატელებს ჯერ კიდევ აღელვებდათ ყოფილი კავკასიის მეფისნაცვლის სამფლობელოში მოშლილი ისტორიული საზღვრების თავიანთებური დადგენის ინსტინქტი. ამ ინსტინქტმა, ერთმანეთში „არამკითხეთა“ მორიგების

ძველმა ცდუნებამ კვლავ იჩინა თავი და იმრავლა წერილებისა და დეპეშების ნაკადმა მოსკოვში კარახანისა და ურატაძის სახელზე.

თითქოს საქმე ისე მიდიოდა, რომ გზას იკაფავდა რუსეთის ცდა მშვიდობიანი გზით მომზადარიყო საქართველოს სოციალური და ეროვნულური გარდაქმნის საჭოჭმანო სვლა, მენშევიკები, რომ ჯერ კიდევ თავიანთი წინად გაცემული თამასუქებით ახლაც ახალ სახიფათო ფაცერს უგებდნენ საქართველოს მიწაწყალს.

ქართველი ბოლშევიკები კმაყოფილებით შეხვდნენ სამშვიდობო ხელშეკრულებას, განსაკუთრებით კი მეათე მუხლს და ხალხის გამაოჯვების მომარიგებლად აღიქვამდნენ.

— საქართველო ვალდებულია გაათავისუფლოს სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ან ადმინისტრაციული წესით დევნისაგან ყველა პირები, რომლებიც იდევნებოდნენ საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის ან კომუნისტური პარტიის სასარგებლო მოქმედებისათვის.

სხვაც დიდად მნიშვნელოვანი იყო:

— საქართველო ვალდებულად იღებს აღიაროს საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი კომუნისტური ორგანიზაციების თავისუფალი აოსებობა და მოქმედების უფლება, კერძოდ, კრებების თავისუფლად მოწყობის უფლება და თავისუფალი გამომცემლობის უფლება.

. მაგრამ ლენინის დაჟინებით ხელმოწერილ საზავო ხელშეკრულების დადებას დაბნევით და გულისწყრომითაც კი შეხვდა ქართველ კომუნისტთა ნაწილი, რომელთა აზრი წერილობით გამოხატა საქართველოში საბჭოთა რუსეთის ელჩმა კიროვმა.

„ხელშეკრულების დადების ფაქტმა მართლაც რომ მეტად უარყოფითი შთაბეჭდილება მოახდინა ადგილობრივ ამხანაგებზე“, აუწყებდა ჩიჩერინს. „დაზავების აქტით ჩვენ არა მარტო განვამტკიცით მენშევიკური გაიძვერობის პოზიციები, არამედ შევასუსტეთ კიდეც განუწყვეტლივ მზარდი რევოლუციური ტალღა მასებში, რადგან საბოლოოდ შევურყიეთ საბჭოთა რუსეთისადმი რწმენა და იმედი!“ — აღშფოთებით აცნობებდნენ ორჯონიკიძეს თერგის რევკომის თავმჯდომარე ბესო კვირკელია, საოლქო რევკომის თავმჯდომარე მანსეროვი და კავკასიის სამხარეო კომიტეტის ყოფილი წევრი ლალო დუმბაძე.

ეს საბოლოო ღია კარებს უმტვრევდნენ მეოთხეს — ორჯონიკიძეს:

— აცნობეთ ცენტრს, რომ დაზავების ერთ-ერთ პირობად მაინც მოსკოვმა მოითხოვოს პარტიის ლეგალიზაცია, დაპატიმრებულთა განთავისუფლება და ჩვენი იმ ამხანაგების დევნის შეწყვეტა, რომლებიც ბატონმა რამიშვილმა ამოსაწყვეტად და სატანჯველად გასწირა, რომ ამით მაინც ნაწილობრივ შევისუბუქოთ დანაშაული მათ წინაშე და გავიადვილოთ მომავალში მუშაობის პირობები.

მაგრამ განა მართალს ამბობდნენ? განა საზავო ხელშეკრულება სწორედ ამ მნიშვნელოვანი მოთხოვნის დაკმაყოფილება არ იყო. მენშევიკურმა მთავრობამ ივალდებულა გაეთავისუფლებინა „საპყრობილეთაგან. სასჯელისაგან და აგრეთვე შემდეგში სასამართლო ადმინისტრაციული წესით დევნისაგან“ ყველა დევნილი. თვით ბესო კვირკელიამ გადასცა ორჯონიკიძეს რუსეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივა, რომელიც ავალებდა:

საქართველოში ჩვენმა ამხანაგებმა მუშაობა უნდა აწარმოონ საქართველოს კომუნისტური პარტიის სახელწოდებით, ციხეებიდან განთავისუფლებული ამხანაგები დარჩნენ საქართველოში. მათ მუშაობა აწარმოონ ლეგალურად. რუსეთის საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობის ელჩად საქართველოში დანიშნულია კიროვი. იგი ხვალ მიემგზავრება მოსკოვს საბჭოთა მთავრობის გამოძახებით. ბათუმი და ბათუმის ოლქი სამშვიდობო ხელშეკრულების ძალით შედის საქართველოს შემადგენლობაში. ინგლისის ჯარებმა უნდა დატოვონ ბათუმი. და თუ ამისათვის მენშევიკებს დასჭირდათ საბჭოთა ჯარების დახმარება, იგი გაწეული იქნება. ჩვენი ამხანაგების მთელი ძალები მიმართული უნდა იქნეს ინგლისელების წინააღმდეგ.

პარტიის დირექტივამ ამასთან ერთად მტკიცედ დაავალა ქართველ კომუნისტებს:

— აჯანყება არავითარ შემთხვევაში არ დაიწყოთ — ასეთია ცენტრალური კომიტეტის კატეგორიული მოთხოვნა!

— შეიარაღებული აჯანყების ნაცვლად ჩვენ უნდა წამოვაყენოთ ბრძოლის მშვიდობიანი საშუალებები. მთლიანად გამოვიყენოთ სისხლით მოპოვებული ლეგალური არსებობის უფლებები!

იმავე წლის 20 მაისს შეიქმნა საქართველოს კომუნისტური პარტიის დროებითი ცენტრალური კომიტეტი. 31 ივნისს რუსეთის კომპარტიის ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურომ დაამტკიცა საქართველოს კომპარტიის შექმნა.

ჟორდანიამ კმაყოფილებით აღნიშნა და მთავრობის პრესამაც აღიარა:

„გაადვილებულია ჩვენი საბოლოო ცნობა ევროპის მიერ, რადგან თუ გვიცნო და ბატონობაზე ხელი აიღო უწინდელმა „დიდმა ბატონმა“, ეჭვი არაა, ეს გარემოება აიძულებს სხვა სახელმწიფოებს, რომ მათაც გვიცნონ და ხელი არ შეგვიშალონ“.

მაგრამ ჟორდანიამ თავის მაცდურ ტაქტიკას არც ამის შემდეგ უღალატა.

ბოლშევიკების ავტორიტეტის ზრდა ძნელი მოსანელებელი გახდა მენშევიკებისათვის. ევგენი გეგეჭკორმა ვერ დამალა:

— ერთ-ერთი ამოცანა, რომელსაც მიზნად ვისახავდით, ეს იყო ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა; „მოხალისეთა არმიასთან“ ჩვენ ერთ საერთო სამუშაოს ვასრულებდით, ვიბრძოდით. ბოლშევიკების წინააღმდეგ ბრძოლა ჩვენი ყოფნა-არყოფნის საკითხია.

ითქვა და გაკეთდა. რეპრესიები გააჩაღეს. დააპატიმრეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრი გიორგი სტურუა, ვითომდა იარაღის შემოზიდვის ბრალდებით! ქუთაისის ციხეში გამოამწყვდიეს თენგიზ ჟღენტი! საქართველოს ციხეებში 200 კომუნისტი შიმშილობდა. ჟორდანიას მთავრობა აშკარა კატასტროფამდე მივიდა. კიროვმა ლენინს აუწყა:

— ჟორდანია საგონებელშია ჩავარდნილი, და არ იცის, სრულიად გარკვეულად საითკენ გადაიხაროს — ჩვენსკენ თუ ანტანტისაკენ, ამასობაში კი სამეურნეო ცხოვრება ყოველდღე ირღვევა და შორს არ არის ის მომენტი, როდესაც ნოე ჟორდანიას საქართველოს ეგზარქოსთან ერთად მოუხდება გალობა „ბაბილონის მდინარეებზე“.

ჟორდანიას მთავრობა ისევ ანტანტის მხარეზე გადავიდა!..

1920 წლის 7 მაისს ხელშეკრულების ვალდებულებანი გადაივიწყა.

ორთა შეთანხმება ქარს გააყოლა.

ᲫᲐᲛᲝᲙᲠᲐᲪᲘᲐ

— ცდები, ნოე! ცხოვრება ყველას საზიდია. ერთი კლასი ვერ გასწევს!

ჟორდანია ახირდა:

— ძალიანაც კარგად გასწევს.

— ჰო, თუ ისეთების ქედზე შეაგდებ დემოკრატიისათვის ბრძოლის მძიმე უღელს, როგორიც გლეხკაცობაა, ერის დიდი უმრავლესობა! გაიხსენე ილიას ნათქვამი:

„ჩვენის გულითადის ფიქრით, ქვეყანა იმისაა, ვისაც ერთ ხელში ხმალი უჭირავს, მეორეში გუთანი. ხმალი იცავს გუთანს, ხოლო გუთანი ასაზრდოვებს ხმალს — გუთანს კი ერთი განსაკუთრებული მშვიდობიანი დანიშნულება აქვს: დედამიწის უხვი გული გადაგვიშალოს და საზრდოება მოგვაწოდოს, გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი, თავი და ბოლო აქ არის, დამიჯერეთ“.

— ცდები-მეთქი, ნოე!

ნოე შეიჭმუხნა.

— მე კი არა, ჭავჭავაძე ცდებოდა! გლეხობას ერის თავად თვლიდა. რა სათქმელია?! გლეხი გუთნისდედად აზიარა, ის კი დედინაცვლობს! ყალბი დემოკრატობაა.

— რაებს ქადაგებ, ნოე?! — შეუბრუნა ალექსანდრე ასათიანმა, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციელმა, და ოპოზიციურმა ჟინმა საკამათოდ აანთო.

— დიახ, ასეა! საერთოდ კი დემოკრატიაა სოციალ-დემოკრატიის მტერი!

— ამას ამბობ დემოკრატიული მთავრობის თავკაცი?

— ვამბობ კი არა, ვამტკიცებ!.. გლეხობა მახრჩობელაა. არც ერთ სხვა ძალას არ მიუყენებია სოციალ-დემოკრატიისათვის იმდენი ზიანი, როგორც დემოკრატიამ!

ეროვნულ-დემოკრატს თმა ყალყზე დაუდგა, ჟორდანიას თვალი მოუკუტა, შორ სავალზე გახედა:

— მაშ შენი პარტიაც ეგეთი წირვით გაგიზრდია. დემოკრატია გაგიწირავს!

ნოემ იწყინა, მოიღუშა, თავისი პარტიის მტრების გვარ-სახელი წვრილად ჩამოთვალა და ყველა ერთ ფარეხში შეყარა:

— დემოკრატია ჯოგია, სხვადასხვა შეგნებითა და ეკონომიური მდგომარეობით! მასში შერეულია გლეხი, ვაჭარი, ხელოსანი, მუშა და ბერი.

მოპაექრემ გაიკვირვა:

— ასეთი ჯოგით გინდა ააშენო შენ მიერ გამოცხადებული დემოკრატიული რესპუბლიკა?!.

ნოემ იხტიბარი არ გაიტეხა. „ჯოგშიც“ ნახა გამოსარჩევნი:

— საქართველოს კონსტიტუცია დაყრდნობილია სამი კლასის მუშათა, წვრილი ბურჟუაზიის და გლეხობის ურთიერთდამოკიდებულებაზე. მაგრამ საქართველოს რესპუბლიკას და რევოლუციას

მოელის შიგნიდან ერთადერთი საფრთხე გლეხობისაგან! ამ საფრთხის ნიშნები უკვე არის, იგი რევოლუციურ მოძრაობაში მონაწილეობს, როგორც ვეებერთელა დამრღვევი ძალა.

მერე მარქსის მოძღვრების ცოდნით თავი მოიწონა და თანაც დაისაყვედურა:

— ჩვენ იმდენად დაგვავიწყდა მარქსიზმი და დავუჯერეთ ესეერულ „აზრებს“, რომ დღემდე ზოგიერთს ჩვენში ეს გლეხები მიაჩნია რევოლუციონერებად და დიდი ყოყმანით თანხმდება მათ წინააღმდეგ რეპრესიების მიღებას!

ბოლოს საკუთარ წყრომა-სინანულს მაინც ვერ გაუძლო და მრისხანედ გააყოლა:

— დროა ბოლო მოვუღოთ ჩვენს სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში ნაროდნიკული ილუზიების ბატონობას, დროა დაუბრუნდეთ მარქსს და მაგრად დავდგეთ გლეხების რეაქციისაგან რევოლუციის დაცვის ნიადაგზე!

ტიტე ცამიწაძე საგონებელში ჩავარდა:

— შენი სიტყვიდან გამოდის, რომ ქართველი ერის ოთხი მეხუთედი ნაწილი, გლეხობა, საშინელი მტერი ყოფილა?!

— რას იზამ? ასეთია ჯოგის ინსტინქტი!

— ვიღას გინდა ემსახურო?

— მთავარ კლასს.

— რომელია მთავარი დასაყრდენი დემოკრატიულ სახელმწიფოს შენებაში?

— ჩვენი სახალხო გვარდია, შეგნებული მუშები როგორც თბილისის, ისე პროვინციის, განსაკუთრებით თბილისის, — აი ვინ არის ნამდვილი სახელმწიფოს აღმშენებელი!

— სახალხო გვარდია რაიმე მუდმივი წრე არ არის. დროებითი შეიარაღებული ძალაა და უმთავრესად იმავე მუშებისაგან შედგება. ამ სამიოდე ათასმა მუშამ უნდა მიატოვოს მანქანები და ხელი მოჰკიდოს მაუზერს, რათა უყოყმანოდ აწარმოოს რეპრესიები იმათ წინააღმდეგ, ვინც არ ცნობს შენეულ „მუშათა ხელმძღვანელობას?!“ — შეუბრუნა ალექსანდრე ასათიანმა.

ეს ნოემაც იცის, მაგრამ შეგნებულად ჯიუტობს. სახელმწიფოებრივი მოქმედების დედაღერძად, „მუშათა ხელმძღვანელობას“ ასაღებს. არსებითად კი დეკლასიური ელემენტების დამკვიდრებას ლა-

შობს. ერის მრავალსაუკუნოვანი წარსული კი სულაც გააქრო, ჩაილურის წყალს გააყოლა:

— სახელმწიფოებრივი ურთიერთობის მხრივ საქართველო სუფთა დაფაა. არ არის შებოჭილი არც ეროვნული სახელმწიფოებრივი იდეოლოგიით, არც დამკვიდრებული სახელმწიფო ტრადიციებით!

— ასე წმინდად როგორ გასხვიპე ქართული სახელმწიფოებრივი მუხა? — უსაყვედურა ასათიანმა, მაგრამ ჟორდანიამ არც დაინაღვლა, მეხად დაეცა ნამუხარს.

— ჩვენი სახელმწიფო მოკვდა ასი წლის წინათ, მისგან არაფერი არ დარჩენილა. რუსული სახელმწიფოებრიობა ჩვენ უარვყავით! ერთი სიტყვით, ჩვენ პოლიტიკურად არაფრით არ ვართ შებოჭილი სახელმწიფოს მშენებლობის საქმეში.

— შენი ასეთი გეგმითა და ასეთ საფუძველზე აშენებულ წყობილებას ბოლშევიკების ჩაურევლადაც არ ექნება დიდი დღე. ორისამი ათასი მუშა, გვარდიად რომ გიზიარებია, რაც უნდა შეგნებულნი იყვნენ, ერთ საშუალო ზომის ქარხნის აღმშენებლად თუ იქნებოდა საკმარისი და არა სახელმწიფოსი.

ჟორდანია თავისაზე დადგა, თითიდან გამოწოვილი თეორია მოიმარჯვა და ბუღი დააყენა. საქართველოს ასაშენებლად ბურჟუაზიული წყობილებისა და სოციალისტური ხელმძღვანელების ძმადნაფიცობის თეორია დაფინა. მერე ჩაფიქრდა და გადაჭრით წარმოსთქვა:

— ბურჟუაზიული ეკონომიკა და სოციალისტური მთავრობა — ეი ჩემი დევიზი!

— სოციალური დავიდარაბა აგიტეხია, ნოე!

— სამაგიეროდ სარფას მოიტანს. ვიცი მეტყვით, მაშ თქვენ შესაძლებლად მიგაჩნიათ ბურჟუაზიული ეკონომიკის, ესე იგი დაქირავებული შრომის და საქონლის ტრიალის, ფარგლებში სოციალისტური მმართველობა? დიახ, რასაკვირველია, პოლიტიკის და ეკონომიკის ასეთი გაყრა, მათი სხვადასხვა კლასის ხელში მოქცევა ახალი ამბავი როდია.

— ერთი ქვეყნის ფარგლებში ასეთი პოლიტიკისა და ეკონომიკის მომწყვდევა იმით არის მოუხერხებელი, რომ თავიდანვე ატყდება მათ შორის შეურიგებელი ბრძოლა და ომი, — ჩააგონა ტიტემ.

ნოემ გული გაიკეთა:

— ფიქრი ნუ გაქვს. განა შეიძლება, რომ ეკონომიკისა და პოლიტიკის ასეთი გათიშვა სამუდამო იყოს? არა, რასაკვირველია. ბოლოს და ბოლოს, ქონება თავისას გაიტანს და შესაფერ უფლებას შეიძენს! სხვა რა არის სამუდამო ამქვეყნად? ეს დროებითი გათიშვაც გვარიანი და სარფიანი იქნება პოლიტიკის მაწარმოებელი წრისათვის. ეს უდავოა. სულ მცირე ხნითაც რომ აწარმოოს რომელიმე წრემ ასეთი პოლიტიკა, ყოველთვის მოასწრებს გვარიანად და სარფიანად ხელის მოთბობას და არც ის გაუძნელდება, რომ მოაწყოს საკმაო მზითევი არგონავტებისებური ქარავანი, როდესაც ქონება თავისას გაიტანს ასეთ პოლიტიკას საფრთხე არ გაუჩნდება!

ჟორდანიას თეორია ეკონომიკურ და პოლიტიკურ ჩიხში ამწყვდევდა საქართველოს სახელმწიფოებრივ მშენებლობას. რომელი კლასი იქნებოდა სახელმწიფოს ნამდვილი აღმშენებელი? გლეხობა რომ არ გამოადგებოდა, ამას ჟორდანია არც მალავდა, ამისთვის ივარგებს მხოლოდ ის კლასი, რომლის გამოკლება არ დაარღვევს და არ დააკოჭლებს ბურჟუაზიულ ეკონომიკასო. ასეთი კლასი იქნება ყველა კლასიდან ამოვარდნილი დეკლასიური ელემენტი, ყოველგვარ წარმოებას და საქმიანობას მოშორებული. ჟორდანია იმედს ამყარებს იმ გაღატაკებულ აზნაურობასა და სხვა უსაქმურ წრეებზე, რომელთაც ეყრდნობოდა მისი და მისი წრის პოლიტიკური მოღვაწეობა ათეული წლების მანძილზე. მაგრამ ეს წრე უკვე აღარ არის ის, რაც იყო წინეთო. გაკეთების ნაცვლად ის მთლად გაანადგურა ნოე ჟორდანიას პოლიტიკაზე აკიდებამო, — დაასკვნა ასათიანმა და განაგრძო:

— ვინც გადარჩა ამათგან, დიდ ნაწილს საესებით შეგნებული აქვს ცხოვრების მწარე მაგალითები. უშრომლად და გაურჯელად სოციალისტურად გააზნაურება თუ გათავადებაზე იმედებს აღარ ამყარებს.

მერე უფრო დასუსხა:

— ნოე, შენს ახალ იდეოლოგიას სოციალისტურად ასაღებ ფაკრამ შეცდომაა, შენი საკუთარი შემოქმედებაა და ამისთანა სოციალისტური ჯერ არსად და არავისგან არ ყოფილა. შენ ამას დემოკრატიას უწოდებ, სინამდვილეში კი გაჭირდეაა.

ნოე გაბრაზდა:

— ასეთი თეორია ევროპაში ხორციელდება.

— იქ მას იყენებენ არა პარტიები და მთავრობები, არამედ კერ-

ძო პირები და ჯგუფები, მეკობრები. ჩვენშიც არის ამის წარმომადგენელი — სისონა დარჩია. ისიც მბრძანებლობისა და ეკონომიკის ერთმანეთზე დაშორება-გაყრის მომხრეა.

მერე უფრო მკაფიოდ შეაწყვილა ჟორდანიასეული სოციალიზმი და დარჩიას დემოკრატია.

— სისონაც არავის უკრძალავს მუშაობას, ვაჭრობასა და მრეწველობას, მაგრამ როდესაც დახვდება ხოლმე თავის ქვეშევრდომებს გზაჯვარედინზე, ართმევს ყველა მათ ბურჟუაზიულ ეკონომიკის ნიადაგზე შექმნილ ნაწარმოებს და თავის შეხედულებისამებრ იხმარს. სისონა პრაქტიკოსია, შენი თეორიით მავალი. შენი გეგმა კი გაღრმავებული და გაფართოვებული სისონიზმია და არა სოციალიზმი!

მერე გაიფიქრა — „ყალთაბანდობაა, თაღლითობა" და, — ტიტე ცამიწაძეს ჩასჩურჩულა:

— სრული სიყალბეა ის შეხედულება, თითქოს ჟორდანიას და მის დასს შემოეტანოს საქართველოში რაიმე სახელმწიფოებრივი მიმართულება, ზნე და წესი, დემოკრატიული თუგინდ სხვაგვარი! იგი თავისი წრით დაჟინებით უთხრიდა ძირს არა მარტო იმ ეროვნულსა და ხალხოსნურ მიმართულებას, რომელიც დაამყარეს სამოციანელებმა, არამედ ასევე ეროვნული ცხოვრების ყველა ფუძესა და დასაყრდენს, ეკონომიურსა თუ კულტურულს!

* * *

ილია ჭავჭავაძე აღარ იყო. 1907 წლის აგვისტომ გამოაცალა ერს! მას მერე ჟორდანიამ დაიკავა ქართულ საზოგადოებაზე უპირატესი გავლენის ტახტი და უმალ შეუდგა მენშევიზმის ქადაგებას.

ასათიანმაც თავისი პარტიის, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის უნიათობა უიღბლობას დააბრალა და ოპოზიციის მეჩხერი ღობიდან მწყრალად გასძახა მენშევიკებს:

— არც დამოუკიდებელი საქართველოს შექმნაა თქვენი ნოეს წყალობა, როგორც ეს გგონიათ! ჭაბუკობიდანვე თავაღებით ებრძოდა ის და მისი დასი არამცთუ დამოუკიდებლობის იდეას, არამედ მცირეუფლებიან ავტონომიასაც!

შემდეგ ასათიანი ჩამოსთვლიდა:

— საქართველოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის გამოცხადე-

ბას სამი ეტაპი ჰქონდა და არც ერთში არ უდევს წილი საბიდან არც ერთ ნოეს, ერთმანეთის მხარში მდგარნი მხოლოდ ეწინააღმდეგებოდნენ:

პირველი ეტაპი იყო საქართველოს ეკლესიის დამოუკიდებლობის აღდგენა 1917 წლის 12 მარტს მცხეთაშიო. მენშევიკებს თითი არ გაუნძრევიათ, მხოლოდ კირიონს ებლანდებოდნენ ფეხებშიო.

მეორე ეტაპი იყო საქართველოს ეროვნული საბჭოს მოწვევა 1917 წლის 22 ნოემბერსო და ესეც რუსი მენშევიკების კურთხევითო. მესამე კი 1918 წლის 26 მაისი — საბჭოთა რუსეთმაც რომ იცნოო, მაგრამ მენშევიკური პარტიის მეთაურები დაუფარავად ჩიოდნენ, ეს ნაბიჯი იძულებით გადავდგითო.

მერე ტიტე ცამიწაძე გამოელაპარაკა:

— მაინც როგორ მოხდა, რომ 1917 წელს მთელი ძალაუფლება მენშევიკებს ჩაუვარდათ ხელში?

ნოეს პარტიის მოწინააღმდეგემ წვრილად ახსნა:

— რუსეთის რევოლუციის შემწეობით! როგორც ირაკლი წერეთელმა მოხდენილად თქვა, მარტის რევოლუციის წინადღეებში ძალაუფლება პეტერბურგის ქუჩებში ეგდო და ვინც მოასწრებდა, ის დაეპატრონებოდაო. მოსწრებით, სხვებს კარლო ჩხეიძემ მოასწროო, წერეთელისავე სიტყვით, რევოლუცია თბილისში დეპეშით გამოგზავნეს. კარლო ჩხეიძისაგან დეპეშით რევოლუციის მიღება კი იმას მოასწავებდა, რომ მთელი კავკასიის ფრონტის ასი ათასი რუსის ჯარისკაცი ჩხეიძის ამხანაგების განკარგულებაში გადავიდა და მათი კარნახით ხშირად არბევდნენ სხვა პარტიების კლუბებსა და რედაქციებს; სახელმწიფო ხაზინა, ადმინისტრაცია და ყველა სხვა სახელმწიფოებრივი აპარატი მენშევიკების ხელში მოექცა და, გასაგებია, რომ იმ დროს როდესაც რუსის ჯარი ტოვებდა კავკასიის ფრონტს, ისევე როგორც სხვა ფრონტებზეც, მენშევიკებს უკვე შეიარაღებული ჰყავდათ პარტიული ძალები. შემდეგ „დემოკრატიული“ რეჟიმი დაიწყო თავის უაღრესად დემოკრატიული საარჩევნო სისტემით, მაგრამ ესეც თეჯირული მანევრი იყო სხვების მოსატყუებლადო.

— როგორ? რანაირად?

— ყოველნაირად! არჩევნები ტარდებოდა საარჩევნო კომისიების მეთაურობით, სადაც შედიოდნენ პარტიათა წარმომადგენელნი „რევოლუციურ ძალთა განწყობილების მიხედვით“. ამის გამო ასეთ კომისიაში უმრავლესობა, რასაკვირველია, მენშევიკებს უნდა ჰყო-

ლოდათ. ასეთ მიუდგომელ კომისიას მუდამ თან ახლდა კბილებამდე შეიარაღებული რევოლუციური გვარდია. არჩევნების თავისუფლებაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო. სხვა პარტიებისათვის ხმის მიცემა დიდ გმირობასა და თავგანწირვას მოითხოვდა. ამით აიხსნება, რომ არც ერთ პარტიას არ უცვნია დამფუძნებელი კრების არჩევნები კანონიერად, გარდა, რასაკვირველია, მენშევიკებისა. ამ გზით შექმნილი არც ერთი ორგანო მიახლოებითაც არ გამოსახავდა ქართველი ერის სურვილებსა და ინტერესებს, — აღიარა ეროვნულ-დემოკრატმა.

— მაშასადამე, სხვების მოსატყუებლად საქართველოში დამყარდა დემოკრატიული წყობილება, ხოლო ვის ზურგზედაც ეს წყობა შენდებოდა, ისინი კარგად ხედავდნენ, რომ ეს იყო დიქტატურა ჟორდანია-რამიშვილის კამარილიის, როგორც მათ მათივე ამხანაგები უწოდებდნენ, — დაიღონა გული და ასათიანმა უთანაგრძნო:

— დიქტატურა კიდევ არაფერია, თუ საქმის სათავეშია პატიოსანი და სახელმწიფო ცხოვრების მცოდნე პიროვნება. ხალხი ამას ადვილად შეურიგდება.

— სხვა კიდევ რა ცოდვაა? — აღელდა ტიტე, მაგრამ ასათიანმა დააცხრო:

— უბედურება სწორედ იმაშია, რომ ამ ხალხს არ ჰქონდათ შეგნებული უაღრესი სახელმწიფოსთვის კანონის, სასამართლოს, ჯარის, ადმინისტრაციის მნიშვნელობა, არც სასოფლო-მეურნეობის, მრეწველობის, აღებ-მიცემობის ხასიათი და მნიშვნელობა გაეგებოდათ.

— ჟორდანია კი თავის ასეთ წყობილებას მაინც დემოკრატიულს უწოდებდა, — გადასცინა ცამიწაძემ.

— მე კი ვფიქრობ, ეს ცნება სრულებით არ შეეფერება მას. გაცილებით სჯობს ამ წყობილების გამოსახატავად მივიღოთ სიტყვა ქამოკრატია. რომელიც ირაკლი წერეთელმა უწოდა ჟორდანიას პარტიას.

— ასეთ პოლიტიკურ სიმახინჯეს ვეღარ გაუძლო ჩვენმა ერმა. ნოეს ქამოკრატია უნდა შეცვლილიყო ნამდვილი სახალხო სახელმწიფოებრივი ფორმით, — ამოოთქვა სული ტიტე ცამიწაძემ.

ნოეს მომდურავიც ასე ფიქრობდა და თავისი დაკვირვება ტიტესაც გაანდო:

— ოთხი წლის განმავლობაში არა ერთხელ შეიქმნა ისეთი მდგომარეობა, რომ ამ რეჟიმს ერთი წკიპურტის კვრაც წააქცევდა, მაგ-

რამ მუდამ იყო ისეთი საგარეო ვითარება, რომელიც ჩვენს დამოუკიდებლობასაც იმსხვერპლებდა: თურქების შემოჭრა და მუქარა გავიწყდება?! საჭირო იყო დაცდა, რომ ხალხში სავსებით განელებულიყო ნოესადმი ნდობის ფსიქოზი და მენშევიკურ პარტიას იმ ხანებში აყოლილი წევრებიც თავის ნორმალურ განწყობილებას დაბრუნებოდნენ.

— წლევანდელმა თებერვალმა ამას ბოლო მოუღო.

— ჰო! — მაინც გულში დაინანა ეროვნულმა დემოკრატმა. — საბჭოთა ხელისუფლება მოვიდა და ნოეს ქამოკრატია წალეკა.

ამას ნოეც მოელოდა, ადრეც გრძნობდა და წინასწარმეტყველებდა:

— ამ რამდენიმე წლის წინათ ჩვენ ვამბობდით, რომ ეკონომიური მხრივ კატასტროფისაკენ მივისწრაფვით... დღეს ეს უკვე გამართლებულია: დღეს თითოეული ჩვენგანი გრძნობს, თითოეული მწვავედ განიცდის, რომ ჩვენ არათუ მივდივართ კატასტროფისაკენ, ჩვენ უკვე მივედით იქამდე!

ამიტომაც დაიჭირა თადარიგი. ირაკლი წერეთელი საზღვარგარეთ მიავლინა საქმეების გასარიგებლად იმ შემთხვევისთვის, თუ საქართველოს დატოვება მოუხდებოდა. თავის წარმომადგენელს ლონდონში, კანდელაკს, საიდუმლოდ გაუგზავნა საკუთარი ხელით დაწერილი ბარათი:

— კაკის ვგზავნით სპეციალურად ინტერნაციონალში სამუშაოდ. ჩვენ მას მივეცით სამ-ნახევარი ათასი გირვანქა სტერლინგი. თუ დააკლდეს, შენ მიეცი!

მერე ფინანსთა მინისტრსაც გაანდო:

— გარდა ამისა, საჭიროა ერთნაირი ფონდი გვქონდეს საზღვარგარეთ... ამ შემთხვევაში ევროპაში ბევრი მუშაობა იქნება საჭირო და უსახსროდ არ დავრჩეთ... ასეთი ფონდი უნდა იყოს სამი-ოთხი კაცის სახელზე — ორი აქაურის და ორ იქაურის, ხოლო გამოტანა შეეძლოს ორს... ეს უნდა იცოდეს მხოლოდ რამდენიმე პირმა — ჩვენმა ამხანაგმა.

— რას იზამ, შავი დღისთვის გადაიმალა ხალხის დოვლათი, — შეიწყნარა ფინანსთა მინისტრმა და დავალება შეუსრულა.

ცამიწაძემ მოსასმენი მოისმინა და თავისიანებისკენ გასწია.

ასათიანმა კი გულში დაგუბებული წყრომა უცხოეთშიც გაიყოლა.

ნოეს ციერ დაწყევლილმა და მოკვეთილმა გლეხობამ — საქართველოს ერის ოთხმა მეხუთედმა — თავისი წყევლა ჟორდანიას მთავრობას დააწია და მუშა იყო თუ ჯარისკაცი, ოფიცერი თუ რევოლუციონერი — ყველამ დახმარება შეაწია რევკომის მოწოდებას, რომ ბათუმი საქართველოს დარჩენოდა.

მერე გუთნისდედაც და მხედარიც მომხდურ ასკერებს ეკვეთნენ, საკუთარი თავი ასახელეს და ილიას ანდერძიც გაიხსენეს:

— გუთანი, ქართველებო, გუთანი! და ხმალი იყოს ფარი მისი...

საღალაჭოს პატიმარი

ქავთარაძე კიროვის კაბინეტიდან გამოვიდა, ხელში დიდი ფუთა ეჭირა, კარისკაცს მიმართა.

—მანქანა გამოაყვანინეთ!

სერგომ საბჭოთა საელჩოს შენობიდან გასვლა დააპირა, სომხეთის საბჭოთა საელჩოსათვის მოსკოვიდან გამოგზავნილი ფული უნდა გადაეცა, მაგრამ იცოდა, ფეხით ვერ გააღწევდა, საელჩოს შენობა რტიშჩევის ქუჩაზე იყო ალყაშემორტყმული, თან იმხელა ფულის ფუთას ვინმე გამოსტაცებდა. სომეხი ბოლშევიკები კი თავად სულაც ვერ მოუდგებოდნენ რუსეთის საელჩოს, რადგან მენშევიკებს ყველა მოსადგომი ქუჩა გადაეკეტათ.

სხვა გზა არ იყო, ძალით გარღვევა სცადა, მაგრამ ის-ის იყო სადარბაზოს გასცილდა, რომ კედიას რაზმელებმა სტაცეს ხელი და ფეხით გაუყენეს თავიანთი ოხრანკის შენობისკენ, სოლოლაკის ქუჩაზე.

— მე საბჭოთა საელჩოს ხელშეუხებელი პირი ვარ! — გაუძალიანდა ქავთარაძე რაზმის უფროსს.

— ამიტომაც ხელს არ გახლებთ! ხომ ხედავთ, ეგ დიდი ფუთა იღლიაში გიჭირავს, არ გართმევთ.

ასე, თავის ფეხით მიატანინეს საბჭოთა საელჩოს მრჩეველს სომხეთისათვის განკუთვნილი ფული, მაგრამ კედიამ თბილად მოუთათუნა თითები დასტადასტად შეკრულ რუსულ ჩერვონცებს, რომლებსაც მენშევიკურ ბონებზე ათჯერ მეტი ფასი ჰქონდა, და იგრძნო, რომ ხელს გვარიანად მოითბობდა.

ფულით სავსე ფუთა ჩამოართვეს, ხელშეუხებელი მრჩეველი კი

სადგურში გაიყვანეს და ქვედა სართულის პატარა ოთახში მარტოდ გამოამწყვდიეს, მანამდე რომ სადალაქო იყო გაძართული, მაგრამ ახლა დალაქიც გაქცეულიყო.

ამ უცნაურ ციხე-სადალაქოს სარკმლიდან სადგურის მოედანზე მოზღვავებული ხალხის ხმაური და ყაყანი ისმოდა. ქალი და კაცი ზედახორად აწყდებოდა ერთმანეთს და ბაქანზე ჩამომდგარ მატარებლის ვაგონებში კარებიდან რომ ვერ ძვრებოდნენ, ფანჯრებიდან ეტენებოდნენ.

სერგოს რიგიც დადგა, მაგრამ უფრო მშვიდი გზით, ოთხასამდე დაპატიმრებული გაამწკრივეს და საგულდაგულო მოდარაჯე ვაგონებში შეჰყარეს, კარი გადაუკეტეს, ქუთაისის მატარებელს მიუბეს და აწრიალებულ თბილისს გამოამშვიდობეს. სად მიჰყავდათ და რატომ, ქავთარაძეს ვერ გაეგო. ის კი ესმოდა, რომ საბჭოთა რუსეთის ელჩი სერგეი კიროვი უპატრონოდ არ დატოვებდა და დღე-დღეზე წითელი ჯარებიც თბილისსაც მოადგებოდნენ. მაგრამ სად, რომელ სადგურზე დაეწეოდნენ ქუთაისისაკენ გასულ თბილისელი ლტოლვილებით დახუნძლულ მატარებელს, ეს კაცმა არ იცოდა.

მეორე დილით ქუთაისის საგუბერნიო ციხეში იჯდა, სწორედ იმ საკანში, საიდანაც ტიტე ცამიწაძემ 33 რევოლუციონერი გააპარა ციხისქვეშა ხვრელით და მერე თითონ ბუდუ მდივანთან ერთად 201 639 მანეთი და 56 კაპიკი გაიტანა ორძირა ჩემოდნით, რომ საზღვარგარეთ შესყიდული იარაღი ქუთაისელ აჯანყებულებისათვის ჩამოეტანა. მაშინ ყველაფერი კარგად დამთავრდა, მაგრამ ახლა ამას ველარ იტყოდა, თავად მოექცა იმავ ციხეში და ეჭვობდა რომ მენშევიკები ცოცხალს გამოუშვებდნენ იქიდან. თან არავითარი ცნობა არა ჰქონდა, საბჭოთა საელჩო რა ზომებს იღებდა, წითელი არმიის შეტევა როგორ მიემართებოდა, აჯანყებულ თბილისელებთან მათი შეერთება როდის მოხდებოდა.

ქავთარაძის ბედი ქუთაისში გაქცეულ ნოეს მთავრობასაც აფიქრებდა. დიდ ფასად ულირდათ საბჭოთა საელჩოს მრჩეველის თავი და ცივ ნიავს არ აკარებდნენ, ცალკე კარცერში შეაგდეს და სულაც გაჰყინეს. ქუთაისი თბილი ქალაქია, მაგრამ ყველიერში ყინვებმა ციხეც დააზრო. ფანჯრებს ბროლის ლოლუები მოედო.

საბჭოთა საელჩოს მრჩეველს სხვა რაღა არჩევანი ჰქონდა, ვიწრო კარცერში გამომწყვდეული წინ და უკან ბოლთას ცემდა, მუჭში

ამოსუნთქვით ხელისგულებს ითბობდა და უსმელ-უშმელი ქამარს ძაგოად იჭერდა.

სარკმელთან გუშაგის ფრთხილი ხმა მოესმა.

— მე კიდევ ვიქნები მორიგე თქვენს სარკმელთან, მითხარით, რა გინდათ?

— პროვოკატორი ხარ, ბიჭო?!

— არა, ღმერთია მოწმე! — შეჰღაღადა ჭაბუკმა გუშაგმა.

— მაშ პური და გაზეთი.

უცხო ხმა გაქრა. მალე შუშაგატეხილ სარკმელის რკინის გისოსებში გაზეთში გახვეული პურის დიდი ნატეხი შესჩხირა.

ქავთარაძე ჯერ გაზეთს დაეძგერა, მერე პურს.

წაკითხულით მიხვდა, რომ მენშევიკების მთავრობა ქუთაისში დაბანაკებულა, აჯანყებულებს თბილისზე წითელი დროშა აღემართათ და ახლა ლიხის გვირაბსაც უახლოვდებოდნენ.

საკნის კარი გაიღო. ქავთარაძის წინ მენშევიკების სამხედრო შტაბის პოლკოვნიკმა აიღერა თავი:

— თქვენ დაპატიმრებული ხართ ფრონტის მოთხოვნით, სამხედრო ტრიბუნალს გადაეცემით სამშობლოს ღალატისათვის! შემიძლია დაგამშვიდოთ — გაქცევაზე ნუ შეწუხდებით. თქვენი მეგობარი ტიტე ცამიწაძე მიწისქვეშა ხვრელს ვეღარ გაგითხრით. მახსოვს მისი ოინები. მეფის ადმინისტრაცია გააცურა. ჩვენთან აღარ გაუვა. კედიას ბიჭებს საღორიას ტყემდეც ვერ გააღწევთ. ამასთან იცოდეთ, ციხის ტყვიამფრქვეველები არტყია. ერთი უგუნური ნაბიჯი და სიცოცხლეს გამოემშვიდობეთ უფრო ადრე, ვინემ ტრიბუნალი დაგხვრეტთ. ოდნავი წინააღმდეგობით ან ბუნტის მოწყობით ყველას სასიკვდილოდ გაწირავთ. რა გირჩევნიათ, ერთი მოკვდეთ სხვების გადასარჩენად, თუ მათთან ერთად თქვენც?!

ქავთარაძე მშვიდად უსმენდა, გუმანი არ ატყუებდა, მკვეხარას მუქარაში შიშიც გამოიცნობოდა.

— მაშ თქვენც იცოდეთ, ჩემთან ერთად ყველას გაგიყოლებთ! — კუშტად მოუჭრა პატიმარმა.

— ეგ როგორღა?!

— უბრალოდ. მე საბჭოთა საელჩოს მრჩეველი ვარ. ბეწვიც რომ ჩამომცვივდეს თავიდან, გერასიმე მახარაძის თავსაც გამოემშვიდობეთ მოსკოვში, არც მენშევიკების მთავრობის ელჩს მოეფერებიან!

— თქვენ ასე ფიქრობთ?! — შეცბა პოლკოვნიკი.

— დარწმუნებული ბრძანდებოდეთ! ამასთან დიდადაც დაგიმადლის ქუთაისში გამოქცეული ეორდანია — რამიშვილის მთავრობა, თუ ჩემს ამ ულტიმატუმს სიტყვასიტყვით გადასცემთ!

პოლკოვნიკმა კისერი აიღერა, მერე ჩაქინდრა და ხმაჩახლეჩით მოჭრა:

— შეეცდები მასე არ მოხდეს!

წავიდა.

ქუთაისის ციხეში გამომწყვდეული 400 ბოლშევიკი საბარგო ვაგონებში ჩასხეს და ბათუმისკენ უკრეს თავი.

„რატომ?" — ფიქრობდნენ პატიმრები?! ალბად ქალაქგარეთ, გზაში სადმე ტყვიამფრქვეველს მიუყენებენ და ყველას ამოგვჟლეტენ.

მატარებელი ჩაქჩაქითა და ვიშვიშით მიღოღავდა, გზაში ტყის ნაპირთან გაჩერდა, ოცი ჯანმაგარი ტყვე გადმოიყვანეს, ბირდაბირები მისცეს, ცულებიც დაურიგეს და გვარდიელების კარაბინების წინწაგდებით უბრძანეს:

— რაც უფრო ხმელია, ის მოჭერით, ორთქლმავალს შეეკეთეთ, ისე ბათუმში ცოცხლებს არ ჩაგესვლებათ!..

გაჩერებული მატარებელი ალყაშემორტყმულივით დუმდა.

მენშევიკების ბადრაგიც სასოწარკვეთით ჩერჩულებდა.

კუიბიშევისა და ელიავას არმია სურამის უღელტეხილით ქუთაისს ალყას არტყავდა მარჯვენა მხრიდან და ამით უფრო აჩქარებდა მენშევიკ-ბოლშევიკების სამხედრო სარდლობის მოლაპარაკებას, რომ სისხლის დაუქცევად დანებებულიყვნენ, წითელი არმია ბათუმისკენ უბრძოლველად გაეშვათ, თურქეთის შემოსევისაგან ეხსნათ ბათუმი.

ჟლობა და ტიტე ტამიწაძის ცხენოსანი დივიზია კი სურამთან გამოეყო მეთერთმეტე არმიას რომ ბორჯომის მიმართულებით დაძრულიყო, ახალციხისკენ პირი ექნა გოდერძის უღელტეხილით ბათუმს ზურგიდან შემოვლის გეგმას აწყობდა. ახლა ბათუმის ციხეში გამოსამწყვდევად ჩარეკილ 400 რევოლუციონერს ისევ თავდასახსნელი ხვრელის გათხრა სჭირდებოდა და ტიტეც იმათ გამოსაშვებად ემზადებოდა.

თბილისსა და ქუთაისს შორის საუბარი გაცხარდა. ნოე ჟორდანიამ თავის რწმუნებულად გრიგოლ ლორთქიფანიძე გამოჰყო, საქართველოს რევკომის თავმჯდომარე ფილიპე მახარაძემ კი მამია ორახელაშვილი. ლაპარაკი ომის უსისხლოდ დამთავრებას ეხებოდა. მენშევიკური მთავრობა დროის გაყვანის ფარულ გეგმას ახვევდა იმის მოლოდინში, რომ ბათუმში ქემალისტების შემოშვებით იქნებ რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულება ჩაეშალა და მოკავშირეები ერთმანეთისათვის წაეკიდებინა. ამასობაში ანტანტის დახმარებაც მოუსწრებდა და თბილისში დაბრუნების იმედიც გაჩნდებოდა.

საქართველოს დემოკრატიულმა მთავრობამ კარგად იცოდა, რომ თურქეთის ახალ მმართველ ქემალ-ფაშას ოპოზიციაში უდგნენ გენერლები ყარა-ბექირი და ქიაზიმ-ბეი. ორივე მტრულად მოეკიდნენ საბჭოთა რუსეთთან თურქეთის სახალხო მთავრობის მეგობრობის ხელშეკრულებას, რომელიც სწორედ იმ 1921 წლის 16 თებერვალს, დაიდო მოსკოვში. ამ ხელშეკრულებით საქართველოს რჩებოდა ბათუმი, მისი ოლქი, ახალციხე და ახალქალაქის მაზრები. მაგრამ ამას ეურჩებოდნენ ძველი სულთანის მომხრე ოფიცრები, თურქეთის ჩრდილოეთის ფრონტის მთავარსარდალი ყარა-ბექირ-ფაშა და გენერალი ქიაზიმ-ბეი. ორივეს სული მისდიოდათ ესარგებლათ მენშევიკური საქართველოს დამარცხებით და არდაგანისა და ართვინის მიმტაცებელთ ახალციხე-ახალქალაქიც მიემატებინათ და ზედ ბათუმიც დაეყოლებინათ ბობულეთ-ოზურგეთის ჩართვით.

თბილისში პირდაპირი ხაზის აპარატთან მამია ორახელაშვილი მივიდა და გრიგოლ ლორთქიფანიძეს კითხვა პირდაპირ დაუსვა:

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: მართალია თუ არა ყარა-ბექირის ცნობა, რომ თქვენმა მთავრობამ მის მთავრობას გადასცა ბათუმი, ამასთან თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი 11 მარტს?

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: მართალი არაა! ბათუმში მართლაც იმყოფება ჩვენი თანხმობით შემოშვებული ანკარის ჯარების პატარა ჯგუფი. მაგრამ როგორც ქალაქში, ციხე-სიმაგრეში ასევე ოლქში ჩვენი სრული დომინაციაა როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო მოქმედებაში. ანკარის ნაწილებს შეუძლიათ დარჩნენ იქ მანამდე, სანამ ამაზე ჩვენი თანხმობა იქნება.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ასეთ შემთხვევაში, რაღა აზრი აქვს ჩვენს შეხვედრას და რის შესახებ გვექნება მოლაპარაკება, რაკი ბათუმის ოკუპაცია, თუნდაც ნებაყოფლობითი, მაინც ფაქტია?!.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: კიდევ ერთხელ ვაცხადებ, რომ ოკუპაციაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეს შეუძლებელია! იქნებ ყარა-ბექირს სურს ეს, მაგრამ ფაქტია, რომ ჯარის ეს ჯგუფი სრულიადაც არ წარმოადგენს საოკუპაციო ძალას. დღემდე არ არის ოკუპაცია არც როგორც ფაქტი და არც როგორც უფლება, ჩვენი ნება-სურვილის გარეშე ბათუმისა და ოლქის ოკუპაციას ვერავინ მოახდენს, თუ არა იარაღით დაპყრობით. ჩვენ შესაძლებლად ვთვლით, ისევე როგორც თქვენც რომ საქართველოს მთლიანობას ემუქრება ახალი საშიშროება — ამაზე აშკარად მეტყველებს ყარა-ბექირის ცნობა. იმის შესახებ, თუ რაა ჩვენს შორის მოსალაპარაკებელი, ვფიქრობ, საჭიროა შევხვდეთ. ახლა თქვენ აღძარით საკითხი და, ბოლოს, თვითონ ისურვეთ წამოგეყენებინათ წინადადება მოლაპარაკების საჭიროების შესახებ ომის შესაწყვეტად და მასთან დაკავშირებულ საკითხებზე.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: რამდენადაც მთავრობად თვლით თავს, თქვენს გვერდით თუნდაც ერთი წყვილი ანკარის შეიარაღებული ასკერის ყოფნა იმაზე მიუთითებს, რომ ეს ან ოკუპაციაა ან თქვენი მოკავშირენი. ტერიტორიის მთლიანობის საკითხი მნიშვნელოვანი საკითხია, მაგრამ თქვენ ჩაშალეთ მისი სასურველად გადაწყვეტა უცხოეთის შეიარაღებული ძალის შემოშვებით ბათუმში, თუმცა რუსეთ-თურქეთის კონფერენციაზე მოსკოვში დადებითად გადაწყდა ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის საქართველოს ფარგლებში დატოვების საკითხი. შეთანხმებას ხელს აწერს საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელი მიხა ცხაკაია.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: ინფორმაციისათვის გმადლობთ; მოსკოვის კონფერენციას მივესალმებით; ბათუმი იურიდიულად და ფაქტიურად ჩვენს ხელშია და მისი ბედი შეიძლება გადაწყდეს მხოლოდ ჩვენთან მოლაპარაკებით. ბათუმში შემოსული ანკარის ჯარები არც ოკუპანტები არიან და არც მოკავშირენი, მაგრამ ჩვენ ვთვლით, რომ ეს საკითხი, როგორც სხვაც, არ შეიძლება ყოველმხრივ განვიხილოთ პირდაპირი მავთულით, არამედ უნდა გაირკვეს შეხვედრის დროს.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ნება მომეცით ბოლომდე მოგაწოდოთ ინფორმაცია. ყარა-ბექირმა მეთერთმეტე არმიის სარდლობის სახელზე ტელეგრაფით აცნობა, რომ დიდი ეროვნული კრების დადგე-

ნილებით ბათუმი და მისი ოლქი, ახალციხე და ახალქალაქი უერთდება თურქეთს, როგორც მისი კანონიერი ნაწილი და, რომ მან ამის საფუძველზე გასცა ბრძანება დაიკავონ ხსენებული რაიონები; მისი ოფიციალური ცნობით, ბათუმი მან დაიკავა თერთმეტ რიცხვში; როგორც ხედავთ, ყარა-ბექირი ადასტურებს რომ თურქეთის ჯარებმა დაიკავეს ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი.

ჩვენი ღრმა რწმენით ბათუმს ემუქრება საშიშროება, მას იხსნის მხოლოდ ჩვენი ჯარების დაუყოვნებლივი შეყვანა და თქვენი ჯარის ჩვენი სარდლობისათვის დამორჩილება ბათუმის დასაცავად და საქართველოსათვის დასატოვებლად; თქვენი მხარის თანხმობით და ცალიელი ვაგონების ჩამოყენებით ჩვენი ჯარები დღესვე შეიძლება შეგვყვანოთ ბათუმში, ამასთან თავისთავად ცხადია, საფუძვლად რჩება ჩვენი ძველი მოლაპარაკება; თქვენი მხრივ ამაზე თანხმობის შესახებ. ჩვენ დაუყოვნებლივ ჩავიდოდით რუსეთის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს რწმუნებულების — ენუქიძესა და სვანიძესთან ერთად.

ლორთქიფანიძე: დიახ, ბათუმს შესაძლოა მართლაც ემუქრებოდეს და, ალბათ ემუქრება საფრთხე ორი მხრიდან: ეს საშიშროება მარტო სამხრეთიდან რომ იყოს, დარწმუნებული ვართ მოვიგერიებთ. ამიტომ დაჟინებით მოგმართავთ მტკიცე ზავის დადებას გზით ხელ-ფეხი გაგვიხსნათ, რათა პირით სამხრეთისკენ დავდგეთ. დავიცვათ ქალაქი და ოლქი, სასწრაფოდ დავიწყოთ მოლაპარაკება სრული იმედით, რომ ამ საკითხში შევძლებთ არა მარტო ვიპოვოთ საერთო ენა, არამედ საერთო გადაწყვეტაც და საერთო საქმეც.

ორახელაშვილი: ჩვენი მხრივ საზეიმოდ ვაცხადებთ თქვენსა და ქვეყნის წინაშე საბჭოთა რუსეთის წარმომადგენლების თანადასწრებით, რომ ბათუმში ჩვენი ჯარების შეშვებით არავითარ შემთხვევაში არ გვინდა შევასუსტოთ ჩვენი მოლაპარაკების შედეგები და დაგვაყენოთ ფაქტის წინაშე. რაც შეეხება ჩვენსა და თქვენს ჯარებს შორის სისხლის ღვრის შეწყვეტასა და ბათუმის უსაფრთხოებას, ამით იგი სავსებით იქნება უზრუნველყოფილი. თუ თქვენ ამაზე თანახმა ხართ, ჩვენ დაუყოვნებლივ გამოვალთ; ამას მოითხოვს რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობის, კერძოდ, ბათუმის ინტერესები. ჩვენი აზრით ბათუმისკენ მოძრაობის შემდგომი დაყოვნება მისი დაკარგვის ფარდი იქნება. კიდევ ერთხელ ვაცხადებ საქვეყნოდ ღა საჯაროდ, რომ ჩვენი გადაწყვეტილების მიზანია საქართველო-

სათვის ბათუმის შენარჩუნება. სწორედ ამისათვის მოვდივართ მოსალაპარაკებლად და თქვენც გიწვევთ ქალაქ ქუთაისში.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ თქვენს მიერ ამ საკითხის გადაწყვეტის შემოთავაზებული საშუალება ჯერ-ჯერობით არის ზავის ხელშეკრულება და მთელი თქვენი ძალღონე სწორედ ამ მიზანს მოხმარდება.

გარანტიას გაძლევთ, რომ შევინარჩუნებთ ბათუმსა და ოლქს ფორმალური ლიკვიდაციის მომენტამდე, ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა ჩამოხვიდეთ შეთანხმებისამებრ. მე კი სამტრედიის გზაზე შეგხვდებით. სწორედ ახლა ჩამოვიდა ჩვენთან თბილისიდან წერეთლისა და ღლონტის დელეგაცია.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ჩვენი გადაწყვეტილება საბოლოოა და გამოვემგზავრებით ქუთაისში; ჩამოდით თქვენც.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: როგორ გავიგოთ ეს? მაშასადამე, ზავი გრძელდება ყოველ შემთხვევაში ჩვენს შეხვედრამდე.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ომს თქვენს წინააღმდეგ აღარ ვაწარმოებთ. მაგრამ გათენებისას ბათუმისკენ მოძრაობა გაგრძელდება!

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: წერტილი დასვით „მაგრამზე" — თუ აქ ფრონტია, ჩვენ შორის აღარ არის ზავი და შეთანხმება, თქვენ აგრძელებთ წინსვლას: ეს იგივე სამხედრო მოქმედების აშკარად დაწყებაა და სხვა არაფერი! ამ შემთხვევაში რაღა აზრი აქვს ჩემს გამომგზავრებას თქვენი ჯარების შემოტევის შესახვედრად და საერთოდ ჩვენს შეხვედრას? ჩემ მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილება იმავე ძირითად მიზანს ისახავს, რომელსაც ამჟამად თქვენ აყენებთ, მაგრამ მე უფრო მიზანშეწონილად ვწყვეტ.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი. ჩვენ სხვა გამოსავალს ვერ ვხედავთ! ომი თქვენთან არა გვსურს, მაგრამ ბათუმისკენ მოძრაობას ვიწყებთ მის გადასარჩენად და მზად ვართ თქვენთან მოლაპარაკებას შევუდგეთ ყოველნაირ მდგომარეობაში. ჩვენი შეთანხმების ძირითად პუნქტებს ტელეფონით გადავწყვეტთ.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: აუცილებლად საჭიროა, რომ თქვენმა ჯარებმა არავითარ შემთხვევაში ხვალ წინსვლა არ დაიწყონ, რათა ალბათ ზეგინდელ ობიექტურ მოკავშირეებს შორის, არ მოხდეს ერთ-ერთი ყველაზე უაზრო და საშინელი სისხლისღვრა! თქვენი მხრივ ასეთი სულწასულობა არა თუ არ აჩქარებს ბათუმის საკითხის გადაწყვეტას ორივე მხარისათვის სასურველი სულისკვეთებით, არამედ,

პირიქით, აბრკოლებს და ვიღაც მესამეს გაახარებს. მე დაჟინებით მოვითხოვ ყოველნაირი საქართველოსაგან — საბჭოურის თუ არასაბჭოურის, — რომ ჩვენ შორის ხვალინდელი დღის მშვიდობა საჭიროა ყოველ შემთხვევაში იმისათვის, რომ პასუხსაგები გადაწყვეტილება მივიღოთ, მივაღწიოთ ხელშეკრულებას ძირითად პუნქტებში და მოგვეცეს ფრონტის გარდაქმნის შესაძლებლობა!

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: კიდევ ერთხელ ვიმეორებთ, რომ ბათუმისათვის საშიშროება გვაიძულებს ამ საკითხის გადაწყვეტა ვიჩქაროთ. დაყოვნების ყოველი წუთი სულ უფრო ართულებს მდგომარეობას! ბათუმში ჩვენი ჯარების ნებაყოფლობით შეშვება არათუ ხელს არ უშლის ფრონტის გარდაქმნას, არამედ ეს ფრონტი მტკიცდება სამხედრო და პოლიტიკური მხრივ და მტრისათვის აბსოლუტურად მიუდგომელ ციხე-სიმაგრედ იქცევა! ამასთან ერთად არ შეგვიძლია არ გამოვთქვათ გაკვირვება, რომ ბათუმში თურქეთის ჯარების შეშვების მიუხედავად, ასე ენერგიულად ეწინააღმდეგებით ჩვენი ჯარების შეყვანას და ამავე დროს ხვალინდელი დღე მიგაჩნიათ მშვიდობის დღედ ჩვენ შორის?!

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: ნუთუ არ გესმით, რომ ერთი დღე დასჭირდება არა მარტო ამ საქმის გადაწყვეტასა და მოგვარებას, არამედ ჩვენი ფრონტის მარტო შეტყობინებასაც კი, ყოველივე ამის არსის განსამარტავად არმიისა და მისი ხელმძღვანელებისათვის. განა ცხადი არ არის, რომ თუ ერთი დღის შემდეგ ასე თუ ისე ერთად ვიქნებით, ასჯერ უფრო გაადვილდება საქართველოს ტერიტორიის გაღარჩენისა და გადაწყვეტის ამოცანა, ვიდრე იმ შემთხვევაში, თუ ახლა დაიწყებთ მოქმედებას უჩვენოდ და ჩვენი ნება-სურვილის გარეშე?!

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ახლახანს გადმოცემულიდან შეგიძლიათ დარწმუნდეთ ჩვენს გულწრფელობაში. ჩვენ ვესწრაფვით ომის შეწყვეტასა და რესპუბლიკის ტერიტორიის მთლიანობის დაცვას. სამხრეთის საზღვრის თაობაზე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად მოგვიხდება დაუყოვნებლივ მივიღოთ შემდეგი ღონისძიება: სამხრეთი ჯგუფი ბათუმში შევა უბრძოლველად, თქვენი თანხმობითა და მეშვეობით. ამაზე გადაიცემა სათანადო შინაარსის დაშიფრული დეპეშა.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: რომელი მიმართულებით მიდის ეგ ჯგუფი?

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ახალციხე-ბათუმის გზატკეცილით.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: ყველა საშუალება არსებობს ამ ჯგუფის გასაჩერებლად, თვით უღელტეხილზე მოუხერხებელი მდგომარეობის გარდა და ვფიქრობ, ჩვენი შეთანხმების მოსაგვარებლად საჭიროა ეს ჯგუფიც დააყოვნოთ მოსახერხებელ ადგილებზე და სამოსახლო პუნქტებში! რაც შეეხება კავშირგაბმულობას, იგი უზრუნველყოფილია როგორც ბათუმ-ხულოს, ისე ხულო-ახალციხის, აგრეთვე მიხაილოვო-ბორჯომ-ახალციხის მხრივაც.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ჯგუფი უღელტეხილს უკვე შეუდგა. მისი შეჩერება შეუძლებელია, რადგან ამჟამად ჯგუფთან კავშირი არაა! ჩვენ შეგვიძლია თქვენი შემწეობით გადავცეთ ხსენებული შინაარსის სათანადო ბრძანება.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: ვერ გამიგია, რატომ არ შეიძლება რომ ეს ჯგუფი შეჩერდეს, როგორც ყოველი სხვაც, მისთვის მოსახერხებელ ადგილას, რა თქმა უნდა თვით უღელტეხილზე კი არა?! რაც შეეხება რომელიმე მესამე ძალის მხრივ სამხედრო გართულების საშიშროებას, ესეც გარანტირებული იქნება ჩვენი ჯარების მიერ. თქვენს ბრძანებას მათ შესაჩერებლად დროულად გადავცემთ. თუ თქვენ კავშირი არა გაქვთ, თუმცა გუშინ ხულო ახალციხეს ელაპარაკა. მე კიდევ ერთხელ დაჟინებით მოვითხოვ ჩემს მიერ არაერთხელ გამოთქმული მიტივებით; ნუ ართულებთ სუფთა და ნათელ საქმეს სხვადასხვა პირობების მომიზეზებით ამ სამხრეთის ჯგუფისათვის, რომელიც ასე მალე ვერ ჩავა ბათუმში, როგორც თქვენ წარმოგიდგენიათ, როცა ალბად ამ ჯგუფის ამოცანა — ბათუმის დაცვა, — წარმატებით სრულდება ჩვენი ჯარების მიერ.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ვიმეორებ, ჯგუფის შეჩერება არ შეიძლება მრავალი მიზეზით, რომლებზედაც ლაპარაკი შეუძლებელია პირდაპირი მავთულით! თუ ჯგუფი საღამოსთვის ბათუმს არ მიადგა, საკითხი თავისთავად გადაწყდება. ჩასვლის შემთხვევაში თქვენ წინაშე დგება საკითხი — გაატაროთ ის თუ თვითონ გაიაროს? ამასთან ყოველგვარ პასუხისმგებლობას ვიხსნით შესაძლო შედეგებზე!

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: გთავაზობთ, რომ ბრძანება წინსვლის შეჩერების შესახებ გავრცელდეს ყველა ნაწილზე, წინააღმდეგ შემთხვევაში მას არავითარი აზრი არ ექნება! რა განსხვავებაა არსებითად შეთანხმების საქმისათვის — შეტევა იქნება ორი თუ ერთი მიმართულებით? თუ მაინც თქვენსაზე დგახართ, მაშინ, ჩვენ, სამწუ-

ხაროდ ძალაუნებურად მოვიხსნით ყოველგვარ პასუხისმგებლობას, რასაც შეიძლება მოჰყვეს საბედისწერო და გამოუსწორებელი შედეგები!

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ჩვენი გადაწყვეტილება მტკიცეა და გამოწვეულია სამხრეთის ჯგუფის მდგომარეობით. თუ ჩვენი წინადადებები თქვენთვის მიუღებელია, გთხოვ, ზავი დამთავრებულად ჩათვალოთ!

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: პრინციპულად თითქოს ვიპოვეთ საფუძველი ჩვენს შორის ომის შესაწყვეტად და სამხრეთის ჯგუფის შესახებ თქვენს კონკრეტულ წინადადებას. რა თქმა უნდა, დავაკმაყოფილებთ ზავისა და შეთანხმების სულისკვეთებით. ისეთ პირობებში გვაყენებთ, რომ მთელი ჩვენი სურვილის მიუხედავად, მივაგებოთ თქვენს წინადადებას. შესაძლებლობა არ გვექნება პრაქტიკულად განვახორციელოთ ეს წინადადება დროულად და უმტკივნეულოდ.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ვიმეორებ, რომ სამხრეთის ჯგუფისათვის შექმნილი მდგომარეობის გამო ჩვენთვის სხვა გადაწყვეტა გამორიცხულია. თქვენს განკარგულებაშია მთელი დღე, რომელიც სავსებით თავისუფლად შეგიძლიათ გამოიყენოთ სათანადო განკარგულების გასაცემად და თქვენი სარდლობის მოქმედების ჩვენთან შეთანხმების მიზნით ბათუმის დასაკავშირებლად თბილისთან!

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: ყოველნაირად შევეცდებით ავიცდინოთ ქართული და რუსული ჯარების შეტაკება! მაგრამ ამ წუთას მთლიანად როდი ვარ ინფორმირებული, რა მდგომარეობაა აჭარისწყალის ხეობაში? შესაძლოა, რომ ქართული და რუსული ჯარები უკვე ეწვიდროდ მიუახლოვდნენ ერთმანეთს და მოვასწრებ კი მივცე სათანადო მითითება?!.. ყოველ შემთხვევაში ამას ახლავე გავაკეთებ. ხოლო როგორ მოვიქცეთ შემდგომში დელეგაციის შესახვედრად და ბათუმში დაპატიმრებული თქვენი იმ ამხანაგების გამოსაშვებად, რომელთა უმრავლესობა, რასაკვირველია უნდა გამოვიყენოთ იმ საშიშროების გამო. რომელზედაც უხერხულია ლაპარაკი პირდაპირი მავთულით და რაზედაც გწერთ სერგო ქავთარაძე. ეს წერილი თან მომაქვს.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: თქვენივე განცხადებით, თქვენს განკარგულებაშია ხულოს სატელეფონო მავთული, რაც საშუალებას გაძლევთ დროზე აცნობოთ თქვენს ნაწილებს. ჩვენ დაუყოვნებლივ

ვსხდებით მატარებელში, უკვე მზად ვართ და სასწრაფოდ მოვდივართ ქუთაისში, სადაც გიწვევთ თქვენ. დაპატიმრებული ამხანაგები გთხოვთ დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ ქუთაისში. ყოველივე დანარჩენზე შეხვედრის დროს იყოს. ენუქიძე გთხოვთ აცნობოთ შეინმანის ბედზე.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: შეინმანი ცოცხალია, ჯანზედაც არის. მაგრამ როგორაა მახარაძის ჯანმრთელობა, თუ იცით?

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: ასევე კარგად, ენუქიძე წინადადებას გაძლევთ დაუყოვნებლივ გაათავისუფლოთ შეინმანი და თბილისში ჩამოსვლის საშუალება მისცეთ. მოსკოვში იგივე გაკეთდება მახარაძისადმიც.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: შეინმანი დაპატიმრებული არ არის, მას აეკრძალა რესპუბლიკიდან გასვლა, სანამ ნაცვალგების პრინციპით არ გაათავისუფლებთ გერასიმე მახარაძეს სამშობლოში დასაბრუნებლად. თქვენი წინადადება ყოფილი ელჩების ურთიერგაცვლის თაობაზე სავსებით სწორი და დროულია. მიპასუხეთ, როდის ვარაუდობთ ქუთაისში ყოფნას, რათა ჩვენც შევძლოთ ჩამოსვლის შეფარდება. გაცნობებთ, რომ ჩვენი პარლამენტარი და მესაყვირე — ჯარისკაცი ორი დღეა დააპატიმრა სამტრედიის ჯგუფმა. გაეცით სათანადო განკარგულება.

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: მაშასადამე, ჩავთვალოთ, რომ მახარაძესა და შეინმანს დღეიდან აღარ ეკრძალებათ რესპუბლიკის ფარგლებიდან გასვლა და ორივე აბსოლუტურად თავისუფალია! პარლამენტატორების დაკავება გაუგებრობად მიმაჩნია. გაიცემა სათანადო განკარგულება. მაგრამ გვაუწყეს, რომ თქვენთან კავშირის ხაზის გაბმისას ხიდზე დააკავეს მძევლებად ინსტრუქტორი ბელინსკი, ერთი ზედამხედველი და ორი მუშა. ვფიქრობთ, ქუთაისში ვიყრით თავს არა უგვიანეს დღის სამი საათისა.

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: რომელ რიცხვში იქნებით ქუთაისში?

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: დღეს, 16 მარტს. სამხედრო ხასიათის საკითხების შესახებ თუ საჭიროდ მიიჩნევთ, გთხოვთ გამოუძახოთ რევოლუციური საბჭოს წევრებს ორჯონიკიძეს ან მეთერთმეტე არმიის სარდალს!

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: რითი ჩამოხვალთ ქუთაისში?

ო რ ა ხ ე ლ ა შ ვ ი ლ ი: გამოვალთ სასწრაფო მატარებლით, ყოველ ვითარებაში საღამოთი ვიქნებით!

ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე: ძალიან კარგი! ამ დროისთვის ჩვენც ვიქნებით! მართალია თქვენები დავაკავეთ, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ერთი დღეღამე ჩვენი პარლამენტატორები არ დაბრუნდნენ, ამიტომ განთავისუფლების სიტყვა თქვენზეა! ამის შემდეგ დაუყოვნებლივ განთავისუფლდებიან თქვენებიც.

ბოდერძის უღელტეხილზე

წითელი არმიის ნაწილებმა თბილისი აიღეს, მაგრამ ბრძოლა ამით არ დამთავრებულა. მენშევიკებმა ქართველი პატიმრები ქუთაისში წაიყვანეს. თან გაიყოლეს საბჭოთა მისიაც, აზერბაიჯანისა და სომხეთისაც.

მეთერთმეტე არმიის სარდლობამ განსაკუთრებული ჯგუფი გამოყო უკანდახეული მენშევიკური ჯარების დასადევნებლად. ერთი ნაწილი სურამიდან ბათუმის მიმართულებით დაიძრა, მეორე კი ბორჯომ-ახალციხის გზით გაემართა, რომ ორივენი ბათუმში შეერთებულიყვნენ.

მარჯვენა ჯგუფმა. კუიბიშევის სარდლობით, სურამის ქედის შემოვლით წიფასთან უყელა, მაგრამ მენშევიკების ჯარმა, რკალში რომ არ მოხვედრილიყო, ქუთაისისკენ დაიხია, ხიდები ააფეთქა, ლიანდაგი აყარა და წითელ ჯავშნოსან მატარებლებს გზა გადაუჭრა. ამან მნიშვნელოვნად დააყოვნა მეთერთმეტე არმიის მარჯვენა ფრთის აჩქარებული სვლა; დრო ხელიდან უსხლტებოდათ.

ეორდანიას მთავრობაც ჩქარობდა. ქემალისტების სარდლობას სთხოვა თავისი ნაწილები შემოეყვანა წითელი არმიის მარშის შესაყოვნებლად.

მენშევიკების ასეთ ტაქტიკას ანტანტის სახელმწიფოებიც თანაგრძნობით შეხვდნენ: საქართველო წინააღმდეგობას ვერ უწევდა, ქემალისტური თურქეთის ამხედრებაში ნახა ხსნა და ის, ვისაც გუშინ ებრძოდა, დღეს მოკავშირედ მიუყენა საბჭოთა რუსეთზე შესატევად.

თურქეთს ძველი მადა გაეხსნა საქართველოს და სომხეთის მიწების ადვილად მისატაცებლად; სომხეთის ტერიტორიის დიდი ნაწილი იარაღით დაიპყრო, საქართველოს მიწა-წყლის მიერთებას კი დიპლომატიური ენით აპირებდა, — იძულებით და-

დებული ხელშეკრულება შუბლზე აიკრა, არა მარტო არდაგან-ერთვინის მაზრების მიტაცებას იკანონებდა, ახალციხე-ბათუმსაც თათს ადებდა და რაკი საბჭოთა რუსეთთან მეგობრულ დამოკიდებულებაში იყო, ასეთი ოკუპაციით მომხდარი ფაქტის წინაშე აყენებდა, მერე კი იურიდიულადაც დაუსაბუთებდა. რომ ბათუმიც და ახალციხეც თვით მენშევიკური სუვერენული მთავრობის მიერ ნებაყოფლობით გადმოცემულად მეთვლებაო.

საქართველოს რევკომისთვის ცხადი გახდა თურქეთის ცბიერება. დაგვიანება აღარ შეიძლებოდა, თურქებს არ უნდა დაესწროთ ბათუმში შესვლა, რომ მერე, საქართველოს მიწა-წყლის კუთვნილი ბათუმი დიპლომატიური დავის საგანი არ გამხდარიყო.

ამ მიზნით საქართველოს რევკომმა და კავკასიის ფრონტის სარდლობამ გადაწყვიტეს ბათუმის მიმართულებით მეთვრამეტე საკავალერიო დივიზიის გაგზავნა, რომელიც ბორჯომ-ახალციხიდან გოდერძის უღელტეხილზე გადასვლით ბათუმს ზურგიდან შემოუვლიდა. კუიბიშევის მეორე ფრთას კი დაევალა სურამ-ქუთაისიდან ჩაეღწია ბათუმში, რომ თურქებს არ დაესწროთ ქალაქში შესვლა.

ბორჯომ-ახალციხის ჯგუფის სარდლად დაინიშნა დიმიტრი ჟლობა. სამხედრო კომისრად ტიტე ცამიწაძე ახლდა.

7 მარტს ჟლობას ცხენოსანი დივიზია ბორჯომში შეავიდა და შეუსვენებლივ სვლა განაგრძო ახალციხის გასაწმენდად ქემალისტებისაგან.

მაგრამ ბუნება სამტროდ აღუდგა, გოდერძის უღელტეხილის ორმოც ვერსიანი გზა გადაკეტა, ერთი მეტრი თოვლი დადო. ნამქერი მატულობდა. მებრძოლები წელამდე იფლობოდნენ. იარაღით დატვირთული აღალი უკან-უკან მისრიალებდა, უფსკრულისაკენ ცურდებოდა, თოფის წამალს, სურსათსა და ალაფს ემუქრებოდა. ღამე თოვლში ეძინათ.

განთიადი კი უცნაური დადგა, ცაზე ღრუბლების ნატამალიც არ ჩანდა, ნიავიც კი არა ქროდა, მზე თბილად იყურებოდა, მებრძოლებს უღიმოდა. გოდერძის უღელტეხილის გადასახედი ზღაპარს ჰგავდა, წუხელ შმაგი, ცივი მიწა ახლა თბილად სუნთქავდა.

ლაშქარი დაიძრა. მალე დასავლეთის თავქვე ფერდობიც გამოჩნდა. კიდევ ცოტაც და ქართულ სოფლებსაც მიადგნენ.

თურქეთის რაზმის უფროსმა მხოლოდ მეორე დღეს შეიტყო, რომ ჟლობა — ცამიწაძის ლაშქარი დათქმულ ზეკარის უღელტეხილის ნაცვლად გოდერძის უღელტეხილით დაძრულა და გადასულა კიდეც.

თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის მთავარსარდალ ყარა-ბექირს აცნობეს სასწრაფოდ და იმანაც თავზე ხელი შემოირტყა:

— აი, შაითან!

ჭოროხთან მდგარ ნაწილის უფროსს გამოუძახა და უბრძანა:

— უწმინდურებმა ეშმაკის გადასასვლელი გადმოლახეს. გოდერძის უღელტეხილი დალაშქრეს და ახლა ხულო-ბათუმისკენ მიიჩქარიან. სასწრაფოდ გავალებთ — დაასწროთ ბათუმში შეჭრა!

არდაგანიდან მოსულ ნაწილსაც უბრძანა:

— დაუყოვნებლივ მოაქციეთ გადაჯვარედინებული ცეცხლის რკალში გოდერძის უღელტეხილით გადმოსული წითელი არმიის ლაშქარი, იარაღი დაჰყარონ ან სიცოცხლეს გამოესალმონ!

წითელი ცხენოსანი ჯარი აჩქარებული მარშით მიუახლოვდა ქედას, გზად თურქი პოლკოვნიკი გადაუდგა. ცხენზე ამხედრებული ცამიწაძის დანახვაზე შეცბა და გაკვირვებით შესძახა:

— ტიტე—ეფენდი! თუ მოჩვენებაა?!

ცამიწაძემაც იცნო იუნიუს ნადიმი, ქემალ-ფაშას ერთგული თანამდგომი. გაახსენდა ანკარაში ნათქვამიც: „როგორც გენებოთ, ისე მიიღეთ, წარმოშობით თურქი არ ვარ! ნადიმაძეა ჩემი წინაპრების გვარი, რწმენით მუსლიმანი გახლავართ. მაგრამ ეს არ მიშლის თავი გავწირო თურქეთისათვის“.

ტიტემ ფრანგულად მიმართა:

— მიხარია, მშობლიურ მიწაზე შეხვედრა.

— დიახ, ჩემს მიწაზე, თურქეთის! მაგრამ გურჯი—ეფენდი რატომ გვედავება? — ირონიით იკითხა და მუსლიმანური გრძნობა — ერთგულების გადმომცემი რბილი ღიმილიც გადმოფინა.

— ჩემსაზეც, იუნიუს — ბეი, ისევე როგორც ოდესღაც თქვენსაზედაც!

— ახლაც ჩემია, ჩემიანების! ამის დასაცავად მუსლიმან ქართველებს უფრო მეტი სისხლი დაგვიღვრია, ვინემ თქვენ, აჭარის მიწა-წყლიდან შორი-შორს გამდგარ გურჯებს. რატომ მიატოვეთ ეს მიწა საუკუნეების მანძილზე, თუ მართლაც თქვენთვის მშობლიური იყო?! განა სამშობლოს ასე იმეტებენ. მე ეს ჩემს მემ-

ლექეთად მიმაჩნია და არც არავის დავუთმობ, თუნდაც სისხლი მონათესავეთ!..

— ჩანს თქვენც მიგაჩნიათ, რომ სხვა რაღაც უფრო მნიშვნელოვანიც არსებობს, ვინემ სისხლის ნათესაობაა? — გაკვირვებით გადაჰკითხა ტიტემ.

— რა თქმა უნდა, რწმენაა მთავარი, რჯული! მე მონად მომიყვანეს თურქეთში და ბეგად ვიქეცი! თქვენ რას ჰპირდებით ჩვენებურ და თქვენებურ ჩემისთანათ? რომელ სამშობლოს?!..

— რევოლუციურს.

— თურქეთმაც მოახდინა რევოლუცია სულთნის წინააღმდეგ, როგორც რუსეთმა საკუთარი იმპერატორის ჩამოსაგდებად. მაგრამ თქვენმა რევოლუციამ ეროვნებები კი არ იხსნა, — ეროვნული გრძნობებისაგან გაათავისუფლა, რწმენა მოუშალა! ჩვენ ასე როდი მოვიქეცით, რევოლუციამ ალაჰი არ შესცვალა.

— თუ მართლაც ასეა, არ გიკვირთ, რომ მე, უწმინდური გურჯი-ეფენდი, ანდა როგორც სინამდვილეში ვარ — წმინდა ბოლშევიკი ტიტე ცამიწაძე, — რატომ ვიბრძვი, რომ ბათუმი, ახალციხე და ახალქალაქი საქართველოს დაუბრუნდეს? განა იმიტომ არა, რომ თქვენისთანად გატაცებულ, დამონებულ და მერე ამაღლებულ თურქ-ქართველებისათვის საკუთარი ისტორიული მემლექეთი ვაპოვნინო?!

— არა, ეგ არ გამოქმედებთ! სოციალური წყობის შეცვლა გსურთ. გინდათ მეორედაც მონად მაქციოთ! სტამბოლის ბაზარზე გაყიდულმა ჩემმა წინაპრებმა მე. შვილთაშვილი მუსლიმან ბეგად მაქციეს, მალე ფაშას წოდებასაც მივიღებ! თქვენმა საქართველომ რა მისცა ჩემს ისეთსავე წინაპარ გლეხკაცებს, ნადიმაძისა თუ ხაკბას გვარის ნაშიერებს?! გლეხებად დატოვეთ. მაგრამ თუ ვინმე მოსტაცეთ სოციალურ გაჭირვებას, ეროვნულ ბურჟუად ან ფეოდალად იქციეთ?! ახლა კი სოციალისტური რევოლუციის სახელით სოციალურ მდგომარეობასაც უმცირებთ და ეროვნულ კუთვნილებასაც ართმევთ! მე გამიჭირდება ასეთ მემლექეთში ცხოვრება! აღარც დიდი დრო დამრჩენია სიცოცხლისათვის, საქართველო არ იგლოვებს ჩემისთანა გაყიდულ, გადავიწყებულ შვილებს! ესეც კიცი.

ტიტეც შეცბა: „ვაი შენ ჩემი უბედუროო საშობლოვ!“

— ყველა ქართველმა რომ თქვენნაირად ისაზროს. საქართველოს მზე და მთვარე გაქრება ქვეყანაზე.

პოლკოვნიკი გაიბღენძა:

— მთავარია თურქეთის მზემ ანათოს, თუნდაც ნახევარმთვარემ. კაცი იქაა ბედნიერი, სადაც თავს უხრიან.

— ჩვენ ეგეთ თავის დახრასაც ისევე ვებრძვით, როგორც ყოველნაირ თავგამოდებას! ორივე ერთნაირი სენია. მისი მომრჩენი მხოლოდ სოციალური და ეროვნული განმათავისუფლებელი ბრძოლაა!

— ყველამ საკუთარ თავს უწამლოს, სოციალური პრეპარატებით კი არა, სახალხო ყვავილ-ბალახით, ბრძენი მოლების ლოცვით, თუნდაც შაითან ექიმბაშების რჩევით!

— კარგ რჩევას ვერ იძლევი, იუნიუს ნადიმ?!...

— მაშ სხვა უკეთესს გირჩევთ! გააბრუნეთ თქვენი კავალერია უკან! იარაღი აიყარეთ! თავისუფალ ადამიანებად დარჩებით. ხელი აიღეთ ბათუმის გზაზე.

ტიტეს სუნთქვა შეეკრა და სიტყვა ბოლმად მოაწვა. მერე ელოპას შეხედა და იმის მშვიდმა გამოხედვამ სიმშვიდის ძალა მისცა. ტიტემ წინგადამდგარ, თითქმის გამარჯვების მოპოვებული რწმენით გაღიმებულ პოლკოვნიკს იმ სიდინჯით აუხსნა, როგორსაც სტალინჯუღაშვილი თვითონ ელობას ახსენებდა: „თურქებთან კონფლიქტს ერიდეთ, ბათუმში კი შეიჭერით!“

— ჩემი რჩევაც ისმინე, იუნიუს ნადიმ-ბეი! მე მივდივარ ბათუმში ჩემი სარდლობის ბრძანებით. ბათუმში ჩვენი მტრები — თეთრგვარდიელები და ანტანტელი ოკუპანტები დათარეშობენ. თქვენ, როგორც ჩვენთვის მეგობრულმა არმიამ, დახმარება უნდა გაგვიწიოთ, ხელს არ უნდა გვიშლიდეთ. ამასთან ერთად მე გამაჩხია სარწმუნო ცნობები, რომელიც გადმომცა ჩვენმა სარდლობამ: თურქეთისა და საბჭოთა რუსეთის ხელშეკრულებით, რომელსაც მოსკოვში ხელი მოაწერეს გუშინწინ, 16 მარტს, ქალაქი ბათუმი და მთელი ბათუმის გუბერნია საბჭოთა საქართველოს რჩება! ამიტომ ჩვენი არმია თავის ქალაქს უახლოვდება თავისსავე ტერიტორიაზე და არა თურქეთისაზე, როგორც თქვენ დიდად გსურთ, რომ მეც ამაში დამარწმუნოთ. ამიტომ, ძალიან გთხოვთ, გადაეცით ეს თქვენს სარდლობასაც და ნუ მეღობებით წინ ჩემს სავალ გზაზე!

პოლკოვნიკმა ნადიმ-ბეიმ გაკვირვებით მოისმინა ტიტე-ეფენდის

გაფრთხილება და გვერდზე გადგა, რაკი ჟლობას არმიასთან შედარებით მისი ერთი ბატალიონი ისე მობუზულად გამოიყურებოდა, რომ წინააღმდეგობის გაწევა და იარაღის ხმარება საკუთარი ხელით ყელის გამოჭრას უდრიდა.

ჟლობა თურქი პოლკოვნიკისა და ტიტეს ფრანგულ ენაზე დიალოგს გუმანით ჩასწვდა და ორივე, ისევ ერთად, უკან მხნედ მოყოლილ კავალერიას წინ წაუძღვნენ.

ბათუმამდის ცოტა მანძილი რჩებოდა, მაგრამ თურქების ძალადობასა და ყოყოჩობას ბოლო არ ეღებოდა. აჭარისწყალთან ახლა უფრო დიდმა სამხედრო ნაწილმა შეაჩერა და ისევ იარაღის აყრა მოსთხოვა. მდინარის ორივე ნაპირზე ჩასაფრებულმა ტყვიამფრქვევებმა მთავარ, პირველ სამიზნედ ჟლობა და ცამიწაძე ამოიღეს.

ჟლობამ ჯარის სვლა შეაჩერა, პირდაპირი ხაზით მეთერთმეტე არმიის სარდალ გეკერს დაუკავშირდა და შექმნილი მდგომარეობა აუხსნა: იმას კი არ სთხოვდა, ქუთაისიდან წამოსული კუიბიშევის ჯარი მომაშველეო, იმას უხსნიდა, რომ, ალბათ, იარაღით თურქების მიფანტ-მოფანტვა მომიხდება და ამით საბჭოთა მთავრობის რაიმე დიპლომატიურ ნაბიჯებს ფეხს ხომ არ ავურევო?!

გეკერმა ძველი რჩევით უპასუხა:

— საერთო-პოლიტიკური მდგომარეობა ჩვენს სასიკეთოდ ეწყობა. ისევე იმოქმედეთ, როგორც აქამდე იქცეოდით, წინ აღიმართეთ თეთრი დროშა, მას კი მიაყოლეთ საბრძოლველად ყოვლად განწყობილი რაზმი. მეტი დიპლომატია — ნაკლები მუქარა! არა მგონია, რომ თურქებმა ახლა ჩვენთან ომი დაიწყონ. ყველა შემთხვევაში, პირველებმა არ ატეხოთ სროლა! ბათუმისკენ იჩქარეთ. არც ერთი საათი არ დაკარგოთ! მეთერთმეტე არმიის მარჯვენა ფრთა კუიბიშევის მეთაურობით ჩრდილოეთის მხრიდან შემოგიერთდებათ 19-20 მარტს.

17 მარტს კი ორჯონიკიძემ საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა კომისარს, ჩიჩერინს, აცნობა:

— თურქებმა ბათუმის სამხრეთით დაიკავეს აჭარისწყალი, რითაც გადაიკეტა ჩვენი სვლა ბათუმისაკენ! ქართველები იტყობინებიან ბათუმიდან, რომ ისინი ზომებს იღებენ, მაგრამ, ჩანს, არაფერი გამოსდით, თურქები უფრო მრავალრიცხოვანი ნაწილებით, უნდა ვივარაუდოთ, დღეს შევლენ ბათუმში. ჯერჯერობით ბათუმში თურქეთის მხოლოდ ერთი პოლკია. საფიქრებელია, რომ ბათუმის მისად-

გომებში თურქებთან შეტაკება მოგვიხდება. როგორ მოვიქცეთ? ბათუმისაკენ გზის გაკაფვას ჩვენი ჯარები შესძლებენ, მაგრამ ნაბრძანები აქვთ მოერიდონ შეტაკებას, თუმცა ასეთი შესაძლებლობა გამორიცხული არაა. მე მივმართე მენშევიკებს დაუყოვნებლივ ჩამოაყენონ სამტრედიაში ცარიელი ვაგონები ჩვენი ნაწილების ჩასასხდომად. ალბათ, ისინი ამაზე დათანხმდებიან და დღეს საღამოსვე, ანდა ღამით ჩრდილოეთიდან შევაღწევთ ბათუმში.

ორჯონიკიძის იმედი, რომ ქუთაისში მყოფი ნოე ჟორდანიას მთავრობა დათანხმდებოდა ბოლშევიკური ჯარების ბათუმში ჩასაყვანად ცარიელი ვაგონების მიცემაზე, აიხსნება იმით, რომ ამ დროისათვის, ქუთაისში უკვე დაიდო მენშევიკურ მთავრობასა და საქართველოს რევკომს შორის ხელშეკრულება, რომლის ძალითაც მეთერთმეტე არმიის მარცხენა ფრთას, კუიბიშევის სარდლობით, საშუალება ეძლეოდა სასწრაფოდ განეგრძო გზა ქუთაისიდან, რათა შეერთებოდა გოდერძის უღელტეხილით ბათუმში მოულოდნელად შემოჭრილ ჟლობას დივიზიის ნაწილებს.

ამავე ხელშეკრულებით ჟორდანიას მთავრობამ ივალდებულა ომის შეწყვეტა, ჯარისა და სახალხო გვარდიის დაშლა, საქართველოს რევოლუციური ჯარების შეშვება ბათუმში.

მაგრამ ხელშეკრულება ერთ საიდუმლოებას ფარავდა: ჟორდანიას მთავრობის სახელით მოლაპარაკებას აწარმოებდა სამხედრო მინისტრი გენერალი გრიგოლ ლორთქიფანიძე, რომელმაც მიაღწია იმას, რომ მენშევიკური მთავრობა მთელ ძალაუფლებას უსიტყვოდ გადასცემდა არაუგვიანეს 25 მარტისა. ამას იმით ასაბუთებდნენ, რომ მთავრობას დრო სჭირდებოდა საქმეების სალიკვიდაციოდ. სინამდვილეში კი, როგორც მერე გაირკვა, მენშევიკური მთავრობა შეუთანხმდა ქემალისტურ თურქეთს ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის გადაცემაზე იმ ვარაუდით, რომ ამ დროისათვის თურქები ფეხს მაგრად მოიკიდებდნენ აღნიშნულ ადგილებში, ხოლო ამის შემდეგ შესულ საბჭოთა ჯარებს მომხდარი ფაქტის წინაშე დააყენებდნენ და საბჭოთა საქართველოსთვის ბათუმის, ახალციხისა და ახალქალაქის მიკუთვნებას, — რასაც რუსეთ-თურქეთის 16 მარტის ხელშეკრულება ითვალისწინებდა, — ძალა დაეკარგებოდა. ჟორდანიას მთავრობის გუმანით უკეთესიც იქნებოდა, თუ ამის ნიადაგზე საბჭოთა რუსეთსა და ქემალისტურ თურქეთს შორის შეტაკება მოხდებოდა! მაშინ ანტანტის სახელმწიფოები გუშინდელ

თავიანთ მტერს, ქემალისტურ თურქეთს, ახლა გულმოდგინედ მიეშველებოდნენ რუსეთის წინააღმდეგ ომის გაჩაღებაში და ამ გზით მენშევიკური მთავრობის უფლებების აღდგენაში.

ეს საიდუმლო გარიგება თურქეთის აღმოსავლეთის ფრონტის სარდალმა ყარა-ბექირმაც იცოდა და სულმოუთქმელად ისწრაფოდა, რომ საბჭოთა ჯარების ბათუმში შესვლისათვის დაესწრო, სამი, ორი ანდა თუნდაც ერთი დღით, რომ მერე, რუსეთ-თურქეთის მეგობრობის ხელშეკრულების დარღვევის შიშით, თურქეთის ჩანაფიქრისათვის ხელი აღარავის შეეშალა.

ორჯონიკიძე ყველაზე ადრე მიხვდა მენშევიკების მთავრობის ორპირობას, — რევოლუციურ საქართველოსთან ზავსა ჰკრავდა, ქემალისტურ თურქეთს კი სამშობლოს ადგილებს უთმობდა. ამით გაცეცხლებულმა სერგომ მეთერთმეტე არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს წევრს შალვა ელიავას ტელეფონით უბრძანა:

— ჩვენ რაც შეიძლება სასწრაფოდ დიდი ძალებით უნდა შევიჭრათ ბათუმში! ქართული ჯარები, თუ ისინი კიდევ დგანან ჩვენს წინააღმდეგ, განაიარაღეთ ულაპარაკოდ! ლორთქიფანიძეს კი სახეში შეაფურთხე და უთხარით, რომ არამზადა და მატყუარაა! ადვილი შესაძლებელია, მათ სურთ წაგვკიდონ თურქეთს საომრად. ამ პროვოკაციას არ წამოეგოთ!.. დაიკავეთ მისი ყველა შემდგომი სადგურები, აგრეთვე ბათუმის სადგური, ხელში ჩაიგდეთ მენშევიკების ჯავშნოსანი მატარებელი და მაშინ გველაპარაკონ! შეცვალეთ მენშევიკური სარდლობა, და საერთოდ გაჰყარეთ ყველა ეს არამზადა და საძაგელი! სარდლობა ხელში უნდა აიღოს ჩვენმა მეთაურმა. თუ ამისთვის გამოგადგებათ ბორისენკო ბათუმში ჟლობას მოსვლამდე, ასეც მოიქეცით!.. არმიის უფროსმა უბრძანა კუიბიშევს დაუყოვნებლივ გავიდეს შენთან ერთად ბათუმში და იქ ორივემ ერთად მოიაზრეთ!

სალონ-ვაგონში

ქუთაისის ციხეში იყინებოდნენ. ბათუმში კი იხუთებოდნენ. თითო საკანში ოცზე მეტი იჯდა, უჰაერობით გული მისდიოდათ.

მერე ზოგი ფორტის საპყრობილეში გადაიყვანეს, გამორჩეული მეთაურები კი ქალაქის მთავარ ციხეში ჩაკეტეს. ახალ-ახალ ამბებსა

და გაზეთს რას მიართმევდნენ, საჭმელსაც იმდენსა და ისეთნაირს აალეკვდნენ, რომ კაცს მხოლოდ სული არ ამოხდენოდა. თუმცა მიქელ გაბრიელი თავის ხვედრს მაინც აგნებდა, ყოველ ღამე ათიოდე პატიმარი მაინც გაჰყავდათ დასახვრეტად ქალაქ გარეთ.

— რა მოგველის სერიოჟა? — მოფერებით ამოხდა მალაქია ტოროშკლიძეს და ფეხზე ჩათვლემილ თენგიზ ჟღენტს ჩაეცინა.

— ბახ! და მოგვიცილებენ.

— ვერ გაგიბედავენ! ჩვენი უფრო ეშინიათ, ვინემ ჩვენ იმათი, — გაიმხნევა თავი ქავთარაძემ.

ესა თქვა და კარი აჩხაკუნდა, საბჭოთა რუსეთის სრულუფლებიანი ელჩის მოადგილე შეინმანიც შემოუყვანეს საკანში.

პატიმრები გაოცდნენ. ცუდი რამ იგრძნეს. თუ საბჭოთა ელჩის მოადგილეც თბილისიდან გამოიტაცეს, ჩანს საერთაშორისო ვითარება შეიცვალა მენშევიკების წამქეზებლად, დიპლომატიური წარმომადგენლების დაპატიმრებასაც აღარ ერიდებიან. აქამდე მხოლოდ ერთი ჰყავდათ პატიმრად — სერგო ქავთარაძე. ახლა კიროვის მოადგილეც მოუსვეს, იქნებ თვით ელჩიც სადმე ასეთ დღეში ჰყავთ?! ეს ისეთი თავსატეხი კითხვა იყო, რომ არც ერთ პატიმარ ბოლშევიკს მანამდე აზრადაც არ მოსდიოდა.

— კიროვი თბილისშია? — ჰკითხა შეინმანს ქავთარაძემ.

— მოსკოვში სასწრაფოდ გაიწვიეს, პოლონეთთან მომრიგებელ დელეგაციაში ჩართეს. მე დამტოვა თავის რწმუნებებით. მაგრამ დიპლომატიურ ხელშეუხებლობასაც არ მოერიდნენ, მძევლად გამკოჭეს!..

მერე თბილისიდან ბათუმამდე გზად ნანახსა და გაგონილზეც მოჰყვა და საელჩოს პატიმარმა — ბრჩეველმა ქავთარაძემ ყველას გამამხნევებელი დასკვნა გამოიტანა შეინმანის ნაამბობიდან.

— დიდი დღე არ უწერიათ არამზადებს!

— ბათუმს თუ ასკერები დაეცნენ, ჩანს, თურქეთიც გადაუდგა რუსეთის მეგობრობას? — დაეჭვდა თენგიზ ჟღენტი.

— სულთანი თუ ქემალი — რა განსხვავებაა?! სანამ ვჭირდებოდით ბერძნებისა და ანტანტის წინააღმდეგ დამხმარედ, ქემალი ჩექმის ქუსლებს ულოკავდა ტიტე ცამიწაძეს და ფრუნზეს ანკარაში. ახლა ბათუმსა და ოზურგეთსაც გვედავებიან.

— ფიქრი ნუ გაქვს, თენგიზ. ხახაში გაეჩხირებათ გუოიაც და აბერაც.

— ასკერებს ბათუმში არ გავაჭაჭანებთ!

— შენ ეგრე თქვი, ნოე ჟორდანიამ კი სამტრედიაში ხელწერილი დადო ქიაზიმ-ბეისათვის ბათუმის გადაცემაზე. ახალციხე, ახალქალაქთან ერთად არდაგან-ართვინის მაზრებიც გაასაჩუქრა! — ჩამოთვალა შეინმანმა, გზად რომ ყური მოეკრა და ამ ნათქვამმა მთელი ციხე აშალა.

— ვინც როგორ შევძლოთ, უნდა გავიქცეთ. ზოგნი დავეცემით, ზოგი გავუსხლტებით! ბათუმელ ბოლშევიკებს მოვუწოდოთ, ფორტებში დამწყვდეულებიც ვიხსნათ. მაგარი რაზმი შეგვიდგება, ოთხასი კაცი მაინცა ვართ. აქაურებიც წამოგვეშველებიან.

ქავთარაძის წინადადებამ ყველა ჩააფიქრა. დაეთანხმნენ.

შუაღამე დგებოდა. ქავთარაძესა და ჟღენტს პირველებს უნდა გაერღვიათ დარაჯების ალყა.

საკანის კარმა ისევ დაიჩხარუნა და ზედამხედველმა დაიძახა.

— პატიმარი ქავთარაძე გამოვიდეს! ტოროშელიძეც!

საკანი შეირხა, ყველა გაშეშდა. მაშასადამე, გაქცევაზე ლაპარაკი გაიგეს. მოთავე დასახვრეტად მიყავთ.

ქავთარაძემ მშვიდად გადახედა ტოროშელიძეს და უხმოდ გაჰყვა ზედამხედველს.

— სად მიგყევარ?

— კომენდატურაში.

— გასაგებია...

თოფმა დაიჭექა, ზედამხედველმა ჰაერში გარხეულ ხმას თითო გააყოლა:

— თქვენიანია!

— ვხვდები.

ციხის ეზო გაიარეს, კომენდატურის კარი შეაღეს. მბჟუტავ ოთახში ბათუმის გენერალ-გუბერნატორი გრიგოლ გიორგაძე ფეხზე იდგა.

— გელოდები, ქავთარაძე!

სერგოს თვალები აემღვრა:

— როგორც ვხედავ, ჯალათის ხელობა ამჯობინე იურისტის პროფესიას, — გამკილავად მიაძახა ქავთარაძემ.

— არა... ოჯახს გეფიცები, არა!

— მაშ რაშია საქმე? რისთვის გამომათრიეთ საკანიდან ღამით?!

— ნოე ჟორდანია გიბარებს! — ამოილუღლუღა გუბერნატორმა

— ვიცი თქვენი მზაკვრობა. გზაში გაქცევას დამაბრალებთ, მესვრიო, როგორც იმ ჩვენიანს, ციხის ზედამხედველმა რომ მითხრა.

— არა-მეთქი! — ამოხდა ახლა უფრო ხმაძაღლა.

ქავთარაძე წინ წადგა, თვალებში ჩახედა და მიახალა:

— იცოდეთ, თუ ეს პროვოკაციაა და დასახვრეტად გინდათ გამიტყუოთ, უბრალოდ არ ჩაგივლით. ჩემი ამხანაგები შურს იძიებენ.

— ცოლ-შვილს გეფიცები, სერიოჟა! — დაიკნავლა გენერალ-გუბერნატორმა. — ჟორდანიას სურს თქვენთან საუბარი. გამომყევით.

გაჰყვნენ.

ჩაბნელებული ქუჩებით მიდიოდნენ, აზიზიეს მოედანზე გავიდნენ. სიბნელეში პულმანის გაუნათებელი ვაგონი იდგა. ორი შეიარაღებული სახალხო გვარდიელი იქით-აქეთ გადგა. პატიმრები და გუბერნატორი კიბეზე ავიდნენ.

ვაგონში ღამის ნათურა ბეუტავდა, ტყავის დივანზე ჟორდანია იჯდა, გვერდით სამხედროფორმიანები უდგნენ. ხმას არ იღებდნენ, იქაურობა სიჩუმისა და წყვდიადის ატმოსფეროში იძირებოდა. შიში ირწეოდა, მდუმარება სიკვდილის მოძალებას ჰგავდა.

ჟორდანიამ თავი არც ასწია, თვალებით ახედა ლანდად შემოსულ კაცებს.

— დაბრძანდით! — აქ ციხე როდია. თუმცა ჩემთვის არის, თქვენთვის არა, სერიოჟა და მალაქია!

პატიმრები გაოცდნენ ნოეს ხმის გაგონებაზე.

— მე მოგიწვიეთ, რათა მოგელაპარაკოთ, სანამ ჩვენ საქართველოს დავტოვებდეთ!

ჟორდანიას ხმა ჩაუწყდა. გიორგაძემ ჭიქა წყალი მიაწოდა, ნოემ მოწრუპა და უფრო მწუხარედ გააგრძელა:

— საქართველოს მთავრობა იძულებულია დატოვოს საქართველო. ჩვენ ვერ გავუძლებთ საბჭოთა ჯარის შემოტევას.

მერე თვალები აღაპყრო, თითქოს შესანდობარს ამბობსო და მილეული ხმით დააყოლა:

— განთიადზე გადავალთ კრეისერზე, რეიდზე გვიცდის.

ისევ ქავთარაძეს შეხედა:

— მე მოგმართავთ თქვენ როგორც პასუხისმგებელ პარტიულ პირს. მისმენთ?

პატიმარი დუმდა.

— მიიღეთ ზომები, რომ თქვენმა ჯარებმა არ დაარბიონ ხალხი და ქვეყანა, არ დაანგრიონ და არ მოსპონ კულტურული და ისტორიული განძეულობა, რომელიც შექმნილია ჩვენი ხალხის მიერ.

ქავთარაძე გაოცებული უსმენდა. ტუჩზე მწარე ღიმილი მოადგა და შეუბრუნა:

— თქვენ ფიქრობთ, რომ ისინი აქ ამ მიზნით მოდიან?

— არა, მე ამას არ ვფიქრობ... მაგრამ ომი ომია. ვინც არ უნდა აწარმოებდეს მას... ის საზოგადოდ ვერ ეგუება კანონიერებას და წესრიგს... ომი ყოველთვის ძალადობაა და მას ყოველთვის უბედურება მოაქვს ხალხისათვის, ქვეყნისათვის.

ჟორდანია განწირული კაცის სახით ღაღადებდა, იმას ამბობდა, რაც მანამდე ბევრად ადრე უნდა სცოდნოდა, მაგრამ მაშინ გულთან როდი იკარებდა, მშვიდობიან ცხოვრების მაგიერ შფოთიან ვითარებას ქმნიდა. ახლა ომის ეშინოდა, მაშინ კი ეთამამებოდა. საშველად და სამშვიდობოდ გამოწვდილ ხელს ზურგს უქცევდა. ახლა კი, ბათუმში გამორიყული, რკინიგზის ჩაბნელებულ ვაგონში თავჩაღუნული ბუტბუტებდა, მაგრამ იმის ბუტბუტს შეწყნარების ძალა აღარ ჰქონდა. თითონაც არ სჯეროდა იმისა, რასაც ახლა ამბობდა. არა სჯეროდა მის გარემოცვასაც, მხედრებსა და სამოქალაქო ტანსაცმელში ლტოლვილებად ქცეულებს, ცალი ფეხი რომ ზღვაზე მოტივტივე კრეისერის ბაქანზე ედგათ, მშობლიური მიწის წყევლა-კოცვა მისდევდათ. ეს გრძნობა ქავთარაძეს გულსაც ჩასწვდა და ნოეს შიშს ბზარი მოუძებნა:

— თქვენი შიში უსაფუძვლოა!.. როგორც თქვენ თვითონ სთქვით ახლა, საბჭოთა ჯარები არ ხვდებიან არავითარ წინააღმდეგობას, სხვანაირად რომ ვთქვათ, ომი ფაქტიურად აღარ წარმოებს!

— მართალი ბრძანდებით. მთავრობამ დაყარა იარაღი, მაგრამ შესაძლებელია ჯარის ცალკეული ნაწილები ან ჯგუფები განაგრძობენ წინააღმდეგობას.

— თქვენ უფლება არა გაქვთ პასიურ შემყურედ დარჩეთ! გაეცით ბრძანება ყველა ნაწილმა ან ჯგუფმა შეწყვიტონ უაზრო წინააღმდეგობა, სისხლის ღვრა, მშვიდობიანად შეხვდნენ მუშებისა და გლეხებისაგან შემდგარი ჩვენი ჯარის ნაწილებს!..

ნოემ თავმართლების იერით გაუბრუნა სიტყვა პატიმარ ქავთარაძეს:

— მე გავგზავნე ცარიელი მატარებლები ქუთაისის მიმართულე-

ბით, რომ თქვენი ჯარები საჩქაროდ შემოვიდნენ აქ! ქალაქში უკვე შემოდიან თურქებიც. ქუთაისში გაგზავნილია აგრეთვე ჩემი მოადგილე გრიგოლ ლორთქიფანიძე.

— რა დავალებით? — ჰკითხა ტოროშელიძემ.

ნოემ ენაზე იკბინა. არ უპასუხა. მერე აზრი მოიკრიბა და სიმართლე უთხრა.

— გრიგოლ ლორთქიფანიძე და თქვენი მამია ორახელაშვილი შეთანხმდებიან უბრძოლველად გადავიდეს ჩვენი ძალაუფლება თქვენს ხელში!

— მაშასადამე, ბათუმიც! — გამოკვეთა ქავთარაძემ.

ნოემ პასუხს თავი აარიდა, ჩადენილს მალავდა, მაგრამ ნაგულევს სახის იერით ვერ ფარავდა. საშუალო არჩია, შამფურ-მწვადის დაუწველობის ხერხი მოიშველია.

— ბათუმი საქართველოშია! — ორაზროვნად გაეპასუხა ჟორდანია.

— უფრო სწორად, საქართველოსია! — გაუსწორა ქავთარაძემ.

— ეგ გეოგრაფიული ცნებაა, — შეაპარა ჟორდანიამ.

— თქვენი გეოგრაფიული დაპირება თურქმა გენერალმა მოიარგო!..

— რა პირობაა ასეთი? — ვითომ არ სმენოდა ნოეს..

— ბათუმი იმისია, ვინც პირველი შეასწრებსო...

— განა ცუდი პირობაა იმათთვის, თუ გული ერჩით?!

ტოროშელიძე ჩაფიქრებულ ხვეულთში ჩაუწვდა:

— შეგნებულად შესთავაზეთ ქიაზიმ-ბეის, რომ რუსეთი და თურქეთი ერთმანეთს წაჰკიდოთ, მეგობრობის ხელშეკრულება დაარღვევინოთ! ვხვდებით, თქვენი ჩანაფიქრი საქართველოს მტრობაა! თუ ეს გაგივიდათ, ბევრი ქართველი დაეცემა, ბევრის ჭერი დაინგრევა!

— სამშობლოს დაცვა სისხლს მოითხოვს შვილებისგან. გაგეგონებათ — „როცა სამშობლოსთვის კვდებიან მამულიშვილები, მაშინ სამშობლო არა კვდებაო“.

— მამები რომ გარბიან?! — აილეწა ქავთარაძე.

— საქართველო ნოეს კიდობანია, წარღვნაში არ ჩაიძირება! — ამოილუღლუღა გუბერნატორმა.

— ორი ნოესი?! — გადაღრიცა ტუჩი ქავთარაძემ.

— რატომ ორი, სამი ნოეს კიდობანია! — გაიღიმა ნერვიულად გიორგაძემ და პატიმარიც აჰყვა:

— ერთმა ურიამაც დაიტირა საკუთარი ერის ბედი, მაგრამ ქართველები უფრო შეგვიბრალა: „ჩვენ ერთი ნოე გვყავდა და ღმერთმა წარღვნა მოიყვანაო, თქვენ სამი ნოე გყავთ და კარგი რა დაგადგებოდათო!“.

ნოე დუმდა, ქავთარაძეს მიმართა:

— თუ თქვენ ვერ შეინარჩუნებთ საქართველოს, დაგვიბრუნეთ ჩვენ!..

— მოსავლელს ვერ მოუარეთ, დაკარგულს რაღას უპატრონებთ! — შეაყინა თხოვნა სახეზე პატიმარმა.

— თქვენი უკანასკნელი სიტყვა მითხარით, ქავთარაძევ!

— მე არავისი რწმუნება არა მაქვს ამ საკითხში. მაგრამ ერთში ღრმად ვარ დარწმუნებული. ჩამოსცილდით პოლიტიკას, ხელები გაქვთ დამწვარი! მაგრამ თქვენ კარგად გიცნობენ ლენინი და სტალინი, პარტიის სხვა მოღვაწენიც. დარჩით საქართველოში! ახალ საქართველოში. ნახავთ ჩვენი ხალხისათვის სასარგებლო სამუშაოს, პოლიტიკის გარეშე.

ეორდანია შეცბა. არ მოელოდა, ფერი დაკარგა, სავარძლის ზურგს მიეყრდნო, თავი გადაიგდო და ფიქრს მიეცა. ცხოვრების განვლილმა წლებმა თვალის დახამხამებაში ჩაურბინეს, მკაფიოდ წარმოუდგა თბილისის სასულიერო სემინარია, ვარშავის ვეტერინალური ინსტიტუტის სტუდენტების წრე, უცხოეთში სწავლა, შინ საშაცდუროდ დაბრუნება, საქართველოს თვითგამორკვევის ლენინური პრინციპის უარყოფა, ილია ჭავჭავაძის სიცოცხლეზე მეფის ოხრანკის აგენტების წაქეზება, თბილისის ნაკუწნაკუწ დანაწილება-დარიგებაში თავის გამოჩენა, საინგილო და შავი ზღვის სანაპიროებისადმი ნიღილიზმი და თვითნებობა, ახალციხე-ახალქალაქის ეთნიკური პრინციპით გადაცემის ქადაგება, რევოლუციურ რუსეთთან მეგობრობის უარყოფა, თურქეთისა და ანტანტის ქვეშევრდომობის მოწონება...

ახლა კი, ბათუმსაც ფარულად თურქეთს უთმობს. ამ ერთ წუთში — განვლილმა გზამ თვალწინ ჩაურბინა და მიხვდა, რომ საქართველოში აღარ ედგომება. გულმა რეჩხი უყო, სული სასულედან ამოექცა და ბოლო სიტყვა ბოლივით გააყოლა:

— არ შემიძლია...

— რატომ?

— მე მთავრობის თავმჯდომარე ვარ. მთავრობა კი ტოვებს ქვეყანას... არ შემიძლია.

ქავთარაძე დადუმდა. ტოროშელიძეც.

დუმდნენ ვაგონში ზეზეურად მდგარნიც. თითოეული მათგანი თავთავიანთ განვლილ გზას ხელის გულზე ხედავდა. ზოგი ნანობდა, ზოგი ბრაზობდა, ბოღმას ანთხევდა, თვალი შორს გაურბოდათ, სული ეწამლებოდათ და ადამიანად დაბადებულები ტყის მკვიდრთა ცხოვრებას ნატრობდნენ, იბღვირებოდნენ, იკუშტებოდნენ, თან თავს იმართლებდნენ, ბედს ემდუროდნენ, იმედს იწყვეტდნენ, ავ მომავალს ეღაღადებოდნენ, გათანგული კაცის ფიქრის ბურანში იძირებოდნენ და იყვინთებოდნენ, გუშინ ქვეყნისა და დროების ქურუმები, დღეს ფშატის ფოთოლივით თრთოდნენ და არარაობაში იკარგებოდნენ, იცრიცებოდნენ და ზეზეურად კვდებოდნენ.

— ესაა და ეს!.. ეს მინდოდა მეთქვა თქვენთვის, ქავთარაძევ!

ნოეს მილეული ხმა ღმერთთან უპასუხო ღაღადისსა ჰგავდა.

გუბერნატორმაც წარსულსა და მომავალს შორის ხიდის გასადები ვერა ნახა რა და ნოესადმი ბრმა მორჩილების ნიშნად ნაბიჯი წინ წადგა:

— სად გვიბრძანებთ წავიყვანოთ?!

ნოემ პატიმრებს შეხედა, სახე მოეღრიცა და მძაღე ღიმილით აღმოხდა:

— ისევ იქ. სადაც იყვნენ!.. ხვალ კი ეს ვაგონიც და, საერთოდ, ყველაფერი ამათ განკარგულებაში იქნება.

გაჩიჯნული მთავრობა

საფრანგეთის სამხედრო მისიამ დაპირება შეასრულა — თოფიარაღი ბათუმში ჩაზიდა, რომელსაც მოუთმენლად ელოდნენ ქუთაისში გამაგრებული მენშევიკური ჯარები.

მეთერთმეტე არმიის მარჯვენა ჯგუფის სარდალი კუიბიშევი კი ოდნავ აყოვნებდა შეტევას და ესეც საკმარისი იყო იმისათვის, რომ ქუთაისში მოლაპარაკება დაეწყოთ სამხედრო მინისტრ გრიგოლ ლორთქიფანიძესა და საბჭოთა საქართველოს წარმომადგენელ ორახელაშვილს.

ამან დროის მოგების იმედის ნაპერწკალი გაუღვივა ორ გენერალს, — ბათუმში ფურცელაძეს გემიდან იარაღის გადმოტვირთვა ევალებოდა, წულუკიძე კი სულწასული აჩქარებდა მის ქუთაისში ჩატანას თბილისიდან იარაღდაყრილად უკან დახეული ჯარის ნაწილების შესაიარაღებლად.

გენერალი ფურცელაძე პირდაპირ მავთულთან მიდგა და სამხედრო მინისტრისათვის შესატყობინებლად გენერალ წულუკიძეს აცნობა:

— გემმა „ანატოლიამ“ ჩამოიტანა 15 ათასი თოფი, მათ შორის კარაბინები, მაგრამ რამდენია კარაბინი, არ იციან, რაკი ერთად არის ჩაყრილი ტრიუმში. თოფები მოძველებულია, დაჟანგული, უმეტესად გამოუსადეგი. ერთი თოფიც არ გაიცემა ხელზე, სანამ სახელოსნოში არ შეამოწმებენ. ჩახმახები ცალკე ახლავს, მაგრამ ძალზე დაჟანგული. ვაზნები დაახლოებით 30 ყუთია, „მაქსიმის“ სისტემის 250 ტყვიამფრქვევი თოფებზე უვარგისია! სათადარიგო ნაწილები არა აქვს. ერთი სიტყვით — ნაგავია! ახლა ვერ ვიტყვი რამდენია კარგი, უნდა გადაირჩეს. ხვალ ბათუმში, ვფიქრობ, მოვაწყო რამდენიმე სახელოსნო, ყველა ზეინკალსა და მეიარაღეს დავიხმარ, გავსინჯავ, შეიძლება თუ არა ასეთი თოფებისა და ტყვიამფრქვევების გამოგზავნა ქუთაისში. დამავიწყდა მეთქვა, ხიშტები არც ერთს არა აქვს!..

გენერალი წულუკიძე აიმრიზა, ფრანგი მეგობრების ასეთ დახმარებას გულისწყრომით შეხვდა, მაგრამ იფიქრა, — ნაჩუქარ ცხენს კბილი არ გაეშინჯებაო. პასუხის მომლოდინე ფურცელაძეს კითხვით მიმართა:

— ვაზნებზე გამიმეორეთ. ნუთუ მარტო 30 ყუთია?!

— გემის კაპიტანის სიტყვით, არა უმეტეს 35 ყუთია! გარეგნულად რუსული ყაიდისაზე პატარაა, თითოში 500 ტყვიაზე მეტი არაა.

— თოფებს თუ მოჰყვა სათადარიგო ნაწილები? სამხაზიანია თუ სხვა სისტემის?

— სამხაზიანია! მათ შორის ბევრია კაზაკების ყაიდის. სათადარიგო ნაწილები და მოწყობილობები არა აქვს.

— ზარბაზნებს ყუმბარები მოჰყვა?

ფურცელაძემ ცივი წყალი გადაასხა:

— გემზე ყუმბარები არ არის! ჩვენს საწყობში გვიდევს 600 ყუმბარა იმ ბატარეიისათვის აქ რომ ყალიბდება.

— გემზე თუ არის სხვა რაიმე ტვირთი? გაქვთ თუ არა საწყობში სამხაზიანი თოფის ტყვიები?

— სამხედრო ტვირთი გემზე არ არის! სამხაზიანი თოფისათვის დაგვრჩა 287 ათასი ცალი ვაზნა.

ᲬᲣᲚᲣᲙᲘᲫᲔᲛ ᲣᲑᲠᲫᲐᲜᲐ:

— გამოგვიგზავნეთ ყველა მიღებული ტყვია და თოფების ნახევარი! ტყვიამფრქვევების ნახევარიც გამოაყოლეთ. დანარჩენი ბათუმში დატოვეთ შესაკეთებლად და შესანახად სათანადო გახკარგულებამდე. ბათუმში დატოვებული 2 000 თოფი შეიძლება გასცეთ ჩამოსაყალიბებელი ნაწილების შესაიარაღებლად, მე მივავლინე ფოთში არსენალის უფროსი პოლკოვნიკი გედევანიშვილი და კაპიტანი გაბაშვილი. ფოთიდან ბათუმში ჩამოვლენ იარაღის მისაღებად. თუ დააგვიანდეთ, ნუ დაელოდებით, გაძოგზავნეთ! გთხოვთ მიპასუხოთ შემდეგ კითხვაზე: ეშელონები გენერალ ართმელაძის გახკარგულებაში იგზავნება თუ არა?

— გუშინწინ მივიღე მთავარსარდლის შემდეგი შინაარსის დეპეშა: „ართმელაძე გაიჭრა ოჩამჩირესკენ. საჭიროა მისი ჯარების გაძლიერება ყველაფრით, რითაც შესაძლებელია. გვიდეპეშეთ, როდის გაუგზავნით მაშველ ძალებს და როძელი გზით". ამ გახკარგულების გარდა სხვა არ მიმიღია! მე მაშინვე ვუპასუხე, რომ გუშინ საღამოს შევძელი 500 ჯარისკაცის გაგზავნა ორი ტყვიამფრქვევით. დავპირდი ჩამოვაყალიბო და შევაიაოაღო კიდევ ათასკაცამდე გენერალ ართმელაძისათვის გასაგზავნად. წუხელ ღამით შევძელი დაპირების შესრულება — ანაკლიაში ხღვით გავგზავნე 520 მებრძოლი, 9 ოფიცერი და ორი ტყვიამფრქვევი. ძეძდეგი ეშელონის გადაყვანას ვვარაუდობ ხვალ! იმედი მაქვს შევაიარაღო მიღებული თოფებით, არ მეეჭვება, რომ შევძლებ.

— ძალიან გამახარე, რომ მთავარსარდლის მითითების შესრულება შესძელი! მაგრამ რატომ ხვალ არ შეგიძლია ხალხის გაგზავნა? იმიტომ ხომ არა, რომ თოფები არ ვარგა, უნდა გამართო თუ სხვა რამ მიზეზია? — ჩაეკითხა წულუკიძე.

— სხვა მიზეზი არაა, გაუმართაობის გარდა. ხალხი საკმარისი მყავს, თუმცა ჩაუცმელნი არიან, მაგრამ გაგზავნა შეიძლება თავიანთი ტანსაცმლით. ფეხსაცმლით მაინც ვამარაგებთ.

— ღმერთო, შენ გვიშველე! — ამოიოხრა გენერალმა წულუკიძემ და პირჯვარი გადისახა. მერე მკერდზე დამაგრებული „გიორგის ჯვარს“ სამივე თითი უნებლიედ წაჰკრა და მწარედ გაეღიმა. რუსეთ-იაპონიის ომში ჰქონდა მიღებული გმირობისათვის, თუმცა მეფის ჯარმა ომი წააგო. არც მაშინ მისდიოდა ფრონტს საკმარისი რაოდენობის თოფ-იარაღი. სამაგიეროდ კონა-კონა ხატები ეგზავნებოდათ და ჯარისკაცებს სროლის მაგივრად პირჯვრის წერით აგდებდნენ ცეცხლის ხაზზე. ფრანგებმა და ინგლისელებმაც შეასრულეს დაპირება, მთელი გემი იარაღი ჩაუტანეს ბათუმში, მაგრამ, რა გინდა?! იმ ხატებივით უტყვია: ან ჩახმახი აკლდა ან ტყვია.

წულუკიძემ რაკი ღმერთისაგან პასუხი ვერ მიიღო, ვერც დაპირება, რომ „რაიმეთი უშველიდა“, ისევ ზღვის ნაპირზე მდგარ ფურცელაძეს რიონის ნაპირიდან გამყურემ გასძახა:

— ხომ არ შეგიძლია მაცნობო, რა მდგომარეობაა ფრონტზე?

ფურცელაძემ უნებლიეთ იგრძნო. რომ წულუკიძე დამამშვიდებელ სიტყვას ელოდა და არც დააყოვნა:

— აზრამის გადასასვლელზე ბრძოლები მიდის! შედეგი ჯერ ცნობილი არ არის. გზატკეცილს მიჰყვებიან, დღეს მოწინააღმდეგე შეტევაზე გადმოვიდა, მაგრამ უკან დაახევინეს საკმარისი ზარალით. მათი მეთაური ტყვედ ჩაიგდეს, ტყვიამფრქვევები კი მოწინააღმდეგემ რიონში გადაჰყარა. სხვა მიმართულებებზე რა მდგომარეობაა — არ ვიცი.

ორივე გენერალი დადუმდა. პირდაპირი მავთულით ლაპარაკი გაწყდა. გულში კი იცოდნენ, რაც იქნებოდა, ერთი ორი დღეც და ბათუმიც დაეცემოდა. მაგრამ საკითხავი სხვა იყო: ვის დარჩებოდა, ქართველებს თუ თურქებს?!

* * *

ბათუმის ნავსადგურში კი ხალხი ირეოდა. გემი „მარია“ ზღვაში გასასვლელად ემზადებოდა. მგზავრები ნაპირზე გადმოგდებული ტრაპით რწევა-ქანაობით ბაქანზე ადიოდნენ, ერთიმეორეს წინ უსწრებდნენ, ბოგირს აყანყალებდნენ და თითონაც შერხეულნი უნებლიეთ მოაჯირს ხელს სტაცებდნენ და აკიდებულ ჩემოდნებს ლამის ზღვაში უშვებდნენ, შიშის გრძნობა იტაცებდათ, რომ საგზა-

ლი ან ნივთეულობა წყალში არ ჩასცვენოდათ და უფრო გაჭირვებაში არ ჩავარდნილიყვნენ. ვინემ უკვე იყვნენ.

ტრაპის თავსა და ბოლოში მეზღვაურები იდგნენ, მოხუცებს ხელს აშველებდნენ, ლამაზმანებს ღიმილს აყოლებდნენ და ისინიც „მერსის“ მიგდებით კმაყოფილი რჩებოდნენ, რომ ზღვაზე მოტივტივე გემზე უფრო სიმშვიდე ელოდათ, ვინემ ცეცხლმოდებულ მიწის ნაპირზე განაწამებთ, სადაც არეული ხალხი ერთიმეორეს აწყდებოდა, ჯიკაობდა და ჯახირობდა. ვინც გამბედაობას იჩენდა და ყოყლოჩინაობდა, იმას ქამარზე აუცილებლივ მაუზერი ან ნაგანი ეკიდა და ესეც აძლევდა მედიდურობისა და დროების მბრძანებლობის იერს. ასეთებად უფრო ქართველი მხედრობა ერჩეოდა, რომელთაგანაც ახალგაზრდა ოფიცრები თოფგადაკიდებული ჯარისკაცებით ხან ერთ რომელიმე ოჯახის წევრებს მფარველობდნენ, ხან კი მუნდირებიან ჭაღარა ოფიცრების ხელჩანთები და ჩემოდნები მოლაყლაყე ტრაპით ბაქანზე აჰქონდათ.

ნავსადგურის მოაჯირთან გენერალი გიორგი კვინიტაძე იდგა, სამხედრო-სააღლუმო ფორმა ეცვა, მკერდზე ახუნძლული ჩინ-მედლები ულივლივებდნენ, პრიალა „კაზიროკიანი“ ქუდი თვალებამდე ჩამოეფხატა და ბათუმ-ქალაქს თავაწეული გაჰყურებდა, დუმდა და ფიქრობდა. დროდადრო ჩავლილი რომელიმე სამხედრო პირი მხედრული სალმით თავისკენ ახედებდა და ისევ ქალაქს უყურებდა, შემაღლებულ გორაკებზე გადმოდგმულ საარტილერიო ფორტებს ახედავდა, სახეზე ძარღვების წამიერი თრთოლვით იძაბებოდა და ისევ ფიქრში იძირებოდა: ვერ გადაეწყვიტა, — ბათუმში დარჩენილიყო თუ ევროპაში გასახიზნად ნაპირზე მომდგარ „მარიას“ ბაქანზე ასულიყო. მისთვის გამოყოფილ კაიუტაში ჩაკეტილიყო და საქართველო სიზმარივით დაევიწყებინა.

გენერლის ახლო ნაციონალ-დემოკრატიული პარტიის თვალსაჩინო წევრები გრიგოლ ვეშაპელი და რევაზ გაბაშვილიც გემზე ასასვლელად ემზადებოდნენ, მაგრამ საამისო ბრძანებას ელოდნენ.

პოლკოვნიკი ჩოლოყაშვილი კვინიტაძეს გაეჭიმა და ხმაში ბრაზმორეული კილოთი მოახსენა.

— სამხედრო საწყობს ასკერები დაეცნენ, გენერალი ფურცელაძე დახმარებას ითხოვს!

კვინიტაძე გამოერკვა და გვერდით მდგარ ჯარისკაცების ოცეულს მიუტრიალდა.

— პირველო ათეულო, ორი ნაბიჯით წინ!

ათი თოფის ხიმტი და ათი ჯარისკაცი ერთმანეთს მიეხუტა.

— პოლკოვნიკის მეთაურობით სამხედრო საწყობს მიაშურეთ! ასკერებს ერთი თოფი, ერთი ვაზნაც არ დაანებოთ! თუ მდგომარეობამ მოითხოვა, იარაღი იხმარეთ! სადარაჯოდ დარჩით, გენერალ მაზნიაშვილის განკარგულებას დაელოდეთ!

ათეული ჩქარი ნაბიჯით ქალაქის ცენტრისაკენ გაემართა.

კვინიტაძე კი ისევ მთის ფერდობზე შედგმულ საარტილერიო ფორტებს გაჰყურებდა. მათი ყუჩე, მრისხანე გამოხედვა, ზარბაზნის ლულების ბუდე-სარკმელები დასახმარებლად იხმობდნენ, სათოფურების ჭყეტა თავისკენ იზიდავდნენ, და გენერალს ნერვიულად გაეღიმა, — ბათუმის გუშაგად წამომდგარი ფორტები მტერს იოლად არ დანებებოდნენ და ესეც ახარებდა ნავსადგომის ჯებირზე მიყრდნობილ ქართული ჯარების სარდალს. იგი ახლა უნებლიეთ იხსენებდა ახლო წარსულში ომებგადაბდილ ამბებს, თურქეთის ფრონტზე მეფის არმიის ნაწილების ყარსის ციხისათვის ცხარე ბრძოლაში ჯარის თავგანწირვას, დემოკრატიული მთავრობის მოწოდებით არდაგანისა და ართვინის გზით შავი ზღვის სანაპიროსაკენ თამამ გაჭრას, ჯერ სულთანისა და შემდეგ ქემალ-ფაშას ჯარების კუდამოძუებით გაყრას.

საზღვარგარეთ გასაქცევად მომზადებული პარლამენტის წევრები კი აბოლებულ გემ „მარიას“ ბაქანზე ასასვლელად გენერალ კვინიტაძის ბრძანებას ელოდნენ.

ის კი დუმდა, არც ინძრეოდა. ზღვისკენ ზურგშექცეული ბათუმის სანაპირო ფორტებს უყურებდა, თითქოს მიშველება უნდოდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა დარჩენა თუ გაცლა?!

იქნებ კიდევ დიდხანს მდგარიყო გარინდული, გაყინული გულით, გაოგნებული მზერით. სახეზე აღარ ეტყობოდა მხედრული გამჭრიახობა, შეუპოვრობა, გულადობის ის იერი, რომლითაც გამოირჩეოდა ხოლმე თურქების წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციების წარმატებით ჩატარებისას, თუმცა ამის საფასურად ყოველი გამარჯვების შემდეგ მთავრობის მადლობის მაგიერ ჩამოქვეითება ელოდა! ამის ფიქრში იყო გენერალი: ვერ აეხსნა, — ასე რატომ ექცეოდა მთავრობის თავმჯდომარე ყორდანია? რატომ ირჩევდა ნიჭიერ და გულად გენერალზე სხვას, უხერხემლოს?! იქნებ მართლაც იმიტომ, რომ კვინიტაძე მხედრული ხასიათის კაცია, სხვა კი დამ-

ყოლი! ერთი გენერალი თავისი გამარჯვებით მთავრობის პრესტიჟს აძაღლებდა, მეორე კი აფერმკრთალებდა! მაგრამ განა ამის გარკვევა ძნელად დასანახი იყო?! სხვამ, წელან იტალიურ გემით მოჰკურცხლა ჟორდანიას მთავრობასთან ერთად, კვინიტაძე კი ისევ ბათუმში დგას, რომ შემოვრილ ოსმალეთის ჯარებს გაუძალიანდეს. ამიტომაც მიაშველა ჩოლოყაშვილის ოცეულის ნახევარი ასკერების გასარეკად.

დაბინდდა. ქალაქში სროლის ხმამ იმატა. აქა-იქ ცეცხლის ალი ავარდა, ზოგის სახლის სახურავზე ბოლის ბოლქვი გაჩნდა, მერე კატარღაზე დაჯდა და ფორტის მიმართულებით ზღვის ნაპირს გაჰყვა.

სროლა შეწყდა.

მერე ისევ ნავსადგურში დაბრუნდა და დარჩენილი ოცეულის მეორე ათეულს უბრძანა:

— ამიერიდან გენერალ მაზნიაშვილის ბრძანებით იმოქმედეთ. ერთი ასკერიც არ გააჭაჭანოთ ბათუმში!

ისევ წელანდელივით გაირინდა. მთის ფერდობზე შეფენილ ქალაქსა და მიდამოებს შეჰყურებდა, ფიქრობდა, მწუხრის ბინდში იძირებოდა.

რევაზ გაბაშვილიც გაოგნებული იდგა, თითქოს მომხდარი მოვლენების გააზრებას ლამობდა, მაგრამ გონებაში ყველაფერი ერთიმეორეში ერეოდა, თავს ვერ აღწევდა. საქართველოს ბედ-ილბალზე თავსა სდებდა, ახლა კი ისიც მთავრობისადმი ოპოზიციაში მდგარი, თავადაც ჟორდანიას მოთხოვნით უცხოეთში გახიზვნას ურიგდებოდა.

— ბათუმი ვის დავუტოვოთ? თურქებს? რატომ! — ამოხდა კარპე მოდებაძეს და გაბაშვილს შეხედა.

ლელი ჯაფარიძეს თავაბნევით ამოხდა:

— მთავრობამ ყარაბექირ-ფაშასთან საიდუმლო პირობა დადო სამტრედიაში. ბათუმს თურქებს უტოვებს!

გრიგოლ ვეშაპელი აფეთქდა:

— ჩვენი თავი ჭირსაც წაულია! სად ვიქნებით, სად არა, საქართველო ამით არას დაკარგავს? ქართული მიწა-წყალი თურქებს რატომ მივცეთ!

— საქართველოს საქმე გათავებულია. ბოლშევიკებმა წაიღეს. მაგრამ სად გადაიტანენ? ისევ აქ არ დარჩება?! უმჯობესია ჩვენი

ბათუმიც მასთან იყოს, საქართველოში, ვინემ სხვა სახელმწიფოში! ერთსა გთხოვთ, რევაზ, დაარწმუნე გენერალი მაზნიაშვილი, არ დაუთმოს ბათუმი თურქებს! შეაგნებინოს ქართულ ჯარს, არ დატოვონ ქალაქი, — შეევედრა კარპე მოდებაძე და ლელი ჯაფარიძეც აჰყვა.

მერე ოთხივე გენერალ კვინიტაძეს მიუბრუნდა და...

ვერც მოასწრეს სათქმელის თქმა, გემმა „მარიამ“ დაიზმუილა და მისი მდორე, მღუშე და განწირულობის მაუწყებელმა ხმამ ანაზდეულად შეაბრუნა გენერალი და ისევ ყრუდ ამოხდა:

— ჩასხედით გემში!..

გემი გემს გაჰყვა, წინას, იტალიელებისას ფრანგების კრეისერნაღმოსნები ბადრაგობდნენ, გახიზნულ მთავრობას იფარავდნენ! მაგრამ ვისგან? განა ჟლობა-ცამიწაძის არმია ცხენდაცხენ გაედევნებოდა შუა ზღვაში?! ვეშაპელი, მოდებაძე და გაბაშვილი საკუთარ თავზე დამდურებულებივით იდგნენ „მარიას“ გემბანზე.

ბათუმის სანაპირო თვალს ეკარგებოდა, ბოსფორისაკენ ქიმგაწეული გემი გაურკვევლობისკენ მიირწეოდა და წინა თუ უკან მიმყოლი გემების მგზავრებს მძიმე ფიქრი არ ასვენებდათ.

ჟორდანია გემის ბაქანზე გამოვიდა, კიდევ ერთხელ გახედა უჩინარ საქართველოს და მწარე საფიქრალს მიეცა, აბუტბუტდა, რაღაცაზე ბჭობდა, ნანობდა, ვიღაცას ამტყუნებდა, ვიღაც-ვიღაცებს ადანაშაულებდა და თავს იმშვიდებდა! მისი ნაფიქრალი გახიზნულ ადამიანებს აფორიაქებდა: ზოგი უთანაგრძნობდა, ზოგი წყევლიდა, ის კი თავს იმართლებდა. 1921 წლის 17 მარტის თავისი მთავრობის საღალატო საგოდებელს სხვა სათავეს უდებდა, დამარცხების კმევას ლამობდა, მაგრამ მომხდარში დროებასა და ვითარებას ამტყუნებდა. რაც უფრო უახლოვდებოდა თურქეთის საზღვარს, მით უფრო თვალწინ ეშლებოდა ავბედითი სურათი და თითონ მტყუანი სხვების გამტყუნებით იმშვიდებდა თავს.

ნოე თავისთვის ბუბუნებდა:

— მძიმე გამოდგა განვლილი წლები. განსაკუთრებით 1919 წელი იყო მეტად მწვავე წელი! ამ დროს აიშვა ყველა მტერი, შიგნით თურქოფილები, გარეთ კი დენიკინის მოხალისეთა ჯარები, შავი ოსმალები და თეთრი რუსები შეერთდნენ ჩვენი ქვეყნის სიძულვილში და დაქცევაში! ყველა ისინი სხვადასხვა გზით და საშუალებებით თავს გვესხმოდნენ და ძირს გვითხრიდნენ. დამფუძნებელმა კრებამ ვერ შეანელა გარეშე საფრთხენი. სამწუხაროდ, ამ საკრე-

ბულოში არ აღმოჩნდა ერთსულოვნება; გაჩნდა სისტემატიური ოპოზიცია ნაციონალ-დემოკრატებისა, რომელთაც ღვთის წყალობაც კი ღვთის რისხვად ეჩვენებოდათ! ეს იყო ოპოზიცია ოპოზიციისათვის და არა საქმისათვის! მათთან მკვახედ შეკამათება მიხდებოდა ტრიბუნიდან; რაიცა იყო გამოწვეული მათი ხშირი რეპლიკებით. ჩვენ ვაკეთებდით იმას, რის გაკეთებაც შეიძლებოდა ასეთ პირობებში, ოპოზიციონერები კი აყენებდნენ რა სჯობიას თეორიას; ჩვენც ვიცოდით, რომ ომს მშვიდობიანობა სჯობს, შავ პურს თეთრი პური და სხვა ასეთი იაფფასიანი სენტენციები.

გემი ქშუილით მიაპობდა შავი ზღვის ტალღებს და უკვირდა ნოეს, რა ადვილად ერევა მოზღვავებულ ტალღებს რკინის ნავტიკი, რატომ არ ფერხდება, ბრძოლა არ უხდება, სტიქიაც კი იფარავს, ეფერება, გასაწირად არ იმეტებს. რატომ? რისთვის? ვისი წყალობაა? იქნებ უსულო საგანზე უფრო სათუთად მოსავლელია ადამიანების მიერ ერთმანეთის სული? ამ ზღვის ტალღებს თურქული სუნი დაჰკრავდა, ოსმალური ნიავი მიარწევდა, მაგრამ ოდნავადაც არა ჰგავდა საქართველოსკენ თავდასასხმელად აშლილ სულთანისა თუ ქემალის ჯარების გაბოროტებულ ღმუილს, რომლის შიშით მთელი სამი წელიწადი ძრწოდა და თრთოდა ბათუმიდან თბილისამდე მტრების მიერ განწირული იმერ-ამერეთის მიწა.

ამაზე ფიქრობდნენ ატივტივებული მთავრობის საგარეო საქმეთა რიგრიგობით დამდგარ-გადამდგარი მინისტრებიც — ჩხენკელი და გეგეჭკორი, რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის თავგამოდებული ლიდერები ჩხეიძე, კაკის სახელით გადანათლული ირაკლი წერეთელი და საქართველოდან გადასაკარგავად თავაღებული დემოკრატიული კაბინეტი, დაცინვით რომ „გემის მთავრობა“ შეარქვეს და დღენიადაგად მოტივტივეთა ბედიღა ეწერა.

„ოპოზიციაო!“ — „თურქოფილობაო!“ — უჩიოდა თავის ბედს მენშევიკების მთავრობის ლიდერი და ამ საყვედურმა მისი თანამგზავრების ყურამდეც მიაღწია, ვეშაპელი, ჯაფარიძე, მოდებაძე და გაბაშვილი აიმრიზნენ, აიშალნენ და გულში ნადები საყვედური დაუწიეს ნოეს:

— „აბა დამისახელოს რომელიმე დარჩენილმა მენშევიკმა ერთი შემთხვევა მაინც ჯგუფისა ან თუნდა ერთი პირისა „ოპოზიციიდან“, ვინც თურქოფილობდა?! ან რომელიმე გარეშე მტრის წი-

ნაალმდეგ ჭირივით მოძულებულ მთავრობას მაინც გვერდში არ ამოსდგომოდა? „ოპოზიციის“ საუკეთესო ახალგაზრდობა ოსმალებთან მძიმე ომებში მუდამ მოხალისედ, წინა რიგებში იხოცებოდა! რამდენად დაკარგული უნდა ჰქონდეს უბრალო ადამიანური ღირსება — მთელი ერის მაგინებელს, რომ „ნაციონალურ-დემოკრატიულ“ ოპოზიციას რომელიმე მტრის „ფილობა“ უსაყვედუროს“, — ჰკვირობდა გაბაშვილი და ამოხდა:

—„ბატკნისებური „გაკვირვება“ რომელიმე მტრის „ფილობაზე“ და ჩვენი ძლიერი მტრების სიმრავლეზედ, თუ ეს ერთი მეზობელი ოსმალეთი იყო და დარჩა ჩვენი მტერი, როგორ ენდობოდა, ან როგორ მოიწვია ოსმალები ბათუმში? ჭკუისა სჭირს?!“

ორივე გემი სტამბოლს უახლოვდებოდა. გაბაშვილი ბობოქრობდა:

— „ან „დამფუძნებელ კრებას“ როგორ და რით ან რა შინაგანი ჯადოსნობით უნდა შეენელებინა გარეშე საფრთხენი? და, აი, ამ თავის საკუთარ უნიათობას აბრალებს „ნაციონალ-დემოკრატების რეპლიკებს“. თურმე 10—11 ოპოზიციონერი და ისიც რეპლიკებით არღვევდა ამ დაწესებულების ერთსულოვნებას 120 დანარჩენი პოზიციონერისას?! ასეთი რამ მთავრობის თავმჯდომარეს კი არა, ფეხზე მდგარ გვარდიელის „დენშჩიკსაც“ არ მოუვიდოდა თავში, თუ, რასაკვირველია, რაიმე წარმოდგენა აქვს „დამფუძნებელი კრების“ არსებაზედ ან თუნდა „ერთსულოვნებაზე:“ საკითხები პარლამენტში წყდება და კანონები ხომ ხმის უმეტესობით იქმნება?! ნუ სტყუის, როცა ერთსულოვნების უქონლობა გამოაქვს.

ერთსულოვნება კი არა, ოპოზიცია გამუდმებით ორსულად იყო „მთავარი საზრუნავი“ საქმეებით. მაგრამ უმრავლესობა, როგორც უხეირო ბებია, — მუცელს უხდენდა და გუნებასაც უფუჭებდა, თორემ, ერთხელ მაინც რომ ცდილიყო პარლამენტში — ოპოზიციისაგან შეხმატკბილებულ ბანის მეტს არას მიიღებდა!“

ნოე გულს იმშვიდებდა, ნაციონალ-დემოკრატი გაბაშვილი კი სულს უფორიაქებდა:

— „ჯერ კიდევ 1917 წლის „ეროვნულ ყრილობაზედ“, მე, ერთერთმა სასტიკმა ოპოზიციონერმა ჟორდანიას წაჯექ-უკუჯექობისა, მოვითხოვე, რომ“ უპირველეს ყოვლისა უნდა შეიქმნას ჯარი“. ეროვნულ საბჭოში, პარლამენტში ოპოზიციამ არაერთხელ მოითხოვა ესევე და ერთხელ, თუ ორჯელ იმასაც ვჯერდებოდით, —

ყოფილიყო გვარდია, მათი გვარდია, მათი შერჩეული ჯარისკაცებით, ოფიცრებით, სარდლით, ოღონდ ჯარის სისტემაზე, დისციპლინისა და იერარქიაზე აგებული და არა უვიცს ამ საქმეში" „კომიტეტობასა" და თითებით არჩევნებზე! ესეც არა ჰქნეს.

მენშევიკები იყვნენ ჯარის ბედის გადამწყვეტი და სხვა ათას სიბრიყვესთან ერთად სამხედრო თვალსაზრისით, მათი წყალობით, არც ცხენოსანი ჯარი გვყავდა, არც გვარდია: „თქვენ ცხენები იმისათვის გინდათ, რომ თავადაზნაურობამ ცხენებით იკუნკულოსო" და ამისთანა სისულელეებს, რა დიდი გასავალი ჰქონდა მაშინ, პარლამენტშიაც, „კომისიებშიაც" და გარეთაც, საცა გადამწყვეტნი იყვნენ მენშევიკები!

სად იყო ის დაპირებული 67 000 ჯარისკაცი, რომლის შესანახი თანხა უკვალოდ გაქრა, სად იყო 12 საუკეთესო იტალიური აეროპლანი, რომელთაგან ვერც ერთი ვერ აფრინდა, მიუხედავად საუკეთესო ქართველი მფრინავებისა. — რადგან ჩვენმა „მზრუნველმა ხაზეინმა" აუცილებელ „გარგოილისათვის" ფული ვერ გაიმეტა: ძვირია!.. უბრალო ზეთი იხმარეთო, სწორედ ასეთ უვიც, უანგარიშო ძუნწზე. ჩვენში იტყოდნენ ხოლმე: „ზეთიაო"!

სხვა „წვრილმანი", ესე იგი კონკრეტული, ამბებიდანაც ჩანს ჟორდანიას სიცრუე და მისი „მთავრობის" უნიათობა „მთავარი საზრუნავის" საქმეში და ამასთანავე ჩვენი უდაო ტერიტორიის სადაოდ გადაქცევით; ახალციხის ამბავში გვიმეობდნენ მუსლიმანები, თურქეთის გავლენით და მათი ოფიცრების ჩარევითაც, მგონი, და ნაწილი მოგებული ტერიტორიისა დაშნაკებს დაუთმეს, თეორგვარდიელ დენიკინელებს კი შავი ზღვის სანაპიროს ადგილები! ნოემ ესეც არ იკმარა, საინგილო, ერთ-ერთი საუკეთესო და უმდიდრესი კუთხე, მუსავატელ ბეგებს გადასცეს! მისი ეკონომიური მნიშვნელობა მაინც ეანგარიშათ მენშევიკებს, სტრატეგიულისა, ეროვნულისა ან ისტორიულისა თუ არა ესმოდათ რა!" — მიაყვედრა გაბაშვილმა.

„ — ასეთი იყო ჟორდანიას ზრუნვა — საზრუნავზე. მენშევიკებს იარაღი და საშუალებანი კი არ აკლდათ, არამედ ჭკუა და ამას ხომ ბოლშევიკები არ მიართმევდნენ?!

ბათუმის გაცემაც ნოემ ინება, მაგრამ ამაში ბოლშევიკებმა შეუშალეს ხელი! მერე გაქცევით თავს უშველა, თორემ ბათუმში შემდგარი დამფუძნებელი კრება „გახიზნული მთავრობის" ნაპირზე

ჩამოსხმას აპირებდა და მაშინ, ნოეს ტყვილების გუდაც დაიჩუტებოდა“.

ნოე თავადაც ნაღვლობდა. თვალწინ აეტუზა და ყურში უზუზუნებდა ქარით მოტანილი და ქარით გაგონილი.

ოფიცერი ქაქუცა ჩოლოყაშვილი რეიდზე მდგარ „მარიასთან“ ნავით მიცურდა. ჩამოშვებულ ტრაპით გემბანზე ასულმა ჟორდანიას ნახვა მოითხოვა და დაუნდობლად გაკიცხა:

— სად მიიპარები? ვისი ანაბარა გვტოვებ?! ხალხს რას ეუბნები?!

ნოე შეცბა, შესაძლოა შერცხვა კიდეც: ქუდმოშვლეპილად გაქცევა ქართველობამ უძრახა, დამფუძნებელმა კრებამ დაწყევლა და ჩოლოყაშვილმაც დაუმატა:

— მოღალატე ხარ, ნოე!

— ცდები, პოლკოვნიკო! მე კიდევ შეგხვდებით გმირებს!..

— სად, როდის? — გაიკვირვა ქაქუცამ.

— აქ საქართველოში! ერთ თვეს გაუძელით მხოლოდ!

— ერთ თვეს? რისი იმედით მეუბნები ამას?

— უცხოეთის დახმარების!

— თამასუქად ფუჭ დაპირებას მიტოვებ?!

ნოე ჩაფიქრდა. მერე პორტფელი გახსნა, წითელ კოლოფში ჩადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო ბეჭედი ამოიღო და ჩოლოყაშვილს გადასცა:

— შემინახე!.. დავბრუნდები და დამიბრუნე!

დაუჯერა.

ამ ერთ თვეს გაუძლებს. მაგრამ მანამდე ასკერების მოძალებას უნდა გაუძალიანდეს.

ნოემ ბეჭედი ჩააბარა, ბათუმი კი გასცა!

ახლა ქაქუცასაც ევალება კვინიტაძის ბრძანების შესრულება. — „არც ერთი თურქი ასკერი არ გააჭაჭანოთ საქართველოს მიწაწყალზე!“..

ᲧᲝᲩᲐᲦ-ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲝ!

ციხეს არ ეძინა.

— ცოცხალი ხართ, სერგეი, მალაქია?!

პატიმრები და მძევლები ისე შემოეხვივნენ, თითქოს ეს ადამიანები საიქიოდან დაბრუნებულიყვნენ.

დილაადრიან კი ქუჩაში გამოეფინენ — ქალაქში საბჭოთა ხელისუფლება გამოაცხადეს, ბათუმისა და ოლქის რევოლუციური კომიტეტი შექმნეს, თავმჯდომარედ აირჩიეს სერგო ქავთარაძე, მოადგილედ — თენგიზ ყღენტი, წევრებად — მალაქია ტოროშელიძე, შამედ-ბეგ აბაშიძე და რეჯიბ ნიჟარაძე.

ბათუმში თურქი ასკერები თავხედობდნენ უცხოელი მეზღვაურები თავნებობდნენ. დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მიერ უპატრონოდ მიტოვებული ჯარისკაცები ქუჩა-ქუჩა წრიალებდნენ. ვალიკო ჯუღელის გაცუღლუტებული და გამედიდურებული სახალხო გვარდიელები ბოლშევიკებთან დამარცხებას ჯარს აბრალებდნენ, თითონ კი მენშევიკურ პოლიტიკანობას გადაყოლილები სამივე ნოეს ბრტყელ-ბრტყელი სიტყვებით ამკობდნენ და გულს ამით იოხებდნენ.

ბათუმის ციხე-ფორტების ზარბაზანის ლულები დაბოლმილი დაჰყურებდნენ წითელფესკა თურქებს, მაგრამ ნიშანს არავინ აძლევდა დასაყენებლად. მთავრობა უცხოეთში მიემგზავრებოდა, რევკომი კი პირველ ნაბიჯს დგამდა წესრიგის დასამყარებლად და ქებალისტების თარეშის აღსაკვეთად. ქართველი ჯარისკაცები რევკომის კარს ეძებდნენ. ეკედლებოდნენ, ეხვეწებოდნენ — ბათუმს ნუ დაგვატოვებინებთო.

სასტუმრო „ფრანციაში" დამფუძნებელი კრების წევრები გზააბნეული ბორიალობდნენ. გომართელი, ონიაშვილი, მესხიშვილი ბნყარედ მოთქვამდნენ:

—შეაჩვენოს ღმერთმა მთავრობა, რომ ასეთ დღეში ჩააგდო ხალხი! გარბის. გამოსამშვიდობებლადაც კი არ მოდის დამფუძნებელ კრებაში, — დაიდარდა დავით ონიაშვილმა.

— ვაგვეპარენ. თორემ გემიდან ჩამოვსხავდით, საჯაროდ გავასამართლებდით! — დაიმუქრა ვანო გომართელმა.

— ხალხის რისხვას გაექცნენ, — დაუმატა შალვა მესხიშვილმა.

მხედრობაც აიმრიზა, მტერ-მოყვარე ველარ გაერჩია. სამხრეთიდან ქემალ-ფაშას ასკერობა მოძვრებოდა, დასავლეთის ზღვისპირეთით ანტანტის კრეისერები მოტორღიალდნენ. ჩრდილოეთით ბოშველებულ წითელ არმიას თურქეთ-რუსეთის ძმობა-მეგობრობის ხელშეკრულებით სასტიკად ეკრძალებოდათ ასკერებიან პირისპირ შებმა. ერთადერთი იმედი თვით ქართველი მხედრიონი იყო. მაგრამ გვარდია და ჯარი ერთმანეთზე იბოღმებოდეს,

კამათობდნენ, კინკლაობდნენ. ქუთაისიდან ჩამომდგარ მატარებელში პეტრე გელეიშვილი მოიხელთეს და კითხვა-წყრომით გაწურეს:

— რა მოხდა, როგორ იქნება ახლა საქმე, რა გვეშველება?!

— რა გამიჭირეთ საქმე, ყველგან მაგას მეკითხებიან — „რა მოხდა, რა მოხდაო?..“ რა მოხდა ასეთი? რაზე ღელავთ! ერთი სოციალისტური პარტია მიდის, მეორე მოდის! სხვა რა მოხდა, რა საკითხავია?!.

— ასეა ხომ?! — გაიღმიჭა თბილისიდან უკან დახეული ჯარისკაცი.

— ნწ!.. ენგრე როდია! — გააქნია თავი ფარაჯაში გახვეულმა გლეხმა და ვაგონზე გაკრული ფურცელი სალოკი თითით ასო-ასო ჩამომარცვლა:

„1921 წლის 17 მარტს სამტრედიაში ხელმოწერილი ზავის შემდეგ წინადადება ეძლევა ოფიცრებს ვისაც უნდა დარჩეს, ვისაც უნდა წამოვიდეს საზღვარგარეთ ხუთი ათასი მანეთის ჯამაგირით თვეში სამი წლის მანძილზე, შემდეგ ისევ საქართველოში გამარჯვებით დაბრუნების პირობით“.

— ძაღლი შინ არ ვარგოდა, სანადიროდ გარბოდა! — ამოღვარა დაღვრემილმა ოფიცერმა და პროკლამაცია ჩამოხია.

ნოეს კიდობანს გვერდი გამოემტვრა, შიგ ჩამჯდომი ვინღა იყო, შინ დარჩენა ერჩიათ! ჯარისკაცობამ ხელი რევკომისკენ გააშვირა, წითელფესკა ასკერებს თოფის ტუჩი მიუშვირა, მაგრამ ქართველების ღაბნეულ მხედრობს გონიერი და ღონიერი სარდალი არ ჰყავდა.

რევკომის თავმჯდომარეც ამან დააფიქრა.

თბილისმაც აცნობა, ლენინის რჩევით რევკომებში მენშევიკებისა და სხვა პარტიების წარმომადგენლების შეყვანის შესაძლებლობას ვიხილავთო.

მოწინააღმდეგე პარტიებშიც იყვნენ სანდო ადამიანები, მაგრამ დაიბნენ, ვერ გაერკვნენ ვითარებაში. ბოლშევიკების მხარეზე გადმოსვლას ვერ ბედავდნენ.

ლენინი მათზეც ამბობდა:

— ასეთი ადამიანები უნდა წავახალისოთ! უნდა მივცეთ მათ პრაქტიკული სამუშაოები. ამ მუშაობის მკაცრი შეფასებით.

ფილიპე მახარაძემ ჟორდანიას ურჩია:

— ერთობლივად გამოვიმუშაოთ საბჭოთა ხელისუფლების ნიადაგზე მშვიდობიანი მუშაობის პირობები!

ნოე დაჰყვა:

— თანახმა ვარ!

ერთობლივ ხელშეკრულებას ხელიც მოაწერეს, მაგრამ...

— რა?

— ჟორდანიას მთავრობა მეორე დღეს საზღვარგარეთ გაიქცა, პირი გატეხა, დადებული პირობა დაარღვია. უცხოეთში ქართველი ოფიცრობის გასატყუებლად ქაღალდის ფურცლები გააკრა ვაგონებზე, დუქნის კედლებსა და ტელეგრაფის ბოძებზე.

ამნისტია მაინც გამოცხადდა:

„საქართველოს სოციალისტური რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობა მოკლებულია შურისძიების ყოველგვარ გრძნობას თავისი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების მიმართ, რომელნიც თითქმის სამი წლის განმავლობაში ახშობდნენ მშრომელთა ყოველივე მისწრაფებას საბჭოთა ხელისუფლების დასამყარებლად და გააფთრებით სდევნიდნენ მუშებისა და გლეხების კომუნისტურ პარტიას. მიუხედავად ამისა, მთავრობამ დაადგინა — გამოცხადდეს ამნისტია ყველა იმ პოლიტიკური პარტიებისა, რომელნიც აქტიურად გამოდიოდნენ საქართველოს საბჭოთა ხელისუფლებისა და კომუნისტური პარტიის წინააღმდეგ“.

კეთილგონიერებამ გასჭრა, ბევრი გზააბნეული მოაბრუნა — მუშა იყო, გლეხი, ინტელიგენტი თუ ოფიცერი.

თურქეთის ხოფისა და რიზედან სასწრაფოდ გადმოსროლილი ასკერები კი ბათუმის ქუჩებში გამაგრდნენ. მოსკოვ-ანკარის ძმობა-მეგობრობის ხელშეკრულება, რომლითაც ბათუმი საბჭოთა საქართველოს რჩებოდა, თავნებურად დაარღვიეს.

რევკომის თავმჯდომარე ქავთარაძემ მძევლობიდან დახსნილი რუსეთის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი შეინმანი ინახულა და მოსთხოვა:

— თურქი ასკერები ბათუმში იჭრებიან, თქვენ უნდა მიიღოთ ზომები ამ ფაქტთან დაკავშირებით!

— რის საფუძველზე? — გაიკვირვა შეინმანმა.

— საქართველოში გამოცხადებულია საბჭოთა ხელისუფლება. მოსკოვ-ანკარის ხელშეკრულებით ბათუმი და ბათუმის ოლქი განუყოფელი ნაწილია საქართველოსი. თქვენ ერთადერთი წარმომად-

გენელი ხართ რუსეთის რევოლუციური რესპუბლიკისა, რომლის ჯარებიც მოქმედებენ საქართველოში, და მოვალე ხართ შეუდგეთ მოლაპარაკებას თურქებთან, რათა მათ დაუყოვნებლივ დატოვონ საბჭოთა ტერიტორია. ეს თქვენი მოვალეობაა!

შეინმანი ჩაფიქრდა, შეშინდა. კიროვის შემცვლელია, მაგრამ მისი გაბედულობა-გამჭრიახობის ნატამალიც არ სცხია. ვერ წარმოუდგენია ისეთი პოლიტიკური აქციების გატარება, რომლებიც მოვლენების განვითარებით საელჩოს მეთაურს ევალება. უთაოსნო კაცია, თბილისის საელჩოში აპარატის საქმეების მშვიდად მოგვარებასაა ჩვეული. აწეწილ პოლიტიკურ და სამხედრო ვითარებაში მოხვედრილი დაიბნა და აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო.

ქავთარაძე შეინმანს ემორჩილებოდა თბილისის საელჩოში, ბათუმში კი რევკომის თავმჯდომარეა და თავად კარნახობს. ამანაც დააფიქრა ელჩი.

— არა, ჩემი აზრით, ეს არ უნდა შედიოდეს ჩემს მოვალეობაში... მე სამხედრო კაცი არა ვარ... მე არ მიყვარს ომი... სროლა!.. უკეთესია, რომ გამამგზავროთ თბილისში... აი, ჩემი თხოვნა.

თავმჯდომარე გაოცდა. რაღა აზრი ჰქონდა გადაჯერებას. მაინც უსაყვედურა:

— ვის უყვარს ომი და სროლა?! მაგრამ ჩვენი მოვალეობაა თურქებს არ მივცეთ საქართველოს მიწა-წყალი.

— არა, არა, ძვირფასო სერგეი ივანიჩ, რაც შეიძლება ჩქარა გამაგზავნეთ თბილისში!

ქავთარაძე სახეზე აილეწა, ცივად გამოემშვიდობა, განცვიფრებისა და უკმაყოფილების დაუფარავი გრძნობა ვერ დამალა.

ელჩი შეკრთა. „რას და რანაირად მოახსენებს ქავთარაძე კიროვს? ვაითუ ცუდად შეაფასოს ჩემი მოქმედება?!“

კარშემოღებულმა თანამშრომელმა დაურღვია საფიქრალი.

— ქემალისტი ოფიცერი ითხოვს ელჩის ნახვას.

შეინმანს ახალი ელდა ეცა. თურქეთიც დიპლომატიურ დავაში რთავს! ქავთარაძე დააბრუნა.

— არ დამტოვო, გეთაყვა!

ოფიცერი თავაზიანად მიესალმა, მაგრამ მედიდურობით მიმართა:

— მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ ამიერიდან ბათუმი და ბათუმის ოლქი გადადის თავისი ძველი დედის — თურქეთის მფარველობაში!

შეინმანი არც გაინძრა.

თურქი ოფიცერი სარგადაყლაპულივით გაჭიმული პასუხს ელის.

ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა ისაზრა, დიპლომატიური სიმშვიდით ალაპარაკდა:

— ამის შესახებ არავითარი ცნობა არა მაქვს... ჩემს მთავრობას არავითარი მითითება არ მოუცია!

ოფიცერს უკეთესი პასუხი არც ჭირდებოდა. დაიხსომა, რომ ელჩმა მოსკოვ-ანკარის ხელშეკრულება არც ახსენა, რომლითაც ბათუმი საქართველოს რჩებოდა. მაშასადამე, თავნებობა გაუვათ. კმაყოფილებით თავი დაუკრა და გავიდა.

ქავთარაძემ შეინმანს უსაყვედურა:

— თქვენ საქმეში ჩარევის შემთხვევა გქონდათ, რატომ გაუშკით ხელიდან?

ელჩის ნაცვალმა გაუმეორა:

— გესვეწებით, თბილისში გამიშვით!..

ქავთარაძემ ხელი ჩაიქნია. ყველაფერი თავად უნდა გადაწყვიტოს. შემოჭრილი თურქების ნაწილები ძალით განდევნოს. მაგრამ ვინ უმეთაურებს? სარდალი არ ჩანს. ჟლობას კი აკრძალული აქვს ქემალისტებთან უშუალოდ შეტაკება, რუსეთ-თურქეთის ძმობა-მეგობრობის ხელშეკრულება ამის უფლებას არ აძლევს.

თენგიზ ჟღენტმა გენერალი ფურცელაძე მოუყვანა, ბათუმელი ხეინკლებისა და მჭედლების დახმარებით რომ მენშევიკების ჯარისათვის ჩამოტანილი ძველი თოფების ჩახმახების შეკეთება-მორგების საქმეს აწესრიგებდა, მაგრამ ახლა ესეც აღარავის სჭირდება, გენერალი წულუკიძე და შტაბის უფროსი ზაქარიაძე თავადაც გაქცევაზე იყვნენ. ფურცელაძე განზე გადგა:

— მე საინტენდანტო სამსახურის გენერალი ვარ. ჯარის მართვა არ შემიძლია, მომარაგება — კი!

პოლკოვნიკი ჟურული კი დაეთანხმა, ბრძოლის გეგმაც დასახა:

— მთელ შეიარაღებულ ძალებს ქალაქიდან გავიყვან, იქ მოვამზადებ და მერე შემოვუტევ!..

რევკომმა მისი გეგმა არ მიიღო, ასკერებს ქალაქში უფრო გა-ამაგრებდა, გარედან შემოტევა გამარჯვებას გააძნელებდა.

ქემალისტები გათამამდნენ, სროლას უმატეს. ერთი ყუმბარა რევკომის შენობასაც მოარტყეს, ტყვიამფრქვევიც დაუშინეს, რევ-კომის წევრები იატაკზე გაწვნენ, ძლივს გადარჩნენ.

მერე ორი ოფიცერი შემოვარდა, გულამოვარდნილები ერთმა-ნეთს არ აცლიდნენ:

— სარდალი დაგვინიშნეთ!.. ფრონტი გაგვახსნევინეთ, ბათუმი ხელიდან გვეცლება!..

— არა მყავს?! — ზეზე წამოვარდა თავმჯდომარე.

— არის! გენერალი მაზნიაშვილი. აი ამ წუთას ფელუგაზეა, ოჯახთან ერთად თურქეთში მიიპარება.

— დაგვთანხმდება?

— ძალით დავითანხმოთ! კარგად ვიცნობთ. ჩვენი ფრონტის მხედართმთავარი იყო დენიკინთან ბრძოლაში. ჟორდანიას მთავრო-ბამ ბედისანაბარად მიაგდო. გამოცდილი სარდალია, მხოლოდ მას შეუძლია გაბნეული ჯარის ნაწილების შეგროვება. იჩქარეთ, თო-რემ გაგვასწრებს!..

— მოიყვანეთ!

ოფიცრები ნავსადგურისაკენ გაიქცნენ, გენერალი ფელუგიდან ჩამოსვეს და ოჯახიც გადმოიყვანეს.

ხანშიშესული, ბრგე მხედარი ინკრუსტირებულ ჯოხს დაებჯინა. არ იცოდა, რა ელოდა? ბოლშევიკ ხელისუფალს შეჰყურებდა. ვერც წარმოედგინა, რომ საუბარი იმასთან მოუხდებოდა, ვისიანებ-თანაც მთავრობის ბრძანებით თბილისის მისადგომ სოღანლუღთან თავგანწირვით ებრძოდა.

— თქვენ გენერალი მაზნიევი ბრძანდებით?

— მაზნიაშვილი! — გამომწვევად უპასუხა გენერალმა.

— მაგრამ თურქეთში გაქცევის განზრახვა გქონიათ და ბათუ-მის ასეთ მდგომარეობაში დატოვება?! — გაკაწრა თავმჯდომარემ.

გენერალს ნირი წაუხდა:

— რა ვქნა, ყველა გარბის.

ეავთარაძემ უფრო მწარეც დააყოლა:

— ნამდვილი ქართველები საქართველოში რჩებიან!

გენერალმა უხერხულად ჩაახველა, ნერწყვი გადაყლაპა, ლამის სასულეში გადაუცდა.

ქავთარაძე მღელვარებას მიუხვდა და მოკლედ მოუჭრა:

— გენერალო, დიდი ხნის ლაპარაკის დრო არ არის! თქვენ ახლავე უნდა შეუდგეთ ქალაქის დაცვას და თურქებისაგან გაწმენდას!

— ვისი ბრძანებით?

— რევკომის!

— თქვენ ვინ ბრძანდებით?

— რევკომის თავმჯდომარე, ქავთარაძე!

— გამახსენდა!.. პოლკოვნიკ ივანე ქავთარაძის ვაჟი? მამათქვენი რუსთა მეფის ნაფიცი ოფიცერია.

— დიახ, ოთხი მეფის. მისი შვილი კი, როგორც ხედავთ, საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების დამცველია. ესეც კარგად დაიხსომეთ!

— სამწუხაროდ, აქ ისეთი ქაოსია, რომ არავითარ თქვენს ხელისუფლებაზე არ შეიძლება ლაპარაკი! უდისციპლინოდ ხელისუფლება ვერ იხელმწიფებს.

— ესაა ჩვენი თხოვნაც! დაამყარეთ წესრიგი თქვენ ჯარში. ასეთია რევკომის გადაწყვეტილება.

გენერალი დუმდა.

— წინადადებას გაძლევთ შეასრულოთ ჩვენი ბრძანება!

— არ შემიძლია! — მშვიდად მიუგო გენერალმა, — ჩემი ნაწილები რომ იყვნენ აქ, იქნებ რაიმე მეღონა... მაგრამ ისინი არ არიან, ვერ ვიკისრებ.

ქავთარაძე აენთო.

— გენერალო, უკანასკნელად გაძლევთ წინადადებას!.. დრო არ ითმენს... გესმით რა ხდება ქალაქში?

— მე უკვე ვთქვი.

— გაძლევთ სამ წუთს. გადაწყვიტეთ, არა და პირველად თქვენ დაგხვრეტთ, როგორც სამშობლოს მოღალატეს!

გენერალმა წარბიც არ შეიხარა.

რევკომის თავმჯდომარემ უბის საათი გახსნა, დახედა, კოპები შეჰკრა, წამებს ითვლიდა და სხვა ოთახში გავიდა.

იქ დარჩენილები შემოეხვივნენ:

— დათანხმდით, გენერალო! — მიმართა ეროვნულ დემოკრატმა კარპე მოდებაძემ. — მე და გრიგოლ ვეშაპელს დაგვავალა მთავარსარდალმა კვინიტაძემ, გთხოვოთ უსარდლოთ თურქებთან ბრძოლას! ასკერების დასაცინად ნუ გაგვხდით. ახლა დრო არ არის პარტიათა დავის გასარკვევად. საქმის ამრევ-დამრევი მენშევიკების მთავრობა გაიქცა, საქართველო ბათუმს კარგავს, რა მნიშვნელობა აქვს მთავრობა თუ ბოლშევიკურია, ბათუმს ოდესაში ხომ არ გადიტანენ?!.

თენგიზ ჟღენტმაც უსაყვედურა:

— უპარტიო გენერლად გიცნობთ. ოსმალოთა შემოშვებით ქემალისტად მოინათლებით, ერი შეგრისხავთ!

გენერალი მარცხენა ხელით ჯოხს დაეყრდნო, მარჯვენათი პირჯვარი გადისახა, დაიბღვირა და ამოღვარა:

— თანახმა ვარ!

თენგიზ ჟღენტი ქავთარაძესთან შევარდა:

— დაგვყვა!..

თავმჯდომარე გამოეგება. ხელი ჩამოართვა, მოხუცის ძარღვიანი მკლავის ძალა იგრძნო. იმედი მიეცა.

— გმადლობთ, გენერალო!

თენგიზ ჟღენტს მიუბრუნდა:

— შენ მასთან კომისრად იქნები!

გენერალმა პირობა მოითხოვა:

— ცალკე შენობა, ადიუტანტები, მანქანა, ცხენები, აგიტატორები, ქალაქის რუკა!

— ყველაფერი გექნებათ, გენერალო! თენგიზ ჟღენტი გააკეთებს. შეარჩიეთ, რომელი შენობაც გნებავთ, და დაიკავეთ.

გამოემშვიდობა და დააყოლა:

— ჩანს, ძილისთვის არ გვეცლება. რამდენიმე საათის შემდეგ მოგაკითხავთ.

გენერალი და ფელუგიდან მისი ჩამომხსნელი ის ორივე ოფიცერი, ახლა უკვე ადიუტანტები, კომისარ თენგიზ ჟღენტთან ერთად რევკომიდან გავიდნენ, შტაბისათვის შენობა შეარჩიეს, რუკა გაშალეს და საქმეს შეუდგნენ.

გვიან ღამით შეახსენეს:

— გეშიებათ, გენერალო, ვახშამს მოგართმევთ, — მოფერებით მიმართა ადიუტანტმა, თუმცა ახსოვდა, რომ ცივი ზღვიდან ძალით გამოყვანილი ცხარე ბრძოლის ცეცხლში ჩააგდო.

— ღამით არ გიახლები, ადიუტანტო! წესად მაქვს.

— კონიაკი?

— კონიაკს სიამოვნებით! მაფხიზლებს.

— მაშ ყავასაც მოგართმევთ!

— არა. ქიაზიმ-ბეის მიართვით! არ დაეძინოს, ხვალ ჩვენი სტუმრობა ელის.

ღამენათევი ქავთარაძე უძილო გენერალს ეახლა.

— როგორაა ჩვენი საქმე?

— არა უშავს. ზოგი რამ უკვე გამოვარკვიე, — მაგიდაზე გაშლილ რუკას დაახედა.

— მე სამხედრო კაცი არ ვარ, დეტალების ახსნას არა გთხოვთ. საერთო ხაზებში ამიხსენით თქვენი გეგმა! — უთრა ქავთარაძემ.

— დიახ, ასე ჯობია! — დაეთანხმა მაზნიაშვილი, — დღეს შევავსებ გაფანტულ ნაწილებს. დავიწყებ მცირე დაწოლით, „გოროდოკში“ შევრეკავ. ხვალ დილით კი შევუტევ. საღამოსთვის ყოველივეს დავამთავრებ!

გენერალი მშვიდად ლაპარაკობდა, მისი რწმენით იარაღდებოდა თავმჯდომარეც, მაგრამ მაინც ჰკითხა:

— რა შანსები გაქვთ?

მაზნიაშვილი ჩაფიქრდა, ტუჩზე ღიმილი აუთამაშდა, იმის ახსნის სურვილი მოეძალა, რასაც რახანია გრძნობდა, მაგრამ პოლიტიკაში ჩარევად უთვლიდნენ და აზრის გამოთქმის ხალისს უხშობდნენ: „პოლიტიკანობა ჯარისკაცის საქმე არ არის, ეს უფლება ვალიკო ჯუღელის გვარდიას შეჰფერისო“.

სულმა მაინც წასძლია. მთავრობის კაცი ეკითხება და არც დაუმალა:

— შანსი ბევრია!.. უმთავრესად ეროვნული გრძნობა! სამშობლოს დაცვა ყველაზე დიდი პატიკია ყველა სხვა პატივთა შორის.

ასეა აქაც! მთელი ერი ებრძვის ისტორიულ მტერს. პარტიათა ბრძოლა კი შინაური დავაა, ერს შუაზე ჰყოფს. ძნელია გარკვევა, რა განსხვავებთ ბოლშევიკებს მენშევიკებისაგან? მაგრამ ვხედავ, რაც მენშევიკებმა გასცეს, იმას ბოლშევიკები იბრუნებთ! თუმცა გაცემულის დაბრუნება უფრო ძნელია, ვინემ სხვისი ტერიტორიის მიტაცება. ამაში დავრწმუნდი, როცა დენიკინს **ზღვისპირეთის ნაწილი** დავუთმეთ!.. ჟორდანიას მთავრობამ კი **ბორჩალოს** და **ზაქათალის** მიწებიც ჩამოიჭრა და არდაგან-ართვინზეც ხელი აიღო ბოლშევიკები რომ დროზე მოსულიყავით, ალბად ის მიწებიც საქართველოს დარჩებოდა? ახლა კი მხოლოდ ბათუმის ოლქისათვის გვაბრძოლებთ და რომელი ქართველი არ გამოგყვებათ"! ამან მისცა ხალისი ქართველ ჯარისკაცობას, თბილისიდან ბათუმამდე რომ უდარდელად იხევდა. იცოდნენ — საქართველო ქართველებს რჩებოდათ. უბათუმოდ კი ფრთამოტეხილი ვიქნებით! ქვეყნიერებას მოვწყდებით, რიონისა და მტკვრის ხეობაში ჩავიხშობით. ბათუმია ჩვენი ეროვნული დამოუკიდებლობის ნავსაყუდელი. მისი დაცვა-დაბრუნება საგმირო საქმეა. ამის შეგნებამ კარგ გუნებაზე დააყენა ჯარისკაციც და ოფიცერიც. მეც! ნამდვილ მტერს ვხედავთ, პარლამენტში მოქიშპე და მოქადაგე ფრაქციას კი არა? პარტიული განსხვავებულობა ახლა აქ აღარ გვაფიქრებს, ეროვნული სიამაყის გრძნობა გვამხნევებს, ასკერებს არ გავაჭაჭანებთ. თქვენი მოწოდებაც აიმედებთ — „მიწა გლეხებსო!" მენშევიკებსაც ესმოდათ მიწის მიმზიდველობის სტიქიური ძალა, მაგრამ აშინებდათ კიდეც: გლეხკაცობა ბნელი კლასიაო, სოციალ-დემოკრატიული პარტიის აშკარა მტერია და თუ მიწაც მიიღო, უფრო გაგვიდიდგულდებაო! მუშების იმ მცირე ნაწილის იმედით დარჩნენ, ვინც სახალხო გვარდიაში ჩაეწერა. წააქეზეს, ქარხანაში ხელფასი ეძლეოდათ, გვარდიაში კი უქნარობა აზარმაცებდათ. ასეთი ჯარი თქვენს წითელ არმიას რას გაუძლებდა? უნიფხო ასკერებსაც კი ვერ მოერივნენ. ახლა გვიხდება ჩვენი მხედრიონის შელახული სახელის დაბრუნება. აი ეს მიზანია ჩვენი ყველაზე დიდი შანსი და გამარჯვებაც მოგველის!

მაზნიაშვილმა დაპირება შეასრულა. ქემალისტებს ყოველმხრი-

ლან დაუარა, ქალაქს ძოწყვეტილ „გოროდოკში“ შერეკა და მეორე დღის გარიჟრაჟზე შეტევაზეც გადავიდა.

ჯოხზე დაბჯენილი მაზნიაშვილი გენერლურად მბრძანებლობდა. რევკომის თავმჯდომარე ფრონტის ხაზზე ცხენდაცხენ მიადგა.

— წარმატებას გილოცავთ, გენერალო!

მოხუცს გაუკვირდა: არადროს არ უნახავს მთავრობის კაცი მოწინავე ხაზზე, არც მთავრობის მადლობის სიტყვა სმენია. აქ კი კმაყოფილებით ესალმება რუსთა ოთხი მეფისათვის ერთგულების შემფიცავი პოლკოვნიკის ბოლშევიკი შვილი, თანაც ვის, გაპარული მთავრობის მიერაც კი დაუფასებელ გენერალს?!

— ჯერ ადრეა მოლოცვა! — შეიჭმუხნა მაზნიაშვილი.

— ვატყობ, საქმე გამარჯვებისაკენ მიგყავთ.

— ამაზე დამარცხებული ასკერები უკეთ გეტყვიან! საღამომდე დავამთავრებ. — ყუჩედ უპასუხა გენერალმა და ადიუტანტს უბრძანა:

— რევკომის თავმჯდომარის ცხენი ფარდულს მოაფარეთ, თორემ თურქები მიზანში ამოიღებენ. დააშავებენ, ლამაზია!

ქავთარაძესაც უთხრა:

— თქვენც იმ დანგრეულ ქვიტკირის ფარდულში შებრძანდით, ყუმბარას აღარ გაიმეტებენ ერთხელ უკვე მოხვედრილისათვის. ისედაც ცოტაღა დარჩათ. საწყობი ჩვენ ავუფეთქეთ, მოსაზიდი გზაც გადავუჭერით.

ბრძოლა გაჩაღდა. მაზნიაშვილის ბატარეის ყუმბარა მიზანს არა სცდებოდა, ასკერები ხელის აწევასაც ვეღარ ასწრებდნენ, მიწაზე ემხობოდნენ. ბათუმის თვითმარქვია გენერალ-გუბერნატორი, გენერალი ქიაზიმ-ბეი ახალ-ახალ ძალებს უმატებდა თავის ჯარებს.

ქართველებსაც ძვირად დაუჯდათ გამარჯვება! ბევრი გულადი ბიჭი გაღიმებული დაეცა სისხლით მორწყულ მშობლიურ მიწაზე.

ბათუმის ქუჩები დაცარიელდა, კაცი აღარ ჩანდა. ცა და მიწის შუა ტყვია ზუზუნებდა, ზარბაზანი ქუხდა, ასკერების წყევლა და ქართველების „ვაშა“ ისმოდა.

ძველი გენერალი საქართველოს ახალი დროშით იბრძოდა, მაგრამ არც ენახა, რა ფერისა და რანაირი ემბლემა ეხატა?! ხვდებოდა კი; სამშობლოსათვის თავგანწირვის სისხლის ფერით იქნებოდა შეღებილი, ბრძოლის ალში შეტრუსული და ცრემლით გაპატიოსნებული. ასე წმინდად და ამაღლებულად არსად, არასდროს არ აფრიალებულა საქართველოს მიწა-წყლის დასაცავად დღიდან გეორგიევსკში კურთხევისა! რა ფასი აქვს დროშის სიმბოლიკას, თუ მის ნაფხრეწებს მტერი თითზე დაიხვევს და მთასა და ბარს თოფით გადაივლის, რომელიმე ქიაზიმ-ბეი ბათუმს მოსტაცებს, ვინმე ფონ ლოსოვი ფოთს მოუთათუნებს, ვიღაც გენერალი ტომსონი თბილისში დაბანაკდება, კორი ჭიათურას ჩაუხტება და დენიკინი გაგრას შეუჩნდება!..

ჩამოღამდა, ბრძოლის ხმა მიწყდა, ასკერებმა კუდი ამოიძუეს, მაგრამ ქართველების ძმათა სასაფლაოც აკოკოლავდა!..

ასე იცის სამშობლოს სიყვარულმა. მაგრამ თუ მშობელ მიწაზე საფლავი არ ჩანს, — ერისადმი ერთგულება შინამტრობას წაუფარცხავს და ძმათა კინკლაობას წაურღვნია! კაცი ქოხს იშენებს, მაგრამ წინაპართა წმინდა სავანეზე ხიდან გამოკორტნილ ჯვარსაც სვავს! ასეა ჩვენი გაჩენის დღიდან საქართველოს გადარჩენის ყველა გზაჯვარედინზე. ბათუმის შერკინებაც ნარინჯოვან ზღვის ნაპირზე ისეთივე ცხარე იყო, როგორც მარაბდის გადაგვალულ მთა-ბარზე. ორივემ ერის ღიდება აზიდა შთამომავალთა მეხსიერებაში. დანაძული თუ დაგვალული, აბიბინებული თუ დაკორტნილი მიწა მაინც დედა-საქართველოა და ალალია მისთვის სიცოცხლის შეწირვა.

მერე მზე ზღვის ჰორიზონტმა ჩაიგორა, ჩაიხუტა და ჩაყლაპა. ქემალისტების ჯარის შტაბი კი სასტუმრო „ფრანციის“ უკანა კარიდან მალულად გამოძვრა და პირი სანაპიროსაკენ ქნა. იქ საფრანგეთის ნაღმოსანს ღუზა ჩაეშვა და მომხდურების შეფარვას ელოდა. გზად რევკომის თავმჯდომაე შეეყარა და გამარჯვებულმა დამარცხებულს კაცური ღირსებით მიმართა:

— ქიაზიმ-ბეი! აზრი აღარა აქვს წინააღმდეგობას!.. განკარგულება გაეცით იარაღი დაყარონ! თქვენ კი სამხედრო პატივითა და სასულე ორკესტრით გაგაცილებთ!..

ქიაზიმ-ბეიმ მგლურად დაიღმუვლა, უხმოდ აიძურწა და მხლებლებიც ძუნძულით მიჰყვნენ.

ტელეგრაფის შენობა კი ჯიუტობდა, შიგ გამაგრებული ასკერები როდი ნებდებოდნენ. ფანჯარაში ტყვიამფრქვევი გამოედგათ და იმუქრებოდნენ, რჯულს იფიცებდნენ და ხატს გვიგინებდნენ: „დონღუს-გურჯი“ და „შაითან-გიაურს!“ გვეძახდნენ.

მაზნიაშვილმა ქავთარაძეს ურჩია:

— ხელყუმბარების შეყრით ტყვიამფრქვევს დავადუმებთ, გაოგნებულ ასკერებსაც დავფლეთავთ, მაგრამ ტელეგრაფის მოწყობილობაც დაზიანდება. საქმე წახდება, თბილისთან კავშირი გაგიწყდებათ.

მერე ხერხი იხმარა. გამოთვალა: ტელეგრაფში ჩაკეტილებს მშიერი კუჭი დიდხანს ვერ გააძლებინებდათ. ახლად გამომცხვარი ცხელ-ცხელი პურები ფანჯარაში შეუყარა და მოკლე ბარათიც მიაყოლა. მშიერი ტურები დანაყრდნენ და წერილიც წაიკითხეს.

„თქვენი ჯარი რახანია აიყარა, გენერალი ჭიაზიმ-ბეი სტამბოლს გაემართა! თავს რიღასთვის იკლავთ? გამოდით, ხელს არ გახლებთ, ნავში ჩაგსხამთ, ხოფის ნაპირს გადაგსხამთ!“

გამაძღარმა კუჭმა საღად იაზრა. ოფიცრის თეთრი პერანგი დროშათ გამოჰკიდეს და ხელაწეულებმა სანაპიროსაკენ გასწიეს ნავში ნიჩბის მოსასმელად.

ცამიწაძემ კი მთელი ბათუმი წითელი ალმებით მოკაზმა. უხაროდა, რომ წითელი არმია ააცდინა ქემალისტებთან შეტაკებას, ორჯონიკიძისა და სტალინის მკაცრი მითითება შეასრულეს, მოსკოვ-ანკარის შეთანხმების თავდაუსხმელობის არც ერთი მუხლი არ დაარღვიეს, თურქები ბათუმიდან ქართველებს გააყრევინეს და თავი ისახელეს. ელობამ ორჯონიკიძეს უპატაკა:

„ქართველებმა ერთიანად ამოწყვიტეს ოკუპანტები, კავალერიის პოლკი შექმნეს და ჩემს დივიზიას შემოუერთდნენ! ამისთანა გმირმა ბიჭებმა უფრო გამაძლიერა. წინ აღარაფერი დაგვიდგება“.

თურქების გადარჩენილი რაზმი საფრანგეთის ნაღმოსანით შავ ზღვაში უგუნებოდ მიცურავდა...

მენშევიკების მიტოვებული ჯარი ბოლშევიკებს მოუდგა...

უჯუღელოდ დარჩენილი, განიარაღებული, შერცხვენილი გვარდიელები თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ...

ბათუმში ქართველების სახსნელად მოშველებულმა დიმიტრი ელობამ აღტაცებით შესძახა:

— Ай-да грузины! Ай-да молодцы! — ყოჩაღ — ქართველებო! ყოჩაღ — ბიჭებო!

ანკარაში კი ქემალ-ფაშამ ულვაშები დაიბდღვნა, ბათუმის მარცხისათვის ქიაზიმ-ბეის გენერლის წოდება აჰყარა.

ბათუმი და მისი ოლქი საქართველოს დაუბრუნდა.

გახიზნული მთავრობა კი სტამბოლს ეამბორა, ერთხანს ბაზარ-ბაზარ იწრიალა, მერე, პარიზს ჩასულმა, ლონდონსა და ბერლინს შუა იტრიალა და მშრალზე დარჩენილმა სოფელ ლევილს შეაფარა თავი. დედასამშობლო მიატოვა და დედინაცვალ საფრანგეთს ჩაეხუტა.

* * *

24 მარტს ბათუმი საზეიმოდ მოიკაზმა. ყლობასა და ცამიწაძეს აკილებდნენ. ორჯონიკიძის ბრძანებით მეთვრამეტე კავ-დივიზია, ქართულ საკავალერიო პოლკთან ერთად, საბჭოთა სომხეთს უნდა მიშველებოდა; დაშნაკები აჯანყდნენ.

საპარადო აზიზეის მოედანზე ბათუმის რევკომიც მოვიდა ნადავლი პრიალა ავტომობილით.

ყლობა ქავთარაძეს გაეხუმრა:

— რა იქნება, სერგეი ივანიჩ, მძღოლის მაგივრად მე რომ გავატარო ქიაზიმ-ბეის ამერიკული მანქანა?!.

— შენ, დიმიტრი პეტროვიჩ, მართლაც შეუძლებელი შესძელი, თოვლში გადაუსვლელი გოდერძის უღელტეხილი კავალერიით გადმოლახე! ამერიკული ავტომობილი შენი ყუბანური ცხენი როდია?! შოფრობა — რთული ხელობაა!.. დიდი ოსტატობა სჭირდება!

— თუ წავიყვან, მაჩუქებ?

— თუ ვერა?!

— მაშინ ჩემი ცხენი „კოჩუბეი“ შენი იყოს!

დანაძლევდნენ.

ყლობა საჭეს მიუჯდა, ცამიწაძე გვერდით მოისვა, ადგილიდან მოწყდა და „კოჩუბეიც“ ჭიხვინითა და ფრუტუნით გაჰყვა.

ქავთარაძე ღიმილით გაჰყურებდა ქობულეთის გზაზე ათუხთუხებულ „კადილაკს“ და ჩორთით უკან მიყოლილ კავდივიზიას.

რევკომის წევრებმა იხტიბარი არ გაიტეხეს და სერგოსაც გული გაუკეთეს:

— სანაძლეოს წაგება ნუ გადარდებს! მანქანით სასეირნოთ სადა გცალია?! ხელებდაკარწახებული საქართველო ფეხით შეუდგა სახელმწიფოს აშენების მძიმე ალმართს. მერე კი ცხენზეც შეჯდება, ავტოსაც მიუჯდება. იქნებ თვითმფრინავითაც აუწვდეს?! მოვა ეს დროც...

ტიტე ცამიწაძე საიმდროო ოცნებით მიირწევს და მძიმე ფიქრებიც მიჰყვება...

„— რა გველის?"

გეტყვიან!..

„ვინ?"

დღენი ჩვენი ბრძოლებისა!..

1985 წ.

სარჩევი

ტიტე სემინარიელი 3
თავეოკრილი მეფე 16
იმპერატორის გატაცება 25
ღვთისმოსავი იოსები 31
მთავარმართებლის სასახლეში 39
ძმივი და ხახული 48
ბულვარის ჩრდილში 60
სამი ნოეს კიდობანი 64
ავადმყოფის სასოებალთან 76
ლიონის სადგური 89
იხგოოოყვას ხვედრი 101
ვინ იცის 107
ცოდნისა და ცოდვის მლვიმე 113
კბილი — კბილის წილ 119
სკეთეთ შავრაზმელებს 134
ლადო მესხიშვილის ვალი 140
წილში ჩადგომილი 155
ცხოველიტული 162
ყვირილა — ბელგორის რესპუბლიკა 169
ხიფის გვირაბი 177
291 637 ბანეთი და 56 კაპიკი 182
თხუნელების ხერელი 187
ანარქიტის აღსარება 197
გორის ციხის ქვეშ 216
ოლიერა ჩემოდანი 219
მატარებლის კუპეში 227
ჯოჯიაშვილის ყუმბარა 242
სახრჩობელაზე 257
ხეების პროსპექტზე 266
ოქროპირთა ოლპირობა 282
გახწირულთა ჭირი 288
ურისმაჩიბთა თავდასხმა 305
ქრიკა „ძოგზაური" 313
ულმეცრების თართიფურთა 315
უკეთური აზრი 330
ხუთუ? 335
თავდასაცავი დახა 343
სახელმწიფო საბჭოს წევრი 349
ხელ მოჭყლავ, ადამიანო! 366
ჯაბეში 385
ბეჭის ციხარტველა 403
ხიჩაბურის გზაზე 411
ოქროკბილა მიკიტანი 424

ნაპრალი სიცოცხლე 432
ბოიკილი და ბაი 439
ყვავის ჩრკ 442
დიპლომატი 445
ჩაშხამებული ვახშამი 462
სიყვარულის ჩეოჩული 474
ვეძის კაპიტანი 486
ლობას მაოხილი 493
დაშიფრული დეპეშა 506
ამინ! 509
სამთა მრეტე გეზი 513
ვინ შესცოდა 517
სეიმის ჯანგები 524
ფონ ლოაოვის ფანდი 534
დაობაზიდან დარბაზში 539
ბეტსახელად დეკუტატი 545
ჩაკიდ-ჩამოკიდება 550
ბინავ — მარჩენალო 556
საპარლამენტო ოთურმა 562
ბრესტის ზავის უკუღმართობა 568
მჭარე ინტერვიუ 577
უმადურთა აღიარება 583
ვილჰელმ მეორის მადა 591
დერეფნიდან დერეფანში 599
ხათაბალა გზა 601
გზაგადაჭრილი ელჩი 613
გათანგული სულთნის აღიარება 624
დიალოგი საკანში 633
ტირიფონის ატირება 644
ლოვის ხიზნები 649
გენერალ დენიკინის ბუნაგში 651
ჯანგის ღალატი 663
ესესხლო რევოლუცია 665
ქავთარაძის დღიური 668
ცეხის ჯარი 676
მშვიდობის ბილიკი 686
ხელშეკრულება 696
ჭამოკრატია 703
სადალაჭოს პატიმარი 712
პირდაპირ მავთულთან 716
გოდერძის ღელტეხილზე 724
სალონ-ვაგონში 731
გასაზნული მთავრობა 738
ყოჩაღ — ქართველებო! 749

გამომცემლობის რედაქტორი გ. ხეთაგური
მხატვარი მ. პოლიაკოვი
მხატვრული რედაქტორი ჯ. ზენაიშვილი
ტექნიკური რედაქტორი დ. რაზმაძე
კორექტორები: ნ. ლომაძე, თ. ფირცხალავა, რ. გოცირიძე
გამომშვები გ. მინდიკაური

სბ — 4303

ჩაბარდა წარმოებას 9.12.87 წ. ხელმოწერილია საბეჭდად 17.02.88 წ. უე 06714. ფორმატი 60×84¹/₁₃. საბეჭდი ქაღალდი № 1. გარნიტურა ჩვეულებრივი. ბეჭდვა მაღალი. პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 44,64. სააღრიცხვო-საგამომცემლო ფურცელი 39,97. პირობითი საღებავგატარება 44,64.
ტირაჟი 30 000 ეგზ. შეკვეთა № 639

ფასი 2 მან. 80 კაპ.

გამომცემლობა „მერანი", რუსთაველის პრ. 42. თბილისი, 1988.